რევაზ ჯაფარიძე

ძველი ოქროსა

რომანი

თბილისი „იბერია-92“
1994

Д40
ББК 632.3(0)51(2Г)

Д40 Джапаридзе Р. Раба Господня. М.: ИПА "Три Л". 1994. 576 с.

ISBN 5-86709-018-3

Д $\frac{4700000000-21}{7П6.03-94}$ 5/объявл.

Роман "Раба Господня" посвящен героической борьбе грузинского народа против персидских поработителей в первой четверти XVII века.
В центре повествования - канонизированная грузинской церковью и народом святая царица Кетеван, которая обрекла себя на жертву ради веры и родины, не дрогнув перед кровожадным иранским владыкой Шах-Абасом.
Наряду с Кетеван в романе действуют исторические герои того времени, цари, полководцы, путешественники, представители простонародья.
Перед читателем рисуются картины разрушения Кахетии, изгнания с родных мест и переселения ее населения в дальнюю Персию.
Грузия побеждена в войне, истекает кровью, но все же стоит непоколебимо, вновь вооружается для изгнания захватчиков и возобновления мирной жизни.
Книга рассчитана на широкий круг читателей.

რომანი "მხეევალი უფლისა" ეძღვნება ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლას სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ მე-17 საუკუნის პირველ მეოთხედში.

თხრობის ცენტრში დგას ქართული სამოციქულო ეკლესიის და მშობელი ერის მიერ წმიდანად შერაცხული დედოფალი ქეთევანი, რომელიც ეწამა სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის, სპარსეთის მპყრობელ პირსისხლიან შაჰ-აბასის წინაშე კი ქედი არ მოიდრიკა.

ქეთევანის გვერდით რომანში მოქმედებენ ისტორიული გმირები იმ დროისა, მეფეები, მხედართმთავრები, უცხოელი მისიონერები, მოგზაურები, უბრალო ხალხის წარმომადგენლები.

მკითხველის თვალწინ გაივლის კახეთის აოხრება, მისი მოსახლეობის აყრა მამაპაპეულ საცხოვრისიდან და გადასახლება შორეულ სპარსეთში.

საქართველო მარცხდება ომში, სისხლისაგან იცლება, მაგრამ ის მაინც ფეხზე დგას, გაუტეხელია, კვლავაც იარაღს ისხამს მტრის გასადევნად და ცხოვრების თავიდან დასაწყებად.

რედაქტორი **ნესტან გუგუშვილი**

მხატვარი **სპარტაკ ცინცაძე**

გამომცემლობა „იბერია-92“ 1994 წ.



თავი I

კახეთის სამეფოს სატახტო ქალაქ გრემში რუსეთის ხელმწიფის ბორის გოდუნოვის ელჩების — კუზმა ვასილის ძე ტატიშჩევისა და ტერენტი დენისის ძე ივანოვის, მოლოდინი ჰქონდათ. დარიალის ხეობით ქართლში მათი მობრძანების სასიხარულო ამბავი მთელი კვირით ადრე დაირხა, ვიდრე ხაზინისა და თითქმის ასკაციანი მცველი რაზმის თანხლებით ელჩები ცივ-გომბორის მთას გადმოიელიდნენ და შიგაკახეთის თავქვეებზე დაეშვებოდნენ.

1604 წლის შემოდგომის ერთი მცხუნვარე დღე იდგა. ცის ტატნობზე შემაღლებული მზე შეუბრალებლად აცხუნებდა, როგორც საზოგადოდ სჩვეია ხოლმე წლის ამ დროს კახეთში. მამაპაპური გრძელი სუფრის გასაშლელად და სანადიმოდ, კაცმა რომ თქვას, მაინც და მაინც არავის ეცალა, გახურებულ ალოობაზე ამის თავი აბა ვისა აქვს, მაგრამ საარაკო სტუმართმოყვარე და გულუხვი კახეთი რის კახეთი იქნებოდა, თუ ჭიშკარს ყურთამდე არ გააღებდა და სამოყვროდ მოსულ უცხოელებს შესაფერი პატივით არ დაუხვდებოდა!

ქვეყანა დედაწულიანა ჭირნახულის მოსაწევად იყო გამოსული. ნაპურალსა და ბაღ-ბოსტნებში, სადაც წლის მოსავალი უკვე აეღოთ, სოფლის ნახირი ბალახობდა. მარნებში ვეებერთელა ჩასავალი ქვევრები ირეცხებოდა. გარიჟრაჟიდან ვიდრე გვიან ღამემდე, მაღალ ვახშმობას რომ ეძახიან, სასოფლო გზებსა და ორღობეებში ქარვისფერი ყურძნით პირამდე სავსე გოდრებითა და ცაცხვის კოდებით მძიმედ დატვირთული ურმების ჭრიალი და კოფოზე წამომჯდარი ნაბდისქუდიანი მეურმეების ხალისიანი შეძახილები, გრძელი შოლტის ტყლაშუნი და ალაზნის ორივე ნაპირზე გაშლილ

თვალუწვდენელ ზვრებს მოდებული მკრეფავების ჟრიამული, სიმღერა და ტაშ-ფანდურა ისმოდა.

სტუმრების დასახვედრად დიდი სამზადისი გაეჩაღებინათ. იალაღებზე ნასუქი პირუტყვი, ცვრიან მწვადებად და სახაშ-ლამედ დაკუწული სუფრაზე რომ უნდა დაეყარათ, ჩელთის-წყლის პირას, შემორაგულში ელოდა თავის დღეს. ქალაქის გალავნის შიგნით მოთავსებული სამი სასტუმრო სახლიდან, სადაც ცხრა მთას იქიდან მოტანილი საქონლის გასასაღებლად ან კახური აბრეშუმის, მატყლის, ტყავის, ღვინის, თაფლის, სელის, ენდროს, გრემელი მჭედლების ხელით გაჭედილი ხმალ-სატევრის, ფარების, შუბისა და ისრის ბუნიკების, აგრეთვე სხვა მრავალი ნაკეთობის შესაძენად ჩამომხდარი ვაჭრები, ქვეყნიდან ქვეყანაში კარდაკარ მოხეტიალე მოგზა-ურები და გაურკვეველი ხელობის კერძო პირები იდებდნენ ბინას, ორი სასწრაფოდ დაეცალათ. იქაურ მობინადრეთა მოსათავსებლად, ვინც მოისურვა, ქალაქის კედლის გარეთ დაეცათ კარვები, ნაწილი კი, ვინც უფრო მოსახათრებლად მიეჩნიათ, მოსახლეობის შეძლებულ ნაწილში ჩამოერიგებინათ.

თვით ელჩებისა და მათი მრჩევლების დასაბინავებლად გრემელი ვაჭრის, ამიროვის, სასახლე იყო ნავარაუდევი. თვალისმომჭრელი მოჭიქული კრამიტით გადახურული და ისპაჰანის სასახლეების ყაიდაზე პირისფერი შორენკეცით კედლებმოპირკეთებული ეს ორსართულიანი სასახლე დაბალი ბუჩქნარით შემოსილ მთის ფერდობზე იდგა მეუნაგრეებისა, მეიარაღეებისა, ჭონებისა და დაბაღების უბნის აყოლებაზე და ქარაფზე აღმართულ, თითქოსდა დედამიწის გულიდან ამოზიდულ მეფის სასახლეს და კარის ეკლესიას სიმაღლით თითქმის უტოლდებოდა.

ვაჭარს დიდძალი თეთრი დაუჯდა სამოსახლო მიწის შეძენა. ეს გამორჩეულად თვალსაჩინო ადგილი ახალი დიდი საყდრის ასაგებად იყო დაბევებული და ნაკურთხი, მაგრამ მუდამჟამ ჯიბექესატი და უძირო კასრივით გაუმაძღარი სამეფო ხაზინა თეთრს დაეხარბა, ეკლესიის მამები, თვით ალაევერდელი მიტროპოლიტი მეუფე სამოელი, როგორღაც, მდიდრული შესაწირავით დაიყოლია და განდიდების ვნება-თაღელვით შეპყრობილ ვაჭარ ამიროვს, აქ წელიწადში ორ-სამჯერ რომ გამოჩნდებოდა ხოლმე, ძვირად ღირებული მშენებლობის ნება დართო.

ვაკრის სასახლის ფართო აივნებიდან და ბანებიდან, მკვიდრად, საშვილიშვილოდ აგებულ თვალწარმტაც შენობას სამი მხრიდან სხვადასხვა დონეზე რომ უვლიდნენ, აქა-იქ სიყვითლეშეპარული მწვანე მთის ფერდობებზე უსწორ-მასწორო უბნებად შეფენილი და დაცემულ ვაკეზე თითქმის ალაზნისპირა ჭალებამდე მიწევნილი, ვენახებსა და ხეხილის ბაღებში ჩაფლული გრემი სწორედ რომ ხელისგულზე მოჩანდა და ყოველი კეთილისმოსურნის თვალსა და გულს ახარებდა.

ჩიხებად და ვიწრო გასასვლელებად განტოტვილ საკმაოდ განიერ ქუჩას თუ აქედან თავქვე ჩაჰყვებოდი და სინესტისაგან დღენიადაგ სველ და ხავსმოდებულ წყალსადენის კოშკს ჩაუვლიდი, თავს ამოჰყოფდი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წაგრძელებულ ოთხკუთხა მოედანზე, რომელიც ოთხივე მხრიდან, ისპაჰანის მასჯედე ჯამეს, საკრებულო მეჩეთის, მოედნის მსგავსად, შემოფარგლული იყო ყველა აღმოსავლური ქალაქისათვის დამახასიათებელი სავაკრო ქულბაქების, კახეთის მცხუნვარე მზისაგან ზოლიანი ტილოს საჩრდილობლებით დაცული ფარდულების, სახელოსნოებისა და სპარსულ ყაიდაზე აგებული აბანოების სწორი მწკრივებით.

ამათ შორის ზღაპრულ გოლიათივით იდგა ყველა ახლომახლო შენობაზე უმაღლესი, თეთრი და მოყვითანო თლილი ქვით ნაგები, ნაირგვარი ჩუქურთმებით შემკული ოთხი საყდარი. პირველი ორი მართლმადიდებელ ქრისტიანებს — ქართველებს ეკუთვნოდა, ერთი — დიდი თურქობის ჟამს საქართველოში ჩამოსახლებულ და ადგილობრივ მოსახლეობაში თითქმის მთლიანად გათქვეფილ გრიგორიან სომხებს, ხოლო მეოთხე, ელინურ ბაზილიკას მიმსგავსებული, ოდითგანვე აქ დამკვიდრებულ ქართველ ისრაელთა სალოცავი იყო.

სპარსული აბანოების უკან, კიდევ ერთი განტოტვილი განიერი ქუჩის გადალმა, სადაც ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორე კუთხისაკენ მიმავალი აქლემების ქარავნები ჩაიმუხლებდნენ ხოლმე, იდგა ცისფერგუმბათიანი მომცრო მეჩეთი ნახევარმთვარითა და ერთადერთი ტანწერწეტა მინარეთითურთ, რაც მოწმობდა, რომ მაჰმადის რჯულის აღმსარებელი სპარსეთის ხელდებული ქრისტიანული ქვეყნის სატახტო ქალაქში, როგორც სატახტო ქალაქებს საზოგადოდ სჩვევია, სხვა მილეთის ხალხთან ერთად მაჰმადიანებიც ცხოვრობდნენ და თავიანთ ღმერთს თავიანთ მაჰმადიანურ სალოცავში ეეედრებოდნენ.

ოთხკუთხა მოედანი გრემის სავაჭრო ნაწილი ანუ ბაზარი იყო, ხალხის დიდი თავშეყრის, ბრძოლის ველიდან ძლევამოსილად დაბრუნებული ან ლაშქრად მიმავალი ჯარების აღლუმის, მეფის ბრძანებულებათა საჯარო გამოცხადების, ბერიკაობისა და სხვა მრავალ სახალხო სანახაობათა მოწყობის, დამნაშავეთა შეწყალების, დიამბეგთა სასამართლოს მიერ გამოტანილი და მეფის მიერ დამტკიცებული სასიკვდილო განაჩენების აღსრულების ალაგი, რომელიც სიცოცხლეს, ყველა დიდ და მცირე აღმოსავლური ქალაქის სავაჭრო ნაწილის მსგავსად, დილაადრიან, წინა საღამოს ჩაგმანული დარაბების გაღებით და ქუჩისპირას გამართულ გრძელ ყაფაზებზე ნაირ-ნაირი საქონლის გაშლით, ყაყანით, მუშტრის მოპატიჟებით იწყებდა და ფეხზე მანამ იდგა, სანამ ქათმები არ დაიბუდებდნენ, სარკმლებში სანთელი ან კვარი არ აკიაფდებოდა, ხოლო ქარაფზე დიდებულად გადმომდგარი სამეფო პალატები უთვალავ ფერად მოციმციმე ბრდღვიალა ჭაღებით მიდამოს შუქს არ მოჰფენდნენ.

მას მერე, რაც მთიელ მარბიელთა ყონაღი და მფარველი დავით მეფე, კახბატონ ალექსანდრეს უფროსი ძე, ურჯუკი და დაუნდობელი ხასიათის გამო გულზე რომ არავის ეხატებოდა და მამისეული გვირგვინიც თავზე მამის უნებურად დაიდგა, მოულოდნელად, ტახტზე ასელის მეექვსე თვეშივე საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა და სიყრმის შვილის მიერ წაგვრილი გვირგვინი ისევ ტახტიდან გადაყენებულმა და ნეკრესის მონასტერში ბერად აღკვეცილმა ალექსანდრემ დაიდგა, საშოვარზე გამოსულმა ლეკებმა და ყუმიყებმაც, რუსები "ბორსკიე ლიუდი შამკალსკის" რომ ეძახდნენ, კვლავინდებურად დაიწყეს მთებიდან ბარში დაშვება და წლის მოსავლის ასაკარებლად ყანა-ვენახში გაკრეფილი უიარაღო მოსახლეობის აწიოკება.

სანამ მათი მწყალობელი და ქომაგი დავით მეფე თავისი ნებით მითვისებულ ტახტზე იჯდა და ქვეყანას ავად თუ კარგად უძღვებოდა, ისინი ამას არ სჩადიოდნენ, რადგანაც კახეთის მხედრობაში გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ, მაგრამ სიცოცხლის მეოთხე ათწლეულში გადამდგარი მეფის გარდაცვალების უმალვე, როგორც კი ალექსანდრემ ტახტი დაიბრუნა, ხოლო დავითის მიერ შერისხული ძმა, მის წინააღმდეგ მოწყობილი შეთქმულების მოთავეობაში ეჭვმიტანილი ბატონიშვილი გიორგი, თორღას ციხიდან გამოუშვეს

და იმავე ციხეში მასთან ერთად ჩამწყვდეულ კახელ თავადებითურთ გაათავისუფლეს, ვითარება საპირისპიროდ შეიცვალა: მთიელების სამსახურს უკვე აღარავინ საჭიროებდა და შინ საკმაოდ უპატიურად გაშვებულმა ლეკებმა და ყუმიყებმაც საბოლოოდ აიშვეს თავი, ხელმრუდობა და ძალმომრეობა კვლავაც შემოსავლის უმთავრეს წყაროდ გაიხადეს.

გამოკეტილ სახლებს მარბიელები დღისით-მზისით დაესხმოდნენ ხოლმე და ძირისძირობამდე მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა ადგილიდან დაეძრათ, ცხენზე ან სახედარზე აეკიდათ და კავკასიონის ციცაბო გზაწვრილებით დაღესტანსა და საშამხლოში გადაეტანათ. მიყავდათ ნაპურალში თუ ნასიმინდარში გაშვებული ხარ-ძროხა, ცხენები, ცხვრისა და თხის ფარები. იტაცებდნენ ვენახსა, წისქვილსა თუ შარაგზაზე დაჭერილ ქალსა თუ ბავშვს, ერთიმეორეზე ჯაჭვით გადაბამდნენ, წინ მათრახის ცემით გაიგდებდნენ და ვიდრე ყირიმის ტყვეთა ბაზრებზე გასაყიდად განწირულთა გულშემზარავი წივილ-კივილი, არიქა, ვინა ხართ ქრისტიანი, გეიშველეთ, ლეკებიო, ვინმე ღვთისნიერის ყურს მისწვდებოდა, სანამ მდევარი შეიყრებოდა და გამოუდგებოდა, ძარცვა-ტყვევნაში გაწაფული ავაზაკები უკვე სამშვიდობოს იყვნენ გასული, ფოთლოვანი ტყით დაფარული მთის საცალფეხო ბილიკებს აღმა მიჰყვებოდნენ და სამშვიდობოს გასვლასაც ასწრებდნენ.

ყველა სხვა გაჭირვებას, რომელშიაც ოდესღაც დიდი და ძლიერი საქართველოს სამეფოს ერთი პატარა შემადგენელი კუთხე, სპარსეთ-თურქეთის 1555 წლის ამასიის საზავო ხელშეკრულების თანახმად სპარსეთის ყმადნაფიცად გამოცხადებული კახეთი ბოლოხანს ჩავარდა, ისიც ზედ დაერთო, რომ 1603 წლის ზაფხულზე სპარსეთის მეფე შაჰ-აბასმა ომი გამოუცხადა ოსმალეთს, რისთვისაც ის ჯერ კიდევ 1590 წლიდან ემზადებოდა, როცა დამამცირებელ ზავზე ხელისმოწერა მოუხდა. ოსმალებს, ზავის პირობების მიხედვით, ყიზილბაშების კუთვნილი კასპიისპირა მიწები და თითქმის მთელი ჩრდილოეთ ირანი ეკავათ. წარმოშობით სწორედ ჩრდილოეთ ირანის, კერძოდ, აზერბაიჯანის დიდ ქალაქ თავრიზის მკვიდრ შაჰ-აბასს, სპარსეთის სეფიან მპყრობელთა თვალსაჩინო წარმომადგენელს, განზრახული ჰქონდა, ცრუპენტელა ომარის მიმდევარი ურჯულო ოსმალები კინწისკვრით გაედევნა აქედან და აღმოსავლეთ ამიერკავკასიას ერთხელ და სამუდამოდ

დაუფლებოდა, რისთვისაც დიდძალი ჯარით ჯერ არაქსი გადმოლახა, ყარაბახში მოვიდა, გზად ჯულფა და ნახჭევანი დაიკავა, მერე პირი იბრუნა, არარატის ველზე, შუაგულ სომხეთში გაჩნდა და ოსმალების მთავარ ციტადელ ერევნის ციხეს ალყა შემოარტყა.

გვირგვინოსან შვილზე მგლოვიარე კახბატონ ალექსანდრეს სწორედ აქედან მოუვიდა ყაენის ფიცხელი განკარგულება, სასწრაფოდ ჯარი შეყარე, შეაიარაღე, ნუზლი მოიმარაგე, ჯარს წინ გამოუძეხი და წამოსული რომ არ მეგონო, ერევნის ციხის კედლებთან გაჩნდი, ღვთის მგმობელ სულთან მურადთან ომში შენი თანადგომა მჭირდებაო.

შაჰის ზუსტად ამავე შინაარსის ბრძანება ქართლის მეფე გიორგისაც მოუვიდა და ქართლშიაც გამალებით მოუყარეს თავი ჯარებს, რათა მძეინვარე შაჰ-აბასს დანიშნულ დროს, დანიშნულ ადგილას ხლებოდნენ და მისთვის ქვეყნის აკლების საბაბი არ მიეცათ, რაც წლების განმაელობაში არა ერთჯერ და ორჯერ მომხდარიყო.

მოხუცებულობისა და ჯანმრთელობის არასახარბიელო მდგომარეობის მიუხედავად, მრავალ ჭირგადანახად ალექსანდრეს სხვა გზა აღარ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ საომარი აბჯარი ჩაეცვა და ხელში შუბი აეღო, ხოლო სამეფოს შინაური საქმეების მართვა, ვიდრე ის იძულებითი ლაშქრობიდან არ დაბრუნდებოდა, თორღას ციხიდან გამოშვებული უმცროსი ძის, ბატონიშვილ გიორგისათვის მიენდო.

სწორედ ამ უკანასკნელმა გარემოებამ, ტახტის გამგედ ბატონიშვილ გიორგის დატოვებამ დასცა თავზარი დავით მეფის ქვრივს, ქართლის დიდებული თავადის, აშოთან მუხრან-ბატონის ასულს, დედოფალ ქეთევანს. მას შემდეგ, რაც ქვეშევრდომთაგან მოძულებული და თითქოსდა ღვთის განგებით დასჯილი გვირგვინოსანი თანამეცხედრე მიწას მიაბარა, თავის ჯავრთან და ვაებასთან მარტოდმარტო შთენილ დედოფალს ამქვეყნად ერთადერთი საზრუნავი — დაობლებული შვილები და მათი მომავალი დარჩენოდა. ვიდრე შვილიშვილების უსაზღვროდ მოყვარული და მათთვის გადაგებული ბატონი მამა, მეფე ალექსანდრე, შინ ბრძანდებოდა, ქალს გული საგულეს ჰქონდა. იცოდა, არც მას, უმწეო ქვრივ დედაკაცს, და არც მის მცირეწლოვან შვილებს მამამთილი არავის დაუჩაგვრინებდა, მაგრამ როგორც კი ოსმალებზე იოლი გამარჯვებებით გალაღებული შაჰ-აბასისაგან მალემსრბოლი

მოუვიდა, ჯარით ერეენის ციხესთან მეახელიო და მოხუცებულმა მეფემაც გუდა-ნაბადი აიკრა, ქეთევანს გულში დაუოკებელი შიში შეუჯდა: ვაითუ ძმის წინააღმდეგ შურისძიებით აღვსილმა გიორგიმ მამის შინ არყოფნით ისარგებლოს, ტახტის კანონიერი მემკვიდრე შვილი თეიმურაზი წარმტაცოს, მომიკლას და მამისეული გვირგვინი, როგორც ამ ცოტა ხნის წინათ მისმა უფროსმა ძმამ, ჩემმა უბედურმა თანამეცხედრემ დავითმა ჰქნა, თვით დაიდგასო?

დავითი, როგორც კი ამის საშუალება მიეცა, სასტიკად გაუსწორდა შეთქმულთ და შეთქმულებაში ეპვმიტანილთ. ყური არ ათხოვა დაჩოქილი დედოფლის თვალცრემლიან ხვეწნა-მუდარას, დაიცხრე რისხვა, შეხედე შენს ღმერთს, უცოდველი კრავების, შვილების პატრონი ვართ, ზენაარი ამ სისასტიკეს არ შეგვინდობს, არ გვაპატიებსო. სნეულებით გაწამებულ მოხუც მამას შეთქმულების მონაწილეთა თანაგრძნობა შესწამა, დაქირავებულ მთიელებისაგან შემდგარი რაზმით საძინებელ ოთახში შეუვარდა, საცვლებისამარა ზეზე წამოაგდო, ყელზე მახვილი მიაბჯინა, ტახტიდან გადადგომა, გვირგვინის მისთვის გადაცემა და ბერად აღკვეცა მოსთხოვა. ძმა, ბატონიშვილი გიორგი, და ღალატში ეპვმიტანილი დიდგვაროვანნი თორღას ციხეში გამოკეტეს. ხუთ ეპვმიტანილ წვრილ აზნაურსა და სამ გლეხს, ჯოჯოხეთური წამების შემდეგ შეთქმულებაში მონაწილეობა რომ აღიარეს და თანამონაწილენიც დაასახელეს, ჯალათმა ნაჯახით თავები დააყრევინა, დანარჩენები კი, ვითომდა შეწყალებულნი, ჭოეთის ციხის ქონგურებიდან უფსკრულში გადაჩეხეს.

ღვთისმშობლის ხატის წინაშე დამხობილი ქეთევანი განუწყვეტელ ლოცვა-ვედრებაში-ღა პოულობდა სულიერ შვებას. სხვა ვის, თუ არა სიმწარენახულ ღვთისმშობელ დედას უნდა შეესმინა მისი წილხვედრი ერის ვაება და მოწამებრივად სისხლდათხეულთათვის ცათა სასუფეველი დაემკვიდრებინა. უზენაესთან სულიერი კავშირით შეპყრობილი ქრისტეს მხევალი ლოცვას აღავლენდა თავისი ორი შვილის, ორი ანგელოზის, ორი უცოდველი კრავის — თეიმურაზისა და ელენეს გამო, ყოვლის მიმტევებელ ღმერთს ავედრებდა ჰეშმარიტების გზას აცდენილ, ბოროტი ძალის, სატანის ტყვეობაში ჩავარდნილი თანამეცხედრის, დავითის, სულს და უზენაესს გულამომჯდარი შესთხოვდა, მამის მიერ უბრალოდ დაღვრილი სისხლი შვილებისათვის არ მოეკითხა. სადილ-ვახ-

შამი აღიკვეთა, სამარხვოსაც აღარ ეკარებოდა, მარტოოდენ პურის ნატეხსა და წყალზე გადადიოდა. დღეში ორჯერ, დილას და საღამოს, მეფის მიერ მისხლობით აწონილი მცირე ხნით, მასთან შვილები შემოდიოდნენ, დედის კალთაში მწარედ ტიროდნენ და როდესაც გამდელები კვლავ მოაკითხავდნენ და საცოდაობით გულდათუთქულნი, მეფის რისხვით დაშინებულნი გაახსენებდნენ, წასვლის დროაო, დედის ალერსს მონატრებულ ბალღებს თვალები უკან რჩებოდათ.

იმ წუთიდან, რაც კახბატონის წინამებრძოლი სამი ჯვარი ქალაქის დასავლეთის კარში გაასვენეს და ერევანს მიმავალი მეფის ლაშქარი მტკვერში გაეხვია, ქეთევანს თვალზე რული აღარ მიჰკარებია, ტანთ აღარ გაუხდია და აღარ მოუსვენია.

მოსალოდნელი უბედურებით შეძრწუნებული დედა, რომელიც თავისი მცირეწლოვანი შვილებით კვლავ საბატონიშვილო სასახლეში ცხოვრობდა და მიუხედავად გვირგვინოსანი თანამეცხედრის დაჟინებისა, მეფის სასახლეში მაშინაც არ გადავიდა, როდესაც დავითი კახბატონის ტახტს დაეპატრონა, სიფრთხილის ყველა ზომას მიმართავდა, რომ მტერს ალალბედად ხელში არ ჩავარდნოდა და კახეთის ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრის სიცოცხლე დედის წინდაუხედაობას არ შესწირვოდა. ვინ ჰყავდა შემწე და თანამდგომი აქ, კახეთში? მისი შვილებისათვის, იმ კაცის შვილებისათვის, ვინც მშობელი ქვეყანა უბრალო სისხლით მორწყო და ეშმაკის კერძი გახადა, თავს ვინ გამოიდებდა? ვინ გადაეღობებოდა წინ ტახტის მოცილე ბატონიშვილის სურვილს, უკეთუ ის მუხანათობის გზას დაადგებოდა და მცირეწლოვან ობოლ ძმისწულს, პირზე რომ სულ საყვარელი ბიძის სახელი ეკერა, სასიკვდილოდ გაიმეტებდა?

კახბატონ ალექსანდრეს შინ არყოფნისას თეიმურაზს თავი უშიშრად მხოლოდ ქართლში, პაპა აშოთანის ჰერქვეშ შეიძლებოდა ეგრძნო, სადაც მას, მონატრებულ შვილიშვილს, პაპის სიამაყეს, სიხარულით მიიღებდნენ, მშობლიური სითბოთი და ზრუნვით გარემოსავდნენ. თვით ქეთევანი, სამწუხაროდ, კახეთიდან ფეხს ვერ მოიცვლიდა, გვირგვინოსანი მამის მიერ ტახტის გამგედ დატოვებულ მაზლს აშკარა უნდობლობას ვერ გამოუცხადებდა და, როგორც ერთი ვინმე უთვისტომო ქვრივი, მშობლიურ ჰერს ვერ შეეკედლებოდა. ის, კახეთის დედოფალი, კახეთის ტახტის მემკვიდრის მშობელი დედა იყო, სუსტ მხრებზე საქორწინო გვირგვინით დაკისრე-

ბული წმიდათა-წმიდა მოვალეობა აწვა და ვიდრე პირში სული ედგა, ამ მოვალეობას ვერ უღალატებდა!

რაც უფრო მეტს ფიქრობდა, უნდობლობის ცეცხლი და სახმილი გულს მით უფრო ეკიდებოდა და საბოლოოდ სწორედ ამ ფიქრმა და ეჭვმა აიძულა, თავისთვისაც და თეიმურაზისთვისაც საბედისწერო გადაწყვეტილება მიეღო, ყველაზე მიუდგომელ ადგილად, სადაც თეიმურაზს მკვლელის მახვილი ან საწამლავი ვერ მისწვდებოდა, ისპაჰანი, სპარსეთის შაჰის, აბასის კარი მიეჩნია.

მთელ კვირას და კიდევ მეტს ებრძოდა თავს, მე უბედური ხომ არა ვცდებიო, უშიშარ ალაგას გაგზავნის მაგიერ საფიცარ შვილს საკუთარი ხელით ხომ არა ვღუპავო, მაგრამ თავადპირველმა გადაწყვეტილებამ, ზენა ძალამ რომ ჩააგონა, ბოლოს მაინც სძლია სულის მღრღნელ ეჭვს და თავისი ეს ფიქრები დედოფალმა ერთ-ერთ ყველაზე უფრო სანდო კაცს, დავით მეფის ძუძუს მოზიარე და ბატონიშვილ თეიმურაზის აღმზრდელ თავად შერმაზან ჩოლოყაშვილს გაუმხილა. თავადი შერმაზანი სხვა შეთქმულ თავადებთან ერთად იჯდა თორღას ციხეში და იქიდან მხოლოდ დავით მეფის არდაცვალების შემდეგ, კახბატონ ალექსანდრეს განკარგულებით გამოვიდა, მაგრამ ქეთევანს ღრმად სწამდა, რომ ის დავითის ახირებული ეჭვის მსხვერპლი იყო და შეთქმულებაში, თუ ის მართლა არსებობდა, მისი ხელი არ ერია.

დარბაისელი თავადი, რომელსაც დედოფლის ბრძანებით საბატონიშვილო სასახლეში უხმეს, ქეთევანის გულწრფელი აღსარება რომ მოისმინა, სანამ პასუხს გასცემდა, შეყოყმანდა, შემდეგ კი, რადგანაც გადაჭრილი პასუხის მიუცემლობა არ ეგებოდა, ჰკადრა:

— ცოტაც მოგვეთმინა, დედოფალო. ყველა ვიმედოვნებთ, რომ თქვენი უდიდებულესობის კურთხეული მამამთილი, კახბატონი ალექსანდრე, დაზამთრებამდე აუცილებლად უნდა გამოჩნდეს. აკი ქართლის მეფე გიორგი უკვე დაბრუნდა თავისი ჯარით. არა მგონია, ის დიდხანს გააჩერონ და შინ არ გამოუშვან. მე თუ მკითხავთ, ბატონიშვილ გიორგისაგან თეიმურაზს საფრთხე არ ემუქრება, მაგრამ, ვერ დაგიმალავთ, თქვენმა ეჭვმა მეც ორპოფულ ფიქრში ჩამაგდო და ვაითუ ჩემის მხრივ ზედმეტი დაიმედება გამომივიდეს. გადაჭრით და სარწმუნოდ ღვთისა და სინდისის წინაშე მხოლოდ ერთ რამეს აღგითქვამთ: მზად გახლავარ, ყველა თქვენი ბრძანება და

სურვილი უყოყმანოდ შეესრულო, თუნდაც ეს სიცოცხლედ და სულის წარწყმედად დამიჯდეს!

ქეთევანს თვალები მოენისლა და ცრემლით აევსო. მორჩილად თავდახრილ თავადს მადლიერი მზერა შეავლო და ხმა ისე აუთრთოლდა, ძლივს-ღა მოახერხა თქმა:

— გმადლობ, შერმაზან. მაღალ ღმერთს სასოებით შევთხოვ, სამაგიერო სიკეთე მოგაგოს! აქამდეც შენ იყავი თეიმურაზის გზის გამკვლევი, ახლაც შენ უნდა წაიყვანო და უწინამძღვრო სისხლისმსმელი შაჰის კარზე, შენ უნდა დაარწმუნო ბატონიშვილი გიორგი, რომ ყაენის ნების მიხედვით მოქმედებ!

ტახტის გამგე ბატონიშვილმა გიორგიმ დედოფალ ქეთევანის ნდობით აღჭურვილ მოციქულს ყურადღებით მოუსმინა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოუტყდა, რომ ფირმანი ბატონიშვილების ელენესა და თეიმურაზის თაობაზე, რომელთაგან, თანახმად ადრევე დადებული პირობისა, პირველი სპარსეთის დედოფალი, შაჰის თანამეცხედრე, ანუ ირანის უზენაესი განმგებლის ჰარამხანის ბინადარი უნდა გამხდარიყო, ხოლო მეორეს, შაჰის ცოლისძმას, კახეთის ტახტის მემკვიდრე თეიმურაზს, ყაენის კარზე მეფის შესაფერი აღზრდა-განათლება უნდა მიეღო, კარგა ხნის მიღებული ჰქონდა, მაგრამ მგლოვიარე რძალს ვერ უმხელდა, ლაშქრად მყოფი მამის შინ დაბრუნებას ელოდებოდა, რათა ამ საჩოთირო მოვალეობის აღსრულება როგორმე თავიდან აეცდინა.

სასახლიდან ბატონიშვილების გასტუმრება საიდუმლოდ მოხდა. თავის მწარე ხვედრს შერიგებული დედის, დედოფალ ქეთევანის, სურვილისამებრ, დიდებულთაგან მათ მხოლოდ თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი გააყოლეს. ქეთევანმა ბალღების წინასწარი შემზადება და დარიგებაც ვერ მოასწრო, მაგრამ ის ისე სასოწარკვეთილი იყო, ხან ერთ, ხან მეორე შვილს, ხანაც ორივეს ერთად გულში ისე გამწარებული იკრავდა, რითაც, თავადაც მკაცრად აღზრდილი, შვილებს არასდროს არ ანებივრებდა, და-ძმა მიხვდა, რომ მათ თავს რაღაც დიდი უბედურება ტრიალებდა.

თავიანთი ბედის ულმობელი განაჩენი ბატონიშვილებმა თავად შერმაზანისაგან შეიტყეს. შეიტყეს მაშინ, როდესაც მშობლიურ ადგილებს უკვე საკმაო მანძილით გაცილებული იყვნენ. თეიმურაზმა გამზრდელის სიტყვები საკვირველი სიმტკიცით მოისმინა, მხოლოდ ერთი საყვედური დასცდა,

რატომ აქვე არ გაგვიმხილეთ, რასაც გვიპირებდით, რისთვის დამიმალეთ, ჩემს საბრალო დედას ხეირიანად მაინც გამოვემშვიდობებოდიო.

თავადაც გულშეძრულმა შერმაზანმა ყმაწვილს ამაზე ვერაფერი უთხრა. დამნაშავესავით თავჩაქინდრული მიწას ჩასცქეროდა.

ძმისაგან განსხვავებით, ელენეს არ ეყო ლონე, თავი შეეკავებინა და გულამოსკვნილი ატირდა. ნუთუ უკანასკნელად ხედავდა მშობლიურ მთა-გორებს, კახეთს, ალაზანს, ნუთუ უკანასკნელად ჩაეკრა გულში დედას, რომელიც შვილებთან განშორებისას ისე გაკერპდა, არც თვით შვილებსა და არც სახლეულს წვეთი ცრემლი არ აჩვენა. კარის ეკლესიაში დალოცა ორივე, ყელზე ორივეს ავგაროზები შეაბა, გულში კიდევ ერთხელ ჩაიკრა და ფერმიხდილი იქვე დარჩა, რათა არ დაენახა, როგორ დასტოვებდნენ ისინი აქაურობას, როგორ მიწყდებოდა მათი გულისამაჩქროლებელი ფეხისხმა ტალანში.

ყველა იქ მყოფს, ქალსა თუ კაცს, გოგონას უმწეო სლუკუნმა ცრემლი მოჰგვარა და აატირა. ელენე სამუდამოდ ეთხოვებოდა სამშობლოს, რომელსაც ამიერიდან სიზმარში-ღა თუ იხილავდა, ეთხოვებოდა უზრუნველად გატარებულ ბალღობას და თავისი ფეხით მიდიოდა იქ, სადაც შეუბრალებლად გასთელავდნენ მის უმანკოებას და მერე, როგორც რაიმე მოძულებულ ნივთს, გვერდზე მოისვრიდნენ და სამუდამოდ მიივიწყებდნენ.

თავი II

ასტრახანიდან ჩამოყოლილი მეაფთიაქის, აღმოსავლური ენების მცოდნე ლეონ კამენევის პირით, თარჯიმნის მოვალეობას რომ ასრულებდა, მათთვის მომზადებულ აპარტამენტებში დაბინავებაზე რუსხელმწიფის ელჩებმა უარი განაცხადეს, რადგანაც მთიელი მარბიელების გამუდმებული თავდასხმებით შეწუხებულ კახეთში იგი ნაკლებ უსაფრთხოდ მიიჩნიეს, თავიანთ რეზიდენციად საიმედოდ გამაგრებული თორლას ციხე არჩიეს და შუამთის მონასტერში პარაკლისის გადახდისა და მონასტრის გალავანშივე მცირედ დანაყრების შემდეგ მცველი რაზმითურთ იქით გაემართნენ.

რუსხელმწიფის ელჩებს, კუზმა ტატიშჩევსა და ტერენტი ივანოვს, გვერდიდან არ შორდებოდნენ და ერთი წუთითაც არ სტოვებდნენ კახბატონ ალექსანდრეს ელჩები — ბერძნის მიტროპოლიტი კირილე ქსანტოპულო და მდივანი საბა, რომლებიც შორეული მოსკოვ-ქალაქიდან მათთან ერთად ჩამოვიდნენ.

კირილე ქსანტოპულო და მდივანი საბა მეფე ალექსანდრემ 1602 წელს გაგზავნა ხელმწიფე თეოდორე იოანეს ძის კარზე და მათ დაბრუნებას მთელ ორ წელიწადს, თვით ერევნის ლაშქრობაში წასვლამდე ელოდა. მოთმინებით აღჰურვილი ელჩები, ან დღეს მოიცლიან ჩვენთვის ან ხვალ და სამშობლოში დამაიმედებელ პასუხს გაგვატანენო, პირადად შეესწრნენ უბედურებასა და ცოდვისკითხვას, რუსეთის სამეფო კარს თავზე რომ დაატყდა. ჯერ იყო და, ლოგინად ჩავარდნილმა ხელმწიფე თეოდორე იოანეს ძემ, ვისთანაც შეხვედრასაც მათ ჰპირდებოდნენ, სული ღმერთს მიაბარა. მერე ის საშინელი მკვლელობა მოხდა უგლიჩში. მცირეწლოვანი ტახტის მემკვიდრე დიმიტრი თეოდორეს ძე ვიღაც ბოროტმოქმედებმა სიცოცხლეს გამოასალმეს. დაბოლოს, უეცრად გაჩენილმა ხანძარმა ნახევარი მოსკოვი გადაბუგა და ახალ ხელმწიფედ ბორის გოდუნოვი რომ აირჩიეს, ერი ჯერ კიდევ არ იყო გონზე მოსული.

ქართველი ელჩების მდგომარეობა ასე თუ ისე იმან შეამსუბუქა, რომ გოდუნოვი მათ ადრევე იცნობდა. მეფედ არჩევამდე ბორისი რუსეთის ტახტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი მოხელე და ამავე დროს, ხელმწიფე თეოდორე იოანეს ძის ცოლისძმა იყო. გოდუნოვმა დაწვრილებით იცოდა კახბატონის ელჩების სათხოვარიც და როდესაც ერმა ტახტზე აიყვანა, არც თავისი ძველი ნაცნობები დავიწყებია.

ალექსანდრეს უპირველესი და ერთადერთი სათხოვარი რუსეთის დიდ ხელმწიფისადმი წინათაც და ახლაც შამხლის წინააღმდეგ ჯარის მოშველება და ზარბაზნების ჩამომსხმელი ოსტატების გამოგზავნა იყო, რომლებიც ამ მრისხანე იარაღის დამზადებას ერთმორწმუნე კახთაც ასწავლიდნენ და ხელს შეუწყობდნენ ალექსანდრეს მიერ თავდამსხმელი ურდოების საკუთარი ძალებით მოგერიებას. ხელმწიფე ბორის გოდუნოვმა სიამოვნებით აღუთქვა დახმარება თავის შორეულ მეზობელს, სადღაც კავკასიის თვალშეუდგამი მთების გადაღმა რომ

განაგებდა ყველასათვის უცნობ პატარა ქვეყანას და ხელმწიფური სიტყვის დასტურად კახბატონის კარზე სრული უფლებამოსილებით აღჭურვილი ელჩობაც გამოგზავნა. ხელი მას მხოლოდ იმაში შეეშალა, რომ ამჯერად ზარბაზნის ჩამომსხმელ ოსტატებს ვერ უგზავნიდა. ოსტატები ფსკოვში მყვანან და იქიდან აქ მათ ჩამოსვლას, აქედან კი შენთან გამომგზავრებას დრო უნდაო.

გარდა იმისა, რომ ელჩებს აქაურობა უნდა დაეზვერათ, აღეწერათ და აღენუსხათ ქვეყნის ადგილმდებარეობა, სარწმუნოდ შეეტყოთ, სინამდვილეში რის შემძლებელი იყო კახბატონი ალექსანდრე, რა რაოდენობის ჯარის გამოყვანა ძალუძდა და, საერთოდ სასარგებლო იქნებოდა თუ არა რუსეთისათვის მასთან კავშირ-ურთიერთობის დამყარება, ხელმწიფისაგან კიდევ ერთი, უაღრესად საპასუხისმგებლო დავალება ჰქონდათ: ცარევნა ქსენიასათვის საქმრო და ტახტის მემკვიდრე თეოდორესათვის საცოლე უნდა შეერჩიათ.

ბორისი, მიუხედავად იმისა, რომ თავზე მონომახის ქუდი ეხურა, უგვარო კაცი გახლდათ. ამბობდნენ, მამამისი, ოქროსურდოელი თათარი, მეფე იოანე მესამის დროს მოსკოვს ჩამოვიდა და პირადი სიმამაცისა და მოხერხების წყალობით სამეფო კართან მიახლოება შესძლოო. შვილმა, ბორისმა, კიდევ მეტი უნარი გამოამჟღავნა. იოანე მეოთხის, იგივე ივანე მრისხანეს მეფობაში მთელი რუსეთის საძულველ ურჩხულს, ოპრიჩნი დვორის მესვეურს, მალიუტა სკურატოვს დაუკავშირდა, მისი ასული ცოლად შეირთო, ყოველისშემძლე სიმამრის შუამდგომლობით ხელი ბოიარის ტიტულსაც გამოჰკრა და რუსეთის უზენაეს ხელისუფლებისაკენ გზა გაიკაფა.

მოხერხებული კარისკაცი ამასაც არ დასჯერდა. თავისი და, მარია, ტახტის მემკვიდრე თეოდორე იოანეს ძეს მიათხოვა და იოანეს სიკვდილის შემდეგ, სუსტი და უნებისყოფო თეოდორე მეფის პირველი მრჩეველი, არსებითად რუსეთის სრულუფლებიანი გამგებელი გახდა.

დღეს ბორის გოდუნოვი უკვე რუსეთის კანონიერი ხელმწიფე იყო და საზრუნავი ის-ღა დარჩენოდა, თავისი შთამომაელობის მდაბიური სისხლი რომელიმე სამეფო საგვარეულოს სისხლთან შერევით გაეკეთილშობილებინა.

მას შემდეგ, რაც ცარევნა ქსენიას საქმროდ მოწვეული დანიის პრინცი კრემლში, საცოლესთან წარდგენამდე გარდაიცვალა და ცარევნა ქსენია, მთელ სამეფო კართან ერთად

მოუქარვებელ გლოვასა და მწუხარებაში ჩააგდო, გოდუნოვის არჩევანი საქართველოს სამეფო საგვარეულოზე შეჩერდა.

მოსკოვში აქაურ ელჩებსაგან იცოდნენ, რომ კახბატონ ალექსანდრეს, ბიბლიური დავით მეფიდან მომდინარე ბაგრატიონების კახეთის შტოს ჩამომავალს, ორი შვილიშვილი ჰყავდა: თეიმურაზი და ელენე. კრემლში არც მათი ასაკი გამოჰპარვიათ. ცარევნა ქსენია შვიდი-რვა წლით უფროსი იყო თეიმურაზზე, ვისთვისაც რუსეთის ხელმწიფის ასულის ქმრობა უნდა შეეთავაზებინათ. კიდევ უფრო დიდი ჩანდა ასაკობრივი განსხვავება ბორისის უკვე მოწიფულ ძესა, ტახტის მემკვიდრე თეოდორესა და ბატონიშვილ ელენეს შორის, მაგრამ მეფე ბორის გოდუნოვს ამ საქმის მოხდენა ისე გულით უნდოდა, ასაკობრივ სხვაობას აინუნშიც არავინ ჩააგდებდა, უკეთუ კახეთის გამგებელნი დაყაბულდებოდნენ და ორივე ბატონიშვილს, დავით მეფის ძესა და ასულს ელჩებს მოსკოვში, სამეფო კარისათვის წარსადგენად გაატანდნენ.

ცოდვა გატეხილი ჯობს: ამავე მიზნით რუსეთის ელჩებმა ჯერ ერევნის ლაშქრობიდან ახალდაბრუნებული გიორგი ქართლის მეფე მოინახულეს მეჯვრისხევში, სადაც გიორგის სარწყავი არხი გაჰყავდა და მუშახელს თავზე ადგა, მოინახულეს, რადგანაც კახეთისაკენ მიმავალთ გზაც აქეთ ედოთ, თუმცა თავიანთი ხელმწიფისაგან ამის რწმუნება არ ჰქონდათ, ქართლელთა სტუმართმოყვარეობით ისარგებლეს და იქაურობაც საგულდაგულოდ დაზვერეს.

ადრე დაქერილებულ გიორგი ქართლის მეფეს მეორედ ექორწინა და მეორე სჯულიერი ცოლისაგან, ქართლის დედოფლისაგან სამი შვილი ჰყავდა: ლუარსაბი, თინათინი და ხორეშანი.

ტახტის მემკვიდრე ლუარსაბი თოთხმეტი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ თავის წლოვანებასთან შეფარდებით სიდარბაისლით, თავდაჭერილობით და გონებრივი მომწიფებით გამოირჩეოდა. გარდა მშობლიური ქართული ენისა, თავისუფლად ფლობდა სპარსულსა და თურქულ ენებსაც, რომელთაც ქართველ ბატონიშვილებს ადრეულ ბალღობიდანვე ასწავლიდნენ, ფლობდა ცოტაოდენ იტალიურსაც, ქართლში, კერძოდ, გორში ცოტა ხნის წინათ დამკვიდრებულ კათოლიკე მისიონერებისაგან რომ ესწავლა.

ახალგაზრდა ბატონიშვილი, ამას გარდა, ჩინებული მოჯირითე, მოფარიკავე, ისრისა და შუბის მტყორცნელი გამოდ-

გა, რაშიაც ელჩები მაშინ დარწმუნდნენ, როდესაც მეფე გიორგიმ ისინი ყარაიაზის ველზე წაიყვანა და ნიამორსა და გარეულ ტახზე ანადირა.

და-ძმებს შორის შუათანა, მოხდენილი თვალტანადობის, შავთვალწარბა, ათი-თორმეტი წლის ახტაჯანა გოგონა თინათინი, შინაურობაში ლელას რომ ეძახდნენ, შაჰ-აბასს აკვანშივე საცოლედ დაეწინდა და ქართლში უკვე ელოდნენ აბასის კაცებს, რომელთაც ყაენის სასძლო ისპაჰანში უნდა წაეყვანათ. ამ ამბის მომლოდინე მთელი ოჯახი დამწუხრებული იყო. თვით მეფე გიორგის, თუმცა იხტიბარს არ იტეხდა და ცდილობდა, უცხო სტუმრებს მხიარული და კმაყოფილი სჩვენებოდა, დანა პირს არ უხსნიდა. მშობლებისა და და-ძმის მწუხარებას არ იზიარებდა მხოლოდ თვით ლელა, ქაჯობდა, უბელო ცხენების ჭენებას არ იშლიდა და მთელ სახლს, აქ რატომღაც სასახლეს რომ ეძახდნენ, სიცოცხლითა და სიხარულით ავსებდა.

სულ სხვა იყო გიორგი მეფის მეორე ასული, რვა-ცხრა წლის ხორეშანი, უფროს დისებრ ლაღად ტანაყრილი, მორცხვი, უკვე ქალური კდემამოსილებით შემკული ბავშვი, რომლის დიდრონ ცისფერ თვალებში, უძირო ტბასავით რომ უკამკამებდა, რაღაც აუხსნელ სევდას ჩაებუდებინა და ეს არაბავშვური სევდა მაშინაც კი არა სტოვებდა, როდესაც ტოლებთან თამაშში გართული ბალღურ თავდავიწყებას ეძლეოდა.ელჩებს თვალი დარჩათ გიორგი ქართლის მეფის შვილებზე. ღირდა კი აქედან ფეხის მოცვლა? ესენიც ხომ ბაგრატიონები იყვნენ, რომლებთანაც ნათესაური კავშირის გაბმა ხელმწიფე ბორისს ასე გულით ეწადა! თვითნებური გადაწყვეტილების მიღება მათ მაინც ვერ გაბედეს. ხელმწიფეს, უპირველეს ყოვლისა, კახბატონ ალექსანდრესთან სურდა დამოყვრება და ამას წინასწარ შეგუებული იყო. მეორეც ისა, რომ კნიაზი გიორგი სემიონოვიჩი, აქ მეფედ რომ იხსენიებოდა და ყველა ისე ეკცეოდა, როგორც ნამდვილ მეფეს, აქეთობასაც აქ დაუხვდებოდათ და მასთან მოლაპარაკება არასოდეს არ იქნებოდა გვიან.რუსხელმწიფის ელჩების მოსვლამ და დაბინავებამ კახეთის მესვეურთ ახალი საფიქრალი და თავსატეხი გაუჩინა. კახბატონი ალექსანდრე და მისი ლაშქარი, ერევნის ციხის აღებისას ფიცხელი ომი რომ გადაიხადა და ზარალიც დიდი ნახა, კვლავაც არ ჩანდა. მოლაშქრეთა ოჯახებში, ვინც შაჰის შესაწევნად წასულ ალექსანდრეს ომში ახლდა, გლოვამ და ვაი-ვაშმა დაისადგურა. პირი საითაც უნდა გეჭნა, ყველგან

ტირილსა და მოთქმა-გოდებას გაიგონებდი. თალხებში გახვეული სახედამჭკნარი დედაბრები წყევლიდნენ და აქვავებდნენ სპარსეთის სისხლისმსმელ შაჰ-აბასს, წყევლიდნენ შიგადაშიგ თვით კახბატონ ალექსანდრესაც, ქვეყანას რომ ისე ვერ მოუარა, დღე და მოსწრება ურჯულო ყაენის ყურმოჭრილი მონა რომ არ ყოფილიყო!

თორღას ციხეში ჩამომხდარი ელჩების სასახლეში მოწვევა და საქმიანი მოლაპარაკების დაწყება, რისთვისაც მათ ამოდენა გზა გამოელეს, ბრკოლდებოდა და სულ სახვალიოდ და სახვალიოდ იდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო კარი მათდამი საგანგებო ყურადღებას იჩენდა, პურ-ღვინით, საკლავით და ცხენების საკვებით უსასყიდლოდ ამარაგებდა, ელჩებს შეეძლოთ, ერთ მშვენიერ დღეს თავი შეურაცხყოფილად გამოეცხადებინათ, ბარგი შეეკრათ და უკან გაბრუნებულიყვნენ.

ეს აზრი ტახტის გამგე გიორგი ბატონიშვილს დიდებულებმა, უწინარეს ყოვლისა სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ, მესტუმრეთუხუცესმა ლუკა მაყაშვილმა და ბოქაულთუხუცესმა დავით ჯანდიერმა ჩააგონეს. იგივე შემოთვალა თორღას ციხიდან არქიმანდრიტმა კირილე ქსანტოპულომ, რომელიც მდივან საბასთან ერთად რუსხელმწიფის ელჩებს იქაც თან ახლდა და გიორგიც იძულებული შეიქნა, დარბაზობის დღე დაენიშნა. მას უცხოელებთან, მით უფრო რუსებთან მოლაპარაკების არავითარი გამოცდილება არ ჰქონდა, რადგანაც ასეთ მოლაპარაკებებში მონაწილეობას ყოველთვის მისი უფროსი ძმა, ტახტის მემკვიდრე დავითი იღებდა, მაგრამ თუ ერთხელ არ გაბედავდა და ბოლოსდაბოლოს ნავსს არ გატეხდა, საჭირო გამოცდილებას ვერც ვერასოდეს შეიძენდა.

შეხვედრა სატახტო დარბაზში მოეწყო, რისთვისაც ელჩები ორი დღით ადრე გააფრთხილეს და მესტუმრეთუხუცეს თავად ლუკა მაყაშვილის პირით სასახლეში მოიწვიეს. გიორგიმ მცირე საუზმისა და ხილის სუფრა გააშლევინა, რათა საქმიანი შეხვედრების დაწყების წინ საპატიო სტუმრებს პირი გაესველებინათ და უცნაურად აღელვებული, ნუთუ ბატონი მამა დღესაც არ მობრძანდება და სწორედ შუა მოლაპარაკებაში არ მოგვისწრებსო, თავად წინ და უკან დადიოდა, თვალყურს ადევნებდა, ყველაფერს ისე აკეთებდნენ, როგორც საჭირო იყო, თუ არა. შეეძლო, რასაკვირველია, რუსეთის დიდი ხელმწიფის მიერ წარმოგზავნილთ ქალაქის კარიბჭეში

ან შუაქალაქში შეხვედროდა და სასახლისაკენ პირადად გამოსძღოლოდა, მაგრამ ისევ საქმეში ღრმად ჩახედული დიდებულების რჩევით ის მაინც სასახლეში დარჩა და სტუმრების შესახვედრად ნოდარ ჯორჯაძისა და დავით ჯანდიერის გაგზავნით დაკმაყოფილდა.

ხალხმრავლობა იყო ბაზრის მოედანზე, სადაც სასახლისაკენ მომავალ ცხენოსანთა რაზმს უნდა გამოევლო და ასევე ცხენდაცხენ ქალაქის შიდა კედლის კარიბჭეს მისდგომოდა. ქალაქში ყველამ იცოდა, რომ დღეს სამეფო კარი რუსეთის ელჩებს იღებდა, რომლებიც დილაადრიან თორღას ციხიდან უნდა მოსულიყვნენ და დიდი თუ პატარა, ერი თუ ბერი ქუჩებს მოსდებოდა.

ხალხს ეს წუთები საზეიმოდ მიაჩნდა. ერთმორწმუნე ხელმწიფის ელჩებთან ქვეყნის მესვეურთა სამშვიდობო შეხვედრა პირველად როდი ხდებოდა, მაგრამ რამდენჯერაც არ უნდა მომხდარიყო, მას ადრე თუ გვიან მტრისაგან უმოწყალოდ დაწიხლულ ერისათვის ზავი და ბედნიერება უნდა მოეტანა.

თავი III

ელჩები და მათი თანმხლები პირები მღელვარებისაგან სახეალანძულმა ბატონიშვილმა გიორგიმ მოწყალედ მიიღო, ხელი ყველას სათითაოდ ჩამოართვა, რუსული წეს-ჩვეულების თანახმად თავის მიწამდე დახრას მეფური ღირსების შესაფერისი თავის ოდნავი დახრით უპასუხა და მაშინვე ეკა კაცის შიგნეულიდან ამობოყინებული არყის სუნი, ამ დედმამაგანათლებულებს დილაადრიან რომ ასდიოდათ.

საყველპურო ურთიერთმოკითხვისა და სტუმრების მიერ კახეთის სამოთხისებრი ადგილმდებარეობის ზერელე შექების შემდეგ, რაც მასპინძლის გულის მოსაგებად იყო გამიზნული, გიორგის უნდოდა, ყველა სუფრასთან მიეწვია და ძალდაუტანებელი მასლაათი ასე განეგრძოთ, მაგრამ შეატყო, ვერ მოვთავსდებითო, რადგანაც ხალხი გაცილებით მეტი მოსულიყო, ვიდრე ნავარაუდევი ჰქონდათ და შეწუხებულმა დარბაზი მოათვალიერა, თავად ლუკა მაყაშვილს ეძებდა. ატლასის ახალუხსა და ყურთმაჯებიან უზადო თეთრ ჩოხაში გამოწყობილი მაყაშვილი სწორედ ამ დროს შემოვიდა. მას

ქალამნებამოწკეპილი ნაბდისქუდიანი მსახური ბიჭები შემოჰ-
ყვნენ, დარბაზში ორ-ორი, სამ-სამი სკამი შემოიტანეს,
საუბარში გართულ სტუმრებს შორის ფრთხილად, ფეხისწვე-
რებზე გაიარეს და ის სკამები ფარჩაგადაკრული მაღალი
კედლების გასწვრივ ჩაამწკრივეს.

ელჩებს შორის უფროსმა, კუზმა ნაშჩოკინმა, რომელიც
თავის უფროსობას იფერებდა და ზრუნავდა იმისთვისაც, რომ
ეს შეუმჩნეველი არავის დარჩენოდა, პირველივე კითხვით
კახბატონი ალექსანდრ ლეონოვიჩი მოისაკლისა და მწუხარება
გამოთქვა, ნეტავი რას უნდა მივაწეროთ მისი ბრწყინვალების
ესოდენი დაყოვნებაო.

იმაზე მეტი სარწმუნო ცნობები, რაც ელჩებს ქართლში,
ერევნის კომპანიის მონაწილე მეფე გიორგის კარზე მიეღოთ,
კახეთის ტახტის გამგე ბატონიშვილს არ ჰქონდა. შაჰ-აბასის
60 ათასიანი არმია, რომლის შემადგენლობაშიაც კახთაგან
შემდგარი შედარებით მცირე ლაშქარი უნდა ეგულისხმათ,
ჩრდილოეთ ირანში, ურმიის ტბის დასავლეთით იდგა ოსმალთა
ასი ათასიანი არმიის პირისპირ და მასთან შესარკინებლად
მარჯვე წუთს არჩევდა. ეს წუთი, ეტყობოდა, ჯერ არ
დამდგარიყო და არც არავინ უწყოდა, როდის დადგებოდა.

ელჩებმა მადლობა გადაუხადეს მის ბრწყინვალება ტახტის
გამგეს მოწოდებული ძვირფასი ცნობის გამო, თუმცა ის
არავითარ სიახლეს არ შეიცავდა, სუფრას მიუსხდნენ და
მსუნაგად მისწვდნენ ვინ ბროლივით გამჭვირვალე ქარვისფერ
ყურძენს, დიდრონ-დიდრონი ქაშანური ჯამებით ადგილ-ადგილ
რომ იყო ჩადგმული და თვალსა და გულს ახარებდა, ვინ
გახლეჩილ ბროწეულს, ვინ სიმწიფისაგან დამდნარ გულაბ
მსხალს და ვინ ჯერ კიდევ ნედლ ჩურჩხელას, რომლის გემო
უკვე გაეგოთ და ყველა სხვა ხილს ამჯობინებდნენ.

გიორგიმ მასპინძლური ყურადღება გამოიჩინა: თუმცა
ყურძნის ყველა მტევანი ერთნაირი იყო და წუნი არც ერთ
მათგანს არ დაედებოდა, მათ შორის თავისი შეტყობით
უკეთესები ამოარჩია და მარჯვნივ და მარცხნივ მსხდომ
ნაშჩოკინსა და ივანოვს თეფშებზე დაუწყო. შემდეგ ორნახადი
ჭაჭის არყით, რომელსაც ჩრდილოელი სტუმრები, ეტყობოდა,
უკვე დაუძმობილდნენ, მან სირჩები შეავსო და წამოდგომასა
და მცირე მისასალმებელი სიტყვის თქმას აპირებდა, რომ
ურთხელის მძიმე კარი ფართოდ გაიღო და ექვსმა წითელ-
მუნდირიანმა სტრელეცმა, სასახლის მსახური ბიჭების დახ-

მარებით, დარბაზში რკინის სალტეებით საგულდაგულოდ შეკედილი სკივრი შემოიტანეს, შუაგულში, თითქოს მინისაა და ეშინიათ, არ დაამსხვრიონო, მოწიწებით დასვეს, ბრინჯაოს გასაღებით გააღეს, თავი აჰხადეს და უკუდგნენ.

ნაშოკინი ხვნეშით წამოდგა, სკამი უკან გასწია, სველი მსუქანი ტუჩები გახამებული ხელსახოცით შეიმშრალა, ხმა ჩაიწმინდა და თარჯიმან ლეონ კამენევის პირით ბატონიშვილ გეორგი ალექსანდროვიჩს და დარბაზობის დამსწრე ერს აუწყა, რომ ეს მისი უდიდებულესობა ხელმწიფე ბორის გოდუნოვის მცირე რამ მოსაკითხი იყო, რომელიც დიდმა ხელმწიფემ თავის უმცროს ძმას, კნიაზ ალექსანდრ ლეონოვიჩს გამოუგზავნა.

გიორგის მეორედ თუ მესამედ მოხვდა ყურში ეს საკმაოდ გამომწვევად ნათქვამი "კნიაზ", ქართულად "თავადად" რომ ითარგმნებოდა, რითაც ბატონ მამას, მეფე ალექსანდრეს იხსენიებდნენ. იხსენიებდნენ, რასაკვირველია, არა შემთხვევით, უკოდინარობის წყალობით, არამედ წინასწარ განზრახულად, რათა მზარეების არათანაბარი მდგომარეობა მოლაპარაკების დაწყებამდევე ეგრძნობინებინათ. რა უნდა ექნა მას, ბატონიშვილ გიორგის ასეთ შემთხვევაში? თავი ისე დაეჭირა, თითქოს შეცდომას ვერ ამჩნევდა და იგი უპასუხოდ დაეტოვებინა, თუ მეტი სიმტკიცე გამოეჩინა და ელჩებისათვის ეგრძნობინებინა, რომ ისინი, ღვთის წყალობით, კახეთის სამეფოში იმყოფებოდნენ და რომ ამ ქვეყანას, როგორც სახელწოდებაც მიუთითებს, მიუხედავად მისი მიწა-წყლის სიმცირისა, სათავეში ღვთივ მირონცხებული გვირგვინოსანი მეფე ედგა და არა "თავადი", გინდამც "კნიაზი", რაც იმ სათხოვარის წიგნებითაც დასტურდებოდა, კახბატონმა ალექსანდრემ რუსეთის ხელმწიფე თეოდორე იოანეს ძეს, აწ უკვე ნეტარხსენებულს, თავის ელჩების ხელით რომ აახლა!

არა, არ შეიძლებოდა ახლა ენის დასველება. ამას, შესაძლოა, უთანხმოება მოჰყოლოდა, რომლის წამომწყებადაც ჭინჭყულ მასპინძელს ჩათვლიდნენ, ავის მოსურნე სტუმარი კი მას ვინ იცის როგორ გამოიყენებდა და გიორგიმაც ენას კბილი დაადგა, უკმაყოფილების გამოხატვა უფრო მოხერხებული დროისათვის გადასდო.

ამასობაში სათითაოდ ამოალაგეს და თავისუფალ სკამებზე დააწყეს, რაც რკინის სალტეებით შეკედილ მოხარატებულ სკივრში ეწყო. ეს საქმე თვით კუზმა ნაშოკინმა

იკისრა. იგი ნება-ნება, გაბრწყინებული, ნეტარი სახით იღებდა სკივრიდან ძვირფას ნივთებს, ქსოვილს, ბეწვეულს, სამკაულს თუ იარაღს, ოთხივე კუთხივ ყველას აჩვენებდა, თითქოს სავაჭრო დახლის უკანა დგას და ახალგადმოტვირთულ უცხოურ საქონელს მოზღვავებულ მუშტარს ახარებსო, ხოლო შემდეგ, დარწმუნებული, რომ ყველამ დაინახა და გულში კიდევაც შეაფასა, ნივთებს თავად მაყაშვილს აწვდიდა, ის კი სასახლის მსახური ბიჭების დახმარებით თავისუფალ სკამებზე და სკამის ზურგებზე იცლიდა ხელს.

სამღვდელმთავრო პორფირი და ოქროს წყალში გავლებული ჯვრები, მიტრები და გველისთავიანი კვერთხები, მალაქიტის ელვარე ჩარჩოებში ჩასმული ხატები, სხვადასხვა დანიშნულების, ზომისა და ხარისხის საეკლესიო შესამოსელი და მორთულობა, პანაღიები, ენქერები, ოქროსა და ვერცხლის წვრილი და მსხვილი ძეწკვები, ბარძიმ-ფეშხუმები, სლავურ ენაზე სტამბური წესით დაბეჭდილი და ოქროთი მოვარაყებულ ყდებში ჩასმული ძველი აღთქმის წიგნები, ოთხთავები, სამოციქულოები, კონდაკები, ფსალმუნები, მოციქულთა ეპისტოლეები, საეკლესიო კრებათა ოქმები მისი უდიდებულესობის ელჩებს მოსკოვიდან მათთან ერთად ჩამოსული მღვდლებისა და ხატისმწერალ მხატვრების ხელით უკვე მიერთმიათ ალაევერდის საკათედრო ტაძრისათვის, სადაც კახეთის ეკლესიის საპეტმპყრობელი მეუფე სამოელი წირავდა.

ეს ყოველივე ელჩმა კუზმა ნაშჩოკინმა სულგანაბულ დამსწრეთ აუწყა და იქვე განმარტა, რომ ელჩობის შემადგენლობაში რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მსახურ მოღვაწეთა და ხატისმწერალ მხატვართა ყოფნა იმის მომასწავებელი იყო, რომ არა მარტო სამეფო კარი, თვით წმიდა სინოდიც ნამდვილად აპირებდა, ერთმორწმუნე კახეთისათვის მფარველობის კალთა გადაეფარებინა და მის სარწმუნოებრივ ამაღლებისათვის ამთავითვე ზრუნავდა.

წმიდა სინოდის ლოცვა-კურთხევით რუს მოძღვრებს უნდა გაესწორებინათ მღვდელმსახურების სავალდებულო წესების უხეში დარღვევები, ქართველმა მართლმადიდებელმა მოძღვრებმა ბერძენთა წაბაძულობით, საერთო უწიგნურობისა და საღვთო წერილის არასაკმაო ცოდნის წყალობით წლების განმავლობაში რომ დაუშვეს, ხოლო მხატვრებს უნდა სრულეყოთ ეკლესია-მონასტრების კედლის მხატვრობა, იქ დასვენებული ხატები, მაცხოვრისა, მოციქულებისა და წმიდანების

გამოსახულებანი და, ბოლოს, შეემკოთ ეს საყდრები და ეკლესია-მონასტრები თავისი მადლიანი ყალმით შექმნილი ახალი სასწაულმოქმედი ხატებით.

ქართველ სამღვდელო პირთა შორის, დარბაზობას ერისკაცებთან ერთად რომ ესწრებოდნენ, თითქოს ნიავმა მინდორში სილა წამოხვეტაო, ჩურჩული და მითქმა-მოთქმა ატყდა. წმიდა მამები თავიანთ გაკვირვებასა და აღშფოთებას ვეღარ მალავდნენ ყოველივე იმის გამო, რაც ესაა უწმინდურ ბაგეთაგან მოისმინეს.

ქართული მღვდელმსახურების აუგად მოხსენიება, მღვდელმსახურებისა, სათავეს შორეულ მეოთხე-მეხუთე საუკუნეებში რომ იღებდა, სხვა არა იყო რა, თუ არა ქართული სამოციქულო ეკლესიის უდიერი შეურაცხყოფა, რაც არამცთუ ერთმორწმუნე მოყვარეს, ურჯულო მტერსაც არ უნდა ეკადრა. არ შეიძლებოდა, ეს ლაგამაწყვეტილი მკრეხელობა პასუხის გაუცემლად დაეტოვებინათ. თურმე ქართველ მოძღვრებს წირვა-ლოცვა გაუმრუდებიათ, რადგანაც სხვათა წამბაძველნი, უწიგნურნი და უმეცარნი ყოფილან!

რუსთველი ეპისკოპოსი იოანე ანდრონიკაშვილი, ნეკრესელი ნაომი და ბოდბელი აბიბო, რომლებმაც მეუფე სამოელის აქ არყოფნის გამო თავი ვალდებულად მიიჩნიეს, გადამთიელი ელჩის საპასუხოდ ქართული სამღვდელოების ღირსება დაეცვათ, ორცეცხლშუა ჩავარდნილი გიორგი ბატონიშვილის მუდარით აღვსილმა თვალებმა შეაჩერა. მღვდელმთავრებმა გულხელი დაიკრიფეს და პირგამეხებული დადუმდნენ. დადუმდნენ იმ იმედით, რომ მკაცრი და მოურიდებელი, დღე და მოსწრება სიმართლის მადევარი მეუფე სამოელი ამ საქმეს ასე არ დასტოვებდა და შინაურსაც და გარეულსაც თავის კუთვნილს მიუზღავდა!

თუმცა ხმამაღლა არც ერთი სიტყვა არ თქმულა, კუზმა ნაშჩოკინი თარჯიმნის დაუხმარებლადაც ყველაფერს მიხვდა. მიხვდა, რომ მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა, წმიდა სინოდის მიერ მოელინებულ საეკლესიო პირთ და ხატისმწერალ მხატვრებს რომ შეეხებოდა, ქართველი დიდებულები და სამღვდელოება რატომღაც გაანაწყენა, მაგრამ მათი იძულებითი დუმილით ისარგებლა და ვიდრე სკივრიდან დავით მეფის ქალ-ვაჟის სახელზე გამოგზავნილ ძვირფას საჩუქრებს ამოალაგებდა, დამსწრეთ ოთხივე კუთხივ აჩვენებდა და თავად ლუკა მაყაშვილს მიაწვდიდა, ბატონიშვილ გიორგის მიუბ-

რუნდა და რუსეთის სამეფო კართან კახელ ბაგრატიონთა დამოყვრების თაობაზე ხელმწიფე ბორისისა და რუსი ბოიარების შემონათვალი გადასცა.

ვისთვის, ვისთვის და, ნაშჩოკინის განცხადება გიორგისათვის, ისევე როგორც დიდებულთა უმრავლესობისთვის, მოულოდნელი არ ყოფილა. კირილე ქსანტოპულოსაგან და მდივან საბასაგან მან დანამდვილებით იცოდა, იცოდნენ სხვებმაც, რომ მათი აღმატებულება რუსხელმწიფის ელჩები კახბატონის წინაშე ამ ფრიად საყურადღებო საკითხს წამოჭრიდნენ. მაგრამ ვაი, რომ მისი წამოჭრა უკვე დაგვიანებული იყო. შაჰის კარზე შაჰისავე ბრძანებით გაგზავნილ და-ძმას უკან ვეღარავინ დააბრუნებდა და მათ სვე-ბედს, მიუხედავად მოსკოვის სახარბიელო წინადადებისა, ახალ სადინარში ვეღარ ჩააგდებდა!

ნაშჩოკინმა არ დაიჯერა, როცა ტახტის გამგე ბატონიშვილისაგან საქმის არსი მოისმინა. საკუთარ ყურებს ვერ დაუჯერეს ვერც მისმა ამხანაგმა ივანოვმა და სხვა მხლებლებმა. ყველას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ გიორგი ქართლის მეფის კარზე ყოფნის დღეებში თეიმურაზიც და ელენეც შინ, გრემის სასახლეში იყვნენ თავის დედასთან, დედოფალ ქეთევანთან ერთად. მას შემდეგ არცთუ ისე დიდი დრო იყო გასული. ამ მცირე დროის მანძილზე, ისიც ასე გაუხმაურებლად და საიდუმლოდ, ბატონიშვილები სად უნდა გაექროთ, სად უნდა წაეყვანათ?! რად არ ჩანდა თვით ქვრივი დედოფალი, თეიმურაზისა და ელენეს დედა? აქ უეჭველად რაღაც მზაკვრობა იმალებოდა და ნაშჩოკინი თავს მოვალედ თვლიდა, იგი ამოეცნო, ეს ცბიერი ბატონიშვილი, პირზე ცივი ღიმილი რომ არ შორდებოდა და დროდადრო შუბლიდან ოფლის ხვითქს იწმენდდა, მისი სურვილის წინააღმდეგ გამოეტეხა და მის მიერვე მოჩმახული სიცრუის ხლართში გააბა!

თუ ბატონიშვილი მართლა ტყუოდა, რაც აქ, ნახევრად ველურ აღმოსავლეთში, მაინც და მაინც არავის გააკვირვებდა, მაშინ ცხადი იყო, რომ დავით მეფის შვილები დედითურთ სადღაც გადამალეს და მოსკოვიდან ჩამოსულ ელჩებს თვალითაც არ ანახეს, რადგანაც არც მათ და არც ხელმწიფე ბორისს არ ენდობოდნენ, არ სურდათ, კახბატონ ალექსანდრეს საყვარელი შვილიშვილები სადღაც ცხრა მთას იქით მძევლების დარად გაეგზავნათ და თავად ხელ-ფეხშებორკილი დარჩენილიყვნენ.

ეს სწორედ რომ ყოველგვარი მოულოდნელობისაგან თავის დაზღვევა და უტიფარი ორჭოფობა იყო და ამ არასახარბიელო ვითარებაში, როდესაც კავკასიელ მთიელებთან საქმე უკიდურესად გამწვავდა, როცა შამხალი თავს გავიდა და თურქეთთან ათასი საიდუმლო ხვრელით დაკავშირებული ყირიმის სახანოც საშიში ძალის სახეს იღებდა, ღალატს უდრიდა.

მოულოდნელად გამეფებული დაძაბულობის გასაფანტავად საუბარში ტერენტი ივანოვი ჩაერია და იკითხა ისე, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური: — მოგვეცემა თუ არა საშუალება, თქვენო ბრწყინვალებავ, გეორგი ალექსანდროვიჩ, მის ბრწყინვალება დედოფალ ქეთევანს პირადად შევხვდეთ, ხელმწიფის შემონათვალი პირადად გადავცეთ და მისი პასუხიც პირადად მოვისმინოთ?

ბატონიშვილ გიორგის პასუხი არ დაუყოვნებია:

— რასაკვირველია, თქვენო აღმატებულებავ, როგორც კი ჩვენი რძალი მომჯობინდება და ამას შეძლებს. შვილების გულიდან მოგლეჯის შემდეგ, მოგეხსენებათ, დედოფალი მეტად უღონოდ ბრძანდება, ოთხკედელშუა გამომწყვდეული, უსმელ-უჭმელი ყოველ ღამეს ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაჩოქილი ლოცვა-ვედრებაში ათენებს!..

ბატონიშვილის ეს სიტყვები ივანოვმა, რასაკვირველია, თავის დაძვრენის ჩვეულებრივ ფანდად მიიღო და შემდეგი კითხვაც აღარ დაუყოვნებია:

— ვიდრე მისი ბრწყინვალება ქეთევანი მოიკეთებდეს და ჩვენთან შეხვედრას შესძლებდეს, ხომ არ იქნებოდით წინაღმდეგი, ჩვენვე, — მან თვალით კუზმა ნაშჩოკინზე აჩვენა. — გვეზრუნა და მის უდიდებულესობა სპარსეთის შაჰისათვის რუსეთის დიდი ხელმწიფის, ბორისის სახელით მიგვემართა, დაებრუნებინა სამშობლოში ჩვენთვის სასურველი პირები. არა გვგონია, მისი უდიდებულესობა გაჯიუტდეს და უბრალო თხოვნაზე უარი გვითხრას!..

დამამცირებელი ეპვით სულით ხორცამდე შეურაცხყოფილ გიორგის, გარეგნულად ერთობ თავაზიანი და, ნაშჩოკინისაგან განსხვავებით, კორექტული ტერენტი ივანოვის ყოველ სიტყვაში რომ გამოსჭვიოდა, მთელი მჭევრმეტყველების მოშველიება დასჭირდა, რათა თავისი პასუხისათვის მეტი დამაჯერებელობა მიენიჭებინა, დაეჯერებინა რუსის ელჩები, რომ აქ არავითარი მზაკვრობა და თვალის ახვევა არ იყო,

რომ ბატონიშვილ ელენეს შაჰის ჰარამხანაში გაგზავნა ჯერ კიდევ განსვეებული მამამისის, მეფე დავითის, სიცოცხლეში გადაწყდა, რომ ტახტის მემკვიდრე თეიმურაზი შაჰმა დაიბარა, რადგანაც პაპამის ალექსანდრეს სწორედ ერთმორწმუნე რუსეთთან დაკავშირების გამო არ ენდობოდა და, როგორც ჩანდა, ამის საბაბიც ჰქონდა, რომ პირადად მას, ტახტის გამგე გიორგის, არაფრის შეცვლა არ შეეძლო, არ ჰქონდა უფლება, შაჰის უზენაესი ნება და თვით გვირგვინოსანი მამის ბრძანება არ აღესრულებინა და პირველი მოთხოვნის უმალვე ძმისწულები სპარსეთში არ გაეგზავნა!

— ნება თქვენია, — დაასრულა მან, — გინდ გვერწმუნეთ და გინდ ნუ გვერწმუნებით. ღვთისა და კაცის წინაშე მართალი ვართ. ფეხებითაც რომ დაგვკიდოთ, ჩვენ მეტი არაფერი ძალგვიძს. ბატონიშვილების უკან გამოწვევა რომ მოსახერხებელი ყოფილიყო, გვერწმუნეთ, მათ არც გავგზავნიდით. ნუთუ ვინმეს შეუძლია იფიქროს, რომ ეს ჩვენ გვინდოდა? გვსურს, იცოდეთ, რომ რუსეთის დიდი ხელმწიფის მოწყალე სურვილს, დაუმოყვრდეს ისეთ პატარა და სუსტ ქვეყანას, როგორიც კახეთია, ჩვენ უდიდეს პატივად ვთვლით. უგუნურებიც ვიქნებოდით, ასე რომ არ ჩაგვეთვალა, თუმცა ჩვენი ძმისწული თეიმურაზი კახეთის ტახტის მემკვიდრე გახლავთ, ხოლო ელენე აკვანშივე შაჰის დანიშნულია და იმ მცირე ძალებით, რაც დღესდღეობით გაგვაჩნია, არ შეგვწევს ღონე, მბრძანებლის ნება-სურვილს წინ აღვუდგეთ!

— მაგრამ ჩვენ ჩვენი სახელით ვიმოქმედებდით.

— არა გვგონია, ყაენს სიხარული და აღტაცება მოჰგვაროს რუსი ელჩების ჩვენს კარზე ყოფნამ. ეშიშობთ, თქვენო აღმატებულებავ, რომ ამ ნაბიჯის გადადგმით მეტად ცუდ სამსახურს გაგვიწევთ. რუსეთის მოციქულს შაჰი პატივით მიიღებს, რადგანაც ძლიერთან მხდალია, მხდალთან კი ძლიერი, მაგრამ ვეჰვობ, ამას რაიმე სარგებლობა მოჰყვეს. აბასი თავაზიანად შეგახსენებთ, რომ მის შინაურ საქმეში ერევით, ჯავრს კი ჩვენზე იყრის, როგორ გაბედეთ, შუამდგომლად გიაური რუსხელმწიფე მომიგზავნეთ და ჩვენს შორის განხეთქილების ჩამოგდება განიზრახეთო. ერთი სიტყვით, ნება თქვენია!..

— არ გვეგონა, თუ წყალს ასე გადაგვიწურავედით!.. — ამხანაგთან შედარებით რბილ და თავაზიან ივანოვს სიტყვა პირქუშმა ნაშჩოკინმა ჩამოართვა, — საბოლოოდ გვსურს,

ვიცოდეთ, როდის ელით მეფე ალექსანდრეს, რომ გადაჭრილი პასუხი მისგან მივიღოთ?!

— მეფე ალექსანდრე აქამდე უნდა მობრძანებულიყო, — გიორგიმ მამის ტიტული "მეფე" ხაზგასმით წარმოთქვა, — ეს თქვენ ჩვენზე უკეთ მოგეხსენებათ. სამეფო კარი და მთელი ერი მოუთმენლად ელის მისი უდიდებულესობის დაბრუნებას, მაგრამ, როგორც ჩანს, სანამ ურმიის ტბასთან სპარსელები და ოსმალები თავიანთ საქმეს არ გადაწყვეტენ, შაჰი ბატონ მამას გვერდიდან არ მოიშორებს. გამოშვება რომ სდომოდა, აქამდე გამოუშვებდა!

— ჩვენ კი არ გვინდა, ძვირფასი დრო, რაც ალექსანდრე შინ არ არის, უქმად დაგვეკარგოს!

— უქმად რატომ დაგეკარგებათ, თქვენო აღმატებულებავ. ქვეყანას გაეცნობით. მართალია, მთებში უკვე ჩამოთოვა, მაგრამ დაზამთრებამდე ჯერ კიდევ დროა!

— თავადო გიორგი, ბატონიშვილო, თუ რა გქვიათ მანდ, ჩვენ მიგვაჩნია, რომ კახეთის ერი რუსეთის ტახტის ერთგულებაზე უნდა დავაფიცოთ! შინაური და გარეშე მტერი დღეს ერთნაირად საშიშია! სანამ ერთგულების ფიცი არ მიგიღიათ, ჩვენ აქ თავს უსაფრთხოდ ვერ ვიგრძნობთ!

— ნუთუ აქამდე რისამე გეშინოდათ?

— შიში აქ რა მოსატანია! ჩვენ შეგვიძლია თავი დავიცვათ. თავის დაცვა არ გაგვიჭირდება. ჯარი, რაც თან გვახლავს, სავსებით საკმარისია, ნებისმიერ ეითარებაში ნებისმიერ თავდამსხმელს კუდით ქვა ვასროლინოთ, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვით, ჩვენ აქ საომრად არ მოვსულვართ, მოყვრობის დასამყარებლად მოვედით და ამიტომაც საჭიროდ ვთვლით, დიდი რუსეთის ერთგულების ფიცი მიიღოთ!

— რამდენადაც მე ვიცი, თქვენო აღმატებულებავ, თუ მეხსიერება არ მღალატობს, კახეთის სამეფო კარმა და ერმა რუსეთის ტახტის ერთგულების ფიცი ჩემს მახსოვრობაში ორჯერ უკვე დასდო, პირველად 1590 და მეორედ კი 1598 წელს!

— მაშინ სკიპტრა თეოდორე იოანეს ძეს ეპყრა, დღეს კი ტახტს ხელმწიფე ბორის გოდუნოვი ფლობს! გარდა ამისა, როგორც უკვე გაუწყეთ და თქვენი თვალითაც ხედავთ, ჩვენ აქ წმიდა სინოდის მიერ ხელდასხმული საეკლესიო მამები გვახლავან, — ნაშჩოკინმა მზერა სუფრის ცალ მხარეს მიაპყრო, სადაც რუსი მღვდლები ისხდნენ. — ფიცის მიღებას,

ჩვენ ასე ვფიქრობთ, ისინი უფრო მარჯვედ და ყველა წესისა და რიგის დაცვით გაუძღვებიან!

ამ სიტყვების თარგმნაც იყო და, ხელახლა აღივსნენ გულისწყრომით კახი მღვდელმთავრები. შიშით, ბატონიშვილმა, ისევ არ გაგვაჩუმოს და პირზე ხელი არ დაგვაფაროსო, ორი ადლის სიმაღლეზე წამოიმართა მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჭაღარაშერეული, ახოვანი იოანე ანდრონიკაშვილი, რუსთველი ეპისკოპოსი, რომელიც სარდალს უფრო მიაგავდა, ვიდრე ღვთისმოსავ ბერს და უამისოდაც ფერმიხდილ გიორგის დაუფარავი საყვედური ჰკადრა:

— ჯერ არაკის სმენია, ბატონიშვილო, ქართული ეკლესია და ქართველი სამღვდელოება ვინმეს ასე დაემცირებინოს. ღმერთმა შეუნდოს ბატონ ელჩს, — მან პირჯვარი გადაისახა. — ეტყობა, არ უწყის, რასა იქს. რუსი მღვდლები ჩვენი სულისმიერი ძმებია, მზადა ვართ, გვერდში ამოვუდგეთ, მაგრამ ნურას უკაცრავად, თუ შინაურ საქმეში ვერ ჩავირევთ და თავს მრევლის დასაწყევლად ვერ გავიხდით. ფიცი მივიღოთ და ის კიდევ ვინმემ დაგვიწუნოს, არასწორად მიგიღიათო? დიდება შენდა, ღმერთო!

ნაშჩოკინმა ეპისკოპოსის სიტყვის სათარგმნელად მომზადებულ კამენევს შეხედა, რას ამბობსო, მაგრამ ის შეყოყმანდა, რადგანაც ნაშჩოკინს გიორგიმ დაასწრო და თარჯიმანს თურქულად თხოვა, მეუფის ნათქვამი პირადად ჩვენ შეგვეხება და მისი თარგმნა საჭირო არ არისო.

თავი IV

უსაგნო ლოდინმა და უსაქმურობამ ელჩების მცველი რაზმის წევრი სტრელცები ერთობ დააღონა და კალაპოტიდან ამოაგდო. თუმცა საჭმელ-სასმელი არ აკლდათ, გრემიდან ყოველდღე ამოდიოდა პურ-ღვინით დატვირთული ჯორკიდებული, გაქსუებულები ციხის მომიჯნავე სოფლებში დაიარებოდნენ, ხანდახან ნახევარი დღის სავალითაც კი შორდებოდნენ ციხეს, არაყსა და მისატანებელს თხოულობდნენ, იქვე სვამდნენ, უგონოდ გალეშილები შიგადაშიგ მუშტიკრივზე გადადიოდნენ, ერთმანეთს ცხვირ-პირს უსისხლიანებდნენ, მოსაკლავადაც კი მიიწევდნენ, ზამთარ-ზაფხულ დაუკეტავ სახლებში პატრონების დაუკითხავად შედიოდნენ და რაც მათ

სულსა და გულს გაეხარდებოდა, ასევე დაუკითხავად იღებ-
დნენ.

ეს უჩვეულო ამბავი მშვიდობიანი ადგილობრივი მოსახ-
ლეობის არავითარ აღშფოთებასა და წინააღმდეგობას არ
იწვევდა. პირიქით, ერთმორწმუნე რუსხელმწიფის ჯარისკაცებს
ყველგან სიხარულით, ხელგაშლილი ხვდებოდნენ, სასმელსა და
პურმარილს სთავაზობდნენ, მაგრამ როდესაც წათამამებულმა
სტრელცებმა, როგორც სამშობლოში სჩვეოდათ, თავი მთლად
აიშვეს, მეტისმეტი მოინდომეს, დაუკრეფავში გადავიდნენ და
ხელი აქა-იქ ქალ-რძალსაც წაატანეს, მათდამი კეთილი
დამოკიდებულება ერთბაშად შეიცვალა, მტრული თუ არა,
თავშეკავებული მაინც გახდა. ხალხმა სახლებისა და ბელლების
დაკეტვა დაიწყო, რასაც წინათ არასოდეს არ სჩადიოდა,
რადგანაც ხელმრუდობა ღვთის წინაშე ჩადენილ დიდ ცოდვად
მიაჩნდა, მაგრამ პირმოღებულ მარნებს როგორ-ღა დაკეტავდი,
სადაც სხვადასხვა ზომის ქვევრებსა და ქოცოებში ღვინო-
არაყი ინახებოდა!

— ე ვინ ყოფილან, ქაჯან, შიშით ი დასამიწებელი გოგოი
გარეთ ვეღარ გამოგვიშვია. წყაროზეც ვეღარ ვაგზავნით
ბალღსა. გვეშინია, არავინ არსად დაუხვდეს და სირცხვილი
არ გვაჭამოს!

— სირცხვილი მაგათა და ჭირი! სად გაგონილა, ქა, უცხო
კაცმა ქალს ურიგო სიტყვა ჰკადროს და ხელი მოჰკიდოს! თუ
კაცისა არა, ღმერთისა მაინც აღარ ეშინიათ?

— ცოტაც მოვითმინოთ, ცოტაცა, ნათლიდედ, წავლენ,
წაშავდებიან, მა რა იქნება და ჩვენც მაგათი უსაქციელობა
და ღვთის გმობა შარშანდელ თოვლივით დაგვავიწყდება!

ღვინობისთვის 23-ს რუსებმა თორლას ციხის ეკლესიაში
ყაზანის ღვთისმშობლის ხატის დღესასწაული გაითენეს და
წირვა გადაიხადეს. ადგილობრივ ქართველ მღვდლებს, ახლო-
მახლო სოფლებიდან რომ მოვიდნენ, მღვდელმსახურებაში
არავითარი მონაწილეობა არ მიუღიათ, მლოცველთა შორის
იდგნენ, სანთლებს ანთებდნენ და ღვთისადმი ლოცვას მათთან
ერთად აღავლენდნენ.

ეს რუსი მღვდლების პირველი საჩვენებელი წირვა უნდა
ყოფილიყო, რომელსაც გაუნათლებელი ქართველი სამღვდე-
ლობა ჰეშმარიტების გზაზე უნდა დაეყენებინა და მის მიერ
დროთა განმავლობაში შერყვნილი და გამრუდებული წირვა-

ლოცვის წესების გასწორების საქმეზე გადამწყვეტი გავლენა მოეხდინა.

სილამაზითა და გალობის კეთილხმოვნობით წირვას წუნი მართლაც არ დაედებოდა. მეტად შთამბეჭდავი და სულის ამამაღლებელი იყო. ხალხიც ბლომად დაესწრო. უფრო მეტი დაესწრებოდა, ამბავი რომ არ მოეტანათ, ალაევერდელი მიტროპოლიტი მეუფე სამოელი, კახეთის მწყემსი, განრისხებულია და ყველას, ვინც რუსების წირვას დაესწრება, მღვდელი იქნება, დიაკვანი თუ უბრალო ქრისტიანე, ეკლესიისაგან განკვეთას ჰპირდებაო.

უწმიდესი სინოდის მიერ წარმოგზავნილ მღვდლებს ყაზანის ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი წირვის გადახდა საკრებულო ტაძარში უნდოდათ, მაგრამ გაკერპებული ბერიკაცის, მეუფე სამოელის თანხმობას ვერასგზით ვერ მიაღწიეს. ვინ არ მიუგზავნეს, ვის არ ათხოვნინეს, მაგრამ მისი გატეხა და დაყოლიება არ მოხერხდა და არა. ბოლოს, თვით რუს მოძღვართა თავმდგომი პრესვიტერი ეახლა და თარჯიმნის პირით წირვის გადახდის მოწყალე ნებართვა გამოსთხოვა. ვინ იფიქრებდა, თუ მასაც გააწბილებდა და უარით გამოისტუმრებდა! იმუქრებოდა: არამცთუ ალაევერდსა და გრემის საკრებულო ეკლესიაში, კახეთის არც ერთ ეკლესია-მონასტერში რუს მღვდლებს არ შეეუშვებ და არც ხატისმწერალ მხატვრებს დავრთავ ნებას, ფრესკებზე თუნდ ერთი მკრთალი ხაზი გააკლონო. საქვეყნოდ აცხადებდა და ეს არც პრესვიტერისათვის დაუმალავს: რუსხელმწიფისაგან, თუ ერთმორწმუნე თანამოძმისათვის მართლაც სიკეთე სწადია, ჩვენ მღვდლები და მხატვრები კი არ გვჭირდება, ამის მთხოვნელი და მახვეწარი კი არა ვართ, რათა წირვა-ლოცვის წესები სრულვყოთ და ჩვენს კურთხეულ სალოცავებში რუსული ხატები დავასვენოთ, არამედ ჯარი და ზარბაზნები, რომ მომხვდურ ურჯულო მტერს მტრულად დავხვდეთ და მაცხოვრის ჯვარზე მლოცველ ქართველ კაცს სასოება და ქრისტეს რწმენა არ მოვუშალოთ, ხოლო რაც შეეხება მღვდლებსა და ხატისმწერალთ, დიდ რუსეთში ათადამ ბაბადამ ცნობილია ქართული ხატებისაგან მოხდენილი სასწაულები და ქართველ მოძღვართა მადლი, არა ერთ რუსულ საყდარსა და წმიდა სავანეში ღირსეულად რომ უმოღვაწიათ და სიწმიდის მაგალითი მიუციათო.

კერპი მიტროპოლიტი კიდევ უფრო მეტი გააფთრებით შეხვდა რუსი ელჩების მიერ წამოყენებულ წინადადებას ხელმწიფის ტახტის ერთგულებაზე ერის დაფიცების შესახებ, ხოლო როდესაც შეიტყო, ერს თავიანთი ხელმწიფის ერთგულებაზე რუსის მოძღვრები დააფიცებენ, ქართული სამღვდელოება კი მარტოოდენ მაყურებლის ხვედრით უნდა დაკმაყოფილდესო, წვერი დაიგლიჯა და თავი კედელს ახალა, ამას ხომ ის გვიჯობს, საფლავი ჩვენი ხელით გავითხაროთ და გულზე ხელები დავიკრიფოთ, ეს რა ესმის ჩემს ყურებს, ამ ლოთ მაწანწალებს ამდენი როგორ გააბედინეთ, თავს ლაფი როგორ დაასხმევინეთო.

საქმე ის იყო, ორიოდე კვირის გაელის შემდეგ ბატონიშვილი გიორგი დარწმუნდა, რომ რუსი ელჩების მოთხოვნის უგულვებელყოფა და მთლად უყურადღებოდ დატოვება, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, არ ეგებოდა. ამავე აზრზე იდგნენ დარბაზის წევრი დიდებულები და თვით დედოფალი ქეთევანი, რომელსაც მაზლმა პირადად მიაკითხა და ნოდარ ჯორჯაძისა და ლუკა მაყაშვილის თანდასწრებით რჩევა სთხოვა.

საბოლოოდ გადაწყდა კიდევაც, კახბატონ ალექსანდრეს დაბრუნებას აღარ დალოდებოდნენ და ფიცის მიღების პირობებზე თანხმობა განეცხადებინათ, მაგრამ როდესაც მეუფე სამოელის გაუტეხელ წინააღმდეგობას წააწყდნენ, საქმე ისევ საჭოჭმანო და თავში საცემი შეიქნა.

სრულიად კახეთის სულიერი მამა, რომელთან საბოლოო მოლაპარაკების მიზნით სასახლიდან დავით ჯანდიერი, ნოდარ ჯორჯაძე და ლუკა მაყაშვილი წავიდნენ, ფიცის მიღებაზე უარის თქმასაც არა კმარობდა, დაუფარავად აცხადებდა, შევაჩვენებ, ხატს გადავცემ, ეკლესიიდან მოვკვეთ ყველას, თავადი იქნება, აზნაური, ბატონიშვილი თუ თვით მეფე, ვინც გაბედავს და ყოველად დამამცირებელ მოთხოვნას მონური მორჩილებით შეასრულებს, ქართული სამღვდელოების მადლსა და ღირსებას შებღალავსო.

ერისა და ბერის მიერ პატივით გარემოსილი დარბაისელი დიდებულები რომ პირში ჩალაგამოვლებული დაბრუნდნენ და მარბიელ ლეკთა მდევრიდან სწორედ იმ წუთას მოსულ, დაღლილ და განაწამებ ბატონიშვილ გიორგის მიტროპოლიტის პასუხი მოუტანეს, უამისოდაც გულაღრენილ გიორგის, რომ ქვეყნის გამაჩანაგებელ მარბიელებისაგან საშველი არ

იყო, მოთმინების ფიალა აევსო, რისხვამ შეიპყრო და ერთგული ქვეშევრდომების ჩაგონებითა და დახმარებით თავი რომ არ მოეთოკა, ვინ იცის, უგუნური, ღვთის გამარისხებელი ნაბიჯიც გადაედგა. ყელზე მოწოლილ ბოლმას, გადმოხეთქვას რომ ლამობდა, ისევ კეთილგონიერებამ სძლია. მეორე დღეს ბატონიშვილმა ცხენი შეაკაზმვინა, ამხედრდა, მცირე ამალა გაიყოლა და თვით ეახლა მეუფე სამოელს ალავერდში.

ბატონიშვილ გიორგის მობრძანება რომ აუწყეს, სენაკში განმარტოებული, მაცხოვრის ჯვარცმის წინაშე დაჩოქილი მიტროპოლიტი ოდნავ მოლბა, მადლობა უფალს, მიხვდა, რომ თავის დამდაბლება და აქ მოსვლა მართებდაო და ქვეყნის მესვეურთან შესაგებებლად სენაკიდან გამოვიდა.

გიორგი გალავნის კარიბჭეშივე ჩამოხდა ცხენიდან, ცხენი აგრეთვე ჩამოქვეითებულ მხლებლებს შეატოვა, მანძილი კარიბჭიდან ტაძრამდე ფეხით გამოვლო, მღვდელმთავრის წინაშე მუხლი მოიდრიკა და მის ლურჯი ძარღვებით დაქსელილ ცივ, ხმელ ხელს მოწიწებით ემთხვია.

ვიდრე ის მარცხენა მუხლზე დაჩოქილი იყო, მეუფემ ხელისგული თავზე დაადო, მეორეთი ჯვარი გადასახა, მიწამდე დაშვებული შავი ანაფორის კალთის შარიშურით გაბრუნდა და, სიტყვაც არ უთქვამს, სანთლებით გაჩირაღდნებულ და საკმევლის კვამლით დაბინდულ ტაძარში ისე შევიდა.

ტკბილი სიტყვითა და შეგონებით, რაც მის ფიცხ ხასიათს სრულებითაც არ ეგუებოდა, ბატონიშვილმა გიორგიმ იმას მიაღწია, რომ მეუფე სამოელის წინააღმდეგობა რის ვაივაგლახით გასტეხა, მაგრამ თავის მხრიდანაც გარკვეულ დათმობებზე წასვლა მოუხდა.

რუსხელმწიფის ელჩებს მისი პირით უნდა შეეგნოთ, უკეთუ, მიუხედავად მათი განსწავლულობისა, აქამდე არ იცოდნენ, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის ფრთასაც კახეთის ეკლესია წარმოადგენდა, ავტოკეფალური ეკლესია იყო, დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში, რუსეთის გაქრისტიანებამდე ოთხი საუკუნით ადრე, მეფე ვახტანგ გორგასლის ზეობაში მიელო, გარდა უფალი ღმერთისა, არავის არ ექვემდებარებოდა და თავის საეკლესიო საქმეებს ათადამ ბაბადამ თვით განაგებდა.

რაკილა სხვა გზა არა ჩანდა, კახეთის მწყემსი თვალს ხუჭავდა იმაზე, რომ კახეთის მხრიდან რუსეთის ტახტის ერთგულების ფიცის მიღებას, სათვალავით ეს მესამეჯერ,

ცალმხრივი ხასიათი ჰქონდა, დადებული ფიცის აღსრულება მხოლოდ ერთ მხარეს, კახეთსა და მის სამეფო კარს ეკისრებოდა. ეს იმ დროს, როდესაც მეორე მხარე, რუსეთი, ღვთის წინაშე არავითარ ვალდებულებას კისრად არ იღებდა და ყოველ დროსა და ვითარებაში შეეძლო ისე ემოქმედა, როგორც საკუთარი ჭკუა-გონება გაუჭრიდა.

რადგანაც ზენაარის განგებით რუსეთის სამეფო ტახტზე დღეს ახალი ხელმწიფე ბორის გოდუნოვი იჯდა, ვისთანაც ადრე დამყარებული კავშირ-ურთიერთობა უნდა განახლებულიყო, კახეთის ეკლესია თავის თავზე იღებდა ერის დაფიცებას, ოღონდ ეს საღვთო საქმე მარტოოდენ მას უნდა დაკისრებოდა და არა რომელიმე სხვა ეკლესიის წარმოგზავნილთ, ეს უკანასკნელნი რა განსწავლულნი და საღვთო წერილში რა გათვითცნობიერებულნიც არ უნდა ყოფილიყვნენ.

ბატონიშვილ გიორგის არ შეეძლო უარეყო, რომ მეუფე სამოელი ცამდე მართალი იყო, მისი სიტყვის უარსაყოფად პირში ენა არ მოგიბრუნდებოდა და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ რუსის ელჩებთან პირველ შეხვედრას ის არ დაესწრო და თავისი მოურიდებელი გამოთქმებით ისედაც წარუმატებელი მოლაპარაკება მთლად არ ჩაშალა.

გრემის საბოლოო გადაწყვეტილებას თორლას ციხეში თავშეკავებული კმაყოფილებით შეხვდნენ. იმის შემდეგ, რაც მოხდა, იქ აღარც კი იმედოვნებდნენ, თუ საქმე ამდაგვარად შემობრუნდებოდა, მაგრამ როდესაც ტახტის გამგე ბატონიშვილისაგან წერილობითი ცნობა მოუვიდათ, რომელიც მხოლოდ ფიცის მიღების პირობებს შეეხებოდა და უწმიდესი სინოდის მიერ წარმოგზავნილი მღვდლებისა და ხატისმწერალი მხატვრების სათანადოდ დასაქმების თაობაზე კრინტსაც არ სძრავდა, თავი ისე დაიჭირეს, თითქოს რაიმე საუურადღებო მათთვის არც არაფერი მომხდარიყოს და ტახტის გამგე ბატონიშვილს კირილე ჭსანტოპულოს პირით შეუთვალეს, თქვენს მიერ შემოთავაზებულ პირობებს მისაღებად ვთვლით, ოღონდ ვიმედოვნებთ, რომ ეგ გაჭიანურებული საქმე აწ მაინც მალე დაბოლოვდება, რადგანაც ჩვენ კახბატონ ალექსანდრეს ველარ დაველოდებით, მის ბრწყინვალება გეორგი სემიონოვიჩთან ვაპირებთ დაბრუნებას, რათა ტფილისში გამოვიზამთროთ და გაზაფხულის დარები დადგება თუ არა, სამშობლოს გზას ვეწიოთო.

მცირეოდენი შესწორება ელჩების მხრივ ის იყო, რომ ეკლესია-მონასტრებში და სოფლის საყდრებში, სადაც მრევლი თავისი ზნე-ჩვეულებების მიხედვით რუსეთის ტახტის ერთგულებაზე დაიფიცებდა, ამ ამბავს, მეთვალყურის უფლებით, თითო ან ორ-ორი მათი სასულიერო წარმომადგენელი დასწრებოდა.

ფიცის მიღების დღედ დაინიშნა 1 იანვარი 1605 წლისა, ახალწელიწადი. ამ დღეს ალაევერდის საკათედრო ტაძარსა, ყველა სხვა ტაძარსა და ეკლესია-მონასტერში, სამეფოს კიდიდან კიდემდე, ერი სადროშოების მიხედვით უნდა შეკრებილიყო და ერთხელ კიდევ რუსეთის სამეფო კარის ერთგულების ფიცი მიელო. დაფიცებას ადგილობრივი ქართველი სამღვდელოება განახორციელებდა და ქვეყანასაც ამიერიდან თავი დიდი ერთმორწმუნე რუსეთის ხელდებულად და მის მძლავრ ფრთებს შეფარებულად შეეძლო ჩაეთვალა.

ბარბალობა-დღეს პირველი თოვლი მოვიდა და ერთი დღე-ღამის განმავლობაში იმდენი მოთოვა, შიგადაშიგ გზებიც კი შეიკრა. რომ ეგონათ, მორჩა, დაგვიდგა ზამთარიო, დილას თოვა გადაიღო, იქიატა და ისევ მზიანი ამინდი გამოვიდა. თოვლმა გამალებით დაიწყო დნობა. აჩხრიალდნენ და თავპირის მტვრევით დაეშვნენ დაბლა ბაწარივით დაგრეხილი მღვრიე ნაკადულები. ადიდდა ალაზანი. ზაფხულის თაკარა მზით გაჯერებული მიწა, ეტყობოდა, ჯერ ისევ თბილი იყო და ნაადრევად წამოხურულ ზამთრის თეთრ საბანს ვერ ეგუებოდა. ღამით ცა მოისარკა, ვარსკვლავებით მოიქედა და ისე საშინლად აცივდა, ყინვისაგან გათანგულ წყაროებს, ღარებიდან რომ მოთქრიალებდნენ, თითქოს დედამიწის გულიდან ცეცხლი შემოუგზნიათო, ოხშივარი აუვიდა.

შობის წინა დღეს განმეორებით მოთოვა. თოვა ამჯერად თითქმი სამ დღეს აღარ შეწყვეტილა და ეს უკვე ხუმრობა აღარ იყო. თორღას ციხეში შიშობდნენ, ვაითუ თოვლმა გზა ჩაგვიკეტოს და საახალწლოდ ალაევერდის ტაძრამდე ვეღარც კი ჩავაღწიოთო. საბედნიეროდ, მალე კვლავ გამოიდარა და ისე ჰგავდა, რომ ახალწლამდე ამინდი აღარ უნდა წამხდარიყო.

ციხის ეკლესიაში რუსი მღვდლების მიერ გამართულ საშობაო წირვას უამრავი ხალხი დაესწრო. ეს ხალხი, ახლომახლო სოფლების ყმა-გლეხობა, ვერც თოვას შეეშინებინა, ვერც ყინვას და ვერც მოსალოდნელ უგზოობას. საიდან არ მოდიოდნენ ძღვენით ხელდამშვენებულნი, ხორცით, ღვი-

ნით, არყით სავსე ტიკპორებით დატვირთულნი და ერთმორწმუნე მოკეთეთ, მათთვის გაუგებარ ენაზე რომ ლაპარაკობდნენ, მაგრამ როგორღაც ყველაფერი მაინც გასაგები იყო, ბრწყინვალე დღესასწაულს, ქრისტეშობის დღეს ულოცავდნენ. სადღესასწაულოდ შემოსილი ქერა მღვდლებიც, გრძელი წითელი წვერი გულზე რომ სცემდათ, თავს არ იზოგავდნენ, მათი აზრით ჯერ კიდევ ბნელში მყოფ ნახევრადველურ კახთ თავიანთი წირვა-ლოცვის უცხო დიდებულებით თვალს სჭრიდნენ, ზეაღმტაცი ღვთაებრივი გალობით ატყვევებდნენ და საუგო სიტყვის უთქმელად უბირი ქართველი სამღვდელოების წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

ანკესს ცოტა ვინმე როდი წამოეგო. ზღაპრული სანახაობით სულით ხორცამდე მოჯადოებულნი აშკარად აღიარებდნენ რუსული წირვა-ლოცვის უპირატესობას და მზად იყვნენ, საღვთო საიდუმლოს მხოლოდ რუსის მღვდლების ხელით ზიარებოდნენ.

გათენდა ცივი, მაგრამ უქარო ახალწლის დილა. თეთრად გადაპენტილი არე-მარე, თითქოს ნამბულ თოლში ალმასები დაუბნევიათო, დამაბრმავებლად ბრწყინავდა და ციმციმებდა.

ალავერდის ტაძრის გალავანში და გალავანგარეთ ადრიან დილიდანვე უამრავი ხალხი მოგროვდა. იტყოდი, სად იყვნენ აქამდე, ეს პაწაწინა ქვეყანა ამდენ ხალხს როგორ იტევსო. მოდიოდნენ და მოდიოდნენ, ქვეყნის ოთხივე კუთხივ უწყვეტად მოედინებოდნენ ცხენით, ჩარდახიანი ურმით თუ ქვეითად, მოაბიჯებდნენ დიდ-დიდ ჯგუფებად, თითო-ოროლა თუ ცალ-ცალკე.

ტაძრის მაღალ სამრეკლოზე ზარები გუგუნებდნენ. მათი საზეიმო გუგუნი მთელს უკიდეგანო ალაზნის ველს ყოველისმხრივ ეფინებოდა. აქა-იქ, გალავნის სხვადასხვა კუთხეში, კოცონები დაენთოთ, აებრიალებინათ, შეშას დაუზოგავად უკეთებდნენ და მათი მქრქალი კვამლი ჯანღით მოსილ დადაბლებულ ცაში იკარგებოდა. რამდენიმე ადგილას წრე შეეკრათ. ზურნა ჰყვიტინებდა და მკლავებდაკაპიწებული, სახარე მოზვრებივით კისერდაძაგრული, ახალუხისამარა მოჰიდავენი ერთმანეთს თავგამეტებით ერკინებოდნენ. დროდადრო ისმოდა მაყურებლების ერთბაში ამოოხვრა და გამამხნევებელი ყიჟინა. ყველას თავისი ფალავანი ჰყავდა და გულით ეწადა, მხოლოდ მას გაემარჯვა. იმისდა მიხედვით თუ სიმწრის ოფლში გაწურული მოჰიდავენი ერთმანეთს საით მიაგდებდ-

ნენ, მაყურებელთა მჭიდრო რკალი აქეთ-იქით იწელებოდა და წესრიგის დამამყარებელი პირტიტველა ჭაბუკი, იმავე მოჭიდავეთაგან, ამაოდ იქნევდა წკეპლას და ყვინჩილას ხმაჩახრინწული ხმით იძახდა, განი, ხალხო, განიო.

სხვაგან ცეცხლზე საგანგებოდ გაფიცხებული ეჟვნებიანი დაირა იკლებდა იქაურობას, ბუზიკა ყიპყიპებდა და თვით მოხუცთაც კი ძარღვებში სისხლს უჩქროლებდა. კახეთის თაკარა მზით გახუხული საულვაშემწვანებული ბიჭები ფეხისწვერებზე დგებოდნენ და წინწკლებიანი თავსაფრით თმაგაკრულ, ჭრელპაჭიჭებიან მორცხვ ქალიშვილებს, ამდენი ხალხის წინაშე წრეში პირველად რომ შესულიყვნენ, მკლავებგაშლილნი, ცეკვა-ცეკვით სწორედ იქ უხვდებოდნენ, საითაც კი ისინი, თითქოსდა მიმინოსაგან დაფეთებული გნოლები, პირს იზამდნენ.

ხელზე მოვაჭრეთა მაზანდის დროც დამდგარიყო და ამ დროს არც ისინი კარგავდნენ. გალავნის გასწვრივ გამართულ ფიცრულ დახლებზე რა გინდოდა, რომ არ იყიდებოდა; ადგილობრივ ფეიქართა ნახელავი საჩოხე მაუდი თუ ლეკური ნაბდები, თუშური ქუდები თუ ჩინური ფარჩა, რუსული ატლასი თუ ვენეციური სარკეები, უნაგირები თუ ცხენის აღკაზმულობა...

იქნებოდა ასე თერთმეტი საათი, ვიღაცამ რომ დაიყვირა, მოდიანო, ხმა გალავნის თითქმის ყოველ კუთხეს მიაწვდინა და მილეთი ხალხი, წუთის წინ სრულ თავდავიწყებას რომ მისცემოდა და ათას თავშესაქცევ გასართობში მონაწილეობით ხარობდა, პირჯვრის წერითა და ლიტანიობით გალავნის კარიბჭისაკენ შემობრუნდა.

მობრძანდა მიტროპოლიტი სამოელი და მისი კრებული. ისედაც ტანმომცრო, გამუდმებული მარხულობითა და ლოცვით დალეულ მიტროპოლიტს ყოველდღიურად სახმარი ანაფორა ეცვა ლურჯი მაუდისა და თავზე იმავე ფერის ქიშმირის თავშლით დაფარული კუნკული ეხურა. ერთადერთი ძვირფასი რამ, რაც ხელთ ეპყრა, ოქროთი და პატიოსანი თვლებით მოოქვილი სამღვდელმთავრო კვერთხი იყო. მაღალ კვერთხს ის დინჯად იბიჯგებდა და წელში ოდნავ მოდრეკილი კარიბჭეში შემოდიოდა. კიბის ბაქანზე რომ გადმოდგა, საიდანაც ქვის კიბის რამდენიმე საფეხური გალავანში ჩამოდიოდა, დაჩოქილ მრევლს ჯვარი კვერთხითვე გადასახა, წინ დაიხედა, დინჯად ჩამოჰყვა საფეხურებს, ხელის მიშველების ნება არავის დართო,

ტაძრისაკენ აუჩქარებლივ გაემართა, ხალიჩებით მოგებული მთელი გზა მდუმარედ განვლო და, თითქოს ვინმეს ემდურისო, სანთლებით გაჩირაღდნებულ ტაძარში უბრალდ შეაბიჯა.

სამრეკლოზე მეტის გაფიცხებით რეკდნენ ზარები, წვრილხმიანნი ბოხხმიანთ ენაცვლებოდნენ, ერთმანეთს ერწყმოდნენ და მათი შეწყობილი ხმა გუნდის ცათამდე ამაღლებულ გალობას უერთდებოდა.

ორ რიგად ჩამწკრივებულ ქართველ სამღვდელოებას, რომელიც უკვე ტაძარში იყო და წმიდა სანთლებით გაბრწყინვებულ საკურთხეველს უახლოვდებოდა, რათა ხატების წინაშე მუხლი მოწიწებით მოეყარა, ქართული წირვა-ლოცვის წესების გასასწორებლად მოსკოვიდან ელჩებთან ერთად ჩამობრძანებული რუსი მღვდლები მოსდევდნენ. მათ წინ დილის არაით შეზარხოშებული, სახეგაბიქვინებული პროტოპრესვიტერი მოუძღოდა და დაჩოქილ მრევლს თავისი მსუქანი კოტიტა ხელით მარჯვნივ და მარცხნივ ჯვარს სახავდა. ამათ კვალში უდგნენ რუსის მხატვრები, ხატისმწერალნი, ქართული ფრესკები რომ უნდა გაესწორებინათ და აქაური ეკლესია-მონასტრები თავიანთი ხელით შესრულებული სასწაულმოქმედი ხატებით შეემკოთ.

თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ კარიბჭეს მოადგა ტახტის გამგე ბატონიშვილი გიორგი სახლეულითა და კახეთის ბრწყინვალე თავადებითურთ. ყველა მათგანი, როგორც ომში, ჯაჭვ-მუზარადში იყვნენ ჩამჯდარი და თავიანთ ღირსეულ წინამძღოლს, ბატონიშვილ გიორგის, ვის გვერდითაც, დავით მეფის მიერ შერისხულებს, თორღას ციხეში პატიმრად სხდომაც კი მოუწიათ, მხარს უმშვენებდნენ.

კოპეებამდე ჩამოშვებულ, ქობაშემოკეცილ გრძელ ტყავის ქურქებში ჩამთბარი რუსი ელჩები და მათი თანმხლებნი ბატონიშვილის მრავალრიცხოვან ამალაში ერივნენ.

გიორგის გვერდში ამოსდგომოდა მისი ახალგაზრდა თანამეცხედრე, ყირიმის ხანის ასული ფატიმათი, რომელიც კახბატონმა ალექსანდრემ თავის შუათანა ვაჟიშვილს იმ ანგარიშით შერთო, რომ როგორმე ყირიმის ხანის სიხარბე დაეცხრო და მისი კეთილი განწყობილება მოეპოვებინა, მაგრამ ამაოდ დაშვრა, რადგანაც ახალგაზრდა ცოლ-ქმარს ერთმანეთი თავდავიწყებით შეუყვარდათ, რაც საბოლოოდ იმით დაგვირგვინდა, რომ ქმარ-შვილის უსაზღვროდ ერთგულმა ფატიმათმა მაჰმადის რჯულზე უარი თქვა, ქრისტეს მხევლად

მოინათლა და ამჯერად უკვე ქრისტიანული სახელი ასინეთი დაირქვა.

ბატონიშვილსა და მის მშვენიერ თანამეცხედრეს წინ სამი მცირეწლოვანი შვილი მოუძღოდა, რომელთაგან უმცროსი, იესე, ჯერ მხოლოდ ექვსი წლისა იყო.

სამეფო სახლის ბინადართაგან არ ჩანდა მხოლოდ დავით მეფის ქვრივი, დედოფალი ქეთევანი. ქეთევანმა, რომელსაც მაზლმა თავისი ცოლი, ასინეთი მიუგზავნა, არამცთუ რუსხელმწიფის ელჩების მიღება და მათთან სამოყვრო მოლაპარაკების გამართვა არ ინება, უარი განაცხადა რუსეთის ხელმწიფის, ბორის გოდუნოვის ერთგულების ფიცის მიღებაზეც.

რძლის ამ გადაწყვეტილებას ბატონიშვილი გიორგი არ აღუშფოთებია და არც გაუკვირვებია. ქეთევანს სრული უფლება ჰქონდა და ვალდებულიც იყო მხოლოდ ეს გადაწყვეტილება მიეღო და საყვარელი შილის, ასინეთის პირითაც სწორედ ეს შემოთვალა: არ ეგების რუსეთის ტახტის ერთგულებაზე ჩემგნით ფიცის მიღება, ვინაიდან ორივე შვილი, თვალის სინათლე თეიმურაზი და ელენე, ვისზე ლოცვითაც დღეს ვიღამებ და ღამეს ვითენებ, სპარსეთის შაჰის კარზე მყავს და ამ საეგებიო ნაბიჯის გადადგმით ვაითუ დაობლებულ, ღვთისა და დედის ანაბარა დარჩენილ შვილებს რაიმე ვავნოო.

ქეთევანს უნდოდა ეთქვა, "დაუფიქრებელი ნაბიჯითო", მაგრამ აღარ გაამწვავა, შილს გული არ ატკინა, ეს არ თქვა, ისე კი მიმხვედრი უნდა მიმხვდარიყო, რომ მთელ ამბავს, რაც დღეს კახეთის სამეფო კარზე ხდებოდა, შორსმჭვრეტელი დედოფალი არ იწონებდა. არამცთუ არ იწონებდა, იგი საშინელ წინდაუხედაობად, უგუნურობადაც კი მიაჩნდა, მაგრამ დედაკაცური მოკრძალება ამის ხმამაღლა გამქელავნების ნებას არ აძლევდა.

ამჟამად, როდესაც ბატონი მამა შაჰს ჯარით ახლდა და ტახტის მემკვიდრე თეიმურაზი, რომ აღარაფერი ვთქვათ ელენეზე, რომლის ბედიც ადრევე გადაწყდა, ყველაზე უფრო ნაკლებ ხელსაყრელი დრო იყო ერთმორწმუნე რუსხელმწიფესთან მეგობრული კავშირ-ურთიერთობის გასაბმელად და მით უფრო ხელმწიფის ერთგულების ფიცის მისაღებად. ნადირივით ფრთხილ და დაუნდობელ შაჰ-აბასს ათასი თვალი და ყური ესხა. აბა, იმას რას გამოაპარებდი!

რუსეთის ელჩები და უწმიდესი სინოდის მიერ წარმოგზავნილი სამღვდელო პირნი საკურთხეველთან ჩამწკრივდნენ. აღსავლის კართან, საკურთხეველის შუაგულში, მოჩილებმა ძელიცხოველი დაასვეს. ყველამ, ერმა და ბერმა, ვინც კი მოახერხა და ტაძარში შემოვიდა, პირჯვრის წერით დაიჩოქა. გადაშლილი ბიბლია უკვე შემოსილი მეუფე სამოელის წინ იდო ამბიონზე. ბატონიშვილმა გიორგიმ რუსეთის ტახტის ერთგულების ფიცი პირველმა მიიღო. მუხლი მოიყარა, პირჯვარი გადაიწერა, ძელიცხოველს და შემდეგ ბიბლიას ეამბორა. იგივე გაიმეორა მისმა თანამეცხედრემ, ჯერ კიდევ გუშინ მაჰმადის აღმსარებელმა ფატიმათმა, ქრისტიანულად ასინეთმა და ტახტის გამგე ბატონიშვილის სამივე მცირეწლოვანმა შვილმა, რის შემდეგაც ჯერი დიდებულებზე, კახეთის უპირველეს თავადებზე მიდგა.

თავი V

ნაშუადღევს ქვენა ქარი ამოვარდა და ისევ თოვა დაიწყო. თოვას საღამომდე აღარ გადაუღია, საღამოს კი ძვალ-რბილის გამჭოლავმა ქარმა იძალა და თოვამ კიდევ უფრო მოიმატა. გათენებამდე თითქმის ორი ადლი დასდო, ნამბულ თოვლს დაამატა და გზები ერთიანად შეკრა, სოფელი სოფელს მოსწყვიტა, ქალაქი ქალაქს.

ეს იყო მიზეზი თუ მიზეზად სხვა რამ ჰქონდათ, რუსხელმწიფის ელჩებმა ფეხი გაიდგეს თორღას ციხეში და გამოსაზამთრებლად ტფილისს, ქართლის მეფე გიორგის კარზე გადაბარგება, როგორც ადრე იტყობინებოდნენ, ფიქრადაც აღარ მოსდიოდათ. უგზოობის გამო ჯარს საზრდო შემოაკლდა, რადგანაც მისი ძღომისად მომარაგება აღარ ხერხდებოდა. სტრელცებმა ეს გარემოება ხელზე დაიხვიეს და თვით დაეშვნენ დაბლა, რათა თავისი გამოსაკვები სანოვაგე თავადვე ეშოვნათ. სასმელსა და მისატანებელს ისინი ახლა უფრო ჯიუტად ითხოვდნენ და სულ აღარ ჰგავდნენ იმ უწყინარ, თვინიერ თოვლის პაპებს, როგორადაც აქაურ ქართველობას თავდაპირველად მოეჩვენენ. ბიჭი იყავი არ მისცემდი, სტრელცები ძალით იჭრებოდნენ სახლებში, სამზადებში, ბეღლებში, მარნებში, სახაბაზოებსა, თავლებსა და საქათმე-

საღორეებში, არც კაცს ეპუებოდნენ, არც ქალს და წასაღები მაინც მიჰქონდათ.

იარა ამ საჯაყმა ამბავმა და გრემის ყურამდეც მიაღწია. ბატონიშვილ გიორგისაგან საგანგებო ბრძანება გამოვიდა. ხალხი იასაულებისა და გზირების პირით გააფრთხილეს, თუ ქვეყნისათვის სიკეთე სურდა, წინააღმდეგობა არაფის გაეწია, ძალადობისათვის ძალადობითვე არ ეპასუხა და რუსის ჯარისკაცების უსაქციელობას არამც და არამც არ აჰყოლოდა.

ფათერაკი გარდაუვალი ჩანდა და მოხდა კიდეეაც. ერთ მშვენიერ დღეს ორი უიარაღო ჯარისკაცი, რომელიც დილას სოფელში შემოსული დაენახათ, უგზოუკვლოდ დაიკარგა. ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერავინ ვერაფერი გაიგო.

ეჭვი ერთ დედისერთა შილდელ ბიჭზე, გიო ასაბიშვილზე მიიტანეს, რომლის ახალჯვარდაწერილ ცოლს, მართას, ჩასაფრებული სტრელცები მაშინ დახვედროდნენ, როცა ხარ-ძროხა ჩაერეკა მდინარეზე დასარწყულებლად და თვით გიოს რომ არ ეშველა, ამ ამბავს სრულიად შემთხვევით რომ შესწრებოდა, შერცხვენასა და საქვეყნოდ გამოჭენებას ვერ გადარჩებოდა.

ბევრი კვლევა-ძიება საჭირო არ იყო. ქვრივი დედის ნებიერმა თავმომწონე ბიჭმა, თავზე ბუზსაც რომ არ იფრენდა, მოძალადე რუსების მტრობა გულში ჩაიხვია და სამაგიეროს გადასახდელად შესაფერი წუთის დადგომას ელოდა.

სოფლის მოსამართლენი სწორედ ასაბიშვილს მიადგნენ კარზე, გამოიხმეს, ხელ-ფეხზე ბორკილები დააღეს, გამწარებული დედისა და ცოლის მუდარას ყური არ ათხოვეს, უბრალოა, ნუ დაგვღუპავთ, ჭერს თავზე ნუ ჩამოგვაქცევთო, ურემზე დააგდეს და გაკოპილი გრემში წაიყვანეს.

გაშმაგებული ელჩები, მეტადრე კუზმა ნაშჩოკინი, წვერს იგლეჯდნენ, კახეთის სამეფო კარს, მიუხედავად იმისა, რომ მან ხელმწიფის ერთგულების ფიცი მიიღო, ღალატში სდებდნენ ბრალს, ბატონიშვილ გიორგის კაცს კაცზე უგზავნიდნენ და ვერაგი მკვლელების გამომქღავნებას, შეპყრობას და საკადრისად დასჯას ან მათთვის გადაცემას მოითხოვდნენ.

ბატონიშვილ გიორგის სამართლიანი მსჯავრის საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა. ის თვით ეძებდა დამნაშავეს და ვაი იმის დედას, ვის კარზედაც დანაშაულის კვალი მივიდოდა!

შილდელი გიო ასაბიშვილი დიამბეგთა სასამართლომ გაასამართლა თვით თავად ჯანდიერის თავმჯდომარეობით და

მას დანაშაული დაუმტკიცდა. გლეხმა საკუთარი პირით აღიარა, დიახ, ეგ მკვლელობა სწორედ მე ჩავიდინე, ორივეს ამ მარჯვენით გავუპე გულიო, ოღონდ იმას კი აღარ ამბელდა, გვამები სად წაიღო, სად ჯანაბასა და დოზანაში გადამალა!

გიოს გასანთლული სახრჩობელის თოკი, ძელზე გასმა ან დაბორბლვა არ ასცდებოდა, ერთ შაქრიანელ ქვრივ დედაკაცს, მდინარე ინწობის ხიდისყურში რომ ცხოვრობდა, დილაადრიან გულშემზარავი კივილი არ აეტეხა, აქ არიან ეგ ჩემი ცოდვით სავსენი, მიშველეთ, ქვევრები წამიბილწეს, წლის მოსავალი გამიოხრეს, ოჯახი დამივსეს და დამიქციესო.

უგზოუკეთოდ დაკარგული ჯარისკაცების გვამები სწორედ ამ საცოდავი ქვრივი დედაკაცის ქვევრებში იპოვნეს. უბედურები მარანში შეპარულიყვნენ, თითოს თითო ქვევრი მოეხადა და რადგანაც აქ ამოსაღები ჭურჭელი ვერაფერი ეპოვნათ, დაყუდებულიყვნენ და ღვინოს ისე დასწაფებოდნენ. როდის მოეკიდათ ღვინო, როდის გამოთვრნენ და წონასწორობა როდის დაკარგეს, არავინ იცოდა. ქვრივი შემთხვევით შემოსულიყო მარანში, თავლია ქვევრები და რუსის ზიზილ-პიპილებით მორთული ზუჩები დაენახა, ყველაფერს უმალ მიმხვდარიყო და სოფლის შესაყრელად, მე უბედურს არაფერი დამბრალდესო, კივილი აეტეხა.

დილეგიდან გამოშვებული გიო ასაბიშვილი ოჯახს საღ-სალამათი დაუბრუნდა. ამბების ამდაგვარი შეტრიალებით და თავისი აღიარების გამტყუნებით ერთობ უკმაყოფილო იყო. იმუქრებოდა, სულ ერთია, დღე იქნება თუ ღამე, მაგათ სისხლს კოკით დავლევ, ჩემი ოჯახის შერცხვენას როგორ შევარჩენ, ჯავრს საფლავში როგორ ჩავიყოლებო.

არც რუსი ელჩები, ტატიშჩევი და ივანოვი, მოელოდნენ, თუ საქმე ასე შემობრუნდებოდა და როდესაც დარწმუნდნენ, უგზოუკეთოდ დაკარგული თანამემამულეების სიცოცხლე მათსავე მუცელლმერთობას, პირუტყვულ გაუმაძღრობას შესწირვიათ, თარჯიმანი ლეონ კამენევი გაიყოლეს და კარის გამგე გიორგი ბატონიშვილს ბოდიშის მოსახდელად სასახლეში ესტუმრნენ. ამასთან ერთად მცველი რაზმის უფროსი როტმისტრიც მკაცრად გააფრთხილეს, დღეის ამათ იქით თვალი ფხიზლად დაიჭირე და მკაცრად დასაჯე ყველა, ვინც დღისით თუ ღამით რაზმის განლაგების ადგილიდან უნებართვოდ ფეხს მოიცვლისო.

ასე გაშუალდა ზამთარი, უჩვეულოდ ცივი და უხვთოვლიანი რომ დაიჭირა. მთების კალთებიდან დაშვებული, საკვების უქონლობისაგან შეწუხებული ქორბუდა ირმები და შველები სოფლებში უშიშრად შემოდიოდნენ და ჭიშკრებთან საძოვრიდან მობრუნებული შინაური პირუტყვივით იყრიდნენ თავს. თუ დროზე არავინ გამოხედავდა და ჭიშკარს არ გაუღებდა, საბრალონი ფეხებს აბაკუნებდნენ, ზმუოდნენ, საკვებს ითხოვდნენ. ასეთ დროს დიდ ცოდვად ითვლებოდა ტყიურის ნდობის გამტყუნება და, რა გაჭირვებაც არ უნდა გდგომოდა, კარზე მომდგარი სულიერის ღალატით მოკვლა.

ვიდრე ხეში წყალი არ ჩადგა და თებერვლის სუსხიანმა ქარებმა არ დაუბერა, კავკასიონის მთების ულრანი ტყეების ბინადარი ასობით შველი და ირემი თივას შინაური პირუტყვის ბაგაში, ხარ-კამეჩთან და ფურებთან ერთად შეექცეოდა და თბილი გომურებიდან დასარწყულებლადაც მასთან ერთად გამოდიოდა.

— ეგ რამთონი ნადირი გყოლია, ნასყიდ!

— მყავ, მა რა, ერთი შველი და ერთიც ირემი, აი, ეგა. წუხელ მოვიდა. ქალმა გაიგო. მაღვიძებს, გადი, კაცო, ვილაცა არის ჩვენ ჭიშკარზეო, იქნება ვინმე გაჭირვებული მგზავრია, გზა დაბნეია და თავშესაფარსა გვთხოვსო. შენ არ ადგებოდი? აედექ, გაველ და ეს კი დავინახე!

— ძაან გეტანებიან, აი, იციან, ალბათ, სტუმარი რომ არ გეჯავრება. მერე გეყოფა თივაი?

— გავუყოფ რა. რასაც ჩემსას ვაჭმევ, იმდენს დავუყრი ამათაცა. გახსომს, მაცხოვარმა რომ უთხრა ერთ გლეხსა? შენ რომ გაჭირვებული კაცი გაიკითხევი, გაათბე და დააპურე, ის მე ვიყავ, მაგრამ მაშინ არაფერი გაგიმხილე-კეო. აწი მე ვიცოდე და შენმა წყალობამაო. ესენიც ხომ ღვთის შვილები არიან, სული უდგიათ ჩვენსავითა. ღმერთი, ვენაცვალე იმი მადლსა, მოწყალეა. არ მეყოფა საკვები და ის მამცემს!

— გისმინოს მამაზეციერმა, ჩემო ნასყიდ!

მარტის სამს პირველად დაიქუხა, მაგრამ წვიმა არ წამოსულა. ქუხილმა მთელი ცა გადაიარა და სადღაც დიდოეთის ღრანტეებში მიილია. მიდამო ჯერ კიდევ თოვლით იყო შესუდრული, ლილო-ჭრილო მხოლოდ აქა-იქ გამოჩნდა და ეს ნაადრევი ერთი ქუხილი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა, თუმცა აღარც ეგვიანებოდა. მომდევნო დღეებში მაინც იძალა მზემ, ვენახებში ალაგ-ალაგ ატამი და ნუში აყვავდა. თოვლი

დნებოდა. მღვრიე წყალი ჩხრიალით მოედინებოდა გზისპირებზე, თხრილებში, ერთმანეთს უერთდებოდა და უკვე გალონიერებულ ღელედ თუ მდინარედ ჯერ კიდევ სუფთა და კამკამა ალაზნისაკენ ეშვებოდა.

რვა მარტს ჰერეთიდან მოვარდა მახარობელი და ჩამოქვეითებისთანავე პირდაპირ სასახლის მაღალი კიბე აირბინა. კახბატონი ალექსანდრე ტახტის გამგედ დატოვებულ შვილს, გიორგის, ატყობინებდა, ზაგემს მოვედით ჯარით მე და ძე ჩემი კონსტანტინე ბატონიშვილი, კონსტანტინე-მირზა, ყიზილბაში ჯარიც გვახლავს, აქ ორ-სამ დღეს შევისვენებთ, რადგანაც ურმიის ტბასთან გადახდილი ომის შემდეგ, რომელშიაც მწყალობელ შაჰს გაუმარჯვდა, დიდმა გზამ მეტად დაგვღალა და, თუ რაიმე გემეტება, აქ გვაახლე, ვინძლო მონატრებულ ძმასთან თავი არ შეირცხვინო და ისეთი პატივი სცე, როგორიც ჩვენი მბრძანებელი შაჰის სრული ნდობით აღჭურვილ პირს და ღვიძლ დედმამიშვილს ეკადრებაო.

მამის დაბრუნებაზე არანაკლებ ბატონიშვილი გიორგი თავისი მომდევნო ძმის, კონსტანტინეს მოსვლამ და შაჰის მოწყალე ნებართვით სამშობლოში დაბრუნებამ გაახარა.

გიორგი კონსტანტინეზე ორი წლით უფროსი იყო. კონსტანტინე რომ მძევლად შაჰის კარზე წაიყვანეს, ჯერ შვიდი წელიც არ შესრულებოდა. ბუნდოვნად ახსოვდა მისი სახე. ახლა ეს სახე სხვა ნაცნობ სახეებში ერეოდა და იგი ნათლად ვერ წარმოედგინა. როგორი იყო ამჟამად კონსტანტინე ბატონიშვილი, სპარსულად კონსტანტინე-მირზა, გაზრდილი, დავაჟკაცებული, გამაჰმადიანებული, შაჰ-აბასის კარზე სპარსულ წესზე გაწვრთნილი, იცნობდნენ თუ ვერა ღვიძლი ძმები ერთმანეთს, სადმე სხვაგან რომ შეხვედროდნენ?

აქამდე მდუმარე, თითქოსდა მგლოვიარე სასახლე, სატახტო ქალაქს კლდოვანი ქარაფიდან რომ გადმოჰყურებდა, სიხარულმა და ზეიმმა მოიცვა. კოშკზე სამეფო ალამი ასწიეს, ხოლო აივნებზე, სასახლეს სამი მხრიდან რომ უვლიდნენ გარს, ჭრელი ხალიჩები გადმოჰფინეს, რაც დღესასწაულებზე და რაიმე სასიხარულო ამბის შეტყობასთან დაკავშირებით ხდებოდა ხოლმე. ცნობა მეფისა და მისი ლაშქრის ზაგემს მოსვლის თაობაზე აქედან მთელ ქალაქში გავრცელდა და ახლომახლო დაბა-სოფლებს მოედო. ატყდა ზარების საზეიმო რეკვა. ყველა ეკლესია თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებოდა. გრემის საკრებულო საყდარში უამრავი ხალხი შეგროვდა და ღვთისადმი მადლის

შესაწირად, რომ ბატონი უვნებლად დაბრუნდა და აწ მისდამი მინდობილ ქვეყანას მოუვლიდა, სანთლებს ანთებდა.

ექვსი წლის იესე მამას, ბატონიშვილ გიორგის, მივარდა, გულზე აებლოტა და სიხარულისაგან თვალებაციმციმებული შეეხვეწა, ზაგემში მეც წამიყვანე, მამი, პაპასა და კონსტანტინე ძიას უნდა ჩავეხუტო, გამოცანები უნდა ვუთხრაო. უცნაურად აღელვებულმა გიორგიმ ბალღი ძირს ჩამოსვა და ცოლს, ასინეთს, უსაყვედურა, მომაშორეთ ეს ბიჭი, ხომ ხედავ, ამისათვის არა მცალია, ათასი საქმე და საზრუნავი მაქვსო.

— შენც დაპირდი, რომ წაიყვან და მოგეშვება. ხომ იცი მაგისი ამბავი, თუ რაიმე აიჩემა, მერე ვეღარ გადაათქმევინებ!

— ჰო, წაგიყვან, წაგიყვან, შვილო, ოღონდ ახლა მაცალე. ხომ იცი, პაპა გველოდება. იქნებ უსმელ-უქმელიც არიან. იქიდან აქამდე, იცი, რა დიდი მანძილია?

— ვაშაა!..

საკლავის მოსარეკად სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ კაცები აფრინა, სხვებს ხაბაზები და მზარეულები დააბარებინა, დააღო ბეღლები, სადაც ნარჩევი ხორბალი და ფქვილი ინახებოდა, თვითონ კი სირაჯებს დაადგა თავზე და სამეფო მარანში დაბეჭდილი ქვევრები გახსნა, თავი ღვინოები ამოაღებინა.

სასახლეში ჯარის ზუსტი რაოდენობა არ იცოდნენ, მეფე ალექსანდრე ამას არ იტყობინებოდა, რაც საქმეს საგრძნობლად აძნელებდა, მაგრამ ხსნის გზა ისევ თავიანთმა გულუხვობამ აპოვნინათ: წაეღოთ ორჯერ-სამჯერ მეტი, ვიდრე შეიძლებოდა დასჭირვებოდათ, სახორცე პირუტყვიც ვარაუდით მეტი წაერეკათ და იქ იმდენი დაეკლათ, რამდენსაც საქმე მოითხოვდა.

მოულოდნელად სასახლეში რუსხელმწიფის ელჩები მოვიდნენ და ტახტის გამგე ბატონიშვილ გიორგის დაუყოვნებლივ ნახვა მოინდომეს. გიორგის გაუკვირდა, როცა მესტუმრეთუხუცესმა ლუკა მაყაშვილმა მათი მობრძანება აუწყა და თანაც დასძინა, რომ ელჩები განმარტოებულ, საიდუმლო შეხვედრას ითხოვდნენ.

გიორგი ამ მოთხოვნამ კიდევ უფრო გააოცა და ლუკა მაყაშვილს ელჩები და მათი თარჯიმნები ლეონ კამენევი კარის ეკლესიის მომჯნავე პატარა სენაკში შეაყვანინა, სადაც წირვაზე გასელის წინ ბატონ მამას, მეფე ალექსანდრეს სჩვეოდა შეჩერება.

კუზმა ტატიშჩევმა ტერენტი ივანოვს გადახედა, თითქოს ნება აიღო, რომ მის მაგივრადაც ილაპარაკებდა და თარჯიმნის საშუალებით ბატონიშვილს ის ამბავი აუწყა, აქეთ მომავლებს ასტრახანში რომ შეეტყოთ და აქამდე არავისთვის გაეგზილათ.

ელჩების ჯერ კიდევ ასტრახანში ყოფნისას იქ თურმე დაბეჯითებით ლაპარაკობდნენ და ამტკიცებდნენ, რომ კახეთში დიდი უბედურება დატრიალდა: გასპარსებულმა ბატონიშვილმა კონსტანტინემ, მძევლად ნამყოფმა შაჰ-აბასის კარზე, იგივე კონსტანტინე-მირზამ, კახეთის ბატონის ნაბოლარა ძემ, ღვიძლი მამა და ძმა ყიზილბაშებს დაახოცვინა, რათა შაჰ-აბასის ბრძანების თანახმად ტახტს დაუფლებოდა, ახლა იქ სრული ქაოსი სუფევდა, სისხლის ტბა იდგა და ელჩებსაც აღარ ურჩევდნენ, საქართველოსაკენ გზა გაეგრძელებინათ.

ტატიშჩევი და ივანოვი მაინც წამოვიდნენ. იმიტომ კი არა, რომ დარხეული ხმებისა არა სჯეროდათ, წამოვიდნენ იმიტომ, რომ მომხდარი საკუთარი თვალით ეხილათ, რადგანაც ასჯერ გაგონილს ერთჯერ ნანახი ჯობს და თავიანთი ხელმწიფის კარისათვის გულდასმით შემოწმებული სანდო ცნობები მიეწოდებინათ.

ბატონიშვილ გიორგის სიცილად არ ეყო, გიო ასაბიშვილის საქმის შემდეგ მისდამი კეთილად განწყობილ ელჩებისაგან ეს ამბავი რომ მოისმინა. ისინი არაპირდაპირ, გადაკრულად აფრთხილებდნენ ტახტის გამგეს, მათი შეტყობით არცთუ ურიგო ყაძახს, რაც ღვთის განგებით აქამდე არ მომხდარა, ვაითუ აწი მოხდეს და სიფრთხილეს თავი არ სტკივაო.

— რას არ იტყვის კაცის ენა! — თქვა გიორგიმ უდარდელად და გაიღიმა. — ნუთუ ამის გამო შეწუხდით? მე კი მეგონა, ემზადებოდით. ბატონმა მამამ თქვენი აღმატებულებების ზაგემს მიყვანა ბრძანა.

— დიდად გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მზად ვართ, ეს მიწვევა, რასაც ამდენი თვეა ველოდებით, კმაყოფილებით მივიღოთ, მაგრამ თავი მაინც ვალდებულად ჩავთვალეთ, პირადად გხლებოდით და გაგვეფრთხილებინეთ. რისთვის მოვიდა აქ კონსტანტინე? რა მიზანი უნდა ჰქონდეს მის მობრძანებას? ხომ არ მოასწავებს ეს იმას, რომ, რაკი ურმიის ტბასთან თურქებს სძლია, შაჰმა ქართლ-კახეთის საბოლოოდ დაპყრობა-დამორჩილება გადაწყვიტა და ეს სისხლიანი საქმე თქვენი ბრწყინვალების გამაჰმადიანებული ძმის, კოსტანტინე-მირზას ხელით სურს გააკეთოს? ქართველები, ნუ მიწყენთ,

თქვენო ბრწყინვალებავ, და, ცოტა არ იყოს, თავქარიანები ხართ, ერთმანეთსაც და უცხოსაც ადვილად მიენდობით. ასევე ადვილად სწირავთ თანამოძმეს, როცა საჭიროდ მიიჩნევთ, და თავის გასამართლებლად ლამაზ-ლამაზ სიტყვებს მიართავთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ კონსტანტინე-მირზა მაჰმადიანია, შაჰის კარზეა გაზრდილი. შაჰმა მას არა მარტო უფლის ჩვენის, მაცხოვრის სიძულვილი, არამედ ქრისტესმოსავი სამშობლოს და თვით მშობელი მამის, ალექსანდრეს, სიძულვილი ჩაუნერგა. აკი მამამ გაიმეტა, ძმებში გამოარჩია და შაჰის კარზე მძეელად სწორედ ის წარგზავნა! ჩვენ თავს მოვალედ ვრაცხთ, ყველა ეს ჩვენი მოსაზრება დაუფარავად, ქვენა გრძნობის გარეშე მოგახსენოთ და თქვენს ბრწყინვალებას აუცილებელი სიფრთხილის გამოჩენისაკენ მოვუწოდოთ!

— ჩემმა მზემ, ძალიან დაუშინებიხართ ჩვენი ავის მოსურნეებს! აი, წამობრძანდებით და თქვენი თვალით იხილავთ, რომ საქმე სრულებითაც არ არის ისე, როგორც ჩვენს ავის მოსურნეებს სურთ წარმოიდგინონ!

— ნეტარ არიან მორწმუნენი!

ამ სიტყვების შემდეგ ნაჩქარევი დარბაზობა დამთავრდა, ელჩები ბატონიშვილს დიპლომატიური თავაზიანობის ყველა წესის დაცვით დაემშვიდობნენ, ყოველივე სიკეთე უსურვეს და ზაგემში გამგზავრებისათვის თადარიგის დასაჭერად სენაკიდან გავიდნენ.

თავი VI

მეფე ალექსანდრე, კახთა ლაშქარი და ყიზილბაშები ბანაკად სოფლის განაპირას, ტრიალ მნდორზე, მდინარის ასწვრივ დამდგარიყვნენ და კარვები დაეცათ. გრემიდან შემახისაკენ მიმავალ საქარავნო გზიდანვე მოჩანდა ეს ლასტისკედლებიანი მრგვალი კარვები, რომელთაც ყველა მხარეზე ერთნაირად დაქანებული ძაბრისებური სახურავი აგვირგვინებდა. კარვებს, ერთიმეორის უკან რამდენიმე მწკრივად რომ განელაგებინათ, სათვალავი არ ჰქონდათ. იფიქრებდი, შაჰაბასის მთელ უზარმაზარ ლაშქარს, ჯერ ერევანში, ხოლო შემდეგ ურმიის ტბასთან სისხლისმღვრელი ომები რომ გადაიხადა, ფეხი აუდგამს და ზაგემის ველზე დაბანაკებულაო.

კარვებს შორის დატოვებულ ფართო გასასვლელებში ჭრელი ლიანგი ირეოდა. ესენი უმთავრესად ყიზილბაშები იყვნენ, რომელთაც, როგორც ალის მიმდევარი მაჰმადიანთა წესია, თავზე წითელი ჩალმა ჰქონდათ შემოხვეული, ფეხზე ჭვინტებამოკაუჭებული დაბალყელიანი წაღები, ტანთ კი ზოლიანი, წელზე სარტყელშემოჭერილი გრძელი ხალათი ეცვათ. ამათგან ზოგიერთი შეიარაღებული იყო. რბილი ჩალმის მაგიერ თავზე თითბრის მუზარადი ეხურა, ტანს თითბრისავე სამკერდულიანი ჯაჭვის პერანგი უფარავდა, ფეხებს კი სახსარში გადაბმული საბარკლულები, რომელთა შუბით, ისრით თუ ხმლით გაკვეთა არცთუ იოლი საქმე გახლდათ.

მოყარაულე ყიზილბაშებს, ბანაკის შესასვლელში რომ იდგნენ და ყოველ შემსვლელ-გამომსვლელს, მათ შორის თავისიანთ, თვალს ფხიზლად ადევნებდნენ, ცალ მხარეზე მრგვალი ფარი ეკიდათ, ხელთ კი წვერწამახული გრძელი შუბი ეპყრათ.

მხოლოდ ახლო მისვლისას და ზედ წადგომისას გახდა საცნაური, რომ ეს თორნისებური ლასტის კარვები შიგნიდან საგულდაგულოდ მოფარდაგებული, რამდენიმე წყვილ ურმის თვალზე შეყენებული მოარული სახლები იყო სხვადასხვა ზომისა, რომლებიც ადგილიდან ადგილზე ჭაპანში გაბმულ აქლემებს, აღალის ჯიშიან ცხენებს ან ყვავარ ხარ-კამეჩს გადაჰყავდა. საგაზაფხულოდ ბალანატყავებული აქლემები იქვე იდგნენ, ოკრობოკრო თავები აეწიათ, ყველასა და ყველაფრის ზემოდან შორეთს სევდიანად გასცქეროდნენ, რაც, ალბათ, სპარსეთის უნაპირო უდაბნოებში შეძენილი ჩვევა იყო და ყურადღების ღირსადაც არ თვლიდნენ ნაპატიებ ხარებს და კამეჩებს, სოფლიდან მოტანილ თივასა და ნამჯას რომ მისეოდნენ და ფრთვინვითა და თვალების ბრიალით, ამხანაგმა ჩემზე მეტი არ შეჭამოსო, ხარბად ახრამუნებდნენ.

კახბატონ ალექსანდრეს და ძეს მისას კონსტანტინეს კახეთის მხრიდან ჭენებით მომავალი მხედართა რაზმი მდინარის ფონში ფეხის შემოდგმის უმალვე დაენახათ და ბანაკში შემოსვლისას დაბრკოლება არაფერი შეხვედეთო, მათ შესახვედრად მსუბუქად შეიარაღებული ცხენოსანი ყიზილბაშები გამოეგზავნათ.

მიუხედავად მათი უმაღლესი წოდებისა, მოსულთ შემოსასვლელში ცხენები და იარაღი ჩამოართვეს, მხოლოდ

სატევრები დაუტოვეს, ბატონიშვილი გიორგი, რუსთველი ეპისკოპოსი იოანე და მისი ძმა აბელ ანდრონიკაშვილი, აგრეთვე ხუთი სხვა კახელი თავადი რაზმისაგან გამოაცალ-კევეს, რაზმს აქვე დარჩენა უბრძანეს, ამათ კი, თითქოს დაპატიმრებული არიანო, გარს შემოერტყნენ და რუსხელმ-წიფის ელჩებთან და მათ თარჯიმანთან ერთად ბანაკში შეიყვანეს.

ბატონიშვილ გიორგის და მის თანმხლებთ ცოტა არ იყოს ეუცხოვათ ყიზილბაშთა ეს საქციელი. გიორგის რეჩხი უყო გულმა, ღმერთო, დიდებულო, სად გაგონილა, სამოყვროდ მოსული ხალხი ასე მიიღონო, მაგრამ წინ მამა და ძმა ეგულებოდა და საგონებელში ჩავარდნილს ნუგეშს ეს აძლევ-და.

გიორგის პატარა იესეც ახლდა. რაკი მამა ერთხელ შეიპირა, ბალღი გაჭირვეულდა, იქაურობა ტირილით აიკლო და აღარ მოისვენა, სანამ უცნაური წინათგრძნობით გულშეძ-რულმა ასინეთმა იესე არ გამოიყვანა და რუს ელჩებთან საუბრის შემდეგ შეფიქრიანებულ, უკვე ცხენზე ამხედრებულ ქმარს არ ჩააბარა.

ცხენოსნობაში უკვე გაწაფულ იესეს ცხენი მოართვეს, ზედ შესვეს, ხელში სადავე მისცეს და გზა დაულოცეს. ბავშვი სიხარულისაგან ცას ეწია. მთელი გზა ათამაშებდა და ყალყზე აყენებდა თავის იორლას, მამასა და მის მხლებლებს ხან წინ უსწრებდა, ხან უკან რჩებოდა.

— მამი, გამოცანებს ხომ მათქმევინებენ?

— როგორ არა, შვილო, კიდევაც გათქმევინებენ და კიდევაც დაგასაჩუქრებენ!

— მერე ძია კონსტანტინე რომ ვერ გაიგებს?

— რასა, შვილო?

— გამოცანებს!

— რატომ, შვილო, რატომ ვერ გაიგებს?

— ის ხომ სპარსელია?!

— სუ, ეგ არსად თქვა! ვინ გითხრა, სპარსელიაო?

— დედამ!

— სპარსელი კი არა, ეგეც ისეთივე ქართველია, როგორიც მე და შენ ვართ, ოღონდ სპარსეთში, შაჰ-აბასის კარზე გაიზარდა. სწორედ შენოდენა, ცოტათი უფროსი იყო, როცა წაიყვანეს და მას აქეთ იქ არის!

— რატომ მერე, მამი?

— რომ გაიზრდები და ჭკუა მოგემატება, მაგას მაშინ გაიგებ.

— ახლა მითხარი, გეხვეწები!

— ახლა მაგის დრო არა გვაქვს, იესე. ხომ ხედავ, გზას ვადგავართ. სადაცაა ზაგემიც გამოჩნდება!

მამა-შვილს პირველი კონსტანტინე-მირზა მოეგება.. ეს იყო ოცდაათ წელს მიტანებული, საშუალოზე საგრძნობლად მაღალი, ძვირფას სპარსულ ხალათში გამოწყობილი, თავზე ჩალმაშემოგრაგნილი ტანთხელი ვაჟკაცი, რომლის თეთრ პირისახეს ოდნავ წამოზრდილი წაბლისფერი წვერი და ღია ფერის დიდრონი, ოდნავ დამცინავი თვალები ამშვენებდა.

კონსტანტინე გამოცხადებული უფროსი ძმა, დავით მეფე იყო და ბატონიშვილი გიორგი ამან შეაძრწუნა. დედმამიშვილების ამაზე დიდ მსგავსებას კაცი ვერ წარმოიდგენდა.

კიდევ უფრო მოხუცებული, გამხდარი და განუწყვეტელი ლაშქრობებისაგან ქანცგამოლეული კახბატონი ალექსანდრე მის არყოფნაში გაზრდილ და დამძიმებულ შვილიშვილს ეალერსებოდა, გულში იკრავდა და ცრემლმორეული თვალს ადევნებდა, როგორ მოიკითხავდნენ და ეფერებოდნენ ერთმანეთს მტარვალის მიერ დაშორებული მისი შვილები.

ბოლოს, ძმური ალერსით რომ გული იჯერეს, გიორგი მამას მიეახლა, დაიჩოქა და მისი ღონეგამოლეული დამჭკნარი ხელი გულში ჩაიკრა, კონსტანტინემ კი დამორცხვებულ, განზე გამდგარ, ქართულ ჩოხა-ახალუხსა და წუღა-მესტებში გამოწყობილ ბიჭუნას დაადგა თვალი და ჰკითხა:

— შენ ვინა ხარ, პატარა კაცო?

— იესე!

— აქ ვინ მოგიყვანა?

— მამამ!

— ვინა არის შენი მამა?

— აი!

— მაშ, ჩემი ძმისწული ყოფილხარ! მოდი ახლოს, რა შორს დამდგარხარ! იცი, მე ვინა ვარ?

— ჩემი ძია!

— სახელი რა მქვია?

— ძია კონსტანტინე!

— ვინ გასწავლა, რომ ძია ვარ და კონსტანტინე მქვია?

— მამამ!

— ბიჭოს, ყველაფერი მამამ გასწავლა? შენც კარგი ბიჭი ყოფილხარ!

კონსტანტინე ბატონიშვილმა ბავშვი ხელში აიყვანა, სირცხვილისაგან ალმურმოდებული ნაზი ლოყა თავისი ჩხვლეტია წვერით დაუსუსხა და მამასთან საუბარში გართულ ძმას მიმართა:

— რამდენი გყავს, გიორგი?

— სამი, ჩემო კონსტანტინე. ეს ნაბოლარა გახლავს, თანაც...

— სპარსული იცი, იესე?

— არა!

— რატომ მერე?

— არ მასწავლეს!

— გიორგი!

— ბატონო!

— სპარსული რად არ ასწავლეთ ბალღს?

— მაგისთვის ვინ-ღა მოიცალა, საყვარელო ძმაო. სასთუმალზე თავის წადების დრო არა გვაქვს. როდის ვინ დაგეცემა და გაგატიალებს, მარტო ღმერთმა იცის!

— მაგას ვერ მოგიწონებ! — თქვა პასუხით აშკარად უკმაყოფილო კონსტანტინემ და ნეტარებისაგან განაბული ბავშვი ძირს ჩამოსვა. — ამის ტოლა რომ ვიყავი, სპარსულს ქართულზე უკეთ ვლაპარაკობდი. გამომადგა კიდევაც. როგორა გგონია, არ გამომადგა? დღეს, ვატყობ, სხვაგან გაგირბით თვალი, — მან მზერა რუსის ელჩებისაკენ გააპარა, რომელთაც კახბატონი თარჯიმნის საშუალებით ესაუბრებოდა. — სხვა მფარველს ეძებთ, მამა-პაპის მიერ გატკეპნილი გზიდან გადახვევას აპირებთ! არ გამოვა ეგ აგრე, გიორგი. გირჩევთ, იმავე გზით იაროთ, რომელი გზითაც აქამდე ჩვენს მამა-პაპას უვლია!

— კონსტანტინე, შვილო, — მეფეს თვალი და ყური აქეთ ჰქონდა, მოესმა გამაჰმადიანებული ძის ხმამაღალი ლაპარაკი, ელჩებს წუთით თავი დაანება და მას მამაშვილური ლმობიერებით მიმართა: — რა დროს ჩხუბია! ამდენი ხნის უნახავი ღვიძლი ძმები ერთმანეთს პირველად შეხვდით. ღვთის მადლით, დრო წინაა, ჩხუბსაც მოასწრებთ და შერიგებასაც, ახლა კი უმჯობესია, ყველას ბინა მივუჩინოთ, მცირედ ეისამბროთ და დავისვენოთ. რას იტყვი, შვილო, გიორგი?

— არაფერს, მამავ-ბატონო, — კრძალვით მიუგო გამაჰმადიანებული ძმის უეცარი აპილპილებით შეცბუნებულმა ბატონიშვილმა. — თუ კარვებს გაგვაშლეევინებთ და მოგვასვენებთ, მაგას რაღა აჯობებს!

— პურმარილის საქმე როგორ?

— კარგად, მამავ-ბატონო. ყველაფერი გზაშია. ურმები სახორცე ნახირთან ერთად მოდის. ჩვენ გულმა აღარ მოგვითმინა და წინ გამოვასწარით!

— ამ შუა დიდმარხვაში ხორცით გინდა გაგვიმასპინძლდე და სული წაგვიწყმიდო?

— თქვენთვის და ჩვენიანებისთვის სამარხვო მოგვაქვს, ბატონო, ყიზილბაშები ხორცს მოითხოვენ და თავზე საყრელიც ექნებათ. რძლებმა, ქეთევანმა და ასინეთმა მოკითხვა დამბარეს თქვენთან და კონსტანტინესთან. წუხან, ასე შორს რომ ვერ წამოვიდნენ შესაგებებლად. ორივე მოუთმენლად გელით სასახლეში!

— მადლობა, შვილო, გიორგი, კარგად მიმყოფოს მათი თავი. ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ საღსალამათი დამხვდით, როგორც დაგტოვეთ-კე და ახალი სატირალი არ გამიჩინეთ!

— ქეთევანი ბალღების ამბავს ელის, ბატონო მამავ!

— თეიმურაზი, ენაცვალოს პაპა, შაჰმა მოწყალედ მიიღო. მოეწონა. მადლობა მითხრა, ე რა კარგი შვილიშვილი გაგიზრდიაო. გვერდიდან არ იშორებს, ყველგან თან დაჰყავს. ოსტატები მიუჩინა. სპარსეთის ძველ ისტორიას, სიტყვიერებას და სიბრძნის სხვა დარგებს ასწავლიან. თუ ღმერთმა ინება და დღე მისცა, დიდად განსწავლული კაცი დაგვიბრუნდება!

— ელენე?

— მე აღარ მაჩვენეს, შვილო. ჯულფიდანვე ისპაჰანს წაეყვანათ. რა გაეწყობა, ეს ყოფილა ჩვენი ბედი და უნდა დავმორჩილდეთ!

— არ მეგონა, მამაჩემო, თუ ბედს ემდუროდი, — მამა-შვილის ნაღვლიან საუბარში კონსტანტინე ბატონიშვილი ჩაერია. — ყველა სამეფო გვარის ქალს შაპი სპარსეთის დედოფლად აცხადებს. განა მცირე პატივია ერთ ციცქნა კახეთისათვის, თუნდაც მთელი გურჯისტანისათვის, რომ მისი ასული დედოფლად უზის ირანის ლომს, ცათა სწორ შაჰ-აბასს?

ჩაცვენილ ლაწვებზე ალექსანდრეს ფერმა გადაჰკრა. უმცროსი ძის მიერ გამოთქმული ბატონყაცური საყვედური აშკარად უადგილო იყო და მის ისედაც დათუთქულ გულს დამწვარზე მდულარეს ასხამდა. რაიმე საწინააღმდეგო სიტყვის თქმა ახალ უკმაყოფილებას, ჩხუბს გამოიწვევდა, რისკენაც კონსტანტინე დაუფარავად მიილტვოდა და ისევ წყენის ჩაყლაპვა და გაჩუმება არჩია.

თავი VII

მალალი ვახშმობა გადასული იყო, ნუზლით დატვირთული ურმების ქარავანი და სახორცე ნახირი რომ მდინარეში ყვირილითა და გამამხნევებელი შეძახილებით გამოვიდა და წყალგამოლმა, ბანაკსა და მდინარეს შუა, რიყეზე დადგა. ურმებს და ნახირს, სულ ცოტა, ორასიოდე კაცი მაინც მოჰყვა. ესენი მეურმეები, მეჯოგეები, ყასბები, მზარეულები, მეპურეები, მეთულუხჩეები და სხვანი და სხვანი იყვნენ, რომელთაც, თანახმად უზენაესი განკარგულებისა, სპარსელ-ქართველთა გაერთიანებული ლაშქარი უნდა დაეპურებინათ და ამავე მოვალეობის აღსასრულებლად იქ ხლებოდნენ, საითაც იგი პირს იზამდა.

ბატონიშვილი გიორგი და მისი თანმხლები კახელი თავადები ბანაკიდან ადევნებდნენ თვალს მდინარეში ჩამდგარ თავისიანებს და დაძმარებულნი ერთმანეთსაც ვერ უმხელდნენ, რომ განსაცდელში იყვნენ ჩავარდნილი და მამაზეციერისათვის თავის ტოლა სანთლები უნდა დაენთოთ, თუკი აქედან უვნებელი გავიდოდნენ.

გიორგის თვალთაგან აღარ შორდებოდა თავისი მაჰმადიანი ძმის თვალები, როცა ის ახალი მფარველის ძებნასა და წინაპრების მიერ გატკეპნილი გზის ერთგულებაზე ლაპარაკობდა. იგი ახლა გრძნობდა, გულისგულში ღრმად ჩაბუდებული ალლო კარნახობდა, რომ ამ თავმომწონე, ბედის ნებიერი კაცისაგან ყველა სიავე მოსალოდნელი იყო. ისლამსა და მტრის ბუნაგში გატარებულ ყმაწვილკაცობას თავისი გაეტანა. რას მოასწავებდა ნეტავ ასტრახანში ჯერ კიდევ გასულ შემოდგომაზე დაყრილი ჭორი, ვინ გააკრცელა იგი, რა მიზნით და როდის?

ერთადერთ იმედს გიორგი ახლა მამაზე ამყარებდა. ის ხომ აქ იყო, მათ გვერდით და, როგორც შაჰის ერთგული თანამდგომი, განუსაზღვრელი უფლებით სარგებლობდა! მაჰმადიან კონსტანტინე-მირზას, ყაენის მარჯვენა ხელს, ძალიანაც რომ მოენდომებინა, არ შეეძლო მამის უნებური ნაბიჯი გადაედგა, ვინაიდან ეს ირანის თვითმპყრობელის უკმაყოფილებასა და რისხვას გამოიწვევდა!

ამ უკანასკნელმა ფიქრმა გიორგი თითქოს დაამშვიდა და კიდევაც დაარწმუნა, რომ საფრთხე არაფერი ემუქრებოდათ, მაგრამ როდესაც გაახსენდა, რომ ისიც და მისი მხლებლებიც იარაღაყრილი იყვნენ, ცეცხლი ხელახლა შემოენთო და მოსვენება მთლად დაუკარგა.

პირველი, ვინც დილაადრიან მოაკითხა, რუსი ელჩების თარჯიმანი და მრჩეველი ლეონ კამენევი იყო. ელჩები და თავის მხრივ კამენევიც შეშფოთებას გამოთქვამდნენ ყიზილბაშთა სამხედრო ბანაკში მათი ყოფნის გამო და ტახტის გამგე ბატონიშვილს ეკითხებოდნენ, რას გვირჩევთ, როგორ მოვიქცეთო. კამენევს არ გაუმხელია, რომ წუხელ, ნავახშმევს, ის თავისმა უფროსებმა კონსტანტინე-მირზასთან მიაგზავნეს, ვინაიდან მდგომარეობის ბატონ-პატრონად სწორედ მას თვლიდნენ და თავიანთი მისიის უწყინარობა რომ დაემტკიცებინათ და კახეთის მესვეურთა ზურგსუკან მასთან ფარული კავშირი აეხსნათ, კახეთში თავიანთი ჩამოსვლის მიზანი შეატყობინეს და სთხოვეს, ეშუამდგომლა შაჰ-აბასთან, რათა მას დავით მეფის შვილები — პრინცი თეიმურაზი და პრინცესა ელენე სამშობლოში დაებრუნებინა, რის სანაცვლოდაც რუსეთის ხელმწიფე ბორის გოდუნოვის სამუდამო კეთილ განწყობილებას ჰპირდებოდნენ.

მირზამ დახმარება აღუთქვა, თუმცა აშკარად ემჩნეოდა, რომ ამ საქმის სასარგებლოდ თითსაც არ გაანძრევდა, მაგრამ მთავარი ეს როდი იყო, მთავარი ის იყო, რომ რუსის ელჩები კახეთის სამეფო სახლს გამოცალკევებოდნენ და ამ ურჯულო ავაზაკის წინაშე პასუხი მათთან ერთად არ ეგოთ.

ელჩების მიერ შემონათვალი, ლეონ კამენევმა რომ მოიტანა, მარტოოდენ შეკითხვა არ იყო. დესპანები თავიანთ გულისწყრომას გამოსთქვამდნენ და ზედმეტად მიმნდობ, მალემრწმენ ბატონიშვილს უსაყვედურებდნენ, მათ მეგობრული რჩევას რომ ყური არ ათხოვა, მტრის მიერ ვერაგულად

დაგებულ მახეში გაება და სხვებიც არასახარბიელო მდგომარეობაში ჩააყენა.

გიორგიმ თარჯიმანს გადაჭრილი პასუხი ვერ უთხრა, მხოლოდ ის აღნიშნა, რომ მისი უფლებამოსილება კახეთის ტახტის გამგისა უკვე ამოწურული იყო, რადგანაც თვით მეფე ალექსანდრე აქ ბრძანდებოდა და მათ აღმატებულება ელჩებსაც შეკითხვით მისთვის უნდა მიემართათ.

ისე მოდღეევდა და მზემაც შუბისტარზე ისე აიწია, რომ არც კახბატონ ალექსანდრეს და არც კონსტანტინე-მირზას მხრიდან ბაიბური არ ისმოდა.

მდინარის პირას, რიყეზე, სადაც მთელ ღამეს კოცონები ენთო და გალმა-გამოლმა მხარეს დღესავით ანათებდა, ახლა მხოლოდ მქრქალი კვამლი ხრჩოლავდა. მზარეულებს თავიანთი საქმე მოეთავებინათ და ასეულებსა და ათასეულებში დილის იჯრის ჩამორიგება თვით ყიზილბაშებისათვის გადაელოცათ.

მეცხრე საათი დაწყებული იყო, ბატონიშვილი გიორგი და მისი თანმხლები პირები მეფის კარავში საუზმეზე რომ მიიწვიეს. ის სულ ახლოს აღმოჩნდა, აქედან მეოთხე თუ მეხუთე კარავი იყო, მაგრამ თავგზააბნეულ გიორგის, ეს რა ვქენ, ბალღი მაინც არ წამომეყვანაო, წუხელ არ შეუმჩნევია.

საუზმეზე რუსი ელჩები არ დახვედრიათ და არც შემდეგ მოსულან. მათთვის საუზმე მათსავე კარავში გაეგზავნათ. სამაგიეროდ, გარდა კახბატონ ალექსანდრესა და კონსტანტინე ბატონიშვილისა, რომლებიც შელაპარაკებული და ნახევრად მომდურავი ჩანდნენ, აგრეთვე პატარა იესესი, საყვარელ პაპასათვის კალთაში ხელი რომ ჩაევლო და წუხანდელს აქეთ გვერდიდან აღარ შორდებოდა, სპარსული ხალიჩებით მორთულ-მოფარდაგებულ ფართო კარავში სამი სპარსელი სარდალი დაუხვდათ. სამივე აბრეშუმის ალისფერი ჩალმითა და ამავე ფერის მოსასხამით იქცევდა ყურადღებას. ჩალმის კუწუბოში ფარშევანგის ფრთაგაჩრილი სარდლები, როგორც შინაური, სასურველი მეგობრები და კეთილისმყოფლები, კონსტანტინემ გიორგის წარუდგინა და მათაც გულზე ხელის მიდებით, აღმოსავლური თავაზით დაუკრეს თავი კახელ ბატონიშვილს, შემდეგ მღვდელმთავარს და თავადებსაც მიესალმნენ და მუთაქებს შუა გაშლილი სუფრის გარშემო ხალიჩაზე მოიკეცეს.

ბატონიშვილმა გიორგიმ შენიშნა და ყურადღება მიაქცია, რომ სპარსელი სარდლები უიარაღოდ იყვნენ. იარაღი კახბა-

ტონ ალექსანდრესა და მის ვაჟიშვილ კონსტანტინე-მირზასაც აეკარა, ეს კი იმას მოასწავებდა, რომ მასპინძლები ძველქართულ თუ ძველაღმოსავლურ წეს-ჩვეულებას პირნათლად იცავდნენ და მოყვრულ სუფრასთან უიარაღო სხდომას თავიანთი მშვიდობიანი ზრახვების გამოხატულებად თვლიდნენ.

თანამეინახეთა დასხდომის უმალვე ქაშანური თიხის სინებით ფლავი, ცხვრის ცხელ-ცხელი მწვადები და მდუღარიდან წუთის წინ ამოყრილი, ოხშივარდადგმული ხაშლამა შემოიტანეს. გაჩნდა სხვადასხვა საწებელიც. სუფრის მომსახურე დერვიშებმა ქართველთ სამეფო მარანში ჩამოსხმული ნაფარეულის ღვინო და სამარხვო კერძები მოართვეს. მათ შორის გამონაკლისი იყო მხოლოდ კონსტანტინე ბატონიშვილი, რომელსაც მაჰმადის რჯული ღვინის დალევას უკრძალავდა და სპარსელ სარდლებთან ერთად, როგორც ჰეშმარიტ მუსულმანს შეეფერის, ჭაში საგანგებოდ ჩაცინებულ შარბათს შეექცეოდა.

ვიდრე პირველ ლუკმას პირში ჩაიდებდა, კახბატონმა ალექსანდრემ მეუფე იოანეს ანიშნა, სუფრა გვიკურთხეო და ეპისკოპოსმაც სიამოვნებით აღასრულა ბრძანება, სუფრა ყველა წესისა და რიგის მიხედვით აკურთხა, რასაც ამავე სუფრის გარშემო მსხდომი მაჰმადიანები არაფრით აღუშფოთებია, მხოლოდ თავი ჩალუნეს და არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ არც ეპისკოპოსს და არც დანარჩენ ქრისტიანებს, რომლებმაც საეალდებულო ლოცვა თავისთვის ჩაიბუტბუტეს, პირჯვარი გადაისახეს და მოშიებულები მადის აღმძვრელ პურმარილს მხოლოდ ამის შემდეგ მისწვდნენ.

ალექსანდრემ ჯერ შვილიშვილს გადმოუღო, ფრიალა თეფში წინ დაუდგა, იესემ შოთის ყუა თვით დაითრია და გამგელებული ეცა საჭმელს.

— ცოტა გვერდზე ჩაიწიე, შვილო, — უსაყვედურა ბავშვს გიორგიმ. — პაპას აწუხებ!..

— იყოს, გიორგი, რას ერჩი, — გამოესარჩლა სულზე უტკბეს შვილიშვილს მეფე ალექსანდრე. — იესე მე როგორ შემაწუხებს, ნეტავი თქვენ არ მაწუხებდეთ!

ეს უწყინარი, ნახევრად ალერსით წარმოთქმული სიტყვები, რომლებითაც ალექსანდრეს პატარა შვილიშვილის სიამოვნება უნდოდა და არავითარ სხვა ფარულ აზრს არ შეიცავდა, საბედისწერო აღმოჩნდა. თითქოს ბუჩქსუკან ჩა-

საფრებული იყო და ამის გაგონებას-ღა ელოდაო, კონსტანტინემ მამას მკვახედ მიმართა:

— ვინ ჩვენ, მეფეო, ვინ ჩვენ გაწუხებთ, კენჭებს ჩემს ბალჩაში ისვრით?

— არა, შვილო, — ალექსანდრე გულწრფელად შეწუხდა. — შენ არ მომიკვდე, ისე ვთქვი, გავიხუმრე, როგორ ვიფიქრებდი, შენს თავზე მიიღებდი და საწყენად დაგრჩებოდა!

— ის როგორ იყო, წუხელ რუსის ელჩები რომ მომიგზავნე?

— არაფერი ვიცი, ამის თავს გეფიცები! — ალექსანდრემ თავზე ხელი დაადო იესეს, რომელსაც ლუკმა ყელში გაეხირა და ირიბად ჩამსხდარი ნუშისებური თვალები, დედის თვალებს რომ მიუგავდა, ცრემლით აევსო.

— იქნებ არც ის მოგეხსენება, რომ რუსეთის ხელმწიფე ბორის გოდუნოვი შვილიშვილებს გთხოვს მძეულად. თეიმურაზი ვითომ სიძედ უნდა, ელენე — რძლად!

— არაფერი ვიცი, შვილო, გამიწყრეს ამის მადლი! — ალექსანდრემ პურის ლუკმა აიღო და ისევ დასდო.

— შვილო! ახლა ვარ შვილი?

— შენ ყოველთვის ჩემი შვილი იყავი!

— მაშინაც, როცა გამიმეტე, ძმებში გამომარჩიე და შენი მტრის ბანაკში მძეულად გამგზავნე?

— დიდი ცოდვა მაწევს, კონსტანტინე, მაგრამ შეხედე შენს ღმერთს, მქონდა სხვა გზა, რომ არ გამეგზავნე? მაშინ ქვეყანა უნდა გამეწირა, მტრისთვის ასაკლებად მიმეცა! ქვეყნის აკლებას, ერის გადაშენებას, ათასობით უდანაშაულო მსხვერპლს ღვიძლი შვილის გულიდან მოგლეჯა ვარჩიე. შენ კი ასე არ მოიქცეოდი, ჩემს ადგილზე რომ ყოფილიყავი?

— რაღა მაინც და მაინც მე, სხვა შვილი არ გყავდა?

— მყავდა, როგორ არა, მაგრამ დაკითი შენი უფროსი ძმა, ქართული სჯულდების თანახმად, ტახტის მემკვიდრე იყო. გიორგი ავადმყოფობდა. შაჰმა დამიწუნა. მოსაველელი და საპატრონო მე ჩემი თავი მძულსო.

— რა მოხდა, ბატონო? — გიორგი ხედავდა, რომ კონსტანტინე მეტისმეტად გალიზიანებული იყო, რადგანაც მამასთან უსიამოვნო შელაპარაკება მოსვლოდა, მძეულად გამწესებასაც სწორედ იმის გამო იხსენებდა, რომ მამა საბოლოოდ დაედანაშაულებინა და მისთვის სასურველი გადაწყვეტილების გამოძალვის მიზნით კუთხეში მიემწყვდია.

მისი ჩარევა ამ უსიამოვნებას კიდევ უფრო გააღრმავებდა, მაგრამ ჩაურევლობაც უხერხულად ჩათვალა და ალექსანდრეს მოიარებით მიმართა.

— ვითომც არ იცის! — კონსტანტინეს თვალებში დაუფარავმა ზიზღმა და რისხვამ გაიელვა. — ვითომც წინასწარ არ იყოთ მოლაპარაკებული!

ბატონიშვილ გიორგის პირზე ღიმილი გაუქრა.

— მე არაფერიც არ ვიცი, კონსტანტინე, ძმაო. ანდა როდის უნდა მოგველაპარაკა, როდესაც შენც და მამასაც ამდენი ხნის შემდეგ პირველად გხედავთ. რატომ ინებებ, აგრე უდიერად მოგვმართო ან მე, ან ბატონ მამას, მის ჭაღარას მაინც ეცი პატივი!

— ბებერ მელას შენი გამოსარჩლება სჭირდება?

— ბოლოს და ბოლოს, მე მინდა ვიცოდე, რაზეა ლაპარაკი! მაქვს ამის უფლება?

—გითხრას, რად დადუმებულა და არაფერს გეუბნება!

— აკი ვთქვი, ახლა ამის დრო არ არის-მეთქი? — წაილაპარაკა ალექსანდრემ და მარცხენა ხელი, რომელიც ბავშვისათვის კისერზე ჰქონდა გადახვეული, ძირს ჩამოიღო. იესე იმავ წამს წამოხტა და უზომოდ შეწუხებული, თვალებზე ცრემლმომდგარი, რომ მისი სათაყვანო ადამიანები ისევ წაიჩხუბნენ და ერთმანეთს საწყენ სიტყვებს ეუბნებოდნენ, მამას მიეტუზა. — ორი დღე მაცალე, მოვიფიქრებ, დარბაზის ერს რჩევას ეკითხავ და პასუხს მოგცემ, მეტი რაღა გინდა!

— მაგ პასუხით შეიყოლიებდი ცათა სწორ შაჰს, ახლა რომ მის წინაშე იყო დაჩოქილი?

— შენ ხომ შაჰი არა ხარ, კონსტანტინე, შენ ხომ შვილი ხარ ჩემი, მართალია, სხვის კალთაში გაზრდილი, მაგრამ მაინც ჩემი სისხლი და ხორცი! დამშვიდდი, რა გემართება. ნუთუ ისე გძულვართ ყველა, რომ უცოდველ ბალღსაც არ ერიდები და შენი თანამებრძოლების თვალწინ მეფე-მამას მიწასთან მასწორებ? მიფრთხილდი, თავს ნუ დამაწყევლინებ! ერთიც დაეწყევლე მე უბედურმა და მერე თავში საცემი გამიხდა!

— მე გიფრთხილდე, მე?

კონსტანტინე გაფითრდა. თეთრყირმიზა სახეზე ზაფრანისფერი დაედო. შვილი რომ ამ დღეში დაინახა, ალექსანდრეს სიკვდილის სარეცელზე გაშოტილი, სამუდამოდ ხმაგაკმენდილი დავითი წარმოუდგა, შიშმა შეიპყრო, არ დაეილუპო, ჩემი მიზეზით ამასაც არაფერი დაემართოსო და წამოდგა, კარს

მიმართა, ჩამოშვებული მძიმე ფარდა ასწია და არეული ნაბიჯით გარეთ გავიდა. წამოდგნენ სხვებიც, მაგრამ გარეთ გასელა, მეფის გაყოლა ვერავინ გაბედა.

ბატონიშვილ გიორგის ქვედა ყბა უკანკალებდა. ასე შეურაცხყოფილი და ფეხქვეშ გათელილი მამა მას ჯერ არ ენახა. ახლა ის მტერმორეული უმწეო მოხუცი იყო. ხელის გამოღებისა და საკუთარი მეფური ღირსების დაცვის უნარი უკვე აღარ შესწევდა.

— კონსტანტინე, — მიმართა გიორგიმ ძმას. — გთხოვ, გაგვიმხილო, რით არის გამოწვეული შენი ესოდენი განრისხება. ზენაარს ვფიცავ, ვფიცავ წმიდა ზიარებას, ამ ბალღის სიცოცხლეს, სულ ტყუილად ბგონია, რომ მე და ჩვენმა ბატონმა მამამ წინასწარ რაღაც მოვილაპარაკეთ და შენს წინააღმდეგ პირი შევკარით. იცოდეს მაღალმა ღმერთმა, ჩვენ შენთან დასამალი არაფერი გვაქვს! ვფიცავ დედის სულს, რომელიც შენი დედაც იყო, რომ მე არაფერი ვიცი, რა მოხდა თქვენ ორს შორის წუხელ ან მანამდე, რამ გამოიწვია თქვენი ესოდენი უთანხმოება. რაკი არ დაგიშლია და დაუყოვნებლივ პასუხს მოითხოვ, ბრძანე და მე გავწევ შუამდგომლობას ბატონ მამასთან. შენი ხმალი და ჩემი კისერი!

— ვფიცავ ალაჰს, შენგან სხვა სიტყვას არც მოველოდი, — უფროსი ძმის დარბაისლურმა თავშეკავებამ და გონივრულმა, აწონილ-დაწონილმა მსჯელობამ კონსტანტინე როგორღაც მოალბო, მან კილო შეცვალა. — მე აქ დიდებული შაჰის ნებით და ბრძანებით ვარ!

— ეხედავ, ძმაო!

— თან ხუთი ათასი ყიზილბაშისაგან შემდგარი ჯარი მახლავს!

— ღმერთმა გიმრავლოს!

— ნაბრძანებია, ამ ჯარით შემახაზე წავიდე, იქიდან ოსმალები გამოვდევნო და შირვანი მთლიანად დავიკავო. შაჰმა შირვანის ბეგლარბეგობა მიბოძა. მე და შენ მეზობლები ვიქნებით და ერთმანეთს მხარს მივცემთ!

— ღმერთმა გისმინოს, კონსტანტინე! რა იქნება ამისთვის საჭირო? — ბატონიშვილი გიორგი მიხვდა, მის გამაჰმადიანებულ ძმას ტახტის კანონიერი მემკვიდრის, ბატონიშვილ თეიმურაზის ბედი გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა და თანადგომის საზღაურად კახეთის ტახტს სთავაზობდა.

— ერთი ამოდენა ჯარი შენ უნდა შეჰყარო კახეთის სამეფოში, გვერდში ძმურად ამომიდგე და შირვანში გამომყევ!

— შემახასთან ჩვენ ზავი გვაქვს, კონსტანტინე, ერთმანეთს კეთილმეზობლურად ვექცევით.

— ეგ არაფერს ნიშნავს! — კონსტანტინეს თვალებში ისევ იელვა რისხვისა და შურისძიების ცეცხლმა. — ზავი იმისთვის იდება, რომ ბოლოს დაირღვეს!

— სულთანს ვერ მოვიმდურებთ და ვერ გადავიკიდებთ, კონსტანტინე, ზურგში მუხანათურად ხანჯალს ვერ ჩავცემთ. ჩვენ ქრისტიანები ვართ. არ მოგვდგამს ზნით. გაფიცებ დედის სულს, ნუ გვაიძულებ!

— მაშ, ეგ არის შენი პასუხი? გიაურო! რუსის ელჩები რისთვის გისხედან აქ? ქსელებს აბამ, დიდებულ შაჰს, ირანის მზეს სულთანზე და გიაურ რუსხელმწიფეზე სცვლი?

— შამხალი გვაწუხებს, ლეკები მოსვენებას არ გვაძლევენ, დღე ერთია და თავს ათჯერ გვესხმიან. გალარიბდა ქვეყანა, ერს ერთი მშვიდობიანი წუთი ენატრება! რუსეთის კურთხეული ხელმწიფე რეგულის ჯარის მოშველებას გვპირდება. ამ გაზაფხულზე, თუ ღმერთმა გაგვიმართლა, ჩვენც უნდა გავიდეთ და შამხალს სამხრეთი საზღვარი შევუკრათ!

— მაშ, რუსხელმწიფე ჯარის მოშველებას გპირდება? ალაჰის მადლმა, მაგას ვერ მოესწრები! მოკვდი, მოღალატევ!

აქამდე უიარაღო კონსტანტინე ბატონიშვილმა საიდანღაც ალმასივით მოელვარე იატაგანი იძრო, ზეზე წამოვარდა, გიორგის ელვის უსწრაფესად მოუქნია და სანამ სრულიად მოულოდნელი შემოტევით შეძრწუნებული ძმა ადგომას მოასწრებდა და ხელში სწვდებოდა, რათა მახვილი აეკიდინა, მისი ჯერ კიდევ ცოცხალი თავი ხალიჩაზე გაგორდა. მეორე დარტყმით კონსტანტინემ შუაზე გასხიპა მუხლებზე დაცემული და ხელებაპყრობილი რუსთველი ეპისკოპოსი იოანე და სხვა უიარაღო კახელ თავადებს მიუბრუნდა, რომლებიც ამაოდ ლამობდნენ მის გაკავებას, ხელიდან იატაგანის გაგდებინებას.

კონსტანტინეს შეძახილი, მოკვდი, მოღალატეო, წინასწარ დათქმული ნიშანი აღმოჩნდა. გარედან საგანგებოდ ჩასაფრებული, შუბმოღერებული ყიზილბაშები შემოცვივდნენ, მათ სპარსელმა სარდლებმაც მისცეს მხარი და ყველა ერთად იარაღაყრილ თავადებს დაერივნენ.

ოთხი მათგანი უკვე სისხლში ცურავდა, როცა კარავში ატეხილ ხმაურზე, რაშიაც ბალღის გულისმომწველი წივილი

იკვეთებოდა, კახბატონი ალექსანდრე შემოვარდა. თავადთაგან მხოლოდ ერთადერთი, რუსთველი ეპისკოპოსის ძმა, აბელ ანდრონიკაშვილი იბრძოდა შიშველი ხელებით, დამიზნებულ შუბებს გამოცდილი მეომრის სიმარჯვით იგერიებდა და სანახაობისაგან თავზარდაცემულ ბატონისაკენ მოიწევდა.

— თავს უშველე, მეფეო, ღალატია!..

მაგრამ თავის შველა, მით უფრო შვილიშვილის გადარჩენა ალექსანდრეს უკვე აღარ შეეძლო. კონსტანტინე ბატონიშვილის სისხლიანი იატაგანი მასაც მისწვდა და ჭაღარა თავი ერთი მოქნევით ტანს მოაცილა, აბელ ანდრონიკაშვილისათვის კი ეს სიტყვები უკანასკნელი გამოდგა. მას ზურგში დასცეს შუბი და განგმირეს.

— ძია, შენი ჭირიმე, კონსტანტინე ძია, მე ნუ მომკლავ, მე ნუ, გეხვეწები!.. მე ნუ!.. გეხვეწები, ძია!..

— გველის წიწილო! გაიზრდები და შენც ჩემი მტერი გახდები! მიდი, მიეწიე სულძაღლ მამაშენს!.. — ამდენი უბრალო სისხლის დათხევით გამძვინვარებულმა კონსტანტინემ იატაგანი გამეტებულად მოიქნია და ბავშვის მუდარაც იმავე წამს შეწყდა, პატარა იესეს სისხლიც წვრილ ნაკადულად შეერთო იმ სისხლს, ხალიჩაზე ტბად რომ დამდგარიყო და, თითქოს მდუღარეაო, ჯერ კიდევ ორთქლი ასდიოდა.

თავი VIII

გრემსა და მეფის სასახლეში მხოლოდ მომდევნო დილას მოაღწია ზაგემში დატრიალებული ცოდვისკითხვის გულშემზარავმა ამბავმა. იგი მამა-შვილმა, ჭიკაანელმა მწყემსებმა მოიტანეს, რომელთაც ცხვარი ჰყოლოდათ იმ ადგილებში და ამბავი ლტოლვილი, ნახევრად ჭკუიდან გადასული ზაგემელი დიაკვნისაგან შეეტყოთ. მწყემსებს დიდი წვალება გადახდენოდათ, სანამ შერყეული ღვთის მსახურისაგან რაიმეს ხეირიანად გაიგებდნენ და როდესაც გაიგეს, არ დაიჯერეს, ყურში არ შეუშვეს, იგი ავადმყოფი სულის ნაბოდვარად ჩათვალეს. მალე წყლის პირი სოფლიდან აყრილ და დედაბუდიანა უგზოუკელოდ გამოქცეულ ხალხს აევსო. დიდსა და პატარას პირზე სიტყვა "ღალატი" ეკერა და ერთსა და იმავეს იმეორებდა. თავს დატეხილ გაუგონარ უბედურებისაგან ჭკუაზე შემცდარი დიაკვნის ნაუბარი სრული სიმართლე გამოდგა.

მწყემსებს მაშინვე შეეკაზმათ ცხენები, ცხვარი უპატრონოდ, ძალლების ანაბარა დაეგდოთ და პირი აქეთ ექნათ, რათა სატახტო ქალაქში ურჯულო მტრის მოსვლის ამბავი მოეტანათ და უამისოდაც ჯავრით გულშემოყრილ ქეთევანისათვის გვირგვინოსანი მამამთილისა და მაზლი გიორგის უღეთოდ დაღუპვა ემცნოთ.

სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ, მესტუმრეთუხუცესმა ლუკა მაყაშვილმა და ბოქაულთუხუცესმა დავით ჯანდიერმა, რომლებიც უკანასკნელ თადარიგს სწევდნენ და სასახლეს მეფე-ბატონთან შესახვედრად ამზადებდნენ, ჯერ კიდევ ჭიკანელი მწყემსების მოსვლამდე, როგორც კი თავზე ცარგვალის ჩამოქცევისა და ქვეყნის გადაბრუნების ამბავი შეიტყეს, მოულოდნელობისაგან შეცბუნებულებმა ერთმანეთის შორის ბჭობა გამართეს, როგორ მოვიქცეთ, რა გზას დავადგეთო და გადაწყვიტეს, მწყემსი მამა-შვილი დედოფლისათვის წარედგინათ, საბოლოო გადაწყვეტილება იქვე მიელოთ და იმ მცირე ძალებით, რომლებიც მათ ხელთ იყო, სასწრაფოდ ქალაქის გამაგრებას შესდგომოდნენ.

ქეთევანი გააკვირვა დიდებულების მოულოდნელმა სტუმრობამ საბატონიშვილო სასახლეში. თუ რაღაც დიდი გასაჭირი არ ადგათ, ისინი, ისიც ასე თავშეყრით, აქ არ მოვიდოდნენ, რადგან სამეფო საქმეებში ქეთევანი თითქმის არ ერეოდა. რაკი ბატონმა მამამ ტახტის გამგედ თავისი უმრწემესი ძე ბატონიშვილი გიორგი დასტოვა, მის საქმეებში ჩარევას არამკითხე მეამბეობად, თითქმის უზნეობადაც კი თვლიდა. ნუთუ ესენი ზაგემში არ იყვნენ? აქ რისთვისღა დარჩნენ? აკი მთელი თავადაზნაურობა ცხენებზე შესხდა და შორეული ლაშქრობიდან მობრუნებული მეფის შესახვედრად წავიდაო? ყველაფერზე უფრო ქეთევანი იმან გააოცა, რომ დიდებულებმა მის დარბაზში ვიღაც ჩამოკონკილი, კომბლიანი გლეხები შემოიყვანეს, სიტყვის უთქმელად წარმოუდგინეს და, ნიშნად დედოფლის თაყვანისცემისა, ისინი რომ მუხლებზე დაემხნენ და შუბლი იატაკს დაკრეს, თავად უკუდგნენ და მგლოვიარედ გულხელდაკრეფილნი გაირინდნენ.

— ვინ მოგვიყვანეთ, ვინ არის ეს ხალხი, თავადო ნოდარ? — ავი წინათგრძნობით შეპყრობილ ქეთევანს მთელს ტანში ჟრუანტელმა დაუარა, ამ სიტყვებით სახლთუხუცესს მიმართა და დარწმუნებულმა, ახლა რაღაც საზარელს შევიტყობ და

რადაც არ უნდა დამიჯდეს, უნდა გავმაგრდეო, მის წინ დამხობილ ქუდმოშვლეპილ გლეხებს დახედა.

— ცუდი ამბის მახარობელი გახლავან, დედოფალო! — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ როგორც იქნა ამოთქვა ნოდარ ჯორჯაძემ, თვალებზე მჯიღები მიიფარა და სადღაც გულის სიღრმიდან ამომსკდარი ზლუქუნი აუვარდა.

ქეთევანს ფერი ეცვალა, ქუთუთოები დაებერა.

— რა მოხდა, ხალხო, აღარ იტყვით?

მამა-შვილი, თითქოს ენა გადაუყლაპავთ და მეტყველების უნარი სრულიად წართმევიათო, ხმას ვეღარ იღებდნენ. მათ მაგიერ ნოდარ ჯორჯაძეზე არანაკლებ შემდრკალმა და გაგონილით მიწასთან გასწორებულმა თავადმა დავით ჯანდიერმა გასცა პასუხი:

— გვიმუხთლა თქვენმა გათათრებულმა მაზლმა, კონსტანტინემ, დედოფალო. ღმერთო, მამაზეციერო, რატომ ენას არ დამიდუმებ, სანამ ამას ხმამაღლა ვიტყოდე! ღალატით მოჰკლა მოხუცებული მამა, მეფე ალექსანდრე და ძე მისი, ღვიძლი ძმა გიორგი ბატონიშვილი, ორივეს სისხლში ბინძური ხელი გაისვარა!

— ღმერთო, მოწყალეო, ღვთისმშობელო დედა, ეს რა ესმის ჩემს ყურებს! — ათრთოლებულმა ქეთევანმა პირჯვარი გადაისახა და ვერც კი შენიშა, როგორ მოსწყდა წამწამს მსხვილი კურცხალი, ღაწვზე როგორ ჩამოუგორდა, წვრილი კვალი გაავლო და ხელზე დაეცა. — სიმართლეა? დარწმუნებული ბრძანდებით, რომ მეხი მართლა დაგვატყდა და მამაზეციერმა სამარადისო სატანჯველში ჩაგვაგდო?

— ეს არის, იქიდან გეახლნენ, დედოფალო, ხატზე იფიცებენ! — თავადმა დედოფლის წინაშე დამხობილ მამა-შვილზე აჩვენა.

— ვაი ჩემს თავს უბედურს, რა ვარსკვლავზე გავჩნდი, რატომ მოვესწარ ამ დღეს! თქვენ თვითონა ნახეთ, საკუთარი თვალით? — ქეთევანმა ეს უკვე მწყემსებს ჰკითხა.

— საკუთარი თვალით არ გვინახავ, დედოფალო, ტყუილს როგო გავბედავთ, — მხნეობა მოიკრიბა და პასუხი შვილმა გასცა, მამა კი ისე დარჩა, როგორც აქამდე იყო. — მაგრამ ვინც ამბავი მოგვიტანა, იმათ კი ნახეს!

— იქ ბალღი, იესე ახლდა ბატონიშვილს. ბალღისა რა იცით, ხალხო? რა ვუთხრა დედამისს, ის საბრალო რით ვანუგეშო?!

— ბალღისა არა გვსმენია რა, ჩვენ მარტოკა ის ვიცით, რაც მოგახსენეს და კიდენ ისა, რომ ურჯულო მირზამ ჯარის შეკრება და შირვანზე გალაშქრება ბრძანა, მანამდე კი აქ მოსვლას და თავის ერთგულებაზე ერის დაფიცებას აპირებს!

— მაშ, თავი მეფედ გამოუცხადებია!

— იგრე ამბობენ, დედოფალო!

— ჯარი დიდი ყავს, როგორ შეამჩნიეთ?

— აქლემების, ხარ-კამეჩის, ცხენებისა და თქვენს პატიოსნებასთან ბოდიში, სახედრების ტევა არ არის. ამბობენ, ხუთი-ექვსი ათასი ყიზილბაში, თუ მეტი არა, მაინც იქნებაო.

— ჯარი სად იყო იმ დროს, ჩვენი ჯარი, მეფეს რომ ახლდა, რატომ თავის ბატონს არ მიეშველა და მტერს ხელიდან არ გამოგლიჯა? იქნებ ყველა გაწყვიტეს და ამბის წამომღებიც არავინ დარჩა? თქვით, რაც იცით, ნულარ დაგვიმალავთ!

— ღმერთმა შეგვაჩვენოს მაშინ, დედოფალო! განა ამოდენა გზა იმითვინ გამოვიარეთ და ცხენებიც იმითვინ დავხოცეთ, რომ ტყუილი სიტყვა შემოგკადროთ?

— მაშ, მოყევით დალაგებულად, რა როგორ იყო.

— როგორ იყო. ჩვენ, მე და მამაი, გამოღმა ვიყავით. იქ ცხვარი გვედგა. ყიზილბაშები ისე უეცრად მოვიდნენ და დადგნენ ბანაკად, ისე უეცრადა, ჩვენ ბინის შეცვლა და ცხვრის მოფარებულ ადგილში გადარეკვაც ვერ მოვასწარით. ვამბობთ, რაც არის, არის, ღვთის განგებას ვერსად გავექცევით. თუ გაწირულები ვართ ღმერთისაგან, სადაც არ უნდა წავიდეთ, წყეული ყიზილბაშები იქ მოგვაგნებენ, ჩვენც წაგვიყვანენ და ცხვარსაც წაგვართმევენ. გაქცევას ისა ჯობს, ვიყოთ აქ ლამაზათა და...

— მაიცა, შვილო, — ნაოჭებით სახედაღარულ ჭარმაგ მწყემსს არაფრად ეჭაშნიკა ვაჟიშვილის ბრტყელ-ბრტყელი სიტყვები, ეს მრავალსიტყვაობა უადგილოდაც მიიჩნია, გააჩერა და დაიმედებულმა, მე უკეთ ვიტყვიო, მის მაგიერ განაგრძო: — გაღმა ბანაკში, სადაც ურჯულო ყიზილბაშების და ჩვენი ჯარის კარვები იდგა, ცეცხლი ათას ადგილას ენთო. ჭამდნენ, სომდნენ და ღრეობდნენ. დილას ვხედამთ, ხალხი დარბის სულკურთხეული ჩვენი მეფის კარვის გარშემო. ისმის ყვირილი და ჩახაჩუხი. სიტყვებს რას გაარჩევ. მე ყურ მაკლია. შვილო-მეთქი, ვუთხარ ბიჭსა, ჩადი, გაიგე, შენს გახარებასა,

რა ხდება ბანაკში, რა შავი ჭირი შაყრიათ, ე ყიჟინა და ჩახაჩუხი რაღაც არ მამწონს-მეთქი. ჩავიდა და რომ ამობრუნდა, შევატყე, ვერ იყო ჩვენი საქმე კარგა. თან ერთი ჭკუაზე შამცდარი დიაკვანი მაიყვანა. სოფლიდან მოვრბივარო, გვითხრა საცოდავმა, ყიზილბაშები შემოგვესიენენ, სოფელ-კუთხეს აწიოკებენ, ძარცვამენ, მღვდლებსა და დიაკვნებს წვერით ათრევენ, ხალხს ატყვევებენ და სადღაც მიჰყავთ, ცოდვისკითხვა ტრიალებსო. მალე სხვებიც მოვიდნენ...

კოპებშეკრულმა და მწარე საფიქრალს თავმიცემულმა ქეთევანმა შეატყო, გარდა იმისა, რაც უკვე იცოდა, მამა-შვილისაგან ახალსა და საგულისხმოს ვეღარაფერს შეიტყობდა, გლეხს თავი მოწყალედ დაუკრა და სახლთუხუცეს ნოდარ ჯორჯაძეს მიმართა:

— დროს უქმად ნულარ დავკარგავთ, თავადო, ისედაც ბევრი დრო გვქონია დაკარგული. ბიჭებს მოუხმეთ. წაიყვანონ ეს კეთილი ხალხი და კარგად დაანაყრონ. რაკი ამდენი სიკეთე ჰქნეს და ჩვენი გულისათვის ზარალშიაც ჩაცვივდნენ, უკანვე გაგზავნეთ. თვალი ადევნონ იმ ურჯულოს მოძრაობას და ჩვენ შეგვატყობინონ. ერთი ორი მარჯვე კაცი იქნებ სხვაც გააყოლოთ!

გლეხები წამოდგნენ, კომბლებს დასწვდნენ და ერთობ კმაყოფილნი, რომ თავიანთი მოვალეობა პირნათლად მოიხადეს, თუმცა უფალმა ღმერთმა ავი ამბის მოტანა კი დააკისრათ, წელში მოდრეკილი უკან-უკან კარისაკენ გაემართნენ, სადაც მათ უკვე ელოდებოდნენ ხელჯოხიანი სასახლის ქეშიკები, რომელთაც ქეთევანის ბრძანებისამებრ მამა-შვილი სატრაპეზოში უნდა ჩაეყვანათ.

— ჩვენც სწორედ ამისთვის გეახელით, დედოფალო, — თქვა პასუხად ნოდარ ჯორჯაძემ, როგორც კი დიდებულები ქეთევანთან მარტო დარჩნენ და კარსუკან მწყემსებისა და ქეშიკების ფეხისხმა შეწყდა. — ბრძანებას თქვენი პირიდან ველით!

— ჩვენ კი თქვენი იმედი გვქონდა. ერი და ბერი თქვენ შემოგყურებთ. მე, უმწეო დედაკაცს, რა შემიძლია!

— იმედი ღმერთმა ნუ მოგიშალოთ, დედოფალო! თუ გაგიმტყუნოთ, გვრისხოს მაშინ წმიდა გიორგიმ! ღმერთმა, დაილოცოს იმის მადლი და სამართალი, დაგვსაჯა, მირონცხებული მეფე ღვიძლი შვილის მსხვერპლი გახადა. ამის მსგავსი რისხვა ჯერ არავის სმენია. რაკი ეს მოხდა, ეტყობა, რაღაცა

შევცოდეთ უფალს. მამისეულ ტახტს ანტიქრისტე დაეპატრონა. სხვა რაღა გზა დაგვრჩენია: ერი ფეხზე უნდა დავაყენოთ, ოთხივე კუთხივ ლაშქრის წვევის წიგნები დავგზავნოთ, თუმცა საეჭვოა, მცირე დროში, რაც დაგვრჩენია, ამდენი რამ მოესწროს, ხალხი თქვენი უდიდებულესობის ერთგულებაზე დაეაფიცოთ, გზები შევკრათ, პირშავ მტერს წინ გადაველობოთ და ქვეყნის წახდენის ნება არ მივცეთ!

— იესო მაცხოვარო, ღვთისმშობელო მარიამ, — ქეთევანმა ოქროთი მოვარაყებულ ჩარჩოში ჩასმულ ხატის წინაშე მუხლი მოიყარა და მასთან ერთად პირჯვრის წერითვე დაიჩოქეს დიდებულებმაც. — ისმინე ჩვენი მუდარა და ლოცვა-ვედრება, შეეწიე, შენი მოწყალე კალთა გადააფარე ჩვენს ბედკრულ სამშობლოს! ნუ გაიმეტებ, ღვთისმშობელო დედავ, ნუ გახდი ურჯულოს შესაბილწად შენს წილხვედრ ქვეყანას. ნუ მორწყავ ჩვენი ბალღებისა და ქალ-რძლის სისხლით ჩვენი პატიოსანი მამა-პაპის ოფლითა და სისხლით გაჯერებულ მიწას. გვექმენ ჩვენ მწედ და ქომაგად, წინ გაგვიძეხ, მოგვეც მხნეობა და მტრეთა ძლევა შენს სადიდებელ მართალ საქმეში! გვაკმარე, რაც დაგვმართნია. საღი და უვნებელი დაგვიბრუნე ურჯულო მტრის ბუნაგში გაგზავნილი ჩვენი იმედი და თვალის სინათლე, თეიმურაზი, მორჩმითა და დიდებით მოსილი, ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე, ღვთით ბატონი ჩვენი!..

— ამინ, დედოფალო, გისმინოს მამაზეციერმა!..

ქეთევანი კიდევ დიდხანს ლოცულობდა, მაღალ ღმერთს თავის ერსა და სამშობლოს ავედრებდა, ლოცულობდა გულამოსკვნილი, თავდავიწყებით. უკვე ველარ გრძნობდა, რომ ზეგარდმო მოვლენილ უბედურებას მისი სულიც გაეტეხა და ხორციც, სრულ უსასოობასა და უიმედობაში ჩაეგდო, ცხარე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და ერთადერთ ხსნასა და იმედს იმავე ზენაარისაგან მოელოდა, რომელმაც ეს უბედურება დაატეხა.

სასახლის პალატების მკვდრულ მყუდროებაში, მხოლოდ ლოცვად დამდგარი დედოფლის ღაღადისი რომ არღვევდა, ერთბაშად თითქოს შიგ გულში მახვილგაყრილი ქალის კივილი შემოიჭრა. ამ ძარღვებში სისხლის გამყინავმა, გულშემზარავმა უცხო ხმამ, რომელიც აქამდე არსად გაეგონა, ქეთევანი იქვე გააქვავა და ღვთისადმი აღვლენილი სიტყვა პირზე შეაშრო.

გაქვავდნენ და სმენად გადაიქცნენ ღვთისმშობლის ხატის წინაშე მუხლმოყრილი დიდებულებიც.

პირველი თავადი დავით ჯანდიერი წამოდგა, ყური მიუგდო და რადგანაც ხმა სულ ახლოდან ისმოდა, უმისამართოდ იკითხა:

— ვინ არის? კიდევ რაიმე ამბავია ჩვენს თავს?

პასუხი მესტუმრეთუხუცესმა ლუკა მაყაშვილმა გასცა, რომელიც აგრეთვე წამომდგარიყო და გვერდში ამოსდგომოდა.

— ასინეთია, ბატონიშვილ გიორგის თანამეცხედრეეტყობა, ქმრის ამბავი შეატყობინეს!

იმავე წამს კარი თთქოს ქარმა შემოახეთქა და ზღურბლზე თმაგაშლილი, უწყალოდ ღაწვებჩამოხოკილი, ძუ ვეფხვივით გაშმაგებული, თითქოსდა მსხვერპლის გასაგლეჯად კამარაშეკრული, თვალებაპარპარებული ქალი შემოვარდა. ეს მართლაც ასინეთი იყო, წყნარი, თვინიერი, მუდამ ტკბილმოუბარი ასინეთი, რომლისგანაც კაცის საწყენი სიტყვა ჯერ არავის გაეგონა, მაგრამ ის ახლა თავის თავს აღარ ჰგავდა, გაავებული და გამძვინვარებული როკაპს დამსგავსებოდა.

— ასინეთ!.. — შესძახა ქეთევანმა და წამოვარდა, უბედურებისაგან მთლად გონწართმეულ, მის მიერ ბოდბის წმინდა ნინოს სახელობის მონასტერში მონათლულ უმცროს შილს მიეახლა, მოეხვია და დედობრივი თანაგრძნობით გულზე მიიკრა. — გავუმკლავდეთ უნდა მწუხარებას, ასინეთ, შვილო, გავმხნევდეთ, კარზე მომდგარ მტერს ნუ გავახარებთ. ვილოცოთ, მაღალ ღმერთს შევავედროთ ჩვენი ძვირფასი მიცვალებულების სულები, სასუფეველი დაუმკვიდროს, ნათელში ამყოფოს!..

— დავიღუპე, ქეთევან, შენ არ იცი!.. — ასინეთი ყრუდ ქვითინებდა, გარდა ქეთევანისა, ამ უცხო ქვეყანაში თავის ერთადერთ პატრონად რომ მიაჩნდა, ვერავის და ვერაფერს ხედავდა, ყრუდ ქვითინებდა და ამ სიტყვებს ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისროდა. — დავიღუპე! ჩამქოლეთ! მეც მიწა მომაყარეთ!..

ქეთევანს რაღაც ენიშნა:

— ნუთუ... იესეც?

ასინეთმა თავი დაუქნია, შუაზე გახეთქილი ბაგე მოიკვნიტა, უდროოდ მზედაბნელებული თავისი მერცხალა ბიჭის სახელის ხმამაღლა გამეორება ვეღარ შესძლო და კვლავაც გულსაკლავად ატირდა.

თავი IX

ალაზნის გაღმა-გამოღმა მხარეებში, ქიზიყსა, თიანეთსა და ივრისა და პანკისის ხეობებში შირვანზე გასალაშქრებლად ჯარის შეკრება და გამოყვანა მთელ კვირასა და კიდევ მეტ ხანს გაჭიანურდა. დარბაზის ერმა, რომელსაც ქვეყნის ერთადერთ კანონიერ განმგებლად მიჩნეული ქეთევან დედოფალიც დასტურს აძლევდა, საქმის ძირფესვიანი აწონ-დაწონვის შემდეგ ხელი აიღო მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე ბატონიშვილისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევაზე, ვინაიდან ეს წინააღმდეგობა დღესდღეობით ქვეყანას მეტ ზიანს მოუტანდა, ვიდრე მოჩვენებითი მორჩილების გამოცხადება. ტახტის მოცილესთან სისხლისმღვრელი ომის გასაჩაღებლად და მისი გაუგონარი ავკაცობისათვის სამაგიეროს მისაზღვევად კახეთი ჯერხნობით მზად არ იყო და ვიდრე ეს სანატრელი დრო დაუდგებოდა, ქვეყანას ომის თადარიგი უნდა გაეწია.

სარდლებმა ქაიხოსრო ასლანიშვილმა, მეფის წინამებრძოლმა და ჯერის მტვირთველმა, კახბატონ ალექსანდრეს სპარსელ-ოსმალთ ომში რომ ახლდა და სახელს სახელი მიუმატა, დავით ჯანდიერმა, ნოდარ ჯორჯაძემ, ბებურ და თამაზ ვაჩნაძეებმა, თიანეთის და ქიზიყის მოურავებმა ელიზბარ ჩოლოყაშვილმა და ბაქარ ანდრონიკაშვილმა იმ მიზნით, რომ ვერაგი მტრის ყურადღება მოედუნებინათ და უადგილო ადგილას იგი მახეში გაებათ, ქეთევანს ურჯულო კონსტანტინეს წინადადების უყოყმანოდ მიღება და შირვანის ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება ურჩიეს. ვიდრე კონსტანტინე კახეთის საზღვრებიდან შორს იქნებოდა, ქვეყანა უფრო ადვილად შესძლებდა ციხეების გამაგრებასაც და სურსათ-საწოვაგის მომარაგებასაც, რათა შირვანიდან მობრუნებულ მტერს ყოველმხრივ მომზადებული დახვედროდა.

შირვანის ლაშქრობაში კახთა მონაწილეობა მეორე მიზანსაც ისახავდა: მამის მკვლელი ტახტის მოცილე კონსტანტინე ბატონიშვილი იქნებ სადმე სიცოცხლისათვის გამოესალმებინათ და თავიდან აეცდინათ გარდაუვალი ომი, რასაც აურაცხელი მსხვერპლი და კონსტანტინე-მირზას ზურგსუკან მდგომ შაჰ-აბასთან უშუალო დაპირისპირება მოჰყვებოდა.

ქვეყნის ოთხივე კუთხივ ხალხმა ყველაფერი იცოდა და ყოველი ღონით გაურბოდა განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვილ მოთარეშე ყიზილბაშებს, თავს არიდებდა ტახტზე უკანონოდ მოკალათებული ურჯულო მეფის სამსახურსა და მორჩილებას. ბევრმა წვრილშვილსა და მოხუცებულებსაც კი დაჰხვია ხელი და ტყე-ღრეში გაიხიზნა. ხელმოცარულმა ყიზილბაშებმა, შუბმოღერებული რომ დაძრწოდნენ და დიდსა და პატარას თავზარსა სცემდნენ, ბევრი უბანი და დაბა-სოფელი გადაბუგეს, ხოლო ვინც მოიხელეს, ქალი, კაცი თუ ბალღი, პირუტყვის ჯოგებთან და ცხვრის ფარებთან ერთად, სათვალავი რომ არა ჰქონდათ, წინ გამოირეკეს და მთავარ ბანაკში, ზაგემს მოვიდნენ.

ხალხი წყევლიდა და აქვავებდა გადარჯულებულ კონსტანტინეს, კაენზე უარესი ცოდვა რომ დაიდო და ხელები მშობელი მამისა და ღვიძლი ძმის სისხლით შეიღება. სასოფლო ეკლესიების სამრეკლოებზე ზარებს არისხებდნენ, კონსტანტინეს მიმსგავსებულ ჩალის ფიტულებს წვავდნენ, მტერმორეული სამშობლოს ერთადერთი იმედის, ქეთევან დედოფლის ერთგულებაზე იფიცებდნენ.

— ძირს გარეწარი კონსტანტინე!.. — ხმის ჩახლეჩამდე ყვიროდა ხალხი და ხალხის ეს მრისხანე ხმა კუთხიდან კუთხეში გადადიოდა. — სიკვდილი ურჯულოს, ერისა და სამშობლოს მოღალატეს!.. გადაშენება სისხლისმსმელს!.. დიდება და დღეგრძელობა დედოფალ ქეთევანს და ბატონიშვილ თეიმურაზს!.. დედა შაერთოს ცოლად, ვინც მაგათ განუდგეს და უღალატოს!..

ზაგემში თავი მაინც მოიყარა ათი ათასამდე კახმა მეომარმა, თუ იმ დატყვევებულ ლაშქარსაც ჩავთვლით, კახბატონ ალექსანდრეს ჯერ ერევნის ციხის აღებისას, ხოლო შემდეგ ურმიის ტბასთან რომ ახლდა. ჯარს რამდენიმე სახელმოხვეჭილი, თვით სპარსეთშიაც კი განთქმული მხედართუფროსი სარდლობდა, თავისი ვაჟკაცური შემართება და ჯარების გაძღოლის სწორუპოვარი უნარი მტრისთვისაც რომ დაემტკიცებინა და მოყვრისთვისაც. ერისაგან ერთსულოვნად შერისხულ კონსტანტინეს ამან ფრთები შეასხა და გული გაუმაგრა. ძლიერნი ამა ქვეყნისა, ვის მხრებსაც კახეთის მეფის ტახტი ეყრდნობოდა, მართალია, დიდი ხალისით არა, მაგრამ ბოლოს მაინც მის გვერდში დგებოდნენ. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ დიდი ალაჰის ნებით ქვეყანა ადრე თუ

ტვიან შეეგუებოდა მაჰმადიანი მეფის ბატონობას, თავს შოიდრეკდა, ქედზე მისი ყმობის უღელს დაიდგამდა!

გამონაკლისი ჩანდა მხოლოდ ქრისტემოსაკი სამღვდელოება, რომელსაც სათაეში ალაეერდელი მიტროპოლიტი მეუფე სამოელი ჩასდგომოდა, ჯორზე ამხედრებული ადგილიდან ადგილზე გადადიოდა, ერს ქეთევან დედოფლის ერთგულებაზე აფიცებდა და უამისოდაც კონსტანტინეს წინააღმდეგ ამხედრებულ თავის მრეელს ურჩობის ცეცხლს უფრო და უფრო უკიდებდა.

— პირველი, ვისაც ძელზე გავსვამ, ეს გიაური ხუცესი იქნება! — ამბობდა შეურიგებელი ბოღმით აღსილი კონსტანტინე და წარმოიდგენდა კიდეც, როგორ გასვამდნენ ძელზე კახეთის სამღვდელოების მიხრწნილ წინამძღოლს, ცალი ფეხი დიდი ხანია სამარეში რომ ედგა. — ცოცხალს, ეფიცავ ალაჰს, არც ერთს არ დავტოვებ. სული მარტო იმას შერჩება, ვინც კახპის ნაშიერ ქრისტეს უარჰყოფს და მაჰმადს იწამებს!..

მარტის მეორე ნახევარში მზემ ნაადრევად დააცხუნა, ბარში თოვლი ერთბაშად გაადნო და გაუვალი ტყეებით დაფარულ მთის კალთებსაც წყალი შეუყენა. მოვარდნენ და ნაპირებიდან გადმოვიდნენ ამღვრეული მდინარეები, სათავეს შორეული მყინვარების ქვეშ რომ იღებდნენ და გზადაგზა ქვა-ღორღი და ყინულის დიდრონ-დიდრონი ნატეხები რომ მოჰქონდათ. გაჭირდა მიმოსელა. მეტადრე ყევარში გაბმულ ხარ-კამეჩსა და აქლემებს დაადგა ჯაფა, რადგანაც ღვთისა და კაცისაგან მივიწყებულ ამ ქვეყანაში ხიდები არსად იყო, ფონი კი ძნელი მოსანახი და კიდევ უფრო ძნელი გადასალახავი გახდა.

დრო აშკარად შეუფერებელი შეირჩა დაბანაკებული ჯარის ასაშლელად და ლაშქრობის წამოსაწყებად. მოუთმენლობით შეპყრობილ კონსტანტინეს ღამღამობით ძილი არ ჰქონდა. ათასი საზარელი რამ ესიზმრებოდა და ღამეებს თეთრად ათენებდა. რამდენჯერმე გულგახეთქილი ზეზე წამოვარდა და ყვირილი ასტეხა. ყოველ ნაბიჯზე ქეთევანის მიერ მიჩენილი მკვლელები ელანდებოდა. კარვის ირგვლივ ყარაული გაასამკეცა. კარავში მარტო დარჩენა აღარ შეეძლო, მაგრამ ვისიმე ყოფნაც, თვით ყველაზე უფრო ერთგული და სანდო ხელქვეითებისა, წონასწორობას აკარგვინებდა, გულის გულში ვერც ამათ ენდობოდა. საშინელი ღამის კვალი მხოლოდ გათენებისას ქრებოდა და კონსტანტინეც უბრუნდებოდა

თავის ჩვეულ მდგომარეობას. ოღონდ ეგ იყო, უძილობით გაწამებულს თავი უსკდებოდა ტკივილისაგან და ხსნას ვერსაით პოულობდა.

ურჩიეს, ნუ ავჩქარდებითო, მოვიცადოთ, სანამ საბოლოოდ გამოიდარებდესო, მაგრამ არავის რჩევა ახლოს არ გაიკარა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ადრიანი გაზაფხულის უგზოობა და ჭინჭყლი ამინდი მას ლაშქრობის წარმატებით დაგვირგვინების ერთ-ერთ უმთავრეს პირობად მიაჩნდა, რადგანაც შირვანის მიუვალ ციხეებში გამაგრებულ ოსმალთ მოწინააღმდეგის თავდასხმის მოლოდინი სრულებითაც არ ექნებოდათ და მასაც შეეძლო, ამ მოულოდნელობით დაუბრკოლებლივ ესარგებლა. ენდეთ ჩემს ალღოს და მხედრულ გამჭრიახობას, მადლობა ალაჰს, ომში არც მე ვარ პირველად და არც თქვენ, რამაზანის უქმეების დადგომამდე შემახაში ვიქნებით და იქაურ აბანოებში ვიბანავებთო, არწმუნებდა ის თავის ხელქვეით ყიზილბაშ ამირებს.

მარტის 27-ს, მბრძანებლის ნება-სურვილისამებრ, ცათა სწორი ყაენის ერთგულება იმავე ყაენის ურჩი საკუთარი მამისა და ღვიძლი ძმის სისხლის დათხევით რომ დაამტკიცა, რითაც თვით მრავლის შემსწრე ყიზილბაში თანამდგომებიც კი შეაძრწუნა, ამისაგან ყველა სიავეს უნდა მოველოდეთ, თუ საჭირო დაინახა, სასიკეთილოდ იქნებ არც ჩვენ დაგვინდოსო, დასვენებული ხარ-კამეჩი და აქლემები ჭაპანში შეაბეს და მდინარის მთელ სიგრძეზე გაჭიმულმა, ნაძარცვ-ნატყვევნით ავსილმა ბანაკმა ნელ-ნელა დაიწყო აშლა და საქარავნო გზაზე გამოსვლა.

წინადღეს მას რუსხელმწიფის ელჩების, ნაშჩოკინისა და ივანოვის, თარჯიმანი, ასტრახანელი მეაფთიაქე ლეონ კამენევი მოადგა და თავისი უფროსების სახელით სპარსულ ენაზე შედგენილი წიგნი მოართვა.

მთელი ღამის უძილარ, თავატკივებულ კონსტანტინეს გაუკვირდა, ელჩების თარჯიმნის მოსვლა რომ აუწყეს. ხავერდის ბალიშებსა და მუთაქებში ჩაფლულმა და ძილ-ბურანში მყოფმა რკინის უროსავით მძიმე თავი ძლივს ასწია. ნუთუ რუსხელმწიფის ელჩები ისევე აქ იყვნენ და იმის შემდეგ, რაც საკუთარი თვალით ნახეს, შიშნაჭამები თავქუდმოგლეჯილი არ გაიქცნენ? ხომ შეიძლებოდა, სისხლით მთვრალ კონსტანტინეს ბოლოს და ბოლოს მათთვისაც მოეცალა და როგორც

სამხედრო ბანაკში შემოპარული უცხო სახელმწიფოს მსტოვრები, ყველა ერთად დაეპატიმრებინა?!

ელჩები უკანასკნელად იმ დღეს ნახა, დახოცილთა გვამები რომ მიწას მიაბარეს და კახბატონ ალექსანდრესა და მისი ძის, ბატონიშვილ გიორგის, თავები, როგორც ძვირფასი რამ ნობათი, სპარსეთის გზას არ გაუყენეს ცათა სწორი შაჰ-აბასისათვის მისართმევად.

მამა-შვილის თავმოკვეთილი გვამები ერთად ჩაფლეს მიწაში, ჩაფლეს ისე, რომ უზიარებლად სიცოცხლემოსწრაფებულნი სუდარაშიაც არ გაუხვევიათ, ზემოდან წალმა-უკულმა სხვა მკვდრებიც დააყარეს და რადგანაც საძმო საფლავი ერთობ ზერელე გამოუვიდათ, იგი სველი, ნაზამთრალი მიწის თხელი ფენით ამოავსეს.

რუსებს თავი ორპოფულად ეჭირათ. თან ვითომ მტკიცე პროტესტს გამოთქვამდნენ მათ თვალწინ მომხდარი უკანონო ქმედების გამო, რომელიც თავისი გაუგონარი სისასტიკით ქვეყნიერებაზე მომხდარ ყველა უკანონო ქმედებას აჭარბებდა, პროტესტის გამოთქმისას თავიანთი უავგუსტოესი ხელმწიფის სახელსაც იშველიებდნენ და ამავე დროს არც საკუთარ ტყავს ივიწყებდნენ, რათა მეტისმეტი არ მოსვლოდათ და კახეთის მაჰმადიანი განმგებელი, შაჰ-აბასის მარჯვენა ხელი, ვის ხაფანგშიაც ამჟამად იყვნენ გაბმული, არ გაენაწყენებინათ და თავის წინააღმდეგ არ აემხედრებინათ.

ელჩებს კონსტანტინემ მთელი ქვეყნის გასაგონად განუცხადა, რომ მოხუცი მამისა და ძმის მკვლელობაში არავითარი ბრალი არ მიუძღოდა, რომ სისხლის დაღვრას, მეტადრე უახლოესი ადამიანების სისხლისა, თავისი მაჰმადიანური რჯულიც უკრძალავდა. მისი თქმითა და მტკიცებით, უცაბედი სისხლისღვრა გამოიწვია არა სხვა ვინმემ, არამედ თვით განსვენებულმა კახბატონმა ალექსანდრემ, რომელმაც სპარსეთიდან გამომგზავრებისას მოწყალე შაჰს ჯარის დამატებით შეკრება და შირვანზე გალაშქრება აღუთქვა, აქ კი, ზაგემში, თავი რომ შინ დაიგულა, მიცემული სიტყვა გატეხა, თავის მეკობრეთ მოუხმო და ყიზილბაში სარდლების გაჟლეტა გადაწყვიტა, რათა მათი მოკვეთილი თავები ოსმალეთის სულთან მურადისათვის მიერთმია და ერთგულება დაემტკიცებინა.

ყიზილბაშთ, ისევე როგორც თვით კონსტანტინეს, სხვა გზა აღარ დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ მახვილები

ეშიშვლათ, თავი დაეცვათ და კახთა მუხანათური ღალატი, რომელსაც კონსტანტინე ყოველთვის მოელოდა, იარაღის ძალით აღეკვეთათ.

ელჩებს თავი არ გამოუდიათ. ბოლოს და ბოლოს ის მაინც შეეძლოთ ეთქვათ, თუ ეგ მართლა აგრეა, თქვე მამაცხონებულებო, უცოდველ ბალღს, ბატონიშვილ გიორგის მცირეწლოვან ძეს, იესეს მაინც რაღას ემართლებოდით, მას ვიღაზე თავდასხმა შეეძლოო, მაგრამ პირში წყალი ჩაიგუბეს და თავიანთი აქ ყოფნა რომ რითიმე გაემართლებინათ, მამისეული ტახტის მიმტაცებელ კონსტანტინეს კიდევ ერთხელ თხოვნით მიმართეს ბატონიშვილ თეიმურაზისა და მისი დის, ელენეს, სამშობლოში დაბრუნების თაობაზე.

ორივე მხარეს დიდებულად ესმოდა, რომ ელჩების ეს შუამდგომლობა და თხოვნა, კონსტანტინეს, თავის მხრივ, შაჰ-აბასთან ეშუამდგომლა, წყლის ნაყვა იყო და დღეს უკვე აღარავის სჭირდებოდა. ელჩებს ერთადერთი ფარული მიზანი ამოძრავებდათ: როგორმე აქედან ცოცხალი თავით გაეღწიათ და ღირსებაც შეენარჩუნებინათ. ისინი საქმიან იერს არ კარგავდნენ, ვითომდა საქმის წარმატებისათვის ზრუნავდნენ, ერთს ფიქრობდნენ და მეორეს ლაპარაკობდნენ.

თვალთმაქცობასა და თვალებში ნაცრის შეყრაში რუს დიპლომატებს არც შაჰ-აბასის კარზე გაზრდილ-გამოწვრთნილი კონსტანტინე ჩამოუვარდებოდა. მან მხარი მოხერხებულად აუბა ჩრდილოელი ხელმწიფის კაცებს, რომელთა მიმართაც თავიდანვე მეგობრული სითბო გამოამეღავნა, მოიწონა მეფე ბორის გოდუნოვის მისწრაფება, სრულებითაც არ სურდა, მისი სახით ახალი ძლიერი მტერი მოეკიდებინა, რასაც არც ყაენი მოუწონებდა, ელჩებს დიდსულოვნად დაპირდა კიდევაც, ჩვენს ხელთ არსებულ ყველა ღონეს მივმართავთ, რომ მწყალობელი შაჰის გული როგორმე მოვიგოთ, და-ძმა სამშობლოში დავაბრუნებინოთ და მოსკოვს, გოდუნოვის სამეფო კარზე გაახლოთო.

სპარსულად შედგენილ წიგნში, რომელიც ლეონ კამენევმა კონსტანტინეს მის კარავში მოართვა, ელჩები დიდ მადლობას იხდიდნენ მათთვის გაწეული სტუმართმოყვარეობის გამო და რადგანაც ქართლისა და დარიალის გზით სამშობლოში დაბრუნებას აპირებდნენ, გამოსათხოვარ აუდიენციას ითხოვდნენ.

კონსტანტინე უყოყმანოდ დათანხმდა და აუდიენციაც, რომელსაც ყიზილბაში ამირები და სამიც ელჩებისათვის აქამდე საესებით უცნობი, უთუოდ მეფესთან ერთად სპარსეთის ლაშქრობიდან დაბრუნებული კახელი თავადიშვილებიც ესწრებოდნენ, ნასაუზმევს შესდგა კახბატონ ალექსანდრეს ნაქონ სალაშქრო კარავში, სადაც მარტის 12-ს ღვთის გამარისხებელი უბედურება დატრიალდა.

აღმოსავლელ მბრძანებელთა ჩვეულებისამებრ, ჩალმაში ბრდღვიალა ალმასგაბნეული, თვალებანთებული კონსტანტინე, მოკლე წვერითა და თეთრყირმიზა სახის რბილი ნაკეთებით გამოუცნობ ვითარებაში სიცოცხლე მოსწრაფებულ ძმას, დაეით მეფეს რომ მიაგავდა, კარვის უკანა კალთის ქვეშ, ქაშანური ხალიჩებით მოფარდაგებულ შემაღლებულ ადგილას, სხვებისაგან განცალკევებით, მამისეულ ტახტზე იჯდა, ოქრომკედით ამოქარგულ პორფირზე ალისფერი მოსასხამი წამოესხა და თითქოსდა ცის დასალიერზე ჩაწვერილი მზის სხივებში თავიდან ფეხებამდე გახვეული ორივე ნიდაყვით ტახტის ძგიდეებს დაპყრდნობოდა.

ის არ წამომდგარა, როდესაც ყიზილბაშმა მესტუმრეებმა ელჩები კარავში შეიყვანეს და წარუდგინეს, არ ამდგარა არც მაშინ, როდესაც ერთმანეთს დაემშვიდობნენ და კუდმოკვეცილი ქათინაურებით ორივე მხარემ ერთმანეთი შეამკო, არც განძრეულა, მხოლოდ თავი დახარა ოდნავ. ზუსტად ისე ზვიადად და ამპარტავნულად იქცეოდა, როგორც მამად სახადი შაჰ-აბასი თავის საბრძანებელში.

ნაშჩოკინი და ივანოვი ამან ცოტა არ იყოს, დააბნია. მსგავს მიღებას, მითუმეტეს ამ ერთ ბეწო სამეფოში, ისინი ჩვეული არ იყვნენ. კონსტანტინე ესხვაფერათ. ის თითქოს სულ სხვანაირი იყო პირველ შეხვედრისას. დაბნეულობას გაეცლო და მისი ადგილი შეურყეველ თავდაჯერებულობას დაეკავებინა. მათ ვერც კი შენიშნეს, როგორ მოექცნენ ამ მკვლელისა და ავაზაკის გავლენაში, როგორ იყვნენ მზად, ყოველი მისი სურვილი და ბრძანება უყოყმანოდ შეესრულებინათ. ეს გრძნობა, გრძნობა ათვალწუნებისა და გულისწყრომისა ორივეს ერთნაირად დაეუფლა, მაგრამ რაც უფრო მეტს ფიქრობდნენ ამაზე და სისუსტის გამოჩენისათვის თავს იტუქსავდნენ, გაურკვეველი შინაგანი შებოჭილობა მით უფრო ეძალებოდათ და გაბედული მოქმედების საშუალებას ართმევდათ.

თავი X

აშლისა და გზაზე დადგომის წინ კონსტანტინემ თავისი ლაშქარი ოთხ უთანაბრო ნაწილად დაჰყო. უმეტესი ნაწილი, 5 ათასი ყიზილბაში, რომლებიც ისარგაუმტარ ჯაკე-მუზარადში ისხდნენ და შეიარაღებად შუბი, მშვილდ-ისარი და არკებუზები ჰქონდათ, შუაში ჩააყენა და მას მთავარი ძალის მოვალეობა დააკისრა. მთავარ ძალასვე ექვემდებარებოდა მსუბუქად შეიარაღებული მტრის თავზარდამცემი 16 თუჯის ზარბაზანი, რომელთა უქონლობა განსვენებულ კახბატონ ალექსანდრეს ასე უნუგეშო დღეში აგდებდა და საქმეს სხვის კარზე სამათხოვროდ უხდიდა.

ზარბაზნებს სპარსელი მეზარბაზნეები უპირველეს ყოვლისა ქარაფებზე გადმომდგარი მიუდგომელი ციხეებისა და ბასტიონების დასანგრევად იყენებდნენ და ვაი იმის შავ დღეს, ვისაც ამათი ცეცხლოვანი რისხვა თავს დაატყდებოდა!

ორი ათას კახ მხედრისაგან შემდგარ რაზმს კონსტანტინემ სათავეში ქაიხოსრო ომანიშვილი ჩაუყენა და წინამებრძოლობა დააკისრა, ხოლო ძმებს, თამაზ და ბებურ ვაჩნაძეებს, აგრეთვე ორი ათასი კახი მხედრის მხარდამხარ ბრძოლა და მთავარი ძალების ზურგში უეცარი დარტყმის მოგერიება მიანდო.

სამ-სამი ათასი შუბოსნითა და მოისრით მარცხენა და მარჯვენა ფრთაზე მოუხდათ დადგომა მთიელ მარბიელებთან და ბევრ სხვა ომში ნაცად სარდლებს, თიანეთისა და ქიზიყის მოურავებს ელიზბარ ჩოლოყაშვილსა და ბაქარ ანდრონიკაშვილს.

თითქოსდა მოუთმენლობისაგან სულით ხორცამდე შეპყრობილი კონსტანტინეს გამოსაჯავრებლად და გულის გასახეთქად, ჯარი ნელა, ტაატით მიდიოდა. ალაგ-ალაგ ფორნები ლაფში ეფლობოდნენ და ლაფიდან მათ ამოთრევასა და მშრალზე დაყენებას ცოტა ხელი და დრო როდი სჭირდებოდა. პირველი დღის დაღამებამდე ორასიოდე უტევანი ძლივს გაიარეს და როგორც კი ასისთავებმა შესვენება და ღამის გასათევად კარვების გაშლა გამოაცხადეს, ბევრმა ვახშამსაც ველარ მოუცადა, ნოტიო მიწაზე დაეგდო და თავი ძილს მისცა.

ყველაზე მეტად ურმის მაღალ თვლებზე შეყენებულ ლასტისკედლებიან კარვებსა, ტახტრევნებსა და აღალის ფორნებს გაუჭირდათ. კონსტანტინე იძულებული იყო, ყოველი მდინარის რიყეზე გასვლის წინ ცხენოსანი ჯარის ჩამოქვეითება ებრძანებინა, რათა მხედრები აქა-იქ ფონში გაჩხირულ აქლემებსა და ხარ-კამეჩს მიხმარებოდნენ და მათი მძიმე ტვირთი გაღმა ნაპირამდე მიეგორებინათ.

რამდენჯერმე კარვების დაშლა და ნაწილ-ნაწილ გადატანა მოუხდათ, რასაც უამრავი დრო მიჰქონდა და გაყინულ წყალში თავიდან ფეხებამდე დასველებულ ჯარს უმწეო მდგომარეობაში აგდებდა. ასეთ დროს საკმაო იყო, მთის უკან ჩასაფრებულ მტერს, რიცხვით თუნდ სამჯერ და ოთხჯერ ნაკლებსაც, გზა მოეჭრა, გარს შემორტყმოდა და შემოეტია, შირვანის დასალაშქრავად მიმავალი ჯარისაგან ამბის წამღებიც ძნელად თუ ვინმე გადარჩებოდა.

კონსტანტინე შორიდან უელიდა ტყეებს და ხეხილის ბაღებს, სადაც შემოგზავნილი მსტოვრების მიერ გზაზე დაყენებულ ომალთ შეეძლოთ მიმალვა და რის ვაინაჩრობით აქამდე მოსულ ქართველ-სპარსელთა ჯარზე თავდასხმა. ღამეს ტრიალ მინდვრებში ათევდნენ და ირიჟრაჟებდა თუ არა, სანახევროდ დანაკვერცხლებულ კოცონებს სტოვებდნენ და გზას განაგრძობდნენ.

ნუხაში მტრის პირველ წინააღმდეგობას წააწყდნენ. ჩაძინებულ ბანაკს ღამით ვიღაც მეკობრეები დაეცნენ, სიბნელით ისარგებლეს, მოყარაულეები ამოხოცეს და აღალიდან ცხენები და ნუზლი გაიტაცეს. საქმეს ვერც სამუდამოდ ძილგატეხილი კონსტანტინეს სიფხიზლემ უშველა. ღამის განმავლობაში ის რამდენჯერმე დგებოდა ხოლმე და სანდო ყიზილბაშების რაზმის თანხლებით ყარაულის შესამოწმებლად მიდიოდა, მაღალი ალაჰი არავის გაურისხდეს, რული არ მოეკიდოს, არ ჩაეძინოსო.

აღალზე მეკობრეთა დაცემა და ცხენებისა და ნუზლის მოტაცება სხვებზე ადრე კახელებმა შეიტყეს და ყვირილი ატეხეს, დაიჭი, მე მაგათი პატრონი დედა, ცხენები მიჰყავთო. ბანაკი ფეხზე დადგა. კონსტანტინეს გულს შემოეყარა. თუ ეს მართლა ოსმალები იყვნენ და არა ადგილობრივი თარაქამები და მომხვედურ მტერს ასე შორს უხვდებოდნენ, რაღა იქნებოდა მაშინ, როდესაც კონსტანტინე ფეხს შირვანში შესდგამდა და ურჯულო ოსმალთ ხელდახელ შეებმოდა!

დილას მდევარი ხელცარიელი დაბრუნდა. თავდამსხმელი ავაზაკებისა და აღალის ქედმაგარი ცხენებისა, რომელთა დაკარგვა ნახევრად უდაბნოებში მიმავალ ჯარს გადაულახავ სიძნელეებს უქმნიდა, კვალიც კი გაციებულიყო.

კონსტანტინეს მოყარაულეთა რიცხვის გაზრდა, თითქმის გაორკეცება მოუხდა, მაგრამ ღამის იდუმალი მეკობრენი, მეტადრე შუროებით დაღარულ მთებში, სადაც გზა ღარტაფებს მიჰყვებოდა, ამასაც არ ეპუებოდნენ, მოხერხებული ადგილმდებარეობით სარგებლობდნენ და აღმართ-დაღმართებში წოწიალით არაქათგამოლეულ ჯარს თავს ესხმოდნენ.

შაითანი ავაზაკების ვინაობა მოგვიანებით გაირკვა, როდესაც აპრილის შუა რიცხვებში კონსტანტინე უკვე მთებში შეყუჟულ შემახას კედლებთან იდგა და აღმოსავლური ქუჩაბანდებით, შესახვევებითა და ჩიხებით დაქსელილ არცთუ მცირე ქალაქზე, ოდესღაც, შაჰინ-შაჰების ზეობაში, ხუთი ათასამდე მოსახლეს რომ ითვლიდა, იერიშის მისატანად ემზადებოდა.

შემახა, შირვანის სატახტო ქალაქი, ორი ნაწილისაგან შესდგებოდა და ორივე ეს ნაწილი, რომელსაც მდინარე ჰყოფდა, ცალ-ცალკე კედლებითა და ფრიალო კლდეებზე გადმომდგარი ციხეებით იყო გამაგრებული. ოსმალთა მორიგი დამარცხების დროს, როდესაც შემახაში ისევ სეფიანი ხელმწიფის ჯარები შემოვიდნენ და აქაურობას დაეპატრონენ, შაჰ-აბასმა ყველა ციხე, მათ შორის ქალაქის ჩრდილოეთით აღმართული გულისთან-ყალა და კედლები დაანგრევინა, რათა მათი დაბრუნების მიზნით ხელახლა მოსულ ასკერ-იანიჩართ იგი კვლავ სიმაგრედ არ გამოეყენებინათ და შიგ არ ჩამდგარიყვნენ.

მოხდა პირიქით: როდესაც ოსმალები მოვიდნენ და ქალაქს შემოადგნენ, ციხეებისა და კედლების უქონლობის გამო სპარსელებმა თავის შესაფარებელი ადგილი ვეღარსად იპოვნეს, ალყას ვერ გაუძლეს და სულ მალე ათასობით ყიზილბაშის სისხლის ფასად აღებულ შემახას დატოვება მოუხდათ.

ოსმალებმა ქალაქის ორივე ნაწილის ციხეები აღადგინეს, აღადგინეს გულისთან-ყალაც, შიგ ზარბაზნები დადგეს, ქალაქის კედელიც ხელახლა ააშენეს, კუთხეებში გოდოლები დაატანეს და აქ საშვილიშვილოდ გაიდგეს ფეხი. აღდგა ქალაქის ხუთივე კარი, სადაც გამაგრებულ ჯიხურებში მოყა-

რაულე შუბოსნები იდგნენ და ყოველ შემსვლელ-გამომსვ-ლელს თვალს ადევნებდნენ. ასე რომ, ხელისუფალთა გაუგებ-რად და მათი ნებართვის გარეშე ქალაქში ჩიტიც ვერ შეფრინდებოდა.

შემახაში წლის ყოველ დროს მილეთის ხალხი ირეოდა, მუდმივად კი აქ მხოლოდ სპარსელები, დიდი ხნის წინ სამშობლოს მოწყვეტილი ქართველები და სომხები ცხოვრობ-დნენ, რომლებიც, ერთმანეთის რაიმე უპირატესობა რომ არ ელიარებინათ და თავი დაჩაგრულად არ ეგრძნოთ, მხოლოდ თურქულად ლაპარაკობდნენ, თუმცა აქა-იქ, ხალხის თავშეყ-რის ადგილებში, ბევრ სხვა ენასთან ერთად, სპარსულს, ქართულსა და სომხურსაც გაიგონებდი.

შემახა განთქმული იყო აღებ-მიცემობით და დიდი ბაზრით, მის სამხრეთ ნაწილში რომ მდებარეობდა. ბაზრის მიმდებარე რამდენიმე ქუჩა გადახურული იყო და ესენიც, ქალაქის სიამაყე ბაზრის მსგავსად, აგრეთვე სავაჭროებსა და სახელოსნოებს ეკავა.

ვაჭრობდნენ უპირატესად შორეული ქვეყნებიდან შემო-ტანილი ბამბისა და აბრეშუმის ქსოვილებით, ოქრომკედითა და ვერცხლის ძაფით ამოქარგული ფარჩით, დიბა-ატლასით, შალით და ტილოთი. რას მოისურვებდი, აქ რომ არ გენახა! აქვე იაფად, მისაწვდომ ფასში ყიდდნენ იარაღს: ხმლებს, დაშნებს, არკებუზებს, შუბებს, მშვილდ-ისრებს, თავისი რკი-ნის ბუნიკებითა და სათადარიგო ლარებით. იყიდებოდა უნაგირები, ცხენისა და აქლემის მოსართავები, კეხები, სასაპალნე ხურჯინები და ათასი სხვა რამ, რაც ცოცხალ კაცს ყოველდღიურ ცხოვრებაში ომისა თუ მშვიდობის დროს სჭირდება.

ბაზარშივე იდგა ორი ტრაქტირი უცხო ვაჭრებისა და მოგზაურებისათვის. ერთ მათგანს, სადაც უმთავრესად ქარვით, თაფლით, სიასამურით და საჩექმე იუხტით მოვაჭრე რუსები ჩერდებოდნენ, შაჰ-ქარავან-სარაის ეძახდნენ, ხოლო მეორეს, რომელსაც უფრო ხშირად ჩერკასელი თათრები იკავებდნენ, ლოზ-ქარავან-სარაი ერქვა. ეს უკანასკნელნი, ჩერკასელი თათრები, როგორც წესი, ჯიშიანი ცხენებით, ქალებითა და მცირეწლოვანი ბავშვებით ვაჭრობდნენ. ამ უბედურებს შირ-ვანის მომიჯნავე ქვეყნებიდან იტაცებდნენ, ანდა იქვე ნაღდ ფულად ყიდულობდნენ, შემახაში ჩამოპყავდათ და აქ ხელს სარფიანად იცლიდნენ.

კონსტანტინეს და მის მომყოლ ქართველ-სპარსელთა ჯარს ქალაქი თითქმის გაუკაცრიელებული დაუხვდა. დარა-ბებჩაგმანულ სავაჭროებსა, ბაზრებსა, სამიკიტნოებსა, ქარა-ვან-სარაებსა, ჩაიხანებსა და აბანოებში, სადაც ტიტველ, ბანჯგვლიან ტანზე წამოხურულ ხალათებსა და ხის ქოშებში მონებივრე შეძლებულ შემახელ მოქალაქეთ უყვარდათ ჯდომა, თრიაქის გაბოლება და მასლაათი, კაციშვილი აღარ ჰაჰანებ-და.

ეტყობოდა, სანდო მსტოვრებს ქალაქის ხელისუფალნი დროზე გაეფრთხილებინა, სპარსელთა დიდძალი ჯარი გვიახ-ლოვდება და არიქა, თავს უშველეთო. მათაც ქალაქის გამოღმა ნაწილი დაეცალათ, დავრდომილი მოხუცებულები და დედა-წული სახიზრებში გაეხიზნათ, მცირე მეციხოვნე ჯარი კი, ათას კაცზე მეტი არასდროს რომ არ იყო და მით სპარსელებთან გამკლავების იმედი არ უნდა ჰქონოდათ, გულისთან-ყალასა და სხვა ციხე-გოდოლებში ჩაეყენებინათ.

თვით კონსტანტინე ქალაქში არ შესულა. ქალაქის გამოღმა ნაწილში ყიზილბაშთა მოთარეშე რაზმები შეგზავნა და კედლის გარეთ, სახელდახელოდ გაშლილ კარავში დაე-ლოდა, რა ამბავს მოიტანდნენ.

მდიდრული ნადავლის შოვნის სურვილით წაქეზებულმა ყიზილბაშებმა ყველა უბანი, ქუჩა და ჩიხი ფეხდაფეხ შემოიარეს, ყველგან შევიდნენ, ჭებშიაც კი ჩაიხედეს, გაუჩხ-რეკავი და გადმოუბრუნებელი მეჩეთები და მინარეთებიც კი არ დასტოვეს, ოღონდ მთის გიე მდინარეზე გადებული, უხსოვარ დროს სპარსელი ქვითხუროების მიერ აშენებული თაღებიანი ხიდი კი ვეღარ გადავლეს, რადგანაც გაღმა ქალაქში შესასვლელი ყველა კარი ჩაკეტილი იყო და კედლის ქონგურებიდან ისრების სეტყვა მოდიოდა.

კონსტანტინე მიხვდა: აქ ძირფესვიანად დაბუდებული აგარიანები ასე ადვილად არ დანებდებოდნენ და იარაღს არ დაყრიდნენ. გადაწყვიტა, თავადაც დაესვენა, ჯარიც დაესვე-ნებინა და მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ გადაქცეული გაღმა ქალაქის იერიში სახვალიოდ გადაედო, რისთვისაც წინასწარი სამზადისი გასწია, ზარბაზნები გამოაგორებინა, ღია ადგილას დააყენა, თორმეტი მათგანი კლდეზე აღმართულ გულისთან-ყალას დაუმიზნა, დანარჩენ ოთხს გაღმა ქალაქის კედლების დანგრევა მიანდო. ყოველივე ეს დილაადრიან, გარიჟრაჟზე უნდა მომხდარიყო.

ციხეზე იერიშის მიტანა კახელთა ათასეულებს ეკისრებოდათ, რომელთათვისაც ზარბაზნებს გზა უნდა გაეკაფათ, გამარჯვების ნაყოფს კი მთავარ ძალად მდგომი ყიზილბაშები მოიმკიდნენ. რძოლაში ისინი მხოლოდ მაშინ ჩაებმებოდნენ, თუ მეციხოვნე აგარიანები გააფთრებულ წინააღმდეგობას გასწევდნენ, კახთ დასჯაბნიდნენ და ციხის დასაკავებლად მათი ძალები არასაკმაო აღმოჩნდებოდა.

სწორედ იმ საბედისწერო ღამეს მოხდა ის, რასაც მშობელი ერის მიერ ხატზე სამგზის გადაცემული, მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე ყოველ წუთსა და ყოველ წამს მოელოდა. მოხდა სწორედ მაშინ, როცა, რომ იტყვიან, დანა და ყელი ერთად ჰქონდა, როცა მისი ბედი თუ უბედობა საბოლოოდ უნდა გადაწყვეტილიყო. უკეთუ აგარიანს სძლევდა, შემახას აიღებდა, ოსმალთ განდევნიდა, ყაენის უზენაეს ბრძანებას აღასრულებდა და მისი ნება-სურვილის თანახმად შირვანის ბეგლარბეგი გახდებოდა, მაშინ კახეთიც დაწყნარდებოდა, მამაპაპისეულ ტახტზე ასულს თავის კანონიერ მეფედ მიიჩნევდა და ამის შემდეგ, თუკი დიდი ალაჰი წყალობას არ მოაკლებდა, იქნებ ტფილისში გადასვლასა და ქართლის შემოერთება-შემომტკიცებაზე ეფიქრა!

ნაშუაღამევს, ის იყო, ჩასთვლიმა, ძილში კარვის კალთის ტლაშუნი შემოესმა. ძლიერი ქარი, ცოტა ხნის წინათ რომ ამოვარდნილიყო, მთელ კარავს აზანზარებდა, მიწიდან აგლეჯას და ცაში ატაცებას უქადდა. "ალაჰ, ილ ალაჰ!" — წაიჩურჩულა კონსტანტინემ და ხელმა მაშინალურად სასთუმლად ამოდებულ უნაგირქვეშ შიშველი იატაგანის ვადა მოძებნა. კარვის უსაშველო სიბნელეში ლანდები დაბორიალებდნენ. ელანდებოდა თუ მართლა იყო ვინმე? იქნებ მცველები იყვნენ? სამ მათგანს შიგნით, კარავში ეძინა. კონსტანტინემ საბოლოოდ ასე გადაწყვიტა. მათ შორის ერთი კახი იყო, ალალმართალი გლეხის ბიჭი, ორი ყიზილბაში. იქნებ გაელვიძათ? მაგრამ ასე ერთად რისთვის წამოიშალნენ, ანდა რას ეძებდნენ, იქნებ ამათაც ღალატი ჩაიდეს გულში? გაიტრუნა და გულაძგერებულმა ყური მიუგდო, შემდეგ რა მოხდებოდა და სწორედ ამ დროს შემოესმა ქართულად თქმული:

— კარში ჩადექით ვეჟო, არ გაგვექცეს!..

ხმა ქაიხოსრო ომანიშვილისას მიამსგავსა და გასცრა, მთელ ტანში ერუანტელმა დაუარა, თუმცა ქაიხოსრო იქნებ

არც იყო. კონსტანტინეს როგორღაც არ მოსწონდა, საგონებელში აგდებდა ქაიხოსროს მძიმე, შხამგარეული გამოხედვა, შინაგანი ხმა დაჟინებით ჩასძახოდა, ადრე თუ გვიან მაგის მსხვერპლი გახდებიო და თავისიანთაგან ვინმეს მკვლელად რომ წარმოიდგენდა, თვალწინ ყოველთვის და აუცილებლად ქაიხოსრო ომანიშვილი დაუდგებოდა ხოლმე.

კონსტანტინემ ღონე მოიკრიბა, გადაიგდო ნაბადი, რომლის ქვეშაც უნაგირზე თავმიდებული იწვა, წამოხტა, კარვის უკანა კალთას, რომლის ქვეშაც მამისეული სამეფო ტახტი ეგულებოდა, მთელი ტანით ეძგერა, იატაგანით გააპო და გარეთ გაიჭრა. ქარი, თითქოს აქ ჩასაფრებული იყო და სწორედ მას ელოდაო, გაშმაგებით დაეძგერა და შეაბარბაცა, მაგრამ კონსტანტინემ თავის შეკავება მოახერხა და, უკუნი სიბნელის გამო თუმცა სრულებით ვერაფერს ხედავდა, ალღოს მიენდ და წინ გაიქცა. აქ სადღაც ცხენები ეგულებოდა. იატაგანმომარჯვებული გარბოდა და თან ყურს უგდებდა, მოსდევდა ვინმე თუ არა.

სად იყვნენ, სად, კარვის მცველი ქეშიკები შიგ და გარეთ? მათი ბაიბური არსაიდან ისმოდა. თითქოს არც არსებულიყვნენ. რაკი მკვლელებმა კარავში შემოაღწიეს, ისინი ან წინასწარ გადაიბირეს, ოქროთი მოისყიდეს, იქაურობას გააარიდეს, ანდა, რაც უფრო ადვილად დასაჯერებელი იყო, უკლებლივ ყველა ამოხოცეს. ეს კი იმას მოასწავებდა, რომ ღამის მეკობრენი, ვინც კონსტანტინე მოსაკლავად გაიმეტა და ბოროტი განზრახვის აღსასრულებლად კიდევაც მოუხტა, ერთი და ორი არ იქნებოდნენ. ერთი და ორი კაცი, რა რკინის მკვნეტელა და თავზეხელაღებულიც არ უნდა ყოფილიყო, ამას ვერ გაბედავდა, საკუთარი მხედრობის შუაგულში მყოფ მეფე-სარდალს მოსაკლავად ვერ მოუხტებოდა. მუხანათური შეთქმულება, ეტყობოდა, კახეთშივე მომზადდა და მისი შესრულება მხოლოდ ამ ღამეს, სწორედ შემახას იერიშის წინ გადაწყვიტეს, როდესაც ოსმალები ახლოს იყვნენ და თუ წარუმატებლობა ეწვეოდათ, შეეძლოთ, თავი მათთვის შეეფარებინათ.

— ოო, გიაურო!.. ოო, ვერაგო დიაცო!.. — დაიგმინა კონსტანტინემ და მარგილზე სადავით მიბმული პირველივე ცხენი ახსნა, ჯიკავ-ჯიკავით უკან გამოიყვანა და თუმცა ცხენი უარობდა, უცხო მხედარს არა და არ იჯენდა, სადავე

დაუმოკლა, რკინის ხელით კისერი მოულრიცა და ზედ მოევლო.

უბედურება, კახეთის ტახტის მიმტაცებელს თავისსავე საომარ ბანაკში რომ დაატყდა, ამით როდი დამთავრებულა. ისე რომ ინათლა, კაკისა და ლანდის ერთმანეთისაგან გარჩევა შესაძლებელი გახდა, გამოღმა ქალაქის სამივე კარიდან, გუშინ რომ მოღიავებული დაუხვდათ, მძიმედ შეპურვილი ოსმალთა ცხენოსანი ჯარი გამოვიდა, გულისძილში მყოფ ყიზილბაშებს, რომლებმაც ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რაც ნაშუალამევს, მათ ძილში მოხდა, ერთბაშად ატეხილი ყიჟინით შეერია, წინასწარ ფეხზე დამდგარი, საომრად მომზადებული კახთა რაზმები დაუბრკოლებლივ გაიარა, ყიზილბაშთა კარვებს ეკვეა და უწყალო ჩეხვა გააჩაღა. რამდენიმე ადგილას ცეცხლის ალი ავარდა და კვამლ მეომარ მხარეთა თავზე დაიგრაგნა. დაფეთებულმა ცხენებმა და აქლემებმა აიწყვიტეს და აქეთ-იქით ეცნენ თავის გადასარჩენად. გულსაკლავად, სწორედ კაცის ხმით აზმუვლდნენ ხარები, აყოყინდნენ აქლემები...

კარგად რომ მოთენდა, ქარი ჩადგა და ღილის ნისლი და კვამლი გაიფანტა, ომი უკვე დამთავრებული იყო. კახთა და ოსმალთ თითქმის არავინ გამოჰკლებიათ. ათი თუ თორმეტი კაცი დაიკოდა, ისიც მსუბუქად. ბრძოლის ველი მთლიანად დაპრილ-დახოცილი ყიზილბაშებით იყო მოფენილი, რომლებმაც ცხენებზე ამხედრება, საბრძოლოდ დაწყობა და იმის შეტყობაც კი ვერ მოასწრეს, ეს ღვთის რისხვა და მეორედ-მოსვლა საიდან დაატყდათ. ოსმალთავე დარჩათ დიდძალი ნადავლი: კარვები, ცხენები, აქლემები, მრავალი უღელი ხარ-კამეჩი, სახორცედ გამორეკილი პირუტყვის ჯოგები, იარაღი და ის 16 ზარბაზანი, რომლებითაც ყიზილბაშ მეზარბაზნეებს ამ დილას გულისთან-ყალა და ოსმალთა მიერ ხელახლა აშენებული ქალაქის კედლები უნდა დაენგრიათ.

თავი XI

ჯარისა და ქვეყნის სახელოვანი სარდლების სხვათა ომში გასტუმრებამ კახეთში საყოველთაო შიშიანობა ჩამოაგდო. უხეირო დრო იყო. მთიელ მარბიელებს, ქედს რომ გადმოვლიდნენ და ჯოგებისა და ყირიმის ბაზრებზე გასაყიდი ხალხის მოსატაცებლად, ანდა გამოსასყიდი თანხის დასანიშნად კახე-

თის ბარში დაეშვებოდნენ ხოლმე, სწორედ გაზაფხულსა და ზაფხულის დამდეგს სჩვეოდათ გამოჩენა. ეს წლის ის დროა, როდესაც თოვლის საფარველისაგან თავდახსნილი, მიძინებული დედამიწა იღვიძებს და ქვეყნის მარჩენალი გლეხკაცი ყანა-ვენახშია გამოსული, შინ თითქმის აღარავინ რჩება. ალოობა უსაქმოდ არავის სტოვებს, არც ბალღს და არც მოხუცებულს, თუკი ხელის განძრევა და საკუთარ ორ ფეხზე დგომა შეუძლია. თავისი შავ-ბნელი ზრახვის აღსასრულებლად ძარცვა-გლეჯაში გაწაფულ მარბიელებსაც სწორედ ეს დრო ურჩევნიათ სხვა დროს. ტყე შეფოთლილია და ისინი სულ ადვილად ახერხებენ ახლოს უჩუმრად მიპარვას და ჩასაფრებას, რათა სამსხვერპლოდ ამორჩეულს მოულოდნელად დაეცნენ თავზე, პირი ჩოხის ნაგლეჯით ამოუტენონ, გაიტაცონ ცხენზე გარდიგარდმო გადაკიდებული და ვიდრე ვინმე რაიმეს გაიგებდეს და ხალხს შეუყრიდეს, ისევ ტყეს მისცენ თავი.

ოთხსავე საფრთხეში შეკრებილი ჯარისა და ნაცადი სარდლების ცხრა მთას იქით წასვლამ სოფელ-ქვეყანა ღვთის ანაბარა, თითქმის სრულიად დაუცველი დასტოვა. შინ არ იყო ლეკებისა და ყუმიყების რისხვა, კავკასიონის ყველა გზისა და ბილიკის ზედმიწევნით მცოდნე თავადი ქაიხოსრო ასლანიშვილი, ვისი სახელითაც შორეულ დაღესტანსა და საშამხლოში აღნავლებულ ბალღებს აშინებდნენ, მოვა ხოსროასლანი და ყურებს დაგაჭრისო, მის მხარდამხარ იქნევდნენ ხმალს ქიზიყისა და თიანეთის მოურავები, ვაჩნაძეები, ჭავჭავაძეები, ჯანდიერები, სხვანი და სხვანი, რომელთა თაოსნობითა და წინამძღოლობითაც ქრისტეს მოსახელე კახთა მხედრობას უთვალავჯერ გაემარჯვა შინა თუ გარე ომებში, ახლა კი საფრთხე სწორედ მათ მამულ-დედულს მოსდგომოდა კარზე და, თუ ის მარჯვენადალოცვილები დროზე არ მობრუნდებოდნენ, აკლებას უქადდა.

დედოფალმა ქეთევანმა ყველა ღონეს მიმართა, ყოველივე მოიმოქმედა, რომ არც კახბატონ ალექსანდრეს უღვთო სიკვდილით დაობლებულ სამეფო კარს და არც მთლიანად ქვეყანას შორსმჭვრეტელი მრჩეველებისა და უზენაესი ნების აღმსრულებელ პირთა ნაკლებობა არ დასტყობოდა. უპირველეს საქმედ მან ომისათვის სამზადისი გაიხადა. თუ ურჯულო კონსტანტინე, ხელი მამისა და ძმის სისხლში რომ ჰქონდა გასვრილი, შირვანში აგარიანთ სძლეოდა და შაჰ-აბასისაგან შეპირებული შირვანის ბეგლარბეგის ტიტულით აღიჭურვე-

ბოდა, პირს მაშინვე აქეთ იზამდა, რათა კახეთი, რომელსაც უკვე თავისად თვლიდა, იარაღის ძალით დაემორჩილებინა და ერიც იძულებული გაეხადა, მისი ერთგულების ფიცი მიეღო.

მთიელი მარბიელების მოულოდნელი თავდასხმის მოგერიების მიზნით, თანახმად დედოფალ ქეთევანის ბრძანებისა, აღადგინეს და გაამაგრეს ყადორის ციხე მდინარე ინწობის ხეობაში, სადაც ქედგაღმა გადამავალი ბილიკები იყრიდნენ თავს. ხელი შეავლეს და სათანადოდ აღჭურვეს ზედ ქედის ძირას განლაგებული ყვარლისა და გავაზის ციხეები. მდინარე შოროხევის სათავეში, საძროხის ყურესთან, უკვე შენდებოდა საყარაულო კოშკი, სადაც აქაური გზების სათვალთვალოდ მუდმივ ყარაულს ჩააყენებდნენ. ამაგრებდნენ ქვეყნის შიგნითა ციხეებსაც. უწინარეს ყოვლისა ჭოეთს და თორღას, რუსი ელჩებისა და მათი მცველი რაზმის ამასწინანდელ ადგილსამყოფელს, აგრეთვე ალავერდის საკათედრო ტაძრის გალავანს, სადაც შიშიანობის ჩამოვარდნის ჟამს მრავალ ათას ლტოლვილს შეეძლო თავის შეფარება და მტრის მოგერიება. ქიზიყელ მოისართაგან შემდგარი მეციხოვნე ჯარი ჩადგა მთელი ქიზიყის წარბშეუხრელ დარაჯ ხორნაბუჯის ციხეში, რომლის ცამდე აზიდულ ქონგურებიდანაც მთელი ალაზნის ველი კიდით კიდემდე იშლებოდა და სადაც კუდმაკრატელა მერცხალსაც არ შეეძლო გაფრენა ისე, ციხიდან რომ არ დაენახათ და განგაში არ აეტეხათ.

ლეკმა მარბიელებმა მაინც შეარჩიეს შესაფერი დრო და აპრილის განმავლობაში ორჯერ ჩამოჰყვნენ დურუჯს, ერთხელაც ბურსას, ყვარლის მოთარეშება დააპირეს, მაგრამ დროზე მოუსწრო სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ და ქურდ-ბაცაცები კინწისკვრით გააქცია. ვერც ერთხელ, ვერც მეორედ და ვერც მესამედ ხელს ვერაფერი გააყოლეს. ცხადი იყო, მდიდრული ნადავლის გატაცებას ჩვეული მთიელები, თოვლის გადნობასა და გზების გახსნას მოუთმენლად რომ ელოდებოდნენ, ამით არ დაკმაყოფილდებოდნენ, ბედს სხვაგანაც სცდიდნენ და ამიტომაც კახთ, ვისაც ქეთევან დედოფალმა მარბიელთა თავდასხმების მოგერიება მიანდო, მთებიდან ჩამოსასვლელი ყოველი გზისა და ბილიკის, მეტადრე ხეობების საიმედოდ შეკვრა მართებდათ. გახურებულ ალოობაზე, როცა ახალგამოჩეკილ ჩიტის ბარტყსაც კი საქმე გამოულეველი აქვს და თავის მოსაფხანადაც არა სცალია, ჭირდა გლეხკაცის მიწიდან მოწყვეტა, ბეგარაში თუ გზების შესაკვრელად სადმე

გაგზავნა, მაგრამ თავს ზევით ძალა არ იყო და ისინიც მიდიოდნენ, დღეებსა და ხანდახან კვირეებსაც ოჯახსა და სახლიკაცების იმედად დატოვებული ყანა-ვენახისაგან მოშორებული ატარებდნენ.

თვინიერ შავ ტაიპზე ამხედრებული დედოფალი ქეთევანი, ხამის უბრალო შავ მოსასხამში გახვეული და ხამისავე შავი თავსაფრით სახემობურვილი, თანამეცხედრისა ან გვირგვინოსანი მამამთილის თანხლების გარეშე აქამდე სატახტო ქალაქიდან ფეხიც რომ არ გაედგა, დიდებულთა და მხედართა მცირე ამალითურთ დაიარებოდა ციხეებისა და გამაგრებული ადგილების დასახედავად, რათა მათ საიმედოობასა და მიუდგომლობაში პირადად დარწმუნებულიყო, ან მშენებლობისათვის ახალი რჩევა-დარიგებები მიეცა, გზადაგზა კი, სადაც გაივლიდა, ხალხს ნუგეშს სცემდა, გულში იმედს უნერგავდა, ქვრივ-ობლებს განიკითხავდა და სოფლის ეკლესიგლეხის დედაკაცივით ლოცულობდა.

ერიც, თავის მხრივ, აღტაცებული ხვდებოდა საყოველთაო თაყვანისცემით გარემოსილ, თითქმის წმიდანად სიცოცხლეშივე შერაცხულ დედოფალს, რომლის ღვთისმოსაობისა და სათნოების ამბავი არამცთუ მარტოოდენ კახეთში, მთელ ამერ-იმერ საქართველოში პირიდან პირზე გადადიოდა. თვალზე კურცხალმომდგარი ერი ქეთევანს გულიდან ამოხეთქილ აღთქმას აძლევდა, ადრე და მალე ყველა პირწმინდად დავიხოცებით, ვიდრე სამშობლოსა და ქრისტეს რჯულს განვუდგებოდეთ, სულს წავიწყმედდეთ და ურჯულო კონსტანტინეს ღვთისმშობელი დედის წილხვდომილ ქვეყანაში თუნდაც ერთ დღეს ვაბოგინებდეთო.

მაისის 15-ს, ღირსი მამის, ექვთიმე ათონელის ხსოვნის დღეს, დანიშნული იყო მტარვალის მიერ ზაგმის მიწაში უპატიურად ჩაყრილი კახბატონ ალექსანდრესა და გიორგი ბატონიშვილის, მისი მცირეწლოვანი ძის, იესეს და საზარელი მკვლელობის დროს დაღუპული სხვა კახი დიდებულების შესაფერი პატივითა და ზარ-ზეიმით ალავერდის ტაძარში, კახეთის მეფე-დედოფალთა და მღვდელმთავართა ძვალშესალაგში გადმოსვენება.

სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე, შავი მეგრული ჩაბალახით თავწაკრული, ნეკრესელი და ბოდბელი ეპისკოპოსები, ბერებითურთ, თავადი ლუკა მაყაშვილი, ანდრონიკაშვილთა, ვაჩნაძეთა, ჭავჭავაძეთა, ჩოლოყაშვილთა თანამეცხედრენი და

მათი ძენი და ასულები, ვისაც დედოფალმა ქეთევანმა გვამების გადმოსვენება მიანდო, დანიშნულ დღეს ასიოდე მხედრისა და თორმეტი ჩარდახიანი ურმის თანხლებით ზაგემის გზას გაუდგნენ! გზის პირებზე უამრავი ხალხი ხვდებოდათ. ბევრი მათგანი თავს ანებებდა საქმეს და ასაბიას კარგა დიდ მანძილზე მიაცილებდა. თვალუწვდენელ ყანებსა, ვენახებსა და ბალ-ბოსტნებში ვარდობისთვის მცხუნვარე მზის ქვეშ მხვნელ-ნი თუ მათოხარნი ხელს იჩრდილებდნენ და გზაზე გამალებით მიმავალ მხედართა რაზმს, უკან აგრეთვე ცხენოსანი კაცი, ქალი და ჩარდახიანი ურმები რომ მისდევდათ, თვალს დიდხანს ცნობისმოყვარედ აყოლებდნენ.

— რა ვქნა, ვინ არიან, ჩვენებია ვითომა?

— მაშ, ვინ იქნება, ვერა ხედავ, წინ ნოდარ ჯორჯაძე მიუძღვით!

— აბა, რომელი, შვილო?

— რომელი და წინ რომ მიუძღვით, იმერული ჩაბალახი რომ ახურავ!

— ვხედავ, ვხედავ, ჩემსავით არ გაჭაღარავებულა! აფსუს, რა ვაჟკაცი იყო! მე კი ვიღაცა იმერელი მეგონა! სხვები ვინ არიან, შენს გაზრდასა?

— აბა, მე რა ვიცი, რომელი დიდკაცეთან მოსიარულე და მაგათი კუდი გამსწორებელი კაცი მე მნახე!

— აქეთ სად უნდა მიდიოდნენ, ან ეს ურმები რითვინ უნდათ?

— შენ თუ არ გაიგეი, ისე არ იქნება? ზაგემს მიდიან, თუ ასე ძალიან გინდა, ცხონებული მეფე ალექსანდრე, ბატონიშვილი გიორგი და იქ დახოცილი სხვა თავადები მიწიდან უნდა ამოსთხარონ და ალავერდში გადაასვენონ. დედოფალ ქეთევანს, დაილოცოს იმი სახელი, აგრე უბრძანებია!

ბერიკაცმა გახუნებული, ზინთით გადალესილი ნაბდის ქუდი მოიხადა, მით შუბლზე ღვარად მომსკდარი ოფლი მოიწმინდა და პირჯვარი სასოებით გადაიწერა.

— რა ჰქნა მაინც იმ აფთრი კერძმა, ჰა?

— ვინა?

— ვინა და კონსტანტინე ბატონიშვილმა!

— თათარია და მა რას იზამდა!

— მამა და ძმა როგო გაიმეტა, კაცო! განა ვინც კი თათარია, მამასა და ძმას კლავს!

— ეგ სხვა თათარია! როცა შენი მამა-პაპის ღმერთს გადაუდგები და სხვის ღმერთს იწამებ, მაშინ მამასაც მოკლავ, დედასაც, ძმასაც, დასაც, ცოლსაც, შვილსაც და სოფელ-ქვეყანასაც თან მიაყოლებ!

— რას ამბობ, ბიჭო?! — ბერიკაცმა ერთხელ კიდევ გადაიწერა პირჯვარი. — უნდა მოეკლათ ეგეცა!

— ჰმ, ვერ მოკლეს, არ მაეკვლევინა!

— ჯანი მამდევდეს ძველებურად, ე ტიალი მუხლები არა მღალატობდეს!..

— თორე რას იზამდი? მითამ რაო, წახვიდოდი და მოჰკლავდი?

— რატომაც არ წავიდოდი!

— წასვლა არ დაგჭირდება, პაპავ. მალე მტერი მოგიკვდეს, მალე ის აქ გესტუმროს და თავი დაგიკრას! ჯერ მაიგდოს შირვანის ბეგლარბეგობაი! კაცი შაჰ-აბასის მარჯვენა ხელია, ამბობენ, შაჰს იგრე უყვარს, უმაგისოდ პურს არ გასტეხსო. ყიზილბაშის ჯარს შემოგისევს, გგონია, რძლის ხათრს მაიდებს, შაეპუება?

— არ შაეპუება და არც ჩვენ შავეპუებით!

— ვინა, მიქელაანთ სოსიკა და შენა? აგრე ჰქენი, პაპავ, ოლონდ რის წელიც აღარ მოგდევს, იმას ნულარ იკვეხნი. კონსტანტინე ბატონიშვილს სუ ფეხებზე არ ჰკიდია, შაეპუები თუ არ შაეპუები?

— შე მამაძაღლო, შენ რაღადა მყეხარ! შენი მოქნეული ჩემი მოქნეული არ იქნება?

— ჰო, კარგი, კარგი.

— რა ვქნა, ჩვენც ხომ არ გავყოლოდით?

— ვისა, კაცო?

— ვისა და ამათა. მიხმარება დასჭირდებათ. ამისთანა სიცხე-პაპანაქებაში, ჯვარი აქაურობას, საფლავის გათხრა და მკვდრი ამოღება არ გინდა!

— შენ თუ არ გაჰყე, უშენოდ იქ მომხმარეს ვერავის იშოვნიან! ტყავში დაეტიე, საცა არავინ გეკითხება, იქ ცხვირს ნუ ჰყოფ!

— შენს ზრდილობას და სიტყვა-პასუხს კი ვენაცვალე!

— მა რა, აღარ მაასვენებ კაცსა!

პაპა და შვილიშვილი სამ დღეს ელოდნენ ზაგემის მხარეს გავლილი ცხენოსნებისა და ჩარდახიანი ურმების დაბრუნებას. მიიწურა მესამე დღეც და იქიდან აღარავინ გამოჩენილა.

ბერიკაცი გულში წუწუნებდა, აგრე რად იგვიანებენ, აქედან იქამდე არც მაინც და მაინც დიდი გზაა და საქმეც არაა ორი და სამი დღის გასაჭიანურებელიო, მაგრამ ხმამაღლა არაფერს ამბობდა, ენამწარე შვილიშვილის ახალი გაქილიკება რომ არ გაეგონა. ბოლოს მაინც ბიჭის შეგულიანებას აპირებდა, ავგზავნი გზაზე, გამვლელ-გამომვლელისათვის ვაკითხვინებ, არ შეიძლება, ვინმემ რაიმე არ იცოდესო, რომ შვილიშვილმა აქეთ მოაძახა:

— პაპა, დაბრმავდი, თუ რა დაგემართა?

— რა იყო, ბიჭო?

— ვერა ხედავ, მოასვენებენ?

ბერიკაცი შემობრუნდა, დაინახა ტყის პირას, საქარავნო გზაზე ზოზინით მიმავალი ცხენოსანთა რაზმი, ჩარდახიანი ურმების ქარავანს ამჯერად უკან რომ მისდევდა, როგორც სანთლებით გაჩირაღდნებულ ტაძარში, ხატების წინაშე, თავიდან გაზინთული ნაბდის ძველა მოიშვლიპა, დაიჩოქა, გამალებული პირჯვრის წერა დაიწყო და თან წამდაუწუმ იხრებოდა, მზისაგან გახურებულ ფხვიერ მიწას, რაღაცნაირი გამაბრუებელი სუნი რომ ასდიოდა, შუბლით ეხებოდა.

— პაპავ!

— რა იყო, შვილო?

— აბა, იქით გაიხედე, დაინახე, რა ამბავია! ეს ამოტოლა ჯარი აქედან არ გაჰყოლია, იქიდან როგო მოსდევთ?

მართლაც! ბერიკაცმა ხელი მოიჩრდილა და გადახრილი მზის სხივებზე ცელის პირივით ალაპლაპებულ გზას დააკვირდა. გზა მართლაც ურმებითა და ცხენოსნებით იყო გაჭედილი. კოქმაღალ სალაშქრო ცხენებზე ამხედრებულ აბჯროსანთ ხელში გრძელი შუბები ეჭირათ და წვერით ცაში აშვერილს მოანანავებდნენ. შუბოსნების გუნდი გუნდს მისდევდა. ამათ მოსდევდნენ მხარიღლივ კაპარჭგადაკიდებული მოისარნი, რომელთაც თავიანთი მძიმე შვილდები უნაგირის ტახტაზე დაემაგრებინათ, მჭიდრო მწყობრში ცხენები ნაბიჯით მოჰყავდათ და გაუთავებელ გზებზე მგზავრობით დაღილ-დაქანცულნი უნაგირზე ნება-ნება ირწეოდნენ.

იმ ურმებს, მიცვალებულების გადმოსასვენებლად ოთხი დღის წინ რომ გამოიარეს, უკვე გაევლოთ, გაევლოთ იმათაც, ვინც მათ იქეთობას ახლდა. ახლა გზა მთლიანად ჯარს ეკავა. ის სულ მოდიოდა და მოდიოდა, ბოლო არ უჩანდა.

— სანდალ, ბიჭო!

— ჰო, პაპა!

— შენ მართალი ხარ, ხომ იცი. ამ ჯარს აქედან არ გაუელია და იქიდან როგო მოდის? ვერავისა სცნობ? აბა, კარგად დააკვირდი!

— ვცნობ, როგო ვერ ვცნობ! აი, ბებურ ვაჩნაძემ და მისმა ძმამ, თამაზმა გაიარეს. აგე ელიზბარ ჩოლოყაშვილი და ქაიხოსრო ომანიშვილიც! ვენაცვალე მაგას მკლავშია! აი, ჩვენი ბაქარ ანდრონიკაშვილი!

— ის შაჩვენებული ხომ არა ჩანს, შვილო!

— ვინა?

— კონსტანტინე... ფუ, წყეულიმც იყოს საშო, რომელმაც ეგ გველისწიწილი შობა!

— არა, ის არა ჩანს. რა დედაკაცივით იწყევლები, პაპავ, არა გრცხვენია მაინცა? იქნებ გადმოგეხედა უფალმა ღმერთმა და სადმე ჩააძაღლეს?!

— მაშ, არ უნდა დავიწყევლო? გაიქე, შენს გაზრდას, ამთონ ხალხში ჩვენი ნათელ-მირონი ან ნაცნობი არავინ იქნება? კითხე, საიდან მოდის ე ჯარი. იქნებ ღვთის წყალობა მართლა მოგეველინა, მე და შენ ჭურში ვზივართ და ვერაფერი შეგვიტყვია!

ბიჭს წასვლა ეზარებოდა, როგორც თავად უყვარდა თქმა, ეზარებოდა "ხსვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა", მაგრამ სულმა წასძლია, თოხი ნათოხარში ჩასტოვა, წელი აითრია და არა წყევლით პირამყრალებული პაპის დავალების შესასრულებლად, არამედ საკუთარი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ზლაზნვით გასწია.

თავი XII

ჩრდილოეთ ირანის, იგივე ადარბადაგანის, ძველისძველ სავაჭრო ქალაქ არდებილში, სადაც დედამიწის ოთხივე კუთხიდან სხვადასხვა დროს მოსული, მრავალ ენაზე მოლაპარაკე, სხვადასხვა სარწმუნოების მიმდევარი ლიანგი სახლობდა და თავს უპირატესად წვრილი ხელოსნობითა და აღებ-მიცემობით ირჩენდა, ხმა დაყარეს, გურჯისტანიდან ოდესღაც ყაენის კარზე მძეელად ნამყოფი, გამაჰმადიანებული კონსტანტინე-მირზა, კახეთის მეფის, ალექსანდრეს ძე მობრ-

ძანებულა და თავის სამშობლოზე ცეცხლითა და მახვილით გასალაშქრებლად ჯარს აგროვებსო.

აქამდე, არდებილამდე, და თვით სატახტო ქალაქ ისპა-ჰანამდე უკვე მოეღწია სარწმუნო ხმებს იმის თაობაზე, რაც ამ გადაგვარებულ მირზას სამშობლოში ამბები დაეტრიალე-ბინა და ერთობლივ ყველა, მაჰმადიანიც და ქრისტესმოსავიც, ისრაელის შვილიც, კათოლიკეც და ბუდას აღმსარებელიც, თავის აღშფოთებასა და აგულისწყრომას ვერ მალავდა. კონსტანტინეს მიერ მძვინვარე შაჰის გულის მოსაგებად ჩადენილი ღვთის უარმყოფელი დანაშაული ყველასათვის ერთნაირად დასაგმობი და საზიზღარი გამხდარიყო.

ამბობდნენ იმასაც, რომ თავისი გაზრდილი გურჯი მირზას საქციელმა თვით სისხლისმსმელი შაჰიც კი შესზარა და განარისხა, თუმცა კახეთის მეფე ალექსანდრე ჭირის დღესავით სძულდა და გიაურ რუსხელმწიფესთან დანაშაულებრივი კავშირის დამყარების გამო, რაც მისთვის ზურგში ხანჯლის ჩაცემას უდრიდა, სიკვდილის განაჩენს თავადვე უმზადებდა!

შაჰმა უკმაყოფილება და მრისხანება იმით გამოჰხატა, რომ კონსტანტინეს მიერ გაგზავნილ ყიზილბაშ მალემსრბოლს, ვინაც მირზას ბრძანებისამებრ, სამეფო კარზე ძვირფასი ნობათი — კახბატონ ალექსანდრესა და მისი ძის, ბატონიშვილ გიორგის თავები მიიტანა, უცხოელი ელჩების თვალწინ თავი გააგდებინა, ეგ როგორ გამიბედე და მკადრე, ასეთი რამ სასახლეში როგორ შემოიტანეო, გაზრდილს კი სხვათა პირით შეუთვალა: სიახლოვეს აღარ გამეკარო, ახალი ცოდვა არ ამაკიდებინო, ჯარს კი არა, ცხელ ნაცარს მოგაშველებ, მე შენ შირვანის ბეგლარბეგობა გიბოძე, თუ ფხას გამოიჩენდი, მამასა და ძეს დაიხმარდი და შემახიდან ოსმალთ გაჰყრიდიო. შენ კი რა ჰქენ, უბედურო, ნაცელად იმისა, სიბრძნე და გამჭრიახობა გეხმარა, ალაჰის სარგო საქმეში გონივრულად გამოგეყენებინა, მამა და ძმა სასიკვდილოდ გაიმეტე, კახეთის ვალის ტახტს ჩემს უნებურად დაეპატრონე, ახლა კი გინდა, ჭკუაში მაჯობო, სისხლში ამოსვრილი ხელები მე შემახოცო, ბრალი დამდო, თითქოს ჩემს ნებას ასრულებდი, განათლებული კაცობრიობის წინაშე ფიცის გამტეხად, მკელელად და ავაზაკად გამომაც-ხადო? წადი, თავში ქვა იხალე და მუცელში სამართებელი, ჩემი ბრძანება შეასრულე, ვიდრე თავად არ მოვსულვარ და შენც იმ ურჯულო მამა-ბაბის გზაზე არ გამიგზავნიხარ, საითაც უპირულმა და უნამუსომ მამა და ძმა გაისტუმრეო. გიაური

კახელების მუხანათური ღალატით დაღუპული ხუთი ათასი მართლმორწმუნე ყიზილბაშის სისხლიც შენს კისერზეა და მაღალი ალაჰის წინაშე პასუხისმგებელიც შენა ხარ, მარტო შენ, ნუ გგონია, მაგ ცოდვაში შეგეზიაროო.

კონსტანტინეს დუკატები ჰქონდა. რაკი თავისი მწყალობელისაგან, მამად სახად შაჰისაგან მრისხანე უარი მოუვიდა და დახმარების მიღების ყველა იმედი სრულიად გადაეწურა, მიდგა-მოდგა, არდებილის მდიდარ ვაჭრებში, ვითომც ცხვირს რომ იბზუებდნენ და არამცთუ მასთან საქმის დაჭერა, დანახვაც არ უნდოდათ, ნაცნობის ნაცნობები გამონახა, ამათი საშუალებით სხვებსაც დაუკავშირდა, თამასუქები და საგირავნო საბუთები შეადგინა და ოქრო იშოვნა.

სამწუხაროდ, ეს თანხა არ კმაროდა. თუ მეტად ვერ გაღონიერდებოდა, ქვას არ გახეთქავდა და გროშს გროშზე არ დაადებდა, ამ ფულით დაქირავებულ მოხალისეთაგან აბა რა ლაშქარი უნდა შეედგინა!

უბედურება ის იყო, რომ კონსტანტინე მდაბიო ხალხსაც პირს არიდებდა. საკრებულო მეჩეთშიაც კი, ოდესღაც ზაქარია მხარგრძელის ქართულმა ჯარმა რომ აიკლო და ყიზილბაშთა მახვილით დაღუპული თორმეტი ათასი მლოცველი სომხის სანაცვლოდ ამდენივე მართლმორწმუნე მაჰმადიანი სიცოცხლეს გამოასალმა, სახეზე ჩაბალახჩამოფარებული დაიარებოდა. არ უნდოდა, მისი აქ ყოფნა გახმაურებულიყო და ამბავს ადრე თუ გვიან გამეცადინებული მტრის ყურამდე მიეღწია. მოგზავნილ მტერს ყველგან შეეძლო მისი მოხელება და მოკვლა, გრემში კი არც ფულს დაიშურებდნენ, არც სხვა რაიმე სახსარს, ოღონდ კი სადმე ხელთ ეგდოთ და სიცოცხლე მოესწრაფათ!

ხიდგალმა, ერთი გამაჰმადიანებული სირიელი მეუნაგრის ბანიან სახლში, რომლის მინამგვანსაც არდებილსა და სპარსეთის რომელიც გნებავთ სხვა ქალაქის ღარიბ-ღატაკთა უბნებში ათასობით თუ არა, ასობით მაინც ნახავდი, მთელი მეორე სართული იქირავა და იქ ორ მსახურ ბიჭთან ერთად დასახლდა.

მსახური ბიჭები არდებილელი სომხები იყვნენ, სპარსულთან და არაბულთან ერთად ცოტაოდენ ქართულსაც ამტვრევდნენ და მათი შემწეობით, სიფრთხილის ყველა ზომის დაცვით, რომ თავი არ გაემეღავნებინა, კონსტანტინე ახერხებდა, არდებილში მცხოვრებ ქართველებისაგან, მამა-პაპის

სარწმუნოებას მისებრ რომ განშორებოდნენ და დღეს ალაჰს ადიდებდნენ, სამშობლოდან სხვადასხვა გზით მოღწეული მეტნაკლებად სანდო ამბები გაეგო.

კონსტანტინემ თავისი სომეხი მსახურების დახმარებით შეიტყო, მაგალითად, რომ დავით მეფის ქვრივი დედოფალი ქეთევანი, კახეთის ბრწყინვალე წოდებამ, სამღვდელოებამ და ერმა ერთსულოვანი მხარდაჭერა რომ გამოუცხადა და მისი უყოყმანო ერთგულების ფიციც დასდო, საომრად ემზადებოდა, ძველ, ნახევრადდანგრეულ მამაპაპეულ ციხეებს ამაგრებდა, ალაგ-ალაგ ახლებსაც აშენებდა, ჯარს გამოცდილი მხედარ-თუფროსების მეთაურობით წვრთნიდა და ელჩებს აქეთ-იქით აგზავნიდა, მომავალ გარდაუვალ ომში თანამდგომებს ეძებდა. შეიტყო ისიც, რომ ხელმწიფე ბორის გოდუნოვის ელჩები, ზაგემში რომ შეხვდნენ, რაკიღა კახეთში თავიანთი მისიის წარმატების იმედი დაჰკარგეს, ამჟამად ქართლის მეფე გიორგისთან ისხდნენ ტფილისის ისნის სასახლეში და ქეთევანის ხელისშემწყობ, უფრო კი რუსეთის სასარგებლო საქმეებს ხლართავდნენ.

რა მოჰყვებოდა ქართლის მეფის კარზე რუსეთის ელჩების ზურზუტს? უკეთუ ქეთევანი მამამთილის გზით იელიდა, მათთან ურთიერთობას განაახლებდა და მათი შემწეობით რუსეთის ჯარებს მოიწვევდა, კონსტანტინეს გაუჭირდებოდა ტახტის დაბრუნებაზე ფიქრი, რადგან ზარბაზნებითა და არკებუზებით შეიარაღებულ რუსთა მრავალრიცხოვან მხედრობასთან მას თავისი დაქირავებული ჯარით შებმა და შებრძოლება არ შეეძლო. ამიტომაც აჩქარება მართებდა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, მას უნდა დაესწრო გიაურ რუსებისათვის, რომლებიც, თუ დარხეულ ხმებს ყურს მიუგდებდი, საშამხლოს დასალაშქრავად მოდიოდნენ, და კახეთი მანამ წამოეჩოქებინა, სანამ ვინმე ძლევამოსილი თანამდგომი ქეთევანს გვერდში ამოუდგებოდა!

მსახური ბიჭები, რომლებიც არდებილში მოსვლისთანავე დაიქირავა, ეჭვობდნენ, ეს ჩვენი ხელგაშ ი ი ალა მგონი უბრალო კაცი არ უნდა იყოს, როგორც ცდილობს, თავი მოგვაჩვენოსო. აქ, ეტყობა, რაღაც დიდ საქმეებს აპახრაკებს, რადგანაც დილაადრიან, ნამაზს მოითავებს თუ არა, სადღაც მიდის, მთელი დღე იკარგება და შინ გვიან ბრუნდება, როცა ჩვენ გულის ძილითა გვძინავს და მის მოსვლას ალარც ველითო.

გაუტყდნენ ნაცნობ ქართველებს, აქ რომ დიდი და პატარა გურჯებად იხსენიებდა, და ჟღალი ჩაბალახით პირახვეული კონსტანტინე შორიდან დაანახეს.

— კონსტანტინე-მირზა არ იყოს, ბიჭებო, თქვენც არ გაგასალოთ, როგორც მამა და ძმა გაასაღა! — უთხრეს ქართველებმა.

— როგორ თუ გაასაღა, ფარჩა-ატლასი იყო? — ვერაფერს მიხვდნენ, თვალები გადმოქაჩეს სომხებმა.

— კონსტანტინემ-მირზა არ გაგიგონიათ? აი, თქვე საყდრის მათხოვრებო! ღმერთმა გიხსნათ! მადლობა უთხარით, რომ ეგ კონსტანტინე არ არის, თორემ კონსტანტინე რომ იყოს, აქამდე თქვენც წესს აგიგებდათ!

— რადა, კაცო, ჩვენ რას გვემართლება, რა ვირი მოგვიპარავს?!

— ქრისტიანების დაუძინებელი მტერია! აგრე ამბობს თურმე, სანამ ერთი ქრისტიანი მაინც მიწაზე ფეხს აბიჯებს, მე ვერ მოვისვენებო.

— ნურც მოასვენოს და თვალებიც დავსებია შობელ-ძაღლს, ჰანდე! რადა, კაცო, ჩვენი ქრისტიანობით მითამ მაგას რას ვუშავებთ, როდის იყო, სახლში შევუვარდით და მოვთხოვეთ, გინდა თუ არა, პირჯვარი დაიწერეო?!

— მიდით და კითხეთ!..

— ვკითხოთ არა!.. მაშ, ძმურად გვირჩევთ, ეგ თავისთვის, ჩვენ ჩვენთვის?

— ჩვენ გვითქომს და...

— იქნებ მართლა არ არის კონსტანტინე? როგორ გავიგოთ, ნამდვილად ის არის თუ არა?

— როცა გაიგებთ, მერე გვიან იქნება!

იმავე დღეს ქალაქში საომრად აღჭურვილი ყიზილბაშთა ცხენოსანი ჯარი შემოვიდა. მთელი ქალაქი დიდიან-პატარიანად გარეთ გამოეფინა. ჯარი მაინც და მაინც დიდი არ იყო, მაგრამ არც სიმცირე ეთქმოდა. მისმა თავმა რომ შუაბაზარსა და საკრებულო მეჩეთს მოაღწია, სადაც ამირებს ქალაქის ხელისუფალნი გამოეგებნენ, მრავალი აქლემისა და ყევარი ხარ-კამეჩისაგან შემდგარი აღალი და ჩამკეტი რაზმი ჯერ კიდევ მტვრიან გარეუბანში მოიზლაზნებოდა.

კონსტანტინეს ღამე ბინაში არ გაუთევია და მის გაუთავებელ მოლოდინში არც შეშინებული ბიჭები დაწოლილან. საწყლებს ვერც დაწოლა გადაეწყვიტათ და ვერც

პატრონის დაუკითხავად და ნებართვის მიუღებლად აქედან წასვლა, ამ წყეულმა და მუდრეგმა შარი არაფერი მოგვდოს, ხელმრუდობა არ დაგვაბრალოსო.

დილას, კარგად რომ გათენდა და ქუჩებში მეთულუხჩეების ხრინწიანი ყვირილი გაისმა, აბა, წყალი, ვის უნდა წყალი, ცივი კიბულაო, ორი ცხენოსანი ყიზილბაში მოვიდა და ბიჭებისათვის ხმა არც კი გაუცია, მათი პატრონის კუთვნილი ნიეთები მოაგროვა და თან წაიღო. ბიჭები კანკალებდნენ, ენა მუცელში ჩავარდნოდათ, მხრებს იჩეჩავდნენ და ერთმანეთს უყურებდნენ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთო. უცხვირპირო ყიზილბაშებს, მათთან გამოლაპარაკებასაც რომ არ კადრულობდნენ, ისიც კი ვერ შეპბედეს ეკითხათ, სად მიგაქვთ ეგ ბარგი-ბარხანა, ან თავად ვინა ბრძანდებით, აქ ვის გამოუგზავნიხართ, პატრონმა რომ გვკითხოს, რა ვუპასუხოთო.

ჯარი არდებილში მთელ კვირას დარჩა. შემოუელელი და დაუყნოსავი, როგორც საზოგადოდ ჯარის წესია, არაფერი დაუტოვებიათ. სადაც საითაც არ უნდა გაგეელო, აუცილებლად ხელშუბიან ყიზილბაშს გადააწყდებოდი.

სამეძავო სახლებმა გულუხვი მუშტარი იშოვნეს. გალაღებული ქალების ვნებამორეული კისკისი და აღგზნებული კაცების ხორხოცი გვიან ღამემდე ისმოდა.

ქალაქის ყოველმა მაცხოვრებელმა მეორე დღესვე შეიტყო, რომ მწყალობელმა შაჰმა გული მოიბრუნა თავის მიერ შერისხულ კონსტანტინე-მირზაზე და ეს ჯარი — სამი ათასი ცხენოსანი და ორი ათასი ქვეითი ყიზილბაში კახეთის დასასჯელად და იქ ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლად გამოუგზავნა. ჯარს აქ, არდებილში, ჩრდილოეთ ირანის უკანასკნელ ქალაქში, უნდა დაესვენა, ნუზლი უნდა მოემარაგებინა და ენკენისთვის 1-ს შორეული გურჯისტანის გზას გასდგომოდა.

ვაი იმას, ვინც ამ ლაგამაწყვეტილ ავაზაკთა ლაშქარს წინ გადაუდგებოდა და წინააღმდეგობის გაწევას გაბედავდა, ვაი იმის სახლ-კარსა და ქალ-რძალს, ვისაც ესენი თვალს დაადგამდნენ და დასაკუთრებას მოიწადინებდნენ!

ღვთისმოსავ ქრისტიანულ ოჯახში აღზრდილი გულუბრყვილო სომხის ბიჭები ზომაზე მეტად განცვიფრებული დარჩნენ, როდესაც სალაშქროდ ამხედრებული ჯარის სათავეში თავიანთი ყოფილი აღა, გასპარსებული სირიელი მეუნაგრის მდგმური დაინახეს. თვალი ეგონებ არ ატყუებდათ. მათი

ყოფილი აღა, სხვა აღებისაგან უდარდელი მფლანგველობით რომ გამოირჩეოდა, ნამდვილად კონსტანტინე-მირზა იყო, მამისა და ძმის მკვლელი, და ისინი მაღალმა ღმერთმა იხსნა, პირში სული რომ ჯერ კიდევ ედგათ. მხარბეჭიანი, ტანთხელი, მოკლედ წვერშეკრეჭილი კონსტანტინე ამაყად იჯდა ძვირფასად შეკაზმულ თეთრ ცხენზე, თავზე მბზინვარე ქსოვილის წითელი ჩალმა ჰქონდა დახვეული და შუბლზე ჩალმის ნაკეცში გარჭობილი ბრდღვიალა ალმასი უბრწყინავდა. თვალის გასწორება, კიდევაც რომ მოგვნდომებინა, შეუძლებელი იყო. თვალისმომჭრელი ალმასის სხივი უმალ დაგაბრმავებდა და თავს დაგახრევინებდა.

ბიჭები კანკალმა აიტანა. საომარ ცხენზე ამხედრებულ, ალისფერი მოსასხამით ტანშებურვილ პატრონს რომ არ ეცნო და თავში რაიმე ბოროტი ზრახვა არ დაჰბადებოდა, მათ სახეზე ხელები აიფარეს და სეირის საყურებლად გამოფენილ ჭრელ ბრბოს შეერივნენ.

თავი XIII

კახეთის საზღვრებამდე მისასვლელად კონსტანტინემ შაქის გზა არჩია. სამ ენკენისთვეს მან არაქსი გადალახა, წყალში ცხენდაცხენ გავიდა და აღალის გადმოსვლასაც აღარ დაელოდა, მსუბუქად შეიარაღებული ნახჭევანის უდაბურ აღმართებს შეუდგა. სომხეთი შაჰ-აბასს ახალი მოთარეშებული ჰქონდა. ერევნის ციხეში ყიზილბაშები იდგნენ და იქ ვისმე წინააღმდეგობა არ ელოდა. სპარსელთა მეციხოვნე ჯარი იდგა აგრეთვე ბარდავსა და განძაშიც, საიდანაც კონსტანტინე სამეხის ჭალებს უნდა დაჰყოლოდა, ევლახთან ტკვარი გადაელახა, გალმა გადასულიყო და პირი ნუხისაკენ ექნა. ნუხაში ის ჯარებს დაასვენებდა, ქარს ამოაღებინებდა და კახეთში კაცებს გაგზავნიდა, მოვდიეარ და, თუ გული გერჩით, დამიხვიდით, თუ არა და მაცნობეთ, რომ უომრად მნებდებით და ისე შემოვალ, ერთი ისრის გამსროლელიც არა ვარო.

ლმობიერება, შენდობა, წარსული მტრობის დრომდე დავიწყება ის ერთადერთი ბასრი იარაღი იყო, რითაც მას ხალხის გულის მონადირება და თავის მხარეზე გადმობირება

უნდოდა. აკი თქვა რუსთაველმა, გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისაო.

ლმობიერება არ იქნებოდა საზოგადო და ყოვლის მომცველი, თუ ის მარტოოდენ მდაბიორებს შეეხებოდა და მხედველობის გარეთ დასტოვებდა ძლიერთა ამა ქვეყნისათა, ვინც დედოფალ ქეთევანის დროშის ქვეშ იდგა და ფიცით განმტკიცებულ თავის სიტყვას იცავდა. ბევრი მათ შორის, თუ უკლებლივ ყველა არა, კონსტანტინეს პირად მტრად მიაჩნდა და ფიქრობდა, არ აჩქარებულიყო, ნადირი არ დაეფრთხო, ისე მოქცეულიყო, როგორც მოთმინებით აღკურვილი გამოცდილი მონადირეები იქცევიან.

თავიანთ ვერაგულ მიზანზე, რომელიც დედოფალ ქეთევანისაგან მომდინარეობდა, მისი ეს დაუძინებელი მტრები, რაღა თქმა უნდა, ხელს დღესაც არ აიღებდნენ, თუ კონსტანტინე რაიმეს არ იღონებდა და მოსაქნევად აღმართულ მახვილს ხელიდან არ გააგდებინებდა.

ეს "რაიმე" ისევ ლმობიერება, დაპირებები, ერთგულთათვის სახელოებისა და ყმა-მამულის დარიგება იყო, ცთუნება, რომელსაც გიაურები ვერასოდეს ვერ უძლებდნენ და თუ ყოველთვის არა, მის ანკესზე უმეტესწილად მაინც ეგებოდნენ.

ამას გარდა, კონსტანტინეს გულში სხვა ფიქრი და განზრახვაც უღვიოდა. მას გაგონილი ჰქონდა, აშოთან მუხრან-ბატონის ასულ ქეთევანის, კახეთის ახლანდელი მპყრობელის, მისი რძლის, ღვიძლი ძმის, დავითის ქვრივის, ანგელოზისებური სიტურფისა და დიაცური მომხიბვლელობის ამბავი, რის წინაშე გულგრილი თვით ცათა სწორი ყაენიც არ იყო და დაუცხრომელი სურვილი სწვავდა, ამაყი და თავმომწონე დედოფალი დამდაბლებული, თავის წინაშე განრთხმული და შეწყალების მთხოვნელი ენახა.

ეგ გრძნობა, უფრო კი ჟინი მგლოვიარე დედაკაცის დიაცური მიუკარებლობის გადალახვისა, ღვთაებრივი სხეულის მშვენიერებით დატკბობისა კონსტანტინეს მაშინ უფრო გაუცხოველდა და მთელი მისი არსება შეიპყრო, როდესაც გულზვიადმა ქეთევანმა კუთვნილი სადედოფლო გვირგვინი არ იკმარა, არად ჩააგდო, ტახტს წაეპოტინა და ძლევამოსილი მაზლის წინააღმდეგ ამხედრებულ კახელ დიდებულებს სათავეში ჩაუდგა!

გასპარსებული ძე ალექსანდრესი, თავს კახეთის გვირგ-ვინოსან მეფედ რომ ნათლავდა და სხვებსაც აიძულებდა, მისთვის მხოლოდ ასე მიემართათ, დარწმუნებული იყო, ეს საბედისწერო გადაწყვეტილება ქეთევანს თავისმა დედაკა-ცურმა ჭკუამოკლეობამ ჩაადენინა და როგორც კი ყაენის ჯარით გალონიერებული მაზლის ნუხას მოსვლის ამბავს შეიტყობს, ადრინდელი რიხი უმალ დაეკარგება და სრული მორჩილების გამოსახატავად ელჩებს მომაგებებსო.

ეს უკანასკნელი ვარაუდი კონსტანტინეს ისე სარწმუნოდ ეჩვენებოდა, რომ სანახევროდ კიდევაც დაიჯერა. არ შეიძლება, საქმე სხვაგვარად წარიმართოსო. უმწეო ქერივი დედაკაცი, რომელსაც გარს თავის საკუთარ სარგებელზე გამეცადინებუ-ლი ხარბი თავადები ეხვევნენ და ძლიერი მფარველის გულის მოსაგებად ყოველთვის შეეძლოთ, მისთვის ზურგი ეჩვენები-ნათ, როგორ მოახერხებდა სპარსელთა უძლეველ ჯარს გამკლავებოდა! ჯარი, მართალია, ამჯერად არცთუ ისე დიდი იყო, მაგრამ სიპატარავით წუნი არ დაედებოდა. ამ ჯარით კონსტანტინეს, სწორუპოვარ სარდალს, როგორადაც ის თავის თავს თვლიდა, ორჯერ და სამჯერ უფრო მრავალრიცხოვანი ლაშქრის დამარცხებლა ძალუძდა.

"დედაკაცი, რაც უნდა ჭკვიანი იყოს, მაინც დედაკაცია, — ფიქრობდა გულში კონსტანტინე და თავის მკლავებში მორჩილად განაბულ ქეთევანს წარმოიდგენდა. — იმას ალერსი და დიდება არ უნდა მოაკლო. სხვა ყველაფერი ჩირადაც არა ღირს, ანგარიშში ჩასაგდებიც არ არის! მოაკლებ და იმწამსვე გაგცვლის, გიღალატებს! ვფიცავ ალაჰს, არც ერთს არ მოვაკლებ. კახეთის დედოფლობას შევუნარჩუნებ, ყველას ვაიძულებ, მისი უდიდებულესობის წინაშე მუხლი მოიდრეკონ და, როგორც ღვთაებას, თაყვანი სცენ! რომელ ქალს შესწევს ღონე, ამ პატივზე უარი თქვას? ვის შეუძლია, ცოთუნებას მოერიოს და თავისი ბედი, კარზე რომ მოსდგომია, თავისი დედოფლობა, საეგებით გახადოს?"

კონსტანტინე ჩქარობდა. მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, ამ დამქანცველ გზას როდის გაიცლიდა და გულში ღრმად ამოპრილ წადილს როდის აისრულებდა! წინასწარ დასახული გეგმის მიხედვით, ბარდავში ორ დღეს უნდა შეჩერებულიყვნენ, ნუხლი და წყლის მარაგი შეევსოთ, მაგრამ შესვენების ეს მცირე დროც ერთი დღით შეამოკლა, განძაშიაც მხოლოდ ერთ დღეს დარჩა და თუმცა ცხენები ულვთოდ დაიღალნენ

და დაიმშნენ, უდაბნოს დაუსრულებელ გზებზე სიარულს ნაჩვევი აქლემებიც ფეხებს ძლივს მიათრევდნენ, მომდევნო დილას ევლახში გაჩნდა და ორად ორი მომცრო ბორნით, უფრო დიდები და ტევადი იქ არა ჰქონდათ, ჯარის გალმა, უდაბურ ნაპირზე გადასხმა დაიწყო. აქ ბევრად უფრო მეტი დრო დაეხარჯა, ვიდრე თავდაპირველად განზრახული ჰქონდა. გზებზე მტვრის ბული იდგა და უდაბნოს ცხელი ქარი უბერავდა. კაცსა თუ პირუტყვს პირი უდაბნოს ქვიშით ევსებოდა. ქვიშას მარილის გემო ჰქონდა, როგორც იქ, ირანში, ხორასნისა და ბელუჯისტანის უდაბნოებში და კბილებსშუა კნაწკანუწი გაჰქონდა. მზე აცხუნებდა, ისე შეუბრალებლად აპერდა, თითქოს შუა მარიობისთვე ყოფილიყოს. ეს მას შემდეგ უფრო საგრძნობი გახდა, რაც წყალუხვი მტკვარი გადმოვლეს და გეზი კავკასიონის ლურჯი, ალაგ-ალაგ ჩამოთოვლილი მთებისაკენ აიღეს, რომელთა ძირშიაც ნუხა ეგულებოდათ.

ნუხის მაღალი, მზის სხივებზე მოელვარე მინარეთები და მრგვალგუმბათიანი მეჩეთები მხოლოდ ენკენისთვის 14-ს გამოჩნდა.

ევლახიდან მომავალი ჯარის მოახლოებას ქალაქში დიდი შიშიანობა ჩამოეგდო. შეჩვეული ყიზილბაშები, რომელთა პატარ-პატარა რაზმები აქაურ ციხეებში იდგა, ნუხის მკვიდრთ ოსმალებად მიეღოთ და უწყალო მტრის დასახვედრად ქალაქის სამივე კარისათვის ურდულები გაეყარათ.

კონსტანტინეს ეს ამბავი მაშინ აუწყეს, როდესაც ქალაქის კედლის გარეთ, ჯერაც გაუკრეფავ ვაშლის ბაღებში, ჯარის დაბანაკება ბრძანა და მორდალი დაადარებინა, რათა გრემში გასაგზავნი წიგნები შეედგინა.

სამშობლო ქვეყანაზე შემომწყრალ, რჯულ და გულშეცვლილ ბატონიშვილს კარგად ახსოვდა, ანდა რა დაავიწყებდა, რა დღეც შემახაში დაადგა და ახლა დიდ სიფრთხილესა და წინდახედულებას იჩენდა. კახთ კვლავაც შეეძლოთ, ბანაკში მკვლელები შემოეგზავნათ ან უადგილო ადგილას ჩასაფრებოდნენ და სირცხვილი ეკმიათ. გზაშიაც და მაშინაც, როცა ბანაკად იდგნენ, კონსტანტინეს გარშემო სამკეცი ყარაული ერტყა. ამ წრეებში გაღწევა და კონსტანტინესათვის რაიმე ზიანის მიყენება თვით ყველაზე უფრო დახელოვნებულ და თავზეხელაღებულ ასასინსაც კი გაუჭირდებოდა.

კონსტანტინემ მორდალს ორი წიგნი დაამზადებინა. ერთით კახეთის თავადებს, დარბაზის ერს მიმართა, შემახას ომში მიყენებული ძველი წყენის დავიწყება და ბოროტების წილ სიკეთე — მეფური წყალობა აღუთქვა, ხოლო მეორე, საიდუმლო, პირადად ქეთევანს გაუგზავნა და ბრძანა, გადაეკრილი, მიუკიბ-მოუკიბავი პასუხი მისგანვე მოეთხოვათ.

წიგნები, როგორც ერთი, ისე მეორე, სპარსულ ენაზე იყო შედგენილი, რაც თავისთავად მოასწავებდა იმას, რომ ბატონიშვილი თავისი მბრძანებელი შაჰის ნება-სურვილით მოქმედებდა და მისთვის რაიმე წინააღმდეგობის, თუნდაც უბრალო ურჩობის გაწევა თვით ცათა სწორი შაჰის ურჩობად აღიქმებოდა, ეს კი კახ თავადებს, მათ წინამძღოლ დედოფალ ქეთევანს და მთლიანად ერს სასიკეთოს არაფერს მოუტანდა!

გრემიდან საბოლოო პასუხის მიღების უკააკნელ ვადად დათქმული იყო ღვინობისთვის 22. ამ დღეს კონსტანტინე ბელაქნის წყალე დადგებოდა და კახეთის სამეფოს დარბაზის ერს, მის უდიდბულესობა დედოფალ ქეთევანთან ერთად, რომელსაც შორიდან თაყვანს სცემდა და დიაცთა შორის უპირველეს გვირგვინოსნად მიაჩნდა, მათი ღირსების შესაფერ მიღებას მოუწყობდა.

თავი XIV

გრემში ომის დიდი სამზადისი იყო გაჩაღებული. ერთგული მსტოვრების მეშვეობით, რომლებიც შურსძიების წყურვილით შეპყრობილ კონსტანტინე ბატონიშვილს თვალს არდებილშივე და არდებილიდანვე ადევნებდნენ, აქ უკვე ზუსტად იცოდნენ ურჯულო ტახტის მოცილის ჯარის რაოდენობაც იგი კახეთის საზღვრებს.

არც სამეფო კარს და არც სადროშოებს ეს დრო უქმად არ დაუკარგავათ. ჯარი იმ ანგარიშით შეკრიბეს, რომ მომხვდურ მტერზე მეტი თუ არა, ნაკლები არამც და არამც არა ჰყოლოდათ.

სასწრაფოდ გამართული მოლაპარაკების თანახმად, კახელების შესაწევნად უნდა მოსულიყო აგრეთვე სამი ათასი ქვეითი და ცხენოსანი ქართლის მეფე გიორგისაგან. ერთ ამდენს იმერთა მეფე გიორგისაგან ელოდნენ. იმერლები, სვან-აფხაზ-ოდიშარებთან ერთად, თავს ორი ქართული სამე-

ფოს საზღვარზე, ვახანის ციხესთან იყრიდნენ და ორი დღის, უკიდურეს შემთხვევაში ორდღენახევრის შემდეგ კახეთის ნებისმიერ კუთხეში გაჩნდებოდნენ, უკეთუ ამას გადაუდებელი საჭიროება მოითხოვდა.

არავის ეგონა, თუ დამსჯელი ჯარით სამშობლოსაკენ დაძრული კონსტანტინე წინ ელჩს გამოიძღვანებდა და თავის საზავო პირობებს, რა სურდა და როგორ, წინასწარ შემოთვლიდა, რათა ორივე მეომარი მხარისათვის ზედმეტი სისხლისღვრა აერიდებინა. პირიქით, ყველა, ვისაც კი საქმისა რაიმე გაეგებოდა, დარწმუნებული იყო, ურჯულო გარეწარი უეცარი დარტყმის უპირატესობით ისარგებლებს და ქვეყანას სწორედ მაშინ შემოესევა, როდესაც მისი მოლოდინი კაცსულიერს არ ექნებაო.

კონსტანტინეს მიერ ნუხიდან გამოგზავნილი წიგნები მეჩხერი ჭაღარა წვერით ნიკაპდაჩხორილმა ქლესა სპარსელმა ელჩმა მაჰმად-ბეგმა მოიტანა, რომელიც გურჯების ქვეყანაში არც პირველად იყო, არც მეორედ, აქაურობასა და აქაურებს თვით კონსტანტინე-მირზაზე უკეთ იცნობდა, მოყვრული სალამ-ქალამის შემდეგ, რაზედაც ერთობ ცალყბა პასუხი მიიღო, მან საიდუმლო წიგნის გადასაცემად დედოფალ ქეთევანთან პირისპირ შეხვედრა მოითხოვა.

სასახლეში დარბაზის ერის სხდომა იყო მოწვეული. სხდომას უკლებლივ ყველა დარბაისელი, ოთხივე სადროშოს სარდლები და უზენაესი სამღვდელო პირები, თვით ალავერდელი მიტროპოლიტი მეუფე სამოელიც ესწრებოდა. მეუფე სამოელს შავი ქიშმირის ანაფორა ეცვა, ქიშმირისავე ასეთივე ფერის კუნკული ეხურა, გულზე ოქროს წყალში გაელებული პატარა ვერცხლის ჯვარი და პანაღია ეკიდა და გველისთავიან მაღალ კვერთხზე ზვიადად დაყრდნობილი თავის ნატიან სკამზე იჯდა. ელოდნენ ქეთევანის გამობრძანებას.

რაკი სპარსელმა ელჩმა მაჰმად-ბეგმა არ დაიშალა და, მიუხედავად დიდებულების ორპოფული ყოყმანისა, კონსტანტინეს საიდუმლო წიგნის გადასაცემად დედოფლის პირადად მონახულება დაჟინებით მოითხოვა, დიდებულებმა ერთმანეთს ერთხელ კიდევ გადახედეს, რა პასუხი მივცეთო. საბოლოოდ, სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე იძულებული გახდა, მესტუმრეთუხუცესი ლუკა მაყაშვილი ეხმო და მასთან ერთად დედოფლის განმარტოებულ სენაკისათვის მიემართა. ქეთევანმა დაუყოვნებლივ მიიღო ორივე. დიდებულები იქ დიდხანს

არ დაყოვნებულან, მალევე დაბრუნდნენ და ელჩს ანიშნეს, დაჰყოლოდა, რადგანაც მისი უდიდებულესობა დედოფალი მის მიღებაზე უარს არ ამბობდა და დარბაზის სხდომაზე დასასწრებად მომზადებული უკვე ელოდებოდა.

სენაკის კარის წინ მაჰმად-ბეგს ქეშიკებმა იარაღი აჰყარეს, უბოდიშოდ, საკმაოდ მოურიდებლად გაჩხრიკეს, კიდევ ხომ არაფერს მალავსო და როცა მეტი ვეღარაფერი აღმოუჩინეს, ჯორჯაძე და მაყაშვილი გარეთ დარჩნენ, მას კი გვერდში ორი შუბლშეკრული სეფექალი ამოუდგა და დედოფალთან შეიყვანა. რამდენიმე წუთმა, იქნებ ცოტა მეტმაც მოუსვენარ ლოდინში გასტანა. ნოდარ ჯორჯაძემ უბიდან საათი ამოიღო. ჯერ ყურთან მიიტანა, ხომ მუშაობსო და მერე ზედ დახედა. ათი სრულდებოდა. დღეს აუარებელი საქმე იყო მოსაგვარებელი. მოასწრებდა კი? ურთხელის მაღალი კარი გაიღო და ზღურბლზე ცოტა არ იყოს საქციელწამხდარი მაჰმად-ბეგი გამოჩნდა. მას ისეთი სახე დასდებოდა, თითქოს ადუღებულ წყალში გაეფუთქოთ, ანდა ცხელი ორთქლით სულშეხუთული აბანოდან გამოვარდნილიყოს. სახეზე გაჟინ-ჟღილებული იყო, შუბლზე ოფლის ხვითქი გადასდიოდა.

რა ეწერა იმ წიგნში ისეთი, ელჩის დაჟინებული მოთხოვნით დედოფალს რომ მხოლოდ საკუთარი თვალით უნდა წაეკითხა? რა უპასუხა ასეთი მუდამ წყნარმა და ღვთისმოშიშმა დედოფალმა, რომ ეს სინდის-ნამუსისაგან გარეცხილი არაკაციც კი ამ დღეში ჩავარდა?

ნოდარ ჯორჯაძე და ლუკა მაყაშვილი რომ დარბაზში დაბრუნდნენ, იქ ქეთევანის მიერ გამოგზავნილი სეფექალი შემოვიდა და ყველას ერთად მიმართა:

— დედოფალი ბოდიშს გიხდით, ბატონებო. ცოტა ულონოდ გახლავთ. დილასვე უქეიფოდ ბრძანდებოდა. გულის წვეთები ვასვით. ბრძანა, დაიწყოთ, ნულარ დაელოდებით. მოვიკეთებ და შემოგიერთდებითო.

ვინღა ვერ მიხვდებოდა, საღსალამათი დედოფლის უქეიფობა, რაც მისმა მეტისმეტად აღელვებამ გამოიწვია, ტახტის მოცილე კონსტანტინესა და მისი წვერცამეტა ელჩის, მაჰმად-ბეგის სახელთან იყო დაკავშირებული. ქაიხოსრო ომანიშვილმა და ორიოდე სხვამაც უნებლიეთ სატევრებზე დაიხედეს, ტარს ხელიც წაატანეს და არცთუ სახუმაროდ დაბღვერილებმა დარბაზს თვალი მოატარეს. მისდა იღბლად, მაჰმად-ბეგი აქ არ იყო. წინდახედულ ჯორჯაძესა და მაყაშვილს ბადრაგის

თანხლებით ის ძირს, სამოახლოში ჩაეყვანათ, სადაც, ქალაქის კარში განიარაღებულ მხლებლებთან ერთად, დედოფლისა და დარბაზის ერის პასუხს უნდა დალოდებოდა.

ქეთევანი, თითქოს მთელ ცისქვეშეთს ეკრძალვის, რადგანაც გამოსაჩენი პირი აღარსადა აქვსო, დარბაზში თვალებდახრილი შემობრძანდა, დამხვედურთ თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა, მოწიწებით წელში მოდრეკილ წარჩინებულ მამაკაცთა ორ მწკრივს შორის გაიარა, სხვებთან ერთად ფეხზე წამომდგარ მეუფე სამოელს მიეახლა, დამჭკნარ ხელზე ეამბორა, ემთხვია ანაფორის კალთას და ჯვარსაც, ცრემლმორეულ მიტროპოლიტს გულზე ოქროს ძეწკვით რომ ეკიდა, მეუფის მამობრივი ლოცვა-კურთხევა მიიღო და მის გვერდით უბრალო ნატიანი სკამი დაიკავა.

დარბაზში, აქამდე სკასავით რომ გუგუნებდა, სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა. პირველი და უკანასკნელი სიტყვა აქ დედოფალს ეკუთვნოდა და ყველას მისკენ მოეპყრო მზერა.

— ძმებო!.. — თავისთვისაც მოულოდნელად დაიწყო ქეთევანმა, დაიწყო ისე, რომ დაბლა დახრილი თვალები არც ახლა აუწევია და რაკი ყველა, გარდა ღრმად მოხუცებულ მეუფე სამოელისა, ფეხზე იდგა, თავადაც წამოდგომა დააპირა, მაგრამ უკანასკნელ წამს გადაიფიქრა და ასევე განაგრძო: — ყველას მოგეხსენებათ, რომ მაჰმადის რჯულზე შემდგარმა ჩვენმა მაზლმა, კონსტანტინემ, რომელსაც სულკურთხეული ჩვენი მამამთილის, ალექსანდრეს, ტახტის მიტაცება და ჩვენი დაყმობა სურს, რათა ყაენის ყურმოჭრილ ქვეშევრდომებად გაგვხადოს, ორი წიგნით მოგვმართა. თუ ჩვეულებისამებრ არ გვაცთუნებს, ახლა ის ნუხაშია და ჩვენს პასუხს ელის. ხომ ასეა, ბატონო ნოდარ?

— დიახ, სწორედ აგრე გახლავთ, დედოფალო! — ნიშნად დამოწმებისა სახლთუხუცესმა ქაღარა თავი დახარა და ორივე ხელი შავქარქაშიან მოკლე სატევარზე დაიდო.

— პირველი წიგნით, როგორც ჩვენ გადმოგვცეს, — „ჩვენში“ ქეთევანმა, გვირგვინოსანთა წესისამებრ, რასაკვირველია, მხოლოდ თავისი თავი იგულისხმა. — ის თქვენ, კახეთის ტახტის ბურჯებს მოგმართავთ, ყველას წარსული ნაწყენობის დავიწყებას და, უკეთუ მხარში ამოუდგებით, ხელმწიფურ წყალობას, სახელოებს და ყმა-მამულს გპირდებათ. ესეც ხომ ასეა, ბატონებო?

— აგრეა, დედოფალო! — ყრუდ უპასუხა დარბაზმა.

— ჩვენ ახლა გვსურს გავიგონოთ თქვენი საბოლოო სიტყვა. აქ ამისათვის შეგყარეთ. წყდება ჩვენი სამშობლოს, საბატონო ქვეყნის, მამა-პაპის პატიოსანი ოფლითა და სისხლით მორწყული მიწა-წყლის ბედი. ამ საბედისწერო წუთებში, მაღალმა ღმერთმა რომ მოგვიელინა, მთელი საქრისტიანო საქართველო აღმდგარია და ჩვენ შემოგვცქერის, წინ აღუდგებით მუხთალ მტერს, ღვთისაგან ბოძებულ სიცოცხლეს სასწორზე შევაგდებთ, თუ დიდი გასაჭირის ჟამს, ქედზე რომ გვაწვეს, დავიქსაქსებით, ყველა ჩვენს ყმა-მამულს მივაშურებთ და სამშობლოს ჩვენს შესარცხვენად, გასათათრებლად და დასაყმობად მოსული ვერაგი მტრის კერძად გავხდით!

— მაგას რას ბრძანებ, დედოფალო?! — გაისმა აღშფოთებული ხმა დარბაზში და ყველა იქ მყოფმა თავის მიუბრუნებლად იცნო, რომ ეს მთაკაცის, ყველა დიდსა და მცირე ომში მტრის თავზარდამცემი ქაიხოსრო ომანიშვილის ხმა იყო. — გვიბრძანე, გზა დაგვილოცე და კუდით ქვას ვასროლინებთ, ანდა, თუ ბედმა გვიმუხთლა, ყველა ერთად შევაკვდებით! რას მიქვია შედრკომა და ყოყმანი! მაშ, არც მამულიშვილები ვყოფილვართ, არც ულვაში გვსხმია და არც ეაქკაცის ქუდი გვხურებია!

დარბაზის ერი ერთპირ ახმაურდა და აგუგუნდა. ყველა თავისებურად გამოხატავდა იმას, რაც თავადმა ქაიხოსრო ომანიშვილმა დედოფალს ღვთისა და ქვეყნის წინაშე განუცხადა და აღუთქვა!

ქეთევანს ცრემლი მოერია. თვალები ცად აღაპყრო და გაბზარული ხმით, რომელიც კენესას უფრო მიაგავდა, თქვა:

— ვმადლობ უფალ ღმერთს და ღვთისმშობელ დედას, რომ ჩვენს შორის ვერავის ვხედავ ისეთს, ვისაც მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებმას ოქროს გალიაში ჯდომა ან იმავე ოქროს ჯაჭვით დაბმა ერჩივნოს! ახლა კი, თანამემამულენო, დროა, ისიც პირუთვნელად გაგიმხილოთ, რას გვწერს პირადად ჩვენ უპირული, სულგაყიდული გარეწარი, რომელმაც კაენზე უმძიმესი ცოდვა დაიდო, პატარა ძმისწულიც, საცოდავი იესეც არ შეიბრალა და ბინძური ხელი მის უმანკო სისხლშიაც გაისვარა! სამძიმოა და ჩემს ძალებსაც აღემატება ამის ხმამაღლა გამეორება, რის მოწერაც მამისა და ძმის მკვლელმა ინება, მაგრამ ვაი, რომ მდგომარეობა გვაიძულებს,

ყოველივე დაუფარავად ვთქვათ, ერის სამსჯავროზე გამოვიტანოთ, გამცნოთ, მომავალ გარდაუვალ ომში საქმე რა ზნეობის კაცთან გვექნება, უკეთუ შეიძლება, იმის შემდეგ, რაც მოხდა, მას კიდევ კაცი, ღვთისშვილი ეწოდოს!

დარბაზი გაინაბა და დაიძაბა. თითოეული იქ მყოფის გულის ძგერას გაიგონებდი. დედოფლის გაკერპებულ სახეზე, აქამდე რომ სათნოებით აღსავსე დედის აუმღერეველ სიმშვიდეს გამოხატავდა, ახლა შეურიგებელი ‹ისხვა და სიძულვილი აღიბეჭდა.

ქეთევანმა რამდენიმე წუთს კიდევ იყუჩა. შესაფერის სიტყვებს ეძებდა. არ ჰყოფნიდა სიტყვები იმის სათქმელად, რაც ამის შემდეგ აუცილებლად უნდა თქმულიყო და რაკი ყველა უკანდასახევი გზა მოკრილი ჰქონდა, მოკლედ დააბოლოვა:

— ცოლობას მთხოეს... დედოფლის გვირგვინის შენარჩუნებას მპირდება. არა და, ქვეყანას ცეცხლითა და მახვილით შემოვესევი, შენ კი, ურჩსა და ამპარტავანს, ხასად დაგისვამ!..

— განვედ ეშმაკისაგან! — ეს თავზარდაცემული მეუფის ხმა იყო, შემაჩვენებელი, მკახე, ძარღვებში სისხლის გამყინავი, თითქოს ნაპრალში გაქედილ სოლს მძიმე ურო დასცეს და გაბზარული ხე ორად გაიპოო. — წყეულიმც იყოს ამ კურთხეულ ქვეყანაზე სატანის მოციქულად მოვლინებული!

— არამზადა!.. უკეთური!.. ურჯულო!.. — ისმოდა დარბაზის ყველა კუთხეში და განაგონით შეძრწუნებული ხალხი სიტყვას ვეღარ პოულობდა წრესგადასული აღშფოთებისა და გულისწყრომის გამოსახატავად.

— მიმძიმდა თქმა... — ისე განაგრძო სირცხვილისაგან ღაწვებალანძულმა ქეთევანმა, თითქოს უნებლიე შეცოდებისათვის ბოდიშს იხდისო. — აი, როგორც იქნა, ვთქვი, განვიწმინდე და გულზე მომეშვა!

— უწმინდურს თვით დასჯის ღმერთი, შვილო ქეთევან, — მამაშვილურად დაუყვავა და ანუგეშა მეუფე სამოელმა. — შენს სიწმინდეს ამით მწიკვლიც არ მოეცხება!

ქეთევანმა კვლავ დარბაზის ერს მიმართა:

— დრო უკვე იწურება, მამულიშვილნო, მაპმად-ბეგი ჩვენს პასუხს ელის...

— თავს ნუ შეიწუხებთ, დედოფალო, — ეს ისევ ქაიხოსრო ასლანიშვილმა თქვა, წინ წამოდგა, მარჯვენა ხელი გულზე მიიდო და კუნძივით მსხვილი, ჰაღარაგამორეული თავი

დახარა. — პირადად ვეახლებით, სადაც ასეთი რიხით გვიბარებს და პასუხს ჩვენ გაეცემთ, მანამდე კი, თავადო ნოდარ, — მან პირისპირ მდგომ გულხელდაკრეფილ სახლთუხუცესს მიმართა. — ეგ ვაჟბატონები, — ქაიხოსრომ გასპარსებული ბატონიშვილის მიერ წარმოგზავნილი ყიზილბაში ელჩი მაჰმად-ბეგი და მისი თანმხლები ყიზილბაშები იგულისხმა. — აქ, დილეგში ვიყოლიოთ და, თუ ღვთის განგებით გადავწყვეტთ, თავისი გზით მაშინ გავუშვათ, როცა საქმეს მოვრჩებით. ჰა, რას იტყვით ამაზე?

— სწორედ აგრე აჯობებს, — მოუწონეს აზრი ასლანიშვილს. — თავისიანის სისხლში ხელებმოთხვრილი ურჯულო ღირსი არ არის, ვინმემ კაცად ჩააგდოს და არაკაცს კაცური პასუხი აღირსოს! ერთადერთი საკადრისი პასუხი ალესილი შუბის შიგ გულში ძგერება იქნება!

— აგრეა, აგრე! — დაემოწმნენ ამათ სხვებიც.

— მაშ, რაღად ვგვიანდებით? — ქეთევანი წამოდგა. მის შუბლზე ათასფრად აციაგებულმა ალმასის დიადემამ, გვირგვინოსანი მამამთილის სამახსოვრო საჩუქარმა, რითაც თავს ერთობ იშვიათად, მხოლოდ დიდი სახალხო ზეიმების, დღესასწაულების და უცხოელი სტუმრების მიღებისას იმკობდა, თვალისმომჭრელად გაიელვა და ნახევრად ჩამობნელებულ, ციხის კაზემატის მსგავს დარბაზს თითქოს სინათლე მოემატა. — ბატონო ქაიხოსრო! — მან ასლანიშვილი მოიხმო და როდესაც თავადმა დედოფლის წინაშე ცალ მუხლზე დაიჩოქა, თავზე ორივე ხელი დაადო და ოდნავ შეძრული ხმით მიმართა: — როგორც ყოველთვის, ჯარების საერთო სარდლობაც შენთვის მოგვინდვია. ღმერთმა, მამაზეციერმა გიწინამძღვროს! წმიდა გიორგი ყოფილიყოს შენი უღალატო თანამოაბჯრე და მფარველი! ზენაარმა მახვილი გიკურთხოს, შვილო და ძმაო, მუხთალი მტრის ძლევა მოგცეთ შენ და შენს ლაშქარს! არ დაგეხაროს, დიდებით შეგემოსოს იესიან-დავითიანი დროშა, შენს მიერ არა ერთჯერ დიდებით შემოსილი!..

— ვფიცავ, დედოფალო, თავი არ დავიზოგო, სამშობლოსა და შენს შეურაცხმყოფელ ურჯულო მტერს, თუ კაცი ვყოფილვარ და ეს ულვაში მსხმია, ჩადენილი უკეთურობა სისხლით ვაზღვევინო! — ქაიხოსრო დაიხარა, ქეთევანის კაბის კალთას დასწვდა და, როგორც საომარ დროშას, კრძალვით ეამბორა.

— ეფიცავთ!.. — ერთხმად გაიმეორეს სხვებმაც.

მეუფე სამოელი სამღვდელმთავრო კვერთხს დაეყრდნო, წამოდგა, ჩაახველა, რაღაც მეტად მნიშვნელოვანის თქმას აპირებდა, მაგრამ აღელვებულს გული ყელში მობჯენოდა, არაფრის თქმა აღარ შეეძლო და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ დედოფლის წინაშე მუხლმოყრილ დარბაზის ერს გულზე დაკიდებული პატარა ოქროცურვილი ჯვარით ჯვარი სამგზის გადასახა და იმავე აკანკალებული ხელის ზურგით თვალებზე მომდგარი ცრემლის კურცხალი მოიწურა.

თავი XV

არაფერი, ალბათ, ასე არ აღაშფოთებდა და შეაძრწუნებდა ქრისტეს მცნების განუხრელად მიმდევარ ერს, როგორც გადარჯულებული, მამისა და ძმის სისხლში ხელგასერილი ბატონიშვილის უტიფარმა შემონათვალმა აღაშფოთა და შეაძრწუნა. ხალხი, ქალი თუ კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა, ყურებს თითებით იცობდა, ღმერთო, დიდებულო, ეს რა ღვთის რისხვა გვესმისო და გარდა შურისძიებისა, ყველა სხვა გრძნობას ივიწყებდა.

ღვთისმოსაობითა და სათნოებით კიდით კიდემდე განთქმული, ქვრივ-ობლის შემბრალე და განმკითხავი ქეთევანი მთელ ერს სათაყვანებლად გაეხადა და სატანჯველში უმალ თვით ჩავარდებოდა, ვიდრე მისი უმწიკვლო სახელისა და ღირსების ლაფში ამოსვრის ნებას ვინმეს მისცემდა!

ხალხის მეხსიერებაში ჯერ კიდევ არ წაშლილიყო წერას ატანილი დავით მეფის მძულვარებით აღვსილი რისხვა, თავისსავე ქვეშევრდომებს რომ დაატეხა და კახბატონ ალექსანდრეს დაუღალავი მეცადინეობით ძლივს ფეხზე წამომდგარ ქვეყანას საიდანღაც მოთრეული ავაზაკები თავზე დაასვა. მაშინ ერთადერთი ქეთევანი იყო, ვინც ხალხს ესარჩლებოდა, ვისაც შეეძლო, მოღერებულ მახვილისათვის საკუთარი მკერდი შეეშვირა, მას, მხოლოდ მას ხელეწიფებოდა გვირგვინოსანი თანამეცხედრის შეჩერება, ახალი ბოროტების, ახალი ავკაცობისა და სულის წაწყმედის დაცხრობა.

— მთლად ჭკუაზე გადასულა ეგ მართლა ურჯულო, — კონსტანტინეს ავად მოხსენიებით გულს იფხანდნენ ქვეყნის ყოველ კუთხეში, სადამდეც კი ღვთის გამარისხებელი მისი

შემონათვლის ამბავს მიეღწია და გულისწყრომას ერთმანეთს უზიარებდნენ. — ამღვრეულ სისხლს გადაურევია, ის კი ალარ იცის უბედურმა, რომ თუ კაცი ვერა, სულაქოთებულს მაღალი ღმერთი მოჰკითხავს, შეგეწიოთ იმისი მადლი, ამინ, ჯოჯოხეთის ადუღებულ კუპრში ჩააგდებს!

— ეე, მძახალო, ჯოჯოხეთის კუპრისა რომ ეშინოდეს და ღმერთი ჩვენებურად სწამდეს, ეგ არც იმას იზამდა, რაც ზაგემში ჰქნა, მაგრამ რადგანაც ის გაბედა და გაუვიდა, ფიქრობს, სხვა რამესაც შავირგებ, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდესო. იგრეა? საწუხარი ის არის, მაგითანა ღვთის მგმობელის ხელში ჩაგდებას და იმ ქვეყანაში გასტუმრებას კიდევ რამდენი ჩვენნაირი საწყალი გლეხკაცის სიცოცხლე უნდა შეეწიროს, რამდენი ბალღი უნდა დაობლდეს და რამთონმა დედაკაცმა ქვრივ-ოხრის თალხები უნდა შეიკეროს! ავიც ხომ ჩვენ უნდა ვზღოთ და კარგიც, უჩვენოდ ხომ არაფერი იქნება!

ჰეშმარიტად! ქვეყნის ბურჯი გლეხკაცის ოფლისა და სისხლის დაუღვრელად რომელი დიდი ან მცირე ომი მოგებულა, რომელი ქვეყანა აშენებულა, რომელ სიკეთეს გაუმარჯვია და რომელი ბოროტება დამხობილა!

ახლაც სწორედ აგრე ხდებოდა. სოფლები სანახევროდ დაიცალა. შეიფერთხა თვით სატახტო ქალაქი გრემიც. წლის მოსავლით სავსე ბაღ-ვენახი, მოწევას, შინ შემოზიდვას და დაბინავებას-ღა რომ ელოდებოდა, თითო-ოროლა სნეული ან ომში ნაჩეხ-ნაგვემი ვაჟკაცის, მოხუცებულების, ბალღებისა და ქალ-რძლის იმედზე დარჩა. დღიან-ღამიანა კვერს ურაკუნებდნენ სამეჯლოებში, ცელის, თოხის თუ სახნისის მაგივრად ხმლებსა და სატევრებს პირავდნენ, ახალ-ახალ მშვილდებს ღუნავდნენ, ხარის დაგრეხილი ძარღვებისაგან საიმედო ლარებს ჭიმავდნენ, ისრისა და შუბის ბუნიკებს ჭედდნენ, ჩარხზე ლესავდნენ, მტრის გულის გასაგმირად წიბოს უმახვილებდნენ.

ერი და ბერი ქვეყნის მომსვრელი ურჯულო მტრის დასახვედრად საქმობდა.

სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ, თავადმა ქაიხოსრო ომანიშვილმა და ბოდბელმა და ნეკრესელმა ეპისკოპოსებმა ერევნის კომპანიაში დიდებით ნაომარი, შალითიდან ამოღებული სამეფო დროშა გამოასვენეს, მოედანზე ათასელებად დაწყობილ ჯარს წინ დაუყენეს და თავად აქეთ-იქით ამოუდგნენ.

მხარმარჯვნივ და მხარმარცხნივ უკვე ფრიალებდა სხვა დროშებიც.

სანთლებით გაჩირაღდნებულ საკრებულო ტაძარში პარაკლისს იხდიდნენ. თვით ალავერდელი მიტროპოლიტი მეუფე სამოელი წირავდა, ოქროცურვილ ხატებს, რუსეთის წმიდა სინოდის მიერ გამოგზავნილი ხატისმწერალნი გადაკეთებასა და შესწორებას რომ უპირებდნენ, საკმევლის კვამლს აკმევდა, გულმხურვალედ ლოცულობდა, მაღალ ღმერთს მტერზე გამარჯვებას და ღვთისმგმობელი კონსტანტინეს ერთხელ და სამუდამოდ დამხობას შესთხოვდა.

უბრალო მონაზვნის შავი თავშლით შებურვილი, ღვთისმშობლის ხატის წინაშე თავდავიწყებული ლოცვა-ვედრებით გულმოოხებული ქეთევანი, რომლის ფერმიხდილ სახესა და დიდრონ, მეტყველ თვალებს თალხი ერთობ საჩინოდ ხდიდა, სწორედ ტაძრის ყურთამდე ღია კარიბჭიდან გამობრძანდა სეფექალებისა და საომარ აბჯარასხმულ დიდებულთა მრავალრიცხოვანი ამალით. დედოფალსა და მის ბრწყინვალე ამალას ჯვრებით, ხატებით, საეკლესიო ბაირაღებით, ლოცვითა და გალობით ტაძრიდან გამოჰყვა საეკლესიო კრებულიც, რომელსაც სათავეში გასხივოსნებული მეუფე სამოელი უდგა.

ქეთევანმა ქოში წინასწარ მომზადებულ ფიცარნაგზე შესდგა, რათა მოედნის ყოველი კუთხისათვის, ჯარებს რომ დაეკავებინათ, თვალი მიეწვდინა, ის ხელი ასწია, რომლითაც პირჯვარს იწერდა და სამშობლოს საკურთხეველზე ზვარაკის მისატანად განმზადებულ ქრისტეს მოსახელე ლაშქარს მიესალმა. ჯარმა იგი მონაზვნურ ფლასებშიაც იცნო, თუმცა თავის დიდებულ დედოფალს ძოწეულითა და პორფირით შემოსილს, ძვირფასი ქვებით მოოქვილ სადედოფლო გვირგვინით შუბლშემკობილს კი მოელოდა და, როგორც ასეთ დროს მიღებული იყო, ვაშა, ვაშა, ვაშაო, სამგზის დაიქუხა.

ქეთევანს უჩვეულო მღელვარება დაეუფლა, გული ამოუჯდა, თვალები ცრემლით აევსო და ბაგე მოიკვნიტა.

დედოფლის ცრემლი უმალ შენიშნეს იმათ, ვინც სხვებზე ახლო იყო და თავადაც გულშეძრულებმა შესძახეს:

— დიდება ქეთევანს!.. ღმერთმა აკურთხოს დედოფალი ქეთევანი!..

ეს გაბზარული ხმა კვლავ ათასი პირიდან ამოსულმა გამაყრუებელმა ვაშამ დაჰფარა, რომელმაც მუხლმოყრილ ლაშქარს თავზე გადაუარა და ცად აიჭრა.

— სიცოცხლე და დღეგრძელობა ჩვენს პატრონს და მბრძანებელს!..

— დიდება ქეთევანს!.. — ისმოდა სხვადასხვა ადგილას და ეს ცალკეული შეძახილებიც ერთსულოვნად აგუგუნებულ ვაშას მორევში იძირებოდა.

— სიჩუმე!.. იქონიეთ მოთმინება!.. დედოფალი სიტყვას ბრძანებს!.. — მრისხანედ დაირხა იქ, სადაც დედოფალი და მისი ამალა იდგნენ. ხმა ბოქაულთუხუცეს თავად დავით ჯანდიერისა იყო. თავადი ქეთევანთან ყველაზე ახლოს იდგა და თვალი ფხიზლად ეჭირა. ფხიზლობდნენ სხვებიც. შემოპარულ მტერს, რომლისაგანაც ყოველი სიავე და სულმდაბლობა მოსალოდნელი იყო, ყოველ წამს შეეძლო, ხალხმრავლობით ესარგებლა და აქ ნებისმიერი უბედურება დაეტრიალებინა.

ჯანდიერის სიტყვები ქეშიკებმა და მანდატურებმა აიტაცეს და აზვირთებული ლაშქრის დასაწყნარებლად ახლა ამათ იყვირეს:

— სიჩუმე!.. სიჩუმე!.. სმენა იყოს და გაგონება!..

თუმცა ყველა ერთმანეთს აჩუმებდა და პირზე ხელს აფარებდა, აღგზნებული ჯარი კარგა ხანს ვერ დაწყნარდა. ქეთევანმა მცირედ შეიცადა და, როდესაც დარწმუნდა, სრული სიჩუმე აქ არასოდეს არ დამყარდებაო, რამდენადაც შეეძლო, ხმამაღლა დაიწყო, რათა მის მიერ წარმოთქმულ სიტყვებს უკანა რიგებამდეც მიეღწია:

— ძმებო!.. დებო!.. შვილებო!.. ქრისტესმოსავნო!..

ამდენი ხალხის წინაშე გამოსვლა თავის სიცოცხლეში პირველად უხდებოდა, ანდა როდის, რა საჭიროებისა და აუცილებლობის გულისათვის უნდა გამოსულიყო! უჩვეულოდ გულაძგერებულმა პირველი სიტყვები ძლივს ამოთქვა, რამაც ერთბაშად სამარისებური სიჩუმე ჩამოაგდო და შუბების ტყით აჩონჩხილ ერცელ მოედანს თვალი მოავლო, თითქოს ყველას სათითაოდ მიმართავდა:

— ღმერთმა ინება და დაგვიდგა განსაცდელის ჟამი. პირშავი მტერი კარს მოგვდგომია და ჩვენი კურთხეული მამა-პაპის ნაამაგარ მიწას, ჩვენი მაშვრალი ხელით აშენებულ სახლ-კარს გვეცილება! თქვენ ყველამ უწყით, ჩვენი შეხსენება აღარ გჭირდებათ: მტერს სისხლითა და ხორცით ჩვენი ნათესავი, ქრისტეს ჯვრის უარმყოფელი და მაჰმადის რჯულზე შემდგარი კონსტანტინე ბატონიშვილი მოუძღვის!.. ეს ის კონსტანტინეა, ვინც ღალატით მოჰკლა მშობელი მამა და

ღვიძლი ძმა, რათა კახეთის ტახტს დაუფლებოდა. უცოდველი ძმისწული, პატარა იესეც არ დაინდო!..

— სიკვდილი კონსტანტინეს!..

— სიკვდილი ურჯულოს!.. — ერთხმად იგრიალა ჯარმა.

— დიდება ქეთევანს!.. ღმერთმა აკურთხოს ქეთევანი!..

— წარმიელენიხართ, ქრისტესმოსავნო, ღირსეული პასუხის მისაგებად. წმიდა გიორგიმ გიწინამძღროთ, გფარავდეთ ყოველადწმიდა ღვთისმშობელი!..

დედოფალს, დიდებულებს და სამღვდელო პირთ ჯაჭვის თოქალთოგადაცმული, დარახტული საომარი ცხენები მოართვეს. დედოფლის ფიცხ ცხენს, რომელიც სადავით ორ მეჯინიბეს ეკავა და თავს ძლივს უმაგრებდა, ძმები ვაჩნაძეები, თამაზ და ბებური მიეახლნენ, ქეთევანს უზანგი და აღვირი დაუკაკვეს. ცხენოსნობაში ყმაწვილქალობიდანვე გაწაფული ქეთევანი უნაგირს მსუბუქად შეაფრინდა, სადავე მოზიდა და ცხენიც უმალვე დამორჩილდა.

ბუკს სცეს. დროშები შეირხნენ და შეტორტმანდნენ. ფეხი აიდგეს. ათასეულები მჭექარე სიმღერით დაიძრნენ. სწორედ ამ დროს მოაგდო გაქაფული ცხენი მალემსრბოლმა, რომელიც თიანეთის მოურავ ელიბზარ ჩოლოყაშვილის კაცებმა მოიყვანეს და თავად ქაიხოსრო ომანიშვილს მიჰგვარეს.

— რაო, ბატონო ქაიხოსრო? — იკითხა ქეთევანმა.

— გიორგი ქართლის მეფისაგან მაშველი ჯარი გეახლა, დედოფალო!

— გმადლობ შენ, მაღალო ღმერთო, იესო მაცხოვარო, ღვთისმშობელო დედავ, რომ უნუგეშოდ არ დაგტოვე! — ქეთევანმა პირჯვარი გადაისახა და იმედით აღსავსე თვალები ცად აღაპყრო. — ღმერთმა დიდი დღე მისცეს ჩვენს კეთილისმყოფელ მეფე გიორგის! ვინ არის სარდალი და რამდენი კაცი ახლავს?

— გორის მოურავი, თავადი პაპუნა ამილახვარი, შიდა ქართლის სადროშო, სამი ათასი კაცი!

— ახლა სად არიან?

— თიანეთზე გადმოსულან, დედოფალო, სადაცაა, ნადიკვარში შემოვლენო.

— ხალხი შეაგებეთ, პატივი ეცით, პატივუცემელი არავინ დაგვრჩეს!

— განკარგულება უკვე გაცემულია!..

გორელმა აზნაურმა, ჩხეიძემ, რომელსაც აგრეთვე პაპუნა რქმეოდა და სადროშოში ასისთავის სახელოს ფლობდა, სასიხარულო ცნობასთან ერთად მეტად სამწუხარო ამბებიც მოიტანა.

ბატონიშვილი თინათინი, იგივე ლელა, ვისი თვალ-ტანადობითა და ქცევით რუსხელმწიფის ელჩები აქეთობისას მოიხიბლნენ და ხელმწიფის სარძლოდ თვალი დაადგეს, უკეთუ მეფე დავითისა და დედოფალ ქეთევანის ასული ელენე ცარევიჩ თევდორეს შესაფერისი არ აღმოჩნდებოდა, კახეთიდან მობრუნებულებს შინ აღარ დახვედრიათ. მცირეწლოვნობისდა მიუხედავად, შაჰის მიერ საგანგებო გამოგზავნილ კაცებს ლელა უკვე წაეყვანათ ისპაჰანს, სადაც ჯერ კიდევ მოუმწიფებელ გოგონას დიდ პაპად შესაფერი ყაენის ცოლობა და ჰარამხანის დახშული კედლები ელოდა.

რაც შეეხებოდა ბატონიშვილ ლუარსაბს, ვინც თავისი შეხედულებით ნაშჩოკინმა და ივანოვმა პრინცესა ქსენიას საქმროდ ივარაუდეს, გიორგი ქართლის მეფემ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: ხათრი კი მადგია რუსეთის დიდებული ხელმწიფისა და არც ესოდენ პატივსაცემი შუამავლების გაწბილება მწადს, მაგრამ ნურას უკაცრავად, ერთადერთ ძეს, ტახტის მემკვიდრეს, ვერსადაც ვერ გაგატანთ, თუნდ ნახევარი ცისქვეშეთიც დაუმტკიცოთ, თანაც ხედავთ საკუთარი თვალით, ესეც უწლოვანია, ხელმწიფის მოწიფულ ასულს პირტიტველა ყმაწვილმა რა მეუღლეობა უნდა გაუწიოს, ჯერ პირზე რძე არ შეშრობიაო.

რა იცოდა მაშინ ან ერთმა, ან მეორე მხარემ, რომ სულ ტყუილად ირჯებოდნენ, სულ ტყუილად ხარჯავდნენ ოქროდ საღირალ დროსა და მჭევრმეტყველებას, რადგანაც ამ დროს აღარც ხელმწიფე ბორის გოდუნოვი იყო ცოცხალი, აღარც ცარევიჩი თევდორე, ხოლო ცარევნა ქსენია, საიდუმლო ვითარებაში დაღუპულ, პირის სანახავად მოსულ დანიის პრინცს რომ გლოვობდა და გამწარებული ახლობლებს უმტკიცებდა, აწი აღარასოდეს გავთხოვდებიო, ხასად ესვა რუსეთის ტახტზე პოლონელი შლიახტიჩების იარაღის ძალით წამომჯდარ მეფეს, თავს დიდი ივანე მრისხანის შვილიშვილად, ხელმწიფე თევდორეს ძედ, უგლიჩში სასწაულებრივად გადარჩენილ დიმიტრიდ რომ აცხადებდა!

გზაზე დამდგარ რუსის დესპანებს ანანურშივე შეეტყოთ, რომ სამხრეთის მხრიდან კახბატონ ალექსანდრეს მოიმედე

გენერალ ბუტირლინს, რომელიც შამხლის დასასჯელად კავკასიაში ხელმწიფე ბორის გოდუნოვის ბრძანების თანახმად მოვიდა, თავს დიდზე დიდი უბედურება დასტეხოდა: ვერაგ შამხალს მტრის რიგებში შეგზავნილი მსტოვრების საშუალებით შეეტყო მისი ჩანაფიქრი, ყირიმის ხანი გვერდში ამოეყენებინა და ბუტირლინს საშამხლოს იწროებში დახვედროდა. ორცეცხლშუა ჩავარდნილი ბუტირლინი ამაოდ ელოდა დახმარების ხელს სამხრეთიდან, სადაც რუსეთის თანამდგომი ალექსანდრეს მოსაწვევად მალემსრბოლები ეფრინა, მაგრამ განსვენებულ კახბატონ ალექსანდრეს აბა რა დახმარების გაწევა შეეძლო, როდესაც ღვიძლი შვილის მიერ თავმოკვეთილი იხაად უკვე ზაგემის მიწაში იწვა!

დამხვდურთ ადვილად გაეტეხათ რუსის გენერლის გააფთრებული წინააღმდეგობა, ომის ყველა წესისა და რიგის მიხედვით რომ იბრძოდა, შვიდიათასკაციანი კორპუსიდან ამბის წამღებიც არავინ გაეშვათ, მოეკლათ თვით გენერალი ბუტირლინიც და დარიალის ხეობის ყელი გადაეკეტათ, საიდანაც შაჰ-აბასის ურდოებს მოელოდნენ, უკეთუ ის რიცხვით უმეტეს ოსმალთ სძლევდა ურმიის ტბასთან, შემდეგ ქართლ-კახეთსაც გადმოთელავდა და პირს ჩრდილოეთის ნაყოფიერ ველებისაკენ იზამდა!

შინ მიმავალ ელჩებსა და თანმხლებ მცირერიცხოვან ჯარს მტრის ხელში ჩავარდნა, ტყვეობა და ყირიმის ბაზრებზე გაყიდვა დაემუქრა. მათ პირი იბრუნეს და კვლავ გიორგი ქართლის მეფეს მოადგნენ გორში. არცთუ სახუმაროდ დამფრთხალი დესპანები მეფემ აქედან იმერეთის გზით გაისტუმრა, ვინძლო მამისონის უღელტეხილი მაინც არ იყოს ჩაკეტილი და სამშობლომდე ცოცხალი თავით როგორმე გააღწიონო.

ქეთევანი უზომოდ დააღონა რუსეთის ხელმწიფის კარზე დატრიალებულმა სისხლიანმა ამბებმა. როგორც ჩანდა, ტახტის მოცილეობა და ერთმანეთს შორის მიხტომ-მოხტომა მარტო ქართლოსიან დიდგვაროვანთ არა სჩვეოდათ, იგი არც დიდი და ძლიერი რუსეთისათვის იყო უცხო. ხედავდა ქეთევანი: რაკი რუსეთის ტახტზე დღეს სხვა გვირგვინოსანი იჯდა, კანონიერი თუ უკანონო, ქართველი და რუსი დესპანების მიერ აქამდე გაწეული დაუღალავი შრომა წყალში იყრებოდა. ყველაფერი თავიდან დასაწყები ჩანდა და ვის შეეძლო,

შეუცდომლად განეჭვრიტა, მოჰყვებოდა თუ არა ამას რაიმე სასურველი შედეგი?

დედოფალი არანაკლებ შეაშფოთა და თითქმის სასოწარკვეთილებაში ჩააგდო გენერალ ბუტირლინისა და მისი კორპუსის ბედმა. ეს პირველად იყო, როდესაც დიდმა რუსეთმა საერთო მტრის წინააღმდეგ, ცეცხლის რკალში მომწყვდეული ერთმორწმუნე მეზობლის მხარში ამოსადგომად ნაბიჯი გადმოდგა და პირველივე მოწადინება საშინელი მარცხით დამთავრდა!

"ღმერთო დიდებულო, იესო მაცხოვარო, შენ შეეწიე უბრალოდ დაღუპულთა სულებს, გაუღე სასუფევლის კარი, შეუნდე ყველა შეცოდება, სულ ნათელში ამყოფე! — ევედრებოდა ზენაარს ქეთევანი. — შენ შეეწიე საცოდავ ჩვენს სამშობლოს, შეეწიე და შენი ფრთები გადააფარე ყველას, ვინც მის საკეთილდღეოდ გაირჯება! გვაკმარე სისხლი და ვაება, მოგვეც ერთი პირი და ნება, ვძლიოთ მტერთა ჩვენთა და ღვთის სადიდებლად მშვიდობიანობა დავიმკვიდროთ!"

თავი XVI

ყიზილბაშებთან პირველი და უკანასკნელი შეტაკება, რამაც ამჯერად კახეთის ბედი გადაწყვიტა, ღვინობისთვის 22-ს, გარიჟრაჟზე მოხდა. ქეთევანმა და მისმა ლაშქარმა ღამე ჭიაურის ტყეში გაათიეს და ცისკრის ვარსკვლავი რომ ამოვიდა, აიყარნენ. წინამებრძოლად თავადი ქაიხოსრო ომანიშვილი მიდიოდა სამასკაციანი მედგარი რაზმით, რომელსაც, დედოფლის ბრძანებისამებრ, მთებიდან დაშვებული მარბიელების ასალაგმავად და ნადავლის წასართმევად იყენებდნენ. ამათ მისდევდნენ ქიზიყის პირველი და თიანეთის მეორე სადროშოები, რომელთაც ბაქარ ანდრონიკაშვილი და ელიბზარ ჩოლოყაშვილი სარდლობდნენ.

წინადღეს დაწინაურებულმა მზირებმა დედოფლიანთ ამბავი დაახვედრეს, რომ სამი დღე იყო, რაც კონსტანტინე ბატონიშვილმა ნუხა დასტოვა, კახი და ელისენი მუხლჩაუხრელად გამოიარა და ბელაქნის წყალზე დადგა. ის ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომ გრემში ადრე თუ გვიან გონს მოეგებოდნენ, ქეთევანს ჩააგონებდნენ, რომ მისთვის კეთილის მოსურნე

კონსტანტინესთან შებმა უიმედო საქმე იყო, რადგანაც ამას მხოლოდ უაზრო სისხლისღვრა და მისი დამდაბლება მოპყვებოდა, მაგრამ ბეწვის ხიდზე შემდგარი დედოფლის ამაყი დუმილი, მისი მხრივ სრული უამბობა და თავისი ჯარის სიმცირე, თუმცა ქეთევანს შეიძლება ამის ნახევარიც არა ჰყავდა, კონსტანტინეს საგონებელში აგდებდა და გაბედული მოქმედების ნებას არ აძლევდა.

ყოველივე ეს კარგად გაჩითეს კახმა სარდლებმა და ხელზე დაიხვიეს. რიცხვით ისინი ოდნავ ჭარბობდნენ მტერს. თუ ამას ქართლელებსაც დაუმატებდი, რომლებიც ახლაც გზაში იყვნენ და მთავარ ძალას ჯერაც ვერ დასწეოდნენ, კონსტანტინესა და მის ყიზილბაშებს საიმედო ბევრი არაფერი უნდა ჰქონოდათ.

ამჟამად საჭირო იყო საიერიშოდ განწყობილ მტრისათვის თავბრუს დახვევა, სანამ ის საომრად დაწყობას მოასწრებდა, წყალში გასვლა, ელვისებური იერიშის იქით მიტანა, პირველი მწკრივების გადაქელვა და მძვინვარე კაფვა-ჩეხვის შემდეგ ასევე ელვისებურად უკან დაბრუნება, რითაც გაოგნებული მტერი აუცილებლად ისარგებლებდა და ხმალმოღერებული გამოუდგებოდა.

სწორედ ამ არეულობით უნდა ესარგებლათ ელიზბარ ჩოლოყაშვილსა და ბაქარ ანდრონიკაშვილს, თავ-თავისი ცხენოსანი ჯარით მდინარე შორიდან შემოვლით გადაელახათ და ფრთებზე უეცარი დარტყმით მოწინააღმდეგის ზურგში გასულიყვნენ.

ქვეითი ჯარი, უპირველეს ყოვლისა მოისრები, მდინარის გამოღმა ნაპირზე რჩებოდნენ და მდინარეში შემოსულ მტერს თავზე ისრების წვიმას დააყრიდნენ.

ჭიაურის ტყეშივე გადაწყდა, პირველი და ყველაზე უფრო სახიფათო იერიში ქაიხოსრო ომანიშვილს განეხორციელებინა, მანამდე კი ჩოლოყაშვილსა და ანდრონიკაშვილს ფრთებზე გასვლა და იქ ჩასაფრება მოესწროთ.

ხანდაზმული დიდებულები: ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, ჭავჭავაძე, მაყაშვილი, ნეკრესელი, ბოდბელი და ნინოწმინდელი ეპისკოპოსები თავ-თავიანთი გუნდებითურთ საომარ ცხენზე ამხედრებულ ქეთევანთან დარჩნენ, რომელმაც არავის თხოვნა და ხვეწნა-მუდარა ყურად არ იღო და ბრძოლის ველზე პირადად გამოვიდა.

დედოფლის აქ ყოფნით აღფრთოვანებულმა და ფრთებ-შესხმულმა უმცროსმა თავადიშვილებმა, მათ შორის ძმებმა ვაჩნაძეებმა და ცხრა მათმა ბიძაშვილმა, თანატოლების მხარდამხარ ქაიხოსრო ომანიშვილის წინამებრძოლთა რაზმში წასვლა მოიწადინეს და ახალგაზრდა მამულიშვილთა ამ სურვილის აღსრულებისათვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია.

თავდაპირველად ყველაფერი ისე აეწყო, როგორც ნავარაუდევი იყო. ომანიშვილის მამაცთა რაზმმა, რომელიც ამჟამად ოთხასზე მეტ რჩეულ მხედარს ითვლიდა, ადრიანი დილის ბინდბუნდში მდინარის გაღმა ნაპირს მტრისათვის შეუმჩნეველად მიაღწია და ხმალამოწვდილი და შუბმოღერებული წინ გაექანა, მაგრამ, თავისდა გასაოცრად, ორასიოდე ნაბიჯი, იქნებ ცოტა მეტიც, ისე გაიარა, რომ იქ არავინ დახვედრია.

მრავალ ომგადახდილ ქაიხოსრო ომანიშვილს უმალვე გაუელვა აზრმა, მტრის მიერ მუხანათურად დაგებულ ხაფანგში გავებით და შემდგომი წინსვლა უეჭველ დაღუპვას გვიქადისო.

მტერს გამოეცნო მათი ზრახვა. შუაგული უკან დაეყენებინა. ეს მაშინ, როდესაც ფრთებით წყლისპირს ებჯინებოდა. ქაიხოსრომ ველარ მოასწრო თავისიანებისათვის ხმა მიეწვდინა, რათა გზადაგზა ომის გეგმა შეეცვალა. ბევრიც რომ გეცადა, ამ ხათქახუთქსა, ყიჟინასა და ორომტრიალში ვერავის ვერაფერს გააგონებდი. ამასობაში ჩასაფრებულმა ყიზილბაშებმა ყიჟინა აქეთ დასცეს, ცხენები წამოახტუნეს, ზედ მოეევლნენ და ორივე მხრიდან წამოვიდნენ. როდესაც ომანიშვილის დაწინაურებული მხედრები მტრის მოისრებს მისწვდნენ და მიუხედავად იქიდან წამოსული ისრის წვიმისა, ჩეხვა დაუწყეს, ყიზილბაშთა ცხენოსან ჯარს რაზმი უკვე ალყაში მოექცია, სიცოცხლის გადასარჩენად თავგანწირული ბრძოლა გარდაუვალი იყო. ერთს ათის მაგივრობა უნდა გაეწია, არადა მტრის რიცხვობრივი უპირატესობა თვალდათვალ მატულობდა და მარჯვე ხაფანგიდან თავის დაღწევა სულ უფრო და უფრო ძნელი ხდებოდა.

არ დაიბნენ თიანეთისა და ქიზიყის მოურავები, ჩოლოყაშვილი და ანდრონიკაშვილი, რომლებიც მთელ ამ ამბავს მდინარის გაღმა ნაპირიდან უყურებდნენ. თანდათან ვიწროვდებოდა რკალი ქაიხოსრო ომანიშვილის მამაცთა რაზმის

გარშემო. ომის გეგმა ძალაუნებურად უნდა შეეცვალათ, რადგანაც ვითარებამ სრულიად სხვა სახე მიიღო, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ. წინ, ღვთისა და დედოფლისათვის მომყევითო, დაიძახა ბაქარ ანდრონიკაშვილმა, ელვარე ხმალი იშიშვლა და არც კი დაუნამდვილებია, მისდევდნენ თუ არა, ურა ცხენი თავთხელში შეაგდო. ასევე მოიქცა თიანეთის სადროშოცთვალის დახამხამებაში მდინარე და გალმა-გამოღმა რიყე, თეთრად რომ ქათქათებდა, ყურისწამღებად მოყიჟინე ხმალამოწვდილი მხედრებით აივსო. მდინარის აქეთ ნაპირზე მხოლოდ მოისრები დარჩნენ და უცაბედად ჩვენიანები არ დავაზიანოთო, მშვილდები ძირს დახარეს, სროლა შეწყვიტეს.

წყალგაღმა ხმლების ჩახაჩუხი, ყალყზე შემდგარი ცხენების ჭიხვინი და საბრძოლო ყიჟინა გახშირდა. მოწინააღმდეგენი, თითქოს ამ სანატრელ წუთს მთელი სიცოცხლე ელოდნენო, თავგანწირულად ეკვეთნენ ერთმანეთს. ბევრ ვინმეს დაუბნელდა მზე და ხმლით შუბლგაჩეხილი და მკერდში შუბგაყრილი უნაგირს გადმოეკიდა. დაჭრილ-დაკოდილთა მისახედავად და ბრძოლიდან გასაყვანად აღარავის ეცალა. უმხედრო ცხენები გაგიჟებული, ფაფარაშლილი გამორბოდნენ იქიდან, სადაც ერთიმეორეში აზელილი მომხვდური და დამხვდური ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ დარეოდნენ და ხმლითა და შუბით სისხლის ტბას აყენებდნენ.

— დედოფალო, ამილახვარი გეახლა, საით უბრძანებ ომში ჩაბმას?

ქეთევანმა გარს შემორტყმულ სარდლებს გადახედა და მერე მათ პასუხს აღარ დაელოდა, კვლავ ამბის მომტანს მიმართა:

— ჩოლოყაშვილს მიეშველონ! აქედან ისე ჩანს, რომ ყიზილბაშებმა მის მხარეს წინ წამოიწიეს!..

მზე ამოდიოდა და მისი სხივები შიგ თვალებში გცემდა. საძნელო საქმე იყო, გალმა ნაპირის მტვერსა და კვამლში რაიმე სარწმუნოდ გაგერჩია. სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე თვით ჩაუძღვა ქართლელთ ბელაქნის წყალზე, აქ ცხენი ყალყზე შეაყენა, ხმალი იშიშვლა და სადროშოს სარდლის, მისი კბილა პაპუნა ამილახვრის მხარდამხარ ცხენი გალმა ნაპირისაკენ გააქენა, რომელსაც უკვე უახლოვდებოდნენ ურჯულო მტრის გაშმაგებული მოწოლით შეეიწროებული თიანეთლები.

— აი, თქვენი ღმერთის ჭირიმე, ბიჭებო, რა დროს წამოგვეშველეთ!..

— გამხნევდით, კახელებო! როდის მომხდარა, ტილიან ყიზილბაშს წმიდა სამების აღმსარებელ ქართველზე გაემარჯვოს! დასცხე! ჰკა მაგას, აგრე, გენაცვალე მარჯვენაში!..

ხმა, გიაურ კახთ მაშველი ძალა მოუვიდათო, მსწრაფლ გავრცელდა, მაგრამ წარმატებით გამხნევებული ყიზილბაშების მხრიდან ომს კარგი პირი უჩანდა და ამ საგანგაშო ცნობას მათზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია.

— ეს მართლა შენა ხარ, თავადო ქაიხოსრო?

— მე გახლავარ, ურჯულო კონსტანტინე! ვმადლობ ღმერთს, რომ შენთან პირადად შემახვედრა! ამ ჩაფხუტში როგორ მიცანი?

— შენ ვინ არ გიცნობს, თავადო, ძველ გაიძვერასა და მოღალატეს!

— მაგ შემკობისათვის გულითადი მადლობა მომიხსენებია! შენი პირიდან არცა მსურს, სხვა სიტყვები მოვისმინო! შემახაში ღამის სიბნელემ დაგიფარა და გამექეცი. ახლა რაღასი იმედი გაქვს, ურჯულო ბატონიშვილო, თავს კახეთის მეფეს რომ ეძახი და ღვიძლი ძმის ქერიეს ცოლობას სთავაზობ, რათა მისი დამდაბლებით თავზე წამოგვაჯდე! გრისხოს ალავერდის წმიდა გიორგიმ! გგონია, ალაჰი დაგიფარავს, ახლაც გამექცევი? აქ შენს წერას მოუყვანიხარ, შუბლზე აქ სიკვდილი გწერებია! დამიდექ!..

— გონს მოდი, ქაიხოსრო! ნუ დაივიწყებ, რომ შენს მეფე-ბატონს ელაპარაკები! აქედან ცოცხალიც რომ გახვიდე, რაც მეტად მეეჭვება, ყმა-მამულს ვის იმედად სტოვებ, გგონია, იქ კი ვერ მოგწვდები?

ვიდრე ისინი ასე სიტყვიერად კენწლავდნენ ერთმანეთს, ომანიშვილის გარშემო სისხლში ამოთხვრილი ვაჩნაძეები მოგროვდნენ, მიხვდნენ, მათ წინაშე ვინ იჯდა მძიმედ შეჯავშნულ ცხენზე და ხმალამოწვდილი აქეთ-იქიდან მიეტანენ.

— უკან!.. — არაადამიანურად მუქარე ხმით იღრიალა ქაიხოსრომ და მტრის კაფეაში მოღლილი ვაჩნაძეები ადგილზევე გააშეშა. — ბატონიშვილს, მირზას, ჩემი სისხლი სწყურია! ხელს ნუ შეუშლით, გეთაყვა, დალიოს ბარემ! რაკიღა აგრეა, მზადა ვარ, კონსტანტინე!

ეს სიტყვები დამთავრებული არც კი იყო, რომ გოლიათური აღნაგობის მქონე ქაიხოსრო ომანიშვილის ხელით

მძლავრად ნასროლმა შუბმა ჰაერი შხუილით გაჰკვეთა და ელვისებურად ცხენშემართული, არანაკლებ ახოვანი და ავაზასავით მოქნილი კონსტანტინე შუაზე უნდა გაეპო, მაგრამ უკანასკნელ წამს მან ფარი ირიბად აპკრა და შუბმაც გეზი იცვალა, დაბზრიალდა, მხედარს ჩაუარა, სადღაც უკან მიწაში ჩაერჭო და რამდენჯერმე გადაექან-გადმოექანა. ხმელ უნაგირზე მძიმედ მჯდომმა ომანიშვილმა მსწრაფლ შეაფასა მდგომარეობა, მტერს საპასუხო დარტყმის მოყენება აღარ აცალა და ხმალმომარჯვებული ცხენდაცხენ მიეპრა. კონსტანტინე დაღლილი იყო, მაგრამ თავს მაინც მარჯვედ იცავდა, ომანიშვილის ფუთიან მახვილს ხან ხმალს ხან ფარს უხვევდრებდა და ცდილობდა, შეტევაზე თვით გადასულიყო, მძლავრი და მოულოდნელი დარტყმით ქაიხოსრო ცხენიდან გადმოეგდო, მაგრამ წუთწუთობით ეს სულ უფრო ძნელი და ძნელი ხდებოდა.

— როგორა გაქეს საქმე, მირზავ, ხომ არ გაგიჭირდა? — დარტყმასა და დარტყმას შორის დამცინავად დაუყვირა ომანიშვილმა. — მოუხმე ალაჰს, იქნება მართლა სადმე აგდია და შეგეწიოს? ამაზე მეტი გაჭირვება, იცოდე, აღარ დაგადგება!

— უ, გაწყდა შენი სინსილა, გიაურო! — უწმაწური გინება აღმოხდა მაღალი ალაპის ავად ხსენებით მთლად გამხეცებულ კონსტანტინეს და ხმალი ისე ღონივრად დაიქნია, რომ, თუ მიზანში მოხვდებოდა, კაციც და ცხენიც ერთიმეორის მიყოლებით უნდა გაეკვეთა, მაგრამ უთვალავ ხელჩართულ ბრძოლაში გამარჯვებულმა ქაიხოსრომ ჰაერშივე ჰკიდა თვალი ხმლის მიმართულებას, განზე გაუხტა და თავისი ხმალი ქვემოდან დაუხვედრა. გაისმა ცაში ატყორცნილი ლითონის ჟღრიალი. კონსტანტინემ თავისდა უნებლიეთ ფარს ხელი უშვა და მეორე ხელის მაჯაში იტაცა. სწორედ ამ დროს იგრძნო საშინელი დარტყმა შუბლის არეში, თავი თითქოსდა აეხადა, თვალებიდან ნაპერწკლები წამოჰყარა, ამის თქმა-ღა მოასწრო, "აფსუს, ვისი ხელით ვკვდები!" და ღონეგამოლეული სისხლისაგან გალიპულ უნაგირს გადმოეკიდა.

კიდევ გაიგონა:

— დაიჭით, არსად წაგივიდეთ!..

ეს ისევ ქაიხოსრო ომანიშვილის ხმა იყო.

— ისე წავიდეს შენი მტერი, თავადო!

"მაშ, გათავდა? — გაიფიქრა კონსტანტინემ. — თუ ეს სიკვდილია, არცთუ ისე ძნელი ყოფილა! ახლა თავს წამაცლიან და ქეთევანს მიართმევენ!.."

სულთმობრძავი ბატონიშვილის ეს უკანასკნელი წინასწარმეტყველება არ გამართლდა. რამდენიმე მხედარი ჩამოქვეითდა, ფეხებით უზანგში გახლართული ბატონიშვილი ძირს ჩამოხსნა და ნოტიო მიწაზე გულალმა დააწვინა, მისთვის თავის მოკვეთა და ქეთევან დედოფლისათვის გაგზავნა კი აზრადაც არავის მოსვლია. კონსტანტინე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, სული ედგა, ესმოდა, რაც მის გარშემო ხდებოდა. წყვდიადი მხოლოდ მაშინ ჩამოწვა და ყოველივე მაშინ-ღა გაჰქრა, როდესაც რაღაც ზენა ძალამ ერთბაშად შეანჯღრია და საშინელი სისწრაფით სადღაც უსასრულობისაკენ გააქანა.

თავი XVII

1605 წლის ღვინობისთვის 25-ს, ბელაქნის წყალზე მომხდარი ხოცვა-ჟლეტის მესამე დღეს, მოხდა სპარსთა და ოსმალთა უზარმაზარი არმიების შეჯახება ურმიის ტბასთან, რომელმაც ჩრდილოეთ ირანისა და კასპიისპირა მიწების ბედი საბოლოოდ გადაწყვიტა. სპარსელთა გამარჯვება უყოყმანო და ყოვლის მომცველი იყო. საფრთხე შეექმნა ბრწყინვალე პორტას კავკასიურ სამფლობელოებს, უპირველეს ყოვლისა შირვანს, შემახათურთ, და, ასე გასინჯეთ, თვით შორეულ ყირიმის სახანოსაც კი, თუმცა ის ძნელად გადასალახი კავკასიის მთების სგადაღმა მდებარეობდა.

ოსმალთა მარცხი და ზარალი აურაცხელი იყო. ისინი თითქმის მთელ წელიწადს იდგნენ შაჰ-აბასის 60 ათასიანი არმიის პირისპირ და მოსისხლე მტერთან ანგარიშის გასასწორებლად შეტევაზე გადასვლას ვერ ბედავდნენ. ამოდენა ჯარი, ცხენი და აქლემი, სახედარი და ხარ-კამეჩი ყოველ ცისმარე დღე აუარებელ სახსრებს ნთქავდა და ამ სასხრების, სურსათ-სანოვაგისა და საკვების ალაგობრივ შოვნა ერთობ ჭირდა, სახელმწიფო ხაზინა კი დღითიდღე ცარიელდებოდა. გაჩანაგდა და გაუკაცრიელდა თვალუწვდენელი ველები, სადაც უპირატესად სომეხი მოსახლეობა სახლობდა და აყვავებული მეურნეობა ჰქონდა.

ოსმალთა მომავალი კირთებისაგან თავი რომ დაეცვა და სპარსეთის სამუდამო უშიშროება უზრუნველეყო, შაჰ-აბასს გადაწყვეტილი ჰქონდა, მთელი ეს მიწა-წყალი, არაქსის გალმა-გამოლმა, რასაც წინათ, უხსოვარ დროიდან სომხეთი ერქვა, უდაბურ, გველ-ღრიანკლის საბუდარ უსიცოცხლო სივრცედ ექცია, სადაც ასკერთა და იანიჩართა კალიასავით მრავალრიცხოვანი ლაშქარი კბილით გასაკენტს ველარაფერს იშოვნიდა და თუ აქამდე ოდესმე კიდევ მოვიდოდა, იძულებული გამხდარიყო, შემდგომ წინსვლაზე ხელი აეღო და პირი კვლავ შინისაკენ ექნა.

სძლია თუ არა საძულველ მტერს და დიდძალი ალაფით დატვირთული ქარავნები სატახტო ქალაქ ისპაჰანში გაისტუმრა, გამოთავისუფლებული ჯარის ერთი ნაწილი შაჰ-აბასმა არაქსსგადაღმა გაგზავნა, უკვე იავარქმნილ სომხეთს შეუსია და გულში დიდი ხნის ნადები გეგმის აღსრულებას შეუდგა, თავად კი გამოსაზამთრებლად და ახალი ძალების მოსაკრებად სატახტო ქალაქში დაბრუნდა, გამარჯვების აღსანიშნავად ხალხმრავალი ნადიმი გადაიხადა, რომელზედაც ისპაჰანში მყოფი ყველა უცხოური წარმომადგენლობა მიიპატიჟა, ახალდამთავრებულ ალი-ყაფუს სასახლის პალატების ბრწყინვალეებითა და გულუხვი მასპინძლობით თავი მოიწონა, გამოიზამთრა და დადგა თუ არა 1606 წლის საგაზაფხულო უქმეები, კვლავ ახალი ლაშქრობისათვის სამზადისს შეუდგა. რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ოსმალური კერები უსიკვდილოდ უნდა მოესპო კასპიის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და რაკი ამ საშვილიშვილო საქმეს პირადად მის ჩაურევლად აქამდე საშველი არ დაადგა და ორივე ცდა სამარცხვინო მარცხით დამთავრდა, გადაწყვიტა, ამჯერად თავად ეცადა ბედი და ახალ ყოვლის მომსვრელ ლაშქრობას სათავეში ჩასდგომოდა.

ურმიის ტბის პირას გადახდილი ომიდან ის ახალი დაბრუნებული იყო, უცხოელი ელჩებისაგან გაუთავებელ მოლოცვებს ჯერ კიდევ იღებდა, რცა გურჯისტანიდან შირვანის შემოსაერთებლად, იქიდან ოსმალთა განსადევნად კონსტანტინესათვის გაგზავნილი ყიზილბაშთა ჯარის პირწმინდად განადგურებისა და თვით კონსტანტინე-მირზას დაღუპვის ამბავი მოუვიდა. შაჰ-აბასი განრისხდა. ორ დღეს არც შინაურს და არც გარეშეს აღარავის დალაპარაკებია. აღარ იცოდა, ჯავრი ვიზე ეყარა, თავისი ბოლმა ვის თავზე გადმოენთხია. ბატონიშვილ თეიმურაზის ბედი ბეწვზე ეკიდა და თუ ის ამ

ამბავს არ შეეწირა, ეს მხოლოდ იმის გამო მოხდა, რომ შურისმაძიებელი სისხლის ყივილს, შაჰის ძარღვებში რომ ბობოქრობდა, ისევ კეთილგონიერებამ და ანგარიშიანობამ სძლია: კახეთის ტახტის კანონიერი მემკვიდრე თეიმურაზი მას სჯირდებოდა, სჯირდებოდა უფრო, ვიდრე ბიძამისი კონსტანტინე და უბრალო შურისძიების წყურვილით ბატონიშვილის მოკვდინება შემდეგ და შემდეგ ვინ იცის, რა ძვირი დასჯდომოდა!

შაჰ-აბასი ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდა, თუ დავით მეფის ქერივ დედაკაცთან ომში მისი გაზრდილი და გამოწვრთნილი კონსტანტინე ასეთ უნიჭობას გამოამჟღავნებდა, გიაურ კახთ ამოდენა ჯარს შეაწყვეტდა და თავსაც წააგებდა!

"ახია გველის წიწილზე! — დრტვინავდა შაჰ-აბასი. — ქეთევანის ცოლად შერთვა რამ აფიქრებინა, დუნიაზე ქალი გამოილია? უგუნურმა ნუთუ არ იცოდა, რომ ამის უბრალო გამჟღავნებაც კი გიაურებს გადარევდა და დანასისხლად გადაჰკიდებდა? დაეჭირა ჯერ ის კახეთი, თავისად დაეგულვებინა, ტახტზე განმტკიცებულიყო და მერე მის ხელთ არ იქნებოდა ქეთევანიც და ყველა სხვაც, ვისაც კი მოისურვებდა? მეტის ლირსი იყო, მაგრამ უბრალოდ დახოცილ მართლმორწმუნეთ ვინ-ღა აღმიდგენს, მათი მუხანათური დაღუპვით გამოწვეულ ზარალს ვინ ამინაზღაურებს?!"

აპრილის დამდეგს ის ყარაბახში მოვიდა. სომხეთში ცოდვის კითხვა ტრიალებდა. ხალხი ყიზილბაშებს გაშმაგებულ წინააღმდეგობას უწევდა. მაშვრალი მამა-პაპის ოფლითა და სისხლით გაპოხიერებული მიწის დატოვებისა და სამხრეთ ირანის უნაყოფო უდაბნოებში გადასახლების, იქ ცხოვრების ხელახლა დაწყების მოსურნე და მოწადინე არავინ იყო.

სისხლისაგან დაცლილ-გაჩანაგებულ ქვეყნისაგან ამირები ასე გაუტეხელ წინააღმდეგობას აღარ მოელოდნენ. როგორ მოიქცეთო, აფრინეს კაცი თავისი მრავალრიცხოვანი ცოლებითა და სამეფო კარით შუშაში დაბანაკებულ ყაენთან.

— ჩემმა მზემ, ალაჰის მადლმა, ვილაცას თავი ზედმეტი აქვს და ბუნების ამ შეუსაბამობის შესწორებას მევედრება! — იოხუნჯა შაჰ-აბასმა. — გადაეცით, რომ მე ხელს არაფერი მიშლის, ეს თხოვნა დაუყოვნებლივ შეეასრულო!

ამირები მიხვდნენ, ყაენის ეს ნახევრად სახუმარო შემონათვალი რასაც ნიშნავდა. თუ აქამდე სომეხთა მიწა-წყალზე ჯოჯოხეთის ცეცხლი ენთო, ამის შემდეგ ის კიდევ მეტი

გააფთრებით აგიზგიზდა. აპყარეს ომში თითქმის გამესამედე-ბული ქვეყნის მთელი მოსახლეობა, დააცარიელეს ხელოსნო-ბითა და ვაჭრობით განთქმული ქალაქები, დაბა-სოფლები, აჰკიდეს, ვისაც რა ებადა და სამხრეთის უდაბნოების დაუსრულებელ გზას გაუყენეს, მათი ნაამაგარი სახლ-კარი კი, ვინმეს არაგაწის მთების სახიზრებიდან გამოსელა და ჩამქრალი კერის მოჩხრეკა-გაღვივება რომ არ ეცადა, ცეცხლს მისცეს. დაიწვა და ფერფლად იქცა ყველაფერი, რასაც კი ცეცხლი ეკიდებოდა. ინგრეოდა და მიწასთან სწორდებოდა საუკუნეების მანძილზე რუდუნებით ნაგები ეკლესია-მონასტ-რები, სომეხ მეფეთა და ნახარართა ანისის, დვინის, ერევნის სასახლეები. ათასობით ყიზილბაში არარატის ველის ბალ-ვე-ნახებს ასაჩეხად და ამოსაძირკვავად ეკვეთა. კაცის კვლასა და მხოლოდ სომარი იარაღების ხმარებაში დახელოვნებული ყიზილბაშები შესაშურ გულმოდგინებას იჩენდნენ და გამრჯე გლეხკაცის მარჯვენით წლობით ნალოლიავებ ვაზსა და ხეხილს ჩეხდნენ, ძირფესვიანა ძირკვავდნენ და ცეცხლს უკეთებდნენ. ცეცხლში შიშინებდა და დუღდა სიცოცხლის წვენი, ხეებსა და ვაზებს ჭრილობებიდან რომ გადმოსდიოდა!

ბელაქნის ომში რაღაც მანქანებით გადარჩენილ რამდე-ნიმე თანამემამულისაგან შაჰ-აბასმა შეიტყო, რომ დავით მეფის ქერივი დედოფალი ქეთევანი ამ ომში მარტო თავისი გიაური ქვეშევრდომების ანაბარა არ იყო. სპარსეთის ვასალი და ყმადნაფიცი გიორგი ქართლის ვალიც გვერდში ამოსდგო-მოდა და ყაენის ნების აღმსრულებელ კონსტანტინე-მირზას წინააღმდეგ ჯარი მიეშველებინა.

ყიზილბაშები, აქამდე რომ რის ვაივაგლახით მოეღწიათ, სამშობლოსაკენ გზის გასაგრძელებლად კი სახსარი ვეღარა-ფერი ეშოვნათ და აქ, შუშაში, ცის მანანას ელოდნენ, ბელაქნის წყალთან ნაწვნევ საბედისწერო დამარცხებას და აუნაზღაურებელ მსხვერპლს, რის გაღებაც ქეთევანთან შე-ტაკებაში მოუხდათ, სწორედ ქართლელების — გურჯების ვერაგობით ხსნიდნენ. ისინი რომ არა, კახეთი უკვე წამოჩო-ქებული გვყავდა, სატახტო ქალაქ გრემამდე ერთი დღის სავალი-ღა გვრჩებოდაო და უამისოდაც პირგამეხებულ ყაენს ქართლელებისა და მათი მეფის წინააღმდეგ ამხედრებდნენ.

— მე კი, დამთხვეულმა, რა ვქენ? — ცეცხლმოკიდებულ გალიაში გამომწყვდეული ლომივით ბრდღვინავდა შაჰ-აბასი და გულზე ხელებდაკდობილი წინ და უკან დადიოდა. —

ერევნის ციხის აღებისას გაწეული სამსახურისათვის ვაჟბა-ტონს მადლობა ვუთხარ, ხალათი ეუბოძე და წყალობის ნიშნად ხუთასი თუმანი ჯამაგირი დავუნიშნე! მართალია, სანაცვლოდ ლორე და ბერდუჯის ხევი კი წავგვარე, მაგრამ განა ეს სახსენებელია?! რით გადამიხადა? ჩვეული მზაკვრობა მიყო, განმდგარ კახელებს მიჰკერძა და ზურგში მახვილი ჩამცა, როცა მისგან მზოლოდ მზარდაჭერას და თანადგომას მოვე-ლოდი! რაღა თქმა უნდა, თავის დამღუპველ სულთანთან გაიბა ობობას ქსელი და ჩემი უღლის გადაგდებას აპირებს! ორპირია და გაიძვერა, როგორც მამამისი დელი სიმონი! ალაჰის წვერსა ვფიცავ, ეგეც თავის დღეს ჯალათის ნაჯახის ქვეშ დაასრულებს, გამოსასყიდად თუნდაც მთელი გურჯისტანის ოქრო-ვერცხლი ჩამომიტანონ!

პირველი, რაც ამის შემდეგ შაჰმა მოიმოქმედა, ის იყო, რომ ხაზინადარი მოიხმო და უბრძანა, ქართლის ვალისათვის ნაწყალობევი ჯამაგირი აღეკვეთათ, მისგან არავითარი ძღვენი და მოსაკითხი არ მიეღოთ, მათ შორის არც გოგო-ბიქები, რადგანაც უახლოეს მომავალში, როგორც კი ხელს მოიწყობ-და, თავად აპირებდა იქით გასეირნებას და სპარსეთის ტახტის ერთგული გურჯების მონახულებას.

ყაენის განრისხებისა და შეფარული მუქარის ამბავმა ტფილისის ისნის სასახლეს, სადაც გიორგი ქართლის მეფე სახლეულითურთ ცხოვრობდა, სულ მალე მოაღწია. მიეცათ სალაპარაკო და კიდევაც ალაპარაკდნენ დღემუდამ მეფის კრიჭაში მდგომი დიდებულები: ნუგზარ არაგვის ერისთავი, სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი, იასე ფალავანდიშვილი, ფარსადან ციციშვილი, მეტადრე პატივსა და დიდებას ჩვეული მათი თანამეცხედრენი. ვურჩევდით, ვაფრთხილებდით ამ დალოცვილს, ჩვენს კურთხეულ მეფეს, არ ეგების კახეთის დაბურდულ ამბებში ჩარევა და მწყალობელი შაჰის მომდუ-რება, ვიკმაროთ ლორესა და ბერდუჯის ხევის დათმობა, ქვეყანას ნუ გავატიალებინებთო, მაგრამ ყური ვინ გათხოვა, ვინ დაგიჯერა, სამსხვერპლო ციკანივით ატროკდა, წინ გამოხტა და ახლა ერთმა ღმერთმა იცის, გუშინ ჩვენი მოყვარე, დღეს კი მოსისხლე მტრად მოკიდებული შაჰ-აბასი რას გვიმზადებს და გვიქადისო.

თავი XVIII

ქართლის მიმართ ყაენის მიერ შეფარულად გამოთქმული მუქარა უპირველეს ყოვლისა კახეთს შეეხებოდა და გრემში ეს არც არავის გაჰკვირვებია. უეჭველი იყო, ადრე თუ გვიან ურჯულო მტრისაგან საშინელი ანგარიშსწორება არ ასცდებოდათ. გარდა იმისა, რომ სისხლისმღვრელი ომისათვის უნდა მომზადებულიყვნენ, ლაშქრად ქუდზე კაცი გამოეყვანათ, ხსნა საბოლოოდ მხოლოდ ორი გოლიათური ძალის — სპარსეთისა და ოსმალეთის ურთიერთშეჯახებას უნდა მოეტანა. ურმიის ტბასთან სპარსელთა დამაჯერებელმა გამარჯვებამ, რაც ნაკლებ სავარაუდებელი იყო, რადგანაც ოსმალები მტერს თითქმის ორჯერ ჰარბობდნენ, კახეთის მესვეურნი და თვით დედოფალი ქეთევანი მწარედ ჩააფიქრა, საგონებელში ჩააგდო. მისი უზარმაზარი არმიის განადგურებით წელში გატეხილი ოსმალეთი წელს კარგა ხანს ვერ წამოსწევდა და ამით ხელ-ფეხგახსნილ შაჰ-აბასსაც მოქმედების სრული თავისუფლება ეძლეოდა.

შაჰ-აბასის შორს გამიზნული გეგმები ქართლ-კახეთის სამეფოების უეჭველ დაპყრობა-დაქვემდებარებას, აქ სამეფო ტახტების გაუქმებას, სპარსული მართვა-გამგეობის შემოღებას და ქვეყნის სპარსელი მოხელისათვის საგანმგებლოდ გადაცემას მოიცავდა, რისთვისაც განათლებული კაცობრიობის წინაშე თავის გასამართლებლად ყაენს არავითარი ახალი საბუთი თუ საბაბი არ დასჭირდებოდა. ბელაქნის წყალზე მომხდარი ომი და სპარსული მხარისათვის მისი სავალალო შედეგი საბაბადაც კმაროდა და საბაბზე მეტიც იყო. შაჰ-აბასის შემდგომ ნაბიჯს, ხელდებულ ქვეყანაში ცეცხლითა და მახვილით შემოკრას, ცოტა თუ ვინმე გაამტყუნებდა და დასძრახავდა!

მტანჯველი ფიქრისა და ყოყმანის შემდეგ, უმთავრესად სისხლისმსმელი შაჰის კლანჭებში მისივე სურვილით მოქცეული ერთას, ბატონიშვილ თეიმურაზის გარშემო რომ ტრიალებდა, ქეთევანმა დარბაზის ერის შეყრა ბრძანა და როდესაც ყველა წვეულმა სატახტო დარბაზში თავი მოიყარა, დიდებულებსა და სამღვდელო პირთ რჩევა ჰკითხა. რჩევა, ბრძნული, მრავალმხრივ აწონილ-დაწონილი რჩევა, აი, რა ჭირდებოდა

დედოფალს ახლა და ისე არავის შეეძლო მისი მოცემა, როგორც თეიმურაზთან ერთად შაჰის კარზე მყოფ შერმაზან ჩოლოყაშვილს, ვისი შინ ყოფნის გადაუდებელ საჭიროებას ბოლო დროს სულ უფრო და უფრო განიცდიდა.

ერის მესვეურთა თავყრილობას აკლდა აგრეთვე მეუფე სამოელი. თავისი წმიდა სული მისმა მეუფებამ ღმერთს დიდმარხვის მეორე სამშაბათს მიაბარა და ღვთისა, ერისა და თანამოსაყდრეების წინაშე ვალმოხდილი, მათ მიერვე დატირებული ამქამად იქ განისვენებდა, სადაც ოცდაათი და მეტი წლის წინათ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-ტფილისის მთავარეპისკოპოსმა, ყოველთა ქართველთა სულიერმა მოძღვარმა, უწმიდესმა და უნეტარესმა დოროთეოზმა, რომელიც კახეთში საგანგებოდ მობრძანდა, რათა აქაური წმიდა ადგილები მოელოცა, იგი მიტროპოლიტის მანტიით, სულიერი მახვილით, სამღვდელმთავრო მიტრით, ჯვრითა და პანაღიით შემოსა. კათედრა ჯერჯერობით ქვრივად ითვლებოდა და დარბაზის ერის სხდომაზეც ნატიანი სკამი, რომელზედაც სულგანათლებული მეუფე სამოელი ჯდებოდა, თავისუფალი იყო, მის დაკავებას ვერავინ ბედავდა.

დარბაზის ერი, ერისკაციცა და სამღვდელოც, თითქოს წინასწარ შეთანხმებულან და პირი შეუკრავთო, ერთ ურყევ აზრზე იდგა: შაჰისათვის ყარაბახში საპატიო პირთაგან შემდგარი ელჩიონი ეახლებინათ, ხელმწიფური ძღვენი მიერთმიათ, სპარსეთის ტახტის წინაშე სრული მორჩილება ეღიარებინათ, ხოლო რაც შეეხება კონსტანტინე-მირზას წინააღმდეგ გამოსვლას და ომს, იგი შაჰისავე ღირსების დაცვად დაეხატათ, შაჰისა, რომელმაც კონსტანტინეს მხოლოდ შირვანის ბეგლარბეგობა უბოძა, ამ გარეწარმა კი, წინააღმდეგ მწყალობელი შაჰის უზენაესი ნება-სურვილისა, ბეგლარბეგობა არ იკმარა, ახეთის ტახტიც მოინდომა და უკეთური მიზნის მისაღწევად მშობელი მამა და ღვიძლი ძმა, ცათა სწორი ყაენის ერთგული ყმები, სიცოცხლეს გამოასალმა!

მსჯელობა მყარ ნიადაგზე იყო დაფუძნებული და არც თანამიმდევრულობა აკლდა, ამავე დროს იგი მთლიანად ეთანხმებოდა ქეთევანის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მაგრამ იკმარებდა კი ეს თავის გასამართლებლად? უკლებლივ ყველა გრძნობდა, თუმცა ხმამაღლა გამხელას ერიდებოდა, გრძნობდა თვით მწარე საფიქრალით შეპყრობილი ქეთევანიც, რომ მას ერთი სუსტი ადგილი ჰქონდა: გამჭრიახი და

ქვებუდანი შაჰ-აბასი, როცა კახი შუამავლების ქვეშევრდომულ მტკიცებას მოისმენდა და გონების სასწორზე შეაგდებდა, განა არ იკითხავდა, ეგ ყველაფერი კარგი და კეთილი, მაგრამ თვით დედოფალი ქეთევანი, ჩვენი საყვარელი სიდედრი, სადა ბრძანდება, რატომ პირადად არ გვეახლა, საკუთარი წინდაუხედავი ურჩობა არ დაჰგმო, თავისი მდაბალი სათხოვარი რატომ თავისივე პირით არ მოგვახსენა და, იმის მაგიერ, თავად გვხლებოდა, ესოდენ პატივსაცემი პირები გაგსარჯათო?

ამ კვიმატ კითხვაზე, შაჰ-აბასი დათაფლული ლიმილით რომ დაუსვამდა, რა პასუხი უნდა მიეცათ? რით უნდა აეხსნათ ის გარემოება, რომ ქეთევანი თავის დიდებულ, ნახევარი სამყაროს მპყრობელ სიძეს არ ენდობოდა და თავს მისგან შორს იჭერდა?

დედოფალმა შეატყო, დარბაზის ერი თითქმის გადაულახავ ზღუდეს მიადგა და მის ჩაურევლად, მისი ნების გამოვლინების გარეშე ახლა საბოლოო მსჯავრის გამოტანა და საქმის დაგვირგვინება ერთობ გაჭირდებოდა.

— ყაენს ტახტის ერთადერთი კანონიერი მემკვიდრის, ჩვენი ძის, ბატონიშვილ თეიმურაზის, მეფედ დამტკიცება უნდა ვთხოვოთ, მიუხედავად მცირეწლოვნობისა, თეიმურაზი ტახტზე უნდა ავიყვანოთ! — ბრძანა მან მოლოდინით დამუხტულ სიჩუმეში და გარეგნულად მშვიდმა და აუმღვრეველმა, თუმცა გული გამალებით უცემდა და ამოვარდნაზე ჰქონდა, ყველაზე წინ მდგომთ მზერა შეავლო იმის შესატყობად, რა შთაბეჭდილება მოახდინა მისმა უკანასკნელმა სიტყვებმა. — ქვეყანას, ჩვენზე უკეთ უწყით, მეფე სჭირდება. უმეფო ქვეყანა ჭიშკარმორღვეულ ეზოს მიგავს!..

ვერავინ გაბედა პირმოთნე შეკამათება, იმათაც კი, ვისაც ტახტთან სიახლოვე ამის უფლებას აძლევდა, როგორ გეკადრება, მაგას რადა ბრძანებ, კახეთი ნუთუ ჭიშკარმოლიავებული ეზოა, რაკი მას ღვთისა და ერისაგან ამაღლებული დედოფალი განაგებსო?

ერმა და ბერმა შვებით ამოისუნთქა. ეს სწორედ ის იყო, რაც თითოეულ აქ მყოფს ენაზე ადგა და დედოფლის რიდით, საწყენად არ მიიღოს, უნებლიეთ გული არ ვატკინო, რაიმე სხვად არ ჩამითვალოსო, ნაფიქრის ხმამაღლა გამჟღავნებას ვერ ბედავდა.

სხდომა, რომელიც აქამდე როგორღაც გულდახურული მიმდინარეობდა, ქეთევანის სიტყვების შემდეგ ერთბაშად

გამოცოცხლდა. თვალში სინათლე მოემატა თვით ქეთევანსაც. სადღაც გულის სიღრმეში დალექილი ეპეი მას მაინც აწვალებდა და ერთხელ და სამუდამოდ რომ განთავისუფლებულიყო, მცირეოდენი დაფიქრების შემდეგ იკითხა:

— იქნებ ვინმემ რაიმე სხვა მოსაზრება წამოაყენოს?

— არ არსებობს არავითარი სხვა, უფრო გონივრული მოსაზრება, დედოფალო, ვიდ ის, რომელიც თქვენი უდიდებულესობის პირით გვეუწყა! — დავით ჯანდიერმა თავს ნება მისცა ეს აზრი მთელი დარბაზის ერის სახელით წარმოეთქვა. — ღმერთმა ადღეგრძელოს და აკურთხოს თეიმურაზი, კახეთის კანონიერი მეფე! თქვენი უდიდებულესობის ბრძანებისა არ იყოს, მართალია, ჯერ უწლოვანობა ეთქმის, მარიამობისთვეში თექვსმეტი წლისა სრულდება, მაგრამ სიბრძნით, განსწავლულობით და მხედრული შემართებით ბევრ ასაკოვანს იღლიაში ამოისვამს! რას იტყვით, ბატონებო? — ჯანდიერმა ახლა უკვე სულგანაბულ დარბაზის ერს მიმართა.

— მართალი ბრძანდები, მართალი, თავადო, თეიმურაზი ტახტის ლირსეული მემკვიდრეა და ღვთის წინაშე მზად ვართ, გვერდში ამოვუდგეთ!..

— მაშ, ვაშა ვაშა თეიმურაზს!..

— ვაშა, ვაშა, ვაშაა!..

ქეთევანს თვალები მოენისლა, უპეები ცრემლით აევსო, გულიც აუთრთოლდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, რაღაც მადლიერების მსგავსი გამოეხატა, მაგრამ ამის ღონე აღარ შესწევდა და ისევ დუმილი არჩია.

აზრთა ცხოველი გაცვლა-გამოცვლა ცოტაოდენ ხანს კიდევ გაგრძელდა. დაასახელეს ოთხი დარბაისელი, რომელთაც ყარაბახს წასვლა, შაჰ-აბასთან მოლაპარაკება, თეიმურაზის მეფედ დამტკიცებისათვის ზრუნვა და მისი სამშობლოში ჩამოყვანა დაეკისრა.

ესენი იყვნენ: ნოდარ ჯორჯაძე, დავით ჯანდიერი, ლუკა მაყაშვილი და ელიზბარ ჩოლოყაშვილი. მათ ორასი კაცისაგან შემდგარი მცველი რაზმი უნდა გაეყოლებინათ და გზას არა უგვიანეს მომდევნო დილას უნდა გასდგომოდნენ. ყოველი წუთი ოქროდ ფასობდა. რაც უფრო ფეხს აითრევდნენ და ამა თუ იმ მიზეზის გამო შეიგვიანებდნენ, მრისხანე შაჰთან მორიგება მით უფრო გაძნელდებოდა.

საქმე გიორგი ქართლის მეფის მონახულებას ითხოვდა. ქართლელების ზურგსუკან შაჰ-აბასთან შეთანხმების ძიება

ღალატის ტოლფასი იქნებოდა და ამიტომაც დარბაზის სხდომაზევე გადაწყდა, ელჩიონი ქართლის გზით წასულიყო და პირობების შესათანხმებლად ტფილისში მეფე გიორგი მოენახულებინა.

აიმრიზნენ ქართლის დიდებულები, მეტადრე ბატონიშვილ ლუარსაბის აღმზრდელი სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი და საციციანოს ბატონი თავადი ფარსადან ციციშვილი, ისნის სასახლეში, მეფის კარზე, კახეთის დედოფლის წარმოგზავნილები რომ იხილეს. ისინიც და მათთან ერთად ბევრი სხვაც კახელებს თავიანთი მოსალოდნელი უბედურების, რბევისა და თვლიდნენ, მათი გამოჩენა ახალ დავიდარაბაში ჩათრევის ნიშნად მიიჩნიეს და მაშინვე მეფეს მიაშურეს, ღმერთი არ გაგვიწყრეს, ჩვენს უნებურად არ დაიყოლიონ, საქმე თავში საცემად არ გაგვიხადონო.

ბოლოს, როდესაც ყველაფერი ასე თუ ისე გაირკვა, ბურუსი გაიფანტა და შიში არ გამართლდა, დარწმუნდნენ თუ არა, მეფე გიორგი ჩვენს საწყენს არაფერს სჩადისო, ბარათაშვილი და ციციშვილი თავშეკავებული სიხარულით დაყაბულდნენ, ყარაბახს მიმავალ კახელებისათვის თავიანთი წარმომადგენლები გაეყოლებინათ და არცთუ უსაბუთოდ ამხედრებულ შაჰ-აბასთან ძველი კეთილი ურთიერთობის აღდგენაზე ეზრუნათ.

თავი XIX

ქეთევანის მიერ წარგზავნილი კაცები, რომელთაც ტფილისიდან ქართლის თავადები ავალიშვილი და ყარანგოზიშვილიც ახლდნენ, შუშაში, მწყალობელი შაჰის კარზე, სამ დღეს ალოდინეს, ვიდრე ცათა სწორ ყაენთან მიიწვევდნენ, მისი უდიდებულესობა ყაენი უქეიფოდ ბრძანდება და ნაბრძანებია, არავინ მიიღონო.

ქართველმა დესპანებმა, ამოდენა გზა თითქმის შეუსვენებლივ რომ გამოიარეს, ყურები ჩამოყარეს, მოიწყინეს, რადგანაც არ ეგონათ, ვერც კი წარმოიდგენდნენ, თუ შესარიგებლად და უსიტყვო მორჩილების გამოსახატავად მოსულთ აქ ასე უპატიურად მიიღებდნენ და ღამის გასათევად სიღნაღიდან გადმოსახლებული ერთი სომეხი ვაჭრის სახლს შეეკედლნენ.

ვაჭარი ყოჩაღი და ავკარგიანი კაცი ჩანდა. სარფიანი ხელობის წყალობით აღმოსავლეთის თუ დასავლეთის მრავალი ქვეყანა მოევლო, ვინ მოსთვლის, სად რა საქონელი შეეძინა ან გაეყიდა, ნაცნობ-მეგობრების ფართო წრე ჰყავდა, ასე გასინჯეთ, თვთ შაჰის კარზეც კი, და როგორც კი შეიტყო, კახეთის დედოფალ ქეთევანის ელჩები მოსულან და შაჰთან შეხვედრა სწადიათო, გახარებულმა, რომ ღმერთმა საშუალება მისცა, ვაჭრობისა და ქვეყნის სასარგებლო ყოველი სხვა საქმის მფარველი ღვთისნიერი დედოფლის სასიამოვნო რამ გაეკეთებინა, ელჩები პირადად მოინახულა, შინ მიიპატიჟა. ბოდიში მოუხადა, ისე არა ვცხოვრობ, როგორც უნდა ვცხოვრობდეო, კახური გულუხვობით გაუმასპინძლდა და მაშინვე ხანის სასახლეს მიაშურა, სადაც შაჰი თავის მრავალრიცხოვან ცოლებთან ერთად იდგა და სამოცდასამი წლის მოცვეთილი კაცისათვის არც თუ აგრე ადვილად მოსახერხებელ განცხრომას ეძლეოდა.

შაჰის უქეიფობა, რასაკვირველია, მოგონილი იყო. არამცთუ ახლა, როდესაც შუშაში ქართლ-კახელი ელჩები მოვიდნენ, ფრჩხილიც აროდეს წამოსტკენოდა. გურჯი დესპანების ხლება რომ აუწყეს, რასაც ის კარგა ხანია მოელოდა, აბასმა წარბი შემართა, შუბლი შეიკრა, სუფთად გაპარსული სავსე ნიკაპი მოიფხანა და ნაცვლად იმისა, მოსულთა შემოყვანა ებრძანებინა, გულმოღეღილ პერანგზე ტილოს უბრალო კურტკა გადაიცვა, შიშველი, კოტიტა ფეხები ხის ქოშებში წასდგა და სახელოსნოში ჩავიდა, რომელსაც ყოველ ლაშქრობაში თან დაათრევდა და მოცალეობის ჟამს იქ ჩხიკინით გულს აყოლებდა. მაგრამ ეს არცთუ უბრალო გულის გადაყოლება იყო. შაჰს ოქროს ხელები ჰქონდა და რა გინდოდა, მისი ხელიდან რომ არ გამოდიოდა. გაჩერებულს, უსაქმოდ მობორიალეს ვერ ნახავდი. სანებივროდ ის მხოლოდ ჰარამხანაში, საყვარელ ცოლებს შორის იცლიდა. იქაც უსათუოდ რაიმე საჩხირკედელაოს გამოძებნიდა და თუნდაც თავზე დასთენებოდა და ალერსისათვის მუდამ მზად მყოფ ცოლებს სურვილით გული გადალეოდათ, ვერ მოისვენებდა, სანამ გამოწყებულ საქმეს ბოლომდე არ მიიყვანდა.

ბევრ უცხოელ ელჩს თუ მოგზაურს, რომელთა შორის ეს ამბავი ადვილად ვრცელდებოდა და პირიდან პირზე გადადიოდა, აოცებდა მსოფლიოს ერთ-ერთი უმდიდრესი და უძლიერესი მონარქის უცნაური გატაცება და ამას მოარული

ლეგენდით ხსნიდა: თითქოს სპარსეთის მომავალ მპყრობელს ახალგაზრდობა სიდუხჭირეში, ლუკმაპურის გამუდმებულ ძიებაში გაეტარებინოს და ძვალ-რბილში გამჯდარ ძველ ჩვეულებისათვის თითქოს მაშინაც ვერ ეღალატოს, როდესაც ტახტის ყველა მოცილეს ჭკუითა და სიმამაცის წყალობით აჯობა და აღმოსავლეთის ერთ-ერთი უდიდესი მაჰმადიანური სახელმწიფოს, სპარსეთის, ძლევამოსილი მბრძანებელი გახდა!

შაჰ-აბასი სარწმუნოების დოგმებში ღრმად დარწმუნებული ბეჯითი შეიხის თავდაჯერებით მოძღვრავდა ყველას, ვისაც კი ამის ღირსად მიიჩნევდა: — ალაჰს არ უყვარს, ჭირვეითა სძულს მცონარა და უქნარა ხალხი, ვისი ხელიდანაც გამოსადეგი არა გამოდის რა. ის მუსულმანი რა მუსულმანია, ანდა საერთოდ კაცი, რა სარწმუნოებასაც არ უნდა მისდევდეს, თუნდაც ოსმალო, ვისაც ერთი ორი ხელობა მაინც არ ემარჯვება, რითაც შეუძლია თავი გაიტანოს და წვრილშვილი დააპუროს!

ყაენის ეს თავისებური ზნე-ჩვეულება და შეგონება როდი დარჩენილა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. ბალღივით ჭირვეული და უზნეო შაჰი რომ ესიამოვნებინათ, დიდი თუ პატარა სახელოსნო ყველა ტახტთან დაახლოებულმა პირმა გაიჩინა. ხანები, სარდლები, სასამართლოს თუ აღმასრულებელი ხელისუფლების მოხელენი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ვინ დურგლობდა, ვის საფეიქრო დაზგა გაემართა და თვალისმომჭრელი ფერებით აყვავებულ ხალიჩებს ქსოვდა, ვინ მჭედლობდა, ხმალ-ხანჯალსა და არკებუზებს ამზადებდა, ვინ ხარაზობდა ან ოქრომჭედლობდა.

თავ-თავიანთი ნაკეთობით მერე ესენი ერთმანეთს მოიკითხავდნენ ხოლმე და მით თავს იწონებდნენ, ვინძლო ეს ამბავი შაჰის ყურამდე მივიდეს და მისი ქება და წყალობა დაეიმსახუროთო.

ბალღობიდანვე ჰარამზანაში გაზრდილს, სადაც ქალების უმეტესობა კავკასიელი ლამაზმანები იყვნენ, მათ შორის ყველაზე მეტი დიდგვაროვანი ქართველი ასულები, შაჰ-აბასს ქართულ ენასთან ერთად ქალური ხელსაქმეც შეეთვისებინა და ჯადოსნურად ჩახლართული მაქმანების ქსოვა ჰარამზანის ოთხკედელშუა გამომწყვდეულ დედაკაცებზე ნაკლებ როდი ემარჯვებოდა. ქართულსაც როგორღაც მათებურად უქცევდა, არასოდეს არ ბილწსიტყვაობდა, ეს სიტყვები მისთვის საერთოდ არ არსებობდნენ და ქართველი დიდებულები, ვისაც

ცათა სწორ შაჰთან პირისპირ შეხვედრის პატივი ერგებოდათ, ღიმილს ძლივს იკავებდნენ და, მათი ნება რომ ყოფილიყო, ერთს გულიანად გადაიხარხარებდნენ.

ტანზეც და ფეხზეც აბასი მხოლოდ თავისი ხელით შეკერილს იცვამდა, თვით სამეფო ძოწეულსა და თვალ-მარგალიტით მოციაგე პორფირსაც კი და დარბაზობაზე მოწვეულ უცხოელ ელჩებს თუ სტუმრად მობრძანებულ მეზობელ მონარქებს თვალს მალულად ადევნებდა, მოსწონთ თუ არა ჩემი ჩაცმულობა და აღკაზმულობა, რაიმე ზადს ხომ არ ამჩნევენო! მაგამ ისამე რჩევას ან მით უფრო დაწუნებას ვინ შებედავდა! უკლებლივ ყველამ, ვინც ამ საზეიმო წუთებში აქ შემოდიოდა და შაჰის ბრწყინვალე დარბაზობებში მონაწილეობას იღებდა, შეუცდომლად იცოდა, რომ ყველაფერი, რაც დიდებულ შაჰს ტანთ და ფეხთ ეცვა, გარდა ცისარტყელას შვიდივე ფერით მოელვარე, სხვადასხვა ქვეყნის სანაქებო ოქრომჭედლების მიერ ზღაპრულ ციხეკოშკს მიმსგავსებული გვირგვინისა, მისივე ნახელავი იყო!

თავი XX

ქეთევანმა შეუცდომლად განჭვრიტა შუშას გაგზავნილი დესპანების უპატიური მიღება შაჰის კარზე და ისინი ისეთი საიდუმლო გასაღებით აღჭურვა, რომელიც ყველა კარს მიუდგებოდა და გააღებდა. ეს გახლდათ წიგნი თამარისადმი, შაჰის ერთ-ერთ ცოლისადმი, რომელიც, მიუხედავად თავისი არამეფური წარმომავლობისა, სპარსეთის დედოფლად ითვლებოდა და სამეფო კარზე და ქვეყანაში, თვით შაჰის თვალშიაც კი, უდიდესი გავლენითა და ძალაუფლებით სარგებლობდა.

წიგნში, რომელიც ქართველ დესპანებს თამარისათვის რაიმე გზით უნდა მიეწვდინათ, ქეთევანმა მას წვრილად აცნობა თავისი გაჭირვებული მდგომარეობა, აუწერა, რაც ბოლო დროს კახეთში მოხდა და შაჰის წინაშე შემწეობა სთხოვა, რათა მბრძანებელს გულმოწყალება გამოეჩინა და მეფის ტიტულით აღჭურვილი ბატონიშვილი თეიმურაზის სამშობლოში გამოგზავნაზე უარი არ ეთქვა. თუ რაიმე შეგიძლია, ძვირფასო დაო, თამარ, სწორედ ახლა გეძლევა საშუალება, შენს ბედკრულ სამშობლოს ნუგეში სცეო, წერდა

თვალცრემლიანი ქეთევანი, გაფიცებ იმ შენი პატიოსანი მამის სულს, მაგ ნუგეშს ნუ დაგვამადლიო, მწყალობელ შაჰს შენებრ ვერავინ მიუდგება, თავის ნებას ვერავინ უკარნახებს, ამის ძალი მხოლოდ შენ შეგწევს და ვის წინაშე უნდა მოვიყაროთ მუხლი, თუ არა შენს წინაშეო.

თამარი ქართლელი თავადის, ანდუყაფარ ამილახვრის ასული იყო, ღვიძლი ძმისწული გორის მოურავ პაპუნა ამილახვრისა, თავისი მეფის სახელით შესაწევნად კახეთს რომ მოვიდა და ბელაქნის წყალზე მზე არაერთ ურჯულო ყიზილბაშს დაუბნელა.

თამარის საარაკო სილამაზის ამბავი შაჰის ყურამდე მაშინ მისულიყო, როდესაც ის სამოც წელს მიახლოებული ბრძანდებოდა და ქალის დაუფლების დაუოკებელი წადილი გულში მანამ ჩავარდნოდა, ვიდრე მას პირადად ნახავდა.

თავადმა ანდუყაფარმა, როცა ყაენისაგან შუამავლადა და მაშველად შაჰის კარზე მყოფი ქართლელი ბატონიშვილი ბაგრატ-მირზა მიუვიდა, იგრძნო, უარითა და თავის გამოდებით არაფერი გამოვიდოდა, უბეში გაზრდილ სათაყვანო ქალს მაინც წაიყვანდნენ, ქვეყანასაც მოაოხრებდნენ და ამ უთანასწორო ქორწინებაზე, შაჰის დიდ წყალობად რომ უნდა მიეღო, თანხმობა განაცხადა.

გახარებულმა ბაგრატ-მირზამ, ძალის გამოყენება რომ არ დასჭირდა, სასძლო მეორე დღესვე წაიყვანა, რადგანაც ენებაშლილი შაჰი მოუთმენლად ელოდა ალი-ყაფუს პალატებში მის გამოჩენას.

პირმშვენიერ თამარსა და ქართველ-სპარსელთაგან შემდგარ დიდებულ ამალას გურჯისტანისა და შაქის საზღვარზე დაბანაკებული ყიზილბაში ამირა ფარჰად-ხან ყარამანლუ მოეგება ხუთასი ცხენოსნით და ყარაბახამდე მიაცილა, აქ კი შუშის ხანი დაუხვდათ დიდძალი მხედრობით და თვით უძლეველი შაჰის შესაფერი დარბაზობა და ნადიმი მოუწყო.

1596 წლის გაზაფხულზე ამილახვრის ასული სპარსეთის უძველეს სატახტო ქალაქ ყაზვინში ჩაიყვანეს, სადაც თვით სულწასული შაჰი ელოდებოდა.

თამარის სინორჩით, თვალტანადობითა და გონიერებით აბასი ისე მოიხიბლა, ყველა და ყველაფერი დაავიწყდა, ქართლელი თავადის, ამილახვრის ასული სპარსეთის დედოფლად გამოაცხადა და ბრძანება გამოსცა, ამისი ნება და

სურვილი ჩემი ნება და სურვილია და იგი დაუყოვნებლივ, სიტყვაშემოუბრუნებლად უნდა აღსრულდესო.

თამარმა თავისი ქალური ძალაუფლება გამოიყენა და მძვინვარე შაჰს, ვისი შიშითაც მთელ სამეფოში და მის ფარგლებს გარეთ ყოველი სულდგმული თრთოდა, უპირველეს ყოვლისა, გულში ქრისტეს რჯულის შეწყნარება და ყოველი მართლმორწმუნე ქრისტიანის მიმართ სიბრალული ჩაუნერგა. თავად არ უმალავდა, რომ კვლავ ქრისტიანი იყო და პირიდან სულის ამოსვლამდე ქრისტიანად დარჩებოდა, მაგრამ ნიშნად თავისი ბატონის ერთგულებისა და ცოლქმრული პატივისცემისა, ამას საქვეყნოდ არ გააცხადებდა და მიზგითში სხვა ცოლებთან და საჰურისებთან ერთად ივლიდა.

აღფრთოვანებული, თამარის მშვენიერებით საბოლოოდ დაპყრობილი და ფარხმალდაყრილი, სიბერეში უკვე ფეხშედგმული შაჰ-აბასი ამაზედაც თანახმა იყო, ოღონდ თამარს ჰყვარებოდა და მისი ალერსი არ მოშლოდა.

დედოფალი ქეთევანი ოდნავადაც არ შემცდარა, როდესაც თავისი სამეფოსა და პირმშო შვილის ბედი ამ ყოვლისშემძლე ბანოვანს ჩააბარა. კახეთში გაგზავნილი თავისი რჩეული ჯარის ამოწყვეტის გამო მოგვრილი რისხვა შაჰ-აბასისა მხოლოდ თამარს შეეძლო გაენელებინა, მხოლოდ მას შეეძლო, აბრეშუმის სუსტი ძაფით დაება გალიიდან გამოვარდნილი სისხლმოწყურებული ლომი და მის ბოღმითა და შურისძიებით სავსე გულში სიბრალულის სხივი შეეშვა.

სიღნაღელი სომეხი ვაჭრის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ, მშვიდმა, აუჩქარებელმა, სიდარბაისლითა და ღირსებით შემკულმა კაცმა, ელჩიონის სხვა წევრების თანდასწრებით, როგორც ნაბრძანები ჰქონდა, სპარსეთის დედოფალი თამარი ახსენა და დედოფალ ქეთევანის ხელით მისდამი მიწერილი წიგნის ამბავი გაუმხილა.

ვაჭარმა მოწიწებით მიიღო დალუქული და ბეჭედდასმული გრაგნილი, ზედ კრძალვით ემთხვია, აღმოსავლური წესის თანახმად თავზე დაიდო, ხალათის უბე გაიხსნა, ფართო ჯიბეში ადგილი მოუნახა და მაშინვე წავიდა სასახლეში ნაცნობი საჰურისის მოსაძებნად, რომელსაც ჰარამხანის მომსახურე საჰურისებს შორის ვინმე სანდო პირი უნდა შეერჩია და საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად დედოფალ

ქეთევანის საიდუმლო წიგნი სპარსეთის დედოფალ თამარისათვის გადაეცა.

შუშაი მოსვლის და ვაჭრის ჭერქვეშ დაბინავების მეოთხე დღეს, ანუ ქეთევანის წიგნის საჭურისისათვის გადაცემის მეორე დილას ჯერ მზე ხეირიანად ამოსულიც კი არ იყო, რომ ვაჭრის სახლს ყაენის მეჰმანდარი მოადგა და გურჯი დიდებულები სასახლეში მიიწვია. ყველაფრიდან ჩანდა, რომ შაჰს გული მოებრუნებინა. თვით მეჰმანდარიც, ალისფერ მოსასხამში გახვეული წვეროსანი ყიზილბაში, ერთი იმათგანი, შაჰს მუდმივ მცველებად რომ დაჰყვებიან, ზედმიწევნით თავაზიანად იქცეოდა, რამაც დედოფლის წარმოგზავნილებს გულში იმედი გაუღვიძა.

მათდა გასაოცრად, მეჰმანდარს სტუმრები კიბეზე არ აუყვანია, საიდანაც გრძელი, თითბრის კანდელაბრებით ჩარიგებული და სპარსული მინიატურებით მოხატული დერეფანი სატახტო დარბაზისაკენ მიემართებოდა, სასახლის უკან, სამოთხისებრ წალკოტში გაიყვანა და იქ საღებავმიუკარებელი ფიცრული კარი შეაღო.

ღმერთო დიდებულო, იესო მაცხოვარო, ეს სად მივდიეართ, ხომ არ გვატყვევებენ, ჯურღმულში ხომ არ გვყრიანო, გაიფიქრეს ელჩებმა, მაგრამ შეყოყმანების დრო უკვე აღარ იყო და ისინიც მორჩილად მიჰყვნენ თავიანთ მდუმარე მეგზურს, რომელიც უმზეობისაგან დანესტიანებულ ნახევრადბნელ სარდაფში ჩავიდა.

ეს მეუნაგრის, თერძის, ფეიქრის თუ დურგლის საკმაოდ ფართო სახელოსნო იყო, რომლის მკვიდრ კედლებზედაც სხვადასხვა დანიშნულების სადურგლო თუ სამქდელო იარაღები ეკიდა, შუაგულში კი საქსოვად გამართული საფეიქრო დაზგა იდგა. კედლებზე ახალი შეკრული სარკმლის ჩარჩოები მიეყუდებინათ. იქვე ეწყო სამი ცინცხალი სალაშქრო უნაგირი. მეოთხე სრულიად ახალი გამოწყებული იყო და დაზგაზე შემოდებულს ტილოს ფეშტემალაფარებული, საშუალოზე ოდნავ დაბალი, ჭროღათვალებიანი, მხარ-ბეჭჩაკირული, შუახანს გადაცილებული ჭაღარა კაცი კერავდა, რომელსაც შიშველი ფეხები ხის ქოშებში წაედგა და გასანთლულ ძაფზე აგებულ მახათს დახელოვნებული მოხელის სიმარჯვით ხმარობდა.

მოსულთაგან აქ მხოლოდ ორნი, თავადი დავით ჯანდიერი და თიანეთის მოურავი ელიზბარ ჩოლოყაშვილი იცნობდნენ შაჰ-აბასს, უფრო სწორად, კახბატონ ალექსანდრეს ზეობაში ყაენი შორიდან დაენახათ. ამ უცნაურ ადგილას, სრულიად შეუფერებელ გარემოებაში, ამდაგვარად ჩაცმულ-დახურულის ცნობა თითქმის შეუძლებელი იყო, მაგრამ ალღომ არც ერთს არ უღალატა, როცა მოხელის წინაშე მუხლი მოიყარეს და მას აღმოსავლური წესით თაყვანი სცეს. ასევე მოიქცნენ დანარჩენებიც, რომელთაც ეჭვი ოდნავად აღარ ეპარებოდათ, რომ მათ წინაშე სწორედ ირანის ლომად წოდებული დიდებული შაჰი აბასი იყო.

შაჰ-აბასი გაქვავებული იდგა, ძარღვებში სისხლის გამყინავი უძრავი მზერა მათთვის მოეპყრო. მისალმება რომ დამთავრდა, თვალიც არ დაუხამხამებია, მხოლოდ მახათი ამოუყარა ტყავში, ასევე დასტოვა, მოკლე, ბოჯინჯგალა ფეხები გაიდგა და ნიდაყვამდე დაკაპიწებული ბანჯგვლიანი ხელები გულზე დაიკედო.

— მაშ, თქვენა ხართ კახეთის დედოფალ ქეთევანის დესპანები? — ჰარამხანაში ნასწავლი რბილი, თითქმის ალერსიანი ქართულით იკითხა მან.

— ჩვენ გახლავართ, დიდო ხელმწიფევ! — ყველას მაგივრად უპასუხა ასაკით სხვებზე უფროსმა დავით ჯანდიერმა, რადგანაც შაჰი მხოლოდ მას უყურებდა და თითქოს ცდილობდა გაეხსენებინა, სად ენახა ეს კაცი.

— შუშაში როდის მობრძანებულხართ?

— დღეს მეოთხე დღე გახლავს, მწყალობელო!

— მე კი მხოლოდ ამ დილას შემატყობინეს. რომ გამეგო, ამდენს არ გალოდინებდით! იმედი გვაქვს, დედოფალი ქეთევანი ჯანმრთელად ბრძანდება?

— ღვთისა და თქვენი უდიდებულესობის წყალობით, ხელმწიფევ!

— ჩვენზე ნაწყენი ხომ არ არის?

დავით ჯანდიერი უხერხულად შეიშმუშნა, წამიერი მწერა მისებრ დაჩოქილ და თავდახრილ თანამემამულეებს მოავლო, თვალი სახლთუხუცეს ნოდარ ჯორჯაძეს გაუსწორა, თითქოს ეკითხებოდა, რა ვუპასუხოო, მაგრამ მალევე მიხვდა, ახლა სიტყვას ვერავინ მოაშველებდა, ვერც ჩამოართმევდა და სახეში შემოჩერებულ ყაენს ის უპასუხა, რაც საკუთარმა ალღომ უკარნახა:

— თქვენი უდიდებულესობის სიტყვა და სურვილი ღვთის ნებაა, მწყალობელო ხელმწიფევ! დედოფალი ქეთევანი მხოლოდ მადლიერებას გამოთქვამს, რომ თქვენი უდიდებულესობა

ყოველთვის კეთილ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა როგორც პირადად მისი უდიდებულესობის, ისე მისი ოჯახის წევრების მიმართ. ჩვენ, თქვენო უდიდებულესობავ, ნაბრძანები გვაქვს, გულწრფელად მოგილოცოთ ესეოდენ ძლიერ, ვერაგ მტერზე ძლევამოსილი გამარჯვება, რაც თქვენი უდიდებულესობის უებარი მხედართმთავრული ნიჭის წყალობით არავითარ ეჭვს არ იწვევდა. გთხოვთ, თქვენო უდიდებულესობავ, შეუერთოთ დედოფალ ქეთევანის მოლოცვას ჩვენი პირადი მოლოცვაც. მაღალმა ღმერთმა ნიადაგ ასე ძლეევით შემოსილი და გამარჯვებული გატაროთ!

"გაქნილო ქლესავ! — გაიფიქრა შაჰ-აბასმა, რომელსაც მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერა და ვერ მოეგონებინა, სად და როდის ენახა ეს კაცი, ამას თავის სიბერეს აბრალებდა და მთელ ტანში უსამო ერუანტელი უვლიდა. — ლიქნი გემარჯვება, მაგრამ, იცოდე, ვერ გამაცურებ, ვერ დამაჯერებ, რომ რასაც ფიქრობ, იმას ლაპარაკობ!" — ხმამაღლა კი ეს თქვა:

— ვამჟღავნებდი და კიდევაც გამოვამჟღავნებ! მოლოცვისთვის კი მადლობა მოგვიხსენებია. ქეთევანის მამამთილს, განსვენებულ კახბატონ ალექსანდრეს, ჩვენს ერთგულ ყმას, ჩვენ ვმეგობრობდით და ისიც ამითვე გვიხდიდა! ერევნის ციხის აღებისას, რომელიც ოსმალთ ეპყრათ, სპარსეთის ტახტს დიდი ქვეშევრდომული სამსახური გაუწია, რისთვისაც ჩვენ შვიდასი თუმანი ჯამაგირი დავუნიშნეთ. ის, რაც ზაგემში მოხდა, ერთობ საწყენია, მაგრამ დიდი ალაჰია მოწმე, — შაჰმა ორივე ხელი ცად აღაპყრო და ჭერს აჰხედა. — რომ ჩვენ ამ ავკაცობაში არავითარი წილი არ მიგვიძღვის, თუმცა ვაჟბატონი კონსტანტინე ცდილობდა, ყველაფერი ჩვენთვის გადმოებრალებინა და თავისი სამარცხვინო საქციელისათვის ამით რაიმე გამართლება მოეძებნა. ყურანი კრძალავს ამგვარ რასმე, ის ნებას არ აძლევს მართლმორწმუნეს, სისასტიკე გამოიჩინოს და ნათესავის სისხლი დაღვაროს!

— ჭეშმარიტად, მწყალობელო ხელმწიფეე!

— კონსტანტინე-მირზამ საზღაური მიიღო. ის ღირსეულად დაისაჯა თქვენი ხელით და საყვედურის ნაცვლად მე მხოლოდ მადლობას გეუბნებით. ჩვენ მას შირვანის საბეგლარბეგო ვუბოძეთ, სადაც მისივე სიმხდალისა და სიხარბის გამოისობით ოსმალო ისევ დგას. იმის მაგიერ, უზენაესი ბრძანება შეესრულებინა და შირვანიდან ურჯულო ოსმალები გაეძევნა, მან მამისა და ძმის სისხლი დაიდო და კახეთის

ტახტი ჩვენს უნებურად დაიპირა! დაარწმუნეთ ქეთევანი, რომ ამ საქმეში, როგორც იმ საქმეში, რასაც ღვიძლი ძმის ქვრივს სთავაზობდა, ჩვენ უბრალო ვართ!

— დარწმუნებულია, თქვენო უდიდებულესობავ, — მიუგო ჯანდიერმა და განცვიფრდა, რომ დიდებული ყაენი თითქოს მათი ენით ლაპარაკობდა, აზრს მათებურად ალაგებდა, მოვლენებს მათებურ ახსნას აძლევდა, რაიც უსათუოდ თამარ დედოფლის ნაკარნახევი უნდა ყოფილიყო. — დარწმუნებული რომ არ ბრძანდებოდეს, ჩვენ კონსტანტინეს წინააღმდეგ ხმლის გაშიშვლებას როგორ გავბედავდით! კახეთში უწლოვანმა ბალღმაც კი იცის, რომ კონსტანტინე, — ჯანდიერს კინაღამ წამოსცდა — ურჯულოო, — მწყალობელი შაჰის ნების წინააღმდეგ მოქმედებდა და, როგორც შაჰის მოღალატეს, ჩვენ, კახთ, არ შეგვეძლო მას დავმორჩილებოდით!

— მაგრამ იცოდეთ და ქეთევანსაც გადაეცით ჩვენი ბრძანება, — მრგვალმა თვალებმა, სასიკვდილოდ განწირულ მოწინააღმდეგეს თითქოს ისარს რომ უმიზნებდნენ, ელვას მოუმატეს, კიდევ უფრო დამრგვალდნენ და სპარსეთის მბრძანებლის ხმაში ნაწრთობი ლითონის ჟღრიალი გაისმა. — რომ ჩვენ არ მოვითმენთ გიაური რუსხელმწიფის კაცების წანწალს კახეთის ვალის კარზე! რუსეთი ერთმორწმუნეობით სარგებლობს და თქვენს გარშემო საშიშ ქსელს ბლანდავს. უნდა, კავკასიის ქედის გადმოღმა ფეხი საიმედოდ მოიკიდოს. ჩვენ არ შეგვიძლია, გულგრილად ვუყუროთ ამ ამბავს და მტერს დაუსჯელი პარპაშის ნება მივცეთ! გესმით თუ არა? ეს ჩვენი უკანასკნელი გაფრთხილებაა! ამას იქით ჯარს გამოვგზავნით ან თავად მოვალთ და ურჩთა ჭკუის სასწავლებლად ქვას ქვაზე დავადუღებთ! რაზე გარჯილხართ! ამოდენა გზას ტყუილად არ გამოიელიდით!

— მორჩილების გამოცხადების სურვილმა მოგვიყვანა, თქვენო უდიდებულესობავ. გთხოვთ, გვერწმუნოთ, რომ მუდამ თქვენი უდიდებულესობის ნების აღმსრულებელი ვიყავით და მომავალშიაც ასევე ვიქნებით!

— კიდევ, კიდევ?

— კახეთი უმეფოდ გახლავთ, თქვენო უდიდებულესობავ. რა უმეფო ქვეყანა და რა ჭიშკარმოღიავებული ეზო! — დავით ჯანდიერმა ქეთევან დედოფლის მიერ დარბაზის ერის სხდომაზე ნათქვამი სიტყვა გაიმეორა და შაჰს მისივე ხელით ქართულად შედგენილი წიგნი გადასცა.

აბასმა წიგნი გახსნა, შიგ ცალი თვალით ჩაიხედა და ზიზღნარევი ღიმილით იკითხა:

— მაშ, თქვენი აზრით, ქეთევანი, ვისაც დიდმა და პატარამ ერთგულება შეჰფიცეთ, ვინ ბრძანდება?

— სწორედ მისი უდიდებულესობის და ერის სახელით გევედრებით, თქვენო უდიდებულესობავ, ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, დავით მეფის ძეს, ბატონიშვილ თეიმურაზს, რომელიც ეს ერთი ხანია თქვენი უდიდებულესობის კარზეა, მეფობა უბოძოთ და თქვენი უდიდებულესობის სამსახურად სამშობლოში დააბრუნოთ!

— ეგ სხვა საქმეა. ჩვენ მაგის საწინააღმდეგო რა უნდა გვქონდეს, მაგრამ ცოდოა ბიჭი, მგონი ჯერ თექვსმეტისაც არ შესრულებულა!

— მუხლმოყრილი გევედრებით, თქვენო უდიდებულესობავ!

— კეთილი, ვნახოთ, მოვიფიქრებთ!

ამ სიტყვებზე შაჰმა ტაში შემოჰკრა. ჩახუთულ სახელოსნოში ისევ წვეროსანი მეჰმანდარი შემოვიდა, რომელმაც გურჯი დესპანები აქ შემოიყვანა. შაჰმა ქართველ დიდებულებზე ანიშნა და ისევ თავის შეწყვეტილ სამუშაოს, უნაგირის კერვას მიუბრუნდა. შაჰის კარზე დადგენილ წესისამებრ, წელში მოხრილი დიდებულები უკან-უკან წავიდნენ კარისაკენ, რათა ცათა სწორი მბრძანებლისათვის ზური არ ეჩვენებინათ და წალკოტში სუფთა ჰაერზე გამოვიდნენ.

თავი XXI

ნაშუადღევს, დიდი და ბრწყინვალე ამალით, ჩადრჩამოფარებული ცოლებითა და მათთვის მიჩენილი საჰურისებითურთ, ხანისა და მისი მრავალრიცხოვანი სახლეულის თანხლებით, ჩვეულებისამებრ სადად ჩაცმული შაჰ-აბასი საკრებულო მეჩეთში წაბრძანდა და თითქმის მთელ საათს გულმხურვალედ ილოცა. მეჩეთიდან უკან მობრუნებული ის ყოველთვის ჰარამხანაში შედიოდა ხოლმე, რათა რჩეულ ლამაზმანთა შორის რჩეული ლამაზმანი ცოლების სიახლოვეს სული მოებრუნებინა, დაესვენა და რომელიმე მათგანთან ერთად განმარტოებულიყო, მაგრამ ამჯერად ჩვეულებას უღალატა, ქეშიკების თანხლებით საძინებელ ოთახში ავიდა, სადაც არა ფუმფულა საწოლში, არამედ უბრალო მხედარივით იატაკზე გაშხლართული იძინებდა, ტანზე სხვათა დაუხმარებ-

ლად გამოიცვალა, საღამურები ჩაიცვა და ქეშიკებს უბრძანა, კახთა ბატონიშვილი თეიმურაზი მოეყვანათ.

შაჰის მხლებელ სპარს დიდებულებს შორის მყოფმა თეიმურაზმა სარწმუნო წყაროდან იცოდა კახეთიდან მისიანების მოსვლის ამბავი, რომლებიც აქ, ბატონ დედას, ქეთევანის, ბრძანებისამებრ იყვნენ და მათ ნახვას სულმოუთქმელად ესწრაფვოდა. ავად თუ კარგად ეს იქნებ კიდევაც მოეხერხებინა, ძაგრამ გამზრდელმა, თავადმა შერმაზან ჩოლოყაშვილმა დაუშალა, მოვა დრო, შაჰი თავად მიგიხმობს და ჩვენიანებსაც მისი თანდასწრებით შევხვდებით, მანამდე კი მოთმინება ვიქონიოთ, ბატონიშვილო, რათა ყაენი უბრალო წინდარ ავიმხედროთ და წყალობა რისხვით არ შევაცვლევინოთო.

არცთუ ისე დიდი ხნის განმავლობაში, რაც შაჰის კარზე ყოფნა მოუხდა, ჰირსა და ლხინში ყველგან თანმხლები შერმაზან ჩოლოყაშვილის, ამ მამასავით მისანდო და უერთგულესი კაცის საშუალებით თეიმურაზი თვალს ადევნებდა მორეულ სამშობლოდან სხვადასხვა გზით მოღწეულ ამბებს და შერმაზანიც, თავის მხრივ, ყველა ლონეს ხმარობდა, ყველგან თავისი ქსელი გაება და არსად არაფერი გამორჩენოდა.

გამზრდელისა და გაზრდილის თვალსა და ყურს თავის დროზე არც ბელაქნის წყალზე მომხდარი ომის ამბავი და მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე-მირზას იმ ქვეყნად გასტუმრება გამოპარვიათ. თავის გაზრდილს შერმაზანმა მხოლოდ ქეთევანისადმი კონსტანტინეს უტიფარი შენათვალი დაუშალა, ცოლად გამომყე, თუ გსურს, კახეთის დედოფლობა შეინარჩუნო, თუ არა და, ხარკად დაგისვამო. ჭაბუკი ბატონიშვილის მგრძნობიარე გულს სათაყვანებელ, ქმარშვილსა და საბატონო ქვეყანაზე გადაგებულ დედასთან უნაზესი ძაფებით რომ იყო დაკავშირებული, ეს შემზარავი ამბავი სამუდამოდ დაჰკოდავდა და სამარადჟამო განუკურნებელ ჭრილობას გაუჩენდა.

ოქრომკედით მოსირმულ წითელ ქულაჯაში გამოწყობილმა, მღელვარებისაგან ლოყებატკეცილმა თეიმურაზმა განუყრელი ქამარ-ხანჯალი კარში მდგომ შუბოსან ქეშიკს რომ ჩააბარა და შაჰს წარუდგა, რომელიც მას მესამე თუ მეოთხე ოთახში ელოდებოდა, უკვე იცოდა, რისთვისაც იბარებდნენ, თავად შერმაზანს სათანადოდ მოემზადებინა და, რასაკვირველია, იცოდა ისიც, მწყალობელ შაჰთან თავი როგორ

დაეჭირა და მის მიერ შემოთავაზებულ წინადადებაზე რა პასუხი გაეცა.

— სალამ-ალეიქუმ, შვილო თეიმურაზ! ხომ არ მოიწყინე? — შაჰ-აბასი უმალ ამ სიტყვებით, ხელებგაშლილი მოეგება, როგორც ყოველთვის ხვდებოდა და ამით თავის კეთილმეგობრულ ურთიერთობას უმეღლავნებდა, ორივე მუხლზე დაჩოქილ თმაქოჩორა ჭაბუკს მძიმე, შემპარავი ნაბიჯით მოუახლოვდა, მხრებში ორივე ღონიერი ხელი ჩასჭიდა, წამოაყენა, თვალებით გაზომა, გულზე მიიკრა, რამდენიმე ნაბიჯი ასე ჩაბღუჯული გაატარა და უზადოდ თეთრი ფარჩის სარჩულგადაკრულ რბილ ვენეციურ სავარძელში ჩასვა, რომლის მოპირდაპირე კედელთანაც უზარმაზარი ფეხიანი სარკე იდგა და თეიმურაზი შიგ თავის თავსა და აღმოსავლური ფუფუნებით მორთული ოთახის ნახევარს ხედავდა. — ჩვენი ხმაურიანი ისპაჰანის შემდეგ აქ მართლაც საშინელი მოწყენილობაა. იმედია, ალაჰის შეწევნით, შუშაში დიდხანს არ დავრჩებით და შენს მოწყენილობასაც ბოლო მალე მოეღება. ჩემთვის, შვილო თეიმურაზ, განსაკუთრებით სამძიმოა აქ ყოფნა, რადგანაც ყველაფერი შენს ნეტარხსენებულ პაპას, იმ გარეწარი კონსტანტინეს ხელით დაღუპულ კახბატონ ალექსანდრეს მაგონებს! შუშაში ბევრჯერ შევხვედრივარ. ბევრი კეთილად მოსაგონარი დღე ერთად გაგვიტარებია. ნეტავი იმ დროს! გარეწარს რომ ეს საქმე არ ექნა, იქნებ ალაჰის მადლით დღესაც ცოცხალი ყოფილიყო, ამ გაზაფხულს ჩვენთან ერთად შეხვედროდა და შირვანშიაც ჩვენთვის მხარი დაემშვენებინა!

საყვარელი პაპის გახსენებამ და შაჰის მხრიდან მისი სიკვდილის გამო სინანულის გამომეღავნებამ გულუბრყვილო და მიმნდობ თეიმურაზს მდუღარე ცრემლი მოჰგვარა, თანამოსაუბრეს იმას კი ვერ მიუხვდა, რომ უარაკებდა, შეფარულად ჯარს სთხოვდა, ოსმალებთან მომავალ ომში, ამჯერად შირვანის ველებზე რომ უნდა მომხდარიყო, თანადგომას უკვეთავდა. ეს მით უფრო ძნელი მისახვედრი იყო, რომ აბასი თავადაც გულწრფელად შეწუხებული ჩანდა, ჰაღარა წამწამზე ცრემლის წვრილი წინწკალი უბრწყინავდა.

— დაწყნარი, შვილო, — შაჰმა თავზე დაადო ყოვლის მძლეველი მაშვრალი ხელი. — გლოვითა და ვაი-ვაგლახით წასულ საქმეს ვეღარ მოვეწევით, ვერც მკვდარს გავაცოცხლებთ! მთავარი ის არის, რომ აღსრულდა ცით დადგენილი მართლმსაჯულება: გარეწარმა კონსტანტინემ, — აბასი სიტყვა

"გარეწარს" გამორჩეული ზიზღითა და შეჩვენებით წარმოთქვამდა. — უკვე მიიღო, რაც ეკუთვნოდა — შენი ღირსეული დედის, კახეთის დედოფალ ქეთევანის, მახვილით ძლეული ბრძოლის ველზე დაეცა! დიდ არს ალაჰი!.. — შაჰ-აბასმა ტიბეტური კატის მრგვალი თვალები ასწია და კოტიტა ხელებიც აღაპყრო. — მისი სამართლიანი მსჯავრი მოეწევა ყველას, ვინც ყურანს შებღალავს, თუნდაც ერთ სურას დაარღვევს!.. ახლა რისთვის მოგიხმე...

თეიმურაზმა ცრემლით გალუმპული სახე შეიმშრალა და უცებ იაზრა, რომ იჯდა, ყაენი კი თავზე ადგა. დაფეთებულმა წამოიწია, ზეზე წამოვარდნა მოინდომა, მაგრამ აბასმა დაასწრო, ორივე მძიმე ხელი მხრებზე დაადო, თავის ადგილზე დასვა და კვლავ უჩვეულო სიამტკბილობით განაგრძო:

— რისთვის მოგიხმე... აქ დედაშენის, დედოფალ ქეთევანის, დესპანები მოვიდნენ და შენთვის კახეთის ტახტს მთხოვენ. შენს უკითხავად და თანხმობის მიუღებლად მე ამას ვერ გადავწყვეტ, — თეიმურაზს მოეჩვენა, რომ უკანასკნელი სიტყვების წარმოთქმისას შაჰს თვალები დამცინავი ღიმილი გაუკრთა, მაგრამ იმავე წამს ჩაქრა. — ამისთვის მოგიხმე და მინდა გკითხო, რა პასუხი მივცე დესპანებს, რომლებიც მეხუთე დღეა აქ არიან და ჩვენს გადაჭრილ პასუხს ელიან. სწორე გითხრა, მე შენი აქედან გაშვება მენანება. ალაჰის მადლმა, შეგეჩვიე, შენთვის სხვა, უფრო ბრწყინვალე აღმატებას ვვარაუდობდი, მაგრამ ღვთის წინაშე არც ის მაიწყდება, რომ ერთადერთი კანონიერი მემკვიდრე ხარ მამისეული ტახტისა, კახბატონის პირდაპირი და უშუალო ჩამომავალი ბრძანდები! სპარსეთის მპყრობელნი ოდითგანვე პატივით ეკიდებოდნენ და იცავდნენ გურჯების ამ კანონს. არც ჩვენ გვინდა ის დავარღვიოთ. სიტყვა შენზეა, შვილო თეიმურაზ!..

— დიდ მადლობას გწირავთ, თქვენო უდიდებულესობავ, დედაჩემისა და ჩემი, აგრეთვე ჩემი ერის სახელით!..

— პასუხი მომე, ყაენი შენს პასუხს ელის! — შაჰ-აბასს მომნუსხავ თვალებზე შეეტყო, რომ ყმაწვილის თავშეკავებულმა, არაპირდაპირმა პასუხმა, მის მცირე ასაკს სრულებითაც რომ არ შეეფერებოდა, აშკარად ასიამოვნა. მას მოსწონდა ეს ქალივით ლბილი, კრძალვით და შეფარული მეფური სიამაყით ალსავსე, თითქოსდა სპარსული მინიატურიდან გადმოსული პირტიტველა ჭაბუკი, ჯერ კიდევ ბალღი, კიკი-

ნებსა და საულვაშეზე წერილი ბუსუსები რომ წამოსულოდა, რომელიც სწავლა-განათლებისადმი შესაშურ მიდრეკილებას იჩენდა და სიბეჯითითაც გამოირჩეოდა. სპარსული ენის ჩინებული ცოდნა თეიმურაზს საშუალებას აძლევდა, შაჰის უძველესი წიგნებით მდიდარი წიგნსაცავით ესარგებლა და საისტორიო თხზულებებთან ერთად სპარსულ სიტყვაკაზმულ მწერლობასაც ძირფესვიანად გასცნობოდა. შაჰის ყურამდე აღწევდა ხმები, რომ გურჯი მირზა თავადაც სცდიდა კალამს პოეზიაში. წერდა უმთავრესად მშობლიურ ქართულ ენაზე, სპარსელი ოსტატების წაბაძვით და ვარდისა და ბულბულის ტრფობის ამბავს თავისებურად უგალობდა. გარდა ამისა, თეიმურაზი უბადლო მოჯირითე, მოფარიკავე და მოისარი იყო, შუბს გასაოცარი სიმარჯვით ხმარობდა, მარტოდმარტო შეეძლო მოეგერიებინა თვით გაშმაგებული ჯიქიც კი, არამცთუ მოეგერიებინა, შუბზედაც წამოეგო და სული გაეცხებინებინა.

"რა მოდგმის ხალხია ეს ხალხი? — ფიქრობდა მისი შემხედვარე შაჰ-აბასი, ვისთვისაც შური, უპირველეს ყოვლისა სავაქკაცო საქმეში, უცხო ხილი არ იყო და გულში კიდევაც ამაყობდა, რომ მის ძარღვებშიაც თეიმურაზის გვარტომის მონათესავე სისხლი ჩქეფდა, აკი ბებია დედის მხრიდან ავალიშვილთა ამაყი გვარის სახლიშვილი ჰყავდა! — ალაჰსა ვფიცავ, ამ ხალხის შექმნაში თვით მაღალი ღმერთი ურევია! ამიტომაც გამოდის ყველა, ქალიც და კაციც, ასე ახოვანი, თვალ-ტანადი, შემართებული, გონებაგახსნილი, ლხინში შეუდარებელი მონადიმე და ომში შეუპოვარი! მადლობა ალაჰს, ამათ გვარსა და ჯილაგს რომ მცირე სამყოფელი მიუზომა და მცირერიცხოვნობითაც დასაჯა! ზენაარს რომ ასე არ ენება, ესენი მსოფლიოს გადაქელავდნენ, წინ ვერა კაცი ველარ დაუდგებოდათ, თუმცა ღვთის განგებით ერთმანეთის გაუტანლობაც ჭირად მოსდევთ და ყოველ აღზევებულს თავისი დამამხობელიც ალაჰის ნებით თან მოჰყვება!"

— მე მზად გახლავარ, თქვენო უდიდებულესობავ, თქვენი უდიდებულესობის ნებისმიერ ბრძანებას უყოყმანოდ დავემორჩილო და ერთხელ კიდევ მადლობა შემოგწიროთ ბატონ დედასა და ჩემი ესოდენ დიდი დაფასებისათვის!..

— მაშ, ადექი, მომიახლოვდი!

თეიმურაზი ჭაბუკური სიმკვირცხლით წამოდგა და თვალის დახამხამებაში შაჰთან გაჩნდა, რომელიც ამ წუთს მთელი არსებით, მშობელ მამასავით უყურდა და მის გულისათვის

თუნდაც ცეცხლს შეებმოდა, სხვათათვის მიუწვდომელ საარაკო გმირობას ჩაიდენდა!

აბასმა ორივე ხორკლიანი ხელი მოსდო ყვრიმალებზე, ყმაწვილს ვარდისფრად რომ აყირმიზებოდა, მისი სახე სახესთან ახლოს მიიტანა, ერთგულებითა და სიწრფელით სავსე თვალებში ჩახედა და შუბლზე მამაშვილურად ეამბორა.

— მაშ, დამილოცნიხარ, შვილო თეიმურაზ, მიბოძებია შენთვის კახეთის ტახტი. გემეფოს ისევე მორჭმით და ღირსეულად, როგორც ნეტარხსენებულმა პაპაშენმა, კახბატონმა ალექსანდრემ იმეფა!

თეიმურაზი ორივე მუხლზე დაეშვა, შაჰის ხალათის კალთას წაეტანა და ზედ მოწიწებით ემთხვია.

თავი XXII

ორმა დღემ და ღამემ კვლავ ლოდინში გასტანა, რამაც მასპინძლის მიერ დაიმედებული დესპანების გულში ახალი ეჭვი დაბადა, ვაითუ ყველაფერი, რაც კეთილისმყოფელმა ვაჭარმა მოგვიტანა, ტყუილია, ისიც მოატყუეს და ჩვენი თავიც მოატყუებინესო, მაგრამ ეს ეჭვი მალე გაიფანტა, რადგანაც მესამე დღეს, ნაშუადღევს, კახეთის დედოფალ ქეთევანის მიერ წარმოგზავნილი ელჩები შაჰმა ხანის სასახლეში მიიწვია და თავის გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ კახეთის ვალის ტახტს თეიმურაზ-მირზას აძლევდა, საჯაროდ გამოაცხადა.

შაჰი ამჯერად მთელი თავისი დიდებულებით წარმოსდგა. მზის შუქით გასხივოსნებულ სვეტებიან დარბაზში, რომლის ჭერი და კედლები სხვადასხვა ფერად მოეხატათ, საჩრდილობლის ქვეშ ტახტზე იჯდა. იატაკი ძვირფასი ხალიჩებით იყო მოგებული, თვით ტახტი კი შემაღლებულ ადგილზე მოეთავსებინათ. შაჰ-აბასს თავზე ალმასებითა და სხვა პატიოსანი თვლებით მოელვარე გვირგვინი ეხურა და ხელთ ასევე პატიოსანი თვლებით მოოქვილი სფერო ეჭირა, ნიშანი მეფობისა და უზენაესი ხელისუფლებისა.

სამეფო ძოწეულითა და პორფირით შემოსილ შაჰს უკან ნახევარრკალად უდგნენ საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული სარდლები და ყარისკაცები, ხოლო მათ უკან საომარ ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი შუბოანი ქეშიკები ასვეტილიყვნენ და გაუნძრევლად, მხოლოდ თვალებით ზვერავდნენ ყველაფერს, რაც საქმიანი მიღებების გასამართავ ბრწყინვალე დარბაზში ხდებოდა.

წინკარში მომლოდინე ქართველ დიდებულებს რომ აცნობეს, გიხმობთ მისი უდიდებულესობა, სპარსეთისა და მთელი აღმოსავლეთის მბრძანებელი შაჰ-აბასი, მათ წინაშე ერთიმეორის მიყოლებით გაიღო რამდენიმე წყვილი კარი, რომელთა ორივე მხარეს აგრეთვე ჯაჭვ-ძუზარადში ჩამჯდარი შუბოსნები იდგნენ, უკანასკნელ მოვარაყებულ კართან კი, საიდანაც მოსულთა თვალს ტახტზე დაბრძანებული შაჰ-აბასისა და მისი ბრწყინვალე კრებულის თვალისმომჭრელი სანახაობა გადაეშალა, დესპანები შეაჩერეს და ანიშნეს, დიდებული შაჰის წინაშე მუხლი მოეყარათ, რაც მათ უსიტყვოდ, უყოყმანოდ შეასრულეს.

ეტყობოდა, დღეს აქ სხვა საჭირბოროტო ამბებიც წყდებოდა, რადგანაც მოსაცდელ დარბაზში სხვადასხვა საქმისათვის დაბარებული, ქვეყნის ოთხივე კუთხიდან შემოკრებილი წარჩინებული პირების ტევა არ იყო. სმენაგამახვილებული და ყურადღებად გადაქცეული ყველა თავის რიგს უცდიდა. ეს საქმიანი ვითარება ყველგან იგრძნობოდა, რადგანაც არამცთუ ზედმეტ სიტყვას არავინ ამბობდა, ზედმეტ მოძრაობასაც კი ერიდებოდა.

შაჰი მდუმარედ იჯდა, გულხელი დაეკდო, ტიბეტური კატის მრგვალ თვალებს მოუსვენრად ატრიალებდა, ტახტის ძგიდეებზე ნიდაყვებით დაყრდნობილი წინ იყურებოდა და უგულოდ უგდებდა ყურს კარის მდივანს, წითელ მოსასხამწამოხურულ, წვერწაწვეტებულ პირხმელ მოხუცს, რომელიც მის მიერ ხელმოწერილ ბრძანებულებებს კითხულობდა და როდესაც მდივანი კითხვას დაამთავრებდა, ნიშნად თანხმობისა და წაკითხულის დამტკიცებისა, თავს დაბლა ხრიდა.

დარბაზში რომ დედოფალ ქეთევანის დესპანები შემოვიდნენ და დიდებული შაჰის წინაშე მუხლი მოიყარეს, ტახტის უკანიდან ორმა სპარსმა კარისკაცმა, რომელთაგან ერთი შაჰის სიძე, დის ქმარი ალიყული-ხანი უნდა ყოფილიყო, სპარსული ალისფერი ხალათით შემოსილი და ამავე ფერის ჩალმით თავწაკრული პირტიტველა თეიმურაზი გამოიყვანეს და თანამემამულეების წინ, პირით შაჰისაკენ დააყენეს.

როგორც კი გასცილდნენ და მარტოდმარტო დასტოვეს, თეიმურაზმა მარჯვენა ხელი გულზე მიიდო, თავი დახარა, დაიჩოქა და უზენაესი ბრძანებულების მოსასმენად მოემზადა.

ბრძანებულება საკმაოდ მოკლე იყო. ის სულ რამდენიმე წინადადებისაგან შესდგებოდა. მდივანმა ისიც, ისევე როგორც სხვები, ოდნავი წამღერებით წაკითხა, თვით იმისათვის, ვისაც დიდებული შაჰის ნებით სადღაც ჩრდილოეთის მთებში მიმალული კახეთის ვალის ტახტი ეწყალობა, ზედაც არ

შეუხედია, საბუთი სხვა საბუთების დასტაზე დასამატებლად თანაშემწეს მიაწოდა, თავად კი მზერა წასაკითხად მომზადებულ მორიგ ბრძანებულებაზე გადაიტანა.

ნიშნად დამტკიცებისა, შაჰ-აბასმა გვირგვინით დამძიმებული თავი დახარა, თეიმურაზი ახლო მიიხმო და როდესაც მან ტახტის სულ ქვედა საფეხურზე მუხლი ხელმეორედ მოიყარა, დარბაზში მყოფთაგან ყველას რომ გაეგო, სპარსულად მიმართა:

— ჩვენ აღვასრულეთ დედაშენის, კახეთის დედოფალ ქეთევანის, ჩვენი საყვარელი სიდედრის, უმდაბლესი ხვეწნა-მუდარა და შენ, თეიმურაზ-მირზავ, მამისეული ტახტი გიბოძეთ. მუდამ გახსოვდეს და ერთი წუთითაც არ დაივიწყო, რომ სპარსეთის კუთრხეული ტახტის ყურმოჭრილი მონა ხარ და, როგორც ვალი, ვალდებულებას კისრულობ, რომ ყოველთვის მისი ერთგული იქნები, ჩვენს მეგობარს უმეგობრებ, ხოლო მტერს მტრად მოეკიდები. გულში ჩაიბეჭდე და ძილის წინ ლოცვასავით გაიმეორე: ჩვენი დაუძინებელი მტერი და ავის მოსურნე აქეთ, — შაჰმა სხვადასხვა ფერად მოლივლივე სფერო დასავლეთისაკენ გაიშვირა. — ურჯულო ოსმალეთია, აქეთ კი, — მან სფერო ჩრდილოეთს მიმართა. — გიაური რუსეთი! უკეთუ გსურს, ჩვენ ორს, ჩვენსა და შენს მორის, შავმა კატამ არ გაირბინოს, საბატონო ქვეყანა აუკლებელი გეგულებოდეს და არც ვინმე ჩვენი უზენაესი ბრძანებულებით ბოძებულ ტახტს შეგეცილოს, ყოველგვარი კავშირი გაწყვიტე გიაურ რუსეთთან, ოსმალეთის წინააღმდეგ კი არა ერთჯერ მხარდამხარ გვიომია და დიდი ალაჰის ნებით კიდევაც ვიომებთ! ჩვენ, — შაჰმა მსხვილ, ღონიერ კისერზე მკვიდრად დაფუძნებული თავი ოდნავ მიაბრუნ-მოაბრუნა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ ერთადერთ სიტყვაში, ჩვეულებისამებრ, მარტო თავის თავს არ გულისხმობდა. — გახვიხილეთ და ეცანით ქართლის ვალ გიორგის ღალატი. მივიღეთ სახეში, რომ გურჯები ჩვენი კეთილად სახსენებელი სიდედრის, დედოფალ ქეთევანის, მოწოდების თანახმად მოქმედებდნენ და შესაძლებლად ჩავთვალეთ ამჯერად შეგვენდო გიორგისათვის ჩადენილი დანაშაული. ვაკმარეთ ჯამაგირად დანიშნული ხუთასი თუმნის აღკვეთა. გაგვიფრთხილებია: მეორედ ჩვენ თავად მოვალთ და ვერაგობისა და ღალატისათვის, მაგან რომ ჩაიდინა და გვაკადრა, პასუხს მოეთხოვთ!

საჯაროდ წარმოთქმული ამ მკაცრი სიტყვის შემდეგ, რომელიც არა სიტყვიერ პასუხს, არამედ მხოლოდ აღსრულებას საჭიროებდა, შაჰ-აბასმა მზერა თეიმურაზიდან კარის მდივანზე გადაიტანა, რაც იმას მოასწავებდა, რომ გურჯების

საკითხი დამთავრდა და თავიანთი ბედის გადასაწყვეტად მათ მაგიერ ახლა სხვები უნდა შემოსულიყვნენ.

თუმცა მეფედ დაამტკიცეს და დიდებით შემოსეს, დიევანის სხდომიდან თეიმურაზი მაინც გალიზიანებული და ამრეზილი გამოვიდა. ამგვარი გულცივი და თითქმის მტრად მოკიდებული შაჰ-აბასი მას არასოდეს ენახა და უკვირდა კიდევაც, როგორ შემეძლო, ეს ამპარტავანი არამზადა, არავის რომ არაფრად აგდებს და მთელი უკიდეგანო სამყარო მართლაც თავისი ფერხთა მტვერი ჰგონია, გულწრფელად მყვარებოდა, ამისი პირიდან ამოსული თუნდ ერთი სიტყვა ყურად მელო და ჭეშმარიტებად მიმეჩნიაო.

გურჯ დესპანებს, ნიშნად უძლეველი ყაენის წყალობისა და მათდამი კეთილი განწყობილებისა, სამშობლოში გამგზავრების წინა საღამოს ხალათები და სხვა ძვირფასი საჩუქრები დაურიგეს. საჩუქრებს შორის აღმოჩნდა სამეფო გვირგვინი, შემკული მრავალი პატიოსანი თვლით, ძოწეული და პორფირი, რომლითაც თეიმურაზი ქართული წესით მეფედ კურთხევისას უნდა შეემოსათ. აქვე იყო შაჰ-აბასის პირადი საჩუქარი საყვარელ სიდედრისადმი, დედოფალ ქეთევანისადმი: ამსტერდამელი ოქრომჭედლების ნახელავი ფასდაუდებელი ბრილიანტის ყელსაბამი, ბრილიანტის ორი ბეჭედი და ბაჯაღლო ოქროს თავსარქმელი.

ხალათები და სხვა საჩუქრები მხოლოდ გიორგი ქართლის მეფის ელჩებს არ ერგო, რამაც ყველა შეაცბუნა და საერთო გაკვირვება გამოიწვია. სპარსეთის მბრძანებლის აშკარა უკმაყოფილება გურჯისტანის ვალის გიორგის მიმართ, თუმცა სიტყვიერად შენდობას კი უთვლიდა და სამაგიეროს მიზღვაზე ხელმწიფური დიდსულოვნობით უარს ამბობდა, ერთხელ კიდევ საცნაური ხდებოდა.

— სიფრთხილე გვმართებს, ბატონებო, — მიმართა მასპინძელმა ვაჭარმა ჯაერისაგან გამშრალ, საგონებელში ჩავარდნილ ქართველ თავადიშვილებს, როდესაც შაჰის შეჭურჭლენი წავიდნენ და ის წინკარიდან შემობრუნდა. — არ ძალავს, რომ გული ბოღმით აქვს სავსე, მაგრამ ღვთის შეწევნით რაღაც ზენა ძალა ხელ-ფეხს უბორკავს და თავისებურად განავარდების ნებას არ აძლევს. ძაღალ ღმერთს მადლი უნდა შევწიროთ, რომ აქამდე ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა!

რაღა თქმა უნდა, ის "რაღაც ზენა ძალა", დაბმულ ლომს ხელ-ფეხს რომ უბორკავდა და თავისებურად განავარდების ნებას არ აძლევდა, სპარსეთის დედოფალი, ანდუყაფარ ამილახვრის მშვენიერი ასული თამარი იყო, რომლისადმი

გაგზავნილმა ქეთევან დედოფლის წიგნმა სწორედ სასწაული მოახდინა და უკუღმა წასული საქმე საწაღმართოდ შემოაბრუნა. დღეს საკითხავი ერთიღა იყო: როდემდე ეყოფოდა ქალური მომხიბვლელობა, ძალა და გავლენა თამარს გალიიდან გამოვარდნილი ლომის შესაკავებლად და ალერსითა და ტკბილი სიტყვით მის შესაყოლიებლად? როდემდე შესძლებდა თანამეცხედრე შაჰის შეჩერებას და მისი მრისხანებისათვის სხვა სადინარის მიცემას?

თავი XXIII

შუშიდან გზა ბარდავზე ედოთ. ადიდებულ მტკვარზე ევლახთან ბორნით გადავიდნენ და ამ ერთადერთი შელანძღული ბორნით გადაღმა გადაბარგებას თითქმის მთელი დღე მოანდომეს.

თეიმურაზს ორასზე მეტი თავისიანი ცხენოსანი ახლდა, რომლებიც ქეთევანის მიერ გამოგზავნილ ელჩებს შუშაში მოჰყვნენ, ორი ამდენი კი ყიზილბაში იყო, რომელთაც, ყაენის ბრძანების თანახმად, კახეთის ვალი მის სატახტო ქალაქ გრემამდე უნდა მიეცილებინათ, იქ გურჯების წესით მის მეფედ კურთხევას დასწრებოდნენ და თუ გარემოება ქვეყანაში წესრიგის დამყარებას არ მოსთხოვდა, შემდეგ იმავე გზით, რომელმაც აქ მოიყვანათ, უკან დაბრუნებულიყვნენ.

მტკვარგაღმა ზამთარ-ზაფხულ თაკარა მზით გადახრუკული უდაბნო დაიწყო. აქედან კაკ-ენისლის სასულტნომდე, ერევნის კომპანიაში გამარჯვებულმა შაჰ-აბასმა მოხუცებული მეფე ალექსანდრე ძალისძალად რომ დაიყოლია და კახეთის სამეფოს კუთვნილი მიწების ხარჯზე შექმნა, წვეთი წყალი და მცხუნვარე მზისაგან თავის დასაცავი ხელისდადება ჩრდილიც არსად იყო. ამასთან ერთად, სამხრეთ-დასავლეთიდან უდაბნოს ცხელი ქარი უბერავდა, დახრამულ ტიტველ გორაკებზე, ერთმანეთში რომ ჩაგრეხილიყვნენ, მარილიან მტვერს ხვეტდა და სულის შემხუთველი ხვატით გაეარვარებულ ჰაერში ატრიალებდა.

— დაილოცოს ღვთისაგან ბოებული ჩვენი მიწა-წყალი, — ამბობდნენ მტვრისა და სიცხისაგან გაოგნებული კახი მხედრები და ცხელი ქვიშით დაფარულ ნაგზაურში ცხენის ფეხის მოსაკიდებელ მაგარ მიწას ძლივს-ღა პოულობდნენ. — გადაიხედავ და სამოთხის წალკოტივით ამოვა უდაბნოში! ვინ შეგარჩენს, თუ დღიან-ღამიანა ფხიზლად არ იქენი და ყოველ მომხვდურს ხერხემალი არ გადაუმტვრიე!

— ამიტომაც გვიტევენ აგრე გაავებითა, აღარც თავი ეზოგებათ და აღარც სიცოცხლეი!

— ამითანა უდაბნოში ცხოვრება რალა სიცოცხლეა, ერთი მე შენ უნდა გკითხო, არა სჯობია, მოკვდე და მაისვენო?

— მითამ მართლა არსად იქნება წყალი ამ დასაქცევში? ფუ, ამითანა ქვეყანას რა ეუთხარი! ცხენი არ დამივარდეს თორემა თავს აღარ ვდარდობ?

— ცოტაც მაითმინეთ შენცა და შენმა ცხენმაც და მივალთ წყაროსთანაც. აქ რომ სადმე ახლოს წყარო იყოს და ღვთის თვალი ტრიალებდეს, ე ტიალი მიწაც არ იქნება აგრე გამომშრალი!

სასულტნოს საზღვარზე თვით სულტანი, სპარსულ ყაიდაზე გადანათლული, ყაენის კარზე ნაცხოვრები ადგილობრივი დიდებული მაჰმად ყული-ხანი დაუხვდათ ქაში ჩაციებული ცივი შარბათითა და სახელდახელო პურმარილით, რომელიც ახალაყვავებულ ხეხილის ბაღში გაეშალა. სულტანი წინასწარ გაეფრთხილებინათ საამისოდ დაწინაურებულ მზირებს და ახალშეკოწიწებული სასულტნოს ახალბედა მმართველმაც, ახალ მდგომარეობას ჯერ კიდეე რომ ვერ შესჩვეოდა, უძლეველი შაჰის კაცების პატივისცემად თავი მოიქაჩლა.

თეიმურაზმა აქ მხოლოდ ორიოდე საათს ინება შეჩერება. შეჩერდა უფრო იმისათვის, რომ ცხენი შეესვენებინა და მხლებელი ჯარისთვისაც სულის მობრუნების საშუალება მიეცა. გული წინ და წინ მიუწევდა. იქ, მშობლიურ კახეთში, ტახტი, დიდება და პირმშო შვილის ლოდინში თვალებგამოღამებული დედა ელოდებოდა!

ხალხი დაიღალა. ამაზე მეტად ცხენებს, აქლემებსა და ყევარში გაბმულ ხარ-კამეჩს გაუჭირდა, ძლივს-ღა მოლასლასებდნენ. ჯარი იმას-ღა იმედოვნებდა, დაღამდება, სულ ასე ხომ არ იქნება, იქნებ ეს დალოცვილი მაშინ მაინც შეჩერდეს და კარვების დაცემა ბრძანოს, ასე მუხლჩაუხრელად როდემდე უნდა ვიაროთო.

ღამის გათევა ალაზნის პირას მოუხდათ. თავადაც თავიანთ პირუტყვზე არანაკლებ დაქანცულმა მხედრებმა და მეხრეებმა ცხენები, აქლემები და ხარ-კამეჩი მდინარეზე დასარწყულებლად ჩარეკეს და უკან რომ ამობრუნდნენ, კარვების გაშლისა და ლუკმის მომზადების თავიც აღარ ჰქონდათ, ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებულ, აფუებულ მიწაზე მიეყარნენ და მაშინვე ხვრინვა ამოუშვეს.

ახალი გათენებული იყო, თეიმურაზმა რომ ცხენი ადიდებულ ალაზანში შეაგდო და შერმაზან ჩოლოყაშვილთან და სხვა თანხმლებ დიდებულებთან ერთად გალმა, ხირსაში, წმიდა სტეფანეს სახელობაზე აგებული საყდრის მახლობლად გადავიდა. სოფელი უკვე გამოღვიძებული იყო. ალაზანზე ჩამოსული მხედრობა ბორიდანვე შეეხიშნათ. ყიზილბაშების დანახვაზე ელდა სცემოდათ, მაგრამ მალე თავისიანებიც გაერჩიათ, მიმხვდარიყვნენ, ვინც მოდიოდა და დედაბუდიანა შესახვედრად გამოკრეფილიყვნენ.

თეიმურაზმა ერი დაამწყალობა, გულმხურვალე შეხვედრისათვის მადლობა მოახსენა, საყდრის წინ ცხენი შეაჩერა, ძირს ჩამოხდა, ეკლესიაში პირჯვრის წერით შევიდა, სანთლები აანთო, წმიდა სტეფანეს ხატის წინ, აღსავლის კარის მარჯვენა მხარეს რომ ესვენა, დაიჩოქა და მაღალ ღმერთს მადლი შესწირა, რომ აქამდე მშვიდობიანად მოიყვანა და ღვთით კურთხეულ ქვეყანაშიაც მშვიდობიანობა დაუხვდა.

ამასობაში ამალა და ჯარი ალაზანში მთლიანად გამოვიდა, გამოლმა ნაპირზე მოგროვდა, მერე ხოჯების გუნდივით შეჯგუფებული წინ დაიძრა და სულ მალე ხორხოცითა და მხიარული შეძახილებით გარეთ გამოფენილ ხირსელებს და ქიზიყის ახლომახლო სოფლებიდან მოგროვილ ხალხს შეერია. ვეღარ გაარკვევდი, ვინ ვისი მოკეთე, ნაცნობი თუ ნათელმირონი იყო. ხირსელებსა და მათ მეზობელ სოფლებს თადარიგი გაეწიათ. მეფე და მისი თანხმლები ჯარი პურმარილის მიუღებლად არ გაუშვეს. ჯარსაც ეს უნდოდა. რამდენიმე დღის მომხეული, უდაბნოს გზებზე წანწალით არაქათგამოცლილი პურმარილს მიეძალა. უარი არც საზედაშე ღვინით სავსე სველ ხელადებზე უთქვამთ. მხოლოდ ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი ყიზილბაშები იდგნენ განზე, მაცთუნებელ ღვინისაგან თავს შორს იჭერდნენ და მხოლოდ თორნიდან ახალამოყრილ ცხელ-ცხელ შოთებს, ნივრის მწნილს, კირკაჟ ლობიოს და ნიგვზით შეკმაზულ მინდვრის ფხალეულს შეექცეოდნენ.

მეფე-ბატონი თეიმურაზი მობრძანებულაო, თან ყაენის წყალობა მოაქვსო, აწ ნურაფრის და ნუღარაფრის გეშინიათო, სოფლიდან სოფელს გადაეცა და ალაზნის მთელ მარჯვენა ნაპირზე ეკლესიის ზარების საზეიმო რეკვა ატყდა. ხირსიდანვე აფრინეს კაცები გრეშს, რათა ქეთევან დედოფლისათვის კახეთის დიდებული მეფის მობრძანება, თავისი ბედნიერი ფეხის სამშობლოს მიწა-წყალზე კეთილად შემოდგმა ეხარებინათ!

თეიმურაზი უკვე აღარ ჩქარობდა. აღარ უნდოდა აქედან სადმე წასვლა. ირგვლივ იმდენი სიყვარული იყო, იმდენი თაყვანისცემა, იმდენი ერთგულება, წუხანდელი ცივი ღამის შემდეგ მზეც ისე საამოდ აცხუნებდა! ნუთუ ასე თავდავიწყებით უყვარდა ერს, ასე ეიმედებოდა, ასე ძლეავამოსილად და ყოვლის შემძლედ სახავდა!

ხირსიდან ტიბაანში გადაინაცვლეს. მრევლით პირამდე გაჭედილ ეკლესიაში, რომელიც წინა წელიწადს დიდოელმა ლეკებმა აიკლეს და ახლა ახალი შეკეთებული იყო, ადგილობრივმა დეკანოზმა მეზობელი სოფლების მღვდლებისა და დიაკვნების დახმარებით პარაკლისი გადაიხადა, მეფესა და დიდებულებს ჯვარზე ამთხვევინა, შემდეგ მრევლს, როცა გუნდმა ღვთისმშობლის სადიდებელი ტროპარი იგალობა, მოკლე ქადაგებით მიმართა და თეიმურაზს შინ მშვიდობით დაბრუნება მიულოცა, სვეტიცხოველი მეფობა უსურვა.

ხალხი აქაც წინ გადაეღობა თავის მეფეს, არ ეთმობოდა, არ უნდოდა გაეშვა. თეიმურაზი უსაზღვროდ ბედნიერი იყო. სიხარულისაგან გულამომჯდარი ტიროდა და ცრემლებს არც მალავდა. თავადს, გლეხს თუ აზნაურს, ერსა თუ ბერს, ბალღს თუ მოზრდილს, როგორც თავის სისხლსა და ხორცს, გულში იხუტებდა, ხოლო როდესაც ჯერი სახეგადაღრეულ, თვალებგაბრწყინებულ მკერდსავსე დიაცებზე მიდგებოდა, თითქოს კეთილოვანები ყოფილიყვნენ, მათ თავს არიდებდა, ახლოს არავის იკარებდა.

ვაქირში წინ ვიღაც ჭრელაჭიჭებიანი შუახნის გლეხი გადაუდგა, რომელსაც ტანთ ოდესღაც შინდისფერი, ახლა კი გახუნებული, ალაგ-ალაგ დაკერებული ჩოხა ეცვა, ნაბდის ძველა მოიშვლიპა, აღვირში ხელი უტაცა და ცხენს კინაღამ ფეხებში ჩაუვარდა.

— არ გაგიშვებ, მწყალობელო მეფეო, ჩემს ზღურბლს ეგ ბედნიერი ფეხი უნდა გადაადგა, ჯალაბი უნდა დამილოცო!

— ვინა ხარ, რა გქვია, ქართველო? — თეიმურაზს არა სწყენია ეს ძალადობა, გლეხს, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ ქეშიკები მისცვივდნენ და გზის გათავისუფლების მიზნით უკან დახევინებას უპირებდნენ, ის კი აღვირს ხელიდან არ უშვებდა, მხიარულად ჰკითხა.

— ჯიმშერი ვარ, შენი ჭირიმე, მეფეო, ჯიმშო, ფეიქრიშვილი. პაპაჩემი, ისიც ჯიმშოი, თურმე ფეიქარი ყოფილა და გვარიც იქიდან მოგვდგამ. ვაქირში ყველა მიცნობს, გადამთიელი არ გეგონო!

— გადამთიელი რად მეგონები, ზედვე გეტყობა, ვინცა ხარ!

— აგრე, გენაცველე! ჩამობრძანდი, მეფევ, მეცი პატივი. რა ვუყოთ, რომ ბოგანო გლეხი ვარ. ქრისტე-ღმერთი ჩვენცა გვწამ, პირჯვარს წაღმა ვიწერთ. მიკადრე, გამიბედნიერე ჭერი შენი სტუმრობითა. მაიყვა ეს ხალხიც! დამწვარი არ გეგონო. ღვთის მადლითა და ჩემი მარჯვენის წყალობით პურ-ღვინო თავზე გადამდის და არც არავისთვინ მენანება. მე მოვკვდე! ერთი შენც გასინჯე ჯიმშოს დაყენებული რქაწითელი, აგრემც გენაცვლები!

— მარტო ჩვენ გვეპატიჟები? — პირმომღიმარე თეიმურაზმა გვერდში ამომდგარ დიდებულებს გადახედა. — თუ ყველას ერთადა?

— ყველას, ყველას, მეფევ!

— მერე იცი, რამდენი კაცია?

— ვიცი, ბევრია. სახლი დიდი არ მიდგა, მართალია, ყველას ვერ დავატევ, მაგრამ ღმერთი ჩვენთანაა, მივდგებ-მოვდგებით და როგორმე მოვთავსდებით!

— მაშ, რაც იქნეს, იქნეს, შემოვალთ, სახლ-კარსა და ჭურ-მარანს დაგილოცავთ! — თეიმურაზმა ისევ დიდებულებს გადახედა, თითქოს ეკითხებოდა, სწორად ვიქცევი თუ არაო და საბოლოო დასტურს მათგან ელოდა. — უიზილბაშები წინ წაელენ და იქ დაგვიცდიან!

— რადა, კაცო, მეფევ, მაგათ რაღა დააშავეს? ოჯახში ცხრა რძალი ტრიალებს, მეათე ჩემი დედაკაცია. სამი აცხობს, სამი ხარშავს, სამი სუფრასა შლის, სტუმარი კიდენა ყველა სტუმარია, რჯულიანიც და ურჯულოც! დავჯდეთ ერთადა და იმ შენი პატიოსანი პაპის სულის ცხონებას ერთი ძველებურად მოვულხინოთ!

ჯიმშერ, ჯიმშო ფეიქრიშვილის სახლი არც ისე პატარა აღმოჩნდა, როგორც პატრონი თავმდაბლობდა და ირწმუნებოდა. ეს გახლდათ გაუყოფელი საძმო სახლი ათასი მინაშენითა და დანამატით. ალაზნის მხარეს ოდნავ დაფერდებულ ეზოში ახალი წამოსული მწვანე მოლი ბიბინებდა. შუა ეზოში, დაღვლარჭნილი კომშის ქვეშ, თიხის მილებით გამოყვანილი და ბრტყელი აგურით კოხტად ამოშენებული წყარო მოთქრიალებდა, მთელს ეზოს სიგანეზე ჭრიდა და კარის ვენახში გადადიოდა. ტყრუშული ღობის გადაღმა გულიანად დაბარული და სამამულე რქებით ხარდანზე აკრული ვენახი მოჩანდა.

კარგა მოზრდილ, თვალის ჩინივით მოვლილ, დაგვილ – დასუფთავებულ ეზოში გაუყოფელი ოჯახის შესაფერისი დიდრონ-დიდრონი ნამშრალები იდგა. თელის ბეღლებსა, იელის წნელით გვერდებგამოწნულ სასიმინდეებსა, სათონესა, სამზადსა, გომურსა და საქათმე-სალორეებს შორის ყველაზე ფართო და მაღალჭერიანი, ახალგამომწვარი ხასხასა კრამიტით გადახურული კარლია მარანი გამოირჩეოდა, საიდანაც ახალუ-ხის ამარა ტალიკ-ტალიკ ბიჭებს პირმოკუპრული სველი კოკებით ღვინო გამოჰქონდათ და მიუდგომელ ციხე-სიმაგრე-საავით მკვიდრკედლებიან სახლისაკენ მიარბენინებდნენ, სადაც სეფე-სუფრა იყო გაშლილი, ჯარისთვის და მისი მომყოლი ყიზილბაშებისთვის კი ლურჯი სუფრა თხილებისა და ღოლ-ნაშოების ქვეშ იშლებოდა.

გარდა დათხოვილი, პატრონს ჩაბარებული და დაწვრილ-შვილებული ქალებისა, ჯიმშერს ერთიმეორეზე უკეთესი ცხრა საუღლე ბიჭი ჰყოლოდა. ბიჭებს ჯვარი თავ-თავის დროს დაეწერათ და სახლი მონაგრით აევსოთ. ცხრავე რძალს ევარგა, კარგი ქალობა გემოეჩინა და ბედნიერ ოჯახში ამ დღესაც ცხრა აკვანი ერთად ირწეოდა.

თეიმურაზს ისევ ამოუჯდა გული, ისევ შეეკრა სუნთქვა, ისევ აევსო თვალები სიხარულის ცრემლით. ხელებდაკოჭრი-ლი, გულუხვი მასპინძელი, ამ ვეებერთელა ოჯახის თავი და განმგებელი, გულში მშობელ მამასავით ჩაიკრა და ყანწი მოითხოვა, რათა ცხრავე ყრმა, ცხრა აკვანში რომ იწვა და პირზე ვარდი ეშლებოდა, ერთად დაელოცა და ედღეგრძელე-ბინა.

— ცხრავე შენი ჭირის სანაცვლო იყოს, მეფევ, შენს ძლევამოსილ ლაშქარში გვიგულე! ვიდრემდი ჩვენ ვართ, მტერი, ვერც შინაური და ვერც გარეშეი, ვერ მოგერევა, ჩვენ კი ღვთის შეწევნით და მტრის თვალის დასავსებად, სულ ვიქნებით, არ გადავშენდებით და არ გადავჯიშდებით, რადგა-ნაც ფესვი ღრმად გვიდგა ამ კურთხეულ, მადლიან მიწაში!

„აი, ჩემი სამშობლო, ჩემი საბატონო ქვეყანა, ჩემი ერი! — ფიქრობდა თეიმურაზი და მღელვარებისაგან გული ამოვარდნაზე ჰქონდა. — ამათ არ ეღალატება! მიჯობს, თავი სატანჯველად მივცე, როგორც სულგანათლებულმა დემეტრე თავდადებულმა მისცა, ვიდრე ამ ალალმართალ ხალხს ვინმე ღვთის მგმობელი დამიჩაგრავდეს, ამიწიოკებდეს და ამათ

ნაწვავ-ნადაგ სოფელ-ქვეყანას ვინმე გადამთიელი დაეპატრონებოდეს!„

შუა პურობის ჟამს სოფლის მღვდლებმა, რომლებიც ხირსიდან და ტიბაანიდანვე მეფის ამალაში ბლომად იყვნენ, ეკლესიიდან ემბაზი მოატანინეს, ნელთბილი წყლით აავსეს, ოლარები გადაიცვეს, მკლავები დაიკაპიწეს და ბალღების ნათვლა გააჩაღეს. თეიმურაზმა ცხრავე ყრმას მირონი სცხო, ყველა სათითაოდ აიყვანა, თუმცა ამ წუთამდე ძუძუთა ბავშვი ხელში არასოდეს სჭეროდა, ნათლობის ჯვარი დაჰკიდა და ზემოთ ასწია, ქვეყანას დაანახა.

ხარობდა ჭარმაგი მასპინძლის გული, იცრემლებოდნენ ყვრიმალზე ხელშემოდებული ბედნიერი დედები. მტერი მათ რაღას დაუშავებდა, როდესაც შვილები თვით მეფემ მოუნათლათ!

ლხინი დასასრულს უახლოვდებოდა, აქა-იქ კიდევაც წამოიშალნენ, როდესაც ფეიქრიანთ ჭიშკართან ვილაც უწვერულმა ყმაწვილმა ბიჭმა ჭენებით გაქაფული ცხენი მოაგდო და არც კი ჩამოქვეითებულა, ჭიშკარში ჩამდგარ ვაქირელ გლეხებს მეფის ადგილსამყოფელი ჰკითხა. გლეხებს ჩაეცინათ, კიდევ რა გინდაო, ერთმანეთს გადახედეს და მხედარს სადავე დაუჭირეს. ყმაწვილმა ეზოში შემოსვლაც ვერ მოასწრო, რომ პირამდე გაპიპინებული ყანწი მიაწოდეს. რაკილა სხვა გზა არ იყო, ყველა მას უყურებდა, თავმომწონე ბიჭმა, უფრო იმის დასტურად, რომ მნიშვნელოვან საქმეზე იყო გამოგზავნილი, ამათ კი, ურწმუნო თომებს, არა სჯეროდათ, ყანწი ჩამოართვა, მოკლედ დაილოცა, მოიყუდა და სულმოუთქმელად გამოსცალა.

— აი, გაამოს! — მოუწონეს მოქილიკეებმა. — ხემსი, ხემსი მაგას!..

— ახლა მაინც შემიშვით! — ბიჭმა ხემსი გადაყლაპა და გაიწია. — მეფე აქ ბრძანდება? სასწრაფო საქმე მაქვს!

— ვინ გამოგაგზავნა?

— დედოფალმა!

— გრემიდან მოსდიხარ?

— არა, ბაკურციხეში ბრძანდება და ბატონ მეფეს უთვლის, აქ დაგელოდებიო!..

— რატომ მაშინვე არა თქვი, ბიჭო?

— ვთქვი რა, შემოველ თუ არა, მაშინვე ყანწი მომაჩეჩეთ! დავდგამდი?

— მაშ, შედი, მასპინძელი იკითხე, ჯიმშო ფეიქრიშვილი, ის შაგიყვანს!

თეიმურაზი იმწამსვე წამოდგა, როგორც კი ბაკურციხეში დედის მობრძანების ამბავი შეიტყო. ხელები შეიხოცა, ფეიქრიშვილების ფესვმაგარი ოჯახი ერთხელ კიდევ დალოცა, დალოცა ფუძის ანგელოზი, კვლავაც ქორწილები და ძეობები უსურვა, გულდაწყვეტილ მასპინძელს, რომ საყვარელი სტუმრები ასე მალე მიუდიოდნენ, გამოეთხოვა და უკვე შესამჩნევად შეზარხოშებული გზაზე გამოვიდა, სადაც ცხენები უკვე გამოეყვანათ და ბატონების გამობრძანებას-ღა ელოდებოდნენ.

თავი XXIV

მეფედ კურთხევა კახეთის უძველეს, ბოდბის წმიდა ნინოს სახელობის მონასტერში მოხდა. დედოფალ ქეთევანს, შაჰის კარიდან პატივით გამოსტუმრებულ თავის პირმშოს მოუთმენლად რომ ელოდებოდა, ეს მერამდენე დღე იყო, თვალზე რული არ მიჰკარებია. კურთხევისათვის საჭირო თადარიგი წინასწარ გასწია. მისი პირადი მითითებებისა და მეთვალყურეობის გარეშე არაფერი ხდებოდა. გახსნა თავისი ნამზითვი თვალ-მარგალიტი და ხელობით განთქმულ გრემელ ოქრომჭედლებს ახალი სამეფო გვირგვინი შეუკვეთა. ორჯერ თავისი ფეხით მიბრძანდა სახელოსნოში, საქმეს როგორი პირი უჩანსო. ოქრომჭედლებმა დღედაღამ შეუსვენებლივ იმუშავეს და თვალისმომჭრელად მოელვარე სამეფო გვირგვინი, ამიერიდან თეიმურაზის შუბლი რომ უნდა დაემშვენებინა, დათქმულ დროზე ორი დღით ადრე დაამთავრეს. იგივე ოქრომჭედლები, რომელთაც ტფილის-ქალაქიდან მოწვეული ორი გაქრისტიანებული ლეკი ეხმარებოდა, ახალი ტახტის დამზადებას შეუდგნენ, მაგრამ ტახტი კურთხევის დღისათვის აღარ ესწრებოდა და ამიტომაც ხელოსნები აღარ ჩქარობდნენ. მეტისმეტ აჩქარებას მათი ნახელავის ხარისხზე ვაითუ უარყოფითად ემოქმედა.

ამზადებდნენ სასახლეს, თვით სატახტო ქალაქს, ეკლესია-მონასტრებს და სადარაჯო ციხე-კოშკებსაც კი. კირითხურეებს და სხვა მოხელეთ დღედაღამ მოსვენება არა ჰქონდათ. მოყვარული დედის გულს განუზომლად სურდა, თავისი მონარქი შვილისათვის ყველაფერი განახლებული დაეხვედრე-

ბინა და დღიდან მისი ტახტზე ასვლისა ახლებურად ცხოვრება დაეწყო.

საფიქრალსა და საზრუნავს აბა რა გამოლევდა, მაგრამ ქეთევანის უპირველესი საფიქრალი და საზრუნავი ტახტის შესაფერისი სადედოფლოს გამოძებნა იყო. ვის დამოყვრებოდა? სასახლეში ვისი ასული შემოეყვანა? ვაითუ ამას კახელ დიდგვაროვანთა შორის ცილობა გამოეწვია და სამეფოში რის ვაივაგლახით დამყარებული შინაგანი წონასწორობა მოშლილიყო?

ვიდრე სხვათა რჩევებს მოისმენდა, ყველაზე ადრე თვით თეიმურაზს უნდა გამოეთქვა თავისი აზრი, დედისათვის გული გადაეშალა. იქნებ ჯერხნობით სრულებითაც არ ფიქრობდა ცოლის შერთვას, თავისი ცხოვრების ვინმესთან დაკავშირებას? ასულისათვის თექვსმეტი წელი საკმაოა ოჯახის უღელში შესაბმელად, ბევრჯერ მომხდარა, თორმეტი წლის გოგონაც კი დაუქორწინებიათ, მაგრამ თექვსმეტი წლის ვაჟი ჯერ მაინც ბალღია, მას ჯერ საქორწინო წელი არ მოსდევს!

მეფის გვირგვინის საკურთხებლად ქეთევანმა ბოდბის უძველესი მონასტერი იმისთვის აირჩია, რომ იქ ქართველთა განმანათლებელი წმინდა ნინო კაპადოკიელი განისვენებდა და უნდოდა, სარწმუნოებისათვის თავდადებული წმიდანის მადლი თეიმურაზის მეფობასაც მოსცხებოდა. გარდა ამისა, ბოდმე აქეთ მომავალ გზაზე იდო და ქეთევანს სურდა, თავისი ერთა სატახტო ქალაქ გრემში ქართული წესით ტახტზე ასული და მირონცხებული შეეყვანა.

დედოფალსა და მის უზარმაზარ ამალას, კახეთის მთელი თავად-აზნაურობის, ქართლიდან და ლიხთიმერეთიდან მოწვეული სტუმრების, მათი ოჯახის წევრების, სამღვდელოების და დაბალი წოდების მრავალი წარმომადგენლისაგან რომ შესდგებოდა, ბაკურციხეში ლოდინი დიდხანს არ დასჭირვებია. თეიმურაზი და მისი დაწინაურებული რაზმი ჭენებით მოიჭრა, ბოგირი გადმოვლო, ცხენები შეაჩერა, ჩამოქვეითდა და ბრწყინვალე ბანოვანთა ამალით გარსშემორტყმულ ქეთევანს ისე ეახლა.

დედოფალი მეტად თავშეკავებული, თითქმის ციცი ჩანდა. მას არ უნდოდა ამდენი ხალხის თანდასწრებით თავისი დედობრივი სისუსტე გამოეჩინა და შვილსაც უმწეო სჩვენებოდა. თეიმურაზს ისე შეხვდა, როგორც მის დღევანდელ

მდგომარეობას შეეფერებოდა, სხვებთან ერთად მუხლი მოიყარა და გვირგვინოსან შვილს ხელზე ეამბორა.

— აბრძანდი, ბატონო დედა, რას სჩადი! — შესძახა ცრემლმორეულმა თეიმურაზმა, ორივე ხელი მიაშველა და როდესაც წამოაყენა, ქეთევანმა გაჭირვებით შესძლო თავის შეკავება, რომ პირმშოს არ მოხვევნოდა და მისი თავი გულზე არ მიეხუტებინა.

დედა-შვილის შეხვედრას ირგვლივ შემოჯარული ერი ვაშას ძახილით და მრავალჟამიერის გუგუნით შეხვდა. გზის გასაყარზე ხალხის ტევა არ იყო. საადღესასწაულო განწყობილებას ისიც ხელს უწყობდა, რომ ადრიანი გაზაფხულის ერთი თბილი, მზიანი დღე იდგა, ყოველი სულდგმული გარეთ რომ გამოჰყავს და სიცოცხლის სიხარულით ავსებს.

თითქოს ზენა ბრძანება მოესმაო, ქეთევანისა და თეიმურაზის წინაშე ერი შუაზე გაიპო. გაჩნდა საკმაოდ გრძელი ცოცხალი დერეფანი, იმდენად გრძელი, რომ ბოლო არ უჩანდა.

— წავიდეთ, შვილო თეიმურაზ, ბოდბის მონასტერში გველოდებიან, შენს საკურთხებლად, რაკი შაჰმა ინება და წინ არ აღგვიდგა, ყველაფერი უკვე მზად არის! — მიმართა არაჩვეულებრივად ბედნიერ, სიხარულის მეცხრე ცაზე აფრენილ შვილს ქეთევანმა და მსუბუქი ხელი მკლავში გამოსდო, წინ უბიძგა.

ცოცხალი დერეფანი, რომელზედაც ფარდაგებისა და ნოხების დაგება მოესწროთ, ასე ხელიხელგამოდებულებმა გაიარეს. ხალხი ჰაერში ნაბდის ქუდებს, შვილდებს, შუბებს ისროდა და დედა-შვილს აღტაცებული გალობით მიაცილებდა. დერეფნის ბოლოში, ბოგირთან, სადაც კიდევ მეტი ხალხმრავლობა იყო, გვირგვინოსან დედა-შვილს ცხენები მოართვეს და როგორც კი ისინი ამხედრდნენ, გზა დაუცალეს. ამხედრდნენ ამერ-იმერი დიდებულებიც. კარდანახი, ანაგა და ვაქირი გარეთ გამოფენილი დაუხვდათ. მხედრებს ფეხქვეშ ფიანდაზს უგებდნენ, ხარბად ათვალიერებდნენ, რომელი იყო მათ შორის შაჰის მიერ კახეთის მეფედ დამტკიცებული თეიმურაზი, ძე დავითისა და შვილიშვილი ზაგემში უღვთოდ დაღუპულ კახბატონ ალექსანდრესი, სიხარულის ყიჟინას სცემდნენ და გაიძახოდნენ:

— დიდება თეიმურაზს!..

— გამარჯვება და დიდება ნუ მოაკლოს ჩვენს მეფეს თეიმურაზს!..

— დიდება ქეთევან დედოფალს!..

— კურთხეული იყავი, მეფევ!..

— მტერი დაგიმარცხოს, მეფეო, ჯვარი დაგწეროს მამაზეციერმა!..

ქეთევანი ჩვეულებრივზე მეტად ფერმკრთალი იყო. გზას დაეღალა, სიცხესაც შეეწუხებინა და მსუბუქ თავბრუსხვევას გრძნობდა. თეიმურაზმა ეს სხვებზე ადრე შეამჩნია და ცხენდაცხენ მიუახლოვდა:

— დედი, რა მოგივიდა, უღონოდ ხომ არ შეიქენი?

— არა, შვილო, — დაამშვიდა ქეთევანმა. — უღონოდ რა გამხდის, როცა ვხედავ, რომ ეს ამოდენა ხალხი შენ შემოგხარის!

თეიმურაზს ეკვიც არ შეკპარვია, რომ ბატონი დედა ამ სიტყვებს გულით ამბობდა, მაგრამ ის კი ველარ დაიჯერა, რომ მას არაფერი უჭირდა.

— დედა, თუ მიბრძანებ, ვისმე დავუძახებ! აგერ ქალები... აქიმიც გამოიძებნება!..

— არა, შვილო, მე თავს მშვენივრად ვგრძნობ. ვის უნდა დაუძახო, ხომ ერთი ამბავი ატყდა და ქვეყანა შეიყარა! ცოტა დავიღალე ეს დალოცვილი. გამივლის, აბა რა იქნება!..

თეიმურაზმა ცხენს თავი მოუდრიკა და დედას ოდნავ დაშორდა, მაგრამ ამ წუთიდან, ვიდრე მონასტერს არ მიაღწიეს, თვალი სულ აქეთ ეჭირა, არ დავიღუპო, ცხენიდან არ გადმომივარდეს, ბედნიერი დღე სატირლად არ გადაგვექცესო.

ჩვეულებისამებრ საქვრივო თალხებში ჩაცმულმა ქეთევანმა შავი რიდე სანახევროდ ჩამოუშვა, ვითომდა მზეს ვერიდებიო, ნამდვილად კი არ უნდოდა, ღაწვზე ჩამოგორებული ცხელი კურცხალი ვისთვისმე შეემჩნევინებინა. მისი გონება ამჟამად სულ სხვაგან იყო. სპარსეთში სამუდამოდ გადაკარგულ, ავხორცი შაჰის საჯიჯგნად გამეტებულ თავის პატარა ასულს, ბატონიშვილ ელენეს დასტრიალებდა და გული გაუნელებელი ვარამით ევსებოდა. გულიდან ასე ნაადრევი, ასე ძალისძალად მოგლეჯილი უცოდველი ბავშვი დედისათვის და სამშობლო ქვეყნისათვის სამუდამოდ დაკარგული იყო. მას აღარასოდეს ეღირსებოდა აქაურობის ხილვა, კავკასიონის ლურჯი მთების ცქერით დატკბობა, აქაური წყლის დალევა, მამა-პაპის სისხლით გაჯერებულ მიწაზე ფეხის დადგმა.

„შვილო, ელენე, ჩემო პატარა ანგელოზი. ჩემო სულის-დგმავ, — უხმოდ მოსთქვამდა ქეთევანი და ცრემლებს ულაპავდა. — მანამდე რატომ შენი ოხერი დედა არ ჩაწვა ცივ სამარეში, სანამ შენ დასაკარგავად გაგიმეტებდა! სადა ხარ ახლა, შვილო, რატომ შენც არ ესწრები ჩვენს ბედნიერებას, ძმას ყელზე არ ეხვევი და ტახტზე დაბრძანებას არ ულოცავ! შვილო, ელენე!...„

როდის-როდის აიარეს სილნალის აღმართი, საიდანაც გაზაფხულის ცინცხალი ფერებით გაღვიძებული ალაზნის ველის ზღაპრული სანახაობა იშლებოდა და მაღალი გალავნით გარსშემორტყმული ქალაქის კარიბჭეში შევიდნენ.

თავბრუსხვევამ და თვალებბრჭყიალამ ქეთევანს მხოლოდ მონასტერში გაუარა. აქაურმა ჯანსაღმა სიგრილემ და თითქოს თავღია ჭიდან ამონადენმა სუფთა ჰაერმა, რომელიც საკმეველის სუნით იყო შეზავებული, შვება მოჰგვარა და თვალში სინათლე დაუბრუნა.

როდესაც სადღესასწაულოდ შემოსილმა ბოდბელმა ეპისკოპოსმა სვიმეონმა მეფეთა კურთხევის ყველა წესი აღასრულა და მგალობელთა გუნდის გუგუნში ოქროსფრად მოელვარე გვირგვინს სამგზის ემთხვია, ვიდრე მას ცალ მუხლზე დაჩოქილ თეიმურაზს თავზე დაადგამდა, ქეთევანს უანგარიშოდ აღმოხდა:

— გვირგვინს ვერა ვცნობ! ნუთუ ეს ისაა, ჩვენ რომ გავაჭედინეთ?

— არა, დედოფალი, — თავი ოდნავ წინ წამოსწია და უპასუხა სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ ისე, რომ პირჯვრის წერა და ლიტანიობა არ შეუწყვეტია. — ეს ყაენის მოძღვნილი გვირგვინი და სამეფო ნიშნები გახლავს! ნაბრძანებია, ამაში ეკურთხოს და, როგორც ყაენის სამუდამო მფარველობის ნიშანი, არც არასოდეს მოიშოროს!

ქეთევანმა ბაგე მოიკვნიტა და დადუმდა. კვინიხზე, წარბსა და წარბს შუა, რაღაც უხეში, ბლაგვი ძალის მტკივნეული მოწოლა იგრძნო და საფეთქლები დაებერა, თავის გასკდომას ბევრი აღარაფერი აკლდა. სულთამხუთავი შაჰ-აბასი ერთხელ კიდევ ახსენებდა თავს, ერთხელ კიდევ აგონებდა, არც შენ და არც შენს ერთას, თეიმურაზს, ამიერიდან თავზე ირანის ლომის ნაბოძები სამეფო გვირგვინი რომ ადგას, ჩემს იქით გზა არა გაქვთო.

გულის სიღრმეში დედოფალი გარდაუვლად თვლიდა ერისა და ქვეყნის ბედს, კახეთს სულკურთხეულმა მამამთილმა, მეფე ალექსანდრემ რომ განუმზადა, მიხვედრილი იყო და სწამდა, ვერც ერთი სხვა გზა, გარდა ამ ერთადერთი გზისა, მონობის უფსკრულიდან ვერ ამოგვიყვანსო, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქვეყნის გაძღოლის მძიმე ტვირთი განგების ნებით მის სუსტ მხრებზე გადმოვიდა, ნალოლიავებ ძველ გეგმებს, ჯერჯერობით კაცს-სულიერს რომ ვერ უმხელდა, ბზარი გაუჩნდა. უმოკლეს დროში, რაც ქვეყნის სათავეში ყოფნა მოუწია, ის იძულებული გახდა, ბუნდოვანი ოცნების ბურუსიდან გამოსულიყო, ულმობელ სინამდვილისათვის თვალი გაესწორებინა, ანგარიში გაეწია და შვილისთვისაც ეს ჩაეგონებინა, ჩაეგონებინა სწორედ ის, რასაც მთელი თავისი რწმენითა და შინაგანი არსებით ეწინააღმდეგებოდა!

მისდა საკვალალოდ, ქეთევანმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რა აზრზე იდგა თვით თეიმურაზი. დედა-შვილს გარემოებამ ხელი არ შეუწყო, თუნდაც რამდენიმე წუთით განმარტოებულიყვნენ და ერთმანეთისათვის თავ-თავიანთი აზრები და შეხედულებები გაეზიარებინათ.

შაჰ-აბასს ადამიანების, მეტადრე უწვრთნელი ახალგაზრდების მონუსხვისა და გადაბირების სატანური უნარი შესწევდა. ამას უკლებლივ ყველა ამბობდა და აღიარებდა, ვისაც კი შაჰთან შეხვედრა და მის სიახლოვეს თუნდაც რამდენიმე დღის გატარება მოსწეოდა. შაჰი თავისი სატანური უნარით ხიბლავდა ყველას და გუშინდელ მტერს საკუთარი მიზნებისათვის ბრძოლის მორჩილ იარაღად აქცევდა.

გადაურჩა ყაენის ამ ხიბლს თეიმურაზი? თუ ისიც ერთი იმათგანი გახდა, ვინც ორპირი და გაქნილი შაჰი კერპად გაიხადა და მზად იყო, მისი სახელის კიდევ უფრო განდიდებისათვის თავიც კი შეეწირა!

„ღმერთმა ნუ ქნას! — ფიქრობდა საკუთარ თავთან ორთაბრძოლაში ჩაბმული ქეთევანი. — ეს ხომ ღვთის რისხვა და ჩვენი დაღუპვა იქნება! შაჰ-აბასის წყეულ გზაზე შემდგარი კაცი ავად სახსენებელ კონსტანტინე ბატონიშვილის გზას ვერ ასცდება, ამ გზას კი მხოლოდ ღალატისაკენ მივყევართ!“

მაგრამ ეაი, რომ უბედურების მომტანი ჩანდა შაჰთან ფარული თუ აშკარა დაპირისპირებაც! ამაზე ფიქრი ან წაქეზება საკუთარ შეუზღუდველ ძალაუფლებაზე დანატრებულ ახალგაზრდა მეფეს თვის ბულულივით აანთებდა,

ააბრიალებდა და ამ დამლუპველი ხანძრის ჩაქრობას მერე ველარავინ შესძლებდა! შაპ-აბასიც არ დაახანებდა. თავისი აურაცხელი ძალით მოვიდოდა, დედა-შვილს უმადურობას შესწამებდა და ქვას ქვაზე დაადუღებდა, კახეთს ისევე გააუკაცრიელებდა, როგორც არარატის ველი, სომეხთა მაშ-ერალი ქვეყანა მოთხარა და გააუკაცრიელა!

„ღმერთო, იესო მაცხოვარო, ღვთისმშობელო დედავ, გვიხსენ ჩვენ სატანისაგან! — ჩურჩულებდა გულში ქეთევანი, პირჯვარს იწერდა და ცხარე ცრემლი ორივე თვალთაგან ღვარად ჩამოსდიოდა, რომელთაც ახლოს მდგომი დიდებულები ხედავდნენ და სიხარულის ცრემლებად იღებდნენ. — სწორ გზაზე დააყენე ჩემი შვილი, ჩემი თეიმურაზი, არიდე ბოროტს! ზეციერო მხედარო! — ცალკე მიმართავდა ის წმიდა გიორგის. — ნუ მოუშლი მხარდაჭერას და შველას ჩემს შვილს! მაცხოვრის მიერ ნაკურთხი გზით ატარე და მუხთალი მტერი ძლევამოსილი მახვილით დააძლევინე!“

თავი XXV

გრემის სამეფო სასახლის გუმბათზე მირონცხებული მეფე თეიმურაზის ალამი ასწიეს, რამაც ერის ყველა ფენაში სიხარული და იმედი დათესა. ხალხი ართმანეთს ულოცავდა, თეიმურაზის სადღეგრძელოს სწევდა, ჯანის სიმრთელეს, გამრავლებას და სვიან მეფობას უსურვებდა. სასახლე წვეულთ ვერ იტევდა. გაიშალა გრძელი ფანჩატურები. მრავალეამიერი და ომახიანი კახური სიმღერები ცას სწვდებოდა. პურმარილი, როგორც ქვეყნის ბურჯი გლეხკაცები იტყვიან, მუხლზე ეყარა, საკარგდღეოდ გადანახული თავი ღვინოები კი მდინარედ მოედინებოდა!

ქეთევანმა წარბი გახსნა, თუმცა საქვრივო ძაძები მაინც არ გაუხდია, დიასახლისობდა. ყველგან იყო, ყველაფერს ასწრებდა, ერს ღიმილგადაჩვეული, სავსე მთვარესავით ბადრი, შინაგანი ღირსებითა და სათნოებით აღბეჭდილი სახე აჩვენა.

დედოფალთან ერთად ტრიალებდა თავს დატეხილი მოუქარველელი მწუხარების შემდეგ უზომოდ შეცვლილი ძალუა მეფისა, ბატონიშვილ გიორგის ქვრივი, უფროსი რძლის, დედოფლის, მონათლული ასინეთი, ასული ყირიმის ხანისა.

ასინეთს გამორჩეული სიყვარულით უყვარდა შილი, თავისი ნათლია, მისებრ ლეჩაქგაშავებული დედოფალი ქეთევანი, რომელმაც მისი უბედურება საკუთარზე ნაკლებ როდი განიცადა და უცხოეთში, უცხოთა შორის გადმოხვეწილ საბრალო ქალს ნუგეში სცა, ღვიძლი დობა გაუწია. დღეს სხვა დღე იყო, თავის კეთილისმყოფელ და მფარველ ქეთევანისადმი ასინეთს არ შეეძლო მადლიერება არ გამოეჩინა და მის გვერდით ხალხს არ სჩვენებოდა.

თეიმურაზი უბედნიერესი კაცი იყო. უხაროდა, რომ მუდამ დაღვრემილ და თითქოსდა სხვა სამყაროში გადასახლებულ დედას ასე კმაყოფილსა და მხიარულს ხედავდა. ქეთევანი აუელიდა და ჩაუელიდა, რადგანაც ყველაფრის ავანჩავანი თავად იყო, დახედავდა, ხომ არაფერი შემოაკლდაო, სადმე რისამე დამატება ხომ არა სჭირდებათო. მისი სკამი ობლად იდგა მეფის სკამის მარჯვენა მხარეს. ღმერთმა გადმოხედა და თავისი ერთას ტახტზე ასვლას მოასწრო. მეტი რაღა უნდოდა, მისი დედური გული მეტად რას უნდა გაეხარებინა! ქვეყნის ყველა სადავე ამიერიდან თავს თეიმურაზის მტკიცე ხელში მოიყრიდა, თავად კი განთავისუფლდებოდა უმძიმესი ტვირთისაგან, თუმცა, თუ საჭიროება მოითხოვდა, ტვირთის სიმძიმეს არც მომავალში გაექცეოდა, თავის ერთას მარტოდმარტო არ დასტოვებდა, კვლავინდებურად გვერდში ამოუდგებოდა და კეთილ რჩევას არ მოაკლებდა. გარდა რჩევისა უმწეო დედაკაცს აბა რა შეეძლო!

სანადიმო სუფრა მთელ თვეს არ აშლილა. თეიმურაზი სულში იძერენდა ყველას, ყოველი ახალი თანამეინახის შემომატებით ხარობდა და შემოსწრებულს ღვინით სავსე ყანწს თავისი ხელით აწოდებდა.

მეტი რაღა უნდოდათ ასაკით მეფის კბილა და ცოტათი უფროს ახალგაზრდა თავადიშვილებს, ვაქებს და ასულებს, თავიანთი გუნების ბატონს ისინი ფარვანასავით ესეოდნენ და მზად იყვნენ, ყოველი მისი ახირებული სურვილი აღესრულებინათ.

ქეთევანი ამგვარ ამბებს ჩვეული არ იყო. არც საყოლში, მამის, აშოთან მუხრან-ბატონის ჰერქვეშ და არც კახეთის მეფეთა კარზე ღვინის უზომოდ არავინ ეტანებოდა, ჰირიც და ლხინიც ზომიერი და თავშეკავებული იცოდნენ. ეს გაუთავებელი ღრეობა და გადაბმული ლხინი თეიმურაზმა,

ეტყობოდა, სპარსეთიდან გადმოიღო და ახლა თავს ველარ აღწევდა.

ტახტთან დაახლოებულ დიდებულებში, რომელთა შვილებს მეფე გვერდიდან აღარ იშორებდა, უკმაყოფილო ხმები გაისმა და იგი თვით დედოფალსაც გააგონეს. რა მოხდა, ბატონო, ასე გაუთავებელი ჩვენ არა გვინახავს რა. გარდა ლხინისა და ლრეობისა, სხვა საზრუნავიც ხომ გვაქვსო!

ქეთევანმა ეს გაიგონა და იწყინა, თუმცა გრძნობდა, რომ სიმართლე უკმაყოფილო დიდებულების მხარეზე იყო. შვილი გაამართლა. შეეცადა ჭაბუკი მეფის ეს უდარდელობა და დაუსრულებელი დროსტარების წყურვილი მისივე უსაკობით აეხსნა. ბავშვია ჯერ, ვაქკაცობა ესახელება, აქაურობის ცქერით ველარ გამძღარა, თავი მოსწონს, ახლობლებს შორის რომ ქეიფობს, მოსწყინდება, გაუვლის, საქმე თავად შეახსენებს თავს, მანამდე კი დედა ჰყავს და შეეხიდებაო.

ნააღდგომევს მოყვრული ძღვენითა და ჯორკიდებულით მობრძანდნენ იმერელი ბატონიშვილები, ბაგრატ და ალექსანდრე, იმერთა მეფე გიორგის ვაქები, ხოლო მანამდე გრემის სასახლე გააბედნიერა თეიმურაზზე ერთი წლით უხნესმა ბატონიშვილმა ლუარსაბმა, გიორგი ქართლის მეფის ძემ, ქართლის ტახტის მემკვიდრემ. ლუარსაბს, ასე რომ მოეწონათ რუსხელმწიფის ელჩებს ტატიშჩევსა და ივანოვს, და აწ განსვენებული ბორის გოდუნოვის გადამწიფებული ასულის, ცარევნა ქსენიას საქმროდ რუსეთში წაყვანას უპირებდნენ, თან ახლდა თავისი უმცროსი და, თორმეტი წლის ბატონიშვილი ხორეშანი, რომელმაც მისი ღრმა, ცისფერი თვალებით, აბურცული ალუბლისფერი ტუჩებით, მხრებზე დაყრილი ოქროსფერი თმით და სიმორცხვისაგან ალეწილი ღაწვებით უკლებლივ ყველა შინაური და გარეშე უმაწვილი ქალი დაჩრდილა და საყოველთაო ყურადღება მიიქცია.

ბატონიშვილ ლუარსაბის ამალაში იყო აგრეთვე შიდა ქართლის სადროშოს სარდალი, გორის მოურავი პაპუნა ამილახვარი, ღვიძლი ბიძა სპარსეთის დედოფალ თამარისა და რამდენიმე ახალგაზრდა თავადი თავ-თავისი სახლობებით.

გაიხარა ქეთევან დედოფალმა. ჩაჯდა თავისიანებს შორის, ყველა სათითაოდ მოიკითხა, მუხრანში გატარებული უმაწვილ-ქალობა გაიხსენა, სირცხვილისაგან ალეწილი ხორეშანი გულში ჩაიხუტა, ხოლო თავად პაპუნას კი, ამილახვარს, შიდა ქართლის სადროშოს სარდალს, ერთხელ კიდევ შესწირა

წრფელი მადლობა ბელაქნის ომში გაწეული დაუფასებელი სამსახურის გამო.

„აი, ვინ მოიხდენდა კახეთის დედოფლის გვირგვინს! — ერთსა და იმავე დროს გაიფიქრეს დედამ და შვილმა, როდესაც ერთმანეთი გიორგი ქართლის მეფის პატარა ასულის, ბატონიშვილ ხორეშანის აღტაცებულ ზვერვაში დაიჭირეს. — ეს ანგელოზი ასე ახლო ნათესავი რომ არ იყოს!“

თეიმურაზსა და ხორეშანს მართლაც უახლოესი სისხლისმიერი ნათესაობა აკავშირებდა. კახეთის ჭაბუკი მეფე ქართლის ბატონიშვილს ბიძად მოხვდებოდა, რადგანაც კახბატონი დავითი და ქართლის მეფე გიორგი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ, ღვიძლი და-ძმისაგან მომდინარეობდნენ.

„არა, ამაზე ფიქრიც შეუძლებელია!“ — გაუელვა ქეთევანს და თვალი თეიმურაზისაკენ გააპარა, რომელიც ამასვე ფიქრობდა, თუმცა თავისებურად ენამზეობდა და საყვარელ სტუმრებს სპარსეთში შეთვისებული დაშაქრული სიტყვებით ატკბობდა.

არ გაუვლია სამ დღესაც იმერელი ბატონიშვილების მობრძანების შემდეგ, რომ მათ კვალს რაჭის ერისთავი შიოშ ჭარელიძე, აფხაზეთის მთავარი სეტემან შარაშია და გურიასამეგრელოს მთავრები მამია გურიელი და ლევან დადიანი მოჰყვნენ.

ლევან დადიანი, ისევე როგორც ქართლელი ბატონიშვილები, კახეთის სამეფო კარის ახლო ნათესავი იყო. იგი კახბატონ ალექსანდრეს შვილიშვილი გახლდათ მისი ასულის, ოდიშის მთავარზე გათხოვილ ნესტან-დარეჯანის მხრიდან და ბავშვობა და ყრმობა საყვარელი გვირგვინოსანი პაპის, კახბატონ ალექსანდრეს კარზე, კახეთში გაეტარებინა.

სწორედ ამიტომ მოხდა, რომ კახეთში მობრძანების მეორე დღესვე ლევან დადიანმა ალავერდს წასვლა და შვილის ხელით უღვთოდ დაღუპული პაპისა და ბიძის, ბატონიშვილ გიორგის, საფლავების მონახულება მოინდომა, რათა ორივე ახლობელი ადამიანი მეგრული წესით დაეტირა და მათ სულის საოხად იქ წირვა გადაეხადა.

თეიმურაზს შუბლი გაუცხელდა, ოფლი დაასხა. მიხვდა თავის უპატიებელ შეცდომას. თვეზე მეტი გადიოდა, რაც შინ იყო, პაპისეულ ტახტზე იჯდა, განცხრომას ეძლეოდა, საქვეყნო საქმეებზე ზრუნვა არც კი აგონდებოდა, პაპის საფლავზე

გასასვლელად და იქ სანთლის ასანთებად კი დრო ჯერ კიდევ ვერ გამონახა.

ოდიშის ბატონის სურვილს, რომელიც ყველამ საქებრად და დროულად ჩათვალა, სტუმრებიცა და მასპინძლებიც მხურვალედ გამოეხმაურნენ და თუმცა ბატონი ლევანი, მეფის ალალი მამიდაშვილი, ალავერდს წასვლას მარტოოდენ თავისი ხალხის თანხლებით აპირებდა, ეს სხვებმაც სავალდებულოდ ჩათვალეს, წამოიშალნენ და თავ-თავიანთი ცხენები მოითხოვეს.

დიდებული სტუმრები გრემს თითქმის მთელ კვირას დარჩნენ. სრულიად საქართველოს მეფე-მთავართა ასე ერთად თავმოყრა და ურთიერთსიყვარულის გამომჟღავნება, მას შემდეგ, რაც დავითისა და თამარის, გიორგი ბრწყინვალის საქართველო დაიშალა, ამერ-იმერის წვრილ-წვრილ სამეფო-სამთავროებად გადაიქცა, დღემდე არც კახეთს ახსოვდა და არც ქვეყნის რომელიმე სხვა კუთხეს. ეს უთუოდ რაღაც კარგის მომასწავებელი ნიშანი იყო, სხვა დრო დგებოდა და, ვინ იცის, სწორედ მას ედო ვალად ძველი ჭრილობების მოშუშება, ნაფლეთ-ნაფლეთ დაქუცმაცებული სამშობლო ქვეყნის კვლავ აღდგენა ერთ მთლიან, მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ გადაქცევა!

ყველაზე ბოლოს ქართლელებმა აიკრეს გუდა-ნაბადი. ამ მცირე ხნის მანძილზე თეიმურაზი და ლუარსაბი ისე შეეჩვიენენ, შეეთვისნენ და შეუხმატკბილნენ ერთმანეთს, განუყრელ ძმებისაგან ველარ გაარჩევდი. ორივე ჭაბუკი იყო, ორივე პირტიტველა, იმ ასაკისა, როცა გული გულისაკენ მიისწრაფვის და მეგობარს ეძებს, ცხოვრების ჭაპანწყვეტა ორივეს წინ ედო, მაგრამ ამაზე ფიქრით არც ერთი თავს არ იწუხებდა და ყოველდღიურ სიამოვნებას თავდავიწყებით ეძლეოდა!

გამგზავრების დღემ რომ მოაწია, როცა სასურველ სტუმართაგან გრემის სასახლეში მარტო ისინი-ღა დარჩნენ, თეიმურაზმა ყურები ჩამოყარა, მოიწყინა. ვერ წარმოედგინა, გართობას, მხიარულ გასეირნებებს, ბურთაობასა და ჯირითს მოკლებული მარტო როგორ უნდა დარჩენილიყო და დღე და წუთისოფელი მარადჟამ ცხვირჩამოშვებულ და ათას წვრილ-მანზე მოწუწუნე კახ დიდებულებს შორის გაეტარებინა!

არანაკლებ მოიწყინა ლუარსაბმაც, ლამის ტიროდა და იქნებ ფეხი კიდევაც აეთრია, წასვლა რამდენიმე დღით კიდევ გადაედო, ბატონ პაპუნა ამილახვარს რომ არ დაემარტოხე-

ლებინა და არ ეთქვა, დროა, ბატონიშვილო, შინ წავიდეთ, მასპინძელიც გავათავისუფლოთ და ჩვენც ჩვენს გზას ვეწიოთ, ეს მესამედ გეახლა კაცი მეფისაგან, რაღას უცდით, რად არ მოდიხართ, ავად ხომ არავინ გახდით, ან სხვა რაიმე ფარსაგი ხომ არა გქირთო.

დარბაისელი თავადის შეგონებით ძლივს გულისხმაში ჩავარდნილმა ლუარსაბმა გაჯიუტება ვეღარ გაბედა და, მიუხედავად თეიმურაზის ჭირვეული ავარდ-დავარდნისა, სულთმოფენობამდე არ გაგიშვებთ, ეს დღე აქ, გრემში გავითენოთ, მერე წირვაზე შუამთაში ავიდეთ, მომდევნო ორ დღეს ცივ-გომბორის ტყეებში შვლებზე წავინადიროთ და უჯარმაში ერთმანეთს დავცილდეთო, გამგზავრების თადარიგის დაჭერა ბრძანა.

სულთმოფენობამდე ექვსი დღე იყო დარჩენილი. თუ ამას იმ ორ დღესაც დავუმატებდი, თეიმურაზი შვლებზე სანადი-როდ რომ სთავაზობდა, მათი შინ წასვლის დრო ერთობ შორს იდებოდა.

თეიმურაზმა ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა. თუ აგრეა და არ დაგიშლიათ, მაშინ მეც თქვენთან ერთად წამოვალ და ტფილისამდე ჩაგაცილებთო.

ეს კი მეტისმეტი იყო. ქეთევანი მიხვდა, ჰაბუკი მეფე ამას რისთვისაც სჩადიოდა, წარბი შეიკრა და თავად შერმაზან ჩოლოყაშვილის პირით შვილი თავისთან დაიბარა.

— თქვენ გავიწყდებათ, ბატონი დედა, — უთხრა ჯიუტი ბალღივით თვალცრემლიანმა, გულამომჯდარმა თეიმურაზმა, როცა მისი თავშეკავებული საყვედური და რჩევა-დარიგება მოისმინა. — თქვენ გავიწყდებათ, რომ მე დიდი ხანია პატარა აღარა ვარ, რომელსაც თქვენ ძუძუს აწოვებდით და ხელით ატარებდით, მეფე ვარ და იმას ვიქმ, რასაც საჭიროდ დავინახავ!

— განა მე ის გითხარი, შვილო, მეფე არა ხარ-მეთქი, — მშვიდათ, დაყვავებით შეუბრუნა სიტყვა ქეთევანმა და ხელი მოჰხვია, ყვრიმალით მის მხარს მიეყრდნო. — მეფე ხარ, მე კი ისევ დედა ვარ შენი, თუმცა ძუძუს აღარ გაწოვებ და აღარც ხელით დამყავხარ. მეფეს მეფური ქცევა მართებს. აბა, რას ემგვანება, სტუმარი, რა ღირსეული და პატივსაცემიც არ უნდა იყოს, გვირგვინოსანმა ხელმწიფემ მის სახლამდე მია-ცილოს! გაგონილა ეს სადმე, ჯერ ვინმეს სმენია? სხვები რაღას იტყვიან, ვინც სტუმრად გვყავდა, ჩვენ კი რატომ-ღა არ

გამოგვყვა სახლამდე, ქართლელებზე ნაკლები რითა ვართ, ისინი რა წითელი კოკები ბრძანდებიანო?!

— არავინაც არ იტყვის! თუ იტყვიან, თქვან, სულაც არ მედარდება!

— აგრე ხომ მთელ საქართველოს მოვიმდურებთ და გადავიკიდებთ, შვილო თეიმურაზ, მარტო ჩვენს პირად სიამოვნებაზე ხომ არ უნდა ვიფიქროთ, სხვა რამესაც ხომ უნდა გავუწიოთ ანგარიში!

— იმით არაფერი არ დაშავდება, ერთი ორი დღე ქართლში წავიდე და თვალს წყალი დავალევინო, ამით ქვეყანა არ დაიქცევა! - თეიმურაზი გრძნობდა რომ ტყუოდა, რომ დედა მართალი იყო, მის წინააღმდეგობას ასე ადვილად ვერ გასტეხდა, მაგრამ თავისას მაინც არ იშლიდა, ხავსს ეჭიდებოდა.

— როდის ყოფილა, მე შენთვის სადმე წასვლა დამიშლია, შვილო, — ქეთევანის ხმაში ისევ საყვედური გაისმა. — მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ დღეს შენ გვირგვინოსანი მეფე ხარ და არა ბატონიშვილი, შენს თავს აღარ ეკუთვნი, სამეფო კარზე დამკვიდრებულ წესსა და რიგს უნდა დაემორჩილო! დადგება დრო, რაიმე მიზეზთან დაკავშირებით შენც ეწვევი ქართლის მეფის კარს, მაგრამ არა როგორც უბრალო სტუმარი, თუნდაც სისხლისმიერი ნათესავი, არამედ როგორც კახეთის გვირგვინოსანი მეფე! იქაც, რასაკვირველია, მეფის საკადრისი დიდებით მიგიღებენ და ასევე დიდებით გამოგისტუმრებენ. მეფეთა წესი ასეთია. შაჰის კარზე ამის მეტი რა გონახავს! მეზობელი მეფეები, თუნდაც მათი ელჩები შაჰს განა ასე ჰაიჰარად, წინასწარ გაუფრთხილებლად ეწვევიან ხოლმე? სიდარბაისლე, თავშეკავება და ჩვენი მეფური ღირსების შეგნება გვმართებს, შვილო თეიმურაზ, ამჩატება და საკუთარი ნება - სურვილის აყოლა არ შეგვფერის. ამას გეუბნები და გთხოვ, როგორც დედა, ვისაც შენი შესადარი, გარდა ღმერთისა, არავინ ჰყავს და ვინც ყოველ წუთსა და წამს მზადაა, სიცოცხლე შემოგწიროს!

— ჰო, კარგი, ნუ ტირი, არსადაც არ წავალ, იყოს ისე, როგორც შენ გინდა!

— გიმალავდით, შვილო, არ გვინდოდა, შენთვის გული გვეტკინა და ეს ბედნიერი დღეები ჩაგვემწარებინა , — ქეთევანმა უნებლიეთ გადმოვარდნილი ცრემლის კურცხალი შეიმშრალა. — სანამ ჩვენ ყველა შენს ტახტზე ასვლას

ვზეიმობდით, ვდარდიმანდობდით და ძვირფასი სტუმრების მიღება-გასტუმრებას ვუნდებოდით, მარბიელები სამჯერ დაგვესხნენ, ორჯერ სასულტნოს საზღვართან და ერთჯერაც თიანეთში. შენ გართული იყავი და არც კი შეგიმჩნეია, რომ ტახტის ერთგული ყმა თავადი ქაიხოსრო ომანიშვილი სამოოთხი დღით იკარგებოდა ხოლმე. ხშირად შენს გვერდით არ იჯდა და მხარს არ გიმშვენებდა არც თიანეთის მოურავი ელიზბარ ჩოლოყაშვილი. ღვთის განგებით და ჩვენი ლოცვა-კურთხევით ჩვენებს სამივეჯერ გაუმართლდათ, მტერს გზები დროზე მოუჭრეს და ნადავლი, ხარ-ძროხა თუ ცხვრის ფარები, დაატოვებინეს, მაგრამ ერი მეტისმეტად შეწუხებული გვყავს, შვილო, დედა გენაცვალოს, გლეხკაცი ყანა-ვენახში სამუშაოდ ველარ გასულა, ვერც პირუტყვს სამწყემსურში გაჰყოლია. წისქვილშიაც კი ჭირს წასვლა. ეს შეჩვენებულები სოფლის გზებშიაც კი საფრდებიან და ვისაც ხელში ჩაიგდებენ, ქალი იქნება თუ ბალღი, ტყვედ მიჰყავთ!

— მერე მენაპირე თავადები რას უყურებენ? ხომ არა ჰგონიათ, რომ მეფე მივა და მტერს მოუგერიებთ?! გაინძრნენ ცოტა, მიდგნენ-მოდგნენ, დაიცვან თავიანთი ყმა-მამული ამ ურჯულოებისაგან!

— აკი გითხარ, შვილო თეიმურაზ, ჩვენს თავადებს მაგ მხრივ საყვედური არ ეთქმით. ყურთბალიშზე არც ერთს არ ძინავს. თავადი ქაიხოსრო უნაგირზე ათენ-აღამებს, დღეს რომ ამ თავშია, ხვალ იმ ბოლოში მისდევს პირშავ მტერს! მას არც სხვები უდებენ ტოლს, მაგრამ წყეული ლეკები ეგენი ჩვენი სიმცირით სარგებლობენ და სწორედ იქ დაგვეცემიან ხოლმე, სადაც სუსტ ადგილს დაიგულებენ!

— ენახავ, ბატონო დედა, — უსიამოვნო ამბების შეტყობამ ახალგაზრდა მეფე შიგ გულში დაჰკოდა და ის ისევ იმ კილოზე გადავიდა, რითაც დაიწყო. — დავხედავ, საზღვრებს შემოვიელი და ღვთის შეწევნით რაღაცას ვილონებ!..

თავი XXVI

ბეთლეანს გულზე მოეშვა. ორი საკოკმანო საქმე ერთად მოაგვარა: წინდაუხედავ აცუნდრუკებაზე შვილს ხელი ააღებინა და, ამავე დროს, იგი თავის მეფურ მოვალეობაზეც დააფიქრა, აგრძნობინა, რომ ტახტზე ჯდომა მარტო განცხ-

რომით ცხოვრება და გულის გამხარებელი სიამის აყოლა არ არის, რომ ის, უპირველეს ყოვლისა, პირად მსხვერპლს მოითხოვს და ამ მსხვერპლის გასაღებად ქვეყნის მიერონცხებული განმგებელი მუდამდღე მზად უნდა იყოს.

ბატონიშვილ ხორეშანის სახელი დედა-შვილს შორის ნახსენები არ ყოფილა, თუმცა ორივე გრძნობდა, რომ ეს სახელი ყოველ სიტყვაში იგულისხმებოდა. ჭაბუკ მეფეს ეყო თავშეკავება, წუთიერი გატაცება, რომელმაც თავბრუ დაახვია და ყველაფერი დააკარგვინა, არა მარტო დედისათვის, არამედ საკუთარი თავისთვისაც კი არ გაემხილა. მით უფრო ეყო თავშეკავება ქეთევანს, ვინაიდან იმის ხმამაღლა გამჟღავნება, რაც დედა-შვილის გულში ტრიალებდა, დიდი და უპატიებელი ცოდვა იყო ღვთის წინაშე.

დედისათვის მიცემული დაპირების შესრულება, საზღვრებს შემოვივლიო, თეიმურაზს დიდხანს არ დაუყოვნებია, ხოლო რაც შეეხება ამავე დაპირების მეორე ნაწილს, რაღაცას ვიღონებო, ამის შესრულებას კი არ ჩქარობდა.

მეფემ შეყარა თავისი კბილა ყმაწვილი კაცები, კახეთის ახალგაზრდა თავადები, რომელთა მამა-ბიძებსა და უფროს ძმებს სხვადასხვა სახელო ეპირათ მეფის კარზე, ანდა მეფისგანვე მინიჭებული რაიმე უპირატესობით სარგებლობდნენ, თითქმის ხუთასამდე კაცი, უფროსთაგან მხოლოდ ძმები ვაჩნაძეები, თამაზი და ბებური იახლა და საზღვრების ფეხდაფეხ შემოსავლელად გაემართა.

მეფეონმა გეზი დასავლეთისაკენ აიღო. გაიარა ბახტრიონი, ჭოეთი, თორღვა, კვეტერა, აქედან თიანეთს გადავიდა, იორს დაჰყვა და გარე კახეთისაკენ ჩაივაკა.

სოფლებს ძვირად დაუჯდა მეფისა და მისი მრავალრიცხოვანი ამალის პურმარილით დახვედრა-გამასპინძლება. თავგადაკლული ლხინი ალაგ-ალაგ ორ-სამ დღეს გრძელდებოდა და მოქეიფენი მხოლოდ მაშინ-ღა წამოიშლებოდნენ ხოლმე, როდესაც მომდევნო სოფლიდან საგანგებოდ გამოგზავნილი კაცი მოვიდოდა და ბატონ მეფეს ახალი გრძელი სუფრის გაშლის ამბავს შეატყობინებდა.

ჯერ ბოკორმას, ხოლო შემდეგ უჯარმას რომ ჩასცდა და ივრის ვიწრო ხეობიდან ლაშქარი ხაშმის მინდვრებში გამოვიდა, ახალ-ახალი ქვეშევრდომული დახვედრებით გამხნევებულ და გახალისებულ თეიმურაზს გულში ჭინკა შეუჯდა: რა იქნება, აქედან მარჯვნივ გადავუხვიო, ვაზიანისა და სამგორის

ტიტველ სერებს ჩავყვე და, როცა არავინ მელის, ტფილისს ჩავიდეო, მაგრამ დედასთან გამართული მკაცრი საუბარი გააახსენდა და უგუნურ განზრახვაზე ხელი უმალ აიღო. ეგეც არ იყოს, რით უნდა აეხსნა ეს თავისი მოულოდნელი სტუმრობა, თანაც საომრად აღჭურვილი ჯარის თანხლებით? თავსაც ვერ უტყდებოდა, რომ გომბორის მთები სწორედ ამ განზრახვით გადმოიარა, მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, განზრახვის შესრულებას წინ თითქმის აღარაფერი უდგა, თითქოს საკუთარ თავს გაურბისო, უამისოდაც ფიცხ ბედაურს, შუშაში თვით შაჰ-აბასმა რომ აჩუქა, მათრახი უცხუნა და გააჭენა. ჭენებითვე გამოუდგნენ გადაბმულ სმასა და ღრეობას ჯერ კიდევ მიუჩვეველი ახალგაზრდა თანამეინახენი, რა ბზიკმა უკბინა ჩვენს ბატონ მეფეს, როდის იყო, ასე გამწარებული საითმე მიიჩქაროდაო.

ასე ჭენებ-ჭენებით, მტვრის ბუღში განვლეს ხაშმი, დაბლობში განრთხმულ სართიჭალას, რომელზედაც ტფილისიდან შიგა კახეთისაკენ მიმავალი საქარავნო გზა გადიოდა, გვერდი აუქციეს და პირდაპირ ნინოწმიდასა და პატარძეულს მიმართეს.

ახალგაზრდა კახი თავადიშვილები, მეფის ამალაში ყოფნის პატივი დღეს პირველად რომ მოსწეოდათ, ამან კიდევ უფრო განაცვიფრა. მათ მარტყოფში ელოდნენ. ხუთასი ცხენოსნის მისაღებად სუფრა უკვე გაშლილი იყო. მარტყოფის მონასტერში ახალი ეპისკოპოსი იჯდა, ნაცვლად ზაგემში დაღუპულ იოანესი, რომელიც, ამავე დროს, გარე კახეთის სადროშოს სარდლის სახელოსაც ფლობდა და საზღვრების შემოსავლელად გრემიდან წამობრძანებულ მეფე-ბატონს იქ მოუთმენლად ელოდა.

ვიდრე მეფე და მისი თანმხლები მხედრობა სატახტო ქალაქის გარეთ, სამეფოს საზღვრების შემოსავლელად იმყოფებოდა, შიგა კახეთისა და ქიზიყის სოფლებს კიდევ ორჯერ დაეცნენ ლეკი მარბიელები და საგრძნობი ზიანიც მიაყენეს: შირაქისა და ტარიბანის საძოვრებიდან გაირეკეს ცხვრის ორი დიდი ფარა, ალაზანს გაღმა წინანდალს შეესივნენ, კისისხევის ღრანტეებში ჩასაფრდნენ და სამი ქალი და თორმეტი ბავშვი გაიტაცეს. ქიზიყის მოურავმა ბაქარ ანდრონიკაშვილმა და გაჭირვების ტალკვესმა თავადმა ქაიხოსრო ომანიშვილმა, მაშინვე რომ იქ გაჩნდებოდა, სადაც წუნკალ მტერს დაიგულებდა, ალაზანზე გზა შეკრეს და ქურდბაცაცა ლეკებს უკან

გაბრუნების ყველა საშუალება მოუსპეს, რამაც გადამთიელნი იძულებული გახადა, ტყვეები მიეტოვებინათ და უკან, კისისხევისაკენ დაეხიათ, ფარების დაბრუნება კი აღარ მოხერხდა, რადგანაც მდევარი გვიან გაიგზავნა, ხოლო თავდამსხმელებმა ეშმაკობა იხმარეს, ალაზანზე გადმოლალული ცხვარი კაკ-ენისლის სასულტნოს ფარგლებში შერეკეს და ამით თავი სამშვიდობოს დაიგულეს.

დედოფლის წყაროსაკენ მიმავალ თეიმურაზს ჩალაუბნის გადასახვევთან შეატყობინეს ლეკების დაცემის ამბავი, უთ-ხერს, რომ მარბიელთა ერთმა ნაწილმა უკვე მოასწრო ნადავლითურთ სამეფოს საზღვრებს გარეთ გასელა და კაკ-ენისლის სასულტნოსათვის თავის შეფარება, სადაც კახ-ბატონის ქვეშევრდომთ ხელი აღარ მიუწვდებოდა, მეორე ნაწილი კი, რომელსაც ალაზანზე გადასასვლელი გზა მოკ-რილი ჰქონდა, კისისხევში იმალებოდა.

— უნდა ვიჩქაროთ, მეფევ, — ურჩია ბებურ ვაჩნაძემ თეიმურაზს. — თუ ომანიშვილს დროზე ვერ მივეშველეთ, ვაითუ ლეკები ბევრნი არიან და რკალი ადვილად გაარღვიონ. თუ მიბრძანებ, ას მხედარს გავიყოლებ და გავეშურები. აქაურ ადგილებს კარგად ვიცნობ, მდევარში ბევრჯერ ვყოფილვარ!..

თეიმურაზი დათანხმდა, ანდა რატომ არ უნდა დათანხ-მებულიყო და ბებურ ვაჩნაძემაც სასწრაფოდ შეკრიბა მოხა-ლისეთა რაზმი ალაგში მოქცეულ ლეკებთან შესაბმელად. მისი ვარაუდი სწორი გამოდგა. მარბიელები საკმაოდ ბევრნი იყვნენ, გაცილებით მეტნი, ვიდრე ომანიშვილისა და ჩოლო-ყაშვილის მდევრები ერთად აღებულნი და ეს უკანასკნელი დიახაც საჭიროებდნენ მაშველი ძალის დახმარებას.

როგორც კი კისისხევისაკენ უკანდახეული ლეკები დარ-წმუნდნენ, კახნი ცოტანი ყოფილან და თუ მარჯვედ შეეუტევთ, ვერ გაგეიმკლავდებიანო, აქ ძალები გადააჯგუფეს, ერთ მუშტად შეიკვრნენ და საშინელი ყვირილითა და ღრიანცელით თავდალმა დაეშვნენ, რათა კახ მოისართა მწკრივი გადაეთე-ლათ და ალაზნის ფონისაკენ გაჭრილიყვნენ.

ომში გამოცდილ ომანიშვილისათვის, რომელმაც ლეკების ყველა ხერხი და ილეთი საკუთარი ხუთი თითივით იცოდა, საბედნიეროდ, მოულოდნელი არც ეს აღმოჩნდა. შუბმოღე-რებულ მოიერიშეებს, პატარა ტანის მუხლმაგარ ცხენებს თავბრუდამხვევი სისწრაფით რომ მოაჭენებდნენ, მან მარქა-ფად მდგომი მცირე რაზმის ისრების სეტყვა შეაგება. მოისრები

მარცხენა ფრთიდან ისროდნენ და ძნელი შესამჩნევიც იყვნენ. მოიერიშენი, რომელთაც ვერ გაეგოთ, ისრები საიდან მოდიოდა, პანტაპუნტით ცვიოდნენ ძირს, ან უზანგში ფეხგაყრილი უნაგირს ეკიდებოდნენ, მაგრამ მათი თავგანწირული ამხანაგები კი, სხვა გზა რომ აღარა ჰქონდათ, ამას ყურადღებას არ აქცევდნენ და გაშმაგებულნი სულ წინ და წინ მოიწევდნენ.

ამ დროს გაისმა სწორედ ქართული ვაშა და ჰკა მაგასო ლეკების ზურგსუკან და ჰაერი მზის სხივებზე ალაპლაპებულმა უთვალავმა ისარმა გააპო. ეს ბებურ ვაჩნაძე იყო თავისი რაზმით, რომელმაც შეჭირვებულ თავისიანებს სულზე მოუსწრო და თავგზადაკარგულ მოწინააღმდეგეს მარჯვენა ფრთიდან შეუტია.

შედრკნენ ლეკი მხედრები, რაკი დაინახეს, ორცეცხლშუა მოექცნენ, მდინარე კი ჯერ კიდევ შორს იყო, მეწინავეებმა ცხენებს სადავე მოზიდეს და პირი სამხრეთ-დასავლეთისაკენ იბრუნეს, სადაც, მათი აზრით, მოწინააღმდეგე არ უნდა ყოფილიყო.

ამასობაში მოაწია საქარავნო გზით მომავალმა თეიმურაზმაც და თავისი მოსვლა მტრის თავზარის დამცემი და მოყვრის გულის გამხარებელი ბუკით ამცნო.

— თვით ბატონი მეფე მობრძანდა, მამულიშვილებო, ღმერთი ჩვენთანაა, არ შეშინდეთ! — დასჭყიტა ბებურ ვაჩნაძემ, უნაგირზე წამოიმართა და პირზე დუქმორეული ცხენი იქით გააქანა, სადაც მომხვდურნი და დამხვდურნი ერთმანეთში ჩახლართულიყვნენ და სამკვდრო-სასიცოცხლო ხელჩართული ბრძოლა გაემართათ.

მცირე ამალით გარსშემორტყმული, გულხელდაკრეფილი თეიმურაზი მწვანედ აბიბინებულ ბექობზე იდგა და იქიდან ადევნებდა თვალს ბრძოლის მსვლელობას. ათიოდე წუთი არც კი იქნებოდა გასული, რაც ის აქ იდგა, რომ მდევარ მხედართა ჯგუფს ერთი თავშიშველი მხედარი გამოეყო, რომელსაც ღაწვზე მიყენებული ჭრილობისაგან სისხლი სდიოდა, გულდაგულ მეფეს მოაშურა, ათიოდე ნაბიჯის მოშორებით ჩამოქვეითდა, ცხენი ვიღაცას შეატოვა და თეიმურაზის წინაშე მუხლებზე დაეცა.

— რა ამბავი მოიტანე, ბიჭო? — მიაგება თეიმურაზმა.

— ღმერთმა სიცოცხლე და გამარჯვება ნუ მოგაკლოს, მეფეო! გარბიან, მაგრამ ვინ გაუშვებს! მოსვლა იმათი საქმე იყო, გაშვება ჩვენი საქმეა! ბატონმა ქაიხოსრომ შემოგითვალა,

ეგ ბუკი აქ გამომიგზავნე, ერთი შიგ ჩავაბერინებ, მეფე ვეგონები და ეს ბელზებლის ნაშიერები სულ წაელენ ხელიდანო!

— რაო, რაო? — თეიმურაზმა, აქამდე რომ სიხარულს და სიამაყეს ჰგვრიდა თავისი გამარჯვება, პირველი გამარჯვება, ქვეყნის გამაჩანაგებელ მარბიელ ლეკებზე რომ მოიპოვა, თუმცა თვით ხელის განძრევაც არ დასჭირვებია, წარბი შეიკრა, ომანიაშვილის თამამი შემონათვალი, თითქოს მეფის ტოლი და სწორი ყოფილიყოს, აშკარად არ ესიამოვნა, რას ბედავს ეს თავხედიო, გაიფიქრა და ერთბაშად ვერც კი მოისაზრა, რა პასუხი გაეცა. — შეიპყარით. ორასი ჯოხი მაგას!.. — დაიყვირა აქამდე ყველასათვის, უპირველეს ყოვლისა თავისთვისაც კი უცხო ხმით და მხოლოდ ამის შემდეგ მიხვდა, რასაც მოითხოვდა, მაგრამ შეწყალება, პირიდან გამოსროლილი სიტყვის უკან დაბრუნება უკვე გვიანი იყო.

შუბოსანი მანდატურები, სპარსული წესის თანახმად მეფეს ყველგან მოუშორებლივ თან რომ ახლდნენ და მის სიცოცხლეს დარაჯად უდგნენ, დაჩოქილ, ხელმწიფური წყალობის მომლოდინე, ბრძოლაში დაკოდილ კაცს მისცვივდნენ, ხელები ზურგსუკან გადაუგრიხეს, თითქოს დანაშაულზე წასწრებული ვინმე პირშავი ავაზაკი ყოფილიყვეს, შვილდის საბელით შეუკრეს, გაოცებისაგან ენაჩავარდნილი გვერდზე გაათრიეს, დასაკლავ ხარივით წამოაქციეს და შუბის ტარები დაუშინეს.

რისამე თქმა, უდანაშაულო მსხვერპლის თუნდაც სიტყვით გამოსარჩლება ვერავინ გაბედა, წუთის წინ მშვიდი და ნებიერი მეფე ისე იყო გამძვინვარებული, თავის თავს აღარ ჰგავდა: ასე შურისძიებით შეპყრობილი და გოროზი ის ჯერ არავის ენახა.

შემზარავი სურათის შემყურე თეიმურაზს რისხვამ უფრო დარია ხელი. იგი თავს ღირსებაშელახულად თვლიდა და ამ უდანაშაულო კაცის სამაგალითოდ დასჯა უკვე აღარ აკმაყოფილებდა. აქამდე თავსაც ძლივს უტყდებოდა, რომ ოჯახიშვილობითა და ვაჟკაცობით მთელ კახეთში განთქმული, თავმომწონე, ახოვანი, საკუთარ ძალასა და სიმართლეში დარწმუნებული კაცი ქაიხოსრო ომანიშვილი სწორედ ამავე თვისებების გამო ბალღობიდანვე თვალში ამოღებული ჰყავდა და ამოჩემებულად არ უყვარდა. სჯეროდა და დარწმუნებულიც იყო, რომ პაპა ალექსანდრე და ძია გიორგი მას ზედმეტად

ანებივრებდნენ, მტერზე მოპოებულ ყოველ მცირე გამარჯვებისთვისაც კი მადლობითა და ყმა-მამულით ავსებდნენ და აი, უგუნურ ქაიხოსროსაც პატივი თავში აუვარდა, თავი იმ პიროვნებად წარმოისახა, ვისაც ყველაფრის ნება დართული აქვს და დაუსჯელად შეუძლია ის მოიმოქმედოს, რაც მოეპრიანება!

„ღმერთო ჩემო, როგორ გაბედა და შემოთვალა, შენი ბუკი გამომიგზავნე, შიგ ჩავაბერვინებ, ლეკებს მეფე ვეგონები და უარესად წახდებიანო! —გაიფიქრა თეიმურაზმა და თავისსავე სიტყვებმა ისე გააშმაგა, ისე ააპილპილა, რომ სისხლი თავში აუვარდა. — ახლა თავი მეფედაც წარმოიდგინა და ამას თვით მეფის და ერის წინაშეც აღარ მალავს? ხვალ იქნებ მართლა მოუნდეს მეფობა და ტახტიც მოითხოვოს არა, ამის შენდობა, პატიება წაყრუება და სიცილში ჩატარება, თითქოს არც არაფერი მომხდარიყოს, შეუძლებელია!“

— თავადო თამაზ!

— აქ გახლავარ, მეფეო! — სანახაობით სხვებზე არანაკლებ შეძრული თამაზ ვაჩნაძე წინ წამოდგა, მათრახიანი ხელი გულზე მიიდო და თავი დაუკრა.

— წაიყვანე, რამდენი კაციც დაგჭირდება და ახლავე აქ მომგვარე!

— ვინ, მეფეო?

— ქაიხოსრო ომანიშვილი!.. — მეფემ ხმას აუწია და როცა შეატყო, ვაჩნაძე ფეხს ითრევდა, წასვლას არ ჩქარობდა, შეუტია. — ვერ გაიგონე, რა გიბრძანე, თავადო?

— როგორ არა, გავიგონე, მეფეო, მაგრამ...

— რა მაგრამ?

— ქაიხოსრო ომანიშვილი, ქვეყანამ იცის, ტახტის ერთგული კაცი გახლავს. მე ასე მესმის, თქვენი უდიდებულესობის გასარისხებელი დღესაც არაფერი ჩაუდენია. კაცი გაახლა და გამარჯვება მოგილოცა. იმის მაგიერ, მადლობა გვეთქვა, ჩვენ ის კაცი გავჯოხეთ და სიკვდილზე მივაყენეთ...

— მოთმინებას მთლად ნუ დამაკარგვინებ, თავადო, თორემ, იცოდე, ხელს არავინ მიშლის, შენთვისაც მოვიცალო. მოართვით ცხენი! ქაიხოსრო ომანიშვილი, მკვდარი იქნება თუ ცოცხალი, აქ მომგვარე!

ამალაში სრული სიჩუმე სუფევდა. ამ დღეების განმავლობაში, რაც საზღვრების დასახედავად წამოვიდნენ, კახ დიდებულთა მემკვიდრე ჰაბუკები ისე გაუშინაურდნენ ერთ-

მანეთს, მათ შორის ყოველგვარი წოდებრივი განსხვავება გაქრა და დავიწყებას მიეცა. პირზე რძეშეუმშრალი თავადიშვილები და მათი აზნაურები თვით გვირგვინოსან მეფესაც კი შინაურულად ექცეოდნენ და, წარმოიდგინეთ, ამას არც თეიმურაზი უცხოობდა, არ ამეღავნებდა თავის უპირატესობას. სხვებთან ერთად ლაღობდა, კაფიობდა, ზმებსა და მაჯამებს თხზავდა და გართობა-მხიარულებაში, დოლი იქნებოდა, ნიშანში სროლა, ფარიკაობა თუ რომელიმე სხვა სამხედრო თამაშობა, ისე უბრალოდ და ძალდაუტანებლად მონაწილეობდა, თითქოს მართლაც ამათი ტოლი და სწორი ყოფილიყოს. დღეს ეს პირველად მოხდა; ულრუბლო ცაზე მეხმა დაირგვინა, ახალგაზრდა მეფემ, ყველას დამთმობი, მიმტევებელი და ცხვარივით თვინიერი რომ ეგონა, ზნე და ფერი იცვალა, ლოჯი გამოაჩინა და უკლებლივ ყველას, თვით იმათაც კი, ვისაც აქამდე გამორჩეული ყურადღებით და თავდაბლობით ექცეოდა, მათ შორის ასაკით უფროსებსაც, თავის ადგილზე მიუთითა.

თამაზ ვაჩნაძეს ცხენი მოართვეს და მანაც ზანტად, უაჩქარებლივ შესდგა ფეხი უზანგში, უნაგირს მოევლო, უკვე ამხედრებულ აზნაურებს ანიშნა, მომყევითო და ჩორთით მშრალი ხევის პირისაკენ გაეშურა, საიდანაც ხმალ-შუბის ჩახაჩუხი და საბრძოლო ყიჟინა ჯერ კიდევ ისმოდა.

მარბიელ ლეკებთან ომი, რომელიც თავდამსხმელებისათვის წარუმატებლად წარიმართა, დასასრულს უახლოვდებოდა. მინდორს ქალი თუ კაცი, ბალღი თუ მოხუცებული მოსდებოდა, ახლომახლო სოფლების მცხოვრებნი, დაჭრილ-დახოცილებს კრებდა და ვაი-ვაშით ურმებზე აწყობდა. ზოგი ურემი ჯერ კიდევ ცარიელი იყო, ზოგზე კი სისხლით მოთხვრილი ოთხი-ხუთი მკვდარი გვერდი-გვერდ ესვენა. სხვები აქეთ-იქით გაფანტულ უმხედრო ცხენებს დასდევდნენ, იჭერდნენ და ზედ გადამჯდარნი გამარჯვებული ლაშქრის თავშეყრის ადგილისაკენ მიაჭენებდნენ. ომგადახდილ მოლაშქრეთ მხარგაკრული ტყვეები მოჰყავდათ და თუმცა ისინი თავიანთ შემპყრობთ არ ემორჩილებოდნენ, აქეთ-იქით ულონოდ აწყდებოდნენ და რკინის ხელებისაგან გასხლტომას ლამობდნენ, ასევე მხარგაკრულთა და ნაცემ-ნაგვემთ იმ მწვანე ბორცვის ძირას აჩოქებდნენ, რომელზედაც მცირე ამალისაგნა განცალკევებული ახალგაზრდა მეფე-ბატონი იდგა და მოუთმენლობით შეპყრობილი, როდის მოიყვანდნენ მისი მეფური ღირსების

დამამდაბლებელ ქაიხოსრო ომანიშვილს, დროდადრო ბოლ-თასა სცემდა.

ძველი ჩვეულების თანახმად, არც შემდეგ რომ არ მოუშლიათ, ასეთ დროს გამარჯვებული მეფე გულმოწყალებას იჩენდა და ტყვედ ჩავარდნილ მტერს ათავისუფლებდა, თუ იგი პირობას დასდებდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ამოიკვეთდა ფეხს კახეთიდან და საქრისტიანო ქვეყნის დასარბევად წამოსულ ურდოში თავის დღეში აღარ გაერე-ოდა. ენას ძვალი არ ჰქონდა და სასიკვდილოდ განწირული დატყვევებული ლეკები სიამოვნებით სდებდნენ ამ პირობას და ერთხანს მას მთიელი კაცის კეთილსინდისიერებით კიდევაც იცავდნენ, მაგრამ კარში ჩამომდგარი სიდუხჭირე პატიოსან სიტყვას მალე ატეხინებდა და ისინიც წარბშეუხრელად მიდიოდნენ იქ, სადაც მისებრ ღარიბ-ღატაკის ხარჯზე ხელის მოთბობა, ანდა მტრის მახვილით გულის განგმირვა ელოდა.

არავინ უწყოდა, რა დღე ეწეოდათ დღეს ტყვეებს, ჩვეულებისამებრ პატიოსან სიტყვას ჩამოართმევდნენ და შინ საღსალამათს გაუშვებდნენ, თუ ყველას სათითაოდ ძელზე გასვამდნენ, რათა ეს ამბავი შორს გავარდნილიყო და ძარცვა-ტყვევნის ახალ მოსურნეთ ჭკუის სასწავლებელ გაკ-ვეთილად გამოსდგომოდათ.

თავადი ქაიხოსრო ომანიშვილი არავის მოუყვანია. ის თვით მოვიდა, მოვიდა მარტოდმარტო და არა თამაზ ვაჩნაძისა და მისი აზნაურების თანხლებით, მეფეს თავისებური მძიმე ნაბიჯით მიუახლოვდა, თავი ოდნავ დახარა, აღმოსავლური წესით, როგორც ყიზილბაშ ამირებს სჩვეოდათ, თაყვანი სცა, ბექობზე კი ფეხი არ შეუდგამს, მის ძირში დარჩა.

ყველა გაინაბა. არავის შეეძლო წინასწარ ეთქვა და ეწინასწარმეტყველა, თუნდაც თვით ბექობზე გადმომდგარ მეფეს, ბატონისა და ყმის ეს შეხვედრა რა სახესა და მიმართულებას მიიღებდა.

რაკილა არავინ არაფერს ამბობდა, ნავსი ისე მოსულმა გასტეხა და მეფეს კრძალვით მიმართა:

— დაგიბარებივარ, მეფეო და აი, მეც გეახელი!

— მომიახლოვდი! — უბრძანა თავის მხრივ თეიმურაზმა და შეატყო: პირიდან წვრილი, მრისხანებისაგან ხრინწგარეუ-ლი, წიკვინა ხმა ამოუვიდა და სხვა დროს მეფური სიმშვიდით აღბეჭდილი, შემწყნარებელი სახე, ღვთისმოსავი დედის სახეს

რომ მიუგავდა, საიდანღაც მოვარდნილმა ზიზღმა და შეჩვენებამ დაუმახინჯა.

ქაიხოსრომ ურმის ხუნდიკით მსხვილ, ძლიერ კისერზე მკვიდრად დადგმული თავი მიაბრუნ-მოაბრუნა, ერთხანს ყოყმანობდა, ყურად ეღო და აღესრულებინა თუ არა უზენაესი ხელისუფლებით გაზულუქებული ჯაბუკი მეფის კადნიერი ბრძანება, მერე ისევ თეიმურაზს აჰხედა, რომელიც კვლავ გაუნძრეველად იდგა და ჩუმი თრთოლვით ბრძანების აღსრულებას ელოდა, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ამაზე დამოკიდებული იქნებოდა მთელი მისი მომავალი მეფური ძალმოსილება და ნაბიჯი აუჩქარებლივ დასძრა.

— დაიჩოქე! — იმავე მწივანა ხმით დასძახა თეიმურაზმა, რადგანაც შეატყო, ქებასა და გამუდმებულ გუნდრუკულ კმევას შეჩვეული თავადი მის მბრძანებას მაინც და მაინც დიდად არაფრად აგდებდა, ამას გამომწვევად, ამდენი ხალხის თანდასწრებით ჩადიოდა, რაც ერთხელ და სამუდამოდ დასცემდა მეფის ხელშეუხებულ გაელენას ერის თვალში და მას ყოველი არამზადის სათამაშო ტიკინად აქცევდა. — დაიჩოქე, რაღას მომჩერებიხარ!

— ნუ ინებებ, მეფეო, — ბუნებრივი სიამაყე სძლია და მუდარაგარეული ხმით მიმართა ომანიშვილმა, განძრევით კი არ განძრეულა. — არ მომდგამს გვარით და ჩამომავლობით ვისიმე წინაშე დაჩოქება, გარდა უფალი ღმერთისა, შეგეწიოს იმის მადლი! — მან პირჯვარი გადაიწერა, თან თვალმოუშორებლივ თავზე წამომდგარ თეიმურაზს უყურებდა. — რისთვის ინებებ ჩემს დამცირებას ან ყმა რისთვის გამილახე? გარდა ტახტის ერთგული სამსახურისა, შენს წინაშე განა რა დანაშაული მიგვიძღვის? მინდოდა გხლებოდი, მუხთალ მტერზე გამარჯვება მომელოცა და ტყვეები მომერთმია, შენ კი ნაცვლად მეფური მადლობისა და წყალობისა, ყმა უპატიურად გამილახე და ამოდენა საზოგადოების წინაშე ჩემს დამცირებასაც ინებებ? ვფიცავ მაცხოვარს, — თავადმა პირჯვარი ერთხელ კიდევ გადაიწერა, რათა თავისი სიტყვებისათვის მეტი დამაჯერებლობა მიენიჭებინა. — მაგას არც ღმერთი მოგიწონებს და არც კაცი! ჩემს ჭალარას მაინც ეცი პატივი!..

— დაიჩოქე, მე შენ გეუბნები! მაგდენი ლაპარაკის ნება მე არავისთვის მიმიცია! ამას უყურე, როგორ გაუთამამებია ქურდ-ბაცაცა ლეკების ტყე-ტყე დევნას?! ლამის თავზე დაგვაჯდეს!

— მამის კვალზე წასულხარ, მეფეო, ვაი ჩვენს თავს! იცოდე, ეგ გზა სიკეთემდე ვერ მიგიყვანს!

— როგორ მიბედავ, ქოფაკო! — ამ სიტყვების გაგონებით კიდევ უფრო განრისხებულმა თეიმურაზმა ორად გაკეცილი მათრახი ასწია, დაუშვა, მაგრამ კეთილგონიერებამ უკანასკნელ წამს შეაჩერა, თავადისათვის არ გადაუწნავს.

ომანიშვილი იღიმებოდა, თითქოს ახალფეხადგმული ბალღის ცელქობას შესცქერისო. ამ ღიმილში არაფერი იყო, გარდა მწარე ნაღველისა და დიდსულოვანი შეწყნარებისა.

— დამარტყი, რაღად შეყოყმანდი?! ქოფაკებს სწორედ მათრახით სცემენ. სულ ერთია, მოქნეულს მე მაინც დარტყმად გითვლი! მაღლა ღმერთია მოწამე და ძირს ეს პატიოსანი ხალხი, რომ ტახტისა და შენს წინაშე უბრალო ვარ! ვინ აიკიდა ჩემი ცოდვა, ვინ აგამხედრა?! შინ რომ მიხვალ, ღმერთსა ვფიცავ, აღარ ვიცი, ჩვენს მწყალობელ დედოფალ ქეთევანს რაღა პირით ეჩვენები!

— პირი გამოირეცხე, სანამ დედაჩვენს ახსენებდე! შეკარით ახლავე და ჩემს ფერხთით დააგდეთ!

ეს რომ გაიგონა, აღარ ხუმრობენო, ახლა კი საცრისოდენა თვალები დააბრიალა ქაიხოსრო ომანიშვილმა, წელში მრისხანედ გაიმართა და ხელისსიფართე ყამა ქარქაშიდან სანახევროდ ამოსწია:

— თავი თუ ებრალება, ახლოს არავინ მომეკაროს!..

— ვის ვუბრძანე?! — კიდევ უფრო ჭირვეულად მიმართა მეფემ მანდატურებს, რომლებმაც წელან ომანიშვილის მიერ გამოგზავნილი მალემსრბოლი გაჯოხეს და ყელსმობჯენილ ბოლმისაგან გაფითრებული ტუჩები აუცახცახდა.

— ერთხელ კიდევ გაფრთხილებთ: ხელი არავინ გაანძრიოს, თორემ ვფიცავარ ღმერთს, აქედან ცოცხალი ვერავინ წამივა!

— იქნებ მეც მემუქრები?

— შეგინდოს ღმერთმა, მეფეო!

— მაშ, შენ უკვე მიდიხარ? სად აპირებ წასვლას?

— შინ, მამულში!

— თუ არა გაქვს არავითარი მამული?

— როგორ თუ არა მაქვს, მეფეო, შენი დიდი პაპის, ნეტარხსენებულ ლევანის ბოძებულს და კახბატონ ალექსანდრეს მიერ დამტკიცებულს სადავოდ მიხდი და მართმევ? რა უფლების ძალით, რისთვის, რა დანაშაული ჩამიდენია? ქვეყანა

განა მართლა ჩალით არის დახურული! სამართალს ჩვენც ვიპოვნით! აბა, ვინმემ გაბედოს და კარზე მომადგეს, მე და ჩემი შვილებიც იქ დავხვდებით!

ამ სიტყვებით თავადმა ქაიხოსრომ ქარქაშიდან სანახევროდ ამოწვდილ ყამას ვადაზე ხელისგული დაჭერა, ბოლომდე ჩააგო და გატრიალდა, რათა ცხენზე შემჯდარიყო, რომელიც შინაყმას ეკავა სადავით და თავს აქამდე ძლივს უკავებდა. ყმამ, მხარზე შვილდგადადებულმა მოისარმა, დაძახებაც ვერ მოასწრო, ბატონო, უკან მიიხედე, ღალატიაო, დაბნეულმა ვეღარც ცხენის სადავეს უშვა ხელი, რომ ქაიხოსროს უკანიდან ეძგერნენ. ერთმა შუბის ტარი დასცა თავში, ორი ხელებზე დაეკიდა, ხოლო მეოთხემ ყელში საბელი მოსდო და მთელი ძალით უკან გადაჰქაჩა.

ქაიხოსროს, ამ მართლაც და მთაკაცის, ერთბაშად წაქცევა მაინც ვერ მოხერხდა. ტყავის სარქმელმა შუბის ტარს დარტყმა შეუნელა, ხელებზე დაკიდებული მუხანათები კი გოლიათური ტანის შერხევით ჩამოიფერთხა, მაგრამ ამათ ნაცვლად ახლა სხვები ეძგერნენ, ნიკაპქვეშ ამოდებული თოკიც მეტი მონდომებით დაჰქაჩეს და ქაიხოსროც ნელ-ნელა უკან-უკან გადაიზნიქა, სულ ბოლოს კი თავგაბრუებულსა და სუნთქვაშეგუბებულს ბალახზე ფეხი აუცურდა და გულაღმა დაეცა. აქ კიდევ გაიბრძოლა, ზეზე წამოვარდნა და ქარქაშიდან სატევრის ამოღება დააპირა, მაგრამ ამჯერად თავზე ღობიდან ამოგლეჯილი მარგილი დაჰკრეს, დაჰკრეს ისე მაგრად და გამეტებულად, რომ თვალებიდან ნაპერწკლები წამოსცვივდა და იმავე წამს გონება დაჰკარგა.

თავი XXVII

ასინეთთან ერთად საღამოს წირვიდან მობრუნებულმა ქეთევანმა შემოგებებულ დიდებულებს აფორიაქება შეატყო და ორივე ხელი ღაწვებზე იტაცა:

— ღმერთო ჩემო, მოხდა რამე? ცუდი ამბავია?

— ვერაფრით გაგახარებთ, დედოფალო, — ნაბიჯი წინ წარსდგა და ყველას მაგიერ უპასუხა სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ.

— თქვით ჩქარა, ღვთის გულისათვის, რაღას გვაწამებთ! გაგვასწრეს ლეკებმა, მდევარი ხელცარიელი დაბრუნდა?

— უარესი მოხდა, დედოფალო!

— რა მოხდა, რა?

— მეფის ბრძანებით თავად ქაიხოსრო ომანიშვილს თვალები დასთხარეს!

— ვაი ჩემს დღეს უბედურს, ეს რა მესმის! — ქეთევანს მუხლი მოეკვეთა და ღონემიხდილი იქვე ჩაიკეცებოდა, ასინეთსა და შერმაზან ჩოლოყაშვილს რომ არ ემარჯვათ და ხელი დროზე არ შეეშველებინათ. — სად მოხდა ეგ ამბავი?

— კისისხევში, დედოფალო!

— ჩემდა მეხდასაცემად თეიმურაზი იქ საიდან გაჩნდა?

— ჩალაუბნიდან მობრუნებულიყო დედოფლის წყაროში მიმავალი. მოეხსენებინათ, ლეკები დაგვეცნენო და გეზი ეცვალა, ჯარი ანდრონიკაშვილისა და ომანიშვილის მისაშველებლად დაეძრა. ბატონი ბაქარი უკვე სასახლეშია და თქვენი უდიდებულესობის დაბრუნებას ელოდება!

— შემოიყვანეთ!

პირდაპირ ბრძოლის ველიდან მოსული ქიზიყის მოურავი რომ დარბაზში შემოვიდა, ფერმიხდილი დედოფალი სავარძლის ზურგზე იყო მისვენებული, თავს სეფექალები დასტრიალებდნენ და დამამშვიდებელ წვეთებს ასმევდნენ, გულხელდაჭდობილი დიდებულები კი ჭირისუფლებივით იდგნენ შორიახლო და ხმადაბლა მასლაათობდნენ, კისისხევთან მომხდარ უბედურებას არჩევდნენ.

ანდრონიკაშვილი დედოფალს ღრმა თავის დაკვრით მიესალმა და, როგორც წესი მოითხოვდა, მისგან მოშორებით გაჩერდა.

— თქვენ ამ ამბავს პირადად დაესწარით, თავადო? — ღონე მოიკრიბა და ჰკითხა ქეთევანმა.

— დიახ, დედოფალო. — რა მოხდა, რამ გამოიწვია მეფის ასერიგად განრისხება?

— ბატონ ქაიხოსროს კაცი ეახლებინა, შენი ბუკი გამომიგზავნე, ჩავბერავ, ლეკებს თვით მეფე-ბატონი ვეგონები, შეშინდებიანო.

— მერე?

— სწყენოდა მეფეს, ეს როგორ გამიბედაო.

— სულ ეს არის?

— დიახ, ეს გახლავთ, დედოფალო.

— ვაი ჩემს თავს! შაჰის კარზე არ უნდა გამეგზავნა მე სვეგამწარებულს, ეს საბედისწერო ნაბიჯი არ უნდა გადამედგა!

მე, უგუნურმა დედაკაცმა, თვით დავღუპე საფიცარი შვილი, სულის წაწყმედის გზაზე დავაყენე! ვაი ჩემს თავს! მბეცურ სისასტიკეს და ქვეშევრდომების უდიერ მოპყრობას ეგ ჩემი ცოდვით სავსე სპარსეთში შეეჩვია, თუმცა უკეთესი მაგალითები არც შინ უნახავს! ცოდვის ზღვაში ვცურაეთ! თავადო შერმაზან, ეს რა ცუდად შეგისრულებია უბედური დედის ხვეწნა-მუდარა!

შერმაზან ჩოლოყაშვილი, თავჩაქინდრული და სხვებივით მგლოვიარესავით გულხელდაკრეფილი, სხვა დიდებულებთან ერთად იდგა დარბაზის კუთხეში და გაგონილით თავზარდაცემულს დანა კბილს არ უხსნიდა.

— კიდევ რა მოხდა იქ? — ქეთევანმა კვლავ ქიზიყის მოურავ ბაქარ ანდრონიკაშვილს მიმართა. — ეს არის მოგვახსენეს, რომ თავად ქაიხოსროს თავს დატეხილი უბედურება არ აკმარეს და ხალხი დაუხოცეს!

— მართალი გახლავთ, დედოფალო!

— იმათ რაღას ემართლებოდნენ?!

— წინააღმდეგობა გასწიეს, თავიანთი ბატონის მოტაცება და შინ წაყვანა მოინდომეს!

— მაშ, ერთმანეთი დახოცეთ, კაენის ცოდვა ჩაიდინეთ, სამშობლოს მტერი და ორგული გაუხარეთ? ვაი ჩემს დღესა!..

— მეფის ბრძანებას ვერ გადავედით, დედოფალო!

— წაბრძანდით ყველა, მარტო დამტოვეთ!..

უწლოვან ბალღებივით დატუქსულმა დიდებულებმა ერთმანეთს შეხედეს და შემდეგ ისევ სახლთუხუცესმა ნოდარ ჯორჯაძემ შეკბედა:

— არ იქნება ახლა შენი მარტო დატოვება, დედოფალო, ქალებს მაინც დართე ნება...

ქეთევანმა ცხრა ცრემლით გალუმპული სახე ასწია, უხმოდ წამოდგა, კალთები აიკრიფა, დერეფანში გავიდა, საიდანაც კიბეს კარის ეკლესიაში ჩაყავდი და იმ კიბეს მარტოდმარტო ჩაუყვა.

ახალი ნანათლები იყო, გარეუბნებში მამლები ყიოდნენ, თავისი ამალითა და მხლებელი ჯარით თეიმურაზი რომ სატახტო ქალაქის კედელს მოადგა. ჯარი მოედანზე, ქარვასლის წინ დასტოვა, თავად კი მარტო ძმები ვაჩნაძეები იახლა და სასახლეში შებრძანდა. მოედნიდანვე ჩანდა: ყველა სარკმელი განათებული იყო, დერეფნებსა და კიბისთავებში ჩირაღდნები ენთო და იქაურობას რაღაც არაამქვეყნიურ,

მოყვითალო შუქს ჰფენდა. ეტყობოდა, სასახლეს არ ეძინა, მეფის მოლოდინში მთელი ღამე თეთრად გაეთენებინა. არ ეძინა, რასაკვირველია, არც ბატონ დედას, დედამიწის ზურგზე ერთადერთ არსებას, ვისთან გარდაუვალი შეხვედრაც თეიმურაზს აუხსნელ შიშს ჰგვრიდა და საზღაურად რას არ დასთმობდა, ოღონდ ეს შეხვედრა უკვე მოლეული ჰქონოდა!

სეფექალებმა, თავიანთ სათაყვანებელ დედოფალთან ერთად რომ ტეხდნენ ღამეს და მას მარტოდმარტო მხოლოდ ხატებთან სტოვებდნენ, კიბეზე ამოსულ მეფეს მდაბლად თაყვანი სცეს და მზერა ოქროთი მოვარაყებულ მაღალ კარს მიაპყრეს, ეკლესიაში ბრძანდება, ლოცულობსო.

ქეთევანი შვილს მართლაც იქ დაუხვდა. იგი ღვთისმშობლის ხატის წინაშე იყო დამხობილი, მთელი არსებით ზენაართან შერწყმული ლოცულობდა და საყდარში შვილის შემოსვლა და ფეხაკრეფით მოახლოება არც კი გაუგია. თეიმურაზმა დაჩოქილ დედის უკან მოიყარა მუხლი, ხატიდან მშვიდად გადმომზირალ ღვთისმშობელს, რომელსაც კალთაში ყრმა იესო უჯდა, კრძალვით მიაჩერდა, პირჯვარი თავადაც სამგზის გადაისახა და მხოლოდ ამის შემდეგ მისცა თავს ნება მლოცველისათვის ხმადაბლა, მიმქრალი ხმით მიემართა:

— ბატონო დედა!..

ქეთევანი არ შემკრთალა, რადგანაც კარგა ხნის უნახავი შვილის მოსვლას ყოველ წამს მოელოდა, მხოლოდ არ უნდოდა, თეიმურაზს ლოცვისას მოესწრო. ამიტომაც სეფექალები გააფრთხილა, ჩემს საძინებელ ოთახში შევიდეს და იქ დამელოდოსო, მაგრამ თავიანთი მეფის უჩვეულოდ დამწუხრებული სახის დანახვაზე სეფექალებმა თავგზა დაკარგეს, თეიმურაზს წინ ვეღარ გადაუდგნენ და ღვთისმშობლის ხატის წინაშე გულმხურვალედ მლოცველ დედას ისიც თავზე უდროო დროს წამოადგა.

ქეთევანმა ლოცვით შთაგონებული სახე მოაბრუნა, აჰხედ-დაჰხედა, შვილი თვალით გაზომა, თითქოს სურს დარწმუნდეს, ნამდვილად ის არის თუ არაო და მხოლოდ ამის შემდეგ გაიწოდა ორივე ხელი, რათა ის ახლოს მოეხმო და დედაშვილური მოუთმენლობით გულში ჩაეკრა.

— ეს რა მწუხარება დამატეხე თავს, შვილო თეიმურაზ, ეს რა ახალი ჯავრი გამიჩინე! სადღა გამოჩნდე, შინაურს თუ გარეშეს თვალი როგორ-ღა გავუსწორო!

— მაპატიე, ბატონო დედა, არ მეგონა, თუ ასე გეწყინებოდა

— როგორ თუ არ გეგონა! როგორ თუ მეწყინებოდა! შენივე ტახტის ერთ უერთგულეს ყმაზე ხელი აღმართე, ღვაწლმოსილი, უდანაშაული კაცი, ვინც ჩვენგან მხოლოდ მადლიერებას და წყალობას ელოდა, თვალების დასათხრელად გაიმეტე, ყმები დაუხოცე, ისე მოექეცი, როგორც ურჯულო ყიზილბაში და ახლა ღმერთს სცოდავ, ამბობ, ამას არ ვიზამდი, რომ მცოდნოდა, თუ დედას ასე ეწყინებოდაო?

— ქაიხოსრო ომანიშვილი თავს გავიდა, ბატონო დედა, თქვენმა ლმობიერებამ და წამდაუწუმ გუნდრუკის კმევამ მეტისმეტად გააამაყა! ეს მისი უსაზღვრო თავმომწონეობა სხვებსაც, მეტადრე ყმაწვილ კაცებსაც რომ არ გადასდებოდა, ყველას თვალწინ სამაგალითოდ უნდა დასჯილიყო და დაისაჯა კიდევაც!

— ვაი ჩემს თავს! მე კი მეგონა, რომ აქ მონანიების სურვილმა მოგიყვანა!

— მე მოსანანიებელი არაფერი მჭირს, ბატონო დედა! ნუ დაგავიწყდება, რომ მირონცხებული მეფე ვარ და ეს მაიძულებს, ზოგჯერ ის მოვიმოქმედო, რაც შეიძლება გულით არ მინდოდეს! სხვაგვარად სამეფოში წესრიგი და უმცროს-უფროსობა არ დამყარდება, ყველა განაპირდება და თავზე წამოჯდომას მოინდომებს! თვით სულმნათმა რუსთაველმა ბრძანა, შიში შეიქმს სიყვარულსაო!

— შენ რუსთაველი სხვა თვალით წაგიკითხავს, შვილო და იქიდან ის აგიღია, რაც შენს საქციელს გაამართლებს! რუსთაველმა ისიც ხომ ბრძანა, უხვი ახსნილსა დაამბამს, იგი თვით ების, ვინ ებისო. უხვი განა მარტო ის არის, ვინც ხელგაშლილია და საბოძვარს უშურველად გასცემს. უხვია ისიც, ვისაც მოყვასისათვის სიყვარული არ ენანება, რადგანაც მოყვასის სიყვარული ის ზენა ძალაა, აწყვეტილს რომ შეაჩერებს და ავის მოქმედს კეთილის ქმნისაკენ შემოაბრუ-ნებს! შურისძიებით და ბოროტის წილ ბოროტის მიგებით სოფელი არ აშენებულა, პირიქით, აშენებული დანგრეულა, ვინაიდან დიდი დღე არ უწერია იმ ტაძარს, რომელიც ღვთისა და მოყვასის სიყვარულზე არ არის დაფუძნებული. შენ კი ამბობ, თუ ქვეშევრდომები სისასტიკით არ მოვდრიკე და სიყვარული გულში შიშით არ ჩავუნერგე, ისე უმცროს-უფ-როსობა არ დამყარდება და ყველა თავზე წამოჯდომას

მოინდომებსო. ვშიშობ, შვილო, თეიმურაზ, შენი წინდაუხედავი საქციელი დიდ ზიანს მოგვაყენებს, ერთგულთ გაგვიორგულებს, ორგულები კი კიდევ უფრო გაბედულად გააკეთებენ თავიანთ შავბნელ საქმეს!

— თუ მიბრძანებ, მარტოდმარტო წავალ, ფეხებში ჩავუვარდები და პატიებას ვთხოვ!

— საქებია ეგ შენი მონანიების წყურვილი. ეგ ხომ იმას მოასწავებს, რომ ჯერ მთლად არ დავღუპულვართ, ჯერ კიდევ შეიძლება შენი სულის ხსნა. ილოცე წრფელი გულით, შეევედრე უფალ ღმერთს, რომ შეგინდოს შენი წვრილმანი გულზვიადობა და დაუფიქრებელი საქციელი, რომელიც უწმინდური ძალის კარნახით ჩაიდინე. აღუთქვი, რომ ეს პირველი და უკანასკნელი იქნება, რომ ამიერიდან ღვთის უნებურ ნაბიჯს აღარ გადადგამ. რაც შეეხება თავად ქაიხოსროს, მასთან მისვლა და საქვეყნოდ ბოდიშის მოხდა უფრო დაგამცირებს და მეფურ ღირსებასაც უფრო შეგილახავს, ვიდრე კისისხევში დატრიალებულმა უსამართლობამ შეგილახა. მე თავად ვიღონებ რამეს, ჩემი სახელით ჯორჯაძეს და მაყაშვილს მივუგზავნი, იქნებ თავადი შერმაზანიც შევაწუხო. ისინი ეტყვიან, რომ შენ სწუხხარ და მზადა ხარ, ყველა ღონეს მიმართო, რათა ჩადენილი დანაშაული გამოისყიდო!

— ყველაფერს ისე ვიზამ, ბატონო დედა, როგორც შენ მიბრძანებ, ოღონდ კი... შენ მაპატიე!

— დედის გული მაშინაც კი გლოცავს, შვილო, როცა ენა გწყევლის, შენი დაწყევლისაგან კი ღმერთმა დამიფაროს! ახლა ილოცე და წადი. უკვე თენდება. რახანია, მამლები ყივიან. მეც წავალ, თვალს მოვატყუებ, თუმცა ახლა რაღა დროს ძილია!..

თავი XXVIII

კასპიისპირა მიწების დალაშქვრის მიზნით ყარაბახში მოსული შაჰ-აბასი, თუმცა ოსმალეთის სულთან მურადისათვის თვალის ასახვევად სპარსეთშივე ხმა ჰქონდა დაყრილი, გურჯების ქვეყნებში მივდივარ იქ ჯეროვანი წესრიგის დასამყარებლადო, იმავე 1606 წლის ზაფხულის დამდეგს იძულებული გახდა, გუდა-ნაბადი აეკრიფა და სამშობლოში დაბრუნებულიყო.

სამეფოს სამხრეთ ნაწილში, სპარსეთის ყურის პირას, დღემუდამ შფოთისა და ჯანყის მოყვარული ბელუჯისტანი ამბოხებულიყო, ყაენის შინ არყოფნით ესარგებლა, მის მიერ დაყენებულ ხელისუფალთ ცეცხლითა და მახვილით გასწორებოდა და თავი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოეცხადებინა.

ეს ურჩობა და შაჰის უზენაესი განმგებლობისაგან თავის დაღწევის მცდელობა ბელუჯთაგან პირველი არ იყო, მაგრამ თითქოს წინასწარვე განწირულები არიანო, მცდელობა ყოველთვის მარცხით მთავრდებოდა.

შაჰი აღაშფოთა ბელუჯთა ახალმა გამოხდომამ. უკეთუ მათ ეს შერჩებოდა, ბელუჯისტანის მაგალითს სამეფოს სხვა, ამაზე ბევრად მეტი საბეგლარბეგოებიც მიმართავდნენ და მაშინ თვით შაჰ-აბასისა და მისი უახლოესი თუ შორეული წინამორბედების მიერ იარაღის ძალით შეკოწიწებული სპარსეთი, მეფეთ-მეფე კიროსის სპარსეთი, ოდესღაც დიდ ალექსანდრე მაკედონელს რომ უმკლავდებოდა, შემადგენელ სამეფო-სამთავროებად დაიშლებოდა და მის ხელახლა შეკოწიწებას ვერა ძალა ვეღარ შესძლებდა. ამიტომაც შირვანისაკენ სალაშქროდ განმზადებული ყაენი მოულოდნელად აიყარა და შორეული ბელუჯისტანის გზას იმ იმედით გაუდგა, რომ მომდევნო წლის ამავე დროს მაღალი ალაპის შეწევნით კვლავ მობრუნდებოდა, შირვანს დალაშქრავდა და შემახაში თავის ბეგლარბეგს დასვამდა.

შაჰის იძულებითი წასვლით მსწრაფლ ისარგებლეს ოსმალებმა, რომლებიც შემახაში კელავინდებურად მკვიდრად ისხდნენ, თავიანთ გავლენას განძაც დაუმორჩილეს და მოლაპარაკება გამართეს გიორგი ქართლის მეფესთან, ქვემო ქართლისა და ტფილისის ციხეებში თავიანთი მეციხოვნე ჯარის ჩაყენება სთხოვეს, ვინაიდან, უკეთუ შაჰი ამბოხებულ ბელუჯთ სძლევდა და დათქმულ დროს კვლავ ყარაბახში გაჩნდებოდა, მისთვის ერთობლივი წინააღმდეგობა გაეწიათ და აქედან ერთხელ და სამუდამოდ გაედევნათ. სამაგიეროდ ოსმალები ქართლს შაჰის მიერ წართმეულ ლორესა და დებედის ხეობას დაპირდნენ, რომლებიც დღესდღეობით კვლავ ყიზილბაშებს ეჭირათ და იქიდან ფეხის მოცვლას არც არასოდეს აპირებდნენ.

ქართლელი დიდებულები წინ აღუდგნენ ოსმალთა მოთხოვნას, თავიანთ მეფეს შაჰ-აბასთან ურთიერთობის აწეწვას, მის ხელახლა გადამტერებას არ ურჩევდნენ, მაგრამ უკვე

სიბერით დაუძლურებულმა გიორგი მეფემ, თუმცა ამ დროს მწოლიარე ავადმყოფი იყო, ხასიათის უჩვეულო სიმტკიცე გამოიჩინა, ლორესა და დებედას ხეობის უკან დაბრუნების იმედით ტფილისის ციხის გასაღები ოსმალთ ჩააბარა.

მთელი ზაფხული და შემოდგომა სპარსეთიდან ერთმანეთის საწინააღმდეგო ხმები მოდიოდა. ზოგი ხმის თანახმად, შაჰ-აბასს მშობლიური ადარბადაგანი და ქურთისტანიც აუჯანყდნენ, კავკასიიდან უკან გამობრუნებულს თავრიზთან ომი გაუმართეს, დიდი ზარალი მიაყენეს, მაგრამ შემდეგ თავადაც დამარცხდნენ და სრული განადგურებისაგან გადასარჩენად თავი ქურთისტანის მიუვალ მთებს მისცესო.

ნამარიობებს განძაში თავრიზელი ეაჭრები მოსულიყვნენ და ეს ამბავი სწორედ მათ უარეყოთ. ყაენმა თავრიზი შეუჩერებლივ გაიარა და სატახტო ქალაქ ისპაჰანსაც მშვიდობით ჩააღწია, სადაც ჯარი შეივსო, ნუზლი მოიმარაგა და უდაბნოს გზით სამხრეთისაკენ, ბელუჯისტანის დასასჯელად გასწიაო.

გრძელმა და უხვთოვლიანმა ზამთარმა სრულ უამბობაში გაიარა. მხოლოდ შუა დიდმარხვაში გაჩნდა ცნობა, რომ შაჰ-აბასმა, რომელმაც თავისუფლების მოტრფიალე ბელუჯთა აჯანყება სისხლში ჩაახრჩო, აჯანყების მოთავეები ხეებზე დაჰკიდა, იქ სრული სახელმწიფოებრივი წესრიგი აღადგინა, რაც ახალი, უფრო სანდო ბეგლარბეგის დანიშვნაში გამოიხატა, დიდძალი ჯარით თავრიზი გამოვლო და გეზი ჩრდილოეთისაკენ აიღო.

ეპვი არ იყო, შაჰმა სანდო წყაროებიდან იცოდა, რაც მისი აქ არყოფნის დროს კავკასიის ქვეყნებში მოხდა და ახლა მიზნად თავისი შერყეული მდგომარეობის აღდგენა დაესახა.

შეშფოთდნენ ისნის სასახლეში, არანაკლები შიშიანობა ჩამოვარდა კახეთშიაც, თუმცა მწყალობელი შაჰის წინაშე თეიმურაზი პირნათელი იყო და მას ქვეყანაში სამტროდ შემოჭრის არავითარ საბაბს არ აძლევდა.

აპრილის ორს შაჰ-აბასმა არაქსი გადმოვლო. ჯულფაში მას ერევნის ხანი მოეგება ყაენის მიერ დაბარებული ჯარით. რამდენსამე დღეს ნახჭევანში დაისვენეს, აღალი მოაწესრიგეს და საშინელ სიცხე-პაპანაქებაში, აქ ადრიან გაზაფხულიდანვე რომ ჩამოწვება ხოლმე, ყარაბახის მოტიტვლებულ გორებს შეუდგნენ.

ეს საგანგაშო ამბავი მეფე თეიმურაზმა და მისმა მაყრიონმა ოზურგეთს შეიტყო, სადაც ხანგრძლივი მოლაპარაკებისა და შუამავლების მისვლა-მოსვლის შემდეგ, გურიის მთავარ მამიას ასული ანა დანიშნა და რადგანაც გვირგვინოსანი მეფე ჩქარობდა და დროც მეტს აღარ ითმენდა, ჯვრისწერაც იქვე, შემოქმედის მონასტერში უნდა მომზდარიყო.

გურიის მთავართან დამოყვრება დედოფალ ქეთევანის ნება - სურვილით ხდებოდა, რასაც დარბაზის წევრი დიდებულებიც უყოყმანოდ იზიარებდნენ. ქეთევანმა სახიფათოდ ჩათვალა ტახტის ქვეშევრდომი რომელიმე კახი დიდებულის მძახლად მოკიდება, რათა ამით სხვები არ გაენაწყენებინა და მათ შორის ძალაუნებურად უთანხმოება არ ჩამოეგდო. ამიტომ სარძლოს თავისი სამეფოს ფარგლებს გარეთ ეძებდა და ბოლოს არჩევანი გურიელის მშვენიერ ასულზე შეჩერდა.

პირის სანახავად გაგზავნილმა შერმაზან ჩოლოყაშვილმა და ლუკა მაყაშვილმა სადედამთილოს ანას ახალთ-ახალი ხატი მოართვეს, რომელსაც ჯერ კიდევ ზეთის სუნი ასდიოდა. ქეთევანმა ხატს საბურველი გადახადა, დახედა და ნაღვლიანი თვალები ერთბაშად გაუნათდა.

— მართლა ასეთია? ხომ პირადად ნახეთ?

— რასაკვირველია, დედოფალო! — ერთხმად მიუგო ორივე თავადმა.

ხატიდან პირმრგვალი, თვალებბრიალა, ტუჩებაბურცული თოთხმეტი-თხუთმეტი წლის გოგონა იყურებოდა. თითქოსდა სპილოს ძვლისაგან გამოქანდაკებული ნატიფი ცხვირი მას ოდნავ კეხიანი ჰქონდა, გამჭვირვალე ყურები — პაწაწინა, ხოლო ნიკაპი წინ წამოდგმული, რაც ქალური მიმზიდველობით აღბეჭდილ სახეს კიდევ მეტ ქალურობას ანიჭებდა. შინაგანი შუქით გასხივოსნებული სახის დამამშვენებელი იყო ბუნებრივად დატალღული, მუშკივით რბილი, ხშირი თმა, რომელიც გადატეხილ სპეტაკ შუბლსა და სიფრიფანა ყურის ბიბილოებს ძლივს შესამჩნევად უფარავდა.

— აჩვენეთ თეიმურაზს. მე მგონია, უკეთეს სასძლოს ვერც კი ვინატრებთ, ნამდვილად სადედოფლო ქალია!

დედაზე ნაკლებ არც ჭაბუკი მეფე აღაფრთოვანა ანას ხატმა. გურიელის ნორჩი ასული როგორღაც ბატონიშვილ ხორეშანს მიამსგავსა და მის მიმართ პირველი დღიდანვე უნაზესი გრძნობით განიმსჭვალა.

რაკი სასძლოს მშობლებისაგან თანხმობა უკვე მიღებული იყო, ქეთევანს ამ საქმის გადადება და გაჭიანურება აღარ ურჩიეს. ასეთი იყო თვით თეიმურაზის ნებაც, რომელიც თავის საბედოსთან შეხვედრას მოუთმენლად ელოდა და ბრწყინვალე შვიდეულის შაბათს, აპრილის 7-ს, ხუთასი ცხენოსნისაგან შემდგარი მაყრიონი, რომელთა შორის თითქმის მეოთხედი მანდილოსნები და კახ დიდებულთა გაუთხოვარი ასულები ერივნენ, მუხრანში გადასასვლელ უმოკლეს გზას დაადგა, რათა შიდა ქართლში ტფილისის მოუვლელად გადასულიყვნენ.

ქართლის სამეფო კარზე უკვე იცოდნენ მეფე თეიმურაზისა და გურიის მთავარ მამიას ასულ ანას მოსალოდნელი დაქორწინების ამბავი და დედოფალ ქეთევანს ბრძნულ გადაწყვეტილებას უწონებდნენ. ნათესავური კავშირების გამბმას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ორივე მხარე ყოველთვის ესწრაფვოდა და იგი ავბედობის ჟამს დაქუცმაცებული საქართველოს კვლავ გაერთიანებისა და განუყოფელი სამეფოს შექმნის საწინადრად მიაჩნდა.

თეიმურაზსა და მის მაყრიონს მუხრანში თვით ბატონიშვილი ლუარსაბი დაუხვდა ბრწყინვალე ამალის თანხლებით, ქართლური გულითადობით უმასპინძლა და იმიერ საქართველოში მიმავალნი სურამის გადასახედებამდე გააცილა.

თეიმურაზმა მშვენივრად იცოდა, რომ პატივის უცემლად და სატახტო ქალაქ ქუთაისში მიუპატიჟებლად არც იმერთა მეფე გიორგი გაუშვებდა, რაც ისედაც გრძელ გზას კიდევ უფრო გაუგრძელებდა და გურიელის ასულთან შეყრას ერთი ან ორი დღით გადასწევდა, მაგრამ ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ უბრალდ გავლა მაინც არ ივარგებდა და ჩხერის ციხიდან, საიდანაც მეფე გიორგის საბატონო ქვეყანა იწყებოდა, კაცები დააწინაურა და, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, იმერთა ბატონს გურიის სამთავროში გადასასვლელად გზა სთხოვა.

წარგზავნილებს ცხენები ჭენებით დაეხოცათ, ერთობ ჩქარა ეელოთ და აქეთ სამოყვროდ მომავალი ჭაბუკი კახბატონის თხოვნა დანიშნულებისამებრ გადაეცათ. შორაპანში მეფეონს გრემში პატივნაცემი იმერელი ბატონიშვილები, მეფე გიორგის ძენი, ბაგრატ და ალექსანდრე, მოეგებნენ. მათ კახბატონს მეფე გიორგის მიპატიჟება გადასცეს, რომელიც საყვარელ თანამოძმეს სატახტო ქალაქ ქუთაისში ელოდებოდა

და ძირულის პირას, მწვანე მოლზე გაშლილ სახელდახელო სუფრაზე მიიწვიეს.

მოყვრული დახვედრით უაღრესად ნასიამოვნებ თეიმურაზს პურმარილის მიღებაზე, რასაკვირველია, უარი არ უთქვამს, გულითაც მოილხინა, მაგრამ ბატონიშვილებს ის კი სთხოვა, მამად სახად გიორგი მეფესთან ბოდიში მომხადეთ, რადგანაც მის სტუმართმოყვარულ თხოვნას ვერ ვასრულებ, მაგრამ თუ გარემოებამ ხელი შემიწყო, აქეთობას აუცილებლად გინახულებთ და ვისარგებლებ მისი უდიდებულესობის განთქმული სტუმართმოყვარეობითო.

გურიის მთავრის კარზე ერთობ ღელავდნენ. კახეთის მირონცხებული მეფის მობრძანება დიდმარხვას დაემთხვა. სამარხვო პურმარილით ამოდენა სუფრის გაწყობა და ამდენი ხალხის ჯეროვნად გამასპინძლება ადვილი საქმე როდი იყო. ამიტომაც ურჩევდნენ მთავარს, განსაკუთრებით სამღვდელო პირები — ჯუმათელი, შემოქმედელი და ხინოწმიდელი ეპისკოპოსები, ნიშნობა, რომელსაც შემდგომ, ვინ იცის, ჯვრისწერა და ქორწილიც მოჰყოლოდა, როგორმე ნააღდგომებისათვის გადაეტანათ. თავად მამიაც ამ აზრისა იყო, მაგრამ კახ დიდებულებს აშკარად ემჩნეოდათ, რომ საქმის გადადებას შეიძლება მისი ჩაშლა მოჰყოლოდა და ისიც იძულებული გახდა, ერთადერთი ასულის გასტუმრების სამზადისს შესდგომოდა.

შაჰ-აბასის ყარაბახში მოსვლის და ქართლ-კახეთის თავზე ახალი საავდრო ღრუბლის ჩამოწოლის ამბავი მთავარმა მამიამ, კახბატონის სასიმამრომ, მაშინ უკვე იცოდა, როცა გვირგვინოსანმა სასიძომ მისი სასახლის ზღურბლს გადმოაბიჯა, მაგრამ, როდესაც დარწმუნდა, ამ შემაშფოთებელ ცნობას, ციხისძირელმა მებადურმა აჭარლებმა რომ ამოუტანეს, ჯერ მეფის ყურამდე არ მიეღწევიაო, პირში წყალი ჩაიგუბა და არაფერი გაუმხილა.

ნიშნობამ მშვიდობიანად ჩაიარა. რაც მთავარია, კახბატონი აღტაცებული იყო თავისი დანიშნულით, რომელიც ბევრად უფრო მიმზიდველი და მომხიბლავი გამოდგა, ვიდრე მხატვარს ხატზე ჰყავდა გამოსახული.

ანა დარცხვენილი იყო. მით უფრო მას შემდეგ, რაც მარჯვენა ხელის არათითზე საქორწინო ოქროს ბეჭედი წამოაცვეს. სახეზე ალმური ასდიოდა და ხანდახან მალულად თუ ამოხედავდა ხოლმე თავის მომავალ თანამეცხედრეს,

რომელიც დანახვის უმალვე გულში ჩაუვარდა და უმისოდ ცხოვრება უკვე ვეღარ წარმოედგინა.

— ბატონო მამია, — სიცილით უთხრა თავადმა შერმაზანმა მეფის სასიმამროს, როცა საამისოდ დრო იხელთა და სასაუბროდ დაიმარტოხელა. — ცოდვას დავიდებთ და წაეწუდებით იმ ქვეყანაში, ეს გვრიტები რომ ერთმანეთს დავაშოროთ!

— როგორ თუ დავაშოროთ, თავადო? — მკვირცხლი გონების პატრონი გურიელი ერთბაშად ვერ მიხვდა, კახბატონისა და თვით დედოფალ ქეთევანის საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი დიდებული რას უარაკებდა.

— ბარემ ჯვარიც დაგვეწერა და საქმე დაგვემთავრებინა?

გურიელი დაფიქრდა, ქაღარაგამორეული ხშირი შავი წვერი ხელში მოხვეტა და მცირეოდენი ფიქრის შემდეგ სტუმარს თვალი თვალში გაუყარა:

— წესი არ არის, მაგრამ ამ არეულ დროში როდის-ღა მოახერხებს ჩემი ბატონი სიძე კიდევ ჩამობრძანებას და ციცას წაყვანას?!

თავადმა შერმაზანმა, ქართული ენისა და მწიგნობრობის შესანიშნავმა მცოდნემ, იცოდა კუთხური სიტყვა „ციცა„ იგივე ასული იყო, ოღონდ მამის მიერ მოფერებით თქმული, მაგრამ რად უნდა გასჩენოდა გურიელს ეჭვი, რატომ უნდა გასჭირვებოდა კახეთის მეფეს სადედოფლოდ დანიშნული ქალის წასაყვანად გურიაში ჩამოსვლა?

— ყაენი მოსულა ყარაბახს, — მიიხედ-მოიხედა, ყურს ხომ არავინ გვიგდებსო და ხმადაბლა დასძინა ნათქვამს გურიელმა. — მისი მოსვლის ნამდვილი მიზანი ჯერ არავინ იცის, მაგრამ გულში რომ სიკეთე არ უდევს, ამას რაღა დიდი მარჩიელობა უნდა!

— ეგ საიდან შეიტყეთ, ბატონი მამია? ჩვენ ჯერ მსგავსი არაფერი გაგვიგია!

— საქმეც ეგ გახლავთ, თავადო! აჭარელმა მეთევზეებმა მოგვიტანეს ამბავი, ამათ კი ბათუმში ოსმალებისაგან შეუტყვიათ. ვერა ვარ კარგი მახარობელი, მაგრამ რა გაეწყობა!

— მართალს ბრძანებდი. ხელმეორედ აქ ჩამოსვლა მართლაც ვინ იცის, როდისღა მოგვიწევს! არ დაგიმალავთ, ჩვენი სურვილი თავიდანვე ეგ იყო, ქალი თან უნდა წაგვეყვანა, ახლა კი, როგორც ჩანს, სხვა გზა აღარც დაგვრჩენია! რას იტყვით? ნება თქვენია!

— ოღონდ ჯობს, ეს ამბავი დრომდე ჩვენ ორს შუა დარჩეს, ახალგაზრდა მეფე-დედოფალს ბედნიერ დღეს ნუ ჩავუმწარებთ!

დასცილდნენ თუ არა ერთმანეთს, თავადმა შერმაზანმა თავისიანები მოიხმო და გურიელთან გამართული საუბრის შინაარსი გაანდო, ოღონდ შაჰ-აბასი და ლაშქრით ყარაბახს მისი მოსვლა წინდახედულად არ უხსენებია.

თეიმურაზი სიხარულით შეხვდა უფროსების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას. ანასთვის არაფერი უკითხავთ. ის სეფექალებმა წაიყვანეს და თერძებს მიჰგვარეს, რომლებიც ჯვრისწერასა და ქორწილში ჩასაცმელ კაბას კერავდნენ.

ხმამ, კახეთის ღვთივკურთხეული მეფე თეიმურაზი და გურიელის ასული ანა შემოქმედში ჯვარს იწერენო, გურიის შორეულ, მთის სოფლებსაც კი მისწვდომოდა. ჯვრისწერაზე დასწრების მსურველმა ხალმა ადრიან დილიდანვე დაიწყო დენა. ასეთი დიდი ხალხმრაველობა შემოქმედს ჯერ არ ახსოვდა. მოდიოდა ხალხი უკლებლივ ყველა წოდებისა და მოსაქმეობისა, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულნი, ვისაც როგორგ შეეძლო და გზის ორივე მხარეს ადგილს იკავებდა. ხანდაზმულ ცნობისმოყვარეთ ახალგაზრდობა სჭარბობდა. მათ თვალწინ ასეთი სამახსოვრო ამბავი ჯერ არ მომხდარიყო და დიდი და პატარა ცდილობდა, ყოველივე საკუთარი თვალით ენახა და მეხსიერებაში სამუდამოდ აღებეჭდა.

თვით ტაძარი გაბრწყინებული იყო. შიგნით ჯერ არავის უშვებდნენ, მხოლოდ თავშიშველი მორჩილები გარბი-გამორბოდნენ და ოქროცურვილ ჩარჩოებში ჩასმული ხატებით მოჭედილი საკურთხევლის წინ თვალისმომჭრელად მოციმციმე თითბრის მაღალ შანდლებში ახალ-ახალ სანთლებს ანთებდნენ. თაფლისა და საკმევლის სუნი, აქედან რომ გამოდიოდა, ხეხილის ბაღებში ჩაფლულ სოფლამდეც კი აღწევდა.

გარეთ, ვაკეზე, მწვანე კონცხის ძირას, რომლის წვერზედაც ტაძარი იყო აღმართული, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთ ცეკვა-თამაში გაეჩაღებინათ და ხელებგაშლილნი და ფეხისწვერებზე შემდგარნი გაფიცხებული დაირისა და ერთსულოვანი ტაშის ხმაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ.

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, უღრუბლო ლურჯ ცაზე შემაღლებული მზე ბებერი ცაცხვის ტოტებში გაიხლართა, როდესაც ოზურგეთიდან მომავალი დიდებული მხედრები

ცხენებიდან ჩამოხდნენ და გზა ტაძრისაკენ ქვეითად განაგრძეს.

ყველაზე წინ შინდისფერ ჩაქურებში გამოწყობილი მალხაზი ბიჭუნები და ქართულ კაბებში მორთული მათი თანატოლი გოგონები მიდიოდნენ. ამათ სამღვდელოება მოსდევდა, რომელთა პირველ მწკრივში შემოქმედელი მღვდელმთავარი ევდომონი და ჯუმათელი და ხინოწმინდელი ეპისკოპოსები მოაბიჯებდნენ. სამეფო პორფირითა და ძოწეულით შემოსილი თეიმურაზი, მარჯვენა ნიდაყვქვეშ თეთრ საქორწინო კაბაში გამონაკვთული გურიელის ასულ ანას პაწია ხელი რომ მოექცია, სამღვდელოებას რამდენიმე ნაბიჯით ჩამორჩენოდა და გზის ორივე მხარეზე ჩამწკრივებულ ერს თავის ოდნავი დაკვრით მიესალმებოდა.

ამათ აგრეთვე ოდნავი დაშორებით მოსდევდა თვით სასიმამრო კახთა მეფისა, გურიის მთავარი მამია, სახლეულითა და მრავალრიცხოვანი ამალითურთ, რომელშიაც კახი და გურული დიდგვაროვანნი ერთმანეთში არეულიყვნენ და ასეთ მოკლე დროში დამეგობრებულნი გზას მხიარული მასლაათით იმოკლებდნენ.

ასაბია ალმართს შეუდგა. ხალხი აქაც ორ მწკრივად იდგა და ახალგაზრდა მეფე-დედოფალს გულწრფელი სიხარულით ხვდებოდა. ზემოთ, ტაძრის ყურთამდე ღია კარის წინ, გუნდი გადმოდგა და კახეთის ჰაბუკ მეფეს, ამიერიდან ამ კუთხის საყვარელი შვილი რომ ხდებოდა და მისი მხრის დამამშვენებელ გურიელის ასულ ანას, კახეთის დედოფალს, გალობით შეეგება.

ტაძარს დიდი კი ერქვა, მაგრამ მოზღვავებული ხალხი, ვინც შიგ შესვლა მოიწადინა, მაინც ვერ დაიტია. შევიდნენ მხოლოდ სამღვდელო პირნი, მამია გურიელი სახლეულითურთ, მგალობელთა გუნდი და ადგილობრივი თავადაზნაურობა, რომელთაც წინ სასიძოს მაყარი კახი დიდებულები გაატარეს, სხვები კი გარეთ დარჩნენ და სულგანაბული უგდებდნენ ყურს, რაც ტაძარში ხდებოდა.

პურ-ღვინისა და ლხინის მოყვარულ გურიელს საყვარელი ასულის ქორწილში მთელი სამთავრო მოეწვია. ტოტებგაბარჯღულ ასწლოვან ჭადრებში, მის ფართო ეზო-კარს რომ ამშვენებდნენ და ზაფხულის პაპანაქებაში მაცოცხლებელ ჩრდილს სცემდნენ, ძვირფასი სტუმრების მოსათავსებელი ფანჩატურების მოწყობას ჯვრისწერის წინადღესავე შეუდგნენ

და გვიან საღამოს, მთვარე რომ ამოვიდა, კიდევაც დაამთავრეს.

არ მოსწონდა თავად შერმაზანს ეს დიდი სამზადისი, რასაც, რაღა თქმა უნდა, რამდენიმე დღის გადაბმული ღრეობა უნდა მოჰყოლოდა და იგი ყოველივე ამის მოთავე მთავრისათვის არც დაუმალავს.

— რა ვქნა, თავადო, — უპასუხა მას გულწრფელად შეწუხებულმა გურიელმა. — ჯვრისწერაზე დავთანხმდი, მამაპაპური წესი დავარღვიე, ახლა ქორწილსაც ნუ შემიკვეცავთ, ერთადერთ ასულს ვათხოვებ, ჩემი სული და გული მაგას მოყვება!

მამია გურიელი ცამდე მართალი იყო, მაგრამ სიმართლე იყო ისიც, რომ კახეთის მეფეს, როცა კარს ასე დიდი საშიშროება მოსდგომოდა, სამეფოს გარეთ ყოფნისა და თუნდაც საკუთარ ქორწილში განცხრომით ქეიფისა და ჰერში ქუდის სროლის დრო არ ჰქონდა!

— დღესა და ხვალ მაინც მაცალე, — შეევედრა შერმაზანს იმით შეფიქრიანებული მამია გურიელი, რომ აქ დაყოვნებით მის სათაყვანებელ სიძე-ბატონს ვაითუ მართლაც გამოუსწორებული ზიანი მოსვლოდა. — პატიოსან სიტყვას გაძლევ და ხატზე ვიფიცებ, ზეგ საღამოს თქვენი ნებართვით მე თავად გავუტყდები და ვეტყვი, რაც იმ ღვთისაგან შეჩვენებული ყაენის შესახებ შემატყობინეს!

თავადმა შერმაზანმა მხრები აიწურა და დათანხმდა, რადგანაც შეატყო ერთადერთი ასულის უსაზღვროდ მოყვარული მამის გულს სხვაგვარად მოქცევა სამუდამოდ დაკოდავდა და სიკვდილამდე მოურჩენელ წყლულს გაუჩენდა.

თავი XXIX

ვერ შეუსრულა თეიმურაზმა დაპირება იმერელ ბატონიშვილებს და თვით იმერთა მეფე გიორგის, აქეთობას აუცილებლად გამოგიელით და თქვენი სტუმართმოყვარეობით ვისარგებლებო. მას ისე სასწრაფოდ მოუხდა ცოლეურიდან უკან დაბრუნება, რომ არამცთუ სადმე რამდენიმე დღით შეჩერების, თავს სულის მოთქმის ნებაც არ მისცა და ლიხის მთა ისე გადმოვლო, უკან ერთხელაც არ მიუხედია. არც მუხრანში და არც სადმე სხვაგან ქართლის სამეფო კარისაგან

არავინ დახვედრია, რაც მშვიდობიანობის დროს არამც და არამც არ მოხდებოდა, მხოლოდ გორში გამოეგება შიდა ქართლის სადროშოს სარდალი და გორის მოურავი თავადი პაპუნა ამილახვარი და ახალი შემაშფოთებელი ცნობა აუწყა: დიდძალი ჯარით კავკასიაში მოსული შაჰ-აბასი უკვე რანში იყო, განძის ციხეს გარს ადგა და ქართლ-კახეთის მეფეებს თავ-თავიანთი ჯარებით იქ სულთნის ჯარებთან საომრად იწვევდა.

გიორგი ქართლის მეფეს ჯერ საბოლოოდ ვერ გადაეწყვიტა, რა გზას დასდგომოდა. ტახტთან ახლო მდგომი დიდებულები, სამეფო დარბაზის წევრები სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი და არაგვის ერისთავი ნუგზარი რანში ჯარის გაგზავნას ურჩევდნენ და თავიანთ მოსაზრებას იმით ასაბუთებდნენ, რომ ეს ერთადერთი გზა იყო შაჰის გულის მოსალბობად და მისი შესაძლო შემოსევისაგან ქართლის გადასარჩენად. ეს იქნებ ურიგოც არ ყოფილიყო და მეფე გიორგი დიდებულების ნებას დაჰყოლოდა, რომ არა შიში, ჯარის მიშველებას ვერაგი შაჰი არად ჩაბითვლის და როგორც კი ხელებს გაიხსნის, რანსა და შირვანს თავისად დაიგულებს, მაინც შემომესევა, რათა ქართლი ერთხელ და სამუდამოდ დაიპყროს, სპარსეთს მიუერთოს, აქ სამეფო ტახტი მოშალოს და ქვეყანა სპარსეთის ერთ-ერთ საბეგლარბეგოდ აქციოსო.

თვით პაპუნა ამილახვარი მეფე გიორგის დაეჭვებას საფუძვლიანად თვლიდა და თავის სადროშოში ციხეებს ამაგრებდა. თუ ვინიცობაა, მძვინვარე ყაენი მართლაც გადაწყვეტდა ქართლის დალაშქვრას, შიდა ქართლი მედგრად უნდა დახვედროდა და მეფისთვისაც საიმედო თავშესაფარი მიეცა.

კახეთი მოუთმენლად ელოდა თეიმურაზის დაბრუნებას და ეს ადვილად გასაგებიც იყო. ცვალებადი ხასიათის მქონე ახალგაზრდა მეფის ნება-სურვილის გაუთვალისწინებლად სამეფო კარს საბოლოო გადაწყვეტილების მიღება არ შეეძლო. დედოფალ ქეთევანს მაინც ეკისრა პირადი პასუხისმგებლობა: დარბაზის ერისა და თავისი სახელით სადროშოებში ლაშქრად წვევის წიგნები დაეგზავნა. ჯარის შეკრება და საომრად მზადყოფნა ორივე შემთხვევისათვის აუცილებელი იყო, იმ შემთხვევისთვისაც, თუ ამ ჯარს შაჰის განკარგულების შესასრულებლად რანში გაგზავნიდნენ და იმ შემთხვევისთვისაც

თუ ყაენის ბრძანებას უგულვებელყოფდნენ და თავიანთ მიწა-წყალზე ყიზილბაშთა ურდოების მოსაგერიებლად აღსდგებოდნენ.

მეტად შეუფერებელი დრო დაემთხვა კახეთის მეფეთა სასახლეში ახალგაზრდა დედოფლის, გურიელის ასულ ანას შემოსვლას. ათასი საზრუნავით გართული ქეთევანი ყოველნაირად შეეცადა, საქმე როგორმე ისე მოეწყო, რომ სასახლეში გამეფებული მოუსვენრობა და რაღაც საშინელის დაუოკებელი მოლოდინი ალერსსა და ფუფუნებაში გაზრდილ ყმაწვილ რძალს ნაკლებად ეგრძნო და გულში ამთავითვე შიში და უიმედობა არ ჩასახლებოდა.

როგორც კი ამცნეს, მეფე-დედოფალი უკვე ალავერდშია, სადაც სამადლობელო პარაკლისი გადაიხადეს და სულ მალე გრემშიაც შემოვლენო, რამდენადაც საქვრივო თალხები ამის საშუალებას აძლევდა, საზეიმოდ ჩაცმულ-დახურული ქეთევანი ასევე საზეიმოდ შეკაზმულ თავის თეთრ ჯაკზე შებრძანდა და ქალ-ვაჟთა დიდი გუნდისა და სასახლის დიდებულების თანხლებით შვილსა და რძალს სატახტო ქალაქის გალავანს გარეთ გამოეგება.

გალავანში ჩატანებულ სადარაჯო კოშკებში მეფისა და დედოფლის პატივსაცემად ძელსა სცეს და ქალაქის დიდსა და მცირე ეკლესიებში სხვადასხვა ხმაზე ამღერებული ზარების რეკვა ატყდა. წირვად შემოსილ სამღვდელოებას ხატები და საეკლესიო დროშები გარეთ გამოესვენებინა და მეფეონს პირჯვრის წერითა და ხმაშეწყობილი გალობით ხვდებოდა.

ყოველივე ამის შემყურე და გამგონე თეიმურაზს გული კვლავ იმედითა და მხნეობით აღეესო. დედისადმი, ვინც ამგვარ დახვედრას უწყობდა, უსაზღვრო მადლიერებით განიმსჭვალა და როდესაც თავისი საფიცარი ერთას ბედნიერებით სახეგაბადრული ქეთევანი ისრის გასროლის მანძილზე მოახლოვდა, მსწრაფლ ჩამოქვეითდა და სულზე უტკბეს თანამეცხედრესაც, ამიერიდან კახეთის დედოფალს, ხელი შეაშველა, უნაგირიდან ძირს ჩამოსვა. ჩამოქვეითდნენ სხვებიც, ჩამოქვეითდა ქეთევანი და მისი ამალაც.

თეიმურაზი დედას მიეახლა, მის წინაშე მუხლი მოიყარა, ხელზე ეამბორა, ბოლოს გადაეხვია, როგორც ბალღობაში სჩვეოდა, დიდხანს ჰყავდა ასე გულში ჩაკრული, ბოლოს უკუდგა და მორცხვობისაგან ღაწვებაყირმიზებული თავდახრილი თანამეცხედრე წარუდგინა.

ქეთევანმა გულში ჩაიხუტა ჩიტის ბახალასავით დაფეთებული ყმაწვილი რძალი, ჯერაც მთლად ბავშვი, ნუკრის თვალები დაუკოცნა, უკან დასწია, ერთხელ კიდევ შეხედა, შესცინა და დედობრივი ალერსით უთხრა:

— კეთილი იყოს, შვილო ანა, შენი მობრძანება შენს საბატონო ქვეყანაში! ფეხბედნიერად შემოსულიყო, შვილო, თან მოგეტანოს სიხარული და გამარჯვება! ჩვენთვის ჯვარცმული მაცხოვარი ჰფარვიდეს ღვთისმშობლის წილხვედრ შენს საშობლოს, შვილსა და მონაგარს!..

— დედოფალს გაუმარჯოს!.. დედოფალ ანას გაუმარჯოს!.. გაუმარჯოს მეფე თეიმურაზს და დედოფალ ანას!.. — გაისმა აღტაცებული შეძახილები როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს. ვაშაო, იგრიალა ერმა და შეიძრა ჰაერი, შეზანზარდა, მილოცვებსა და თავზე ოქროს ფულის გადაყრას ბოლო არ უჩანდა.

ისედაც მორცხვმა და მოკრძალებულმა პატარა დედოფალმა კიდევ უფრო დაირცხვინა, სიფრიფანა პაწია ყურები, ზედ პატიოსანი ქვებით ამოქარგული ძვირფასი საყურეები რომ უბრწყინავდა, წამოუჭარხლდა და მხოლოდ ამის თქმა მოახერხა:

— გმადლობ, ბატონო დედა... — და მაშინვე ბედნიერებისაგან გულაფართხალებულ ქმარს შეხედა, სწორედ ისე ვიქცევი, როგორც შენ გინდა, თუ არაო.

ლხინსა და დროსტარებაში, ყოველ ქორწილს რომ ახლავს, სამი დღე ისე გაილია, საქმის თაობაზე კრინტი არავის დაუძრავს. პირმშვენიერი და ღვთაებრივი სათნოებით შემკული ყმაწვილი რძლის შინ შემოყვანით გაბედნიერებულ ქეთევანს მთელი ეს დღეები თავი ისე ეჭირა, თითქოს ახალჯვარდაწერილების სიამოვნებაზე ფიქრის მეტი სხვა საზრუნავი არაფერი ჰქონებოდა. ჭმუნვა და სიმძიმილი არც სხვებს ემჩნეოდათ, თვით ძალუა ასინეთსაც კი, რომელიც თავისი ქმრისა და შვილის ზაგემში უღვთო დაღუპვის შემდეგ გაღიმებული აღარავის ენახა.

თეიმურაზმა ერთი ფიქრი ისიც კი იფიქრა, იქნებ ყველაფერი, რაც გურიაში, სიმამრის კარზე და შემდეგ ქართლში ჩამიკაკლეს, ჭორია და ცოლოურიდან წამოსვლა სულ ტყუილად დავაჩქარე, იმერთა მეფე და იქაური ბატონიშვილებიც ტყუილად გავაწბილე, შაჰ-აბასი კიდევაც რომ მოსული იყოს, თუ ღმერთი გწამთ, მე რას მერჩის, მამაპაპი-

სეულ ტახტზე მისი მოწყალე ნებით ავსულვარ და მისი საწყენიც არა ჩამიდენია რაო.

მართლაც და, რას ემართლებოდა შაჰ-აბასი კახეთსა და მის ჭაბუკ მეფეს, რომელიც ახალგაზრდა ცოლის სიყვარულით ისე იყო გაბრუებული, ძილშიაც კი მის სახელს აბოდებდა და დღისა და ღამის მონაცვლეობას ვეღარც კი ამჩნევდა? მან კეთილსინდისიერად შეასრულა ის დარიგებაც, რითაც შაჰ-აბასმა შინ გამოსტუმრების წინ დამოძღვრა. გამოძებნა თავისი შესაფერი ქალი, შეირთო ცოლად და, როგოც მართლმორწმუნე ქრისტიანს მართებდა, მთელი თავისი მამაკაცური გატაცება და სიყვარული ზენაარისაგან ბოძებული ამ ქალს მიუძღვნა!

ერთადერთი ხინჯი, დროდადრო გულს რომ უღრღნიდა, კისისხევში ჩადენილი სისხლიანი უსამართლობა იყო, რამაც სასახლეში და სასახლის გარეთ ყველა შეაძრწუნა და თვით ბატონ დედასაც კი თავზარი დასცა. ჩაელილ საქმეს ნაგვიანევი ვაი-ვაში ვეღარას შველოდა და ფიქრს აყოლილი ჭაბუკი მეფე ხანდახან მოუქარვებელ სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა.

— შემინდე, უფალო ღმერთო, იესო მაცხოვარო, — ჩურჩულებდა, როდესაც სინდისის ქენჯნა შემოაწვებოდა და მთელ მის არსებას შეიპყრობდა. — მაპატიე ეს ერთი შეცოდება, მომეც ნება, უნებლიე ცოდვა მოვინანიო და როგორმე გამოვისყიდო! წამძლია კაცობრივმა სულმოკლეობამ, შურმა თვალები ამიბა, დამიბნელა და მერე აღარც კი ვიცოდი, რას ჩავდიოდი. ხომ გავუგზავნე აქიმი ომანიშვილს, ხომ შევუთვალე, რომ ვნანობ ჩემს საქციელს! მზად ვარ ეზღო, რითაც კი მოისურვებს! თუ დამსჯი, მარტო მე დამსაჯე, უფალო ღმერთო, სხვას ნურავის გაიმეტებ ჩემს დასასჯელად! შენს ხატზე მლოცველი დედა და ანა, კახეთის დედოფალი, კარგად მიმყოფე!..

თავი XXX

მეოთხე დღეს, დილაადრიან, დარბაზის ერი შეიკრიბა. წინადღეს გურული მაყრები გაისტუმრეს და უკან მობრუნებულები სახელდახელოდ განახლებულ სუფრას მოუსხდნენ. თეიმურაზი გამთენიის ჟამს დაწვა და ქეთევანის მიერ

გამოგზავნილი კაცი რომ თავზე დაადგა და ღვიძება დაუწყო, ნამთვრალევმა თავი ძლივს წამოსწია. ანა უკვე ფეხზე იყო. მოახლეს წყალი და პირსახოცი გამოართვა და პირი იმან დააბანინა.

ფეხზე წამომდგარ დარბაზის ერს ქეთევანი თავის ოდნავი დაკვრით მიესალმა, რაზედაც დიდებულებმაც თავის მდაბლად დახრით უპასუხეს და ახალთ-ახალი ტახტის მარჯვნივ, ოსტატებმა ამ ცოტა ხნის წინ რომ მოათავეს, თავის ადგილს მიაშურა.

დედოფალს ფეხისწვერებამდე ჩამოშვებული, ზომიერად გრძელკუდიანი შავი ხავერდის კაბა ეცვა, რაც მის უზადოდ თეთრ პირისახეს, არც მთლად გამხდარსა და არც ხორცსავსეს და ქალიშვილური კდემიდ ალეწილ ღაწვებს კიდევ უფრო საჩინოს ხდიდა. ოდნავ ამობურცული, ძლივს შესამჩნევი მკერდი და ნატიფი ხელები, შავი ხავერდის ლბილ ფონზე რომ იხატებოდნენ, დაუფარავად ამხელდნენ ქეთევანის შინაგან სისადავეს და დედაკაცურ რიდსა და მოკრძალებას, ამ ქვეყანაზე მდედრად მოვლენილ ყოველ არსებას რომ უნდა ამშვენებდეს. მრავალი ჭირისა და ვაების გადამტანი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალის დიდრონი, ღრმა თვალები სავსე იყო ზენაარისადმი მორჩილებით და დედობრივი სინაზით, რაც მისი დიდებული სახის ყოველ ნაკვთში განსხეულებულ პიროვნულ ღირსებას, ხასიათის სიმტკიცეს, გაბედულებას და უანგარიშო თავგანწირვისათვის მზადყოფნას როგორღაც არბილებდა და აგვირგვინებდა. ნაბიჯი ქეთევანს მტკიცე ჰქონდა, მაჩვენებელი შინაგანი ძალისა, მაგრამ, ამავე დროს, სიარულისა და თავის დაჭერის მანერით სიყმაწვილიდანვე ძვალრბილში გამჯდარ კრძალვასაც ავლენდა. მან მთელი დარბაზი ნელი ნაბიჯით გაიარა, გამორჩეული ყურადღება არავის მიმართ გამოუმჟღავნებია, პირჯვარი გადაიწერა და ფრთხილად აიკრიფა კალთები დასაჯდომად.

ამის შემდეგ მოადგნენ კარს მეფე-დედოფალი, ხელიხელჩაკიდებულნი ზღურბლზე შედგნენ, დიდებულებსა და სამღვდელო პირთ თავის ღრმად დაკვრით მიესალმნენ, შემოგებებულ მოდბელ ეპისკოპოს სვიმეონს, რომელმაც ცოტა ხნის წინათ მეუფე სამოელის ადგილი დაიკავა და უკვე ალაევრდელ მიტროპოლიტად იწოდებოდა, ხელზე ემთხვიენენ, მანამდე კი მის მიერვე მოწოდებულ ჯვარს ეამბორნენ და ნელი ნაბიჯით ტახტისაკენ წავიდნენ, რომლის მახლობლადაც ქეთევანი იჯდა

და გვირგვინოსან შვილსა და რძალს თვალებაწყლიანებული შემოპხაროდა.

სატახტო დარბაზში და დიდებულების წინაშე გამოსვლა დედოფალ ანასათვის ეს პირველი იყო და მამის კარზე ბევრად უფრო უბრალო მიღება-გასტუმრებას ჩვეული გურიელის ასული საგრძნობლად ღელავდა. სამაგიეროდ, თავის მდგომარეობას უკვე შეჩვეულ მეფეს თავი უფრო თამამად ეჭირა და გამოუცდელ, ყმაწვილ თანამეცხედრეს ამ სითამამით თითქოს კიდევაც ამხნევებდა. თავზე ორივეს გვირგვინი ედგა, გულსა და მხრებზე ოქრომკედით ამოქარგული ცისფერი მოსასხამის ქვეშ კი ბისონის კაბა მოუჩანდა.

თეიმურაზმა დედოფალი ოდნავ წინ გაუშვა, დააწინაურა, ხოლო ტახტის წინ შეჩერდა, ხალიჩით მოგებულ საფეხურებზე ასასვლელად ხელი შეაშველა, ვიდრე დასვამდა, ისევ დარბაზისაკენ მოატრიალა, დიდებულთა და სამღვდელოთა კრებულს თავი ერთხელ კიდევ დაუკრა და დედოფალთან ერთად ტახტზე დაეშვა.

თავადმა ნოდარ ჯორჯაძემ, სახლთუხუცესმა, თავისი და დარბაზის ერის სახელით, მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა, რითაც ის უმთავრესად ახალსულ დედოფალს მიმართავდა. ტახტზე დაბრძანება ანას ერთხელ კიდევ მიუღოცა, უსურვა სულიერი და ხორციელი სიმრთელე, შვილიერება და სვიანად მართვა ქვეყნისა, რომელიც გვირგვინოსან თანამეცხედრე თეიმურაზთან ერთად ღვთისაგან ებოძა.

— ბრძანე, ბატონო დედა! — მიმართა ქეთევანს თეიმურაზმა. — ვიცი, ჩვენს თავს კარგი ამბავი არ არის და გვირჩევნია, — მან თანამეცხედრეს გადახედა, ამის სახელითაც გეუბნებიო. — ისევ შენი პირით შევიტყოთ...

— მიმძიმს, შვილო, თეიმურაზ, ვისთვისაა ადვილი ამის თქმა!..

— ჩვენ გისმენთ! — თეიმურაზს სურვილი სწვადა, ანას აალებულ ღაწვს ღაწვით შეხებოდა, მოზღვავებულ გრძნობებისათვის გზა მიეცა, მაგრამ ახლა ეს შეუძლებელი იყო და ის როგორღაც მოიკუზა, თითქოს კუს ბაკანში აპირებს შეძრომასო.

— თითქმის ერთი კვირაა, შვილო, რაც შაჰისაგან წიგნი მოგვივიდა. შაჰის კაცები დღესაც აქ არიან და პასუხს ელიან!..

— რას გვიბრძანებს მისი უდიდებულესობა შაჰი?

— ოსმალებს ეომება. განძაში დგას და შენც იქ გიბარებს ჯარით!..

ეს გახლდათ სწორედ ის, რისაც თეიმურაზს ასე ეშინოდა და ჯერ კიდევ გორში მყოფი ღმერთს ევედრებოდა, დამიფარე, მიხსენ ამ სულთამხუთავისგან და შაჰის ბრძანება, რომელიც ქართლის მეფე გიორგის მოუვიდა, შინ დაბრუნებულს მეც არ დამხვდესო. როგორ შეეძლო, ახალი შერთული ცოლი შინ დაეტოვებინა და თვით სხვის ომში ხმლის საქნეველად წასულიყო! სულზე უტკბეს ანასთან განშორებას, თუნდაც ორი-სამი დღით, ის სიკვდილს და სამუდამო წაწყმედას არჩევდა.

თეიმურაზს არ დაუყოვნებია, დედას გარკვევით და ბეჭედდასმულად უპასუხა:

— მის უდიდებულესობა შაჰს უნდა გადავცეთ ჩვენი მობოდიშება, რომ ამჯერად არა გვცალია და ჯარის გაგზავნა არ ძალგვიძს. მიზეზიც ვაცნობოთ და გვწამს, რომ მისი უდიდებულესობა მწყალობელი შაჰი ამას ურჩობად არ ჩამოგვართმევს!

— ჯარი შეკრებილია, შვილო, — მცირედ შეიცადა და კრძალვით მიუგო მეფეს ქეთევანმა. — შენს მოსვლას აღარ დაველოდეთ და ძვირფასი დრო რომ უქმად არ დაგვეკარგა, ამ ბრძანების გაცემა ჩვენ ვიდეთ თავს!

— ნუ მიწყენთ და, ტყუილად შეწუხებულხართ, ბატონო დედა! ჩვენ ვერ ვხედავთ ვერავითარ გადაუდებელ აუცილებლობას, რომ შაჰს ჯარით განძაში ვეახლოთ! ბოლოს და ბოლოს, ისიც კაცია და, თუ კარგად ავუხსნით, გაიგებს ჩვენს მდგომარეობას! ჯარის გაგზავნა რომ აუცილებელი იყოს, როგორ ფიქრობთ, მისი უდიდებულესობა წინასწარ არ შემითანხმდებოდა, პირობას არ დამადებინებდა, როდესაც მეფედ დამამტკიცა და შუშიდან სამშობლოში მისტუმრებდა? ყველაფერი, ყველაფერი და, შაჰ-აბასს, ბატონო დედა, წინდაუხედავობას და გულმავიწყობას ვერ დავწამებთ, თადარიგიანობაც, მადლობა ღმერთს, არ აკლია. ჩემი აზრი უკვე მოგახსენეთ. ახლა თუ ვინმე სხვაგვარად ფიქრობს, ბრძანოს, ჩვენ მზადა ვართ მოვუსმინოთ! — იმით კმაყოფილი თეიმურაზი, რომ სხდომის სადავეები ხელთ მტკიცედ ეპყრა, სწორედ პაპა ალექსანდრეს სიდარბაისლით ირჯებოდა, ზურგით იქრომკედით ამოქარგულ საზურგეს მიენდო, ნიკაპს ქვემოდან მუშტი შეუყენა და სმენად გადაიქცა.

რამდენიმე წამს დარბაზში სრული სიჩუმე სუფევდა. ენის დასველება, პირველი სიტყვით თქმა, დაწყება ყველას უჭირდა. ბოლოს თიანეთის მოურავი თავადი ელიზბარ ჩოლოყაშვილი წამოდგა, მუშტში ჩაახველა და სიტყვა ითხოვა.

— ბრძანე, თავადო!.. — თეიმურაზმა თვალები ასწია და დაიმედებულმა, რომ თიანეთის მოურავიც ზუსტად იმას გაიმეორებდა, რაც თვით ეს იყო თქვა, მზერა მას მიაპყრო. მოხდა პირიქით: ელიზბარ ჩოლოყაშვილს სრულიად საპირისპირო აზრი აღმოაჩნდა და ეს არც დაუმალავს, მეფეს, დედოფლებს და დარბაზის ერს პირუთვნელად მოახსენა.

— ჩემდათავად, არ ვიცი, სხვები რას ფიქრობენ, — დააბოლოვა მან თავისი სათქმელი. — მე კი, მეფეო, არა მგონია, შაჰი ჩვენმა მობოდიშებამ და ახსნა-განმარტებამ დააკმაყოფილოს და თავის განზრახვაზე, კახეთის ჯარი და მისი მეფე თავისი დროშების ქვეშ იხილოს, ხელი ააღებინოს! არ იზამს ამას აბასი, მერწმუნეთ, მეფეო. ბრძანება უნდა შესრულდეს. ყაენს ჯარით იქ უნდა ვეახლოთ, სადაც გვიბარებს! თუ ამას არ ვიზამთ, ღმერთმა გვაშოროს და, ის თავად მოვა. ღვთის მადლმა, ყიზილბაშის სტუმრობა ძვირი დაგვიჯდება. ერთხელ გვიგემნია თუ ორხელ! ძნელი არ უნდა იყოს მიხვედრა: ყაენი გამოცდას გვიწყობს. დიახ, გამოცდას, მე ამას მხოლოდ გამოცდას დავარქმევდი! ჩვენდამი შაჰის დამოკიდებულება და მისი შემდგომი ნაბიჯი, მე თუ მკითხავთ, მაშინ გამოჩნდება, თუ ამ გამოცდას როგორ დავიჭერთ!

„დავიჭერთო„ ჩოლოყაშვილმა ამჯერადაც მრავლობითი რიცხვის გამომხატველი სიტყვა იხმარა, თუმცა ამ სიტყვაში არა ყველა აქ მყოფს, არამედ მხოლოდ მეფეს გულისხმობდა, ეს კი თეიმურაზს პირდაპირ ვერ შეჰბედა და გაჩუმდა.

მეფე კოპებშეკრული, გარინდებული იჯდა და გაგონილით აშკარად უკმაყოფილო წინ იყურებოდა. შაჰ-აბასის კარზე წლობით ნამყოფი, სადაც უთვალავი სისასტიკისა და უბრალო სისხლის დათხევის მოწმე გამხდარიყო და ჯერ კიდევ მოუმწიფებელ ყრმას ეს ყოველივე მეფეთა ძლიერების ერთ უპირველეს ნიშნად მიეჩნია, როგორ წარმოიდგენდა, თუ მისი გადაჭრილი და ბეჭედდასმული პასუხის შემდეგ დარბაზის ერს კიდევ რაიმე საკამათო და საკოჭმანო დარჩებოდა!

აფსუს, სად იყო შაჰ-აბასი და მისი მახვილი სიტყვა, ალმასივით რომ ჭრიდა! სულ ტყუილად ჩაევლო კისისხევის გაკვეთილს, რომელმაც ზიანი მეტი მოუტანა, ვიდრე სარგებლიანობა! დიდებულები ისევ ჯიუტად იცავდნენ თავიანთ თვალსაზრისს, ისევე ეტოქებოდნენ მეფეს, რო-გორც ადრე, კისისხევამდე, და მას, თეიმურაზს, ის-ღა რჩებოდა, დღე და მოსწრება ბეწვის ხიდზე ევლო, სადაც არც ბოლომდე მიეშვა და არც მეტისმეტად მოეზიდა!

ეს აზრი მაშინ უფრო განუმტკიცდა, როდესაც კახეთის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი თავადი, ბოქაულთუ-ხუცესი დავით ჯანდიერი წამოდგა, მეფესა და ორივე დედოფალს ჭაღარა თავი მდაბლად დაუკრა, სამივეს შესაფერი თაყვანი სცა და ხმლის ვადის ბღუჯვას შეჩვეული ძარღვიანი ხელები სატევარზე დაიწყო.

— ბატონო მეფევ, დედოფალო ქეთევან, დედოფალო ანა, დარბაისელნო! მაღალმა ღმერთმა დიდი საქმის განსჯა და გადაწყვეტა გვარგუნა. აქ არავის ესწავლება: დღეს წყდება ჩვენი სამშობლოს ბედი. ან სწორად გადაეწყვეტთ საქმეს და შეინარჩუნებთ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვე-ყანას, ანდა გვაცდუნებს ეშმაკი, შევცდებით და კარზე მომდგარ მტერს ჩვენს პირისაგან მიწისა აღგვის საბაბს მივცემთ! სწორე ბრძანებს ბატონი ელიზბარი, — ჯანდიერმა სახე იქით მიაბრუნა, სადაც ჩოლოყაშვილი ეგულებოდა, დაინახა და ამან მის მსჯელობას თითქოს მეტი სიცხადე და დამაჯერებლობა შესძინა. — შაჰს დღესდღეობით ჩვენი ჯარი იმდენად არ სჭირდება, რამდენადაც სრული სიმშვიდე და ჩვენი მორჩილება. სწორს ვამბობ? — თავადმა დავითმა ახლა მთელ დარბაზის ერს მიმართა.

— სწორია, სწორი! — დააწიეს აქეთ-იქიდან.

დავით ჯანდიერმა, თითქოს სხვების მხარდაჭერით ძალი მოიცაო, ახლა მეფეს შეხედა, თვალი თვალში გაუყარა და პირდაპირ ჰკადრა:

— ჩვენს მორჩილებას შაჰი მაშველი ჯარის გაგზავნასა და თქვენი უდიდებულესობის პირადად ხლებაში ხედავს!

თეიმურაზს სახეზე ალმური მოეკიდა, ქეთევანს მიუბრუნდა და თავშეკავებული საყვედურით უთხრა:

— გამოდის, რომ, ბატონო დედა, თქვენ ყველას წინასწარ მოგილაპარაკიათ და გადაწყვეტილებაც ჩემს ჩაურევლად მიგიღიათ! ამ ხალხის შეყრა რაღა საჭირო იყო?

— დრო აღარ ითმენდა, შვილო, თეიმურაზ, — მიუგო ქეთევანმა, რომელიც აქამდე უდრტვინველად უსმენდა, რასაც დიდებულები მის ჯერაც უწვრთნელ გვირგვინოსან შვილს ეუბნებოდნენ და ურჩევდნენ. — თუ ჩემებრ ღვთის სასწაულებს მინდობილი დედაკაცის ჭკუასაც რაიმე დაეჯერება, დიდებულები, ასე ყველა ერთობით, მართალს მოგახსენებენ. ჯარი განძაში უსიკვდილოდ უნდა გაიგზავნოს! შენ ჯერ ყმაწვილი კაცი ხარ და ვერც წარმოიდგენ, რა ეაება და ცოდვისკითხვა შეიძლება მოყვეს შაჰის სიტყვების გამრუდებას, მის შეუსრულებლობას!..

— არაფერიც არ მოჰყვება, ბატონო დედა, შაჰი ჩემი მეგობარია და ვიცი, მცირეზე არ გამწირავს!

— მეფე შენ ბრძანდები და ისე გადავწყვიტოთ, როგორც შენ ინებებ, შვილო, მაგრამ ეშიშობ, საქმე სანანებელი არ გაგვიხდეს. მერე ვაითუ გვიან იქნეს თითზე კბენანი!

— მერწმუნეთ, შაჰი ჩემი მეგობარია, შვილივით ვუყვარვარ და მცირეზე არ გამინაწყენდება, არ გამწირავს!

— შენ ჯვარი გწერია, მამაზეციერმა გაშოროს მისი ხვედრი, მაგრამ შაჰი ნეტარხსენებულ პაპაშენ ალექსანდრესაც მეგობრობას ეფიცებოდა. რომ გეკითხა, პურსაც არ გასტეხდა, თუ ის გვერდში არ უჯდა, კაკ-ენისელი კი ტკბილი სიტყვით გამოსტყუა, აღმოსავლეთის კარი მოგვინგრია და ბოლოს თავადაც, — ღმერთო, სასუფეველში ამყოფე მისი ტანჯული სული! — ქეთევანმა წამით თვალები აღაპყრო და პირჯვარი გადაიწერა. — სასიკვდილოდ გაიმეტა, მერე ვისი, ღვიძლი შვილის ხელით!

— რას ბრძანებ, ბატონო დედა, ნუთუ თქვენ გჯერათ, რომ ეგ უბედურება შაჰის ნება-სურვილით მოხდა? ერთი გენახათ, რა ცხარე ცრემლით ტიროდა! უკანასკნელი სიტყვებით წყევლიდა კონსტანტინეს. ღმერთმა დაგვიფაროს, ეგ თქვენი სიტყვა შაჰის ყურამდე მივიდეს! მაშინ მართლაც შემოგვწყრება და ვერც ვეღარასდროს შემოვირიგებთ!

— ნეტარ არიან მორწმუნენი, შვილო თეიმურაზ. დედაშვილობას, მოვრჩეთ ამ უნაყოფო დავას. ეტყობა, სანამ თავად არ დარწმუნდები, ჩვენი სიმართლე შენთვის მიუღებელი იქნება! ჯარი შეკრებილია, ნუზლიც, როგორც მოგვი-

ხერხდა, მოვამზადეთ. თუ არა გვსურს, კახეთი სპარსთ საძიძგნად და ასაოხრებლად მივცეთ, დღესვე უნდა გავაბრუნოთ შაჰის კაცები და დავაბაროთ, რომ მისი ბრძანების მონა-მორჩილი ვართ, ხოლო რაც შეეხება თვით ჯარს, შენის ნებართვით ორი ათას კაცს ვიახლებ და მას თვით მე გავუძღვები!

— დედა!.. — შეჰყვირა თეიმურაზმა და ზეზე წამოვარდა. წამოცვივდნენ სხვებიც. ყველა თავისებურად გამოხატავდა თავის განცვიფრებას და შეშფოთებას. — ეგ რა სთქვი, სად შენ და სად ომში ჯარის გაძღოლა!

— შენს წასვლას ჩემი წასვლა ჯობს, შვილო, — წყნარად, დამარწმუნებულად თქვა ქეთევანმა, რომელსაც ეს საბედისწერო გადაწყვეტილება, ეტყობოდა, კარგა ხნის მიღებული ჰქონდა, მაგრამ უკანასკნელ წუთამდე არ ამხელდა. — ვინ იცის, გულში რა უდევს, იქ რა განზრახვით გიბარებს! უშენობა, ღმერთმა დაგვიცვას ფათერაკისაგან, ერსა და ქვეყანას დაღუპავს, ჩემი წასვლით კი მაინც და მაინც არაფერი დაშავდება. ამას გარდა, წავწყდები თქვენი საცოდაობით, ახალშეუღლებულ ცოლ-ქმარს ერთმანეთს ვერ დაგაშორებთ!

— დედა! — ერთხელ კიდევ ამოსკდა თეიმურაზს გულიდან, მიეახლა, სათაყვანებელი მშობლის წინაშე, რომლის თვალებშიაც მტკიცე გადაწყვეტილებას დაედო ბინა, ორივე მუხლი მოიყარა, შესაბრალისად მოიკუნტა და მისი ყინულივით ცივი ხელები, ერთადერთნი რომ ამხელდნენ ქეთევანის შინაგან მღელვარებას, გულში ჩაიხუტა.

— ადექი! — დაუყვავა დედამ. — არ შეგფერის. ჩვენ ყველა შენი ყმები ვართ, შენთვის თავის დადება გვმართებს, შენ კი ჩვენი მეფე და მბრძანებელი!

— მაგრამ რომ რაიმე დაგიშავოს იმ ურჯულომ?

— არ დამიშავებს, ადამიანის შვილია ისიც, მართლა ტყიდან გამოვარდნილი ნადირი ხომ არ არის!

— გზა დიდია, შეწუხდები, შენ ლაშქრობაში არასდროს ყოფილხარ!

— ვყოფილვარ, როგორ არა. თუ არ ვყოფილვარ, ახლა წავალ, არც დიდ გზასა და მის სიძნელეს შეეუშინდები. რა ვუყოთ, როცა სამშობლოსა და ერის კეთილდღეობა ითხოვს, ამაზე მეტ სიძნელესაც უნდა გავუმკლავდეთ!

დარბაზის ერი და პატარა დედოფალი ანა ენაჩავარდნილი იდგნენ და გვირგვინოსანი დედა-შვილის ამ ურთიერთშესიტ-

ყვებას უსმენდნენ. არავის ეყო გამბედაობა, ჩარეულიყო, რაიმე ეთქვა, საყოველთაო ყურადღება მიექცია. გადაწყვეტილება უკვე მიღებული იყო და მას უკან ვერა ძალა ვეღარ შემოაბრუნებდა.

თავი XXXI

ათასი ცხენოსნისა და ამდენივე ქვეითისაგან შემდგარი ჯარი, რომელსაც წინ საქვრივო ძაძებში გახვეული დედოფალი ქეთევანი და მისი მხლებელი რამდენიმე კახი დიდებული მიუძღოდა, გრემიდან თიბათვის ერთ წვიმიან დილას გავიდა და გეზი აღმოსავლეთისაკენ აიღო. ერთობ მძიმე მოვალეობის მოსახდელად გზაზე დამდგარ ქეთევანს გასაცილებლად მთელი სამეფო კარი გამოჰყვა. სხვებთან ერთად აქ იყო თეთრ ტაიპზე ამხედრებული პატარა დედოფალი ანა, ბატონიშვილ გიორგის ქვრივი ასინეთი და თვით მეფე თეიმურაზი, რომელსაც გული ეთანაღრებოდა, რომ სათაყვანებელ დედას, უმწეო ქალს, ამგვარ საეგებიო საქმეზე უშვებდა, მაგრამ მისივე სიტყვები ასულდგმულებდა, ვინ იცის, რა განზრახვით გიბარებს, შენს წასვლას ჩემი წასლა ჯობს, უშენოდ სამეფოს დაღუპვა მოელის, მე კი ღვთის შეწევნით როგორმე თავს გავიტანო. ერთმანეთს ბელაქნის წყალთან დაშორდნენ, სადაც ქეთევანმა ორი წლის წინათ დიდი ომი გადაიხადა და ჯარმა გზა განაგრძო. თეიმურაზი დიდხანს იდგა წყლის პირას, თავსხმა წვიმაში და წვიმის წვეთებით აჩქეფებულ ფონს გაჰყურებდა, რომელიც ჯარმა თქიფინ-თქიფინით გადაიარა და მწვანედ მოხასხასე კაკლების ხეივანში, გზას ორივე მხარეზე რომ გასდევდა, თვალს მიეფარა.

ქეთევანის ნაბიჯს, გვირგვინოსანი შვილის მაგიერ ჯარით რანს წასვლას, სადაც სულმდაბალ, გარყვნილ და ყოველი სიავის მოქმედ შაჰ-აბასს უნდა ხლებოდა, რათა მასთან ერთად ალყაშემორტყმულ განძის ციხეზე იერიში მიეტანა, კახ დიდგვაროვანთა ოჯახებში სხვადასხვანაირ შეფასებას აძლევ-დნენ. ბევრი ვინმე, უპირატესად ხანშიშესული მანდილოსნები და გაუთხოვარი ასულები, არ იწონებდნენ დედოფლის გადაწყვეტილებას. ზოგი მათგანი დაუფარავად ამბობდა, შვილს მეტისმეტად ანებივრებს და მცონარობას, მხარ-თეძოზე წოლას აჩვევს და იმ დალოცვილს აბა ეს როგორ ეკადრებაო.

თუ მეფობა და ტახტი უნდა, მეფე ახალმოყვანილი ცოლის კალთაში კი არ უნდა ძვრებოდეს, ხელი უნდა გაანძრიოს და ქვეყანას მიხედოსო. იყვნენ ისეთებიც, ვინც ქეთევანს მაინც ამართლებდნენ, ვინაიდან მის თავგანწირვას სრულიად სხვა თვალით უყურებდნენ და ტახტისა და სამშობლოსათვის გაღებულ უანგარო მსხვერპლად თვლიდნენ. რა თვალითაც არ უნდა შეგეხედა, ეს მაინც ასე იყო და ამის უარყოფა არავის შეეძლო!

დედოფლის სურვილმა, შაჰის მიერ დაბარებულ ჯარს შვილის ნაცვლად თვით გასძღოლოდა და საკუთარი სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდო, სათანადო დაფასება და მადლიერება გლეხობასა და ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებში ჰპოვა. აი, შვილოსა, დედოფალიც მაგისთანა უნდა და დედაცა, ამბობდნენ და ილოცებოდნენ ისინი, ვინ იცის, ურჯულო შაჰი მართლაც მახეს უგებს ჩვენს ყმაწვილ, გამოუცდელ მეფესა და თუკი ძალა და ღონე მოსდევს, მაშ, რაღა დედა იქნება, შვილისათვის მოქნეულ მახვილს მკერდი არ მიუშვიროს და მის მაგიერ არ დაეცესო.

წვიმა დიდად უშლიდა ხელს ჯარის წინსვლას, რადგანაც ტალახში, ნისლსა და ჯანღში ზედმეტი დრო იკარგებოდა, მეტადრე თავით ფეხებამდე გალუმპულ ქვეითებს ადგათ ძალა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ, როდესაც კაკ-ენისლის ერთ ციცქნა სასულტნოს უკან მოიტოვებდნენ და აქაურ სიმწვანეს შაქის უდაბური სერები და ძნელად გასაღწევი ღრანტეები შესცვლიდა, წვიმა თუკი არ გადაიკარებდა, უდაბნოში სიარულს გააიოლებდა და დაკარგული დროც ადვილად ანაზღაურდებოდა.

შინ წამოსვლიდან მესამე დღეს გავიდნენ მტკვარზე, ევლახთან. ბორანი, რითაც გაღმა-გამოღმა მხარეები ერთმანეთს უკავშირდებოდნენ, წყალს წაეღო, არა და ამ ადგილას მტკვარი ღრმა იყო, უზარმაზარ მღვრიე ტალღებს მოაგორებდა და მასთან ხელდახელ შებმა უეკველ ხიფათს გადაჰყრიდათ.

ქეთევანმა თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი და დავით ჯანდიერი მოიხმო და რჩევა ჰკითხა. ორივემ ერთი და იგივე ურჩია: მტკვარს აღმა, სამუხის ჭალებისაკენ აჰყოლოდნენ, გზადაგზა სადმე ფონი ენახათ და გაღმა გადასასვლელად მხოლოდ ამის შემდეგ ეზრუნათ.

ეს გეგმა გზის გაგრძელებას მოითხოვდა, მაგრამ სხვა საშველი არ ჩანდა. ქეთევანი დათანხმდა და აღმოსავლეთისაკენ მიმავალმა ლაშქარმა პირი იბრუნა და მდინარეს აღმა, დასავლეთისაკენ აჰყვა.

მხოლოდ მეორე დღის ბოლოს მიაღწიეს სასურველ ადგილას და იქვე დაბანაკდნენ, გაღმა გადასვლას კი გათენებამდე შეუდგნენ. წყალი აქაც ღრმა იყო, ალაგ-ალაგ კაცს თავზე გადასდიოდა, მაგრამ თუ არ შეუშინდებოდი და მუხლიც მოგდევდა, გაღმა ნაპირს როგორმე გააღწევდი.

ქვეითები მხედრებს უზანგებში ჩაეკიდნენ, ღმერთი ახსენეს და მობუყბუყე წყალში შევიდნენ. სხვაზე მეტად მაღალ თვლებზე შეყენებული ურმებისა და საპალნით წელში გაწყვეტილი სახედრების გადაყვანა გაჭირდა.

ღვთის განგებით გამოსავალი აქაც გამოინახა. ტეირთი აქლემებით გადაზიდეს, დაცარიელებულ ურმებს კი მარჯვე ბიჭები აქეთ-იქით ამოუდგნენ, სახედრებიც ამ ურმებს გამოაბეს და ურთიერთგამამხნევებელი შეძახილებით წყალუხვ მდინარეს შეუტიეს.

მტკვარზე გადასვლა მთელ დღესა და კიდევ ნახევარ ღამეს გაგრძელდა. შუაღამე მოწევნილი იყო, უკანასკნელი ურემი რიყეზე რომ ამოაგორეს და ყევარში გაბმული გაწამებული ხარ-კამეჩი, წყალი რომ წურწურით გასდიოდათ, უღლიდან გამოხსნეს.

აქედან განძის კედლებამდე აღარცთუ ისე დიდი გზა იყო დარჩენილი, მაგრამ ამ გზის გავლა და დანიშნულ ადგილამდე მისვლა გარკვეულ დროს საჭიროებდა. მუდამ შარის მაძიებელ შაჰ-აბასისათვის ამასობაში შეიძლება მოთმინებას ელალატა და კახეთის დამაქცევარი გადაწყვეტილება სწორედ ამ დროს მიელო. მალე გამოირკვა, რომ მიუვალ ციხეში გამაგრებულ ოსმალებთან ომში ჩაბმულ შაჰს, ძალიანაც რომ მოენდომებინა, ამის თავი არ ჰქონდა, რადგანაც ოსმალო ასკერები და იანიჩრები გააფრთებულ წინააღმდეგობას უწევდნენ და იარაღის დაყრასა და ციხის ჩაბარებას სულაც არ აპირებდნენ.

ქეთევანმა მაინც გამოიჩინა საჭირო წინდახედულება და მხლებელ დიდებულთა რჩევით ორმოციოდე მხედრისაგან შემდგარი რაზმი დააწინაურა. რაზმი, რომელსაც სათავეში თავადი ბებურ ვაჩნაძე ჩაუყენეს, განძაში სხვებზე ადრე უნდა შესულიყო, დედოფალ ქეთევანის სახელით შაჰს ბანაკში

ხლებოდა და კახეთიდან მომავალი მაშველი ძალის მოახლოება ეუწყებინა.

განძის აღმოსავლეთ კარამდე ნახევარი საათის სავალი გზაც აღარ რჩებოდათ, როცა ქეთევანის მიერ შაჰის ბანაკში წარგზავნილი მალემსრბოლები უცხო გრგვინვა-გრიალმა და მეხთატეხამ შეაჩერა. ყველამ ერთბაშად ცას აჰხედა და, ღმერთო, შენ გვიშველეო, პირჯვარი გადაისახა. ცა მოწმენდილი იყო. ერთი ფთილა ღრუბელიც არსად ჩანდა. მაშ, ეს გრუხუნი და ელვა-ჭექა საიდან ისმოდა? მალე მიხვდნენ, რომ ეს შაჰ-აბასის ზარბაზნების ხმა იყო, რომლებიც ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეს ცეცხლს უშენდნენ და ყოველსავე ცოცხალს მიწის პირისაგან აღგვას უქადდნენ. როგორც ეტყობოდა, ციხეში მოკალათებული ოსმალო მეზარბაზნეებიც ამითვე პასუხობდნენ და ისე ჰგავდა, ამ ყოვლის მომსვრელი ორომტრიალის შემდეგ ქვა ქვაზე აღარ უნდა დარჩენილიყო!

მალემსრბოლების ეს უკანასკნელი წინასწარმეტყველება არ გამართლდა, რადგანაც უდაბურ სერზე აღმართული რუხი ციხეც უვნებელი დაუხვდათ და ერთიმეორეზე მიჭუჭკული ბანიანი სახლებისაგან შემდგარი ქალაქიც, რომელსაც საშინელ სიცხე-პაპანაქებაში ცეცხლი წაკიდებოდა და თავზე მტვრისა და კვამლის უზარმაზარი ბოლქვები ადგა.

ქეთევანის წარგზავნილები შაჰ-აბასმა ქალაქის კედლის გარეთ, მის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხევგაღმა გამართულ თვალუწვდენელ სამხედრო ბანაკში მიიღო, ესიამოვნა, ტაში შემოჰკრა, კახელთა ლაშქრის მოახლოების ამბავი რომ აუწყეს, თუმცა მისი სიმცირე გულზე ეკლად დაესო, მაგრამ როდესაც შეიტყო, ლაშქარში თვით მეფე თეიმურაზი არ არის, ჯარს ამჯერად დედამისი, დედოფალი ქეთევანი მოუძღვისო, მოიღრუბლა, მსუქან ტუჩებზე შხამგარეული ღიმილი გაუკრთა და მის წინ დაჩოქილ მალემსრბოლებს ქართულად უთხრა:

— მაშ, არ მენდობა ჩემი უმცროსი ძმა, ჩემი გაზრდილი თეიმურაზი, მერიდება და იმის ნაცვლად, ჯარით პირადად მომეშველოს, როგორც ათადამ ბაბადამ მოგვდგამდა, დედას მიგზავნის? ჩემმა მზემ, უცნაური საქციელია! დიდებულ ჩვენს სიდედრს, ქეთევანს, ჩვენ დიდის დიდებით მივიღებთ. მისი სიტურფე სიბრძნე და დარბაისლური სიტყვა-პასუხი სამყაროს ოთხივე კუთხივ განთქმულია. ჩვენც შორიდან ვეთაყვანებით და ბედნიერად ჩავთვლით თავს, თუ ჩვენს გვერდით ვიხილავთ, მაგრამ ვით გასწევს დედოფალი მისი ძის მაგივრობას, ვისაც

გვირგვინი ჩვენი ხელით დავადგით? მოხარული ვარ, რომ დაქორწინებულა, ჩვენი რჩევა აღუსრულებია, ეს ჩვენ აქამდეც ვიცოდით, მაგრამ ლიხს აქეთ ქალი აღარ მოიძებნა, მაინცა და მაინც სულთნის ფერხთა მტვერ გურიელს რომ არ დამოყვრებოდა? იქნებ გურჯისტანის ვალ გიორგის მსგავსად სულთნის ჯარების მოწვევას აპირებს ციხეებში ჩასაყენებლად და ჩვენს წინაშე გამოსაჩენი პირი აღარა აქვს?

ბებურ ვაჩნაძის მცირერიცხოვან რაზმს, რომელიც ყაენის ბანაკში დედოფლის დანაბარების გადმოსაცემად მოვიდა, მთავარი ძალებისათვის თითქმის მთელი დღის სავალით გამოესწრო. კახეთის ჯარის განძის სანახებში შემოსვლის დღეს შაჰმა უდიდესი თავმდაბლობა გამოიჩინა, რასაც საჭიროების შემთხვევაში დროდადრო მიმართავდა ხოლმე, ბრწყინვალე ამალა გაიყოლა და თვით მიეგება მცირედი ჯარით მის შესაწევნად მოსულ სიდედრს. კახი დიდებულები და თვით დედოფალი ქეთევანი განცვიფრებული დარჩნენ, როდესაც წინ გაგზავნილმა მზირებმა ცხენები მოაჭენეს და დედოფალს მისი უდიდებულესობა შაჰის ბანაკიდან გამოსვლისა და მოახლოების ამბავი ამცნეს.

ნაცრისფერ ჯვალოს კაბა-ჯუბაში გამოწყობილმა და მსხვილ, მრგვალ თავზე სპილენძის ელვარე ჩაჩქანდადგმულმა შაჰ-აბასმა ისრის სატყორცნ მანძილზე დარახტულ ცხენიდან ჩამობრძანება ინება და როდესაც სხვებიც ჩამოხდნენ, დედოფალ ქეთევანის შესახვედრად ქვეითად გამოემართა. დედოფლის მხლებელი კახი თავადები მსწრაფლ ჩამოქვეითდნენ, ქეთევანმა კი ცხენიდან ჩამოხდომა თავისი ქალური ღირსების შელახვად მიიჩნია და ქართულ საქალო უნაგირზე ოდნავ პირშებრუნებით ჩამომჯდარმა, რასაც ტანის მდგომარეობა იწვევდა, გზა განაგრძო.

მაშ, ეს იყო სულ შაჰ-აბასი? ეს ჯვალოში გამოკრული ბაჯაჯღანა, მიკიტანს რომ უფრო მიაგავდა, ვიდრე უკიდეგანო სპარსეთის ძლევამოსილ მბრძანებელს? ეს იყო ამდენი საბრალო ქალის ნამუსის შემბილწველი, დამამდაბლებელი და გამბახებელი, რომელთა შორის თვით ქეთევანის გულის ნაწილი, ჯერ მთლად ბავშვი ბატონიშვილი ელენეც ერია? ნუთუ ქვეყნად არ არსებობდა არავითარი ძალა ამ არამზადის ასალაგმაად და დასასჯელად? ოო, იუდავ, ოო, მტარვალო, კაცთა მოდგმის რისხვავ, ნუთუ შენც დედის ძუძუ გიწოვია,

ნუთუ შენც დედის საშოში ჩაისახე და ოდესღაც უმანკო, უცოდველი ბალღი იყავი?!

კახი დიდებულები თავზარდაცემული მოსდევდნენ თავიანთ ამაყ დედოფალს, ვინც მძვინვარე შაჰ-აბასის წინაშეც კი ქედი არ მოიდრიკა, ცხენიდან ჩამოხდომა არ იკადრა და ამ ყოელად უადგილო სიამაყით თავსაც იღუპავდა და მხლებელთაც ღუპავდა. ყაენს ხელს არაფერი უშლიდა, ამპარტავანი გურჯი დედაკაცი იმავე ცხენის კუდზე გამოება, რომლის ტახტაზეც ასე თავმომწონედ იჯდა და მიუხედავად საშიშროებისა, პირადად მას და მის ქვეშევრდომებს რომ მოელოდა, წარბსაც არ იხრიდა. მაგრამ მოხდა სრულიად მოულოდნელი, წარმოუდგენელი რამ: უცნაურად გარინდებული, მონუსხული და ფარხმალაყრილი ყაენი ისერიგად მოხიბლა მხედრის დიდებულმა, აუმღვრეველმა სიმშვიდემ, რომლის მსგავსი ჯერ არაფერი ენახა, ნაცვლად იმისა, მრისხანე ბრძანება გაეცა, მას მოწიწებით მიეახლა, სალამი პირველმა ჰკადრა, ჰარამხანაში ნასწავლი ქართულით ქათინაურიც უთხრა, თქვენ, დედოფალო, ისევე მშვენიერი ბრძანებულხართ, როგორც ქორწინების პირველ ღამეს იყავითო, მეფური ხელიც მიაშველა და ცხენიდან ჩამოსვა.

დასცინოდა, რათა მეორე წუთს შუბლი შეეკრა და მისი ცხენის კუდზე გამობმა ებრძანებინა, თუ ამას რაღაც ფარული მიზეზის გამო სჩადიოდა და კახეთის ერთი ციდა სამეფოს ქვრივ დედოფალს ფეხქვეშ ეგებოდა?

— თქვენო უდიდებულესობავ, — მიმართა ქეთევანმა. — ჩემი შვილი, კახეთის მეფე თეიმურაზი, ათას ბოდიშს იხდის თქვენი უდიდებულესობის წინაშე, რომ ვერ გეახლა. თქვენი უდიდებულესობის კაცები რომ მოვიდნენ, ქალის მოსაყვანად გახლდა წასული იმერთა ქვეყანაში. ხელიც ამან შეუშალა და ამჯერად მხარში ვერ ამოგიდგა, რისთვისაც ბოდიშს გიხდის. ჩვენი პირით გადმოგცემს მოლოცვას ბელუჯთა ჯანყის ჩაქრობის გამო, რასაც ჩვენც ვუერთდებით და სრულ მზადყოფნას გამოთქვამს, რომ შემდგომ ლაშქრობაში, რომელსაც თქვენი უდიდებულესობა ინებებს, უფრო დიდი ჯარით გეახლოს და თავისი ქვეშევრდომული ერთგულება დაგიმტკიცოს!

ქეთევანმა არ იცოდა, რომ შაჰს ჭირივით სძულდა ბელუჯთა მოუსვენარი ტომი, ისპაჰანს წამდაუწუმ რომ უჯანყდებოდა, არც მისი ამ ბოლო დროის აჯანყება და მისი

სისხლში ჩახრჩობის მოგონება ჰგვრიდა დიდ სიხარულს. აჯანყებულებმა თავიანთი თავისუფლება შაჰს ძვირად დაუსვეს და ათასობით თანამემამულის სიცოცხლე შეიწირეს. ბელუჯებისა და მათი ჯანყის უადგილო ადგილას ხსენება სხვას იქნებ სიცოცხლედაც დასჯდომოდა, მაგრამ დიდებული ბანოვანის წინაშე, რომლის მეფურ მშვენიერებასაც შაჰის მთელი არსება მოეხიბლა, მან ეს არ შეიმჩნია და იმავე კილოზე, რა კილოზედაც აქამდე ელაპარაკებოდა და ქათინაურს ქათინაურზე აფრქვევდა, უპასუხა:

— გილოცავთ ვაჟიშვილის გაბედნიერებას! ამბობენ, კალმით ნახატი ქალი მოიყვანაო, თუმცა ჩემი მოსისხლე მტრის, სულთნის ფერხთა მტვერ გურიელის ასული კი ყოფილა! ჩემს გაზრდილ თეიმურაზს მაინც მართებდა ხლება. ვფიცავ ალაჰს, თვალი სულ გზაზე მეჭირა და მოუთმენლად მოველოდი!

— მერწმუნეთ, თქვენო უდიდებულესობავ, — ქეთევანი მიხვდა, შაჰის ეს სინანული, მისი ნატვრის გამტყუნება რა უბედურებასაც მოასწავებდა და მხურვალედ უპასუხა, რათა მის გულში დანთებული რისხვის ხანძარი ოდნავად მაინც გაენელებინა. — თეიმურაზი თქვენი უდიდებულესობის ერთგული ყმაა. სიყვარულით იგონებს თქვენს მაღალ კარზე გატარებულ ბედნიერ დღეებს და იმედს არ კარგავს, რომ იმ დღეების განმეორება კიდევ ეღირსება!

— ვიცით, ვიცით!..

— დამპირდით, თქვენო უდიდებულესობავ, რაინდული სიტყვა მომეცით, რომ წყენას გულში არ ჩაიდებთ და მომავალშიაც თეიმურაზის მწყალობელი იქნებით!

— თქვენ კი, დედოფალო, ისევე მშვენიერი ბრძანებულხართ, როგორც ქორწინების პირველ ღამეს იყავით! — შაჰი ვერა და ვერ შელეოდა თავის პირველ ქათინაურს, ქეთევანის დანახვის უმალვე ენას უნებლიეთ რომ მოადგა. — ამბობდნენ, მაგრამ მართალი მოგახსენოთ, არა მჯეროდა, თუმცა კახეთი და მთლიანად გურჯისტანი ბუდეა ლამაზი ქალებისა. ამიტომაცაა, ტყვეთა ბაზრებზე გურჯი ხათუნი ყველაზე ძვირად ფასობს. რამდენი მხეევლად გაყიდულა და შემდეგ დედოფლის გვირგვინი დაუდგამს! დედამიწის ზურგზე არსად არის ისეთი ტურფა ქალები, როგორიც გურჯისტანში!

ქეთევანს სახესა და ყელ-კისერზე ალმური მოერია, ყურის ბიბილოები ვარდისფრად შეეფაკლა. არ მოელოდა, თუ ექვს

ათეულ წელს გადაცილებული ავხორცი შაჰი, რომელსაც მკლავზე მისი ნორჩი ასული უწვა, ბილწი თვალით შემოხედავდა და ამას ასე უტიფრად ეტყოდა. პასუხის გაუცემლობა, მოყრუება არ ეგებოდა. მან ყველა შინაგან ძალას, მთელ ნებისყოფას მოუხმო და მშვიდად უპასუხა:

— გმადლობთ, რომ ასე აღმატებული აზრისა ბრძანდებით ქართველ ასულებზე!

შაჰი მოიღუშა, სიტყვის ბანზე აგდება არაფრად ჩააგდო:

— განა ეგ იმისათვის გაგიმხილეთ, რომ მადლობა მითხრათ!

— მადლიერება არასოდეს არაფერს გააფუჭებს, თქვენო უდიდებულესობავ!

— ვატყობ, თქვენ ისეთივე ჭკვიანი ბრძანდებით, დედოფალო, რამდენადაც მშვენიერი!

— გმადლობთ, თქვენო უდიდებულესობავ! თქვენს ნაბრძანებს მე სასიამოვნო ქათინაურად ვღებულობ. ერთი საწყალი ქვრივი დედაკაცის ჭკუა აბა რა სახსენებელია, მით უფრო მახვილი გონებითა და საარაკო სიმამაცით განთქმული ისეთი პირისაგან, როგორიც თქვენი უდიდებულესობა ბრძანდება.

შაჰ-აბასს ქება ესიამოვნა, ესიამოვნა ამ უკარება ქალის მიერ თქმული, ქალისა, რომელსაც უკვე ამოდენა შვილები ჰყავდა, ხვალ-ზეგ შვილიშვილების პატრონიც გახდებოდა და მაინც ჯერაც გაუშლელ ვარდს ჰგავდა, შირაზის ვარდს, ცისკრის ვარსკვლავივით რომ ბრდღვიალებს და ირგვლივ გამაბრუებელ სურნელებას აფრქვევს. მან სცადა, ექვსასიდან თავისი ერთ-ერთი ცოლის, ბატონიშვილ ელენეს გახსენება, რომელიც ამ მშვენიერი ბანოვანის ღვიძლი ასული იყო, რათა დედა და შვილი, ფურ-ირემი და მისი ნუკრი, მათი თვალების ეშხი და თასმასავით მოქნილი ტანის მიმოხრა ერთმანეთისათვის შეედარებინა, მაგრამ ვერ გაიხსენა, გოგონას ხატი სხვათა ხატებში აერია და თავის შელანძღულ მეხსიერებაზე გაჯავრებული იქვე მდგომ სიძეს, დის ქმარს მიუბრუნდა:

— კახთ ადგილი მიუჩინე დასაბანაკებლად. ჯერ დაისვენონ და ხვალ დილას გადავწყვეტთ, ვინ საით გაეგზავნოთ!

— შესრულებული იქნება, თქვენო უდიდებულესობავ!

შაჰ-აბასმა ისევ ქეთევანს შეხედა და სპარსულიდან, რომლითაც სიძეს მიმართა, კელავ ქართულზე გადავიდა:

— თქვენ, დედოფალო?

— თუ ნებას დამრთავთ, ჩემს ჯართან დავრჩები!

შაჰ-აბასს თითქოს მხრებზე იფნის მოქნილი წკეპლა გადააწნეს. მეტი აღარაფერი უკითხავს, საერთოდ აღარ უთქვამს აღარც ერთი სიტყვა, ჯვალოზე წამოხურული მოსასხამის კალთა აიკრიფა, მარცხენა მკლავზე გადაიგდო, ქეთევანს თავი ოდნავ დაუკრა, პირი იბრუნა და უხმოდ წავიდა იქით, საიდანაც თავისი ყიზილბაშებით აქ მოვიდა, წავიდა აშკარად ნაწყენი და რაღაცის გამო ამრეზილი.

კახი სარდლები დამეხილი იყვნენ, დამეხილი იყო თვით დედოფალიც, თუმცა შეუმცდარი ქალური ალღოთი გრძნობდა, რომ გაიმარჯვა, მტერი პირქვე დაამხო, ეს გაუტეხელი ლოდი, ზნედაცემული და თავისი მძლავრობით კაცთა ზედა ამაღლებული შაჰ-აბასი ტყვიის ლბილი გრდემლით გასტეხა და ერთხანს მისი შიში აღარ უნდა ჰქონოდათ.

თავი XXXII

შაჰ-აბასი რანში სამ თვეს დარჩა. განძის ციხე, სადაც ოსმალო ასკერები და იანიჩრები იყვნენ გამაგრებული და ფეხსაც არ იცვლიდნენ, ზარბაზნებითა და არკებუზებით დაანგრია, იერიშით აიღო, მის გადარჩენილ ნაწილში თავისი მეციხოვნე ჯარი ჩააყენა და ციხის ყველაზე მაღალ ქონგურზე შორიდანვე რომ ჩანდა, სპარსეთის ძლევამოსილი მბრძანებლის ალამი ასწია. ყოველივე ეს მან ისე მოიმოქმედა, რომ ქალაქის კედლის გარეთ დაბანაკებული ქართველები არაფრით შეუწუხებია, საქმეში არ გაურევია და აღარც თვით დედოფლისადმი გამოუმჟღავნებია რაიმე. ყურადღება. აბასს თავი ისე ეჭირა, თითქოს საყვარელი სიდედრისა და მისი ჯარის აქ ყოფნა აღარც კი ახსოდა. იგი შემომწყრალი იყო კახელებზე, უპირველეს ყოვლისა მათ მეფე თეიმურაზზე, რომელსაც თავის გაზრდილად აცხადებდა, შემომწყრალი იყო ქეთევანზეც და ამ თავის წყრომას განზე დგომით და სრული განაპირებით გამოხატავდა.

ეს ცუდი ნიშანი იყო. ქეთევანის თანმხლებნი და მრჩეველები, უწინარეს ყოვლისა თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი, რომელიც სისხლისმსმელი შაჰის შინაგან ბუნებას საკუთარ ხუთი თითივით იცნობდა, ეშვობდნენ, რომ მუხანათი ყაენი, ხელიდან ყოველივე სიავე რომ გამოსდიოდა, თავის

მოძულებულ თანადგომით რაღაც ხაფანგს უგებდა და მისი ეს ბოროტი ზრახვა დღეს თუ არა, ხვალ უნდა გამეღავნებულიყო.

ამასვე ფიქრობდა რამდენიმე მოახლე ქალთან ერთად თავის კარავში განმარტოებული, უზრუნველად გაზრდილი თავნება შვილის — თეიმურაზის ანაბარა მიტოვებული ქვეყნის ჯავრით გულგასენილი ქეთევანიც, თუმცა ხმამაღლა კრინტსაც არა სძრავდა, არავის არაფერს ეუბნებოდა და თითქმის მთლიანად უსმელ-უჭმელი ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაჩოქილი ათენ-აღამებდა.

იქნებ არ უნდა წამოსულიყო? იქნებ არ უნდა ეფიქრა, რომ წრფელი გულით მონდობილი უღონო ქალის კბენას პატიოსანი ძაღლიც არ იკადრებდა? მაგრამ ეს მხოლოდ პატიოსან ძაღლზე ითქმის, სინდის-ნამუსის მიჯნას გადასული კაცი კი ყოველგვარ ძაღლზე უარესია! როდის იყო, ავხორცი შაჰ-აბასი ხელიდან უშვებდა მსხვერპლს, უკეთუ უხამს თვალს დაადგამდა და მის ხელში ჩაგდებას მოიწადინებდა?! განა ის დაგიდევდა, ვინ იყო ეს მსხვერპლი, რომელმაც გულში ბილწი გრძნობა გაუღვიძა? მხოლოდ მცირე საბაბი სჭირდებოდა საიმისოდ, რომ გუშინდელი მოყვარე, პირმოთნეობით ფეხქვეშ რომ ეგებოდა და ერთგულებას ეფიცებოდა, თითქოს მასზე ძვირფასი არც არავინ ჰყოლოდეს, დღეს გაეწირა და სულითა და ხორცით ჯოჯოხეთის უფსკრულში ჩაენთქა! კახეთისა და მისი მესვეურების, თვით ქეთევანის წინააღმდეგ ამჟამად ეს საბაბი საკმაოზე მეტი ჰქონდა. რაკი დედოფალი მუხლებში არ ჩაუვარდა და თავისი დედაკაცური ღირსება ფეხქვეშ არ გაათელვინა, თავს ღირსებაშელახულად გრძნობდა და ვერ მოისვენებდა, სანამ ბინძურ ჟინს არ მოიკლავდა! რაღა თქმა უნდა, ამქვეყნიური ძალაუფლებით გაზულუქებული თვითმპყრობელი მისთვის სასურველ შემდგომ ნაბიჯსაც ქეთევანისაგან, თავისი სიდედრისაგან მოელოდა, მოელოდა ნაბიჯს, რომელიც თვით ამ ამაყ, თავმომწონე ქალს უნდა გადმოედგა და თავისი მეფური დიდებულება მის ფერხთა ქვეშ შესაბილწად ჩაეგდო!

ავხორც ბაჯაჯღანას თუ ამის იმედი მართლაც ჰქონდა და განძიდან ფეხს მანამ არ გადადგამდა, სანამ მიზანს არ მიაღწევდა, ლოდინი დაუსრულებლივ მოუხდებოდა, ხოლო თუ მოთმინების ძაფი ბოლოს მაინც გაუწყდებოდა, ასულის გაბახებას არ აკმარებდა და ძალას დედაზეც მოიტანდა,

ქეთევანი პირადად უნდა გამკლავებოდა მტარვალს და სრულიად სხვა მიზნით აქ ჩამოყვანილი მხედრობა საქმეში არ გაერია.

იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთის დღეს, მარიამობისთვის 29-ს რომ გაითენეს, დავით ჯანდიერი და შერმაზან ჩოლოყაშვილი მოიხმო და კარგა ხანს განმარტოებით ესაუბრა. ერთსაც და მეორესაც თავს უნდა ედოთ ძნელი მოვალეობა, დედოფლის სახელით ყაენი მოენახულებინათ და აქ უმოქმედოდ მდგომი თავიანთი ჯარის სამშობლოში დაბრუნების მოწყალე ნებართვა გამოეთხოვათ. შაჰი ან უარს იტყოდა, ან თანხმობას. იქნებ როგორმე გამორკვეულიყო, რა ედო გულში, რას აპირებდა, ამ სიშორიდან მოწვეულ ჯარს უსაქმოდ რისთვის აყოვნებდა!

დღეს ამის შეტყობა და რაიმე გადაწყვეტილების მიღება მით უფრო აუცილებელი და გადაუდებელი იყო, რომ თავის მშობლიურ კერას თვეობით მოწყვეტილი ამდენი მუქთა მჭამელის შენახვა ერთობ გაძნელდა, თითქმის შეუძლებელი გახდა. ჯარის დამშევა გარდაუვალი იყო და, ვინ იცის, ამას კიდევ რა მოჰყვებოდა. შაჰ-აბასის ინტენდანტები კახეთის ჯარისა და პირუტყვის კვებაზე, რასაკვირველია, თავს არ იწუხებდნენ, ვინაიდან ეს თვით კახბატონს ევალებოდა, ბაზარი კი ისე გაძვირდა, ერთი ჩანახი ხორბალი უღელი ხარის, ანდა ბედაური ცხენის საფასურად იყიდებოდა. დაილია ყველა მარაგი, რაც შინიდან წამოძღვანილი ჰქონდათ. საქმე ხარ-კამეჩზე, აქლემებზე და ცხენებზე მიდგა. თუ ასე გაგრძელდებოდა, სულ ცოტა ხანში კახთ აღარც ერთი ცხენი, აქლემი ან ხარიც აღარ დარჩებოდა. დამშეულ ბრბოს, რადაც ჯარი გადაიქცეოდა, შემდეგ ან ადგილობრივ მცხოვრებთა ძარცვა-გლეჯა უნდა დაეწყო, ანდა ერთმანეთი დაეჭამა!

ამ დროს გავარდა სწორედ ამბავი, შაჰი აყრას და ტფილისს წასვლას აპირებს, რადგანაც იქიდან მისთვის ერთობ სასიამოვნო ცნობები მოსვლია და არ უნდა, მარჯვე შემთხვევა ხელიდან გაუშვას, გიორგი მეფის მიერ აგარიანებისათვის დათმობილი ციხეები კვლავ თვით არ დაიჭიროს და შიგ ისევ ყიზილბაში მეციხოვნეები არ შეაყენოსო.

რა სასიხარულო ცნობები უნდა მოსვლოდა სისხლისმსმელს? რას უნდა გაეხარებინა და აეჩქარებინა ისე, რომ დანგრეული და გადაბუგული განძის მიდამოები ასე საჰაიჰაროდ დაეტოვებინა და საგრძნობლად შეთხელებული ლაშქრის

შეუესებლად ოსმალთა ხელთ მყოფი გურჯისტანისაკენ წასვლა განეზრახა?

უზენაესი ბრძანება კახთა ლაშქრის სარდალს, თავად დავით ჯანდიერსაც მოუვიდა და სალაშქროდ თადარიგის გაწევა ებრძანა. დედოფალს არავინ ახსენებდა. ის თითქოს აქ არც ყოფილიყოს. შაჰი, ეტყობოდა, ისერიგად იყო განრისხებული, მისი უდიდებულესობის სახელის ხსენებაც აღარ უნდოდა!

— როგორ ფიქრობთ, თავადო, აგარიანების წინააღმდეგ ერთი ისარიც არ გვასროლინა, აქ უმოქმედოდ დაგვაყენა და ახლა ნუთუ ჩვენს მოძმე ქართლზე მიეყევართ? — ჰკითხა ელდისაგან გამშრალ სარდალს ქეთევანმა, როცა ქვეშევრდომებთან გამობრძანდა და მის მიერ მოტანილი საგანგაშო ამბავი მოისმინა.

— ძნელია მაგის თქმა, დედოფალო, — მიუგო სარდალმა. — არა მგონია, შაჰი ტფილისში ვინმესთან საომრად მიდიოდეს!

— მაშ, ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგვხედა, შეუნდო მეფე გიორგის?

— სამძიმარი უნდა მოგახსენოთ, თქვენო უდიდებულესობავ!..

— სამძიმარი? — ქეთევანს თვალები გაუფართოვდა, ფერმკრთალი ღაწვები შეეფაკლა. — როგორ თუ სამძიმარი?

— მონა ღვთისა, მეფე ქართლისა გიორგი მიიცვალა მარიამობისთვის ორს და მიცვალებიდან მეათე დღეს სვეტიცხოვლის მეფეთა საძვალეში მიუჩინეს საუკუნო განსასვენებელი!

— ღმერთო!.. — გულის სიღრმიდან აღმოხდა ქეთევანს და ტუჩებათრთოლებულს თვალები ცრემლით აევსო. — ნუთუ ეს მართალია? ვინ მოგვიტანა ეგ საზარელი ამბავი, ანდა აქამდე რატომ ვერ შევიტყვეთ?

— კაცები გეახლნენ ტფილის-ქალაქიდან, შაჰს ყირიმელი თათრების ბელადების მოკვეთილი თავები მოართვეს!

— რას ბრძანებ, თავადო, ქართლი ახლა სულთანსაც გადაუდგა და ისევ სპარსეთს უღებს კარს?

— საქმე სხვაგვარად ყოფილა, დედოფალო, — დინჯად, აუჩქარებლად განაგრძო დავით ჯანდიერმა. — ნეტარხსენებული გიორგის მიცვალების მესამე დღეს, ჯვარი აქაურობას, მეფის ნეშტი ჯერ კიდევ თბილი იყო, სასახლეში ესვენა,

დიდებულებმა ტახტზე ბატონიშვილი ლუარსაბი აიყვანეს და სიონის ტაძარში ერს მისი ერთგულების ფიცი მიაღებინეს!

— რა ეჩქარებოდათ დალოცვილებს, — უკმაყოფილება ველარ დამალა ახლობელი ადამიანის დაკარგვით გულდამწვარმა ქეთევანმა. — კანონიერ მემკვიდრეს ტახტი სად გაექცეოდა?! ერთი კვირაც ველარ მოიცადეს? საბრალო გიორგი! მოელო ბოლო შენს ტანჯვას! მიიბარა ღმერთმა შენი წამებული სული! ახლა ვისღა აცვამენ ჯვარს შენი ძვირის მთქმელნი, დღეის ამას იქით შენ რომ აღარ ეყოლები?! ბედნიერი ხარ, რომ ველარ მოესწარი შენი საბატონო ქვეყნის ახალ აკლებას, გაასწარ მარადიულ სოფელში, სადაც ადრე თუ გვიან ყველას მიგველიან!..

მამაკაცები უქუდოდ იდგნენ და ხმაგაკმედილნი პირჯვარს იწერდნენ. ქეთევანის გულის დამწველმა სიტყვებმა უკლებლივ ყველა დაამწუხრა, თვით ისინიც კი, ვისაც მეფე გიორგი არასოდეს ენახა და მისი მხოლოდ სახელი გაეგონა. ქართლის მაშვრალმა მეფეს, თავს ერთი წუთი დასვენების ნებასაც რომ არ აძლევდა, გზებსა და ხიდებს აშენებდა, არხები გაჰყავდა, მთელი სოცოცხლე თავაუღებელ შრომასა და ომებში გაატარა, უმადურები და მაგინებლები მაინც ბევრი ჰყავდა. დიდებულები სისხლს უშრობდნენ, კრიჭაში უდგენ, გასაქანს არ აძლევდნენ. ჯერ იყო და, ახალგაზრდობა მამის, ოსმალების მიერ დელი სიმონად მონათლული მეფე სიმონის ტყვეობამ მოუწამლა. სიმონი ფარცხისთან იგდეს ხელთ ოსმალებმა და მის გამოსასყიდად ტახტის მემკვიდრე გიორგის დიდძალი თანხა დაუწესეს. მამის უზომოდ მოყვარულმა შვილმა გიორგიმ მთელი სამეფო ხაზინა და ეკლესია-მონასტრების ოქროვერცხლი სტამბოლში ჩაზიდა, მაგრამ, სამწუხაროდ და სავალალოდ, მისმა კაცებმა მეფეს ცოცხალს ველარ ჩაუსწრეს და იქ ურმებით ჩაზიდული განძის საფასურში მხოლოდ ნეშტი წამოასვენეს, რომელიც გიორგიმ ჯეროვნად დაიტირა და სწორედ იქ დაკრძალა, სადაც თვით მას მიუჩინეს სამუდამო ბინა. დიდებულებმა ვერა და ვერ აპატიეს გვირგვინოსანი მამის ტყვეობიდან გამოსახსნელად ხაზინის დაცარიელება, ქართლში მომხდარ ყველა სიავეს მას აბრალებდნენ და შიგადაშიგ ტახტიდან ჩამოგდებითაც ემუქრებოდნენ. უკანასკნელი შეხლა-შემოხლა სწორედ მაშინ მოხდა, როცა ლოგინად ჩავარდნილმა გიორგიმ გაუმაძღარი შაჰ-აბასის ხელქვეით ყოფნას, ლორესა და დებედას ხევის სამუდამოდ დაკარგვას

ისევ სულთანთან მიკედლება არჩია და ყაენისაგან თავის დასაცავად ტფილისის, ქვემო ქართლისა და თრიალეთის ციხეები ოსმალთ გადასცა, რამაც უიმისოდაც ამრეზილი შაჰ-აბასი კიდევ მეტად გაამძვინვარა, გიორგის ძველი დამსახურებანი დაუვიწყა და დღეს თუ ხვალ ქართლში ცეცხლითა და მახვილით შემოჭრას აპირებდა.

— ყირიმელი თათრები საიდანღა გაჩნდნენ ჩვენდა ჭირად, საქართველოში რა უნდოდათ? —ჰკითხა ქეთევანმა ჯანდიერს.

— სულთანს ჯელალალიები აჯანყებიან, დედოფალო. მოგეხსენებათ, ეგენი სამსახურიდან დათხოვნილი მხედრები არიან, ანატოლიაში გლეხური შრომით ირჩენენ თავს და დრო და დრო, ხელსაყრელ შემთხვევას რომ ჩაიგდებენ, სულთანს უჯანყდებიან, ძველი უფლებების აღდგენას მოითხოვენ. სულთანს ყირიმელი თათრები მიუწვევია მათი აჯანყების ჩასაქრობად. ისინიც ზღვით წამოსულან და ანატოლიის ნაპირებზე გადმომსხდარან. აჯანყების ჩაქრობის შემდეგ უკან მობრუნებულებს საქართველოს გზა აურჩევიათ. წავითარეშებთ, ნადავლს ვიშოვნით და შინ ხმელეთით დავბრუნდებითო. ჯავახეთი გადმოუვლიათ, იქაური საძოვრებიდან ხარ-ძროხის ჯოგები, ცხვრის ფარები და ცხენის რემები გადმოურეკიათ და მანგლისს მოსულან შიდა ქართლში ჩამოსასვლელად, სადაც დიდი ნადავლი ეგულებოდათ. აქედან გზა ვეღარ გაუგნიათ. მანგლისში ერთი აქაური მღვდელი შეუპყრიათ, მოკვლით დამუქრებიან და მეგზურობა დაუკისრებიათ. მღვდელს სცოდნია მეფე ლუარსაბის ადგილსამყოფელი, ის თურმე პაპანაქება სიცხისაგან თავის შესაფარებლად ცხირეთს მდგარა მცირედი ჯარით, მაგრამ უღრან ტყეებში მტრის ჯარი აღმა-დაღმა უტარებია, ცხირეთისაკენ წასვლის მაგიერ ქვენადირისაკენ გაუხვევია და მანამ მუხლი არ ჩაუხრია, სანამ ღალატი არ გაუგეს და იქვე არ აკუწეს. დაღამებამდე თათრები მტკვრის პირას გამოსულან და ის ღამე ყარაღაჯსა და ბრბონაში გაუთევიათ. ამასობაში ცხირეთშიც შეიტყეს მტრის გამოჩენის ამბავი და თვით ცხირეთი, ერთაწმინდა, გოსტიბე, ნოსტე, მეტეხი ფეხზე დააყენეს. ეს საქმე თვით ტფილისის მოურავს, გიორგი საკაძეს უკისრია, რომელიც სარდალ ზაზა ციციშვილთან ერთად ამ დროს ცხირეთში მეფის მხლებელთა შორის ყოფილიყო. სოფელ ნიაბთან, სხერტის ჭალაზე დახვედრიან თათრებს და მუსრი გაუვლიათ. იბრუნეს პირი თურმე თათრებმა და მტკვარს აღმა აჰყვნენ, იქნებ ახალციხეში

ავასწროთ და იქიდან ისევ ოსმალეთს შევაფაროთ თავიო. მტკვარზე სახელდახელოდ ხიდიც გაედოთ, გაღმაც გადასულიყვნენ, მაგრამ საკაძე ტაშისკართან დასწეულია და ვინც სხერტის ჭალაზე გადაურჩათ, აქ აუკაფიათ. მტკვარი თურმე სისხლით შეიღება. ასობით გვამი და ცხენის მძორი წყალს დაღმა მიჰქონდა!..

— ნამდვილია, თავადო, სარწმუნო ცნობებია?

— აკი მოგახსენეთ, დედოფალო: წუხელ, ჩოჩქოლი რომ ატყდა, მეფე ლუარსაბის კაცები მოსულან ტფილის-ქალაქიდან და ყაენისათვის თათარი სარდლების: ფერად-ფაშას და მოჰამედ-ფაშას თავები მოურთმევიათ. ძღვენი უკეთესი აღარ შეიძლება. გინდამც თვით სულთან მურადის თავი მოერთმიოთ! შაჰი აღტაცებულია. ადგილს ვეღარ პოულობს. ტფილისის მოურავ საკაძეს დიდ მოურავად ნათლავს, ხოლო ლუარსაბს თავის საყვარელ პატარა ცოლისძმას უწოდებს! აგარიანებს, ამას გარდა, ციხეები დაუცლიათ და შაჰ-აბასის ჭარბ ძალებთან პირისპირ შეხვედრას რომ თავი აარიდონ, თრიალეთის მთებს შეხიზვნიან!..

ქეთევანმა პირჯვრის წერით მუხლი მოიყარა. პირჯვრის წერითვე დაიჩოქეს სხვებმაც. ნაღველგარეული სიხარულის ცრემლით თვალებაციაგებულმა დედოფალმა ბეჭებზე წამოხურულ შავი თავშლიდან გამოყოფილი ხელები აღაპყრო და ცას მხურვალედ შეპღაღადა:

— ღმერთო, იესო მაცხოვარო, იხსენი და დაიფარე ჩვენი გაჭირვებული სამშობლო! ღვთისმშობელო დედავ, ნუ მიატოვებ გასაჭირში ჩავარდნილ შენს წილხვედრ ქვეყანას! თქვენ დაულოცეთ მარჯვენა გიორგი საკაძეს და ზაზა ციციშვილს, გამოუცდელ ახალგაზრდა მეფეს მხსნელად რომ მოევლინენ და გვერდში ამოუდგნენ! აცხოვნე, ღმერთო იმათი ნეტარი სული, ვინც ომში დაიღუპა და სამშობლოს ზვარაკად შეეწირა! ზეციერო მამავ, ჩვენთვის ჯვარცმული იესო მაცხოვარო, დაგვილოცე გზა და კვალი, ამ ულმობელ წუთისოფელში წაღმა გვატარე, ჩვენს მართალ საქმეში მწედ გვეყოლე, ურჯულო მტერს ჩვენზე ნუ გაამარჯვებინებ! იდიდოს შენი სახელი უკუნითი უკუნისამდე!

— ამინ!.. — პირჯვრის წერით დააწიეს სხვებმა.

თავი XXXIII

ორიოდე საათით ადრე, ვიდრე სალაშქროდ აღკაზმული შაჰ-აბასი, ასობით ძვირფას ტახტრევანში გამოკეტილი მისი ჰარამხანა, აქლემებზე გადამსხდარი საჰურისები, ყაენის მცველი ღულამთა კორპუსი და მხედრობა გურჯისტანის გზას გაუდგებოდა და კახეთის მცირერიცხოვანი ლაშქარიც ამავე გზით გასწევდა, დედოფლის მრჩეველი თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი სასწრაფოდ შაჰის ბანაკში მიიხმეს. ძველი ნაცნობი, სიბრძნითა და ჭკუა-გონებით განთქმული შერმაზან ჩოლოყაშვილი, მეფე თეიმურაზს ბატონიშვილობაში შაჰის კარზე რომ ახლდა, ნუთუ თვით მისმა უდიდებულესობამ გაიხსენა და რაიმე დიდმნიშვნელოვანი დავალების მიცემას უპირებდა?

კახთა ბანაკში რა არ იფიქრეს, რა არ ივარაუდეს, სიკეთეს არავინ ელოდა. აბასმა თავისი ბოღმა, ეტყობოდა, ამ წუთამდე შემოინახა და ახლა, დაძვრის წინ, მტყუანისა და მართლის განსჯას აპირებდა!

თავადი შერმაზანი შაჰის სიძემ, დის ქმარმა მიიღო და სტუმარს, მისდა გასაოცრად, მბრძანებლის ნება-სურვილი სიტყვიერად გადასცა: კახთ უფლება ეძლეოდათ, მათ მიერვე არჩეული გზით სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ, ოღონდ იმ მიუცილებელი პირობით, თუ პირველ დაძახებისთანავე საკუთარი ვალის — თეიმურაზის წინამძღოლობით მისი უდიდებულესობა შაჰის დროშების ქვეშ დადგებოდნენ. გარდა ზემოთ მოხსენიებული პირობისა, კახეთის ვალს თეიმურაზს ქვეყნის ნებისმიერ ალაგას ორი ათასი თურქმანული ტომის ოჯახის ჩასასახლებლად ადგილების შერჩევა ეკისრებოდა.

შერმაზან ჩოლოყაშვილი რომ ბანაკში დაბრუნდა, შაჰ-აბასის პირობა კახეთში თურქმანი ოჯახების ჩასახლების თაობაზე თვით ქეთევანისთვისაც კი არ გაუმხელია. რა იყო საჩქარო, გამხელას და გულის გახეთქვას ყოველთვის მოასწრებდა, ოღონდ აქედან, ამ აშმორებული ჯურღმულიდან როგორმე გაეღწიათ, სული მოეთქვათ და თავი სამშვიდობოს ეგრძნოთ!

შაჰის შეუნიღბავი რისხვა, რომელსაც ვერსად გაექცეოდნენ, შერმაზანის თვალში იმითაც კარგად ჩანდა, რომ

საყვარელი სიდედრი, როგორც ის დედოფალ ქეთევანს სხვათა გასაგონად უწოდებდა, გაყრის ჟამს ჩირადაც აღარ ჩააგდო, მიუხედავად მეფური მიღებისა, აქ მობრძანებისას რომ მოუწყო, ამჯერად ამბავიც არ იკითხა, აქეთ გამოხედვაც აღარ ინება, არც წყალობის მაუწყებელი ხალათები გამოგზავნა, ხოლო ის ამბავი, რომ კახბატონ თეიმურაზს ორი ათასი თურქმანული ტომის ოჯახის კახეთის მიწა-წყალზე ჩასახლება შეაწერა, რისხვაზე მეტი იყო. იგი უახლოეს მომავალში კახეთის უომრად დაპყრობას, ყიზილბაშური სისხლის დაულვრელად სპარსეთისათვის მიერთებას მოასწავებდა. მაჰმადის რჯულის მიმდევრები ჭიანჭველებივით მრავლდებიან. დღევანდელი ორი ათასი ოჯახი ხვალ და ზეგ ათი ათასი იქნება, რამდენიმე წლის შემდეგ კი ისე იბარტყებს, მიწაზე ფეხის დასადგმელ ადგილსაც აღარ დაგიტოვებს!

სამუხის ჭალებამდე და ეევლახამდე, სადაც ბორნით თუ ცხენდაცხენ ზაფხულის გვალვებში კალაპოტში ჩავარდნილი მტკვარი უნდა გადაეელოთ და ფეხი შაქის უდაბნოში შეედგათ, ვერაგი მტერი არსად წამოგვეწიოს, ზურგში მალულად მახვილი არ ჩაგვცეს ან წინასწარ მოწყობილ საფარს არ გადავაწყდეთო, მოკლე-მოკლე შესვენებებით იარეს, საგრძნობლად დამცხრალ-დამცრობილი მდინარე შედარებით ადვილად გადალახეს და გამოღმა ნაპირზე უკანასკნელი ურემი რომ გამოვიდა და მშიერ-მწყურვალმა ხალხმა თავი უშიშრად დაიგულა, თავისუფლად მხოლოდ მაშინ ამოისუნთქეს.

ომგადახდილ დედას თეიმურაზი სამეფოს საზღვარზე მოეგება დიდი ამალით. მეფე სანადიროდ ბრძანებულიყო ლაგოდეხის ტყეებში. ნანადირევიც ბლომად ეშოვნა და ის იყო, ტყეში შამფურზე წამოგებული შვლის მწვადების მადისაღმძვრელი სუნი გავარდა, რომ დავით ჯანდიერის მიერ კაკიდან გრემს გაგზავნილმა კაცებმაც მოაღწიეს და მეფე-ბატონს დედისა და რანში შაჰ-აბასის შესაწევნად ნამყოფი ჯარის მოახლოების ამბავი მოუტანეს.

ქეთევანი სრულებით არ მოელოდა, თუ ძალაუფლებით გალაღებულ, სპარსულ ყაიდაზე ჩაცმულ-დახურულ, ვარდისფერი ჩალმით შუბლშემკობილ გვირგვინოსან შვილს აქ ნახავდა და თუმცა მისი ჩაცმულობა გულზე ლახვრად დაეცა, თეიმურაზის ხილვით ისე გაიხარა, გადატანილი მწუხარება და

ულვთო დაღლილობა, მთელი სხეული რომ დაემძიმებოდა, თითქოს ერთბაშად გამოეყარა.

პირველი, რაც შვილის მოსიყვარულებისა და ბატონის მხლებელი ახალგაზრდა თავადიშვილებისაგან მოლოცვის მიღების შემდეგ მეფეს ჰკითხა, უმაწვილი რძლის, დედოფალ ანას ამბავი იყო. სამ თვეს გაევლო, რაც ქეთევანი შინიდან წავიდა და ეს მცირე დრო მისთვის მთელ წელიწადს უტოლდებოდა.

საყვარელი ცოლის ამბავი რომ ჰკითხეს, თეიმურაზმა დედის წინაშე დაირცხვინა და გაწითლდა, რა ვიცი, თავად ნახავ და გეტყვისო, მიუგო და თვალი მოარიდა.

ქეთევანმა წარბი შეიკრა:

— რა მოხდა, თეიმურაზ, ცუდი ხომ არაფერია?

— ცუდი რა უნდა იყოს?!

— ფეხმძიმედ ხომ არ არის?

— ჰო, მიზეზობს...

— მერე მაგას მიმალავ, შვილო? — ქეთევანს გულზე მოეშვა და ნაღვლიან თვალებში შუქი ჩაუდგა. — მომილოცავს! ამაზე უკეთესი რა უნდა მოგეხარებინა! კიდევ ცოტაც და ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი შეგვეძინება!

— შენ რა გახარებს, ბებია რომ გახდები?

— მაშ, არ უნდა მიხაროდეს? უკვე დროა, ბებია გავხდე და ღვთის მადლით გავხდები კიდევაც!

— მერე ასე ახალგაზრდა და ლამაზი რომ ხარ, დედი?

— ახალგაზრდა და ლამაზი შენა გგონივარ, რადგანაც აგრე გინდა. მე ჩემი უკვე მოვჭამე. ახლა შენი, შენი და ანას დროა. ღმერთმა მიდღეგრძელოს და მიბედნიეროს თქვენი თავი!

— რა ბრძანა შაჰმა, ძალიან ეწყინა, რომ გავაწბილე და არ ვეახელი?

ქეთევანს ისევ შეეკრა შუბლი, ისევ დარია ხელი დაღლილობამ, თვალში კვლავ ღრმა სევდა და წუხილი ჩაუსახლდა.

— შინ მივალთ და მაგაზე იქ ვილაპარაკოთ!

თეიმურაზი მიხვდა, საქმე მთლად კარგად არ იყო, გულში უცნაური პწკენა იგრძნო და ჩაეძია:

— ხალხი ბევრი გაკლია?

— არავინაც არ დამკლებია!

— როგორ? — გაკვირვებისაგან თეიმურაზს თვალები შუბლზე აუცვივდა.

— როგორ და ისე, არ დამკლებია არც ერთი კაცი! რამდენიც წავიყვანე, იმდენით მოვბრუნდი!

— ისეთი რა ომი იყო, რომ მტერი დამარცხდა, ჩვენ კი უმსხვერპლოდ გადავრჩით?!

— აკი გითხარ, შინ მივიდეთ და მაგ საგანზე იქ ვისაუბროთ-მეთქი?

— დედი, რალაცას მიმალავ!

— რას უნდა გიმალავდე, შვილო, სახელმწიფო საქმეებს გზაშარაზე ხომ ვერ განვიხილავთ, მივალთ შინ, დადგება მაგის დრო და ყველაფერს დაწვრილებით მოგახსენებენ!

— ეგ ერთი რამ მაინც მითხარი: უმსხვერპლოდ როგორ გადარჩი?

— ომში ჩვენ არავითარი მონაწილეობა არ მიგვიღია.

— რას ბრძანებ, დედი, მაშ, იქ რას აკეთებდით?

— ბანაკად ვიდექით, შვილო.

— მერე შაჰ-აბასი?

— არ დაგვასაქმა, არ ინება ომში ჩვენი გარევა, ციხის აღება შორიდან გვაყურებინა.

— ღმერთო, დიდებულო! — განცვიფრებულმა თეიმურაზმა პირჯვარი გადაიწერა.

— აბა, რისთვის გვიბარებდა! ჯარი ეცოტავა?

— ვინ იცის...

რამდენიმე ნაბიჯი უბრად გაიარეს და შემდეგ თეიმურაზმა ისევ იკითხა:

— ბოლოს, რაო?

— სიძის პირით შემოგვითვალა, ნება გეძლევათ, აიყაროთ და შინ წახვიდეთო.

— და წამოხვედით?

— როგორც ხედავ!

თეიმურაზი ჩაფიქრდა, ტუჩები მოიკვნიტა, წელანდელი ძალდაუტანებელი ონავრული მხიარულება, რითაც უდაბნოს მტვრით დაფარულ, სახეგარუჯულ დედას და მის თანმხლებ პირებს შეხვდა, სადღაც გაუქრა და მის მაგივრად თვალებში შიში და სასოწარკვეთა ჩაესახა.

ქეთევანს არ შეუმჩნეია ცვლილება შვილის სახის გამომეტყველებაში, რადგანაც მისი ცხენი ოდნავად წინ უსწრებდა მეფის ცხენს და ამიტომაც უშფოთველი ხმით ჰკითხა:

— ქართლიდან რა ისმის, მართალია, რასაც ამბობენ?

— დიდი ომი გადაიხადეს!

— ვინ იყვნენ, მართლა ყირიმელი თათრები?

— ჰო, ამბის წამღებიც არავინ წასვლიათო. ეს რომ ყურში მოსწვდათ, ოსმალებმა ნებით დასცალეს ტფილისის, სამშვილდის, ორბეთის და დმანისის ციხეები. წინასწარი პირობა მოითხოვეს, ოღონდ უნებლად გაგვიშვითო.

— მერე? გაუშვეს?

— ვინ არ გაუშვებდა! ტფილისის მოურავმა, გიორგი სააკაძემ, დრო იხელთა და ოთხივე ციხეში ქართლის მეციხოვნე ჯარი ჩააყენა. ამბობენ, ამან მოულბო გული შაჰ-აბასსო, სარდლების თავების მიღებაც დიდად ესიამოვნა და ქართლის აოხრებაზე ხელი აიღოო. ახლა, როგორც ამბობენ, აქეთ მოდის. თავისი ცოლისძმა ლუარსაბი ტახტზე უნდა დაამტკიცოსო. მე რომ მკითხოს კაცმა, არც მოსვლა მინდა მისი და არც ტახტზე დამტკიცება. ჩვენი საქმე მაშინ გაფუჭდა, როცა კუთვნილ ტახტზე სხვისი დასამტკიცებელი გავხდით! დიდებულებსა და ცოლისძმას აგრე ურჩევიათ: მოვიწვიოთ და მოყვრულად დავუხვდეთ, სულ ერთია, მაინც ხომ მოვაო.

— ცოლისძმას? — ქეთევანს შვილის გონივრული მსჯელობა ეამა და ხომ არ მომეყურაო, ჰკითხა.

— ვინ ცოლისძმას? ნუთუ ლუარსაბი დაქორწინდა?

— არ გაგიგიათ, დედი? აქ კი დიდი ამბავია!

— ნუთუ მართლა? ვისი ქალია, მითხარი, შვილო, ჩქარა!

— საქმეც ეგ არის: სააკაძის ქალი გახლავს, ტფილისის მოურავ გიორგი სააკაძის ღვიძლი და, თეკლე.

— ღმერთო, დიდებულო, ეს რა მესმის! სად ბაგრატოვანთა ტახტი და სად უბრალო აზნაური სააკაძე!

— სწორედ მაგის გამო დრტვინავენ ქართლის თავადები, ჩვენი ხელით ტახტზე დასმულმა მეფემ ეს რა გვიყო, შეგვარცხვინა, თავზე ლაფი დაგვასხაო.

— სად ნახა ლუარსაბმა სააკაძის და, ან ვინ ურჩია ეს ამბავი?

— არავის არ ურჩევია, ნახვით კი ნოსტეში, ძმის ციხე-დარბაზში ნახა და მოეწონა!

— რამ მიიყვანა მეფე სააკაძისას?

— ტაშისკარში გადახდილი ომის აღსანიშნავად სააკაძემ სუფრა გაშალა ნოსტეში, თავის საგვარეულო ციხე-დარბაზში და მეფეონი და მთელი გამარჯვებული ლაშქარი მიიწვია. დიდი პურობა გაიმართა. დიდებულებმა მოილხინეს. მათ არც

ლუარსაბი ჩამორჩა. იქეიფა, იმღერა, იცეკვა და სწორედ მაშინ შენიშნა სააკაძის და სუფრის მომსახურე ქალებში, თვალი დაადგა, გაუსვ-გამოუსვა ფეხი მის წინ და საცეკვაოდ გაიწვია.

— რატომ არ მოვკვდები! ეგ საქმე მოწყობილს ჰგავს, თეიმურაზ!

— შეიძლება. ვინ იცის, დედი.

— მერე რა მოხდა?

— იმავე ღამეს გაიხმო ლუარსაბმა სააკაძე და გამოუცხადა, შენი და თეკლე მიყვარს და, თუ წინააღმდეგი არ იქნებით და სასიძოდ არ მწუნობთ, ხვალ სვეტიცხოველში ჯვარს ვიწერო.

— თვალად როგორია, ლამაზია მაინცა?

— ცას მოწყვეტილი ვარსკვლავი ყოფილა!

— სააკაძეც უარს როგორ ეტყოდა!

— უარი უკადრებია სწორედ! უგვარო ხალხი ვართ, აბა, სად ჩვენ, ქართლის უბრალო აზნაურები და სად მეფეთა ტახტიო. ნუ დაგვღუპავ, ნურც დას დამიღუპავ, შენს წინაშე ხომ დანაშაული არა მიმიძღვის რა, ღმერთმა იცის, ერთგულად გემსახურები, დიდებულებს ნუ გადამკიდებ, ჩემს ცოდვაში ნუ ჩადგებიო. ახლა ღამეა, ნაღვინევი ხარ, გულში წუთიერი სურვილი ჩაგვარდნია, გათენდება და ყველაფერი სიზმარივით გაივლისო. იგივე ურჩევიათ დიდებულებსაც. ყველაზე მეტად შადიმან ბარათაშვილი ცდილობდა, მაგრამ არც ამას უსმინა ლუარსაბმა, თეკლე მოაყვანინა, ხელი ჩასჭიდა, საჯაროდ დანიშნა და სადედოფლოდ გამოაცხადა. მესამე დღეა, რაც სვეტიცხოვლის ტაძარში კათალიკოსმა ჯვარი დასწერა, გვირგვინი დაიდგეს და იქორწინეს.

— ვერა ხარ კარგი მახარობელი, შვილო, თეიმურაზ. ეგ ამბავი აგრე უბრალოდ არ დამთავრდება. ამპარტავანი და მუდამ სატევარზე მაცქერალი დიდებულები უგვარო ქალს დედოფლად არ იგუებენ, მის წინაშე ქედს არ მოიხრიან. დიდებულებმა კიდევაც რომ იგუონ, თანამეცხედრეები, მეტადრე გასათხოვარი ქალების პატრონები, ატეხენ განგაშს, მეფეს თეკლეს განტევებას და მონასტერში გაგზავნას მოსთხოვენ. სუსტი და სხვისი ხელის შემყურე მეფე ვერ დაიცავს თავის სჯულიერ ცოლს და დათანხმდება...

— ეშიშობ, რომ აგრე იქნება, დედი.

— ამას დიდი არევ-დარევა მოჰყვება მეფის კარზე. ერთგულ სააკაძეს დიდებულები მეფეს გაუორგულებენ. ისიც

არ მოითმენს დედამამიშვილის დაუმსახურებელ დამცირებას, ოჯახის შერცხვენას, ანდა როგორ უნდა მოითმინოს და, უნდა თუ არ უნდა, მეფის მტრების ბანაკში აღმოჩნდება! ეს ყველაფერი მარბიელი ყირიმელი თათრების მოსვლის გამო დაგვატყდა თავს. რომ არა ისინი, არც ტაშისკრის ხოცვა-ჟლეტა მოხდებოდა, არც სააკაძე მიიპატიჟებდა მეფეონს ნოსტეში და ვერც თეკლე და ლუარსაბი შეხვდებოდნენ ერთმანეთს! სიკეთის დროს, როდესაც გულღრძო შაჰმა გული მოიბრუნა, ეს-ღა გვინდოდა?

ჯარმა საზღვარზე გადასვლისთანავე დაიწყო დაშლა. ზოგან დიდ, ზოგან მცირე ჯგუფებად, ზოგან კი თითო-ოროლა, მხარზე შუბგადებულნი გზიდან უხვევდნენ და ორმხრივი გამამხნევებელი შეძახილებით, აწი მხოლოდ ქორწილებსა და ძეობებში გვანახოს ერთმანეთიო, ძეწნებითა და ლეღვებით დაჩრდილულ ორღობეებში, რომელთა გადაღმაც ქარვისფრად ჩაშაქრებული რქაწითელი და კამეჩის სისხლივით ჩაშავებული საფერავი ღუოდა, თვალს ეფარებოდნენ.

თავი XXXIV

შორეული ლაშქრობიდან შინ მშვიდობით მობრუნებულ ქეთევანს კიდევ ერთი საწყენი ამბავი დაუხვდა. შვილმა ის სასახლეში მოსვლამდე არ გაუმხილა, რა საჩქაროა, მივა და თავად გაიგებსო. პატარა დედოფალ ანას თურმე გულს აზიდებდა. გულზიდება ფეხმძიმობის მეორე თვიდან დასჩემებოდა და სულს უმწარებდა. ღამე ძილი არ ჰქონდა, დღისით მოსვენება. მასთან ერთად წუხდა თეიმურაზიც. წუხდა მეფის ძალუა ასინეთი, წუხდნენ სეფექალები, თავიანთ სათაყვანებელ ახალგაზრდა დედოფალს წუთითაც რომ არ სტოვებდნენ მარტო, მაგრამ მხსნელი დახმარების აღმოჩენა არავის შეეძლო და სწორედ ეს აწუხებდა და სტანჯავდა ყველას.

— ილოცე, შვილო, ანა, — უთხრა ქეთევანმა რძალს, რომელიც გულზიდებას ისე შეეწუხებინა, რომ სახეზე კაციშვილის ფერი აღარ ედო. — ილოცე, რომ შეუნდოს მამაზეციერმა ცოდვა თეიმურაზს, ჩვენს მეფეს და პატრონს, იკმაროს ჩვენი ცრემლი და ვედრება, ულხინოს შენს ღვთაებრივ ნაყოფს, დედის მკერდქვეშ რომ ფეთქავს.

ანას ნახევარიც არ ესმოდა, რასაც დედამთილი ეჩურჩულებოდა, მაგრამ სიტყვებს კი მორჩილად იმეორებდა და საშინელ გულზიდებისაგან ფერს სულ უფრო და უფრო ჰკარგავდა.

— დედა, ბატონო დედა! — შესძახა შეშინებულმა თეიმურაზმა. — ანა გონებას ჰკარგავს!

— ვაიმე, შვილო! — ქეთევანმა, თითქოს ღრმა ძილიდან გამოერკვაო, შუბლით ქმრის მხარზე მინდობილ რძალს ორივე ხელი მოჰხვია და გულზე მიიხუტა. — ანა! მოიტანთ წყალი, ვინა ხართ მანდ...

წყალი ტოლჩით მოარბენინეს. ნახევარი გზაში დაჰქცეოდათ. ქეთევანმა ხელი დაისველა, თვით მიასხურა გულშეღონებულ ანას სახეზე, საფეთქლები დაუზილა და ქალმა რომ თვალი გაახილა და ვიღაცას დაუწყო ძებნა, მისი თავი ისევ გულზე მიიხუტა.

— ნუ გეშინია, ანა, შვილო, ჩემო პატარავ, აქ არის, ყველა აქა ვართ, არაფერს გაგიჭირვებთ, გენაცვალე!..

სამი დღე და სამი ღამე ქეთევანს თვალზე რული არ მიჰკარებია. უბრალო მოახლესავით რძლის სასთუმალთან ტრიალებდა. ფხიზლობდნენ სხვებიც და უპირველეს ყოვლისა ძალუა ასინეთი. გულხელდაჭდობილი თეიმურაზი წინ და უკან წრიალებდა თავის საძინებელ ოთახში და გამწარებული, რომ საყვარელ არსებას ტანჯვას ვერაფრით უმსუბუქებდა, ტუჩებს იკამდა. დროდადრო უსასოო გმინვა აღმოხდებოდა ხოლმე გულიდან, ბალღივით ტიროდა და წყეულიდა იმ უბედურ დღეს, როცა დედოფლისწყაროსაკენ მიმავალმა გზა გაიმრუდა, ბაკურციხისაკენ გადმოუხვია და კისისხევში ის ღვთის გამარისხებელი ავკაცობა ჩაიდინა, რისთვისაც ღმერთი სჯიდა, სჯიდა არა თვით მას, არამედ სრულიად უცოდველ არსებას, რათა მისთვის გული მოეკლა და მოუქარვებელ სინანულში ჩაეგდო!

მაინც ვინ იყო ის სატანა, ვინც ყურში ის შხამიანი სიტყვები ჩააწვეთა, დღეს ბუკს გთხოვს, ხვალ შეიძლება ტახტიც მოგთხოვოს, გადადექი, ჩემთვის უფრო უპრიანიაო? ვინ ააგულიანა და ამ ცოდვის ჩადენა ვინ ჩააგონა? ფიქრობდა და ვერ მოეგონებინა. ეჭვი ხან ერთზე, ხან მეორეზე და ხან მესამეზე მიჰქონდა. მაგრამ რად უნდოდა, კიდევაც რომ გაეხსენებინა? ახლა იმასაც ხომ არ დასჯიდა, კიდევ ერთ უპატიებელ ცოდვას ვერ მოიკიდებდა? მთავარი და ერთადერ-

თი დამნაშავე თავად იყო. რაც არ უნდა ეთქვათ და გაეგონებინათ, წინასწარ ვის შეეძლო წარმოედგინა, თუ ის ერთბაშად შეიცვლებოდა, ღიმილსა და წყალობას ჩვეული გადასხვაფერდებოდა და უდანაშაულო კაცის ცოდვას დაიდებდა!

ღმერთა ინება და ანამ მეოთხე დღეს მოიკეთა. გულზიდებამ თითქმის გაუარა, ცივ ოფლსაც აღარ ასხამდა და თვალი რომ გამოახილა, თითქოსდა იმ ქვეყნიდან მობრუნებულმა მაშინვე თეიმურაზი მოიკითხა.

თეიმურაზი სატახტო დარბაზში იყო და თუმცა ამ დღეებში არავის დანახვა არ უნდოდა და დიდი ხნის უძილარი და ტანზე გაუხდელი დროს ღვთისადმი ლოცვაში კლავდა, უცხო სტუმრებს ესაუბრებოდა. მას ადრევე ჰქონდა გაგონილი, რომ შორეული რომიდან, სადაც ამა სოფელში ქრისტეს მოადგილე უწმიდეს პაპს ედო ბინა, ქართლში კათოლიკური სარწმუნოების ბერები მოვიდნენ, რომლებიც თავიანთ თავს პატრებს უწოდებდნენ, პაპის, სიქსტე მეხუთის ეპისტოლე მოიტანეს და გიორგი ქართლის მეფის მოწყალე ნებართვით გორში თავიანთი მისიონი, საკრებულო გახსნეს.

ღვთაებრივი რომიდან უწმიდესი პაპის მიერ მოვლინებული პატრები სამაგალითო ზნეობითა, ღრმა მორწმუნეობითა, შემწყნარებლობითა და შესაშური შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდნენ. ცხოვრებაში საჭირო ყველა სხვა ხელობასთან ერთად მათ აქიმობა და ათასნაირი ბალახეულისაგან უებარი წამლების დამზადებაც ემარჯვებოდათ. ასე გასინჯეთ, სახლებსაც თავისი ხელით აშენებდნენ, ხოლო ვენახის მოვლასა და საზედაშე ღვინის დაყენებაში ტოლი არა ჰყავდათ. მოცალეობის ჟამს სწავლას მოწყურებულ ბალღებს ხატვას, საღმრთო სჯულსა და იტალიურს ასწავლიდნენ, მათგან კი ქართულ ენას სწავლობდნენ. ამასთანავე ცდილობდნენ, ყოველი გაჭირვებულისა და ტვირთმძიმისათვის ხელი უანგაროდ გაემართათ.

პატრები ბერებისათვის შესაფერ ასკეტურ ცხოვრებას ეწეოდნენ, დედათა სქესისაგან თავი შორს ეჭირათ, მცირედით კმაყოფილდებოდნენ, მარხვას ზედმიწევნითი კეთილსინდისიერებით ინახავდნენ და თავისი ხელით მოყვანილ ღვინოსაც მხოლოდ წყალგარეულს სვამდნენ.

გორელებმა და გორის ახლომახლო სოფლების მცხოვრებლებმა, განურჩევლად წოდებისა და მოსაქმეობისა, ყველაზე ადრე შეითვისეს და შეიტკბეს ცხრა მთას იქიდან მათი

ცოდვილი სულების სახსნელად მოსული უცხოელი ბერები. მათ პატივისმცემელთა შორის ადგილობრივი სამღვდელო პირიც ბევრი იყო. ისინი ხანდახან, დიდ სასულიერო დღესასწაულებზე, საყდრებსაც კი უთმობდნენ პატრებს, რათა მათ თავიანთებურად ლოცვა აღევლინათ და თავადაც მათთან ერთად ლოცულობდნენ.

ასეთ დროს უამრავი ხალხი იყრიდა თავს საყდრებში. ვინც კი შიგნით შესვლას ვერ ახერხებდა, რადგანაც იქ ჰედვა იყო, გარეთ იდგა, ანგელოზებისებურ ღვთიურ გალობას უსმენდა, პირჯვარს იწერდა და დაჩოქილი ქრისტე-ღმერთს ევედრებოდა.

ვინ უნდა მოსულიყო ისეთი სასახლეში, თეიმურაზს რომ გამოსვლა და სტუმრების მიღება ენება, მაგრამ როდესაც მოახსენეს, ვინ სწვეოდა, უმალ გამოცოცხლდა და უცხოელი ბერების მიღება ბრძანა.

დარბაზში რომ შეაბიჯა, სადაც ისინი უკვე ელოდნენ, გააოცა მათმა უცხო ჩაცმულობამ და გარეგნულმა შესახედაობამ. წინააღმდეგ მართლმადიდებლური საეკლესიო ჩვეულებისა, ყველა სუფთად წვერგაპარსული იყო. თავზე ყვავის ფრთის მინამსგავსი ფარფლებიანი ქუდები ეხურათ. ტანთ რაღაც თხელი ქსოვილისაგან შეკერილი, წელში გამოყვანილი, კოპებამდე ჩაშვებული და ნიკაპქვეშ ყრუდ შეკრული შავი ანაფორები ეცვათ. ანაფორის ბოლო ძლივს უფარავდათ დაბალქუსლიან ტყავის წაღებს და ქათქათა თეთრ წინდებს, მნახველის ყურადღებას დანახვისთანავე რომ იქცევდნენ.

პატრები სულ სამნი იყვნენ. სამივეს გულზე წმიდა ჯვარი ეკიდა. ერთ-ერთი მათ შორის, ამბროზიო დუშ ანეუში, წმიდა ავგუსტინეს ორდენის წევრი, მისიონის პრეფექტი, წარმოშობით პორტუგალიელი აღმოჩნდა. პორტუგალიელები იყვნენ დანარჩენი ორიც, ოღონდ სიცოცხლის უმეტესი ნაწილი იტალიის კუნძულ სიცილიაზე გაეტარებინათ და იტალიელებისაგან არც არაფრით განირჩეოდნენ.

უცხოელ წმიდა მამებთან შეხვედრით აღფრთოვანებულ მეფეს ამბროზიო დუშ ანეუშმა მისი უწმიდესობა რომის პაპის, სიქსტე მეხუთის, ეპისტოლე გადასცა, რომელიც ლათინურ ენაზე იყო შედგენილი და პაპის გაკრულ ხელმოწერასთან ერთად კანცელარიის დიდი მრგვალი ბეჭედიც ესვა. პატრებს ეპისტოლე ქართულად ეთარგმნათ და პერგამენტზე მხედრუ-

ლი ასოებით გადაწერილი ლათინურ დედანთან ერთად მოერთმიათ.

თვით ამბროზიო დუშ ანეუში, შუახანს მიტანებული, მაგრამ მთლად ჭაღარა პირხმელი კაცი და მისი მომყოლი ორივე მორჩილი ძმა, ქართულად მშვენივრად ლაპარაკობდა, მხოლოდ აქა-იქ ურევდა უცხო სიტყვებს, იტალიურს თუ პორტუგალიურს და ამან თეიმურაზი ისე გაახარა, ისე განმსჭვალა მათდამი პატივისცემით, სამივე თავის კეთილისმყოფლად და შინაურ კაცად მიიჩნია.

პაპი თავის ეპისტოლეში მამობრივ მოკითხვასა და ლოცვა-კურთხევას უთვლიდა შორეული კახეთის მირონცხებულ მეფეს, უდიდებულესობას უწოდებდა, თუმცა მას რატომღაც თეოფილედ იხსენიებდა, რაც იტალიელებისათვის, ალბათ, უფრო ადვილად წარმოსათქმელი იყო, ვიდრე სპარსული წარმოშობის სახელი თეიმურაზი. ამავე დროს თავსაც აცნობდა, მოაგონებდა, რომ მის, როგორც ჭეშმარიტი სარწმუნოების მქადაგებელი მსოფლიო ეკლესიის მეთაურის წინაშე მუხლს იდრეკდნენ ძლევამოსილი მონარქები აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, თვით ამომავალი მზის ქვეყნის — იაპონიის, ინდოეთისა და ჩინეთის მეფეები, რასაც პაპი ღვთისადმი შუამდგომლობით პასუხობდა და თავისი პატიოსანი მოციქულების — მისიონერი პატრების პირით ლოცვა-კურთხევასა და ცოდვათა შენდობას უგზავნიდა.

პაპს ერთადერთი მდაბალი სათხოვარი ჰქონდა მეფისადმი: მოწყალედ მიეღო მის მიერ წარგზავნილი მოციქულები და დაეცვა ისინი ავაზაკებისა და მძარცველებისაგან, რომლებიც ყველა ქვეყანაში დღესდღეობით ბლომად მოიპოვებიან. შორეულ ქვეყნებში, მათ შორის ღვთივ კურთხეულ თეოფილეს სამფლობელო კახეთში, პატრები მაცხოვრის სიტყვის მოსატანად და ჯოჯოხეთის უფსკრულში შთასავარდნად განწირული სულების გადასარჩენად არიან წამოსული. ადგილობრივ ხელისუფალთაგან და თვით მრევლისაგან ისინი არაფერს საჭიროებენ, გარდა კეთილი განწყობილებისა, ვინაიდან, ღვთის მადლით, სულითა და ხორცით ჯანსაღნი არიან, შრომა არ ეზარებათ და თავის საზრდელს თვითვე მოიპოვებენ. მათვე შესწევთ უნარი, შუამდგომლობა გასწიონ მეფესა და ვატიკანს, პაპის სამყოფელს შორის და პაპის გავლენა, რომელიც განფენილია მთელს ცისქვეშეთში, მეფისა და მისი ღვთისმოსავი ერის სასარგებლოდ გამოიყენონ.

თეიმურაზი ეპისტოლის სწორედ ამ ადგილს კითხულობდა და თვალზე სიხარულის კურცხალმომდგარი მაღალ ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ გაჭირვების ჟამს მხარში ამომდგომი ცით მოუვლინა, როცა ოქროს ვარაყით მოლაპლაპე კარი გაიღო, პატარა დედოფლის სეფექალი, ვაჩნაძიანთ უმცროსი ასული ფეხისწვერებზე შემოვიდა, პატრებს ბრდღვიალა თვალები მიანათა, უსიტყვოდ ბოდიში მოუხადა და თეიმურაზს დედის დანაბარები გადასცა, ანა უკეთაა, გხმობილობს და მოდიო.

თავი XXXV

კახეთში კათოლიკე ბერების, მათებურად პატრების, მოსვლამ, ყველაზე მეტად ქეთევანი გაახარა და უცხოელ საეკლესიო მამებზე ყოველდღიური ზრუნვაც სწორედ მან ითავა. გვერდიდან აღარ იშორებდა. თუ სადმე წავიდოდა, ისინიც თან დაჰყავდა, ქვეყანას აჩვენებდა, აზრს უზიარებდა და რჩევას ეკითხებოდა. თავის მხრივ, პატრებიც სიხარულით ეხმაურებოდნენ დიდი დედოფლის ყოველ თხოვნას და მისი აღსრულება თავის წმიდათა-წმიდა მოვალეობად მიაჩნდათ. ეს მით უფრო სასიამოვნო იყო, როდესაც მთელი სამეფო კარი, მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად, საკრებულო საყდარში მიდიოდა წირვის მოსასმენად. უპირატესად ეს კვირაობით ან უქმე დღეებში ხდებოდა. პატრები მუდამ თან ახლდნენ უფლის მხევალ დედოფალ ქეთევანს, როგორც ის თავის თავს უწოდებდა და მის გვერდით ქართულად ლოცულობდნენ.

პატრების მოსვლა, უპირველეს ყოვლისა, პატარა დედოფალ ანასათვის და მასთან ერთად მთელი სამეფო კარისათვის აღმოჩნდა სიხარულისა და ბედნიერების მომტანი. მათ მიერ შემზადებულმა წამლებმა, რომელთაც არცთუ ისე დიდი ხალისით ასმევდნენ, რადგანაც თვით ყველაზე უფრო უვნებელი წამლის მიღებაც კი ფეხმძიმე ქალისათვის არასასურველად მიაჩნდათ, ანა ფეხზე წამოაყენა და სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა.

რაკი მეფის პალატებში დასადგურება არ ინდომეს, ღამის გასათევად პატრებს ერთი ქვრივი დედაკაცის ბოკონებზე შეყენებული ქოხი მიუჩინეს ინწობის პირას, შემდეგ კი სომხური გრიგორიანული ეკლესიის უკან, სადაც ჯერ კიდევ

წინა წელიწადს, ფიცრული ქარავან-სარაი იდგა და ხანძარმა იმსხვერპლა, საძმო სახლის ასაშენებელი ალაგიც გამოუყვეს. საგაზაფხულოდ ქეთევანი ვენახსაც დაპირდა იმ საუფლის-წულო მამულიდან, რომელიც ნეტარხსენებული მამამთილის დროსვე თავის სახელზე ჰქონდა და ყურძნის ჯიშების მრავალფეროვნებითა და მოსავლიანობით გამოირჩეოდა.

პატრები არ მოერიდნენ პირველ თოვლს, იმ წელიწადს ნაადრევად რომ ჩამოყარა, სახლთუხუცეს ნოდარ ჯორჯაძეს ხარ-კამეჩი და ურმები სთხოვეს, დაურთეს, ურიგო როდი იქნება, მეგზურსაც რომ გაგვაყოლებდეთო და სამეფო ტყეში სახლის ასაშენებელი მასალის დასამზადებლად წავიდნენ. თავდაპირველად თავადმა ნოდარმა შორს დაიპირა, როგორ გეკადრებათ, ამ სიცივესა და თოვაში, როცა პატიოსანი კაცი გარეთ ძაღლსაც არ გააგდებს, ტყეში როგორ გაგიშვებთ, ხეებს ჩვენ თვითონ მოვჭრით და ჩამოგიტანთ, თქვენ მხოლოდ ზომები და ხის ჯიშები გვიბრძანეთ, რა, რამდენი და რა ზომისა გნებავთ, დანარჩენი ჩვენ ვიცოდეთო. ბერებმა არამცთუ თავაზიანი სახლთუხუცესის, თვით დედოფალ ქეთევანის თხოვნა და შეცხადებაც არ შეიწყნარეს, თავის ნათქვამზე მაგრად დადგნენ და ქეთევანიც იძულებული გახდა, ნოდარ ჯორჯაძისათვის მიემართა, მოიქეცით ისე, როგორც ითხოვენ, ოღონდ თვალი დაიჭირეთ, ან ნადირმა არ ავნოთ რამე ან თავად არაფერი მოიწიონო.

უცხოელი ღვთისმსახურები ისეთივე დახელოვნებული ხისმჭრელები აღმოჩნდნენ, როგორიც აქიმები, წამლის შემამ-ზადებლები, მგალობლები და მხატვრები იყვნენ. ცულები საგულდაგულოდ გალესეს, უზარმაზარი მუხები და ძელქვები წამოაქციეს, გასხიპეს, დამორეს, საგორავები შეუყენეს და ღონიერი მარგილების მოშველიებით ყევარი ხარ-კამეჩის მისადგომ ადგილზე გამოაგორეს.

მთელმა ზამთარმა საფიცრე, საძელე, საკოჭე, საგადასა-კიდე, სალარტყე, საჩარჩოე მასალის ხერხვასა და მოფარებულ ადგილას, გადახურულში მათ დაწყობა-დარიკვაში გაიარა. გრემელები და სოფლის ხალხი გაოცებული უყურებდნენ უცხოელი ბერების თავდადებულ გარჯას. აკვირვებდათ მათი სიმარჯვე, საქმის ცოდნა და ხალისი, რაც ბარეორ ხითხუროს შეეხარბებოდა, მეტადრე მღვდლებსა და დიაკვნებს, რომლებ-მაც საღვთო წერილისა, დაუჯდომელის წამღერებით კითხვისა, გალობისა და საცეცხლურის ქნევის მეტი არაფერი იცოდნენ.

გამვლელ-გამომვლელნი თავს იქნევდნენ და სწორედ მათი მისამართით ამბობდნენ:

— რატომ არ გამოვლენ და შეგირდად არ დაუდგებიან ამ მარჯვენადალოცვილებსა! მითამ ამათზე უკეთესი ბიჭები მყვანან, რო ცხვრი დუმა რაა, იმასაც არ კადრულობენ! ეგენი რო სახლს იშენებდნენ, ახლა სამი პირი ტყავი მექნებოდა გადამძერალი ხელისგულებზედა, ესენი კიდენა თავად ირჯებიან და აქეთ გვლოცამენ, ხელის განძრეევას და კაცურ ცხოვრებას გვასწავლიან!

— გაჩუმდი, ეე, გაიგონებენ მართლა, ან ვინმე მიუტანს ენასა და ეწყინებათ. საზიარებლად ისევ იმათთან არ უნდა მიხვიდე?

— ეწყინებათ და მწყერი შაიწვან, ჩემი დარდიც ეგ იყოს!

ერთი ორჯერ ქეთევანი და თეიმურაზიც გამობრძანდნენ დიდებულთა ამალით, მათი კეთილისმყოფელი პატრების ნახელავი დაათვალიერეს და მოიწონეს. პატარა დედოფალი არ ახლდათ. ანა თვეში მდგმური იყო და ახლო მომავალში ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილის დაბადებას ელოდა.

თეიმურაზმა თქვა:

— სწორედ ამათზე უბრძანებია ქრისტე-ღმერთს, მქონებელს ემატებოდეს და არამქონეს აკლდებოდესო. მადლიანი ხალხი ყოფილა და საქმეც მადლიანად მისდით, — შემდეგ კი გლეხურად დააყოლა: — ააყვავებენ ქვეყანასა, მა რა იქნება! — და ფეშტემალაფარებული შაჰ-აბასი გაახსენდა, დროის უმეტეს ნაწილს სახელოსნოში რომ ატარებდა და ხელმარჯვეობით ქვეყნის საუკეთესო ოსტატებსაც კი სჯობნიდა.

ზამთარმა ფეხი გაიდგა. პირველად მხოლოდ ყველიერის კვირაში დაიქუხა ცამ და გაზაფხულის პირველი წვიმა წამოვიდა. ამ დღიდან მოკიდებული თოვლმა გამალებით დაიწყო დნობა. მაღლა, მთებში და დაბლობის ჩრდილიან ადგილებში თოვლი ჯერ კიდევ იდო, ადიდებული ალაზანი კი მძიმედ მოაგორებდა ამღვრეულ ზვირთებს, როდესაც მიჩენილ ადგილზე, ქალაქის ჩრდილოეთის კედლიდან ოციოდე ნაბიჯის მოშორებით, პატრებმა თავიანთი სალოცავი სახლის, კათოლიკური საყდრის ბალავერი აკურთხეს და მისი გაჭრა დაიწყეს. სამუშაო დიდი იყო და დიდძალ მუშახელს მოითხოვდა. ამიტომაც უარი ვეღარ უთხრეს სახლთუხუცესს, როცა მან ხარ-ურმისა და ხელისმუშის მიშველება შესთავაზა. რაკი დამხმარეები ყავდათ და სამშენებლო კირის გამოწვაც

სახლთუხუცესმა იდო თავს, პატრებმა ქვის სამტეხლოდან მოზიდული დიდრონი ლოდებისაგან კუთხეებისა და ფაიების ამოსაყვანი ქვების გათლა-მოჩუქერთმება დაიწყეს. მათ განზრახული ჰქონდათ, საყდარი ისე აეშენებინათ, რომ კათოლიკური ეკლესიის დამახასიათებელ ხუროთმოძღვრულ ფორმებისათვის არ ეღალატათ, მაგრამ, ამავე დროს, რაკი ის ქართველთა ქვეყანაში შენდებოდა, შენობას აქაური ხუროთმოძღვრული ელფერიც ჰქონოდა.

ქეთევანმა წინასწარ განიხილა საყდრის მონახაზი, რომელიც მისიონის პრეფექტმა ამბროზიო დუშ ანეუშმა წარუდგინა, თეიმურაზიც მოიწვია, აჩვენა და სტუმრის უზადო ხელოვნებით მოხიბლულმა სამშენებლო ხარჯების მთლიანად გადახდა იკისრა. მადლიერმა პატრებმა იუარეს, თავი გამოიდეს, ყველა ღონეს მიმართეს, რომ არცთუ ისე მდიდარ დედოფლისათვის ეს ხარჯები აერიდებინათ, მაგრამ ქეთევანის გადაწყვეტილება ურყევი იყო და მათაც ის-ღა დარჩათ, მადლობა შეეწირათ და თავიანთ გვირგვინოსან მასპინძლებს გამომშვიდობებოდნენ.

მუშაობა სწრაფად წარიმართა. ბალავერი ის იყო გადალესეს და კედლების ამოსაშენებლად პირველი კუთხის ქვაც დაიდო, რომ სასახლიდან სასიხარულო ამბავი მოვიდა: პატარა დედოფალმა, გურიელის ასულმა ანამ, მშვიდობიანად იმშობიარა და ვაჟი, ბატონიშვილი, ტახტის მემკვიდრე შეეძინა!

მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა ამ ამბავმა. ატყდა ზარების საზეიმო რეკვა, სადარაჯო კოშკებზე ძელსა ჰკრეს, სასახლის ქონგურსა და პარმაღებზე სამფეროვანი ალმები გამოჰკიდეს.

— პაპაჩემის მამის სახელი ლევანი უნდა დავარქვა! — განაცხადა ბედნიერმა მამამ, თეიმურაზმა. — სახელოვანი მეფე იყო, ერს პირნათლად ემსახურა და ესეც მის ფეხზე გაიზარდოს!

— ლევანი!.. ლევანი!.. — დაირხა ხალხში. — ლევანს არქმევენ, დიდი პაპის სახელს!..

— ღმერთმა გაზარდოს!.. აკურთხოს მამაზეციერმა!.. შეეწიოს სამას სამოცდახუთი წმიდა გიორგი!..

ნათლობა ნააღდგომევს, ამაღლების წინადღეს გაიმართა. დიდი პაპის სეხნია ჩვილ ლევანს მირონი თვით ალავერდელმა მიტროპოლიტმა სცხო. ნათლიებად თიანეთელი ჩოლოყაშვილი და ყვარლელი ჭავჭავაძე მოიკიდეს.

გამოცოცხლდა და გაბრწყინდა მეფის სასახლე. ვინ არ მოდიოდა მოსალოცად, ძღვენის მოსართმევად, თავადი თუ აზნაური, ერი თუ ბერი, გლეხი თუ მოქალაქე, სომეხი, თათარი თუ იუდეველი. ვის საბელჩაბმული საკლავი მოჰყავდა, ბატონიშვილის ჭირის სანაცვლო იყოსო, ვინ პურღვინით პირამდე სავსე ურემს მოაჭრიალებდა, ვინ ფარჩაგადაფარებული ხონჩით ამოდიოდა სასახლის ციცაბო კიბეზე!

მესტუმრეთუხუცესი ლუკა მაყაშვილი თავზე ადგა თანაშემწეებს, რომლებიც ხელებდაკაპიწებულნი სანადიმო სუფრას შლიდნენ მურყანარში, ინწობის მარჯვენა ნაპირზე და ახალ-ახალ განკარგულებებს აძლევდა. იქვე ახლოს, ლასტისკედლებიან, წოწოლასახურავიან სახაბაზოებში თირნის პური ცხვებოდა და ჰაერში ახალამოყრილი ცხელი შოთების გამაბრუებელი სუნი დამდგარიყო. ღია ცისქვეშ გაჩაღებულ ცეცხლზე კედლებშემკვარტლული სპილენძის ქვაბები შემოედგად. ქვაბებში წყალი ფუხფუხებდა და შიგ დიდ-დიდ ნაჭრებად დაკუწული სახაშლამე ხორცი იხარშებოდა. ცეცხლთან ტრიალისაგან სახედაბრაწული გოგო-ბიჭები თხილის შამფურებზე აგებდნენ მწვადებს, წალმის ცეცხლზე ატრიალებდნენ და თან ნერწყვს ყლაპავდნენ, რადგანაც მათ დაპურებამდე ჯერ ბევრი წყალი ჩაივლიდა და შემაწუხებელი შიმშილი როგორმე უნდა მოეთმინათ!

სატახტო ქალაქს აუარება ხალხი მოსწყდომოდა ყოველი მხრიდან. ალაგ-ალაგ ცეკვა-თამაში გაემართათ. გრგვინავდა თოკებით გაბორკილი დოლი და ბაგაბუგი გაჰქონდა ზანზალაკებშებმულ დაირას, იქაურობას იკლებდნენ, ძაღლებში სისხლს აჩქროლებდნენ ზურნა და დუდუკები, ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოცეკვავენი, ბიჭი და გოგო, გოგო და ბიჭი, ვინ ვის, ვინ ვის, ვინ, ვის!..

ყველა სახლში სუფრა იყო გაშლილი. ილხენდნენ და ზეიმობდნენ გრემელები და მათი მოკეთენი, ამ სამახსოვრო დღეს სატახტო ქალაქისათვის რომ მოეშურებინათ, რათა საყოველთაო დღესასწაულში მონაწილეობა მიეღოთ და ცოტა რამ მათაც რგებოდათ. უსხდნენ სუფრას დღენიადაგ მოუცლელი, ხელებდაკოჟრებული მჭედლები და მექვაბეები, მეუნაგრენი და თერძები, ბაყლები და მეთუნუხჩენი, ფეიქრები და ჭონები, მხედრები და მეირაღენი, უსხდნენ თავიანთ კარის მეზობლებთან და ნათელ-მირონებთან ერთად და კახური

ენამზეობით ახალ მონათლულ ლევან ბატონიშვილს სადღეგრძელოებით ამკობდნენ.

ბედნიერმა მამამ, თეიმურაზმა, სეფე-სუფრაზე მოლხენა და ჭერში ქუდის კერა არ იკმარა, თანამეინახენი აიყოლია, დაფა-ზურნის თანხლებით გარეთ გამოვიდა და შეზარხოშებულმა, თითქმის მთვრალმა ლამის მთელი ქალაქი ფეხდაფეხ შემოიარა. ყველგან შევიდა, მდაბიო ხალხში გაერია, როგორც ქართველ მეფეებს ოდიდგანვე სჩვეოდათ, ფუძის ანგელოზი დალოცა, პირმშო ლევანის გულით დღეგრძელობისათვის დიდსა და პატარას მადლობა გადაუხადა, ზოგან ხელები გაშალა, ფეხისწვერებზე შემდგარმა იცეკვა, ზოგან მომღერლებს ბანი დააწია და ყველას სიხარული და ბედნიერება არგუნა.

მისებრ შეზარხოშებული ყმაწვილკაცები გუნდ-გუნდად დასდევდნენ თავიანთ მეფეს, პირში აქებდნენ, ადიდებდნენ და ისიც ლაღობდა, ცა ქუდად აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად!

თავი XXXVI

გადაბმულ ლხინს, ნადირობასა და სავაჟკაცო შეჯიბრებებს, გრემში ტახტის მემკვიდრის შეძენის აღსანიშნავად რომ გაიმართა და დასასრული აღარ უჩანდა, ზღვარი ისპაჰანიდან მოსულმა მეჰმანდარმა დაუდო. ეს მოხდა მკათათვის 11-ს, წმიდა მოწამე ესტატე მცხეთელის ხსენების დღეს. წვერწაწვეტებულმა, ინით ხელებშეღებილმა, თავზე წითელ ჩალმაშემოგრაგნილმა მეჰმანდარმა, იგივე მესტუმრემ, ძეობასთან დაკავშირებით დედოფალ ანას ისპაჰანელი ოქრომჭედლების ნახელავი ძვირფასი სამკაულები მოართვა მისი უდიდებულესობა შაჰის სახელით, ხოლო მეფე საგანგებოდ დაიმარტოხელა და სიტყვიერად აუწყა, მწყალობელი ყაენი შენა და ქართლის მეფე ლუარსაბს მაზანდერანში სანადიროდ გეპატიჟებათო.

„დავიღუპე! — კინაღამ ხმამაღლა აღმოხდა თეიმურაზს და მოულოდნელობისაგან ერთ ადგილზე ისე შეტოკდა, თითქოს ცეხლი წაჰკიდებოდეს. — ეტყობა, ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო ჩემს უზრუნველ ცხოვრებას. რაღა თქმა უნდა, შაჰი იმისთვის მეპატიჟება, რომ განძაში გამოუცხადებლობის გამო პასუხი მაგებინოს! მორჩა, მე იქიდან

ცოცხალი ვეღარ დავბრუნდები! შეიძლება, სულაც აღარ გამომიშვას და ტახტი სხვას მისცეს. ვინ იცის, იქნებ რჯულის დაგდება და ისლამის მიღებაც მომთხოვოს! მაგრამ ჩემს ნათესავს, ლუარსაბს, რაღას ემართლება! ქართლში მომხდარი ამბები ხომ მთლიანად მამამისს, მეფე გიორგის, დაბრალდა და პირადად მას შაჰის მიმართ ჯერ ხომ არავითარი დანაშაული არ მიუძღვის?! არ წავალ! მე ამას ანას ვერ გავუმხელ. ხელში ჩამაკვდება. ისედაც კარგად ვერ არის და ხომ დალია ჯავრმა! მარტო გიეს შეუძლია, სახრჩობელის ყულფში თავი ნებით გაჰყოს! ნეტავი ლუარსაბმა რა პასუხით გამოისტუმრა? ეს ვაჟბატონი ხომ ჯერ ტფილისში გამოივლიდა და შაჰის მიპატიჟებას ჯერ იქ მიიტანდა!"

თეიმურაზმა თავი არ დაიმდაბლა, ეს თვით მეჰმანდარს არა ჰკითხა, მესტუმრეთუხუცეს ლუკა მაყაშვილს მიანდო, შენ გამოკითხეო და მასვე უბრძანა, საჩქაროდ დარბაზის ერი შეეყარა, დედასთან და ცოლთან მოსალაპარაკებლად კი თვით გავიდა.

დიდი დედოფალი, როგორც ყოველთვის, ანას ოთახში აღმოჩნდა. ძიძები და მოახლეები ჩვილ ლევანს ბანდნენ. ერთს ატირებული ბალღი ეპირა, მეორე გასაპნულ თავს უქექავდა, მესამე ნელთბილ წყალს უსხამდა, ანა და ქეთევანი კი ზეწრებისა და ჩვილის გასახვევი ჩვრების რჩევაში იყვნენ გართული.

— დედა! — ხმადაბლა მიმართა თეიმურაზმა ქეთევანს.

შვილის ხმის გაგონებაზე ქეთევანმა თავი ასწია და მისი მოშტერებული თვალები და ფერწასული სახე რომ დაინახა, ზეწრის ყური ხელიდან გაუვარდა.

— რა იყო, შვილი, რაიმე ცუდი ამბავია?

— შაჰისაგან მეჰმანდარი მოვიდა. აბასი მაზანდერანში სანადიროდ მიბარებს!..

— ვაი ჩემს დღეს!.. — ქეთევანმა ყბაზე ხელი შემოიდო და ცრემლმორეული თვალები გაუჩერდა.

— რაო, ბატონო დედა? — უცნაურად სახეშეცვლილ გვირგვინოსან ქმარს ვერ შეჰბედა და დედამთილს ჰკითხა ანამ.

— შაჰი იბარებს... მაზანდერანში... სანადიროდ!..

მოახლეები და ძიძები მიხვდნენ, რომ აქ მათი ადგილი აღარ იყო, თუმცა ცნობისმოყვარეობის ცეცხლი კი სწვავდათ, ბატონიშვილი სასწრაფოდ გაახვიეს, თავზე რბილი ხილაბანდი

დაახურეს, ნაბანი წყალიც გაიტანეს და დედოფლის ითახიდან გავიდნენ.

— მარტო შენ, შვილო? — ქეთევანმა თავს შემოუძახა, გამაგრდიო, გული გაიქვავა და კვლავ თავჩაქინდრულ მეფეს მიმართა.

— მე და ლუარსაბს, ქართლის მეფეს.

— ის რა აზრზეა?

— არ ვიცი, მე ჯერ არაფერი არ ვიცი.

— დიდებულები მოიწვიე?

— ლუკას ვუბრძანე, დაღამებამდე, ალბათ, მოგროვდებიან.

— შენ თვითონ რას ფიქრობ?

— რასაც შენ მიბრძანებ, დედა. მე ამ ამბავმა ისე დამაბნია, რაღა დაგიმალო, ფიქრიც კი მიჭირს. არ მეგონა, ნამდვილად არ მეგონა, თუ შაჰ-აბასი ასე გულღრძო გამოდგებოდა, თუ უბრალო რამეს არ მაპატიებდა და კრიჭაში ჩამიდგებოდა!

— ჯერ გაგვეგო, ლუარსაბმა რა პასუხი გასცა.

— მაგას დრო უნდა, დედა. თავად მეჰმანდარისაგან სიმართლეს ვერ შეიტყობ. საერთოდ არა ღირს კითხვა. მივა და შაჰს ეტყვის, სანამ გადაჭრილ პასუხს მომცემდნენ, დიდი ჭოჭმანი შეექნათო. შაჰის წინაშე ესეც დიდი დანაშაულია. ჩვენ უბედურებს ფიქრისა და ჭოჭმანის უფლებაც არა გვაქვს!

— მაშ, რა ვქნათ, რა გზას დავადგეთ?

— შენთან სწორედ მაგის საკითხავად მოვედი!

— ანა!.. — თავადაც საგონებელში ჩავარდნილმა ქეთევანმა ახლა-ღა შენიშნა, რომ რძალი ჩუმად ტიროდა, მხურვალე კურცხლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და მთელ სახეს უსველებდა. — არა გრცხვენია, შვილო? რა გაგხდომია ცხარე ცრემლით სატირალი? შაჰი მართლა კაციჭამია მხეცი ხომ არა გგონია! გულში რომ რაიმე ბოროტი ედოს, მეჰმანდარს კი არ გამოგზავნიდა, ჯარს შემოგვისევდა და ჭერს თავზე დაგვაქცევდა. ჩუ, დაწყნარდი! — მან ქალს ხელი მოჰხვია, მისი პატარა თავი გულზე მიიხუტა და ცრემლი სწორედ იმ ზეწრის ყურით მოსწმინდა, ახალდაბანილი შვილიშვილის შესახვევად წეღან რომ სხვა ზეწრებში გამოარჩია.

— არა! არ წავალ!.. — შეჰყვირა უცებ თეიმურაზმა. ანას ამ დღეში დანახვამ თავადაც ცრემლი მოჰგვარა. სახეზე ნიდაყვი აიფარა და ყვრიმალით კარის ძგიდეს მიეყრდნო.

— ნეტამც არ წაგიყვანა, შვილო, — მწარედ დაიკვნესა ქეთევანმა, აქ კი სიმტკიცემ უღალატა და ტუჩები აუთრთოლდა. — ნეტამც!.. დავეკითხოთ სხვებსაც. მარტო ჩვენ სამნი ამ საქმეს ვერ გადავწყვეტთ!

მზის ჩასვლამდე დარბაისლები მართლაც შემოიკრიბნენ და, როგორც ნაბრძანები იყო, თავი სატახტო დარბაზში მოიყარეს.

მეფე სწრაფი ნაბიჯით შემოვიდა, შემოსვლისას საერთო სალამი ბრძანა, დარბაზი გაიარა, პირჯვარი დაიწერა და ტახტზე თავისი ადგილი დაიკავა. მაშინვე მოუსხდნენ: მარცხნიდან ანა, დედოფალი ქეთევანი და მარჯვნიდან ალავერდიდან სწორედ ამ წუთს მოსული მიტროპოლიტი სვიმეონი.

— ისპაჰანიდან მეჰმანდარი გვეწვია, — როგორც კი მეუფემ დარბაზის კუთხეცა დაამთავრა, ოთხივე კუთხივ ჯვარი გადასახა და დაბრძანდა, თეიმურაზმა პირდაპირ, ყოველგვარი შესავლის გარეშე დაიწყო. — შაჰი სანადიროდ მაზანდერანს გვეპატიჟება. ამის შესატყობინებლად დაგიბარეთ. რას გვირჩევთ?

მეფის მიერ მოწოდებულ ამ ცნობას, რომელიც ყველასათვის უკვე ცნობილი იყო, დიდებულები დუმილით შეხვდნენ. ბოლოს პირველი სიტყვა ბებურ ვაჩნაძემ მოითხოვა.

— თუ წასვლას ინებებთ, გეახლებით, მეფეო, ნადირობისას გასახელებთ და სამშობლოს დროებით მოშორებასაც გაგიადვილებთ!

— საქმეც ეგ გახლავს, თავადო ბებურ. ჩვენ არ ვიცით, დროებით მოგვიწევს სამშობლოს დატოვება თუ სამუდამოდ! ჩვენთან ერთად მწყალობელი შაჰი ჩვენს ძმას, ქართლის მეფე ლუარსაბსაც ეპატიჟება. ვინ არის თავდები, რომ ჩვენ იქ არ დაგვაკავებს, თვით კი აქ არ შემოიჭრება და ქართლსაც და კახეთსაც ერთად არ დაიპერს?

— ღმერთმა ნუ ინებოს, მეფეო, — თეიმურაზს სიტყვა ქიზიყის მოურავმა ბაქარ ანდრონიკაშვილმა ჩამოართვა. — შაჰს ჩვენი მეფეები ხშირად მიუწვევია, მაგრამ უკან ყოველთვის აბრუნებდა, ბუზსაც არ უფრენდა. პირადად მე აღარც კი მახსოვს, რამდენჯერ ვხლებივარ ნეტარხსენებულ პაპათქვენს, კახბატონ ალექსანდრეს, შაჰის კარზე. იქ ყოველთვის

გამორჩეული პატივით გვიღებდნენ და უკან ხალათებითა და სხვა საბოძვრებით დასაჩუქრებულებს გვისტუმრებდნენ!

— მაშ, თქვენ ფიქრობთ, რომ საშიში არაფერია, შეიძლება, შაჰს უყოყმანოდ მივენდოთ? სხვები რას გვიბრძანებენ?

დიდებულთაგან შეუნიშნავი არავის დარჩენია, რომ ქიზიყის მოურავის თათბირი მეფეს ჭკუაში არ დაუჯდა, გააღიზიანა კიდეც ამ თათბირმა და ახლა აღარ იცოდნენ, ისეთი რა ეთქვათ, რომ არც მწვადი დაეწვათ და არც შამფური.

დარბაისლები ორჭოფობდნენ. ბაქარ ანდრონიკაშვილს მხარი მათ შორის მხოლოდ ერთმა დაუჭირა. ისიც გაუბედავად და მიკიბულ-მოკიბულად, სხვებმა კი შაჰისადმი სრული უნდობლობა გამოაცხადეს, ძველი უპირულობის მაგალითები გაიხსენეს და მეფეს სიფრთხილისაკენ მოუწოდეს. თეიმურაზი გამოცოცხლდა, თავის ვარაუდებში ის უკვე მარტო აღარ იყო და ყაენისათვის მორიდებული უარის შესათვლელად ახალ-ახალ საბუთებს არჩევდა, როდესაც თავადი დავით ჯანდიერი მძიმედ წამოდგა და სიტყვა ითხოვა.

— მე შემაშფოთა, რაც აქ ბატონებმა ბრძანეს, — დაიწყო მან. — თუმცა არ ვაპირებ იმის უარყოფას, რომ მათი შიში საფუძვლიანია, მაგრამ, ამავე დროს თავად ბაქარის ნაბრძანებსაც ვადასტურებ. ნუ დაგვავიწყდება, რომ შაჰ-აბასმა რანში გაგზავნილი ჩვენი ჯარი არ დაასაქმა, თუმცა ჩვენს დიდებულ დედოფალ ქეთევანს დაუტკბა კიდევაც და მეფისადმი თავისი რისხვა სხვაგვარად გამოხატა...

თეიმურაზმა ისევ ჩამოყარა ყურები, ისევ ჩაწყდა გული, თავი ველარ შეიკავა და გულჯავრიანად წარმოთქვა:

— დანაშაული მიმიძღვის შაჰის წინაშე. არ უარვყოფ. საბუთიც აქვს მირისხდებოდეს, მაგრამ კაცთაგან თქვენა მყეხართ მოწმე, მაღლა კი ღმერთი, რომ მაშინ ახალმოყვანილი ცოლის მიტოვება და ლაშქრად წასვლა არ შემეძლო. ამიტომაც ბატონ დედას დავთანხმდი, ჩემი მაგივრობა გაეწია. ბატონმა დედამ ნაკისრი ვალდებულება პირნათლად შეასრულა, რისთვისაც ერთხელ კიდევ მადლობას მოვახსენებ. მგონი თავად შერმაზანს სურს რაღაც თქვას.

შერმაზან ჩოლოყავშილი მეფის მხარმარცხნივ იჯდა ნატიან სკამზე, პირველი მეუფე სვიმეონის შემდეგ და არ მოელოდა, თუ უშუალოდ მას მიმართავდნენ. თავადმა დავით ჯანდიერმა, მანამდე კი ქიზიყის მოურავმა ბაქარ ანდრონი-

კაშვილმა მთლიანად თქვეს მისი სათქმელი, დასამატებელი თითქოს აღარაფერი იყო, მაგრამ ახლა უკან დახევა აღარ ეგებოდა და წამოდგა, ჯერ თავის გაზრდილ მეფეს შეხედა, მერე კი დიდებულთა და სამღვდელოთა კრებულს მოავლო მზერა.

— არ ვიცი, შეიძლება ეცდებოდე, ბატონებო. მაშინ ჩემი ნათქვამი სიტყვების ფუჭ გროვად ჩამითვალეთ და ყურადღებასაც ნუ მიაქცევთ, მაგრამ მე მაინც მგონია, რომ არ ეგების შაჰის მიწვევის ამჯერადაც უარყოფა, მისი ერთხელ და სამუდამოდ მტრად მოკიდება! თუ მიბრძანებს, მე თვით გავყვები ბატონ მეფეს, მის ხვედრს გავიზიარებ, ოღონდ ნუ ინებებს უარს და ერს საშინელ განსაცდელში ნუ ჩააგდებს. მეფეო, შეიძლება მე მიწყინოთ, ჩემგან შეიძლება სხვა პასუხს მოელოდით, მაგრამ დღესდღეობით სხვა გზას ვერ ვხედავ და როგორ ვიკადრო თქვენი უდიდებულესობის მოტყუება!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა ჭაღარით შემოსილ, მაგრამ ჯერ კიდევ ჭარმაგ შერმაზანს უყურებდა. მას თავისი სათქმელი უკვე დაემთავრებინა, მაგრამ დაჯდომას ჯერ არ ჩქარობდა. დუმდა მეფე, დუმდნენ დიდებულები, შავოსანი საეკლესიო მამები, დუმდნენ დიდი და პატარა დედოფალი, თითქოს კიდევ ელოდნენ რაღაცას, რაღაცის გადაწყვეტას, რაც მათ ჩაურეველად, მხოლოდ ზენაარის ნებით უნდა მომხდარიყო.

ვერცხლით მოჭედილ საღვდელმთავრო კვერთხს დაეყრდნო და სიჩუმეში წამოდგა მეუფე სვიმეონი.

— ჩემი ლოცვა-კურთხევა გფარვიდეს, მეფეო, — თქვა მან და ბატონს ჯვარი გადასახა. — უმეცარი ბერის რჩევა-დარიგება აბა შენ რისთვის უნდა გჭირდებოდეს, როცა გარეშემო ასე ჭკუა-გონებითა და სიბრძნით სავსე ხალხი გახვევია. ნუ მიწყენ, თუ გავბედავ და ჩემს მოკლე მოსაზრებას მეც მოგახსენებ! შაჰ-აბასი, ყველამ ჩემზე უკეთ უწყით, სასტიკი და დაუნდობელი მბრძანებელია. ღვთის განგებამ, ულმობელმა ბედმა გვარგუნა მის მსახვრალ ხელში ჩავარდნა. ვიდრემდი სპარსეთისა და ოსმალეთის 1555 წლის ამასიის ზავი ჯერ კიდევ მოქმედებს, მისი მოქმედების აღკვეთა კი ჩვენ არ ძალგვიძს, რადგანაც სატანის ნებით ქართველთა ქვეყნები წვრილ-წვრილად დაქუცმაცებულია და გიორგი ბრწყინვალის დიდი საქართველოს აღდგენა არ ხერხდება, კახეთი ყიზილბაში ბატონის უღელს ვერ გადაიგდებს და

დღესაც და მომავალშიაც, სანამ მაღალი ღმერთი არ ინებებს, მის ნებასა და სურვილს ვერ გადავალთ. ღმერთმა დაგიფაროს, მეფეო, განსწავლული კაცი ბრძანდები, ქართლის ცხოვრება ზეპირად იცი და კარგად გახსოვს მეფე დემეტრე თავდადებულის მაგალითი. ის თვით წავიდა ურდოში, თავისი ბედნიერი ფეხით ეახლა ყაენს, რათა მისი ქვეშევრდომი ერისათვის კალიასავით მრავალრიცხოვანი მონგოლების შემოსევა აერიდებინა. ვეველროთ უფალს, — ეკლესიის მამამ თვალები აღაპყრო, პირჯვარი გადაიწერა. — ვეველროთ ღვთისმშობელ დედას, რომ შაჰს ამჯერად შენი დასჯის განზრახვა არა ჰქონდეს. მე უბედურს, უმეცარ ბერს აგრე მგონია: შაჰი გცდით ორივე მეფეს, ახლა მაინც მოვლენ თუ არა, სცნობენ თუ არა ჩემს უზენაეს ხელისუფლებასო. არა გვაქვს სხვა ძალა, შვილო ჩემო თეიმურაზ, გარდა ღვთის მიმათრ ლოცვისა და მორჩილებისა!

მთავარეპისკოპოსის შთამბეჭდავი სიტყვის შემდეგ დარბაზში მეტი აღარაფერი თქმულა, მხოლოდ ქეთევანი წამოდგა, შვილთან მივიდა, ცალი ხელი ანას დაადო მხარზე, მეორით კი თეიმურაზი მიიხუტა და თვალცრემლიანმა ამით თავისი დედოფლური და დედობრივი გადაწყვეტილება გამოჰხატა.

თავი XXXVII

ქართლისა და კახეთის ახალგაზრდა მეფეები, რომელთა ასაკში მხოლოდ წელიწადი იყო განსხვავება, თეიმურაზს ერთი პერანგით მეტი გაეცვითა, თავიანთ მბრძანებელ შაჰ-აბასს ენკენისთვის დამლეეს ეახლნენ. აქ მოსვლამდე მათ და ორივე სამეფოს ბრწყინვალე წოდების წარმომადგენლებისაგან შემდგარ საკმაოდ მრავალრიცხოვან ამალას ნახევარი სპარსეთის, ბევრი უღელტეხილისა და თვალუწვდენელი უსიცოცხლო უდაბნოების გადალახვა მოუხდათ.

აბასმა სიყვარულით მიიღო ორივე ცოლისძმა, რომელთა ღვიძლი დები, ბატონიშვილები ლელა და ელენე, ჰარამხანაში ჰყავდა და, როგორც მეფეთა ჩამომავლებს, სპარსეთის დედოფლებად აცხადებდა. მას წყენისა და მრისხანების არავითარი ნიშანწყალი არ ემჩნეოდა. პირიქით, მეტად მხიარული, მოსიყვარულე და უაღრესად ყურადღებიანი ჩანდა.

ლუარსაბი პირველად იყო სპარსეთში და ანცვიფრებდა აქაური სივრცეების დაუსრულებლობა, მკაცრი ბუნების ცვალებადობა, ალაგ თოვლი და ყინვა, სხვაგან კი ქვიშის გრიგალი და სულის შემხუთველი სიცხე, წყალუხვი მდინარეების ორივე ნაპირზე გაშენებული, ცოცხალ სიმწვანეში ჩაფლული დიდ-დიდი ქალაქები, რომლებსაც არაფერი ემჩნეოდათ იმისა, რომ ირგვლივ, გასცილდებოდი თუ არა უსახო, ალიზით შელესილ ბანიან სახლებს, პაპანაქება სიცხით გავარვარებული უდაბნოები ერტყათ.

ყველაზე მეტ გაოცებასა და აღტაცებას თვით სატახტო ქალაქი ისპაჰანი იწვევდა თავისი გრძელი, სწორი ქუჩებით, ფერადი ფილაქნით რომ იყო შოგებული, ედემისებური ბაღებით და ფართო მოედნებით, რომელთაც ოთხივე კუთხივ თითქოსდა ჯადოსნური ყაისნაღით ნაქარგი ჩუქურთმებით დამშვენებული ცად ატყორცნილი სრა-სასახლეები, მიზგითები, მინარეთები, ბაზრები, აბანოები, ქარვასლები გადმოჰყურებდნენ. თვალსა და გულს იტაცებდა ისპაჰანის მშვენება ალი-ყაფუ — შაჰის სასახლე. მას ყვავილნარად ქცეული ვეებერთელა მოედნის — მეიდანე შაჰის ცალი მხარე ეკავა და ცისფერი შორენკეცით მოპირკეთებულ მრგვალგუმბათიან მიზგითთან და ცამდე აზიდულ ტანწერწეტა მინარეთთან ერთად თავბრუდამხვევად ზღაპრულ სანახაობას ქმნიდა.

სასახლის წინ გამავალი ფართო ქუჩა შუაზე ჰკვეთდა სატახტო ქალაქის გულს და შეიხ ლოთფოლას მიზგითის უკან მდინარე ზაინდერუდზე გადიოდა, რომელზედაც ათი-თორმეტი წლის წინათ სპარსეთის ერთ-ერთმა გავლენიანმა მოხელემ, შაჰის მცველი ჯარის სარდალმა და მისმა ყველაზე უფრო დაახლოებულმა პირმა, შაჰის მამად წოდებულმა ალავერდიხან უნდილაძემ, მთელს დედამიწის ზურგზე განთქმული კამარებიანი ხიდი ააგო.

ალავერდი-ხან უნდილაძე სპარსეთის ტახტის მოცილეთა ბრძოლაში მონაწილეობდა, თავიდანვე აბას-მირზას მხარე ეჭირა და მადლიერი აბასიც თავს ტახტზე მის აყვანილად თვლიდა, რისთვისაც პატივითა და წყალობით ავსებდა. სპარსეთის ტახტის ერთგული ქვეშევრდომი ურმიის ტბასთან გადახდილი დიდი ომის წინახანს გარდაიცვალა. შაჰმა იგი პატივით მიაბარა მიწას და თავისი სიყვარული მამობილისადმი მისსავე შვილებზე — დაუთ-ხანზე და ალიყული-ხანზე გადაიტანა.

ალიყული-ხანი მამის სიცოცხლეშივე ფარსის ბეგლარბეგი იყო, სიბრძნისა და მხედრული შემართების წყალობით შაჰის აღტაცებული სიყვარულით სარგებლობდა და ირანის ტახტის ერთ საიმედო ბოძადაც თვლიდნენ.

თეიმურაზმა ჯერ კიდევ შაჰის კარზე პირველ წასვლამდე იცოდა უნდილაძეების არსებობა. ქეთევანი კიდევაც ფიქრობდა, გავლენიან ძმებთან რაიმე გზით კავშირ-ურთიერთობა გაება და ტახტის მემკვიდრე შვილსაც ამას აგონებდა.

უნდილაძეების გვარი და მათი მდგომარეობა სპარსეთის სამეფო კარზე უცხო არც ლუარსაბისათვის იყო. ალავერდი-ხან უნდილაძეზე, რომელიც ლუარსაბის პაპის, დელი სიმონის, ზეობაში ჯერ კიდევ ბალღი ქართლის რომელიღაც სოფლიდან გაეტაცათ და ტყვეთა ბაზარზე გაყიდულისათვის ბედს ბოლოს ასეთი საკვირველი აღზევება განემზადებინა, მამისაგან ბევრი რამ სმენოდა.

სპარსეთში, სპარსელი ქალისაგან ნაშობ ალიყული-ხანს, ფარსის ბეგლარბეგს, მაჰმადის რჯულის აღმსარებელს, ქრისტიანობის დაუძინებელ მტერს და შაჰ-აბასის მარჯვენა ხელს, ეცხო კი რაიმე თავისი ქართველი წინაპრებისა, თუნდაც მამისა, ალავერდი-ხან უნდილაძისა, რომელიც ქართულად მეტყველებდა და თვალს მილულავდა თუ არა, მშვენიერი ქართლის წალკოტი ესიზმრებოდა?

მარტო რომ დარჩებოდნენ, რაც ერთობ იშვიათად ხდებოდა, ამაზე ხშირად ბჭობდნენ ქართლ-კახეთის ახალგაზრდა მეფეები და ბოლოს იმ აზრზე თანხმდებოდნენ, რომ ალიყული-ხანისა და მისი ძმისაგან, თუკი ბედი მათ სადმე შეახვედრებდა, თავი შორს დაეჭირათ, ვინაიდან ზნეშეცვლილი, მტრის ბანაკში გადაბარგებული შენიანი ათწილ საშიშია, ვიდრე თვით ის მტერი, რადგანაც უბედური სულ იმის ფიქრშია, ძველი გზის ერთგულება არავინ დამწამოს, ამდენი ცდა და მოწადინება წყალში არ ჩამეყაროსო. თავიანთი ფარული სურვილი, ერთმანეთსაც რომ ვერ უმჟღავნებდნენ, მათ შაჰისათვის, რასაკვირველია, არ გაუმხელიათ, რადგანაც ეჭვიან და ქვეგამხედველ აბასს ვერაფეს გამოაპარებდი, ეს შეიძლება სხვაგვარად შეეფასებინა და ორივესათვის მეთვალყურეები მიეჩინა, ჩემს წინააღმდეგ არაფერს ხლართავდნენო.

გურჯი მეფეების, როგორც ისლამურ სამყაროში ქართველ მეფეებს უწოდებდნენ, სპარსეთის სატახტო ქალაქ ისპაჰანში მოსვლა რომელიღაც შიიტურ დღესასწაულს დაემთხვა. დღე

და ღამ მთელი ქალაქი ილუმინაციით იყო გაჩახჩახებული. თვალშეუწვდენელ ინდურ პალმებზე, კიპარისებსა, ჭადრებსა და ფიკვებზე, სასახლის წინ მოღაღანე ოთხკუთხა ყვავილნარს ოთხივე კუთხივ მწკრივად რომ უვლიდნენ, შუშის ფერადფერადი სამშვენისები ეკიდა. ღამღამობით ეს სამშვენისები როგორღაც ინთებოდნენ და ყვავილნარის მოკირწყლულ ბილიკებზე მოსეირნე მილეთის ხალხს, რომელშიაც ნახევარზე მეტი დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან ეკზოტიკური აღმოსავლეთის მოსახილველად ჩამოსული უცხოელი ერია, ყველა ასაკისა, ზეიმურ ფერებში ხვევდნენ. მიზგითებსა და მეჩეთებში მლოცველთა და ცნობისმოყვარეთა ტევა არ იყო. მინარეთების მრგვალ მოაჯირზე გადმომდგარი წითელჩალმიანი მუეძინები ხელებაპყრობილი მოსთქვამდნენ და მართლმორწმუნე მაჰმადიანებს სალოცავად მოუწოდებდნენ.

სადღესასწაულოდ ყაენმა დიდი დარბაზობა გამართა და დარბაზობაზე დასასწრებად ისპაჰანში მუდმივად მყოფი ყველა ელჩი და დიპლომატიური წარმომადგენელი მოიწვია. იყვნენ აქ არაბები და ჩინელები, იაპონელები და ინდოელები, ავღანელები და ერაყელები, სარდინიელები და სიცილიელები, ნეაპოლელები და ვატიკანელი პატრები, ესპანელები და პორტუგალიელები, ავსტრიელები და ოსმალები, პოლონელები და რუსები. ყველას თავიანთებურად ეცვა, ყველა თავის ენაზე ლაპარაკობდა და ზურგსუკან ამომდგარი თარჯიმნები სხვათა ნათქვამს თავიანთ პატრონებს უთარგმნიდნენ, აქედან კი იქით თარგმნიდნენ.

ოქროს კანდელაბრებით და ბროლის ძვირფასი ჭაღებით გაჩირაღდნებულ დარბაზში, ალი-ყაფუს ერთ-ერთ უდიდეს დარბაზში, თითქმის მთელი სართული რომ ეკავა და სპარსული მინიატურებით იყო მოხატული, თანახმად აღმოსავლური წეს-ჩვეულებისა, არც ერთი მაგიდა არ იდგა. დარბაზის შუაგულში, კედლიდან კედლამდე, ერთი ფართო ხალიჩა იყო სიგრძივ გაფენილი და ხავერდის ბალიშებსა და მუთაქებში ჩაფლული, ფეხმორთხმით მჯდომარე სტუმრები, ხელებდაკაპიწებულნი, ყოველივე სპარსულისადმი თავისი კეთილგანწყობილება რომ გამოეხატათ, ქაშანურის დიდ-დიდი სინებით ჩამორიგებულ ოხშივარდადგმულ უზბეკურ ფლავს ხუთივე თითით შეექცეოდნენ, გაქონილ ტუჩებს ქათქათა ხელსახოცებით იწმენდდნენ. და პირს ბროლის ყელწერილი სურებით

მორთმეული ტკბილზე უტკბესი შარბათით იკოკლოზინებდნენ.

ვიდრე სატრაპეზო სუფრას მიუსხდებოდნენ, ყველა ხელმწიფის სრულუფლებიანი ელჩი შაჰმა მოწყალედ მიიღო, მათთან მეგობრული ნაცნობობა განაახლა, თითო-ოროლა სასიამოვნო სიტყვა, რასაც თვით ელჩების თანმხლები თარჯიმნები თარგმნიდნენ, ყველასათვის გამონახა და ბეჭდებიანი ხელის დიდებული მოძრაობით იქით მიიწვია, სადაც თითოეულს უკვე ელოდა მხოლოდ მისთვის მიჩენილი ადგილი.

სადარბაზოდ გამოწყობილი კოკობულვაშა გურჯი მეფეები მის უდიდებულესობას მთელი საღამოს განმავლობაში გვერდიდან არ მოუშორებია, ტკბებოდა და ამაყობდა კიდეც მათი მოხდენილი თვალტანადობით. დასხდომის ნება მათ მხოლოდ მაშინ დაერთო, როცა ყველა სტუმარი დალაგდა და ბოლოს თვით ყაენმაც ინება ფეხის მორთხმა და სუფრის თავში თავისი კუთვნილი ადგილის დაკავება.

საყვარელი ცოლისძმების გულის მოსაგებად თუ ჩვეულებისამებრ, შაჰს მთელ საღამოს არც ერთი სპარსული სიტყვა არ უთქვამს, მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა და ამით დიდ ჯაფას აყენებდა თარჯიმნებს, რომლებიც შაჰის სიტყვებს მანამ ვერ თარგმნიდნენ, სანამ ქართულის მცოდნე თარჯიმანი სიტყვას მათთვის მისაწვდომ რომელიმე ენაზე, თუნდ სპარსულზე ან თურქულზე არ გადმოიღებდა.

აბასი სწორედ ქაჯური მეხსიერების პატრონი იყო. სადმე ოდესღაც გაგონილი აზრი ან კაცის სახე გონებიდან არ ამოუვიდოდა. კარისკაცები ამიტომაც ფრთხილობდნენ: ვაი იმას, ვინც თავს დაიიმედებდა, რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, შაჰს ეს უკვე აღარ ეხსომებაო. საღამოს ერთი იაღლიში მაინც მოუვიდა: თეთრი ჩალმით თავშემობურვილი შაავწვერა ოსმალო, თურქეთის სულთან მურად მეორის ახალი ელჩი სპარსეთის შაჰის კარზე, რომელსაც აბასი მხოლოდ მეორედ ხედავდა და მისი სახე ჯერ ხეირიანად ვერ დაემახსოვრებინა, რომელიღაც სპარსელ აიათოლად მიიღო და ხელის ჩამორთმევის დროს ყურში რაღაც სპარსულად უჩურჩულა. ოსმალო შეკრთა, უკან დაიხია, გადაბმული შავი წარბები აზნიქა და მხრები აიჩეჩა, რითაც მის უდიდებულესობა შაჰს აგრძნობინა, არ მესმის, რას მელაპარაკებიო. აბასმა განცვიფრებაც ვერ მოასწრო, როცა უკანიდან ფეხისწვერებზე შემდგარმა თარჯიმანმა წასჩურჩულა:

— ეგ აიათოლა არ გახლავს, ხელმწიფეე, სულთან მურადის ახალი ელჩია!

ელჩიაო, ისიც სულთან მურადისაო? შაჰ-აბასი გადაფიჩინდა და იმდენ ხანს იცინა და იხარხარა, სანამ სული არ შეუგუბდა და ხველება არ დააწყებინა.

სხვები, ვინც ამ ამბავს შეესწრო, მათ შორის თეიმურაზი და ლუარსაბი, აყოლას ვერ ბედავდნენ, ვაითუ აყოლა შაჰმა დაცინვად მიიღოს და, როგორც არა ერთჯერ მომხდარა, გუნება ერთბაშად შეეცვალოსო, არა და სიცილიც ძნელი შესაკავებელი იყო, რადგანაც სპარსეთის მბრძანებლის ეს უცნაური, ყოვლად გაუგებარი საქციელი ოსმალეთის თავმოყვარე ელჩმა მისი ქვეყნის შეურაცხყოფად მიიღო და დარბაზში უკვე შესული უკანაც გაბრუნდებოდა, შაჰის მოხერხებული კარისკაცები რომ არ სცემოდნენ და ხვეწნა-მუდარითა და მობოდიშებებით ის დარბაზში არ დაეტოვებინათ.

შიიტური დღესასწაული შვიდ დღეს გაგრძელდა. მეფეები ეკლებზე ისხდნენ, როდის-ღა აპირებდა მწყალობელი შაჰი მაზანდერანში სანადიროდ წასვლას? როდის მოინადირებდნენ და ნადირობით გულმოჯერებულნი, როგორადაც თავი უნდა ეჩვენებინათ, როდის-ღა დაბრუნდებოდნენ ისპაჰანში, რათა აქედან სამშობლოში გამგზავრებაზე ეფიქრათ?

თავი XXXVIII

მაზანდერანში სანადიროდ წასვლა მხოლოდ ღვინობისთვის შუა რიცხვებში მოხერხდა. შაჰს ათასი გადაუდებელი საქმე გამოუჩნდა. საქმეში გართულს, თუმცა დილის ექვს საათზე ამდგარი დროის უმეტეს ნაწილს თავის სახელოსნოში ატარებდა და იქ ხან უნაგირებს კერავდა, ხან ოქრომკედს ქსოვდა, ხან მისივე ხელით გამოქედილ ნაწილებისაგან არკებუზებს აწყობდა, სანადიროდ წასვლა მგონი სულაც აღარ ახსოვდა და იქნებ აღარც გახსენებოდა, ერთ მშვენიერ დღეს სასახლის წალკოტში თავის მოწყენილ ცოლისძმებს რომ არ შეხვედროდა.

— როგორ გიკითხოთ, ჩემო პატარა ძმებო და შვილებო? ხომ არ მოგბეზრდათ ჩვენთან სტუმრობა, შინ წასვლა ხომ არ მოგენატრათ? — მეგობრულად ჰკითხა მეფეებს მუეძინის თუ მექისის ზოლიან ხალათში გახვეულმა და ხის ქოშებში

შიშველ ფეხწადგმულმა შაჰ-აბასმა, ორივე მწვანედ შეღებილ ძელსკამზე დასვა და თვით შუაში ჩაუჯდა. — თუმცა რა, სანადიროდ მოგიპატიჟეთ და შემოდგომა ისე გაშუალდა, აქედან რქა ვეღარ გაგვიტევია. ჯანი გავარდნია, ხვალ ვახსენოთ ჩვენ-ჩვენი ღმერთი და შევსხდეთ აქლემებზე! ჰა, რას იტყვით? ნადირობისათვის ახლა საუკეთესო დროა. ნადირი ხორცშებმულია, გაზანტებულია და მონადირეს არც კი უფრთხის. გილანსა და მაზანდერანში სანადირო ადგილებს არ ვემდურით. თქვენს ყარაიაზსა და ტარიბანას არც ერთი არ ჩამოუვარდება, უკეთესი თუ არ არის. ეგაა, შორია, წინ დიდი გზა გვიდევს. რა გაეწყობა, ვრცელია ჩვენი საბრძანებელი. მაღალმა ალაჰმა აგრე ისურვა! წავედით?

— როგორც თქვენი უდიდებულესობა ინებებს, თქვენო უდიდებულესობავ! — შეიშმუშნა და ორთავეს მაგივრად უპასუხა თეიმურაზმა, რომელიც ძველი ნაცნობობის წყალობით ყაენთან უფრო გაშინაურებული იყო, ვიდრე ბუნებით მორცხვი და მორიდებული ლუარსაბი.

— მაშ, გადაწყვეტილია: ხვალ! ადრიანად ადგომა მოგვიწევს. დილის ძილი არ გაგიტკბეთ, ყმაწვილებო, არ გვალოდინოთ! — შაჰ-აბასი მძიმედ წამოდგა, ჯერ ერთს, მერე მეორეს გამომცდელად აჰხედ-დახედა, მსუქანი ტუჩების კუთხეებში რაღაც ღიმილის მაგვარი გამოესახა, დიდრონი, ფუთიანი ხელები ხალათის ფლაყვე ჯიბეებში ჩაიწყო და ხის ქოშების ფლახუნით აგურის ფხვნილით მოკირწყლულ ბილიკზე გზა განაგრძო.

წალკოტში მბრძანებლის მოულოდნელმა გამოჩენამ და მის მიერ ასევე მოულოდნელად მიღებულმა გადაწყვეტილებამ მაზანდერანში სანადიროდ წასვლის თაობაზე ორივე მეფე შეაძრწუნა და დააღონა.

შაჰ-აბასი რომ წალკოტში ორი-სამი წუთით ადრე შემოსულიყო, ის აქ უთუოდ ნახავდა საჰურისს, რომელიც ფრიად საიდუმლო დავალების შესასრულებლად ქართველ მეფეებთან თვით სპარსეთის დედოფალმა, ყაენის უსაყვარლესმა ცოლმა, ამილახვრის ასულმა თამარმა გამოგზავნა და ამ უბედურსაც მშიერი ლომების გალიაში ცოცხლივ შეგდება და ლუკმა-ლუკმა დაგლეჯა არ ასცდებოდა.

თამარს ყურად ეღო მის ბედში მყოფი შაჰის ცოლების ხვეწნა-მუდარა, რომელთაც ქართლ-კახეთის ახალგაზრდა მეფეების სასახლეში ყოფნა პირველ დღესვე სარწმუნო

წყაროებით შეეტყოთ და ვინაიდან ჰარამხანაში ვისიმე, მით უფრო უცხო მამაკაცის შემოსვლას დადგენილი ადათი სასტიკად კრძალავდა, გადაეწყვიტა, სამუდამოდ გაყრილი დედმამიშვილები ერთმანეთისათვის შორიდან მაინც დაენახვებინა.

თამარის მხრივაც კი ეს უდიდესი გაბედულება და თავგანწირვა იყო, მაგრამ თანამემამულე ყმაწვილი ქალების საცოდაობას ისიც ისე შეეწუხებინა, რომ სიფრთხილის ყველა ზომა უკუეგდო და ეს საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა.

დრო — დილის სრული რვა საათი, მოხერხებულად იყო შერჩეული. ამ დროს ყაენი ყოველთვის სახელოსნოში ბრძანდებოდა და ვიდრე ათი საათისათვის სატახტო დარბაზში უცხო სახელმწიფოთა ელჩების მისაღებად არ გამოვიდოდა, იქ თავის გუნებისად ჩხირკედელაობდა. მომდევნო დღის დილის სრულ 8 საათზე მეფეები წალკოტში უნდა შემოსულიყვნენ. წინასწარ გაფრთხილებული ბატონიშვილები ლელა და ელენე აქეთ სარკმლებით გამომავალი ჰარამხანის ერთ-ერთ სარკმელს მოადგებოდნენ და გამჭვირვალე ფარდის უკან მდგომნი თავიანთ საფიცარ ძმებს დაინახავდნენ.

სასიკვდილოდ განწირული საჭურისი, რომელმაც თამარ დედოფლის დარიგებისამებრ გურჯ მეფეებს ჰარამხანის სარკმელი დაანახა, სწორედ ახალი წასული იყო, როდესაც წალკოტში სახელოსნოდან მომავალი შაბ-აბასი შემოვიდა. თეიმურაზისა და ლუარსაბის აქ დახვედრა მას მაინც და მაინც დიდად არ ესიამოვნა, მაგრამ ეს არ შეიმჩნია, კობრაზე მონადირის სიფრთხილით, ემანდ არაფერი გამომეპაროსო, ცოლისძმებს საუბარი გაუბა და შემდეგ ისევე სწრაფად გაშორდა ირივეს, როგორც გამოჩნდა. სანადიროდ წასვლა, ისიც ასე შორს, აქამდე თავადაც არ ჰქონდა გადაწყვეტილი. გადაუდებელი საქმეების გამო, სასახლეში რომ დაუგროვდა, ამ სიამოვნებაზე წელს შეიძლება უარიც ეთქვა, მაგრამ საუბარში სიტყვა სიტყვას წაება და თუმცა გულით არ უნდოდა, ახლა აღარ შეეძლო, უკვე მიღებულ გადაწყვეტილებაზე უარი ეთქვა.

ხვალ, დილის სრულ 8 საათზე, როცა, პირობისამებრ, მათი დები დათქმულ სარკმელს მოადგებოდნენ, რათა საყვარელი გვირგვინოსანი ძმები შორიდან მაინც დაენახათ და შემდეგ ეს ხილვა გულში სამუდამოდ ჩაებეჭდათ, თეიმურაზი და ლუარსაბი უკვე გაცილებული იქნებოდნენ სატახტო

ქალაქის ფარგლებს და ერთმანეთის დანახვას მონატრებულ დედამიწიელებს ამას იქით იქნებ ვერც ველარასოდეს ენახათ ერთმანეთი.

ასეც მოხდა. ამომავალი მზის პირველი სხივი შეიხ ლოთფოლას მიზგითის ელვარე გუმბათზე აკაშკაშდა, როდესაც ასიოდე აქლემისაგან შემდგარი ქარავანი ფრუტუნითა და ზანზალაკების დინჯი ჟღარუნით შაჰის ბრწყინვალე სასახლის — ალი-ყაფუს წინ დააჩოქეს. ექვსასი შუბოსანი და მოისარი, მათ შორის განთქმული მონადირენი, ყოველ ნადირობისას დიდებულ შაჰს განუყრელად რომ თან ახლდნენ და მხარს უმშვენებდნენ, ზედ შესხდა, ხოლო დანარჩენებს უზარმაზარ ფარდაგებში გამოკრული ბარგიბარხანა აჰკიდეს და აუჩქარებლივ დაიძრნენ, გაღმა ნაპირზე გადასასვლელად გეზი ალავერდიხან უნდილაძის კამარებიან ხიდისაკენ აიღეს.

ქალაქიდან გასვლის უმალვე შაჰ-აბასმა ცოლისძმები მოიკითხა. კარგად გამოძინებული და დასვენებული, თუმცა ღამე ჰარამხანაში, თავის საყვარელ ცოლებთან ბღლარძუნში გაატარა, ჩინებულ გუნებაზე ბრძანდებოდა. აბასს საერთოდ არ სჩვეოდა უგუნებობა. მხიარული განწყობილება მას მაშინაც კი არ სტოვებდა, როდესაც მისივე ბრძანების თანახმად დამნაშავედ მიჩნეულ მსხვერპლს გააფთრებულ მხეცს მიუგდებდნენ დასაგლეჯად და უბედურის არაადამიანური ღრიალის გამგონე ქვასაც კი ცეცხლი ეკიდებოდა. ასე რომ სისასტიკის მოსამოქმედებლად ის ყოველთვის მზად იყო. წინასწარ არავის შეეძლო სცოდნოდა, ერთი წუთის შემდეგ რა მოხდებოდა, წუთის წინ ხელმწიფური წყალობით ავსებულ ქვეშევრდომს მომდევნო წუთს რას უმზადებდა.

მისი უდიდებულესობა შაჰი გხმობილობთო, მეჰმანდარმა რომ მოაკითხათ, მეფეებს ფერი ეცვალათ. ორივე უძილარი იყო. მთელი ღამე თეთრად გაეთენებინათ, ელოდნენ, ჩვენდა ბედად, იქნებ რაიმე შეიცვალოს, ან შაჰმა გადასდოს სანადიროდ წასვლა, ასე ნაუცბათევად რომ გადაწყვიტა, ან თამარ დედოფალმა გამონახოს რაიმე სხვა გზა დედამიწიელების შესახვედრებლადო, მაგრამ ისე ინათლა და გათენდა კიდევაც, მათ კარს კაცი-სულიერი არავინ გაჰკარებია. აბასს ხომ ვერაფერს გამოაპარებდი. სტუმრებს უთუოდ შენიშნავდა უძილობასა და დაღვრემილობას. მიზეზის შეტყობას მოიწადინებდა. და ეს რომ არ მომხდარიყო, მეფეები თავს არიდებდნენ, მის ძვირფასად შეკაზმულ თეთრ აქლემს,

რომელზედაც მთელი თავისი ამპარტავნული დიდებულებით იჯდა, თავიანთი გაერთიანებული ამალით შორიახლო მისდევ-დნენ.

გარს უკვე უდაბნო ერტყათ. ირგვლივ არც ერთი ცოცხალი ბუჩქი, არც ერთი ღერი მწვანე ბალახი არ ჩანდა. სამხრეთიდან, სადაც შორეულ ცისკიდურზე ერთიმეორეზე მიხორხლილი შიშველი მთები გაწოლილიყვნენ, თითქოს დაჩოქილი და ყელი-ყელგადაჭდობილი აქლემებიაო, ცხელი ბული უბერავდა და ჯოჯოხეთურ სიცხეს, ირგვლივ რომ მეფობდა, კიდევ უფრო სულის შემხუთველსა და გაუსაძლისს ხდიდა.

სამი-ოთხი საათის შეუსვენებელი სიარულის შემდეგ ქარავანი შეჩერდა და შუაგულ უდაბნოში თითქოსდა მიწის სიღრმიდან ერთბაშად აღმოცენებული ტბის გარეშემო დაბანაკდა. საიდანღაც აქ გაჩენილი ტბის წყალი მარილიანი და თბილი იყო, პირში არ ჩაიკარებოდა. თავთხელში მანეულს, ფესვებგაშიშვლებულ ტირიფს და უდაბნოს კიდევ რომელიღაც მცენარეს ამოეყოთ მეჩხერი ტოტები და ამათ შუა უსიცოცხლოდ მოტორტმანე წყლის სარკეში უიმედოდ მოკრიალებული ნაცრისფერი ცა ირეკლებოდა. ჩიჩვირჩამოშვებული აქლემები, უდაბნოს ეს დაუღალავი მუშაკნი, მუხლებამდე ჩადგნენ დაჭაობებულ ტბაში და მარილიან წყალს ხარბად დაეწაფნენ.

დიდებულებით გარსშემორტყულმა შაჰ-აბასმა ჩრდილში მოიკეცა და კარვების გაშლა ბრძანა. ახალგაზრდა ცოლისძმებს, თავის საყვარელ სტუმრებს, გვერდიდან არ იცილებდა და არაფერს იშურებდა, მათთვის რაიმე ესიამოვნებინა. გურჯი მეფეების კარავი დიდებული ყაენის კარვის მეზობლად დადგეს. ნიშნად წყალობისა, აბასმა ვახშამიც თავისი სუფრიდან გაუგზავნა და ძილი ნებისა უსურვა.

რას მოასწავებდა ეს ყოველივე, რა განეზრახა ვერაგ აბასს, ნახევარი მსოფლიოს მპყრობელს, ორი პაწაწინა ქვეყნის პირზე დედის რძეშეუშშრალ მეფეებთან თავის მოსაქაჩლებელი და ქედის მოსადრეკი რა სჭირდა?

მეათე დღეს, დილაადრიან, სპარსეთის კიდევ ერთი უდიდესი ქალაქის — ყაზვინის კედლები, გუმბათიანი მიზგითები, ტანწერწეტა ლურჯი მინარეთები და თეთრად მოქათქათე სრა-სასახლეები გამოჩნდა. ამ თვალწარმტაცი ქალაქიდან, მთელი სპარსეთის სავაჭრო გზების გასაყარზე რომ იდო

და ოდესღაც სატახტო ქალაქის პატივითაც სარგებლობდა მაზენდარანამდე, გაუვალი ტყეებით დაფარულ მის სანადირო ადგილებამდე, სამი დღის სავალიც აღარ რჩებოდა.

მეფეებმა უფროსებისაგან გადმოცემით იცოდნენ, რომ მაზანდერანი სპარსეთის ერთ-ერთი ნაყოფიერი და უმდიდრესი მხარე იყო, რომელიც კასპიის ზღვასა და შუა აზიის ქვეყნებს, ვიდრე აღლანთა მთებამდე, სამხრეთის მხრიდან ეკვროდა და თვალუწვდენელ სამეფოს ხორბლით, საქიშმიშე ყურძნით შარბათით, ყოველნაირი ხილეულითა და სახორცე პირუტყვით ამარაგებდა. აქაურ ნავსადგურებში შაჰის ფლოტის ფრეგატები და სავაჭრო ხომალდები იდგნენ, რომლებიც კასპიის ზღვას სიგრძე-სიგანეზე სერავდნენ და საქონლის გასასაღებლად, იქიდან კი ახალი საქონლის წამოსაღებად არა მარტო კავკასიისა და შუა აზიის სანაპიროებთან, შორეული რუსეთის ნავსადგურებშიაც კი შედიოდნენ.

ნადირობა სამშაბათ დღეს დაიწყო და მზის გადახრამდე გაგრძელდა. მარეკები ტყეებს მოედვნენ და ფარებზე შუბის ტარის ცემით, ყვირილითა და აქამდე გოდრებით მოყვანილ მწევარ-მეძებართა ყეფა-წკავწკავით ტყიურთ აფრთხობდნენ. ტყის სიღრმიდან გამოვარდნილი პირველი ქორბუდა ირმები, წიფლიანში დასუქებული ტახები და მომხიბლავად ყელმოღერებული ქურციკები რომ დაინახეს, დაღვრემილი ქართლ-კახეთის მეფეები და მათი მრავალრიცხოვანი მხლებლები, რომელთა დიდი უმრავლესობა თავმომწონე ახალგაზრდობა იყო, უმალ გამოცოცხლდნენ, გახალისდნენ და თვალებგაბრწყინვებულებმა, ამას რას ვხედავთო, ხელი შვილდ-ისარზე გაისვეს. თვით შაჰ-აბასი მათთან ახლოს ნადირობდა, მიუხედავად ხანდაზმულობისა, შუბსა და შვილდ-ისარს შესაშური სიმარჯვით ხმარობდა, მზე ბევრ ირემსა და ქურციკს დაუბნელა, მაგრამ რის თვალნათლივი მოწმეც გახდა, ეს კი ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. შაჰი რამდენჯერმე გაჩერდა და თვალი მიადევნა გურჯისტანის მეფე ლუარსაბს, რომლის ხელითაც ნასროლი არც ერთი ისარი მიზანს არ ასცდენია და ნანადირევის ამკრეფნიც მის მიერ დახოცილი ნადირის აკრეფას ველარ აუდიოდნენ.

ლუარსაბი თავდავიწყებული მონადირე იყო. ამ სალაღობო-სავაქციაო საქმეში ყველას ნეტარხსენებულ პაპას დელი სიმონს აგონებდა. ნადირობას ბალღობიდანვე მისდევდა და ძნელად თუ ვინმესთვის ტოლი დაეგდო.

თვით თეიმურაზმაც კი შენიშნა ყაენის გამორჩეული ყურადღება, რითაც სპარსეთის ძლევამოსილი მბრძანებელი ქართლის ახალგაზრდა მეფის ნადირობას აჯილდოებდა და უნდოდა, ლუარსაბს დასწეოდა, გაეფრთხილებინა, შაჰს წინ ნუ გადაუსწრებ, ნურც ჯობნას მოინდომებ, მეტისმეტს ნუ იზამო, იცოდე, შურიანი კაცია, სხვისი სიჩაუქე გულზე ეკლად ესობა, მაგას არ გაპატიებსო, მაგრამ ეს განზრახვა მანამ ვერ შეასრულა, ვიდრე ბებურ ვაჩნაძემ ცხენი არ მოაგდო და, ისე რომ სხვას არავის გაეგონა, მოაძახა:

— რას შერება მეფე ლუარსაბი, თავს იღუპავს?

— როგორ თუ იღუპავს?! — თუმცა წამის წინ თავადაც ამასვე ფიქრობდა, კითხვა შეუბრუნა თეიმურაზმა.

— უთხარით, მეფეო, მე ვერ გავუბედავ, ვაითუ მიწყინოს, მეტიჩრობაში ჩამომართვას, ერთი ისარი მაინც დააცილოს ნადირს, ვერ ხედავთ, ყველა მაგას უყურებს? — ვაჩნაძემ სიფრთხილე გამოიჩინა, ყაენი „ყველად“ მოიხსენია.

— მართალს ამბობ, ბებურ, — დაეთანხმა თეიმურაზი. — მართლაც უნდა გავაფრთხილოთ, თორემ ამ სიკეთის დროს უბედურებას შეგვამთხვევს! — მან დეზი ჰკრა ცხენს, სადავე მიუშვა და გააჭენა. მტვრის ბუქსა და კორიანტელში ლუარსაბს სწორედ მაშინ გაუსწორდა, როცა მან მხარიღლივ მოქცეულ კაპარჭიდან ისარი დააძრო, ლარზე გამართა და შვილდი დასამიზნებულად ასწია. — ლუარსაბ, ჰაი, ლუარსაბ!

გაფიცხებულმა ლუარსაბმა სასროლად შემართული შვილდ-ისარი ფაფარაშლილი ცხენის ქედზე დაუშვა.

— არ გეწყინოს, რასაც ახლა გეტყვი!

— მეწყინოს? რა უნდა მეწყინოს! ბრძანე!

— შაჰს გულზე არ ეხატება ეგ ვაქკაცობა, შენ რომ იჩენ. ჩვენებმა შეამჩნიეს და შენი თავი ნუ მომიკვდება, მეც ვამჩნევ!

— არ მესმის, თეიმურაზ!..

— ხარბი კაცია, — თეიმურაზმა თვალი მოაელო გარემოს, არავინ იყოს მოყურადებულიო. — ვაითუ გიწყინოს და ბოლმა ჩაიდოს გულში. მე ასე მგონია, ჩვენ აქ არც უნდა ვჩანდეთ!..

— სულ გაჩერდები, ბატონო!..

— არა, არც სულ გაჩერება ივარგებს!

ამ სიტყვებით ისინი ერთმანეთს დასცილდნენ და ვიდრე ნადირობა არ დასრულდა, ბუკს არა სცეს და ბანაკში

დასაბრუნებლად მონადირეებმა თავი ამ მოიყარეს, აღარც შეხვედრიან.

ბანაკი ტყის პირას, ტრიალ მინდორში, დიდრონ ხავსიან ქვებსშუა მოჩუხჩუხე ღელის ორივე ნაპირზე იყო გაშლილი. სტუმარ მეფეებისადმი შაჰს ყურადღება აქაც გამოეჩინა: მათი კარავი ვეებერთელა, ბაიისფერი კარვის მეზობლად დაედგათ.

ვახშმად დასხდომის წინ, სანამ ოთხში ამოღებული და აქნილი ნანადირევისაგან მზარეულები ცხელ-ცხელ მწვადებს შეწვავდნენ და სუფრაზე უანგარიშოდ დაყრიდნენ, აბასი პერანგისამარა გამობრძანდა, გაღეღილ გულისპირიდან ჭალარა ჯაგრით დაფარული მძლავრი მკერდი მოუჩანდა, ხელ-პირი ღელეში დაიბანა და მშრალებ-მშრალებით ცოლისძმებს მოაკითხა, რას შვრებით მანდ, ხომ კარგად მოეწყეთ, ხომ არაფერი გაწუხებთო. იმ ბოღმისა და ცუდად შენიღბული გულზვიადობისა, დღისით ლუარსაბის მაყურებელს რომ მორეოდა, ნატამალიც აღარ ეტყობოდა. შაჰი ახლა არა აზიის ერთი უზარმაზარი სახელმწიფოს ძლევამოსილი მბრძანებელი იყო, არამედ უბრალო მხედარი, ჩვეულებრივი მოკვდავი ადამიანი, რომელსაც არაფერი ადამიანური არ ეუცხოვებოდა.

თეიმურაზი და ლუარსაბი თავაზიანად გამოეგებნენ, კარავში შეიწვიეს.

— რა იქნება, მეც რომ თქვენთან ვივახშმო? — მოულოდნელად გამოაცხადა ყაენმა და სველი ხაოიანი პირსახოცი, რითაც პირი და ყელ-კისერი შეიხოცა, ვიღაცას მიაჩეჩა. — აქ მართლა დიდებულად მოწყობილხართ!

შაჰის ამ მოულოდნელმა მოსურვილებამ, რაც მთლად მოულოდნელს არა ჰგავდა, მეფეები ერთობ გაახარა და ეს თავისი სიხარული მათ თავისებურად კიდევაც გამოხატეს.

კაცი მთლად ყრუ და დაბდური უნდა ყოფილიყავი, თუ ვერ მიხვდებოდი, რომ სატახტო ქალაქიდან მოშორებით, თავისი თვალუწვდენელი სამეფოს ამ უდაბურ ადგილას ყაენი „საყვარელ ცოლისძმებთან“ განმარტოებას ან იმ მიზეზების გამქღავნებას აპირებდა, რისთვისაც ამდენი ათასი უტევანი გამოატარა და ორივე აქ მოიყვანა. იქნებ დღეს, აქვე, ამ კარავში უნდა გადაწყვეტილიყო პირადად მათი და მათი სამეფოების ბედიც?

შაჰი არ ჩქარობდა, მოუთმენლობას არ იჩენდა, დასახულ მიზანს მისთვის დამახასიათებელი დათაფლული გულითადობით უახლოვდებოდა. კარაეს გარშემო შემოუარა, მცოდნე

კაცის თვალით გასინჯა, სწორად იყო თუ არა გაშლილი და თოკებით პალოებზე დამაგრებული. მერე ისევ შიგნით შებრუნდა, ავაზის ტყავებზე, რომლებიც ხალიჩებზე დაეფინათ, გერმით გატენილ ხავერდის მუთაქებსა და ბალიშებში ფეხმორთხმული ისე ჩასაფრდა, თითქოს ღელის პირიდან გავეშებული გარეული ტახის ამოვარდნას ელისო. დასხდნენ და იმავე სპარსულ წესზე მოირთხეს თეიმურაზმა და ლუარსაბმაც.

კარავში სრულიად უხმაუროდ ფეხისწვერებზე შემოსულმა დერვიშებმა სუფრა სამ თანამეინახეზე გაშალეს. გაჩნდა წნულ სინზე დაწყობილი კეცის ფუმფულა პურები, ჩამოარიგეს სამ-სამი თეფში, სამ-სამი დანა, სამ-სამი ჩქიფი, დიდი და მცირე ბროლის სასმისები, სურებით შარბათი. სუფრა გაახალისა მსხვილ-მსხვილ ნაჭრებად დაჭრილმა ბუხარულმა ყველმა და ახალ-ახალმა მწვანილეულობამ, გაჩნდა კუმისიც. მალე კარავი ირმისა და შელის მწვადების ნერწყვისმომგვრელი სუნით აივსო.

აბასმა სურას მოაელო შალაშინისა და სხვა სადურგლო იარაღების ხშირი ხმარებით დაკოჟრილი ბანჯგვლიანი ხელი, დაასწრო ასაკით უმცროსებს, რომელთაც მომსახურება აქეთ მართებდათ და სამივე მცირე სასმისი ქარვისფერი შარბათით ააესო. მერე ხელები მოიფშვნიტა, მსუნაგად გადახედა სუფრას, რომელსაც მონადირის სუფრის კვალობაზე არაფერი აკლდა, ორი თითით მისწვდა შელის მწვადის ნაჭერს, დაითრია, დაყნოსა, იფ, იფო, თქვა და იმწამსვე პირისაკენ გააქანა. ჭამა მანამ, სანამ მოშიებულმა სული არ მოითქვა და შიმშილი არ დაიცხრო. დროდადრო ცხიმისაგან აპრიალებულ მსუქან ტუჩებს ტილოს ხელსახოცით იწმენდდა, შარბათს ან კუმისს წრუპავდა და პირს ისევ და ისევ თავისსავე ქონში აცურებული მწვადის ახალ-ახალი ნაჭრებით იტკბარუნებდა. გვიან შენიშნა, რომ სპარსეთის გვირგვინოსანი სტუმრები უბრად ისხდნენ, უყურებდნენ, როგორ სულმოუთქმელად ნთქავდა შაჰი სუფრაზე გროვად დახვავებულ პურმარილს და, თითქოსდა სანახაობით მონუსხულთა და მოჯადოებულთ, თვით ჯერ არაფრისათვის ხელი არ ეხლოთ.

— თეიმურაზ!.. ლუარსაბ!.. რაღას უყურებთ, არა გშიათ?

— გეახლებით, თქვენო უდიდებულესობავ!..

— როდის?! გაცივდა მწვადი! აი, ეს, აი, სისხლიანია! მე არ მიყვარს მწვადი, თუ ცოტა სიხლი არ გასდის, კბილებში

სისხლმა უნდა გამოგეონოს, აი, ეს არის ნამდვილი მწვადი! გადაიღეთ! ესეც მე გადაგიღოთ? აღუ, თითზე არ მიკბინოთ!..

— არა, ნუ წუხდებით, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენ თვითონ!..

— ახლა კი, რაკი არაფერს მიირთმევთ, სანამ ხილს შემოიტანდნენ, თქვენის ნებართვით, — აბასმა დაპმუკნული ხელსახოცით ჯერ ხელები გაიმშრალა, შემდეგ ტუჩებიც შეიხოცა, ხელსახოცი თავის ადგილზე დასდო და თანამეინახეთ რიგ-რიგობით შეხედა. — საქმეზეც ვილაპარაკოთ!

თეიმურაზმა და ლუარსაბმა, რომელთაც თითო უგემური ლუკმის გადაყლაპვაც ძლივს მოასწრეს და ყელში ისიც ძლივს ჩაუვიდათ, ჩქიფებს ხელი უშვეს, ნიდაყვებით გაჩაჩხულ მუხლებს დაეყრდნენ და სულგანაბულნი სმენად გადაიქცნენ.

— მე შენზე, თეიმურაზ, რა დასამალია, რომც არ გითხრა, თავადაც იცი, გამწყრალი ვიყავი. შენ უგუნურობა ჩაიდინე და კინაღამ თავი დაიღუპე!

— დამნაშავე ვარ, თქვენო უდიდებულესობავ!

— დამნაშავეა! მაშ, არა ხარ დამნაშავე? დედას, ბრძენ ქეთევანს, უმადლე რომ შეგინდე და რისხვა წყალობით შევცვალე!

— მე ყოველთვის მქონდა თქვენი უდიდებულესობის სულგრძელობის იმედი, თქვენო უდიდებულესობავ!

— ჰოდა, ყოველთვის ამის მოიმედე ნუ იქნები! — აბასს ტიბეტური კატის თვალები დაუმრგვალდა, როგორც მსხვერ-პლის გასაგლეჯად დაძაგრულ ავაზას, შიგ ავის მომასწავებელი რისხვა ჩაუდგა. — დიახ, ნუ იქნები ყოველთვის ამის მოიმედე! მოთმინებასაც საზღვარი აქვს! შენ კი, ლუარსაბ, თუმცა ძალიან მიყვარხარ, რადგან ჩემი საყვარელი ცოლის ძმად მეგულები, გაფრთხილებ: შენი ცბიერი მამის, გიორგის, გზას ნუ დაადგები. ჭკუით იყავი, თვალი სტამბულისაკენ ნუ გაგირბის! ტყეში თრითინაც ვერ გაიფაჩუნებს, ისპაჰანში რომ ვერ გავიგოთ! არც ქართლში, არც კახეთში, აგრეთვე სამცხეში, საერთოდ გურჯისტანში, იცოდეთ ორივემ და გახსოვდეთ, სულთანს არაფერი ესაქმება, იმ ურჯულო, მურტალ სულთანს! ვინც ამ სიტყვას გადავა, ალაჰს ვფიცავ, თავს ამ მარჯვენით წავაცლი!

— მესმის, თქვენო უდიდებულესობავ! — ყურებიან-ღაწ-ვებიანა წამოჭარხლებულმა ლუარსაბმა შაჰის მზერას ვერ გაუძლო, თავი მხრებში ჩარგო და თვალები დახარა.

— თვალს მარიდებ? — აბასის ხმას ხრინწი გაერია, ლუარსაბს მჯილი ამოსდო ნიკაპქვეშ, თავი ააწევინა და საჩვენებელა თითი კვინიხზე მიიკაკუნა. — აქ მიყურე, აქ! შენა? — ის ახლა თეიმურაზს მიუბრუნდა. — რა ენა ჩაგვარდნია? იქნებ თეთრი დათვები გელანდება, ჩემს წინააღმდეგ რომ გაგულიანებენ და პირობას გიდებენ, ოღონდ სპარსეთს გადაუდექი და ყელამდე ოქროში ჩაგსვამთო. ისემც... — ყაენმა შეიგინა. — ეგ არ გამოვა! კარგად დაიმახსოვრე! სადაც არ უნდა წახვიდე და კარზე ვისაც არ უნდა მიუკაკუნო, ჩემი მსტოვრები, იცოდე, ყველგან კვალში გიდგანან, თან გდევენ და გითვალთვალებენ! ისპაჰანს ვერ დაუმალავ, გულში რა გიდევს, რით სულდგმულობ! იქნებ არ მოგეხსენება, რომ პაპაშენი ალექსანდრე ორ სკამზე იჯდა? აქეთ მე მიმტკიცებდა ძმობას, იქით რუსეთის მუხანათი ხულმწიფის, ოქროს ურდოდან მოთრეული ბორის გოდუნოვის ელჩები დაუდიოდა. მანამდე თავად აატალახა რუსეთის კარი. ელჩს ელჩზე აგზავნიდა. გგონია, ჩვენ ხაროში ვისხედით, არაფერი ვიცოდით? თვით რუსები გვატყობინებდნენ ყველაფერს, პაპაშენ ალექსადრეს თავისი კეთილისმყოფლები რომ ეგონა. მიეზღო სამაგიერო: ღვიძლი შვილის ხელით ამოხდა ცოდვილი სული! ღმერთი სამართლიანია, ალაჰი იყოს, გინდა ქრისტე! მიხრწნილობაში შესულ კაცს იმის ჭკუა-გონება და მოხერხებაც არა ჰქონდა, ეს მოღალატური საქმე ჩუმად მაინც ეკეთებინა და ქვეყანას არ გაეგო! მართალს ვამბობ თუ არა?

საყვარელი პაპის უშვერად გალანძღვით გულადღეებულმა და სუნთქვაშეგუბებულმა თეიმურაზმა პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა, რადგანაც იგრძნო, შაჰი წაჩხუბების საბაბს ეძებდა და უკეთუ ამ საბაბს იპოვნიდა, რაც არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა, ორივე თავის მსხვერპლს იმ წუთშივე დაატუსაღებდა და იმას იქმოდა, რაც არა ერთჯერ და ორჯერ უკვე ექნა.

— მე შენ გეკითხები, თეიმურაზ! — ახლა უკვე მუქარით გაიმეორა ახალგაზრდა კახბატონის უადგილო სიჩუმით გააღვებულმა ყაენმა, რომლის სახეზედაც რამდენიმე წუთის წინანდელი მშვიდობიანი, თითქმის ალერსიანი გამომეტყველების ნიშანწყალიც კი წაშლილიყო. — მართალს ვამბობ თუ არა?

თეიმურაზმა თავს ძალა დაატანა, შუბლზე წურწურით წამოსული ოფლი მოიწმინდა და ძლივს ამოღერღა:

— მართალს ბრძანებ, თქვენო უდიდებულესობავ!..

— ჰოდა, დაიმახსოვრე, — აბასი გახალისდა, რისხვამ სანახევროდ გაუარა. — შენს კარზე რუსის ელჩები არ გააჭაჭანო! არც ის მითხრას ვინმემ, მოსკოვის მეფესთან ელჩები გაგზავნაო! ყური უგდე ჩემს ძვირფას სიდედრს, ქეთევანს, ის ურიგოს არაფერს გირჩევს. კეთილი თვალით გიყურებ, მოყვრები ვართ და ნუ იზამ ისე, რომ შეურიგებელ მტრებად გადავიქცეთ! არ შეისმენ ჩემს მამაშვილურ დარიგებას, კახეთში დიდი ჯარით მოვალ, ძირფესვიანად მოგთხრი, შენს ერს, ვინც მახვილს გადაურჩება, დავატყვევებ, წინ გამოვირეკავ, აქაურ უდაბნოებში დავასახლებ, გაჩენის დღესა და სათს ვაწყევლინებ, იმას ვუზამ, რაც ალაჰის კარნახით სომხებს დავმართე, ქვეყანას კი გავაპარტახებ, საძოვრებად ვაქცევ! ახლა ამით დავამთავროთ და ისევ მეგობრებად დავრჩეთ. უკვე ძილის დროა. გატყობთ, თქვენც თვალები გებლიტებათ. ასეა, ხომ? ხომ არ მეჩვენება? იქეთობას ყაზვინში შეჩერებას ვაპირებ. იქ ჩვენი გზები გაიყოფა. ჩვენ ისპაჰანისაკენ გავსწევთ, თქვენ კი ყიზილბაშების რაზმი ჯულფამდე მიგაცილებთ და გზას დაგილოცავთ. ჯულფას იქით თავს თავად მოუარეთ!

შაჰი ხელებსა და გადაჯვარედინებულ ფეხებს დაეყრდნო. დამძიმებული ტანი ვერცთუ ადვილად დაიმორჩილა, წამოდგა, ერთი გემრიელად გაიზმორა და კარისაკენ ისე წავიდა, უკან აღარ მოუხედია.

თავი XXXIX

1609 წლის ახალწლის ღამე, ისევე როგორც შობა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, გრემის სასახლეში უმეფოდ გაატარეს. სამეფო კარი, დიდი და პატარა დედოფლები ქეთევანი და ანა, ამ ხნის განმავლობაში იმით სულდგმულობდნენ, რომ სპარსეთიდან დროგამოშვებით სანუგეშო ამბები მოდიოდა. მათ დანამდვილებით იცოდნენ, მაგალითად, რომ ახალგაზრდა ქართველი მეფეები შაჰმა პატივით მიიღო და მათ მიმართ არავითარი ბოროტი ზრახვა არ გამოუმჟღავნებია. იცოდნენ ბევრი სხვა რამეც, მაგრამ ის კი არავის შეეძლო ეთქვა, როდის ინებებდა უაენი სამშობლოში მათ გამოშვებას, ანდა საერთოდ გამოუშვებდა კი?

ისპაჰანიდან ალექსანდრიისაკენ მიმავალ ვაჭრებს, რომელთაც ტფილისი გაიარეს და ყულევიდან ზღვით აპირებდნენ ბოსფორისა და დარდანელის გავლას, ბოლო დროს შაჰის სანადიროდ წაბრძანების ამბავიც მოიტანეს, მაგრამ იყვნენ თუ არა მის დიდ ამალაში ქართლისა და კახეთის მეფეები, ამაზე სარწმუნოდ ვერაფერი თქვეს.

დედისერთა შვილის მოუქარვებელი დარდით თმაში ნაადრევად ჭაღარაგამორეული ქეთევანი ღამეებს თეთრად ათენებდა კარის ეკლესიაში. ხატების წინაშე დაჩოქილი, ცხარე ცრემლით მტირალი მაღალ ღმერთს, იესო მაცხოვარს, ღვთისმშობელ დედას ევედრებოდა, ერი უმეფოდ არ დაეგდო, არ გაეწირა, აქაურობა ტურა-მელის სათარეშოდ, ლეკებისა და ყუმიყების კერძად არ ექცია. დანარჩენ დროს სათაყვანებელ რძალს უდგა გვერდში, ჩვილ ბატონიშვილ ლევანს თავს ევლებოდა. არავინ იცოდა, როდის ეძინა, თუნდაც ერთ-ორ საათს, როდის ისვენებდა, თუმცა სხვათა დასანახად თავი მხნედ ეჭირა, ვერც მწუხარებას შეამჩნევდი, ვერც უძილობას და ვერც დაღლილობას.

გარდა შინაური საოჯახო საქმისა, დედაკაცს, თუნდაც დედოფალს, თავის დღეში რომ არ გამოელევა, ქეთევანს გარე საქმეც გამოულეველი ჰქონდა. ქვეყნის ერთადერთი პატრონი და განმგებელი ის იყო. ქეთევანის გაუგებრად და მის დაუკითხავად ქვა ქვაზე არ დაიდებოდა. ქეთევანი ყველგან იყო, სადაც ამას საქმე მოითხოვდა და დედოფლის შემხედვარენი სხვებიც ერთგულად უდგნენ მხარში. ყოველ მის სიტყვას და დარიგებას ოქროს ფასი ედო.

რძალ-დედამთილი ბატონიშვილის ოთახში ფუსფუსებდნენ, ახალგამოღვიძებულ ჩვილ ლევანს თავის ხელით აცმევდნენ, როცა ოთახში პატარა დედოფლის სეფექალები შემოტკრიალდნენ და ორივე დედოფალს მეტად სასიხარულო ამბავი აუწყეს: ქალაქის აღმოსავლეთის კარში, თელავის მხრიდან, ვიღაც მხედრები შემოდიან, ასე, ორასი-სამასი კაცი იქნება და რაკი მოყარაულეებმა განგაში არ ატეხეს და მშვიდობიანად გამოატარეს, ვინ უნდა იყოს თუ არა ბატონი მეფე და მისი ამალაო.

— გადი, შვილო, ანა, გადაიხედე! — მიმართა ახალი ცნობით გახარებულმა ქეთევანმა რძალს, რომელსაც ღაწვებზე ალმურმა აუარა და აქამდე ნაღვლიანი, თითქოსდა ჩამქრალი

თვალები გაუბრწყინდა. — იქნებ ღმერთმა ჩვენი ლოცვა-ვედრება შეისმინა და მართლაც თეიმურაზია?!

სიხარულისაგან თავგზააბნეული ანა ტოლებს გაჰყვა. აღარც კი გახსენებია, რაიმე მოეხურა და კიდევ უფრო გახარებული სულ მალე უკან შემობრუნდა.

— მომილოცავს, ბატონო დედა, თეიმურაზია!..

— მეც მომილოცავს, შვილო! მადლობა უფალს, ელირსა მოსვლა და ჩვენც მრთელი დავხვდით! ჩადი, ჩაეგებე, ბავშვს ჩვენ დავიტოვებთ!

— არა, დედა, არ შემიძლია!

— რა მოხდა, რატომ კანკალებ ასე, ხომ არ შეგცივდა?

— მგონი ცოტა შემცივდა. თქვენ ჩაბრძანდით. არ ეწყინოს, რატომ არ მეგებებიანო!

ამასობაში გარეთ, ნახევრადბნელ ტალანში, მძიმე ფეხისხმა და ბრაგუნი გაისმა, თითქოს ვინმე ლასტზე დაყრილ სიმინდის ტაროებს ცეხვავსო, იატაკის ფიცრებმა ჭრაჭუნი მოიღეს და კარში თოვლში ამობუმბლული და ორთქლში გახვეული, ბედნიერებისაგან სახეგაბადრული თეიმურაზი გამოჩნდა.

— დედა! ანა! ლევან!..

სეფექალები, როგორც მიმინოსაგან დამფრთხალი ბეღურების გუნდი, უმალ გაიკრიფნენ ოთახიდან და მეფე და მისი პატარა ოჯახი მარტო დასტოვეს.

— გაზრდილხარ, შვილო, დავაჟკაცებულხარ! — მიმართა მეფეს უსაზღვროდ ბედნიერმა და სიამაყით აღვსილმა ქეთევანმა, როცა სიხარულის პირველმა ელდამ გაიარა და თეიმურაზის ყინვისაგან გახევებული თეთრი ნაბადი და მეცხვარის ბანჯგვლიანი ქუდი, სომეხმა მწყემსებმა ყარაბახში რომ მოახურეს, იქვე, სელისკამზე დასდო.

— გეჩვენება, დედი, ისევ იგეთი ვარ, როგორიც გამიშვი, ეს კი, — თეიმურაზი სიყვარულით დააცქერდა პატარა ლევანს, რომელიც დარცხვენილ ანას გულში ჩაეკრა და გვირგვინოსან ქმარს მაღმერთებელი თვალებით შეჰყურებდა. — მართლაც გაზრდილა! ნუთუ ასე დიდი დრო გავიდა, რაც არ მინახავს! მოიტა ერთი, ხელში ავიყვანო!

— ნუ, დედა, თეიმურაზ, — დაუყვავა შვილს ქეთევანმა. — ბავშვი მშიერია. ეს წუთია გამოიღვიძა. გულმა უგრძნო, ალბათ, რომ მოდიოდი. ხელებიც ცივი გაქვს. გადი, ფეხები

დაიბერტყე, ან გავძახებ, მშრალ ფეხსაცმელს მოვატანინებ, თორემ შემოგადნება და ტბას დააყენებ!

თეიმურაზმა ხელი ჩაიქნია, მერე რა უშავსო და დედასა და თანამეცხედრეს ერთდროულად ჰკითხა:

— რას შვრებით, როგორა ხართ, როგოა აქეთ საქმე?

ანამ არაფერი უპასუხა, რადგანაც მონატრებული ქმრის ხარბ მზერას გრძნობდა და დედამთილის თანდასწრებით ეს საშინელ სირცხვილში აგდებდა, მხოლოდ ქეთევანმა მიუგო მოკლედ:

— შენ რასა იქ, შვილი, შენ, თვალები გამოგვიღამდა შენს ლოდინში!

— რა გვექნა, ხომ ვერ გამოვიქცეოდით. როცა გამოგვიშვა, მაშინ წამოვედით!

— ორივე? ლუარსაბიც შენთან ერთად დაბრუნდა?

— ლუარსაბიც!

— მადლობა უფალს! რაო, რა მინდაო, რისთვის დაგვიხეთქა გულები?!

— სალაპარაკო ბევრი გვაქვს, ბატონო დედა, ასე ორი სიტყვით რა უნდა გითხრა! აქეთ ხომ მშვიდობაა?

— მშვიდობას ჩვენთვის ვინ გაიმეტებს, შვილო, თვალგაუხელლად გვძინავს კურდღელივით!

— ლეკები მაინც არ იშლიან თავისას?

— ვინ მოაშლევინებს, ხატი მაგათ არა სწამთ და ღმერთი! ოთხჯერ დაგვეცნენ, რაც შენ შინ არა ხარ, ხალხი აგვიწიოკეს, ცოდვისკითხვა დაატრიალეს. წინადღეს იყენენ. ღმერთმა შეგვაძლებინა და მაგრად დავხვდით. ხელცარიელი გაბრუნდნენ. აღარ გვეგონა, თუ ასე ძალე მოიწყობდნენ ხელს და მეორე დღესვე დაგვეცემოდნენ. აქვე იძალებოდნენ თურმე ტყეში. მოუმზადებელს მოგვისწრეს. მე თავად გავუძეხი მდევარს!..

— რამდენჯერ გთხოვე, დედა, მაგას ნუ იზამ-მეთქი. ახლაც უმორჩილესად გთხოვ. ანას ესმოდეს. ვთქვათ, გაწყრა ღმერთი და ვერ გავუმკლავდით მაგ ურჯულოებს, მტრისა და ავისას, პირი ქვისკენ მიქნია, ტყვედ წაგიყვანონ, როგორც სიმონ ქართლის მეფე წაიყვანეს ოსმალებმა, მაშინ რაღა წყალს მივცეთ თავი, ხომ სულ დავიღუპებით?!

— ცოცხალს მე ვერავინ შემიპყრობს, თეიმურაზ, ხოლო თუ ხელში მკვდარი ჩავუვარდი, ეს კიდევ უფრო გაასალკლდევებს ერს, შეუძლებელს შეაძლებინებს!

— ღმერთმა დაგვიფაროს! — თეიმურაზმა პირჯვარი გადაიწერა.

— ახლა მე წავალ, შვილო, ლევანს თქვენს იმედად ვტოვებ. ხალხს გავხედავ, აქამდეც უნდა გავსულიყავი, საბრის თადარიგს გავწევ. სად ინებებ სუფრის გაშლას?

— სადაც შენ გაგეხარდება, ბატონო დედა! — თეიმურაზს მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, თავის პატარა ცოლთან მარტო როდის დარჩებოდა და როგორც კი ქეთევანმა კალთები აიკრიფა და ოთახიდან გავიდა, მაშინვე ანას მივარდა, მხრებში ორივე ლონიერი ხელი ჩასჭიდა, თვალებში ჩაჰხედა და გულში ჩაიხუტა.

— ნელა, თეიმურაზ, ბავშვი არ გასრისო!

— რად მარიდებ სახეს, ხომ არ მემდური?

— მე? ეგ საიდან მოგიფიდა თავში, რატომ უნდა გემდუროდე?!

— ასე დიდხანს რომ მიგატოვე!

— შენი ნება ხომ არ იყო. აკი თქვი, როცა გამომიშვეს, მაშინ წამოვედიო!

— ძალიან მოგენატრე?

ანამ ისევ დაიმორცხვა და პირდაპირ პასუხს თავი აარიდა.

— ხედავ, რა მალხაზი ბიჭი გეზრდება?

— თუ ტირის ხოლმე?

— ხანდახან, ღამ-ღამობით. როგორც კი ატირდება, შემომიყვანენ, მოვაწოვებ, დაწყნარდება და მაშინვე ქღურ-ტულს დაიწყებს, თითქოს მღერისო.

— შენ რადა ხარ აგრე ფერდაკარგული?

— ფერდაკარგული ვარ?

— ცოტა გამხდარიც მეჩვენები.

— დედა ამბობს, ღამის ტეხის ბრალიაო. ძილი მიტყდება ბავშვის გამო. შაქრად შეერგოს, კი არ ვამადლი! შენც არ იყავი, ჯავრი გვქონდა. მაინც არ გვეგონა, თუ ასე მალე მოხვიდოდი. სააღდგომოდ გელოდით.

— მე კი საშობაოდ მინდოდა მოსვლა. ავდარმა და უგზობამ დაგვაბრკოლა. ბედი, ისპაჰანში აღარ ჩაგვიყვანა, შუაგზიდან, უაზვინიდან გამოგვიშვა.

— ეგ უაზვინი რაღაა?

— დიდი ქალაქია ჩრდილოეთ ირანში. ოდესღაც შაჰების სატახტო ქალაქი ყოფილა. ახლა მიტოვებულია, რადგანაც სეფიანმა ხელმწიფემ, შაჰ-აბასმა სატახტო ქალაქად ისპაჰანი

გამოაცხადა, მაგრამ ძველი დიდების კვალი ჯერ ისევ ემჩნევა. გრემისოდენა თითო უბანი აქვს, უბანი კი რამდენია, ვინ მოსთვლის! ასე რომ არ ენებებინა და ყაზვინიდან არ გამოვეშვით, ერთი ორი თვე, შეიძლება ცოტა მეტიც კიდევ დაგვგვიანებოდა!

— ძალიან გამწყრალი იყო?

— ეჰ, რას გაუგებ, ხან ასეა, ხან ისე. აგერ რომ გილიმის და გეფერება, მეორე წუთში წელკავივით რაღაცა წამოუელის და ლომის გალიაში შეგაგდებს დასაგლეჯად. დიდი და პატარა, თავისიანი და უცხო მაგან არ იცის. თავი სამყაროს მბრძანებლად მიაჩნია. არის კიდევაც! ტახტს ზევით მხოლოდ ალაჰია და იმისი წინასწარმეტყველი მუჰამედი. მუჰამედის წვერს ფიცულობს!

— რა გვეშველება, თეიმურაზ?

— რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, გველის ხვრელში უნდა გავძვრეთ და რუსხელმწიფეს დავუკავშირდეთ. პაპაჩემი ბრძენი კაცი იყო, ტყუილად არ ეჭირა იქით თვალი! ამის ნდობა არ იქნება. კაცმა არ იცის, ყელს რა დროს გამოგჭრის!

კარს ვილაცები მოადგნენ ფეხაკრეფით და კარზე მორიდებულად დააკაკუნეს.

— ბავშვის წასაყვანად მოვიდნენ, — თქვა ანამ და დედის მკერდზე განაბულ პატარას დაჰხედა. — ვინ არის, შემოდით!

თეთრი ხილაბანდით თავგაკრული ორი გამდელი ქალი შემოვიდა და მეფე რომ ისევ აქ დაინახა, კარის სიახლოვეს მორცხვად გაჩერდა.

თეიმურაზმა მათ ყურადღება არ მიაქცია, ცოლს ბალღი ფრთხილად გამოართვა, სახის სიმაღლეზე დაიჭირა, ხელში შეათამაშა და თავსზემოთ ასწია. ლევანს ეს მოეწონა. ხელებს და ფეხებს ერთდროულად იქნევდა და კისკისებდა.

— ნელა, თეიმურაზ, არაფერი მოსწიო! — ფერკმრთალ სახეზე პატარა: დედოფალს ნეტარი ღიმილი დასთამაშებდა. — გიცნო, იცი? როგორღაც გრძნობს!

— აბა, რა, სხვა ბიჭები ვართ ჩვენ, ბაგრატიონები! — თავი მოიწონა მეფემ და კალმახივით მოსხმარტალე ბალღი ფეხისწვერებზე მოახლოებულ ახალგაზრდა გამდელს გადასცა.

სამხრად ისევ ისინი შეიკრიბნენ, ვინც მეფეს შაჰის კარზე ახლდა და ამათ მხოლოდ დედოფალი ქეთევანი, ნოდარ ჯორჯაძე, ლუკა მაყაშვილი, თამაზ ვაჩნაძე, ელიზბარ ჩოლო-

ყაშვილი და გურიიდან მოყვრული ძღვნით ჩამოსული გურული თავადიშვილები მიემატნენ.

თეიმურაზის გვერდით სკამი ცარიელი იყო. მეფეს მოუსვენრობა დაეტყო და მზერა დედას მიაპყრო. ქეთევანი მიუხვდა აწრიალების მიზეზს და ხმადაბლა, მხოლოდ მის გასაგონად წასჩურჩულა:

— ნუ გეწყინება, შვილო, რომ ვერ გამოვიდა. ანა ვერ არის კარგად.

— კარგად ვერ არის? — გაიკვირვა თეიმურაზმა. — რა მოუვიდა? წელან არ ვნახე?!

— ვერ გაგიმხილა, გული არ გატკინა.

თეიმურაზი შეშფოთდა, ცოტა-ღა დააკლდა, არ წამოდგა და ცოლის მოსაყვანად არ წავიდა, მაგრამ შემდგე მიხვდა, ეს მითქმა-მოთქმას გამოიწვევსო და დედისათვის მეტი აღარაფერი უკითხავს, საერთო საუბარში ჩაერთო.

საუბარი, როგორც მოსალოდნელი იყო, უმთავრესად სპარსეთში მოგზაურობას, პირადად შაჰის გუნება-განწყობილებას და მაზანდერანში გამართულ ნადირობას შეეხებოდა. დამსწრეთაგან ორნი: თავადი ნოდარი და თავადი ელიზბარი ნამყოფი იყვნენ მაზანდერანში და ნეტარხსენებულ კახბატონ ალექსანდრესთან ერთად შაჰის ნადირობაში მონაწილეობაც მიეღოთ. მათ მოიგონეს იქაური ტყეები, კასპიისპირეთის ნაყოფიერი ველები, სადაც მთელი სპარსეთის საკმარი ხორბალი და ყურძენი მოჰყავდათ და ქებით მოიხსენიეს იქაური სანადირო ადგილებიც.

თეიმურაზი სიამოვნებით უსმენდა თხრობის ეშხში შესულ დიდებულებს, თუმცა ცოლის დარდი მაინც არ ასვენებდა და მათ მონაყოლს ადგილ-ადგილ თავისი ცოცხალი შთაბეჭდილებებით ავსებდა.

შემდეგ სიტყვა სატახტო ქალაქ ისპაჰანზე, მის ბრწყინვალებასა, ხალხმრავლობასა და ნადიმზე გადავიდა, რომელიც საღვთო დღესასწაულთან დაკავშირებით შაჰმა უცხოელ ელჩებს ალი-ყაფუში გაუმართა და რომელსაც ქართველი მეფეებიც დაესწრნენ.

სმენად გადაქცეული სუფრის წევრები ერთსულოვანი სიცილით შეხვდნენ მეფის მიერ მოყოლილ ამბავს, ოსმალეთის სულთან მურადის ელჩს და შაჰის მიერ მის შიიტ აიათოლად მიჩნევას რომ შეეხებოდა. ხომ შეიძლებოდა, ამ უბრალო შემთხვევას ორი ვეებერთელა სახელმწიფოს ახალი ომი

მოპყოლოდაო, გაიძახოდნენ ისინი და სიცილისაგან სულს ძლივს-ღა იბრუნებდნენ, კიდევ კარგი, უმარჯვნიათ სპარს კარისკაცებს და უნებლიე შეურაცხყოფისაგან ადუღებული ელჩი დაუშოშმინებიათო.

თეიმურაზს ერთი სიტყვითაც არ უხსენებია შეხვედრა, რომელიც შაჰმა ქართველ მეფეებს მაზანდერანში, მათსავე კარავში მოუწყო, არ უხსენებია მისი მეფური და ადამიანური ღირსების ფეხქვეშ გათელვა, რის შეუზღუდავი უფლებაც საკუთარი ძლევამოსილებით გაზულუქებულმა ყაენმა თავის თავს მისცა, არ უხსენებია არც მის მიერ წამოყენებული საკალდებულო პირობები, ვინაიდან ყოველივე ამის მოგონება შიგ გულში მიყენებულ ღრმა ჭრილობას უხსნიდა და თვით სიცოცხლესაც კი აზრსა და გონიერულ დანიშნულებას უკარგავდა...

თავი XL

დღიდან შინ დაბრუნებისა, მთელ კვირას თუ კვირანახევარს მეფე სასახლიდან არ გამოსულა. აქ ბევრი საქმე იყო დაგროვილი, რაც მას პირადად უნდა გადაეწყვიტა და თუმცა დედა დახმარებას არც ახლა აკლებდა, ის მაინც ცდილობდა, ძალლონე არ დაეზოგა და ქვეყნის სარგოდ გარჯილიყო. ქეთევანი ამჩნევდა შვილის ყოფაქცევაში მომხდარ ცვლილებას, ამას მოწიფულობის ასაკში შესვლას მიაწერდა, გულით ხარობდა, რომ თავქარიანობამდე მისულმა უდარდელობამ გაუარა და ბოლოს და ბოლოს ჭკუაში ჩავარდა. ამჩნევდნენ ამას სხვებიც, მეფის ნამდვილი გულშემატკივარნი და თავიანთი დიდი დედოფლის ენით გამოუთქმელ კმაყოფილებას უსიტყვოდ იზიარებდნენ.

დაბრუნების მეოთხე თუ მეხუთე დღეს თეიმურაზმა უცხოელი ბერები მოიკითხა. გაკვირვება გამოთქვა, აქამდე რომ არ ჩანდნენ და შინ მშვიდობით მოსვლა არ მოულოცეს, ლოცვა-კურთხევით არ ეახლნენ.

თურმე ნუ იტყვი, კათოლიკური ეკლესიის უცხოელ მსახურთა და ადგილობრივ სამღვდელოებას შორის შავ კატას გაერბინა. ადგილობრივი მოსახლეობის არა მარტო დაბალ ფენებში, არამედ თვით თავად-აზნაურთა და ქალაქის შეძლებულ ოჯახებშიაც კი, პატრები უდიდესი სიყვარულითა და

პატივისცემით სარგებლობდნენ. რაც დრო გადიოდა, ეს სიყვარული და პატივისცემა ფეხს მით უფრო იკიდებდა. ხალხს, მეტადრე მდაბიოთ, ხიბლავდა უცხოელ მამათა უბრალოება, მოყვასის სიბრალული, განურჩევლობა იმისა, ვინ მდიდარი იყო და ვინ ღარიბი, უანგარობა, მცირედით დაკმაყოფილება, ყოველგვარ ცთუნებისაგან, მათ შორის დედათა სქესთან გაშინაურებისაგან თავის შორს დაჭერა და აქიმობისა და ბალახეულისაგან უებარი წამლების დამზადების შეუდარებელი ცოდნა. ბრმას თვალს უხელდნენ, დავრდომილს ფეხზე აყენებდნენ, სასიკვდილოდ გადაგებულს სიცოცხლეს უბრუნებდნენ და ყოველივე ამას სრულიად უსასყიდლოდ სჩადიოდნენ.

ადგილობრივი მღვდელ-მონაზვნები მაშინ აიმრიზნენ და თავიანთი უკმაყოფილება საჯაროდ გამოამჟღავნეს, როდესაც უცხოელი პატრები უბრი ხალხის გულში დათესილი მადლით არ დაკმაყოფილდნენ და დროებით ეკლესიად გადაქცეულ ქვრივი დედაკაცის ქოხში, სადაც ბინად იდგნენ, არაძცთუ ახალშობილი ჩვილი ბალღების, ერთხელ უკვე ქრისტიანული წესით მონათლული კაცებისა და ქალების ნათვლა, ერთი სიტყვით, გადაბირება დაიწყეს.

სამღვდელოებას განგაში იქნებ არც ახლა აეტეხა და ესეც უდრტვინველად აეტანა, მრევლს შეთხელება რომ არ ეწყო და ეკლესიის სალაროს შესაწირავი არ მოჰკლებოდა. სამღვდელოება შიშმა შეიპყრო, ვაითუ განათლებულმა პატრებმა გვაჯობონ, მრევლი მთლად წაგვართვან და ეკლესიას საბოლოოდ დაეპატრონონო. ერთიმეორეს აყოლილი ხალხი წირვაზე კანტიკუნტად დადიოდა, ათადამ ბაბადამ დაკანონებულ წესსა და რიგს უხალისოდ, მოვალეობის მოსახდელად ასრულებდა და მამაპაპურ წირვა-ლოცვას გადამთიელ უცხოელ პატრთა წირვა-ლოცვას არჩევდა.

— აქ მე ვარ მირონცხებული მეფე თუ მღვდლები და ეპისკოპოსები? — თქვა თეიმურაზმა, როდესაც დედამ პატრების სასახლეში მოუსვლელობის მიზეზი აუხსნა. — ვისა აქვს მინიჭებული ნება, ჩემს უნებურად სამეფოში ვინმე მიიღოს და ან აქედან ვინმე გააძევოს?! უწმიდესმა პაპმა პატივი დამდო, ეპისტოლე გამომიგზავნა, ეს წმიდა ხალხი შემომავედრა, ჩვენი ცოდვილი სულების სახსნელად ცხრა მთას იქიდან რომ გადმოხვეწილან და მე ვინმე წარმართი ხომ არა ვარ, უწმიდესი პაპის თხოვნა არ შევიწუნარო! ბოლოს და ბოლოს, რას შვრებიან ეს ღვთისაგან დალოცვილი პატრები

ვისიმე ალსაშფოთებელს? ერში სიკეთესა და მადლს თესავენ, რაც ჩვენს სამღვდელოებას აშკარად აკლია, მცონარობას, სიხარბესა და მუცელღმერთობას ვერ ურიგდებიან და სხვებსაც უნერგავენ, ნურც თქვენ შეურიგდებითო. სამღვდელოებას უჯობს, მათგან ისწავლოს და შეისმინოს, როგორ მართებს ღვთისა და ერის უანგარო სამსახური, ხოლო ვინ დავტოვო ღვთისაგან ბოძებულ ჩემს საბატონო ქვეყანაში და ვინ გავაძევო, ამას ღვთის ნებითა და ერის დასტურით მე თვით გადავწყვეტ!

ქეთევანს სიხარულის ცრემლი მოჰგვარა გვირგვინოსანი შვილის ამ ბრძნულმა, აწონილ-დაწონილმა მსჯელობამ, თუმცა პატრების მიერ ერთხელ უკვე ნათელღებულ ქრისტიანეთა ხელახლა, კათოლიკური წესით მონათვლა მიზანშეწონილად არც მას მიაჩნდა და, ერთი თხისკენ, ერთიც მგლისკენო, ეს თავისი აზრი არც დაუმალავს.

რომის პაპის მიერ წარმოგზავნილ წმიდა მამებისადმი პიროვნული დამოკიდებულება თეიმურაზმა იმით გამოჰხატა, რომ ტახტთან დაახლოებულ პირთაგან შემდგარი ბრწყინვალე ამალა იახლა და სატახტო ქალაქის შუაგულში მშენებარე მათი საყდრის სანახავად გასწია. თითქმის მთელ სიმაღლეზე ამოყვანილი მკვიდრი კედლები, რომლებიც ლოპოტიდან ჩამოტანილი გრანიტის პერანგით შეემოსათ, სასახლის პარმაღიდანაც კარგად ჩანდა, მაგრამ ახლო მანძილიდან ტაძარი მაინც სულ სხვა იყო. კედლების მშენებლობა და პერანგით შემოსვა ჯერ კიდევ შემოდგომაზე, თოვლის ჩამოყრამდე მოეთავებინათ. შემდეგ ხარაჩოები შიგნითაც აღემართათ, სადაც გამოზაფხულებისთანავე კედლების კამარებით გადახურვას და შენობის გუმბათით დაგვირგვინებას უნდა შესდგომოდნენ.

მშენებლობას შუა ზამთარშიაც უამრავი ხალხი მისეოდა, დარსა თუ ავდარში პატრებს რომ მხარში უდგა და შედარებით მოკლე დროში ამოდენა საშვილიშვილო საქმის გაკეთებაც სწორედ ამით აიხსნებოდა.

კათოლიკური ტაძარი, მშენებლობის დაწყების დღიდანვე ხალხმა რომ პატრების საყდარი შეარქვა, მომდევნო წელიწადს, ენკენისთვეში, პატიოსანი და ცხოველმყოფელი ჯვრის ამაღლების დღეს აკურთხეს და აწ უკვე საკუთარ სალოცავ სახლში პატრებმა პირველი სადღესასწაულო წირვა-ლოცვა გადაიხადეს. სანთლებით გაჩირაღდნებულ და საკმავლის

კვამლით დაბურულ ტაძარში, შიგადაშიგ ჯერაც ნედლი კირის სუნი რომ ასდიოდა, მღვდელმსახურებას ისინი მეფის შუამდგომლობით შემორიგებულ ადგილობრივ სამღვდელოებასთან ერთად ასრულებდნენ, გუნდიც ქართულ საგალობლებს აგუგუნებდა და ეს სანახაობას კიდევ უფრო ზეიმურ ელფერს აძლევდა.

ტაძრის კურთხევასა და ჯვარის ამაღლების სადღესასწაულო წირვას, ერთმანეთს რომ დაუდარეს, დიდძალი ხალხი დაესწრო. სამეფოს შორეული ადგილებიდან — გარე კახეთიდან, ერწო-თიანეთიდან და პანკისის ხეობიდანაც კი მოსულიყვნენ. სამეფო ძოწეულითა და პორფირით შემოსილ თეიმურაზს აქეთ-იქით უდგნენ დედა ქეთევანი და ფერმიხდილი თანამეცხედრე ანა, ხოლო ოდნავ უკან ზურგს ახლო და შორეული ნათესავები, კახელ ბაგრატიონთა სახლიშვილები უმაგრებდნენ, რომელთა შორისაც ძაძით სახეშებურვილი, ნაადრევად ლეჩაქგაშვებული ძალუა ასინეთი გამოირჩეოდა. უკვე მოჩიტული, ერთი წლისა და ოთხი თვის ბატონიშვილი ლევანი დედას, პატარა დედოფალ ანას ეკავა, მისთვის ლოყა ლოყაზე მიეხუტებინა და ორივე ერთად, ასე საყვარლად ჩახუტებული დედა-შვილი, ხელმადლიანი ოსტატის მიერ კედელზე მიხატულ ფრესკას გაგონებდა.

არავინ მოელოდა, ანდა აზრად ვის მოუვიდოდა, ვის შეეძლო წინასწარ ეფიქრა, თუ ორი ერთმანეთზე უფრო საზარელი ამბავი მოზეიმეთ ლახვარს სწორედ ამ ბედნიერ დღეს ჩასცემდა და ლხინს ჭირად გადაუქცევდა.

ამბავთაგან პირველი ტფილისიდან იყო, იგი ქართლის მეფე ლუარსაბს და მის გვირგვინოსან სახლობას, დიდგვაროვანთა ამპარტავანი თანამეცხედრეების მიერ იმთავითვე თვალში ამოღებულ საკაძის ასულ თეკლეს შეეხებოდა, მეორე კი შაჰ-აბასის მიერ კახეთის მიწა-წყლის ხარჯზე შეკოწიწებულ კაკ-ენისლის სასულთნოდან მოეტანათ, სადაც ყაენის ბრძანებით მეჯოგე თარაქამების ათას ორასი ოჯახი მოსულიყო და თეიმურაზისაგან დასასახლებელ მიწებს ითხოვდა.

რომელ ერთს უნდა გამკლავებოდი, რომელი ერთისათვის უნდა გაგეძლო!

ქართლელ თავადებს, სათავეში მეფის აღმზრდელი, სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი რომ ედგათ, ბოლოს და ბოლოს თავისი გაეტანათ, როგორც დედოფალი ქეთევანი თავიდანვე წინასწარმეტყველებდა, ლუარსაბისათვის დაეშორებინათ მისი

სჯულიერი მეუღლე თეკლე, კათალიკოსის ნებართვით მონოზნად აღეკვეცათ და ერთ-ერთ შორეულ მონასტერში გამოეკეტათ, საიდანაც, ალბათ, მცირეოდენი დროის გავლის შემდეგ თავიდანაც მოიშორებდნენ.

ტახტის წინაშე დიდად გარჯილი, თავმომწონე და ყოველის მხრივ ძლიერი გიორგი სააკაძე, ტფილისის, ქრცხინვალისა და დვალეთის მოურავი, ამასობაში ლაურსაბის მიერ სრულიად ქართლის მოურავად აღზევებული, ვის მტკიცე ხელშიაც, როგორც მოსალოდნელი იყო, თავი მოიყარა ქვეყნის მთელმა ძალაუფლებამ, არც თვით მეფეს და არც მოქიშპე დიდგვაროვანთ, რაღა თქმა უნდა, საყვარელი დის დაჩაგვრას არ შეარჩენდა და საკუთარი ოჯახის გაცუცურაკებას სისხლით აზღვევინებდა.

ეს რომ არ მომხდარიყო და მოსალოდნელი შურისძიებისაგან თავი როგორმე დაეზღვიათ, ბარათაშვილი მეფეს შესჩენოდა, საშიში კაცია ეგ სააკაძე, მით ემეტეს მას შემდეგ, რაც დედოფალი, მაგისი და თეკლე განუტევე, ერში დიდი სახელით და მხარდაჭერით სარგებლობს, ზოგ-ზოგები იმასაც კი ამბობენ, თითქოს საქართველოს სამეფო-სამთავროების გაერთიანებას აპირებდეს და თუ ეს მოახერხა, ვის დასვამს დავითისა და თამარის ტახტზე, თუ არა თავის თავსო, მოჰკალ მანამ, სანამ დაგასწრებდეს და უბრალო გუდამშიერი აზნაური ძირძველი ბაგრატიონების ძლევამოსილ ტახტს დაეპატრონებოდესო.

გაელენიანი თავადების ხელში სათამაშოდ გადაქცეული საბრალო ლუარსაბი გაჯიუტებულიყო, ბალღივით ეტირა, რაღა გინდათ მეტი, ხომ მიაღწიეთ, რასაც ელტვოდით, ახლა მაინც მომეშვით, მომასვენეთო. როდესაც მაინც არ მოესვენებინათ, უჩვეულოდ განრისხებულიყო, ნამდვილ გიჟს დამსგავსებოდა, თავადები, რომელთა რჩევისა და დასტურის გარეშე გუშინ ნაბიჯსაც არ გადადგამდა, თვით დაედანაშაულებინა, მოღალატეები თქვენ თვითონა ხართ, გინდათ, ტახტის ერთგული კაცი, ვინც კრიჭაში გიდგათ, ჩემი ხელით მოახრჩოთ და მერე თავისუფლად იპარპაშოთო, მაგრამ ისევ ბარათაშვილის, ფარსადან ციციშვილის და სხვათა შიშით წინააღმდეგობის გაწევა ბოლომდე ვეღარ გაებედა და თავადაც დაეჰვებულს მათი მუხანათური განზრახვა რომ აღესრულებინა, დვალეთში მყოფ სააკაძისათვის კაცი გაეგზავნა, წავ-

კისში ვდგავარ, ჩემო გიორგი, თრიალეთისაკენ სანადიროდ ვაპირებ წასვლას, უშენოდ რა შნო გვექნება და მეახლეო.

დვალეთიდან წამოსულ გიორგის გორში შეეტყო დის განტევებისა და მონოზნად აღკვეცის ამბავი. აქ დახვედროდა თავისი ერთგული კაცი, მეფის ბანაკიდან გამოპარული ბააკა ხერხეულიძე. გიორგისათვის სწორედ მას ეცნობებინა საქმის ნამდვილი ვითარება: მეფეს არ გაეკარო, თავადებმა გიღალატეს, გადაიბირეს, მოკვლას გიპირებენო და სააკაძესაც უმალ ეცვალა გეზი, წავკისის მაგიერ ნოსტეში გაჩენილიყო, ცოლშვილი გამოერიდებინა, რამდენიმე დღით სიმამრს, არაგვის ერისთავ ნუგზარს შეფარებოდა ანანურში, აქედან კი ცოლშვილისა და ათიოდე სანდო კაცის თანხლებით ერთ ბნელ ღამეს უკვალოდ გამქრალიყო.

შაჰ-აბასის მიერ დიდ მოურავად მონათლული გიორგი სააკაძის შემდგომი ასავალ-დასავლის მცოდნე დღეს უკვე აღარავინ იყო. ზოგი ამბობდა, ლიხის მთა გადავლო და იმერეთის მეფე გიორგის შეეკედლა, რათა მისგან ძალი მოიცეს, იმერთა ჯარით ქართლს შემოესიოს, მისი დის უარმყოფელი გვირგვინოსანი სიძე ლუარსაბი ტახტიდან ჩამოაგდოს და ქართლი იმერეთის სამეფოს შეუერთოსო. სხვები სხვას ამბობდნენ. ამათი აზრით, სააკაძე კიდევ უფრო საშიშ გზას დაადგა: სამცხეში გადავიდა, სვიმონ ქართლის მეფის ქვრივ ასულს, ელენე ათაბაგს ეახლა, მას ოსმალეთის სულთან მურადთან შუადგომლობა სთხოვა და დღეს თუ ხვალ ქართლს ოსმალთა დიდი ლაშქრით მოევლინება, რათა მტერსაც და მოყვარესაც წირვა ერთად გამოუყვანოსო.

მოულოდნელი ხელის მოცარვით გამძვინვარებულმა ქართლის თავადებმა, ვისაც სააკაძის მოწინააღმდეგეთა მხარე აშკარად ეპირა, რაკი ცხენს ვერა დააკლეს რა, უნაგირი დახიეს, ცეცხლს მისცეს მოურავის სახლ-კარი და საგვარეულო ციხე-დარბაზი ნოსტეში, სადაც ტაშისკრის გამარჯვების აღსანიშნავად ის საბედისწერო ნადიმი გაიმართა, დაიტაცეს ქონება, აიკლეს ყმა-მამული, ბააკა ხერხეულიძე კი, სააკაძის ერთგული კაცი, ღალატით შეიპყრეს, ტბილისის ისნის სასახლეში მეფეს კინწისკვრით მიჰგვარეს და ამიერიდან რომ მაინც აღარ გამოეჩინა არამკითხე მეამბეობა და სახელმწიფო საიდუმლოება მეტად აღარ გაეცა, ჯალათის გაზით ენა ამოაძრეს.

თეიმურაზმა ტახტთან დაახლოებულ დიდებულთა ვიწრო წრე მოიწვია, ლოცვით მოქანცულ დედასაც სთხოვა, მობრძანებულიყო და მათთან ერთად სატახტო დარბაზში ჩაიკეტა. ორივე საგანგაშო ცნობა აქ გულდაგულ, თანმიმდევრულად უნდა განეხილათ და საბოლოო გადაწყვეტილებაც, რა გზას დასდგომოდნენ, აქვე უნდა მიეღოთ.

შიში, რომ იმერეთის მეფე გიორგი განმდგარ საკაძეს მხარში ამოუდგებოდა და ქართლის ტახტის დაუფლების მიზნით ლიხის მთას გადმოლახავდა, საქმეში ჩახედულმა დიდებულებმა ნაკლებ სარწმუნოდ მიიჩნიეს. ამავე აზრისა ბრძანდებოდა თვით დედოფალი ქეთევანიც. იმერთ არც ძალა გააჩნდათ საამისოდ და არც სურვილი...

ბევრად უფრო სარწმუნო ჩანდა საკაძის ოსმალეთის სულთანთან დაკავშირება, მაგრამ ეს სამცხის გამგებელ ელენე ათაბაგის შუამდგომლობით არამც და არამც არ მოხდებოდა თუნდაც იმიტომ, რომ სულთანსა და ათაბაგს შორის განუწყვეტელი ომი იყო. ელენე მტკიცედ იცავდა თავის ქრისტიანობას, ოსმალთა მიერ საათაბაგოში მაჰმადიანური სარწმუნოების დანერგვას და იქაური წესწყობილების შემოღებას ცეცხლითა და მახვილით ებრძოდა. ამავე სულისკვეთებით ზრდიდა თავის შვილს, მანუჩარსაც და ოსმალთ აქ ფეხის მოკიდების ყოველგვარ იმედს უქარწყლებდა.

ელენე, პირიქით, საშიშიც კი იყო ქართლის ტახტისაგან განმდგარი მოურავისათვის, ვინაიდან ის თავისი ღვიძლი ძმისწულის, ქართლის მეფე ლუარსაბის, მტერს არ შეიფარებდა და გასაღონიერებლად ოსმალეთის გზას არ გაუხსნიდა...

გამოითქვა სხვა ვარაუდიც, რომ საკაძე არსადაც არ წასულა, ის ჯერხნობით ისევ სამშობლოში იყო და თავს იგივე საარაგვოში ან სადმე სხვაგან, უფრო მიუდგომელ ადგილას აფარებდა. მისი ერთადერთი მიზანი მოხერხებული დროის შერჩევა და სპარსეთში გადასვლა უნდა ყოფილიყო. შაჰ-აბასი პირადად იცნობდა გიორგი საკაძეს, ტაშისკრის ომის გმირს, მის მხედართმთავრულ ნიჭსა და შემართებას ჯეროვანს მიუზღავდა და თავს ბედნიერად ჩათვლიდა, უკეთუ სამშობლოდან დევნილსა და თვისტომთაგან მოძულებულს თავის ფრთებქვეშ შეიფარებდა. სპარსეთში არცთუ ისე ბევრი იყო საკაძის ბადალი სარდალი. ჭკვიან და შორსმჭვრეტელ შაჰ-აბასს ეს სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა!

— შერმაზან-ბატონო, — წუთიერი სიჩუმე, შერმაზან ჩოლოყაშვილის მიერ ამ უაღრესად საყურადღებო, ანგარიშგასაწევი ვარაუდის გამოთქმის შემდეგ რომ ჩამოვარდა, ბებურ ვაჩნაძემ დაარღვია. — რად უნდა გაემრუდებინა გზა მოურავს, თქვენი აზრით, რატომ მაშინვე სპარსეთში არ წავიდა?

თავად შერმაზანს პასუხი არ დაუყოვნებია:

— იქნებ წავიდა კიდეც, ჩემო ბებურ, ჩვენ რა ვიცით?! თუ მაშინვე მართლაც არ წავიდა, როგორც გვატყობინებენ და თავი სიმამრს შეაფარა, აქ მტერი ადვილად ვერ მომიდგებაო, ეგ იმისთვის, რომ ცხელ გულზე თანმხლები რაზმი შეედგინა, საგზალი მოემარაგებინა და უშიშარი გზის ასარჩევად, სადაც ბარათაშვილის მიერ დაგებული ხაფანგი არ დახვდება, კაცები წინდაწინ გაეგზავნა!

— ეგ ყველაფერი სიმართლეს ჰგავს, — ნაღელიანად თქვა ჩაფიქრებულმა თეიმურაზმა. — მაგრამ, მიბრძანეთ ერთი, ჩვენ როგორ-ღა გვმართებს მოქცევა, თუ ტახტისაგან განმდგარი სააკაძე არა საარაგვოში ან სადმე სხვაგან, არამედ სწორედ ჩვენს საბრძანებელ კახეთში იმალება? უნდა შევიპყროთ თუ არა მოურავი და ქართლის მეფეს გადავცეთ?

კითხვა შერმაზან ჩოლოყაშვილის მიმართ იყო დასმული და პასუხიც მან გასცა:

— რამდენადაც ცნობილია, მეფე ლუარსაბს ჩვენთვის მაგ თხოვნით არ მოუმართავს, მეფეო!

— ვთქვათ, მოგვმართა, მაშინ?

— საწყენად ნუ მიიღებთ, მეფეო, თუ გავკადნიერდები და პირდაპირ მოგახსენებთ: მეფე ლუარსაბი ტყუის მოურავთან! მეფეს არ მართებს წვრილმანი მითქმა-მოთქმის აყოლა და სახელმწიფო საქმეების ამ მითქმა-მოთქმის მიხედვით გადაწყვეტა! მოურავს ტახტის წინააღმდეგ არავითარი ბოროტება და დანაშაული არ მიუძღვის! სააკაძე მართალია ღვთისა და თავისი მეფის წინაშე! მე არა მგონია, ის თქვენს საბრძანებელში იმალებოდეს, მაგრამ ასეც რომ იყოს, ყელამდე ცოდვაში ჩავდგებით, თუ ცამდე მართალ კაცს მოშურნე თავადებისაგან დასაგლეჯად სხვის ჭკუაზე მოარულ გამოუცდელ მეფეს გადავცემთ!

— ჩვენ არა ვართ მაგის მსაჯული, დაიხსომეთ, ბატონო შერმაზან! — ჩოლოყაშვილის მათრახები მეფის გამოუცდელობისა და სხვის ჭკუაზე მოარულობის თაობაზე თეიმურაზმა თავის თავზე მიიღო, თვალწინ უსამართლოდ დასჯილი

ქაიხოსრო ომანიშვილი წარმოუდგა, რომლის სახე, როგორც სინდისის მხილება, ნიადაგ თან სდევდა და სიცოცხლეში პირველად ბრძენ გამზრდელს სიტყვა შეუბრუნა. — მაშ, მოვიმდურო ნათესავი და მეზობელი? ეგ ხომ ომის გამოცხადებას უდრის! პირობას ერთურთის მტერი არ შევიფაროთო, ჯერ კიდევ პაპაჩემმა ალექსანდრემ და ქართლის მეფე გიორგიმ რომ შეკრეს, სად-ღა გავექცე?!

გაზრდილისაგან ამგვარ შემოძახებას თავადი შერმაზანი ჩვეული არ იყო. იქნებ არც დაეთმო და მისი რისხვაც დაემსახურებინა, მაგრამ სულ უკანასკნელ წამს ქეთევანის მუდარით აღვსილ თვალებს წააწყდა, მიხვდა, რასაც ემუდარებოდა დედოფალი და დაცხრა, სიტყვა ისე განაგრძო, თითქოს თეიმურაზის უდიერი კილო არც შეენიშნოს:

— მტერიც არის და მტერიც, მეფეო. საკაძე გონიერი კაცია, ქართლში, მეფის კარზე ელჩად ყოფნისას, მეფე გიორგის ზეობაში და უფრო ადრეც, მას ბევრჯერ შევხვედრივარ. საკაძე არ აპყვება ცთუნებას და დროებითი თავშესაფრის საძებნელად კახეთის მიწაზე არ შემოვა, პირადი უშიშროების გულისათვის მეფეთა თანხმობას არ დაარღვევს, მეფეებს ერთმანეს არ წაჰკიდებს, ძმას ძმის სისხლს არ დააღვრევინებს! მაგრამ ეს მაინც რომ ჰქნას, გარემოებამ აიძულოს და ბატონმა ლუარსაბმა განმდგარი ქვეშევრდომის გაცემა მოითხოვოს, დიდებულ მეფეს წინასწარი პირობა უნდა ჩამოერთვას, რომ არც პირადად მისი უდიდებულესობის და არც მისი უდიდებულესობის ქვეშევრდომების მხრიდან საკაძეს ზიანი არ მიადგება! თუ ეს წინასწარი პირობა ვერ მივიღეთ, ყველას გასაგონად მითქვამს: საკაძეს გზა უნდა მივცეთ სპარსეთისაკენ! იმის შემდეგ, რაც მოხდა, სულ ერთია, მოურავს ქართლში აღარ დაედგომება. არც სხვები მოიწადინებენ სამეფო კარზე მის დაბრუნებას. ადვილი როდი გახლავთ, საკაძისთანა მტერი გვერდში გიდგეს და შენ ყურთბალიშზე მშვიდად დაიძინო!

შერმაზან ჩოლოყაშვილის ყოველმხრივ აწონილ-დაწონილი სიტყვის შემდეგ დავა აღარ გაგრძელებულა, აღარც თვით მეფეს უნებებია რისამე თქმა. თავადი შერმაზანი თითქოს ყველას გულში უჯდა და თითოეულის სათქმელს ამბობდა. გადაწყდა, სრული სიმშვიდე დაეცვათ და თავი ისე დაეჭირათ, თითქოს ქართლში დატრიალებული ამბებისა არც არა იცოდნენ რა. თუ ვინიცობაა, ქართლელები თვით მოინდო-

მებდნენ საქმეში მათ ჩარევას, დარბაზის ერი შეიკრიბებოდა და მეფის დასტურით საბოლოო გადაწყვეტილებას მაშინ-ღა მიიღებდა.

თავი XLI

მეჯოგე თარაქამების კახეთის მიწა-წყალზე ჩამოსახლებამ, რაც შაჰ-აბასის სურვილითა და ბრძანებით ხდებოდა და ხვალინდელი დღის გათენებასავით გარდაუვალი იყო, ორთავ კახეთის ერსა და ბერში უკმაყოფილების თესლი დათესა და ხალხი ქვეყნის მესვეურთა წინააღმდეგ აამხედრა. მტერი იმის მტერი იყო, რომ ცეცხლითა და მახვილით მოდიოდა, იპყრობდა ქვეყანას, იტაცებდა პირუტყვს, სარჩო-საბადებელს, ძარცვავდა ეკლესია-მონასტრებს და ნადავლით ხელდამძიმებული იმავე გზით მიდიოდა, რომლითაც მოვიდა, ესენი კი, თარაქამები, თვით თეიმურაზის თანხმობით სახლდებოდნენ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში და აქაურობის ბატონ-პატრონი ხდებოდნენ.

მეფის მიერ საგანგებოდ დაგზავნილ კაცებს ხალხში დიდი ახსნა-განმარტების ჩატარება დასჭირდათ იმაში დასარწმუნებლად, რომ მთიელ მარბიელთა ხშირი თავდასხმების გამო გაღატაკებულ, სხვისა და საკუთარ ომებში სისხლისაგან დაცლილ ქვეყანას ამჟამად სხვა გასაძრავი ღონე არ ჰქონდა, თავისი მცირე ძალებით ის შაჰ-აბასის უზარმაზარ ლაშქარს ვერ გაუმკლავდებოდა და ამიტომ უარესი ვაების თავიდან ასაცილებლად მეფემაც დასთმო, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა.

ხალხს ამის გაგონებაც არ სურდა. თითო-ოროლა თავზეხელაღებულნი თუ პატარა ჯგუფები მოახალშენეთ ესხმოდნენ, იურტებს უწვავდნენ, აწიოკებდნენ, მარჩენალ ხარ-ძროხას ართმევდნენ, ყოველნაირად ეურჩებოდნენ მშობელ მიწაზე მათ ფეხის მოკიდებას. მეფეს მცირე ძალები როდი სჭირდებოდა მოთარეშეთა თვითნებობის აღსაკვეთად. თეიმურაზს კარგად ესმოდა, რომ ადრე თუ გვიან ეს ამბავი ყაენის ყურამდე მივიდოდა, დაუმორჩილებელთა თავკაცობა თვით მას დაბრალდებოდა და შაჰიც აღარ დააყოვნებდა, ურჩთა ასალაგმავად და ქვეყნის ასაკლებად პირს აქეთ იზამდა.

ყველა გაჭირვებას, თეიმურაზსა და მთელ სამეფო კარს ბოლო დროს რომ ეწვია, ისიც ზედ დაერთო, რომ გვამში

დაბუდებულმა უემურმა პატარა დედოფალ ანას მეტისმეტად დარია ხელი. ანა ფეხმძიმედ იყო, ერთი ორი თვის შემდეგ მოლოგინებას ელოდა და მისი შერყეული ჯანმრთელობის მდგომარეობას ეს კიდევ უფრო ამძაფრებდა და ართულებდა. ქალს რაღაც გამოუცნობი უკურნებელი სენი სჭირდა. სენი წუთ-წუთობით ღრღნიდა და ასუსტებდა მის ნორჩ სხეულს. ანას დღეები დათვლილი იყო. ეს იცოდა დედამ, ქეთევანმა, იცოდნენ პატრებმა, სამეფოს სხვადასხვა კუთხიდან მოწვეულმა აქიმებმა, ძალუა ასინეთმა, იქნებ თვით ანამაც იცოდა, მაგრამ თითქოს ფიცით შეკრულან, არამც და არამც ენა არ დავასველოთ, საიდუმლო არ გავამხილოთო, თეიმურაზს არავინ არაფერს ეუბნებოდა.

თეიმურაზს, რასაკვირველია, შეეძლო, თუ დედისთვის ან თვით ანასთვის არა, პატრებისათვის მაინც ეკითხა, რა ფარსაგი სჭირდა ოდესღაც მერცხალივით მოჭიკჭიკე ანას, მის სულზე უტკბეს თანამეცხედრეს, რა იყო სენი, სიცოცხლეს რომ უმოკლებდა, მაგრამ ეშინოდა თავისი მეფური უფლების გამოყენებისა, ვაითუ ბედის საშინელი განაჩენი შევიტყო და ცარგვალი თავზე ჩამომემხოსო.

ერთხელ მაინც ვერ მოითმინა და უკიდეგანო ქვეყნიერებაზე ყველაზე ახლობელ ადამიანს, დედას შესჩივლა:

— რას მიმალავთ, ბატონო დედა, მე ხომ ვიცი, ღმერთმა ზურგი მაქცია, რაღაც დიდი უბედურება მემუქრება!

— უბედურებისაგან ღმერთმა დაგიცვას, შვილო, თეიმურაზ, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა თავადაც გულჯავრიანმა ქეთევანმა, არც დღე, არც ღამე რძლის სასთუმალს რომ არ შორდებოდა და ხელებაპყრობილი მაღალ ღმერთს მის გამოჯანმრთელებას და ფეხზე წამოდგომას შესთხოვდა, მაგრამ შვილისათვის ნუგეშის საცემად სხვა უკეთესი სიტყვები ვერ იპოვნა.

— რა სჭირს მაინც, რატომ არ მიმხელთ, ყველამ იცით და მე ყველაზე ბოლოს უნდა გავიგო?

— ისეთი არაფერია, დედა გენაცვალოს, პატრები იმედს იძლევიან, მამაზეციერი არ გაგვწირავს, უსიკვდილოდ განკურნავთო.

— ანას რომ რამე მოუვიდეს, მე, იცოდეთ, თავს აღარ ვიცოცხლებ! ეგ ანგელოზი ცივ სამარეში ჩაწვეს და მე, ცოდვილმა, მზეს ვუყურო?

— შენც კარგად იქნები და ანაც, ღვთის შეწევნით, კარგად გვეყოლება. მაგას რად ამბობ, შვილო, გულს რად მიხეთქავ, შენს მეტი ვინა მყავს, სანთლად მინთიხარ, უბედურ დედისათვის, გაძაღლებულ წუთისოფელში სიმწრის მეტი რომ არაფერი უნახავს, ეგ როგორი გასაგონია!

— მაპატიე, დედა, — თეიმურაზი მუხლებზე დაემხო და, როგორც პატარა ბიჭობაში, მშობელს თავი კალთაში ჩაუდო. — ჯავრს ვეღარ მოვერიე, აღარ ვიცი, რა გზა ვეწიო, რა საშველი გამოვნახო!..

— საშველი ღვთის ნებაა, შვილი, ვილოცოთ, მოვინანიოთ და რასაც გულით შევთხოვთ, მოგვეცემა!..

დღე დღეს მისდევდა, ღამე — ღამეს, საშველი კი არ ჩანდა და არა. ანა დიდი თავშეკავებით უმკლავდებოდა ავადმყოფობას, გაუსაძლის ტკივილებს ითმენდა და პირზე ერთთავად გატანჯული ღიმილი ადგა, ვინძლო თავზე მდგომ ჭირისუფლებს იმედი მიეცეთ, მწუხარება შეუმსუბუქდეთო. რა ცოდვა მიუძღვოდა ამ მტრედივით უმანკო არსებას, რომ განგება ასე უწყალოდ სჯიდა, ტკბილ ქმარ-შვილში გახარებას უკვეთავდა!

თეიმურაზი ხედავდა და დღითიდღე რწმუნდებოდა, რომ შველა არაფრით შეეძლო. არც ანა საყვედურობდა, არ აიძულებდა, ყოველ ცისმარე დღე ჩემს გვერდით იყავი, ჩემი ჭირი გაიზიარე, მე თუ ვიტანჯები, შენც დაიტანჯეო და შიგ გულში დაჭრილი მეფეც გაგარეულდა. ვეღარც ქვეყნის მართვის საქმეებს უდებდა გულს. თავს ხან ნადირობით იქცევდა, ხან ხელგაშლილ ქვეშევრდომებთან სტუმრობით, დანარჩენ დროს კი, როცა შინ, სასახლეში იყო, თავის განმარტოებულ ოთახში იჯდა, მოოქროვილ ტყავის ყდებში ჩასმულ, წარმტაცი მინიატურებით მოკაზმულ სპარსულ წიგნებს ჩაკირკიტებდა და მათი წაბაძულობით, სპარსული ენის მუსიკალობით მოხიბლული, მაჯამებს წერდა, ქართული პოეტური სიტყვის დამორჩილებასა და ლექსად ამღერებას ცდილობდა. ამის სწორუპოვარ მაგალითს სულმნათი რუსთველი აძლევდა. სიტყვასთან შეჭიდებულ მეფისათვის ვეფხისტყაოსანი პოეტური სასწაულებით სავსე წიგნი იყო. ეს ჯადოსნური თხზულება ყოველ ახალ წაკითხვისას სულ ახალი და ახალი წახნაგებით იხსნებოდა და ლექსის თილისმით შეპყრობილ მეფეს განცვიფრებასთან შერწყმული შეჯიბრის ჟინი იპყრობდა. ნუთუ ვერასოდეს შესძლებდა, შაირი ისე

დაემორჩილებინა, როგოც ამას რუსთველი შერებოდა? მაგრამ აქ მარტოოდენ შაირის გარეგნული ბრწყინვალება და ბუნებრივი დინება არ კმაროდა. რუსთველმა ყოვლის მპყრობელი ღმერთის ხელით გამოძერწა თავისი სამყარო, იგი გმირებით დაასახლა და ყოველივე თავისი ღვთაებრივი სულის ჩაბერვით გააცოცხლა. აი, ამას კი მარტოოდენ სიტყვასთან ჭიდილით ვერ მიაღწევდი, რადგანაც რუსთველის ამღერებული შაირის უკან იდგა შეუცნობელი ძალა, რომელსაც მხოლოდ ზეგარდმო ნიჭით ცხებულნი ფლობენ და მათ შორის შოთა, მეფე თამარის ერთ-ერთი კარისკაცი, „მოყმე ვინმე", ვიდრე ცოცხალი იყო და კაცთა შორის დადიოდა, ცათა სწორი ხელმწიფის სხვა კარისკაცებისაგან არაფრით რომ არ გამოირჩეოდა!

თეიმურაზი საათობით ფიქრობდა, ფიქრობდა დღე და ღამ, მაშინაც კი როდესაც მხიარულ, უზრუნველ დროსტარებას გადაყოლილ თანამეინახეებს შორის იჯდა და თავდავიწყებას ეძლეოდა, ფიქრობდა და თავის სულის სიღრმეებში ეძებდა საიდუმლოს, დიდმა წინამორბედმა სასწაულებრივი ძალით რომ ჰპოვა და ლექსად გადათქვა. მან იცოდა ამ საიდუმლოს ფასი და უმალ მირონცხებული მეფის გვირგვინზე იტყოდა უარს, ოღონდ კი მისი მფლობელი გამხდარიყო!

ბატონის დაღრეჯილობას და უხასიათობას დედოფალი ქეთევანი და ტახტთან დაახლოებული დიდგვაროვანნი სხვა მიზეზით ხსნიდნენ. რა ლალი ცხოვრება და სულ მუდამ შინაური და გარეული მტრების შიშში მყოფ ახალგაზრდა მეფეს ჰქონდა, რომ თავი ბედნიერად ეგრძნო! განა ცოტა რამ იყო მის გარშემო ისეთი, რაც გულს უღონებდა და სიცოცხლეს უწამლავდა? მარტო უიმედოდ სარეცელზე მიკრული ანას გახსენება რად ღირდა!

ასეთ წუთებში ქეთევანი თავს არიდებდა თეიმურაზთან გამოლაპარაკებას. სულ იმის ცდაში იყო, შვილის მყუდროება არ დაერღვია და მასთან საჭირბოროტო საქმეებზე საუბარი სულ სახვალიოდ და სახვალიოდ გადაედო.

შემოდგომა ისე მიიწურა, გრემის სასახლეში და მთლიანად კახეთში ღირსშესანიშნაი არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ორჯერ ლეკები დაეცნენ ყვარელს და უცხოელი პატრების მიერ შემზადებულმა წამლებმა და ლოცვა-კურთხევამ ანას ცოტა შეღავათი მისცეს.

ქალს გამოკეთების იმედი ჩაესახა და თვალში სხივი ჩაუდგა, პატარა ბატონიშვილი ლევანი უკვე დადიოდა,

ტიტინებდა და თავის ტკბილ ბებიას, ქეთევანს, მაშინაც კი კალთაში უჯდა, როდესაც საქვეყნო საქმეების გასარიგებლად ის ზემოთ, სატახტო დარბაზში ადიოდა და გვირგვინოსან შვილსა და დიდებულებს ეთათბირებოდა.

დიდი პაპის სეხნია ბატონიშვილი ალექსანდრე ქრისტეშობის მესამე დღეს გაჩნდა და აქამდე მწუხარე დუმილით მოცული სასახლე ახალდაბადებული ყრმის ტირილმა გამოაცოცხლა. მშობიარე ანა თავს ბევრად უკეთ გრძნობდა, ვიდრე აქამდე იყო, მაგრამ ახალშობილს დედის რძე არ ყოფნიდა და ჯერ კიდევ მისუსტებულ, თითქოსდა სულეთის ქვეყნიდან სასწაულის ძალით მობრუნებულ ანას ეს ამბავი სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ბავშვს ძუძუ მაინც არ გააშვებინა. როგორც შეეძლო, აწოვებდა. პატრების რჩევით სასახლეში ძიძა, გლეხის ქალი მოიყვანეს. საბრალო დედას თვალები ცრემლით ევსებოდა, როდესაც მის პაწაწინა სულისდგმა ალექსანდრეს ძუძუებგადიდგინებული, კახეთის მზით სახედაშაშრული, სულითა და ხორცით ჯანმრთელი დედაკაცი პირში ძუძუს ჩაუდებდა და ისიც ხარბად იწყებდა წოვას.

ეს სწორედ ის დრო იყო, როდესაც ბაღდადიდან ისპაჰანის გზით ჩამოსულმა სიცილიელმა ვაჭრებმა აქამდე უგზოუკელოდ დაკარგული ქართლის მოურავის გიორგი სააკაძის ამბავი მოიტანეს და შერმაზან ჩოლოყაშვილის წინასწარმეტყველება მთლიანად დაადასტურეს.

სამშობლოდან სახლეულითურთ გადახვეწილი სააკაძე შაჰს ალი-ყაფუს სასახლეში ხლებოდა და მისთვის სპარსეთის სამსახურში მიღება ეთხოვა. ეს ამბავი გიორგობისთვის დამდეგს მომხდარიყო, რაც იმას მოასწავებდა, რომ მოურავი თავს ერთხანს ისე სამშობლოში ინახავდა და შორეული სპარსეთის გზას მხოლოდ მოგვიანებით დაადგა.

შაჰ-აბასი ერთობ გაეხარებინა სააკაძის ხილვას, პირდაპირ ასე ებრძანებინა, სიზმარია თუ ცხადი, საკუთარ თვალებს ვერ ვუჯერებო.

სააკაძის მის მხარეზე გადასვლითა და სპარსეთის ტახტის სამსახურში ჩადგომით შაჰს ორი საქმე ერთად უკეთდებოდა: ჯერ ერთი, მოურავის სახით ის იძენდა ერთ-ერთ უმამაცეს, ბრძოლებში გამობრძმედილ სარდალს, მცირე ძალებით რიცხვით უმრავლეს მტერთან გამკლავების უებრო ოსტატს, ხოლო მეორე მხრივ, ამავე პიროვნების ქართლიდან წამოსვლა გამანადგურებელ ზიანს აყენებდა თვით ქართლს, რადგანაც

დიდი მოურავის გვერდში დგომის გარეშე მეფე ლუარსაბი წელს ველარ წამოსწევდა, ან მგელი შესჭამდა, ან მგლისფერი ძაღლი. შაჰს შეეძლო უყოყმანოდ მინდობოდა სააკაძეს, მისდამი ეჭვის ნატამალიც კი გულში არ გაეტარებინა, რადგანაც მოსისხლე მტრის მიერ სამშობლოდან დევნილმა სარდალმა თვალის სინათლე ცოლ-შვილი თან ჩამოიყვანა და მისი შემდგომი უშიშროების დაცვა თვით უძლეველ ყაენს მიანდო.

კათოლიკე მისიონერთა საყდარში თეიმურაზმა თვით თავადი ლუკა მაყაშვილი ჩაგზავნა და ვაჭრებისათვის წმიდა მამებს აკითხვინა, სად არის ამჟამად სააკაძე, ხომ არ აპირებს, შაჰს ჯარი სთხოვოს და მის წინააღმდეგ შეთქმული ქართველი თავადების დასასჯელად სამშობლოსაკენ გამოემართოსო.

სიცილიელმა ვაჭრებმა, რომელთა პირადად მიღება და გამოკითხვა მეფემ არ ინება, უარყოფითი პასუხი შემოთვალეს. შაჰმა დიდი მოურავი გიორგი სააკაძე მესამე დღესვე საქმეში ჩაება, საყვარელ სიძეს, დის ქმარ ყორჩიხანს, გვერდში ამოუყენა და დიდძალი ჯარისა და საომარი სპილოების თანხლებით აჯანყებულ ავღანთა დასაწყნარებლად გაგზავნა. ეს ომი დიდ დროს წაიღებს, რადგან ავღანთა ქვეყანა ისპაჰანიდან საკმაოდ შორსაა და სპარსეთის სატახტო ქალაქში სააკაძის დაბრუნების მოლოდინი შუა ზაფხულამდე აღარ უნდა ექნეთო.

ამ ცნობამ თეიმურაზს შვება მოჰგვარა. შუა ზაფხულამდე დრო არცთუ მცირე რჩებოდა და ის იყო, ამბის მომტანი თავადი მაყაშვილი დაითხოვა, რომ დარბაზში ლევან ბატონიშვილის გამდელი ქალი შემოვიდა და მოიარებით მოახსენა, ბატონი დედოფალი ქეთევანი გხმობილობს და, თუ შეიძლებოდეს, მასთან შებრძანდიო.

მეფეს საფეთქლები წამოენთო. გულმა უგრძნო, რადგანაც იქ მიბარებს, დედის პირით ახლა რაღაც საშინელს გავიგებო და წამოდგა, სანახევროდ მუხლმოკვეთილმა ტალანს მიაშურა.

ქეთევანი ნამტირალევი, ტახტზე მიწოლილი და ყურთბალიშზე თავმიდებული დაუხვდა.

— თქვენ მეძახდით, ბატონო დედა?

— ჰო, მე გეძახდი, შვილო, — მიუგო ქეთევანმა, წამოჯდა და ჩამოშლილი თმა ორივე ხელით აიკრიფა. — შემოდი, კარი მიხურე, დაჯექ!

თეიმურაზმა უსიტყვოდ შეასრულა დედის ბრძანება, კარი მიხურა, სკამი დაიდგა, დაჯდა და, როგორც ბალღობაში, ონავრული საქციელის გამო დედა რომ დასჯას უპირებდა, ხელები მუხლებზე დაიწყო.

— გამაგრდი, შვილო, თეიმურაზ, ანა მართლა ვერა გვყავს კარგად და თუ მაღალმა ღმერთმა წყალობის თვალით არ გადმოგვხედა, ვენაცვალე მის სახელს!.. — ქეთევანმა პირჯვარი გადაიწერა. — ვაითუ ველარც ვერაფერი ვუშველოთ, მტრისა და ავისას, ხელიდან გამოგვეცალოს!..

— რა სჭირს, დედა, რა? — აცახცახებული თეიმურაზი სკამიდან ჩამოცურდა და, თითქოსდა ხატის წინაშე, მუხლებზე დაეცა.

— ჩიყვიაო, ასე ამბობენ პატრები და ჩვენი აქიმებიც ამათ კვერს უკრამენ. საიდან არ მოვაყვანინე! ამისთანა რა არის ეს ჩიყვი, რომ შველა არ შეუძლიათ? — თეიმურაზს ღვარად წასკდა ცრემლი და გული ამოუჯდა.

შვილის უსასოო მდგომარეობით გულდათუთქულმა ქეთევანმა თავი შეიმაგრა, რათა შვილი კიდევ მეტ სასოწარკვეთილებაში არ ჩაეგდო, მაგრამ ხმის კანკალი მაინც ვერ დაიოკა:

— შეუძლიათ, როგორ არა, მაგრამ ამისთვის გაკვეთა ყოფილა საჭირო!

— გაკვეთა? როგორ თუ გაკვეთა?!

— ყელი უნდა გაუსერონ და იქიდან მავნე სიმსივნე ამოულონ!

— მერე ასე ძნელია გაკვეთა?

— საძნელო ის გახლავს, შვილო, რომ მაგ საშინელ ავადმყოფობას დანა არ ყვარებია. თუ მწყალობელი ღმერთი შენთანაა, შეიძლება სული შეგრჩეს, თუ არა და... ღმერთო, კარგი ყურით გაიგონე! დანის მიკარება და სიკვდილი ერთია!

— არა, არ მინდა! არ მივცემ გაკვეთის ნებას! იყოს ასე! მარტოა? — თეიმურაზი ფეხისწვერებს დაეყრდნო და წამოდგა.

— პატრებია და ძალუა ასინეთი. მე შენთან დასალაპარაკებლად გამოვედი!

— არ მივცემ გაკვეთის ნებას! რაც მოხდება, მოხდეს!

— თავად ანა რომ იყინებს?

— რას?

— თუ ღვთის ნებაა, გადავიტან, გავუძლებ დანას, თუ არა და, ამ სიცოცხლეს სიკვდილი მირჩევნია, შემომხედეთ, როგორ დავმახინჯდი, რასა ვგევარ, სარკეში ვეღარ ჩამიხედია, მძულს ჩემი თავიო.

— იყოს ისეთი, როგორიც არის, მე არ ვწუნობ, ოღონდ იცოცხლოს, სული ედგას და ბალღებს ნუ დამიობლებს!

— ღმერთმა გისმინოს, შვილო, თეიმურაზ, ყურად იღოს ჩვენი ლოცვა-ვედრება და გვაჩუქოს ჩვენი ანას თავი! — ქეთევანმა პირჯვარი ერთხელ კიდევ გადაიწერა და თვალები ზე აღაპყრო.

თავი XLII

საგანგებოდ მოწვეული პატრები, რომლებმაც ავადმყოფს ტკივილის გამაყუჩებელი წამალი მიაღებინეს, ცოტა ხნის შემდეგ წავიდნენ და დაიბარეს, საღამოს კიდევ ამოვაკითხავთ და საბოლოო გადაწყვეტილებაც მაშინ გვიბრძანეთო. ქეთევანის ოთახის კარი მონაზონივით თალხებით შემოსილმა ძალუა ასინეთმა შემოაღო. ეტყობოდა, არ ეგონა, თუ მეფეც აქ დაუხვდებოდა, გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ შემდეგ გადაიფიქრა.

— როგორ არის? — ერთხმად ჰკითხეს ჯავრით გულშემოყრილმა დედამ და შვილმა.

— ძინავს!.. — ისე ჩუმად მიუგო ასინეთმა, თითქოს ავადმყოფიც აქაა და ეშინია, არ გააღვიძოსო.

თეიმურაზი სკამზე ჩამოჯდა, სახე ხელებში ჩარგო და ნიდაყვებით მუხლებს დაეყრდნო. ქალებმა ეთმანეთს შეავლეს ნაღვლიანი მზერა, მერე კი თავადაც გულდათუთქულნი გაუნელებელი მწუხარებით შეპყრობილ თეიმურაზს მიაჩერდნენ. სანუგეშო სიტყვები, ვისი პირიდანაც არ უნდა ამოსულიყო, ახლა აღარ გასჭრიდა. თეიმურაზს გულიდან მდუღარება ამოსდიოდა და მთელ სხეულს უდაგავდა. მან დიდხანს ვერ გაუძლო უმოქმედობას, წამოვარდა და გულხელდაჭდობილმა ოთახში წინ და უკან დაიწყო სიარული. მერე უცებ რაღაც გადაწყვიტა და თითქოს ზურგში ვიღაცამ უბიძგაო, კარისაკენ ნაბიჯი გადადგა.

— სად მიხვალ, შვილო, თეიმურაზ, ცოდვა არ დაიდო, არ გააღვიძო, ძლიეს თვალი მილულა.

თეიმურაზმა ყური აღარ დაუგდო დედას. მისი ხმა არც გაუგონია. რამდენიმესაფეხურიანი კიბე ერთი ამოსუნთქვით აირბინა და ცოლის კართან გაჩნდა. აქედან უკვე გამობრუნებულიყვნენ თეთრხილაბანდიანი გამდელები, რომელთაც ჩვილი ალექსანდრე მოეყვანათ დედასთან ძუძუს მოსაწოვებლად. მათ გზა მისცეს მეფეს და დარცხვენილები კედელს აეკვრნენ. თეიმურაზს არაფერი უკითხავს, „ალბათ, ისევ ძინავს! “, გაიფიქრა, სახელურს ფრთხილად მოეჭიდა და კარი უხმაუროდ შეაღო.

ანა გულაღმა იწვა თეთრად გაქათქათებულ ლოგინში, ვარდისფერი, დალიანდაგებული საბანი, თავისი ნამზითვი, გულამდე ეხურა, თავი მაღალ სასთუმალზე ედო, ასე რომ ნახევრად წამომჯდარს ჰგავდა. მუქი წაბლისფერი თმა, რბილი და მბზინვარე, უწესრიგოდ ეყარა ჩაჰმუქნულ ბალიშზე და სახის ერთ ნაწილს უფარავდა. ფითრის ფერნაკრავი ნატიფი ხელები საბნის ზემოდან ეწყო და წუთით ჩაძინებული ქალის გამომეტყველება სრულ სიმშვიდეს და საკუთარ ხვედრთან უდრტვინველ შერიგებას გამოხატავდა.

თეიმურაზი ფეხისწვერებზე მიუახლოვდა, საწოლთან, ხალიჩაზე ორივე მუხლით დაიჩოქა, ერთხანს მძინარე ცოლის სახეს სასოებით დასცქეროდა, მერე ოდნავ ჩამოცურებული საბნის ყური აუწია და გაუსწორა.

ანას მშვიდად ეძინა და, ვინ იცის, სიზმარში თავის შორეულ გურიას ხედავდა.

გურიელის ფართო პარმაღებიანი სასახლე მდინარე ბეჟეის მოშორებით იდგა. მწვანედ მობიბინე, ნარი-ნარი ხეხილით დაჩრდილული თვალუწვდენელი ეზო ცალით მხრით თვით მდინარემდე ეშვებოდა, სადაც სამთვალიანი ძელური წისქვილი იდგა და იქიდან დღისით თუ ღამით ბორბლებზე დაცემული წყლის შხრიალი, დოლაბების ყრუ გუგუნი და სარეკელას რაკუნი გამოდიოდა. მიყვარდა ხოლმე პატარაობაში წისქვილთან ჩასვლაო, უყვებოდა ტკბილ მოგონებაში წასული ანა თეიმურაზს, როცა თავისიანები, თავისი ეზო-კარი, თავისი გამზრდელი მშობლიური კუთხე მეტისმეტად მოენატრებოდა, ჩავიდოდით ხოლმე გოგონები, საწისქვილო რუზე გადებულ ფიცარზე ჩამოვსხდებოდით, შიშველ ფეხებს წყალში ჩავყრიდით და ერთმანეთს მთისა და ბარის ამბებს ვუყვებოდითო.

ანა იქნებ ახლაც იქ იყო, ფეხებს ბეჟეის ანკარა წყალი უსველებდა და ესმოდა, როგორი ზათქით ქაფთებოდა წყალი

წისქვილის ქვეშ, როგორ ღუღუნებდნენ დოლაბები, როგორ წკარუნებდა სარეკელა.

ჯერ კიდევ სამი-ოთხი თვის წინათ მოღერებული გლუვი ყელი ანას ნიკაპქვეშ ამობურცული ჰქონდა, რამაც მთელი მისი სახის ლბილი შემოწერილობა დაარღვია და მას აეადმყოფური იერი მისცა. რძისა და ეარდისფერმა კანმა თვალდათვალ დაკარგა გამჭვირვალობა და მოყვითალო შეფერილობა შეიძინა. სენმა არ დაინდო ორი შვილის ყმაწვილი დედის ნორჩი სილამაზე და ერთსა და იმავე დროს ბავშვური სიანცითა და ქალური სათნოებით აღსავსე თვალებში მოციგლიგე სხივი ჩაუქრო. ანას თვალის კაკლები დაებერა, ბუდეებიდან წინ გამოეზნიქა და შიგ უსასოო ნაღველმა და გამოუთქმელმა სევდამ ჩაიბუდა. ლიდხანს ცდილობდა, ახლობლებისათვის, უპირველეს ყოვლისა თეიმურაზისათვის და გამდელებისათვის, რომლებსაც ბავშვები მოპყავდათ, ხელების კანკალი დაემალა, ამ ბოლო ხანს რომ დასჩემდა, მაგრამ ამას უკვე ველარ ახერხებდა და მოეშვა, წყალწაღებულივით დინებას მიენებდა.

„ასეთი რა დაგიშავე, ღმერთო, — ჩურჩულებდა სასოწარკვეთილი თეიმურაზი და ცრემლებს ულაპავდა. — ნუთუ ქაიხოსრო ომანიშვილის უსამართლო დასახჩრებისთვის მსჯი? დამსაჯე, თუკი დასასჯელად მთელი, განა სასჯელს გავურბივარ! რაცა გსურს, ის მიყავი, გინდამც ჯოჯოხეთის უფსკრულში ჩამაგდე და საუკუნო გვემისათვის გამწირე, მაგრამ, შე კურთხეულო, ამ ანგელოზს რას ემართლები, რას ერჩი ამის შვილებს, რბლობის სიმწარე რომ ემუქრებათ, რა შეგცოდა, სული რა ცოდვით დაიმძიმა?! მაღალო ღმერთო, იესო მაცხოვარო, ყოველადწმინდა ღვთისმშობელო, შემინდე მე, ცხენის კუდზე გამოსაბმელს, შეცოდებანი ჩემნი! ოღონდ ამის სიცოცხლე მაჩუქე და აღარც ტახტი მინდა, არც გვირგვინი, პაპაჩემივით ბერად აღვიკვეცები, ნეკრესში წავალ, მეფედ ჩემს მემკვიდრეს, ბატონიშვილ ლევანს გამოვაცხადებ და სანამ სრულწლოვანებას მიაღწევდეს და ჭკუაში ჩავარდებოდეს, გვერდში ჩემს დატანჯულ დედას, ქეთევანს ამოვუყენებ!„

ანამ წამწამები ასწია, თვალი გამოახილა, თავისი სარეცლის წინ დაჩოქილი, თვალცრემლიანი ქმარი დაინახა, გაკვირვებულმა წამოსიებული ქუთუთოები დაახამხამა, ხომ არ მეჩვენებაო და როცა დარწმუნდა, ცხადია და არა სიზმარია, გვირგვინოსან თანამეცხედრეს ნაღვლიანი ღიმილით ჰკითხა:

— თეიმურაზ!.. შენა ხარ?

— მე ვარ, ანა!.. — თეიმურაზი წამოდგა, აცრემლებული თვალები ხელის ზურგით შეიხოცა, ცოლს ყინულივით ცივი ხელი გამოსტაცა, გულში ჩაიხუტა და საწოლზე ჩამოუჯდა.

— მერე რა გატირებს, ხომ არ გეგონა, რომ მოვკვდი? ჩამძინებია. დიდი ხანია აქა ხარ?

— სიკვდილისაგან ღმერთმა დაგიფაროს, სასიკვდილო რა გჭირს, ანა! ერთი ათი წუთი იქნება.

— პატრები სად წავიდნენ?

— მე ისინი აღარ დამხვედრიან, ძალუა ასინეთმა თქვა, საღამოს ისევ ამოვლენო. შენ როგორა ხარ ახლა, ხომ არაფერი გაწუხებს?

— მწარე წამალი დამალევინეს. ეტყობა, იმან დამაძინა. რა დროა? ალექსანდრე არ მოუყვანიათ?

— მოიყვანეს. შენ გეძინა და უკან გააბრუნეს.

— რატომ არ გამაღვიძეს? — ანამ ხელი უკან წაილო, თავჩამარყუეებულ აბრეშუმის ზონარს მისწვდა, უნდოდა დაერეკა, მაგრამ თეიმურაზმა ხელი დაუჭირა, არ დაანება:

— ნუ ეძახი, ბალღი მშიერი არ დარჩება, ძიძა მოაწოვებს!

— ბატონი დედა სად ბრძანდება?

— თავის ოთახშია. ხომ არ დავაძახებინო?

— არა, დაისვენოს. ამას რა წარმომადგენინებდა, რომ საწყალს ასე გავტანჯავდი! თქვენდა ჭირად გავჩნდი. ყველა შეგაწუხეთ და ჭიანი თავით თავი მოგაბეზრეთ!

— მაგას რას ამბობ, ანა, ავად ვინ არ გამხდარა! ავად ყოფნა და კარგად ყოფნა ძმები არიან, ხან ასეა, ხან ისე!

— გარეთ რა ამბავია? საკაძის ხომ არაფერი ისმის?

— ღმერთო, დიდებულო! — გაოცებულმა თეიმურაზმა პირჯვარი დაიწერა. — ეგ რა მკითხე, ანა? გულთმისანი ხომ არა ხარ?! ეს არის, სიცილიელმა ვაჭრებმა შეგვატყობინეს: სპარსეთში ყოფილა, შაჰ-აბასთან!

— ხომ ბრძანებდა თავადი შერმაზანი!

— გამართლდა თავადის ნათქვამი. შაჰს დიდი პატივით მიუღია, მხედრობა ჩაუბარებია და მაშინვე აჯანყებული ავღანეთის დასაწყნარებლად გაუგზავნია!

— მე კი ვშიშობდი, რომ იმ მხედრობით ქართლში მოვიდოდა და თავის მტრებზე შურს იძიებდა!

— მაგისაგან ჯერ ღმერთმა დაგვიცვა, ანა, მაგრამ როცა ავღანებს დააწყნარებს და ისპაჰანში მობრუნდება, მაშინ კი აღარ ვიცი, რა მოგველის!

— ღმერთი მოწყალეა, თეიმურაზ, უნუგეშოდ არ მიგვატოვებს! იცი? სიზმარი ვნახე!

— სიზმარი? — თეიმურაზს თვალები გაუბრწყინდა, წუთით ჯავრი გადაეყარა. — რა?

— ვითომ ალექსანდრეს ჩვენი წისქვილის რუში ვაბანავებდი. თბილი წყალი იყო. ალექსანდრე ხტოდა და ხელიდან მისხლტებოდა!..

— მერე, მერე?

— უცებ ისე მაგრად შეტოკდა და შეკვანტალდა, ხელიდან გამიცურდა, რუში ჩავარდა და წყალმა ღარებისაკენ წაიღო. ვიკიელე და გამოვეკიდე. ირგვლივ ვერავინ დავინახე, რომ მომშველებოდა. რუ სხვანაირი იყო, ჩვენსას არ ჰგავდა, ეკალ-ბარდში მიძვრებოდა. მივრბივარ ფეხშიშველი, მეც ვძვრები ეკალბარდებში, წვივებიდან სისხლი დამდის, ბავშვიც ხელებს ასავსავებს, ტირის, შეძახის, რომ ამოვიყვანო, მაგრამ მე ეკლები არ მიშვებენ, ფეხებზე მებლანდებიან, არა და, ორიოდე ნაბიჯიც და რუ გალიპულ ღარებში ეშვება, ქვემოთ კი წყალი შხუის და ბორბლები ბზრიალებენ!.. ამ დროს გამომეღვიძა და შენ დაგინახე!..

— ეგ მართლაც უცნაური სიზმარი გინახავს, ანა, ძნელი ასახსნელია!..

— არ მინდოდა, შენთვის მომეყოლა. ამბობენ, ცუდ სიზმარს როცა ნახავ, არავის არ უნდა მოუყვე, თორემ ახდებაო. ვეღარ მოვითმინე!

— არა უშავს, სიზმარი იმისაა, რომ ვინმეს უნდა მოუყვენუ იდარდებ, განა ყველა სიზმარი ახდება!

ანა გაირინდა და ცრემლმორეული სივრცეში რომელიღაც ამოჩემებულ წერტილს მიაჩერდა. ის ცხადლივ გრძნობდა რაღაც დიდ უბედურებას, რომელსაც ეს სიზმარი მიანიშნებდა, არა თავის გარდაუვალ სიკვდილს, არა, რაღაც უფრო საშინელსა და ყოვლის მომცველს, მაგრამ არ უნდოდა, ეს ხმამაღლა გამოეძღვანებინა, თავადვე დარწმუნებულიყო, რომ ის მართლაც გარდაუვალი იყო, ვერანაირი ამქვეყნიური ძალა ვერ შეაჩერებდა.

პატრები ცოტა უფრო ადრე მოვიდნენ, ვიდრე სასახლეში მათი მოლოდინი ჰქონდათ. თეიმურაზს ახსოვდა, რომ ისინი უნდა მოსულიყვნენ და კვლავაც თანამეცხედრის ოთახში იჯდა, აქედან ფეხს არ იცვლიდა. რატომღაც სჯეროდა მე თუ აქედან გავედი, ანას ცოცხალს ვეღარ ვიხილავო. გამდელებმა მის თვალწინ მოიყვანეს აკვნიდან ამოყვანილი ჩვილი ალექსანდრე, საფენები შეშოხსნეს და პერანგისამარა დედას გვერდში მიუწვინეს. ანა ერთბაშად გამოცვალა და გამოაცოცხლა

საღსალამათი შვილის დანახვამ. პატარამ დედა იცნო, ხტუნ-ვა-კვანტალი დაიწყო, ზუსტად ისე, როგორც სიზმარში ნახულ საწისქვილე რუში ჩავარდნისას და ანას შეეშინდა, გამდელს ბავშვი ხელიდან არ გავარდნოდა.

აქვე იყო უფროსი ბატონიშვილი ლევანიც, რომელიც ბებოს თეთრ ჩოხა-ახალაუხში გამოეწყო და ვერცხლის ქამარ-ხანჯალზე პატარა ხელებდაწყობილი ამავე ასაკის მამამისისათვის დაემგავსებინა. ლევანი შემოსვლისთანავე მამას მიეტუზა და მიეტ-მასნა. ბავშვმა იცოდა, რომ დედა ავად იყო, რაღაც ავი სენი ლოგინიდან წამოდგომის ნებას არ აძლევდა და მასთან მიახლოება, ძველებურად გულში ჩახუტება აშინებდა. ბოლოს მაინც მიიყვანეს, თუმცა გაძალიანდა და კინაღამ ტირილი მორთო, დედას სასთუმალთან დაუყენეს. ცრემლმორეულმა ანამ აკანკალებული ხელი გადმოჰყო, მოეხვია, როგორღაც გაუცხო-ებული შვილი ყვრიმალზე მიიკრა და მხოლოდ ამ ორისათვის გასაგებ ენაზე ყურში რაღაც ჩასჩურჩულა.

ამის შემყურე ქეთევანმა თავი ვეღარ შეიმაგრა, თვალებ-დაბერილი მივიდა, ორივეს მოეხვია, თითქოს ყოველივე ბოროტისაგან დასაცავად კალთა გადააფარაო, მერე ანა ფრთხილად მიაწვინა ბალიშზე, გაურკვეველი გრძნობით გულამღვრეული ლევანი კი შორიახლო მდგომ აცრემლებულ გამდელებს ჩააბარა.

ბავშვები რომ გაიყვანეს, პატრებს მხოლოდ ამის შემდეგ მოუხმეს. დამხვდურთ, უპირველეს ყოვლისა კი მეფეს, ისინი თავიანთ წესზე მიესალმნენ და თითქოს ეშინიათ, ძვირფასი დრო უქმად არ დავკარგოთო, მაშინვე ავადმყოფს მიუბრუნ-დნენ.

ამბროზიო დუშ ანჟუშმა, მისიონის პრეფექტმა, ანა თავად გასინჯა, რამდენიმე კითხვა დაუსვა, პასუხები ყურადღებით მოისმინა და მიწოდებულ სკამზე არ დამჯდარა, ქეთევანს ისე მიუბრუნდა, თუმცა ყოველი მისი სიტყვა უშუალოდ მეფისადმი იყო მიმართული.

თეიმურაზს ენიშნა: ეს იყო სწორედ ბედისწერის ის ულმობელი განაჩენი, რის შეტყობაც ასე უღვთოდ აშინებდა! ბერმა ახლაც იგივე გაიმეორა, რასაც აქამდე ამბობდა, ოღონდ მეფის თანდასწრებით: ავადმყოფისათვის შვების მოტანა, სრული განკურნება მხოდოდ ჯირკვლის გაკვეთას და სიმსივნის ამორიდებას შეეძლო მოეტანა.

წმიდა მამამ დაინდო ავადმყოფიც და ჭირისუფალიც, ამჯერად ბოლომდე აღარ თქვა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა სიმსივნისათვის დანის მიკარებას, უკეთუ ეს ჩარევა ღვთის განგებით სასურველ შედეგს არ გამოიღებდა.

— არა! — გადაჭრით თქვა მეფემ და თვალებში შეუკავებელი მრისხანების ცეცხლი დაენთო. — იყოს ისე, როგორც არის, ხელს ნურავინ ახლებს!..

— მაგრამ, თქვენო უდიდებულესობავ...

— სიტყვაც არ მინდა გავიგონო!

პატრებმა ერთმანეთს გადახედეს და დადუმდნენ. სახეზე ნერვიც არ შეტოკებიათ. ისინი მორჩილად იდგნენ და გულხელდაკრეფილი ელოდნენ გვირგვინოსან ჭირისუფალთა საბოლოო გადაწყვეტილებას.

ყელზე მოწოლილ გუნდას ქეთევანისათვის მეტყველების უნარი წაერთმია. ეს პირველად იყო, რომ გადაწყვეტ წუთებში სათქმელი არაფერი ჰქონდა, თავის სათაყვანებელ ერთასათვის და მის ნუკრიეით თვინიერ თანამეცხედრისათვის არავითარი რჩევის მიცემა არ შეეძლო. ახლა ერთი ჰო ან არა ყველაფერს წყვეტდა. თვით ანა გარინდებული იწვა, უძრავი მზერა ჰერისათვის მიეპყრო და ერთი სიტყვითაც არ იღებდა მონაწილეობას საუბარში, რომელსაც მისი სიკვდილ-სიცოცხლე უნდა გადაეწყვიტა.

პატრები მომზადებული მოვიდნენ. უკეთუ თეიმურაზი თანხმობას გამოაცხადებდა, ისინი უმალვე შეუდგებოდნენ თავიანთ საეგებიო საქმეს, ღმერთს ახსენებდნენ, ლოცვას აღაკლენდნენ და ხელსაწყობებს ამოალაგებდნენ, მაგრამ მწყალობელი მეფის უარი გულიდან ისე მწარედ ამოხეთქილი იყო, რომ იგი ზეგარდმო ნაკარნახევ ნიშნად მიიღეს. შედრკა თვით ანაც, თუმცა თავისი ბედი გულში უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. არ მოელოდა, თუ თეიმურაზი ასე გადაჭრილ უარს იტყოდა. შეებრალა ქმარი და მუდამ მისი სიტყვის მორჩილმა თავისი მუდარის განმეორება ვეღარ გაბედა. მთელი სიცხოველით ანამ ახლა იგრძნო, როგორ უყვარდა თეიმურაზს, რა დიდი დანაკლისი და უბედურება იქნებოდა მისთვის საყვარელი არსების დაკარგვა და გულში სიხარულის შუქი ჩაუდგა.

თავი XLIII

ანა დიდმარხვაში, აპრილის 8-ს, წმიდა მართლის ლაზარეს აღდგინების დღეს მიიცვალა, მიიცვალა სწორედ იმ დროს, როდესაც მისივე დაჟინებული თხოვნით დასტაქრობაში და-

ხელოვნებულმა პატრებმა ყელის სიმსივნე ალმასივით მახვილი დანით გაუჭრეს. რამდენიმე თვეს, იქნებ წელიწადსაც ეგებ კიდევ ეცოცხლა, მაგრამ დღითიდღე დაძაბუნებამ ოთხმოცი წლის დედაბერს დამსგავსებული ყმაწვილი ქალი ისე შეაძრწუნა და გაამწარა, არანაკლებ თავზარდაცემულ გვირგვინოსან ქმარს ყოველ ცისმარე დღე თვალცრემლიანი ეხვეწებოდა, არ მინდა ამისთანა სიცოცხლე, ეს ხომ სატანჯველია, დართეთ ნება პატრებს, ჰქნან, ან მომკლან ან ჩემი ადამიანური სახე დამიბრუნონო.

არ ინება მაღალმა ღმერთმა ანას გადარჩენა. საყვარელი ცოლის სიკვდილმა თეიმურაზი ისე გადარია, თავს კედელს ახეთქებდა, ნამდვილ გიჟს დაემსგავსა, ანას საფლავში მიჰყვებოდა. ძლივს წამოაყენეს, ნუგეში სცეს და სასახლეში დააბრუნეს, მაგრამ ანას ოთახი რომ ცარიელი დაუხვდა, სადაც მისეული ნელსაცხებლების სუნი ჯერ კიდევ იდგა, გული ისევ შეუღონდა და კვლავ პატრებისა და სასახლეში მოწვეული შინაური აქიმების დახმარებით გონს დიდი გაჭირვებით მოიყვანეს. იმ დღიდან წვერი მოუშვა, როგორც ღვთის წინაშე დათქმული ჰქონდა, ტახტზედაც უარი განაცხადა და ნეკრესის მონასტერში წასასვლელად სამზადისს შეუდგა, მე უკვე ამ სოფელს აღარ ვეკუთვნი, დარჩენილი სიცოცხლის დღენი ღვთისადმი ლოცვა-კურთხევაში უნდა გავატაროო.

გადაუდგნენ წინ დიდებულები, მთელი დარბაზის ერი. ყველა ღონეს მიმართეს, რომ უგუნური განზრახვა გადაეთქმევინებინათ, დაერწმუნებინათ, შეეგონებინათ, რომ მას, მეფეს, ღვთის მიერ მირონცხებულ მეთაურს და მამას ერისას, თავისი გულის აყოლის უფლება არ ჰქონდა, რომ როგორმე მორეოდა თავის გაუნელებელ მწუხარებას და კვლავ კაცობრივ ცხოვრებას დაბრუნებოდა.

ოჯახის თავს დამტყდარმა უბედურებამ შვილზე არანაკლებ ქეთევანი ამოაგდო ჩვეულებრივი ცხოვრების კალაპოტიდან. რამდენი თვე, დღე და საათი იყო გასული, რაც მას თვალზე ცრემლი არ შეშრობოდა. საყვარელი რძალი, მალხაზი შვილიშვილების მშობელი დედა, ცივ სამარეს მიაბარა და გამჩენმა ღმერთმა ესეც არ აკმარა, ახლა შვილიც ეღუპებოდა. უბრალო, მდაბიო დედაკაცივით ეხვეწებოდა ხან ერთს, ხან მეორეს, სამღვდელოს თუ ერისკაცს, შინაურს თუ გარეშეს, მიშველეთ რამე, ხალხი არა ხართ, დაარწმუნეთ ძე ჩემი

თეიმურაზი, ამ საბრალო ბალღებს მამითაც ნუ დაიობლებს, ქვეყანასაც, აქამდე წვითა და დაგვით რომ მოგვიყვანია, ნუ წაახდენს, მტრის სათარეშოდ ნუ გახდის, ცას თავზე ნუ ჩამოგვაქცევსო.

თეიმურაზი ბოლოს მოტყდა. ბერად აღკვეცასა და ნეკრესში წასვლაზე ხელი აიღო. ცოლისადმი თავისი სიყვარული პატარა შვილებზე გადაიტანა, მაგრამ კვირა ისე არ ჩამოილეოდა, ალავერდის ტაძარს რომ არა სწვეოდა, ლევანიც არ წაეყვანა და საცოდავი ანას საფლავზე არ ეტირა.

ზაფხული ილეოდა, სპარსეთიდან მეჰმანდარი რომ მოვიდა ყიზილბაშთა მცირე რაზმით და მეფეს შაჰ-აბასის წიგნი მოუტანა.

კახბატონ თეიმურაზის თავს დამტყდარ უბედურებას ისპაჰანამდე ჩაეღწია. არამცთუ პატარა დედოფალ ანას უდროო სიკვდილი, ისიც კი დაწვრილებით შეეტყოთ, როგორ გლოვობდა მეფე საფლავში ნაადრევად ჩაწვენილ მეუღლეს და მისთვის ანას გარეშე ცაზე მზე აღარ ნათობდა.

წიგნი ქართულად, მოხდომებით გამოყვანილი მხედრული ასოებით იყო დაწერილი. შაჰმა ქართული წერა არ იცოდა, ქართველი ასულებით სავსე ჰარამხანაში ქართულად მხოლოდ ლაპარაკი ესწავლა და, ეტყობოდა, ეს საძძიმრის წიგნი ვინმე სხვას უკარნახა.

მიქია შენი ვაჟკაცობა და მოყვასის სიყვარულიო, გულში ჩამწვდომად იწერებოდა შაჰ-აბასი, ჩემი გაზრდილისაგან სწორედ ამას მოველოდი და აფერუმ, რომ მოლოდინი გამიმართლეო. შემდეგ მამაშვილურად არიგებდა: თურმე უზომო მწუხარებას შეუპყრიხარ, ტახტის მიტოვება და ბერად აღკვეცა განგიზრახავსო. აი, მაგას კი ვერ მოგიწონებო. ეს იმიტომ კი არა, რომ მე მაჰმადიანი ვარ და დიდი ალაჰის აღმსარებელს სხვა სარწმუნოება, თუნდაც თქვენი ქრისტიანობა, არად მიღირდესო. საერთოდ ვერ გამიგია, როგორ უნდა დააჯაბნინო კაცმა მწუხარებას თავი ისე, რომ მაგნაირი ობროდული აზრები დაგებადოსო. მაჰმადის წვერსა ვფიცავ, ეგ კარგად ვერ მოგსვლია და როდესაც ერთმანეთს პირადად შევხვდებით, დანარჩენს მერე გეტყვიო.

ამ წიგნით შაჰ-აბასი თეიმურაზს სპარსეთში ეპატიჟებოდა, ეპატიჟებოდა მარტო, მცირე ამალით, რათა თავის ახალგაზრდა მეგობარს იქ გულით დახვედროდა და მისთვის ცოლის უდროო სიკვდილით გამოწვეული დარდი გაექარვებინა.

ქეთევანი არც კი შეყოყმანებულა, ისე უთხრა მეფეს:

— წადი, შვილო, თეიმურაზ, თვალს გაახელ, გაერთობი, გულს გადააყოლებ, შაჰის სტუმართმოყვარეობით ისარგებლებ, მეგობრობას განამტკიცებ, ღვთის შეწევნით უკან უვნებლად დაბრუნდები, ჩვენ კი აქ წელებზე ფეხს დავიდგამთ და ქვეყანას ვუპატრონებთ, უშენობას არ შევამჩნევინებთ!

რაკი სხვების ერთსულოვანი აზრიც ეს იყო და მეფის სპარსეთში გამგზავრებას წინ არაფერი ეღობებოდა, თეიმურაზმა თავადთაგან მხოლოდ ძმები ვაჩნაძეები, ბებური და თამაზი იახლა, ამალაში ხუთიოდე თავისი თანატოლიც ჩარიცხა, ასკაციანი მცველი რაზმი შეადგინა და მარიამობისთვეში, საფერისცვალებოდ, სპარსეთის შორეულ გზას გაუდგა.

ყაენს არნახული ყურადღება გამოეჩინა. კახეთის მგლოვიარე მეფის მიღება ისე მოეწყო, რომ თუ მთელ სამეფოში არა, სატახტო ქალაქისაკენ მსვლელობის გზაზე მაინც იგი ნამდვილ ზეიმად და დღესასწაულად ექცია. განძიდან, ბარდავიდან და შუშიდან მოკიდებული ბეგლარბეგებს საგანგებო ფირმანი მოსულოდათ, რომლის ძალითაც მოახლოებულ კახბატონს და მის თანხლებ პირებს საბეგლარბეგოს საზღვარზე უნდა გამოგებებოდნენ და იგი ზარზეიმით თავიანთ სატახტოებში შეეყვანათ. აქ თეიმურაზს გართობა, წვეულებები, სამხედრო აღლუმები, ათასნაირი სანახაობები და დამხშავეთა საჯაროდ დასჯაზე დასწრება ელოდა. შემდეგ, დათქმულ დროს, ბეგლარბეგი და მისი ამალა კახბატონს საბეგლარბეგოს სამხრეთ საზღვრამდე მიაცილებდა, გზას დაულოცავდა და, ამგვარად, გადასცემდა ახალ გულუხვ მასპინძელს, რომელიც ყოველ ღონეს იხმარდა, რომ გიაური სტუმრის წინაშე თავი მოეწონებინა და ხელგაშლილობასა და გამომგონებლობაში წინა მასპინძელი დაეჯაბნა.

ასე გადავლო თეიმურაზმა წყალუხვი არაქსი, რომელიც კავკასიას სპარსეთის უდაბნოებისაგან ჰყოფდა, უკან ჩამოიტოვა პირველი სპარსული ქალაქი ჯულფა და უკიდეგანო ველებზე გაიეკა, სადაც დროგამოშვებით შორეული ქვეყნებიდან მომავალი ქარავნები ხვდებოდათ. შემდეგ ერთმანეთს მიჰყვნენ ადარბადაგანისა და ქურთისტანის მარადიული თოვლით დაფარული მთები, ვიწრო ხეობები, ულელტეხილები და მქუხარე მდინარეებზე გადებული ხიდები.

თავრიზის ანუ ადარბადაგანის ბეგლარბეგი მარანდში დაუხვდათ, სადაც ნამგზავრებმა ღამე გაათიეს და მეორე დღეს საპატიო ესკორტით გარსშემორტყმულნი ოდესღაც მთელი სამეფოს სატახტო ქალაქ თავრიზში შეეიდნენ.

შაჰ-აბასი წარმოშობით აქაური, ადარბადაგანელი იყო, მის გვარსა და ჯილაგს ფესვი აქ ედგა და მშობლიურ ქალაქისადმი სიყვარულს იმით გამოხატავდა, რომ თავრიზის ბეგლარბეგს სამეფოს ერთ-ერთ უპირველეს კარისკაცად ალიარებდა, თუმცა არც იმას მალავდა, რომ სამეფოში მეორე კაცად ფარსის ბეგლარბეგს იმამყული-ხან უნდილაძეს თელიდა. მხოლოდ უნდილაძეს ჰქონდა ნება, შაჰზე არანაკლებ ბრწყინვალე სასახლე დგმოდა, შაჰზე არანაკლებ ჩაეცვა და დაეხურა, მისებრ მრავალრიცხოვანი ხადიმები მოეწყო, საჯინიბო მისებრ განთქმული ჯიშის არაბული ცხენებით აევსო და, რაც მთავარია, ულამაზესი ასულებით სავსე ჰარამხანის პატრონი ყოფილიყო.

ხმაც კი დადიოდა, თითქოს ალი-ყაფუში გამართული ერთი ხალხმრავალი დარბაზობის დროს შაჰ-აბასს თავისი საყვარელი ბეგლარბეგისათვის ეთქვას, რა იქნება, იმამყული-ხან, ერთი ოქროთი ჩემზე ნაკლები დახარჯო და ყაენად მცნო, ასე ყველაფერში როგორ უნდა მაჯობოო.

თეიმურაზს ამ დარხეული ხმებისა ბევრი არაფერი სჯეროდა, რადგანაც შაჰ-აბასის შინაგან ბუნებას სხვებზე ნაკლებ როდი იცნობდა. მის სიხარბესა და გულზვიადობას საზღვარი ხომ არ ედო, მაგრამ ის კი ეჭვს არ იწვევდა, რომ ფარსის ბეგლარბეგი გამორჩეული სიყვარულით უყვარდა. ეს ნაქართველარი ქაცი, ღვიძლი ძე შაჰისათვის მამად სახად ალავერდი-ხან უნდილაძისა, ეტყობოდა, ისლამისა და სპარსეთის ტახტის ერთგულებაში თვით სპარსელ წარჩინებულებს აჭარბებდა და ყაენიც მადლიერებას იჩენდა, ღვაწლსა და დამსახურებას არ უკარგავდა.

სტუმრობამ თავრიზის ბეგლარბეგის კარზე თითქმის მთელ კვირას გასტანა. ეს უთუოდ წინასწარვე იყო გათვალისწინებული და ყოველივე დასახული გეგმის მიხედვით ხდებოდა. სათუო და საკოჭმანო მხოლოდ ის ჩანდა, რომ უკეთუ მთელ გზაზე ასე დაბრკოლდებოდნენ, ისპაჰანამდე, სადაც თვით შაჰი ელოდათ, როდის-ღა უნდა ჩაეღწიათ!

თეიმურაზი ისე გამოიცვალა, თავის თავს ვეღარ სცნობდა. კვირობდნენ და ხარობდნენ ვაჩხაძეები და სხვა მხლებლებიც. მასპინძლებს, რომლებიც გურჯი ვალის გასამხიარულებლად და გასართობად აღარაფერს ზოგავდნენ, მთელი გულით მიენდო. ბურთაობასა, ყაბახსა და სხვა საცხენოსნო შეჯიბრში, ბეგლარბეგი თითქმის ყოველდღე რომ მართავდა, სხვებთან ერთად მონაწილეობდა, შესაშურ სიჩაუქესა და სიმარჯვეს იჩენდა და არც უკვირდა, როცა გამარჯვებულისათვის განკუთვნილ ძვირფას საჩუქარს მოართმევდნენ ხოლმე.

იგივე განმეორდა უსიცოცხლო უდაბნოდან თითქოს ჯადოსნური კვერთხის შეხებით ამოსულ ქალაქებში: მიანეში, ყაზვინში, რეიში, ყუმში...

ღვინობისთვე გაშუალებული იყო, ცისკიდურზე ისპაჰანის მოოქროვილი მრგვალი გუმბათები, მოჭიქული კრამიტით დაფარული ოთხკუთხა სახურავები, გადახრილი მზის სხივებზე ნაირფერად მოციმციმე მინარეთები რომ ამოიწვერნენ და ერთი ორის საათის შემდეგ უდაბნოს მტვერში გახვეული მხედრების წინაშე სპარსეთის სატახტო ქალაქის დიდებული სახახაობა გადაიშალა.

შაჰ-აბასმა ალი-ყაფუში მიიღო თავისი მეგობარი გურჯი ვალი, იქ ჩამწკრივებული დიპლომატიური კორპუსი ჩამოატარა, ყველა ქვეყნის დესპანი პირადად წარუდგინა, ბოლოს კი, ამ სავალდებულო საქმეს რომ მორჩა, ოქროს ვარაყითა და ვენეციური ბროლით გაბრწყინვებულ სატახტო დარბაზში შეუძღვა, იქ მამაშვილურად გვერდში მოისვა და სამძიმრის ხელახლა გამოცხადების შემდეგ სამშობლოს ამბები გამოჰკითხა.

თეიმურაზს შაჰი სრულიად გამოცვლილი ეჩვენა. ის სრულებით არა ჰგავდა იმ პირგამეხებულ თვითმპყრობელს, როგორადაც ქართლ-კახეთის ჭაბუკ მეფეებს მაზანდერანში ნადირობის ჟამს წარმოუდგა. შაჰი დამშვიდებული, ალერსიანი და გულმოწყალე იყო. თეიმურაზს ასეთი ის ყარაბახიდან ახსოვდა, სადაც აბასს სახელოსნოში ჩაჰყავდა ხოლმე და უბრალო ხელოსანივით ფეშტემალაფარებული, ხის ქოშებში ფეხწადგმული და მკლავებდაკაპიწებული უნაგირის კერვას ან არკებუზის აწყობას ასწავლიდა.

შაჰმა დიდი პატივისცემით მოიკითხა დედოფალი ქეთევანი, ერთხელ კიდევ მწუხარება გამოთქვა, რომ ანას უდროო გარდაცვალების გამო პატარა შვილიშვილებისათვის დედოფალს დედობაც უნდა გაეწია და ბებიობაც, მაგრამ იქვე დასძინა, ქეთევანი ჯერ კიდევ ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა ქალია და ბატონიშვილების მოვლა-პატრონობა არ გაუჭირდებაო.

თეიმურაზს სიხარულის ცრემლი მოერია, მძვინვარე შაჰის პირიდან მისი საყვარელი და საამაყო დედის ქება-დიდება რომ მოისმინა და გული ისე აევსო წრფელი მადლიერებით, ალარ იცოდა, ის რით და როგორ გამოეხატა.

იმავე დღეს, ვახშმად, ისევ შეხვდნენ ერთმანეთს. ამჯერად შაჰ-აბასი მარტო არ იყო. თავით ფეხებამდე საკუთარი ხელით შეკერილ კაბა-ჯუბასა, მაღალყელიან გეტრებსა და ცხვირაბზეკილ არაბულ წაღებში ჩაცმულს სტუმრად კიდევ ორი

ევროპულად გამოწყობილი ბატონი მოეწვია, რომელთაგან ერთი, თეთრხელთათმანებიანი და ამავე ფერის პანტალონებში გამოკრული კაცი, ჭალარა თმა ზურგზე შავი ბანტით რომ შეეკრა, თეიმურაზისათვის გაუგებარ უცხო ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო მეორე, ასევე ჩაცმულ-დახურული, ოღონდ ცოტა უფრო ახალგაზრდა, მის ნათქვამს შაჰს სპარსულად უთარგმნიდა, შაჰის ნაბრძანებს კი გაუგებარ უცხო ენაზე თარგმნიდა.

სუფრას საჭურისი ბიჭუნები ემსახურებოდნენ. შემოსასვლელი კარის ორსავე მხარეს, ისევე როგორც მის პირდაპირ, საიდანაც საჭურისებს ცხელ-ცხელი კერძები შემოჰქონდათ, ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი შუბოსანი ჩაუშები იდგნენ და თვალის დაუხამხამებლად ერთმანეთს უყურებდნენ.

სტუმართაგან პირველი პორტუგალიის ელჩი გამოდგა, მეორე კი მისი თარჯიმანი. ვახშამმა ისე ჩაიარა, თარჯიმანი არ დამჯდარა, თავისი პატრონის უკან იდგა წელში მოხრილი და ყურადღებით უსმენდა, ვინ რას იტყოდა, რათა იმავე წამს ერთი ენიდან მეორეზე გადაეთარგმნა.

შაჰი ზუსტად ისე იქცეოდა, როგორც ერთ ქართულ ანდაზაშია ნათქვამი: მამიდაც ვინახულე და ცხენიც გავხედნეო. ვახშამზე მოწვევით თეიმურაზს თავის განსაკუთრებულ პატივისცემასაც უდასტურებდა და, ამასთანავე დროს უსაგნო მიეთმოეთში არ კარგავდა: ელჩს სადღაც სპარსეთის ყურეში, კუნძულ ორმუზზე პორტუგალიელების ხელით აშენებულ ციხე-სიმაგრეზე ევაჭრებოდა, დათმობას თხოვდა. ელჩი უარზე იყო, თუმცა ამ უარის გამოთქმისას თავაზიანობას ოდნავადაც არ კარგავდა და, თითქოს ამაზე უკეთესი რაღა უნდა უპასუხოსო, ერთთავად იღიმებოდა, ყაენს კი ისე გამოჰყავდა, რომ თუ პორტუგალიელებისაგან ამ კუნძულ ორმუზს და ზედ წამოდგმულ ციხე-სიმაგრეს ვერ მიიღებდა, სპარსეთი უეჭველად დაიღუპებოდა და მის დაღუპვაში უპირველესი ბრალი პორტუგალიას დაედებოდა.

თეიმურაზს გაახსენდა, როგორ წაჰგვარა შაჰმა ქართლის მეფე გიორგის ლორე და დებედას ხევი, ხოლო პაპამის ალექსანდრეს მთელი ჰერეთის მხარე, სადაც კაკ-ენისლის სასულთნო დააარსა და ღაწვებალეწილმა თავი ჩაღუნა. უთუოდ მაშინაც ასე იყო, მაშინაც უთუოდ იღუპებოდა სპარსეთის ძლევამოსილი სამეფო, უკეთუ ქართველი მეფეები იძულებით დათმობაზე არ წავიდოდნენ და თავიანთ ისედაც მცირე მიწა-წყალს კიდევ უფრო არ შეამცირებდნენ.

ალი-ყაფუში მილეთის ხალხი ტრიალებდა. ევროპისა და აზიის რომელი კუთხიდან არ მოდიოდნენ აქ თავ-თავიანთი

ქვეყნის წესზე ჩაცმულ-დახურული წარმოგზავნილები, მეფური მოსაკითხით ხელდამშვენებულნი, რა ელფერისა და გამომეტყველების კაცს არ ნახავდი. იყვნენ ჩიკორივით მოძრავი ჩინელები, იაპონელები და კორეელები, თეთრ ზეწარში გახვეული შავგრემანი ონდოელები, ინით ხელებშეღებილი შავწვერა არაბები, მაღალ-მაღალი ხმელ-ხმელი ინგლისელები, ჩასუქებული ფრანგები, ნამდვილი მხედრული აღნაგობის ავსტრიელები, ქედმაღალი პრუსიელები, პეწენიკი ესპანელები, ბულბულივით ტკბილად მოუბარი იტალიელები და სარტყლამდე წვერმოშვებული ლურჯთვალება რუსები.

ყველა ამ ხალხს, ერთად თუ ცალ-ცალკე, თავი განმარტოებულად ეჭირა და სხვათა აქ ყოფნას თითქოს ვერც ამჩნევდა. დაკვირვებულ კაცს ძნელად თუ გამოეპარებოდა, რომ ყოველ უცხოელს შაჰის კარზე მსტოვარი ჰყავდა მიჩენილი. შაჰს არ უყვარდა, როცა მის ცხვირწინ უცხო ხელმწიფეები ქსელებს ხლართავდნენ და თავიანთ საქმეს აპახრაკებდნენ. ამიტომ მას დაწვრილებით უნდა სცოდნოდა, ვინ რით სუნთქავდა და რა განზრახვა ამოძრავებდა.

გამონაკლისი, რასაკვირველია, არც კახბატონი იყო. ის ყოველ ნაბიჯზე გრძნობდა მსტოვრის მოუშორებელ თვალს და რომ ეს თვალი ყველაზე უფრო გამოცდილი, გამჭრიახი და ქვეგამხედველი მსტოვრის — შაჰ-აბასის თვალი იყო. არ ხდებოდა, რა თქმა უნდა, შემთხვევით, რომ შაჰის კარზე და მთლიანად ისპაჰანში თეიმურაზი თანამემამულეთაგან ვერავის ნახულობდა. ერთადერთი, ვისთანაც შეეძლო მშობლიურ ქართულ ენაზე ელაპარაკა, ისევ და ისევ შაჰ-აბასი იყო.

ეს განა იმის გამო, რომ ქართველებს ისპაჰანში სანთლითაც კი ვერ იპოვნიდი. პირიქით, ქართული სიტყვა-პასუხი აქ ყოველ ნაბიჯზე ისმოდა. ქართველ ვაჭარხელოსანთ, რომ აღარაფერი ვთქვათ ღულამთა კორპუსზე, შაჰის არმიის მეწინავე მხედრობაზე, რომელიც მთლიანად ქართველებისაგან იყო შემდგარი, ისპაჰანში თავიანთი ამქრები ჰქონდათ და ხელობით მთელს აღმოსავლეთში ტოლს არავის უდებდნენ. ამით შაჰ-აბასი გულში კიდევაც ამაყობდა, მაგრამ ყოველ ღონეს მიმართავდა, სპარსეთში ნებით თუ ძალით გადმოხვეწილ ქართველებს სამშობლოსთან კავშირ-ურთიერთობის ძაფი არ გაებათ და მწყალობელ შაჰისათვის ახალი თავსატეხი არ გაეჩინათ.

ყოველივე ეს ძნელი ამოსაცნობი არ იყო და ყაენის გულში ხედმეტი ეჭვი რომ არ გაეღვიძებინა და საქმე არ

დაელუპა. თეიმურაზს თავი ისე ეკავა, თითქოს საკუთარ ხელოვნურ განმარტოებას ვერ ამჩნევდა და დიდებული შაჰის მასპინძლობით თავს ერთობ კმაყოფილად და ბედნიერად გრძნობდა.

სპარსეთში ყოფნის მთელ მანძილზე მხოლოდ ორჯერ ვერ გაუძლო ცთუნებას და თანამემამულეებთან პირისპირ შეყრა მოინდომა.

პირველად ეს მაშინ მოხდა, როდესაც ერთ დიდ წვეულებაზე დასასწრებად შირაზიდან ფარსის ბეგლარბეგი იმამყული-ხან უნდილაძე ჩამობრძანდა და საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ ალი-ყაფუხ სატახტო დარბაზში შაჰ-აბასს ეწვია.

პატიოსანი თვლებით მოოქვილი ოქროს გვირგვინით თავშემკობილი, თავით ფეხებამდე ოქროში ჩამჯდარი შაჰ-აბასი, მარცხენა ხელის არათითზე უზარმაზარი ალმასის მეჭედი რომ უბრწყინავდა და თავისი ჩაცმულობის საერთო ელვარებით ყველა აქ მყოფს თვალს სჭრიდა, ფარსის ბეგლარბეგს, იგივე შირაზის ხანს, იმამყული-ხან უნდილაძეს, ისე პატივით შეხვდა, როგორც თანატოლი თანატოლს. წამოდგა, ოქროს ქოშების ციმციმით სამი საფეხური ჩამოიარა, თითქმის ნახევარი დარბაზი გამოვლო, ბეჭედებიანი ხელები ასწია და ჭერიდან დაშვებული ბრდღვიალა ჭაღის ქვეშ, როცა ახოვანმა, მთელი თავით მაღალმა იმამყული-ხანმა მუხლი სანახევროდ მოიდრეკა და თავი დაღუნა, რათა ხელზე ამბორი ეყო, შუბლზე აკოცა და ინით შეღებილი, ნელსაცხებლით დაზელილი ფუნჩულა ხელი საამბორებლად მხოლოდ ამის შემდეგ დაანება.

თეიმურაზი ტახტის მარჯვენა მხარეს იდგა შაჰის ამალაში და მშობელი ქვეყნისათვის სამუდამოდ დაკარგული თანამემამულის მეფური მიმოხრით და იმ არნახული მიღებით მოხიბლული, რომელიც მას საკუთარი უზენაესობით ცად ამაღლებულმა შაჰმა მოუწყო, იმამყული-ხანს თვალს ვერ აშორებდა.

ისინი კიდევ ერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს, როდესაც შაჰი ნადიმად ჯდებოდა.

— გავიგე. დიდად ვწუხ!..— მხოლოდ ამის თქმა მოასწრო ბეგლარბეგმა და გაშლილი სუფრის წინ, ყაენის მხარმარჯვნივ, ხალიჩაზე მოიკეცა. -

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან. „გავიგე. დიდად ვწუხ!..“ რა გაიგო? ანას სიკვდილი? რაკი ეს გაიგო და წუხს კიდევაც, მაშასადამე,

გული ჯერ კიდევ არ გასცივებია, მიუხედავად რჯულის შეცვლისა, თვალი და ყური იქით, სამშობლოსაკენ აქვს და სხვა ბევრი რამეც ეცოდინებაა მშობლიური ენაც ხსომებია, რაკი სამად სამი სიტყვით ასე ბევრის თქმა მოახერხა!..

თავისიანთან პირისპირ შეყრის სურვილმა გული მეორედ მაშინ შეუძრა, როცა შაჰმა ჯარების აღლუმი მოაწყო და უცხოელ დესპანებთან და სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად თეიმურაზიც იქ მიიწვია.

აღლუმი აჯანყებული ავღანი ტომების საბოლოო დაწყნარებას და მათ ქვეყანაში სპარსეთის ჯარების ძლევამოსილ გამარჯვებას მიეძღვნა.

აღლუმის სამზადისი ადრიან დილიდანვე დაიწყო. შაჰს გადაწყვეტილი ჰქონდა, თავისი არმიის მხედრული წესრიგით, გაწვრთნილობით, შეიარაღებით და რაც მთავარია, ახალი საომარი იარაღით მსოფლიო გაეკვირვებინა, თანამდგომნი შემოემტკიცებინა, ხოლო მტრისთვის კი შიში ჩაენერგა.

ეს ახალი საკვირველი იარაღი გახლდათ სწრაფმსროლელი ზარბაზანი, რომელიც სპარსელებმა რუსებისაგან გადმოიღეს და მით თავისი საგანგებო დანიშნულების ჯარები შეაიარაღეს. ახალ იარაღს, სწრაფმსროლელ ზარბაზანს, უმთავრესად მიუდგომელი ციხეების დასანგრევად, ანდა ციხის კედლებში ხვრელების გასაკეთებლად იყენებდნენ და ამ თავის დანიშნულობას ის მართლაც სანაქებოდ ასრულებდა.

დილის ათის საათისათვის მეიდანე შაჰი — შაჰის მოედანი თვალისსეირის მოყვარული ჭრელჭრელა ლიანგით აივსო. გამობრძანდნენ უცხოელი დესპანები და ალი-ყაფუს ფართო აივანზე, მოედანს რომ გადმოყურებდა, მათთვის მიჩენილი ადგილები დაიკავეს. სულ ბოლოს გამოჩნდა მხედრულად ჩაცმული შაჰ-აბასი, მარჯვნივ და მარცხნივ სალამი უძღვნა ყველას, შუაში ჩადგა და ბუკსაც ჰკრეს, ათასობით საყვირმა ქალაქს აღლუმის დაწყება აუწყა.

ჯერ სახეზე ჩაფხუტჩამოფარებულმა და ჯაჭვის პერანგიანმა მსუბუქმა ქვეითმა ჯარმა გაიარა. ეს ჯარი ათასეულებად იყო დაწყობილი და განიერი მწკრივებით ქუჩას კიდით კიდემდე ავსებდა. ათასეულებს სათვალავი არ ჰქონდა. ესენი რომ მწყობრი ნაბიჯით მოედანზე შემოდიოდნენ, მეორენი უკვე ლოთფოლას მიზგითთან იყვნენ, ალაევრდი-ხან უნდილაძის კამარებიან ხიდზე მიაბიჯებდნენ და ხიდს იქით თვალს ეფარებოდნენ.

მოისრებს შუბოსნები და მეარკებუზეები მოჰყვნენ მაღალ ტარზე მიმაგრებული ჩალისფერი ალმის ფრიალით. ეს შაჰის

მძიმე ქვეითი ჯარი იყო, მთავარი დამრტყმელი ძალა როგორც იერიშის დროს, ისე მოგერიებისას. შუბოსანთა და მეარკებუ-ზეთა ათასეულები, მოისართა მსგავსად, ალი-ყაფუს აივანზე გადმომდგარ შაჰთან მოახლოებისას ნაბიჯს სიმტკიცეს უმა-ტებდნენ და ზუსტად გამოზომილი მოძრაობით იარაღს საბრძოლველად იმარჯვებდნენ, რასაც შაჰთან ერთად აივანზე მყოფი უცხოელები და სასახლის დიდკაცობა ერთსულოვანი ტაშითა და მოწონების შეძახილებით ხვდებოდა.

შუბების ტყე რომ ჩათავდა, სადღაც ძირს გაგრძელებული, ძარღვებში სისხლის ამაჩქროლებელი ჭყვიტინა ჰანგები გაისმა და მოედანზე ჯაჭვ-მუზარადში მკვიდრად ჩამჯდარი მძიმე ცხენოსანი ჯარის ესკადრონები შემოვიდნენ.

„ქართველები!“ — გაიფიქრა თეიმურაზმა და გულმა გამალებით დაუწყო ძგერა, შეუმჩნევლად ნაბიჯი წინ წასდგა, მეწინავე რაზმს ხარბად დააკვირდა. უნდოდა ეკითხა, ვინ არის ის თეთრმოსასხამიანი გოლიათი, დარახტულ ცხენზე რომ ზის და ჯარს წინ მოუძღვისო, მაგრამ თავი შეიკავა, არ იკითხა. ირგვლივ მხოლოდ უცხოელები ეხვევნენ, რომელთაგან ზოგს ლორნეტი მოემარჯვებინა, ზოგს ხელი მოეჩრდილა, ზოგიც თვალებზე მორგებული დურბინდით გასცქეროდა უწყვეტ ნაკადად მომავალ ჯარს, რომელიც გნებავთ ქვეყნის წალეკვა რომ შეეძლო და საკადრის პასუხს ვერავინ გასცემდა!

კითხვა არც იყო საჭირო. მძიმე ცხენოსან ჯარს, ირანის შაჰები და მათ შორის აბასიც, მხოლოდ ქართველებისაგან რომ ადგენდნენ, წინ ქართლის დიდი მოურავი, სამშობლოდან გამოძევებული, დიდგვაროვან თანამემამულეთაგან სასიკვდი-ლოდ დევნილი, ამჟამად კი ავღანეთის გმირი გიორგი სააკაძე მოუძღოდა!

აღლუმი ორ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. აივანზე გამოფენილი დიდკაცობა დაიღალა მზისგულზე ფეხზე დგო-მით, დაღლა მხოლოდ თავის ამქვეყნიურ დიდებას დაწაფებულ შაჰს არ ემჩნეოდა. სანახაობის დამთავრებას საშველი რომ არ დაადგა, უცხოელთაგან ბევრმა წასვლა, ჩაციებული ვარდის წყლის მოწრუპვა და ჩრდილში შეფარება ამჯობინა. მოედანზე ხალხი.არ იშლებოდა, არც გაფიცხებული მემუსიკეები ცხრე-ბოდნენ. ბრბო თავისებური აღტაცებული გუგუნით მიაცი-ლებდა ჯარს, რომელსაც უკლებლივ ყველა ქვეყანაში, სადაც კი ფეხს შესდგამდა, მხოლოდ სისხლისღვრა და ვაი-ვიში მიჰქონდა, თავს ზემოთ ჩალმებს, ფერად-ფერად თავსაფრებს ისროდა და რაღაც გაურკვეველს ღრიალებდა.

— არ მინდოდა, შინ ისე გამეშვი, რომ ეს საგაზაფხულო აღლუმი არ გენახა, — უთხრა საღამოს ხალათწამოსხმულმა, ფოსტლებში შიშველფეხწადგმულმა შაჰ-აბასმა თეიმურაზს, რომელსაც დაუსრულებელმა ლოდინმა თვალები გამოუღამა და აღარც კი ეგონა, თუ შინ დაბრუნება ოდესმე კიდევ მოუწევდა. — ამას ავღანისტანში ჩვენი ჯარების გამარჯვებაც ზედ დაერთო. გულახდილად მითხარი, ხომ მოგეწონა?

— ვის არ მოეწონებოდა, თქვენო უდიდებულესობავ!

— არა, სიმართლე მითხარი, ხომ იცი, მე სიმართლე მიყვარს!

— სრულ სიმართლეს მოგახსენებ, თქვენო უდიდებულესობავ, ამგვარი დიდებული რამ არც ერთ დიდ ხელმწიფეს არ დაესიზმრება!

— ყველა გულზე გასკდა, მეტადრე ინგლისელები და პრუსიელები, ოსმალო ყვავზე კიდევაც რომ არაფერი ვთქვათ! — შაჰმა ერთხელ კიდევ გაკენწლა სულთნის ელჩი, დარბაზობაზე ვილაც სპარსელ აიათოლას რომ მიამსგავსა და ამის გამო ბევრიც იცინა.

— რუსებიც, თქვენო უდიდებულესობავ! — ვასიამოვნებო, გაიფიქრა და ცოტა არ იყოს, წაუპირფერა თეიმურაზმა.

— კარგად შეგიტყვია, ყოჩაღ! სხვებზე მეტად სწორედ მაგათ ჰირთ ჩვენი ჯავრი. თვალი აქეთ უპირავთ, ინდოეთისაკენ გაპრაზე ოცნებობენ. ბრაწ, ვერ მივართვი! ამიტომაც მოვითხოვ შენგან და ლუარსაბისაგან მაგათგან შორს დგომას! აქე და ერიდეო, ხომ გაგიგონია? ცბიერები და დაუნდობლები არიან. მონღოლური სისხლი თავისას შვრება. ალაჰის მადლმა! საქმეში მარტო თავის გამოსარჩენს ეძებენ. ზოგი რამ რომ შენთვისაც გაიმეტონ, მაგას არ ფიქრობენ!

— სრულ ჰეშმარიტებას ბრძანებთ, თქვენო უდიდებულესობავ!

— თხოვნის განმეორება ეგონებ აღარ მჭირდება. ყველაფერს მიხვედრილი ხარ. აგრე გადაეცი ლუარსაბსაც, როცა ნახავ. თქვენ, ორივე, შენ და ლუარსაბი, ჩემი საყვარელი უმცროსი ძმები ხართ. თუ ბოლომდე ერთგულებას გამიწევთ, ვფიცავ ალაჰს, პირშავობას არც ჩვენ გამოვიჩენთ. თეიმურაზ!

— გისმენთ, თქვენო უდიდებულესობავ!

— მე ერთი კარგი აზრი მომივიდა თავში და თუ არ მიწყენ, უნდა გაგიზიარო!

— ბრძანეთ, თქვენო უდიდებულესობავ!

— აგრე ცალად როდემდე უნდა იარო? ანა მშვენიერი ქალი იყო, აცხონოს ღმერთმა, კარგი მეუღლეობაც გაგიწია, ორი შვილი გაჩუქა, შენც ვაქკაცი ქმარი იყავი, ვაქკაცურად დაიტირე და იგლოვე. მაგრამ ცხოვრება თავისას მოითხოვს: ტახტი უდედოფლოდ არ იქნება! უნდა დაქორწინდე! რას იტყვი ამაზე?

თეიმურაზმა თავი ჩაღუნა, თქმით კი არაფერი თქვა.

— ლირსეულ სადედოფლო ქალს სპარსეთშიაც ვიშოვნიდით, მაგრამ მე არ მინდა ძალა დაგატანო და ჩვენებური ქალი შეგრთო. შენ, ალბათ, შენიანს, ქართველს, ქრისტიან ქალს ირჩევ. ასწიე თავი, შემომხედე, განა ურიგო სიტყვას გეუბნები?!

თეიმურაზმა თავი ასწია და ტიბეტური კატის მრგვალ, ჩხია თვალებს, მიბრჯნით და უძრავად რომ უყურებდნენ, თვალი გაუსწორა.

— ანას შემდეგ მე აღარავინ მინდოდა. აღთქმა მივეცი...

— აღთქმა აღთქმად, ჩემო თეიმურაზ და ცხოვრებას ფხიზელი თვალით უნდა შევხედოთ. სად გაგონილა, შენი ხნის კაცი, ისიც მეფე, უცოლოდ დარჩენილიყოს და მთელი თავისი სიცოცხლე გარდაცვლილის გლოვაში გაეტარებინოს! ახალ ცოლს ახალი მოყვარე მოჰყვება, ახალი მხარდამჭერი და ჭირისა და ლხინის გამზიარებელი! აბა, კარგად დაფიქრდი, აგრე არ არის?

— აგრეა, თქვენო უდიდებულესობავ!..

— მაშ, რაღას ვდავობთ? რას იტყვი, ქართლელი ქალი რომ შემოგთავაზოთ?

თეიმურაზს უნებლიეთ კინაღამ სიცილი წასკდა. ის სულ სხვა რამეს, რაღაც ენით გამოუთქმელ საშინელებას მოელოდა და როცა ის გაიგონა, რაც შაჰმა ბრძანა, ძლივს შვებით ამოისუნთქა და გულზე მოეშვა.

აბასმა განაგრძო:

— სარძლო მე უკვე შევარჩიე. ახლა შენი დასტური მჭირდება. რას იტყვი ქართლის ვალის ლუარსაბის დაზე, ხორეშანზე, შინაურობაში ვარდისფერსაც რომ ეძახიან? მისი ქება ბევრჯერ მსმენია. ისიც მსმენია, შენ გულგრილად ვერ უყურებ ხორეშანს. ვიდრე გურიელს დაუმოყვრდებოდი, თვალი ხორეშანზე გეჭირა. ასეა?

თეიმურაზი გაფითრდა, ორივე ხელი გულზე იტაცა და თითქოს მოღერებული მახვილი უნდა აიცდინოსო, უკან დაიხია.

— ჰო, რა იყო? — გაიკვირვა შაჰ-აბასმა და შემჭკნარი ქვედა ტუჩი ცუღლუტურად აუთამაშდა, გაილიმა.

— ეგ შეუძლებელია, თქვენო უდიდებულესობავ!

— რატომ? — შაჰმა ერთმანეთზე გადაბმული წარბები აძგიბა.

— თქვენს უდიდებულესობას კარგად მოეხსენება, რა-ტომაც არის ეს შეუძლებელი!

— არა, მე არაფერიც არ მომეხსენება!

— ხორეშანი ჩემი სისხლისმიერი ნათესავია. პაპაჩემი ალექსანდრე და ბებიამისი ნესტანდარეჯანი და-ძმანი იყვნენ! ჩვენს შეუღლებას თვით ზეცა კრძალავს!

— ზეცასთან მე გიშუამდგომლებ, თეიმურაზ, მე შენს პირად აზრს გეკითხები: ქალს ხომ არ იწუნებ?

— ეკლესია ნებას არ დაგვრთავს, თქვენო უდიდებულ-ესობავ! შეგვაჩვენებენ მეც და ხორეშანსაც სისხლის აღრევი-სათვის. ქვეყანას მტრად მოვიკიდებ. გაგვაძევებენ, ხატს გადაგვცემენ! დედას ვერ გავუმხელ!.. ნუ დამღუპავ, თქვენი მუხლების ჭირიმე, თქვენო უდიდებულესობავ, მაგას ნუ დამავალებ! მირჩევნია, თქვენი უდიდებულესობის მიერ ნაბო-ძები ტახტი დავთმო და სამშობლოდან გადავიხვეწო, ვიდრე მაგ ღვთის გამარისხებელ ცოდვას ჩავიდენდე!

ამ სიტყვებით თეიმურაზმა დაიჩოქა და მუდარის ნიშნად ორივე ხელი შაჰისაკენ გაიწვდინა.

შაჰი რამდენიმე წამს ყოყმანობდა, ფიქრობდა, გონების სასწორზე სწონიდა, რა სჭარბობდა ახალგაზრდა ვალის ხვეწნა-მუდარაში, გულწრფელი უარი თუ რაღაც სხვა ანგარიში და როდესაც მის თვალებზე ცრემლის წინწკლები შენიშნა, გადმოიხარა, მხარში ძლიერი ხელი ჩასჭიდა და წამოაყენა.

— როგორ გეტყობა, რომ ჯერ კიდევ ბალღი ხარ და სახელმწიფო საქმეებისა არა გესმის რა! ნუთუ ვერ ხედავ, რომ ხორეშანზე დაქორწინებით შენ ქართლის ტახტზე მემკვიდრეობას იძენ? ლუარსაბს ნადირობაში შეიძლება ტოლი არა ჰყავდეს, მაგრამ ხასიათით კი სუსტი კაცია, სუსტი მეფეა, სხვისი ხელით სათრევია. ეს შენ ჩემზე უკეთ იცი. ალაჰმა უწყის, ხვალ რა სისულელეს ჩაადენინებენ და რომელ კლდეზე

გადააგდებენ ურჩი თავადები! ერთხელ ხომ გადააგდეს! ხომ შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს ტახტი უმეფოდ დარჩეს? კანონის ძალით ვინ შეიძლება დაეპატრონოს მას, თუ არა ქართლის ბატონიშვილის, ხორეშანის, სჯულიერი თანამეცხედრე, სიძე, კახეთის მეფე თეიმურაზი?

— ეგ როგორ გავიგო, თქვენო უდიდებულესობავ?

თეიმურაზს არ უნდოდა დაეჯერებინა, რომ შაჰი ლუარსაბს ტახტიდან გადაყენებას უპირებდა და მას, თეიმურაზს, ბატონიშვილ ხორეშანზე დაქორწინების გზით ქართლის ტახტს, ანუ გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფობას სთავაზობდა. აშკარად ჩანდა, რომ ყაენის საყვარელ სარდალს, ამჯერად მის მარჯვენა ხელს, დიდ მოურავ გიორგი საკაძეს თავისი ჯავრი უკვე ამოეყარა და შაჰის წყალობა, რითაც აქამდე ლუარსაბი სარგებლობდა, რისხვით შეეცვალა.

— ისე უნდა გაიგო, როგორც გეუბნები: ცრუმორწმუნეობას თავი უნდა დაანებო და ყველა წესისა და რიგის მიხედვით ხორეშანზე იქორწინო. ქეთევანთან და სამღვდელოებასთან მოლაპარაკებას მე ვკისრულობ. წინდაწინ კაცებს გავგზავნი. ისინი შენ გაგასწრებენ და სანამ კახეთს მიხვიდოდე, იქ ყველა საქმეს მოგიგვარებენ. მეტი რა გიყო, ხომ არ წამოვალ და შენს მაგივრად ყველაფერს მე არ გავაკეთებ! მაშ, ასე, ჩემო კარგო თეიმურაზ, საყვარელო ცოლისძმავ. საქმეს სამერმისოდ გადადება არ უყვარს. ვინ იცის, ხვალ რა ხდება! უბრძანე შენს ხალხს, მოემზადონ. მეც არ დაგაბრკოლებ. ორასი ყიზილბაში არაქსამდე მიგაცილებს და მერე შენ იცოდე და შენმა ვაჟკაცობამ! ღამე ნებისა!..

თავი XLIV

კახეთ-კუხეთს კიდიდან კიდემდე მოედო თავზარდამცემი ამბავი: წყეულ შაჰ-აბასს, სპარსეთის ყაენს, ჩვენი ბატონი მეფე თეიმურაზი გაუთათრებია, სპარსეთის ყულარაღასობა უბოძებია, ოქროთი აუვსია და უკან, სამშობლოში იმ პირობით გამოუშვია, თუ ქრისტეს ჯვარზე ფეხს დაამიჯებს, მამა-პაპის ქრისტიანულ ადათზე უარს იტყვის და თავის ახლო ნათესავს, გიორგი ქართლის მეფის ასულს, მეფე ლუარსაბის დას, ბატონიშვილ ხორეშანს, დედოფლად დაისვამსო. გათათრებული თეიმურაზი ამაზე სიხარულით დათანხმებულა, ცხენი

შეუკაზმვინებია და სამშობლოსაკენ სულ ჭენებ-ჭენებით წამოსულაო.

— ეგ რა ესმის ჩემს დასავსებ ყურებსა, ქა, — ლოყებს იხოკდნენ ამის გამგონე გლეხის ქალები და მუხლებზე ხელებს იტყაპუნებდნენ. — ეგ რამ აფიქრებინა იმ ბედდამწვარსა, ეგ რა მეხი დასტეხია, გადაურევია ქრისტე-ღმერთსა და ეგ არის!

— მაგათ სისხლში აქვთ თათრობაი. მაგის ბიძა არ იყო გათათრებული კონსტანტინე, მამას და ძმას ღალატით ყელი რომ გამოსჭრა, თავები შაჰს ძღვნად მიართო, რძალს კი, ძმის ცოლსა, — ფუი ეშმაკს! — ქეთევან დედოფალს, შუამავლები მიუგზავნა, ცოლად გამომყე და ბედსა გწევო?

— უი, უი, უი, გადაშენდნენ ეგენი, ეგ უპირულები, ეგ გაუმაძღრები, ეგ ქრისტეს ფეხის მომტეხლები, ურჯულოები და ურჯულოს ნაშიერები!

— განა პაპა კი ყავდა უკეთესი? კახბატონი ალექსანდრე არ ბრძანდებოდა, სიძეს, ქართლის მეფე სიმონს, ომი რომ აუტეხა, მიპარვით დილომში რომ დაეცა, ააწიოკა, ხალხი დაუხოცა, მისი ცოლის, ნესტანდარეჯანის, თავისი ღვიძლი დის ნიფხავი შუბის წვერზე გაჰკიდა და უკან ვითომ გამარჯვებული გამობრუნდა? რამდენი ხალხი შეეწირა მაგ ამბავს! მერე სიმონმა ძალი მოიცა, მოვიდა, დაამარცხა, ჯარიანად მცხეთაში ჩარეკა და სვეტიცხოველში, — გვწყალობდეს მისი მადლი, ამინ! — ხატის წინაშე დააფიცა, ალარასოდეს გაემარჯვოთ კახთ ქართლელებზედაო. ვინ იყო ისა, პაპამაგისი კახბატონი ალექსანდრე არა ბრძანდებოდა?

აღშფოთებულმა ერმა ყველაფერი წერილად გაიხსენა, სამზეოზე გამოფინა დავიწყების სკივრში გადანახული ყველა სიავე, რომელიც კი კახელ ბაგრატიონებს, თეიმურაზის ახლო თუ შორეულ წინაპრებს, ერთმანეთის თუ ერის წინაშე მიუძღვოდათ. არ დავიწყებიათ არც დავით მეფე, მამა თეიმურაზისა, ჭირვეული და სისხლისღვრის მოყვარე ბატონი, მოხუცებული მამა რომ ტახტიდან გადააგდო, გვირგვინი რომ ძალად დაიდგა, გადამთიელ ავაზაკებს რომ მფარველობდა და საკუთარი ერის შვილებს კრიჭაში უდგა, გასაქანს არ აძლევდა, არც პაპის პაპა ავ-გიორგი. თავად თეიმურაზი ვიზე უკეთესი იყო? ეგ არ ბრძანდებოდა, კისისხევში ტახტის წინაშე დამსახურებულ კაცს, ქაიხოსრო ომანიშვილს უდანაშაულოდ

თვალები რომ დათხარა და საცოდავს სინათლე სამუდამოდ წაართო?

ტყუილ-მართალი, მთელს ქვეყანაში რომ ბობოქრობდა და სამეფო კარს აკლებით ემუქრებოდა, დღითიდღე თანდათან დაიწმინდა. გამოირკვა, რომ, ანდაზისა არ იყოს, მთლად ისე არ წვიმდა, როგორც ქუხდა. უპირველეს ყოვლისა ნუგეშსა და შემსუბუქებას ბადებდა ის, რომ თეიმურაზის მიერ ქრისტეს რჯულის უარყოფისა და მაჰმადის რჯულზე შედგომის ამბავი ჭორი გამოდგა. იქნებ თეიმურაზისა და ბატონიშვილ ხორეშანის მოსალოდნელი ქორწინების ამბავიც ავყიებმა მოიგონეს და ერში თეიმურაზის საწინააღმდეგო განწყობილების დასათესად აერცელებდნენ?

ხალხმა თანდათან გული მოიბრუნა. რაკი თავისი მეფე კვლავაც ქრისტესმოსავად ეგულებოდა, თავადვე ცდილობდა, ყოველი მისი გადაწყვეტილებისა და ნაბიჯისათვის გამართლება მოეძებნა.

იგივე ჭორებსა და მითქმა-მოთქმას შეეპყრო ქართლიც, მეტადრე ტფილისი, ვიდრე ისპაჰანიდან საგანგებოდ გამოგზავნილი კაცები არ მოვიდნენ, მეფე ლუარსაბი არ დაიმართოხელეს და შაჰის ფიცხელი ბრძანება არ გადასცეს.

სასახლე გლოვამ მოიცვა. მეფე ჩაიკეტა. ახლოსაც აღარავის იკარებდა. ათასწილ ერჩივნა, საყვარელი და წინ გულზე ხელებდაკრეფილი სვენებოდა, ვიდრე საბედისწერო ნაბიჯი გადაედგა, ცოდვის თანამონაწილე გამხდარიყო და შაჰის წინადადებაზე, არსაიდან რომ არ შემოველებოდა, თანხმობა განეცხადებინა.

სპარსელები პასუხს ელოდნენ, მაგრამ არ ჩქარობდნენ. შაჰისაგან ნაბრძანები ჰქონდათ, ძალა არავისთვის დაეტანებინათ, ყოველივე ნებაყოფლობით უნდა მომხდარიყო, მხოლოდ კათალიკოსსა და მის კრებულს დასჭირდებოდა შეგონება, რომ ქართლი მისი ერითა და ეკლესიითურთ სპარსეთის ხელდებული იყო და თუკი საქმე მოითხოვდა, ეკლესიასაც უზენაესი ამქვეყნიური მსაჯულის, ყაენის ნება-სურვილის უდრტვინველად აღსრულება მართებდა.

გადამწყვეტი სიტყვის თქმა ისევ მეფის აღმზრდელს, სუფრაჯ შადიმან ბარათაშვილს მოუხდა. ის მარტო შევიდა მეფესთან, თუმცა ნაბრძანები იყო, არავინ შეეშვათ და მოახსენა, რომ შაჰის ამ უკადრისი შემონათვალის უგულებელყოფა არასდიდებით არ ეგებოდა, ვინაიდან, მისი შეტყო-

ბით, შემონათვალის უკან თვით მეფის დაუძინებელი მტერი მოურავი გიორგი სააკაძე იდგა. შაჰ-აბასი საბაბს ეძებდა ლუარსაბთან წასაჩხუბებლად, რათა სააკაძისათვის დამსჯელი ჯარი მიეცა და ის სამშობლოს ასაოხრებლად გამოეგზავნა. ლუარსაბი არ უნდა წამოგებოდა მარჯვედ ნასროლ ანკესს, ხორეშანისა და თეიმურაზის ქორწინებაზე, თუმცა ამას ყველა საეკლესიო წესი და კანონი კრძალავდა, არამც და არამც უარი არ უნდა ეთქვა!

ბრძენი და შორსმჭვრეტელი აღმზრდელის სიტყვებმა, როგორც ყოველთვის, ლუარსაბი ადვილად დაარწმუნა, რომ ამ ამბავში ოდესღაც მისი საყვარელი ცოლისძმა, ქართლის მოურავი გიორგი სააკაძე ერია, რომლის წინაშეც თავს დამნაშავედ გრძნობდა და ხორეშანის ქორწინებაზე თანხმობის გამოცხადება დიდხანს აღარ დაუყოვნებია.

ცოტა უფრო გართულდა და გაჯანჯღლდა საქმე მცხეთის საპატრიარქოში. იქ სათითაოდ გადააქოთეს ძველი მატიანეები და სიგელ-გურჯები. ეძებდნენ უტყუარ საბუთს, რომელიც მათი ცოდვის სიმძიმეს შეამსუბუქებდა, მაგრამ ასეთი ვერსად ვერაფერი იპოვნეს და იძულებული გახდნენ, ღვთისა და ერის წინაშე პასუხისმგებლობა პირადად ეკისრათ, სისხლით ნათესავების შეუღლების ნება დაერთოთ.

კახბატონისა და ბატონიშვილ ხორეშანის მოახლეებული ქორწინების ამბავი დიდსა და პატარას პირზე ეკერა. კახეთის მსგავსად ხალხი აქაც უკმაყოფილოდ ჩურჩულებდა, მარჩიელობდა, მართალია, რასაც ქვეყანა ლაპარაკობს, თუ ესეც მორიგი ჭირიაო.

— ღმერთო, დიდებულო, — კვირობდნენ ქალაქელები, ქალი თუ კაცი და სიონისაკენ პირმიბრუნებულნი პირჯვარს იწერდნენ. — რა გაუჭირათ ამის ფასი ან ერთს ან მეორეს, მაგათი შესაფერი სასიძო და საპატარძლო გაწყვა ქვეყანაზე, ბიძაშვილ-მამიდაშვილი ერთმანეთს რომ არ დატაკებოდნენ?

— არ იცი შენ, რაშია საქმე. ენას ტყუილად რაზე ატარტარებ?!

— მე ვატარტარებ ენას? შენ თქვი უკეთესი!

— ვიტყვი, შენ გგონია, არ ვიტყვი?

— თქვი, ჰე, ნუ დაგეხოცე ხალხი!

— ყაენის ბრძანება ყოფილა!

— რა ყოფილა, შვილო, ყაენის ბრძანება?

— რომ თეიმურაზმა ხორეშანი დედოფლად დაისვას! თეიმურაზი მაგისთვის დაუბარებია და შარშან შემოდგომას აქეთ იქ ჰყოლია!

— რა იცი შენ?

— ვიცი, როცა ვამბობ!

— ვერ უთხრა მერე მამაცხონებულმა, ნათესავები ვართ, ახლო ნათესავები და ეგ ჩვენში, ქრისტიანებში, არ მოდისო? მაინც ვინ მოგახსენა, ასე იყოო?

— თუ ჩემი არ გჯერა, კითხე ბიჭებს, ვინც კახბატონს ისპაჰანში ახლდა. ჩემი ყურით გავიგონე, სხვის განაგონს კი არ გეუბნებით! თეიმურაზი უარზე ყოფილა. ტახტს დავთმობ და მაგას ვერ ვიზამ, ცოდვაში ვერ ჩავდგებიო!

— მერე, მერე?

— რა მერე, შვილოსან, შაჰის სიტყვა შენ ის ხომ არ გგონია! ავარდა და დავარდა თურმე. ეტყობა, ღალატი გიდევთ გულში შენცა და ლუარსაბსაც, რუსხელმწიფესთან ხართ შეკრული და სპარსეთის დამხობას აპირებთო. ან გაიელი ჩემს ჭკუაზე, გვერდში მოისვამ იმ შენს ნათესავ ქალს, ანდა პირადად მე მოვალ დიდი ჯარით და კახეთსაც მოვთხრი და ქართლსაცო. ერთი ეს გვიბრძანე, შენ რას იზამდი, თეიმურაზ მეფის ადგილზე რომ ყოფილიყავი, ცოდვაში ფეხის ჩადგმას არჩევდი თუ საბატონო ქვეყნის დაქცევას?!

იმან, ვინც თავს იდებდა, გინდათ თუ არა, ყველაფერი მაგათი ბრალიაო, პირი მიიბრუნა და პასუხი აღარ გასცა, მოსმენილით შეფიქრიანებულმა მოქალაქეებმა კი სწორედ ის გაამტყუნეს:

— კაცზე ძვირი არ უნდა თქო, ქაჯან, სანამ კარგად არ შაიტყობ და არ აწონ-დაწონი საქმეს! შენ რა იცი, ვის გულში რა ცეცხლი ტრიალებს? ვინც შენ უფრო მოლხენილი გგონია, იქნებ ის შენზე უფრო გაჭირვებულია?!

— თქვენ რაღა იცით, რომ, რაც ამან მოგახსენათ, მართალია?

— ეგ ჩვენ არ ვიცით, მაგრამ რაღაც კალო რომ ილეწება, მაგას კი ეხედავთ! აგრე რომ არ იყოს, კათალიკოსი, თავს მოიკლავდა და ნებას არ დართავდა, ქაჯან. დართავდა? წმინდა კაცია, რჯული და ჭკუა განა ჩვენგან ესწავლება!

ეს რომ გაიგონეს, ხახაგამშრალ ცნობისმოყვარეთა რკალი, თანდათან რომ იზრდებოდა, უფრო მჭიდროდ შეიკრა:

— როგორ, კაცო, კათალიკოსმა ნება უკვე დართო?

— მა როგორა გგონია!

მეტეხის ნესტიან კედელთან თავშეყრილი მდაბიო მოქალაქენი, მკალავები, მეჩექმეები, ხელზე მოვაკრე დუქნის ბიჭები, მეთულუხჩენი და სხვანი რომ ამ დავასა და კამათში იყვნენ, ჭაღებით გაჩახჩახებულ ისნის სასახლეში, აქაურობას ქარაფიდან რომ გადმოჰყურებდა და შორით შუქს ჰფენდა, სულ სხვა ამბავი ხდებოდა.

ქართლის სამეფო კარის მომავალი სიძე-ბატონი მეფე თეიმურაზი მზის ჩასვლისას მოადგა კრწანისის კარს და ქალაქში შემოვიდა. დიდებული სანახავი იყო მისი შემოსვლა. ქუჩებში და მოედნებზე გამოფენილი ზღვა ხალხი ზარ-ზეიმით ხვდებოდა და თეთრ ცხენზე მჯდომი თავადაც მოწყალედ მიესალმებოდა სატახტო ქალაქის აღფრთოვანებულ მოქალაქეთ. სიონის, ანჩისხატისა და შუაბაზრის ეკლესიებში ზარების საზეიმო გუგუნი ატყდა. შურისციხისა და მეტეხის ქონგურებზე ზარბაზნები დასცალეს.

სასახლეში მხოლოდ მეფის ახლო ნათესავები, კათალიკოსი, რამდენიმე სამღვდელო პირი, დიდებულები და ქალაქის მოურავი მოეწვიათ. ხალხმრავლობა არც კახელთა მხრიდან იყო. თეიმურაზს მხოლოდ ძმები ვაჩნაძეები და ახალგაზრდა თავადიშვილები ახლდნენ, სპარსეთი რომ მოიარეს და ახლა თავის ბატონთან ერთად შინ ბრუნდებოდნენ.

არც ცათა სწორი შაჰ-აბასის შეუვალი ბრძანება და არც უწმიდესი და უნეტარესი კათალიკოსის ნებართვა, რომელთა ძალითაც ღვთისაგან აკრძალული ჯვარისწერა უნდა მომხდარიყო, არავის უხსენებია. ის, რაც ახლა ხდებოდა, არაფრით მიაგავდა კუბოს ფიცრამდე სამახსოვრო სასიხარულო ამბავს, წარუშლელ კვალს რომ სტოვებს ახალშეუღლებულთა ცხოვრებაში.

დარბაზში ნამტირალევი, სირცხვილისაგან ღაწვებალეწილი, სახეზე მანდილჩამოფარებული ხორეშანი შემოიყვანეს და არანაკლებ შეცბუნებულ თეიმურაზს გვერდში ამოუყენეს. თეიმურაზი შემობრუნდა, დაიხარა, მოწიწებით დასწვდა ქალის პაწია მარჯვენა ხელს, რომელიც გაყინული ეჩვენა და არათითზე ქორწინების ოქროს ბეჭედი წამოაცვა. ამით თითქოს ყველაზე ძნელი და საჩოთირო ამბავი დამთავრდა. დანარჩენი თავისთავად, თავისი რიგით უნდა მომხდარიყო.

ხალხის მეტისმეტ მოზღვავებისაგან რომ თავი დაეზღვიათ, ნაუცბათევი ჯვრისწერა იქვე, კარის ეკლესიაში შესდგა.

იგი თვით უწმინდესმა კათალიკოსმა ზებედემ წარმართა და მონა ღვთისა თეიმურაზი და მხევალი ღვთისა ხორეშანი აწ და მარადის ცოლქმრული კავშირით შეაერთა.

"ანა კი იქ არის, ციცი ლოდის ქვეშ, ციცვ მიწაში!..." — ეძალებოდა ფიქრი თეიმურაზს და მთელ ნებისყოფას ძაბავდა, რათა იგი თავიდან მოეშორებინა. "ანა კი იქ არის, ციცი ლოდის ქვეშ!..." ეს აკვიატებული სიტყვები, ეკლესიაში ფეხის შედგმის წუთიდანვე რომ სდევნიდნენ და სულს უშფოთებდნენ, ვერ იქნა და ვერ მოიშორა. იგი თითქოს პასუხი იყო რაღაც კითხვისა, უფრო კი გაგრძელება რაღაც სხვა სიტყვებისა, სხვა აზრისა, რომელიც თეიმურაზს არ წარმოუთქვამს და არც სურდა წარმოეთქვა.

თავი XLV

მცირე ქორწილი თეიმურაზმა თორღას ციხეში გადაიხადა. ეს ის ციხე იყო, რომელშიაც ოდესღაც რუსხელმწიფე ბორის გოდუნოვის ელჩები იდგნენ, ხოლო უფრო ადრე, თეიმურაზის პატარა ბიჭობაში, მამამისმა დავით მეფემ შეთქმული დიდგვაროვანნი გამოკეტა, სხვები ჰოეთის ციხის ქონგურიდან უფსკრულში გადაჩეხა და, ვინ იცის, ამ უბედურთ რა ხვედრს უმზადებდა, საღსალამათ ვაქკაცს თავზე სიკვდილის ანგელოსი რომ არ დასდგომოდა, დღე ნაადრევად არ მოესწრაფებინა და ტახტზე კვლავ ბერად აღკვეცილ სნეულ პაპა ალექსანდრეს არ მოსწეოდა ასვლა!

ის დღეები თეიმურაზს ბუნდოვნად ახსოვდა, თუმცა არცთუ ისე პატარა იყო, ბუნდოვნად ახსოვდა სიკვდილის სარეცელზე მწოლარე ფერწასული მამა, რომელთან გამოსასალმებლად გამდელებმა შეიყვანეს, მაგრამ მამას აღარაფერი გაუგია, რადგან გრძნობა უკვე წართმეული ჰქონდა.

ქეთევანი მშობლიური ქართლიდან მოსულ მაყრიონს არ შეხვედრია და არც ქორწილს დასწრებია. ლევან ბატონიშვილს ყივანა-ბატონები სჭირდა, სიცხიანი ჭირვეულობდა და შიშით, ვაითუ მწყალობელი ბატონები გაგვირისხდნენო, სასახლიდან ფეხს არ იცვლიდა.

სწორედ ამ დღეს, როდესაც მექორწილენი სატახტო ქალაქს მოადგნენ და მთელი ქალაქი მეფიონს კარიბჭეში გაეგება, ხველება ჯერ კიდევ ჩვილ, დედის მკერდს ნაადრევად

მოწყვეტილ ბატონიშვილ ალექსანდრესაც დააწყებინა და უამისოდაც გაწამებული ქეთევანი ახალ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. გამდელები თავს იკლავდნენ, ვიშვიშებდნენ, რა გვეშველებაო, ცდილობდნენ, დედოფლისათვის ბავშვები ხელიდან გამოეტაცათ და თვით მოევლოთ, მაგრამ ობოლი შვილიშვილების ცოდვით გულდათუთქული ქეთევანი ყველას თავიდან იშორებდა და ბალღებს უდროოდ მზედაბნელებული დედის მაგივრობას უწევდა.

ახალ რძალს, ახალგაზრდა დედოფალ ხორეშანს, შეიძლება ითქვას, იგი კარგად იცნობდა, ბალღობაშიაც და შემდგომ, ქალიშვილობაშიაც, არა ერთჯერ ენახა, თითქოს რაღაც გარდაუვალს წინასწარ გრძნობსო, გულშიაც გამუდმებით უჯდა, კახეთში მისი სტუმრობაც, შვილს რომ უცნაური ამჩატება შეამჩნია, ცოცხლად ახსოვდა, მაგრამ უჭირდა წარმოდგენა, რომ ანას ადგილი თეიმურაზის გვერდით ამიერიდან მას უნდა დაეკავებინა. სათაყვანებელი რძლის ულვთოდ დაკარგვის გამო გულში ჩაბუდებული ტკივილი ქეთევანისათვის იოლი მოსაქარვებელი როდი იყო. მას შემდეგ, რაც უბედური ანა მიწას მიაბარეს, დღე ისე არ გაივლიდა, გარდაცვლილის სულის საოხად სანთელი არ აენთო და ლოცვა არ აღევლინა. ვერც კი შეგუებოდა აზრს, რომ ანა ნამდვილად აღარ ჰყავდათ და ოჯახში უკვე ახალსული, ახალი ქალი, ახალი დედოფალი შემოდიოდა, რომელიც აქაურობას სულ მალე მტკიცე ხელით დაეპატრონებოდა, თითქოს ის, პირველი, ანა, ვინც თეიმურაზის შვილები, ახლა ჩაბჟირებული რომ ახველებდნენ და დროდადრო გულისმომწყველელად სლუკუნებდნენ, სადღაც წასულ დედას ისაკლისებდნენ, ცხრა თვე მუცლით ატარა, არც არასოდეს არსებულიყოს!

თეიმურაზს ფერი ეცვალა, დამხვდურთა შორის ქეთევანი რომ ვერ დალანდა. არა და, დედასთან შესახვედრად, მისთვის ცის მნათობთა სადარი თანამეცხედრის წარსადგენად ის წინასწარ ემზადებოდა. გულში ფარულმა შიშმა გაჰკრა, ვაითუ თავის ტკივილებმა გაუხსენეს და ცხენზე ამხედრება ვერ შესძლო, თორემ, ღმერთო, ძლიერო, დღეის დღეს შინ როგორ დადგებოდაო. თქმით არავინ არაფერს ამბობდა, ვერც თავად იკითხა. საქორწინო სუფრის ავანჩავანმა დარბაისლებმა, რომელთა შორის სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე, თიანეთის მოურავი თავადი ელიზბარი და თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილიც ერივნენ, გუნება რომ არ გაეფუჭებინათ, არც

შვილების ავადმყოფობა გაუმხილეს. ყივანა-ბატონების ამბავი მხოლოდ მაშინ შეიტყო, როცა სასახლეში ფეხი შესდგა და შემხვედრთა და მომლოცველთა შორის ქეთევანი კიდევ ვერ დაინახა. თეიმურაზს ალმური მოეკიდა. ეს ხუმრობა საქმე აღარ იყო. დედა ან უჯავრდებოდა, ასე აჩქარებულად, ჩემს დაუკითხავად ეს საპოქმანო საქმე როგორ გადაწყვიტე, მამა-პაპის რჯულის შელახვას განა არა ჯობდა, სიკვდილამდე ცალად გევლოო, ანდა პატარა ბატონიშვილებს სჭირდათ რაღაც ისეთი, რაც მათ თავგადაკლულ ბებიას გარეთ გამოსვლის და მოზეიმე ქვეშევრდომებში გარეევის საშუალებას არ აძლევდა.

თეიმურაზმა ყველას ზურგი შეაქცია, ახალჯვარდაწერილ თანამეცხედრეს, უკვე თავს რომ ერჩივნა, გულაძგერებულმა ხელი ხელში ჩასჭიდა და ბატონიშვილების ოთახისაკენ გააქანა, სადაც მისი ანგარიშით დედა უნდა დახვედროდა.

ქეთევანი უკვე ჩაცმული იყო. თვით აპირებდა გასვლას ჯვარდაწერილთა შესაგებებლად. თვალი კარზე ეჭირა, ან ახლა მომახარებენ მათ მოსვლას ან ახლაო. სულ არ მოელოდა თუ თავზე ასე გაუფრთხილებლად დაადგებოდნენ. სპარსულ ტალავარში გამოწყობილი, თავჩალმიანი, შარშანდელს აქეთ როგორღაც შეცვლილი, თითქმის მთელი ათი წლით უფროსი თეიმურაზი და თვალისმომჭრელ ფარჩებში, თითქოსდა ვარდის ფურცლებში გახვეული ხორეშანი რომ დაინახა, ქეთევანმა მცირედ შეჰკივლა, ლოგინში ჩაწვენილ შვილიშვილებს თავი მიანება, ზეწამოიჭრა, ხელები გაშალა, ორივე გულში ჩაიკრა და აცრემლებული კარგა ხანს რაღაც გაურკვეველს ბუტბუტებდა.

ცრემლი თეიმურაზსაც მოერია, მაგრამ როდესაც ალერსით გული მოიჯერეს, დედას მაინც მხნედ ჰკითხა:

— როგორა ხარ, დედი, ჭაღარა ხომ არ გამოგერია, ხომ არ დაგვიბერდი? ასე, სინათლეზე დადექ, კარგად დაგინახო!

— განა არ არის დრო, შვილო? სადაცაა, ორმოცს მივუკაკუნებ! შენ როგორა ხარ, როგორ მოიარე დასაქცევი სპარსეთი, როგორ დაუსხლტი იმ სულთამხუთავს? გაზრდილხარ, დავაჟკაცებულხარ, პაპა აშოთანს დამსგავსებიხარ, გენაცვალოს დედა!

— აბა, სულ პატარა ხომ არ ვიქნები! ეს ხორეშანია!

— ახლა მაცნობ, შვილო? განა პირველად ვხედავ! — ქეთევანმა გაიღიმა და ლმობიერი მზერა რძალს მიაპყრო. — კეთილი იყოს შენი ბედნიერი ფეხი ჩვენს ოჯახში, შვილო, ხორეშან!.. დამილოცნიხარ!.. სულმნათ რუსთველს უბრძანებია: რაცა ღმერთსა არ უნდოდეს, არა საქმე არ იქნებისო. ეტყობა, ღმერთს უნდოდა ეს საქმე და მოხდა კიდევაც! ზეციერმა მამამ აკურთხოს თქვენი გვირგვინი! ღვთის წყალობა და ერის სიყვარული ნუ მოგკლებოდეთ! გამრავლოთ, კეთილად გამეფოთ და გაბატონოთ!..

— გმადლობთ, ბატონო დედა, — კრძალვით უპასუხა თავის მხრივ ხორეშანმა და აქამდე დახრილი დიდრონი, შუქიანი თვალები შეანათა. — მე და თეიმურაზი თავს ბედნიერად ვრაცხთ, რადგანაც კვლავ ჯანმრთელს და სიცოცხლით სავსეს გხედავთ!

ქეთევანმა დაიჩოქა, პირი კუთხისაკენ ჰქნა, სადაც ძვირფას ჩარჩოში ჩასმულ ხატის წინ წყვილი თაფლის სანთელი ენთო და პირჯვრის წერითა და მეტანიობით ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს გვირგვინოსანი ძე და მისი ახალგვირგვინდადგმული თანამეცხედრე შეავედრა.

მუხლი მოიყარეს და პირჯვრის წერით მეტანია ჰყვეს თეიმურაზმა და ხორეშანმაც.

სწორედ ამ დროს ყივანა ხველებამ გამოაღვიძა სულ ცოტა ხნის წინათ ჩაძინებული ბატონიშვილი ალექსანდრე. ის მთლად გამოღვიძებული არც კი იყო. ნახევრადმძინარე ახველებდა, ფუნჩულა ხელებს წინ იწვდიდა, ვიღაცას ეძებდა, გულამომჯდარი ტიროდა და მსხვილ-მსხვილ ცრემლებს აღვარღვარებდა.

რძალ-დედამთილი ბავშვის სარეცელს მისცვივდნენ. კარიც შეინძრა, გაღებით კი არ გაღებულა. ეტყობოდა, იქ სეფექალები და გამდელები მოგროვდნენ, ბავშვის ხველება და ტირილი მათაც გაიგონეს, მაგრამ ახალგაზრდა მეფე-დედოფლის ხათრით და რიდით, ოთახში რომ ეგულებოდათ, შემოსვლას ვერ ბედავდნენ და კარსუკან წრიალებდნენ.

არც თვით ქეთევანმა ინება ვისიმე მოხმობა. პატარა ალექსანდრე საბანში გაახვია, აიყვანა, გულზე სათუთად მიიხუტა და ჩუმი ღუღუნითა და რწევით დაშოშმინება დაუწყო.

ხორეშანიც, როგორც შეეძლო, ეხმარებოდა. არც კი გახსენებია, კაბას დაკუმუკნი ან დავალაქავებო. ხან საბანს

უსწორებდა ფეხებთან, თუმცა იქ გასასწორებელი არაფერი იყო, ხან დილის ცვარივით ანკარა ცრემლებს სწმენდდა და ჩაბჟირებული ხველებისაგან გატანჯული ბავშვის წუხილით თავადაც არანაკლებ შეწუხებულს ატირებას ცოტა-ღა აკლდა.

ბატონებმა, როგორც იტყვიან, მოუფონეს. ალექსანდრემ სული ძალე მოითქვა, ტირილიც შეანელა, შეწყვიტა და უკვე საბოლოოდ გამოფხიზლებული ხან ბებოს უყურებდა და ხანაც უცნობ ძალოს, რომელიც დანახვისთანავე მოეწონა და კიდევაც შესცინა.

სამაგიეროდ, სულ სხვა გუნება-განწყობილება დაუფლებოდა უფროს ძმას, ბატონიშვილ ლევანს. იგი იქვე, მეზობელ საწოლზე იწვა, თავს იმძინარებდა და საბნის ქვეშიდან ცალი თვალით ზვერავდა სადღად გადაკარგულ, ამდენი ხნის უნახაობით გაუცხოებულ მამას, დედას მაგიერ ვიღაც საძაგელი ქალი რომ მოიყვანა, ზედ ეევლებოდა და ალექსანდრეს მოფერების ნებასაც კი აძლევდა. ალექსანდრე კი ჯერ პატარა იყო. არ იცოდა, რომ ეს საძაგელი გოგო, მამამ საიდანღაც რომ მოიყვანა და ყველას აიძულებდა, მისთვის თაყვანი ეცათ, ახლოსაც არ უნდა მიეკარებინა!

— ლევან, შვილო, — ჩაესმა ბებოს ხმა. — მამა მოვიდა, შენი მამა, ასე რომ გენატრებოდა. გაახილე თვალი, ბებო გენაცვალოს, დაელაპარაკე!

ამ სიტყვებმა და სიტყვებში ჩაქსოვილმა ალერსმა ლევანს გული კიდევ უფრო შეუკუმშა. ბოღმისაგან კინაღამ გაიგუდა და თვალთაგან გადმომსკდარი მდუღარე ცრემლი რომ არავისთვის დაენახვებინა, საბნის ყური ქვეშ აბოიდო და ზედ შუბლით დააწვა.

თეიმურაზი თავზე ადგა შვილს, მის თავითით ჩამოჯდომას აპირებდა, მაგრამ რაღაც ძალა უკან ეწეოდა, სათაყვანებელ პირმშოსთან მიახლოების უფლებას არ აძლევდა. ეს რომ დაინახა, რაც არც ხორეშანს გამოჰპარვია, გაძრა, დამნაშავესავით შესაბრალისად მოიკუნტა, სკამზე დაეშვა და სახე ხელებში ჩარგო.

თავი XLVI

არა მარტო გარეგნული მშვენიერებით შემკულმა, სანდომიანმა, გულითაც კეთილმა, გაჭირვებულისა და ტვირთმძიმის შემბრალე, ღვთისმოშიშმა ხორეშანმა, რომლის ხსოვნიდანაც გერებთან შეხვედრის პირველი სიმწარე, ლევანის

მტრული, შემაჩვენებელი გამოხედვა არ ამოდიოდა, ცხოვრების უპირველეს მიზნად თეიმურაზისა და უბედური ანას შვილების შეჩვევა, შეთვისება, დედის უდროო დაკარგვით გაბზარული პატარა გულების გამთელება დაისახა და წრფელი მონდომებითა და დაუღალავი მეცადინეობით თავისას მთლიანად თუ ვერა, ნაწილობრივ მაინც მიაღწია.

— სიხარული და ბედნიერება ნუ მოაკლოს მამაზეციერმა ღვთისაგან კურთხეულ დედოფალ ხორეშანს ობლების შებრალებისათვის, — ილოცებოდნენ გრემელი დედაკაცები, ვინც კი რაიმე საქმიანობით დაკავშირებული იყო მეფის სასახლესთან და გერებისა და დედინაცვლის ურთიერთობას თვალს მოიარებით ადევნებდა. — სამაგიერო სიკეთეს ღმერთი მის შვილებს მიუზღავს, როცა გამჩენი ინებებს და ეგეც დედა გახდება!..

ბატონიშვილი ლევანი თავს ვერ ერეოდა, კვლავაც ათვალწუნებით უყურებდა დედინაცვალს, რომელიც ჯერ თვითონაც ბავშვი იყო, მას დედას ადარებდა და ბავშვური სიძულვილით დაბრმავებულს ხორეშანზე გონჯი და შეუხედავი არავინ ეგონა. ასაკისათვის შეუფერებელი სიმშვიდითა და მოთმინებით აღჭურვილმა ხორეშანმა როდესაც ბალღის ამ ამოჩემებულ სიძულვილს ნამდვილი დედობრივი სიყვარული დაუპირისპირა, ყინულიც გალხვა, ლევანი თანდათან მოტყდა, და მოთვინიერებული ნადირივით დროთა განმავლობაში ბუნაგიდან გამოვიდა. სეფექალებისა და სასახლის ბრწყინვალე სტუმრების თანხლებით, რომელთა ნაკლებობას პურ-ღვინის მოყვარული კახეთის სამეფო კარი არასოდეს არ განიცდიდა, ისინი ერთად ჩადიოდნენ სასეირნოდ ინწობის პირას, სადაც წამოჩიტულ ბატონიშვილს უბრალო ხალხში ტოლ-სწორი ამხანაგები ჰყავდა, ერთად ესწრებოდნენ სადღესასწაულო წირვა-ლოცვებს ქალაქის საკრებულო საყდარში, ერთად იღებდნენ ზიარებას. ბებო ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ დაახლოებას, გერსა და დედინაცვალს შორის დედაშვილური ურთიერთობის დამყარებას.

ხორეშანმა სხვა მხრივაც კარგი ქალობა გამოიჩინა. უბრალოებით, ლმობიერებითა და ქველმოქმედებით, რისთვისაც ყოველთვის მზად იყო, ყველას გული მოიგო და სწორედ ამავე თვისებებით ერში სიყვარულით გარემოსილ დედოფალ ქეთევანს ღირსეულ რძლობასა და შვილობას უწევდა.

თეიმურაზიც ამაყობდა და თავს იწონებდა თავისი მშვენიერი ცოლით, რაც კი რამ სიკეთე გააჩნდა, მისთვის უნდოდა და მადლიერი ცოლისგანაც სამაგიერო საზღაურს იღებდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, გული მაინც მწუხარებითა და ვარამით ჰქონდა სავსე.

შაჰმა თუმცა ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რომ თავისი ახალგაზრდა მეგობრისათვის კეთილი განწყობილება და სრული ნდობა ჩაენერგა, თეიმურაზს მაინც არ სჯეროდა მისი გულწრფელობა. შაჰის მოჩვენებითი კეთილმოსურნეობისა და სტუმართმოყვარეობის უკან ვერაგული პირმოთნეობა, უნდობლობა და ადვილად ამოსაცნობი მუხანათური ზრახვა იმალებოდა.

ეს რომ ასე არ ყოფილიყო, აბასი ხელს არ შეუშლიდა ახალგაზრდა კახბატონის შეხვედრას სპარსეთის სამეფო კარზე ასე მიღებულ ბრწყინვალე თანამემამულესთან, ფარსის ბეგლარბეგ იმამყული-ხან უნდილაძესთან. ასევე მოუქარვებელ ეჭვს იწვევდა ისიც, რომ შაჰის კარზე თეიმურაზი ვერ შეხვდა ავღანთა ქვეყანაში გადახდილი ომის გმირს, გიორგი სააკაძეს, რომელთან შეხვედრა და თუნდაც ხანმოკლე საუბარი აგრე საჭიროდ და მნიშვნელოვნად მიაჩნდა.

ვის უცხადებდა უნდობლობას მუხანათი ყაენი, თეიმურაზს თუ თავის ერთგულ სარდლებს, იმამყული-ხან უნდილაძეს და დიდ მოურავ გიორგი სააკაძეს? იქნებ ერთსაც, მეორესაც და მესამესაც? იქნებ აშინებდა მათი გაერთიანება, მხსნელი ძალებისაგან დაცლილი, ნაკუწ-ნაკუწ დაქუცმაცებული სამშობლოს ბურჯად დადგომა?

დემეტრეს შაბათს, მიცვალებულთა ხსენების დღეს, ღვინობისთვის 17-ს, როცა მთელ კახეთში ჩასავალი ქვევრების რეცხვა იყო გაჩაღებული და ქვეყანა სართვლო თადარიგს იჭერდა, სახლეულითურთ წირვიდან დაბრუნებულ მეფეს სპარსეთიდან გამოგზავნილი მალემსრბოლის მოსვლა აუწყეს. თეიმურაზმა მისი დაუყოვნებლივ მიღება ბრძანა. სპარსელს, უფრო სწორედ, ყიზილბაშს, შაჰის მიერ ქართულად ნაკარნახევი, ერთმანეთში ვაზის ლერწებივით ჩახლართული ასოებით დაწერილი წიგნი მოეტანა. მთელი ჩემი კარით მატანდერანში ვდგევარო, ნადირობა მომესურვილა, რა ხანია, ნანადირევი აღარ მიგემნია, ძალიანაც მენატრებით, გამოუარე ტფილისში შენს საყვარელ ცოლისძმას, უებრო მონადირე

ლუარსაბს და მესტუმრეთ ბერიკაცს, თქვენს მოსვლამდე აქედან ფეხს არ მოვიცვლიო.

მიუხედავად წიგნის მშვიდობიანი, თითქმის ალერსიანი ფორმისა, უკანასკნელი სიტყვები, თქვენს მოსვლამდე აქედან ფეხს არ მოვიცვლიო, ბრძანებას მოასწავებდა და შაჰის ყველა ქვეშევრდომს, მათ შორის ქართლ-კახეთის მეფეთ, თუ არ სურდათ, თავს მბრძანებლის რისხვა დაეტეხათ, იგი უყოყმანოდ და ზედმიწევნით ზუსტად უნდა აღესრულებინათ.

თეიმურაზს გულზე ცეცხლი წაეკიდა. გამოდიოდა, რომ საშინელ სამსჯავროზე გვირგვინოსანი ცოლისძმის წაყვანას, რაც პირწავარდნილ ღალატს უტოლდებოდა, შაჰი სწორედ მისი ხელით ლამობდა. აბასი არ დაგიდევდა, რა მოჰყვებოდა მერე ამას, რა თვალითა და გულით შეხვდებოდა ერი ნადირობიდან მობრუნებულ კახბატონს, ანდა მისი საყვარელი, საფიცარი ძმის დამღუპველ ქმარს ხორეშანი რა თვალით შეხედავდა!

საქმეს უფრო ის ართულებდა, რომ შაჰ-აბასის კარზე უკანასკნელად ყოფნის შემდეგ, რასაც აბასის ნება-სურვილით ბატონიშვილ ხორეშანზე ჯვარის დაწერა მოჰყვა, თეიმურაზმა ერთხელაც ვერ გამონახა მოხერხებული დრო, თავის ნათესავ და მოყვარე ქართლის მეფისათვის გული გადაეშალა, მისთვის შაჰის მზაკვრული განზრახვის ამბავი გაეგზავნა.

აკი ჩააგონა ერთიმეორეზე წასისინებისა და შფოთის ჩამოგდების გამოცდილმა ოსტატმა აბასმა, ხორეშანზე დაქორწინებით შენ, თეიმურაზ, ქართლის ტახტის დაკავების მემკვიდრეობით უფლებას იძენ და უგუნური იქნები, თუ ეს უფლება შენს სასარგებლოდ არ გამოიყენე, მთელი აღმოსავლეთი გურჯისტანი ერთი სკიპტრის ქვეშ არ გააერთიანეო.

ამ ხნის მანძილზე, ქართლის მეფესთან დამოყვრების დროიდან რომ გაიარა, თეიმურაზს რამდენჯერმე მიეცა საშუალება, ცოლისძმა ლუარსაბს ხელსაყრელ ვითარებაში შეხვედროდა და აქამდე გულით ნატარები მწველი საიდუმლო, თვით დედას, ქეთევან დედოფალსა და გამზრდელ შერმაზან ჩოლოყაშვილსაც რომ არ უმხელდა, მისთვის გაენდო. განზრახვის შესრულებას და მძიმე ტვირთისაგან თავის დახსნას წინ არაფერი უდგა, გულში დაუძლეველი შიში რომ არ ჰქონოდა, ვაითუ სულ სხვაგვარად ჩამომართვან, რასაც მე ვიტყვი, დიდებულები ასისინდნენ და მას შემდეგ ყველამ ალმაცერად დამიწყოს ცქერაო.

დღეს ბედის ბორბალი სულ სხვაგვარად შემობრუნდა: შაჰი თეიმურაზისაგან ტკბილი სიტყვით მოითხოვდა იმას, რაც ქვეყნის დაქცევას უდრიდა და რის აღსრულებასაც მას ეშაფოტზე ასვლა ერჩივნა!

გამოირკვა, რომ შაჰის მალემსრბოლი, რომელსაც ყიზილ-ბაშთა მცირე რაზმი მოჰყვა, კახეთში კაკ-ენისლის გზით მოვიდა, საიდანაც პირდაპირ სატახტო ქალაქ გრემს მოაშურა და მაზანდერანში მიპატიჟებისა ისნის სასახლეში ჯერ არაფერი იცოდნენ.

"ზომ ვთქვი, — გაიფიქრა თეიმურაზმა. — შაჰი ჩემი ხელით აპირებს კერიიდან მუგუზლის გამოყრას. უნდა, ლუარსაბის ჩემდამი ნდობით ისარგებლოს, სპარსეთში შეიტ-ყუოს, იქ მახე დაუგოს, ტახტი წაართვას და თუ მე მის მიღებაზე უარი ვთქვი, იგი რომელიმე გათათრებულ მოცი-ლეს უწყალობოს!"

პირველი და ერთადერთი, ვინც სათათბიროდ მოიწვია, შერმაზან ჩოლოყაშვილი იყო. ქეშიკებს კარი ჩააკეტინა, უბრძანა, ნურავინ შემოვაო და თავადს, რომელიც ის იყო, სხვებთან ერთად საკრებულო საყდრიდან მობრუნდა, ლუქაგ-ლეჯილი შაჰის წიგნი უბრად მიაწოდა. ცოტა არ იყოს შეცბუნებულმა თავადმა წიგნი გაშალა, აუჩქარებლივ თავიდან ბოლომდე ჩაიკითხა, ხელრთვას სარკმლის შუქზე გაჰხედა, იგი ისევ გორგლად დაახვია და მეფის წინ ინკუსტრირებულ მაგიდაზე დასდო.

— დედოფალს აჩვენეთ?

— ბატონ დედას? არ მინდა, გული წინასწარ გავუხეთქო. რას მირჩევთ, თავადო?

შერმაზანი დაფიქრდა, მაღალი შუბლი შეიჭმუხნა, თავი იჭვნეულად გადააქნია და გაზრდილს გვერდიდან გამოჰხედა:

— ჯერ ქართლელების აზრი უნდა შევიტყოთ. არა მგონია, ლუარსაბი დათანხმდეს და ყულფში თავი ნებით გაჰყოს. ნუ დაგვავიწყდება, რომ იქ მოურავია და შაჰი მისი კარნახით მოქმედებს! საყვარელი დის გაბახება, სახლ-კარის გადაწვა და მოსაკლავად გამოდევნება არც ისე ადვილი მოსანელებელია, მეფეო!

— მეც აგრე ვფიქრობ, ბატონო შერმაზან და ვშიშობ, რომ შაჰის მიპატიჟება ამჯერად უბრალოდ არ ჩაივლის. მისმა უდიდებულესობამ ბოლო დროს ძალზე მოუხშირა მაზანდე-რანში სანადიროდ სიარულს და იქ ჩვენს მიპატიჟებას!

— დღესვე უნდა გაიგზავნოს კაცი ლუარსაბის კარზე, ტფილისში. სანამ მისი აზრი არ გვეცოდინება, ჩვენ აქ ვერაფერს გადავწყვეტთ!

— ჩემი უბედურებაც ეგ გახლავს, თავადო. თუ ყიზილ-ბაშს დავუჯერებთ, ვინც ეს წიგნი მოგვართვა, შაჰს ლუარ-საბისათვის ცალკე მიპატიჟება არ გაუგზავნია და არც მეჰმანდარი უახლებია. აქვე არა გვწერს, გამოუარე და ერთად წამოდითო? თქვენს მოსვლამდე აქედან ფეხს არ გავდგამო? ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ ლუარსაბის წინაშე შაჰის მეჰმანდარობა მე თვით უნდა ვიკისრო, დავითანხმო, ავიყო-ლიო და ამისათვის პასუხისგებაც ჩემს კისერზე უნდა ავიღო! ვინ იცის, შაჰს გულში რა უდევს! მე არა მსურს, ღმერთს შევცოდო და ურჯულოს ხელში ბრმა იარაღად გადავიქცე!

— სწორად გიფიქრია, მეფეო, შენს თავს ვფიცავ! — გულწრფელად მოუწონა აზრი გაზრდილს შერმაზან ჩოლო-ყაშვილმა. — ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილე გვმართებს. თუ შაჰმა გვიმუხთლა, რაც მისგან არავის გაუკვირდება, წყალობა რისხვით შეგვიცვალა და ბატონ ლუარსაბს მართლა რაიმე უკადრისი შეამთხვია, რაღა თქმა უნდა, ხალხი ჩვენც მისი ბოროტების თანამონაწილედ ჩაგვთვლის და მოძმის ღალატს დაგვაბრალებს!

— მაშ, გავუგზავნოთ კაცი ლუარსაბს და წინასწარ შევატყობინოთ, რომ საქმე ასეა და აქ მის პასუხს ველოდე-ბით? ამას დრო უნდა, თავადო. შაჰი იქ გაის ამ დრომდე კი არ მოგვიცდის, გაგვირისხდება და მერე ვერც შემოირიგებ! მეჰმანდარი ხვალ დილაადრიან მაინც უნდა გავაბრუნოთ და ყაენთან პასუხი დავაბაროთ, პასუხს კი მანამდე ვერ გავგზავ-ნით, სანამ ლუარსაბი ხმას არ მოგვაწვდენს! ასეა, არა?

— აგრე გახლავს, მეფეო.

— მაშ, რა პასუხით ვისტუმრებთ იმ ურჯულოს? რომ ხელს მოვიწყობთ თუ არა, ჩვენც კვალზე გავყვებით?

— მაგრამ ბატონმა ლუარსაბმა რომ უარი შემოთვალოს, რაც ყველაზე მეტად მოსალოდნელია?

— ჩემს ძვირფას ცოლისძმას არა მგონია, უარი გაუვიდეს. საკაძის მოსისხლე მტრები, ვინც ის საძრახისი საქმე ჩაადენინა, არც ისე უჭკუო ხალხი მგონია, ამ საბედისწერო წუთებში მეფეს შაჰის ურჩობა ჩააგონონ და შინ დარჩენა ურჩიონ. მოსახდენი მაინც მოხდება!

— ბრძნულად გადაგიწყვეტია და მეც რაღა მეთქმის! თავად ლუკას უნდა მივანდოთ ეგ საქმე. ახლავე შეკრიბოს მცირე ამალა და გზას გაუდგეს. სავსე მთვარეა, გათენებამდე გომბორს გადავლენ!

თავი XLVII

გაერთიანებული საქართველოს სამეფოს ძველ სატახტო ქალაქ ტფილისში გაგზავნილი კაცები უკან მეოთხე დღეს მობრუნდნენ და ლუარსაბ ქართლის მეფის გადაკრილი პასუხი მოიტანეს: ქართლის სამეფო კარი და დარბაზის ერი ამჟამად შეუძლებლად თვლიდა სამეფოს ფარგლებიდან მეფის გასვლას, ეინაიდან სამცხის საზღვრებზე ოსმალეთი ჯარებს თავს უყრიდა და სამეფო სახლის უახლოესი ნათესავი, სიმონ მეფის ასული ელენე ათაბაგი ურჯულო მტრის შესაძლო თავდასხმის მოსაგერიებლად შეწევნას ითხოვდა.

შაჰის მიერ გამოგზავნილი მოპატიჟენი ამ დროს გრემიდან უკვე წასული იყვნენ. ისინი ტკბილი სიტყვით, მდიდრულად დასაჩუქრებული გაისტუმრეს, ორივე მეფის სახელით მწყალობელ შაჰთან ქვეშევრდომული მოკითხვა და ნახვის ნატვრა დააბარეს, სანადიროდ მიპატიჟების გამო შაჰს მადლობა შეუთვალეს, დაიმედეს, თეიმურაზი და ლუარსაბი უმალ წამოვლენ, თუკი რაიმე გარემოებამ ხელი არ შეუშალათ, უმოკლესი გზებით იელიან და მაზანდერანში, სადაც ყაენი ელოდებათ, შეიძლება დათქმულ დროზე ადრეც მივიდნენო.

ლუარსაბის გაბედულმა უარმა და ელენე ათაბაგის თხოვნის მომიზეზებამ თეიმურაზი, ორივე დედოფალი და დარბაზის ერი ერთობ შეაშფოთა და შეაფიქრიანა. რამდენიმე დღის შემდეგ სარწმუნოდ გამოირკვა, რომ ცნობა საათაბაგოს სამხრეთ საზღვრებზე ოსმალეთის ჯარების თავმოყრის გარეშემო სიმართლეს არ შეეფერებოდა. იქ სრული სიწყნარე სუფევდა და უკეთუ ქართლში მოსალოდნელი ომის თადარიგი მართლა ჰქონდათ, ამ თადარიგს არა ოსმალთა, არამედ სრულიად სხვა მტრის დასახვედრად ეწეოდნენ.

თეიმურაზი ცოტა ხანს კიდევ ითრევდა ფეხს, ყოყმანობდა და როდესაც სპარსეთიდან დამატებით არაკინ მოაკითხა, ლუარსაბის გარეშე წასვლა კი, კიდევაც რომ გადაეწყვიტა, შაჰის რისხვას გამოიწვევდა, ბედს მინებდა, დაილოცოს ღვთის

სამართალი, მის განაჩენს ვერ აცდები, მოხდეს, რაც მოსახ-
დენიაო.

ვინ ვერ მიხვდებოდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ორივე მეფე ცეცხლს ეთამაშებოდა, მათთან შესახვედრად მაზანდერანში მოსული შაჰ-აბასი გაწბილებას ჩვეული არ იყო და ეს ამბავიც აგრე უმტკივნეულოდ არ ჩაივლიდა, მაგრამ ვერც ერთი და ვერც მეორე მეფე კარზე მომდგარ განსაცდელისაგან თავის დაღწევის ვერავითარ სხვა საშუალებას ვერ პოულობდა და წყალწაღებული ხავსს ეპიდებოდა: იქნებ ეს სისხლისმსმელი ტირანი სინდისმა შეაწუხოს, ან თავისმა ღმერთმა რაიმე კეთილი ჩააგონოს და დაგვეხსნასო.

სამოდე თვემ ისე განვლო, სპარსეთიდან ბაიბური არ ისმოდა. საქართველოს არსებობა თითქოს კიდევაც დავიწყებოდათ. არავინ უწყოდა, ქვეშევრდომთა უყოყმანო მორჩილებას ჩვეული შაჰი რა გუნებაზე დადგა, ქართველი მეფეები დანიშნულ დროსა და ადგილზე რომ არ მივიდნენ, მართლაც შეუნდო ძნელად ასახსნელი ურჩობა, რომელსაც საფუძვლად მისდამი აშკარა უნდობლობა ედო, თუ წყენა ჩვეულებისამებრ გულში ჩაიხვია და დღეს თუ არა ხვალ პირიდან რისხვად გადმოანთხევდა?

მიილია შემოდგომა, ჩაკარდა ჭირნახული, გაჩაღდა ნიშნობები და ქორწილები, აპყვირდნენ ყელში დანაგაყრილი ლორები საშობაოდ, სოფლის მღვდლებს საქმე გაუთკეცდათ, ჩამოთოვა კავკასიის მთების კალთებზე, გაიდგა ფეხი ზამთარმა და გულიც თანდათან ჩადგა საგულეში. ზამთარი წლის ერთადერთი დრო იყო, როდესაც კახეთს მომხვდური მტერი ვეღარ აწუხებდა, რადგან გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირი ამ დროს მთლიანად წყდებოდა და ადგილობრივი ხელისუფალნი, მოურავები თუ მამასახლისები, იმაზე-ღა ზრუნავდნენ, სოფლიდან სოფელში გადასასვლელი გზები არ მოშლილიყო და მტერ-მოყვარე ერთმანეთს არ მოსწყვეტოდა.

ქართლიცა და კახეთიც შიშის ძრწოლით მოელოდა გაზაფხულის დადგომას და თბილი ქვეყნებიდან მოფრენილი პირველი მერცხლის ჭიკჭიკს, რასაც არცთუ იშვიათად უწყალო სისხლისღვრა და ხალხის რბევა-აწიოკება მოსდევდა ხოლმე. ეს ის დრო იყო, როდესაც თოვლის სუდარაგადაფარებულ ბუნებასთან ერთად ყოველივე ცოცხალი იღვიძებდა და გარეშე მტერსაც ახალი ცრემლისა და სისხლის დასათხევად ხელ-ფეხი ეხსნებოდა.

დადგა თუ არა 1614 წელი, ამბავი მოიტანეს, რომ გაზაფხულზე შაჰი კავკასიისაკენ აპირებდა გამოლაშქრებას, სადაც თავისი საქმეები ჰქონდა მოსაგვარებელი და სულთანს ეს ლაშქრობა არამც და არამც ზავის პირობების დარღვევად არ უნდა მიეღო.

რა „თავისი საქმეები" ჰქონდა აბასს კავკასიაში? ნახჭევანსა, ბაქოსა, ერევანსა, შუშასა, განძასა და შემახაში მისი ხელდებული ბეგლარბეგები და ხანები ისხდნენ. დღესდღეობით არც ერთ მათგანს არ მოსდევდა წელი ძლევამოსილ შაჰისათვის შეიარაღებული წინააღმდეგობა გაეწია. პირიქით, მორჩილად იხდიდა ნაკისრ ხარკს და შაჰის ლაშქრობებში მონაწილეობის მისაღებად ჯარიც დაუბრკოლებლივ გამოჰყავდა.

მაშ, რა სურდა ყაენს აქ, კავკასიაში, რა გადაუდებელი საქმეები გამოსჩენოდა, თუ არა ქართლ-კახეთის ურჩი მეფეების დასჯა, რომლებიც თავს ისე გაეიდნენ, რომ შაჰის კეთილმეგობრული მიპატიჟება არად ჩააგდეს და დანიშნულ დროს დათქმულ ადგილზე არ გამოცხადდნენ?!

თებერელის დამლევს საგანგაშო ხმებმა იმატა, რასაც ხალხის აყაყანება მოჰყვა.

— ჩვენ რად უნდა ვზღოთ მეფის მაგივრად? — გაიძახოდნენ სხვებზე უფრო გაბედულნი. — წასულიყო რა, ნადირობაზე ადვილი რა არი! ნეტავი ვინმე მე დამპატიჟებდეს სანადიროდ თორემა ფეხს ავითრევ კი არა, მამაჩემსა აქვ ცხონება, სულ ფრენა-ფრენით წავალ!

— ვაი, დამიწდი შენა, შე ფეთხუმო, მეფეს რომ ედრები! შინ ქათამი ვერ დაგიკლავ, კისერში წალდი ვერ მოგიხვედრებია და ახლა მადანდირანში თუ ლუსკუმაში სანადიროდ წასასვლელად ეწყობი?

— რას ერჩით მაგასა, მართალს ამბობს ეგ კაცი, დაბალი ლობე ნახეთ? უნდა წასულიყო, მა არ უნდა წასულიყო? არ წავიდა და აგე თვითონ გეახლა ოცდახუთი ცხენოსნით და რა საალდგომო საჩუქრებიც მოგიტანა, მაგას დღეის სწორს ნახამ!

— წამხდარ საქმეს ახლა აღარაფერი ეშველება, ძმავ, ტყუილად ნუ ვიღლით ენასა. შენ ისა თქვი, რა როგო ვისაშველოთ, რო თავიც შაგვრჩეს და ქვეყანაცა!

განა ტყუილად ჩიოდა მეფისა და ბატონის სამსახურის მძიმე ჯაპანში გაბმული გლეხკაცობა! გაზაფხულზე ვერაგი მტრის შემოსევა, გარდა იმისა, რომ ქვეყანას თავს დიდ

სისხლისღვრასა და მსხვერპლს დაატეხდა, შიმშილობის ჩამოვარდნით იმუქრებოდა. რასაც გაზაფხულზე არ მოხნავ და არ დასთეს, შემოდეგზე რას მოიმკი, წვრილშვილს რით دააპურებ!

ნუგეშის მომცემი მხოლოდ ის ჩანდა, რომ დარხეული ხმები ერთმანეთს არ ეთანხმებოდა და სწორედ ეს ბადებდა იმედს, რომ ყოველივე ჭორი იყო, რომელსაც ქვეყნის ავის მოსურნენი ყრიდნენ, რათა ხალხისათვის მოსვენება დაეკარგათ და წვრილ-წვრილი ძარცვა-გლეჯისათვის, რაზედაც უარს არც შინაური ხელმრუდენი ამბობდნენ, ნოყიერი ნიადაგი შეექმნათ.

ზოგნი პირდაპირ ასახელებდნენ თვესა და რიცხვს, როცა დიდძალი ჯარის თანხლებით შაჰი ყარაბახში მოვიდოდა და ამ ჯარს ყორჩიბაშისა და სააკაძის სარდლობით ქართლ-კახეთს გამოუსევდა. მეორენი სხვას ამტკიცებდნენ: მათი თქმით, ჯერხნობით ყაენი სულაც არ აპირებდა კავკასიაში მოსვლას, მის მაგიერ სპარსეთის ურიცხვი მხედრობით გალონიერებული გიორგი სააკაძე მოდიოდა და ვაი იმის ბრალი, ვინც შურის საძიებლად აღძრული მოურავის ნებას წინ აღუდგებოდა!

ქართლში დიდი შიშიანობა ჩამოვარდა. ხალხი მინდორში სამუშაოდ კი გამოვიდა, მაგრამ თვალი სახიზრებზე ეპირა, რომლისთვისაც პირველ დაძახებისთანავე უნდა მიეშურებინა და ნაწვავ-ნადაგი სახლ-კარი მტრის სათარეშოდ დაეგდო.

შიშიანობამ მოიცვა კახეთიც, რასაც კავკასიის მთებიდან და ჭარ-ბელაქნის მხრიდან ლეკებისა და ყუმიყების მარბიელი რაზმების გამუდმებული თავდასხმები ერთვოდა. მარბიელები მარჯვე დროს შეარჩევდნენ ხოლმე. როცა ქვეყანა სამხრეთის უნაპირო ველებიდან შემოზვავებული უზარმაზარი ურდოების წინააღმდეგ ომში იყო გართული, მარჯვნივ და მარცხნივ ხმალს იქნევდა, ისინი ზურგში დაეცემოდნენ უამისოდაც საშინელ გასაჭირში ჩავარდნილ თავიანთ მსხვერპლთ, უკან დასახევ, სახიზრებისაკენ მიმავალ გზებს უპრიდნენ, პირუტყვის ჯოგებსა და ცხვრის ფარებს ქედს გადაღმა მიერეკებოდნენ და ქვეყნის შეთხელებულ მოსახლეობას კბილით გასაკვნეტსაც აღარაფერს უტოვებდნენ.

ყველიერმა მშვიდობიანად გაიარა. მტერი არც ახლობელი და არც შორებელი არსაიდან გამოჩენილა. ლეკებთან წვრილ-წვრილი შეტაკებები, კვირაში ხანდახან ორჯერ რომ ხდებოდა, ანგარიშში ჩასაგდები არ იყო, თუმცა მდევარში სიარული უამრავ ხალხს აცდენდა და ალაგ-ალაგ ყანა დაუთესავი და ვენახი გაუმარგლავი რჩებოდა. გაშუაოდა აპრილიც. გულში

იმედმა გაიღვიძა, რომ ღვთის შეწევნით გაზაფხულს შეიძლება უომრად ჩაევლო, მაგრამ სწორედ ენების კვირაში, დიდ ხუთშაბათს, გრემის დასავლეთის კარს ყიზილბაშთა კარგა მოზრდილი რაზმი მოადგა და ყვირილით ქალაქში შეშვება ითხოვა.

რაზმი მხოლოდ ოციოდე წუთს ალოდინეს, სანამ მის გამოჩენას სასახლეში შეატყობინებდნენ და კარის გასაღებად იქიდან მესტუმრეთუხუცეს ლუკა მაყაშვილის კაცები მოვიდოდნენ.

მეფე შინ არ იყო. მეორე კვირა სრულდებოდა, რაც ის მუკუზანში ათენ-აღამებდა, სადაც სარდლების რჩევისა და თვით მეფის ბრძანების თანახმად, ვითომდა ლეკი მარბიელებისაგან თავის დასაცავად, ნამდვილად კი შაჰ-აბასისათვის გზის შესაკრელად, უკეთუ მისი ლაშქარი კახეთს აღმოსავლეთის მხრიდან შემოესეოდა, ოციოდე წყრთა სიმაღლის ჯებირს აშენებდნენ. როგორც კი დედის მიერ გამოგზავნილი შიკრიკის პირით ყიზილბაშების მოსელის ამბავი შეიტყო, თეიმურაზი უმალ შეჯდა ცხენზე და მცირე ამალის თანხლებით სატახტო ქალაქისაკენ გაეშურა.

ვიდრე ტანზე გამოიცვლიდა და ყიზილბაშების ასისთავის შემოყვანას ბრძანებდა, მეფე ბავშვების ოთახში ავიდა, სადაც დედა და თანამეცხედრე ეგულებოდა. ორივე დედოფალი დალვრემილი და ჯავრისაგან კრიჭაშეკრული დაუხვდა. პატარებიც მათ მიტუზვოდნენ. ქეთევანი და ხორეშანი უმცროსი ბატონიშვილის აშლილ საწოლზე ისხდნენ, ხელები კალთაში ჩაეწყოთ და, ეტყობოდა, მოუთმენლად ელოდნენ მუკუზნიდან მის დაბრუნებას.

— დედა, ხორეშან, — თეიმურაზს სალამი არ უთქვამს, ორივე დედოფალს ერთად მიმართა. — რამ დაგმეხათ ასე, ცუდი ამბავია?

— კარგს რას უნდა მოველოდეთ, შვილო, — უფერული ბაგე გახსნა და ორივეს მაგივრად უპასუხა ქეთევანმა. — შაჰისაგან არიან!

— ვიცი, — მეფე თავის სიცოცხლეში პირველად გააღიზიანა დედის მიერ წარმოთქმულმა სიტყვამ. — რა ნებავთ? აქ ვინ მოიწვია?

— შენგან არ მიკვირს, თეიმურაზ, შვილო? როდის იყო, შაჰ-აბასი ჩვენს მოწვევას საჭიროებდა?!

— რა უნდათ, რისთვის მოვიდნენ?

— შაჰი სასწრაფოდ მძევალს გვთხოვს. ან თავად მოდი, ან მძევალი მაახლო. მეცხრე დღეა, განძაში მდგარა. ჩვენ ჰურში ვსხედვართ და აქამდე ვერაფერი გავიგეთ!

— განძაში? — თეიმურაზმა ორივე ხელი თმაში იტაცა. — რას ბრძანებ, ბატონო, ასე უჩუმრად როგორ მოგვეპარა?!

— მოსულა და მაშინვე ყიზილბაშები გამოუგზავნია!

— რისთვის უნდა გვთხოვდეს მძევალს, ან მე რად უნდივარ?!

— მაგას ყიზილბაშები არ ამხელენ, მეფეს ვეტყვითო.

თეიმურაზი ერთხანს კიდევ იდგა, წინ უაზროდ იყურებოდა, მერე, თითქოს მხსნელ აზრს მიაგნოო, უსიტყვოდ გატრიალდა და კარისაკენ ნაბიჯი გადადგა.

— მოიცადე, სად მიხვალ, შვილო?

თეიმურაზი სანახევროდ შემობრუნდა:

— დავაძახებინებ, გავიგებ მაინც, რას მერჩის, რას მემართლება, ასე რომ განრისხებულა!

— შენს მოსვლამდე მე კაცები დავგზავნე. დარბაზის ერი მოვიწვიე. ზოგი დარბაისელი უკვე მოვიდა, სხვები, ალბათ, გზაში არიან და მალე შემოგვიერთდებიან. ნუ მიწყენ, თუ შენს დაუკითხავად გავისარჯე.

— გმადლობ, ბატონო დედა, შენი იმედი ღმერთმა ნუ მოგვიშალოს! — ამ სიტყვებით თეიმურაზი ქეთევანს მიეახლა, შუბლზე მბურვალედ ეამბორა, მერე კი გატრიალდა და ბალღებსაც არ მოფერებია, ოთახიდან სწრაფად გავიდა.

თავი XLVIII

მძეელად შაჰ-აბასი ტახტის მემკვიდრეს, უფროს ბატონიშვილ ლევანს ითხოვდა. დრო მოფიქრებისათვის თითქმის აღარ იყო. ყიზილბაშები არა უგვიანეს ხვალ დილას უნდა გაბრუნებულიყვნენ და მძევალი ბატონიშვილიც თან წაეყვანათ.

ეს რომ უთხრეს, თეიმურაზმა ერთი ისე საშინლად შეჰღრიალა, სასახლის კედლები შეიძრა, სარკმლის მინებმა ზრიალი მოიღეს. სწორედ შიგ გულში დაჭრილ ნადირს დაემსგავსა. ასეთი ის არავის ენახა და ვერც ვერავინ წარმოიდგენდა, თუ გარეგნულად მშვიდი, გულმოწყალე

ახალგაზრდა მეფის არსებაში ასერიგად მძვინვარე, გაეეშებული მხეცი ბუდობდა.

— აღარ მომეშვები, შე სულძაღლო? დედამისი ხომ წამართვი, ახლა ესეც გინდა თან გაიყოლო? — ყვიროდა მთელი ხმით და სახეში მუშტებს იცემდა. — რა ველარ გადავიხადე შენი ვალი, რა შევცოდე ამის ფასი, რომ არა და არ მეპატია?!

გადარეული მამა, რომელსაც დღისით-მზისით პირმშო შვილს ართმევდნენ, გულიდან თავისი სიყვარულის პირველ ნაყოფს გლეჯდნენ, მის მიერ უსამართლოდ დახეიბრებული ქაიხოსრო ომანიშვილის სულს ებრძოდა, ყველა სიავეს, რაც კისისხევში ჩადენილი ავკაცობის შემდეგ ცხოვრებაში გადახდა, მის შურისძიებას აბრალებდა და ღვთისადმი აღვლენილ ყოველ ლოცვაში ზენაარს შესთხოვდა, ეს ერთი შეცოდება შეენდო, ეპატიებინა, თუ არა და, საზღაური პირადად მისგან მოეთხოვა, ის დაესაჯა და მის უდანაშაულო მახლობლებს ერთხელ და სამუდამოდ დახსნოდა!

ძალზე გაჭირდა მეფის დაწყნარება, დამშვიდება, გონიერულ კალაპოტში ჩაყენება. შვილზე მეტი სულიერი სიმტკიცე, შეიძლება ითქვას, სიკერპე, დედოფალმა ქეთევანმა გამოიჩინა. გულადღეებულს და სულშეგუებებულს თვალიდან ერთი ცრემლიც არ გადმოუგდია. ამ ნაზმა და სათნო ქალმა, უბრალო მონაზონივით საქვრივო თალხებში გახვეულმა, ვისი საქმეც ვითომ მხოლოდ სანთლების ანთება და ღვთისმშობლის ხატის წინაშე სასოებით ლოცვა იყო, ყველა მამაკაცი, სატახტო დარბაზში რომ ირეოდნენ, გზიდან ჩამოიცილა, ტახტზე მჯდომ შვილს მიეკრა და საკვირველი ძალით ჩასძახა:

— თეიმურაზ!... თეიმურაზ!... აბა, მე შემომხედე!... ჭირმა ვაქკაცი აგრე როგორ უნდა წაგახდინოს! ვინ გითხრა, რომ მსუბუქია მეფის გვირგვინი, რომ ყოველ მოწადინეს შეუძლია და შეეფერის ამ ტახტზე ჯდომა?! აქამდე ვარდი გიკრეფია, შვილო... თუ ვაქკაცი ხარ, ღვთისაგან მირონცხებულმა მეფემ, ერი რომ მოგენდო და თავისი ბედი შენ ერთს ჩაგაბარა, ახლა ეკალიც უნდა მოკრიფო!...

ქეთევანის თავგანწირულმა სიტყვებმა, რომლებითაც ის თითქმის მთლიანად ღონემიხდილ შვილს მიმართავდა, თეიმურაზი გონს მოიყვანა და ცნობა დაუბრუნა.

— მძევლის გაგზავნაზე უარი განმიცხადებია! — სვენებ-სვენებით თქვა მან და თვალები ასწია, სახლთუხუცეს ნოდარ

ჯორჯაძეს შეხედა. — ყიზილბაშებს ასე გადაეცით. ხვალ დილას მე თავად მოვიკრეფ ძალას და ყაენს პირადად ვეახლები. რაც უნდა მიყოს, თუნდაც ჯვარს მაცვას, ამაზე მეტი მე აღარაფერი დამემართება!

დიდებულებმა ერთმანეთს გადახედეს, მერე ყველამ ერთად ტახტის გვერდით უსულო სვეტივით მდგომ დედოფალ ქეთევანს მიაპყრო მზერა.

— ნუ შემრისხავთ და, ბატონ მეფეს თათბირს ვერ მოვუწონებ, — პირველი სიტყვა სახლთუხუცესმა აიღო. — მეფის წარბრძანება და სისხლმოწყურებული შაჰის ხელში ჩავარდნა მის უეკველ დაღუპვას მოასწავებს. მიჭირს ამის თქმა, მით უფრო თქვენი უდიდებულესობის თანდასწრებით, დედოფალო, — ჯორჯაძემ კოპებშეკრულ ქეთევანს მოწიწებით თავი დაუკრა. — მაგრამ ჩემი მოვალეობა სამშობლოსა და ტახტის წინაშე მავალდებულებს, პირუთვნელი ვიყო, ის მოგახსენოთ, რაც გარდაუვალ სიმართლედ მიმაჩნია. დასაფასებელია ჩვენი ბატონი მეფის თავგანწირვა. შაჰსაც, კარგად მოგეხსენებათ, მისი ხელში ჩაგდება უნდა და მძევალსაც ამიტომ ითხოვს, მაგრამ ჩვენდათავად ამ კრებულს არა აქვს ნება, ბატონ მეფეს თანხმობა გამოვუცხადოთ და განსაცდელის წინაშე მდგომი ჩვენი ქვეყანა უმეფოდ დავტოვოთ!

— შაჰი ფესვებიან-ყლორტებიანად ამოძირკვას მიპირებს! — სიმწრით ამოთქვა მეფემ. — ტახტის მემკვიდრეს ამისთვის მთხოვს! ქრისტიანები არა ხართ? რად მეღობებით გზაზე? ნუთუ არა მაქვს ნება, შვილს გადავეფარო და მისთვის ნასროლი ისარი მივიღო?!

— ჩვენგან არ გესწავლება, მეფეო, — მოპირდაპირე მხრიდან მას თავადმა დავით ჯანდიერმა ჩამოართვა სიტყვა. ის თანხმობის ნიშნად თაეს უქნევდა ნოდარ ჯორჯაძეს, როდესაც თავადი ნოდარი მეფეს, დარბაზის ერს და დედოფალ ქეთევანს მიმართავდა. — მაგის უფლება ყველა უბრალო ღვთისშვილს გვიბოძა მაღალმა ღმერთმა, მაგრამ მეფეს არა, მეფის უკან ერი და ქვეყანაა. შენი ორგულები ვიქნებით და ცხრაგზის ხატზე გადასაცემი, ღვთისაგან ბოძებული ერი და ქვეყანა უწინამძღვროდ რომ დაგატოვებინოთ!

თავადმა ჯანდიერმა ამ თავისი სიტყვებით თითქოს ყველას სათქმელი თქვა და მეფეც ასე თუ ისე ხვედრს უნდა შერიგებოდა, როდესაც მესტუმრეთუხუცესმა ლუკა მაყაშვილმა თავისი აზრის გამოთქმა მოინდომა. მან მეფისა და

დარბაზის ერის წინაშე სრულიად განსხვავებული მოსაზრება წამოაყენა. მაყაშვილის ამ მოსაზრების თანახმად შაჰისათვის მძევლად უნდა გაეგზავნათ არა ტახტის მემკვიდრე ლევანი, არამედ მისი უმცროსი ძმა ბატონიშვილი ალექსანდრე.

ისევ შეიქნა ბჟობა და ურთიერთსაწინააღმდეგო აზრთა ჭიდილი. თეიმურაზისათვის ორივე ღვიძლი შვილი იყო, ორივე ხელის მოკვეთა ერთნაირ ტკივილს მოჰგვრიდა, მაგრამ როდესაც დაინახა და დარწმუნდა, დარბაზი მაყაშვილის მიერ წამოყენებული მოსაზრების გონივრულობისაკენ იხრება, უჯობთ, ტახტის მემკვიდრე შინ ეგულებოდეთო, დედას შეხედა და ცრემლი რომ როგორმე შეეკავებინა, ბაგე მოიკვნიტა.

ალექსანდრეს შაჰთან გაგზავნა და ტახტის მემკვიდრე ლევანის შინ დატოვება ერთხმად გადაწყდა, მაგრამ ხელის-შემშლელი შეუსაბამობა აქაც წამოიჭრა: ალექსანდრე ბატონიშვილი მთლად პატარა იყო, ჯერ ორი წელიც არ შესრულებოდა და დედის მაგიერი ბებიის კალთას მოშორებულს შაჰის კარზე ვინ მოუვლიდა, ვინ გაზრდიდა, ვინ უპატრონებდა, მშობლიურ ენასა და წერა-კითხვას ვინ შეასწავლიდა, მაცხოვრის სიყვარულს გულში ვინ ჩაუნერგავდა!

— მე წავყვები, შვილო თეიმურაზ. წავწყდებით მაგის ცოდვით, გვერდში თუ არ ვეყოლე. მოჩვეულია. უჩემოდ არც არას ჭამს, არც დაიძინებს, ბალღი ტირილით გულს ამოიგდებს!

— რას ამბობ, დედა? — აღმოხდა თეიმურაზს და ხმა აუთრთოლდა. — ეგ რამ გაფიქრებინა?!

— დაწყნარდი, მე ისეთი არაფერი მითქვამს.

— როგორ თუ დავწყნარდე, შენი იქ გაშვება როგორ შეიძლება!

— შეიძლება. ბოლოს გამოგვიშვებს ის სულთამხუთავი, სამუდამოდ იქ ხომ არ ჩაგვამწყვდევს!

— რომ არ გამოგიშვას? რა სატანჯველში მაგდებ! ღმერთს რა პასუხი მივცე? ჩემი ოხერი მძორის გულისათვის ერთად დავკარგო შვილიც და დედაც?

— არავისაც არ დაკარგავ, შვილო. შაჰ-აბასთან პირველად ხომ არ მიედიეარ. ხომ ვეახელ შემახაში და თუმცა ნაწყენი იყო, ურიგო არაფერი უკადრებია, შინ მშვიდობით გამომისტუმრა. კაცია ისიც, დედის კალთაში გაზრდილი. უმწეო ქალს და კიდევ უფრო უმწეო პატარას რა უნდა დაგვიშაოს!

დარბაზის ერი შესძრა და შეაძრწუნა დედოფლის გადაწყეტილებამ. მძვინვარე შაჰ-აბასი თეიმურაზისაგან გაცილებით მეტს იღებდა, ვიდრე მოითხოვდა. ამიერიდან მას მძევლად ეყოლებოდა კახბატონის ძეცა და დედაც, რაც შაჰის ხელში ყულფს უდრიდა, თეიმურაზის კისერზე წამოცმულ ყულფს, რომლის შემწეობითაც მეფეს პირს იქით უზამდა, საითაც მოესურვებოდა!

დედოფალი ქეთევანი და მისი ჩვილი შვილიშვილი ბატონიშვილი ალექსანდრე მძევლად მიჰყავთ სპარსეთშიო, ეს თავზარდამცემი ამბავი იმავე დღეს მთელ სატახტო ქალაქსა და ახლომახლო დაბა-სოფლებს მოედო. ხალხი აყაყანდა, ამოძრავდა, იარაღზე დაიწყო ცქერა. როგორ თუ მიყავთ, განა მაგათი ნებაა, მერე ჩვენ კი ვერა გვხედამენო? თავმომწონე ახალგაზრდებმა სოფლიდან სოფელს გადასძახეს და უფროსების დაუკითხავად თავმოყრა იწყეს, რათა ყიზილბაშების ერთ მუჭა რაზმს, ქეთევანი და ალექსანდრე განძაში რომ უნდა ჩაეყვანა, სადმე მივარდნილ ადგილას დახვედროდნენ, მძევლები წაერთმიათ და ერთიცა და მეორეც სასახლეში დაებრუნებინათ.

თეიმურაზს ახალი ჰირი და საზრუნავი გაუჩნდა, ეს ამბავი რომ შეატყობინეს. თავგახურებულ ყმაწვილკაცებს, სამშობლოს ღირსების დასაცავად თავი რომ არ ეზოგებოდათ, ოთხივე კუთხივ შეუთვალა, თუ ქვეყნისა და ტახტის სიკეთე გწადიათ, ყიზილბაშებს მართლა არაფერი აუტეხოთ, იცოდეთ, ერთი კაცის სისხლს ასით გვაზღვევინებენ, შაჰს შემოსევის და ქვეყნის წახდენის საბაბს ნუ მისცემთ, მე უბედერი ამ მსხვერპლსაც იმისთვის ვწირავ, ძესა და მშობელ დედას მძევლად ჩემის ნებით ვაგზავნიო.

გულაღრენილმა ყმაწვილკაცებმა ნახევარიც არ დაიჯერეს იმისა, რაც ბატონ მეფეს მალემსრბოლების პირით შემოეთვალა. მათი რაზმები თვალდათვალ იზრდებოდა და საშიში ძალის სახეს იღებდა.

მოსალოდნელი უბედურების თავიდან ასაცილებლად თეიმურაზი იძულებული გახდა, თავადი დავით ჯანდიერი მოეხმო, მისთვის ათასი ცხენოსნის შეკრება ებრძანებინა და შავ ჰაკზე ამხედრებულ, თალხებით შემოსილ ქეთევანს, საგზაოდ შეფუთული ალექსანდრე გულში რომ ჩაეხუტებინა, ჯერ ჩალაუბნამდე და შემდეგ კაპრეთამდე გაჰყოლოდა.

როდესაც სარწმუნოდ შეიტყეს, თვით მეფე-ბატონი მობრძანდება და მის თვალწინ ყიზილბაშებზე თავდასხმას არ გვაპატიებსო, გულდაწყვეტილი ყმაწვილები შორიდან უთვალთვალებდნენ საქარავნო გზაზე ტაატით მიმავალთ, უკან მწუხარებისაგან თავპირჩამომტირალი ხალხი რომ მისდევდა და თავიანთ ბატონ მეფეს უპატიურად იხსენიებდნენ, როგორ თუ ურჯულო ყაენის წინაშე ქედს იხრის და იმის მაგიერ, ბუკს ჩაპბეროს და ქუდზე კაცი ომში გვიხმოს, საკუთარ დედას, ერის სათაყვანებელ დედოფალს, და ძეს თავისივე ნებით მძევლად უგზავნისო!

დაინამდვილებდა თუ არა, მხლებლებით გარშემორტყმული ქეთევანი გვიახლოვდებაო, ქალი და კაცი იჩოქებდა, ჯაფაში დალეული ყავარჯნიანი ბერიკაცები და დედაბრები სასოებით პირჯვარს იწერდნენ და მხედრებს შორის თავიანთ დედოფალს ეძებდნენ. ზოგი დედა, ახალგაზრდა და უფრო გაბედული, წინ იკრებოდა, თავადაც გულამომჯდარ ქეთევანს ბალღს აწვდიდა, ეევედრებოდა, ხელი შეახე, შე მადლიანო, დამილოცე, შენს სახელზე გავზრდიო და ქეთევანიც მოთმინებით ასრულებდა თხოვნას, უარს არავის ეუბნებოდა.

ბაკურციხეში, სადაც შიგა და გარე კახეთის გზები იყრება, დიდი ხალხმრავლობა დაუხვდათ. ასე რომ შიგ გაღწევა ან გვერდის ავლა, შემდეგ კი მარჯვნივ, ხევში შეხვევა ერთობ გაჭირდა.

მეფემ ბებურ ვაჩნაძეს გააგზავნინა კაცი, გაიგეთ, რა ხდება მანდ, ვინაა, გზას რომ გვიღობავს, საქვეყნოდ გაჯოხვა ხომ არ მონატრებიაო.

ნახევარ საათზე მეტმა მაინც გაიარა, სანამ ვაჩნაძის კაცი ხალხში გააღწევდა და ამბის გადმოსაცემად უკან მობრუნდებოდა.

— ურემი დგა გზაში, მეფეო, არც იქით შვრება ძვრას და არც აქეთ!

— მერე ამდენ ხალხს ერთი ცინგლიანი ურემი ვერ გადაგიყენებიათ?

— არა შვრება მეურმე, მეფევ, იგრე ამბობს, ვინც ნაბიჯს გადმოდგამს და ხარებს შემიშინებს, აი, ამ სახრით ზურგს ავუპრელებო. ძარაში ბალღები უზის, აგრე ათი. ამბობს, ესენი სულ ბატონ მეფის ნათლულები არიან და ვიდრე მეფეს არ ენახამ და არ დაველაპარაკები, ბიჭი ხართ და ნაბიჯს გადმოდგამთ ვინმეო.

— მოიყვანეთ, ვინ არის?!

— აი, ეს გახლავს, მეფეო, მოსულა კიდეცა!

— მომიახლოვდი! ვინა ხარ, კაცო?

— ველარ მიცანი, მეფეე, შენი ჭირიმე? — თმაწვერგა-თეთრებულმა მეურმემ გულში ჩახუტებული ნაბდის ქუდი მოკმუკნა, ვაჩნაძიანთ კაცს წინ დაუდგა, იფნის მოქნილი სახრე ძირს დააგდო და თეიმურაზის ცხენის ფეხებთან დაიჩოქა.

— ვინა ხარ, კაცო, არ გესმის, რომ გეკითხები, რა უფლების ძალით გვიპერ გზასა?

— ეე, აგრე მალე დაგავიწყდი, მეფეო? გახსოვს, ბატონიშვილობაში, სპარსეთიდან რომ მობრძანდებოდი და ვაქირზე ჩამაიარე? მე ცხრა შვილიშვილი მყავდა მოსანათლავი. გზაზე გადაგიდექ, როგორც ახლა, შენი ამალით შინ შეგიყვანე, ჭერი დაგალოცვინე და ცხრავე ბალღი შენ მოგანათვლინე. ჯიმშერი ვარ, ჯიმშოი, ფეიქრიშვილი...

— მახსოვს, როგორ არა, გამარჯობა, ჯიმშო!..

— ღმერთმა და მამაზეციერმა სუ გამარჯვებული გატაროს, მეფეო! — ორივე დაკოჟრილი, თაკარა მზისაგან გარუჯული, გამომშრალი ხელი აღაპყრო ფეიქრიშვილმა. — სადაც შენ შენს ბედნიერ ფეხს დასდგამ, სუ ია-ვარდი ჰყვაოდეს, მტერი დაგიმარცხოს და მოყვარე გიმრავლოს! შეეიტყევით მე და ჩემმა დედაკაცმა, შვილს გართმევს თურმე ის ღვთისაგან შაჩვენებული ყაენი, ბატონიშვილ ალექსანდრესა. იმას თურმე ჩვენი დიდი დედოფალი ქეთევანი მიჰყვება და ობლადა გვტოვებს. ნუ იზამ მაგას, მეფეო, როგორც ხატის წინაშე დაჩოქილი გევედრები, ნუ გაიმეტებ ნურც დედას, ნურც ბატონიშვილს.

— მაშ, რა ვქნა, თუ არ მეშვება?!

— ცხრავე შენი ნათლული მომირთმევია, ცხრავე შენი ჭირის სანაცვლო იყოს. გაატანე ამ ყიზილბაშებსა და შენ უკან დაბრუნდი, აგრემც გენაცვლება ჯიმშოი!.. ჩვენ გლეხკაცები ვართ, ძარღვებში გლეხის სისხლი გვიდუღს. სადაც არ უნდა იყოს, თავს გავიტანთ. შენი სისხლი და მოდგმა სხვა არი, იმა ვენაცვალე, მტერს ვერ დავუთმობთ, თავს ვერ გავათელვინებთ!..

— მადლობელი ვარ, ჩემო ჯიმშერ!.. — თეიმურაზს ხმა გაებზარა, თავს პირველ წუთებიდანვე ძლივს იკავებდა, რომ გულში დაგროვილი მთელი მდუღარება თვალებიდან ცრემლად

არ გადმოსკდომოდა. — შენი ერთგულება მე მაშინ ვცანი, როცა შენს ჰერქვეშ შემოვედი და შვილიშვილები მოგინათლე, დღეს კი მაგ შენი სიტყვებით ამ პატიოსანი ერის წინაშე ის დამიმტკიცე, რომ ჯერ წესი არ აგვგებია, მთლად არ დავღუპულვართ, ორთავ ფეხზე ვდგავართ და, — ყველას ეყურებოდეს! — მან მზერა სმენად გადაქცეულ ყიზილბაშებს მიაპყრო, რომელთაც ქართულისა არაფერი გაეგებოდათ. — მუხთალ მტერს დიდი გარჯა დასჭირდება, სანამ ფესვებიანად მოგვთხრიდეს! რაც შეეხება შენი შვილიშვილების გაგზავნას ჩემი ალექსანდრეს მაგივრად, ეგ არ მოხერხდება, ჩემი ჯიმშო. ყაენს ჩემი, კახეთის მეფის შვილი სჭირდება მძევლად, რათა ხელ-ფეხი შემიბორკოს და მორჩილებაში მიყოლიოს, შენსას რას აქნევს, ცხრა კი არა, თუნდაც სამჯერ ცხრაც რომ გავუგზავნო! წაიყვა შენი შვილიშვილები, ჯიმშოვ. ღმერთსა ვთხოვ, ცხრავე გაგეზარდოს! დედებს ჩაბარე. წამოიზრდებიან, ხელში შუბ-სატევრის დაჭერას შესძლებენ და ომში მომაშველე. ნუ შიშობ, უომრად მე და შენ არავინ დაგვტოვებს! ახლა კი გადააყენე ის შენი ურემი, გზა გახსენ და გაგვიშვი!..

თავი XLIX

შაჰ-აბასმა დიდად იწყინა, როცა განძის ხანის სასახლეში მთელი თავისი ბრწყინვალე სახლეულით დაბანაკებულს ალექსანდრე ბატონიშვილის მძევლად მოყვანის ამბავი მოახსენეს. როგორ გაბედა ჩემმა ხელდასხმულმა თეიმურაზმა, თავადაც ღლაპმა, თავისი ქვეშაფსია ღლაპი გამომიგზავნა, მე აქ გადია ხომ არა ვგონივარ, რომ ღლაპს საფენები ვუცვალო, სად არის ჩემს მიერ მოთხოვნილი ლევანი, რად არ მაახლაო?

შაჰის მრისხანება ოდნავ დაცხრა, როდესაც ამცნეს, მომვლელად და ყურისმგდებლად მცირეწლოვან ალექსანდრეს ბებიამისი, დედოფალი ქათევანი ახლავსო, მაგრამ იმდენად კი არა, რომ თავდაპირველ განზრახვაზე ხელი აეღო. იმავე დღეს გაიგზავნა ყიზილბაშთა ახალი რაზმი, ამჯერად ორჯერ უფრო მრავალრიცხოვანი, ტახტის მემკვიდრე ლევან ბატონიშვილის ჩამოსაყვანად. გარდა ამისა, რაკი გააწბილეს და ტახტის მემკვიდრე პირველ მოთხოვნისთანვე არ გამოუგზავნეს, განრისხებული შაჰი კიდევ ერთ მძევალს ითხოვდა. ეს იყო

თეიმურაზის თანამეცხედრე, კახეთის დედოფალი, შაჰის ცოლისდა ხორეშანი, რომლის სიტურფის ამბავს ისპაჰანამდე ჩაეღწია და აბასს სურდა, ამ ამბის ჭეშმარიტებაში საკუთარი თვალით დარწმუნებულიყო.

ქეთევანს ამალაში თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი, კარის მწირველი მღვდელი მამა გიორგი, რამდენიმე სეფექალი, ბატონიშვილ ალექსანდრეს გადია გლეხის ქალი სალომე და ორმოცი შუბოსანისაგან შემდგარი მცველი რაზმი ჰყავდა.

დედოფალი დარწმუნებული იყო, რომ ფლიდი და მასხარა შაჰ-აბასი, რომლის მიმოხრა და საქციელი ყოველთვის იმ ზვიადი კატის საქციელს აგონებდა, თაგვი რომ დაუჭერია და შეჭმას არ ჩქარობს, ჯერ თათებსშუა ათამაშებს, თითქოს ეალერსება, რათა შიშისაგან გულგახეთქილი მსხვერპლის წვალებით დატკბესო, ახლაც, როგორც შემახაში, თავისებურ დიდკაცურ თავაზიანობას გამოიჩენდა და ძვირფას სიდედრს ზარ-ზეიმით ისრის სასროლ მანძილზე გამოეგებებოდა. ქეთევანს ამჯერად იმედი გაუმტყუნდა, ეს ასე არ მოხდა. პირიქით, ქალაქის კარიბჭეში ჩაყენებული შუბოსანი ყიზილბაშები, თავზე თითბრის ბრჭყვიალა კოთხოები რომ წამოემხოთ და ტანთაც აბჯარი ეცვათ, მოსულთ უდიერადაც კი მოექცნენ. ქეთევანი და გადია სალომე, რომელსაც ცხენიდან ჩემოხდომის შემდეგ ხელში ალექსანდრე ეჭირა, ჯიკავ-ჯიკავითა და შუბისტარების ტურტურით გვერდზე გადააყენეს და მალე სადღაც განცალკევებით წაიყვანეს. ასევე ცალკე წაიყვანეს თავადი შერმაზანი, მამა გიორგი და დედოფლის მხლებელი სეფექალები, ხოლო მცველი რაზმი ქალაქის კარს გარეთ დასტოვეს, შიგნით შემოსვლის ნება არ დართეს.

ყიზილბაშების უსიტყვო ბრძანებას ყველა ხმაამოუღებლივ დამორჩილდა, რადგანაც მათ ხელში იყვნენ და რისამე თქმა, უკმაყოფილების გამოხატვა ან ხელის განძრევა არავითარ სასურველ შედეგს არ გამოიღებდა და ბედს შერიგებულნი იქით გაემართნენ, საითაც მებადრაგე შუბოსნებს მიჰყავდათ.

„ეს რა ამბავია, ღმერთო, დიდებულო! — გაიფიქრა სპარსელთა უჩვეულო დახვედრით შეცბუნებულმა ქეთევანმა. — ნუთუ ტყვეებად გვთვლიან, ასე უსულგულოდ ერთმანეთს რომ დაგვაშორეს, გამოლაპარაკების ღირსადაც არ ჩაგვთვალეს და სამსხვერპლო პირუტყვივით სადღაც მიგვერეკებიან?!“

ქეთევანის განცვიფრებამ და გამოუთქმელმა გულისწყრომამ მაშინ უფრო იმატა, როცა ის გადიასთან და პატარა ალექსანდრესთან ერთად ციხე-სიმაგრის ციცაბო აღმართს აუყენეს და მალე თვით ციხეშიაც შეიყვანეს.

ციხე ყოველის მხრიდან შიშველ ბორცზე იდგა. მიხვეულ-მოხვეული ყრუ კედლები სქელი და გლუვი ჰქონდა, ზედ ხვლიკიც კი ფეხს ვერ მოიკიდებდა. ზემოთ, თითქოსდა ცისკიდურზე, ქოგნურების გასწვრივ, ყიზილბაშები იდგნენ და ძირს იყურებოდნენ. მეციხოვნე ყიზილბაშები ქვემოთაც ბლომად ირეოდნენ. ზოგს მხარიღლივ ისრებით სავსე კაპარჭი გადაეკიდა და შვილდი იღლიაში ამოეჩარა, ზოგს მხარზე შუბი გაედო და საქმეშემოლეული კაცის უდარდელობით ციხის ფილაქანზე მოალაჯებდა.

"სად მივყეევართ, ღმერთო ნუთუ აქ გვიპირებენ დამწყვდევას? მერე რისთვის?" — ფიქრობდა ქეთევანი და დაწინაურებულ შუბოსნებს სუნთქვამოხშირებული მისდევდა, ცდილობდა, არ ჩამორჩენოდა და მათი რისხვა არ დაემსახურებინა. ტანჯვის გზას დასასრული არ უჩანდა. ბოლოს ყიზილბაშები გრძელი დერეფნის მოსახვევთან, კედელში ღრმად ჩასმული, გაურანდავი ფიცრებისაგან შეკრული კარის წინ გაჩერდნენ, კარი ჭრიალით შეაღეს, შევიდნენ და უკან მომავალ ქალებს ხელი დაუქნიეს, შემოდითო.

კარი ისე დაბალი იყო, შესვლისას ქეთევანს თავის დაღუნვა მოუხდა. ისინი ჩახუთულ საკანში აღმოჩნდნენ, რომელშიაც დღის სინათლე კარიდან შემოდიოდა. მარჯვნივ, კუთხეში, ბუხარი ჩანდა, კედელთან კი ფარდაგგადაფარებული ტახტი მიედგათ. გამომქრალი ბუხრის ფიტონზე ქონის ჭრაქი ენთო. საკანში ფეხის ოფლისა, თაგვისა და დამწვარი წივის სუნი დამდგარიყო. მათ მოსვლამდე, ეტყობოდა, აქ სხვები ათევდნენ ღამეს, ღამ-ღამობით ცეცხლს ანთებდნენ და ახალი ბინადრების მოსათავსებლად საკანი საგანგებოდ გაათავისუფლეს.

ქეთევანმა ბოხჩაც ვერსაც დადგა, რომელშიაც პატარასათვის საჭმელ-სასმელი ჰქონდა ჩალაგებული. საშინელი სუნი, საკანში რომ იდგა, თვით ჭუჭყიან ფარდაგსა და კედლებსაც კი ასდიოდა. სუნთქვა შეუძლებელი იყო. ქეთევანი ყიზილბაშებს მოუბრუნდა, რომლებიც უკვე წასვლას აპირებდნენ და სპარსულად ჰკითხა:

— აქ ვისი ბრძანებით მოგვიყვანეთ?

ყიზილბაშებმა ერთმანეთს გადახედეს, ესიამოვნათ, რომ გურჯმა დედოფალმა მათ მშობლიურ ენაზე დაილაპარაკა და პასუხი არ დაუყოვნებიათ:

— მისი უდიდებულესობა შაჰის ბრძანებით, ხანუმ!

— გადაეცით იმ თქვენს შაჰს ჩემი სახელით, რომ დიდი არამზადა ბრძანებულა, რაკი ავადმყოფ ბალღსა და უმწეო ქალებს ამ ჯურღმულში ჩასაყრელად გვიმეტებს! ამ პირობით ჩვენ აქ არ ჩამოვსულვართ!

ყიზილბაშებმა იწყინეს მათი მბრძანებლის აუგად მოხსენიება და აფოფრილებმა უპასუხეს:

— ეგ, ხანუმ, თქვენ თვითონ უთხარით, როცა პირადად შეხვდებით!

მაგრამ „პირადად შეხვედრა" შაჰ-აბასმა კარგა ხანს არ ინება. მესამე დღეს მხოლოდ ის ბრძანება გამოსცა, რომ გურჯი მძევლებისათვის ბინა შეეცვალათ, ციხე-სიმაგრის აშმორებული საკნიდან ისინი ქალაქის კედლის შიგნით, ერთი მართლმადიდებელი ბერძენი თერძის სახლში გადაეყვანათ, რომელსაც დღისა და ღამის ყოველ დროს ყიზილბაში შუბოსნები დარაჯობდნენ და დღიური იჯრაც შესაფერისი დაენიშნათ.

ქალებს დროის სათვალავი აერიათ. დღიდან ქალაქში შემოსვლისა და თანამემამულეებთან განშორებისა, მათ თავისიანებისა არაფერი იცოდნენ. თავის მხრივ, ვერც მათ მოეხერხებინათ ხმის მოწვდენა და რისამე გაგებინება.

რას მოასწავებდა ეს ყველაფერი? რად მოექცა შაჰ-აბასი ასე სასტიკად ადამიანებს, ქეთევანსა და მის პატარა შვილიშვილს, რომელთაც აქამდე ვითომ თავის ახლობლებად თვლიდა და ერთგულებასა და სიყვარულს ეფიცებოდა?

ერთ დღეს ქალებმა გადაწყვიტეს, გარეთ გასვლა და ხალხში გარევა ეცადათ, იქნებ რაიმე სანუგეშო შევიტყოთ და ჩვენიანების გზასა და კვალს მივაკვლიოთო. ნუთუ შაჰ-აბასი ისე გამხეცდებოდა, სრულიად უდანაშაულო ადამიანებს, აქ მისდამი მორჩილების ნიშნად მოსულთ, სიცოცხლეს გამოასალმებდა?

ეს სულის მღრღნელი ეჭვი იმიტომ გაჩნდა და ფესვიც მოიკიდა, რომ თვით შაჰ-აბასის კარზეც კი გავლენიან თავად შერმაზან ჩოლოყაშვილს, თუ ღვთის განგებით ჯერ ისევ ცოცხალი იყო, რაიმე უნდა ეღონა და თავის დატყვევებულ, შაჰის ნებით პატივაყრილ დედოფალს და ბატონიშვილ ალექსანდრეს უნდა ხლებოდა. რაკი ეს ასე არ მოხდა, საქმეს,

მაშასადამე, კარგი პირი არ უჩანდა და ხვალ და ზეგ კიდევ უფრო უარესის მოლოდინი უნდა ჰქონოდათ!

ციხე-სიმაგრის ბნელ საკანში, სადაც მზის სხივი ვერსაიდან აღწევდა და რომლის კედლებიდან ყინულივით ცივი ნესტი ჟონავდა, ბატონიშვილი გაცივდა და დღე და ღამ საწყალობლად ახველებდა. შვილიშვილის საცოდაობით გულდათუთქულმა ქეთევანმა და გადიამ თითქმის ყველაფერი გაიხადეს, რაც კი ტანთ ემოსათ, გამუდმებული ხველებით გაწამებულ ბავშვს ზოგი ქვეშ დაუგეს, ზოგიც ზემოდან დაახურეს, თავად კი სიცივისაგან კანკალებდნენ, მაგრამ ამას ვერც ერთი ვერ ამჩნევდა. ახალ, მშრალ ბინაში გადასვლამ და თბილმა ლუკმამ პატარა თითქოს მოაბრუნა, მოასულიერა და საამქვეყნიოდ მოაქცია.

— აგრე, შვილო, ჩემო პატარა ბიჭო, ჩემო გვრიტო, ჩემო სიხარულო, — ეფერებოდა შვილიშვილს ვინ იცის რამდენი ღამის უძილარი და უსმელ-უჭმელი ქეთევანი, თანაც თერძის ცოლის მიერ სამადლოდ გამეტებულ ბუმბულის საბანში ახვევდა. — მალე, სულ მალე შინ დაებრუნდებით, ლევანს და ხორეშანს ვნახავთ, მამილოსაც ვნახავთ, ჩაეხუტებით, შენს საყვარელ ლეკვებს ეთამაშები, კურდღლებს ბალახს მიუტან და მათი დედიკო დაგლოცავს. გადია ტკბილ ნაზუქს გამოგიცხობს. შენ ხომ გიყვარს გადიას გამომცხვარი ტკბილი ნაზუქები? მე და შენკარის ეკლესიაში წავალთ, ლევანსაც წავიყვანთ და ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ხატს სანთლებს დავუნთებთ, შეგეწიოს იმისი მადლი, ამინ!..

სალომემ ჟღალი თავსაფარი მოიხვია, ისე, როგორც აქაური ქალები იხურავდნენ, მხოლოდ თვალები-ღა უჩანდა, დიასახლისისაგან ნათხოვარ ხელკალათში მკლავი გაუყარა, შვილიშვილის სასთუმალთან ჩამომჯდარ ქეთევანს დაენახვა, მივდივარო, გარედან ლამფით აკრული და კრამიტით გადახურული ფიცრული კიბე ჩაიარა და ჭიშკრისაკენ ისე გულდაგულ წავიდა, თითქოს თერძის სახლის გარშემო დღიან-ღამიანა მობორიალე შუბოსან ყიზილბაშებს ვერც კი ამჩნევდა. სამაგიეროდ, მათ ეზოში გამოსვლის უმალვე დალანდეს თვალი და ჭიშკარშივე წინ გადაუდგნენ: სად მიბრძანდებოდა გურჯი ყზი? გადიამ სპარსული, რასაკვირველია, არ იცოდა. ქართულად უპასუხა, მძევალი ბატონიშვილი ავად გვყავს, დედოფალმა ბაზარში გამგზავნა, აი, კალათი და ფული, იქნებ ცოტაოდენი ვაშლი უყიდოო. არც ყიზილბაშებმა

იცოდნენ მისი ენა. კიდევაც რომ სცოდნოდათ, ამ გრძელ ახსნა-განმარტებას ყურს ვინ დაუგდებდა! ქალი ჯიკავ-ჯიკავით კვლავ ეზოში შემოაგდეს და დაემუქრნენ, მეორედ ქუჩაში გასვლა არც კი იფიქრო, ჩვენ აქ რისთვის ვდგავართო.

ქეთევანს არ გაჰკვირვებია, გადია რომ ოთახში შემობრუნდა, ხელკალათი კუთხეში დადგა, თავსაფრით თვალები დაიფარა და მწარედ ატირდა. ქეთევანმა ანუგეშა, როგორც შეეძლო. მას გულში გადაწყვეტილი ჰქონდა, როგორც კი ამის პირველივე შესაძლებლობა მიეცემოდა, ქალი შინ გაეშვა, რადგან ჯანლონითა და სიცოცხლით სავსე სალომეს შინ ქმარ-შვილი ელოდა, მაგრამ შესაძლებლობა ჯერ არავითარი არ ჩანდა და ეს საწყალი, ალბათ, საკუთარ უბედურებას მისტიროდა.

ერთ საღამოს ავადმყოფ ბალღზე გადაგებული ორივე ქალის ყურადღება კუტიკარის ჯახუნმა მიიქცია. ქეთევანმა და სალომემ ერთმანეთს რაღაც ფარული მღელვარებით შეხედეს, თითქოს გულმა უგრძნოთ, რომ ახლა მეტად უჩვეულო და მათთვის უაღრესად მნიშვნელოვანი რამ ამბავი უნდა მომხდარიყო. გაინაბნენ და სმენად გადაიქცნენ. ის იყო, ქეთევანმა თქმა დააპირა, გაიხედე ერთი, სალომევ, დაინახე, ვინ მოვიდაო, რომ კარი თითქოს ქარბორიამ შემოახეთქა და ოთახში მკლავებდაკაპიწებულ წითელ ჩოხასა, თეთრ ახალუხსა და წითელსავე წაღებში გამოწყობილი თმაქოჩორა ბიჭუნა შემოვარდა ასე სამი-ოთხი წლისა.

— ლევან, შვილო!.. — შეჰკივლა ქეთევანმა და იმის მაგიერ, უსაზღვროდ მონატრებული შვილიშვილი, კიჟინით მუხლებზე რომ შემოაფრინდა, გულში ჩაეკრა, ალექსანდრეს სასთუმალთან გრძნობამიხდილი მიესვენა. არ გაუგია, უღონობა რამდენ ხანს გაგრძელდა. თვალი რომ გამოახილა, საკინძე ჩახსნილი ჰქონდა და შეშინებული გადია, რომელსაც კივილის გაგონებისთანავე შემოვარდნილი თერძის ცოლიც ეხმარებოდა, შუბლსა და ყვრიმალებს ცივი წყლით უზელდნენ და პირში სულს უბედავდნენ. იქვე იდგა გაოგნებული ლევანიც. ვერ გაეგო, ბებოს რა მოუვიდა, გულამომჯდარი ხმამაღლა ზლუქუნებდა და ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა.

— ბებო!.. — წამოიძახა მან, გახარებულმა, როდესაც ქეთევანმა თვალი გამოახილა, მიხვდა, რაც მომხდარიყო, უმალ გულისპირზე დაიხედა და გახსნილი საკინძე შეიბნია.

— ეს მართლა შენა ხარ, შვილო ლევან? აქ რამ მოგიყვანა, ბებო გენაცვალოს?!

— მამამ გამომგზავნა, ბები შენს წასაყვანად. გვეგონა, რომ გზაში შეგვხვდებოდი. სულ წინ ვიყურებოდი, მაგრამ არ გამოჩნდი. სხვები გვხვდებოდნენ, შენ არა! ასე რად დაიგვიანე? ხომ დამპირდი, მალე დაგბრუნდებიო! შენ ხომ ტყუილები არ იცოდი, ახლა ისწავლე?

— ბებო შემოგევლოს, შვილო, ჩემო მალხაზო! — უანგარიშოდ მიუგო ქეთევანმა, რომლის გულშიაც ათასი ურთიერთსაწინააღმდეგო ფიქრი ებრძოდა ერთმანეთს. — მაშ, მამამ გამოგგზავნა?

— ჰო, ბები. შენ ახლა დიდი ბიჭი ხარ, განძაში უნდა გაგაგზავნო ბებოს ჩამოსაყვანადო!

— მოდი ახლოს, შვილო, — აკანკალებული ხმით მიმართა ბიჭს ქეთევანმა, მოეხვია, მისი მოუსვენარი პაწია თავი ორივე ხელით გულზე მიიკრა და მაშინღა შენიშნა, რომ თერძის ცოლი უკვე წასულიყო, იატაკზე ვიღაცას წყლის გუბე დაეყენებინა და ქოალი თავსაფრით პირშებუდნული გადია მას ჯვალოს ტომრის ნაგლეჯით ამშრალებდა. — მერე შენ რა უთხარი მამას?

— წამოვედი!

— ყოჩაღ, ჩემო ვაჟკაცო! შენი იმედი ღმერთმა ნუ მომიშალოს! შენ უნდა დამმარხო, მიწა ამ ხელებით უნდა მომაყარო! აქ ვინ მოგიყვანა?

— ყიზილბაშებმა!

— ჩვენიანი არავინ გახლავს?

— ბატონი ბებური და ბატონი თამაზი!

— მერე ახლა სად არიან, მარტო რატომ მიგატოვეს?

— არ მივუტოვებივარ, სხვა ყიზილბაშებს წაუყვნენ, ბები. დამპირდნენ ჩვენ ახლა ერთ საქმეზე მივდივართ და როგორც კი იმ საქმეს მოვრჩებით, მაშინვე შენთან გავჩნდებით და შენ უჩვენოდ არ შეგეშინდესო. ჩვენს დიდებულ დედოფალს ჩვენგან მორიდებული მოკითხვა გადაეცოო. აი, მეც გადმოგეცი!

— გმადლობ, შვილო, ჩემო მალხაზო ბიჭო!

— შინ როდის-ღა წავალთ, ბები? რა გინდა აქ, რას უცდი?

—- მამამ არაფერი გითხრა?

— მითხრა, დიდხანს არ გაგაჩერებენ, მე ყოველ ღონეს ვიხმარ, რომ სამივე მალე გამოგიშვანო. ახლა, სანამ წავიდოდეთ, მეც აქ, თქვენთან და ალექსანდრესთან ერთად უნდა დავიძინო?

— მაგას რაღა აჯობებს, შვილო, ლევან, თუ წყალობა მოიღეს და ნება დაგვრთეს!

— რას ამბობ, ბებო, დაგავიწყდა, რომ მე ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი ვარ? ჩემი სიტყვა კანონია! მე ვინ რა უნდა მიწყალობოს! თუ კარგია, მე თვითონ ვუწყალობებ!

ქეთევანმა შვილიშვილის პატარა თავი ისევ გულზე მიიხუტა და გაირინდა, ფიქრით და აზრით გრემის სასახლეში გადასახლდა. რა ხდებოდა ახლა იქ? რა დღეში იყო თეიმურაზი, რომელსაც თავისი ერთგული ბურჯი — დედა გვერდში აღარ ჰყავდა და საქვეყნო საქმეების მართვაში ჯერ კიდევ არცთუ მთლად გამოცდილს ამოდენა ტვირთი სუსტ მხრებზე დააწვა? რაკი ტახტის მემკვიდრე უფროსი შვილი მკერდიდან მოიგლიჯა და ისიც დედისა და უმცროსი ძის გზას გამოუყენა, ჩანდა, შაჰ-აბასის ფირმანი ხელახლა მიუვიდა და დიდებულების რჩევით ისიც იძულებული გახდა, ამჯერადაც დაეთმო, ახალი პიროვნული მსხვერპლის გაღებით ქვეყნისათვის კიდევ უფრო დიდი ჭირი აეცდინა.

თეიმურაზი შაჰ-აბასს ამიერიდან მთლად ხელში ჰყავდა და მისი ნება-სურვილის გარეშე ხელსაც ვერ გაანძრევდა, თუნდაც მტარვალს ნახევარი სამეფო მოეთხოვა და ის სადღაც აყრილი ველური ტომებით დაესახლებინა.

დედოფალი დღეს უკვე თვალნათლივ გრძნობდა დიდსა და გამოუსწორებელ შეცდომას, სამეფო კარსა და დარბაზის ერს თავად ლუკა მაყაშვილის უმართებულო რჩევით რომ მოუვიდა. უმცროს ბატონიშვილ ალექსანდრეს აქეთ გამოშვება საჭირო არ იყო. თავიდანვე უნდა სცოდნოდათ და ალღო აეღოთ, რომ კავკასიაში ქართველი მეფეების დასასჯელად მოსული შაჰ-აბასი თავის შავ-ბნელ გადაწყვეტილებას არ შეცვლიდა და ტახტის მემკვიდრეს მძევლად ხელახლა მოითხოვდა. აკი მოითხოვა კიდევაც და თავისიც გაიტანა! ახლა ვის-ღა შეეძლო მისი მსახვრალი კლანჭებიდან მსხვერპლის გამოხსნა, ვეშაპის რისხვის დაცხრობა და იმ ვითომდა კეთილი ურთიერთობის აღდგენა, რომელიც აქამდე ყაენთან ჰქონდათ!

ერთადერთი იმედი ქეთევანს თავის თავზე, თავის ქალურ მოხერხებაზე, დედაკაცურ ძალისხმევაზე უნდა დაემყარებინა.

სხვა საიმედო მოსარჩლე, ვისაც ძალუძდა, ერისა და ტახტისათვის თავი გადაედო, ძეს მისას თეიმურაზს არა ჰყავდა და აი, დაჰკრა კიდევაც ჟამმა, როდესაც ქეთევანს მთელი თავისი ცოდნა და გამოცდილება, წლების განმავლობაში რომ დაუგროვდა, გადამწყვეტი გამარჯვების მისაღწევად მთლიანად უნდა გამოეყენებინა.

დილით ბავშვებს ჯერ კიდევ გულისძილით ეძინათ, როდესაც სახლის ჭერხოში გამომწყვდეულმა ქალებმა კუტიკარის ნაცნობი ჯახუნი და შემდეგ ფიცრული კიბის ჭრაჭაჭრუჭი გაიგონეს. გადია ადგა, კარი გამოაღო და აივანზე გასულიც არ იყო, სიხარულისაგან სახეგაცისკროვნებული უკანვე რომ შემობრუნდა.

— თავადი შერმაზან ჩოლოყაშვილი გეახლა, დედოფალო!

— შერმაზანი? — ამ სახელის გაგონებით იმედმოცემულმა ქეთევანმა მაშინალურად თმაზე იტაცა ხელი, ტანსაცმელზე დაიხედა და როდესაც დარწმუნდა, ყველაფერი რიგზე მაქვსო, გადიას მხოლოდ ამის შემდეგ მიმართა: — თხოვე, შემობრძანდეს!

სიხარულისაგან ფრთებგამოსხმულმა გადიამ აივანს მიაშურა და იმწამსვე კარში თმაგაჭაღარავებული, ლაინისფერ ქართულ კაბაში გამოწყობილი, მუხლებამდე წაღებამოქაჩული, საკმაოდ ტანსრული მამაკაცი ჩამოდგა, რომელსაც ოქროსსირმებიანი ნაბდის ქუდი ხელში ეჭირა და დედოფალს ღრმა თავის დაკვრით მიესალმებოდა.

— ბედნიერი ვარ, რომ ამ მეორედ მოსელაში ისევ საღსა და უვნებელს გხედავთ! გწყალობდეთ დედაღვთისა, მისი წყალობა და ლოცვა-კურთხევა არ მოგაკლოთ!

— გმადლობთ, ბატონო შერმაზან! ჩვენც აგრე დაგვილოცნიხართ! მოგვიახლოვდი! სატევარი რა უყავი, აგრე უიარაღოდ რატომ დაბრძანდები?

— აგვყარეს იარაღი, დედოფალო, ფარღალალა საბძელში გვამყოფებენ. ასეთი რამ მე ჯერ არ მსმენია! — შერმაზანმა რამდენიმე დარბაისლური ნაბიჯი გადმოდგა, თავბოლოშექცევით მწოლარე შვილიშვილების ლოგინთან უძრავად ასვეტილ ქეთევანს მიუახლოვდა, მუხლი მოიყარა, ხელზე კრძალვით ეამბორა, წამოდგა და გულხელი დაიკდო. — ღმერთს მადლობა უნდა შეეწიროთ, რომ სული შეგვარჩინეს! ეტყობა, მეტისმეტად განრისხებულია ჩვენზე ყაენი, რაკი თქვენს უდიდებულესობას ასეთი უპატიური მიღება აკადრა. თქვენ

როგორ ბრძანდებით, დედოფალო? შეწუხებული ჩანხართ. არც არის გასაკვირი. გული გვიკვდებოდა, რომ ხელი ვერსაიდან შეგაშველეთ. ბატონიშვილის ავადმყოფობის ამბავი მოგვივიდა და ამან წუხილი გაგვიათკეცა. ღვთის შეწევნით, ხომ მოიკეთა?

— ღმერთი მოგვეხმარა, ბატონო შერმაზან, არ გაგვწირა, შეისმინა ბებოს ლოცვა-ვედრება. საღამოობით ცოტა სიცხეს აძლევს. ხველებამ თითქმის გაუარა. ლევანის ამბავს შეიტ-ყობდი...

უფროსი შვილიშვილის ქოჩორა თავს, ბალიში რომ ჩაეკმუკნა, ქეთევანმა ალერსით დახედა, გამუდმებული უძ-ილობისაგან ჩაშავებული მსხვილი თვალები ცრემლით აევსო.

— რა გაეწყობა, დედოფალო, ეს ყოფილა ჩვენი ბედი! — ქეთევანის აცრემლებული თვალების დანახვაზე შერმაზანს თავადაც ცრემლი მოერია და ეს რომ არ შეემჩნევინებინა, გვერდზე გაიხედა. — უნდა გავმაგრდეთ! ჩემგან არ გესწავ-ლებათ! ჭირსა შიგან გამაგრებაო, ხომ ბრძანა სულმნათმა რუსთაველმა!

— რა იცით? რა ამბები მოგვიტანეთ?

— მეტად მწარე გასაგონია, რაც უნდა მოგახსენოთ, დედოფალო, მაგრამ რა მწარეც არ უნდა იყოს, ვერ დაგიმალავთ, თქვენ უნდა იცოდეთ ყველაფერი!

— თქვი ჩქარა, რა მოხდა!

— კახეთის საზღვრებზე ყაენის დიდძალი ჯარი დგას. სამოცი ათასზე მეტს ამბობენ. ქართლის მხრიდან მომდგარ ჯარს თავრიზის ბეგლარბეგი ფირბუდყაენი სარდლობს. ლორე, დმანისი, აღაჯყალა და სამშვილდე უკვე მის ხელთაა. ლუარ-საბი დუმს. ქართლელები, ეტყობა, ხელის გამოღებას არ აპირებენ. მტერი ერთობ მრავალრიცხოვანია და ვაითუ ვერ გავუმკლავდეთ, ტყუილად შევაწყდეთო. აღმოსავლეთის საზ-ღვრებთან, კაკ-ენისლის სასულტნოში, შაპის მარჯვენა ფრთა გახლავს დაბანაკებული, რომელსაც სათავეში შირვანის ბეგ-ლარბეგი იუსუფ-ხანი უდგას. ეს იუსუფ-ხანი, წყეულიმც იყოს მისი სახელი, ქართველების დიდი მოძულე ყოფილა და თურმე ადგილზე ვეღარ აკავებენ, იწევს, მაგ მხდალ ქართველებს მარტო მე ვეყოფიო!

— დავღუპულვართ და ეგ არის, შერმაზან, ჩვენი ხსნა ღვთივ მოვლენილ სასწაულსაც აღარ შეუძლია! რაღას

გვერჩის ეს სულთამხუთავი, ხომ შეეუსრულეთ ყველა პირობა, ხომ ვეახელით!

— ამ ანგელოზის დროზე გამოუგზავნელობა, — ჩოლოყაშვილმა მძინარე ლევანს დახედა, მძინარეც რომ ასე მიაგავდა დედას, გურიელის უბედურ ასულს, ანას. — უნდობლობად ჩაგვითვალა და საბაბად მოიდო. ალექსანდრეს აქ ჩამოყვანას არაფრად აგდებს, — თავადმა თავი შეიკავა და აღარ დაუმატა, არც თქვენი უდიდებულესობის მობრძანებას მიიჩნევს ანგარიშგასაწევ რამედო.

— ჩემი შვილისა რა იცი, თეიმურაზისა, მითხარი, ღმერთს გაფიცებ, არაფერი დამიმალო!

— ლაშქრად წვევის წიგნები დაუგზავნია, საომრად ემზადება!

— ვაიმე, შვილო, ვაი, ჩემო საბრალო ქვეყანავ!.. ნუთუ არაფრით შეგვიძლია, შევაჩეროთ ეს ურჯულო, ქვეყნის აოხრებაზე ხელი აავღებინოთ? შენ გამოცდილი კაცი ბრძანდები, შერმაზან, ჩვენი და ქვეყნის ერთგული. მირჩიე, რა ვქნა, თავი რომელ წყალს მივეცე, რომელ კლდეზე გადავვარდე?!

— ყაენს უნდა ვეახლოთ, დედოფალო, უნდა დავარწმუნოთ, რომ მისი მონა-მორჩილნი ვართ, რომ ღალატი გულშიაც არ გაგვივლია!

— თუ ჩვენი ბედი უკვე გადაწყვიტა, საზღვრებზე რაღას უდგას, რატომ შიგნით არ იკრება?!

— ლევანის გამოგზავნას ელოდა.

— ხომ ჩამოიყვანეს, ახლა რაღად არ გვეხსნება?!

— თქვენ არაფერი გაგიგიათ? — შერმაზანს აშკარად უძნელდებოდა კიდევ ერთი შემაშფოთებელი და საჩოთირო ამბის გამხელა.

— რა უნდა გამეგო?

— თქვენი უდიდებულესობის წინაშე ბოდიშს მოვითხოვ. შაჰმა ჩვენს მეფეს ცოლის, დედოფალ ხორეშანის, გამოგზავნა მოსთხოვა. თუ არა და, შენ თვითონ ჩამოდი ქედმოდრეკილი და ეგეც აქ მომგვარეო!

— ღმერთო, ეს რა ესმის ჩემს ყურებს! — ქეთევანმა შეიცხადა, ორივე ხელი ყვრიმალებზე იტაცა და ღაწვზე სიმწრისა და შელახული სიამაყის ცრემლი ჩამოუგორდა. — თუ აგრეა, არც ლევანი უნდა გამოეშვა!

— სწორს ბრძანებ, დედოფალო, მაგრამ ლევანი უკვე გზაში იყო, მეფეს რომ ეს ღვთის გამარისხებელი მოთხოვნა წაუყენეს!

— ვაიმე, შვილებო, ამათ ხომ დახოცავს ან სხვა უბედურებას რასმე შეამთხვევს, თეიმურაზმა რომ იქ ხელი გამოიღოს და წინააღმდეგობა გასწიოს!

— იმედოვნებს, ალბათ, რომ საქმეში ჩახედული ქვეშევრდომების რჩევით მეფე გონიერებას გამოიჩენს და უომრად დანებდება!

ამ დროს ლევანს გამოელვიძა. თვალები გამოქაჩა, დააკვირდა შერმაზანს, რომელიც შუა ოთახში იდგა და სინათლე ზურგში სცემდა, იცნო, გახარებული ლოგინში წამოჯდა და ორივე ხელი გამოუწოდა.

— ბატონი ბებური და ბატონი თამაზიც მოვიდნენ?

— არა, ისინი ჯერ არ მოსულან, ბატონიშვილო. დაგპირდნენ, მოვალთო?

— დამპირდნენ! — ლევანმა მოიწყინა.

— ჰოდა, თუ დაგპირდნენ, მოვლენ, ჯერ არ ეგვიანებათ. ხომ არ გვიჯავრდები, რომ გამოგაღვიძეთ? ღრმად გეძინა. ალბათ, ტკბილ სიზმარს ხედავდი. აი, ალექსანდრემაც გამოახილა თვალი! გამარჯობა შენი, დიდი პაპის სეხნიავ! — თავადი ორივე ბავშვს მიეალერსა, მიეხალისა, ლოყებზე ხელი მოუთათუნა, მოეფერა, კაბის უბე-ჯიბეები მოიჩხრიკა, იქ საწუწკარი ვერაფერი აღმოაჩინა, თავი სინანულით გადააქნია, გაიმართა და ისევ თვალცრემლიან ქეთევანს მიმართა: — მე ჯერ კიდევ არ მომიხსენებია მთავარი სათქმელი, რის მოსახსენებლადაც გეახელით!

— კიდევ დარჩა რამე?

— შაჰი მოსალაპარაკებლად გიხმობთ! მომაკითხეს და ამის შესატყობინებლად გამომგზავნეს. გარეთ ყიზილბაშების გუნდი გელოდებათ!

ქეთევანი აწრიალდა, გულში რაღაც იმედის მსგავსი ჩაესახა:

— ახლავე მიედივართ? სალომე, რას გაჩერებულხარ, ბალღებს მიმიხედე!

— დღის თორმეტ საათზე განმეორებით გეახლებით, დედოფალო. ჩემთან ერთად თქვენი უდიდებულესობის ამალის სხვა წევრებიც იქნებიან. ნაბრძანებია, ბატონიშვილებიც თან წამოიყვანოთ. ახლა კი ნება მიბოძეთ, დაგტოვოთ!

ჭაღარა თავადმა თავი დაუკრა ქეთევანს, ლოგინში წამომჯდარ ბატონიშვილებს, რომელთაგან ერთი, ალექსანდრე, სატირლად ემზადებოდა, გატრიალდა, აივანზე ქუდი დაიხურა და ფიცრულ კიბეზე მძიმე ნაბიჯით დაეშვა.

თავი L

დღის სრულ თორმეტ საათზე, როგორც დათქმული იყო, განძელი თერძის ეზოს. ჭიშკარს თამბაქოსფერი ფარჩის ფარდებით ოთხივე კუთხივ დაჩრდილული ძვირფასი ტახტრევანი მოადგა, რომლის ერთიმეორეზე გადაკდობილი ფუძის მარგილები, აგრეთვე ფარჩით დაფარულნი, ყურის ბიბილოებში საყურეებგაყრილ თეთრმოსასხამიან მავრებს გაედოთ მხარზე და მტვრიან ქუჩაში ისრით დაკოდილ მტრედივით დაეშვა.

ამდენი გაჭირვებისა და შეურაცხყოფის გადამტანი ქეთევანი თავის დაუძინებელ მტერ შაჰისაგან ასეთ პატივს აღარ მოელოდა, მაგრამ არც შინაურს და არც გარეშეთ ეს არ შეამჩნევინა და თავაზიანად მორთმეულ ტახტრევანში, რითაც თვით შაჰი აბასი, მისი ცოლები და სპარსელი დიდებულები დაბრძანდებოდნენ, აქეთ-იქით ამოყენებულ პატარა შვილიშვილებთან ერთად ადგილი დაიკავა.

მავრებმა ტახტრევანი ასწიეს, მხარზე გაიდეს, შემოაბრუნეს და ნება-ნება, ფეხშეწყობილად გზას გაუდგნენ.

ტახტრევანს უკან ქვეითად დედოფლის ამალის წევრები, იარაღაყრილი კახელი თავადები, სეფექალები და აგრეთვე იარაღაყრილი დაცვა მოსდევდა, ამათ უკან კი თითქოს თავით ფეხებამდე სისხლში ამოვლებული, წითელჩალმიანი და წითელმოსასხამიანი ყიზილბაში შუბოსნების რაზმი მოაბიჯებდა.

ეს უკანასკნელი საპატიო ესკორტი იყო, რომლის ხლებაც კახეთის დედოფლისადმი სპარსეთის ხელმწიფის გამორჩეულ მოწიწებასა და პატივისცემას გამოხატავდა.

ტახტრევანი ოთხივე მხრივ დახშული იყო და ქეთევანი და მისი შვილიშვილები ვერ ხედავდნენ ქალაქის ვიწრო, მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს, რომელთა გაელითაც ხალხმრავალი ასაბია ხანის სასახლისაკენ მიემართებოდა.

განძა ერთი ბინძური, ერთიმეორეზე მიხორხლილი ბანიანი ქოხებითა და აშმორებული ვიწრო ქუჩებით ყველა სხვა

აღმოსავლურ ქალაქს მიმსგავსებული ქალაქი იყო, მაგრამ შუაგული ამასაც ბრწყინვალე, ბაღებითა, სასახლეებითა, მიზგითებითა და ცისფერი მინარეთებით დამშვენებული ჰქონდა.

სპარსეთის თვალუწვდენელი სამეფოს ყოველი ადგილობრივი ხელისუფალი, დიდი თუ მცირე, ტყავში ძვრებოდა, რათა თავისი საგამგებლო ქალაქი დიდ სატახტოსათვის, ისპაჰანისათვის დაემსგავსებინა და ამ მხრივ გამონაკლისი არც განძა იყო. აწ უკვე სპარსულ ქალაქში სამუდამოდ მისცემოდა დავიწყებას, რომ აქაურობას ოდესღაც ქართველი მეფეები ფლობდნენ. შირვანი საქართველოს მეფეთა ვასალური სახელმწიფო იყო. ხუთასი წლის წინათ დავით სოსლანმა, მეფეთ-მეფე თამარის თანამეცხედრემ, შამქორის ველზე აბუბექირი რომ დაამარცხა, განძაში დიდი პარაკლისი და წვეულება გადაიხადა, დაბრძანდა და ერთგულთა გულის მოსაგებად ურიცხვი საბოძვარი გასცა.

ამის გახსენებაზე ქეთევანს გული შეეკუმშა, თვალები დახუჭა და მანამ აღარ გაუხელია, ვიდრე მავრებმა ხაპიჯი არ შეანელეს, ბოლოს სულ არ გაჩერდნენ და ტახტრევანი ძირს არ დაუშვეს.

შაჰ-აბასი ჩვეულებისამებრ ტაკიმასხარაობდა. მეფური მიღება და თავის მოქაჩლება, ახლა რომ აწყობდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამშობლოდან განძაში იძულებით ჩამოსულ ქეთევანსა და მის შვილიშვილებს დღემდე დამართა, უფრო დაცინვას, მასხარად აგდებას ჰგავდა, ვიდრე საკუთარი და სხვისი ღირსების პატივისმცემელი მონარქის საქციელს და ქეთევანის თვალში ყაენიც არასოდეს დამგვანებია ისე გამაძღარ კატას, როგორც დღეს, როცა თავისი საბრალო მსხვერპლი ხელთ ჰყავდა, თათებსშუა ათამაშებდა და შეჭმას ჯერ არ ჩქარობდა.

სრულიად იმედგადაწურულ, მაგრამ მაინც რაღაცის მოიმედე ქალსა და დედას, დედოფალს, ნუგეშს ის-ღა გვრიდა, რომ უსულგულო ადამიანებმა, ეისაც კაცთმოყვარეობისა და უზენაესის შეუბღალავი რწმენისა არაფერი ეცხოთ, თვით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტეც კი სეირის მაყურებელი ბრბოს სახარხაროდ და თავშესაქცევად გამოიმეტეს, წამების წინ ძოწეულითა და პორფირით შემოსეს, შუბლი ეკლის გვირგვინით შეუმკეს, ცემა-ტყეპით წინ გაიგდეს, იუდეველთა მეფეს დაგვიხედეთო, სიცილით დაოსებულნი მოსძახოდნენ და

აფურთხებდნენ. მაცხოვარმა გაუძლო, აიტანა ყველა დაცინვა და აბუჩად აგდება, თვით წამება, ხელ-ფეხში სამსჭვალავების გაყრა, ჯვარზე დალურსმვა, აიტანა, რადგანაც სწამდა, რომ მართალი იყო. „მეც მართალი ვარ!“ — უთხრა თავის თავს ქეთევანმა და ამან რწმენა და სიმტკიცე შეჰმატა.

შაჰი მთელი თავისი ბრწყინვალებით დაუხვდა. თვალგაუწვდენელ სვეტებიან დარბაზში, რომლის იატაკიც ძვირფასი სპარსული ხალიჩებით იყო მოჩითული, ხოლო ჭერი და კედლები ნაირ-ნაირი ფერებით მოხატული, შემაღლებულ ადგილას, ოქროცურვილ ტახტზე, კარისკაცებით გარსშემორტყმული იჯდა, ხელთ მეფობის ნიშანი, პატიოსანი თვლებით მოოქვილი სფერო ეპყრა და სუფთად წვერგაპარსული და ლოყებგამობუშტული წინ გოროზად, თვალის დაუხამხამებლად იყურებოდა.

„აი, როგორია ის ნამდვილად, — გაიფიქრა ქეთევანმა და აქეთ-იქით ამოყენებული შვილიშვილები წინ წააყენა. — ნამდვილად ასეთია, თავს კი ხანდახან მამა აბრამის ბატკნად სახავს!“

დარბაზში სრული სიჩუმე სუფევდა. ვის შეეძლო იგი დაერღვია, თუ თავად ყაენი არ ინებებდა და ვისმე რაიმეს არ შეეკითხებოდა, ის კი დუმდა, უძრავი მზერა დარბაზში შემოსულ ქეთევანისათვის მიეპყრო და არც კარგს ამბობდა და არც ავს. ქეთევანის ღრმა თავის დაკვრას თავის ოდნავი დახრით უპასუხა და თითქოს ჯადოს რასმე შეუპყრიაო, შემდეგ აღარ განძრეულა. არავის შეეძლო გამოეცნო მისი ფარული აზრები, მიმხვდარიყო, რაზე ფიქრობდა ახლა, თუმცა ისინი, ვისაც სიცოცხლის მნიშვნელოვანი ნაწილი აბასის გვერდით გაეტარებინათ, მაინც ხვდებოდნენ, რომ შაჰი გურჯი დედოფლის დიაცურ კდემამოსილებას, უბადლო სილამაზეს და ღირსეულ, ნამდვილად დედოფლურ თავის დაჭერას მოენუსხა და დაემუნჯებინა.

ქეთევანმა მთელი თავისი ღონე მოიკრიბა, მზერა ქვეყნიერებაზე მისთვის ყველაზე უფრო საძულველ პიროვნებას მიაპყრო, რომელიც ამქვეყნიური დიდების თვალშეუდგამ მწვერვალზე იმყოფებოდა, ორივე ხელი გულთან მიიტანა და ხმადაბლა დაიწყო, მაგრამ ისე, რომ დარბაზში მყოფთაგან ყველას, უპირველეს ყოვლისა შაჰს გაეგონა:

— სპარსელთა უძლიერესო და ბრწყინვალე ხელმწიფევ, დიდებით მორჭმულო თვითმპყრობელო, მტრების რისხვავ და

მოყვრების იმედო! გეახელი ჩემი შვილიშვილებით და ვერ გავბედე დავმხობილიყავ შენს წინაშე, ვინაიდან ვგრძნობ, რარიგ გაგარისხეთ მე და ჩემმა გვირგვინოსანმა ძემ, კახბატონმა თეიმურაზმა, ჩვენი წინდაუხედავი და უგუნური საქციელით. მაინც მივეცი თავს უფლება, გხლებოდი, რათა ეს სიტყვები ჩემი პირით მეთქვა და დამერწმუნებინე, რარიგ ერთგული ვართ შენი დიდებული ტახტისა. დედობაც კი არ მაძლევს უფლებას, უარვყო ჩემი შვილის დანაშაული თქვენი უდიდებულესობის წინაშე, როცა მეგობრული, მამაშვილური თხოვნა ყურად არ იღო და აქ, თქვენი უდიდებულესობის ბანაკში, თავისი უფროსი ვაჟიშვილი, კახეთის ტახტის მემკვიდრე ლევანი არ გამოგზავნა. ეს მარტო მისი დანაშაული არ გახლავთ, ხელმწიფეო და ღმერთს შევცოდავთ, თუ პასუხისმგებლობას მარტო მას დავაკისრებთ. ჩვენ, მასთან ახლო მდგომი პირები, უწინარეს ყოვლისა მე, მეფის მშობელი დედა, აღვუდექით წინ შენს სამართლიან ნებას, მაგრამ მაღალმა ღმერთმა მალე ჩვენი შეცდომის მონანიება ჩაგვაგონა და აი, მეც თქვენი უდიდებულესობის წინაშე გახლავართ ჩემი ორი შვილიშვილის თანხლებით. მერწმუნე, ხელმწიფეო, ძე ჩემი თეიმურაზი ტირის ცხარე ცრემლებით და ეძებს გზებს, თქვენი კეთილი განწყობილება, თქვენი მამაშვილური სიყვარული რომ დაიბრუნოს. რა დაავიწყებს თქვენი უდიდებულესობის გვერდით გატარებულ ბედნიერ დღეებს! მერწმუნეთ, ხელმწიფეო, ძე ჩემი, თეიმურაზი, მისი ვაჟიშვილები, რომლებიც უძლეველი თქვენი ტახტის წინაშე თან მახლავან, პირადად მე, მათი ქვრივ-ოხერი ბებო, ჩვენი სამეფოს ყველა თავადი და აზნაური, მათი ქვეშევრდომები თქვენი უდიდებულესობის ერთგული მსახურები ვართ! ჩვენ შენთვის არასოდეს გვითქვამს უარი ხარკზე, აწ კი როგორ გეტყოდით! მუდამდღე კეთილსინდისიერად ვიხდიდით და, ენდეთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩემს პატიოსან სიტყვას, რომ მომავალშიაც კეთილსინდისიერად გადავიხდით! მაღალი ღმერთია მოწმე და მხილველი, ასევე არ აგვირიდებია თავი არც ერთი ომისათვის, რომლებსაც თქვენი უდიდებულესობა ურჯულო ოსმალთა, ავღანთა თუ სხვათა და სხვათა წინააღმდეგ ეწეოდა. ყველგან წინამებრძოლნი ვიყავით და სპარსეთის ტახტის მტრისა და ჩვენს საკუთარ სისხლს უშურველად ვაქცევდით. მომიტევეთ და გკადრებთ, ვიმედოვნებ არ გამირისხდებით: ყოველივე ამის შემდეგ ჩვენი მხარე გაოცებულია, რატომ ინება თქვენმა

უდიდებულესობამ და მრავალრიცხოვანი მხედრობა წამომართა ჩვენს წინააღმდეგ? გაუგებარია თქვენი უდიდებულესობის ესოდენი განრისხება. თქვენი საყვარელი კახეთი დღეს ის კახეთი აღარ არის, რომელიც ჩემი ნეტარხსენებული მამამთილის, კახბატონ ალექსანდრეს დროს გახსოვთ. ყველას, დიდსა და მცირეს, თავზარსა სცემს თქვენი დამსჯელი მარჯვენის შიში. ქვეყანა დღითიდღე იცლება და ყველა სახიზრებს აფარებს თავს მიუვალ მთებში, სადაც ლეკები გვიხვდებიან და უღვთოდ გვაწიოკებენ. მე, საცოდავი ქვრივი დედაკაცი, ერთადერთი შვილის შემყურე, მოვედი ჩემი შვილისა და ღმერთის სახელით, რათა თქვენი უდიდებულესობის ფერხთა წინაშე პატიება, დიდსულოვანი შეწყალება ვითხოვო. ღვთისაგან რჩეულ ადამიანებს, როგორიც თქვენი უდიდებულესობა ბრძანდება, მიმტევებლობა და ცოდვათა შენდობა სჩვევიათ. გევედრებით, ნუ დაგვიკარგავთ იმედს, რომ ჩვენც, თქვენი უდიდებულესობის ყმები, ღირსი შევიქნებით შეწყალებისა და შენდობისა! დიდებულო ხელმწიფევ! კიდევ რამდენიმე წუთით ვისარგებლებ თქვენი უდიდებულესობის უზენაესი ყურადღებით და მერე მზად ვარ თქვენს ბაგეთაგან საბოლოო მსჯავრი მოვისმინო. გიბრძანებიათ, თეიმურაზმა გაახლოთ კახეთის დედოფალი, გიორგი ქართლის მეფის ასული ხორეშანი. განსვენებული გიორგი მეფეც და მისი ასულიც, მოგეხსენებათ, ჩვენი სისხლით ნათესავები გახლავან.

თქვენი უდიდებულესობის ნება და სურვილი იყო, ჩემს შვილს, თეიმურაზს, ქართლის ბატონიშვილ ხორეშანზე ექორწინა. ცოტა ჭირი როდი გადავიტანეთ, რომ თქვენი უდიდებულესობის ნება-სურვილი არ გაგვემრუდებინა და კახეთის სამეფო კარზე ხორეშანი რძლად შემოგვეყვანა. ამჟამად ისინი, თეიმურაზი და ხორეშანი, ღვთის ნებით შეერთებული ცოლი და ქმარი არიან, ხოლო ვინც ღმერთმა შეაერთა, კაცნი ნუ გაჰყრიანო, გვეუბნება ჩვენი რჯულის კანონი. ნუ შერისხავთ თეიმურაზს იმისათვის, თუ მამა-პაპის მიერ ძველთაგან დადგენილ საღვთო კანონებს ვერსად წაუვიდა და თქვენი უდიდებულესობის ბრძანება ვერ აღასრულა, სჯულიერი ცოლი ვერ გამოგიგზავნათ და ხასად ვერ დაგისვათ. თეიმურაზი ქართველია, ქრისტიანია და როგორც ყველა ქართველი კაცი, უმალ საკუთარ სიცოცხლეს სასწორზე დასდებს, ვიდრე ამ უზნეო საქციელს ჩაიდენდეს და ღვთის რისხვას თავს

დაიტეხდეს! ხელმწიფევ! თქვენი უდიდებულესობის წინაშე უდანაშაულო მსხვერპლია — ძვირფასი არსება, ღვიძლი შვილი ჩემი შვილისა, დასაყრდენი ყველა ამქვეყნიურ ჭირ-ვარამში, კახეთის ტახტის მემკვიდრე ლევანი! — ქეთევანს ამ სიტყვების წარმოთქმისას სუნთქვა შეუგუბდა, თვალები ცრემლით დაებერა და შავ ჩოხა-ახალუხსა და ამავე ფერის მაღალყელიან წაღებში გამოწყობილი შვილიშვილი წინ დაიყენა. — ურღვევი მეგობრობის ნიშნად გაბარებთ, თქვენო უდიდებულესობავ, ამ უმანკო ყმაწვილს და გევედრებით, ნუ აზღვევინებთ, რაც მამამისმა უნებლიე წყენა მოგაყენათ! მთელი სამეფო, ერი და ბერი, მუხლმოდრეკილი გთხოვთ ამასვე და ეს გახლავთ თქვენდამი ჩემი შუამდგომლობის მიზეზთა მიზეზი. არ ვიწყვეტ იმედს, რომ თქვენი უდიდებულესობა არ მოისურვებს, ჩემი მძიმე ვალი, რის აღსასრულებლადაც ამოდენა მანძილი მუხლჩაუხრელად გამომივლია, უშედეგოდ დამთავრდეს. თქვენი კეთილშობილი უდიდებულესობა ნებას დამრთავს, დავბრუნდე ჩემს შვილთან და ჩემს ერთან მათთვის მეტად სასურველი ზავით, რისთვისაც საუკუნო ქება-დიდებას შეასხამენ თქვენი უდიდებულესობის კეთილმოსურნეობას, სამართლიანობას და ძლევამოსილ ხელმწიფეთა დამამშვენებელ სათნოებას!

შაჰ-აბასი უსამართლოდ შეურაცხყოფილი კაცის მედიდურობით უსმენდა და თავისი ტახტის სიმაღლიდან ენებამორეული დაჰყურებდა ალმასის პაწია გვირგვინით შუბლშემკობილი დედაკაცის მადლიან სახეს და მკვეთრად გამოსახულ ლბილ ნაკვთებს, ქვრივ-ოხრის თალხიც რომ ვერ ფარავდა, ადარებდა ქეთევანს თავის ყველაზე უფრო ლამაზ ცოლებს, უპირველეს ყოვლისა მისსავე ნორჩ ასულს, სპარსეთის დედოფალ ელენეს, წარმოიდგენდა სრულიად სხვა მდგომარეობაში და თუმცა დედამიწის ზურგზე კაცს-სულიერს არ ეკრძალებოდა, ნერწყვს ნამალევად ულაპავდა. შაჰს არ უნდოდა თავს გასტყდომოდა, რომ ცოტათი ეშინოდა ამ ქალისა. შიში შეიძლება ის სიტყვა არ იყო, რასაც ის ამ ქალის წინაშე განიცდიდა, მაგრამ რაღაც ამის მსგავსს კი გრძნობდა და ეს, როგორც მაშინ, შემახაში, ქეთევანი და მისი ათასკაციანი რაზმი უკან ისრის გაუსროლელად რომ გაისტუმრა, გამბედაობას აქაც უკარგავდა. ეგ რასა ჰგავსო, თავს შეუწყრა, სად შენ და სად ყოყმანიო და ბოლოს, როდესაც გულამომჯდარმა ქეთევანმა თავისი საევედრებელი სიტყვა

დაასრულა და სატირლად მომზადებული ალექსანდრე ხელში აიყვანა, თითქოსდა თავბრუდამხვევი ნახტომისათვის მომზადებული შაჰი არც ბავშვებს დაერიდა, არც სხვა დამსწრეთ და თავისი სათხოვრით უზომოდ დამცირებულ და მიწასთან გასწორებულ დედოფალს კიდევ უფრო დამამცირებელი სიტყვებით მიმართა:

— შევნატრი დავით მეფეს, ჩემი მეგობარი ალექსანდრეს ძეს, ქეთევან, ვინც შენი ღვთაებრივი სხეულის გამაბრუებელი ნექტარი იგემა!

უზნეო მამაკაცის ამ მოულოდნელმა გულახდილობამ, რომელსაც არავინ მოელოდა, ქეთევანს თავზარი დასცა, სირცხვილის ოფლი დაასხა, შიშმაც გაკრა გულში, ვაითუ მხლებელმა კახმა დიდებულებმა ძლევამოსილი შაჰის თავგასულობა ვერ მოითმინონ და შიშველი ხელებით გაიწიონო, რაც თვალის დახამხამებაში ყოველი მათგანის ყიზილბაშების შუბზე წამოგებით და საქმის წყალში ჩაყრით დამთავრდებოდა და ეს რომ არ მომხდარიყო, ყაენის თაეხედობა არ შეიმჩნია, იქით დაუყვავა:

— რომელ კეთილშობილ ბანოვანს არ მოჰგვრიდა აღტაცებას ეგ თქვენი ქათინაური, მბრძანებელო, თქვენი უდიდებულესობის მოწყალე ყურადღება, მაგრამ ვაი, რომ დიდი ხნის წინათ წასული ჩემი ყმაწვილქალობა, რომელიც შვილებისა და შვილიშვილებისათვის, აი, ამათთვის შემიწირავს, არავითარ ყურადღებას და ქათინაურს არ იმსახურებს!

აბასი ვერ მიუხვდა ქალს განზრახვას და კიდევ მეტი სიფიცხით განაგრძო:

— მე არ ვიზიარებ შენს თავდაბლურ მობოდიშებას, ქეთევან! ჩემმა მზემ, გული ნაადრევად გაგტეხია! ალაჰსა ვფიცავ, შენი მეფური სილამაზე და მიხრა-მოხრა, ჭკუასა და გონიერებაზე აღარას ვამბობ, დედაკაცის ჭკუა აბა რა სახსენებელია, მსოფლიოს რომელიც გნებავთ ტახტს დაამშვენებდა! მათ შორის სპარსეთის ტახტსაც! აფსუსი არ არის, ასეთი ვარდი კახეთის მზეზე ჭკნებოდეს?! შენ სულ სხვა დიდება განგიმზადა ბედმა და, ვფიცავ ალაჰს, ეს დიდება ხელიდან არ უნდა გაუშვა!

— ჩემთვის სხვა დიდება არ არსებობს, ცათა სწორო მბრძანებელო, გარდა ჩემი სამშობლოს და ამ ჩემი გვრიტების დღეგრძელობისა! მოიღე მოწყალება, დიდებულო ხელმწიფევ, ნუ დაინანებ ჩემთვის ნურც ერთს, ნურც მეორეს!

— მაშ, ეგ არის შენი უკანასკნელი სიტყვა?

— სიტყვა მე უკვე მოგახსენე, დიდებულო ხელმწიფევ და ახლა თქვენი უდიდებულესობის დასტურს მოველი!–

— დასტურს? მაშ, დასტურს?

კახეთის დედოფალსა და მის თანმხლებ პირებს, რომლებიც ხუთიოდე ნაბიჯით უკან იდგნენ და მოლაპარაკებაში არავითარ მონაწილეობას არ იღებდნენ, შაჰმა ამ სიტყვების გამოთქმის კილოთი აგრძნობინა, რომ დარბაზობა დამთავრებული იყო და მათდამი ყოველგვარი ინტერესიც იმწამსვე დაკარგა. დარბაზიდან რომ გამოდიოდნენ, ქეთევანმა დაფეთებული მზერა იქაურობას მოავლო, ლევანს ეძებდა. აქამდე ეგონა, რომ ბიჭუნა გვერდით მოსდევდა, მაგრამ მისდა გულგასახეთქად ლევანი თავისიანებს შორის აღარ აღმოჩნდა. ის მძევალი იყო და უკვე დაეტოვებინათ იქ, საიდანაც ამიერიდან ღვთისაგან მოვლენილი სასწაული თუ გამოიხსნიდა!

გულში ჩაკრული პატარა ალექსანდრე ქეთევანმა უფრო მაგრად ჩაიკრა, ესეც არ წამართვანო და თუმცა უკანასკნელ ძალღონეს ძაბავდა, თავისი ქალური სისუსტე არავისთვის ეჩვენებინა, მწარედ ატირდა.

ვერც კაცთაგან და ვერც ქალთაგან ახლო მიკარება და ნუგეშისცემა ვერავინ გაუბედა. ახლა ყოველგვარი ნუგეში უძლური იყო. ქეთევანის გულში მოგიზგიზე ცეცხლს, ლევანთან განშორებამ რომ დაანთო, აწ ვეღარაფერი გაანელებდა, სალბუნს ვერ მისცემდა, ტკივილს ვეღარ დაუამებდა.

ხანის სასახლის ბრინჯაოს ჭიშკარში, სანამდეც აქეთობას ტახტრევნით მობრძანდა და ბედნიერიც იყო, რადგანაც ორივე შვილიშვილი გვერდში უჯდა, ქეთევანს არავითარი ტახტრევანი აღარ დახვედრია. დახვდა მხოლოდ აბჯარასხმულ შუბოსან ყიზილბაშთა რაზმი, რომელმაც დედოფალი თავის ხალხს კვლავ დააშორა, სიკვდილმისჯილ დამნაშავესავით შუაში ჩაიყენა და თავის სადგომში, ბერძენი თერძის ღარიბულ ქოხში დააბრუნა, რომლის აივანზეც თავსაფრით ყბებახვეული გამდელი სალომე და მდგმურების ბედის გამო დამწუხრებული თერძის ახალგაზრდა ცოლი ელოდებოდა.

თავი LI

მთელმა კვირამ და კიდევ მეტმა გაურკვეველ ლოდინში გაიარა. ცხადზე ცხადი იყო: ქეთევანს შაჰ-აბასისაგან რაიმე კეთილის მოლოდინი არ უნდა ჰქონოდა. შაჰი, ნახევარი ცისქვეშეთის თვითმპყრობელი მეფე, ისე დაწვრილმანდა,

იმდენად შეიპყრო თვალში ამოღებულ ქალისადმი შურისძიების გრძნობამ, რომ მთელი ქალაქისა და სამეფო კარის წინაშე თავი შეირცხვინა. მის მიერ საპატიო ესკორტის გამოგზავნა, ხანის სასახლეში კახეთის დედოფლის ტახტრევნით მიყვანა, ხოლო იქიდან უპატიურად, ქვეითად გამოსტუმრება პატარა შვილიშვილით ხელში სხვა არა იყო რა, თუ არა გულნამცეცობა, თავქარიანობა, ტაკიმასხარობა და მამაკაცური თავმოყვარეობის სრული უქონლობა. ამგვარი ყაიდის მამაკაცი არაფრის წინაშე არ შეჩერდებოდა, უკან არ დაიხევდა, არ შედრკებოდა, ყოველ ღონესა და ხერხს იხმარდა, რომ ბინძური გულისნადები როგორმე აღესრულებინა! მერე რა, თუ ქეთევანი მისი სიდედრი იყო, მერე რა, თუ ეს საზიზღარი სისხლის აღრევა არა მარტო ქრისტეს რჯულის აღმსარებელს, არამედ თვით მაჰმადიანებსაც კი ეკრძალებათ! შაჰ-აბასს ხომ არაფერი წმინდა არ გააჩნდა, არა იყო რა მისთვის ხელშეუხებელი, სულის ამამაღლებელი, პირუტყვის ცხოველური ნდომისაგან განმასხვავებელი! ამიტომაც ქეთევანი დღისა და ღამის ყოველ დროს მოელოდა ბერძნის სახლზე თავდასხმას და მოტაცებას. ბოლო ხანს იმაზეც კი დაიწყო ფიქრი, რით აჯობებდა სიკვდილი, თუ ამას გარემოება გარდაუვლად მოსთხოვდა, საწამლავით, გრემშივე რომ შეამზადებინა და მოუშორებლივ თან დაჰქონდა, თუ რაიმე სხვა საშუალებით, რაც კი ხელში მოხვდებოდა. სიკვდილი მისთვის ძნელი არ იყო, თუმცა, როგორც ჰეშმარიტ ქრისტიანეს, იგი დიდ ცოდვად მიაჩნდა, მაგრამ უფრო დიდი ცოდვისაგან თავდასაღწევად მაინც შესაძლებლად თვლიდა.

ერთ დილას წინანდებურად იარაღაყრილი, აქ ყოფნის განმავლობაში ერთიორად მოტეხილი თავადი შერმაზანი ესტუმრა და შაჰის უზენაესი ნება გამოუცხადა: ქეთევანს უფლება ეძლეოდა, სასწრაფოდ შეეკრა ბარგი და თავისი მხლებლებითურთ შამქორისა და რუსთავის გზით სამშობლოში დაბრუნებულიყო.

ქეთევანი ისე აღელდა, იმდენად მოულოდნელი იყო მისთვის ეს ამბავი, რადგანაც იმედი უკვე საბოლოოდ გადაწურული ჰქონდა, რომ მუხლი მოეკვეთა და უთუოდ წაიქცეოდა, თავად შერმაზანს ხელი რომ არ შეეშველებინა და სკამზე არ დაესვა.

— სანდოა შაჰის სიტყვა? — ბოლოს ღონე მოიკრიბა და ეს იკითხა.

— ვინ იცის, დედოფალო. რაკი მოწყალება მოიღო და ჩვენი გაშვება ინება, უნდა ვახსენოთ ღმერთი და გავუდგეთ გზას, აქ ძალად ხომ აღარ დავრჩებით!

— ისე როგორ წავიდეთ, შერმაზან, რომ ბალღი აღარ ვნახო. ვერ გამოვემშვიდობე, მე უბედურმა ერთი სიტყვის თქმაც ვერ მოვასწარი. ეს ისე მოულოდნელად მოხდა!..

— სამწუხაროდ, უკვე გვიანია!

— როგორ თუ გვიანი, თქვენ რაიმე იცით და აქამდე არაფერს მეუბნებით?!

— ჩვენი საყვარელი ბატონიშვილი დღეს აქ, განძაში აღარ უნდა იყოს, დედოფალო! მეძნელება გამხელა, მაგრამ სხვა რა გზა გვაქვს, უნდა გაგიმხილოთ: შაჰის ბრძანების თანახმად, ლევანი მეორე დღესვე გაუგზავნიათ ისპაჰანში. იქ პატივით მიიღებენ და ისე მოეპყრობიან, როგორც მძევალ ბატონიშვილს შეეფერება!..

ქეთევანს ქვედა ყბა აუკანკალდა და თვალებიდან ორი მსხვილი კურცხალი გადმოუვარდა.

— შვილო! ჩემო შვილო! ჩემო ლევან! ჩემო დაკარგულო, უბიდან მოტაცებულო შვილო! მამისა და ერის იმედო! ვინ იცის, შენგან, უცოდველ ყმაწვილისაგან, რას გამოიყვანს ვერაგი, პირსისხლიანი შაჰი! ვინ იცის, შენც ავად სახსენებულ კონსტანტინე ბატონიშვილის გზაზე შეგაყენოს და საქრისტიანო საქართველოს სამუდამოდ დაუკარგოს შენი თაკი!

ცოტა ხნის შემდეგ გამგზავრების სამზადისში გართულ დედოფალს მწირველმა მღვდელმა მამა გიორგიმ მოაკითხა. ამალის წევრებს შორის მამა გიორგი ერთადერთი იყო, ვისაც, როგორც სულიერ მოძღვარს, ქრისტეს მხევალ დედოფალ ქეთევანთან დაუბრკოლებლივ მოსვლა შეეძლო. მოძღვრის ყოველდღიური სტუმრობა არც მას შემდეგ აღუკვეთიათ, რაც შაჰ-აბასი ქეთევანისადმი მტრულ და შეურაცხმყოფელ დამოკიდებულებას აღარ მალავდა და ეს მისსავე სასარგებლოდ მეტყველებდა, რადგანაც მბრძანებლის სარწმუნოებრივ შემწყნარებლობას გამოხატავდა.

ყოველი იჯრის წინ მამა გიორგი აკურთხებდა ღარიბულ სუფრას, ზიარებასაც აქვე იღებდა და წირვა-ლოცვის ყველა წესის დაცვით აქვე წირავდა. ასეთ დროს გურჯი მდგმურებისაგან შემდგარ მრევლს თერძი და მისი ახალგაზრდა ცოლიც მოუმატებოდნენ ხოლმე, ღვთისმშობლის ხატის წინაშე სანთლებს ანთებდნენ, ლოცვას მათთან ერთად აღავლენდნენ და

რაკი მამა გიორგის დიაკვანი არა ჰყავდა, თერძი დიაკვნის მოვალეობას ასრულებდა.

გზაზე დადგომის წინ თავი ყველამ ბერძნის ეზოში მოიყარა. მამა გიორგიმ გამგზავრების პარაკლისი აქვე გადა-იხადა, დიდსა თუ მცირეს ჯვარზე ამთხვევინა, გზა დაულოცა, ბერძნის სახლს ჯვრითვე ჯვარი გადასახა და მგზავრებმაც ქუჩის მთელ სიგრძეზე ჩამოყენებულ, ღობის სარებზე მიბმულ შეკაზმულ ცხენებს მიაშურეს.

ამინდი გრილი და უქარო დაესწროთ, რაც წლის ამ დროს განძის უტყეო შემოგარენში ერთობ იშვიათი შემთხვევა იყო. ქარი აქ ყოველთვის უბერავდა და ჰაერში შიშველ სერებზე ახვეტილ წვრილ ქვიშას ატრიალებდა. მარცხნივ, შორს, ამღვრეული ცის კიდურზე, მოჩანდა ხანლარის მთები, ყარა-ბახის მთების გაგრძელება, რომლებიც დასავლეთისაკენ თან-დათან დაბლდებოდნენ, უდაბურდებოდნენ და ბოლოს სი-ცოცხლის ნიშანწყალს სრულიად კარგავდნენ.

მხედრები სწრაფად იმოკლებდნენ გზას ვაკეზე, ამ მთების გასწვრივ და ხშირად უვლიდნენ გვერდს ვეება ხურჯინებით დატვირთულ აქლემებს, რომელთა ზანზალაკების დინჯი ეღა-რუნი შორიდანვე მოესმოდათ ხოლმე.

შამქორამდე ისე იარეს, არსად შეჩერებულან, მუხლი არ ჩაუხრიათ.

აი, ის ველიც, სადაც ხუთასი წლის წინათ აბუბექირსა და ქართველებს შორის სამახსოვრო ომი მოხდა, რომელშიაც აბუბექარი იძლია და თავს სამარცხვინო გაქცევით უშველა! ნეტავი იმ დროს, იმ დღისა და იმ წუთების გახსენებას!

მარცხნივ, შეფენებაზე თვალს გადაეშალა დიდი სოფელი თუ პატარა ქალაქი, მწვანეში ჩაფლული და ხეხილის მსხმოიარე ბაღებით გარსშემორტყმული. ეს შამქორი იყო. აქ შეიძლებოდა შეყოვნება, სულის მოთქმა, აქაურ ბაზარში მგზავრობაში გამოსადეგი სანოვაგის შეძენა, მაგრამ ქეთევანს გული წინ მიუწევდა და არ ინდომა შეჩერება. დილიდანვე რაღაც ცუდი წინაგრძნობა აეკვიატა და მოთმინება აღარ ჰყოფნიდა, მშობლიური ქართლის მთა-გორებს თვალს როდის დალანდავდა და იქაურ მიწას ფეხს როდის შეახებდა!

შამქორის ასახვევთან, ალვის ხეების ძირში, მცირედ შენაყრდნენ, ლუკმა გადაყლაპეს, თავისთვის და ცხენებისათ-ვის ტიკებით წამოღებული სასმელი წყლის მარაგი შეივსეს და გზა კვლავ გულდაგულ განაგრძეს. ქეთევანს პატარა

ალექსანდრე ხელიდან არ გაუშვია. ბევრს ეხვეწნენ მხლებელი ქალები, გარს მტრედების გუნდივით შემოეხვივნენ, ცოტა ხნით მაინც დაგვეთმე, მკლავები დაასვენე, თავი დაზოგეო, მაგრამ ქეთევანმა ყველას უარი უთხრა და მძინარე ბატონიშვილი, თითქოს ეშინია, ვინმემ ძალით არ წამართვასო, უფრო ჩაიხუტა.

შეთანხმებული იყვნენ, მზის ჩასვლამდე ევლოთ და ღამის გასათევად ბანაკი სადმე ყაზახის მიდამოებში დაეცათ. ყაზახი პირველი ქალაქი იყო ამ გზაზე. იგი ოდესღაც ქართველებს ეკუთვნოდა, ლორეს საერისთავოში შედიოდა, მაგრამ მონღოლების მოსვლის შემდეგ, როდესაც საქართველოს ერთიანობას ბოლო მოეღო, ქვეყანას ჩამოშორდა და მოგვიანებით თათრული ტომებით დასახლებული განძის სახანოს შემადგენელი ნაწილი გახდა. ყაზახიდან ერთი დღის სავალზე, მდინარე ხრამის გადაღმა, დროთა უკუღმართობით დამცრობილი ქართლის საზღვრები იწყებოდა და წყალგაღმა გადასულთ შეეძლოთ თავი უკვე სამშობლოში ეგრძნოთ, თუმცა საკუთრივ კახეთის სამეფოს საზღვრებამდე აქედან კიდევ ერთი დღის სავალი რჩებოდა.

მზე ჩაიწვერა, უკანასკნელ სხივებს სტყორცნიდა, ყაზახამდე კი ჯერ კიდევ შორს იყო. მტვერსა და სიცხის ბუღში ცხენები უღმერთოდ დაიღალნენ, დაიმშნენ, ზოგს დავარდნამდე ბევრი აღარაფერი აკლდა. ქანცი გაუწყდათ დედოფლის მხლებელ ქალებსაც, თუმცა უკლებლივ ყველა, უპირველეს ყოვლისა ქეთევანი, ამის დამალვას ცდილობდა.

წინ მწვანე ჭალა და კალაპოტში ჩაღრმავებული რაღაც პატარა მდინარე გამოჩნდა. ცხენებმა წყლის სიახლოვე იგრძნეს, ქაფმორეული ლაშები წინ გაიწვდინეს და მაშინვე ნაბიჯს აუჩქარეს.

რა მდინარეაო, ჰკითხა ქეთევანმა შერმაზან ჩოლოყაშვილს, რომელსაც ცხენი დედოფლის ცხენის შორიახლო მოჰყავდა და თვალი ერთთავად აქეთ ეპირა, ხომ არა უპირს რა, ჩემი დახმარება ხომ არ სჭირდებაო.

— საგიმი უნდა იყოს, დედოფალო, აქაურები აგრე ეძახიან!

— საგიმი, — გაიმეორა ქეთევანმა. — ბევრი დაგვრჩა კიდევ ყაზახამდე?

— სამი-ოთხი საათის სავალი იქნება!

— გამოდის, რომ შუაღამემდე ვერ მივაღწევთ?

— აგრე ვვარაუდობ.

— ხომ არ შევჩერებულიყავით აქ ღამის გასათევად? წყალია, ბალახიც ჩანს, ცხენებს მოაძოვებენ.

— თქვენი ნებაა, დედოფალო!

— მაშ, შევისვენოთ! გაეცით განკარგულება!

პირველი კარავი დედოფალს დაუდგეს. შერმაზან ჩოლოყაშვილის დახმარებით ის უმალვე ჩამოქვეითდა. ცხენზე გამუდმებულ ჯდომას ისე დაეღალა, მიწაზე ფეხის დადგმისას მუხლმა უმტყუნა და კინაღამ ჩაიკეცა. ეს თვით გამეცადინებულ შერმაზანსაც არ შეუმჩნევია. თავს ძალა დაატანა, კარავში შევიდა და ბავშვი მხოლოდ აქ გადასცა გადიას. კარავში მოახლეები ფუსფუსებდნენ, ბებიისა და შვილიშვილისათვის საწოლს მართავდნენ.

მას შემდეგ, რაც პატარა ბატონიშვილი ავახშმეს და დააძინეს, გარდა სალომესი, რომელსაც საშინელ განსაცდელში ღვიძლ დასაკით შეეჩვია და შეეთვისა, ქეთევანმა ყველა დაითხოვა, კარვის კარს კალთა ჩამოაფარა, შორეულ კუთხეში ჯვარცმა დაასვენა, თაფლის სანთლები აანთო და მოწყურებული ლოცვად დადგა. ლოცულობდა მხურვალედ, თავდაევწყებით, მთელი არსებით, სულითა და გულით უერთდებოდა ზენაარს და თავისი საბრალო ქვეყნის, თავისი ერთას, მეფე თეიმურაზის, მისი თანამეცხედრე ხორეშანის, აფთრის გალიაში დატოვებული ლევანის, გულიდან სამუდამოდ მოგლეჯილ ასულის, სპარსეთის დედოფალ ელენეს და პატარა ბატონიშვილ ალექსანდრეს სიცოცხლესა და ჯანის სიმრთელეს შესთხოვდა.

გარეთ, უკან სიბნელეში, ფრთხილი ფეხისხმა მოისმა. სასთუმლად ამოდებულ უნაგირზე თავმინდობილ გადიას ეგონა, ისევ ქალებმა თუ მოგვაკითხესო და ხანგრძლივი უძილობისაგან დამძიმებული თავი წამოსწია, მაგრამ როდესაც ფეხისხმას ყრუ, მამაკაცური ჩახველება მოჰყვა, წამოხტა და ლოცვაში გართული ქეთევანის ყურადღება რომ არ მიექცია, კართან ფეხაკრეფით მიირბინა და კალთა გადასწია.

მოსულს ხელში აბრიალებული მაშხალა ეჭირა და გადიამ დანახვისთანავე იცნო თავადი შერმაზანი.

— დედოფალს ძინავს, გადია?

— არა, ლოცულობს, ბატონო!

— მიირთვა რამე?

— არა, პირში ნაწილს არ იკარებს!

— აი, ცოტა რამ მოვართვით... — შერმაზანმა მარჯვენა ხელი ასწია, რომელშიაც თავდახურული თიხის ჯამი ეჭირა და გადიას ახალშემწვარი მწვადის მადისმომგვრელი სუნი ეცა. მწვადს ზემოდან გორგლად დახვეული სპარსული ლავაში ედო. — ბიჭებმა მწვადი შეწვეს და ეს...

— სალომე, ვის ელაპარაკები მანდ? — კარავში ქეთევანის მისუსტებული ხმა გაისმა.

— თავადი შერმაზანი ბრძანდება, დედოფალო, ვახშმად მწვადი მოგართვა!

— საღამო მშვიდობისა, თქვენო უდიდებულესობავ! ახალგაზრდებმა მეცხვარეებისაგან ბატკანი იყიდეს, აგერ მწვადი შეწვეს, მეც მიმიპატიჟეს და ვერ შევირგეთ, რადგანაც თქვენ მშიერი გვეგულებით!

— გმადლობთ, ბატონო შერმაზან, იმ მადლიან ხალხსაც ჩვენი სახელით მადლობა უთხარით! — ქეთევანი წამოდგა და კარისაკენ წამოვიდა. — მობრძანდით! სად ნახეს მეცხვარეები? აქ, ამ ტრიალ მინდორში, მე მგონია, ჩვენს მეტი არავინ უნდა იყოს!

— მდინარის ზემოწელში, აქედან არც კი ჩანს, მეცხვარეებს ბინა ჰქონიათ, ცხვარი უდგათ და ჩვენებსაც, წარმოიდგინეთ, ყნოსვამ არ უღალატათ, აქ სადღაც ცხვარი უნდა იდგესო, წავიდნენ და კიდევაც გაუმართლათ!

— მე, კარგად მოგეხსენებათ, უბედური ჩემი ქმრის, დავით მეფის, შემდეგ ხორცს აღარ გეახლებით, აღკვეთილი მაქვს, გადია კი, ვატყობ, სიამოვნებით შეექცევა!

— თქვენც მიგერთმიათ ცოტა, ლავაშს მაინც წაახიეთ ყური, თავი შიმშილით ხომ არ უნდა მოიკლათ! თქვენ ნუ მომიკვდებით, აგრე არ ვარგა და არც არავინ მოგიწონებთ!

ქეთევანს არც შეუმჩნევია, ისე ააგდო სიტყვა ბანზე:

— თუ მამაზეციერმა არ გაგვწირა, ყაენმა ჯარები ზიანის მოუყენებლად უნდა გაიყვანოს. თქვენ რას გითქვამთ გული?

— თუ ბოროტს რასმე იზრახავს, მე აგრე მგონია, დედოფალო: თქვენს უდიდებულესობასა და ალექსანდრეს განძიდან არ გამოგიშვებდათ. ამით ხომ თავს აშკარად ისუსტებს!

— მეც აგრე მგონია და იმედის ბეწვს ვეკიდები. თქვენ რომ მობრძანდით და შაჰის ნება მამცნეთ, მაშინვე ეგ ვიფიქრე, მადლობა უფალს, ჩვენც გადავრჩით და ქვეყანაც გადაგვირჩა–მეთქი. მინდა თავი დავაჯერო, რომ აუგი არაფერი

მოგველის, მაგრამ ეს ტიალი გული ავად შემომჩივის, სულ სხვა რამეს მეუბნება!

— თითქოს რაღაც ხმა ისმისო. ცხენები ჭიხვინებენ. ნამდვილად! გესმით რამე?

— მესმის!.. ნუთუ დავიღუპეთ და ამ სიკეთის დროს ვინმე დაგვეცა?!

— წავალ, გავიგებ, რა ხდება! — ეს თქვა შეწუხებულმა და აწრიალებულმა შერმაზანმა, აშიშხინებული მაშხალა თავს ზემოთ ასწია და ის იყო, ნაბიჯი გადასდგა წასასვლელად, რომ საიდანღაც შიშისაგან გულგახეთქილი ქალები მოცვივდნენ და ჟივჟივი ატეხეს:

— თავს უშველეთ, დედოფალო, ღალატია!

— როგორ თუ ღალატი, რა ხდება, რა? — დაიქუხა შერმაზანმა და შიშისა და ძრწოლის მთესველ სუსტი სქესის წარმომადგენელთ მაშხალა მიანათა.

მათ შეკკივლეს და უკან მიაწყდნენ. ნახევრად შიშველნი, სიბნელეში გზადაგზა რომ იცვამდნენ, ერთმანეთს ეფარებოდნენ.

— ყიზილბაშებია, თავადო, ბანაკს გარს ერტყმიან, ყველას ატყვევებენ, შაჰმა მდევარი დაგვადევნა, გვიშველეთ, ღვთის გულისათვის!

— შეუძლებელია!.. ეს როგორ!.. რომელ კანონში სწერია!.. — აღმოხდა შერმაზანს.

მაგრამ, ეტყობოდა, წესს, რიგსა და კანონს ამ ქვეყანაში არავინ დაგიდევდა. დამცემთა ყიჟინა, გადარეული ცხენების ჭიხვინი და დამხვდურთა განწირული ყვირილი, რომელთაც მძინარეთ მოუსწრეს, თანდათან ძლიერდებოდა. აქა-იქ ალი ავარდა, ცას შეერია და კალაპოტში ჩაღრმავებული პატარა მდინარის დახრამული ნაპირები, ყალყზე შემდგარი უბელო ცხენები და აქეთ-იქით უთავბოლოდ მორბენალი ადამიანები გაანათა. კარვები იწვოდა. წუთის წინ ჩაძინებული, ჯერ კიდევ ძილ-ბურანში მყოფი ამალისა და მცველი რაზმის წევრები რეტდასხმულებივით სხვადასხვა მხარეს აწყდებოდნენ და თვალისმომჭრელ სინათლისაგან დაბრმავებულნი მტრის მუხანათური თავდასხმის მოგერიებას ცდილობდნენ.

შერმაზანმა მაშხალა გადააგდო და თავადაც ხმალი იშიშვლა. აქედან წასვლა და დედოფლის მარტოდმარტო დატოვება უკვე აღარ ეგებოდა. სად იყვნენ ვაჩნაძეები, სად

იყვნენ სხვები? ვაითუ ამათ მძინარეთ მოუსწრეს და ოთხივე კუთხივ დაყენებულ მზირებთან ერთად სათითაოდ აჰკაფეს?

ხმაურზე ბატონიშვილ ალექსანდრეს გამოეღვიძა და გულამოსკვნილი ტირილი მორთო. ელდისაგან ენაჩავარდნილმა ქეთევანმა, შაჰ-აბასის ახალი ტაკიმასხარობა და ვერაგობა, რაც მისი გულის მაამებელ კატა-თაგვობიას თამაშში გამოიხატებოდა, სულაც რომ არ ეუცხოებოდა და გულის გულში ამას კიდევაც მოელოდა, გამდელ სალომესთან ერთად ატირებულ ბალღს მიაშურა, ძრწოლით ატანილი ქალები კი კარვის კართან შეჯგუფული დარჩნენ და იმედგადაწურულნი, რომ ქვა აღმართში მოეწიათ, რომ ღამის მეკობრეთა ხელიდან აწ ვერაფერი დაიხსნიდათ, თავისდა უნებლიეთ კიდევ უფრო ამძაფრებდნენ საშიშროებას, ამ წუნარ, ვარსკვლავიან ღამეს ასე მოულოდნელად რომ დაატყდათ.

თავდამსხმელები ცოტა როდი ჩანდნენ. ერთი შეხედვით ისინი ორჯერ და სამჯერ ჭარბობდნენ დედოფლის მცირე ამალასა და მცველ რაზმს, რომლის თითოეულ წევრს სიცოცხლეც კი არ ეზოგებოდა, თავს ქეთევანის ჭირის სანაცვლოდ თვლიდა, მაგრამ საკითხავი მხოლოდ ის იყო, მუხთალი მტრის სიმრავლეს მარტოოდენ თავდადებითა და სიმამაცით ვინ გამკლავებია, ისინი რომ გამკლავებოდნენ!

ცხენდაცხენ მოიჭრნენ ბებურ და თამაზ ვაჩნაძეების მიერ გამოგზავნილი კაცები. ერთს ნახმლევი აჩნდა. გაჩეხილ ყბიდან სისხლი სდიოდა. მათ თვით შერმაზან ჩოლოყაშვილი და კიდევ რამდენიმე კახი მოლაშქრე მიეგება, რომლებიც ქეთევანის კარვის გარშემო იდგნენ და უკეთუ მტერი აქამდე მოაღწევდა, ცოცხალი თავით ფეხის მოცვლას არც ერთი არ აპირებდა.

ვაჩნაძეები სადარაჯოდ დაყენებული მზირების სიფხიზლეს ამოწმებდნენ იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთის მხრიდან ბანაკს შეიარაღებულ უცხო მხედართა რაზმი მოსდგომოდა და დაუყოვნებლივ შიგნით შეშვება მოეთხოვა.

გამოკითხვისა და ვისიმე ვინაობის დადგენის დრო უკვე აღარ იყო. ეგეც რომ არა, კახმა მზირებმა, თვით ვაჩნაძეებმაც კი, მომხვდურთა სპარსული არ იცოდნენ, არც ამ უკანასკნელთ გაეგებოდათ რაიმე დამხვდურთა ენისა და რაკი ისინი მათ მოთხოვნას არაფრად აგდებდნენ და რითაც მოეხერხებოდათ, სიტყვით თუ საქმით, გზას უღობავდნენ, გაჯიქება და ურჩობა აგრე არ უნდაო, პირველივე მზირი შუბით გაეგმირათ, ხმლები ეშიშვლათ და დანარჩენებს დარეოდნენ.

ვაჩნაძეთ მხოლოდ ხუთი თუ ექვსი მხედარი ახლდათ, თანაც მარტოოდენ შუბებით შეიარაღებული. ისინი ბრძოლით იხევდნენ უკან ბანაკის შუაგულისაკენ, საითაც მტერი აწვებოდა და თავიანთი კაცების პირით შერმაზანს უთვლიდნენ, თუნდ მზეც დაგვიბნელდეს, მტერს როგორმე შევაკავებთ და შევიყოლიებთ, ან აქ შევაკვდებით, ოღონდ შენ ამასობაში რამდენიმე მარჯვე ბიჭი დაიხმარე, დედოფალი, ბატონიშვილი ალექსანდრე და ბანაკში მყოფი ბანოვანნი ბრძოლის ველიდან მშვიდობით გაიყვანე და თავის შესაფარებლად ყაზახს მიაშურე, იქ არ შეიძლება, შაჰის ხელისუფლებმა ქალაქის კარი არ გაგიღონ და მეკობრეთაგან არ დაგიცვანო.

მრავალ ომში მეფის მხარდამხარ ნამყოფი და არა ერთ და ორ ბრძოლაში ნაცადი შერმაზანი მიხვდა, რომ დაიგვიანეს, რომ ერთგული თავადების მიერ შემოთავაზებული გეგმის განხორციელება უკვე შეუძლებელი იყო. ისევე როგორც ყველგან, წინ, ყაზახისაკენ მიმავალ გზაზედაც მეკობრეები დათარეშობდნენ და მათდა შეუმჩნეველად ახლა იქ ჭიანჭველაც ვერ გაივლიდა!

ამას გარდა, ხმალ-სატევრისა და ფარ-შუბის ჩახაჩუხი, დაჭრილების კვნესა და შემტევთა ყიჟინა სულ ახლოს ისმოდა. ცოტაც კიდევ და, მეკობრენი აქ, დედოფლის კარავთან იქნებოდნენ, სადაც უკანასკნელი სისხლისმღვრელი ბრძოლა უნდა გამართულიყო! არამცთუ ბრძოლის ველიდან უვნებლად გასვლისა და ყაზახისათვის თავის შეფარების განზრახვის აღსრულება, ღვთის მიერ უცხო მიწაზე დასაღუპად განწირულ მამულიშვილებს სულის ამოსვლის წინ ლოცვის წარმოსათქმელი დროც აღარ რჩებოდა!

შერმაზანი კბოდეზე გადადგა, საიდანაც მდინარის ჭალაში გაშლილი მთელი ბანაკი სიგრძე-სიგანეზე მოჩანდა, აალებული კარვების შუქით თავით ფეხებამდე განათებულმა ორივე მეომარი მხარის ყურადღების მისაქცევად ხმალი ასწია და არაჩვეულებრივად ძლიერი ხმით, აქამდე რომ არავის გაეგონა, ჯერ ქართულად, ხოლო შემდეგ სპარსულად დაიყვირა:

— შესდექით!.. გიბრძანებთ, შეწყვიტოთ ბრძოლა!.. ჩაგეთ ეგ ტიალი ხმალი ქარქაშში და ყური მომაპყართ!..

მოხდა საკვირველება. იმაზე მეტი, ვიდრე შეეძლო ვისმე წარმოედგინა. მღელვარებისაგან პირგამეხებულმა, უჩვეულოდ აღგზნებულმა, გულზე ცეცხლწაკიდებულმა თავადმა შერმა-

ზანმა, მისმა მბრძანებლურმა, ყოველგვარი წინააღმდეგობის დამთრგუნველმა ხმამ, მისმა დახვეწილმა სპარსულმა, ბევრი სულითა და ხორცით სპარსელი რომ ინატრებდა, საწადელს მიაღწია. ბრძოლა ჯერ შენელდა, ბოლოს მთლიანად შეწყდა და მზერა ყველამ აქეთ მოაპყრო.

თავადმა შერმაზანმა იმავე მკექარე ხმით განაგრძო:

— ვიწვევთ მეკობრეთა ატამანს! მობრძანდეს სალაპარაკოდ! ჩვენც ხალხი ვართ. იქნებ შევთანხმდეთ. ჯერ გავიგოთ, რა გვაქვს ერთმანეთთან გასაყოფი. იქნებ სულ ტყუილად ვხოცავთ ერთმანეთს! აქ, როგორც ხედავთ, მშვიდობიანი ბანაკია. შინ მიმავლები ღამის გასათევად შევჩერდით. ქალები და ბალღი გვახლავს. ვინც არ უნდა იყოთ, ვაჟკაცს არ მართებს ქალისა და ბალღის წინააღმდეგ იარაღის აღმართვა! ნათქვამია, ქალსა და ბალღს პატიოსანი ძაღლიც არ შეუყეფსო. ნუთუ ადამის შვილებს მართლაც ძაღლი გვჯობია! კეთილი ინებოს და მოგვიახლოვდეს, ვინ არის უფროსი!

მაღალ-მაღალმა, შავწვერა, პირქუში შესახედაობის არცთუ მთლად ახალგაზრდა სპარსელმა, ერთ ადგილზე მოუსვენრად მცმუტავ ცხენზე რომ იჯდა და თავს ძლივს უმაგრებდა, სისხლში მოთხვრილი მახვილი მოსასხამის კალთაზე შეიწმინდა, ქარქაშში ჩააგო, ზედ ჩოლოყაშვილის ცხვირწინ ჩამოქვეითდა, თვალებაბრიალებული, ნესტოებდაბერილი, სისხლის დანახვით გაგიჟებული ფიცხი ცხენი იმავე წამს ჩამოქვეითებულ თავისიანებს შეატოვა და შერმაზანს მიმართა:

— მე ვარ უფროსი! მეკობრე ჩვენში არავინაა, გურჯებში მოიკითხეთ! ჩვენ ღულამთა კორპუსში ვირიცხებით და ცათა სწორი ყაენის უზენაეს ნებას ვასრულებთ!

— რაღაც ვერ მიგამსგავსეთ დიდებული შაჰის უზენაესი ნების აღმსრულებლებს! დიდებული შაჰის ნების აღმსრულებელი ჯარისკაცები ასე არ იქცევიან, უდანაშაულო ხალხის სისხლში ხელს არ ისვრიან!

სპარსელი მიხვდა, გურჯი დიდებული თვალთმაქცობდა, ერთს ფიქრობდა და მეორეს ამბობდა და მანაც თავის მხრივ თავშეკავებული დაცინვით უპასუხა:

— მე არ ვიცი, ვინ არის აქ დამნაშავე და ვინ უდანაშაულო, გიაურო, მაგის გამოძიება შორს წაგვიყვანდა. ჩვენ აქ, სპარსეთის ხელდებულ ქვეყანაში, შაჰის წარმოგზავნილ ჯარისკაცებს წინააღმდეგობა გაგვიწიეს, ხალხი დაგვიხოცეს და იძულებული გაგვხადეს, ძალა გვეხმარა!

— ხალხი თქვენ თვითონ დაგვიხოცეთ და აქეთ გვედავებით?

— ენა დაიმოკლე, გიაურო! ალაჰის მადლმა, ჩემი ერთი სიტყვა კმარა, რომ უკლებლივ ყველას, ვინც ცოცხალი გადაგვირჩა, თავები დავაყრევინოთ! ისა სჯობს გვითხრა, სადა გყავთ კახეთის დედოფალი ქეთევანი და მისი შვილიშვილი ალექსანდრე-მირზა!

შერმაზანს ტანზე ეკლები დააყარა.

— დედოფალთან და მირზასთან რა ხელი გაქვთ?!

— ნაბრძანებია, დავაპატიმროთ და უკან დავაბრუნოთ!

— დედოფალი დააპატიმროთ და უკან დააბრუნოთ? — რათა დრო მოეგო, ამ სულთამხუთავებისაგან თავის დასაძვრენად რაიმე მხსნელ აზრს დასდგომოდა, მარცვალ-მარცვალ გაიმეორა შერმაზანმა. — ვინ დაგრთოთ მაგის ნება?!

— მისი უდიდებულესობა შაჰის ბრძანებაა! ჩვენ ვალდებული ვართ, ეს ბრძანება ზუსტად შევასრულოთ!

— ვერ ვერწმუნებით მაგ ბრძანებას, შეუძლებელია ეგ ბრძანება არსებობდეს! — ჭკვიანი, მარადქამს წინდახედული, საქმის გონივრულად ამწონ-დამწონი ჩოლოყაშვილი თავის სიცოცხლეში პირველად ხავსს მოეკიდა და კვლავ ისა თქვა, რისაც თავადაც ნაკლებ სჯეროდა. ის გულის სიღრმეში როგორღაც იმედოვნებდა, რომ, მიუხედავად ზღვად დაღვრილი სისხლისა, ჯერ ყველაფერი არ იყო დაღუპული, რომ უკიდურესი გაჭირვების ჟამს ღმერთი მხსნელ აზრს ჩააგონებდა, სასწაულს მოახდენდა და მუხთალი მტრის კლანჭებიდან ორი ძვირფასი არსების უვნებლად გამოხსნას შეაძლებინებდა. — დედოფალიც და ალექსანდრე-მირზაც, — ახლა მეტი თავდაჯერებითა და რწმენით მიმართა სპარსელს. — სწორედ მისი უდიდებულესობა ყაენის უზენაესი ნების თანახმად ბრუნდებიან სამშობლოში. ინებეთ საბუთი! უზენაესი ბრძანების შეცვლის უფლება არავის არა აქვს!..

— გარდა თვით ყაენისა! — გესლიანი ღიმილით მოუჭრა სპარსელმა, შერმაზანის მიერ გაწვდილი პერგამენტი მათრახის ტარით აირიდა და გადაულახავ კედლად აღმართულ თავის რაზმელთ რაღაც ანიშნა.

ვიდრე ეს ორნი სიტყვიერად კენწლაობდნენ და თავ-თავიანთ სიმართლეს ამტკიცებდნენ, აქ ხალხი, სპარსელნიც და კახნიც, ბლომად მოგროვილიყო. ზოგი მათგანი, უპირატესად კახნი, დაჭრილი იყო და სახვევებიდან, რითაც ჭრილობები

შეეკრათ, სისხლი ჟონავდა. მოდიოდნენ თითო-თითო, ორ-ორი, სამ-სამი, მოდიოდნენ ჯგუფ-ჯგუფად და ერთის მხრივ შერმაზან ჩოლოყაშვილის ზურგსუკან, ხოლო მეორეს მხრივ სპარსელი სარდლის უკან დგებოდნენ.

სარდლის ერთი უბრალო ნიშანი-ღა იყო საჭირო, რათა მჭიდროდ შეჯგუფულ სპარსელებს თავიანთი შავ-ბნელი საქმე განეახლებინათ და როგორც კი ეს ნიშანი მიიღეს, უმალ დაიშალნენ. მათი ერთი ნაწილი დედოფლის ამალისა და მცველი რაზმის ნაშთებს შემოერტყა გარს და რაკი ასეთი იყო ალაჰის ნება და გურჯი დიდებულის უსიტყვო გადაწყვეტილება, მათი მხრიდან ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევის გარეშე იარაღის აყრა დაუწყო. უდრტვინველი მორჩილების მაგალითი რომ მიეცა და თავიანთი სიმრავლით გაამპარტავნებული სპარსელების ახალი რისხვა არ დაეტეხა, პირველმა თვით თავადმა შერმაზანმა აიხადა ხმალი, შეიხსნა სატევარი და ყოველივე ეს სარდლის წინ თავისსავე ფარზე დააწყო. ასევე მოიქცნენ დაუნდობელ კაფეა-ჩეხვაში უვნებლად გადარჩენილი, თითქოსდა ერთმანეთის მომდურავი, ჯავრით გულშემოყრილი ძმები ვაჩნაძეები. ეს რომ დაინახეს, დანარჩენებმაც მათ მიბაძეს და იმ ადგილას, სადაც თავადმა შერმაზანმა მრავალ შინა და გარე ომში პატიოსნად გამოტარებული თავისი ფარი და ხმალ-სატევარი დასდო, რამდენიმე წუთში სხვადასხვა ზომისა და მოყვანილობის ხმლების, ხანჯლების, შუბების, ფარების, შვილდებისა და სანახევროდ დაცარიელებული კაპარჭების გროვა აღიმართა.

სპარსელ მხედართა მეორე, პირველზე უფრო მცირე ჯგუფი, სარდლის ბრძანებისამებრ, დედოფლის კარავში უნდა შესულიყო და იქ მყოფნი გარეთ გამოეყვანა. ესენი ჯერ კიდევ არ დაძრულიყვნენ ადგილიდან, რადგან სხვებთან ერთად დაძაბული ყურადღებით ელოდნენ, უკანასკნელი კახი მოლაშქრე როდის განიარაღდებოდა და ის იყო, დაიძრნენ კიდევაც, რომ, თითქოს ბიბლიური სოდომის ცოდვილ მკვიდრთ ღვთის გამარისხებელმა ცოდვებმა უწიათო, ყველა იმავე ადგილზე გაქვავდა, სადაც იდგა და პირდაღებული მიაჩერდა კოჰებამდე ჩამოშვებული თეთრი კაბებით მოსილ ქალთა კრებულს, რომელიც კარვიდან გამოდიოდა და ერთ მუჭა იარაღაყრილ ქართველებსა და გამარჯვებით მოზეიმე სპარსელებს შორის იყრიდა თავს.

თეთრ ჩიქილა-მანდილებითა და ჩიხტი-კოპით თავდახურულ ქალებს შორის ერთადერთი შაოსანი ერია. მას ხელი თეთრებში გამოწყობილ, სიარულში ჯერაც გაუწაფავ ყმაწვილისათვის ჩაევლო, სახეზე სქელი რიდე ჩამოეფარებინა, რომლის ქვემოთაც მხოლოდ მკაცრად მოკუმული ტუჩების ვიწრო ხაზი და გამჭვირვალე შავი ქსოვილით შებურვილი მაღალი ყელი მოუჩანდა და თავისი ამაყი ჯიშის მდედრთ სწორედ დედოფლური ღირსებითა და სიდიადით მოუძღოდა.

— ჩვენ მზად გახლავართ, ამირავ, — მიმართა მან მოულოდნელი სანახაობით გაოგნებულ სარდალს, რომელსაც არც კი ეგონა, თუ საქმე ასე უბრალოდ დაბოლოვდებოდა. — უბრძანე, ცხენები მოგვართვან და წინ გაგვიძღვნენ, საითაც დიდებული შაჰის ბრძანებით წაყვანას გვიპირებ, ოღონდ, ზეციერი მამის მადლმა, ვიდრე ამას იზამდე, ნება დართე ჩემს ხალხს, აკრიფონ თავიანთი მკვდრები და სამშობლოში წაასვენონ, ან აქვე მიაბარონ მიწას, ხოლო დაჭრილები, ვისაც ცხენზე ჯდომა კიდევ შეუძლია, თუ მოწყალებას მოიღებ და მათაც შინ წასვლის ნებას დართავ, თავს თავად მოუვლიან და სიკვდილამდე შენი მადლობელი იქნებიან!

— როგორც თქვენ ინებებთ, დედოფალო! — მხურვალედ აღმოხდა სარდალს, ამ დიდებულმა ბანოვანმა აღმატებითი წოდებით რომ მოიხსენია და თითქოს კიდევაც აღამაღლა. ის უკვე მზად იყო, ღირსეულ მანდილოსნისათვის, რომლის პირველმავე დანახვამ გულში უაღრესი კრძალვა და თაყვანისცემა აღუძრა, ყველა სურვილი შეესრულებინა და როგორც ნამდვილ ამირას შეეფერის, შეუძლებელიც შესაძლებელი გაეხადა. — თქვენს ბრწყინვალებას ნება ეძლევა, იმდენი კაცი იახლოს, რამდენის ხლებასაც საჭიროდ დაინახავს, დანარჩენებს კი ახლავე შეუძლიათ გზა განაგრძონ და სამშობლოში დაბრუნდნენ!

— ღმერთი შეგეწიოს, დიდად გმადლობ, შვილო! — ქეთევანის უტყუარ ქალურ აღლოს არ გამოჰპარვია სპარსელის სიტყვებისა და ხმის კილოში ჩაქსოვილი აღტაცება მისი დედაკაცური მომხიბლველობის გამო და გადამთიელის მამაკაცური აღტკინება ერთადერთი მაგიური სიტყვით "შვილოთი" ჩააქრო. — ჩვენ, მე და ჩემს შვილიშვილს, ალექსანდრეს, ენაცვალოს ამას ბებოს სიცოცხლე! — დედოფალი დაიხარა და ბავშვი, მეორე მხრიდან მისი დაუზარელი გადია სალომე რომ ამოსდგომოდა და თავზე ქორივით დასტრიალებდა,

ხელში აიყვანა, გულზე მიიხუტა. — არც ისე ბევრი ხალხი დაგვჭირდება. თავს არ ვანებივრებთ, საკუთარ თავს როგორმე ეუპატრონებთ. დიდებული შაჰი ხომ მარტო ჩვენ ორს გვითხოვს და ჩვენც ღვთის მადლით მზადა ვართ, ბრძანება უყოყმანოდ შევასრულოთ!

— სხვებს ყველას, პირადად თქვენ, ჩვენთვის დიდად გარჯილო თავადო შერმაზან და თქვენ, ჩვენო ერთგულო ყმებო, ბებურ და თამაზ, — ქეთევანი უეცრად სპარსულიდან ქართულზე გადავიდა და სუნთქვაშეგუბებულ ქვეშევრდომებს მშობლიურ ენაზე მიმართა. — ჩემი სამსახურისაგან ამიერიდან გამითავისუფლებიხართ. ნება გეძლევათ, სამშობლოში დაბრუნდეთ, უბედურ ძეს ჩემსას, თეიმურაზს, თქვენს უბედურ მეფეს, ჩვენი ამბავი მიუტანოთ, მხარში ამოუდგეთ, გაამხნევოთ და უჩვენობა არ აგრძნობინოთ! ლევანიც ხომ აქა გვყავს. შავი დღე ადგას დღეს ჩვენს სამშობლოს! მადლობელი ვარ გაწეული სამსახურის გამო, იმ გაჭირვებისათვის, ჩვენმა გადამკიდემ სხვის კარზე რომ გადაიტანეთ! ვაი რომ ველარაფრით მოგიზღავთ სამაგიერო სიკეთეს! მხოლოდ ერთს გპირდებით: ვიდრე პირში სული მიდგას, სადაც არ უნდა ვიყო, თუნდაც ქვესკნელში, თქვენთვის და თქვენი მონაგრისათვის მლოცველი ვიქნები. გფარვიდეთ ღვთისმშობელი დედა თქვენ და ჩვენს მტერმორეულ ქვეყანას! ღვთის შეწევნით ერთხელ კიდევ წამოეწიოს წელი და ამდენი ხნის დამხობილი ფეხზე წამომდგარიყოს! ნუგეში ეცით ჭირისუფალს, ვისაც ზარს დასცემთ და კარზე მიცვალებულს მიუსვენებთ! სამშობლოსათვის გაიწირნენ ესენი და არ მოჰკლებოდეთ სასუფეველი დაღუპულთა სულებს, არც შენდობა ჩვენგნით და ყოველდღიური ლოცვა-კურთხევა!..

ამას რომ ამბობდა ქეთევანს ორთავე თვალთაგან მდუღარე ცრემლი სდიოდა, რიდის ბოლოს უსველებდა და ტუჩების კუთხეებში მოგროვილი ყელზე ღვარებად ეშვებოდა. ტიროდნენ და ღაწვებს იხოკდნენ ამ უბედურების შემხედვარე სხვა მანდილოსნებიც. უხმოდ იცრემლებოდნენ, შიგადაშიგ ჩუმად ქვითინებდნენ თავჩაქინდრული კახი მოლაშქრენი. მხოლოდ თავიანთი სარდლის უკან ამომდგარი ღულამები იდგნენ ამაყად თავაწეულნი, გურჯ დედაკაცებს, საარაკო თვალტანადობასა და სიტურფეს ასე საქვეყნოდ რომ ამხელდნენ, თვალებით ჭამდნენ და ვერ მიმხვდარიყვნენ, რა ხდებოდა.

ამასობაში ინათლა კიდეც და თვალს გულისმომწყველელი სანახაობა გადაეშალა: მრავალი დიდი და მცირე კარვისაგან შემდგარი ბანაკი, გუშინ საღამოს ხალისითა და მონატრებული სამშობლოს მთა-გორების მალე ნახვის იმედით რომ დასცეს, უკვე აღარ არსებობდა. კარვების ნადგომ ადგილას ალაგ დაშაშრული შავი მიწა, ალაგ ნაცარი და ალაგ დაფშვნილ-დახრუკული მწვანე ბალახი დარჩენილიყო. მიწას მკრეალი ბოლი ასდიოდა და ეს ბოლი ადრიანი დილის თქორს უერთდებოდა. საითაც არ უნდა გაგეხედა, მინდორში ყველგან დაღუპულთა გვამებს დაინახავდი. მიპარვით მოსულ მტერს, განძიდან აქამდე უჩუმრად რომ მოსდევდათ, მოულოდნელი დარტყმით ესარგებლა და მახვილი მაშინ ეშიშვლა, როცა ხალხის უმეტესობას შიში არაფრისა ჰქონდა და დაღლილ-დაქანცულს გულის ძილით ეძინა. ზოგისთვის თავი გაეჩეხათ, ზოგი შუბით გაეგმირათ, ზოგს ისარი ზურგში გარეკობოდა და პირქვე დამხობილს ჭრილობაშივე ჰქონდა ჩარჩენილი.

ყვავ-ყორნებს ლეშის სუნი ეკრათ. საიდან არ მოფრენილიყვნენ და ხანმოკლე ბრძოლის ადგილს თავს გულშემზარავი ყრანტალით დასტრიალებდნენ.

იარაღაყრილი კახნი დახოცილებს აგროვებდნენ და თან ციდან შურდულივით დაშვებულ ყვავ-ყორანს იგერიებდნენ, დაჭრილთ ჭრილობებს უხვევდნენ, სხვები უმხედროდ დარჩენილ ცხენებს დასდევდნენ ჭალაში და რის ვაინაჩრობით თავშეყრის ადგილისაკენ მოერეკებოდნენ.

თავი LII

თავად შერმაზან ჩოლოყაშვილისაგან, კარის მწერველ მღვდელ მამა გიორგისაგან, სამ მოახლე გოგოსაგან, რამდენიმე მოსამსახურე ბიჭისაგან და ბატონიშვილ ალექსანდრეს გამდელ სალომესაგან შემდგარი მცირე ჯგუფი, რომელიც ყაენის უზენაესი ბრძანებით დატყვევებულ კახეთის დედოფალს და მის პატარა შვილიშვილს მათთვის მიჩენილ ახალ ადგილსამყოფელში უნდა ხლებოდა, განძაში აღარ შეუჩერებიათ, ქალაქში საერთოდ აღარ შეუყვანიათ, გზა პირდაპირ აღმოსავლეთის მხარეს, ბარდავისაკენ განაგრძეს.

უკეთუ თავის ტყვეებს შაჰ-აბასი შემახის ციხეში გამოკეტვას არ უპირებდა, ეპვი არ იყო, გეზი სპარსეთისაკენ

ედოთ. ასე ფიქრობდა თავადი შერმაზანი და ეს თავისი ფიქრი მას არც სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ დედოფლისათვის დაუმალავს. ნუთუ მაღალი ღმერთი მოწყალე თვალით არ გადმოიხედავდა და ვერსად დაეწეოდნენ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილ ლევანს, თუკი ისიც მართლა სპარსეთს მიჰყავ-დათ?!

ღულამთა კორპუსის ჯარისკაცები, რომლებმაც კახეთის დედოფალსა და მის მცველ რაზმზე თავდასხმა განახორციელეს და შაჰის ბრძანებისამებრ კახბატონ თეიმურაზის მძევლები უკან დააბრუნეს, განძის კარიბჭესთან მიახლოებისას ყიზილ-ბაშმა მებადრაგეებმა შესცვალეს. ბადრაგი შედარებით მცი-რერიცხოვანი იყო და ამიტომაც გაორკეცებულ სიფხიზლეს იჩენდა. ბინდისას მებადრაგენი მტკვრის პირას, მურყნარში შეჩერდნენ, ღამის გასათევი ადგილი შეარჩიეს, სალაშქრო კარვები დასცეს, ერთში ქეთევანი და მისი მხლებელი დედაკაცები მოათავსეს, მეორეში მამაკაცებს მიუჩინეს ბინა, ღამის სიბნელით რომ არ ესარგებლათ და არ გაქცეულიყვნენ, ირგვლივ გაძლიერებული ყარაული დაუყენეს, თავად კი სხვა კარვებში მოთავსდნენ და ოფლის სუნად ამყრალებულნი დასასვენებლად მიეყარნენ.

ისე ინათლა, არც ქეთევანს და არც მის მხლებელ ქალებს თვალზე რული არ მიჰკარებიათ. ქეთევანს წყვილი თაფლის სანთელი ენთო, ღვთისმშობლის ხატის წინაშე იყო დაჩოქილი და ხმაჩახლეჩილი ლოცულობდა. მასთან ერთად ლოცულობ-დნენ მოახლე ქალებიც, რომელთაც თავიანთი ღვთისნიერი დედოფლის უსაშველო წუხილი გადასდებოდათ და ავი წინათგრძნობით შეპყრობილთ დანა პირს არ უხსნიდათ.

დილას თავად შერმაზანის ვარაუდი და წინასწარმეტყ-ველება გამართლდა. ტყვეების მცირე ჯგუფს გარსშემორტყ-მული მებადრაგენი არც ბარდავში შესულან. ქალაქის კარიბ-ჭეს გვერდი შორიდანვე აუარეს, მარჯვნივ, სამხრეთისაკენ მოუხვიეს და ცისკიდურზე გაწოლილ ლურჯი მთებისაკენ მიმავალ მტვრიან გზას დაადგნენ.

ის მთები ყარაბახის მთები იყო. სადღაც იქ, მაღლა, ღრუბლებს ზემოთ იყო შუშა, სახანოს მთავარი ქალაქი, სადაც ამ რამდენიმე წლის წინათ ხანის სასახლეში კავკასიის საქმეების გასარიგებლად ყარაბახს მოსული შაჰ-აბასი იდგა და საიდანაც ბატონიშვილი თეიმურაზი კახეთის ტახტზე ასასვლელად გამოისტუმრა.

უსაშველოდ ცხელოდა. ჰაერში ავარდნილი მტვრის ბუღი სუნთქვას აძნელებდა, კაცს თუ პირუტყვს სულს უხუთავდა და ისედაც აუტანელ სიცხეს მთლად გაუსაძლისს ხდიდა. ტრიალ მინდვრებში, რომლებიც თითქმის მთლიანად სახნის-მიუკარებელი და დაუმუშავებელი იყო, ერთი ხე და ბუჩქიც არსად იდგა, რომ მგზავრები რამდენიმე წუთით მაინც შეფარებოდნენ და მის ჩრდილში სული მოეთქვათ.

— დედოფალო, შენი ჭირიმე, ნუ გამიწყრები, ბალღი წყალს ითხოვს... — შესაბრალისად დაელრიჯა ქეთევანს გადია, რომელმაც მხლებელთა რაზმის გაყოფისას სიკვდილი ილირსა და იმისდა მიუხედავად, რომ შინ უპატრონოდ დაყრილი წვრილშვილი ელოდა, სამშობლოში მიმავალ თავისიანებს არ გაჰყვა, მასზე მინდობილ პატარა ბატონიშვილს და სათაყვანებელ დედოფალს თავი არ დაანება.

— ვაიმე, — შეწუხდა გამუდმებული უძილობითა და ფიქრით ღონემიხდილი ქეთევანი. — გწყურია, შვილო, ალექსანდრე?

— ჰო, ბები.

— ახლა არ დაგალევინეთ, ბიჭო? ასე მალე მოგწყურდა?

— მწყურია! — დაიჩივლა ბალღმა და ტუჩები სატირ-ლად დაეფჩხალა.

— ტიკი სულ დაიცალა, სალომე?

— უკანასკნელი წვეთები გამოვწურე, დედოფალო.

— მაშ, რა ვქნათ? — უმწეოდ აწრიალდა ქეთევანი. — აქ წყალს წინასწარმეტყველი მოსეც ვერ გააჩენს. უდაბნოა. მეტი უნდა წამოგვეღო!

— განა არ წამოვიღებდი, დედოფალო, ჭურჭელი არ გვქონდა.

— ბავშვი აქ მომეცი, ბიჭს მოუხმე ვისმე, ბატონ შერმაზანთან გავგზავნი, აქეთ ნასიარულები კაცია, იქნებ საშველი გააჩინოს რამე.

თავადმა შერმაზანმა თვალის დახამხამებაში მოაგდო ცხენი და ბატონიშვილისათვის ნაგულვები წყლის გათავების ამბავი რომ შეიტყო, გადიას ცარიელი ტიკი უსიტყვოდ გამოართვა და მაშინვე მტვერში მიიმალა. წყალი თუ ვინმეს ექნებოდა, ისევ მობადრაგე ყიზილბაშებს უნდა ჰქონოდათ. მათ მდგომარეობა აიძულებდათ მუდამ თადარიგიანი ყოფი-ლიყვნენ და შერმაზანმაც სწორედ ბადრაგის უფროსს მია-კითხა. ეს ერთი მშვიდობიანი გამომეტყველების ხანშიშესული

კაცი იყო. წვერ-ულვაშსა და ხელებს ინით იღებავდა. შერმაზანს გაუკვირდა, თხოვნა რომ არ იუცხოვა და არ შემოულრინა, როგორ ბედავ ჩემთან მოსვლას, ნუთუ არ იცი, რომ მე თქვენი თულუხჩი არა ვარო? პირიქით, გულწრფელად შეწუხდა, რომ სასმელი წყლის მარაგი მათაც შემოლეოდათ, მაგრამ დაიმედა, ერთი საათის შემდეგ ბალახოვან ტაფობში შევალთ, სადაც ცხენები უნდა დავასვენოთ და იქ, ღელეში, ცოტაოდენი წყლის მოგროვება შეიძლებაო.

შერმაზანმა აქვე შეიტყო, რომ ღულამების შემცვლელ ყიზილბაშთა ბადრაგი დედოფალსა და მის მხლებლებს აღდამამდე ჩაიყვანდა, იქ ნახჩევანიდან მოგებებულ რაზმს გადააბარებდა და თავად უკან გამობრუნდებოდა, რადგან ამ დროისათვის ყაენი ტფილისში ან გრემში იქნებოდა და ისინიც იქ უნდა ხლებოდნენ.

შერმაზანს გულზე ცეცხლი მოეკიდა. ეს რა თქვა ამ ურჯულომ, რა წამოაყრანტალა? როგორ თუ გრემში ან ტფილისში? შაჰს ან გრემში ან ტფილისში რა უნდოდა, ნუთუ მას განზრახული ჰქონდა, ძვირფასი მძევლის ხელში ჩაგდება არად ჩაეგდო და გაურჩებულ თეიმურაზზე შურის საძიებლად კახეთი მაინც დაელაშქრა?

— ეგ მე არ ვიცი, — ცივად მოსჭრა ბადრაგის უფროსმა და დაამთქნარა. არც კი შეუმჩნევია, რომ თავისიანებს შორის მეტად დაფასებული და დიდი გავლენის მქონე ამ ჭაღარა გურჯს მისმა სიტყვებმა თავზარი დასცა. — მე მარტო ის ვიცი, რომ გუშინწინ ყაენმა მტკვარი გადაველო და მთავარი ძალები კახეთისაკენ დასძრა.

გაგონილით გულშემოყრილმა შერმაზანმა ცხენს სადავე მოზიდა, ყალყზე შეაყენა, მოაბრუნა და იქით გააჭენა, სადაც პატარა შვილიშვილის გაჭირვებით შეწუხებული ქეთევან დედოფალი ეგულებოდა.

— რაო, ბატონო შერმაზან, მაგათაც გასთავებიათ, თუ არ გაიმეტეს? — შორიდანვე მოაგება ქეთევანმა, როგორც კი მტვრის ბოლქვებში ჩოლოყაშვილის ნაცნობი მოხაზულობა დალანდა. — აგრეც ვფიქრობდი.

— ერთ ორ საათში წყაროსთან შევჩერდებითო, — თავადი ყოველნაირად შეეცადა თავი მოეთოკა და გარეგნული სიმშვიდე შეენარჩუნებინა. ქეთევანს თვალი მოარიდა, პატარას გაულიმა. — მოითმენ, ბატონიშვილო?

ალექსანდრემ პასუხი არ გასცა, თვალები მოჭუტა და სახე ბებოს უბეში ჩარგო.

— რა გაეწყობა, თუკი აგრეა, ორი საათიც მალე გავა და უნდა მოვითმინოთ, — შვილიშვილის მაგიერ თქვა ქეთევანმა. — სხვა ხომ არაფერი შეგიტყვიათ, თავადო? ნუ დამიმალავთ, ღვთის გულისათვის. რაღაც ზომაზე მეტად შეწუხებული მეჩვენებით!

— თუ მართალია, დავიღუპეთ, დედოფალო!

— რა ბრძანეთ?

— არ მინდოდა, შვილებს გეფიცებით, ჯერ თქვენთვის გამემხილა და გული გამეხეთქა. იქნებ ჭორია, განზრახ ყრიან და გამოცდას გვიწყობენ, ვნახოთ ერთი, რა გუნებაზე დადგებიანო!

— ნუღარ მაწამებთ, შერმაზან, მითხარით, თუ მართლა რაიმე იცით!

— ჩვენ რომ დაგვეცა, ხალხი დაგვიხოცა, შეგვიპყრო და აქეთ გამოგვისტუმრა, შაპს, თუ მართალია და არა ცრუობენ, მთავარი ძალები დაუძრავს და პირი იქით უქნია.

— საით იქით?

თავადი ერთხანს კიდევ ყოყმანობდა, კიდევ არ უნდოდა, ყველაფერი ბოლომდე ეთქვა, მაგრამ მთავარი უკვე ნათქვამი იყო და, კახეთისკენაო, ძლივს გასაგონად დაუმატა.

— ვაი, შენ ჩემო თავო! — ქეთევანი ამას მოელოდა, ყველა თავისიანს გაფაციცებით ზვერავდა, არაფერს მიმალავ-დნენო და კვნესას ამოაყოლა. — დაღუპულო შვილო, დაღუპულო ქვეყანავ!..

გადია სალომე და მოახლე გოგოები იქვე ახლოს ყოფილიყვნენ მოყურადებული. ყველაფერი გაეგონათ და ჩოჩქოლი შეჰქნოდათ. შერმაზან ჩოლოყაშვილი ისე იყო რეტდასხმული, აქამდე არც ერთი მათგანი არ შეუმჩნევია. ახლაღა შეამჩნია და ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ღონემიხდილ ქეთევანთან მარტო არ იყო. ისინი წამსვე მისცვივდნენ დედოფალს, ბავშვი გამოართვეს და მისი ცხენი გზის პირზე გაიყვანეს. ღამისთევითა და მგზავრობით გაწა-მებულ ქეთევანს სახეზე მიწისფერი დასდებოდა, წამწამზე ერთადერთი ცრემლი დაჰკიდებოდა და ერთგულ ხელებს მინდობილი აღარც კარგს ამბობდა და აღარც ავს.

მოიჭრნენ შუბმოღერებული ყიზილბაშები:

— ვინ გითხრათ, გაჩერდითო?!

— გვაცალეთ, თუ კაცი ხართ, ჩვენი გაჭირვება გვყოფნის!
— მათ გასაგონად, მათსავე ენაზე დაიჩივლა შერმაზან ჩოლოყაშვილმა, რომელიც უკვე თავბედს იწყევლიდა, რომ ძნელად გასამხელი საიდუმლო უფრო შესაფერის დრომდე ვერ შეინახა და საბრალო დედოფალი ამ დღეში ჩააგდო.

— აბა, წინ, ჯერ გეჩერების ბრძანება არავის გაუცია!

— ღვთის შვილს სულის ამოსვლას აღარ აცლით? ხალხი არა ხართ, ღმერთი არა გწამთ, თქვენ ოჯახკეტიანებო?

თითქმის მთელი საათი დასჭირდა ქეთევანის მობრუნებას და ისევ ცხენზე შესმას. მას ღვთისადმი ერთი საყვედურიც არ დასცდენია, ზედმეტად არავინ შეუწუხებია. სადავე რომ ხელში მისცეს და ცხენი დაიძრა, ბავშვი მოიკითხა. ბატონიშვილი ალექსანდრე გადიას ყავდა. ამან ქეთევანი დააშოშმინა, რადგანაც შვილიშვილს მხოლოდ დედობრივად მზრუნველ სალომეს ანდობდა და შემდეგ გონიერი პირუტყვის ალღოს მინდობილმა რამდენიმე საათი ისე იარა, აღარავის გამოლაპარაკებია. ჯავრისაგან კრიჭაშეკრული შერმაზანი შორიახლო მისდევდა. მზად იყო, პირველ მოკითხვისთანავე ცხენი აეჩქარებინა და გვერდში ამოსდგომოდა, მაგრამ ქეთევანი აღარ ეძახდა.

ჭალა, სადაც პირობისამებრ ცხენები უნდა ებალახებინათ და წყლის ახალი მარაგიც აეღოთ, გაცილებით შორს აღმოჩნდა, ვიდრე ყიზილბაშ მობადრაგეთა უფროსი ირწმუნებოდა. ორი თუ სამი საათი კვლავ მუხლჩაუხრელად იარეს და ის ბალახოვანი ჭალა კი ჯერ კიდევ არსად ჩანდა. ლურჯი მთებიც უძრავად იდგნენ იმავე ადგილას და მტვერში გახვეული მხედართა ჯგუფი თითქოს ერთ ადგილზე იბეკნებოდა.

წყურვილმა ცხენებიც შეაწუხა, მეტადრე ის ცხენები, რომლებითაც დედოფალი ქეთევანი და მისი მხლებლები მგზავრობდნენ. ესენი არ იყვნენ შეჩვეული პაპანაქება სიცხეში დაუსრულებელ გზაზე სიარულს და პირზე დუქმომდგარნი ხროტინებდნენ, სულს ძლივს ღაფავდნენ. შეფიქრიანებული მსახური ბიჭები, ემანდ ცხენები არსად დაგვივარდნენ, ამ დალოცვილების ტვირთიც ჩვენი ასაკიდებელი არ გახდესო, უნაგირიდან ჩამოხდნენ და თავ-თავიანთ ცხენებს ქვეითად აედევნენ. ამათ მაგალითს მიჰბაძეს მცხუნვარე მზისა და ყიზილბაშ მებადრაგეთა მოდარაჯე თვალისაგან დასაცავად პირშებურვილმა, მოახლე გოგოებმაც. ცხენებზე ახლა მხოლოდ ქეთევანი, თავადი შერმაზანი, მამა გიორგი და გადია სალომე

ისხდნენ, რომელსაც რწევა-რწევაში ჩაძინებული ბატონიშვილი ალექსანდრე მკერდში ჰყავდა ჩაკრული და ფიქრით შორს, ცხრა მთას იქით, მოხუცებული დედამთილ-მამამთილისა და ლეკებთან ომში დახეიბრებული ქმრის ანაბარა მიტოვებულ წერილშვილს დასტრიალებდა და მოუქარეებელ ჯავრს გულში იხვეედა.

ღამდებოდა, შეპირებულ ჭალას რომ მიაღწიეს და ბანაკად დადგნენ. ყველა სულიერი მაშინვე წყაროს მიეტანა. წყარო ეთქმის, თორემ, აბა, რა წყარო იყო! მშრალ ღელეში, რომელიც მთიდან დაშვებულ ღვარცოფს გაეკრა, წვრილად მოწკანწკარებდა და იქიდან გადმონადენი მაცოცხლებელი წყალი ხვინჭკებში იქვე იკარგებოდა.

მხლებელთაგან ერთმა ტანმორჩილმა ბიჭმა, ტოკლიკაანთ ვანუამ, ივაქკაცა, წყაროზე მისეული ნახევრადშიშველი ადამიანებისა და ცხენების ოფლით გალიპული მხურვალე კედელი გაარღვია, უთვალავ მუჯლუგუნსა და პანღურს გაუძლო, თავადაც წყურვილისაგან ხახაგამშრალმა მათარა ააევსო, პირიც არ გაუსველებია, პატარა ბატონიშვილს წყალი მოურბენინა და მაშინვე უკან გაიქცა, რათა ჯოჯოხეთური წყურვილი თავადაც მოეკლა.

ქეთევანს ვახშმობის თავი აღარ ჰქონდა, მხოლოდ ალექსანდრე დააპურა, როგორც შეეძლო, გადია ანუგეშა, მასთან ერთად მწარედ იტირა და გული რომ მოიოხა, თავადი შერმაზანი მოიხმო სათათბიროდ.

— მე უბედურს მეგონა, რომ ჩვენი უანგარო თავგანწირვა მტარვალსაც გულს მოულბობდა და ქვეყანას რაიმე საშველს მისცემდა, — უთხრა მგლოვიარედ გულხელდაჭდობილ ჩოლოყაშვილს, რომელსაც წამიც არ დაუხანებია, უმალ ეახლა და მის წინ ცალ მუხლზე დაიჩოქა. — ეტყობა, მოეტყუედი, ვერ გასჭრა დედაკაცის ჭკუამ. ბალღებიც დაეღუპე და ქვეყანაც. ჩემს ოხერ თავს, ცხენის კუდზე გამოსაბმელს აღარა ვჩივი. მეტი ფიქრი და გონიერება მმართებდა!

— ვიცი, ეგ საყვედური ჩვენ ყველას გვეხება. ვერ გამოვდექით მრჩეველებად. არ გვეგონა, თუ ეს წყეული ურჯულო სინდის-ნამუსზე ხელს მთლად აიღებდა!

— იქნებ ახლა მაინც გადაწყვიტო, იახლო ორი-სამი კაცი, სამწუხაროდ, ჩვენ მეტი არა გვყავს და გაბრუნდე!

— სად, დედოფალო?

— საქართველოში! თუ ერსა და მეფეს ვეღარას წაადგები, ოჯახს მაინც გაიყვან სახიზარში, ცხვარსა და ჯოგებს გაარიდებ!

მტკიცე უარის ნიშნად შერმაზანმა თავი გააქნია, შორს დაიჭირა:

— უკვე გვიანია, დაგვიანებულიც რომ არ ვიყოთ, ვფიცავ ალაევერდის წმიდა გიორგის, ამის მადლს, — მან პირჯვარი გადაიწერა. — მე თქვენი დამტოვებელი არა ვარ, გინდამც აქვე ხმლით ამკუწონ!

ქეთევანს ქუთუთოები ცრემლით დაებერა. გული ისე აუჩუყდა, ერთხანს ხმა ვეღარ დასძრა. ჭირში მრავალჯერ გამოცდილი, ამ მუდამ დინჯი და აუმღვრეველი კაცისადმი უაღრესი, ენით აუწერელი მადლიერებით განიმსჭვალა, მაგრამ თავისი მადლიერების ხმამაღლა გამჟღავნება საჭიროდ არ ჩასთვალა და მხოლოდ ეს უთხრა:

— თქვენგნით მაგ მსხვერპლის გაღება ერს ბევრად უფრო მეტ ზიანს მოუტანს, ვიდრე სარგებლობას. ეს სახეში უნდა ვიქონიოთ. თუ ყაენმა ჩვენი ბედი უკვე გადაწყვიტა, ვეჭვობ, იქ, სპარსეთში, სამშობლოდან მოშორებულმა ჩვენთვის რაიმე შემწეობის გაწევა შეიძლოთ!

— უმორჩილესად გთხოვთ, დედოფალო, ამ საგანს მეტჯერ ნულარ დავუბრუნდებით!

რამდენიმე წუთს ორივე დუმდა და თავის საფიქრალს ფიქრობდა, მერე ისევ ქეთევანმა დაიწყო:

— რა უნდა ედოს გულში შაჰ-აბასს? თუკი ომს და ჩვენს აკლებას აპირებდა, განძაში რისთვის-ღა ჩაგვიყვანა, რისთვის დაგვამცირა, ეს ტაკიმასხარობა რისთვის მოაწყო?

— მეც მაგას ვფიქრობ და ვერ ამიხსნია, — მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ მიუგო შერმაზანმა. — მძევალი, ისიც ასე ძვირფასი — დედა და ორივე შვილი, შაჰს, რაღა თქმა უნდა, იმისთვის სჭირდება, რომ დარდით ხელ-ფეხშებორკილ ჩვენს მეფეს, თეიმურაზს, წინააღმდეგობის გაწევაზე ხელი ააღებინოს და კახეთი უომრად დაიჭიროს. თუ კახეთს უომრად სძლია, მერე ქართლიც იარაღს დაჰყრის, რადგანაც თავკერძა ქვეშევრდომების მარწუხებში მოქცეულ ლუარსაბს უკახეთოდ თითის განძრევაც არ შეუძლია!

— თეიმურაზი ჩვენს გამო შედრკება, ლუარსაბს წინასწარ კავშირით არ შეეკერის და უპირულ შაჰს შეერთებული ძალით კახეთის საზღვარზე არ დაუხვდება?

— ძნელი სათქმელია, დედოფალო!

— ნუთუ ვერ უნდა შევიტყოთ, რა ხდება საქართველოში?

— ვერაფერსაც ვერ შევიტყობთ, ვიდრე შუშაში არ მივალთ და იქ ორ-სამ დღეს მაინც არ გავჩერდებით. მოთმინება და გამძლეობა გვმართებს. მტრის ხელთა ვართ, საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნით!

თავი LIII

თავადი შერმაზანი ნაშუაღამევს ხმაურმა გამოაღვიძა. ნაბადი გადაიგდო, წამოიწია და ყური მიუგდო. ბიჭებსაც გამოღვიძებოდათ და სულგანაბული წამომსხდარიყვნენ. გარედან ძაღლების ყეფა, კანტიკუნტი შეყვირება და ცხენების ჭიხვინი ისმოდა. ბიჭოს! ეს ძაღლები საიდან გაჩნდნენ? ყველას კარგად ახსოვდა, რომ მობადრაგე ყიზილბაშებს ძაღლები არ ჰყავდათ, არც სოფელი იყო სადმე ახლო, რომ იქიდან მოეკითხათ. ისევ ტოკლიკაანთ ვანუა ადგა, კარვის კალთა გადასწია, საიდანაც ეარსკვლავებით მოჭედილმა ლურჯმა ცამ შემოანათა და ამბის გასაგებად გარეთ გავიდა.

— ეი, ტოკლიკაანო, — დაადევნეს შეხუმრებულმა ამხანაგებმა. — მაგ მგლის კერძებმა შენც არ შაგჭამონ, შე მართლა ძაღლებისაგან შასაჭმელო!

მალე უკანვე შემობრუნდა და კარავში მყოფთ მთქნარებ-მთქნარებით აუწყა, ქარავანი მოსულა, გამრეკები აქლემებს აჩოქებენ და მაფრაშებს ხსნიან, ეტყობა, ეგენიც აქ აპირებენ დაბანაკებას, მაგათი ძაღლები კი ჩვენს ცხენებს უყეფენ, თუ არ მივეშველეთ და არ მოვუგერიეთ-კე, სადღაც უგზო-უკვლოდ გადაგვიხვეწავენ!

შერმაზანმა ნაბადი მოიხურა, გარეთ გავიდა და კითხვა-კითხვით მიაგნო ქარავნის პატრონ ვაჭრებს, რომელთაგან ერთი, მისდა ბედად, სპარსულს კარგად ლაპარაკობდა.

ქარავანი ყირიმელი ვაჭრებისა ყოფილიყო. გზა შირაზისაკენ ედო. აქ ყაბარდოსა, ოსებისა და შემდეგ გურჯისტანის უმოკლესი გზით მოსულიყვნენ. მცველი რაზმიც ყაბარდოელთაგან შეედგინათ. ვიდრე სპარსეთის შორეულ გზას გაუდგებოდნენ, ვაჭრები მთელ კვირას ტფილისში აპირებდნენ შეჩერებას, რათა თავიანთი საქონლის ნაწილი აქ გაესაღებინათ, მაგრამ გურჯისტანში იმისთანა მეორეთმოსვლა დახვედ-

როდათ, რომ ერთი გაფიქრება უკან გაბრუნება და აჩიკბაშის ქვეყნებში გადასვლაც კი ეფიქრათ. დიდსა და მცირეს პირზე შაჰ-აბასის სახელი ეკერა. შაჰი ჯერ არ იყო შემოსული, რადგანაც კახეთში თეიმურაზს შეეყოვნებინა, მაგრამ ვარაუდობდნენ, რომ სულ მალე კახელების შეიარაღებულ წინააღმდეგობას გასტეხდა და უკან დახეული თეიმურაზის კვალდაკვალ აქაც ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრებოდა. ამბობდნენ, შაჰმა კახბატონს მისი ლამაზი ცოლი სთხოვა, ამან, იმის მაგივრად, რომ ქალი გაეგზავნა და მადლობელიც დარჩენილიყო, ეს იწყინა და ძლევამოსილ ხელმწიფეს ომი გაუმართა, დედა და ორი შვილი კი, რომლებიც პირველი ცოლისაგან შეეძინა, მძევლადა ჰყავს შაჰის კარზე და განრისხებულ შაჰისაგან ამ უბედურებს ვინ იცის, რა მოელითო. ჭკუა არ უნდა ჰქონდეს კაცს? გურჯი თავადები ყაენთან ომს არ აპირებენ, ხელშეუხებლობის ფირმანის გამოსათხოვნად შუამავლებს უგზავნიან, რადგანაც თავიანთი ძალების იმედი არა აქვთ, მეფესაც არწმუნებენ, ხელი არ გამოიღოს, მაგრამ ლუარსაბი მაინც ომის მომხრეა, მუხრანში დგას და ჯარს აგროვებსო.

— კახეთისა რა იცით, კახეთისა? — ჩაეძია ახალი ცნობის მიღებით კიდეე უფრო შეძრწუნებული შერმაზანი.

— დიდი ომიაო, შაჰი ისეა განრისხებული, არც კაცს ინდობს და არც ქალს, ციხეებს ანგრევს, გრემი გადაწვეს, სიღნაღი დაანგრიეს, კახეთის ყველა ქალაქსა და სოფელს ცეცხლი უკიდიაო.

ამის გაგონებაზე შერმაზანმა შუბლი მოისრისა და შესამჩნევად აკანკალებული თითები ღაწვზე ჩამოატარა.

— შენ საიდან იცი გრემი და სიღნაღი?

— ერთხელ ვყოფილვარ თუ ორჯერ! რაც მე იქ ფარჩა და დიბა-ატლასი გამოსაღებია! პეწენიკი ხალხია. ჩააცვი, დაახურე და მეტი არაფერი უნდათ, მეტადრე ქალებს!

— თვით მეფე სად არის?

— თეიმურაზი?

— ჰო, თეიმურაზი!

— აბა, ვინ იცის, იქნებ მოკლეს კიდეეაც ან ტყვედ ჩაიგდეს!

— თქვენ როგორ გამოაღწიეთ?

— ქალაქის კარში გამოსვლისას კი გაგვაჩერეს მეციხოვნეებმა, ტფილისის ციხეში რომ დგანან, მაგრამ შეიტყეს თუ

არა, ვინ ვიყავით და სად მივდიოდით, გზა გაგვიხსნეს და გამოგვატარეს!

იქნებ ტყუოდნენ ეს შარახვეტია ვაებატონები? იქნებ ყურაბოკრულ, ანდა თვით სპარსელების მიერ შეთხზულ ჭორებს ავრცელებდნენ? მაგრამ ყოველივე, რაც შერმაზანმა გადამთიელ ვაჭრებისაგან და მათი მცველი რაზმის წევრებისაგან შეიტყო, სიმართლეს იმდენად ჰგავდა, დაეჭვება თითქმის შეუძლებელი იყო. მრავალ ჭირსა და ვაებაში გამოვლილ კახეთში ცოდვის კალო ილეწებოდა. ომში ჯერაც გამოუცდელი თეიმურაზი, რომელსაც არც ზარბაზნები გააჩნდა და არც რაიმე სხვა იარაღი, რითაც რიცხვით უმეტესი მტრის მოგერიება შეიძლებოდა, სრულიად მარტო იყო და ძლიერი თანამდგომის მოსვლის იმედი არც სახვალიოდ უნდა ჰქონოდა. რა გზას დაადგნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხის განმგებელი თავადები? ძველებურად მხარში უდგნენ თავიანთ გამოუცდელ ბატონს, თუ ყველამ თავის ბუდეს მიაშურა, იქ ჩაიკეტა და ყმა-მამულის შესანარჩუნებლად მტერთან მორიგებას ცდილობდა?

ტახტის უყოყმანოდ ერთგული თავადი შერმაზანი საგონებელს მიეცა. ამ საზარელი გასაჭირიდან გამოსვლის გზას ის უკვე ვეღარ ხედავდა. შაჰ-აბასმა, ამ ვერაგმა მელამ, წინასწარ ყველაფერი იღონა, რომ ყველა ეს გზა მოეჭრა და მტერი ორივე მხრიდან ცეცხლწაკიდებულ სოროში მოექცია.

შერმაზანი ორეოფულმა ფიქრმა შეიპყრო: გაემხილა თუ არა ქეთევანისათვის ის, რაც იცოდა? გაემხილა, მაღალმა ღმერთმა რა სასჯელი მოუვლინათ, თავს რა ვაი-უშველებელი დაატეხათ? ფიქრისა და მტანჯველი ყოყმანის შემდეგ ისევ პირში წყლის ჩაგუბება ამჯობინა. გულში იმედის სუსტი შუქი კიდევ უკიაფობდა, იქნებ მოხდეს სასწაული, ახალმა ცნობებმა ყირიმელი ვაჭრების მონათხრობი არ დაადასტუროს და მათ მიერ დაყრილი ჭორიც შარშანდელი თოვლივით დავიწყებას მიეცესო.

გარდა ამისა, რის ადრე და მალე შეტყობა არასდიდებით არ ასცდებოდა, ქეთევანს თურმე სულ სხვა განსაცდელიც ელოდა, რომელზე ფიქრი აქამდე თავშიაც არავის მოსვლია, თუმცა კიდევაც რომ მოსვლოდა, შველა ვის შეეძლო, მისი აცდენა რით. და როგორ მოხერხდებოდა?!

ეს მოხდა შუშაში, სადაც მძევლები რამდენიმე დღით დაასვენეს და ქეთევანს იმედი გაეღვიძა, იქნებ ლევანისა შეეიტყოთ რამე, იქნებ ღმერთმა წყალობის თვალით გადმოგ-ხედოს, ბალღი ჯერ კიდევ აქა ჰყავთ და იმ ჩემი ცოდვით სავსე ისპაჰანში ჯერ კიდევ არ წაუყვანიათო.

თუ წინათ, აქ მოსვლამდე, მობადრაგე ყიზილბაშებს ასი თვალი და ასი ყური ჰქონდათ გამობმული, გურჯი დედოფლის მდაბიო მხლებლების მიმართ ახლა მაინც და მაინც დიდ სიფრთხილეს აღარ იჩენდნენ. მათი სამშობლო ქვეყანა კახეთი აქედან ძალიან შორს იყო. გაპარვასა და სადმე მიმალვას, თავიანთი სათნო, ღვთისნიერი დედოფალი კიდევაც რომ მიეტოვებინათ და თავი შეერცხვინათ, არავითარი აზრი არ ჰქონდა. სად და როდემდე უნდა დამალულიყავი! მხლებლებს მეთვალყურის გარეშე ქალაქში გამოსვლის ნება დართეს და ისინიც ამ თავიანთ უფლებას იმისთვის იყენებდნენ, რომ რაიმე გზითა და საშუალებით ომის ხანძარში გახვეული სამშობლო ქვეყნის და განძიდან შაჰის მძევლად წამოყვანილ ბატონიშვილ ლევანის ასავალ-დასავალი შეეტყოთ.

ქეთევანს ღამის გასათევად, სატრაპეზოდ და ლოცვის აღსავლენად სამი ერთმანეთში გამავალი ოთახი გამოუყვეს ხანის ძველ სასახლეში, სადაც კარგა ხანია აღარავინ ცხოვრობდა და მხოლოდ გამვლელი ან თვით შუშაში მობრძანებული საპატიო სტუმრების მისაღებად იყენებდნენ.

დედოფალი აქ შვილიშვილთან, გადიასთან და მოახლე გოგოებთან ერთად მოთავსდა და თვალი ერთთავად კარზე ეპირა, ან ახლა შემოვა ვინმე, ან ახლა და ჩემი დაკარგული ლევანის სასიხარულო ამბავს მომიტანსო.

სამწუხაროდ, მისი ეს მოლოდინი არ გამართლდა. მოხდა სულ სხვა რამ: გზის განგრძობის დღეს, როცა თავისი ცხენების მაგიერ ქეთევანსა და მის მხლებლებს აქლემები მოუყვანეს, თვით ქეთევანისა და ქალებისთვის კი ყევარშებმული ჩარდა-ხიანი ურმები ჩამოაყენეს, დედოფალს დაძმარებული შერმაზან ჩოლოყაშვილი ეახლა, მის წინაშე მუხლი მოიყარა და შეკავებული ქვითინით უთხრა:

— გამაგრდით, თქვენო უდიდებულესობავ, საგულეში ქვის გულის ჩადება გმართებთ!..

ქეთევანი გაშრა, მთელი სხეული აუკანკალდა:

— რა მოხდა, ბატონო შერმაზან? კიდევ გამწირა განგებამ? ლევანისა გაიგეთ რამე?

— არა, დედოფალო!..

— მაშ? აბა, თეიმურაზი?

— მიჯობს, ენა წამერთვას და სამუდამოდ დავმუნჯდე, ვიდრე ამას პირიდან ამოვუშვებდე: ჩვენს საყვარელ ალექსანდრეს... ჩვენს პატარა ბატონიშვილს გვართმევენ... უფრო სწორად, უკვე წაგვართვეს!..

— როგორ თუ გვართმევენ, როგორ თუ წაგვართვეს?! — ქეთევანს თავგზა აებნა, თვალთ დაუბნელდა. — ბალღი გადიასთანაა. ესაა ვასაუზმეთ! გადია! — მან ამ დროს ჭუჭაში გამოსული, გულამოსკვნით მტირალი სალომე დაინახა, რომელსაც გვერდში ალექსანდრე აღარ ახლდა და მუხლი მოეკვეთა. აუცილებლად წაიქცეოდა, ისევ შერმაზანს რომ არ ემარჯვა, რომ არ წამოვარდნილიყო და ხელი არ შეეშველებინა. — ბალღი რა უყავი, ქალო, სად არის ალექსანდრე?

გადია მოვარდა, გააფთრებული ქალის წინაშე, თავის თავს რომ აღარა ჰგავდა, მუხლებზე დაემხო:

— მომკალით!.. ჩამქოლეთ!.. წამართვეს, დედოფალო!.. წამართვეს იმ წყეულებმა, იმ ურჯულოებმა, იმ არაკაცებმა!..

— ვინ, ვინ წაგართვა?

— ყიზილბაშებმა! ვიკივლე. ყელიდან ხმა არ ამომიეიდა. მშველელი არავინ იყო. ხელიდან გამომგლიჯეს და წაიყვანეს. ბალღს შეეშინდა. ტირილი მორთო. ხელებს ჩემკენ იშვერდა, მიშველეო. რატომ იქვე არ მოვკვდი! მივდიე, სად მიგყავთ, თქვე ურჯულოებო, მაგან რაღა დაგიშავათ-მეთქი. ერთი მომიბრუნდა და თავში ხმლის ყუა ჩამარტყა. გული შემიწუხდა და წავიქეცი. თვალი რომ გამოვახილე, აღარც ყიზილბაშები იყვნენ და აღარც ბატონიშვილი. ახლაც ყურებში მიდგას იმის ტირილი. ვაიმე, შვილო ალექსანდრე, რა მწარეა შენთან დაშორება, თუ მართლა დაგვაშორეს, თუ ასეთია ღვთის ნება! მოგიკვდა, დაგიმიწდა შენი გადია, რომ ვერ გიპატრონა, რომ ვერ მოგეშველა და იმ მტარვალებს შენი თავი ვერ გამოგლიჯა!.. ამას რას მოვესწარი! მომკალით, ჩამქოლეთ, ხალხო!..

— გვიშველეთ, შერმაზან, ბატონო შერმაზან, შენი მუხლების ჭირიმე, ყველამ გვიშველეთ, ვისაც რა შეგიძლიათ!..

გამწარებული, სახეშეშლილი, თმაგაწეწილი ქეთევანის საცოდაობა ცასა სწვდებოდა და ვის არ შესძრავდა! თვით შორიახლო მდგომი, აქლემების დასაჩოქებლად შემზადებული ყიზილბაშებიც კი იღუშებოდნენ და ამ უმაგალითო მოთქმაგოდებას თვალს არიდებდნენ. რაიმე შემწეობის აღმოჩენა,

რასაკვირველია, არავის შეეძლო, თვით შერმაზან ჩოლოყაშვილსაც კი, ყოველ გამოუვალ მდგომარეობაში საშველს რომ აუცილებლად გამონახავდა. ახლა ისიც ფარ-ხმალ აყრილი იყო და ეს არც დაუმალავს, დედოფალს პირდაპირ უთხრა, ხანის მოხელეები თვით შაჰის უზენაეს ბრძანებას ასრულებენ, მე ყველა ღონეს უკვე მივმართე, მაგრამ ვაი, რომ ამ საქმეს აღარსაიდან შემოეევლებაო.

ქეთევანი მუხლებზე დაეცა, ორივე ხელი ცად აღაპყრო და დასწყევლა შაჰ-აბასი, ხატს გადასცა, დასწყევლა მთელი გულითა და არსებით. ეს იყო საშინელი და სასტიკი წყევლა გამწარებული დედისა, რომელიც კი ოდესმე ღვთისადმი ლოცვა-ვედრებას ჩვეული პირიდან ამოსულა!

— წამიყვანეთ, უკანასკნელად მაინც მაჩვენეთ ჩემი პატარა, თვალი შორიდან მაინც დამაკვრევინეთ. შეეხვეწეთ იმ ურჯულოებს ჩემს მაგივრად, თუ ეგენიც დედის ნაშობნი არიან, მუხლებში ჩაუვარდით!..

— იმედს ნუ დავკარგავთ, დედოფალო, რომ ორივე ბატონიშვილს, საღსა და უვნებელს, შაჰის კარზე ვიხილავთ ისპაჰანში, მანამდე კი ღმერთს ვევედროთ, რომ ორივე კარგად გვიმყოფოს და ვარამს გავუძლოთ! ნება დაგვრთეს, ბალღს მომვლელად გადია და ერთი მოახლე გოგო გავაყოლოთ!..

ამის გაგონებამ ქეთევანი გამოაცოცხლა, თვალებში იმედის შუქი ჩაუდგა. მასზე არანაკლებ მწუხარე გადია მოიხმო, მოეხვია და თვალცრემლიანმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად უკანასკნელი ხვეწნა-ვედრებით მიმართა. ველარ გაიგებდი, რომელი დედოფალი იყო და რომელი უბრალო დედაკაცი, გლეხის უბირი ქალი, შინ მშობლის უგზოუკვლოდ გადაკარგვით გულმოკლული, დედის ალერსს მოკლებული ერთიმეორეზე უმცროსი ბალღები რომ უტიროდა. დედობას მათ შორის ყოველგვარი ზღვარი წაეშალა, წოდებრივი უმცროს-უფროსობის გადაულახავი ჯებირი დაენგრია. ქეთევანი ისე ევედრებოდა თავისი შვილიშვილის გამდელ გადიას, თითქოს უნდოდა მისი გული მოელბო, ბედის უკუღმართობით დაობლებული უმწეო ბავშვისადმი სიბრალული ჩაენერგა. გადიას ეს, რასაკვირველია, არ სჯერდებოდა. იცოდა თვით ქეთევანმაც, რომ ბედისაგან დაჩაგრულ ალექსანდრეზე სულითა და გულით გადაგებული იყო, მისთვის სიცოცხლეც არ ენანებოდა, მაგრამ მაინც ეხვეწებოდა, სთხოვდა, ეაჯებოდა...

სულ უკანასკნელ წამს ღონემ უმტყუნა და გრძნობამიხ-
დილი მოახლე გოგოების ხელებს მიესვენა. არიქა წყალი,
სასუნებელი წვეთები, ნიშადურის სპირტიო, აწრიალდნენ
ესენი და გზა მისცეს მამა გიორგის, რომელიც დედოფალს
მიეახლა, შავი ანაფორა ამოიკალთავა, ჩაიმუხლა და მის
უსიცოცხლოდ დაკიდებულ ხელს ფრთხილად დასწვდა. გონ-
წასულს ღაწვები და ტუჩები დაუსველეს, ნიშადურის სპირტი
აყნოსეს, კრიჭა ძლივს გაუხსნეს და რამდენიმე კოვზი წყალი
პირში ჩაუსხეს.

ყევარშებმული, დიდრონ თვლებზე შეყენებული ჩარდა-
ხიანი ურემი რომ დაიძრა, რომელშიაც ტირილით თვალებდა-
სიებული ქალები მოთავსდნენ, ქეთევანი ჯერ კიდევ არ იყო
მთლად გონზე მოსული, მაგრამ მობადრაგე ყიზილბაშები
თავიანთ ადაიმიანურ უფლებააყრილ ტყვეებს აჩქარებდნენ,
ვგვიანდებით, რა დროს ეგეებია, ამა და ამ დროს გორისში
უნდა ვიყოთო. ქეთევანმა თვალი მხოლოდ მაშინ გამოახილა
და მისუსტებული ხმით იკითხა, სადა ვარო, როდესაც სხვა
ურმების კვალდაკვალ მისმა ურემმა ქალაქის აღმოსავლეთის
კარი გაიარა და თავდაღმა დაეშვა.

თავი LIV

ყირიმელი ვაჭრებისა და მექარავნეების მიერ მოტანილი
ამბისა არ იყოს, ქართლი თავიდანვე სულგანაბული ადევნებდა
თვალს, რაც გრემსა და განძას შორის ხდებოდა. შაჰს აქ ხმა
დაეყარა, კავკასიაში ოსმალებზე გასალაშქრებლად მოვედიო,
რათა წინასწარ დაყრილი ხმებით ქართველი მეფეების ყუ-
რადღება მოედუნებინა, მანამდე კი ელჩი გაეგზავნა სულთნის
კარზე, ხმებს ყურს ნუ დაუგდებთ, მე ის აქაური საქმეების
მოსაკვარახჭინებლად მჭირდება, ჩვენს შორის დადებული
ზავის დარღვევა მაღალმა ალაჰმაც ნუ მაფიქრებინოსო. მას
ჯერ ქართლისათვის ვერ მოეცალა, ჯერ კახეთის საქმეს
არიგებდა, მაგრამ დღეს იქნებოდა თუ ხვალ, როგორც კი
კახეთში თავისთვის სასურველ წესრიგს დაამყარებდა, ქართ-
ლსაც აუცილებლად შემოესეოდა და უკეთუ წინააღმდეგობის
გაწევას გაუბედავდნენ, ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდა.

ქართლის მესვეურნი ამ ფიქრსა და ყოყმანში იყვნენ,
როდესაც ტფილისის ისნის სასახლეში, ოდესღაც სრულიად

საქართველოს ძლევამოსილმა მეფეებმა რომ აღაშენეს, კახბატონ თეიმურაზის ელჩები სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე, თავადი დავით ჯანდიერი, ნეკრესელი ეპისკოპოსი ნაომი და თიანეთის მოურავი ელიზბარ ჩოლოყაშვილი მოვიდნენ.

კახბატონი საყვარელ ცოლისძმას მათ შორის დადებულ თანადგომის პირობას ახსენებდა და კარზე მომდგარი მძვინვარე შაჰის დასახვედრად ჯარით შემწეობას სთხოვდა.

დაფიქრდნენ სასახლეში შეყრილი ქართლელი დიდებულები: მეფის მამამძუძე სუფრაჯი შადიმან ბარათაშვილი, ფარსადან ციციშვილი, ქსნის ერისთავი იესე, ამილახვარი, ზევდგინიძე, მაჩაბელი, ჯავახიშვილი, ფალავანდიშვილი. სანახევროდ განმდგარ არაგვის ერისთავ ნუგზარს სათათბიროდ აღარ იწვევდნენ. მას შემდეგ, რაც ნუგზარის სიძე მოურავი გიორგი სააკაძე სპარსეთს გადაიხვეწა და შაჰის მარჯვენა ხელი გახდა, საარაგვოს ბატონს, ოდესღაც ტახტის საიმედო ბოძს, აღარაფერში ენდობოდნენ და საქმეებს მის დაუკითხავად წყვეტდნენ.

კახელების მხარეზე აშკარად გამოსვლა, რა თქმა უნდა, საბაბს მისცემდა ყაენს, ქართლიც თავის მოსისხლე მტრად დაეგულვებინა და მასაც ისე მოჰქცეოდა, როგორც კახეთს. თეიმურაზის მხარდამხარ იარაღით გამოსვლა მხოლოდ მაშინ იქნებოდა გონივრული და მიზანშეწონილი, თუ პირველ გადამწყვეტ ნაბიჯს თვით შაჰი გადმოსდგამდა და ქართლს ასაკლებად შემოესეოდა. ვისაც რა უნდა ეთქვა და დაეწამა, ქართლი მანამდე განზე უნდა მდგარიყო და თვალი ფხიზლად ედევნებინა, როგორ წაუვიდოდა საქმე კახეთს...

— რა გაეწყობა, — აღმოხდა თეიმურაზს, როდესაც ქართლს ცოლისძმასთან გაგზავნილმა თავისმა ელჩებმა გულის მომწყვლელი ამბავი მოუტანეს და გვერდით მჯდომ დედოფალ ხორეშანს აღარ მოერიდა, ქართლის მეფის აუგი ხმამაღლა, მთელი დარბაზის ერის გასაგონად გამოთქვა. — საბრალო ჩემი ცოლისძმა ლუარსაბი ბადეში ჰყავთ გაბმული სულთამხუთავებს და იქით უბიძგებენ, საითაც ჭკუა და გონება გაუკრიან! მარტონი დავრჩით. გულიც ამას მითქვამდა. ომი გარდაუვალია! თუ დაღუპვა გვიწერია, თუ ასეთია ღვთის ნება, ყველა ერთად უნდა დავიღუპოთ და ურჯულო და უპირულ შაჰს ჩვენი პატიოსანი სისხლი ძვირად დაეუსვათ!

ლაშქრის წვევის წიგნები უკვე დაგზავნილი იყო. სამივე სადროშო სამ ადგილას იყრიდა თავს. გაღმა მხარში, სადაც

ომში გამოცდილი დროული კაცები ყიზილბაშების შემოსელას მოელოდნენ, გამწვდომი კედლის მშენებლობა დასასრულს უახლოვდებოდა. ალაზანი ადიდებული იყო, უზარმაზარ მღვრიე ტალღებს მოაგორებდა და ნაპირებს შლამავდა. საქმე ისე უნდა მოეწყოთ, რომ მტერს მდინარის მარჯვენა ნაპირზე გადასელა ვერ მოესწრო და მთისპირების იწროებში ძალები დაექსაქსა.

სასწრაფოდ მართავდნენ სახუნდარებსა და სილნაყებს. სადაც უხერხდებოდა, წინა მხრიდან ღრმა თხრილებს თხრიდნენ და ამ თხრილებს წყლით ავსებდნენ. სოფლები თანდათან იცლებოდა და უკაცურდებოდა. სახიზრებისაკენ მიერეკებოდნენ შინაურ ნახირს, ცხვრის ფარებს, პირუტყვის ჯოგებს. გზებზე ამათი საწყალობელი ბღავილი, ზმუილი, პეტელი, მეურმეების შოლტების ტლაშუნი და გადაძახილ-გადმოძახილი ისმოდა. მიდიოდნენ შვილიან-ძირიანა ორიოდე კვირის სამყოფი სარჩო-საბადებლითა და დასაგებ-დასახურავით, სოფლები მიხრწნილი ბერიკაცების, დედაბრების, ეზო-ყურის ერთგული დარაჯი ძაღლების და კატების ანაბარა რჩებოდა. მიდიოდნენ ტირილითა და მოთქმა-გოდებით, გულზე ძუძუთა ბალღებმიკრულნი, ეთხოვებოდნენ თავიანთ ნაწვაე-ნადაგს, ხეხილს, ვენახს, სოფლის წყაროს, კალოებს, სათიბ-საძოვრებს, ყველაფერს, რითაც სოფელს სოფელი ერქვა და რითაც მარჩენალ მიწას ჩაბღაუჭებულ აქაურ კაცს თავი გაჰქონდა.

კახეთის მიწა-წყალზე შემოკრის წინ შაჰმა თავისი ჯარი ორ მთავარ ნაწილად გაჰყო. ერთს თავრიზის მმართველი ფირბულაყ-ხანი უსარდლა, რომელსაც მოადგილეობასა და მეგზურობას ტფილისის ყოფილი ციხისთავი, ამქამად კი ყარაბახის ამირა დილმუჰამედ-ხანი გაუწევდა, ხოლო მეორეს სათავეში შირვანის ბეგლარბეგი იუსუფ-ხანი ჩაუყენა და უბრძანა, კახეთის საზღვარი ჭარ-ბელაქნის სასულთნოს მხრიდან გადაელახა. იმავე დროს ქართლის მხრიდან გარე კახეთს, ოდინდელ კუხეთს, შემოესეოდა თავრიზის მმათრველიც!

ხუთშაბათს, შიიტთა დღესასწაულ ნავრუზის დღეს, სპარსელთა უზარმაზარი არმია, რომელსაც წინ ღულამთა კორპუსი მოუძღოდა, კახეთს აღმოსავლეთიდან მოადგა და ყვირილითა და ღრიანცელით, რასაც ზარბაზნების ქუხილი, ზურნის გაბმული ჭყეიტინი, დაირის გრგვინვა-გრიალი და

გადარეული ცხენების ჭიხვინი ერთვოდა, საზღვარი გადმოლახა.

არამცთუ უბრალო მოლაშქრეთაგან, თვით სარდალთაგანაც არავის ეგონა, თუ სპარსელები ასეთ დამთრგუნავ ძალას ფლობდნენ. ჯაკვ-მუზარადში ჩამჯდარი ღულამები და ყიზილბაშები, ისარი რომ არ ეკარებოდათ, შუბმოღერებული წინ მოექანებოდნენ და თავიანთ სისხლიან გზაზე ათობითა და ასობით მკერდგანგმირულ კახ მოლაშქრეს სტოვებდნენ. დამხვდურთაგან ცოტამ როდი იბრუნა პირი, სახუნდარი თავგზადაკარგულმა მიატოვა და მტრის მოახლოებამდეევე უგზოუკელოდ გაიქცა. მეფე თეიმურაზის ბანაკი და მთავარი ძალა, ალაზნის პირას, სოფელ ჟალეთთან, ერთ შემაღლებულ, ტყიან ადგილას რომ იდგა, ლტოლვილი მხედრებითა და ქვეითებით აივსო.

— უკან, თქვე შეჩვენებულებო, დაგავიწყდათ, მტერი სად არის? — შემაზრზენი ხმით დაიღრიალა თეიმურაზმა, განრისხებული უზანგებზე წამოიმართა და მძიმე ხმალი ქარქაშიდან ამოზიდა. — მომყეთ, ვინც ვაქკაცია და ღვთისა და სამშობლოსათვის სიკვდილი თამაშად უღირს!..

ახალგაზრდა მეფის გულიდან ამოგლეჯილმა შეძახილმა მტრის სიმრავლით შემდრკალ მცირერიცხოვან ლაშქარზე სასწაულის ძალით იმოქმედა, თვით იმათზეც კი, ვინც აქ ბრძოლის ველიდან გულგახეთქილი მოვარდა და პირადი სულმოკლეობით თავისიანებში ცხოველური შიში და ძრწოლა დათესა. ესენიც როგორღაც აღივსნენ მხნეობით და იქით გაეშურნენ, საიდანაც რამდენიმე წუთის წინ სიკვდილის დაუძლეველი შიში მოერეკებოდათ.

თეიმურაზს გაუმართლა. ის მამაცთა ერთი პატარა გუნდით შეიჭრა იოლი გამარჯვებით გალაღებული მტრის შუაგულში და ფიცხელი ომის ცეცხლი დაანთო. მეფის საკვირველმა სიმტკიცემ და შეუდრეკლობამ, რითაც მტერიც და მოყვარეც ერთნაირად დაჯაბნა, კახნი გაასალკლდევა. მათაც ხელი გამოიღეს და თავიანთ მბრძანებელს მხარი მისცეს. თეიმურაზსა და მის თანამოაბჯრეთ თითქოს აღარც ხმალი აკრთობდა, აღარც იატაგანი, აღარც ისარი, აღარც შუბი და აღარც ტყვია, არკებუზებიდან სეტყვასავით რომ უშენდნენ. თითქოს უჩინარნი და უხორცონი მტრის საგრძნობლად შეთხელებულ რიგებში სიკვდილს თესდნენ, თავად კი რაღაც თილისმით თუ სასწაულით უვნებელი და საღსალამათი

რჩებოდნენ. უმხედრო ცხენები წაღმა-უკუღმა დაჭენობდნენ ჭალაში და ფაფარაშლილნი, ლაგამ-მოსართავშემოგლეჯილნი ჭიხვინით აქეთ-იქით აწყდებოდნენ.

მზე გადახრილი იყო, მალემსრბოლები რომ მოიჭრნენ და პირველსავე შეტაკებაში გამარჯვებულ, უკანდახეული მტრის დევნაში გართულ მეფეს საგანგაშო ცნობები მოუტანეს: სპარსელების მარჯვენა ფრთას, კავკასიონის მთისძირებს რომ ებჯინებოდა და გზადაგზა სახიზრებს არბევდა, საგრძნობლად წინ წამოეწია და მეფის მთავარ ძალებს ალყაში მოქცევით ემუქრებოდა. ამავე დროს ის მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნიდა სატახტო ქალაქ გრემს, რომლის მცირე მეციხოვნე ჯარს, სათავეში სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე რომ ედგა, ერთობ გაუჭირდებოდა ნიაღვარივით მოვარდნილი მტრის ლაშქრის გამკლავება.

დევნის განგრძობა და მტრის წყობაში უფრო ღრმად შეჭრა თეიმურაზის მხრივ მოწინააღმდეგის ანკესზე წამოგებისა და უგუნურობის ტოლფასი იქნებოდა. იგი დავით ჯანდიერისა და ქიზიყის მოურავ ბაქარ ანდრონიკაშვილის რჩევას დაჰყვა და ხალხის გადარჩენისა და გრემის დამცველთა მიშველების მიზნით სასწრაფოდ უკანდახევა ბრძანა.

გზადაგზა, დღისით თუ ღამით, ერთიმეორეზე გადაბმულ სოფლებში, რომელზედაც მეფის უკანდახეულ ლაშქარს უნდა გაევლო და სადაც ურჯულო მტერი ჯერ კიდევ არ შემოსულიყო, ღვთის ანაბარა დარჩენილი, წელში მოდრეკილი ხელჯოხიანი დედაბრები და ას წელს გადაცილებული ბერიკაცები გამოფენილიყვნენ და თეიმურაზს ხელებაპყრობილი ევედრებოდნენ:

— ნუ წახვალ, მეფეო, შენი მუხლების ჭირიმე, უპატრონოდ ნუ მიგვატოვებ, აგრემც შეგეწევა ალაევერდის წმინდა გიორგი! შენთვის დავიხოცებით, ოღონდ გვიბრძანე და მაგ უძლეველი ხმლით წინ გაგვიძეხი!..

შუაღამე უკვე მოტანებული იყო, შორს, ცამდე აზიდული კავკასიონის ძირას, კვამლის ვეებერთელა სვეტი და ხანძრის ენები რომ შენიშნეს.

— ეს რა არის, რა ხდება იქ? — თეიმურაზმა ცხენი შეაყენა და თუმცა თავადაც კარგად ხვდებოდა, რაც იყო, ეს მაინც იკითხა.

— გრემი იწვის, მეფეო, — ყრუ ხმით უპასუხა დავით ჯანდიერმა და ფოლადის თავსარქმელი მოიხსნა.

სხვადასხვა ალაგას აეარდნილი ხანძრების ენა და ერთიმეორეში ჩახვეული კვამლის ბოლქვები ცას სწვდებოდა, იქ იშლებოდა და, თითქოს აქაურობა ვერ დაუთმიაო, მერე მთელს ალაზნის ველზე კიდით კიდემდე წვებოდა.

ხალხი დაამუნჯა ამ გულშემზარავმა სანახაობამ. იდგნენ ჯგუფ-ჯგუფად, ცხენებს თავს ძლივს უკავებდნენ, თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდნენ და პირჯვარს იწერდნენ.

იწვოდა რამდენიმე თაობის მიერ რუდუნებით ნაგები სატახტო ქალაქი, კახეთის მეფეთა სიამაყე და სრულიად საქართველოს ბეჭდისთვალი. ულმობელი ცეცხლი ნთქავდა ქარაფზე გადმომდგარ მეფის სასახლეს და კარის ეკლესიას, ფერდობებზე შეფენილ საბატონიშვილო სასახლეებს, ქარვასლას, საკრებულო ტაძარს, ვაჭარ ამიროვის სასახლეს, გრიგორიან სომეხთა საყდარს, უცხოელი პატრების მიერ აგებულ კათოლიკურ ეკლესიას, იუდეველთა სალოცავს, სხვა ეკლესიებსა და სალოცავებს, აბანოს უბანს... ხარბად, გაავებით იწვოდა ყველაფერი, რასაც კი ცეცხლი ეკიდებოდა.

თეიმურაზმა ცხელი კურცხალი მოიწურა, სადავე მიუშვა და ცხენი დასძრა. სად იყო ხორეშანი? სად იყო თვით სახლთუხუცესი ნოდარ ჯორჯაძე, რომელსაც სისხლის უკანასკნელ წვეთამდე უნდა დაეცვა სასახლე და მის მოსვლამდე იქედან ფეხი არ უნდა მოეცვალა? ნუთუ მუხანათმა შაჰმა გზა ოთხივე კუთხივ გადაუკეტა, ყველა უწყალოდ ამოხოცა ან ტყვედ ჩაიგდო, რათა ყელზე საბელშებმული სპარსეთში გაეგზავნა?

— სად მიბრძანდები, მეფევ? — შესძახა დავით ჯანდიერმა და ფიქრს აყოლილი თეიმურაზი ამ შეძახილმა გამოარკვია.

— ქალაქში უნდა შევიდე!

— მაგას რას ბრძანებ, დიდებულო მეფევ, ნუთუ არ იცი, რომ ახლა იქ ყიზილბაშებია?!

— ვიცი!..

— ახლავე უნდა გავეცალოთ აქაურობას, ვიდრემდი წინ არ გადაგვდგომიან და ჩვენთვისაც გზა არ მოუკრიათ!

— წადით ყველა, გაიხიზნეთ, მე მარტო დამტოვეთ!

— შენ არ მოგვიკვდე, მეფევ, უმჯობესია, ყველა აქ, შენს წინ დავიხოცოთ, ვიდრე მარტო დაგტოვოთ!

— მე გზა აღარსაით მაქვს. მივალ და მეც სხვებთან ერთად დავიწვები! — გულაკანკალებულ მეფეს მოერიდა, აღარა თქვა, ხორეშანთან ერთადო.

— შენს ავის მდომელსა და დამაწყევარს აღეკვეთოს გზაც და კვალიც, მეფეო! არ მომხდარიყო, რაც მოხდა, შენი კარგა ყოფნით, მაგას რაღა აჯობებდა, მაგრამ რაკი-ღა გაგვწირა ზენაარმა და მოხდა, წუხილითა და სიმძიმილით აწ ვეღარას მოვეწევით. ეს ხომ პირველი არ არის! მტერი გვინგრევდა და ჩვენ ვაშენებდით, ისევ გვინგრევდა და ისევ ვაშენებდით! გრემსაც ხელახლა ავაშენებთ! ახლა მთავარია, ერი გავარიდოთ, მტერს ხელში არ ჩავუვარდეთ. დანარჩენს, ღვთის მადლმა, ყველაფერს მოევლება. ერწო-თიანეთის გზით მუხრანში გადავალთ. თიანეთში ელიზბარ ჩოლოყაშვილი გველოდება!..

— მუხრანში რა დამრჩენია?!

— ლუარსაბს ვნახავთ, ჩვენსას ვეტყვით, მისასაც მოვისმენთ, ძალას მოვიკრებთ, გავღონიერდებით და მოვბრუნდებით!

— თქვენგან არ მიკვირს, თავადო? ვერ ვენდობი ლუარსაბს. მოღალატეა! ახლა გაიგეთ, აქამდე არა გსმენიათ? იმასა და იმის თავადებს მზაკვრობა უდევთ გულში. ამ მარჯვენამ იცოცხლოს ისე! თუ მომიხელეს, შეიძლება შემიპყრონ კიდეც და ერთგულების დასამტკიცებლად მტერს მიმცენ!

— მაგას რას ბრძანებ, მეფეო, ნუკი მიწყენ ამ შემოკამათებას. ლუარსაბი და მოღალატე? არა! ღმერთს ნუ შეეცოდავთ! თავისი ქვეყნის წახდენის ეშინია და ჯარი ამიტომ ვერ მოგაშველა. ეგონა, შაჰის რისხვას აიცდენდა. ახლა ღვთის განგებით ისიც ჩვენს დღეშია. ამას თავადებიც ხედავენ და სურთ თუ არა სურთ, გვერდში უნდა ამოგვიდგნენ!

დავით ჯანდიერის ამ გონივრულ სიტყვებს ბაქარ ანდრონიკაშვილი, ბოდბელი და ნეკრესელი ეპისკოპოსებიც დაეთანხმნენ და მეფე შეგონებით მოტეხეს, დაიყოლიეს. ფიქრისა და განსჯის უნარი თუმცა უკვე საგრძნობლად დაჰქვეითებოდა, თეიმურაზი მიხვდა, რომ მეტისმეტი მოუვიდა, გადააჭარბა, მოყვარე დაუმსახურებლად გალანძღა, გულში კვლავ იმედის სუსტი სხივი გაუკრთა და მცირეოდენი ჯარითურთ, გზადაგზა კიდევ უფრო რომ დამცრობილიყო და კვლავაც მდუღარეში ჩავარდნილი ყინულის ნატეხივით ილეოდა, დაძვრის ბრძანება გასცა.

უკან რჩებოდა ყოვლის შთანმთქმელ ხანძარში გახვეული გრემი, უზრუნველად გატარებული ბალღობისა და სიყრმის თანაზიარი ქალაქი, მისი მეფობისა და ძლიერების მკვიდრი დასაყრდენი, კერა, სადაც შვილები, ლეანი და ალექსანდრე,

შეეძინა, სადაც ყველაფერი ღვთისმშობლის ხატზე მლოცველ დედას აგონებდა, სადაც საბრალო ანამ უმანკო სული ღმერთს უდროოდ მიაბარა და ამ ტანჯვითა და ვაებით სავსე ქვეყანას უსაყვედუროდ გაშორდა, უკან რჩებოდა უკვე სანახევროდ ნაცრად ქცეული და იავარქმნილი. უკან რჩებოდა ასევე ხანძარში გახვეული მომდევნო დაბა-სოფლები, ჯერ კიდევ გუშინ ღვთისმოსავი ხალხის სიმრავლითა, უხვი ჭირნახულითა, იალაღებიდან ჩამორეკილი პირუტყვის ჯოგებითა, სავსე ჭურ-მარნითა და ომახიანი ლხინით რომ ახარებდნენ მოყვასის თვალსა და გულს.

აქეთ გამოჭრილი მტერი, ეტყობოდა, მთისძირებს მოს-დევდა და თავის გზაზე ყოველივე ხელქმნილს, მაშვრალი კაცის კურთხეული შრომის ნაყოფს, უწყალოდ ანადგურებდა, სპობდა, მიწასთან ასწორებდა, აწიოკებულ ერს კი ქედზე რკინის უღელს ადგამდა და სადღაც მოუსავლეთისაკენ მიერეკებოდა.

თეიმურაზს ვერ გაეგო და ვერასგზით აეხსნა შაჰ-აბასის ამგვარი გააფთრების მიზეზთა მიზეზი, გადაწვისა და ნგრევის ასეთი ენინ, სისხლის წყურვილი. მას ვერ წარმოედგინა თვით ეს გააფთრება და ზღვარდაუდებელი სიძულვილი, რითაც შაჰი და მისი ურიცხვი ლაშქარი აქცევდა და ატიალებდა ნაყოფიერ მშვიდობიან ქვეყანას, სადაც ასევე მშვიდობიანი, ალალმარ-თალი, გამრჯე, სტუმართმოყვარე და ხელგაშლილი ხალხი ცხოვრობდა და მშვენიერი კუთხის ღვთისაგან ბოძებულ სიტურფესა და სილამაზეს კიდევ უფრო ალამაზებდა. რამ, რამ გააცოფა და გააშმაგა შაჰ-აბასი, სიცოცხლის დასალიერს მიმდგარი კაცი, მონა იმავე სიკვდილისა, ძლიერი და სუსტი, ბატონი და ყმა, თვით უდიდესი ხელმწიფენიც კი ერთნაირად რომ ემონებიან, რამ ააკსო ბოლმით და შეურიგებელი სიძულვილით იმისადმი, ვისაც გუშინ მამაშვილური სიყვარუ-ლის ბანგით თაფლავდა და ვითომდა მოყვრულ თანადგომას უწევდა?!

ამ მტანჯველ კითხვებზე თეიმურაზს პასუხი ვერ ეპოვნა და ეს კიდევ მეტ საგონებელში აგდებდა, ვინაიდან მის თვალში ცხოვრების არსი აზრს კარგავდა და იგი უკიდეგანო უფსკ-რულად ესახებოდა.

ნადიკვარში თავზე დაათენდათ. აქ მტერი ჯერ კიდევ არ იყო მოსული. ჩანდა, ადიდებულ ალაზანს ქვემოწელში გადმოსალახავად ვერ შეპბედეს, ხიდები კი წინასწარ იყო

დაშლილი და მტრის მარცხენა ფრთაც, რომელშიაც თვით შაჰ-აბასის ყოფნას ვარაუდობდნენ, ისევე როგორც მარჯვენა, მდინარის მარცხენა ნაპირს მოსდევდა. უკანასკნელი ხიდი თეიმურაზმა თელავის ბოლოში გადმოსვლისას დააშლევინა და მარჯვენა ნაპირზე გადმოსვლის საშუალება სპარსელთა ჯარის ორივე ფრთას აქაც მოუსპო.

მტრის მტრულად დასახვედრად მომზადებულმა შუამთელმა ბერებმა, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, მეფეს ახალი საგანგაშო ცნობა დაახვედრეს.

ვიდრე მეფე და მისი სარდლები ალაზნის მარცხენა ნაპირზე ცეცხლითა და მახვილით შემოკრილ მტრის ურდოს იგერიებდნენ, ციკ-გომბორის მთების მიღმა, გარე კახეთის ვაკეებზე ყიზილბაშთა კიდევ ერთი დიდი ლაშქარი თარეშობდა. სპარსთ უკვე აეკლოთ გარეჯის უდაბნო, გაეძარცვათ, წაებილწათ და დაეწვათ იქაური მღვიმეები და ეკლესია-მონასტრები, ხოლო ბერები, ვინც ღვთის შეწევნით მტრის მახვილს გადაურჩა და საკუთარ ორ ფეხზე კიდევ იდგა, ტყვედ გამოერეკათ. სხვები მარტყოფსა და ლილოს დასცემოდნენ, მოექუჩებინათ ტყვედქმნილი მოსახლეობა, ვისაც სახიზრებში გასვლა ვერ მოესწრო, უჯარმის ციხის წინააღმდეგობა ზარბაზნების ცეცხლის მეოხებით გაეტეხათ, ხელთ ეგდოთ ბოკორმაც და შიგა კახეთში გადმოსასვლელად ივრის ხეობას აღმა მოჰყვებოდნენ.

ეს თავზარდამცემი ამბავი მხარში ისრით დაკოდილ გარეჯელ ბერს ამოეტანა, რომელიც ყიზილბაშთა მრავალრიცხოვან ბადრაგს ლოკინის ხევში დასხლტომოდა და მშიერ-მწყურვალსა და შიშველ-ტიტველს პირი ციკ-გომბორის ტყეებისაკენ ექნა, ვინძლო მტრის თავდასხმის ამბავი გრემში ბატონ მეფეს ვამცნო და აკლება-აოხრებისაგან დანარჩენი ქვეყანა მაინც გადავარჩინოო.

„ეს თავრიზის ბეგლარბეგი ფირბუდაყ-ხანი და ყარაბახის ამირა, ჩემი ძველი ნაცნობი დილმუქამედ-ხანი არიან, — გაიფიქრა თეიმურაზმა, სწორედ სასწაულით უვნებლად გადარჩენილ გარეჯელ ბერს რომ მოუსმინა. — მოდიან, რათა აქ შეერთდნენ და მე, როგორც ტყის ნადირი, ცეცხლის რკალში მომაქციონ! ნუთუ არსებობს კიდევ სადმე ძალა, რომ ამ ღვთისმგმობელ კაციჭამიებს წინ აღუდგეს?! ნუთუ მაღალმა ღმერთმა მე და ჩემი ერი გაგვწირა და ჩვენს ურჯულო მტერს მიჰკერძა?! დაილოცა, ღმერთო, შენი სამართალი!“

— მაინც როგორ ატყობ, მამაო, როდისთვის უნდა ველოდოთ გადაღმელი ყიზილბაშების აქ მოსვლას?

— მეგონა, ამომასწრებდნენ და აქ დამხვდებოდნენ, მეფეო. მე ტყე-ტყე, უგზოდ ვიარე, ისინი კი გზას ადგანან!

— შენი ვარაუდით ბევრი არიან?

— ბევრი, მეფეო! ათასი, ორი ათასი, სათვალავი არა აქვთ! საითაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ეგენია! კალიასავით მოედვნენ ქვეყანას!.. წისქვილის დოლაბი ბრუნავს ჩვენს თავზე. მძიმე ცოდვა მიგვიძღვის ღვთის წინაშე და იმისთვის ვისჯებით!

— მაშ, შენის ფიქრით, საბოლოოდ გადაწყვეტილია ყველაფერი?

— ვილოცოთ, დიდებულო მეფეო, თვალცრემლიანი შევევედროთ მამაზეციერს, შეგვინდოს შეცოდებანი ჩვენნი. ღმერთი მოწყალეა. დაინახავს და შეისმენს ჩვენს წრფელ მონანიებას და მოგვივლენს ხსნას. ღვთისმშობელი კალთას გადაგვაფარებს, არ მიატოვებს თავის წილხვედრ ქვეყანას!..

თავი LV

კახეთიდან ჰაიჰარად აყრილი, ფეხშიშველი და ჩაუცმელ-დაუხურავი მისიონერი ბერები, რომელთა სახლ-კარი, ეკლესია და ქონება, უპირატესად ლათინურ ენაზე დაბეჭდილი საღვთო წიგნებისა, ხელნაწერებისა, ჩანახატებისა, ლექსიკონებისა, სააქიმო ხელსაწყოებისა და მცენარეულობისაგან შემზადებული შინაური წამლებისაგან რომ შესდგებოდა და გრემში სხვა სახლებთან, სალოცავებთან და ქონებასთან ერთად დაიწვა, შაჰ-აბასის ტყვე დედოფალ ქეთევანს ჩრდილოეთ ირანის ქალაქ აშრაფში დაეწივნენ.

გზაში პატრებს დიდი გაჭირვება გამოეცლოთ და აქამდე მოღწევას ორთვენახევარზე მეტს მონდომებოდნენ. შარაგზის ყაჩაღებს რამდენჯერმე გაეძარცვათ. თეთრსა და რაიმე ღირებულ ნივთს ვინ-ღა ჩივის, ფახსაცმელი და საცვლებიც კი წაერთმიათ და მათ სანაცვლოდ აშმორებული ფლასები მიეცათ. ეგეც არ ეკმარებინათ. კვირეობით ღრმა ხაროებში ჰყოლოდათ ჩამწყვდეული. სარფიან ფასში გაყიდვას უპირებდნენ. გაძვალტყავებული, არაქათგამოცლილი ბერიკაცების ყიდვის მსურველი არავინ აღმოჩენილიყო და ისინიც იძულე-

ბული გამხდარიყვნენ, უცხოელი მაწანწალები, თავს ღვთის მსახურებს რომ უწოდებდნენ, ტრიალ ქვეყანაზე ალალბედად გამოეშვათ.

ბერები ჯერ კიდევ საქართველოში იყვნენ, როდესაც ქართლში გადასული კახბატონი თეიმურაზი გვირგვინოსანმა ცოლისძმამ დედოფალ ხორეშანითურთ სიყვარულით მიიღო და მუხრანში გამართულ თავის ბანაკში ისტუმრა. შაჰ-აბასი კვალდაკვალ მოსდევდა საბატონო ქვეყნიდან ლტოლვილ თეიმურაზს. გზადაგზა ქვეყანას აოხრებდა, ბალ-ვენახებს ძირიანად ჩეხდა და ვინც კი ხელში ჩაუვარდებოდა, ქალი, კაცი თუ უწლოვანი ბალღი, ტყვედ მიჰყავდა. გადაწყვეტილი ჰქონდა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, ურჩი მეფე ცოცხლივ შეეპყრო და ხელ-ფეხზე ბორკილებგაყრილი, თავის მზეთუნახავ ხორეშანთან ერთად, ყაენს ცოლისდად რომ ერგებოდა, დედოფალ ქეთევანის კვალდაკვალ ისპაჰანში გაეგზავნა. იქ დამშვიდებულ გუნებაზე გადაწყვეტდა, რა სასჯელი შეერჩია, მაჰმადის რჯულის მიღების პირობით მისთვის კახეთის ტახტი შეენარჩუნებინა, თუ უარის შემთხვევაში, რაც ადვილად მოსალოდნელი იყო, ყოველგვარი ღირსება აეყარა და სამუდამოდ გულაბის ციხეში ჩაემწყვდია.

ერთად თავმოყრილმა ქართლ-კახელმა დიდებულებმა მეფეებს არ ურჩიეს გამძვინვარებულ შაჰ-აბასთან შებმა. ძალთა თანაფარდობა ერთობ წამგებიანი იყო. სპარსთა ლაშქარი ერთიორად ჭარბობდა ქართლ-კახელთა ლაშქარს და თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ სათავეში მათ თვით შაჰ-აბასი უდგათ, ადვილად სავარაუდებელი იყო, რომ ეს ომი ქართველ მეფეთა დამარცხებით დამთავრდებოდა. ამიტომაც წრფელი გულით და საღი გონებით ურჩიეს ორივეს, გასცლოდნენ, ეახლებინათ, ვის თან წაყვანასაც საჭიროდ ჩასთვლიდნენ და თავი გიორგი იმერთა მეფის კარზე შეეფარებინათ.

მეფეებმა ყურად იღეს თავიანთი დიდებულების ეს გონივრული რჩევა, ხუთას-ხუთასი კაცი გაიყოლეს, წინასწარ იმერთა სამეფო კარს აცნობეს თავიანთი გადაწყვეტილება და როგორც კი იქიდან თანხმობა მოუვიდათ, სურამის ქედით იმერეთს გადავიდნენ. რაც შეეხება ქართლელ დიდებულებს, სუფრაჯ შადიმან ბარათაშვილის თაოკაცობით, როგორც მეფეების თანდასწრებით მუხრანშივე დაითქვა, მათ ქართლის ქედი გადავლეს, ომში გამარჯვებულ შაჰ-აბასს კახეთშივე

ეახლნენ და როგორც სასურველი სტუმარი და სამყაროს ერთადერთი კანონიერი განმგებელი, ქართლში მიიწვიეს, რაზედაც ყაენი სიამოვნებით დათანხმდა, გურჯი დიდებულები წყალობის ხალათებით შემოსა, თითოეულ მათგანს სპარსული ტიტულები მიანიჭა და საზეიმო შედლუხის გრიალში საქართველოს სატახტო ქალაქში შევიდა.

მისიონერმა ბერებმა სწორედ იმ დღეს აიკრეს გუდა-ნაბადი, კრწანისის კარიბჭის გვერდის ავლით ქალაქიდან უჩუმრად გავიდნენ და განძისაკენ მიმავალ საქარავნო გზას დაადგნენ.

ისინი სულ ორნი იყვნენ: ამბროზიო დუშ ანჟუში და პედრო დუშ სანტოსი, გვარტომობით პორტუგალიელები, ქეთევან დედოფლის ძველი ნაცნობები და მისი არა ერთი წყალობითა და გულუხვი შესაწირავით უაღრესად მადლიერნი. რაკი კახეთში ბინა სამუდამოდ მოშლოდათ და თითზე გადასახვევიც აღარაფერი შერჩენოდათ, პატრებს გეზი შორეულ ინდოეთისაკენ აეღოთ, სადაც იქაურ ქალაქ გოაში ავგუსტინელ წმიდა მამათა სავანე და მისიონი ეგულებოდათ.

გრემის მისიონის სხვა წევრებს, სადაც პრეფექტის მოვალეობას მამა ამბროზიო ასრულებდა, რაკი სპარსელთა ყოვლის შემმუსრავი შემოსევის შემდეგ კახეთის მიწა-წყალზე აღარ დაედგომებოდათ, თავიანთი მოღვაწეობის გასაგრძელებლად იმერეთისა და გურია-სამეგრელოსათვის თავის შეფარება აერჩიათ, ქართლ-კახეთის მეფეებს გაჰყოლოდნენ და გოაში მიმავალ თანამოძმეებისათვის გზა დაელოცათ.

შიმშილითა და ლოცვით მისავათებული წმიდა მამები, ხელისდადება ლავაშსა და ორიოდე ყლუპ ამყაყებულ წყალზე რომ გადადიოდნენ, მათ მიერ უცაბედად ნახმარმა ქართულმა სიტყვამ იხსნა.

ყაჩაღთაგან, ვისაც ხელში სულ ბოლო დროს ჩაუვარდნენ, ერთი ქართველი აღმოჩნდა. მან ყური მოჰკრა იმ სიტყვას, ბერებს გამოელაპარაკა და როდესაც შეიტყო, ვინ იყვნენ და საიდან მოდიოდნენ, ჩვეულებრივ ქართველ კაცად იქცა, როგორსაც პატრები არა ერთსა და ორს იცნობდნენ საქართველოში და ყველა ღონეს მიმართა, რათა გაჭირვებაში მყოფ წმიდა მამებს ჯურღმულიდან თავის დაღწევისა და ინდოეთისაკენ გზის განგრძობის საშუალება მისცემოდათ.

პატრებმა სწორედ ქართველი ყაჩაღისაგან შეიტყეს, რომ ქალაქი, სადაც ამჟამად იმყოფებოდნენ, აშრაფი იყო და რომ

მათ მოსელამდე აქ შაჰ-აბასის მიერ დატყვევებული კახეთის დედოფალი ქეთევანი მოეყვანათ.

წმიდა მამები აღაფრთოვანა ახალმა ცნობამ. გული იმედით აევსოთ. ისინი ხომ პირადად იცნობდნენ დედოფალ ქეთევანს, ღვთისნიერ ადამიანს დედათა შორის და გრემში მისი მფარველობითაც სარგებლობდნენ.

ყაჩაღი იმდენად გულკეთილი და კეთილშობილი აღმოჩნდა, რომ ბაზარშიაც კი წავიდა, თავისი ხარჯით ბერებს სამარხვო საჭმელი მოუტანა, რადგანაც მოციქულთა მარხვა იდგა და სანოვაგეს ბაზარშივე ნაპოვნი ქართველი ბიჭი მოაყოლა.

ბიჭმა, ტოკლიკაანთ ვანუამ, პატრები სარდაფში ჩამოსვლისთანავე იცნო, თუმცა იქ ბნელოდა და სინათლის ვიწრო ზოლი კარის ღრიჭოდან ჩამოდიოდა, ორივე ხელი კარგა ხნის დაუბანელ ჯაგარა თმაში იტაცა და მუხლებზე დაემხო, პირჯვარი სწრაფად გადაიწერა, მართლა ისინი არიან თუ ამ წყეული ქვეყნის სიცხე-პაპანაქებამ გონება ამირია და მელანდებიანო.

პატრებმა თავიანთებურად ჯვარი გადასახეს. ამბროზიო დუშ ანეუშმა ტკბილი ქართულით ჰკითხა:

— ვინა ხარ, ჭაბუკო, ქართველი ხარ?

— ქართველი ვარ, აბა, ვინ ვიქნები, მამაო, ქრისტიანი კაცი ურჯულო თათარი ხომ არ ვიქნები!

— სახელი რა გქვია?

— ვანუა, ტოკლიკაანთ ვანუაი, საბუიდანა!

— ჩვენ გვიცანი?

— გიცანით, როგო არ გიცანით, მამაო, ამბროსი და პეტრე არა ხართ, ფრანგის მღვდლები?

— სწორედ ისინი ვართ, ჩემო ვანუა. დაჯექი, დაგვეწვიე, ერთად ვისამხროთ. ეს კეთილი კაცი ჩვენთვის დაიხარჯა.

— რა მოხდა, რა, აქ რამ მოგიყვანათ, ქვეყანა მართლა დაინგრა და თქვენ ქვეშ მოჰყვევით?

— ეჰ, ჩემო ვანუა, — დუშ ანეუშმა ესა თქვა, მეტის თქმა საჭიროდ არ ჩასთვალა, მხოლოდ მწარედ ამოიოხრა და გულიც თან ამოატანა. — აქ მარტო ხარ თუ ახლავხარ ვისმე?

— მარტო რა ჭირი მინდა, ჩემი ნებით ამ დახრუკულ ქვეყანაში წამოვიდოდი?

— აბა?

— დედოფალ ქეთევანს ვახლავართ ყველა!

— რას ამბობ, ვანუა?! — ერთხმად აღმოხდათ თვალებში წამიერად სხივჩამდგარ ბერებს, აქამდე საფლავიდან ამოღებულ მიცვალებულებს რომ მიაგავდნენ და მადლიერი მზერა კუთხეში მდუმარედ მჯდომ უაჩალს მიაპყრეს, ეს რა სიკეთე გვიყავ, შვილო, ვინ მოგვიყვანეო. — შენც დედოფალს ახლავხარ?

— ვახლავარ, მა რა!

— სად ბრძანდება ამჟამად მისი უდიდებულესობა?

— სად იქნება, შინაა, გარეთ გამოხედვის უფლებას მარტო მაშინ აძლევენ, როცა წირვაზე მიბრძანდება!

— მაშ, შენ როგორ გამოხვედი?

— დედოფალს უკრძალავენ გამოსვლასა, განა ყველას!

— მხლებლები ბევრი ხართ?

— ასე, ოცდაათოდე კაცი ვიქნებით. აქედან ნახევარი ქალებია.

— მღვდელიც არის?

— ორი მღვდელია, მამა გიორგი და მამა მოსე. მოსე და ორიოდე სხვაც აქ იყიდა დედოფალმა. ბაზარში ყიდდნენ, როგორც საქონელს. ვაიმე, ღმერთო, ამას რას მოვესწარით!

— არაფერია, შვილო, სიბერემდე სიქაჩლეო, ხომ გაგიგონია. ღვთის განგების გარეშე არაფერი ხდება. რაკი-ღა აგრე მოხდა, მაშასადამე, ღმერთს აგრე სურდა და ჩვენც გულით და არა მხოლოდ სიტყვით მორწმუნენი უნდა დავემორჩილოთ. ღვთის შვილის გაყიდვა აქ წესადა აქვთ. ეგ ნუ გაგაკვირვებს. ჩვენც გაგვიყვანეს გასაყიდად, — ამბროზიო დუშ ანეუშმა თავჩაქინდრულ ამხანაგს გადახედა. — მაგრამ არავინ გვიყიდა. ეგენი ბებრები არიან, რაღაში გამოგვადგებიანო. ნეტავ კი გავეყიდეთ. იქნებ ვინმე ღვთისნიერის ხელში ჩავვარდნილიყავით და ამდენი ტანჯვა, რაც ჩვენ გადავიტანეთ, აღარ გადაგვხდომოდა! ხვალ დილას, თუ ღმერთმა ინება, შეგვეწიოს იმის მადლი, ამ კეთილი კაცის წყალობით, — ამბროზიომ კვლავ უაჩალს მიაპყრო მზერა, — აქედან წასვლას ვაპირებთ. იქნებ მოგვიხერხო და ამაღამ, რა დროც არ უნდა იქნეს, მღვდლებთან შეგვახვედრო!

— რატომაც არა, მოგიკვდეთ ჩემი თავი, ჯერ დაღამდეს, ორივეს აქ გაახლებთ! თქვენ ქრისტესმოსავი ხალხი ხართ, განა არ ვიცი, სოფელ-ქვეყანა გემადლიერებათ და გლოცავთ!

მოსაღამოვდა თუ არა, ტოკლიკაანთ ტლუ ბიკი დაპირებისამებრ მოვიდა, მოვიდა ქართველი უაჩალის თანხლებით

და თან შავ ანაფორაში გახვეული, შავი კუნკულით თავდა-ხურული ახალგაზრდა მღვდელი მამა გიორგი მოიყვანა. მამა გიორგი და პორტუგალიელი წმიდა მამები სიყვარულით შეხვდნენ ერთმანეთს, ძმურად გადაეხვივნენ, ერთმანეთი აკურთხეს, ცრემლები გადმოღვარეს და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოსხდნენ ერთურთის ამბის მოსათხრობად.

მამა გიორგიმ მოკლედ აცნობა პატრებს მათი მუხანათუ-რი შეპყრობის, ბადრაგით აქეთ გამოგზავნის და დედოფლი-სათვის მეორე ბატონიშვილის წართმევის ამბავი, რამაც წმიდა მამები ერთობ დაამწუხრა და თითქოს კიდევაც დაავიწყა მათ მიერ ამ თვეების განმავლობაში გადატანილი ტანჯვა-ვაება და მწუხარება. შემდეგ მათ გულდაგულ გამოიკითხეს, სად უნდა ჰყოლოდათ მძევალი ბატონიშვილები ამჟამად ყიზილბაშებს და მოხერხდებოდა თუ არა დიდედასთან მათი შეხვედრება, რაზედაც მამა გიორგიმ სანუგეშო ვერაფერი თქვა, თუმცა სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი დედოფალიც და მისი მხლებლებიც მზად იყვნენ, უკანასკნელი ცეხინი გაეღოთ, უკეთუ ვინმე ბატონიშვილების ადგილსამყოფელს აღმოაჩენდა და ბებიასა და შვილიშვილებს ერთმანეთს შეახვედრებდა.

პატრებმა, თავის მხრივ, შეწევნა აღუთქვეს მამა გიორგის. თავად უსასოო მდგომარეობაში ჩავარდნილნი ისინი კვლავ კეთილის ქმნასა და სხვათათვის შეწევნაზე ფიქრობდნენ. გიორგიმაც გულითადი მადლობა უძღვნა ორივეს, აღუთქვა, ყოველს თქვენს დანაბარებს ჩვენს მოწყალე დედოფალს გადავცემო და სამშობლოს ამბების მოსასმენად მოემზადა.

ბერებმა ბევრი რამ იცოდნენ, ბევრ რამეს პირადად შესწრებოდნენ. მთელი უბედურება, რაც შაჰ-აბასმა კახეთს დაატეხა, მათ თვალწინ მომხდარიყო და თავს ვალდებულად თვლიდნენ, ყოველივე მართლად და შეულამაზებლად მოეთ-ხროთ.

მამა გიორგის თავზარი დასცა გაგონილმა. გარინდებული იჯდა, ტუჩებს უაზროდ ამოძრავებდა და აკანკალებული ხელით პირჯვარს იწერდა.

ბერებმა რომ თხრობა დაასრულეს და დადუმდნენ, სარდაფში, როგორც საფლავში, მკვდრული სიჩუმე სუფევდა. მერე ბერებს გალახული ძაღლის წკმუტუნს მიმსგავსებული რაღაც ხმა შემოესმათ და მაშინ-ღა შენიშნეს, რომ ეს ის ბიჭი იყო, ვინც მამა გიორგი აქ მოიყვანა და თავს ყველას უდარდელად აჩვენებდა. წმიდა მამებს შეებრალათ ბიჭი.

მივიდნენ, აქეთ-იქით დაუსხდნენ და როგორც მოუხერხდათ, დამშვიდება დაუწყეს, რამაც ვანუას კიდევ უფრო გაუღრმავა გულის იარა და მეტი რომ ველარაფერი მოახერხა, თავ-პირში ფუთიანი მუშტები წაიშინა და ღრიალით სარდაფის ჰერი ჩამოიღო.

თავი LVI

საქართველოდან მოსულ უცხოელ ბერებთან ნამყოფ მამა გიორგის თავისიანები მოუთმენლად ელოდნენ, მეტადრე მშობლიურ კერას სამუდამოდ მოწყვეტილი ახალგაზრდა ქალები, მოახლე გოგოები, რომლებისთვისაც სამშობლოს გარეთ მხოლოდ წყვდიადი მეფობდა და სანატრელ ბედ-ილ-ბალზე ფიქრი სიზმარშიაც კი ალარ შეეძლოთ. სახედაძმარე-ბული მღვდელი რომ სადგომში შემოვიდა და მწუხრის წირვიდან ახალმობრუნებულთ ორიოდე სიტყვით აუწყა, რაც უგზოუკვლოდ გადმოხვეწილ უცხოელ პატრებისაგან შეიტყო, საშინელი წივილ-კივილი და მოთქმა-გოდება ატყდა. ორსა თუ სამს გულიც შეუღონდა და ძლივს-ღა მოაბრუნეს. მხოლოდ კაცები იჩენდნენ თავშეკავებას. კრიჭაშეკრულნი თითქოს ძვირფასი მიცვალებულის წინაშე იდგნენ და კრინტს არა სძრავდნენ. ორად ორ ჭაბუკს უღალატა მხნეობამ. გულიდან ცხოველური ღმუილი აღმოხდათ და გარეთ გაცვივ-დნენ, რათა იქ მოყარაულე ყიზილბაშებს შეჰკვდომოდნენ, მაგრამ ამხანაგებმა დროზე აუღეს ალღო, თავადმა შერმაზან-მაც შეუძახა, დაეწივნენ და თუმცა ისინი ისევ იწევდნენ და ხელიდან გასხლტომას ლამობდნენ, მხარგაკრულნი უკან შე-მოაბრუნეს.

უდრტვინველად შეხვდა მოტანილ ამბავს შვილიშვილე-ბისა და სამშობლოს დარდით განახევრებული, ღაწვებზე ნაადრევი ჭაღარით შეფიფქული ქეთევანი. ტუჩებმოკუმული და წარბშეკრული უსმენდა მოძღვარს და უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდა, რომ არ გატეხილიყო, სხვებისათვის სულიერი დაუძლურების მაგალითი არ მიეცა. ის უკვე დიდი ხანია მოელოდა ამ გულის მომწყვლელ ამბებს და მათ შესახვედრად შინაგანად ემზადებოდა.

— სად არის ჩემი შვილი, თეიმურაზი? — იკითხა ბოლოს, როდესაც მამა გიორგიმ ყველაფერი დალაგებულად უთხრა, რაც უცხოელ ბერებისაგან იცოდა.

— როგორც მოგახსენეთ, დედოფალო, ორივე მეფეს ხუთას-ხუთასი კაცი უახლებია და იმერეთში გადასულა. ყაენს ლიხსგადაღმა ხელი არა აქვს, რადგანაც ამასიაში დადებული ზავის თანახმად იმერეთი ოსმალთა ხელდებული ქვეყანაა და იქ შესვლით შაჰი სულთანს გაანაწყენებს!

— აგრეა, ბატონო შერმაზან? — ქეთევანმა გულხელ-დაკ ლდობილ, კოპებშეყრილ ჩოლოყაშვილს მიმართა.

— აგრე გახლავთ, დედოფალო, — დაადასტურა მანაც მღვდლის ნათქვამი.

— როდემდე უნდა შეევაწუხოთ ჩვენი კეთილისმყოფელი იმერთა მეფე, როდემდე უნდა ვისარგებლოთ მისი სტუმართ-მოყვარეობით?

მცირეოდენი ფიქრის შემდეგ პასუხი ისევ შერმაზანმა გასცა:

— დრომდე, დედოფალო. რაკი ლიხსგადაღმა გადასელა და იმერეთის მეფის კარზე თავის შეფარება გადაწყვიტეს, მეფეებსაც და დიდებულებსაც, ეტყობა, სხვა რამ განზრახვა აქვთ!

— რა განზრახვაზე ბრძანებთ?

— იმერთა მეფე გიორგი ახალციხის ფაშასთან გაუწევს შუამდგომლობას, ფაშა კი, თავის მხრივ, დიდ ვეზირს და თვით სულთან მურადს მიმართავს...

— მერე აქედან ჩვენთვის სასარგებლო რაიმე გამოვა?

— ვეჰვობ, დედოფალო. სულთანი ჯერ, რამდენადაც მე ვიცი და გამეგება, სპარსეთთან საომრად მზად არ არის. ჯერ კიდევ არ დავიწყებია სამარცხვინო დამარცხება, შაჰ-აბასმა ურმიის ტბასთან რიცხვით უმცირესი ჯარით რომ აგემა და მთელ კასპიისპირეთზე ხელი ააღებინა. აქედან განსაჯეთ, რა დიდი უნდა იყოს მისი გულისწყრომა და სამაგიეროს მიზღვის სურვილი, მაგრამ არა მგონია, ამჯერად სულთანმა ზავი დაარღვიოს და ქართლ-კახეთის გულისათვის ძლევამოსილ შაჰს თავს დაესხას, თუმცა ისიც უნდა თქვას კაცმა, რომ ამას სიამოვნებით იზამდა, სათანადოდ წელი რომ მოსდევდეს და სპარსეთთან ომში გამარჯვების იმედი ჰქონდეს!

— შენ რას ფიქრობ, მამაო? — ქეთევანმა თავი მოაბრუნა და მზერა კვლავ მამა გიორგის მიაპყრო.

— რა უნდა ვიფიქრო, დედოფალო. ამ გასაჭირიდან მარტო ღვთის ნება თუ გვიხსნის, დაილოცა მისი სამართალი!
— მოძღვარმა თვალები ზეაღაპყრო და პირჯვარი გადაისახა.
— ჩვენც და ჩვენს სამშობლოსაც ხსნის ყველა გზა მოჭრილი გვაქვს, მაგრამ იმედი არ უნდა დავკარგოთ, უნდა გვწამდეს, რომ მაღალი ღმერთი ჩვენს ლოცვა-ვედრებას შეისმენს და ადრე თუ გვიან შეგვეწევა!.. ვილოცოთ, დედოფალო, ღვთისმშობელს შევავედროთ მისი წილხვედრი ქვეყანა!
— გაისარჯეთ, მამაო და ჩვენს მეგობარ პატრებს მოსაკითხი გაუგზავნეთ ჩვენი სახელით. იქნებ არც არა უპირთ, მაგრამ ჩვენგან მაინც ესიამოვნებათ!
— მადლს მოვისხამთ, დედოფალო. სულით ხორცამდე გაფცქვნილი არიან. რაც მაგათ გზაში გაჭირვება გამოუვლიათ, ენა ვერ ასწერს. არც არა აცვიათ, არც არა ახურავთ. თქვენს უდიდებულესობასთან ბოდიში და, სიშიშვლეს ვერაფრით იფარავენ!
— მიეცით, რაც გაგვაჩნია. ჯვრები, სანთელი და თეთრი გაუგზავნეთ. თხოვეთ, ილოცონ ჩვენთვის!
— კეთილი, დედოფალო. ისინი ხვალ ადრიანად წასვლას აპირებენ. შორი გზა გვიდევს, ინდოთ ქალაქ გოაში მივდივართო. ჯვრებს, ანაფორებს, ხამლებს და ცოტაოდენ ფულს, ბევრი ჩვენც არა გვაქვს, ახლავე ბიჭების ხელით გავუგზავნი ან თვით მე გადავუტან!
— იქნებ გამგზავრება ორი-სამი საათით გადაედოთ და ჩვენც მოვენახულებინეთ?
მღვდელი აღფრთოვანდა:
— მაგას რაღა აჯობებს, დედოფალო, თუკი ინებებთ და მათ ორიოდე წუთს დაუთმობთ! თქვენი მონახულება გულით სწადიათ, მაგრამ თავად ამის გამჟღავნება ვერც კი გაბედეს!
— ხვალ დილას ყველა იმის სულის მოსახსენიებელი წირვა უნდა გადავიხადოთ, ვინც ამ ომში სამშობლოს მიწას შეეწირა! ბედნიერი ვიქნებით, თუ წირვას პატრებიც დაესწრებიან და ჩვენთან ერთად ილოცებენ. თხოვე წინამძღვარს, ტაძარი დაგვითმოს.
— კეთილი, დედოფალო!
— თავადო შერმაზან!
— გისმენთ, დედოფალო!
— რას მირჩევთ? როგორ მოვიქცე?
— ჩემგან არ გესწავლებათ...

— ახლა გვჭირდება შენი ჭკუა და გონება!

— ჩვენი უბედური სამშობლოს ბედი აქ არ წყდება, დედოფალო!

— რა გსურთ მაგით თქვათ?

— ჩემი აქ დარჩენა აღარ შეიძლება. აღარც ერთი წუთი! უნდა დამრთოთ მოწყალე ნება, რამდენიმე კაცი გავიყოლო და სამშობლოში დავბრუნდე! მე არ მეგონა, თუ ამ გადაწყვეტილების მიღება მომიხდებოდა. ჩემმა მეფემ, ჩემმა გაზრდილმა, თქვენი თავი და შვილები მე ჩამაბარა. ჩემგნით ამ მოვალეობის აღსრულებას წინ მხოლოდ სიკვდილი თუ აღუდგებოდა! ჩვენდა საუბედუროდ, დღეს საქმე სხვაგვარად შეტრიალდა და სანამ პირში სული მიდგას, სამშობლოს გარეთ ერთი წუთიც აღარ დამედგომება. სამშობლოს და მეფეს ახლა სჭირდება ჩემი უღირსი თავი!

ქეთევანი უსმენდა და უძილობისაგან ჩალურჯებული, თითქმის ჩაშავებული ქუთუთოები ცრემლით ებერებოდა. როდესაც თავადმა დაამთავრა, წამოდგა, ახლოს მიეიდა, სახეში შეხედა, ცოტა ხანს კიდევ იყუჩა, რადგანაც აკანკალებული გული ყელში ებჯინებოდა და ლაპარაკი უჭირდა, შემდეგ კი ღონე მოიკრიბა და მიმართა:

— მეც სწორედ მაგას მოველოდი, თავადო. რა მეთქმის მადლობის მეტი! უფალმა ღმერთმა გიწინამძღვროს! წაიყვანე, ვინც გსურს და წადი, დაბრუნდი გატიალებულ ჩვენს სამშობლოში! ჩვენს ქვეშევრდომ დიდებულებს შორის ერთგული ხალხი სხვებიც მეგულება, მაგრამ შენზე, შემინდოს ყველამ, სხვა იმედს ვამყარებ. ასეა ჩემი შვილი თეიმურაზიც!..

— დიდად გმადლობთ, დედოფალო!..

— მე ყველაფერი მშვენივრად მესმის, ბატონო შერმაზან. მადლობელი ვარ, რაც აქამდე სამსახური გაგვიწიეთ მე და ჩემს საბრალო შვილიშვილებს, — ქეთევანს აქ კი აღარ ეყო ღონე და თუმცა თავს ძალის არაადამიანური დაძაბვით იკავებდა, წამწამზე მსხვილი კურცხალი დაეკიდა. — სადაც არ უნდა იყოს, ნახე მეფე, ჩემი თვალის სინათლე თეიმურაზი და დაარწმუნე, რომ აქ, მართალია, ტყვეები ვართ, მაგრამ არაფერი გვიჭირს, ყველა გასაჭირს წარბშეუხრელად გავუძლებთ, ოღონდ ის გვეგულებოდეს კარგად და ქვეყანას როგორმე, ღვთის შეწევნით მოუაროს. ნუ აჩქარდება. ხეირს არც სულთანი დაგვაყრის. მისი უღლის სიმძიმეც ხომ გამოგვიცდია! სამაგიეროდ, შაჰ-აბასს მამასისხლად გადაგვკი-

დებს. თავის გასამართლებელი და მისი ჩვენკენ შემობრუნების იმედიც აღარ გვექნება. კარგად დაფიქრდით, ბრძნულად აწონ-დაწონეთ ყველაფერი. ხომ იცით, რა დაუნდობელია. მაგან საკუთარი შვილებიც კი ამოწყვიტა, დაიზრდებიან, სიბერისაგან დაუძლურებულს ტახტს შემეცილებიანო. ვაითუ ბალღებს ავნოს რამე, გაგვაუბედუროს, საცოდავ ჩემს თავს აღარა ვჩივი! იქნებ კიდევ მოხერხდეს შაჰ-აბასის გულის მოლბობა. თუ ყველა იმედი გადაგვიწყდა, რაღა გაეწყობა, მერე მაინც ოსმალთ უნდა მივმართოთ. მაგრამ ოსმალო ისევე არაა სანდო, როგორც ყიზილბაში. ჩვენ მუდამ იმაზე ვიქნებით დამოკიდებული, თუ რა ურთიერთობას დაამყარებს ერთმანეთთან ეს ორი ვეშაპი! არის ხსნის მესამე გზაც, მაგრამ ის კიდევ უფრო საეგებიოა. რუსეთი! მე მაშინებს ჩვენი მცდელობა, რუსეთთან კავშირის გასაბმელად რომ მივმართავთ. უბედურმა ჩემმა მამამთილმა, კახბატონმა ალექსანდრემ, რამდენი სახსარი არ შესწირა ამ საქმეს, თავი როგორ არ დაიმცირა! რა მოიმკო? შაჰ-აბასის ქვეშეცნეული გააფთრება და ზაგემში ღვიძლი შვილის ხელით სიკვდილი! მე მაინც ვფიქრობ, თავადო შერმაზან, რომ რუსეთთან კავშირის დაჭერა ჩვენი უკანასკნელი იმედია. თუ არც ერთმა არჩევანმა არ გაგვიმართლა, მაგ ნაბიჯის გადადგმა მხოლოდ მაშინ შეიძლება. ოღონდ სანამ ამ საეგებიო ნაბიჯს გადავდგამდეთ, უნდა გვახსოვდეს: თუ ოსმალეთთან კავშირი სპარსეთს გვიმხედრებს, ხოლო სპარსეთთან კაშირი კი ოსმალეთს, რუსეთთან კავშირი ორივეს ერთად გადაგვკიდებს და უარეს დღეში ჩაგვყრის!

— სწორად მსჯელობთ, დედოფალო, ცამდე მართალი ბრძანდებით. მაგ სიტყვებში მე იმ მონახაზს ვხედავ, რომელსაც მომავალში უნდა მივდიოთ!

— უთქვენობა ერთობ გაგვიჭირდება, თავადო შერმაზან. ამ ჩვენს სულთამხუთავებთან დამაკავშირებელი და შუამავალი თქვენ იყავით. თქვენი ხათრი და მორიდება ჰქონდათ. მაგრამ ნუ იდარდებთ. რაღაცას ვიღონებთ. თუ გაჭირდა, მე თვით ვიკისრებ ყიზილბაშებთან საქმის დაჭერას!

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, დედოფალო! მალე ასევე უვნებლად მენახოთ თქვენსა და ჩვენს საყვარელ სამშობლოში! მტერი დაგიმარცხოთ, მოყვარე გიმრავლოთ! თქვენი მადლიერება და წყალობა არასდროს არ გვაკლდა არც ჩვენ და არც

სხვა თქვენს ქვეშევრდომებს, დიდთა და მცირეთ. ნურც მომავალში მოგვკლებოდეს!

— თქვენი თავი და სახლეულიც კარგად მიმყოფოს, თავადო!

— ვის ჩავაბარო ხალხი და მცირეოდენი ქონება, რაც თან მიგვაქვს?

— თქვენ ვის მირჩევდით?

— მე მგონია, თუ თქვენს უდიდებულესობას საწინააღმდეგო არაფერი ექნება, მამა გიორგის უნდა დაეკისროს განმგებლობა. სპარსული ემარჯვება. ურჯულოებს გაუგებს და თავისასაც გააგებინებს!

— თანახმა ვარ, თავადო შერმაზან, ჩემი არჩევანიც მამა გიორგიზე ჩერდება, — ამ სიტყვებით ქეთევანმა ახალგაზრდა, აქა-იქ წვერშეპაღარავებულ მღვდელს შეხედა და დასძინა: — თუ თავად არ აირიდებს ამ მძიმე ტვირთს.

მამა გიორგიმ თვალები მორჩილად დაჰხარა და ფეხი მოინაცვლა, რაც მისი მხრივ თანხმობის ნიშნად უნდა მიეღოთ.

— გზაზე დადგომის წინ შემობრძანდით გამოსამშვიდობებლად, — უთხრა ქეთევანმა უკანასკნელად შერმაზან ჩოლოყაშვილს. — გელოდებით. რას ამბობენ, აშრაფში დიდხანს გამყოფებთო?

— სად მიგეჩქარებათ, დედოფალო! თუ სამშობლოში დაბრუნებას არ მოგვიახლოვებს, ჩვენთვის აშრაფიც ისპაჰანია!

თავი LVII

მამაპაპური საცხოვრისიდან სამუდამოდ აყრილი და სპარსეთის უდაბნოებში დასასახლებლად განწირული ქართველი ტყვეების პირველი დიდ-დიდი ჯგუფები, ათასობით ქალისა, კაცისა და ბალღისაგან რომ შესდგებოდა, მტვრიან ქუჩებში გიორგობისთვის მიწურულს გამოჩნდნენ.

ბაზრის თავში ვიღაცამ იყვირა:

— გურჯები მოყავთ, ხალხო, გურჯები! — და მთელი ბაზარი, მყიდველი თუ გამყიდველი, მას შემდეგ, რაც არარატის ველის მკვიდრი სომხობა, თითქმის ოთხასი ათასი კაცი, აჰყარეს და სამხრეთ ირანის უსიცოცხლო სივრცეებზე დაასახლეს, ჯერ მსგავს რამისათვის ყურიც რომ არ მოეკრათ,

ამ უბედურების დასანახად და თვალის სეირის საყურებლად გამოეფინა.

ვეება ჭრელი ხურჯინებით დასაპალნებულ აქლემებსა, კეხიან ტანმორჩილ ცხენებსა და სახედრებს შორის, რომელთაც აგრეთვე ორ-სამ წყრთაზე აბოხოლავებული საპალნე ამძიმებდათ, მდუმარედ მოაბიჯებდა უსიხარულო ბედს შერიგებულ ტანისამოსშემოძონძილ ადამიანთა დაუსრულებელი მდინარე. მოდიოდა ნება-ნება, რწევა-რწევით, თითქოსდა ახალგამოღვიძებული და ჯერ კიდევ ბურანში მყოფი. სახეზე ყველას, ქალსა და კაცს, უდაბნოს მცხუნვარე მზისაგან თავის დასაცავად თავზე რაღაც ჭუჭყიანი ჩვარი რომ წამოეცვა, საოცარი განურჩევლობა და გულგრილობა ეხატა. ეტყობოდა, მათთვის უკვე სულ ერთი იყო, სად იქნებოდნენ, რადგან განსაცდელისაგან თავის დაღწევის იმედი უკვე გადასწურვოდათ და ულმობელ ბედს მინდობილნი მორჩილად მიაბიჯებდნენ.

შუადღე იყო და მიუხედავად იმისა, რომ შემოდგომის უკანასკნელი თვე იწურებოდა და ზამთარი კარს აკაკუნებდა, საშინლად ცხელოდა. სიცხეს არა მარტო გავარვარებული, ამღვრეული ცა და უდაბნოს ქვიშით დაფარული ფილაქანი, თვით ბანიანი უფანჯრო სახლები და ალიზით შელესილი ქვითკირის მაღალი ღობეებიც კი გამოსცემდნენ. მტვერში გაზავებული ცხელი ჰაერი ყელს შაშრავდა და გულ-მუცელს ცეცხლს უკიდებდა. ყლუპი წყალი, თუნდაც ერთი ყლუპი სანატრელი იყო, მაგრამ შემოდგომის გვალვას აშრაფის ღრმა ჭები ისე დაეშრო, სასმელი წყალი აქაურ მოსახლეობასა და პირუტყვსაც არ ყოფნიდა. ალავ-ალაგ ამ საცოდაობის შემხედვარე აშრაფელი მოქალაქენი, უპირატესად სხვადასხვა ასაკის ჩადრიანი ქალები და ბალღები მაცოცხლებელ წყალს მაინც შოულობდნენ, ყიზილბაშების ბადრაგს არღვევდნენ და თვალებში მუდარაჩამდგარ მეძუძურ დედებს ტოლჩით აწვდიდნენ. ისინიც ხარბად ართმევდნენ, ჯერ აღნავლებულ ბალღებს ასმევდნენ, მერე თავადაც ეწაფებოდნენ, სვამდნენ, სიჩქარეში და ჯიკავ-ჯიკავში გულზე იქცევდნენ, სხვები კი ამ დროს თვალს მოუთმენლად ადევნებდნენ, იქნებ ტოლჩაში ცვარი მაინც ჩარჩესო და ხელებს იწვდიდნენ.

ტყვეთა პირველი ჯგუფების გამოჩენის ამბავმა ბოლოს ქეთევანის ყურამდეც მიაღწია. მან მაშინვე ხალხი გაგზავნა, იქნებ იმ უბედურთაგან ვინმე დაიმარტოხელოთ და გაიგოთ,

ვინ არიან, ვინ და საით მიერეკება და სამშობლოში რა ამბავი დასტოვესო.

გაგზავნილი ბიჭები და გოგოები მალე დაბრუნდნენ და გულზე ცეცხლმოკიდებულებმა თავიანთ დედოფალს აცნობეს, რომ ტყვეებთან ახლოს არავის უშვებდნენ, ყველა ქუჩა და შესახვევი ყიზილბაშებს ჰქონდათ გადაკეტილი და რომ ვისაც გურჯების ნახვა გულით სწადდა, ხვალ დილას ადრე ბაზარში უნდა გასულიყო, სადაც ტყვეების ერთ ნაწილს გასასყიდად გამოიყვანდნენ.

— მამაო გიორგი, — არა ბრძანებით, არამედ მუდარით მიმართა მწირველ მღვდელს ქეთევანმა. — წაიღეთ მთელი ფული, რაც გაგვაჩნია და გამოიხსენით ის უბედურები. იქნებ ვიპატიოთ და სული მაინც შევუნარჩუნოთ!

— რა დიდი ფული იმათ გამოხსნას სჭირდება, დედოფალო! თითო ქალი აბაზად იყიდება, ვაქკაცი ექვსი შაური ღირს! შაჰ-აბასს, როცა იქით მიდიოდა, ასე დაუქადნია და შეუსრულებია კიდევაც თავისი დანაქადი!

მეორე დღეს მართლაც გამოიყვანეს ერთმანეთზე ბაწრით გადაბმული ტყვეები გასაყიდად. ბაზარს ზღვა ხალხი მიესია. ქართველი ტყვეები, თვალმაყვალა, გამტკიცულ პურიევით გაფითქინებული მკერდსაესე ქალები და წელწვრილი, კოკობულვაშა ჭაბუკები ისედაც განთქმული იყვნენ, მთელი აღმოსავლეთის ბაზრებზე ყველაზე ძვირადაც ფასობდნენ, მაგრამ ახლანდელმა სიიაფემ მუშტარი გადარია და მდიდარი თუ ღატაკი ბაზარს მიაწყდა. მყიდველი ისე ბევრი იყო, საქონელს ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ. რამდენმა მათ შორის ერთმანეთზე საცემადაც მიიწია, ერთი ორმა სატევარიც კი იშიშვლა, როგორ თუ შემეცილეო.

სრულ გულგრილობასა და განურჩევლობას მხოლოდ ტყვეები იჩენდნენ, რომელთა ბედი მათ დაუკითხავად, მათდა ჩაურეველად წყდებოდა.

მამა გიორგიმ და მამა მოსემ დიდი სიმარჯვე გამოიჩინეს, მოუთმენლობისაგან გულგადალეულ ქეთევანს მტრის ხელიდან კანონიერად გამოხსნილი ათი თანამემამულე, შვიდი ქალი და სამი ვაჟი მოგვარეს. როგორც მოსალოდნელი იყო, ათივე კახელი აღმოჩნდა. ერთი ქალი შილდელი იყო, ორიც გავაზიდან, კარის მეზობლები, სახიზრიდან მოტაცებულნი. ვაჟები კახეთისავე სხვადასხვა თემს ეკუთვნოდნენ და ბაზარზე

გასასყიდად გამოყვანილ ტყვეთა შორის უბრალო შერჩევის გზით მოხვედრილიყვნენ.

სამშობლოსათვის სამარადჟამოდ დაკარგული შვილების დანახვაზე ქეთევანმა მდუღარე ცრემლები გადმოღვარა, განურჩეველად წოდებრივი წარმომაელობისა, როგორც მშობელმა დედამ, ყოველი მათგანი სათითაოდ გულში ჩაიკრა და კარგა ხანს ვეღარ დამშვიდდა. აფთრის კლანჭებიდან დახსნილმა ტყვეებმაც მუხლი მოიყარეს, თავადაც შავ დღეში მყოფ დედოფალს თაყვანი სცეს და მისი კაბის კალთას მოწიწებით ეამბორნენ.

მამა გიორგიმ და მამა მოსემ სათითაოდ დაჰკითხეს ყველა და ერთიმეორეზე უარესი ამბები შეიტყეს. მთელი შიგა და გარე კახეთი შაჰ-აბასს უწყალოდ დაერბია. გაეძარცვა ეკლესია-მონასტრები. იქაური ძვირფასეულობა, სხვადასხვა დროს შეწირული ოქრო და თვალ-მარგალიტი, სიძვის დიაცებისათვის დაერიგებინა. დაეწვა ყველაფერი, რასაც კი ცეცხლი მოჰკიდებოდა. აეჩეხა ბაღ-ვენახები და გაპარტახებული ქვეყანა შირვანელ მეცხვარეებისათვის საძოვრებად მიეცა. მტრის ხელთ იყო საუკუნეების განმაელობაში მტკიცედ ნაგები ყველა ციხე და გოდოლი, მათ შორის თორღას ციხე, სადაც ოდითგანვე კახეთის მეფეთა განძი ინახებოდა. აქ, ისევე როგორც ყველა სხვა ციხეში, სპარსელთა მეციხოვნე ჯარი იდგა და უამისოდაც გაერანებულ ქვეყანაში, რომელსაც უკვე აღარავინ იცავდა, ახალ-ახალ თავდასხმებს აწყობდა.

ალავერდის საკათედრო ტაძარი, მისი მიუვალი გალავანი, შაჰ-აბასს ციხე-სიმაგრედ ექცია. აქვე, ალავერდის ფართო გალავანში, უყრიდნენ თავს ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან მორეკილ ტყვეებს და ბადრაგით გარსშემორტყმულთ სპარსეთისაკენ ისტუმრებდნენ. მარტო თიანეთიდან, სადაც ურჯულო მტრისაგან ძლეული მეფე თეიმურაზი ქართლში გადასვლის წინ უკანასკნელად შეჩერდა, რათა ყველა, ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო, ახალი ომის წამოსაწყებად თან გაეყოლებინა, როგორ თუ საკუთარ მეფეს მხარი მიეცითო, ოცდაათი ათასი ტყვე გაირეკეს და სპარსეთის გზას გაუყენეს. შაჰის ასეთივე უდიდესი რისხვა დაატყდათ თავს კახეთის სხვა სადროშოებსაც.

ხალხი, ვინც მტრის მახვილს და ტყვეობას გადაურჩა, ჯერ კიდევ კავკასიონის უსიერ ტყეებში იყო გახიზნული. მოახლოებული ცივი ზამთარი სახიზრებში მყოფთ კარგს არაფერს

უქადდა. ამას ზედ ერთვოდა ლეკთა და ყუმიყთა მარბიელი რაზმების განუწყვეტელი თარეში ჩრდილოეთიდან, რომლებიც საშინელ გაჭირვებაში ჩავარდნილი ხალხის უბედურებით სარგებლობდნენ და საქონელსა და ადამიანებს იტაცებდნენ.

მომავალი წლიდან, გამოიზაფხულებდა თუ არა, შაჰ-აბასს განზრახული ჰქონდა, კახეთის ბარაქიან მიწა-წყალზე, მისი მკვიდრი მოსახლეობის სანაცვლოდ, მეჯოგე ელისა და თარა-ქამების ახალი ტალღა ჩაესახლებინა და ქრისტეს ჯვრის მადიდებელი ქართველების სინსილა აქ ერთხელ და სამუდა-მოდ გაეწყვიტა.

იმ გარემოებას, რომ ტყვეთა რიცხვში, რომელთა საერთო რაოდენობა ათასობით და ათი ათასობით აღირიცხებოდა, ქართლელები წამლადაც არ ერიენენ, ბაზარში ჩალის ფასად შეძენილი ტყვეები იმით ხსნიდნენ, რომ ტფილისში უომრად შესული და ისნის სასახლეში მოკალათებული შაჰ-აბასი ქართლელებს თავს კეთილისმყოფლად აჩვენებდა და მომხდარ სისხლიან ამბებში მხოლოდ თეიმურაზს და კახელებს ადანა-შაულებდა. თეიმურაზი ღალატის შარაგზას ადგია, თვალი აქეთ ოსმალებზე, ხოლო იქით რუსებზე უჭირავს და ლუარსაბიც იმან აიყოლია, შეაცდინა, გადაიბირა, ჩააგონა, თითქოს ჩემი საყვარელი ცოლისძმისათვის, რომელსაც ყო-ველთვის ალერსით ვეპყრობოდი და წყალობით ვავსებდი, ტფილისის, დმანისის, სამშვილდის და აღაჯყალის ციხეებიც კი ვაჩუქე, ავი მინდოდეს და იმერეთში გადახვეწილმა ისიც თან გაიყოლაო.

— იმერეთიდან რა ისმის, არა გაგიგიათ რა? — ჩაეძია მამა გიორგი. — რას შვრებიან იქ ქართლ-კახეთის მეფეები?

— რა მოგახსენოთ, მამაო. რაც წაბრძანდნენ, მეფეებისა აღარაფერი ისმის, მხოლოდ ისა თქვეს, იმერეთში დიდი პატივით მიუღიათ-კე და შეწევნასაც დაპირებიანო.

— თუ ლუარსაბი ქართლში აღარ არის, ქართლს ვინ-ღა განაგებს?

— ქვეყანა ისეა არეული, ძაღლი პატრონს ვეღარ სცნობს. დიდებულები, სუფრაჯ შადიმან ბარათაშვილის მეთაურობით, შაჰს ხლებიან და სრული მორჩილება გამოუცხადებიათ. ასევე მოქცეულან კახელი დიდებულებიც, გუშინ რომ თავიანთ მეფეს უდგნენ მხარში და ხმალს იქნევდნენ. შაჰს ყველა მეგობრულად მიუღია, ძველი შეცოდებები შეუნდვია, ნადიმიც გაუმართავს და ქართლ-კახეთის დიდკაცობა ხალათებით

დაუჯილდოებია. კახეთის გამგედ ახლა კახბატონ ალექსანდრეს გასპარსებული ძმისწული ისა-ხანი ზის, მაგრამ რაღგანაც ისა-ხანი ჯერ საქმეში გამოუცდელი ყოფილა, შაჰმა ვექილად დიდი თავადი დავით ჯანდიერი მიუჩინა!

— დავით ჯანდიერი? — ერთხმად გაიმეორეს მღვდლებმა და ელდისაგან კრიჭაშეკრულ, მთლად გადაფითრებულ დედოფალს შეხედეს.

რას მოასწავებდა ტახტის უყოყმანოდ ერთგული თავადის ეს გამცემლური ნაბიჯი? რით უნდა ახსნილიყო პირსისხლიანი შაჰის სამსახურში მისი შესვლა? ეს იყო საჭირბოროტო კითხვები, რომლებზედაც სარწმუნო პასუხის გაცემა ახლა აქ არავის შეეძლო.

მეორე და მესამე დღეს ქალაქის მტვრიან, სიცხისაგან გავარვარებულ ქუჩებში კახეთიდან აყრილი რამდენიმე ათასი ტყვე კიდევ გაატარეს. ის უბედურები ქალაქის ფარგლებში არც ამჯერად შეუჩერებიათ. ტრიალ მინდორში გარეკეს და როგორც ყველა სხვა ღამე, ეს ღამეც ცისქვეშ გაათენებინეს.

ქეთევანის მიერ თანამემამულეთა დასახსნელად გაგზავნილი კაცები გაწბილებული დაბრუნდნენ ბაზრიდან. თანახმად უზენაესი განკარგულებისა, შაჰის მოხელეებს რომ მოეტანათ, გურჯების გზადაგზა გაყიდვა სასტიკად აეკრძალათ და ამიერიდან არამცთუ უბრალო მოქალაქეს, მათი შეძენა თვით ადგილობრივ ხელისუფალთაც კი აღარ შეეძლოთ.

თქმა არ უნდა, შორსმჭვრეტელ, საბატონო ქვეყნის გაძლიერებისათვის გამეცადინებულ შაჰს ქართველების ერთად დასახლება, ახალი დაბა-სოფლების შექმნა, უდაბურ ადგილებში ბაღ-ვენახების გაშენება, მანამდე კი არხების გაყვანა და მკვდარი მიწის გაცოცხლება ჰქონდა განზრახული, რასაც მეურნე კახელ კაცზე უკეთ ვერავინ იზამდა!

ახალი ტყვეები მართალია ვერ დაიხსნეს, მაგრამ ბაზარში გაგზავნილმა კაცებმა ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეგროვებული ახალი ცნობები კი მოიტანეს.

ქართლელი დიდებულების, კერძოდ, მეფის აღმზრდელი შადიმან ბარათაშვილის დახმარებით, ფიცით და მტკიცით, მაღალი ალაჰის მადლმა, არაფერს გავნებ, ღვიძლი შვილივით შეგივრდომებ, ტახტსაც შეგინარჩუნებ და საბოძვრითაც აგავსებო, შაჰს, რომელსაც ქართლში ყოფნის უკანასკნელი ორი კვირა გორში, ამილახვრების სასახლეში, იმერეთის საზღვრის სიახლოვეს გაეტარებინა, როგორღაც მოეგო ლუ-

არსაბის გული და სამშობლოში მის დაბრუნებისათვის მიეღწია. არ უშვებდნენ თურმე იმერლები, ყელს უწვევდნენ, ნუ წახვალ, დიდებულო მეფევ, თავს მომაკვდინებელ ხიფათში ნუ ჩაიგდებ, ნუ მიენდობი სატანას, არ იქნება, არ გიღალატოს და გულში მახვილი არ ჩაგცესო, მაგრამ ახალგაზრდა მეფეს უკვე სხვაგვარი გადაწყვეტილება მიეღო და დარწმუნების არც ერთი ძველი ხერხი აღარ სჭრიდა. მე რომ არ წავიდე და მორჩილად არ ვეახლო, ქვეყანას წამიხდენს, ქვას ქვაზე აღარ დამიტოვებს, ერს კი ამიყრის და სპარსეთში გადამისახლებსო.

შაჰ-აბასს მართლაც ზეგობრულად მიეღო, როგორც უსაყვარლესი ნათესავი, მკერდში ჩაეკრა, ამილახვრის გულუხვ სუფრაზე გვერდიდან აღარ მოეშორებინა. იქვე ეთხოვა, მიდიდეკარ, ჭინ დიდი გზა მიდევს, მარტო შენი მოუსვლელობა მაბრკოლებდა, ბარემ წამო, ყარაიამდე გამაცილე, წავინადიროთ, ძველი დრო გავიხსენოთო. ლუარსაბი შეპოპმანებულიყო. ვინ ვერ მიხვდებოდა, შაჰს გულში რა ვერაგობაც ედო, მაგრამ რაკი-ღა სხვა გზა აღარა ჰქონდა, გამოჰყოლოდა. ყარაიის ველზე მართლაც ენადირათ, ნადირი ბლომად დაეხოცათ. შაჰი თურმე ბედნიერი იყო, მიწაზე ფეხი აღარ ედგა, გაიძახოდა, დიდი ხანია, ამისთანა სიამოვნება აღარ მინახავსო.

— მერე? — აღმოხდა სულშეგუბებულ ქეთევანს და საკუთარი გულის ბაგაბუგი გარკვევით გაიგონა.

— აქ დიდი ფუსფუსი და სამზადისია. ყოველდღე ელიან შაჰის მობრძანებას. ქალაქი მისი ღირსეული დახვედრის თადარიგს ეწევა. აუხდა ნატვრა ლუარსაბ მეფეს: ქართლისათვის ხელი არავის უხლია, ერთი ბეწვიც არ შეურხევია, მხოლოდ ხმა დაყარეს ქალაქში, ჩვენი მტრები ეს მოუსვენარი კახელები არიან, რომლებიც მოწყალე შაჰს საშველს არ აძლევენ, ეგენია ჩვენი მოსისხლე და არა სპარსელები, რისთვისაც ცხვირიდან ძმარი უნდა ვადინოთ, ჭკუა ვასწავლოთო.

— განხეთქილება ძმათა შორის? მაგაზე უარესი რაღა უნდა დაეთესათ! მტერმა იცის, რასაც აკეთებს, ადგილობრივი მოკლე ჭკუისანები კი, ქართლშიაც და კახეთშიაც, მაგათ ხელს უწყობენ! თვით მეფე ლუარსაბი?

— თან ახლავს, დედოფალო. გილან-მაზანდერანშიაც ვინადიროთ, მუხლი გავმართოთ და რაკი ჩემს გვერდით გული აღარ გიდგება, იქიდან უკან გაგიშვებო.

— კიდევ ერთი ბრალდება! ვაიმე, შვილო, ლუარსაბ!.. — დაიკვნესა ქეთევანმა და თვალებზე, ცრემლი რომ არავისთვის დაენახვებინა, შავი რიდე ჩამოიფარა. — გელრისება კი შინ დაბრუნება? ეს რა ცეცხლში შეგიდგამს, შვილო, ფეხი, ეს რა მახეში გაბმულხარ! შენი ცოდვა მოეკითხოს სულწაწყმედილ შადიმან ბარათაშვილს და მის დამქაშებს, ვინც შენ ასე უსინდისოდ დაგიყოლია და ამ ნადირის ხელში ჩაგაგდო! ერი კი არასოდეს დაივიწყებს შენს უანგარო თავგანწირვას, შენს სახელს დიმიტრი თავდადებულის სახელის გვერდით მოიხსენიებს, სულის საოხარ წმინდა სანთლებს აგინთებს!..

თავი LVIII

ბარგის შეკვრა და გზაზე დადგომა მოულოდნელად მოუხდათ. ხმა გავარდა, შაჰი ერთი დღის სავალზეა და ხვალ, მზის ჩასვლისას, აქ იქნებაო. აშრაფი უკვე მზად იყო მისი და მისი ბრწყინვალე ამალის მისაღებად, რომლის უდიდეს უმრავლესობას შაჰის ჰარამხანა და ხარჭები შეადგენდნენ.

ვინ იცის, ამალაში იყო ელენეც, თავისი მეფური ჩამომავლობის გამო სპარსეთის დედოფლად წოდებული, შაჰ-აბასის ბინძური ვნების დასაცხრობად გამეტებული ქეთევანის ღვიძლი ასული, ვისაც მისი გულის ნაწილი გაჰყვა. დედა და შვილი ულმობელმა ბედმა გაჰყარა და აი, დღეს ისევ მიაახლოვა ერთმანეთს. რა იქნებოდა, თვალი ერთხელ შორიდან მაინც მოეკრა, როგორი იყო გაზრდილი და დაქალებული, მისი ხმა გაეგონა, მისი ღუღუნით დამტკბარიყო!

მაგრამ ჰარამხანის ოთხკედელშუა გამომწყვდეული ექვსასი ცოლიდან შაჰს ყველა როდი დაჰყავდა შორეულ ლაშქრობებში! ეს უდიდესი პატივი მხოლოდ რჩეულ, შაჰისათვის ყველაზე უფრო საყვარელ ცოლებს ხვდებოდათ წილად. იყო ელენე ამათ შორის? თუ აქაც ზურგი შეაქცია მსახვრალმა ბედმა და სხვათა ზიარი თანამეცხედრეც სანატრელი გაუხადა?

ტყვე დედოფლის ქალაქიდან სასწრაფოდ აყრა და გამგზავრება, ეტყობოდა, სწორედ იმ ღირსშესანიშნავ ამბავთან იყო დაკავშირებული, რასაც ცათა სწორი ყაენის მობრძანება წარმოადგენდა. შაჰს, ეტყობოდა, აღარ სურდა, მის მიერ შერისხულ კახეთის დედოფალს კვლავ შეხვედროდა.

ეგ კი არა, ჩანდა, ისიც კი აღარ უნდოდა, ერთ ქალაქში იმავე ჰაერით ესუნთქა, რითაც ქეთევან დედოფალი სუნთქავდა.

საბრალო ტყვეს აბა როგორ შეეძლო სცოდნოდა, რომ შაჰი თავისი სარფიანი ლაშქრობიდან ბევრად უფრო გამძვინვარებული და რისხვით აღსილი ბრუნდებოდა, ვიდრე აქედან იქით მიმავალი იყო. მას სპარსეთის საზღვრის გადმოლახვის მეორე თუ მესამე დღეს ქალაქ მარანდში დახვდა ოსმალეთის სულთან მურადის მიერ გამოგზავნილი წიგნი, რომლის შინაარსმა შაჰი ისე გააშმაგა, პირდაპირ დასაბმელი გახადა.

სულთანი მურადი, სათვალავით მეორე, რომელიც თავს ბრწყინვალე პორტის ხონთქრად იხსენიებდა, ღრმა პატივისცემას უდასტურებდა სპარსეთის დიდებულ ხელმწიფეს, შაჰმადის ფარსა და მახვილს შაჰ-აბასს და იქვე, როგორც ტოლი და სწორი, საყვედურს გამოთქვამდა, რასა ჰგავს, ძმაო, შენი საქციელი, რადა მკადრებ იმას, რაც არ მეკადრებაო.

„რისთვის ავიწროებ გურჯისტანის მეფეებს, თეიმურაზსა და ლუარსაბს? — წერდა ქვემოთ სულთანი. — მაგათ თურმე ჩემი ქვეშევრდომობა სწადიათ, მზად არიან ხატზე შემომფიცონ, შენ კი ამის გამო გადაჰკიდებიხარ და სიცოცხლეს უმწარებ! თეიმურაზისათვის დედა და შვილები მძევლად წაგირთმეია, კახეთი აგიოხრებია, ტყვე და ალაფი უზომო წაგიღია. ეს არის ჩვენი პირობა, რომელსაც ხელი ორივემ მოვაწერეთ? ეს რაღა ზავია, თუ ჩემს მეგობრებსა და კეთილის მდომებს ამოსუნთქვის საშუალებას არ მისცემ?! გთხოვ, თუ ჩემთან მეგობრობა მართლა გულითა გსურს და არ თვალთმაქცობ, მძევალი უკან დააბრუნო, თეიმურაზს მიყენებული ზარალი აუნაზღაურო, ხოლო რაც შეეხება ლუარსაბს, თუ ჩემი პატივისცემა კიდევა გაქვს, ხელი არ ახლო და ისე მოექცე, როგორც კეთილი მეზობელი მეზობელს უნდა ექცეოდეს. სხვაფრივ დავშთები შენი უდიდებულესობის უღირსი მონა მურადი, ხონთქარი ბრწყინვალე პორტისა“.

— მაშ, მე მეზობელი ვარ? მეზობელი, მეტი არაფერი და ამას მხდალი მურადი მახსენებს? იმასაც მირჩევს, რა როგორ უნდა გავაკეთო? ალაჰსა ვფიცავ, გაგიჟებულა, ჭკუაზე შემცდარა! — გრგვინავდა განრისხებული შაჰ-აბასი, ლუკმა-ლუკმა გლეჯდა ოსმალეთის სულთნის თავხედურ წიგნს და ნაგლეჯებს ფეხით თელავდა. — მე მაგათ ვაჩვენებ! მე მაგათ

გავაგებინებ, როგორ გაიქცნენ სტამბოლს და ჩემს მიერ არა ერთჯერ თაელაფდასხმულ მურადთან როგორ მიჩიენლონ!

საღამოს, მწუხრის ლოცვის შემდეგ, მინარეთზე მუყრების გაბმული გნიასი რომ მიწყდა, მთელი ექვსი დღის უნახავი ლუარსაბი დაიბარა და კარავში მოწიწებით შესულს პირქუშად წარბშეკრული დაუხვდა. ქართლის ახალგაზრდა მეფე ყაენისაგან ამგვარ მიღებას ჩვეული არ იყო, მაგრამ ახლა არც გაჰკვირვებია. ისინი უკვე სპარსეთში იმყოფებოდნენ და შაჰ-აბასს შეეძლო ისე მოჰქცეოდა, როგორც ჭკუა და გონება გაუჭრიდა!

— ჩემი დაუძინებელი მტრის, სულთან მურადის წიგნი მომივიდა, — მოწიწებულ სალამზე პასუხის გაუცემლად დაიწყო ხის ქოშებში შიშველ ფეხწადგმულმა შაჰ-აბასმა და თვალით ანიშნა წიგნის ნაგლეჯები, რომლებიც ხალიჩაზე იყო მიმოფანტული. — შენ, თურმე ნუ იტყვი, მისი განუყრელი მეგობარი ყოფილხარ! ასეა? თავი ნუ მოგიკვდება, გამოტყდი, როდის აქეთ გადააჭდეთ ყელი ყელს?

— არც არასოდეს, თქვენო უდიდებულესობავ! — ლუარსაბმა წარბი არ შეიხარა, ბრალდებას, გესლიანი ალერსის ფორმით რომ იყო გამოთქმული, მაგრად დახვდა. — გარდა თქვენი უდიდებულესობისა, მე სხვა მფარველი და მეგობარი არა მყავს!

შაჰ-აბასმა იქედნურად ჩაიცინა:

— იქნებ თეიმურაზსაც შეუძლია იგივე მითხრას და მიმტკიცოს?

— მე სხვის მაგიერ ვერაფერს მოგახსენებთ!

— იქნებ ისიც შენს უნებლიეთ მოხდა, რომ შენი და, ხორეშანი, რომელიც ძილშიაც და ღვიძილშიაც ჩემს სახელს ამბოდებდა, ნიშნად იმისა, რომ არაფრად მაგდებდით, თეიმურაზს მიუწვა გვერდში!

— ნუ გამირისხდებით, თქვენო უდიდებულესობავ, თუ მოგახსენებთ, რომ ეს უკანონო ქორწინება თქვენი უდიდებულესობის სურვილისა და ბძრანების თანახმად მოხდა. ჩვენ, სამეფო კარმა, საგანგებო ნებართვა და ლოცვა-კურთხევა გამოვთხოვეთ სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს, ვინაიდან კახბატონი თეიმურაზი ჩვენი სისხლისმიერი ნათესავი გახლავთ და, კარგად მოგეხსენებათ, ჩვენი ეკლესია შეურიგებელი სისასტიკით კრძალავს სისხლისმიერი ნათესა-

ვების ქორწინებას! ჩვენ წინ ვეღარ აღვუდექით თქვენი უდიდებულესობის სურვილს და ბრძანებას!

შაჰ-აბასმა კვლავ გესლიანად ჩაიცინა და თავი გადააქნია:

— დაწყობილად ცრუობ, ლუარსაბ და აქეთაც მადანა-შაულებ. ეფიცავ ალაჰს, გავიწყდება, ვის ელაპარაკები! შენ არ გინდოდა, თეიმურაზი მტრად მოგკიდებოდა და ჩემი მტრად მოკიდება არჩიე. ასეა, არა? სიმართლე თუ გინდა, აი, ეს არის! ბარაქალა შენს სიბრძნეს და მიხვედრილობას!

— შეგვინდეთ, თქვენო უდიდებულესობავ, თუ რაიმე უნებლიე დანაშაული მიგვიძღვის!

— ეჰვი გეპარება, რომ მიგიძღვის? უმადურობაზე მეტი დანაშაული არა მგონია, ქვეყნიერებაზე მოიპოვებოდეს. სიყვარულის წილ რა მომიგე? ჩემს მტრებს დაუკავშირდი და ბოლოს საქმე იქამდე მიიყვანე, რომ შენ და შენმა სიძემ, სადღაც რომ გადაიხვეწეთ, რათა ჩემი მახვილი აგეცდინათ, სხვისი სახელით მოიწადინეთ ჩემი დაშინება. გინდათ დამა-შინოთ, ჩემს ფიქრებზე და ზრახვებზე, მაღალმა ალაჰმა რომ ჩამაგონა, ხელი ამაღებინოთ!

— ეგ არც გვიფიქრია, თქვენო უდიდებულესობავ, მამის სულს ვფიცავ!

— ჩუმად! ამოდენა მუტრუკი გაზრდილხარ და ისიც არ იცი, რომ სიტყვა არ უნდა შემაწყვეტინო! ფიცავს!.. მარტო მაგისთვის თავის გაგდებინება გეკუთვნის! მაშ, ასე: სულთანს ვერ მოვიმდურებ! რაკი გაისარჯა, მომწერა და შენი შეწყალება მთხოვა, ჯანი გავარდნია, დამსახურებულ სასჯელს აგხსნი, და ქართლის ტახტზე ხელახლა დაგამტკიცებ, მხოლოდ ერთი პირობით... — შაჰ-აბასმა თავის მსხვერპლს თვალი თვალში გაუყარა და აქ შეჩერდა.

— მიბრძანეთ, თქვენო უდიდებულესობავ!

— ქრისტეს რჯულს უნდა განუდგე, წინ უნდა დაიცვითო, მაჰმადის რჯული უნდა მიიღო!

— მაგას სიკვდილი ჯობს, თქვენო უდიდებულესობავ! ყველა სხვა პირობა ჩემთვის მისაღებია, მაგრამ ეგ...

შაჰ-აბასი აენთო. მისმა ყვითელმა, ჩაკენჭილმა კბილებმა ავად გაიელვეს:

— ჯურღმულში ამოგალპობ, შენს სიცოცხლეში მზის სინათლეს აღარ დაგანახებ!

— რა გაეწყობა, თქვენო უდიდებულესობავ!

— დაფიქრდი, ჯერ კიდევ გაქვს დრო!

— ეს ჩემი უკანასკნელი პასუხია, მბრძანებელო! მზად გახლავარ, ყველა ტანჯვა მივიღო!

— წამებით მოგკლავ, მაგ ხორცებს გახურებული გაზით დაგაგლეჯ!

— მაცხოვარი ჩვენი, იესო ქრისტე, ჯვარზე ეწამა ჩვენთვის, იტვირთა კაცთა მოდგმის ყველა ცოდვა! ჩვენც, ვისაც გულითა გვწამს და ვინც მის წმიდა მცნებას ვზიარებივართ, უნდა ვეწამოთ მისი სახელისათვის და მოვიპოვოთ სასუფეველი ჩვენი! — ლუარსაბმა თავს საბოლოოდ სძლია, განდევნა სისუსტის ნატამალიც კი, აქამდე მთელ სხეულს რომ უბორკავდა, პირჯვარი გადაისახა და სრულიად მშვიდი თვალები ცად აღაპყრო.

— დაცვა! — სპარსულად დაიღრიალა შაჰ-აბასმა, რომელიც შესზარა მსხვერპლის აუმღვრეველმა სიმშვიდემ და გულში მისი მღილივით გასრესის დაუძლეველი სურვილი ჩაესახა. — ვინა ხართ მანდ?

კალთა აიწია და კარავში ჯაჭვ-მუზარადში ჩამჯდარი შუბოსანი ქეშიკები შემოცვივდნენ.

— დაპატიმრებულია! — შაჰმა გაჭიმული საჩვენებელა თითი მორჩილად თავჩაღუნულ ლუარსაბს მიაშვირა. — წაიყვანეთ, დილეგში ჩააგდეთ, როგორც უკანასკნელი მონა, რომ იქ თავისი იესო ქრისტე დაავიწყდეს, აშმორებულ ჭაობის წყალსა და ქერის პურის ნატეხზე დასვით!

აბა, რა იცოდნენ ეს აშრაფიდან დილაადრიან წამოსულმა დედოფალმა ქეთევანმა და მისმა მხლებლებმა, რომელთა რიცხვი ამჟამად გაცილებით მეტი იყო, ვის შეეძლო ვერაგი შაჰის მიერ სპარსეთში გამოტყუებული მეფე ლუარსაბის უბედურება მათ ყურამდე მიეტანა!

გრძელი ქარავანი უდაბნოში დაწალიკებით მიდიოდა და თითქმის მთელ უტევანზე გაიჭიმა. ნაშუადღევამდე ვაკეზე იარეს. წინ მაღალი მთები და მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალები მოჩანდა, რომლებიც ასე მიაგავდნენ დილის ნისლით პირშებურვილ ლურჯ კავკასიონს, ალაზნის მარჯვენა ნაპირიდან ან ცივ-გომბორის მთების კალთებიდან დიდებულად რომ წარმოგიდგება. მზე გადაიხარა, მთის მდინარის ფონი რომ გადავლეს, გაშიშვლებულ მეჩხერ ტყეში შევიდნენ და მიხვეულ-მოხვეულ ციცაბო აღმართს შეუდგნენ.

გზა ქალაქ მიანესაკენ ედოთ. ეს არის პატარა ქალაქი ორი მდინარის — შეხრისა და კარანკუს შესართავში,

საიდანაც საქარავნო გზები თვალუწვდენელი სპარსეთის თითქმის ყველა მხრისკენ მიემართება.

აქ ვის არ ნახავ, რა ჯურის ხალხი არ ირევა, რა ენაზე არ ლაპარაკობენ. ისმის პორტუგალიური და ესპანური, ფრანგული და იტალიური, გერმანული და პოლონური, ბულგარული და რუმინული, სირიული და სომხური, თურქული და რუსული, აღღანური და ჩინური, არაბული და ბერძნული. სხვებთან ერთად არიან ქართველებიც, უფრო სწორად, ქართველთა ნაშიერებიც, რომლებიც მშობელ ქვეყანას დიდი ხნის წინათ ნებით თუ უნებლიეთ მოსწყვეტიან ან სულაც აქ, უცხო მიწაზე დაბადებულან, მაჰმადის რჯული უღიარებიათ და ქართულს ძლივს-ღა ამტვრევენ. ბევრი მათგანი ვაჭრობს, დახლთან ტრიალებს, ან გადამთიელ ვაჭრებს მოსამსახურედ, დუქნის ბიჭად დასდგომია, ზოგი, მამა-პაპის ადათისამებრ, მარჩენალ მიწას ებრძვის და წვრილშვილს თავისი ნაოფლარი ჭირნახულით ინახავს, ზოგს ხელოსნობა აურჩევია და ოქროს ხელითა და პირიანობით ახლომახლო დაბა-ქალაქებში სახელი გაუთქვამს, ზოგიც დალალობს, სხვადასხვა ქვეყნის ვაჭრებს გარიგებაში ეხმარება, ზოგიც ავაზაკობს, დიდ გზებზე ქარავ-ნებს უსაფრდება და თავი არმად ნაშოვნი ლუკმით გააქვს.

პირველი ღამის გათევა ქარავანს ზედ უღელტეხილზე მოუწია. აქ უკვე თოვლი იდო, კვლავაც თოვდა და ძვალ-რბილის გამთოშავი ცივი ქარი უბერავდა. ბადრაგის უფროსმა ყიზილბაშმა თავისი არცთუ მრავალრიცხოვანი რაზმი ბანაკის ოთხივე კუთხივ განალაგა, რათა თავი ღამის მეკობრეთა შესაძლო თავდასხმისაგან დაეცვა და აბრიალებულ ცეცხლს სხვებთან ერთად მიეფიცხა.

სიფრთხილე ამაო როდი გამოდგა. მიანეს მხრიდან უღელტეხილზე მეორე ქარავანი ამოვიდა და ღამის გასათევად ბანაკის მოწყობა აქვე მოინდომა. ცხენებზე ისხდნენ, აქლემები და ურმები არ ახლდათ და, როგორც თავზეხელაღებულ ხალხს სჩვევია, საკმაოდ გამომწვევადაც იქცეოდნენ.

მოსულნი და დამხვდურნი ჯერ უბრალოდ წაკინკლავდნენ, მერე კი ეს უწყინარი კინკლაობა ჩხუბსა და ხელჩართულ ომში გადაიზარდა. როცა ერთმა ბრმა ისარმა ქეთევანის კარვის კალთა გააპო და კანდელის მოლიცლიცე შუქით განათებულ ღვთისმშობლის ხატსა და დაჩოქილ დედოფალს შორის მიწაში ჩაერჭო, ქეთევანმა მოახლე გოგოები მოიხმო, რა ხდება გარეთ, ვინ ვის ეომებაო.

მალე ყველასათვის ცხადი შეიქნა, რომ მშვიდობიანი ქარავანი, უზენაესი ბრძანების თანახმად გურჯისტანიდან შუაგულ სპარსეთში კახეთის დატყვევებული დედოფალი რომ მიჰყავდა, უღელტეხილზე მეკობრეთა კარგა მოზრდილ რაზმს გადააწყდა, რომელთაც ყიზილბაშებისაგან შემდგარი მცველი რაზმის გაწყვეტა და ტყვეების დასაკუთრება ჰქონოდათ განზრახული.

ხანმოკლე შეტაკება ყიზილბაშების სრული გამარჯვებით დამთავრდა. ხელისდადება ბრძოლის ველზე, სხვადასხვა ადგილას დანთებული კოცონების შუქი რომ ანათებდა, თავდამსხმელებმა რამდენიმე გვამი დასტოვეს და როდესაც დარწმუნდნენ, ანგარიშში მოვტყუებულვართ, მტერი გვეარბობს, ვერაფერს გავხდებითო, ღამის სიბნელით ისარგებლეს და მიიმალ-მოიმალნენ.

— დედოფალო, დაჭრილი თქვენ გკითხულობთ! — კარავში გულამოვარდნილი მოახლე გოგო თუთა შემოვარდა და ქეთევანს აღელვებულმა მოახსენა.

— მე? — ქეთევანმა კოპები შეიკრა და წამოდგა. — მე რატომ უნდა მკითხულობდეს, ვინმე ქართველია?

— დიახ, აქაური ქართველი უნდა იყოს. ძლივს ლაპარაკობს. მხარშია დაჭრილი. ისარი ამოვუღეთ, მაგრამ სისხლი მაინც სდის, ვერაფრით ვერ შეგვიჩერებია! თქვენ გკითხულობთ!..

— გამიძეხი! — ქეთევანმა ასინეთის მოქსოვილი შავი შალი მხრებზე შემოიკიმა, კალთები აიკრიფა და მოახლეს უყოყმანოდ გაჰყვა.

დაჭრილს ცოცხალს ველარ მიუსწრეს. სამაგიეროდ, ორივე მღვდელი, მამა გიორგი და მამა მოსე, და უკლებლივ ყველა თავისიანი, ქალი თუ კაცი, იქ დაუხვდათ.

უცნობი ცეცხლის პირას იწვა გულაღმა. კალთებჩაფართხუნებული სპარსული ზოლიანი ხალათი ეცვა. თავშიშველი იყო. ჩალმა უკან გადავარდნოდა. რბილი წვერით შემოსილ ხორბლისფერ სახეზე რაღაც ღიმილისმაგვარი შერჩენოდა. იქვე ეგდო ხელიდან გავარდნილი შიშველი იატაგანი და ჭრილობიდან ამოღებული წვერწატეხილი ისარი. ისარს მხრის სახსარი მთლიანად გაეგლიჯა, მეორე მხარეს გასულიყო და თბილი, მოშავო სისხლი, ორთქლის ჭავლი რომ ასდიოდა, ჭრილობიდან ჯერ ისევ წვეთავდა და თოვლზე იღვრებოდა.

ქეთევანმა დაიჩოქა, მიცვალებულს ხელი დაადო შუბლზე და მაშინვე უკან წამოიღო. შუბლი ყინულივით ცივი იყო.

— ვინ არის უბედური? აქ რამ მოიყვანა, ყიზილბაშებს რისთვის შეაკვდა? ვაი ამის დედას! — უსულოდ მდებარე ჭაბუკის მაგივრად მას თვალწინ თეიმურაზი წარმოუდგა და ისე გააკრეოლა, თითქოს ხელში ცხელი შანთი მიეცათ.

— მიანელი ვარო, — ხმა ჩაიწმინდა და ყველას მაგიერ უპასუხა ცალ მუხლზე წამოჩოქებულმა მამა გიორგიმ. — მინდოდა, შაჰის ყიზილბაშებისათვის წამერთმია თქვენი თავი და ქურთისტანში გადამეყვანეთ, საიდანაც ოსმალეთიც ახლოა, მაგრამ თურმე აქ სიკვდილი მწერებია და ეკვდები კიდეეაცო. მიანეში გურჯისტანიდან მოტაცებულმა გურჯის ქალმა გამაჩინა, საცოდავი დედაჩემი დღესაც ცოცხალია და თქვენს დასახსნელად იმან გამომგზავნა.

— ვისი შვილია, ქრისტიანია თუ მაჰმადიანი?

— მაგის თქმა კი ვეღარ მოასწრო, დედოფალო. ეს წუთია, გათავდა. შეუნდოს უფალმა!

— ჩვენებურად აუგეთ წესი და მიწას მიაბარეთ, მამაო, ჩვენ კი, შვილებო, დებო და ძმებო, — ქეთევანმა თავშიშველ მამაკაცებსა და ჭაბუკის საცოდაობით გულდაკოდილ ქალებს მიმართა და პირჯვარი სამგზის გადაისახა. — გლოვა გვმართებს. იტირეთ, გოგოებო, ცრემლი დააფრქვიეთ კარგ ვაჟკაცს! სამშობლოსათვის ცეცხლწაკიდებული კიდევ ერთი გული ჩაიფერფლა. ღმერთო მაღალო, აკურთხე მისი სახელი უკუნითი უკუნისამდე, გაუხსენ სასუფეველის კარი, ნუგეში ეც საბრალო დედამისს!..

— ამინ!.. — დააწია ყველამ ერთად.

ამასობაში კიდევაც გათენებულიყო. ყიზილბაშებს თავიანთი დაჭრილ-დახოცილები აეკრიფათ და ურმებზე აწვენდნენ. ქალებს, გარდა დედოფლისა, აქედან ფეხით მოუწევდათ გზის გაგრძელება, რადგანაც მათი ჩარდახიანი ურმები დაკავებული აღმოჩნდა. ქეთევანმაც არ ინდომა ურემზე ასვლა, თუმცა ბევრს ეხვეწნენ და ეშუდარნენ. სახელდახელოდ გამოჭრილი კორძებიანი ჯოხი დაიბიჯგა, მწკრივში ჩადგა და ნაბმულ თოლში გატანილ ვიწრო ბილიკს თავდაღმა დაუყვა.

თავი LIX

დედოფალი და მისი ამალა, თითქმის ექვსი ათეული სული ქალი და კაცი, უპირატესად ახალგაზრდობა, მიანეში მხოლოდ სამ დღესა და ღამეს გაჩერეს. ბინად ისინი ერთ ჭუჭყიან

ქარვასლაში იდგნენ, რომლის ოღროჩოღრო ეზოში უამრავი ფორანი, ეტლი და ჩარდახიანი ურმები ჩაემწკრივებინათ.

ეზოს გამოსაგველად და ნაგვის გასატანად მეპატრონეთაგან, ეტყობოდა, არავინ ზრუნავდა. ორმოებში ნაწვიმარ წყალში აზელილი წუნწუხი იდგა და რა ფრთხილადაც არ უნდა გაგეელო, ნეხვსა და ჩონჩორიკს გვერდს ვერსაიდან აუქცევდი.

ეზოს შესასვლელი ბაზრის მხრიდან ჰქონდა. სამი მეჩეთით, ამდენივე მინარეთით და ალიზით შელესილი ბანიანი სახლებით ოთხივე კუთხივ შემოზღუდულ, რიყის ქვით მოკირწყლულ ფართო მოედანზე ადრიან დილიდან ვიდრე გვიან საღამომდე მილეთის ხალხი ირეოდა და მყიდველ-გამყიდველთა ყაყანი არ წყდებოდა.

მეჩეთების წინ, მიმსვლელ-მომსვლელთა ფეხით გადალესილ კიბის საფეხურებზე, ხეიბარი მათხოვრები ისხდნენ და ხელგაშვერილნი გასაკითხს ითხოვდნენ. ერთმანეთის ყოველდღე ხილვით თავგაბეზრებული მათხოვრები ხანდახან წაკინკლავდებოდნენ, წაიჩხუბებოდნენ და ყავარჯნებს წაღმა-უკუღმა დაატრიალებდნენ. ჩხუბობდნენ ყველაფრით, რაც კი ხელში მოხვდებოდათ და ერთმანეთს იოტისოდენადაც არ ინდობდნენ. ჩხუბი, რასაკვირველია, ნადაელის მეტი წილის დასასაკუთრებლად ხდებოდა და თვალისსეირის მოყვარულ გამვლელ-გამომვლელთა უდიდეს აღტაცებას იწვევდა. ისინი მოჩხუბრების ირგვლივ თავს იყრიდნენ, წრეს კრავდნენ და ნაცვლად იმისა, შუაში ჩავარდნოდნენ და უბედური ღეთის შვილები გაეშველებინათ, კიდევაც აქეზებდნენ და მათი დაკა-დაკას შემხედვარენი სიცილით იხოცებოდნენ.

სავაჭრო ქულბაქები მზის ამოსვლამდე იღებოდა. ყვირილისაგან ხმაჩახლეჩილი ჩარჩ-ვაჭრები და დუქნის ბიჭები თავიანთ საქონელს: ფარჩა-ატლასს თუ სწორუპოვარ თავრიზელ ფეიქართა ხელით ნაქსოვ ძვირფას ხალიჩებს, ქაშანურ ფაიფურს, შირაზულ ვარდის ზეთს, ისპაჰანელ ოქრომჭედელთა სანაქებო ნაკეთობას, საომარ იარაღს, ჯაკე-მუზარადს თუ ცხენის აღკაზმულობას საქვეყნოდ აქებ-ადიდებდნენ, გამვლელ-გამომვლელს ცხვირ-პირში სჩრიდნენ და საბოლოო ფასზე მოსარიგებლად დუქანში ეპატიჟებოდნენ.

ამათ ხმამაღალ ყვირილსა და ყაყანს, ურომლისოდაც ბაზარს ბაზრობა არ ეთქმოდა, ნემსივით წვრილი მინარეთების მრგვალ აივნებზე გადმომდგარი, ხელებაპყრობილი მუეზრების

გაბმული, ერთ გრძელ ამონაკვნესივით ერუანტელის მომგვრელი ლოცვა-ვედრება ემატებოდა.

მუყრები მეჩეთებში სალოცავად მოუწოდებდნენ ერთმორწმუნეთ.

ჩადრიანი ქალები და წითელი ჩალმით თავგაკრული, გრძელ ზოლიან ხალათებში გამოწყობილი, ინით წვერშეღებილი მამაკაცები ქუსლებწათელილი აზიური ფოსტლების ფლახაფლუხით მეჩეთებისაკენ მიიჩქაროდნენ და დიდი ალაჰისადმი გულმხურვალე ვედრებას ჯერ კიდევ მეჩეთის კარში ფეხსაცმლის გახდამდე და მეჩეთში შესვლამდე იწყებდნენ.

ყოველივე ამას ქეთევანის მრავალრიცხოვანი მხლებლები თვალს აშმორებული ქარვასლის ჩაჟანგებული სარკმლებიდან ადევნებდნენ და იმით დაიმედებულნი, რომ ვინმე ქართულად მოლაპარაკეს გადაეყრებოდნენ და უგზოუკვლოდ დაკარგული ბატონიშვილების ამბავს შეიტყობდნენ, რათა იგი მწარე საგონებელში ჩავარდნილ ქეთევანისათვის მიეტანათ და მის მოუშუშებელ ჭრილობას მალამოდ დასდებოდნენ, დროდადრო მოედანზე გასვლასა და ხალხში გარევასაც ბედავდნენ.

ყოველი ასეთი ცდა და მოწადინება, სამწუხაროდ, მარცხით მთავრდებოდა. ქართულად მოლაპარაკე კაცის პოვნა აქ, მიანეში, მაინც და მაინც დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა, მაგრამ ბატონიშვილების ასავალ-დასავალისა არავინ არაფერი იცოდა და არც რაიმე დახმარების აღმოჩენა შეეძლო. აქამდე არც კავკასიის ომიდან ძლევამოსილად დაბრუნებული შაჰ-აბასის ამბავს მოეღწია. სატახტო ქალაქში დასაბრუნებლად და იქ გამოსაზამთრებლად მბრძანებელმა, როგორც ჩანდა, სხვა გზა აირჩია, ანდა გამარჯვებით გალაღებული არ ჩქარობდა და ჯერ ისევ აშრაფში იდგა.

მიანელებს არც შორეული კახეთიდან დედაბუდიანად ჩამორეკილი და სპარსეთის უდაბნოებში დასასახლებლად განწირული ტყვეებისა სმენოდათ რამე. ყიზილბაშთა რაზმებმა, რომლებიც მათ ახლდნენ და გვერდზე გახედვის ნებასაც არ აძლევდნენ, უთუოდ მხარი აუქციეს მიანეს და თავიანთი გრძელი ქარავნები სხვა გზით წაიყვანეს.

დედოფლის მხლებლებს, მთელ ქალაქს რომ მოედვნენ, ერთადერთი ქრისტიანული ეკლესია ეპოვნათ, რომელშიაც უცხოელი მღვდელი წირავდა. მოვიდნენ და ქეთევანს ახარეს. ქეთევანს ღვთის სახლში მუხლის მოდრეკა ენატრებოდა და მწირველ მღვდლებს, მამა მოსესა და მამა გიორგის უხმო,

რათა მათი თანხლებით სხვებთან ერთად სალოცავად წაბრ-ძანებულიყო, მაგრამ სწორედ ამ დროს მობადრაგე ყიზილბა-შების რაზმის უფროსის ბრძანება მოუტანეს და აუწყეს, ბანაკიდან ფეხი არავინ მოიცვალოს, რადგანაც ამაღამ, ნაშუაღამევს, სანამ ასიცხდებოდეს, ბარგი უნდა ავიკრათ და გზა უნდა გავაგრძელოთო.

ეს მართლაც ასე მოხდა. დღე და ღამე იყრებოდა, ტაატით მიმავალმა ქარავანმა ქალაქის გარეუბნის ქოხმახები და მიწურები რომ ჩამოიტოვა და სახაზინო გზაზე გავიდა. წინ კვლავ უცნობი ქვეყანა და გზები იყო. საით იზამდნენ პირს? სად ისურვებდა სისხლმოწყურებული მტარვალი ტყვე დე-დოფლისა და მისი მხლებლებისათვის სამუდამო ადგილი მიეჩინა?

კახნიცა და მობადრაგე ყიზილბაშებიც ჯერ ხეირიანად გამოღვიძებული არც კი იყვნენ. ამთქნარებდნენ, ყვინთავდნენ და ცხენებსა და აქლემებზე გადამსხდარნი ძილბურანს ებრ-ძოდნენ. ქეთევანი მათ შორის ერთადერთი იყო, ვის თვალსაც რული არ მიჰკარებოდა და ფიქრში წასული გაჰყურებდა უსიცოცხლო სივრცეს, რომელიც არც არსად იწყებოდა და არც არსად მთავრდებოდა.

მოთენდა. შიშველი გორაკების უკან, ასე რომ მიაგავდა იმ უდაბურ ადგილებს, იოანე ნათლისმცემლის მიერ კურთ-ხევამიღებული მაცხოვარი ეშმაკმა რომ აიტაცა და ორმოც დღესა და ორმოც ღამეს გამოსაცდელად იქ ამყოფა, მზე ამოიწვერა და მალე ყოველივე ისე გაკაშკაშდა, სინათლისათ-ვის თვალის გასწორება შეუძლებელი გახდა.

შუადღე მოტანებული იყო, შეუსვენებელი სიარულის შემდეგ ნაპირებჩახრამულ წყალუხვ მდინარეს რომ მიადგნენ. დანის პირივით მოლაპლაპე მდინარის გადაღმაც, ისევე როგორც ირგვლივ, ერთიმეორეზე გადაჯაჭვული შიშველი სერების უსასრულო მწკრივი მოჩანდა.

მარხულობითა და დღედაღამ ლოცვით ლონეგამოლეულმა ქეთევანმა, სასიცოცხლო ძალების გამოფიტვას დაღლილობაც რომ ზედ ერთვოდა, მამა გიორგი ახმობინა და მდინარის სახელწოდება ჰკითხა. მას არა იმდენად მდინარის სახელის გაგება, რამდენადაც ვინმე თავისიანთან გამოლაპარაკება სწყუროდა და საამისოდ მამა გიორგი აირჩია. მდინარის სახელწოდება არც მღვდელს სცოდნოდა, რადგანაც აქეთ მგზავრობა მისთვისაც პირველი იყო და საკითხავად მობად-

რაგე ყიზილბაშებთან წავიდა. ნუ წუხდებიო, მიადევნა ქეთევანმა, მაგრამ ხმა ვეღარ დააწია. მღვდელი მალე უკან მობრუნდა და თუმცა ქეთევანს თავისი შეკითხვა უკვე დავიწყებოდა, ამბავი მოიტანა, მდინარეს ყიზილუზენი რქმევია, ქურთისტანის მთებიდან მოედინება და მულანის ველზე კასპიის ზღვას ერთვისო.

— ჩვენ გალმა გადავდივართ? — აღარ გააწბილა და ჰკითხა ქეთევანმა.

— დიახ, დედოფალო. ბორნით გადავალთ. ახლომახლო ხიდი არსად არის. ამ გზაზე, სანამ ჰამადანში შევიდოდეთ, სამი თუ ოთხი მდინარე კიდევ შეგვხვდება, თუმცა გზის უმეტესი ნაწილი დაუსახლებელი უდაბნოებია და სასმელი წყალიც არსად იშოვნება. წყალი არის, მაგრამ მარილიანია. პირში ვერ ჩაიკარებ. უდაბნოს ქვიშასაც მარილი ურევია. მამაზეციერს მუხლმოყრილი უნდა შეევედროთ, რომ ქარი არ ამოვარდეს!

მღვდელს სიამოვნებდა, მუდამ განმარტოებულ და თავის ჯავრს აყოლილ დედოფალთან გამოსაუბრების და თავისი კუდმოკვეცილი ცოდნის გამომჟღავნების საშუალება რომ ეძლეოდა და ერთი ორი სიტყვით სათქმელს ორ იმდენ სიტყვას ანდომებდა, ვიდრე საჭირო იყო, ქეთევანისთვის კი ქურთისტანის მთების ხსენებას, სადაც ეს ნაპირებჩახრამული წყალუხვი მდინარე სათავეს იღებდა, მობადრაგე ყიზილბაშებთან შეტაკებაში მოკლული ქართველი ბიჭი გაეხსენებინა, რომლის სახესაც წარმოსახვაში, თავისდა უნებურად, თეიმურაზის სახე ენაცვლებოდა და თითქოს შიგ ლახვარი გაჰყრიაო, გულის საშინელი ტკივილი სტანჯავდა.

აქედან ჰამადანამდე, სპარსეთის კიდევ ერთ დიდ ქალაქამდე ისპაჰანისაკენ მიმავალ გზაზე, როგორც იგივე გიორგი ხუცესმა მიანიშვა შეატყობინა, სრული ერთი კვირის სავალი გზა იდო, ორი ამდენი კი იქით რჩებოდა გასავლელი, უკეთუ მძევლებს სატახტო ქალაქში ჩასვლა და იქ ახალი გამოცდა ელოდათ. იქნებ ლევანი და ალექსანდრე უკვე ისპაჰანში იყვნენ და თვალი გზაზე ეჭირათ, საყვარელი ბებოს ჩამოსვლას მოუთმენლად ელოდნენ? იქნებ თვით შაჰ-აბასსაც მოელო მოწყალება, თავისი ღმერთისათვის შეეხედა და უცხოეთში გადმოხვეწილი ბებია და შვილიშვილები კვირაში ერთხელ თუ არა, თვეში თითოჯერ მაინც ერთმანეთისათვის ეჩვენებინა?

მაგრამ ეს უნაყოფო ოცნება იყო! აფთარიევით დაუნდობელ შაჰ-აბასისაგან, რომელმაც თვით ქეთევანისათვის მოცემული მეფური სიტყვა გატეხა და კახეთი ცეცხლითა და მახვილით გადაიარა, ამგვარი შებრალებისა და კაცთმოყვარეობის იმედი არავის უნდა ჰქონოდა. ერთადერთი სუსტი იმედი ისევ შაჰის გამორჩეულად საყვარელ ცოლზე, სპარსეთის დედოფალზე, ამილახვრის ასულ თამარზე იყო, რომელმაც ყურად იღო ქვრივოხერი ქეთევანის თხოვნა და მაშინ, როდესაც მამისა და ძმის მკვლელი კონსტანტინე-მირზას მოკვლის გამო განრისხებული აბასის აქეთ შემობრუნებას უკვე აღარავინ ფიქრობდა, გულმხეცი ქმარი ტკბილი სიტყვით დაიყოლია და ჰაბუკ ბატონიშვილ თეიმურაზს გზა გაუხსნა მამაპაპეულ ტახტისაკენ!

ქეთევანი პირადად იცნობდა თამარს. კახეთშიაც და ქართლშიაც, მეფეების კარზე და თვით ანდუყაფარ ამილახვრის ოჯახშიც, მას არა ერთჯერ შეხვედროდა. ამილახვრის მშვენიერი ასული კახბატონ ალექსანდრეს ცოლისდისშვილი იყო და როდესაც 1598 წელს სპარსეთიდან მოსულმა შუამავლებმა, ქართლელმა ბატონიშვილმა ბაგრატ-მირზამ და ყიზილბაშმა სარდალმა ფარჰად-ხან ყარამანლუმ მისი ხელი შაჰისათვის მოითხოვეს, შაჰის სასარგებლოდ საქმის გადაწყვეტაში ალექსანდრემაც ცხოველი მონაწილეობა მიიღო და ყაენის სასძლო სხვებთან ერთად ქვეყნის საზღვრამდე გააცილა.

ქალს სრულიად სხვა იღბალი ელოდა. მას იმერელი ბატონიშვილის საცოლედ ამზადებდნენ. სათანადო მოლაპარაკება და მისვლა-მოსვლაც დაწყებული იყო, მაგრამ არსთა განმრიგემ სხვაგვარად განსაჯა, ჭირვეული და შურისმაძიებელი შაჰ-აბასის ჩარევამ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, ქუთაისის მაგიერ თამარი ისპაჰანში აღმოჩნდა და თავისი საარაკო თვალტანადობისა, განსწავლულობისა და ჭკუა-გონების წყალობით ირანის ლომის ერთადერთი მომთვინიერებელი გახდა.

ამბობდნენ, თამარი მიზგითში სხვათა დასანახად დადის, გულში კი მაცხოვრის სახეს სასოებით ინახავს, ამას შაჰ-აბასიც მიმხვდარია, მაგრამ ცოლისადმი მისი წრესგადასული ტრფობა იმდენად ძლიერია, თავი ისე უჭირავს, თითქოს ამისა არც არა იცის რაო.

დაუჯერებელი და საზღაპრო აქ არაფერი იყო. შაჰ-აბასი ხომ, ისევე როგორც მისი უფროსი ძმა, სპარსეთის ტახტის

კანონიერი მემკვიდრე სეფი-მირზა, ჰარამზანაში, გამაჰმადიანებულ ქრისტიან ქალებს შორის იზრდებოდა. იმათგან ცოტა როდი იყო ისეთი, ვინც სხვებისაგან მალულად გულზე ქრისტეს ჯვარს ატარებდა, დედოფალ თამარის მსგავსად მიზგითში სხვათა დასანახად დადიოდა, გულში რწმენის ნაღვერდალს ინახავდა და მაჰმადის რჯულსაც მხოლოდ გარეგნულად აღიარებდა.

შაჰის პატარა ნაშიერებს სწორედ ესენი უნერგავდნენ ქრისტიანების მიმართ სიბრალულს და არცთუ იშვიათად სასურველ შედეგსაც აღწევდნენ. ამბობდნენ იმასაც, როდესაც სეფი-მირზას უკურნებელმა სენმა დაჰრია ხელი და სიკვდილის პირას მიიყვანა, მისმა ერთ-ერთმა ქრისტიანმა ცოლმა, ტომით ქართველმა, მომაკვდავს ქრისტეს ჯვარზე ამთხვევინა და ისიც უმალ განიკურნა სნეულებისაგან, რის შემდეგაც მირზა თავის მხსნელ მაცხოვრისადმი თაყვანისცემით განიმსჭვალა. სეფი ამ თავისი რწმენის მსხვერპლი შეიქნა. იგი თვით უმცროსმა ძმამ, აბას-მირზამ მოაკვლევინა, რათა მამისეული ტახტი მიესაკუთრებინა, საბაბად კი მისი ფარული გიაურობა მოიდო.

ძმის მოკვლის მიზეზს აბასი არც მალავდა. ამბობდა, ყიზილბაშმა ამირებმა სეფი მაჰმადის რჯულისადმი ღალატის გამო მოჰკლესო, მხოლოდ ამ საძრახის საქმეში თავის მონაწილეობას აფუჩეჩებდა, მას არც კი ახსენებდა.

შიიტი მუფთები და აიათოლები, მაჰმადის რჯულის უპირველესი აღმსარებლები და მართლმორწმუნეთა სულიერი მამები, შიგადაშიგ თვით აბასსაც ეპვის თვალით უყურებდნენ. არ სჯეროდათ სარწმუნოებისადმი მისი ერთგულება, მაგრამ ამის საჯაროდ გამჟღავნებას და შაჰისათვის ბრალის დადებას ვერ ბედავდნენ, ვინაიდან თავის მოწინააღმდეგეთა შორის აბასი არ არჩევდა, ვინ საერო პირი იყო და ვინ სასულიერო. ყველას ერთი გარდაუვალი ხვედრი ელოდა — სიკვდილი!

ეგ კი იყო და ამის უარყოფა არავის შეეძლო: დედამიწის ერთი კუთხიდან მეორე კუთხემდე გადაჭიმული ვეებერთელა ქვეყნის უზენაესი მბრძანებელი მაჰმადის მოძღვრებას მტერთან ბრძოლის დამთრგუნველ იარაღად იყენებდა და მოწინააღმდეგის ძალად თუ ნებით გამაჰმადიანებით მას ერთხელ და სამუდამოდ სტეხდა, ყურმოჭრილ მონად აქცევდა.

„თავისი ღმერთი მაინც სწამდეს მაგ ურჯულოს, — ფიქრობდა ქეთევანი. — ღვთის რწმენა, რომელიც არ უნდა იყოს, ადამიანის მოდგმის სულს აკეთილშობილებს, მოყვასის

სიყვარულს უნერგავს და მხოლოდ კეთილი საქმის ქმნას მოუწოდებს. ამას კი, ამ ჩვენი ცოდვით სავსეს, არც ერთი არა სწამს. სწამს მხოლოდ საკუთარი თავი და ტახტის ძლევამოსილება, რომელშიაც ისევ საკუთარი პიროვნების გამოხატულება იგულისხმება!"

მეორე დღეს, ნაშუადღევს, მთები სადღაც უკან დარჩა და ქარავანი უსიცოცხლო ბორცვებითა და ღრანტეებით დახორკლილ უკიდეგანო უდაბნოში გაიჭიმა. სანამ მთლად სილრმეში შეეიდოდნენ, გზადაგზა თითქმის თავზე მოფარფატე თეთრი მტრედები დასტრიალებდნენ. აქ საზოგადოდ ბევრი მტრედი იყო. მიწაში ჩაფლულ პატარ-პატარა ქალაქებში თუ სოფლებში აუარებელ სამტრედეს დაინახავდი. მტრედები ადამიანებს ყურადღებას არ აქცევდნენ. თავის მხრივ არც ადამიანები აქცევდნენ მათ ყურადღებას და ეს უწყინარი ფრინველები ლამის ყველას თავზე ასხდებოდნენ.

მერე და მერე მტრედებიც სადღაც გაქრნენ და უდაბნომ თავისი ცხელი სუნთქვა შემოაგებათ. ალაგ-ალაგ ხედებოდათ დამშრალი ჭები და ნაბანაკარები, რომლებიც სანახევროდ შიშველ მთაგორებზე ახვეტილ, მზის სხივებზე მოლაპლაპე მარილიან ქვიშას დაეფარა და სულდგმულის აქ ყოფნის ყოველგვარი ნიშანი წაეშალა. ბევრგან თვით გზაც გადასილული იყო. ორ-სამ საათს და კიდევ უფრო მეტს უგზო-უკვლოდ, აქლემების ალღოს მინდობილი მიაბიჯებდნენ. აქლემები და ცხენები, მით უფრო უღელში შებმული ხარები, ქვიშაში თითქმის მუცლამდე ეფლობოდნენ და მაგარ დასაყრდენს, რომ ფეხი მოეკიდებინათ და წინ წაეწიათ, ამაოდ ეძებდნენ.

ადვილად შეიძლებოდა, უდაბნოში მხარი გქცეოდა და გზაზე, საიდანაც ტალღა-ტალღა დაფენილ ქვიშის ზღვას შენდა უნებურად შეერიე, უკან ველარასოდეს გამოსულიყავი. ეს რომ არ მომხდარიყო, მოპადრაგე რაზმის უფროსი წინ მზირებს აგზავნიდა და მხოლოდ მათ ნიშანზე იძლეოდა დაძვრის განკარგულებას.

უდაბნოში გზის დაბნევა სხვა მხრივაც იყო საფრთხილო და მოსარიდებელი. მთელი სივრცე, მიანედან ვიდრე ჰამადანამდე და შემდეგ, თვით სატახტო ქალაქ ისპაჰანის კედლებამდე, მიწისქვეშა ჭაობებით იყო დაფარული. ჭაობები ზემოდან არ ჩანდა, რადგანაც გავარვარებული ქვიშის სარქველი ფარავდა. ზოგან ეს სარქველი იმდენად თხელი იყო, უბრალო დაწოლასაც ვერ უძლებდა და ყინულის აპკივით

იმსხვრეოდა. მაშინ ზედ შემდგარ აქლემს, ცხენს თუ ქვეითად მოსიარულე ადამიანს ვერაფერი იხსნიდა. მიწისქვეშა ჭაობი ჩაყლაპავდა და მრისხანედ პირდაღებულ ნაპრალს თავს ველარასგზით დააღწევდა.

ქრისტეშობისთვის მეოთხე კვირა ახალი დამდგარი იყო. უდაბნოში დიდი ქალაქის დაკბილული კედელი და კედელს იქით თვალისმომჭრელად მოლაპლაპე მწვანე გუმბათები და მახვილი წვერით ცაში აკრილი მინარეთების ტყე რომ აღიმართა.

ეს ჰამადანი იყო. აქ მოსვლამდე მრავალი მცირე ქალაქისა და ყიშლაყად წოდებული სოფლის გაელა მოუხდათ. ალაგ-ალაგ ოაზისებში მობალახე ცხვრის ფარები და თხის არვეები ხედებოდათ. მათ კბილებდალესილი ჯოგის ძაღლები უელიდნენ გარს და აუჩქარებლივ მიმავალ ქარავანს გააფთრებული ყეფით აცილებდნენ. ყიშლაყებიდან მკვიდრი მოსახლეობის აყრას და სხვაგან გადასახლებას, როგორც ჩანდა, ჰების დაშრობა იწვევდა. მიდიოდნენ იქ, სადაც მათდამი ბედი უფრო ლმობიერი იქნებოდა და არც მათ და არც მათ პირუტყვს მაცოცხლებელი წყალი არ მოაკლდებოდა.

— დაილოცა ჩვენი კურთხეული ქვეყანა, — ამბობდა გულდამდუღრული ქეთევანი და თვალწინ მსუყე ფერებით მოღაღანე ალაზნის ველი წარმოუდგებოდა. — ღვთისაგან ბოძებული ედემია! რა გასაკვირია, თუ ყველა ქურდი და ავაზაკი იქით მოილტვის და თუ სადმე ფეხი მოიკიდა, თავში ცემითაც ველარ გამოდევნი! ვაი, რომ საქმე უკუღმა წაგვიყვიდა, ჩვენს ნაფუძარზე გადამთიელები სახლდებიან, ჩვენ კი, მშობლიური კერიდან აყრილთ და მტერმორეულთ ამ მკვდარი უდაბნოს მსხვერპლად გვხდიან!

ყვითელი ქვიშით დაფარული უსიერი ველები მალე ეაშლის, ბროწეულის, ფშატის, ლელვისა და ფორთოხლის ბაღებმა შესცვალა, რომლებიც, ეტყობოდა, გარს ერტყა ქალაქს და მდინარიდან უხსოვარ დროს გამოყვანილი არხებით ირწყვებოდა. წლის დროს, თუმცა თოვლი არსად ჩანდა და ვერც ვერაკინ იტყოდა, ზამთარიაო, თავისი გაეტანა და ხეებს ფოთლები გასცვენოდა. წითელ-ყვითელ ფოთლებს ნოტიო მიწა მოეფინათ და ირგვლივ სინესტის სუნი სცემდა, რაც დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილ ტყვეებს მშობლიურ ბაღ-ვენახებს, იდუმალად მოშრიალე ულრან ტყეებს აგონებდა და გულში სევდას უასკეცებდა.

ქალაქის კარიბჭეში ქარავანი შეაჩერეს და ბადრაგის უფროსს საბუთები მოსთხოვეს. ქონგურებჩატანებული მაღალი კედლით გამაგრებულ ქალაქს შუბოსანი ყიზილბაშები, ეტყობოდა, ფხიზლად დარაჯობდნენ, თუმცა ქვეყნის უახლოესი საზღვარი, საიდანაც უცხო ქვეყანა იწყებოდა, აქედან მთელი კვირის სავალზე მაინც იყო.

„ჩვენ კი როგორ ვიქცევით? — ფიქრობლა ქეთევანი. — საზღვრები ოთხივე კუთხივ მოღიავებული გვაქვს. შემოდის და გადის, ვისაც როგორ მოეპრიანება. სახელმწიფო საზღვრებიდან იწყებაო, ტყუილად როდი უთქვამთ ჭკუიან კაცებს. თუ რაიმე საშველი დაგვადგა და ქვეყანა ღვთის შეწევნით დავიბრუნეთ, ყველა საზღვარი ისე უნდა გამაგრდეს, რომ ჩვენი ნებართვისა და სურვილის გარეშე ნიბლია ჩიტმაც კი ვერ შესძლოს შემოფრენა!“

მომდევნო დილა მეუფისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე დღესასწაული — შობა თენდებოდა და ქალაქში ფეხის შემოდგმისთანავე დედოფლის ამალაში მყოფმა სულიერმა მოძღვრებმა, მოსემ და გიორგიმ, ქრისტიანული ეკლესია მოიკითხეს. მათდა სასიხარულოდ, ეკლესია მართლაც აღმოჩნდა ქალაქის შუაგულში გამავალ მდინარე რუხდანეშურის მაღალ ნაპირზე. ის კარმელიტ პატრებს ეკუთვნოდა, რომლებიც აქ, ჰამადანში, უკანასკნელ წლებში დასახლებულიყვნენ და სამისიონერო მოღვაწეობას ეწეოდნენ.

საღამოს თავისი მწირველი მღვდლების ხელით ქეთევანმა პატრებს მცირე შესაწირავი გაუგზავნა. ეს იყო რამდენიმე ოქროცურვილი ჯვარი, ორი პატარა ხატი, ტფილისის ხატისმწერალი ოსტატების ხელით შესრულებული, თაფლის სანთლების შეკვრა და ერთიც ლათინური ლოცვანი, რომის წმიდა კონგრეგაციის პროპაგანდა ფიდეს მიერ სტამბური წესით დაბეჭდილი. ლოცვანი, ისევე როგორც ხატები, ქეთევანმა გრემიდანვე გამოიყოლა და აქამდე არც მოუშორებია. მოცალეობის ჟამს ლათინურს სწავლობდა, რათა ამ ენაზე შეთხზული საღმრთო წიგნები დედანში წაეკითხა, უფრო ღრმად გაეგო, უცხოელ ბერებს ერთ მშვენიერ დღეს მათსავე მშობლიურ ენაზე დალაპარაკებოდა და ლოცვანიც, ეკლესიისათვის შესაწირავად რომ გაიმეტა, მისი ერთ-ერთი ენის გასატეხი წიგნი იყო.

პატრებმა დიდი მადლიერებითა და მოწიწებით მიიღეს საქართველოს დედოფლის გულუხვი საჩუქარი, მორჩილის

ხელით სამაგიერო საჩუქარი — ეპისტოლეთა წიგნის ახალთ-ახალი ლათინური გამოცემა აახლეს და მწირველ მღვდლებს თავიანთი ლოცვა-კურთხევა დააბარეს.

საშობაო წირვას, რომელიც კარმელიტმა პატრებმა ქართველ მართლმადიდებელ მღვდლებთან ერთად გადაიხადეს, ქეთევანი პირადად დაესწრო, სანთლებით გაჩირაღდნებულ საკურთხეველის წინაშე მუხლი მოიყარა, მთელ თავის ამალასთან ერთად გულმხურვალედ ილოცა, ღმერთს, იესო მაცხოვარს და ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს საშინელ განსაცდელში ჩავარდნილი სამშობლო, ძე თეიმურაზი, თანამეცხედრე მისი ხორეშანი, შაჰის ჰარამხანაში გამოკეტილი ასული ელენე, გულიდან უღვთოდ მოგლეჯილი შვილიშვილები, ლევანი და ალექსანდრე, შეავედრა, თვალებზე რიდე ჩამოიფარა და გულამოსკვნილი ცხარე ცრემლით ატირდა.

საზეიმო წირვის აღსავლენად შემოსილი პატრები დაიწვენენ მისი საცოდაობით. უკლებლივ ყველა განაცვიფრა და გული სასოებით აუვსო გურჯი დედოფლის ღვთაებრივმა სილამაზემ, მის არცთუ მცირე ასაკს ოდნავადაც რომ ვერ დაეჩრდილა, სიდარბაისლემ, ღვთისმოსავობამ და თავდაბლობამ, რასაც ყველას მიმართ ერთნაირი ძალდაუტანებლობით იჩენდა. როგორც შეიძლეს, ნუგეში სცეს და ღვთის წინაშე აღუთქვეს, რომ ისინიც ყოველ ცისმარე დღე ილოცებდნენ ქრისტესმოსავ საქართველოსათვის, მეფე თეიმურაზისა და მისი შვილებისათვის, რომლებიც მძევლად ჰყავდა სპარსეთის ხელმწიფე შაჰ-აბასს და ადრე თუ გვიან, მაღალი ღმერთის ჩაგონებით, კიდევაც გაათავისუფლებდა და სამშობლოში დააბრუნებდა.

პატრები მოწიწებითა და დიდის დიდებით იხსენიებდნენ სპარსეთის უზენაესი მბრძანებლის შაჰ-აბასის სახელს, რაც იმას მოწმობდა, რომ პირმოთნე კარისკაცთაგან ირანის ლომად მონათლული ყაენი შიშსა და მორიდებას არა მარტო სუსტ და მისი ხელის შემყურე მეზობლებს, თვით ქრისტეს მოადგილე რომის პაპსაც კი უნერგავდა და იძულებულს ხდიდა, კათოლიკური სარწმუნოების გავრცელების მიზნით წარმოგზავნილ წმიდა მამათა პირით აღმოსავლეთის მძვინვარე ტირანის სამართლიანობა და დიდსულოვნობა ექადაგებინა.

თავი LX

თითქოსდა არა შაჰის მძევალი, არამედ მის მიერ საგანგებოდ მოპატიჟებული საპატიო სტუმარი ყოფილიყოს, ქეთევანს მოხელეებით გარსშემორტყმული ქალაქის ამირა ეახლა და თავისი სამსახური შესთავაზა. ტყვედქმნილთ სამჯერ შეუცვალეს ადგილსამყოფელი და სამჯერვე სულ უკეთეს და უკეთეს თავშესაფარში გადაჰყავდათ, თუმცა ქეთევანის მხრიდან არავითარი საყვედური არ თქმულა. თვით ქეთევანსა და მის მოახლე გოგოებს სტუმრებისათვის განკუთვნილი მცირე სასახლე დაუთმეს მდინარის მარჯვენა ნაპირზე, კარმელიტ ბერთა სალოცავის სიახლოვეს. იმავე სასახლის პირველ სართულზე მიუჩინეს ბინა მწირველ მღვდლებსაც, მამა მოსესა და მამა გიორგის, რათა მათ ყოველ დროს შესძლებოდათ ღვთისმოსავი დედოფლის მონახულება და ყოველი მისი სულიერი მოთხოვნილების შესრულება.

მხლებლები თავის ნებაზე დადიოდნენ ქალაქში, მათ თავისუფლებას არავინ ზღუდავდა. აქედან, შუა სპარსეთიდან ვინ სად გაიქცეოდა, ანდა მოინდომებდა კი ვინმე გაქცევას და თავისიანებთან დაშორებას, უკეთუ ეს დაშორება მათი სურვილის წინააღმდეგ არ მოხდებოდა?

ქეთევანი ყველასა და ყველაფრის მიმართ მოთმინებასა და თავდაჭერილობას იჩენდა. მწარე ხვედრს უდრტვინველად შერიგებული არც საყვედურობდა და არც მადლიერების გამოთქმით ანებივრებდა ვინმეს. მას კარგად ესმოდა, რომ ქალაქის ხელისუფალნი უზენაესი მბრძანებლის ნებას ასრულებდნენ და თავიანთ ტყვეებს, რომელთა სიცოცხლე და თავისუფლება არაფრად ულირდათ, ისე ექცეოდნენ, როგორც სატახტო ქალაქიდან ჰქონდათ ნაბრძანები. საკმარისი იყო, იქიდან სხვა ბრძანება მოსვლოდათ, ისინიც უმალვე ფერსა და ზნეს შეიცვლიდნენ. შაჰ-აბასი თავის ჩვეულ ტაკიმასხარობას მიმართავდა და ახალ-ახალ ხერხებს იყენებდა ოქროს გალიაში მის ჩასამწყვდევად, რათა მსხვერპლის დედაკაცური ღირსება ფეხქვეშ გაეთელა და, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, თავისი ბილწი საწადელისათვის მიეღწია.

დაუძინებელი მტრის ხელში ჩავარდნილ საბრალო ქალს საფიქრალი ბევრი გამოუჩნდა. არავინ უწყოდა, აქ, სამეფო

კარისაგან მოშორებით, ჰამადანში უპირებდნენ დატოვებას თუ ბოლოს მაინც ისპაჰანში ჩასვლა ელოდა. ყველა ვარაუდის თანახმად, რასაც მწირველი მღვდლები და ამალის სხვა წევრებიც ეთანხმებოდნენ, პატარა ბატონიშვილები შაჰს ისპაჰანში ჰყავდა და თუ ქეთევანს ჰამადანიდან ფეხს არ მოაცვლევინებდნენ და თუნდაც როგორც საპატიო ტყვეს განუსაზღვრელი დროით აქ იყოლიებდნენ, მის ოცნებას, სულზე უტკბესი შვილიშვილები ოდესმე კიდევ ენახა და გულში ჩაეკრა, ფრთები ეკვეცებოდა. მაგრამ ვაითუ ისინი არც სატახტო ქალაქში დახვედროდა, ანდა არ გაემხილათ მათი იქ ყოფნა და არ ეჩვენებინათ? იქნებ პირობაც დაედოთ: თუ შენი ბრწყინვალება ნებას დაგვყვება და ასე და ასე მოიქცევა, შვილიშვილებს შეგახვედრებთ, ერთმანეთს შეიძლება აღარც კი დაგაცილოთ, არა და, თუ კვლავაც გაჯიუტდები და ჯორზე შეჯდები, მათ კვალსაც ვერ ნახავ? ვინ იცის, ქართლის მეფე ლუარსაბის მსგავსად, ორივე ციხეში ჩაამწყვდიეს, სპარსეთში ციხეებს რა გამოლევს და საცოდავ ბალღებს დღის სინათლე ენატრებოდათ?

ერთადერთი, რაც ამ ხნის მანძილზე სარწმუნოდ ცნობილი გახდა, ის იყო, რომ შიგა კახეთიდან აყრილი ქართველობა, სულ 60 ათასი სული, ყაენმა საქართველოს მთა-ბარს მიმსგავსებულ ადგილებში: მაზანდერანსა, ფერეიდანსა, ხვარასანსა და ფერიაში დაასახლა. ამათგან ახალგაზრდები ცალკე გამოჰყო, დედის კალთას მოწყვეტილი მწყაზარი ასულები ერთგულ ქვეშევრდომებს დაურიგა ჰარამხანების შესავსებად, ხოლო ტალიკ-ტალიკი ბიჭებისაგან რაზმები შეადგინა, იმ რაზმებს ყულის ჯარი დაარქვა და ღულამთა კორპუსში ჩასაყენებელ მეთოფე-მეარკებუზეებად წერთნიდა.

ამიერიდან მათ სპარსეთის ტახტი უნდა დაეცვათ და თუ ყაენის კეთილი განწყობილების მოპოვება და შაჰის სამსახურში დაწინაურება ეწადათ, ყოველ მის მოწინააღმდეგესა და ავის მდომელს, მათ შორის მშობლიურ ქართლ-კახეთსაც, მტრად უნდა მოჰკიდებოდნენ!

განა ასე არ დაწინაურდა ქართლის რომელიღაც მივარდნილი სოფლიდან ოდესღაც მოტაცებული და ტყვეთა ბაზარზე სხვებთან ერთად გაყიდული მწყემსი ბიჭი, შემდგომ მთელს სპარსეთში და მის ახლომახლო ქვეყნებში სახელგანთქმული პიროვნება, ყულარაღასი და შაჰის მარჯვენა ხელი ალაევერდი-ხან უნდილაძე, რომელმაც აბას-მირზას ტახტზე

აყვანაში უდიდესი წილი დაიდო, სიცოცხლეშივე შაჰის მამად იწოდებოდა და ვიდრე პირში სული ედგა, თავის გაზრდილ მტარვალს გვერდიდან არ მოსცილებია?

განა მადლიერმა ყაენმა ასევე ცამდე არ აამაღლა შაჰის შემდეგ სპარსეთის პირველი კაცი, ძე ალავერდი-ხან უნდილაძისა, ფარსის ბეგლარბეგი იმამყული-ხან უნდილაძე და მისი ძმა დაუდ-ხანი, ვინც თავისი დამღუპველი სპარსეთი სამშობლოდ იწამა და ხმალს მისი მტრების წინააღმდეგ იქნევდა?

ერთ მშვენიერ დღეს გიორგი ხუცესი ჩვეულებრივზე ადრე ეწვია დედოფალ ქეთევანს. დედოფალი, რასაკვირველია, ფეხზე დაუხვდა. მღვდელმა აკურთხა იგი, ჯვარზე აამბორებინა და იქვე მეტად საყურადღებო ამბავიც მოუტანა.

კახეთში აჯანყება მომხდარიყო. მთელი ჰამადანი ამაზე ლაპარაკობს და მეც აქეთ გამოვწიე, რომ ეს თქვენთვის შემეტყობინებინაო.

ქეთევანი უჩვეულოდ წამოენთო, მოუთმენლობა დაეუფლა, ღაწვები წამოუწითლდა და ყურის ბიბილოებზე თითქოს ცეცხლი წაეკიდა.

— როგორ თუ აჯანყება, ვინ გითხრა ეგ, მამაო?

— ეს არის, კარმელიტ მღვდლებისაგან მოვდივარ, ამათ კი კავკასიიდან ჩამოსულ თავისიანებისაგან შეუტყვიათ.

— როდის მომხდარა, როდინდელი ამბავია, ვინ აჯანყებულა?

— კახეთი და მთელი შირვანი!

— ურჯულო შირვანელები მხარში აროდეს ამოგვდგომიან, დღე და მოსწრება ერთმანეთის სისხლი გვემართა. ეგ რაღაც მოგონილსა ჰგავს!

— რა დაგიმალო, დედოფალო, პირველად მეც აგრე მეგონა, მაგრამ როდესაც ჩამოსულებს პირადად შევხვდი, სხვა რაღა გზა მქონდა, დავიჯერე.

— ხალხი ცხვარია, მამაო, უწინამძღოლოდ ვერ აჯანყდებოდა, თეიმურაზი კი იმერეთშია და ეის შეეძლო მეფის მაგივრობა გაეწია!

— წინამძღოლობა, დედოფალო, თავად დავით ჯანდიერს უკისრია და კახეთის მთელი თავადაზნაურობა და გლეხობა, ვისაც კი ხელში იარაღის დაჭერა შეეძლო, გვერდში სდგომია!

— ღმერთო, შენ შემეწიე, ნუ გადამრევ! — ქეთევანი მუხლებზე დაემხო და ხელები ზე აღაპყრო, მერე ისევ მოძღვარს მიმართა: — დავით ჯანდიერსო, ბრძანებ? დავითს

ხომ კახეთის ვექილობა უბოძა შაჰმა და ისა-ხანს მოადგილედ მიუჩინა. როგორც ჩანს, ყველაფერი ტყუილია!

— არა, დედოფალო, ტყუილი მხოლოდ ის გახლავთ, თითქოს თავად დავითს თავის ბატონზე გული შესცვლოდეს და შაჰ-აბასს ნამდვილად მინდობოდეს! აჯანყება ალავერდის გალავანში დაწყებულა, შეგვეწიოს იმის მადლი, სადაც სპარსელების მთავარი ჯარი იდგა, ალავერდობა დღეს. აჯანყებულებს დღესასწაული საბაბად გამოუყენებიათ და მთელი კახეთი, დიდი და პატარა, დილაადრიან ალავერდის კარიბჭეს მისდგომია. ყიზილბაშებს ეჭვი აუღიათ, მაგრამ დამდგარან და ხატობაზე მოსული ხალხი გალავანში არ შეუშვიათ. მაშინ თვით თავადი ჯანდიერი მობრძანებულა დიდი ამალით და კარიბჭის მცველი ყიზილბაშები დაუტუქსავს, რად არ უშვებთ ხალხს სალოცავად, შეუშვით, ილოცონ, თავიანთ ღმერთს მსხვერპლი შესწირონ, მამაპაპური ადათი აღასრულონ, ჩვენ, ხელისუფალთ, არა გვაქვს დიდებული შაჰისაგან მონიჭებული ნება, ჩვენს ქვეშევრდომ ხალხს თავისი ღმერთის სამსახური ავუკრძალოთო. ყიზილბაშებს ყაენის მოხელის სიტყვები ყურად უღიათ და განზე გამდგარან. თვალის დახამხამებაში ტაძრის გალავანი მლოცველებით და ღამის მთევლებით ავსებულა. ამათ, როგორც წესი და რიგი მოითხოვს, ჯერ ცეცხლი დაუნთიათ, სამსხვერპლო პირუტყვი დაუკლავთ, სუფრაზე ყიზილბაშებიც მოუპატიჟნიათ, მათი სრული ნდობა მოუპოვებიათ და ბოლოს, როდესაც ყიზილბაშებს უფიქრიათ, ამათგან აბა რა ხიფათი უნდა მოგველოდესო, ტალავერს ქვეშ ფარულად შემოტანილი იარაღი გაუშიშვლებიათ და უწყალო ხოცვა-ჟლეტა გაუჩაღებიათ. ცოდვისკითხვა დატრიალებულა. სისხლი ტბად დადგა თურმე. სანამ გარედან მხარს მისცემდნენ და ეს ამბავი ციხიდან ციხეს გადაეცემოდა, ალავერდის მეციხოვნე ჯარი ჯანდიერიანთ სულ პირწმინდად ამოუწყვეტიათ, ისე რომ თავად ერთი დაკოდილიც არავინ ჰყოლიათ!..

მოუთმენლობით შეპყრობილ ქეთევანს თვალები ცრემლით ავსებოდა, ძლივს შესამჩნევად კანკალებდა, ორივე ხელი სახეზე შემოედო, აღარ იცოდა, გახარებოდა ეს ამბავი თუ სწყენოდა, მომხდარი აჯანყება სამშობლოს ხსნად მიეჩნია თუ ქვეყნის თავზე ღვთის ახალი რისხვის დატეხის ნიშნად მიეღო.

— ჯანდიერიანთ წინასწარ კაცები გაუგზავნიათ იმერეთის მეფე გიორგისთან, საიდუმლოდ შეუთვლიათ, თუ ღმერთმა ხელი მოგვიმართა, ასე და ასე ვაპირებთ, ღვთის შეწევნით

მტრის ძლევის იმედიცა გვაქვს, ჩვენს კურთხეულ მეფეს, თეიმურაზს, ვიწვევთ, ჩამობრძანდეს და იმეფოსო. მეოთხე დღეს არაგვზე დახვედრიან ბატონს. მეფეს იქიდან იმერელი ბატონიშვილები, დადიანი და გურიელი ჩამოპყოლიან ჯარით. თუ ვინიცობაა, დაგჭირდით, ჩვენი თავი შენი სანაცვლო იყოსო. არაგვზე ბჭობა ჰქონიათ. იმერლები იქიდან უკან გაბრუნებულან, თეიმურაზი კი, საერთო რჩევის თანახმად, კახეთში გადასულა იმავე გზით, რომელი გზითაც დადევნებული შაჰის რისხვას გამოექცა. აქ მხარში შირვანელებიც ამოსდგომიან და სპარსელი მეციხოვნეებისათვის, თუკი ვინმე სადმე დარჩა, მუსრი გაუვლიათ. დელუ-მელიქი, შირვანელების ბელადი, პირადად ხლებია ჩვენს მეფეს. შირვანელების ჯარს თურმე ისე უომია, აგრე მოგახსენებენ, ცეცხლსა და წყალში უშიშრად შედიოდნენ, წინ ვეღარაფერი უდგებოდათო. ისა-ხანი და მისი მომხრეები, ესენიც ცოტანი როდი ყოფილან, ჰოეთის ციხეში შეკეტილან და ვიდრე სპარსეთიდან ან მეზობელი საბეგლარბეგოებიდან მაშველი ჯარი არ მოუვათ, გარეთ ცხვირს ვეღარ ჰყოფენ. ისა-ხანს შაჰის მსჯავრი და სიკვდილი არ ასცდება. ეს თავადაც იცის და გაქცევას აპირებს, მაგრამ ციხის გარეთ გამოსვლა ვერ გაუბედნია. ვაის გავეყარე და ვუის შევეყარეო. ხალხი სახიზრებიდან გამოდის. აკლებულ ეკლესია-მონასტრებში წირვა-ლოცვა ახლდება. ქვეყანა მოშენებას იწყებს!..

— ვაიმე, შვილო, თეიმურაზ, ეს რა ჰქენ, შვილო, ეს რა ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩაგვყარე! — დაიგმინა მოსმენილით სასოწარკვეთილმა ქეთევანმა და თითებსშუა ჩაბღუჯული თავშლის ბოლო გულზე მიიკრა. — ვაიმე, შვილებო, ჩემო პატარა ნუკრებო, ვინ-ღა გამოგიხსნით პირგამეხებული შაჰ-აბასის ხელიდან, ან საცოდავი მამათქვენი როდემდე იბოგინებს კახეთის ტახტზე, გამძვინვარებული ყაენის ბოლმას ვით გადაურჩება!..

ამბავმა, რომელიც სულიერმა მოძღვარმა მამა გიორგიმ ქეთევანს მოუტანა, დანიშნულების ადგილამდე, სპარსეთის სამეფო კარამდე მთელი თვით ადრე მიაღწია. ეს გასაკვირი არც იყო. ჰამადანი მთელი კვირის სავალზე და უფრო შორს იმყოფებოდა სატახტო ქალაქიდან და სანამ იქიდან აქ ხმა მოაღწევდა, ორჯერ მეტ დროს უნდა გაეევლო.

თავი LXI

ქართველთა მცირერიცხოვანი კოლონია, სულ ექვსი ათეული ქალი და კაცი, სპარსეთის ამ განთქმულ სავაჭრო ქალაქში, ჰამადანში თავს ქეთევან დედოფლის გარეშემო რომ იყრიდნენ, შფოთმა და მოუსვენრობამ მოიცვა. ხელისუფლებმა უწინარეს ყოვლისა მათ ქუჩაში გამოსვლა და ადგილობრივ მართლმორწმუნე მაჰმადიანებთან რაიმე ურთიერთობის დამყარება აუკრძალეს და უკლებლივ ყველა თავ-თავიანთ სადგომებში ჩაკეტეს. გაძლიერებული ყარაული მიუყენეს თვით იმ გახუნებულ სასახლესაც, სადაც კახეთის ტყვე დედოფალი მოახლეებითა და მწირველი მღვდლებითურთ ცხოვრობდა. ყოველ ცისმარე დღე მოსალოდნელი იყო, რომ უზენაესი ბრძანების თანახმად, მას ისპაჰანში გაიწვევდნენ, რათა გვირგვინოსანი შვილის მიერ ჩადენილ ახალ დანაშაულებათა გამო ყაენის წინაშე პასუხი ეგებინებინათ და აქაური ხელისუფალნიც თადარიგს იჭერდნენ, რომ მისი უდიდებულესობა შაჰის ბრძანება დაუგვიანებლივ და ზუსტად შესრულებულიყო.

აღმოსავლურად დაშაქრული თავაზიანობისა, ტყვე დედოფლის მიმართ აქ მოყვანის პირველი დღეებიდანვე რომ იჩენდნენ, ნატამალიც კი აღარ დარჩა და ქეთევანსაც და მის მხლებლებსაც, უპირატესად გულზე ქრისტეს ჯვარჩამოკონწიალებულ მწირველ მღვდლებს, ამას აშკარად აგრძნობინებდნენ და არც მათდამი და არც მათი სარწმუნოების მიმართ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას არ მალავდნენ.

შეიარაღებულ ბადრაგისათვის თვალის ახვევა და გარე სამყაროსთან კავშირის გაბმა როგორღაც მაინც ხერხდებოდა. მებადრაგენი, მეტადრე მათი უფროსი თავკომბალა ეთიოპიელი თუ ყარაჩი, ვერცხლისმოყვარენი აღმოჩნდნენ და გადაუდებელი საჭიროების დროს ქრთამი ჯოჯოხეთს ჰამადანშიაც ანათებდა.

დედოფლის ბანაკი გლოვამ და ვაი-ვაშმა მოიცვა. თავის სენაკში განმარტოებული ქეთევანი დღესა და ღამეს ლოცვაში ატარებდა. ქალები ცხარე ცრემლით ტიროდნენ და მაღალ ღმერთს შემწეობას და მფარველობას შესთხოვდნენ. ვინ-ღა არ მიხვდებოდა, რომ მძვინვარე შაჰ-აბასის მიერ გაგზავნილი

დამსჯელი ჯარი კახეთში კეთილს არას იქმოდა, ქვას ქვაზე აღარ დასტოვებდა. გლოვობდნენ შინ დარჩენილ თავისიანებს, ვინ მოხუცებულ დედ-მამას, ვინ დაოჯახებულ თუ დაუოჯახებელ დედმამიშვილებს, ვინ ახლობელ ნათესავებს და ნათელ-მირონებს, რომელთა სიკვდილ-სიცოცხლისა აქამდე ხეირიანად არაფერი იცოდნენ. ქარვასლის საჯინიბოს წინ თავშეყრილი მამაკაცები, უფროსები და ახლად წვერ-ულვაშწამოშლილი ყმაწვილი ბიჭები, კრიჭაშეკრულნი სოხანეს ჩაშტერებოდნენ და ბედის სამდურავს ამბობდნენ, რომ სამშობლო ქვეყნისაგან შორს მყოფთ თვისტომის გვერდში ამოდგომა და ურჯულო მტრის ჯავრის ამოყრა არ შეეძლოთ!

ბზობის კვირაში პირველმა ურთიერთსაწინააღმდეგო ხმებმა მოაღწია.

ერთნი ბეჯითად ამტკიცებდნენ: დამსჯელ ჯარს, მთელი თვის სავალი გზა მუხლჩაუხრელად რომ გაუვლია, მტკვრის ნაპირებიდან ვიდრე ჭარ-ბელაქნის სასულტნომდე კახეთი პირწმინდად მოუოხრებია და ათი ათასობით ტყვე წინ გამოურეკია, რომელთაც კასპიის ზღვის სამხრეთ სანაპიროზე უპირებენ დასახლებას, სადაც ადგილობრივ მკვიდრ თურქმენებს საქიშმიშე ყურძენი მოჰყავთო. მაშ, როგორ ეგონათ გიაურ გურჯებს, ნიშნისმოგებით ქირქილებდნენ ამბის მომტანნი, რომლებიც უპირატესად სხვის ნათქვამს იმეორებდნენ და ბაზრებში ავრცელებდნენ, მართლმორწმუნე ყიზილბაშების სისხლი ტბად რომ დააყენეს და მოწყალე შაჰს ურჩობა გაუბედესო? ამას იქით სამშობლოს სიზმარში-ღა თუ ნახავენ და ესეც მაშინ, თუ ბადრაგმა სადმე შეასვენათ და უდაბნოში თვალის მოტყუება მოუწიათო!

მეორენი სულ სხვას ქადაგებდნენ.

თუ ამათ დაუჯერებდი, კახბატონი თეიმურაზი დამსჯელ ჯარს, ალიყული-ხანის სარდლობით შაჰმა საქართველოში რომ გაგზავნა, ტფილისის მიდამოებში დაუხვდა, კახეთისაკენ მიმავალი გზები შეუკრა, ხელჩართული ომი გაუმართა და გამანადგურებელი მარცხიც აგემა!

ვის? ალი ყული-ხანს? თეიმურაზმა? ეს დაუჯერებელია!

მაგრამ, როგორც შემდეგ გამოირკვა და ნაგვიანევად მოსულმა ცნობებმა ცხადჰყო, თეიმურაზს მართლა ეძლია მტერი და უთანასწორო ომში გამარჯვებული გამოსულიყო. ის არა მტკვარზე, ტფილისის კარიბჭესთან, არამედ სატახტო ქალაქის დასავლეთით, მთის კალთაზე შეფენილ პატარა

სოფელ წიწამურთან, მტკვრისა და არაგვის შესართავში კვეთებოდა მტერს და ბრძოლის ველიდან ცოცხალი თითქმის არავინ გაეშვა.

ალი ყული-ხანის გეგმა თავიდანვე ასეთი ყოფილიყო: სანდო მსტოვრების პირით, რომელთა ნაკლებობა გატიალებულ, გამვლელ-გამომვლელის კერძად ქცეულ ქვეყანაში მაინც და მაინც არ იგრძნობოდა, კახეთში ხმა უნდა დაერხია, რომ დიდი ალაჰის გამარისხებელი აჯანყების ჩასაქრობად და მისი მოთავეების ხელში ჩასაგდებად სპარსეთიდან ჭიანჭველის ლაშქარზე უმრავლესი ჯარი მოემართებოდა. დამსჯელ ჯარს თეიმურაზ მეფის დამხობა, ცოცხლივ შეპყრობა და შინ რაღაც მანქანებით დარჩენილი კახელების მამაპაპური საცხოვრისიდან აყრა და სპარსეთის შორეულ უდაბნოებში გადასახლება ჰქონდა მინდობილი. ცათა სწორი შაჰის ზღვარდაუდებელ რისხვას ამჯერად ვერავინ გადაურჩებოდა და დედაბუდიანად ამოჟლეტა ელოდა ყველას, ვინც იარაღს ნებით არ დაჰყრიდა და მბრძანებლის ორგულ, ჰეშმარიტი ღმერთის მგმობელ სულთან მურადის დანაშაულებრივ სამსახურში შესულ თეიმურაზს არ განუდგებოდა.

წინასწარ დაყრილ შემაძრწუნებელ ხმებს არ შეიძლებოდა, კახელები არ აერ-დაერია და სულისა და სახლ-კარის გადარჩენის მიზნით მათ აჯანყებულთა ბანაკი არ მიეტოვებინათ. ორცეცხლშუა მოქცეული თეიმურაზი იძულებული გახდებოდა, თავის მცირერიცხოვან მომხრეებთან ერთად, ვინც შაჰის უნებურად ის ტახტზე ხელახლა აიყვანა და დღესაც მხარში უდგა, საბატონო ქვეყანას თავქუდმოგლეჯილი გასცლოდა და სიცოცხლის შესანარჩუნებლად კვლავ იმერეთისათვის მიეშურებინა.

არაგვის პირი, სოფელი წიწამური სწორედ შუაგზა იყო. კახეთიდან გადმოხვეწილ მეფეს აქ უსიკვდილოდ უნდა გაევლო და ალი-ხანმაც წიწამურთან არჩია ჩასაფრება. მთელი თავისი ლაშქრით ის თეიმურაზს აქ დაუხვდებოდა და თანამზრახველებთან ერთად კიდევაც დაატყვევებდა.

ყიზილბაშთა თავს დამტყდარი უბედურების ერთადერთ მიზეზად შაჰისევანების ღალატს ასახელებდნენ.

მაჰმადის რჯულზე სხვადასხვა დროს შემდგარ ქართველთ, შაჰისევანებს, რომლებსაც ჯერ ხეირიანი სპარსულიც ვერ ესწავლათ და ერთმანეთს შორის ისევ ქართულად ლაპარაკობდნენ, მშობელ მიწაზე ფეხის დადგმისთანავე, თითქოსდა

სისხლმა უყივლათო, თავისიანებისათვის მიეკერძათ, თეიმურაზი წინასწარ გაეფრთხილებინათ, ასე და ასეა საქმეო და მისთვის ალი ყული-ხანის საომარი გეგმა და ჯარების განლაგება გაენდოთ.

თეიმურაზმა ამით მარჯვედ ისარგებლა, ფიცხლად გადმოვლო ქართლის ქედი, ქართლსა და კახეთს ერმანეთისაგან რომ ჰყოფს და სპარსელთ იქ დაეცა, სადაც მის ასე ადრიანად გამოჩენას არავინ მოელოდა. ვიღაცამ კი იყვირა განწირული ხმით, თავს უშველეთ, მართლმორწმუნენო, მტერი შემოგვესია, მგონი თვით გიაური თეიმურაზი უნდა იყოსო, მაგრამ ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, ისე სწრაფად აირ-დაირია, რომ ფრთებმა ვერ მოასწრეს შუაგულს მოხმარებოდნენ, სადაც თვით ალი ყული-ხანი და მისი ხელქვეითი სარდლები პერანგისამარა იბრძოდნენ და კახთ ალყაში მოქცევის საშუალება მისცეს. ბევრი ისე გაიქცა და თავს უშველა, იარაღისათვის ხელიც არ უხლია, შაჰისევანები კი განზე იდგნენ, საქმეში არ ერეოდნენ და სეირს უყურებდნენ, როგორ თანდათან თხელდებოდა ერთმორწმუნე მაჰმადიანთა რიგები. კახნი ყურისწამღები ყიჟინით მისდევდნენ მსხვერპლთ, აბჯრის გადაცმაც რომ ვერ მოესწროთ და გზადაგზა შეუბრალებლად კაფავდნენ.

ბევრი, ვინც მათ ხმალს, შუბს, ისარს, ნაჯახს, ჩუგლუგს და სატევარს გადაურჩა, არაგვმა და მტკვარმა შთანთქა, ღრმა მორევებში ჩაიხვია და დაახრჩო. ტფილისამდე თითო-ოროლამ თუ ჩააღწია და თავი იქ ციხეს შეაფარა. უწყალო ხოცვა-ჟლეტა, წიწამურის ველზე ნაშუადღევს რომ დაიწყო, კარგა დაღამებამდე გაგრძელდა. ზურგში ისარგაყრილი ან შუბით მკერდშენგრეული ცხენი და კაცი ერთმანეთზე გროვად ეყარა, თითქოს ვიღაც მოცლილს ტყეში ხმელი ფიჩხი მოუგროვებია, ერთად დაუყრია და ახლა ჭინკების დასაფრთხობ ჭიაკოკონის დანთებას აპირებსო.

ბრძოლამ ათასობით მაჰმადიანის და მათ ფეხს აყოლილ შინაურ გამცემთა სიცოცხლე შეიწირა. გამაგრებული ბანაკი კახთ დარჩათ. კახელებმა უამრავი სალაშქრო კარავი, ცხენი, აქლემი, იარაღ-საჭურველი და ქონება იგდეს ხელთ. ტფილისის ბაზარზე საქონლის ფასი ისე დაეცა, აქლემი აბაზად გაიყიდაო, ჰყვებოდნენ ისინი, ვინც ამ ამბავს პირადად შესწრებოდა და საკუთარი თვალით ნახული და ყურით გაგონილი თავადვე ველარ დაეჯერებინა.

ლტოლვილთ და ყიზილბაშ მეციხოვნეთ, ტფილისის ციხეში რომ ისხდნენ, გულს უფრო ის უგმირავდა, რომ ალი ყული-ხანის 15 ათასი რჩეული მხედრისა და ქვეითის წინააღმდეგ, თუ მოღალატე შაჰისევანებს ანგარიშში არ ჩავაგდებთ, ანდა რა ანგარიშში ჩასაგდები ისინი იყვნენ, თეიმურაზს ამის ნახევარიც არა ჰყოლოდა და ალი ყული-ხანისათვის ეს რომ ვინმე კეთილის მსურველს დროზე შეეტყობინებინა, თუნდაც აქვე, წიწამურის ველზე ემცნო, უბედურება არ მოხდებოდა და თვით ალი ყული-ხანიც, მრავალ დიდსა და მცირე ომში სიმამაცითა და მხედრული გამჭრიახობით სახელ-მოხვეჭილი სარდალი, ბრძოლის ველზე გიაურის ხელით სიკვდილს გადარჩებოდა!

ხელმწიფის კარზე დიდი და პატარა ძრწოლამ შეიპყრო და საგონებელს მიეცა: ვინ გაუმხელდა შაჰს, რაც კახეთის პატარა სოფელ წიწამურთან, მტკვრისა და არაგვის შესარ-თავთან მოხდა? რომ ალი ყული-ხანის მედგარი ჯარი, პირადად მან რომ დალოცა და ნაუმ-ე ჯაჰანის მოედანზე ცხენდაცხენ ჩამოუარა, უკვე აღარ არსებობდა? შაჰი იმასაც სიკვდილით სჯიდა, ვინც სამწუხარო დამარცხების ამბავს მოუტანდა და იმასაც, ვინც ამ ამბის გამხელას დააგვიანებდა, ან სულაც არ გაუმხელდა და წამხდარი საქმე ამით კიდევ უფრო წახდებოდა.

რაც მომივა, მომივაო, თავი გამოიდო ისევ სიძემ, დის ქმარმა, შაჰის უსაყვარლესმა სარდალმა ყარჩიხა-ხანმა და იკისრა, გვირგვინოსან ცოლისძმისათვის გურჯისტანში ნაწვ-ნევი მარცხის ამბავი შეზავებული ფერებით მოეხსენებინა.

დრო შეუფერებელი იყო. წინადღეს ოსმალეთის სულ-თანმა მურადმა თავისი ელჩი ისპაჰანიდან გაიწვია და გაწვევის მიზეზად მისთვის ახალი სახელმძღვანელო მითითებების მი-ცემა მოიდო. ხელმწიფის კარზე შეჩოჩქოლდნენ, თუმცა თავი ისე დაიჭირეს, ოსმალთა საეგებიო ნაბიჯი თითქოს არც კი შეემჩნიოთ. საიდუმლოებას უკვე აღარ წარმოადგენდა, რომ ოსმალები ჯარებს თავს უყრიდნენ და ვის წინააღმდეგ უნდა დაეძრათ ისინი, თუ არა სპარსეთის წინააღმდეგ, რომელთანაც ომში 1603 წელს დამარცხდნენ, სამარცხვინო ზავის დადება მოუხდათ და იმ ზავის პირობების თანახმად მთელ კავკასიასა და კასპიისპირა მიწებზე ხელი აიღეს!

— მომგვარეთ ალი ყული-ხანი! რატომ თავად არ გვეახლება და თავისი ლაჩრობის ამბავს პირადად არ მოგვახსენებს?! — ბრძანა შაჰმა, როდესაც გამორჩეულად

საყვარელ სიძეს და სარდალს პირმოქურუშებულმა მოუსმინა და ვიდრე რაიმეს იტყოდა, მცირე ხანს მდუმარედ იჯდა.

აბასს ყარჩიხა-ხანი კარგად იცნობდა, ახალგაზრდობიდან-ვე შესწავლილი ჰქონდა მისი ყველა ზნე-ჩვეულება, სახის გამომეტყველებაზე მიხვდა, მრისხანების პირველმა ტალღამ უკვე გადაიარა, ეტყობა, მოსაკლავად ან ენის ამოსაგლეჯად ვერ მიმეტებსო და რაკიღა სხვა გზა აღარ იყო, შაჰი მის პასუხს უცდიდა, მობრიალე კოცონს ერთი ხმელი წკირი კიდევ მიუმატა:

— ალი ყული-ხანს არ შეუძლია, თქვენო უდიდებულე-სობავ, პირადად გეახლოთ და გადახდილი ომის ამბავი მოგახსენოთ!

— როგორ? არ შეუძლია? როგორ თუ არ შეუძლია?! — შაჰ-აბასის ხმამ ისე დაიჭექა, თითქოს სადღაც ახლოს მეხი გავარდა და დედამიწა შუაზე გააპო.

— ზენაარს შეუერთდა მისი სული. ალი ყული-ხანმა თავი დასდო ალაჰისა და თავისი მბრძანებლისათვის!

— ჰა? — უანგარიშოდ იკითხა შაჰმა, ოღონდ ამჯერად ხმადაბლა, შერცხვა, რომ თავიდანვე ვერ მიხვდა, რატომაც აგვიანებდა ალი ყული-ხანი მის წინაშე წარმოდგომას და ამ ძნელი მოვალეობის შესრულებას სიყრმის მეგობარს ანდობდა. — მაშ, ალი ყული-ხანი აღარ არის? ვაჰმე, ეს რა ესმის ჩემს ყურებს! გიაურმა თეიმურაზმა დამარცხება არ მაკმარა და გულით საყვარელი სარდალიც მომიკლა?

შაჰ-აბასმა თავში ხელები წაიშინა და თუმცა რამდენიმე წუთის წინ მზად იყო, გიაურ ღლაპთან ომში დამარცხებული ალი ყული-ხანი სამაგალითოდ დაესაჯა და მისი ბინძური ხორცით სასახლის მწევარ-მეძებრები დაეძღო, გალახული ბალღივით აზლუქუნდა. მის წინაშე ცალ მუხლზე დაჩოქილი ყარჩიხა-ხანი ადგილს ვეღარ პოულობდა, სახეზე სიმწრის ოფლი ჩამოსდიოდა და გულისპირს უსველებდა. აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, მასაც შაჰივით ეტირა, თავში ხელები წაეშინა, თუ კარსუკან დადარაჯებული კარისკაცები მოეხმო და მბრძანებლის დაშოშმინებაზე ეზრუნა.

იმავე დღეს მთელ თვალუწვდენელ სპარსეთში, ქურთის-ტანის მთებიდან ვიდრე სპარსეთის ყურემდე, ყველა წოდების საყოველთაო გლოვა გამოცხადდა. გლოვა სამ დღეს უნდა გაგრძელებულიყო. სატახტო ქალაქის ყველა მიზგითსა და მეჩეთში ალი ყული-ხანისა და მისი დევ-გმირი თანამებრძო-

ლების სულის მოსახსენიებელი წირვა-ლოცვა უნდა გადაეხადათ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებდა ქვეყნის ყველა შეიხი და აიათოლა, ხოლო მესამე დღეს, მიმწუხრზე, ისპაჰანის კედლის კოშკებზე გადმომდგარ ზარბაზნებს დასცლიდნენ და ამით ალაჰისა და ტახტის დიდებისათვის დაღუპულ გმირებს მხედრულ პატივს მიაგებდნენ.

თავი LXII

შაჰი და ისპაჰანის მთელი სამეფო კარი კარგა ბანს ყოყმანობდა, გაეგზავნათ თუ არა ახალი დამსჯელი ჯარი გიაურ თეიმურაზის საქმის მოსათავებლად. ერთადერთი პირობა, რაც ამას ხელს უშლიდა, ის იყო, რომ სულთან მურადის ოსმალეთთან ომი თანდათან გარდაუვალი ხდებოდა. წიწამურის ომის შემდეგ დრო საკმაო იყო გასული. გიაური თეიმურაზი, რომელსაც მრჩევლები და კუდის გამსწორებლები არ აკლდა, ამ დროს უქმად არ დაკარგავდა და მომხვდური მტრის დასახვედრად საომარ თადარიგს გასწვევდა. რამდენიმე წარმატებული ლაშქრობის შემდეგ, შაჰის ჯარებმა რომ განახორციელეს, კახეთის მკვიდრი მოსახლეობა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სპარსეთში გადმოასახლეს, თითქმის განახევრებული იყო, მაგრამ იქ იმდენ ქვითხუროს და ხელისმუშას მაინც იშოვიდნენ, რომ ციხეები შეეკეთებინათ, ალაგ-ალაგ ახალიც აეგოთ და მტერს ყოველმხრივ მომზადებული დახვედროდნენ. თუ ყოველივე ამას იანგარიშებდი, თეიმურაზთან ომი და კახეთის ერთხელ და სამუდამოდ მიწასთან გასწორება სპარსელთა მხრიდან, სულ ცოტა, ოცდაათ-ორმოცათას მეომარს მაინც მოითხოვდა.

არ იყო მისაფუჩეჩებელი არც ის გარემოება, რომ თეიმურაზი, როგორც ქართლის სამეფო კარის სიძე, ბატონიშვილ ხორეშანის თანამეცხედრე, ქართლის ტახტზე თავისი მემკვიდრეობითი უფლებით ისარგებლებდა და ამ უფლების ძალით ქართლსაც სპარსეთის წინააღმდეგ აღძრავდა. მაშინ ომს სპარსეთის მხრიდან იქნებ სამოცი-სამოცდაათი ათასი მეომარიც არა ჰყოფნოდა!

ეს რომ უთხრეს და ყურში ჩააწვეთეს, შაჰი კინაღამ გადაირია, დასაბმელი გახდა. მას არც არასოდეს უფიქრია და წარმოუდგენია, რომ ოდესმე დადგებოდა დრო, როცა მისი

გაზრდილი თეიმურაზი ყელში ძვალივით გაეჩხირებოდა და სულშეგუბებულს თავბედს აწყევლინებდა. ნუთუ ეს აფთარი ის მშვიდობიანი, მორცხვი ჭაბუკი იყო, შაჰის წიგნსაცავში ფეხაკრეფით რომ შედიოდა და ვიდრე სატრაპეზოდ არ მიიწვევდნენ, ფირდოუსისა და საადის, ჰაფიზისა და ომარ ხაიამის ღვთაებრივ ბწკარებს მოწყურებული ნთქავდა. ხელისდადება კახეთი და ისიც განახევრებული, ამ ლაწირაკის თაოსნობით, დღეს მბრძანებელს ურჩობას უბედავდა და ისიც მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელს დანა და ყელი ერთად ჰქონდა!

თქმა არ უნდა, შაჰი თვით წავიდოდა დიდძალი ჯარით, როგორც არა ერთჯერ წასულა, ქართლსაც და კახეთსაც პირადად მოინადირებდა, მოინადირებდა ისე და იმგვარად, რომ იქ სულდგმულს არ დასტოვებდა, მაგრამ ვაი, რომ ახლა ამის მომოქმედება არ შეეძლო, რადგანაც ყალყზე შემდგარი ოსმალეთი მის ყოველ ნაბიჯს ჩასაფრებული ფოცხვერივით თვალს ადევნებდა და უმალ იქ დაპკრავდა, სადაც სუსტ ადგილს უპოვნიდა.

ჩანდა, თეიმურაზი სულთანთან და დიდვეზირთან წინასწარ მოლაპარაკებული იყო, პირობაც ჰქონდა შეკრული და როგორც კი დათქმული ჟამი მოაწევდა, ორივე ეს ძალა სპარსეთის წინააღმდეგ შეთანხმებულად ამოქმედდებოდა.

— გიაურ!.. — ულვაშს იგლეჯდა შაჰ-აბასი და კახეთისა და მისი მეფისათვის სამაგიეროს მისაზღველად სულ ახალ და ახალ გეგმებს ადგენდა. ბოლოს ის იმ აზრზე შეჩერდა, რომ თავისი მოსისხლე მტრებისათვის შეერთების საშუალება არ მიეცა და სანამ ისინი ამას მოახერხებდნენ ორივე ცალ-ცალკე გაენადგურებინა.

თეიმურაზის მიერ ქართლში თავისი გავლენის გამოყენება და იქაური დიდებულების შაჰის წინააღმდეგ ამხედრება ნაკლებ სავარაუდოდ გამოიყურებოდა. თეიმურაზს რომ ეს შესძლებოდა, ქართლის ჯარებს წიწამურშიაც უსიკვდილოდ გამოიყენებდა. შაჰ-აბასს დანამდვილებით მოახსენეს, რომ ის იქ მარტოდმარტო, საკუთრივ კახელი თავად-აზნაურობისა და მათი ყმების ანაბარა იყო. ქართლელმა თავადებმა, ისევ და ისევ სუფრაჯ შადიმან ბარათაშვილის რჩევითა და ჩაგონებით, იმდენი გონიერება გამოიჩინეს, რომ აჯანყებულ კახელებს პირველ დღიდანვე განუდგნენ და ალაჰის გამარისხებელ თეიმურაზისაგან თავი შორს დაიჭირეს.

სარწმუნო ცნობების თანახმად, რომელიც სანდო მსტოვრებმა მოიტანეს, ერთი პირი არც თვით კახელებს შორის იყო. თეიმურაზის მოწინააღმდეგე დიდგვაროვანნი, ვინც დაეით ჯანდიერის მიერ წამოწყებულ შეთქმულებას მხარს ჩანასახშივე არ უჭერდა და ცხრა მთას იქით გადახვეწილი და ხონთქრის ფერხთა მტვრად ქცეული თეიმურაზის კვლავ ტახტზე მოწვევა ქვეყნის დამაქცეველ ქმედებად მიაჩნდა, ჭოეთის ციხეში თავშეფარებულ ისა-ხანს, კახეთის გამგეს მიუვიდა და დაიმედებული, რომ დღეს თუ ხვალ სპარსეთიდან ახალი დამსჯელი ჯარი მოვიდოდა და ყაენის წყალობით ყმა-მამულს შეინარჩუნებდა, იქ გამაგრდა.

შაჰ-აბასმა ერთხანს კიდევ მოიცალა და დარწმუნდა თუ არა, ოსმალები ფეხს ითრევენ და დაზამთრებამდე იქნებ არც კი გამოჩნდნენო, თითქმის მთელი ჯარი, თვით სატახტო ქალაქში და მის გარშემო ბანაკად რომ ეყენა, სალაშქროდ გამოაწყო და სწრაფი სვლით თეიმურაზის წინააღმდეგ გაგზავნა.

თეიმურაზისათვის ეს ყველაზე უფრო არახელსაყრელი დრო იყო, რადგან ყიზილბაშებთან ომი მარტოდმარტო, ოსმალების დაუხმარებლად მოუწევდა და ეს მის გამარჯვებას ერთობ საეჭვოდ ხდიდა.

კავკასიაში მიმავალ ლაშქარს სათავეში აღმოსავლეთის ომებში გამობრძმედილი, ბრძოლებში რამდენჯერმე დაჭრილი და მხოლოდ სასწაულის ძალით გადარჩენილი სარდალი ფეიქარ-ხანი ჩაუყენეს. ვიდრე კახეთში შევიდოდა და იქაურობას ნაცარტუტად აქცევდა, ფეიქარ-ხანს ჯერ შირვანი უნდა დაელაშქრა, აჯანყებულ შირვანელთა ბელადი დელუ-მელიქი, რომელსაც მაღალმა ალაჰმა გზა ისერიგად დაუბნია, რომ თავის ღმერთს ზურგი შეაქცია და გიაურების ბანაკში გადაბარგდა, ცოცხლივ ხელში ჩაეგდო და მერე კახეთს შესეოდა. გზადაგზა ფეიქარ-ხანს უნდა შეერთებოდნენ შუშისა და ერევნის ხანებიც და ერთიანი ძალებით გიაურ თეიმურაზისათვის შეეტიათ!

ახლა, სწორედ ახლა უნდა შესხმოდა ხორცი ჩანაფიქრს, რომელიც შაჰის გულში კარგა ხნის წინათ მომწიფდა და განხორციელებას აქამდე ელოდა. კახეთის მიწა-წყალი ორ ნაწილად უნდა გაყოფილიყო. მისი აღმოსავლეთი მხარე, იორს ზემოთ, შირვანს უნდა შეერთებოდა და მასთან ერთად განძის საბეგლარბეგო შეედგინა, ხოლო დასავლეთი კი მომიჯნავე

ქართლის ნაწილად გამოცხადდებოდა. განძის ბეგლარბეგობის პატივი ფეიქარ-ხანს ერგო იმ პირობით, უკეთუ თავის შეურცხვენელ დროშებს სარდალი ახლაც დიდებით შემოსავდა და აჯანყებულთ შაჰის სამსჯავროზე მხარგაკრულს წარმოადგენდა.

ფეიქარ-ხანის სიმამაცესა და მხედრულ გამჭრიახობაზე შაჰ-აბასი დიდ იმედს ამყარებდა და ეს იმედი არც არასდროს გასცრუებია. ამიტომ ბეგლარბეგობის ხარისხში ამაღლება არ აკმარა და მის მიმართ კიდევ მეტი გულუხვობა გამოიჩინა, რასაც სხვა დროს იშვიათად მიმართავდა. სარდალს საჩუქრად გაუგზავნა თავისი ერთ-ერთი ცოლი, ფაზილე-ხათუნი, ასული გიორგი ქართლის მეფისა, სპარსეთის დედოფალი, რომელსაც სამშობლოში ლელა ბატონიშვილის სახელით იცნობდნენ.

შაჰის ამ მოულოდნელმა გადაწყვეტილებამ ჰარამხანაცა და სამეფო კარიც ერთობ განაცვიფრა და დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ფაზილე-ხათუნი ერთი უპირველესი იყო იმ ცოლებს შორის, რომლებიც ყაენს გამორჩეული სიყვარულით უყვარდა. ის სხვებზე ახალგაზრდა იყო, მოძრავი, ცეცხლოვანი, დიდრონ, შელისებურ თვალებს ვნების აღმძვრელად შემოგანათებდა და ჰარამხანაში შემოსული ასაკგადაცილებული შაჰიც ვერასოდეს ვერ უძლებდა ცთუნებას, სხვა ცოლებს შორის სწორედ ის აერჩია და მასთან ერთად სანთიობოში განმარტოებულიყო.

შაჰსა და მის სატრფოს შორის შავმა კატამ პირველად მაშინ გაირბინა, როდესაც გვირგვინოსან სიძესთან ერთად იმერეთში გადახვეწილი ლუარსაბ მეფე, ღვიძლი ძმა სპარსეთის დედოფლისა, შაჰმა მოტყუებით გორში ჩამოაყვანინა, ჯერ ნადირობის საბაბით ყარაიაზში ჩაიყვანა, იქიდან, აგრეთვე მოტყუებით, სპარსეთის სანადირო ადგილები მოატარა და ბოლოს, აშრაფში გამაჰმადიანება მოსთხოვა. ცოდოა, შენისთანა ვაჟკაცი პირჯვარს იწერდეს და მაჰმადის რჯულს არ აღიარებდესო.

ლელას, უცხო ცის ქვეშ ფაზილე-ხათუნად მონათლულს, გაგიჟებით უყვარდა თავისი ერთადერთი ძმა. ცდილობდა, რაც კი შეეძლო და სადამდეც კი ხელი მიუწვდებოდა, მისთვის შემწეობა არ მოეკლო, მაგრამ ეს უანგარო და-ძმური შემწეობა ხშირად სასურველ მიზანს ვერ აღწევდა და იმედგადაწურულ ქალს ის-ღა რჩებოდა, შაჰის ზიარი სასთუმალი სინანულის ცრემლით დაელბო.

ქართლში ყოფნისას, რომელიც და-ძმისათვის უკანასკნელი გამოდგა, სხვა მის მდგომარეობაში ჩავარდნილ ქალისათვის უპატიებელი გაბედულება გამოიჩინა, სანდო საჰურისის პირით იმერეთის მეფე გიორგის კარზე აცნობა განსაცდელში ჩავარდნილ ძმას, არ წამოხვიდე, არ მიენდო ამ სულთამხუთავს, არც შენს გამზრდელ შადიმან ბარათაშვილს დაუჯერო, იცოდე, გიღალატებს, დაგღუპავსო, მაგრამ იმავე საჰურისის პირით ლუარსაბმა უარი შემოთვალა: გმადლობ, დაო, ასე რომ ზრუნავ ჩემს საკეთილდღეოდ, რომ ჩვენი ტკბილი დედმამიშვილობა არ დაგვიწყებია, მაგრამ რა ვუყო, რომ შაჰის სიტყვის გამრუდება და უარი არ იქნება, მე რომ არ დავნებდე და არ ვეახლო, ქვეყანას წამიხდენს, სისხლით მომირწყავს, ერს სპარსეთში გადამისახლებს და ნუთუ შენ მომიწონებ, რომ თავი მშობელი ხალხის დასაწყეველი და ხატზე გადასაცემი გავიხადოო.

სამეფო ტახტრევნის ჭუკრუტანაზე მიკრულმა ნორჩმა დედოფალმა ერთხელაც მაზანდერანში დალანდა ძმა. დაინახა, რა მარჯვედ ისროდა ისარს, ნადირის ამკრეფები ნანადირევის მოგროვებას ვეღარ აუდიოდნენ. მაშინაც აფრინა სანდო საჰურისი, შეუთვალა, ნუ შერები მაგას, ძმაო, ყაენი ავი თვალით გიყურებს, შენი სიჩაუქით ნუ გადაიკიდებ, ხომ იცი, შურიანია, სხვისი უპირატესობა გულზე ლახვრად ესობა და უბედურებას შეგამთხვევს რამესო.

თავისდა საუბედუროდ, არც მაშინ დაჰყვა ნებას ლუარსაბი. იმავე საჰურისს ლელასთან მადლობა დააბარა და დასძინა, ჩემი საქმე მაინც წასულია, მაგის ხელთა ვარ, აქედან ვერსად გავექცევი და მიჯობს, თავი მხნედ ვაჩვენო, ვიდრე ყურები ჩამოვყარო და იმად ვიქცე, როგორადაც მაგას სურს დამინახოსო.

ლელამ ყველაფერი დაწვრილებით იცოდა, რაც შეუბრალებელმა შაჰმა მის სათაყვანებელ ძმას დამართა, რომ ის ახლა შირაზში, გულაბ-ყალაში იჯდა და ქრისტეს ჯვარზე კვლავინდებურად სასოებით მლოცველი თავის ხვედრს ელოდა, ყველაფერი იცოდა, იცოდა ისიც, რომ მოსაწყლებითა და ხვეწნა-მუდარით თავისი ამაყი ძმის ღირსებას შაჰის წინაშე ძირს დასცემდა და მხოლოდ იმით კმაყოფილდებოდა, რომ პაპის ტოლ აეხორც თანამეცხედრისათვის ქალური სიცივე ეგრძნობინებინა და რამდენადაც შეეძლო, თავი მისგან შორს დაეჭირა.

— რა მოგდის? — ჰკითხა ერთ დღეს შაჰმა.

— არაფერი, თქვენო უდიდებულესობავ, ცოტა უღონოდ შევიქენი.

— უღონობას დიდი ხანია გამჩნევ, თუ არ სცრუობ და თვალებში ნაცარს არ მაყრი, ბერიკაცია, მაინც ვერაფერს მიხვდებაო. კარგად მესმის, რა უღონობაც შეგყრია და გიჯობს სიმართლე მითხრა, ტყუილით, ხომ იცი, ჩემთან ფონს ვერ გახვალ!

— სად არის ჩემი ძმა ლუარსაბი?

— შენ აქ, ჩემს წინაშე, რა უფლების ძალით ახსენებ უცხო მამაკაცის სახელს? არ იცი, მაგისთვის რა მოგელის? თუ გგონია ვერ გაგიმეტებ?

— ლუარსაბი უცხო მამაკაცი არ გახლავთ, თქვენო უდიდებულესობავ, ის ჩემი ძმაა!

— ალაჰის ნებით, ერთადერთი მამაკაცი მე ვარ, ვისი სახელიც შენ შეიძლება ახსენო და პირიც აჩვენო, ყველა სხვა, ჩემს გარდა, გინდა შენი ღვიძლი ძმაც იყოს, შენთვის უცხო მამაკაცია! ალაჰს ასე დაუდგენია და ჩვენ მოვალე ვართ, მის მცნებას მივდიოთ! რაკი ეს პირველად გესმის, ანდა გსურს ასე მომაჩვენო, შენი სილამაზისათვის და ამაღამდელ სიტკბოებისათვის მიპატიებია, მეორედ კი...

შაჰ-აბასმა არ დაამთავრა, მხოლოდ მუქარის დასადასტურებლად მაჰმადის წვერი დაიფიცა.

— რა დააშავა ლუარსაბმა, ჩემმა ძმამ, ხელმწიფევ? გულაბ-ყალაში ამოსალპობად რისთვის გაიწირა? ან ქართლის მამისეული ტახტი რისთვის წაჰგვარეს? აკი თქვენი უდიდებულესობის საყვარელი ცოლისძმა იყო და იმერეთიდან ალერსით გამოიხმე?

— ფაზილე-ხანუმ, ალაჰსა ვფიცავ, შენ სარგებლობ ჩემი გულკეთილობით და იმით, რომ მიყვარხარ! სხვა შენს ადგილზე მაგ სიტყვებისათვის თავს ლომების გალიაში ამოჰყოფდა!

— ნურც მე დამზოგავ, ხელმწიფევ, თუკი გული მაგას გეუბნება!

— შენ იცი, ფაზილე-ხანუმ, რომ ამ სიტყვებით ჩემთან დედამიწის ზურგზე ჯერ არც ერთ ქალს არ ულაპარაკია. შენ პირველი ხარ. ეტყობა, მართლა დავბერდი, მაგრამ შენ მაინც გირჩევ, ზედმეტი იმედი არ იქონიო. კაცმა არ იცის, ოფოფები როდის მომიელის! რაც შეეხება გურჯისტანის ტახტს, რომლის ჯავრიც შენ გულში ჩაგრჩენია, ხედავ, რომ მე მას ვინახავ,

არავის ვაძლევ, თუმცა მუშტარი ბევრი მახვევია. ველი ლუარსაბის გონივრულ გადაწყვეტილებას. მე იქ მაჰმადის რჯულის აღმსარებელი მეფე მჭირდება, რომ ერიც თავის რჯულზე მოაქციოს და თავს ბედნიერად ჩავთვლი, თუ ის შენი ძმა ლუარსაბი აღმოჩნდება!

— არასოდეს! ლუარსაბი ქრისტიანია და სანამ პირში სული უდგას, ქრისტიანად დარჩება!

— ეგ იგივეა, ფაზილე-ხანუმ, რომ კაცმა საკუთარი თავის მოკვეთის განაჩენს ხელი მოაწეროს!

შაჰ-აბასი ამ სიტყვებით ადგა, ცოლის მსხვილი ნაწნავი ჭაღარა ჯაგრით დაფარულ მკერდიდან გადაიგდო, ფეხი ხის ქოშებში წაჰყო, ადგა და ცივად გავიდა სანთიობოდან. ამის შემდეგ ისინი ერთმანეთს აღარ შეხვედრიან, არც მათი პირველი და უკანასკნელი ცოლ-ქმრული შელაპარაკების ამბავი გახმაურებულა. ლელას თვალგახელილს ეძინა. დღე-დაღამ მოელოდა, რომ ჰარამხანაში შაჰის მცველი საჭურისები შემოვიდოდნენ, ხელებზე ბორკილს დაადებდნენ და ჯალათი-სათვის გადასაცემად წაიყვანდნენ. ლოდინი ერთობ გაჭიანურ-და. ბოლოს ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ საჭურისები მართლაც მოვიდნენ, მაგრამ ის არა ჯალათისათვის გადასა-ცემად, არამედ კავკასიაში კახბატონ თეიმურაზის დასამხობად მიმავალი ფეიქარ-ხანის ბანაკში წაიყვანეს, სადაც ცალთვალა ფეიქარ-ხანმა დიდისდიდებით მიიღო და როგორც მისი ჰარამხანის მშვენება, ამიერიდან სარდლის უპირველესი ცოლი, საზეიმოდ მორთულ-მოკაზმული სალაშქრო კარავში შეიყვანა.

თავი LXIII

თეიმურაზის მიერ კახეთის დატოვებისა და კვლავ ლიხგადაღმა გადასვლის ამბავი შაჰს სომხეთში, გოგჩის ტბის მიდამოებში მოუვიდა, სადაც იმავე წლის დამლევს დიდვეზირ მეჰმედ-ფაშას ასიათასიანი არმიის დასახვედრად გაჩნდა და მტერთან შესარკინებლად დაბანაკდა. ოსმალეთთან საქმის გათავების შემდეგ, რომელშიაც გამარჯვება მის ეკვს სრული-ადაც არ იწვევდა, შაჰს განზრახული ჰქონდა, ქართლის საქმეც მოეგვარებინა და იქ ტახტზე დელი-სიმონის გამაჰმადიანებუ-ლი ძმისწული, აგრეთვე მაჰმადიანი დაუდ-ხანის ძე ბაგრატ-მირზა დაესვა.

აბასმა კარგა ხანს იყოყმანა, სანამ ამ საბოლოო გადაწ-
ყვეტილებას მიიღებდა და თავის არჩევანს ბაგრატ-მირზაზე
შეაჩერებდა. ბაგრატი ტახტის უშუალო მემკვიდრე არ იყო
და გიორგისეულ ტახტზე მის აყვანას ვაითუ ქართლელ
დიდებულთა უკმაყოფილება მოჰყოლოდა, რაც ახალ თავსა-
ტეხს გაუჩენდა, მაგრამ იმ უსიამო საუბრის შემდეგ, შაჰსა
და მის ერთ-ერთ ცოლს, ფაზილე-ხათუნს შორის ჰარამხანის
სანთიობოში რომ შესდგა, რაკი შირაზის გულაბ-ყალაში
გამომწყვდეული ლუარსაბი გათათრებაზე კვლავ უარს ამბობ-
და და მამა-პაპის სარწმუნოებას თავგამოდებით ებღაუჭებო-
და, საქმე ბაგრატ-მირზას სასარგებლოდ გადაწყდა და
შაჰ-აბასსაც აღარ დაუყოვნებია, ტახტზე დამტკიცების და-
უსრულებელ მოლოდინში გაჭაღარავებულ მირზას ქართლში
გაბატონება მიულოცა და ლაშქრობაში თან წამოიყვანა.

ქართლის მეფე გიორგის მშვენიერი ასულის, სპარსეთის
ყოფილი დედოფლის სიახლოვით გაბრუებულმა ფეიქარ-ხანმა,
ცა ქუდად რომ აღარ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად, სანამ
კახეთში შევიდოდა და ერთგულების ფიცის გამტეხ თეიმუ-
რაზს პირისპირ შეებმოდა, აბასის წინდახედული დანაბარები
ზედმიწევნითი სიზუსტით შეასრულა: მალემსრბოლები გზი-
დანვე აფრინა და ლეკებსა და ყუმიყებს შეუთვალა, ამდენი
და ამდენი ჯარით მოვდივარ, ალაჰის წყალობით შუშისა და
ერევნის ხანებიც ჩემთან არიან, მალე მანდ ვიქნები და აბა,
თქვენ იცით, კახელებს სახიზრებისაკენ მიმავალი გზები
მოუჭერით, წაიღეთ, რის აკიდებასა და წაღებასაც შესძლებთ,
ვაჟკაცობით ნაშოვნ ქონებაში არავინ შეგეცილებითო.

ძარცვასა და ტყვევნას ჩვეულ მთიელებს ამისი გაფრთ-
ხილება და ომში საგანგებოდ მიპატიჟება როდი სჭირდებოდა.
ვისაც კი იარაღის ტარება შეეძლო და მუხლი უჭრიდა, შინ
აღარავინ დარჩენილა. ვიდრე თეიმურაზი ფეიქარ-ხანის მძვინ-
ვარე ლაშქრის ღირსეულად დახვედრის თადარიგში იყო და
თავის ცხრა ათას მოლაშქრეს მტრის შესაძლო მოძრაობის
ყველა მიმართულებით ანაწილებდა, ხალხი ციხეებსა და
სახიზრებს მიაწყდა. უადგილო ადგილას ჩასაფრებული მარ-
ბიელებიც სწორედ ამას ელოდნენ. მთის ბილიკები დახოცილ-
თა გვამებით მოიფინა. საიდანღაც გუნდ-გუნდად მოფრენილი
ყვავ-ყორანი ზედ აცხრებოდა უთანასწორო ომის მსხვერპლთ,
ქვა აღმართში რომ მოეწიათ და ორცეცხლშუა აღმოჩნდნენ,
ცოცხლებს არ ეპუებოდა და გულის გამგმირავი ყრანტალით

გვამებს ჭირისუფლის თვალწინ ფლეთდა. ან ჭირისუფალი სადღა იყო! ყველა მდინარე და ნაკადული ფერდობებიდან ჩამონაყოლი სისხლით იღებებოდა.

კახეთში ფეიქარ-ხანს თვალწინ მის მიერ მოწვეულ მარბიელ მთიელთა ნამოქმედარი წარმოუდგა. თმაქოჩორა მთის ძირებში ფუტკრის ნაყარივით შეფენილ სოფლებს, სადამდეც კი თვალი სწვდებოდა, ცეცხლი ეკიდა. ცეცხლი ნთქავდა ტყესა და მინდორს. იწვოდა თივისა და ჩალის ზვინები, იწვოდა მწვანე გორაკებზე გადმომდგარი, დიდრონ მუხებსა, ნეკერჩხლებსა და ცაცხვებში შეფარებული ეკლესია-მონასტრები. ნასოფლარებში უპატრონოდ შთენილი ძაღლების გულისმომწყველი გნიასი იდგა. შინ დარჩენილ ღონეგამოლეულ ბერიკაცებს და კანდრიკით წელში მოდრეკილ დედაბრებს, სახლ-კარისა და ეზო-კარმიდამოს ბურჯთ, აქაოდა მიუვალ ხეობებში გახიზნულ ჯალაბს ხელით სათრევი არ გაეუხდეთ და მსახვრალი მტრის ხელში მათი ჩაგდების მიზეზი არ გავხდეთო, სისხლისღვრით შეზარხოშებული მომხვდურნი ჭიშკრის თავხეებზე ჰკიდებდნენ და ქვემოდან ხმელი წალმის ცეცხლს უკეთებდნენ. ეს ნამდვილი მეორედმოსვლა იყო, რომლის მსგავსი ჯერ ქვეყნიერებას არ მოსწრებოდა. უპატრონოდ დაყრილ ცხვრის ფარებსა და პირუტყვის ჯოგებს მხარზე შუბგადებული გულხარბი მარბიელები უვლიდნენ თავს. მათ ცალი თვალი ყიზილბაშებზე ეჭირათ და უმალ სიცოცხლეს დასთმობდნენ, ვიდრე ფარას თუნდ ერთი ჰედილა მოაკლდებოდა!

კახბატონ თეიმურაზის მცირერიცხოვანმა ლაშქარმა, სულ ცხრა ათასმა ცხენოსანმა და ქვეითმა, რომლის მესამედი დაჭრილ-დასახიჩრებული იყო და ბრძოლის ველიდან გაცლასა და ჭრილობების შეხვევას საჭიროებდა, ერთ კვირასაც ვერ გაუძლო ფეიქარ-ხანის რიცხვით უმეტესი ლაშქრის შემოტევას. ჭოეთი უამისოდაც მტერს ეკავა. ზედიზედ დაეცნენ ყვარლის, თორღის, ალავერდისა და ბახტრიონის ციხეები. თითო კაცზე ყიზილბაშთაგან სამი-ოთხი კაცი მოდიოდა, ხოლო თუ ამათ მთებიდან დაშვებულ მარბიელებსაც დაუმატებდი, ადვილად მიხვდებოდი, რომ სისხლისმღერელი ომის სასწორი სპარსელთა მხარეს გადაიხარა და რომ საშველი აღარსაით იყო.

მხარგაკრულ ტყვეებს, ქალსა თუ კაცს, ყოველის მხრიდან კინწისკვრით მოერეკებოდნენ და თავს ერთ ადგილას უყრიდ-

ნენ. ეს ის უბედურები იყვნენ, ხვალ-ზეგ, როცა საკმაო რიცხვი მოგროვდებოდა, ერთიმეორეზე თოკით გადაბმულნი თავისი მშობლიური მიწა-წყლიდან რომ უნდა გაეყვანათ და სპარსეთის უნაპირო უდაბნოებში საშვილიშვილოდ დაესახლებინათ.

თავზეხელაღებულ ადგილობრივ მცხოვრებთა მოუხელთებელი რაზმები ღამ-ღამობით თავს ესხმოდნენ უკვე გასაგზავნად მომზადებულ ტყვეთა ბანაკებს და თითო-ოროლა ტყვეს იტაცებდნენ, მაგრამ ბადრაგი ფხიზლობდა და როგორც თავდამსხმელთ სადმე სიახლოვეს დაიგულებდა, განგაშს ატეხდა და ისინიც იძულებული ხდებოდნენ, აქაურობას გასცლოდნენ და თავი ტყისთვის მიეცათ, რათა მომდევნო ღამის სიბნელით ისევ ესარგებლათ და ბედი განმეორებით ეცადათ.

მთელი სპარსეთის, მათ შორის ჰამადანის მცხოვრებთა ყურადღება, რომელთა შორისაც დედოფალი ქეთევანი და მისი მხლებლებიც იგულისხმებოდნენ, კავკასიისაკენ იყო მიპყრობილი. იქიდან ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ხმა, ტყუილი და მართალი მოდიოდა. ეს ცნობები ერთმანეთს ემატებოდა და ისედაც დაბურდულ ომის ამბებში კიდევ მეტი არევ-დარევა შეჰქონდა.

ჩამოხეულ-ჩამოგლეჯილ ქართველ ტყვეთა ახალი ნაკადები ჩრდილოეთ სპარსეთში შუა ზამთარში გაჩნდა და გამოზაფხულებამდე აღარ შეწყვეტილა. თუ არ აზვიადებდნენ, მათი საერთო რაოდენობა რამდენჯერმე მეტი იყო, ვიდრე ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის პირველი აყრისას და ცხრა მთას აქეთ გადმოსახლებისას და თუ ამის მიხედვით იმსჯელებდი, ცხადი ხდებოდა, რომ კახეთმა ამ საშინელ შემოსევისას ბევრად უფრო დიდი რბევა განიცადა, ვიდრე აქამდე განეცადა. ადგილობრივ მოსახლეთაგან, ეტყობოდა, თითქმის აღარავინ დარჩა, ყველამ ერთი ბედი გაიზიარა. ტყვეთა დაუსრულებელი მდინარეები შუა სპარსეთის უდაბურ გზებზე მიედინებოდნენ, ჰამადანიდან მრავალი დღის სავალის დაშორებით და სიშორის გამო იქამდე ხმის მიწვდენა ან იქიდან რისამე შეტყობა შეუძლებელი იყო.

მიცვალებულთა მოხსენიების დღეს, მარტის 11-ს გაჩნდა ცნობა იმის თაობაზე, რომ კახბატონი თეიმურაზი და მისი სახლეული, რომელმაც მტრის მჭიდრო ალყა დიდძალი მსხვერპლის ფასად გაარღვია და რის ვაივაგლახით სამშვიდობოს გავიდა, თავს კვლავ ლიხგადაღმა აფარებდა, ხოლო უპატრონოდ და უსახსროდ მიტოვებული კახეთის ერთადერთი

ბატონ-პატრონი ფეიქარ-ხანი დაუბრკოლებლივ თარეშობდა, გაპარტახებულ ქვეყანას ეს მერამდენედ ძარცვავდა და ქვას ქვაზე ადუღებდა.

მღვდლებმა სამადლობელო პარაკლისი გადაიხადეს. შეიმოსნენ, სანთლები აანთეს, საცეცხლურები მოიმარჯვეს და დაჩოქილ მრევლთან ერთად ლოცვა აღავლინეს, რომ ღვთის ნებით ქვეყანას მირონცხებული მეფე და მისი სახლეული გადაურჩა და ჯერ კიდევ ყველაფერი არ იყო დაღუპული.

ქეთევანს გული შეულონდა, სასოებით მლოცველი წაიქცა და ძლივს-ღა მოაბრუნეს. გარდა მოახლე თუთასი, ბატონიშვილ ალექსანდრეს მადლიანი ძიძის სალომეს შემდეგ რომ დაიახლოვა და საწოლშიაც თავისთან იწვენდა, სამ დღეს მის ნახევრადბნელ სენაკში აღარავინ შესულა. ყველას თვალი და ყური აქეთ იყო. თუთას გამოსვლას და გამოჩენას მზის ამოსვლასავით ელოდნენ.

თანდათან გამოიკვეთა ქართლის ამბავიც. თუ სუზდალიდან შემახანში გამოელილ რუს ვაჭრებს, რომელთაც გზა შორეულ ინდოეთისაკენ ედოთ, რაიმე დაეჯერებოდათ, იქ თანახმად ცათა სწორ შაჰ-აბასის ნება-სურვილისა, ვალის ტახტი უკვე ბაგრატ-ხანს ეპირა და მუდამ საკუთარი მეფის კრიჭაში მდგომი ქართლელი დიდებულებიც თანდათან ქედს იხრიდნენ ახალი გვირგვინოსანი ბატონის წინაშე. რომ არ მოეხარათ, სხვა რა გზა ჰქონდათ! ბაგრატ-ხანის ზურგსუკან თვით ძლევამოსილი შაჰი იდგა, რომლის ძლიერების შიშითაც ყველა მეზობელი დიდი და მცირე ხელმწიფე ცახცახებდა.

შვილისა და საბატონო ქვეყნის ჯავრით დაზაფრულმა და გამუდმებული ლოცვითა და მარხულობით მისუსტებულმა ქეთევანმა, როდესაც ეს ამბავი მოახსენეს, მეხსიერება დაკარგა და ძლივს გაიხსენა, ვინ უნდა ყოფილიყო ეს გადაგვარებული ქართლელი ბაგრატიონი, ვის მიმართაც შაჰმა ასე დიდი წყალობა გაიღო და ლუარსაბისეული ტახტი უბოძა. თუ ალღო და ხსოვნა არ ღალატობდა, ეს უნდა ყოფილიყო ის ბაგრატ-მირზა, დღეს უკვე ხანი, ყაენის ყურმოჭრილი მონა, ვინც ანდუყაფარ ამილახვრის ასულ თამარის ხელის სათხოვნად შაჰ-აბასმა ქართლში გაგზავნა და ვინც სპარსეთის მომავალი დედოფალი, შაჰის ერთ-ერთი უსაყვარლესი და გავლენიანი ცოლი, დიდი და დიდებული ამალის თანხლებით, სამშობლოდან ისპაჰანში ჩამოიყვანა.

თავი LXIV

ოსმალეთის დიდი ვეზირი მეჰმედ-ფაშა, რომელსაც პირგამეხებული შაჰ-აბასი მკათათვის შუა რიცხვებამდე გოგჩის ტბის მიდამოებში ელოდა, არზრუმს მისდგომოდა და, მისთვის რომ გეკითხათ, სამი გამაგრებული ქალაქის — არზრუმის, ყარსისა და ერევნის აღებას აპირებდა. ეს ის დრო იყო, როდესაც შაჰ-აბასი მთელი თავისი ჯარით კვლავ კახეთისაკენ გეგმავდა გალაშქრებას, რადგანაც ამბავი მოსულოდა, ჯანდიერი, ჩოლოყაშვილები, ვაჩნაძეები და დელუ-მელიქ შირვანელი, კახბატონ თეიმურაზს განდევნილობაში რომ ახლდნენ, მისივე ბრძანების თანახმად იმერეთიდან გადმოსულან, თქვენი უდიდებულესობის შორს ყოფნით უსარგებლიათ, ფშავ-ხევსურეთსა და ერწო-თიანეთში გახიზნული თავიანთი ხალხი გამოჰყავთ, ძველ ნაფუძარზე აბრუნებენ და ახალი სისხლიანი ამბოხების მოსაწყობად ემზადებიან, რათა ფეიქარ-ხანი კახეთიდან გააძევონ და იქ მეფედ ისევ თეიმურაზი მოიწვიონო.

შაჰი გაშმაგდა, ჩვეულებისამებრ, ბნედამ შეიპყრო. თეიმურაზი რომ სადმე ახლოს ჰყოლოდა, კბილით დაგლეჯდა, მაგრამ თავს მალე მოერია, ფხიზელ გონებას მოუხმო და რადგანაც ლაშქარმრავალი ოსმალები უფრო საშიშ ძალად მიაჩნდა, დღეც აღარ დაუხანებია, მეჰმედ-ფაშას ჭკუის სასწავლებლად პირდაპირ არზრუმისაკენ გაეშურა. არზრუმის ციტადელში ჩაყენებულ მეცხოვნე ჯარს სწორედ რომ სულზე მოუსწრო. კიდევ რამდენიმე დღეც და თავიანთი ციხგრეველი ზარბაზნების გრიალში ოსმალები პირველ გამარჯვებას იზეიმებდნენ და მერე, ვინ იცის, პირველ გამარჯვებას მეორე და მესამეც მოჰყოლოდა.

ბრძოლა მოხდა გაშლილ ადგილას, ჩილდირის ტბის მიდამოებში, მკათათვის 26-სს. მიუხედავად ჯარის რიცხვობრივი უპირატესობისა, ოსმალები სასტიკად იძლიენენ, უკან უწესრიგოდ დაიხიეს და ფეხი ველარსად მოიკიდეს, თორმეტი მარტო ზარბაზანი დაჰკარგეს და შაჰ-აბასის არმიების შემდგომი წინსვლა რომ როგორმე შეეკავებინათ და ამოსუნთქვის საშუალება მიეღოთ, ზავი ითხოვეს.

შაჰმა თავი ისე დაიჭირა, თითქოს ზავზე ლაპარაკიც არ უნდოდა, ნამდვილად კი ახალი ძალების მოსვლამდე, რომელთაც არსაიდან ელოდა, ბრძოლის გაგრძელება გაუჭირდებოდა. წინ კახელებთან და შირვანელებთან ახალი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება იდო.

დიდი ჯანჯლობისა და თავპატიჟის შემდეგ საზავო მოლაპარაკება მაინც გაიმართა და დაბალი ღობე, ისევე როგორც ურმიის ტბასთან 1603 წელს, აქაც ოსმალთა მხარე აღმოჩნდა. შაჰის ნდობით აღჭურვილმა პირებმა ოსმალო ფაშას თავიანთი პირობები უკარნახეს და სანამ ის არ დათანხმდა, საზავო ხელშეკრულებას ხელი არ მოაწერეს.

შაჰი არზრუმში დიდხანს აღარ გაჩერებულა. კვირანახევრის შემდეგ გუდა-ნაბადი აიკრა და მოულოდნელად სამშობლოში გაბრუნდა. დაახლოებულმა პირებმა საიდუმლო გამოიტანეს და ჯარში გაავრცელეს: სიზმარი უნახავს, ეითომ ავღანელები აჯანყებულიყვნენ, ჰინდიკუშის მაღალი მთები გადმოელახოთ, უდაბნოები გამოეცლოთ, ისპაჰანს გარს შემორტყმოდნენ და ალი-ყაფუსა და ლოთფოლას მიზგითისათვის, ჩაჰარ-ბაღის მეორე მხარეს, ქარვასლასა და მედრესეს შორის რომ დგას, ზარბაზნები დაეშინოთო.

აბასი ბალღობიდანვე ცრუმორწმუნე იყო. ეშმაკებისა და ქაჯების არსებობა ხანდაზმულობაშიაც კი სჯეროდა და სიზმარსაც ალაჰისაგან მოელენილ წინასწარმეტყველებად თვლიდა. საბოლოოდ მხოლოდ მაშინ დამშვიდდა და გული საგულეს ჩაუდგა, როცა ცისკიდურზე, კალთებჩამოთოვილი ლურჯი მთების წინ ისპაჰანის მოელვარე გუმბათები და ცამდე აზიდული მინარეთები გამოჩნდა და არამცთუ აჯანყებული ავღანების ზარბაზნების გრიალი, უბრალო ჩქამიც კი არსაიდან ისმოდა. ჰაერში თეთრი მტრედების გუნდები დაფრინავდნენ. ეს უკვე ისპაჰანის სამტრედეებიდან აფრენილი მტრედები იყო, რომლებიც უცხო ქვეყნებიდან დაბრუნებულ ყიზილბაშთა ლაშქარს ფრთების ფარფატით თავზე ასხდებოდნენ და თითქოს მტერზე კიდევ ერთ გამარჯვებას ულოცავდნენ.

შაჰ-აბასს გულში ჩაეცინა, ავღანელების ზარბაზნები ნეტავ რამ დამასიზმრა, როდის იყო, შუბისა და შვილდ-ისრის გარდა მაგ საცოდავებს რაიმე გააჩნდათ, ან მეშხედს აქეთ როდის გადმოსულან, ეტყობა, ურჯულო ოსმალების ზარბაზნების ხმა ძილში ჩამყვა და ყველაფერი ავღანებზე გადავიტანეო.

ისპაჰანის გარე კედლიდან ადრევე შეენიშნათ შაჰისა და მისი ლაშქრის მოახლოება. სატახტო ქალაქი ზეიმითა და დროშების ფრიალით მოეგება თავის ცათა სწორ მბრძანებელს. საომარ კაბა-ჯუბაში ჩაცმული და დარახტულ ზერდაგზე ამხედრებული ყაენი მედიდურად წინ მოუძღოდა თორმეტ რიგად დაწყობილ ჯარს, რომელსაც ბოლო არ უჩანდა, და მაღლა აწეული კოტიტა ხელით შესახვედრად გამოზვავებულ ლიანგს მიესალმებოდა.

არც საღამოს და არც მომდევნო დღეს შაჰ-აბასის საამაყო ალი-ყაფუში, რომლის აშენებასაც სრული თხუთმეტი წელიწადი მოანდომა, ჩვეულებრივი ხალხმრავალი ნადიმი არ გამართულა. ნადიმს შაჰ-აბასი ყოველი დიდი ლაშქრობის ძლევამოსილად დამთავრების შემდეგ მართავდა და სასახლის დიდკაცებთან ერთად სუფრაზე უცხო ხელმწიფეთა ელჩებსა და დესპანებს იწვევდა. ჯარის გასამასპინძლებლად მეიდანე შაჰეზე იშლებოდა ათპირი სუფრა. ყიზილბაშები ფარდაგზე მოიკეცავდნენ, ნოყიერ ფლავს ორივე ხელით პირში იტენიდნენ, ქონიან თითებს ილოკავდნენ და გამაყრუებელი ვაშას ძახილით მიესალმებოდნენ თავიანთ უხვ და ხელგაშლილ მბრძანებელს, როდესაც მისი უდიდებულესობა სტუმრების თანხლებით სასახლის აივანზე გადმოდგებოდა და ჯარსა და ხალხს დაენახვებოდა.

მხოლოდ მილოცვის მიღებაზე არ უთქვამს უარი. ესპანეთისა და შეერთებული საშეფოს, პორტუგალიისა და ნეაპოლის, დიდი მოგოლისა და ამომავალი მზის ქვეყნის, ავსტრიისა და რუსეთის ელჩები რიგ-რიგობით მიდიოდნენ, თავს მიწამდე უხრიდნენ და თავ-თავიანთი თარჯიმნების პირით ყველასათვის საძულველ ოსმალეთზე გამარჯვებას ულოცავდნენ.

აბასი დაღვრემილი იჯდა, ომში გამარჯვებულს სულ არა ჰგავდა, მილოცვებს დაღვრემილი იღებდა და ერთი რომ მოათავებდა, მზერა ახლა შემდგომ მომლოცველზე გადაჰქონდა. გული ეთანაღრებოდა და ამის საბაბიც ჰქონდა. საქმე დამთავრებულად და ბოლომდე მიყვანილად არ მიაჩნდა. მხდალი ოსმალები, რომლებიც ბრძოლის ველიდან არა ერთჯერ და ორჯერ გაექცია, იოლად გადაურჩნენ. მას შეეძლო კახეთიდან ფეიქარ-ხანი დაებარებინა, შუშისა და ერევნის ხანებისათვის ჯარების შეესება მოეთხოვა და უწესრიგოდ უკან დახეულ მეპმედ-ფაშას ანატოლიის სივრცეებზე დასდევნებოდა, მაგრამ, რა ძნელიც არ უნდა ყოფილიყო ამის აღიარება, გიაურ თეიმურაზის შესაძლო გამოჩენამ დააბრკოლა.

იმავე ხელშეკრულების ძალით, რომლის თანახმადაც ქართლ-კახეთი სპარსეთის ხელდებულ ქვეყნებად ირიცხებოდა, ლიხგადაღმელ გურჯთა ქვეყანა, იქაური სამეფო-სამთავროები სულთნის ხელდებული იყო. ვერაგ თეიმურაზს ხელს არაფერი უშლიდა, იმერთა მეფე გიორგი, დადიანი, გურიელი და სვან-აფხაზი სპარსეთის წინააღმდეგ აემხედრებინა, თავისი მცირე ჯარით, კახეთიდან რომ გამოიყოლა, მათ წინ გამოსძღოლოდა და შაჰისათვის ზურგში დაერტყა. მაშინ ძალთა თანაფარდობა უეჭველად შეიცვლებოდა და ეაითუ შაჰს ბრძოლის ველზე სირცხვილი ეჭამა!

იყო მეორე ვარაუდიც: ვინ დაუშლიდა განდევნილობაში მყოფ თეიმურაზს, ფეიქარ-ხანის კახეთიდან წასვლით ხელი მოეწყო, თავისი ძმობილი დელუმელიქ შირვანელიც გვერდში ამოეყენებინა, კახეთს გადასულიყო და წაგვრილი ტახტი ისევ დაეჭირა?!

ასე და ამგვარად, საქმე თავიდან გამოსაწყები ხდებოდა, მსხვერპლიც ხელახლა უნდა გაეღოთ და იქნებ არც ერთი ეს არ მომხდარიყო, დედოფალ ქეთევანს საშოში ეს გიაური რომ არ ჩასახვოდა და ამ ქვეყანას ის საერთოდ არ მოელენოდა!

ქეთევანი! სად იყო ქეთევანი? როდესაც მოიარებით უპასუხეს, ჰამადანშია, თქვენი უდიდებულესობის შემდგომ ბრძანებას იქ ელოდება და თუ ისურვებთ, ფიცხლად რაზმს გავგზავნით და გაახლებთო, შაჰმა თავშეკავებული უკმაყოფილება გამოთქვა, ეგ მე აქამდე არ ვიცოდი, ვისი ნებითაა, ჩემი საყვარელი სიდედრი ჩემგან ასე შორს რომ დაუბინავებიათო, ახლავე აქ ჩამომგვარეთ და ბინად ყველაზე დიდებული სასახლე მიუჩინეთ, მის წარმომავლობას და დედოფლობას რომ ეკადრებაო.

რაკი ქეთევანი გაიხსენა და მისი სატახტო ქალაქში ჩამოყვანა ბრძანა, შაჰმა მძევლები, სამკედრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებული კახბატონ თეიმურაზის შვილები, ლევანი და ალექსანდრე მოიკითხა. ძმები სასახლეში აღმოჩნდნენ. მათ თვით შაჰის უშვილძირო და, ყარჩიხა-ხანის თანამეცხედრე ლეილა-ხანუმი მფარველობდა, პატარა ალექსანდრეს გურჯი გადიაც ახლდა და შაჰის წინაშე მათ წარმოდგენას წინ არაფერი უდგა.

ყაენი არ აჩქარებულა, კახი მირზების მოყვანა არ მოუსურვებია, მაგრამ საღამოს, ჰარამხანიდან სასეირნოდ სასახლის წალკოტში რომ გამოვიდა, პატარა ძმები ისევ გაახსენდა, ტაში შემოჰკრა, საჭურისი მოიხმო და მათი მოყვანა ბრძანა.

საჭურისები მოქრთამული და გაფრთხილებული იყვნენ ლეილა-ხანუმისაგან, თუ მწყალობელმა შაჰმა მძევლები მოიკითხოს, ალაჰის მადლმა, პირველად მე შემატყობინეთ, ჩემს შეუტყობინებლად ბალღებს ნუ მიუყვანთო. ხანშიშესულ უნაყოფო ქალს, საკუთარი შვილის მკერდში ჩაკვრა და ალერსი აუხდენელ ოცნებად რომ გადაქცეოდა, გურჯისტანიდან ჩამოყვანილი მძევალი ბატონიშვილები ღვიძლი შვილებივით შეჰყვარებოდა, შეტადრე მზრუნველი გამდლის კალთაზე გამობმული ალექსანდრე, რომელიც თითქმის მის თვალწინ წამოიჩიტა და უფრო ადრე თავს გაიმეტებდა საწამებლად, ვიდრე ძმას მათთვის რაიმე ზიანის მიყენების ნებას მისცემდა. მაგრამ ამ სურვილს შესრულება არ ეწერა, რადგან შაჰის ძლევამოსილების წინაშე მისივე ღვიძლი დაც ისევე უღონო და უფლებამოკლებული იყო, როგორც ტახტის ყველა სხვა ქვეშევრდომი. აქ მხოლოდ შაჰის ბრძანებებს ასრულებდნენ, ასრულებდნენ ზუსტად და სიტყვაშეუბრუნებლად. მათი შეყოვნება ან გაუქმება მხოლოდ იმას შეეძლო ედო კისრად, ვისაც თავი სასიკვდილოდ გადადებული ჰქონდა.

შეიტყო თუ არა, ჩემი სისხლისმსმელი ძმა მძევლებს იბარებს და მათ მამაზე, კახბატონ თეიმურაზზე განრისხებულმა ვაითუ ჯავრი შვილებზე იყაროსო, თავზარდაცემულმა ლეილა-ხანუმმა ბავშვებისათვის განკუთვნილ ოთახს მიაშურა, სადაც აქ დამკვიდრების დღიდან ისინი ღამეს თავიანთ გადიასთან, სამშობლოდან ჩამოყოლილ გლეხის ქალ სალომესთან ერთად ათევდნენ და კარი შეაღო.

ლეილა-ხანუმს საბედისწეროდ დააგვიანდა. ბატონიშვილები უკვე წაეყვანათ. მათი წასვლის შემდეგ ოთახში მარტოდმარტო დარჩენილი გადია სალომე პირქვე დამხობილიყო, ლონემიხდილი თავს იატაკზე ანარცხებდა, ღაწვებს იხოკდა და სისხლითა და ცრემლით მოთხვრილი მოსთქვამდა, ჩემი ძუძუთი გაზრდილო ალექსანდრე, ჩემო შალხაზო ბიჭო ლევან, სადა ხართ, ვინ მუდრეგმა წამართვა თქვენი თავი, მომკალით, ხალხო, თუ ვინმეს კიდევ გეცოდებით, საფლავი გამითხარეთ და მიწა მომაყარეთ, ცხენის კუდზე გამომაბით მე უბედურო. რაღა პირით შევხედო ჩვენს საფიცარ დედოფალ ქეთევანს, რა პასუხი გავცე, მობარებული რომ ვერ შევუნახე, ვერ ეუპატრონე მის უცოდველ კრავებს, მის ანგელოზ შვილიშვილებს, ვაი, რაღა ვქნა ახლა, თავი რომელ წყალს მივცე, რომელ კლდეზე გადავვარდეო.

ლეილა-ხანუმმა კარი ფრთხილად მიხურა და ოთახში ფეხაკრეფით შევიდა. გადიამ იგრძნო, რომ ოთახში მის გარდა კიდევ ვილაც იყო, თავი აიღო, სახეზე ჩამოშლილი თმა

ხელისგულით გვერდზე გადაიწია და როგორც კი იცნო, ვინც შემოსულიყო, მუხლებზე წამოიწია, ხელები წინ გამოიწვდინა და რადგანაც წამოდგომის თავი აღარა ჰქონდა, დიდებულ სტუმარს ასევე მოატირა: — ლეილა-ხანუმ, ღვთისნიერო ადამიანო!.. მიშველე, შენი მუხლების პირიმე! შენ ხომ გიყვარდა ჩემი ლევანი, ალექსანდრესთვის სულს ლევდი. იქნებ შენ მაინც გააწყო რამე. ახლავე წაბრძანდი. შეევედრე, მუხლებში ჩაუვარდი. ისიც კაცია. არ შეიძლება, დის ცრემ-ლებმა გული არ მოულბოს. აგრემც გენაცვლები! მე მომკლან... ლომებს შეუგდონ ჩემი თავი, უკან არ დავიხევ. ოღონდ იმათ ნუ, იმათ ნუ გაიმეტებენ, შეიცოდონ საბრალო ობლები. მაგათ რა დანაშაული მიუძღვით, ლეილა-ხანუმ, გენაცვალე, მაგათი რა ბრალია!..

— დაწყნარდი, დაო, შეიშრე ეგ ცრემლები, სისხლი მოიბანე, იქნებ დიდი ალაჰის ნებით არცა გვჭირს რამე სატირალი, კიდევ მოხერხდეს რამე და იმ საცოდავებს შაჰის რისხვა ავარიდოთ!

— პატარას ვაძინებდი, — გადიამ ცრემლი მოიწმინდა და თითქოს მაშინვე შორეულ მოგონებაში გადავარდა. — ვაიმე, რადა ვარ ცოცხალი, რადა ვარ! — ხელები ისევ თავში წაიშინა. — რატომ დამბლა არ დამეცა და იქვე სული არ ამომძვიდა! წუხელ მთელი ღამე არ დაუძინია. შვილო, ალექსანდრე! მუცელს იტკივებდა. შევულოცე. უებარი შე-ლოცვა ვიცი, ცხონებულმა დედამთილმა მასწავლა. მოუკვდეს გადიაი. ცხარე ცრემლით ტიროდა. ხანდახან ბებიას ახსენებდა. დავიწვი მისი საცოდაობით. ისე გათენდა, თვალი არც ერთს არ მოგვიხუჭავს. დილას ჩაეძინა. გამოვეპარე და ავდექი. დღისით აღარ დაუჩივლია. მაინც შევულოცე, პიტნის წვეთე-ბიც მივეცი. მთელი ღამის უძილარმა საღამოს ადრე მოინდომა დაწოლა. გადია, მეძინებაო, თავი კალთაში ჩამიდო და, ვაი, შვილო, თვალები მილულა. ამ დროს შემოგვიცვივდნენ საჭურისები. კარზედაც არ დაუბრახუნებიათ, ასასებივით თავზე დაგვადგნენ. ვინა ხართ, ვინ ოხრები ყრიხართ, აქ რა გიხდათ, რას გვემართლებით-მეთქი. მე ჩემი და იმათ თავისი. რაღაცას მიყვიროდნენ და ბალღზე მითითებდნენ. მე უბე-დურმა ვერაფერი გავიგე და უფრო შემეშინდა. ამ დროს ბატონიშვილი ლევანი შემოვარდა, გაოფლილი. დროზე მოხ-ველ, შენ გენაცვალოს სალომე-მეთქი, გულში გავიფიქრე. კაცია, რაც უნდა იყოს! უკანა ეზოში ფარიკაობდნენ. წყალი დალია და ისევ გაქცევას აპირებდა. წინ გადაუდგნენ, აღარც ის გაუშვეს. მივხვდი, ჩვენი საქმე კარგა არ იყო. მაშინ კი მივაწვდინე ხმა ბატონიშვილს, ეგენი კარგ საქმეზე არ

იქნებიან, შვილო, ჰკითხე ერთი მაგათებურად, რა უნდათ-მეთქი. იმისთანა შენს მტერს, მე რომ გავიგონე! მე და ალექსანდრე შაჰთან მივყევართო, ახლავე უნდა წამოხვიდეთ, ერთი წუთის მოცდაც აღარ იქნებაო. როგორი გასაგონია?! უიმე, შაჰთან მიყევხართ-მეთქი? როგორ თუ შაჰთან მიყევ-ხართ, მე აღარ მეკითხებიან-მეთქი? ჩემთვის თქვენი თავი თვით დედოფალ ქეთევანს ჩაუბარებია და იმ დალოცვილმა რომ მკითხოს, რა უყავი ბალღები, სალომეე, ქალო, ისინი ხომ შენ ჩაგაბარეო, რა ვუპასუხო, თქვენ მითხარით, რა პასუხი გავცე-მეთქი. სადაც თქვენ, იქ მე, აქ რაღას გავუჩერდე-მეთქი. ამის მერე აღარ მახსოვს, ლეილა-ხანუმ, რა მოხდა. ეს დასავსები თვალები რომ გამოვახილე, აღარც ბალღები იყვნენ და აღარც საჭურისები, მე კი აგრევე ვეგდე, როგორც ახლა მხედავ!

თავი LXV

ქარავანი ჰამადანიდან ახალ ნანათლევს, დილაადრიან გამოვიდა. ნეტავი რა ჰქონდათ ასე საჩქარო, რომ ხალხს სულის მოთქმაც აღარ აცალეს? მომზადებისა და გზაზე დადგომისათვის ერთი საათი იყო განკუთვნილი. ზოგმა პირზე წყლის შეშხაპუნებაც ვერ მოასწრო.

გზა, რომელიც წინ ედოთ, სრულიად უცნობი აღმოჩნდა, მეტადრე მას შემდეგ, რაც ქალაქის გარშემო შემოვლებულ ბაღ-ვენახების რკალს გასცდნენ და უდაბნოს შეერივნენ. ორი ღამის გათევა უდაბნოში მოუხდათ. მესამე ღამეს, დაბანაკდნენ თუ არა, ქვენა ქარი ამოვარდა და კარვებს ისეთი გაგული-სებით დაეძგერა, გეგონებოდა, რამდენიმე ზარბაზანი ყურის-ძირში ერთად დასცალესო. ქარი მხოლოდ ნაშუაღამევს, მთვარის ამოსვლის ჟამს ჩადგა და ირგვლივ ისეთი პირველ-ქმნილი სიჩუმე ჩამოვარდა, ვეღარც კი წარმოიდგენდი, თუ ერთი-ორი საათის წინ გრიგალი იქაურობას გლეჯდა და ცას ჩამოქცევით ემუქრებოდა.

მთის ორი ჩქარი მდინარე ზედიზედ გადავლეს და ჩამოთოვლილი მთაგრეხილებით შემორკალულ მწვანე ველზე გავიდნენ. ველზე ჯიშიანი პირუტყვის ჯოგები ბალახობდნენ, ვინ იცის, კახეთის მადლიანი იალაღებიდან გამორეკილი ხარ-ძროხაც, ფრთვინვით და ფრუტუნით ძოვდნენ ნოყიერ ბალახს, კუდით ცერის სიმსხო ბუზანკლებს იგერიებდნენ და მტვრიან გზაზე ტაატით მიმავალ ქარავანს ზედაც არ უყურებდნენ.

ტოკლიკაანთ ვანუა გაძერა, გამოძერა, ჯოგის დარაჯი ავი ქოფაკები როგორღაც მოთაფლა, გააჩუმა, კომბლებზე დანდობილ, ინით წვერშეღებილ დაღერემილ მწყემსებში გაერია, გაიკითხა, გამოიკითხა და ამბავი მოიტანა, მალე კიდევ ერთი მდინარის ნაპირზე გავალთ, იმას გადავივლით, პატარა ქალაქი შემოგეხვდება, სადაც, ალბათ, ღამეს გავათევთ და დილას, თუ ღმერთმა მშვიდობით გაგვითენა, ისევ განეაგრძობთ გზასო.

წინ, ორი-სამი დღის საავალზე, ისპაჰანი იდო, ის ისპაჰანი, ის საძულველი ქალაქი, რომლის სახელის უბრალო ხსენებაც კი ქეთევანს ზარავდა და ამავე დროს გულზე მალამოდ ედებოდა. დედით ობოლი და გვირგვინოსანი მამის მშობლიურ ალერსს მოკლებული შვილიშვილები ლევანი და ალექსანდრე იქა ჰყავდა, იქ ეგულებოდა თუ, რასაკვირველია, მაღალი ღმერთის წყალობით ისინი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ და რას არ დასთმობდა, ოღონდ კი მათთვის თვალი ერთხელ კიდევ მოეკრა, მათი სახეები ხსოვნაში სამუდამოდ ჩაებეჭდა. უღვთოდ წაართვეს ერთიც და მეორეც, ხელიდან მუხანათურად გამოჰგლიჯეს. პატარა ალექსანდრე მაინც შებრალებოდათ და ბებოს ნუგეშად დაეტოვებინათ! აკი ურჯულო შაჰმა მძევლად დაიწუნა და განრისხებულმა თეიმურაზს შეუთვალა, ძუძუთა ბალღს რისთვის მიგზავნი, აქ ძიძა ხომ არა გგონივარ, კეთილი ინებე და ტახტის მემკვიდრე ლევან-მირზა გამოიგზავნეო.

— ვაიმე, შვილო, ლევან, ვაიმე, შვილო ალექსანდრე!.. — აღმოხდა ქეთევანს. მას კარგად ესმოდა, რომ სატახტო ქალაქ ისპაჰანში, შაჰის მუდმივ ადგილსამყოფელ ათასი ცოდვის ქალაქში, ბედის ახალი გამოცდა ელოდა და ამ გამოცდასთან პირისპირ შესაყრელად შინაგანად ემზადებოდა. რაკი ასე სასწრაფოდ დაიბარეს და ამოსუნთქვის საშუალებაც არ მისცეს, იცოდა, არ ასცდებოდა მტარვალ შაჰთან ხელახალი შეხვედრა. შაჰი თავისებური ურცხვი პირდაპირობით ახალ მოთხოვნებს წამოუყენებდა და ამ მოთხოვნების უყოყმანოდ შესრულებას მოსთხოვდა. ქეთევანს, როგორც ყოველთვის, ჩვეული სულიერი სიმტკიცე უნდა გამოეჩინა, შეუვალ კლდედ უნდა დამდგარიყო, ოღონდ ისე, რომ საშინელ საფრთხეში ჩავარდნილი თეიმურაზისა და მძევლად წამოყვანილ შვილიშვილებისათვის არა ეთქო რა, მათი უბედურების მიზეზად არ ქცეულიყო. მაგრამ როგორ მოეხერხებინა ეს, რომ არც მწვადი დასწვოდა და არც შამფური, ხსნის რომელი უტყუარი გზა გამოენახა?

უდაბნოს მტვერში თავით ფეხებამდე გახვეულებმა ისპაჰანს მეცხრე დღეს, მზის ჩასვლის ჟამს მიაღწიეს. მქრქალ ლრუბლებამდე აზიდულ ლურჯი მინარეთებითა და მოოქროული გუმბათებით მოკაშკაშე ვეებერთელა ქალაქი ცის დასალიერზე თანდათან ამოიწვერა და მერე ყოველ წუთს თვალდათვალ იზრდებოდა, ნაწევრდებოდა და ხელშესახებ სახეს იღებდა. კარგმა ხანმა გასტანა, სანამ ქალაქის გარე კედელში ჩადგმული კარის მცველი შუბოსანი ყიზილბაშები მოსულთა ვინაობას დაწვრილებით შეიტყობდნენ, რკინით შეკედილ ფართო ალაყაფის ჭიშკარს გააღებდნენ და ქარავანს შიგნით შეუშვებდნენ, სადაც ერთი ასეთივე რკინით შეკედილი ჭიშკარი კიდევ რჩებოდათ გასავლელი.

მოახლეების ფორანში, რომელიც დედოფლის ფორანს კვალდაკვალ მოსდევდა, დაფეთებული გოგოების წივილ-კივილი ატყდა, მაგრამ, საბედნიეროდ, ის დიდხანს არ გაგრძელებულა. ლაზღანდარობის გუნებაზე დამდგარ უსაქმურ ყიზილბაშებს პირკატა ეცათ, ვიღაც დიდი უფროსის ბრძანებისამებრ უკან დაიხიეს და გულგახეთქილ ქალებს თავი დაანებეს.

დილას, მზის ამოსვლამდე, ქარავანმა გზა განაგრძო, მთელი ქალაქი სიგრძივ გაიარა და წყალუხვი ზაიენდერუდის პირას, შაჰ-აბასის თვალწარმტაც სატახტოს აღმოსავლეთ და დასავლეთ უბნებად რომ ჰყოფდა, დიდრონკამარებიანი ხიდის ყურში გაჩერდა.

გიორგი ხუცესის შეტყობით, რასაც მამა მოსემაც კვერი დაუკრა, ეს სწორედ ის საარაკო ხიდი უნდა ყოფილიყო, შაჰის მცველი ჯარის სარდალმა, ყულარაღასმა, შაჰთან ჯერ კიდევ მის ყმაწვილკაცობაში დაახლოებულმა პირმა, მბრძანებლის წარბშეუხრელმა ქომაგმა და თანამებრძოლმა ალავერდი-ხან უნდილაძემ თავისი სახელის უკვდავსაყოფად სპარსეთს საკუთარი სახსრებით რომ აუგო და მართლაც რომ უკვდავყო თავისი სახელი!

ხიდი ქალაქის მთავარი ქუჩის — ჩაჰარ ბაღის გაგრძელებაზე იდო, რომელიც სათავეს მეიდანე ნაყშ-ე ჯაჰანზე იღებდა და ლარივით გაჭიმული მდინარის ორივე კლდოვან ნაპირს ერთმანეთთან აკავშირებდა.

ქეთევანი და რამდენიმე მისი მხლებელი მანდილოსანი, განურჩევლად მათი წოდებრივი წარმომავლობისა, აგრეთვე სულიერი მამები, მოსე და გიორგი, დროებით საცხოვრებლად სწორედ ალავერდი-ხანის ნაქონ სასახლეში მოათავსეს, სხვებს კი მეზობელ ქარვასლაში დაუდეს ბინა. სასახლე ამჟამად ცარიელი იყო. მას მხოლოდ განსვენებული ალავერდი-ხანის

ვაჟიშვილი, მამის მემკვიდრე, ფარსის ბეგლარბეგი იმამყულიხანი იკავებდა ხოლმე, როდესაც სადღესასწაულო დარბაზობებზე და დიდ სამხედრო აღლუმებზე დასასწრებად პატრონის მიერ მოპატიჟებული, ბრწყინვალე ამალის თანხლებით შირაზიდან სატახტო ქალაქში ჩამოდიოდა.

სასახლე არცთუ ისე უკაცრიელი გამოდგა, როგორც პირველ გაცნობისას ჩანდა. მას მუდმივ მომელელთა და მცველთა მთელი გუნდი ემსახურებოდა. ეს უკანასკნელნი, ისევე როგორც პირველნი, მხოლოდ საჭურისები იყვნენ და სათავეშიაც, რაღა თქმა უნდა, საჭურისი ედგათ.

ალავერდიხანისეულ სასახლეში ფეხის შედგმამ და ირგვლივ გამეფებული სწორუპოვარი ფუფუნების ხილვამ, რომლის მსგავსი არამცთუ მუხრანში, მამის, აბოთან მუხრან-ბატონის სასახლეში, სადაც სიყმაწვილე და ქალიშვილობის წლები გაატარა, თვით გრემისა და ისნის სასახლეებშიაც კი არაფერი ენახა, ქეთევანს გულში იმედი გაუღვიძა, იქნებ ლევანი და ალექსანდრეც სადმე ახლოს იყვნენ, მონატრებულ ბებოს რომელიმე ოქროთი მოვარაყებულ კარს უკან ემალებოდნენ და საკმარისია, თეთრებში გამოწყობილმა თავჩალმიანმა საჭურისებმა ის კარი გააღონ, სიხარულით მეცხრე ცაზე აფრენილი ბიჭუნები უმალ მის შესახვედრად გამოექანებიანო.

თავისი მდაბალი პირუტყვული გრძნობების მონა შაჰ-აბასისაგან, ტაკიმასხრისაგან, როგორც ქეთევანი გულში ხშირად უწოდებდა და ადამის ძის აუგად მოხსენიების გამო ზენაარს პატიებას თხოვდა, ეს არც მოულოდნელი იქნებოდა და არც დაუჯერებელი, ოღონდ კი არჩეულ ხერხს ახლა მაინც გაეჭრა და საწადელისათვის მიეღწია.

სასახლის განმგებელი საჭურისი, ისევე როგორც ჰამადანის ტარუღა, ტყვე დედოფალს ფეხქვეშ გაეგო, როგორც, ალბათ, ნაბრძანები ჰქონდა, სამსახური შესთავაზა და თუმცა ის ამის არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა და განმარტოება ყველაფერს ერჩივნა, ძვირფასი ხალიჩებით მოგებული და ნატიფი მინიატურებით კედლებმოხატული სასახლის ორივე სართული ფეხდაფეხ შემოატარა. აჩვენა სასახლის შიგა წალკოტი, ზამთარ-ზაფხულ ნაირ-ნაირი ყვავილებით რომ ყვაოდა და წელიწადის დროთა შეუმჩნეველი მონაცვლეობით თითქოს სიცოცხლის მარადისობაზე მეტყველებდა. აჩვენა მარმარილოს შადრევანი, ადამიანის ხელით შექმნილი ედემის შუაგულში რომ ამოჭქუხდა და შუა ზაფხულის სიცხე-პაპანაქებაშიაც კი ირგვლივ მაცოცხლებელ სიგრილეს აფრქვევდა. აჩვენა დარბაზი, სადაც ნეტარხსენებული ალავერდი-ხანის იარაღ-საჭურველი და საომარი ცხენების აღჭურვილობა

ინახებოდა. ზოგი რამ კედლებზე ეკიდა, ზოგი კი ფარჩაგადაფარებულ თაროებზე ეწყო. იარაღ-საჭურვლისა და ცხენების მორთულობის დიდი უმრავლესობა თვით ხანის ნახელავი აღმოჩნდა, ალავერდი-ხანს ხომ ხელოსნობაში ბადალი არ ჰყავდა, სხვები კი სხვა ხანებისაგან და თვით დიდებული შაჰისაგან, თავის გაზრდილ აბასისაგან სხვადასხვა დროს არმაღანად მიეღო.

სასახლის კარიბჭეს და უკანა კარს, რომელიც გრანიტის ფილებით მოკირწყლულ ვიწრო ეზოში გადიოდა, შუბოსანი ყიზილბაშები დარაჯობდნენ. ყარაული დღე-ღამეში სამჯერ იცვლებოდა და იმდაგვარ გულმოდგინებას იჩენდა, თითქოს აქ ვინმე უმწეო დედაკაცი კი არა, თავზეხელაღებული ყაჩაღების ბრბო ჰყოლოდეთ გამომწყვდეული.

როდემდე უნდა გაგრძელებულიყო ეს უაზრო ლოდინი, ლოდინი რაღაც გამოუცნობის და გაუგებრისა, რომელსაც ბოლო არ უჩანდა? რაკი ჰამადანიდან ასე საჰაიჰაროდ ჩამოიყვანეს და ქალაქის შუაგულში, ხელმწიფის სასახლის სიახლოვეს მოათავსეს, ყაენთან ქეთევანის მოსალოდნელი შეხვედრაც ასე არ უნდა გაჭიანურებულიყო. ასევე ფიქრობდნენ მწირველი მღვდლები მამა მოსე და მამა გიორგიც, რომლებიც თავიანთ ღვთისმოსავ დედოფალს დღეში სამჯერ აკითხავდნენ, წირავდნენ, საღვთო წერილს, მოციქულთა ეპისტოლეებს უკითხავდნენ და ყოველი ღონით ცდილობდნენ, როგორმე მისი სულიერი ტანჯვა შეემსუბუქებინათ.

ჩამოსვლის ოცდამეერთე დღეს, დილის წირვის შემდეგ, რომელიც მღვდლებმა კარის ეკლესიად განკუთვნილ სატრაპეზო დარბაზში გადაიხადეს და თავ-თავიანთი მცირერიცხოვანი მრევლი დაამწყალობეს, სატრაპეზოში სასახლის საჭურისების თავმდგომი შემოვიდა, გიორგი ხუცესი ცალკე გაიხმო, მას საიდუმლოდ რაღაც უთხრა და მაშინვე უკან გაბრუნდა.

ქეთევანის მხლებლებმა, ქალმა თუ კაცმა, დილისა და მწუხრის წირვას დედოფალთან ერთად, მისი თანდასწრებით რომ იხდიდნენ, შეშფოთებული მზერა გიორგი ხუცესს მიაპყრეს და სული განაბეს. უკლებლივ ყველას ერთი და იგივე საკირბოროტო კითხვა სტანჯავდა: რა უთხრა საჭურისმა მამა გიორგის? ნუთუ ის, რასაც ისინი ასე გულმოდგინედ მალავდნენ და ავი წინათგრძნობით შეპყრობილ დედოფალს არ უმხელდნენ?

ხუთი თუ ექვსი დღის წინათ მდინარე ზაიენდერუდიდან, თარგმანში ოქროს მდინარეს რომ ნიშნავს, ცურვაში გაწაფულ მესათხევლეთ უცნობი ქალის გვამი გამოეტანათ და გამვლელ-

გამომველელთაგან იქნებ ვინმემ იცნოს და მოეპატრონოსო, სამადლოდ ნაპირზე დაესვენებინათ.

ქალი თავშიშველი იყო, ხშირი შავი თმა სახეზე, საესე გულმკერდსა და მხრებზე დასწებებოდა. ჩადრის მაგიერ ტანთ გრძელკალთებიანი შავი კაბა ეცვა და შიშველი ფეხის ჭვინტებს ძლივს უფარავდა.

აბობოქრებულ მდინარეში ქალი გამველელების თვალწინ გადავარდნილიყო. გადავარდნის წინ პირჯვარი სამგზის გადაეწერა და ბურჯებს შორის მობუყბუყე მორევს დაცემის უმალვე ჩაეძირა.

რაკი გადავარდნისას პირჯვარი გადაიწერა და არც ჩადრი ეხურა, სადავო არ ჩანდა, რომ ქალი ქრისტიანი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ვინ? ვინ და რისთვის გაიმეტა თავი? იქნებ სომეხი-გრიგორიანი? ამ ადგილის მოშორებით, ქალაქის განაპირას, ათი-თხუთმეტი წლის წინათ სამშობლოდან ძალად აყრილი და სპარსეთში გადმოსახლებული სომხები ცხოვრობდნენ. სპარსეთის სატახტო ქალაქის განაპირას სომხებს თავიანთი პატარა ქალაქი გაეშენებინათ, გარდაცვლილთა სულის საოხად ეკლესიებიც აეგოთ და ქალაქიც მშობლიური სახელით, ახალ ჯულფად მოეხათლათ.

გულის დამწველ ამბავს, მდინარიდან დამხრჩვალის ამოყვანას და ნაპირზე მის დასვენებას აქ სრულიად შემთხვევით გამოსული ქეთევანის მხლებელი გოგოები შესწრებოდნენ და დამხრჩვალს პირჯვრის წერით გარს შემოხვეოდნენ.

— უიმე, დედა, ამას ვის ეხედავ! — ეკივლა თუთას და თმაში ხელი ეტაცა. — ეს ხომ სალომეა, ქალებო, ჩვენი სალომე, ბატონიშვილ ალექსანდრეს გადია. აქ რა უნდა ამ უბედურს, თავი მოსაკლავად რამ გაამეტებინა!

— გადია! გადია! საცოდავო გადია! — აკივლდნენ სხვებიც და, როგორც სატირალშია მიღებული, თმა გაიშალეს. — რა გიქნია ეგ, შე უბედურო, შე ბედდამწვარო, შე შავ დღეზე დაბადებულო, ეგ რა გწერებია შუბლზე, ეგ რა ცოდვაში ჩაგიდგამს ფეხი! სად უნდა ჩაყარო შენი ძვლები, უპატრონოდ მიტოვებული შენი წვრილშვილი რამ დაგათმობინა!

მდინარის ნაპირი საზარელი სანახაობით შეძრული ხალხით აივსო. დიდი და პატარა აქეთ მორბოდა. ხალხში იყვნენ ქეთევან დედოფლის მხლებლებიც, რომლებსაც მალე შავანაფორიანი მღვდლებიც შემოემატნენ და მიცვალებულის წინაშე, რომლისთვისაც თავიდან ფეხებამდე ნაბადი წაეფარებინათ და მხოლოდ გაცრეცილი, ნატანჯი, ჩაშავებული სახე მოუჩანდა, სხვებთან ერთად პირჯვრის წერით მუხლი მოიყარეს. არ იყო მხოლოდ ქეთევანი. მას ამ ამბისა არაფერი შეუტყვია და მის

კეთილისმყოფელთაგან ყველა უსიტყვოდ, წინასწარ შეუთანხმებლად ხვდებოდა, რომ არც არაფერი უნდა გაეგო.

საეკვო სრულიად აღარაფერი იყო: მათ წინ საცოდავ სალომეს, ბატონიშვილ ალექსანდრეს ძიძის, გაცივებული, უცხო ქვეყნის მდინარის ემბაზში ამოვლებული გვამი ესვენა და ყველასაგან შენდობას ელოდა. მაგრამ სად იყო თვით ბატონიშვილი ალექსანდრე, რომლის პატრონობა, მშობელი დედისა და მზრუნველი ბებიის მაგივრობის გაწევა შვილიშვილს იძულებით ჩამოშორებულმა დედოფალმა ამ უბედურს მიანდო? სად იყო უფროსი ბატონიშვილი, ტახტის მემკვიდრე ლევანი? ნუთუ თეიმურაზზე განრისხებული ყაენის ნებით ამათ რაიმე ფათერაკი შეამთხვიეს და მეტი რომ ვეღარაფერი მოახერხა, შაჰის რისხვას წინ ვერ აღუდგა, გადია თავის დასახრჩობად წყალში გადავარდა?

ქალაქის ხელისუფალთ ხელი არ შეუშლიათ: რაკი დამხრჩვალი უპატრონო არ იყო და ჭირისუფალი გამოუჩნდა, დედოფლის მხლებელ გურჯებს მოწყალე ნება დართეს, თავიანთი მიცვალებული ერთმორწმუნე სომხების სასაფლაოზე დაემარხათ, ოღონდ ეს საქმე დღესვე ექნათ, თავისებურად არ გაეჭიანურებინათ.

ახალჯულფელი სომხებისგანავე შეიტყეს თავზარდამცემი და ცის დედამიწაზე ჩამომქცევი ამბავი: ყაენის უზენაესი ბრძანებით სასახლეში ეწამებინათ ორივე მძევალი ბატონიშვილი, ლევანი და ალექსანდრე, ორივე შეუბრალებლად დაესაჭურისებინათ, რათა ამიერიდან მათში მამაკაცური საწყისი ჩაეკლათ და შთამომავლობის გაგრძელების უნარი აღმოეფხვრათ.

ბატონიშვილების თავს დამტყდარი უბედურება იქნებ სახსენებელიც არ ყოფილიყო, საბრალო ობლებისათვის ტიალ ბედს რომ არ ემუხთლა და კიდევ მეტი უბედურება არ განემზადებინა.

სასახლეში საგანგებოდ მოწვეულ გამოცდილ ჯალათს, თუმცა ის ამ საქმის ზედმიწევნით მცოდნე ხელმარჯვე შაჰის უშუალო მეთვალყურეობითა და კარნახით მოქმედებდა, სრული უმეცრება გამოეჩინა, უდროო დროს ხელი აკანკალებოდა და პატარა ალექსანდრე დასაჭურისების დროს შემოჭკვდომოდა, ხოლო უფროსს, თავმოყვარე და ამაყ ბატონიშვილ ლევანს ჯოჯოხეთური ტკივილებისათვის ვერ გაეძლო და ჭკუაზე შეშლილიყო.

ხელობის გამმრუდებელ ჯალათს ეს არ აპატიეს, დასაჯეს, მარჯვენა ძირში მოჭკვეთეს და ცალი თვალიც იქვე დაუვსეს, მაგრამ ამით არც საბრალო ალექსანდრეს, წამების დროს

განუწყვეტლივ ბებოსა და გადიას რომ უხმობდა და მათ ხსენებაში კიდევაც გათავდა და არც ჭკუაზე შემცდარ ლევანს არაფერი შელავათი მიუღია. პირველის გასისხლიანებული გვამი ფარდაგში გაახვიეს, გარეთ გაიტანეს და იქვე ჩაფლეს მიწაში, თითქოს არც არასოდეს არსებულიყოს, მეორე კი ალი-ყაფუს სარდაფის ერთ ბნელ და ნესტიან ოთახში გამოამწყვდიეს და გარეთ დარაჯი მიუყენეს, ვინძლო შეშლილი ხელიდან არ გასხლტომოდათ და არავისთვის არაფერი ეთქო.

ეს ღვთის გამარისხებელი ამბავი მთელ ქალაქს იყო მოდებული. შაჰ-აბასის სისასტიკეს თვით ყველაზე უფრო ფანატიკურად მორწმუნე, ქრისტიანობის შეურიგებელი მტერი მაჰმადიანებიც კი არ იწონებდნენ და უკლებლივ ყველა გულწრფელ სიბრალულს გამოთქვამდა მრავალ ვაებაგამოვლილ დედოფალ ქეთევანის მიმართ, რომელიც სატახტო ქალაქში მომხდარი უბედურების რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოიყვანეს და, როგორც შაჰის საპატიო სტუმარი, მისი საყვარელი სიდედრი, ალავერდიხანისეულ სასახლეში მოათავსეს.

მტარვალის ხელით უდროოდ დაღუპული უცოდველი კრავის, ალექსანდრეს სულის მოსახსენიებლად მამა მოსეს და მამა გიორგის, სომეხი არქიმანდრიტების თანამონაწილეობით, ერთ პატარა სომხურ საყდარში, რომლის გალავანშიაც გადია სალომე დაიმარხა, წირვა გადაიხადეს, მაღალ ღმერთს ბატონიშვილ ლევანის ადრე და მალე გამოჯანმრთელება შესთხოვეს, მათხოვრებს ღარიბული საბოძვარი დაურიგეს და უკლებლივ ყველა თანამემამულე, ვინც კი წირვას ესწრებოდა, ღვთისმშობლის ხატზე დააფიცეს, რომ ეს ამბავი ქეთევანისაგან საიდუმლოდ შეენახა და რაც არ უნდა მომხდარიყო, მის ყურამდე არამც და არამც არ მიეტანა.

თავი LXVI

ზეინაბ-ბეგუმი დედოფალ ქეთევანის მოსანახულებლად ალავერდიხანისეულ სასახლეში ბრწყინვალე ამალის გარეშე მობრძანდა, მაგრამ შუბებითა და მოკლე სატევრებით შეიარაღებული მცველი რაზმი კი ახლდა. თეთრი აბრეშუმის, ოქრომკედით ამოქარგული ტახტრევანი, რომლის სინაზე და სინატიფე მფლობელის გემოვნების დახვეწილობაზე მეტყველებდა, ნახევრადშიშველმა, კუნთმაგარმა, ქუსლებდახეთქილმა მავრებმა სასახლის სადარბაზო კარის წინ დაუშვეს და ტანთხელი, ოქროს ქოშებში ფეხწადგმული, მთლიანად ჩადრში

გახვეული ზეინაბ-ბეგუმი იქიდან ისე სწრაფად გადმოვიდა და ყურთამდე გაღებული კარი ისე შეუჩერებლივ გაიარა, თვალი იმათაც ძლივს მოატანეს, ვინც აქ საგულდაგულოდ იყო ჩასაფრებული და მის დანახვას მოუთმენლად ელოდა.

ზეინაბ-ბეგუმი შაჰის ცოლთაგანი არ იყო, როგორც სპარსელი დიდგვაროვანი ასული მხოლოდ ჰარამხანას განაგებდა, ამასთან ერთად, შაჰის სრული ნდობით სარგებლობდა და ხშირად უცხო ქვეყნებშიაც კი უწევდა წასვლა, რათა იქ საგანგებო დესპანის ჯაპანი გაეწია, შაჰის სახელით ელაპარაკა და სამეფოს საქმეები მოეგვარებინა.

ბოროტი ენები ამბობდნენ, ზეინაბ-ბეგუმის ხორციელი სილამაზით, მისი ქალური მიმზიდველობით, მათრახივით მოქნეული ტანის მადლითა და ბარაქით შაჰ-აბასი ბევრჯერ დამტკბარა, მაგრამ ამ თავის ფარულ გატაცებას არავის უმჟღავნებს და სხვათა დასანახად ზეინაბის სიახლოვეს თავი ისე უჭირავს, თითქოს მათ შორის გაელებული აკრძალვის ზოლი არც არასოდეს გადაელახოსო.

ექვსას ორმოცდაათი კანონიერი ცოლის პატრონს ნეტავ რომელი ძე-ხორციელი დაუმლიდა, ზეინაბ-ბეგუმის სახით ექვსას ორმოცდამეთერთმეტე ცოლიც ჰყოლოდა, მაგრამ ძლევამოსილმა თვითმპყრობელმა, რომლის ნება-სურვილსაც მისი სამეფოს ყოველი სულდგმული უყოყმანოდ ემორჩილებოდა, ეს რატომღაც არ მოისურვა და აკრძალული ხილის დაგემოვნებას დასჯერდა.

თავადაც ამაყსა და მეფური ღირსებით შემკულ ზეინაბ-ბეგუმს არ გაჰკვირვებია, კახეთის დედოფალი სასახლეში შემოსვლის უმალვე სხვა დამხვდურთა შორის რომ ვერ იხილა. სამეფო კარის წესები მას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი და მოეწონა, რომ კახეთის დედოფალი ამ უხსოვარი დროიდან დაკანონებულ წესებს ტყვეობაშიაც კი არ ივიწყებდა და არავის წინაშე ქედს არ იდრეკდა.

ძველქართულად თავდახურული, სახახევროდ შავპირბადეჩამოფარებული ქეთევანი, ისე რომ მხოლოდ ცხვირის წვერი, ვიწროდ მოკუმული პირი და ნიკაპი მოუჩანდა, ჩადრში გახვეულ დიდებულ სტუმარს, რომელმაც, ალბათ, ბედის საბოლოო განაჩენი მოუტანა, კიბის ბაქანზე დაუხვდა, პირბადისებრ გამქვირვალე შავ ხელთათმანებში გამოკრულ მის ნატიფ, სურნელოვან ხელებს ორივე ხელი შეაგება, მერე იმ ხელით, რომელშიაც ქარვის კრიალოსანი ეკავა და დინჯად მარცვლავდა, მხარზე მოეხვია და, როგორც ახლობელმა ახლობელი, გულზე მიიკრა.

ზეინაბ-ბეგუმი დიდხანს არ დარჩენილა. სულ ორ საათსა და რამდენიმე წუთს დაჰყო და უკან ისევე მოულოდნელად

გაბრუნდა, როგორც გამოჩნდა. ეს ორი საათი და ცოტა მეტი კარჩაკეტილში გაატარეს. მათ განმარტოებულ საუბარს თვით დედოფლის სულიერი მამა და საქმეთა განმგებელი გიორგი ხუცესიც არ დასწრებია.

ზეინაბ-ბეგუმი, სპარსეთის სამეფო კარის ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავლენიანი პირი, ალავერდიხანისეულ სასახლეში შაჰის სახელით და მისი საგანგებო დავალებით მოვიდა, რათა შუამდგომლობა გაეწია და ერთი მხრივ შაჰსა და მეორე მხრივ ქეთევან დედოფალს შორის მშვიდობა, სიყვარული და ურთიერთგაგება ჩამოეგდო.

შაჰს უკვე აღარ შეეძლო ქეთევანის წინდაუხედავი ქედმაღლობა მომავალშიაც მოეთმინა და თუ აქაც ის განმეორდებოდა, რაც მათი შეხვედრის დროს განძის ხანის სასახლეში მოხდა, მას ის-ღა რჩებოდა, ძალისათვის მიემართა და სწორედ ის მოემოქმედებინა, რაც გულით არ უნდოდა.

შაჰის მიერ ქეთევანისავე თხოვნით კახეთის ტახტზე აყვანილი თეიმურაზი ამჟამად სულთნის ბანაკში იყო და დღეს თუ არა ხვალ თავისი ახალი მფარველის ხელისშეწყობით ახალი ამბოხების წამოსაწყებად ემზადებოდა. ჭკუათხელ თეიმურაზს ურჯულო მურადი ერჩივნა თავის გამზრდელს, თავის კეთილ მამას და უფროს ძმას, რომლისგანაც უთვალავი სიკეთე ახსოვდა. მაგრამ ახსოვდა კი? როდის იყო, გიაური გურჯები ვისიმე სიკეთეს იხსომებდნენ და ერთგულ მეგობარს ზურგში დანის ჩასაცემად არ იმეტებდნენ!

ასევე იქცეოდა თეიმურაზის ცბიერი და ორპირი პაპა ალექსანდრეც. აქეთ რომ ღიმილიან სახეს გაჩვენებდა, იქით გიაურ რუსხელმწიფისაკენ ეპირა თვალი და არა მარტო ეპირა, კარზე მისი ელჩებიც დაუდიოდა. გააფრთხილეს, დაუშალეს, არ დაიშალა, ის მაინც თავისას შერებოდა, ჩვენს თავს ერთმორწმუნე ხელმწიფე ერჩივნა! მაღალმა ალაჰმა მართლად განსაჯა: მოღალატეს კუთვნილი მიუზღო, სიცოცხლე ღვიძლი შვილის ხელით მოუსწრაფა!

ქეთევანი რაღას აპირებს? ნუთუ ფიქრობს, რომ მაღალი ალაჰის დამსჯელი მარჯვენა მას კი ვერ მისწვდება? კახეთის ამპარტავანი დედოფალი, კუდი უკვარზე რომ აქვს გადებული და ცხვრის დუმას არ კადრულობს, ამ დღეებში საკმაოზე მეტად დაისაჯა! ნუთუ ეს არა კმარა? ნუ იზამს ისე, რომ სასჯელს სასჯელი მოემატოს და ყაენის მოწყალე გულთან დამაკავშირებელი ყველა ხიდი ერთბაშად ჩაინგრეს. მერე მათ ვერაკინ და ვეღარაფერი გაამთელებს!

თუ თავი უყვარს და საკუთარი ერიც ებრალება, მან ახლავე უნდა მისწეროს წიგნი თეიმურაზს და დედაშვილურად

სულთანთან ყოველგვარი კავშირ-ურთიერთობის გაწყვეტა მოსთხოვოს; აუკრძალოს რუსეთის სტამბოლელ ემისრებთან თავისი ხალხის გზავნა დარღვეული კავშირის აღსადგენად, სასწრაფოდ გაწყვიტოს კავშირი იმერთა მეფე გიორგისთან, გურიელ მამიასთან და ლევან დადიანთან, რომლებიც ყაენის მტრები არიან და, როგორც კერძო პირი და არა ტახტის მაძებარი, დაბრუნდეს შაჰის ხელდებულ ქართლ-კახეთში.

ამას გარდა, რაც ყველაზე უფრო მთავარია, ქეთევანმა უნდა დაუტევოს ქრისტეს რჯული, აღიაროს ალაჰის უზენაესობა, სცნოს მაჰმადი, როგორც მოციქული მისი და ცოლად გაჰყვეს ყაენს, რომელიც დიდი ხანია გულში ატარებს ამ წადილს და ქეთევანს ქალთა შორის უპირველესად მიიჩნევს. თუ ქეთევანი გონს მოუხმობს, ცრუმორწმუნეობას უკუაგდებს და შაჰის მიერ თავაზიანად შეთავაზებულ ამ წინადადებებს დათანხმდება, იგი გამოცხადდება სპარსეთის პირველ დედოფლად, მიეცემა აურაცხელი სიმდიდრე და განუსაზღვრელი უფლებამოსილება, რამდენიც კი შეიძლება ადამიანის გულმა ინატროს! ამას გარდა, მას მოწყალე ნება დაერთვება, სურვილისამებრ დაბრუნდეს სამშობლოში, მაჰმადის რჯულზე მოაქციოს შვილი თეიმურაზი და მისი სახლეული, სამუდამოდ დაამკვიდროს ის კახეთის ტახტზე, მიუხედავად იმ უამრავი წყენისა და ზარალისა, რაც თეიმურაზს სპარსეთისა და პირადად შაჰ-აბასისათვის მიუყენებია!

— შენ რას მირჩევდი, დაო ზეინაბ, რა პასუხი მივცე მის უდიდებულესობას? — ჰკითხა ქეთევანმა სტუმარს და ცრემლით სავსე თვალები მიაპყრო.

ამგვარ ძნელ მდგომარეობაში ზეინაბ-ბეგუმი სხვა დროსაც არა ერთჯერ ჩავარდნილა, მაგრამ ხსნის გზა ყოველთვის უპოვნია. მან საგულეში ქვა ჩაიდო, ქეთევანს თვალი მოარიდა და ქალური სისუსტე რომ არ გამოეჩინა, ცივად მიუგო:

— მე აქ იმისთვის არ მოვსულვარ, დედოფალო, რომ რაიმე გირჩიო. ამისა მე არც ნება მაქვს და არც გაბედულება. მხოლოდ იმისთვის გეახელი, რომ მისი უდიდებულესობის შემონათვალი წვრილად გადმომეცა და შენი პასუხიც წამეღო!

— ჩემი პასუხი ეს არის: რაც არ უნდა დამპირდნენ, თუნდაც ყელამდე ოქროში ჩამსვან, თუმცა მეცა და ჩემი ხალხიც ძალზე ხელმოკლედ გახლავართ, სულს ვერ წავიწყმედ, ერს სულმოკლეობის მაგალითს ვერ მივცემ, ზნეობის დაცემის მებაირახტრედ ვერ შევიქნები და ჩემთვის ჯვარცმულ ღმერთს, — მან ცრემლში აცურებული თვალები ზეაღაპყრო და პირჯვარი გადაიწერა, — ვერ გადავუდგები!

— ნეტარია ის ღმერთი, რომელიც შენ გწამს, ქეთევან! — თავის მხრივ ზეინაბ-ბეგუმსაც ცრემლი მოეძალა და აღტაცება ვეღარ დამალა.

— ნეტარია, ვისაც სწამს!..

ზეინაბ-ბეგუმმა თავს შემოუძახა. მიხვდა, რომ ზედმეტი მოსდიოდა. შაჰის ელჩს არ. მართებდა საკუთარ გრძნობებს აჰყოლოდა და ქეთევანს კვლავ ცივად მიმართა:

— მაშ, ამას მაბარებ, ეგ არის შენი უკანასკნელი პასუხი?

— ეს არის! ჩემგან სხვა პასუხს ნუთუ ვინმე მოელოდა!

— კარგად ასწონ-დასწონე, რაც მაგას მოჰყვება?

— სამაგისოდ ბევრი დრო მქონდა, დაო ზეინაბ, შენ ჩემთვის მოულოდნელი და ახალი არაფერი გითქვამს!

— მებრალები ჯერ კიდევ ასეთი ახალგაზრდა და ასეთი ღვთაებრივი სილამაზის პატრონი! ამბობდნენ, მაგრამ არა მჯეროდა. საწყენად ნუ მიიღებ. ხომ იცი, დედოფალო, — ზეინაბ-ბეგუმს ისევ მოერია გულწრფელობა, თავი საბოლოოდ ვერ დათრგუნა. — შაჰი დაქრილ ავაზასავით დაუნდობელია. ეგ ჩემზე უკეთ არავინ იცის. თავის ჟინს მაინც აისრულებს, არაფერზე უკან არ დაიხევს!..

— მზადა ვარ, ზეინაბ, ყველა სატანჯველი მივიღო და ჩემი ღმერთის წინაშე პირნათელი წარვდგე. წამებით სიკვდილზე მეტი რა იქნება. თუ ღმერთს აგრე სურს და ზეცაში აგრე გადაწყდა, მაცხოვარიც ხომ აგრე მოიქცა, უკან ვერც მე დავიხევ!

— იქნებ პირობა დაგვედო და ამით შენი უარი შეგვერბილებინა?

— რა პირობაზე ბრძანებ?

— რომ შენი ღმერთის აღმსარებლად რჩები, მაგრამ შაჰის ცოლობაზე, რის ღირსნიც მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულნი ხდებიან, უარს არ აცხადებ?

— ნუთუ დაგავიწყდა, დაო ზეინაბ, რომ შაჰი ჩემი სიძეა, ჩემგან ნაშობი, ამ ძუცლით ცხრა თვეს ნატარები ქალი, ჩემი ელენე ცოლად უზის? არამცთუ ჩემგნით თანხმობის გამოთქმა, ძაგის გაფიქრება, გულში გავლებაც კი წაწყმედა და ცის ჩამოქცევაა!

— მაპატიე, დაო, შენი წყენინება მე ფიქრადაც არ გამივლია!

— ის, რაც მაჰმადიანისათვის ნებადართულია და არც არავის უკვირს, ქრისტიანს ეკრძალება, ღვთის გმობად ეთვლება. ეგეც არ იყოს, რაღა დროს ჩემი საქორწინო გვირგვინის დადგმაა, დაო ზეინაბ. შვილიშვილების პატრონი დედაკაცი, მათი ნახვის ნატვრაში გაჰაღარავებული, განა შეიძლება, ღვთისაგან აკრძალულ კავშირზე ფიქრობდეს?

ქალიშვილი რომ ვიყვე, ჯვარდაუწერელი, მამაჩემი, აშოთან მუხრან-ბატონი, შაჰს, თუკი ჩემს ცოლობას ინებებდა და აგრე დიდ პატივს დამდებდა, უარს ვერ ეტყოდა და ჩემი ბედის-წერაც, ალბათ, ეს იქნებოდა. ახლა ღვთის წინაშე ცოდვაა ამაზე რისამე თქმაც კი. მაპატიოს მამაზეციერმა, თუ სიტყვა სიტყვას მოჰყვა და ასე შორს შევტოპე!

„მაშ, შვილიშვილების ამბავი არ იცის? — გაიფიქრა ზეინაბ-ბეგუმმა და ბაგე მოიკვნიტა. — ისე ახსენებს, თითქოს სადღაც შორს ყავდეს გაგზავნილი და დღე-დღეზე მოელოდეს მათ შინ დაბრუნებას! ვაი, შე უბედურო, შე საწყალო! ღამის მთელმა ქალაქმა იცის, დიდი და პატარა შენი საცოდაობით იწვის და შენ კი არაფერს გიმზელენ, დღემდე გიმალავენ? იქნებ ასეც ჯობდეს? დღეს თუ ხვალ შენც სიკვდილი მოგელის და რაკი აგრე გადაგიწყვეტია, ჯობს, საფლავში იმ იმედით ჩახვიდე, რომ ორივე სალსალამათი გყავს, ადრე თუ გვიან შაჰი გულს მოიბრუნებს და სამშობლოში, მამასთან დააბრუნებს, როგორც ერთ დროს თვით თეიმურაზი დააბრუნა, თუმცა ომში კონს-ტანტინე-მირზას მოკლით ერთობ განრისხებული იყო და არც არავინ ფიქრობდა, რომ კახელებისაგან მიყენებული წყენა ოდესმე დავიწყებას მიეცემოდა. ახლა აქედან როგორმე ისე უნდა გავიდე, რომ ამ საცოდავმა შაჰის მძევლები განმეორებით არ ახსენოს, თორემ რაღაცას შემატყობს ან დაეჭვებული გამომტყუებს და ვაითუ ცოდვაში ჩავდგე. ალაჰ, ილ ალაჰ, შენ მიშველე, აქედან მშვიდობით გამიყვანე!“

ზეინაბ-ბეგუმი ზეზე რაღაც შინაგანმა ძალამ წამოაყენა. სანამ სახეს კვლავ ჩადრით დაიფარავდა და მხრებზე თივთიკის სამკუთხა შალს მოიხურავდა, მან აგრეთვე ფეხზე წამომდგარ ქეთევანს უკანასკნელი სიტყვებით მიმართა, მეზობლებთან მე-კედლებულ გვირგვინოსან შვილისადმი წიგნის შედგენა გაახსენა, რასაც მწყალობელი შაჰი ასე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ქეთევანს არ დაუმალავს, რომ ამ საგანზე სრულიად განსხვავებული აზრისა ბრძანდებოდა. მას შეეძლო, რასაკ-ვირველია, ეს წიგნი დაეწერა და შაჰის კაცების მეშვეობით შვილისათვის მიეწვდინა, მაგრამ რა სასურველი შედეგი უნდა მოჰყოლოდა ამ წიგნს? არაფერი! თეიმურაზი მირონცხებული მეფე იყო თავისი ქვეყნისა. რიცხვით უმეტეს მტერს თუმცა ამჯერად ვერ გაუმკლავდა და საბატონო ქვეყნის დატოვება მოუხდა, თავის ყოველ ნაბიჯს იმისდა მიხედვით წყვეტდა, თუ გარემოება რა ახალი ამოცანის წინაშე აყენებდა და აქედან რისიმე კარნახით უხერხულ და გამოუვალ მდგომარეობაში არ ჩავარდებოდა თვით ქეთევანი, რომელსაც, გარდა დედაშვი-ლური ვედრებისა, მეტი არაფერი შეეძლო?

დედოფლის ღრმად მოფიქრებული, ასკერ გაზომილი და ერთხელ გაკრილი პასუხი ზეინაბ-ბეგუმმა შეუნიღბავ უარად მიიღო და იმაშიაც საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ამ ქრისტიან მანდილოსანს, თავის სარწმუნოებრივ აღმსარებლობას კბილით რომ იცავდა და მზად იყო, მის შესანარჩუნებლად თავი გაემეტებინა, საკუთარი ბედი გადაწყვეტილი ჰქონდა, ამ ბედს კიდეევაც შერიგებოდა და მის შემდგომ შეგონებებს, რაც არ უნდა შეეთავაზებინა, ახლოსაც არ გაიკარებდა, მაინც არჩეული გზით გაივლიდა.

თავი LXVII

შაჰის მიერ გამოგზავნილ ელჩთან საუბრის შინაარსი ქეთევან დედოფლის ბანაკში, გარდა თვით ქეთევანისა, რა თქმა უნდა, არავინ იცოდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც უპირულმა და შეუბრალებელმა შაჰ-აბასმა მძეულად წამოყვანილ თეიმურაზის შვილებს დამარცა, ყველა გრძნობდა, რომ თვით ქეთევანის აღსასრულიც სულ ახლო იყო, დღეს თუ ხვალ უბედურების მაცნე მოაკითხავდათ. მოახლე გოგოები ჩუმად ტიროდნენ და სასთუმალს ცრემლით ასველებდნენ. დღედაღამ ღმერთს ევედრებოდნენ, რომ დაეცვა, მათთვის ეთუქვინა მწყალობელი დედოფლის სიცოცხლე. თუ ბედი უმუხთლებდათ და ქეთევანიც მძვინვარე შაჰის შურისძიების მსხვერპლი გახდებოდა, რასაც წინ აღარაფერი უდგა, ისინი მთლად უპატრონოდ რჩებოდნენ უცხო მხარეში, სადაც ქრისტეს რჯულზე ხელის აღება, გარდაუვალი გათათრება, საძულველ მაჰმადის რჯულზე შედგომა და სამშობლო ქვეყნისაგან სამუდამო მოწყვეტა ელოდათ. ასეთსავე დღეში იყვნენ მგლოვიარე მამაკაცებიც, მეტადრე შავი ნარმით თავწაკრული ბიქები, რომელთაც დღისით თუ ღამით თავიანთი მშობლიური კარმიდამო, ოჯახი, დაუსრულებელი ლოდინით თვალგამოღამებული საბედო და მათ ზრუნვას მოკლებული ლომა ხარ-კამეჩი ელანდებოდათ.

ქეთევანს ხსოვნაში ჩარჩა ზეინაბ-ბეგუმის ნათქვამი, რომ ის, ქეთევანი, ბოლო ხანს მკაცრად დაისაჯა და იმაზე-ღა ფიქრობდა, რას გულისხმობდა შაჰის ჰარამხანის უფროსი, როდესაც ამ სიტყვებს ამბობდა. სიამაყემ ნება არ მისცა მისი უფრო გასაგებად გამოთქმა ეთხოვა, შემდეგ საუბარმა სრულიად სხვა მიმართულება მიიღო, ბოლოს გულიდანაც გადავარდა და ზეინაბ-ბეგუმი ალაევერდიხანისეულ სასახლიდან ისე წავიდა, საბედისწერო კითხვა პასუხგაუცემელი დარჩა.

ქეთევანი უამისოდაც გრძნობდა, რომ თავისიანები რაღაც ძნელად გასამხელს უმალავდნენ. მოახლე გოგოები აშკარად ნამტირალევი, ჯავრით გულმოკლული შემოდიოდნენ და იმგვარ მზრუნველობას და სიყვარულს იჩენდნენ, თითქოს ის სასიკვდილოდ გადაგებული მწოლიარე ავადმყოფი ყოფილიყვეს. დანა პირს არ უხსნიდა არც მწირველ მღვდლებს. თითქოს შეთანხმებულან და აღთქმა დაუდევთო, ისინი ზედმეტი სიტყვის თქმას ერიდებოდნენ და თვალს არიდებდნენ, თუმცა დამწუხრებულ დედოფალთან ჩვეულებრივზე უფრო დიდხანს რჩებოდნენ და მას ძველ აღთქმას, საღვთო წერილსა და მოციქულების ეპისტოლეებს უკითხავდნენ.

ქეთევანი თვით ვერ ბედავდა, რაიმე ეკითხა. ეშინოდა, ისეთი რამ არ გაეგო, რაც წონასწორობას საბოლოოდ დაურღვევდა, წინააღმდეგობის გაწევის ღონეს შეუსუსტებდა და ბედის გარდაუვალ განაჩენს უხმოდ, მორჩილად ელოდა.

მაგრამ რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ქეთევანისათვის რის გამხელაც ასე შეუძლებლად მიაჩნდათ? საბატონო ქვეყანა, კახეთი, სადაც თხუთმეტი წლისა მოიყვანეს და რომლის კეთილდღეობასაც მთელი ყმაწვილქალობა შესწირა, უკვე დაპყრობილი და გავერანებული იყო. იქ ურჯულო მტერი თარეშობდა და ვინ იცის, როდის-ღა მოხერხდებოდა იქიდან მისი გამოდევნა, ანდა მოხერხდებოდა კი? თეიმურაზს რომ რაიმე უჭირდეს, ღმერთმაც ნურაფერი გაუჭირვოს, შაჰი მისთვის წიგნის გაგზავნას და ერთი მხრივ ოსმალეთთან, ხოლო მეორე მხრივ რუსეთის ისტამბულელ ემისრებთან კავშირის გაწყვეტას არ შემოთვლიდა. ერთადერთი რამ, რაც მოსვენებას უკარგავდა, სულს უგუბებდა და სრულ სასოწარკვეთილებაში აგდებდა, მძევალი შვილიშვილების უამბობა იყო. ნუთუ მათ გაუჭირდათ რამე? ნუთუ ასე გასწირა ღმერთმა?

— იესო მაცხოვარო, ღვთისმშობელო დედა, — უმალ მუხლებზე დაემხობოდა და ცხარე ცრემლები ლაპალუპით წამოუვიდოდა. — თქვენ შემეწიენით, ნუ მომასწრებთ ჩემი ანგელოზების, ლევანისა და ალექსანდრეს შავ დღეს, უმალ ჩემი ცოდვილი სული მიიღეთ, ამ უბედურებას რომ არ შეესწრო!..

გაურკვეველმა მოლოდინმა კიდევ ერთ თვესა და ცოტა მეტს გასტანა. ბრწყინვალე ალი-ყაფუდან, ალავერდიხანისეულ სასახლიდან სულ ახლოს, ჩაჰარ-ბაღის მოპირდაპირე მხარეს რომ იდგა, ბაიბური არ ისმოდა. ნუთუ ხელმწიფის კარზე უაღრესად გაელენიანმა ზეინაბ-ბეგუმმა თამარ დედოფალიც დაიხმარა და ტკბილი სიტყვით შაჰს თავისი უზნეო, ღვთის გამარისხებელი გადაწყვეტილება გადაათქმევინა?

ამასვე ფიქრობდნენ დედოფლის მხლებლებიც, სამღვდელონიც და საერო პირნიც, იმედგადაწურულნი, რომ სამშობლოს ცის ხილვა და იქაური წყლის დალევა არასოდეს აღარ მოუწევდათ. ეს უბედურები ხავსს ეჭიდებოდნენ, იქნებ მართლა გასჭრას ჩვენმა ლოცვა-კურთხევამ, ღმერთამდე მიაღწიოს და მამაზეციერმა ქეთევანის ძვირფასი სიცოცხლე გვაჩუქოს, რომ სამშობლო ქვეყანაში დაბრუნება და ჩვენ-ჩვენს წმიდა სალოცავებში ლოცვის აღვლენა კიდევ გვეღირსოსო.

მთელმა ზამთარმა ისე გაიარა, თოვლი თითქმის არ მოსულა. ნოტიო, სისინა ქარი უბერავდა და სიცივე ძვალრბილში ატანდა. თოვლი მხოლოდ შორეული მთების მწვერვალებზე და კალთებზე იდო, რომლებიც გარს ერტყმოდნენ სატახტო ქალაქს და მას დანარჩენ სამყაროსაგან ანცალკევებდნენ. ლოცვით მოღლილი ქეთევანი ფარდებჩამოფარებულ სარკმელთან მოკალათდებოდა ხოლმე, ფარდის ყურს გასწევდა და დაღვრემილი, გულდამძიმებული გასცქეროდა ჩამოთოვლილი მთების რკალს, ასე ტყუპისცალივით რომ მიაგავდნენ ალაზნის ველზე დიდებულად გადმომდგარ ლურჯ კავკასიონს.

ერთ დღეს კარზე გიორგი ხუცესმა დააკაკუნა, შემოვიდა, ჩვეულებისამებრ ქეთევანს ჯვარი გადასახა და ახალი ამბავი მოუტანა: გურჯ დედოფალს, მისი მხლებლებითურთ, რომელთა რაოდენობა რამდენადმე შეემცირებინათ, სატახტო ქალაქიდან შორს, შირაზში ასახლებდნენ. აქ მას მოფიქრებისა და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისათვის განსაზღვრული ვადა ეძლეოდა. მაჰი იმედოვნებდა, რომ გიაური დედოფალი ამ დროს ნაყოფიერად გამოიყენებდა და სულს მაღალი ალაჰის წიაღთან შესაერთებლად მოამზადებდა.

— დაგვცინის ღვთის გარეგანი! — აღმოხდა სუნთქვაშეკრულ ქეთევანს და მისმა სათნო სახემ ერთბაშად მრისხანე, მბრძანებლური გამომეტყველება მიიღო. — ბალღებისა კიდევ არაფერი ისმის?

— არაფერი, დედოფალო, — იცრუა მოძღვარმა და თავი რომ არ გაეცა, თვალები დახარა. — იქნებ იქ, შირაზში შევიტყოთ რამე. ქართლის მეფე ლუარსაბიც ხომ იქა ყავთ, გულაბ-ყალაში...

— ჩვენც ციხეში ჩაყრას გვიპირებენ?

— რამდენადაც მე ვიცი, არა, დედოფალო, — მოძღვარმა იგრძნო, საშიშროებამ გაიარაო, თვინიერი თვალები ასწია და ქეთევანს მიაპყრო. — თქვენი დიდებულება ბეგლარბეგის საპატიო სტუმარი იქნება, ჩვენ კი, თქვენს ერთგულ ყმებს, იქვე, სადმე ახლოს მოგვათავსებენ!..

— ეგ ყველაფერი ვინ შეგატყობინა?

— ეს არის, საჭურისების უსტაბაში გეახლა სასახლიდან და მე გამანდო, რომ მერე თქვენი დიდებულებისათვის მისივე სიტყვებით გადმომეცა!

— მაშ, გადაწყვეტილია, მივდივართ?

— მივდივართ, დედოფალო!..

— მე უბედური როგორ ვიმედოვნებდი, წინათგრძნობაც ასეთი მქონდა, რომ ბალღების უნახავად აქედან არსად წასვლა არ მომიწევდა. წუთით თავს წავდებ თუ არა, მესიზმრებიან. ხან ერთი, ხან მეორე, ხან ორივე ერთად. რაღაცას მთხოვენ. აზრი ვერ გამომაქვს. მაშინვე მეღვიძება და მერე ასე თვალებგახელილი ვათენებ. ერთხელ მენახა, ხელი შემეევლო, დავრწმუნებულიყავი, რომ ფარსაგი არაფერი სჭირთ და მერე შირაზში კი არა, თუნდაც საფლავში ჩავიდოდი!

— ღვთის ნებას ვერ გაექცევით, დედოფალო.

— მხლებლების რიცხვს რად გვიმცირებენ, ჩვენს ხალხთან რა ხელი აქვთ?

— აქამდე ვერ გიმხელდით, დედოფალო: ჩვენი ხალხიდან სამმა, ერთმა ქალმა და ორმა კაცმა, ისლამი მიიღო, მეჩეთში მოინათლა, ჩვენთან ერთად გზა-გზა ხეტიალს აქ დარჩენა და სარფიან საქმეში ჩადგომა არჩია!

— ვაი ჩემს თავს, ეგ რა მითხარი, მამაო! — ქეთევანმა ღაწვი ჩამოიპოტნა და ხუცესს თვალი გაუსწორა.

— რომ არ მეთქვა, როდემდე დამემალა, ადრე თუ გვიან რომელიმეს მოიკითხავდი და ხომ მაინც გაიგებდი! სამი სხვა კიდევ ახალჯულფელ სომხებს მიეკედლა. ვეხვეწეთ, ვემუდარეთ მე და მამა მოსეს, არ დაიშალეს. არც თხოვნამ გასჭრა, არც მუქარამ. ზეთსახდელში დაიწყეს მუშაობა და სალოცავადაც იმათ ეკლესიაში დადიან. ამბობენ, შიმშილით სიკვდილს ან გათათრებას ისევ გასომხება გვირჩევნია, ქრისტეს ხატზე ლოცვას ხომ არავინ დაგვიშლისო, გაუწყრეთ მაგათ ქრისტეცა და მამაზეციერიც!

—ექვსი ცხვარი დაგვიკარგავს, ექვსი ცხვარი გამოჰკლებია ჩვენს სამწყსოს!

— რა გაეწყობა, დედოფალო, ვილოცოთ იმათ სულებისთვისაც! ღმერთი მოწყალეა. იქნებ სიკეთე ჩააგონოს და ისინიც თავიანთ რწმენას დაუბრუნდნენ!..

— როდისთვის გვიპირებენ აქედან გაგზავნას?

— ჯერ ბეგლარბეგის რაზმი უნდა მოვიდეს შირაზიდან. სასახლის საჭურისები, ვის ხელშიაც ახლა ვართ, ჩვენს თავს იმათ გადააბარებენ და იმავე წუთიდან იმამყული-ხანის განმგებლობაში გადავალთ.

— იმამყული-ხანის? ეგ სახელი მეცნობა, მამაო. იმამყული-ხანი... ეგ ხომ ალავერდი-ხანის უფროსი შვილია, ფარსის ბეგლარბეგი, ჩვენი სისხლი და ხორცი?!

— დიახ, ის გახლავთ, დედოფალო. განათლებულ და ლმობიერ კაცს ამბობენ, თუკი შეიძლება მაჰმადის რჯულის აღმსარებელი ლმობიერი იყოს! მთელ სპარსეთსა და აღმოსავლეთში სახელი აქვს განთქმულიო. საიდან არ ჩამოდის ხალხი მის გასაცნობად და მის სტუმართმოყვარე კარზე პურმარილის მისაღებადო. სისხლზე და ხორცზე კი რა მოგახსენო. ღმერთო შემინდე და, ჩვენებური კაცის ნაშიერი რომ ისლამს მიიღებს და გადარჯულდება, ყველაზე უფრო თავის ფესვსა და ძირს შეიძულებს, მასთან კავშირი არ დამბრალდეს და ჩემს დიდებას, ჰაპანწყვეტით რომ მომიპოვებია, ბზარი არ გაუჩნდესო.

— მე კი სხვას მითქვამს გული, მამაო გიორგი, ყველა კაცი ერთი ჯოხით არ გაირეკება. ადრე, როცა თეიმურაზი აქა მყავდა, გულით მინდოდა, ჩემი შვილი და ალავერდი-ხანის შვილები ერთმანეთს გასცნობოდნენ. ღმერთმა არ ინება. თვით შაჰი აღუდგა წინ ჩემი შვილისა და აქაური ქართველების, მათ შორის იმამყული-ხანის, დაახლოებას. ახლა სხვაგვარად შებრუნდა საქმე. ერთმა ღმერთმა იცის, შაჰს გულში რა უდევს, რა ახალ განსაცდელს გვიმზადებს!

— ღმერთმა კეთილი ჰქნას, დედოფალო!

ფარსის ბეგლარბეგ იმამყული-ხანის მიერ გამოგზავნილ რაზმს, კახეთის ტყვე დედოფალი და მისი მხლებლები შირაზში რომ უნდა წაეყვანა, ორ კვირაზე მეტს შეაგვიანდა. ამ ორი კვირის განმავლობაში ქეთევანის მხლებელთა გუნდი კიდევ ორი ქალითა და შვიდი კაცით შემცირდა. ქეთევანს ელდა ეცა, ეს ამბავი რომ შეატყობინეს. კაცთაგან ორს, ისევე როგორც მათ წინამორბედებს, ისლამი მიეღო და ეიღაც წვრილმანებით მოვაჭრე სპარსელს მოჯამაგირედ დასდგომოდა, სხვებს კი ახალჯულფელ სომხებისათვის მიეკითხათ და თავიანთ თვისტომთა შუამდგომლობით ზეთსახდელის სარდაფებში მომუშავე სხვადასხვა ჯურის მოხელეებს მიმატებოდნენ.

ახალი ხალხის გადაბირება და სულის წაწყმედის გზაზე შეყენება, რასაკვირველია, ადრე წასულთა ნამოქმედარი იყო. თუ მე წავედი და ჰეშმარიტი ღმერთი გავარისხე, ნეტავი ესენი ჩემზე უკეთესი რით არიანო, ჩაითქვეს, დატრიალდნენ და სხვა სულმოკლენიც თავის ჰკუაზე გადაიყვანეს.

ზეთსახდელი საამქროები ისპაჰანში ათი-თორმეტი წლის წინათ გაჩნდა და კიდევაც მომრავლდა. ეს სარფიანი წამოწყება სამშობლოდან ძალისძალად აყრილ და სპარსეთში

ჩამოსახლებული სომხების სახელს უკავშირდებოდა. მათ საქმე ისპაჰანის გარეუბანში დამკვიდრების მესამე თუ მეოთხე წელიწადს გახსნეს, სასახლეების, ქარვასლების, მედრესეების, აბანოების, მეჩეთების, ქუჩებისა და მოედნების გასანათებელი ზეთით, აქამდე უცხო ქვეყნებიდან რომ შემოჰქონდათ და მამასისხლად ასაღებდნენ, სატახტო ქალაქის მომარაგება დაიწყეს, საქონელი საგრძნობლად გააიაფეს და ბევრი ადგილობრივი თუ უცხოელი ვაჭარი გააკოტრეს.

ცთუნება დიდი იყო. თუ პირისწყალს გაიწყვეტდი, სინდის-ნამუსზე ხელს აიღებდი და შენს ღმერთს ზურგს შეაქცევდი, ორ-სამ წელიწადში მარჯვე და ჭკუადამჯდარი კაცი საკუთარი საქმის გასახსნელ თანხას იშოვნიდი. რომ არა ქეთევანის უბადლო ღვთისმოსავობა, მისი სულიერი შეუვალობა და ქრისტეს ჯვრის განუხრელი ერთგულება, ნივთიერ გასაჭირში ჩავარდნილ მის მხლებელთაგან საძრახი ნაბიჯი იქნებ მეტსაც გადაედგა, მაგრამ გასჭრა მწირველი მღვდლების, მამა მოსესა და მამა გიორგის ქადაგებამ, სარწმუნოებრივი გაუტეხლობისა და სულიერი სიწმინდის მაგალითად მათ მიერ ქეთევანის წარმოჩენამ.

თვისტომნი, რომლებიც დედოფალს უცხოთა ქვეყანაში ახლდნენ და ყოველგვარ გასაჭირს მასთან ერთად უმკლავდებოდნენ, საკუთარი თვალით ხედავდნენ, რომ ის, რასაც მწირველი მღვდლები თავიანთ მცირერიცხოვან მრევლს უქადაგებდნენ, ლიტონი სიტყვა არ იყო. თუკი მამა-პაპის რწმენას განუდგებოდა, ჯვარცმულ ქრისტეს უღალატებდა და თავის სულიერ წინამძღვრად მაჰმადს აღიარებდა, ქეთევანს დღესვე შეეძლო აურაცხელი სიმდიდრისა და ყმა-მამულის პატრონი გამხდარიყო, დღესვე შეეძლო ნადირივით მძვინვარე შაჰი მოეთვინიერებინა, მისი რისხვა მოწყალებად შეეცვალა, მაგრამ ეს ყოველივე კაცთა მოდგმის ცოდვების გამოსასყიდად ჯვარზე ასული მაცხოვრის გმობის გზით თუ მიიღწეოდა, რასაც არა მარტო ქრისტეს მბევალ ქეთევანის, არამედ მისი შემყურე მთელი ერის გადაგვარება და ჯოჯოხეთის უფსკრულში შთანთქმა მოჰყვებოდა.

ქეთევანმა კარგად იცოდა, რომ ყველა მზერა მისკენ იყო მოპყრობილი. იცოდა, რომ ათწილ და ასწილ გასალკლდევება მართებდა. თუ ის დაეცემოდა და სულისა და ხორცის გვემას ვერ გაუძლებდა, დაეცემოდნენ სხვებიც, ღვთის ცხოვარნი და ეს უპატიებელი ცოდვა და დანაშაული მარტო მას ერთს უნდა ეტვირთა!

შერისხული დედოფლის გასაცილებლად და ფარსის საბეგლარბეგოში მის გადასაყვანად შირაზიდან მობადრაგე რაზმის დაბარება მაინც და მაინც არც იყო საჭირო. ისპაჰანში ჯარის მეტი რა ჰყავდათ! მაგრამ ქეთევანის გაკერპებამ,

ქართლის მეფე ლუარსაბის მსგავსად ისლამის მიღებაზე უარის თქმამ და კახპის ნაშობი ნაზარეველი თვალთმაქცის ერთგულებაზე თავის გამოდებამ, უფრო კი მისი მამაკაცური წადილის უგულვებელყოფამ შაჰი ისე გააგულისა, მის გასაცილებლად თავის კაცების გაგზავნაც არ ინება, იმამყული-ხანს საგანგებო შათირის პირით შეუთვალა, წაიყვანე, ბოლოშორე ეგ კუდიანი დედაკაცი, სანამ მოთმინება მთლად არ დამლეოია და ცხენის კუდზე არ გამომიბამსო.

შირაზის ხანს, ფარსის ბეგლარბეგს, იმამყული-ხანს მისი კეთილისმყოფელი მბრძანებელი ძნელ და თითქმის შეუსრულებელ ამოცანას აკისრებდა. მას თავის კარზე უნდა ეყოლიებინა ეს ამაყი გურჯი დედოფალი, ყველა ღონე უნდა ეხმარა მაჰმადის რჯულზე მის მოსაქცევად და თუ ცდითა და მოწადინებით მიზანს ვერ მიაღწევდა, შაჰისათვის ეცნობებინა და ისიც მის ბედს საბოლოოდ მაშინ გადაწყვეტდა.

სანამ შათირმა სატახტო ქალაქიდან ფარსის მთებში შეყუჟულ შირაზს მიაღწია და, შაჰის ბრძანებისამებრ, იქიდან ბეგლარბეგის მიერ გამოგზავნილი მობადრაგე რაზმი მოვიდა, კარგა ძალა დრომ გაიარა. გასავლელი გზა საკმაოდ დიდი იყო. სწრაფმავალი მექარავენენი მის დაფარვას რვა-ათ დღეს ანდომებდნენ, ხოლო თუ ამას ზედ შაჰის ფიცხელი განკარგულებაც დაერთვოდა და ჯერ კიდევ მეფე კიროსის დროს მოწყობილ საგზაო სადგურებში შათირს მარქაფა ცხენს დაახვედრებდნენ, გზა სწრაფად მოკლდებოდა და კაცი მისული რომ არ გეგონა, უკვე დაბრუნებული იყო.

გასული მარტის თერთმეტს, პარასკევ დღეს დაინიშნა. რაზმი შირაზიდან წინადღეს მოვიდა და ნამგზავრი პირუტყვისა და ხალხის დასასვენებლად მას მხოლოდ ერთი დღე აკმარეს.

დედოფლის ბანაკს მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ფხიზლობდა უპირველეს ყოვლისა ქეთევანი და ღვთისმშობლის ხატის წინაშე დაჩოქილი გულმხურვალედ ლოცულობდა. ავედრებდა მის წილხვედრ ქვეყანას, შესთხოვდა, დაეფარა იგი მსახვრალი მტრის ახალი შემოსევებისაგან, ავედრებდა სხვის კარზე შეფარებულ პირმშო შვილს, თეიმურაზს და მის სახლეულს, ხოლო მძევლად წამოყვანილი ბატონიშვილების, ლევანისა და ალექსანდრეს ხსენებაზე თვალთაგან ლაპალუპით ცრემლი გადმოსდიოდა და გამწარებული თავს კედელს ახლიდა.

სად ყავდათ? ასე როგორ დაუშალეს, რომ ამ წყეულ ქვეყანაში მათი ასავალ-დასავალიც ვერ გაიგო? ვაითუ უკვე მოხდა ის, რის ცხადლივ წარმოდგენა ასე აძრწუნებდა და მას კი არ უმხელდნენ, პირზე მტერსაც და მოყვარესაც კლიტე ჰქონდა დადებული? ვაითუ სული აღარც უდგიათ, შაჰის

მხეცური შურისძიების მსხვერპლნი გახდნენ და მათი უბედური ბებოც სულ ტყუილად აწუხებს ღმერთს?

„არა, არა, ეს შეუძლებელია! — არწმუნებდა თავს ქეთევანი. — მძეელ ბატონიშვილებს, ჩემს მალხაზ ბიჭუნებს ვერ გაიმეტებენ. კაცს ქვის გული უნდა გქონდეს, მთლად ტარტაროზი და გულით ჯალათი უნდა იყო, რომ მათზე ხელი აღმართო! აბა, კრავივით უცოდველმა ბალღებმა რა დააშავეს, ბალღების რა ბრალია, თუ მათმა გამწარებულმა მამამ მტერს სამშობლო ქვეყანა ვერ დაანება და მომხვდურს მტრულად დაუხვდა?! თვით სულწაწყმედილი შაჰ-აბასი როგორ მოიქცეოდა, თეიმურაზის ადგილზე რომ ყოფილიყო? ღვთის სამართალი აღარ არის თქვენში? წყეულიმც იყავ, შაჰ-აბას! ნუთუ არ გეშინია, რომ ჩვენი ცოდვა სადმე წამოგეწევა და თავებდს გაწყეველინებს?“

ისპაჰანი, არამარტო ძლევამოსილი შაჰის სატახტო, არამედ ვაჭარ-ხელოსანთა მაშვრალი ქალაქი, დილაადრიან, თითქმის გარიჟრაჟზე იღვიძებდა. ცისფერი შორენკეცით მოპირკეთებული ტანწერწეტა მინარეთების მოაჯირზე გადმომდგარი მუყრები რომ ხელებს აღაპყრობდნენ, ოთხივე კუთხივ გაბმული ხმით გასძახებდნენ და მართლმორწმუნეთ სალოცავად მოუწოდებდნენ, ქალაქი უმალ ფეხზე დგებოდა და, თითქოს ეშინია, არ გამასწრონ და მაღალი ალაჰის წყალობა ჩემზე ადრე არავინ მიიღოსო, დილის ნამაზის მისაღებად კარღია მეჩეთებისაკენ მიემართებოდა.

ქეთევანს სწორედ ეს ნაცნობი ხმები შემოესმა, ენიშნა, რა დროც იყო და წამოდგა. მოახლე გოგოებს უკვე მოეთავებინათ ბარგის ჩალაგება, ახლა ხატებსა და საეკლესიო წიგნებს აწყობდნენ და ბარგი სათითაოდ კიბის ბაქანზე გაჰქონდათ. ოქროს ლავგარდანებიან მეზობელ ოთახში, სამლოცველო სახლის მოვალეობას რომ ასრულებდა, ხატების წინ მლოცველებს სანთლები აენთოთ და სამგზავროდ გამოწყობილი მღვდლები, მამა მოსე და მამა გიორგი, პარაკლისის გადასახდელად საცეცხლურებს აჩაღებდნენ. ბზინავდნენ ხატები და ირგვლივ თაფლის სანთლისა და გაღვივებული საკმევლის სუნი ტრიალებდა.

ქუჩაში, ალავერდიხანისეული სასახლის წინ, ჩაჰარ-ბაღზე, ხალხის ტევა აღარ იყო. ახალჯულფელ სომხობას, დიდსა თუ მცირეს, საეკლესიო ბიეტოვებინა, დარაბები ჩაეკეტა და თავი უკლებლივ აქ მოეყარა. მოსულიყვნენ ხატებით, ოქროცურვილი ჯვრებითა და საეკლესიო ბაირაღებით. მათ შავ ანაფორებში გახვეული და კოთხოსმაგვარი კუნკულით თავდახურული თაეიანთი მღვდლებიც თან ახლდნენ.

ქალაქში ხმა გავარდნილიყო და ყველას გაეგო, რომ შაჰ-აბასი დღეს ქრისტეს ჯვრის მტვირთველ გურჯ დედოფალ ქეთევანს, რომელმაც რჯულის დაგდებაზე და ისლამის მიღებაზე მბრძანებელს უარი შეჰბედა, შორეულ შირაზში გზავნიდა, სადაც მას ან ძალით გათათრება ან სიკვდილი ელოდა და თანაგრძნობას უფლის მხევალ დედოფლისადმი, ენით აუწერელი გასაჭირი რომ გადაიტანა და ხვალ-ზეგ კიდევ მეტის გადატანა ელოდა, აქ მოსელითა და მისდამი თაყვანისცემით გამოხატავდნენ.

ბრბოში, რომლის უმრავლესობას ჩადრით პირაკრული სპარსელი ქალები და ინით წვერშეღებილი ჩალმიანი მამაკაცები შეადგენდნენ, ბევრი უცხოელი სასულიერო და საერო პირი ერია. ამათგან პირველნი კათოლიკური ეკლესიის ამა თუ იმ ორდენის წევრები იყვნენ, მისიონერობას ეწეოდნენ, აღმოსავლეთის ერთი ქვეყნიდან მეორეში გადადიოდნენ და უწმიდესი პაპის სახელით ქრისტიანობას ავრცელებდნენ, მეორენი კი მოგზაურობდნენ, ან დროებით აქ დასახლებულიყვნენ, მაგრამ როგორც ჩაცმულობით, თმის ვარცხნილობითა და მიმოხრით ადგილობრივ მოსახლეთაგან მკვეთრად განირჩეოდნენ.

აქვე ირეოდნენ ის სულმოკლე კახნიც, ჯერ კიდევ გუშინ დედოფლის მხლებელი ამალის წევრებად რომ ითვლებოდნენ, გათათრებას რომ გასომხება არჩიეს, გრიგორიანებად მოინათლნენ და ორიოდე გროშის შოვნის იმედით თავი სომეხთა ზეთსახდელ საამქროებს შეაფარეს.

კაცებს კრიჭა შეკვროდათ, თავი ჩაექინდრათ, ქალები კი, გულდათუთქულნი, მოთქმით ტიროდნენ, პატიებას ითხოვდნენ და ღმერთს შენდობას ევედრებოდნენ.

ამ უკანასკნელთა შორის ერივნენ ისინიც, ვინც კიდევ მეტი ავკაცობა ჩაიდინა, ჯვარცმული მაცხოვარი უარყო და სულიერ წინამძღვრად მაჰმადი აღიარა. ეს უბედურები სახეს იფარავდნენ, ცრემლს მალავდნენ და ცდილობდნენ, ყველასათვის შეუმჩნეველი დარჩენილიყვნენ.

თავი LXVIII

ფარსის ბეგლარბეგ იმამყული-ხანს, რომელმაც თავისი მაღალი სახელო შამის, ალავერდი-ხანისაგან მემკვიდრეობით მიიღო და მას ჩვეული ღირსებითა და თავმდაბლობით ატარებდა, ამაყი და პატივმოყვარე შაჰ-აბასი სახელმწიფოში მეორე კაცად თვლიდა.

მეორე კაცად თვით შაჰის შემდეგ!

ხანისადმი ეს სიყვარული და პატივისცემა, მართალია, მამიდან შვილზე გადმოვიდა, მაგრამ იმამყული-ხანიც ფლობდა ბევრ ისეთ თვისებას, რითაც მბრძანებლის აღტაცებულ თაყვანისცემას იმსახურებდა, სხვებს კი, ტახტის სხვა გავლენიან მოხელეთ, გულში შურსა და ბოღმას უღვივებდა.

უწინარეს ყოვლისა, რაც სეფიანთა სპარსეთში ყველაზე მეტად ფასობდა, იმამყული-ხანი უებრო მეომარი და სარდალი იყო. მისი ნასროლი ისარი მიზანს არასოდეს ასცდებოდა, ხმალსა და შუბის ტყორცნაში კი მეტოქეობას ვერავინ უწევდა. ჯარიც დიდებულად გაწვრთნილი და უმცროს-უფროსობაზე აგებული ჰყავდა.

ხანი ამავე დროს უაღრესად მშვიდობიანი და კეთილმოსურნე ხასიათით გამოირჩეოდა. ომის დროს ხელში ჩაგდებულ ტყვეებს, ნაცვლად იმისა, რომ ცხვირიდან ძმარი ედინა, ლმობიერად ეექცეოდა. არცთუ იშვიათად შინაც კი უშვებდა, ოღონდ წინასწარ პირობას ართმევდა, მეორედ ხელში აღარ ჩაგვივარდე, ცათა სწორი ყაენის წინააღმდეგ გულში ავი ზრახვა აღარ გაივლო, თორემ, ზენაარს ეფიცავ, მსაჯული ჩვენს შორის თვით მაღალი ალაჰი იქნებაო.

მომსწრენი ამბობდნენ, რომ თავისი ხასიათის თვისებებითა და თვით თვალტანადობითაც კი იმამყული-ხანი მამის, ალავერდი-ხანის განმეორება და დაგვირგვინება იყო.

მიუხედავად ქრისტიანული წარმოშობისა და უცხოტომელობისა, არცთუ ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ალავერდი-ხანმა დიდძალი ქონება დააგროვა და ხელმწიფის კარზეც გამორჩეული პატივითა და გავლენით სარგებლობდა. ხელგაშლილი და გულუხვი კაცი იყო. ქარის მოტანილს ქარს უშურველად ატანდა და, სადაც კი ხელი მიუწვდებოდა, დიდ აღმშენებლობას ეწეოდა. მის ხარჯზე აშენებდნენ თვალმახარა მედრესეებს, თითქოსდა ყაისნაღით მოქარგულ ქარვასლებს, ბაზრებს, ხიდებს, სასახლეებს, ბაღებს...

მომავალი ყულარაღასი, შაჰის მცველი ჯარის სარდალი, ღარიბი ქართველი აზნაურის შვილი იყო. ტყვეებით მოვაჭრე ქურდ-ბაცაცებს იგი პატარა ბიჭობაში წისქვილიდან მოეტაცათ, პირი ჩვრით ამოეტენათ, ლიხის მთა გადაეტარებინათ და ყულეებში სხვა მის ტოლებთან ერთად გაეყიდათ.

ბიჭუნა ჯერ ეგვიპტეში მოხვედრილიყო, სადაც, მაშინდელ ჩვეულებისამებრ, მამლუქობა არ უნდა ასცდენოდა, მაგრამ ყისმათს სხვაგვარად გაეჭრა: ერთ იქაურ უშვილო ხარაზს მოსწონებოდა და იმ იმედით, რომ შემდეგ ხელობას ასწავლიდა, ხელზე მოსამსახურედ აეყვანა, მაგრამ ხარაზი მალე მომკვდარიყო და ბიჭი ბედს არაბეთის რომელიღაც ქვეყანაში

მოეხვეოდრებინა, საიდანაც ბედუინების ქარავანს სპარსეთში ჩამოპყოლოდა და საბოლოოდ ბინა იქ დაედო. მკვირცხლი და გონიერი გურჯი აბას-მირზას მაშინვე შეენიშნა და თავის რაზმში ჩაერიცხა. მომავალ სარდალსა და მომავალი ხელმწიფის ყველაზე უფრო დაახლოებულ პირს აქ თავი გამოეჩინა და ტახტის კანონიერი მემკვიდრის წინააღმდეგ დანიშნულ შეთქმულებაში, რომელიც აბას-მირზამ სასულიერო პირებზე დაყრდნობით მოაწყო, ძმას ქრისტიანობის შეწყნარება დააბრალა, მონაწილეობა მიეღო, თავისი გულის რჩეული აბას-მირზა, აწ უკვე ერთადერთი მემკვიდრე მამისეული ტახტისა, ირანის შაჰად გამოეცხადებინა.

ალავერდი-ხანს კუბოს ფიცრამდე არ მოჰკლებია თავის მიერვე ტახტზე აყვანილი შაჰის პატივი. ტახტზე აბასის ასვლის უმალვე მას ყულარაღასის სახელო უბოძეს და იგი დიდებით და მორჩმით მანამ ეპყრა, სანამ მადლიერმა შაჰმა სპარსეთის ედემად წოდებულ შირაზს არ გაგზავნა და ფარსის, ბაჰრეინის, ლარის, ორმუზის, ხუზისტანისა და არაბისტანის მფლობელად არ გამოაცხადა.

იმამყული-ხანმა ღირსეული შვილობა გასწია. წარჩინებული მამის საქმენი კიდევ უფრო განავრცო, მბრძანებელს აამა და მის გულში სამუდამო ადგილი დაიკავა. შაჰზე უფრო მოხდენილად და მდიდრულად იცვამდა. შაჰზე უკეთესი არაბული ცხენების რემა დაუდიოდა. მის ჰარამხანაში ახლო აღმოსავლეთის ყველაზე უფრო ტურფა ასულები იყვნენ თავმოყრილი. აზიისა და ევროპის სხვადასხვა კუთხიდან საგანგებოდ მობრძანებული სტუმრებით მუდამ სავსე იყო მისი სასახლე. სპარსეთის უპირველესი მელექსენი, მხატვრები და მემუსიკენი მხოლოდ შირაზში, იმამყული-ხანის გარშემო იყრიდნენ თავს. შაჰ-აბასს შურდა, ამ აშკარა უპირატესობას, რომელსაც ქვეყანა ხედავდა, ის ვერავის აპატიებდა. პატიობდა მხოლოდ იმამყული-ხანს...

სატახტო ქალაქში დიდ დღესასწაულებზე ან სამხედრო აღლუმზე მოწვეულს ხანდახან სასახლის კარის დიდებულთა თანდასწრებით ხუმრობით ეტყოდა ხოლმე, არ შეიძლება, ერთი ცეხინით ჩემზე ნაკლები დახარჯო, რომ ხანი და შაჰი ამით მაინც განვსხვავდეთ ერთმანეთისგანო?

იმამყული-ხანი თავის გამორჩეულ მდგომარეობას, მისდამი შაჰის დამოკიდებულებას არ გაუამაყებია, არასოდეს მოუნდომებია, იმაზე მეტი ჰქონოდა, რაც ჰქონდა, თავისი განსაზღვრული ადგილი ყოველთვის იცოდა. სხვა მის ადგილზე სულ გაგიჟდებოდა, ყოველგვარ წონასწორობას დაკარგავდა და თავზე წამოჯდომას მოინდომებდა, რითაც თავსაც

დაიღუპავდა და თავისიანებსაც დაღუპავდა, ის კი მამასავით ჭკუიანი და ზომიერი იყო, ერთ ზედმეტ ნაბიჯს არ გადადგამდა და არც სხვას გადაადგმევინებდა.

ერთხელ აღმოსავლეთის რომელიღაც შორეულ ლაშქრობიდან მობრუნებულს, სადაც იმამყული-ხანმა დიდი და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა, შაჰი მთელი თავისი ბრწყინვალე ამალის თანხლებით სატახტო ქალაქიდან ნახევარი დღის სავალზე გაეგება, ჩამოქვეითდა, მიეახლა და გულში ჩაიკრა, მერე კი უბრძანა, ახლა ჩემს ცხენზე შეჯექ და წინ გამიძეხ, შენ ღირსი ხარ, სპარსეთის შაჰი უკან ქვეითად მოგდევდეს და თაყვანს გცემდესო.

შაჰის მხლებელი კარისკაცები და სარდლები თვალებად და ყურებად გადაიქცნენ. ყველა იმამყული-ხანს მიაჩერდა, რას იზამსო. რა უნდა ექნა! იმამყული-ხანს იმის გაგება და მიხვედრა არ აკლდა, პირველად თავის სიცოცხლეში შაჰის სიტყვა ბანზე აეგდო, ბრძანება ხუმრობად მიეღო, მბრძანებლის ცხენზე არ შემჯდარიყო და თვით შაჰიცა და მთელი სამეფო კარიც ამიერიდან მტრად არ მოეკიდებინა. აბასმა რომ წარბები შეჰყარა და ბრძანება გაუმეორა, შორს დაიჭირა, კრძალვით ჰკადრა, მტერზე გამარჯვებაში ჩემი წილი მეტად მცირეა, ეს თქვენმა მხედრობამ გაიმარჯვა, რომელსაც მაღალი ალაჰი და თქვენი უდიდებულესობის ძლევამოსილი დროშა ჰფარავსო.

აბასმა ეს სიტყვები კი მოუწონა, მაგრამ თავისი მაინც არ დაიშალა და ცხენზე მაინც შესვა. კმაყოფილი და ბედნიერი უკან მისდევდა, კოტიტა ხელებით ტაშს უკრავდა და სხვებიც, ვისაც ეს გაუგონარი ამბავი გულზე ეკლად ესობოდა, იძულებული იყვნენ, მისი მაგალითისათვის მიებაძათ.

შირაზში, იმამყული-ხანის კარზე ქეთევანის გაგზავნა და დროთა განმავლობაში იქ დატოვება შაჰ-აბასს იმან უფრო აფიქრებინა, რომ, მისი აზრით, ხანი ერთადერთი კაცი იყო მთელს სპარსეთში, ვისაც ამ ქალზე ზემოქმედებისა და შაჰისათვის სასურველი აზრების ჩაგონების უნარი შესწევდა. აბასი ჭკუა-გონებით სავსე კაცი იყო, არც გამჭრიახობა აკლდა და კარგად ესმოდა, რომ თუ ძალას იხმარდა, დაუძინებელი მტრის, გიაურ თეიმურაზის დედის იძულებით გამაჰმადიანებას შეეცდებოდა, ამით ვერაფერს გახდებოდა, რადგან ქეთევანი, ერთი შეხედვით სუსტი არსება, ჭიანჭველასაც რომ ფეხსაც ვერ დაადგამდა, უმალ ფერსა და ზნეს შეიცვლიდა, გაჯიქდებოდა და ეშაფოტზე ასვლას არჩევდა, ვიდრე თავის ჯვარზე უარს იტყოდა. კახეთის დედოფალი ხანს საპატიო სტუმრად უნდა მიეღო, მისი ღირსების შესაფერისად მოპყრობოდა და სამშობლოდან მოყოლილ მხლებლებისაგან, რომლებიც ადრე

თუ გვიან გამაჰმადიანდებოდნენ, შეძლების კვალობაზე მოეწყვიტა, რათა მაჰმადიანურ გარემოში მოქცეულ ქრისტიან დედაკაცს შაჰისათვის სასურველი ახალი გადაწყვეტილების მიღება გაადვილებოდა.

ქეთევანმა, მისმა ამალამ და მცველმა რაზმმა ალაჰ-ოაქბარის მთის კალთა რომ უკან ჩამოიტოვა, თავქვე დაეშვა და თითქმის მთელ უტევანზე გაიპიმა, წყალგაღმა, ქარაფზე, სადაც ცამდე აზიდულ ცისფერი მინარეთებით და მიზგითების დიდრონი გუმბათებით ბრწყინავდა მწვანეში ჩაფლული შირაზი, ქალაქის მაღალ კედელში ჩადგმულ დარვაზ-იე ყორანიდან — ყურანის ჭიშკრიდან მხედართა რაზმი გამოთქრიალდა და დიხჯი რონინით ხიდისაკენ გამოემართა. რაზმი კარგა მოზრდილი ჩანდა. თავმა რომ კბოდეს მოაღწია, საიდანაც გზა ხიდისაკენ ეშვებოდა, ბოლო ჯერ კიდევ თალის ქვეშ იყო.

მხედრებს ოქრომკედით მოქარგული მოკლე ტუნიკები, თეთრი პანტალონები და ცხვირაპრეხილი არაბული წაღები ეცვათ, მსუბუქად იყვნენ შეიარაღებულნი და შავწვერშეკრეკილებს თავზე წითელი აბრეშუმის ჩალმები ეხურათ. ასევე თვალ-მარგალიტით იყო მოსეულებული მათი იარაღი და ცხენების მორთულობაც, რაც იმას მოწმობდა, რომ მხედართა რაზმის ყველა წევრი აქაურ წარჩინებულთა უმაღლეს წრეებს ეკუთვნოდა.

რაზმის წინ ნაკვთებდაკუნთულ, ნესტოებდაბერილ თეთრ არაბულ ცხენს მოაგელვებდა ცისფერმოსასხამმოხურული, წარმოსადეგი ალნაგობის მხედარი, ასე ორმოცი-ორმოცდახუთი წლისა, რომელსაც აქა-იქ ჭაღარაგამორეული წვერი თავისი ქვეშევრდომებივით მოკლედ შეეკრიჭა, ხოლო მათგან განსხვავებით, წითელი აბრეშუმის ჩალმის ნაკეცში მუქისსიმსხო ძვირფასი თვალი უვარვარებდა და ეს მის დიდებულ, მშვიდობიან სახეს სიმკაცრისა და მიუკარებლობის იერს აძლევდა.

წყალგამოღმა, დედოფლის მხარეს, ყველა მიხვდა, რომ ხიდსგაღმა მხრიდან მათ შესახვედრად, ბრწყინვალე ამალითურთ, თვით სახელოვანი ბეგლარბეგი, ფარსის, ბაჰრეინის, ლარის, ორმუზის, ხუზისტანისა და არაბისტანის მფლობელი იმამყული-ხანი მობრძანდებოდა.

მცველი რაზმის წევრი ყიზილბაშები, დედოფალს რომ ახლდნენ, როგორც კი იცნეს, ვინ ხვდებოდათ და დარწმუნდნენ, რომ რამდენიმე წუთის შემდეგ ხანი აქ იქნებოდა, აწრიალდნენ, აირივნენ, თავბრუდახვეულებივით აქეთ-იქით მიაწყდ-მოაწყდნენ, ცხენებს მათრახები უცხუნეს და წინ ჭენებით გამოექანენ. ქაქანითა და მათრახების ტრიალით მათ აქლემებიდან ჩამოსხეს ქეთევანის ქართველი მხლებლები, გზის ცალ მხარეს მიჰუჭკეს, ერთხელ კიდევ დაკვირვებით შეამოწ-

მეს, ყველაფერი რიგზე იყო თუ არა და თავ-თავიანთ ცხენებს, რომლებიც დამოკლებული სადავით ეჭირათ, გვერდში ამოუდგნენ. ცხენზე დარჩა მხოლოდ ქეთევანი. უცნაურად გულაფფართხალებული ის თავის დიდებულ მასპინძელს ელოდა და მის მოსვლამდე ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა.

დამზვდურთაგან, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი იმამყული-ხანი მოახლოვდა, დედოფლისაგან ათ-თხუთმეტ ნაბიჯზე ცხენიდან ჩამოხდა, სადავე მხლებლებს შეატოვა და ბეკებში ოდნავ მოხრილი, ტახტის ერთგულ ქვეშევრდომს მისი უდიდებულესობა დედოფლის წინაშე რომ მართებდა, წინ წამოვიდა.

მორიახლო შეჩერდნენ და ჩამოქვეითდნენ სხვებიც.

— დიდება თქვენს მობრძანებას ფარსის მიწაზე, დედოფალო! — სპარსულად დაშაქრული ქართულით მიმართა მან ქეთევანს, როცა მათ შორის ორი-სამი ნაბიჯი-ღა დარჩა, ხმლის ქნევაში გაწაფული მარჯვენა ხელი, რომელშიაც ორად მოკეცილი მათრახი ეკავა, გულზე მიიდო, თავი დახარა და ცალი მუხლით მიწას შეეხო.

— სალამი, იმამყული-ხან! — მიუგო ამგვარი დახვედრით გაკვირვებულმა და შეცბუნებულმა ქეთევანმა და თავისიანებს მიხედა, რომლებიც გარს შემოესივნენ, უზანგი დაუკავეს, ხელი შეაშველეს და გრძელი და ხანგრძლივი მგზავრობით დაღლილ-დაქანცული ძირს ჩამოსვეს.

ხანი დინჯად წამოდგა, წელში გაიმართა, დინჯადვე მიეახლა და ძველი ქართული წესით, რომელიც, ალბათ, მამისაგან შემორჩა, მოწიწებით ხელზე ეამბორა, ხოლო შემდეგ მოხრილი მკლავი გაუწოდა. დედოფალმა თავს ძალა დაატანა, პაწაწინა მსუბუქი ხელი გამოსდო მკლავში და თავის ღრმა დაკვრით ხანის მხლებლებს მიესალმა. სალამზე ამათაც თავის მდაბალი დაკვრითა და გულზე ხელის მიდებით უპასუხეს, რასაც ქეთევანი დიდი ხნის გადაჩვეული იყო და აღარც კი ეგონა, თუ ქვეყნად იყვნენ კიდევ ადამიანები, ვინც მის ადამიანურ ღირსებას სცნობდა და ღირსებისაებრ მიაგებდა.

ხანმა მხოლოდ ამის შემდეგ მისცა თავს უფლება, დედოფლისათვის ჯანმრთელობის ამბავი ეკითხა, ეკითხა, გზამ ხომ არ დაგღალათო და ბოდიშიც მოეხადა, რომ წამოსაყვანად სატახტო ქალაქში ვერ ეახლა და როდესაც თავაზიანი პასუხი მიიღო, დასძინა, სამაგიეროდ, მე და ჩემი ქვეშევრდომები აქ ვეცდებით, შესაფერი პატივი არ მოგაკლოთ და სამშობლოდან შორს ყოფნის ტკივილი შეგიმსუბუქოთო.

ქეთევანმა, როგორც თავაზიანობის წესი და რიგი მოითხოვდა, ამაზედაც წრფელი მადლობა მოახსენა და ყოველნაირად შეეცადა, სული კბილით დაეჭირა, მოუთმენ-

ლობა არ გამოემეღავნებინა, ხანის კეთილმოსურნე დახვედრით არ ესარგებლა და შაპის კარზე მძევლად მყოფი ბატონიშვილების, ლევანისა და ალექსანდრეს ამბავი არ ეკითხა. იმამყული-ხანი გულიანი, დაჩაგრულის შემბრალე, მამა-პაპისაგან მემკვიდრეობით მიღებული კაცთმოყვარეობის მიმდევარი ჩანდა და როგორც კი საშუალება მიეცემოდა და საამისო დრო დადგებოდა, ამ საგანზე საუბარს თვით ჩამოაგდებდა. იქნებ ღვთის შეწევნით მეტიც ექნა, მთელი თავისი შეუზღუდველი ძალაუფლება გამოეყენებინა და საქმე ისე მოეწყო, რომ დიდი ხნის უნახავი დიდედა და შვილიშვილები ერთმანეთს პირისპირ შეხვედროდნენ! ღმერთო, დიდებულო, ღვთისმშობელო დედავ! ვინ იქნებოდა მაშინ ქეთევან დედოფალზე ბედნიერი, ამ ტრიალ ქვეყანაზე ვინ ეყოლებოდა იმამყული-ხანზე უფრო დიდი პირისუფალი და გაპირვებაში ხელის გამმართველი!

ვიდრე ცხენებს მოართმევდნენ და კვლავ ამხედრდებოდნენ, გზა ქვეითად განაგრძეს. ქეთევანს უჭირდა და მთელს ტანში უჩვეულო სიმძიმეს გრძნობდა. თითქმის მთელი კვირის შეუსვენებელ მგზავრობას და სიცხე-პაპანაქებას, ადრიან დილიდანვე რომ დაიჭერდა ხოლმე, თავისი გაეტანა და კვალიც შესამჩნევი დაეტოვებინა. სადმე მთის წყაროსთან ჩრდილში ჩამოჯდომა, სულის მოთქმა და პირის გასველება ახლა სიცოცხლეს ერჩიენა, მაგრამ თავს ძალების უკანასკნელი დაძაბვით იკავებდა, ცდილობდა, თავისი დედაკაცური სისუსტე არ გაეცა და ვისიმე გულში სიბრალული არ გაეღვიძებინა.

ხანმა ანიშნა და მალე მათ ცხენები მოართვეს. ქეთევანმა უკან მიიხედა, დაინახა, როგორ სხდებოდა მისი ხალხი წამოჩოქებულ აქლემებზე, დარწმუნდა, რომ მარტო არ იყო და შვებით ამოისუნთქა. მზეს გადახრა მოესწრო, თუმცა ჯერ კიდევ შეუბრალებლად აცხუნებდა. გზაზე ხელიკმა გადაირბინა და გზისპირას ქვის ქვეშ მიიმალა. ხეობაში ძლივს შესამჩნევად ჭროდა შორეული თოვლიანი მთებიდან მონაბერი გრილი სიო. წყალგაღმა, ქვითკირის დაკბილული კედლის უკან, თვალისმომჭრელად ბრწყინავდნენ და ციმციმებდნენ მწვანეში ჩაფლული შირაზის მრგვალი გუმბათები და მახეილი წვერით ცაში აჭრილი ლურჯი მინარეთები.

თავი LXIX

ასწლოვანი კედრებით გარსშემორტყმული ძველი სასახლე, ქეთევან დედოფალს, მის მწირველ მღვდლებს, მსახურებსა და ფარეშებს სადგომად რომ მიუჩინეს, თვალწარმტაც

ბაღნარში იდგა, ხანის სულ ახლახან მომთავრებული ახალთ-ახალი სასახლის მეზობლად. ბაღნარის კვლებში, ერთიმეორისაგან აგურის ფხვნილით მოფრქვეული ბილიკები რომ ჰყოფდათ, უთვალავი ფერისა და მოყვანილობის უცხო ყვავილი და ვარდის ბუჩქი ხარობდა. აქვე ჩუხჩუხებდნენ ძიწაში სანახევროდ ჩაფლულ თიხის ღარებზე მოციგლიგე წვრილ-წვრილი ნაკადულები და თავს ბრინჯაოს ამურებით სავსე მარმარილოს მადრევნებსა და აუზებში იყრიდნენ. კაცის თვალი უკეთესს ვერაფერს ნახავდა.

ქეთევანი შეჩერდა და მზერა ჯადოსნურად მოქარგულ ედემს მიაპყრო. სწორედ რომ სასწაული იყო, მის შექმნაში ზენაარის ხელი ერია. შეჩერდა ბილიკზე ქეთევანის მხარდამხარ მომავალი იმამყული-ხანიც და ნასიამოვნებმა, რომ ბაღნარმა მისი საამაყო გურჯი დედოფლის ყურადღება მიიქცია და ის კიდევაც აღაფრთოვანა, ბოლოებმოგრეხილ დიდრონ ულვაშებზე ხელი გადაისვა. უკან მომავლებმა, რომელთაც აგრეთვე შეჩერება მოუხდათ, კისერი დაიგრძელეს, ნეტავი იქ რა ხდებაო. ყვავილნარის თვალიერებაში გართულ ქეთევანს მასპინძელმა ერთხანს აცალა აქაურობის ხილვით დამტკბარიყო, შემდეგ მოსასხამიდან მარჯვენა ხელი გამოაყო და თითქოს ფეხქვეშ ფიანდაზს უგებსო, დედოფალს გზის განგრძობა შესთავაზა.

„აქ სად მოვედით? — ფიქრობდა ამ დროს ქეთევანი, თვალებბრჭყვიალა ესხმოდა და ნაბიჯს ძლივს მართავდა. — დაგვცინიან თუ რაღაც უფრო ბოროტი უდევთ გულში? სადა ხართ, ჩემო მალხაზებო, ლევან და ალექსანდრე? ვინ იცის, თქვენც ჩემსავით სადღაც წაგიყვანეს და ოქროს მთებს გპირდებიან, ოღონდ კი გაგათათროხ და გულში მშობელი მამის სიძულვილი ჩაგინერგონ. იქნებ უკვე მიაღწიეს თავის უკეთურ საწადელს და ჩემი ლოცვა-ვედრება სულ ამაოა?“

სრულიად სხვა ფიქრებს შეეპყრო იმამყული-ხანი. ის აღტაცებული იყო გურჯი დედოფლის მეფური თავდაჭერით, მოზომილი სიტყვა-პასუხითა და სისადავით, რაც აგრეთვე მეფეთა თვისებაა და სულაც არ აკვირვებდა სიბერეში შესული შაჰ-აბასის ტრფობა, რომელიც ბოლო დროს ხლვარს გადავიდა და განაწყენებული მიჯნურის შურისძიებადაც კი გადაიქცა. სხვა რა შეიძლებოდა დარქმეოდა შეწყალებული დედოფლის განძიდან შინ გაშვებას, შემდეგ გზაში შეპყრობას, უკან დაბრუნებას, ჯერ აშრაფში, არდებილში, შემდეგ მიანესა და ჰამადანში, ბოლოს კი სატახტო ქალაქ ისპაჰანში ჩამოყვანას, ახლა კი შირაზში გადმოსახლებას, საიდანაც ვინ იცის, კიდევ სად წაიყვანდნენ და რას დამართებდნენ!

იმამყული-ხანის თვალში ამ დიდებულ მდედრს ამშვენებდა, სიდიადეს ჰმატებდა და მიწიერ ვნებათაღელვისათვის მიუწვდომელს ხდიდა მისი შინაგანი სინათლე, სისპეტაკე, დაფარული მიუკარებლობა და, როგორც გურჯის ნაბიერს, გული სიამაყით ევსებოდა, რაკი ქეთევანი სწორედ ისეთი იხილა, როგორიც წარმოდგენილი ჰყავდა.

ხანს ბუნდოვნად ახსოვდა თეიმურაზი, რომელიც წვეულების დროს ალი-ყაფუში ერთხელ შორიდან დაანახეს. გულმა იქით გაუწია. უხდოდა, მიახლოვებოდა, გაეცნო, გული სამეგობროდ გადაეშალა, მაგრამ უცაბედად აბასის თვალებს წააწყდა, მიხვდა, შაჰს ეს არ სურდა და მისი სიტყვიერი ან უსიტყვო რისხვა რომ აერიდებინა, განზრახვის შესრულებისაგან თავი შეიკავა.

ქეთევანის სახეს რომ უყურებდა, მას ხსოვნაში ბუნდოვნად ჩარჩენილ ახალგაზრდა კახბატონის ხატს ადარებდა და რწმუნდებოდა, რომ თავისი ხანდაზმული ასაკი დედოფალს თითქმის არ ემჩნეოდა. ვერასოდეს ვერ წარმოიდგენდი, თუ არამცთუ ამოდენა შვილი, უკვე წამოზრდილი შვილიშვილებიც ჰყავდა და დიდედის მდგომარეობას კარგა ხნის წინათ შესჩვეოდა.

ხანმა დაწვრილებით იცოდა, რაც სატახტო ქალაქ ისპაჰანში ქეთევანის ჩასვლას წინ უსწრებდა, იცოდა, რომ თეიმურაზის ურჩობის და ოსმალეთის მხარეზე გადასვლის სანაცვლოდ მძევლად წამოყვანილი მისი შვილები შაჰის ბრძანების თანახმად დაასაჭურისეს, რომ უმცროსი ალექსანდრე წამებისას ხელში შემოაკვდათ, ხოლო უფროსმა ტკივილს ვერ გაუძლო, ჭკუაზე შესცდა და უცხოელ ელჩებს რომ თვალი არსად მოეკრათ და აურზაური არ აეტეხათ, შაჰის კაცებს სადღაც ჰყავდათ გადამალული.

ხანი გულში თანაუგრძნობდა ქეთევანს ამ დიდი უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა და რადგანაც დედოფლისათვის ეს საზარელი ამბავი ჯერ კიდევ არ გაემხილათ, კარისკაცებსა და სასახლის მსახურთ ენის ამოგლეჯას დაჰპირდა, უკეთუ რომელიმეს სული წასძლევდა და ხებით ან უნებლიეთ საიდუმლო მის ყურამდე მივიდოდა.

მომავალი ადგილსამყოფელი, სადაც გაურკვეველი ვადით ამიერიდან ბინა უნდა დაედო, ქეთევანს თვით ხანმა უჩვენა, ყველა ოთახი, კიბე თუ ტალანი საკუთრივ შემოატარა და სწორედ რაინდული ყურადღებითა და უზადო თავმდაბლობის წყალობით თავისი გვირგვინოსანი ტყვე ერთობ ასიამოვნა. გამომშვიდობებისას ქეთევანმა მთელი თავისი ხალხის თანდასწრებით დალოცა, გულშემატკივარი ძმა უწოდა და ყოველ საქმეში გამარჯვება უსურვა.

დედოფლის და მის მხლებელთა სადგომი, რომელიც სასახლის ორივე სართულზე საძინებლის, სატრაპეზოს, სტუმრების მისაღების, სამოახლოსაგან და სხვა სათავსოებისაგან შესდგებოდა, სხვადასხვა დანიშნულების თხუთმეტიოდე ოთახს ითვლიდა. ერთში მათ შორის მღვდლები, მამა მოსე და მამა გიორგი მოთავსდნენ, ერთს კი კარის ეკლესიის მაგივრობა უნდა გაეწია. სულიერ მამებს ხანისაგან ნება დაერთოთ, ეკლესიად განკუთვნილ ამ ოთახში ხატები დაეკიდათ და თუკი მოისურვებდნენ, ყოველგვარი მღვდელმსახურება და წირვა-ლოცვაც აქვე გაემართათ.

ქეთევანი გაოცებული და შეცბუნებული იყო. აღარ იცოდა, ეს უმაგალითო წყალობა ვისთვის მიეწერა, თვით შაჰ-აბასისათვის, რომელსაც ბოლოს და ბოლოს გონება გაუნათდა, ადამიანური გრძნობები გაეღვიძა და რისხვა სხვათა რჯულის შეწყნარებით შეცვალა, თუ შირაზის ბატონ-პატრონ იმამყული-ხანისათვის, რომელიც თავისი მბრძანებლის მიერ მონიქებულ განუსაზღვრელ უფლებებს იყენებდა და ყველა პასუხისმგებლობას მომხდარის გამო თვით კისრულობდა.

სასახლის შემოგარენი და თითქმის მთელი უბანი, სადაც უმთავრესად სახანოს ბრწყინვალე წოდება და შეიხ-მოლები ცხოვრობდნენ, დედოფლის მხლებლებმა მეორე დღესვე მოინახულეს და რაც ნახეს, ვინც როგორც შეიძლო, დედოფალს წვრილად ჩაუკაკლეს.

ბაღნარი თუ წალკოტი, სადაც ხანის ორი დიდი სასახლე და დამხმარე ნაგებობები იდგა, ერთი პატარა ქალაქისოდენა ყოფილიყო. მას ირგვლივ წითელი აგურის მაღალი გალავანი ერტყა. გალავანში, თაღების ქვეშ, ბრინჯაოს სამი ჭიშკარი იყო ჩადგმული, რომელთაგან მხოლოდ ერთს ხმარობდნენ, დანარჩენ ორს კი, ალბათ, საჭიროების დროს თვით ხანის ბრძანებით აღებდნენ.

ჭიშკარში, რომლითაც ქეთევანის მხლებლები გავიდნენ, საომრად აღჭურვილი ხელშუბიანი ყიზილბაშები იდგნენ და გამელელ-გამომველელს, ცხენოსანს თუ ქვეითად მოსიარულეს, თვალს ადევნებდნენ. გიაური გურჯები, რომელთა აქ ყოფნა, ალბათ, კარგად იცოდნენ, მათ გულგრილად გაატარეს, არავითარი ყურადღება და სიფრთხილე არ გამოუჩენიათ. ასევე მოიქცნენ მაშინაც, როდესაც ისინი უკან დაბრუნდნენ და გულდაგულ ძველი სასახლისაკენ გაემართნენ. აქედან ჩანდა, რომ მოწყალე ხანის ნება-სურვილის თუ სატახტო ქალაქიდან მოყოლილი ბრძანების თანახმად, დედოფლის მხლებელ ქართველებს ქალაქში თავისუფლად მისვლა-მოსვლა არ ეკრძალებოდათ.

მეორე და მესამე დღეს, რაკი შეიტყეს, დამშლელი არავინ გვყავსო, უფრო მორსაც წავიდნენ და თითქმის მთელი ქალაქი ფეხდაფეხ შემოიარეს.

მათი შეტყობით, არდებილს, მით უფრო ჰამადანს შირაზი დიდად ჰარბობდა, ისპაჰანზე კი გაცილებით ნაკლები იყო. სამაგიეროდ, თვალუწვდენელი სპარსეთის მბრძანებლის ადგილსამყოფელს ის არც ქუჩების მოხდენილი განლაგებით, არც მკვიდრ ბურჯებზე დაფუძნებული ხიდების სილამაზით, არც ოქროსფრად მოელვარე მიზგითებით, შედრესეებითა და ქარვასლებით ჩამოუვარდებოდა. იმამყული-ხანი ჯიბრიანი კაცი იყო. თუკი სადმე რაიმეს ნახავდა და მოეწონებოდა, მისი ბადალი უსიკვდილოდ თავის სატახტოში უნდა აეშენებინა. ამიტომ მეშურნე და მტერიც ბევრი ჰყავდა. მისი ტოლნი და სწორნი ზურგსუკან აესიტყვაობდნენ, ნეტავი რა უნდა, თავის ტყავში რად ვერ ეტევა, რატომ არ კმარობს იმას, რაც მაღალი ალაჰის ნებით უძლეველმა შაჰმა მისცაო.

დედოფლის მხლებელ გოგო-ბიჭებს ყველგან შეეხედათ, ყველა კუთხე-კუნჭული შემოევლოთ და თუმცა ჯიბეში ერთი ცეხინიც არ უჭყაოდათ, ბოლოს შირაზის განთქმულ დახურულ ბაზარშიც შესულიყვნენ. აქ უმთავრესად განთქმული სპარსული ხალიჩებით, რკინისა და სპილენძის ნაკეთობით, საომარი იარაღით, ოქრომჭედლების თვალისმომჭრელი ნახელავით, ნატიფი ხელოვნების ნიმუშებით, ჩარჩოში ჩასმული მინიატურებით, ქაშანური ფაიფურის ჭურჭლით, შალეულით, ტილოთი, აბრეშუმით, ფარჩით და ათასი სხვა წვრილმანით და მსხვილმანით ვაჭრობდნენ. ბაზარში ერთი გნიასი და ყაყანი იდგა. ქულბაქებში ზღვა ხალხი ირეოდა და თუკი შიგ ცხვირს შერგავდი, უკან გზას ადვილად ვეღარ გამოაგნებდი და გარეთ ვეღარ გამოხვიდოდი.

აქვე გადაჰყროდნენ რამდენიმე ქართველსაც. ყიზილბაშური ხალათები ეცვათ, თმა-წვერიც ინით შეეღებათ, სპარსელებისაგან არაფრით განირჩეოდნენ. ამათგან შეეტყოთ, რომ შირაზში მილეთის ხალხი ცხოვრობს, ვის და საიდან ჩამოსახლებულს არ ნახავ, მათ შორის ქართველებიც ცოტანი როდი არიან, ოღონდ, სამწუხაროდ, ქრისტე ღმერთი თითქმის აღარავის სწამს, მაჰმადიანობა დიდი ხნის წინათ მიუღიათ და ადგილობრივ ყიზილბაშებთან ერთად მეჩეთში თავდაღმა დაყუდებული ლოცულობენ.

ამ ფრიად სამწუხარო ამბების გარდა, ქეთევანს ერთი სასიხარულო ამბავიც მოუტანეს. დედოფლის მხლებლებს ბაზარში ენახათ უცხოელი ბერები, რომელთაც ტანთ ზუსტად ისევე ეცვათ, როგორც გრემელი პატრები იცვამდნენ და

თავზედაც ის ოთხკუთხი ბრტყელი ქუდები ეხურათ. მხლებლებს ბერებთან გამოლაპარაკება ეკადათ, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ ქართული არ სცოდნოდათ, ამათ კი მათი ენა არ იცოდნენ და ერთმანეთისათვის ვერაფერი გაეგებინებინათ.

მეორე დღეს თვით მწირველი მღვდლები, მამა მოსე და მამა გიორგი წავიდნენ, მთელი დღე ბაზარში დააღამეს და უცხოელ პატრებს, თანამემამულეებს წინადღეს რომ ენახათ, ვერსად გადაეყარნენ. სამაგიეროდ, მაჰმადიან ქართველებს შეხვედროდნენ და ამათგან შეეტყოთ, რომ უცხოელი ბერები ინდოეთიდან მოსული პორტუგალიელი კათოლიკეები იყვნენ, რომლებიც ადრე სპარსეთის ყურის კუნძულ ორმუზზე ცხოვრობდნენ, სადაც თავიანთი ძმობა დაეარსებინათ და ახლა აქ, შირაზში იდგამდნენ ფეხს, ბეგლარბეგის ნებართვით თავის ტაძარს აშენებდნენ.

მღვდლები აიმრიზნენ, გულისწყრომით აღივსნენ: მათი მიწაწყლიშვილები, რჯულშეცვლილი, სხვისი ღმერთის ხატზე მლოცველი ქართველები, მაცხოვრის სახლს, ქრისტიანულ ეკლესიას აუგად იხსენიებდნენ და იმამყული-ხანის მიმართ, ვინც პატრებს ეკლესიის აშენების და აქ თავიანთებური წირვა-ლოცვის გაჩაღების ნება დართო, უკმაყოფილებას გამოთქვამდნენ.

ქეთევანი გამოცოცხლდა, თვალებში სხივი ჩაუდგა, რაკი ამ ურჯულო ქვეყანაში, ურჯულო ქალაქში კათოლიკე პორტუგალიელების სახით სარწმუნოებისათვის თავდადებული ერთმორწმუნენი დაიგულა და ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იგრძნო. ის უკვე აღარ ეპვობდა, რომ ეს ბერები, მხლებელ გოგო-ბიჭებს რომ ენახათ და მაჰმადიანთა ქალაქში თავიანთ ქრისტიანულ ეკლესიას აშენებდნენ, ვატიკანის პროპაგანდა ფიდეს მიერ მოვლინებული მისიონერი პატრები იყვნენ და სპარსეთშიაც იმ მიზნით მოვიდნენ, რა მიზანიც საქართველოში მოსულთ ჰქონდათ.

შირაზში დაბინავების ზუსტად მეცხრე დღეს დედოფალს მოახლე თუთა ეახლა და მისი ბრწყინვალება იმამყული-ხანის მობრძანება აუწყა. ქეთევანი ღვთისმშობლის ხატის წინაშე იყო დაჩოქილი, სანთლები აენთო და ლოცულობდა. თავისიანები გაფრთხილებული ჰყავდა, რაც არ უნდა მომხდარიყო, ლოცვის დროს არ შეეწუხებინათ. ხანის მობრძანება ღირსშესანიშნავი მოვლენა გახლდათ და მოულოდნელობისაგან შემცბარ და დაბნეულ თუთას სხვა გზა აღარა ჰქონდა, დადგენილი წესი და რიგი უნდა დაერღვია.

— დილა მშვოდობისა, დედოფალო! — თავაზიანად მიესალმა იმამყული-ხანი ქეთევანს, როცა ის სტუმრების მისაღებად განკუთვნილ დარბაზში შემოვიდა, წამოდგა, მიე-

ახლა, ცალი მუხლით იატაკზე დაფენილ ხალიჩას შეეხო და გამქვირვალე შავ ხელთათმანში გამოკრულ პაწია ხელს კრძალვით ეამბორა. — მობიტევეთ, მგონია, უხერხულ დროს შეგაწუხეთ!

— რა ბრძანებაა, ხელმწიფეე, — მიუგო ქეთევანმა და ოქრომკედით მოსირმულ შინდისფერ ხავერდის მუთაქაზე, რომელზედაც ხანი წუთის წინ იჯდა, თვალით ანიშნა. — დაბრძანდით! თქვენი ბრწყინვალების ნახვა ჩვენთვის ყოველთვის დიდი სიხარული და ზეიმია. ხომ კარგად ბრძანდებით?

— მაღალი ალაჰის ნებით, დედოფალო, — ხანმა თვალები ზეალაპყრო და როდესაც ქეთევანი მოპირდაპირე ხავერდის მუთაქაზე ჩამოჯდა, თავადაც მოიკეცა და ხელები გულზე დაიკრიფა. — იმედია, ცოტად თუ ბევრად შეეჩვიეთ აქაურობას?

— ვერა-მეთქი, ხომ ვერ გეტყვით? — ნაღელიანად გაიღიმა ქეთევანმა. — შუბლზე, ალბათ, ასე გეწერებია და ასეც მოხდა!

ხანმა პასუხს ყურადღება არ მიაქცია და თავისი განაგრძო:

— სანოვაგე ვფიქრობ, არ უნდა გაკლდეთ. თუკი რაიმე კიდევ საჭიროა, მე მზარეული ადრევე გავაფრთხილებინე, რომ ჩვენს მხეს მიმართოს. ეგონებ ასე ქვია ქართულად. გიორგი ხუცესს, ალბათ, მოგახსენებდათ, ხაზინადარმა ფული გადასცა. წერილი ხარჯებისათვის. ჩვენ მზად გახლავართ, სხვა ხარჯებიც გავიღოთ!..

— მადლობის მეტი რა გვეთქმის, ხელმწიფეე. გავიწყდებათ, რომ თქვენს წინაშე უბრალო მხევალია, რომლის სიცოცხლეც თქვენს ხელთაა.

— აგრე ნუ ამბობთ, დედოფალო! ოქრო თავის ღირსებას არ დაჰკარგავს, რაგინდ წუმპეშიც არ უნდა ჩაადგო!

— მადლობას გწირავ მაგ სიტყვებისათვის!

— მე პირველყოვლისა ბოდიშით მინდა დავიწყო. ეს დღეები ველარ გეახელით, ვერც სასახლეში მიგიწვიეთ. მოულოდნელად ქალაქიდან გასვლა მომიხდა და მხოლოდ გუშინ დავბრუნდი. უკვე გვიანი იყო. გუშინვე ველარ გავბედე თქვენი ბრწყინვალების შეწუხება და შეხვედრა დღისათვის გადავდე!

— იმედია, საქმე მოაგვარეთ და მალე უკან გაბრუნება აღარ მოგიწევთ!

— შეიძლება ითქვას. სხვა? ქალაქში თუ გაისეირნეთ?

— მე — არა. არც კი ვიცოდი, აქედან სადმე წასვლის ნება თუ მქონდა. ჩემი ხალხი კი იყო...

— როგორ არა, როგორ არა, დაცვა იახლეთ და სადაც გნებავდეთ, იქ წაბრძანდით!..

— ჩვენები აქებენ თქვენს სატახტოს, ისპაჰანს არაფრით ჩამოუვარდებაო, მშვენიერი ქალაქი ყოფილა, თანაც ამდენი ვარდი და ყვავილი!..

— გაგეგონებათ, შირაზს ვარდების ქალაქს უწოდებენ, აქაური ვარდი მართლაც განთქმულია და ისიც ამართლებს ოდითგანვე შერქმეულ ამ სახელწოდებას, თუმცა რა სათქმელია, ჩვენს მშვენიერ სამშობლოსთან სახსენებელიც არ არის!

ქეთევანმა ხანის უკანასკნელი სიტყვებით გაოცებაც ვერ მოასწრო, რომ დარბაზში ერთიმეორის მიყოლებით სამი საგარეოდ გამოწყობილი მოახლე გოგო შემოვიდა. ერთმა დაბალფეხებიანი ინკრუსტირებული სუფრა შემოიტანა, დრო შეურჩია და მოსაუბრეთა შორის ჩადგა, დანარჩენმა ორმა კი თეფშები, ფიალები, მაღალფეხიანი სასმისები გააწყო და შუაში ხილით პირამდე სავსე ლანგარი და ბროლის სურა მოათავსა.

ხანი იმავე წამს მისწვდა სურას და ორივე სასმისი შარბათით შეავსო.

— გასინჯეთ, დედოფალო, ჩვენებური შარბათია, საგანგებოდ ჩაცივებული, საუკეთესო საშუალებაა წყურვილის მოსაკლავად!

ქეთევანმა ჭიქა ასწია, ტუჩებთან მიიტანა, ოდნავ მოწრუპა, ეტკბილა, უკანვე დადგა და უკვე გულაბი მსხლის თლაში გართულ ხანს მიმართა:

— თქვენ სამშობლო ახსენეთ, ხელმწიფეე და კეთილი სიტყვებით მოიხსენიეთ. მე ისე მომეჩვენა, რომ საქართველოს გულისხმობდით. ნუთუ ოდესმე ბრძანებულხართ იქ?

— არა, დედოფალო, ეგ ბედნიერება აროდეს მომწეევია. მე და ჩემი ძმები სპარსეთში დაეიბადენით და თუმცა სისხლითა და ჯილაგით უნდილაძეები ვართ, სპარსულ წესზე და ადათზე გაეიზარდეთ. სამშობლო მხოლოდ ნეტარხსენებული მამაჩვენის მონათხრობიდან ვიცით, საიდანაც ის პატარა ბიჭობაში მოიტაცეს და როგორც უბრალო მონა, ტყვეთა ბაზარზე გაყიდეს!

— გვსმენია, ხელმწიფეე, ცხონებულმა მამათქვენმა, ალავერდი-ხანმა ცხოვრებაში ბევრი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ შემდეგ გაუმართლა და უცხო ქვეყანაში, უცხო ხალხში უდიდესი სახელი მოიხვეჭა! შვილებიც მის კვალზე წახვედით!..

— ნეტავი ერთი ჩემს ქვეყანაში გამატარა, მისთვის თვალი დამაკვრეევინა და, ალაჰსა ვფიცავ, ყველაფერზე, რაც გამაჩნია, ხელს ავიღებ! — აღმოხდა იმამყული-ხანს და თავი ჩაჰკიდა. ერთხანს ასე დარჩა, მერე ისევ ასწია თავი და სადღაც ქეთევანის მიღმა უჩვეულოდ პირგამეხებული სივრცეს დააკვირდა. — მაგრამ არც სპარსეთსა და შაჰს ეღალატება! სახელი და დიდება, რაც მე და ჩემმა ძმებმა მოვიპოვეთ, შაჰისაგანაა.

მისი უდიდებულესობა ჩვენ გვენდობა, ისე როგორც არავის და რა პირიანი ვაჟკაცები ვიქნებით, ეს ნდობა და სიყვარული თუ არ გავამართლეთ!

ხანის მოულოდნელი აღსარებით მწარედ ჩაფიქრებულ ქეთევანს ორპოფული გრძნობა დაეუფლა. მას ერთის მხრივ ებრალებოდა ჟამთა სისასტიკით მშობლიური ნიადაგიდან ამოთხრილი ეს ობოლი ნერგი, რომელსაც გული ზღაპრული ფერებით დახატულ სამშობლო ქვეყნისაკენ მიუწევდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მთელს მის არსებაში შეურიგებელ მტერს ხედავდა, რომლისგანაც არავითარი შებრალებისა და დანდობის იმედი არ უნდა ჰქონოდა.

— მიირთვით, — შესთავაზა იმამყული-ხანმა და თეფშით გათლილი გულაბი მსხალი მიაწოდა. — ცოტა მეტად დამწიფებულა, მაგრამ მაინც კარგია, პირდაპირ პირში დნება!

— გმადლობთ, ხელმწიფეო, — ქეთევანმა ერთი ნაჭერი აიღო და თავისი თეფშის კიდეზე დასდო. — თქვენ არ გიბრძანებიათ აქ მოსვლის მიზანი!

იმამყული-ხანმა თავი ისევ ასწია, ქეთევანს შეხედა. ის როგორღაც შეცვლილი და გარდაუვალი დარტყმის მოსაგერიებლად მომზადებული ეჩვენა და სანახევროდ გათლილი კიდევ ერთი მსხალიცა და დანაც თეფშზე დააწყო. მას განზრახული არ ჰქონდა, ამჯერად სიტყვა საქმეზე ჩამოეგდო, საამისო დრო ყოველთვის გამოიძებნებოდა, ქეთევანს მხოლოდ სავალდებულო თავაზიანობის გამოსახატავად ეწვია, მაგრამ შეატყო, მისთვის უძნელესი წუთი დამდგარიყო და უკან დასახევი გზა მოჭრილი ჰქონდა.

— დედოფალო, ჩემს კეთილ განწყობაში თქვენი ბრწყინვალების მიმართ, მე ასე მგონია, ეჭვი არ უნდა გეპარებოდეთ.

ქეთევანმა არ უპასუხა, თვალები დახარა და მხოლოდ ეს თქვა:

— მდგომარეობა გაიძულებთ ისე მოიქცეთ, როგორც იქცევით. ბრძანეთ, რის თქმა გადაგიწყვეტიათ და რამაც აქ მოგიყვანათ!

— ალაჰის მადლმა, კიდევ რა დავიფიცო, მხოლოდ კეთილი განზრახვით გეახელით! გთხოვთ, ამ სიტყვებს სხვაგვარად ნუ მიიღებთ. თქვენ იცით მისი უდიდებულესობის სურვილი და ისიც, თუ შირაზში რისთვის გამოგისტუმრათ.

— რისთვის, ხელმწიფეო? იმისთვის, რომ თქვენ, ჩემმა თვისტომმა, თუმცა რჯულგამოცვლილმა, ტკბილი სიტყვით დამიყოლიოთ, ოქროს გალიაში მამყოფოთ, შემდეგ ისევ შაჰის კარზე დამაბრუნოთ და გაწეულ სამსახურისათვის კიდევ მეტი პატივითა და დიდებით აიესოთ? კმარა, იმამყული-ხან! თქვენ უამისოდაც ცამდე ამაღლებული ხართ, შაჰის შემდეგ ამ

თვალუწვდენელ სამეფოში მეორე კაცად იწოდებით! მეტი რა გინდათ?

ხანი აშკარად შეწუხდა, შუბლსა და ღაწვებზე ოფლი დაასხა, აწრიალდა, ამ სუსტი არსების მიერ განიარაღებულმა და სინდისზე შეგდებულმა აქეთ-იქით უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, თითქოს შველას სხვისგან ელოდა.

— ჩემმა მზემ, მარცხენა ფეხზე ავმდგარვარ, დედოფალო. ეს რა დღეში ჩამაგდეთ! უსათნოესი მანდილოსანი ბრძანდებით და სწორედ გითხრათ, ამას თქვენგან არ მოველოდი. ნუთუ ფიქრობთ, რომ თქვენი ეგ სიტყვები მე რითიმე დავიმსახურე?

— კარგად მოგეხსენებათ, იმამყული-ხან: საკუთარი გაძაღლებული სიცოცხლის გარდა მე დასაკარგავი აღარაფერი გამაჩნია, მას კი ჩემთვის ჩირის ფასიც არა აქვს! ღვთისაგან ბოძებული საბატონო ქვეყანა მქონდა. გამიპარტახეს, დამირბიეს, ჭეშმარიტი ღმერთის მორწმუნე ერისაგან დამიცალეს. ათასი ურჯულო მკვლელი და ავაზაკი დათარეშობს დღეს იქ. გვირგვინოსანი შვილი მყავდა. საქმე სხვის კარზე მისადგომად და დახმარების საძებნად გაუხდა. შვილიშვილები მყვანდნენ, უდედოდ სიმწრით გამოზრდილი. ორივე მძევლად წამოასხეს. ეს მერამდენე წელიწადია, ისე მიმალავენ, მათ გზასა და კვალს ვერსად მივაგენი! ღმერთს, იესო მაცხოვარს, ღვთისმშობელ დედას იმას-ღა ვევედრები, სული მაინც შერჩეს ორივეს, სადაც არიან და მათ უხახაობას როგორმე გაუძლებ! რა შევცოდე, რომ ამ დღეში ჩამაგდეს, სამშობლო ქვეყანას მუხანათურად მომაშორეს და ჩემი ღმერთის უარყოფას, ღვთის გამარისხებელი ცოდვის ჩადენას, საკუთარი სარეცლის შებილწვას მაძალებენ და, იქნებ გადაიფიქროსო, ქვეყნის ერთი კუთხიდან მეორეში მაწოწიალებენ. მე ვერ გადავიფიქრებ, იმამყული-ხან, სულს ვერ წავიწყმედ, ვერ გავთათრდები, ქვეყნისა და ერისათვის თითით საჩვენებელი ვერ გავხდები, უმალ სიცოცხლეს დავთმობ, მაინც აღარად მიღირს! — ცრემლგამშრალმა ქეთევანმა ამ სიტყვებზე თვალებზე ხელი მიიფარა, საწყლად მოიკუნტა და გულიდან ქვითინი ამოსკდა.

იმამყული-ხანს არასოდეს უგრძვნია თავი ასე უმწეოდ, როგორც ახლა. ის გულით თანაუგრძნობდა ქეთევანს, შაჰის მიერ უზომოდ დაჩაგრულ და დამცირებულ თანამემამულეს, რომლისადმი მოწიწებულ თაყვანისცემას გულში ატარებდა, სურდა, რითიმე გვერდში ამოსდგომოდა, მისი ტანჯვა შეემსუბუქებინა, მაგრამ ეს მის ძალღონეს აღემატებოდა და ის-ღა დარჩენოდა, მშრალი, არაფრის მთქმელი დამამშვიდებელი სიტყვებისათვის მიემართა.

თავი LXX

ადგილი, სადაც ინდოეთიდან თუ სპარსეთის ყურის კუნძულ ორმუზიდან მოსული მისიონერი პატრები თავიანთ სალოცავ საყდარს აშენებდნენ, გაღმა, ისრაელის შვილებით დასახლებულ უბანში აღმოჩნდა. იქ მისასვლელად შუა ქალაქში მორი გზა უნდა მოგეელო, ანდა უდაბურ მშრალ ხევში უნდა ჩასულიყავი და შემდეგ ციცაბო აღმართს აპყოლოდი. ეს ხევი ქალაქის წყლული და სიმახინჯე იყო. ახლომახლო ქუჩების მთელი ნაგავი და სიბინძურე აქ იყრებოდა. იმამყული-ხანს განზრახული ჰქონდა მისი პირამდე ამოვსება და მის ადგილზე ინგილსური ტყე-პარკის გაშენება. ამოვსება უკვე დაეწყოთ. სადაც კი ქას ან ბალავერს გაპრიდნენ, ან რაიმე სხვა საჭიროების გამო მიწა გაითხრებოდა, აქ მოჰქონდათ და ხევის გაუმაძღარ ხახაში ჰყრიდნენ. ის მართლაც გაუმაძღარი იყო. რამდენი მიწა უნდა ჩაგეყარა, რომ მისი სტომაქი ამოგევსო და საქმის დამაგვირგვინებელ სამუშაოს შესდგომოდი!

დედოფლის მხლებელი ახალგაზრდები, ზოგიერთ მათგანს ნაადრევი ქაღარა რომ გამორეოდა და შუბლზედაც ნაადრევი ნაოჭები გასჩენოდა, საყდრის მშენებლობას სრულიად შემთხვევით გადააწყდნენ. ღღიური სამუშაოსა და ორიოდე გროშის საშოვრად გამოსული ახალგაზრდების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ხელებდაკაპიწებულ ანაფორიან ქვითხუროებს შორის ნაცნობი სახეები დალანდეს და, თვალი ხომ არ გვატყუებსო, ხარაჩოებს, რომელზედაც ქვითხუროები იდგნენ და გამოკოპიტებულ თლილ ქვას ქვაზე აწყობდნენ, შორიახლო აუარ-ჩაუარეს.

— მკლავს მოვიკრი, ბიჭებო, თუ ეს მამა ამბროსი არ არის! — შეჰყვირა ტოკლიკაანთ ვანუამ და თავისი სიტყვისათვის მეტი დამაჯერებლობის მისანიჭებლად ლოყაში გაშლილი ხელი იტაცა.

— ვინ მამა ამბროსი, ბიჭო, შენ ხომ არაფერი დაგესიზმრა?!

— არ გახსოვთ ბერები, გრემში რომ საყდარი ააშენეს და ხალხს რომ აქიმობდნენ?

— რას ამბობ, ბიჭო, იმათ აქ რა უნდათ?!

— შენ რა გინდა აქა! ეგენი კი ვეღარ მოვიდოდნენ? ეს სოფელი ეგრეა! მე მაგათ მოხარშულს ვიცნობ! სულ ბოლოს

აშრაფში ვნახეი. მაგათთან პურიც მიჭამია. მარჯვენა შამახმეს, თუ ვტყუოდე! აი, მამა პეტრეცა! ისინი არიან ნამდვილადა!

— ე დამთხვეული მგონია მართალს ამბობს, ბიჭებო! თქვენ კი არ გეცნობიან? როგორც მე შენა გხედავ, თითქოს სადღაც მინახავ ორივეი!

— მივიდეთ და ვკითხოთ-კე, კითხვას წინ რა უდგა?!

— ვაითუ ვამსგავსებთ და ეგენი სხვები არიან, კაცი კაცსა ჰგავ!

— ხომ არ შაგვჭამენ, კაცო. ისინი არა ვართ, თქვენ რომ გგონივართ, სხვები ვართო, გვეტყვიან და მორჩა, ჩვენ ჩვენთვის, ეგენი თავისთვის!

ტოკლიკაანთ ვანუა, როგორც პატრების ძველი ნაცნობი და მათ ზიარ სუფრაზე პურგანატეხი, დაწინაურდა და ყველანი ერთად, ხარაჩოს მიუახლოვდნენ.

— გამარჯობა, მადლი შენს სახელს, მამაო ამბროსი! — ასძახა მაღალ ხარაჩოს ვანუამ და მზე ხელით მოიჩრდილა.

გახუნებულ შავ ანაფორებში გახვეულმა ბერებმა, რომლებიც აქაც, ტაძრის მშენებლობაზედაც ისევე ფაქიზად იყვნენ ჩაცმული და წვერგაპარსული, როგორც სალოცავში ან ავადმყოფის თავსასთუმალთან, მუშაობა შეაჩერეს და, ხომ არ მოგვეყურაო, გაკვირვებულებმა ძირს ჩამოიხედეს.

— ვინა ხარ, შვილო, ქართველი ხარ? — დაილაპარაკა ერთმა, პასუხს აღარ დაელოდა, ქაფჩა ალიზის გობში ჩააბრუნა და ანაფორის გრძელ კალთებს წაეტანა, ძირს ჩამოსასვლელად განემზადა.

— ჰო, მამაო, აბა, ვინ ვიქნები, ვანუა ვარ, ტოკლიკაანი. აშრაფში არ შევხვდით და კახეთის ამბები არ ვილაპარაკეთ?

— ეგენი შენი ამხანაგებია, ყველანი ქრისტიანები ხართ?

— ქრისტიანები ვართ, ქრისტიანები, ჩვენს კურთხეულ დედოფალ ქეთევანს ვახლავართ შირაზშია!

— მაშ, დედოფალიც აქა ბრძანდება? მოიცა, ჩამოვიდე!

ბიჭები ხარაჩოზე აცვივდნენ, ორივე ბერს, ვინც თავისიანად შეიცვნეს, ხელი შეაშველეს და ციმციმ ძირს ჩამოიყვანეს. ურთიერთმისალმებისა და გულითად მოკითხვას დასასრული არ უჩანდა. ბერებს თვალთაგან ცრემლი სცვიოდათ. ამათაც გული აუჩუყდათ და ხმაში ხრინწი გაერიათ.

კახეთის აოხრების შემდეგ საქართველოდან ლტოლვილი ბერები, რომელთაც გზაში ენით აუწერელი გაჭირვება გადახდენოდათ, ბოლოს მართლაც სპარსეთის ყურის კუნძულ ორმუზზე მოხვედრილიყვნენ, სადაც თავიანთი ძმობა ეგულებოდათ. ორი წელიწადი და ორი თვე იქ დავყავითო. შემდეგ იმავე ძმობის დავალებით შირაზში მოსულიყვნენ, სადაც

აქაურ მაჰმადიანებში თავიანთ სარწმუნოებას ქადაგებდნენ. მათი სიცოცხლე ყოველ წამს ბეწვზე ეკიდა. ღრმად მორწმუნე მაჰმადიანები, მათი მუფთები და ყადიები მტრობდნენ ცხრა მთის იქიდან ჩამოხეტებულ გიაურ ბერებს, ათასნაირ ხრიკებს უწყობდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რათა ისინი როგორმე ქალაქიდან გაეძევებინათ, ან, პირიქით, სარწმუნოება შეეცვლევინებინათ და თავის რჯულზე მოექციათ. ერთადერთი ქომაგი და ხელისშემწყობი ქართული ჩამომაველობის ბეგლარ-ბეგი იმამყული-ხანი ჰყოლოდათ და თუმცა მუფთები და ყადიები მასაც უტიფრად უჩიოდნენ, მაღალი ალაჰის გმობასა და უამრავ სხვა ცოდვას აბრალებდნენ, ბეგლარბეგმა ბერებს ქალაქში ქრისტიანული საყდრის აშენებისა და წმიდა პეტრეს სარწმუნოების ქადაგების ნება დართო.

ბერები სულ თერთმეტნი იყვნენ. მათ თვით, საკუთარი ხელით უხდებოდათ აქაურ კლდეებში საშენი ქვის მოპოება, გათლა, მოზიდვა და მშენებლობა, რადგანაც ყადიებმა ადგილობრივი მაჰმადიანები დააშინეს, ვინც მისიონერებთან მუშაობას გაბედავდა, მეჩეთისაგან მოკვეთით დაემუქრნენ და ისინიც იძულებულნი გახდნენ, გიაურ პატრებისაგან თავი შორს დაეჭირათ.

დედოფლის მხლებლები უკანასკნელმა ცნობამ აღაფრთოვანა. ისინი მზად იყვნენ, ყოველგვარი სამუშაო ეკისრათ და საქმეს თუნდ დღესვე შესდგომოდნენ.

ბერებმა, რომელთა ნამდვილი სახელები ამბროზიო დუშ ანეუში და პედრო დუშ სანტოში იყო, დიდი მოწიწებით მოიკითხეს მათი მწყალობელი დედოფალი ქეთევანი, მწუხარება გამოთქვეს მისი ამ დღეში ჩავარდნის გამო და თავიანთ საყვარელ კახელებს, რომელთაგან უამრავი სიკეთე ახსოვდათ, თავიანთი სამწუხარო თავგადასავალი წვრილად მოაყოლეს.

პედრო დუშ ანეუშს, შინაურულად მამა პეტრეს, ამ ხნის განმავლობაში, რაც საქართველოდან წამოსვლა მოუხდა, ქართული ცოტა დავიწყნოდა. ლაპარაკის დროს ენას უკიდებდა და ბორძიკობდა. სამაგიეროდ, ღირსი ძმა ამბროზიო დუშ ანეუში, იგივე მამა ამბროსი, როგორც ერთმორწმუნე ქართველები უწოდებდნენ, კვლავინდებურად გამართულად ლაპარაკობდა და ამ საქმეში არც ერთ წმინდა წყლის ქართველს არ ჩამოუვარდებოდა.

ძნელად თუ რამე გაახარებდა დედოფალ ქეთევანს ისე, როგორც ბიჭების მიერ მოტანილმა ამბავმა გაახარა. ის ამ ამბავს ღვთის წყალობად, კეთილის მომასწავებლად, თითქმის სასწაულად თვლიდა და ზენაარს მადლობას სწირავდა, რომ შეეძლო, წმიდა მამების შემწეობით თავისი მტერმორეული

საბატონო ქვეყნისა და გვირგვინოსანი ძის უნუგეშო ამბავი რომისათვის ეცნობებინა და მძვინვარე შაჰთან შუამდგომლობა ეთხოვა.

მუშახელის მიშველებაზე, რასაც პატრები თავმდაბლად ემუდარებოდნენ, უყოყმანო თანხმობა განაცხადა, რამდენიმე მსახურ ქალსაც შეელია. საკმაოდ ესეც არ ჩათვალა. თავისი მცირე დანაზოგი, ფულის სახით, პატრებს მწირველი მღვდლების ხელით გაუგზავნა და აღუთქვა, ამას არ დაგაჯერებთ, როგორც კი მცირედ ხელს მოვიწყობ, კიდევ შეგეწევით, ოღონდ ეგ ღვთის სარგო საქმე, თქვენ რომ წამოგიწყიათ, ბოლომდე მიიყვანეთ, წირვა-ლოცვა გააჩაღეთ და ეკლესიის ზარის ხმა გამაგონეთო.

უკან მბოლოდ გიორგი ხუცესი დაბრუნდა და დედოფლის გულუხვი წყალობით გახარებული პატრების ლოცვა-კურთხევა მოიტანა. მამა მოსეც იქ დარჩენილიყო. ხელოსნის ოჯახში დაბადებულსა და გაზრდილს ყმაწვილკაცობაში მას დურგლობა შეესწავლა, ქვითხუროობაც ემარჯვებოდა და გადაეწყვიტა, ძველ საქმესთან შებმულ უცხოელ ბერებს ძმურად გვერდში ამოსდგომოდა. ამიერიდან ქეთევანს საზრუნავი გამოუჩნდა და მის ერთფეროვან ცხოვრებას, რომლის ყოველი დღე წინამავალის განმეორება იყო, ახალი აზრი მიეცა. უპირველეს ყოვლისა, ყმაწვილქალობისას ჯერ კიდევ მუხრანში ნასწავლი ხელსაქმე გაიხსენა, რისთვისაც შემდეგ დროს ვერასოდეს ვეღარ პოულობდა, ძაფი და საჭირო ხელსაწყოები მოიმარაგა და ქსოვას შეუდგა. თავდაპირველად თითები არ ემორჩილებოდა, მაგრამ დაჟინებული მეცადინეობით მერე თანდათან სძლია სიძნელეს და დიდი ხნის გადავიწყებული ხელობა აღიდგინა.

დედოფლის მაგალითს სხვა ქალებმაც მიბაძეს და სიმარჯვეში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ. ქსოვდნენ ჭრელ ხევსურულ წინდებს, ფაჩუჩებს, პაჭიჭებს, თივთიკის ხილაბანდებს, ხელთათმანებს, გულისპირებს, თავშლებს, სუფრებს, ბალიშისა და ლოგინის გადასაფარებლებს და ბევრ სხვა რასმე, რასაც აქაურ ბაზარში დიდი გასავალი ჰქონდა. ასე გასინჯეთ, დროთა განმავლობაში შეკვეთებსაც კი ღებულობდნენ და მას ზუსტად და თავის დროზე ასრულებდნენ.

ქეთევანს თავისუფალი თანხა გაუჩნდა. მას უკვე შეეძლო საბოძვარი გაეცა, ტვირთმძიმესა და გაჭირვებულს დახმარებოდა, ძველი წიგნების სავაჭროში საეკლესიო წიგნები შეეძინა და ზამთრის გრძელი ღამეები, რომელიც უკვე შორს აღარ იყო, კითხვაში და სულის წვრთნაში გაეტარებინა.

სასახლესა და იმ ადგილს შორის, სადაც პატრები საყდარს აშენებდნენ, საკმაო მანძილი იყო გასაველელი, რასაც დილა-

საღამოს მცირე დრო როდი სჭირდებოდა. პატრები ჩქარობ-დნენ. ყოველ დღეს მათთვის ოქროს ფასი ედო. ერთის მხრივ ზამთრის თოელჭყაპი ახლოვდებოდა და მეორე მხრივ კაციშ-ვილმა არ იცოდა, როდის გაიტანდნენ მუფთები და ყადიები თავისას, მათ ნაწვავ-ნადაგს წერაქვებით და ძალაყინებით როდის მოევლინებოდნენ და ჯერ კიდევ თავდაუდგმელ საყდარს ქვისა და კირის გროვად აქცევდნენ. ზედმეტი დრო რომ არ დაეკარგათ, პატრები მიდგნენ-მოდგნენ, თავიანთი დამხმარე გურჯები, რომლებიც შრომის გასამრჯელოდ ნახევარ ფასსაც არ ითხოვდნენ და თითქმის მუქთად მუშაობდნენ, ახლომახლო ებრაულ ოჯახებში დააბინავეს და ახალ ნანათ-ლევიდან ვიდრე დაღამებამდე მათთან ერთად საყდრის მშენებლობაზე ტრიალებდნენ.

საყდარი ცისკენ მიიწევდა. ბიჭები თავს არ იზოგავდნენ, თავს არ იზოგავდა არც მოსე მღვდელი, რომელიც ყოველგვარ საქმეში დახელოვნებულ პატრებზე ნაკლები ქვითხურო როდი გამოდგა და მათზე ნაკლებად არც საკრეთლის ხმარება და ქვაზე ჩუქურთმის ამოკვეთა ემარჯვებოდა. ბოლოს ეს საქმე ძთლიანად მას მიანდეს. იჯდა ანაფორაამოკალთავებული მოსე მღვდელი ნათალი ქვის ნატეხებით მიმოფანტულ ფარდულში და კარისა და სარკმლისთავებისათვის ჯადოსხური ხელთებით ერთიმეორეზე გადაწნული ქართული ჩუქურთმები გამოჰყავდა.

თავი LXXI

იმამყული-ხანი დედოფალს დაზამთრებამდე ორჯერ კიდევ ეწვია. ძველი ნაწყენობისა თითქმის აღარაფერი ემჩნეოდა. მას შემდეგ, რაც პატრებისადმი ხანის მოწყალე დამოკიდებულების ამბავი შეიტყო, ქეთევანმაც გული მოიბრუნა და ნანობდა კიდევაც, რომ იმ დღეს თავს ბევრის უფლება მისცა და რომ ეს კაცი ამგვარ შეუბრალებელ გაკიცხვას არ იმსახურებდა.

ხანს ჩვეულებად ჰქონდა, ხელცარიელი არასოდეს მოსუ-ლიყო. ძველ სასახლეში გურჯ დედოფალთან სტუმრად მობრძანებულს მსახურების მთელი გუნდი მოჰყვებოდა ხოლმე, რომელთაც ტყვე დედოფლისათვის მეფური ძღვენი მოჰქონ-დათ. ძღვენი იმ დღესვე საყდრის მშენებლობაზე აღმოჩნდე-ბოდა, მცირედს სამოახლოში ინაწილებდნენ, თვით ქეთევანი კი ცივ შარბათს თუ მოწრუპავდა, ან ნაზუქისმაგვარ ტკბილ ნამცხვარს ყურს წაატეხდა და ამით კმაყოფილდებოდა.

ასეთ ძღვენს იმამყული-ხანი კვირაში ერთჯერ აგზავნიდა, თვეში ორჯერ კი მისი პირადი ხაზინადარი მოდიოდა და

გიორგი ხუცესს ცეხინებით სავსე ქისას გადასცემდა. ამას, ხანის თქმით, ჯიბის ფული ერქვა, მაგრამ თავის დანიშნულებას ის ბევრად სჯარბობდა და მღვდლის ყულაბაში შავი დღისათვის გადასანახი გვარიანი თანხა რჩებოდა.

რად სჩადიოდა იმამყული-ხანი ყოველივე ამას, რად ანებივრებდა თავის ტყვეს, რომელიც შაჰის ბრძანებისამებრ ხვალ-ზეგ იქნებ ჯალათისთვისაც გადაეცა? ნუთუ იმედოვნებდა, რომ ამ თავისი გულუხვობითა და ხელგაშლილობით დედოფლის გულს ოდესმე მაინც მოიგებდა და უზენაესი მბრძანებლის წინაშე პირნათელი გამოვიდოდა?

მეორე და მესამე მოსვლისას ხანს შაჰი და მისი დაჟინებული ნება-სურვილი აღარ უხსენებია. ეტყობოდა, შაჰის კარზე იმხანად უფრო დიდი ქოთანი დულდა, საამისოდ არ ეცალათ, ხანს წამდაუწუმ არ აწუხებდნენ, ან იქნებ დაავიწყდათ კიდეც უბედური ქალის არსებობა, უზარმაზარ სპარსეთში მარტო ეს ერთადერთი მძევალი ხომ არ ეყოლებოდათ და მას თავისი გაძალლებული წუთისოფელი შირაზში უნდა დაელია?

თუ ხანი ყოველივე ამას საკუთარი გულის კარნახით სჩადიოდა და შორეულ სამშობლოსადმი სიყვარულსა და სხვათაგან დაფარულ თაყვანისცემას თვისტომ დედოფლისადმი დამოკიდებულებაში აქსოვდა, ის ღირსი იყო ქეთევანის მხრივ პატივით მოპყრობისა და რაც დრო გადიოდა, ქეთევანი მით უფრო რწმუნდებოდა, რომ ეს ნამდვილად ასე იყო.

ზამთრის მიწურულს სატახტო ქალაქ ისპაჰანიდან მობრუნებული იმამყული-ხანი ერთხელ კიდევ ეწვია, იქაური ამბები გაუზიარა, სასახლეში მიიპატიჟა და სპარსული ნადიმის ბრწყინვალებით თვალი მოსჭრა.

გარეგნულად მშვიდმა, ნამდვილად კი გულაკანკალებულმა, თვალად და ყურად ქცეულმა ქეთევანმა ხანის მონათხრობიდან ის აზრი გამოიტანა, რომ ქართლ-კახეთის ტანჯულ მიწა-წყალზე კვლავ უწმინდური ძალა პარაპაშებდა, ქვეყანა სულს ღაფავდა, კიდევ მეტი გაამფთრებით იძარცვებოდა, ტახტდაკარგული თეიმურაზი კი სადღაც ლიბგადაღმა იყო შეკედლებული და ოსმალთაგან შეპირებულ დახმარებას ელოდა.

ნადიმს ხანის სასახლეში ბევრი უცხოელი სტუმარი და მთელს სპარსეთში სახელგანთქმული მელექსე, სახიობი და მხატვარი ესწრებოდა. აქვე იყვნენ ხუროთმოძღვრებიც, ვინც ეს სასახლე ააგო და შირაზი კიდევ ერთი დიდებული შენობით დაამშვენა.

ხანმა ქეთევანს სხვებზე ადრე ოთხი უცხოელი სტუმარი: ფრანგი ჟან ბატისტ ტავერნიე, გერმანელი ადამ ოლეარიუსი, ინგლისელი თომას ჰერბერტი და იტალიელი პიეტრო დელა ვალე წარუდგინა.

პირველი სამი ეგზოტიკურ აღმოსავლეთში მოგზაურობდნენ, ჟან ბატისტ ტავერნიე და ადამ ოლეარიუსი ოსმალეთსა და კავკასიაშიც ნამყოფი იყვნენ და თავიანთი ჩანაწერები ამ ქვეყნების შესახებ ევროპაშიაც გამოექვეყნებინათ, ხოლო რაც შეეხება იტალიელ პიეტრო დელა ვალეს, ხუპუეწვერიან ტანმორჩილ მამაკაცს, რომელსაც მეტად სათნო, ღვთისნიერი გამომეტყველება ჰქონდა და ლაპარაკის დროს ოდნავ წინ წამოზნექილი წაბლისფერი თვალები უკიმკიმებდა, ქეთევან დედოფლის ყურადღება სხვებზე მეტად მიიქცია, ის უკვე აქ სამ წელიწადს ცხოვრობდა და აქაური ელფერი დასდებოდა, თავისი ახალგაზრდა ცოლის, სირიელი ქრისტიანი ქალის, ავადმყოფობის გამო შეყოვნებულიყო და როგორც კი იგი ფეხზე წამოდგომას და ზღვით მგზავრობას შესძლებდა, მაშინვე გუდა-ნაბადს აიკრავდა და სამშობლოში გაემგზავრებოდა.

ევროპელებს ქეთევანი პირველად როდი ხვდებოდა. ისინი კახეთშიაც ხშირად მოდიოდნენ და სამეფო კარზეც სათანადო პატივით სარგებლობდნენ. იტალიელი მოგზაურის გაცნობამ ქეთევანი მაინც ერთობ გაახარა და გულში იმედი ჩაუნერგა. აი, ვის შეეძლო მისი ხმა რომის პაპამდე მიეტანა და ეს გაცილებით ადრე მოემოქმედებინა, ვიდრე წმიდა პეტრეს სარწმუნოების საქადაგებლად აღმოსავლეთში მოსული სულიერი მამები ამას იზამდნენ. ახლა საჭირო იყო, მარჯვე დრო შეერჩია და გიორგი ხუცესის შემწეობით მოგზაურს მოლაპარაკებოდა.

სტუმრებს მორის, იმამყული-ხანის პურმარილიანი სასახლე რომ აავსეს, ქეთევანი ერთადერთი მანდილოსანი იყო, რადგან მაჰმადიან ასულებს, რაგინდ დიდგვაროვანიც არ უნდა იყვნენ, არამცთუ უცხო მამაკაცებთან ერთად ჯდომა, მათთან გამოჩენაც კი ეკრძალებათ, უკლებლივ ყველა სტუმარი, მეტადრე მრავლის მნახველი ევროპელი მოგზაურები, მისი საარაკო სილამაზით, კდემამოსილებით და მეფური თავდაჭერით აღტაცებული დარჩა.

ქეთევანს, როგორც ყოველთვის, საქვრივო თალხები ეცვა, შავი ხავერდის კოპი და ამავე ფერის მარმაშის ჩიხტი ეხურა, სამკაულად მხოლოდ ოქროს მედალიონი ეკიდა. წვრილი ძეწკვით, მაგრამ ერთი შეხედვით ეს უსახო თალხებიც დიდებული სისადავისა და გემოვნების დახვეწილობის გამოხატულება იყო.

იმამყული-ხანი გულში ზეიმობდა. თვისტომი დედოფლის ყურადღების შუაგულში მოხვედრა მას თავისი მამაპაპური ჯიშის დამსახურებულ გამარჯვებად მიაჩნდა და აღარ იცოდა, პორფიროსანი სტუმრისათვის რა გამორჩეული პატივი ეცა, რით და როგორ ესიამოვნებინა. სანადიმოდ დასხდომის წინ,

სტუმრებთან ერთად, რომლებიც ამ თვალწარმტაც სასახლეში თავს პირველად როდი იყრიდნენ, რათა კაზმული სიტყვისა და ხელოვნების მოყვარული მასპინძლის სიახლოვით დამტკბარიყვნენ, ძვირფასი ხალიჩებით მოგებული და ლავგარდანებმოოქროვილი დარბაზები ფეხდაფეხ შემოატარა და სახელმოხვეჭილ სპარსელ ოსტატთა ხელით შესრულებული კედლის მხატვრობა, მინიატურები, ჰედურობა და გობელენები აჩვენა.

ქეთევანი ყველა დიდსა თუ მცირე სურათს ყურადღებით აკვირდებოდა და ზეგარდმო ნიჭით გასხივოსნებულ სანახაობისათვის თვალი დიდხანს ვერ მოეწყვიტა.

იმამყული-ხანი მხატვრობის ჭეშმარიტი მოტრფიალე და მცოდნე გამოდგა. ვის არ მიეძღვნა მისთვის თავისი ნამუშევარი, ვის არ ეამაყებოდა მის თვალუწვდენელ დარბაზებში საკუთარი ნიჭის ნაყოფის გამოფენა! დარბაზიდან დარბაზში მეგზურობას თვით ეწეოდა, ყოველი ქმნილების წინ ჩერდებოდა, სტუმრებს, თუ ამის საჭიროებას დაინახავდა, ნაწარმოებში ჩაქსოვილ შინაარსს უხსნიდა და იქვე თავის პირად შთაბეჭდილებასაც უზიარებდა.

აქ მრავლად ნახავდით სახელოვანი მინიატურისტის, რეზაი აბასის ოქროს ვარაყით შესრულებულ ყვავილებსა და ბუჩქებს. აქვე ეკიდა ცნობილი ევროპელი მოგზაურებისა და მისიონერების სურათები. ესენი ოდესღაც იმამყული-ხანის კარზე სტუმრად ნამყოფ ჰოლანდიელ მხატვრებს ანჟელს და ლოკარს დაეხატათ.

ერთ-ერთ სურათზე, რომელსაც მთელი კედელი ეკავა, მხატვრის ფუნჯს 1544 წელს ჩალდირანის ველზე მომხდარი ომი გამოესახა. ომის ღმერთმა მაშინ ზარბაზნებითა და სხვა ცეცხლმსროლელი იარაღით აღჭურვილ ოსმალთ მიჰკერძა. შუბებითა და შვილდ-ისრით შეიარაღებულმა სპარსელებმა ძლიერ მტერს ვერ გაუძლეს და ბრძოლის ველზე სასტიკად იძლივნენ. ამაოდ იქნევდა ხმალს თეთრონზე ამხედრებული შაჰ-ისმაილი, ამაოდ უმაგრებდნენ მას ზურგს ყიზილბაში თანამებრძოლნი. ომი უკვე წაგებული იყო და ამ უკანასკნელ შეტაკებას სიკვდილთან სისხლივით წითელი მზე ანათებდა.

სურათმა ქეთევანი დააღონა და დაანაღვლიანა. მან თავისი დაჩაგრული, მტრის ფეხით გათელილი სამშობლო და ასევე უბადრუკად შეიარაღებული კახთა ლაშქარი მოაგონა. აბა, რას უნდა გამხდარიყო იგი შორსმსროლელი ზარბაზნებით შეიარაღებულ მტერთან, სანამ თავადაც ამ მრისხანე იარაღით არ აღიჭურვებოდა და ურჯულო მომხვდურის რიგებში შიშსა და მრწოლას არ დასთესდა! მიუხედავად მრავალგზისი დაპირებისა, რუსთველმწიფემ არ ინება ზარბაზნების ჩამომ-

სხმელი ოსტატების გამოგზავნა. ელჩების გამომგზავრების დროისათვის მათი სალაც შორს ყოფნა მიზეზად მოიდო. საკოდავ მამას, კახბატონ ალექსანდრეს, თავისი ღლით სიკვდილიც რომ არ ეღირსა და ღვიძლი შვილის ხელით დაილუპა, ეს ამბავი საფლავში ჯავრად ჩაჰყვა. ვინ იცის, რუსხელმწიფეს პირი რომ არ გაეტეხა, კახთ თავიანთი ზარბაზნები ჩამოესხათ და მეზარბაზნეებიც ჰყოლოდათ, იქნებ უბედურებაც არა სწეოდათ და შემოსეული შაჰ-აბასის კალიასავით ხალხმრავალ ლაშქარს მათთვის ბუზიც ვერ აეფრინა!

სულ ბოლოს იმამყული-ხანი თავის საამაყო სურათთან შეჩერდა. იგი შაჰ-აბასის კარზე გამართულ ერთ-ერთ ხალხმრავალ წვეულებისადმი იყო მიძღვნილი. თვით შაჰს სურათის შუაგულში მოეკეცა, მარჯვნივ და მარცხნივ კი ყველაზე უფრო დაახლოებული კარისკაცები და სარდლები უსხდნენ. პირველი მათ შორის შაჰის მარჯვენა ხელი ყულარაღასი ალავერდი-ხანი იყო, მშობელი მამა მასპინძლისა...

ნადიმი რომ ეშხში შევიდა და გაფიცხებულ მემუსიკეთ დაღლა შეეტყოთ, მელექსეთა შეჯიბრი მოეწყო, რომელიც იმამყული-ხანის სასახლეში გამართული ყოველი წვეულების გვირგვინსა და მშვენებას წარმოადგენდა. ქვეყნის განთქმული მელექსენი, იმამყული-ხანის უტყუარი მეგობრები და პატივისმცემელნი, თავის ჯერაც მელანშეუმრობელ რობაიებს კითხულობდნენ, ხანაც მუსიკალური საკრავის თანხლებით სიმღერით ასრულებდნენ და მსმენელთა სმენას ახალი ჰანგებით ატკბობდნენ.

შეჯიბრის დასასრულ, როგორც საზოგადოდ მიღებული იყო, მასპინძელმა საგანგებოდ ამ შემთხვევისათვის შემონახული საჩუქრები დაარიგა. გული არავისთვის დაუწყვეტია. ყველას თავისი ერგო და კმაყოფილი თავის ადგილს დაუბრუნდა.

სტუმრები გვიან წამოიშალნენ. შუაღამე უკვე გადასული იყო და უღრუბლო ლურჯ ცაზე მირიადი ვარსკვლავი ციმციმებდა. სვეტებიან დარბაზში, რომელიც სასახლის სარდაფის სართულზე ჰოლის მოვალეობას ასრულებდა, ქეთევანს უკვე ელოდებოდნენ საგარეო ანაფორით შემოსილი მამა გიორგი და მსახური ქალები თუთა და გულსუნდა, რომლებიც თავიანთ ღვთისსიერ დედოფალს ისერიგად შესჩვეოდნენ და შესისხლხორცებოდნენ, უმისოდ თუნდ ერთი დღის გაძლებაც კი ვერ წარმოედგინათ.

აქამდე ქეთევანი მასპინძელმა, პიეტრო დელა ვალემ და ადამ ოლეარიუსმა მოაცილეს, რომელთაც უკლებლივ ყველა სტუმარი გამოჰყვა. ვიდრე გურჯი დედოფლის თანამეინახეობით აღფრთოვანებული და ბედნიერი სტუმარი მამაკაცები ქეთევანს თავ-თავიანთ წესზე ემშვიდობებოდნენ და თუმცა

სასახლის ეიწრო სარკმელებში მოახლოებული დილის რიჟ-
რაჟი იკვრიტებოდა, მშვიდობის ღამეს უსურვებდნენ, იმამყუ-
ლი-ხანმა თვალი ჰკიდა გიორგი ხუცესს, სხვებისაგან შეუმჩ-
ნეველად განზე გაიხმო, ცალკე ოთახში შეიყვანა და მათ შორის
ასეთი საუბარი გაიმართა:

— მამაო გიორგი, მითხრეს, ხეხილისა და ყვავილნარის
გაშენების ოსტატი ყოფილხარ. ხომ არ ინებებდი, თუკი
დედოფალი ნებას დაგრთავს, ჩემი ბაღისა და ყვავილებისათვის
მოგეველო?

— სიამოვნებით, ხელმწიფეო, — მიუგო მღვდელმა,
რომელიც ხანის პირველსავე სიტყვაზე მიხვდა, რომ მათი
განმარტოების ნამდვილი მიზეზი სრულიად სხვა რამ იყო. —
სამუშაო მიჩვენონ და საქმეს ხვალიდანვე შევუდგები!

— დიდად დაგიმადლებ, მამაო, და არც მუქთად გაგრჯი!

— როგორ გეკადრებათ, ხელმწიფეო, თქვენი ხმალი და
ჩვენი კისერი!

— ახლა რა მინდა კიდევ გითხრა.

— ბრძანე, ხელმწიფეო!

— ოღონდ, იცოდე, რომ ეს, რასაც ახლა გაგიმხელ,
დრომდე ჩვენს შორის უნდა დარჩეს და კაცმა-სულიერმა არ
უნდა გაიგოს!

— როგორც თქვენ მიბრძანებთ, ხელმწიფეო! — ჭკვიანი
მღვდელი მიხვდა, სიტყვა ქეთევან დედოფლის შემდგომ ბედს
შეეხებოდა და გულმა გამალებით დაუწყო ძგერა, ნეტავი რის
თქმას აპირებს, ასე შორიდან რომ იწყებსო.

— მწუხარება და გლოვა გვმართებს. უბედური ლევან-
მირზა, კახეთის ტახტის მემკვიდრე, აღარა გვყავს, მამაო.
ბოლო მოეღო მის ტანჯვას. გასული თვის პირველ სამშაბათს
სული განუტევა.

— ლევან-მირზა? — მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა და
მწარედ ჩაფიქრდა. — ეგ რა მიბრძანე, ხელმწიფევ, ეგ რა
თავზარდამცემი ამბავი შემატყობინე. ცუდი სიზმრები მქონდა
და ამიხდა. საბრალო ბატონიშვილი, — მას თვალთაგან
მსხვილი კურცხლები გადმოუგორდა და წვერზე დაეკიდა. —
ეგ ყოფილა თურმე შენი ბოლო, შენს საწყალ ძმასავით
უცხოეთში სიკვდილი გწერებია. ჩვენ კი იმედს არ ვკარგავ-
დით, იქნებ გამომჯობინდეს, პირი სააქაოსკენ ჰქნას-მეთქი.
კაცად კი აღარ ივარგებდი, მაგრამ...

— ეს ყველაფერი არ არის, მამაო, — ცოტა კიდევ აცალა
და განაგრძო დედოფლის სულიერ წინამძღვარზე არანაკლებ
დამწუხრებულმა იმამყული-ხანმა. — ორ კვირაზე მეტია,
შაჰის წიგნი მოგვიტანეს. ვიცოდი, შიგ რა ეწერებოდა და

მაჰმადის წვერსა ვფიცავ, სამ დღეს არ გამიხსნია. გესაყვედურობს, მე შენგან ამას არ მოველოდიო. ქეთევანს რად არ ამაჰმადიანებ და ჩემს ცოლობაზე რად არ ითანხმებო. არ ვიცი, რა მოვიმოქმედო, რა გზას დავადგე. შაჰის ნება-სურვილის აღსრულებაზე უარი არ იქნება, შენ იცი, მამაო. ჭკუიანი კაცი ბრძანდები, დედოფალს სწამს შენი სიმართლე და ისიც, რომ არ უღალატებ, მის საზიანო საქმეს არ იზამ. იქნებ როგორმე მხარში ამომიდგე, დედოფალს რაიმე გადავაწყვეტინოთ და მერე სიკვდილამდე მიმსახურე, შენი მონამორჩილი ვიქნები. ორივე ვალდებული ვართ, დედოფლის სიცოცხლესა და კეთილდღეობაზე ვიზრუნოთ. მრისხოს ალაჰმა, თუ ამ სიტყვას გულით არ ვამბობდე!

— მე ქრისტეს მსახური გახლავარ, ხელმწიფევ. — მტკიცედ განუცხადა ხანს მღვდელმა და თვალი გაუსწორა. — დედოფლის სულიერი წინამძღვრობის პატივი მერგო. მე მხოლოდ ის ძალმიძს, მასთან ერთად ღვთისადმი ლოცვა აღვავლინო და ზეციერ მამასა და მას შორის ვიშუამდგომლო!

— სწორედ ამიტომ შეგარჩიე და მოგიხმე, რომ დედოფლის სულიერი წინამძღვარი ხარ და ძალა შეგწევს, მის გადაწყვეტილებებზე გავლენა მოახდინო! ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ შაჰს გულში თეიმურაზის სიყვარული და ნდობა კვლავ ჩაეუნერგოთ, ის ტახტზე აღვადგინოთ, ქვეყანა ფეხზე წამოვაყენოთ და ქეთევან დედოფლის სიცოცხლეც შეეინარჩუნოთ!

— მაგას რაღა აჯობებს, ხელმწიფევ!

— კარგად მოგეხსენება, მისი უდიდებულესობა შაჰი ამ ნაბიჯს მხოლოდ ერთი პირობით გადადგამს!

— ის პირობა მიუღებელი გახლავს, ხელმწიფევ. საბოლოო პასუხი დედოფალმა უკვე მოგახსენათ და მე, უბრალო ხუცესს, რა ნება მაქვს, რომ რაიმე დავამატო ან შევცვალო!

— ორი კვირის ვადა კიდევ მომიცია. მერე იძულებული გავხდები, სხვა გზას მივმართო!

ამ სიტყვებზე ისინი ერთმანეთს დასცილდნენ. იმამყულიხანი ოთახიდან პირველი გავიდა, რათა სვეტებიან დარბაზში თავშეყრილ სტუმრებს შეერთებოდა და თავი ისე დაეჭირა, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს.

თავი LXXII

ყველიერის სამშაბათს ქეთევანს ქართულ კაბა-ჯუბაში გამოწყობილი სამი ქართველი მანდილოსანი ესტუმრა. ესენი

იტალიელი მოგზაურის პიეტრო დელა ვალეს კეთილი ნაცნობები იყვნენ და მათი აქ ყოფნა ქეთევანმა სწორედ პიეტრო დელა ვალესაგან შეიტყო, როდესაც იმამყული-ხანის სასახლეში გამართული წვეულების შემდეგ ერთმანეთს ემშვიდობებოდნენ.

ქალები ალავერდელ მთავარეპისკოპოს ევდომონის ღვიძლი დები აღმოჩნდნენ, იმ ევდომონისა, ადრე ბოდბეში რომ წირავდა, ხოლო ალავერდის კათედრა და მთავარეპისკოპოსად ხელდასხმა მეუფე სამოელის გარდაცვალების შემდეგ მიიღო.

ალავერდელი მეუფის დები სამშობლოდან ცეცხლითა და მახვილით აყრილ თახამემამულეთა ნაკადს 1616 წელს ჩამოჰყოლოდნენ და მას აქეთ აქ, შირაზში ცხოვრობდნენ. უმცროსი და მარიამი აქვე გათხოვილიყო, ერთ მაჰმადიან ქართველ თავადიშვილს გაჰყოლოდა, რომელიც ადრე ღულამთა კორპუსში მსახურობდა, შაჰისაგან შემჩნეულიც იყო, მაგრამ ბოლო დროს ომებში მიღებულ ჭრილობებს თავი შეეხსენებინა და დახეიბრებულ, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცს, მთელი სიცოცხლე რომ სხვის სამსახურში გაეტარებინა, ახლა კი აღარავის ჭირდებოდა, თავი რის ვაინაჰრობით გაჰქონდა.

ბედს არც სამშობლოდან ქმარშვილიანად გადმოხვეწილი, ყმა-მამულს მოკლებული უფროსი დები, ნესტანი და თინათინი ემადლიერებოდნენ. სანამ სამშობლოდან გამოყოლილი მცირეოდენი ფარა გააჩნდათ, კიდევ არა უშავდათ რა, მაგრამ შემდეგ გაჭირვებას ამათთვისაც დაერია ხელი და საქმე თითქმის სამათხოვროდ გაეხადა.

ალავერდელი მთავარეპისკოპოსის უფროსი სიძეები იმ ასაკისა და შეძლების პატრონები არ იყვნენ, რომ ხანის ლაშქარში შესვლა ეთხოვათ და ბედი მხედრულ სამსახურში ეცადათ, სხვა საქმე კი, გარდა ხმლის ქნევისა და შუბის ძგერებისა, მათ თავის დღეში არ გაეკეთებინათ და რადგანაც არც თავიანთ სარწმუნოებას ეშვებოდნენ და თავს მტკიცე ქრისტიანებად თვლიდნენ, დაუმადლებელი ლუკმის შოვნის იმედი უკვე დაჰკარგოდათ.

ერთადერთი ხსნა, თუკი შეიძლებოდა ამას მინდობოდი, იმამყული-ხანის მიერ დანიშნული მცირედი დახმარება იყო, რითაც თვიდან თვემდე თავი გაჰქონდათ, მაგრამ თვით იმამყული-ხანის ბედი ბეწვზე ეკიდა, რადგანაც ბევრი მეშურნე და მტერი ჰყავდა და თუ ერთ მშვენიერ დღეს ფეხი იმასაც გადაუბრუნდებოდა, ჯიბექესატი ქართველი თავადიშვილები კიდევ უარეს დღეში ჩაცვივდებოდნენ.

ვიდრე დებს დედოფალი მიიღებდა და მათი ნახვით გაიხარებდა, თუმცა აქ გასახარელი არაფერი იყო, რადგანაც

ერთნიც და მეორენიც ერთმანეთს სხეის კარზე ხვდებოდნენ, ისინი თვით გიორგი ხუცესმა გააფრთხილა, რომ მძევალ ბატონიშვილებზე და მათ გულისმომკვლელ დასასრულზე კრინტი არ დაეძრათ. შვილიშვილების ამბავს დედოფალს კვლავ უმალავდნენ და არ უმხელდნენ.

ქეთევანი ჯერ განცვიფრდა, როცა ალავერდელი მთავარეპისკოპოსის დების ხლება აუწყეს, გეშლებათ, იმათ აქ რა უნდათო, მერე თავისი დაეპვების უაზრობას მიხვდა და ბრძანა, სტუმრები მათ მისაღებად განკუთვნილ დარბაზში შეეყვანათ. ორიოდე წუთის შემდეგ თავადაც გამობრძანდა და სასურველი სტუმრები, რომელთა აქ ხახვას სრულებითაც არ მოელოდა, სათითაოდ გულში ჩაიკრა.

ქალები აცრემლდნენ, აცრემლდა თვით ქეთევანიც და კარგმა ხანმა გასტანა, სანამ ოთხივე დამშვიდდებოდა და საუბრის დაწყებას შესძლებდა.

საუბარი უმთავრესად ვაით და უით გადატანილ საბედისწერო ომიანობას, ქვეყნის აკლებას, მამაპაპური საცხოვრისიდან ერის აყრას და იმ სიძნელეებს შეეხო, სპარსეთის გაუთავებელ გზებზე, უდაბნოებში და თოვლიან მთებში რომ გადახდენოდათ.

სამშობლოდან შაჰის ბრძანებით აყრილ და სპარსეთში გადმოსახლებულ კახთა ნაწილი, რომელშიაც მთავარეპისკოპოსის დები და მათი ოჯახის წევრები მოხვდნენ, გზაშივე გაეყიდათ. ნაბრძანები კი იყო, ადგილზე ყველა უკლებლივ ჩაეყვანათ და ვინც კი იქამდე ცოცხალი ჩააღწევდა, ერთიმეორის გვერდით დაესახლებინათ. ჯერ არდებილის და შემდეგ აშრაფის ბაზრებზე, სადაც ტყვეებს ჩალის ფასად, შინაურ პირუტყვზე უფრო იაფად ყიდდნენ და ჯიბეს ისქელებდნენ, ძალადობასა და ადამიანის აბუჩად აგდებას საზღვარი არ ჰქონდა. დედას შვილს აცილებდნენ, ცოლს — ქმარს, ოჯახებს შლიდნენ და მისი თითოეული წევრი სხვადასხვა მხარეს მიჰყავდათ. დებს ბადრაგი მოესყიდათ და ასე ერთობით შირაზისათვის მოელწიათ, სადაც იმამყული-ხანი ეგულებოდათ და თავიანთ ვარაუდში არც მოტყუებულან. იმამყული-ხანმა სწორედ მამობა გაუწია და თავის ხელმწიფურ მფარველობას დღესაც არ აკლებდა.

კახბატონ თეიმურაზისა, რომელიც ტახტზე ხელახლა ავიდა და ქვეყნის სადავეები ხელში დაიპირა, დებმა ბევრი არაფერი იცოდნენ. მათ მხოლოდ ის შეეტყოთ, რომ მეფემ და მისმა შეთხელებულმა ლაშქარმა ბახტრიონისაკენ დაიხია. ამასობაში ყიზილბაშები მთელ კახეთს მოსდებოდნენ. მათი დატყვევებაც ისე მოულოდნელად და სწრაფად მოხდა, გახიზვაც ვერ მოესწროთ. გზაში ამბავი დასწეოდათ, თეი-

მურაზი უკვე ქართლშია და იქ ჯარს აგროვებს, რათა შაჰს მის მიერ დაპყრობილი კახეთი ხელიდან გამოჰგლიჯოსო, მაგრამ ამ დროს ისინი უკვე განძაში იყვნენ, საიდანაც იმავე დღეს გამოერეკათ და მას შემდეგ სამშობლოს ამბები აღარ სმენოდათ. რაღა თქმა უნდა, იქაურობას ურჯულო სპარსელები და მათ მიერ ჩასახლებული ელის ტომები დაეპატრონენ, ქრისტიანი კაცის ფესვი და ძირი ამოძირკვეს და იქიდან მათ არა თუ ქართლ-კახეთში შეგროვილი, შვილდ-ისრითა და შუბებით შეიარაღებული მცირე ლაშქარი, დიდი მაკედონელის უძლეველი მხედრობაც კი ვეღარ გამოდევნიდა!

ქეთევანს წამწამზე დაგორებული ერთადერთი კურცხალი მოსწყდა და ხელზე დაეცა. ამ ცოტა ხნის წინათ იმამყული-ხანის სასახლეში ნანახი სურათი მოაგონდა, სადაც ოსმალნი ზარბაზნებით ანადგურებდნენ მათ მიერ დამარცხებულ სპარსელებს. ის არც იმედოვნებდა, რომ ამ ფუქსავატ მანდილოსნებისაგან რაიმე სანუგეშოს გაიგებდა. ქალებს თავიანთი საამაყო ძმა, მთავარეპისკოპოსი ევდომონიც არ უხსენებიათ, რომელიც, ალბათ, სხვა თანამოსაყდრეებთან ერთად მეფის ბანაკში იმყოფებოდა. გაევრანებული სამშობლოს გახსენებამ, რომელიც იმამყული-ხანის სასახლეში ნანახი სურათის სახით წარმოუდგა, გული დასწვა და დაგროვილმა მდუღარებამ, თითქოს ჯებირი გაარღვიაო, თვალთაგან ერთბაშად გადმოხეთქა.

დებს ახლა თვით მოუხდათ ქეთევანის დამშვიდება, თუმცა თავადაც გულამოსკვნილი ტიროდნენ და ცხარე ცრემლები ღაპაღუპით ჩამოსდიოდათ.

დარბაზში ფეხაკრეფით დედოფლის მოახლე თუთა შემოვიდა. ეს ამბავი რომ დაინახა, შეკრთა, ვეღარც წინ გადმოდგა ნაბიჯი, ვეღარც უკან გაბრუნდა და როდესაც თავადაც აცრემლებულმა ქეთევანის მზერა დაიჭირა, კრძალვით ჰკითხა, სამხარს აქ ინებებთ, თუ ქვემოთ გავშალოთო.

ეს გაიგონეს თუ არა, დებმა ერთმანეთს შეხედეს, კალთები აიკრიფეს და წინასწარ შეთანხმებულებივით წამოდგნენ.

— უიმე, რა დრო გასულა, მუსაიფში ვერც კი შევამჩნიეთ!

დედოფალმა იწყინა, კოპები შეჰყარა:

— როგორ გეკადრებათ, ნესტან, ან თქვენ, თინათინ და მარიამ, განა ისე გაეღარიბდით, რომ თქვენისთანა სტუმრების გამასპინძლებაც აღარ შეგვიძლია? დაბრძანდით, თუ გიყვარვართ, თქვენ კი, თუთა, სუფრა ქვემოთ გაშალეთ და როდესაც მზად იქნებით, შეგვატყობინეთ, ჩამოვალთ!

დებმა ისევ შეხედეს ერთმანეთს, დედოფალს მართლა არ ვაწყენინოთო, ზედმეტი თავპატიჟი შეუფერებლად ჩათვალეს და ხავერდის მუთაქებზე კვლავ თავ-თავისი ადგილი დაიკავეს.

საუბარი ახლა აქაურ, შირაზში სხვადასხვა დროს ჩამოსახლებულ ქართველობაზე გადავიდა. მათი უმეტესობა გათათრებული იყო. ზოგს მშობლიური ქართულიც აღარ ესმოდა. იყვნენ ისეთებიც, ვინც თავის ქრისტიანულ სარწმუნოებას დღემდე შეურყვნელად ინახავდა, მაგრამ ეს უკანასკნელნი მაჰმადიანებისაგან დიდ შევიწროებას განიცდიდნენ და ძნელი გადასაწყვეტი იყო, როდემდე შესძლებდნენ ქრისტეს რჯულის შენარჩუნებას.

ეს ყოველივე შუათანა დამ, თინათინმა თქვა და როდესაც ის ლაპარაკობდა, ქეთევანმა შენიშნა, რომ უმცროსი და, გაბაჰმადიანებული ქართველი მზედრის თანამეკუხედრე მარიამი გვერდზე იყურებოდა და არ უნდოდა ყურში შეეშვა ძვირი, რომელსაც მისი ქრისტიანი და ადგილობრივ მაჰმადიანებზე ამბობდა.

»ეტყობა, ესეც გათათრდა, — გაიფიქრა ქეთევანმა. — იმის მაგიერ, რომ ვარსქენ პიტიახშივით გაურჯულოებული ქმარი თავის რჯულზე მოექცია, თავად გათათრდა და ახლა დებისა და სიძეების უკმაყოფილოა, რატომ ისინიც არ აგდებენ ქრისტეს რჯულს და ალაჰს არ აღიარებენ!«

ბოლოს სიტყვამ მოიტანა და ციხის საკანში გამომწყვდეული ლუარსაბ მეფე მოიგონეს. ეს მერამდენე წელიწადი მიდიოდა, რაც შაჰის განტევებული ცოლის ძმა, სიძემ იმერეთიდან რომ გამოიტყუა და ასევე მოტყუებით სპარსეთში ჩამოიყვანა, გულაბ-ყალაში, იგივე გულაბის ციხეში იჯდა. შიშველი მთის წვერზე აღმართული პირქუში გულაბ-ყალა ზემოდან გადმოჰყურებდა შირაზს და ქალაქის ყოველი კუთხიდან ჩანდა.

ალავერდელი მთავარეპისკოპოსის დებს ორჯერ-სამჯერ ეცადათ დატყვევებული მეფის ნახვა და მისი მწარე ხვედრის შემსუბუქება, მაგრამ ამდენჯერვე იმამყული-ხანისაგან გადაჭრილი უარი მიეღოთ.

ლუარსაბი ღრმა ჯურღმულში ჰყავდათ ჩაგდებული. მზის სინათლესაც არ აჩვენებდნენ. მხოლოდ მედილიგე ყიზილბაშს ხედავდა დღეში ორჯერ, დილა-საღამოს და ჯურღმულიდან თავის დაღწევა, მზის სინათლეზე ამოსვლა მარტოოდენ ქრისტეს რჯულის დაგდებით და მაჰმადიანობის მიღებით შეეძლო.

ტყვე მეფეს ორ თვეში ერთხელ ეძლეოდა თავისი გადაწყვეტილების გამოცხადების უფლება, როცა ბეგლარბეგისაგან საგანგებოდ გამოგზავნილი კაცი ესტუმრებოდა ხოლმე, მაგრამ წვერმოშვებული და უმზეობისაგან მთლად მიწისფრად ქცეული ლუარსაბი ისევ დუმილს არჩევდა და ახალს არაფერს ამბობდა.

იმამყული-ხანზე ცოდვა არ ითქმის. ის რამდენჯერმე პირადად ესტუმრა ლუარსაბს გულაბ-ყალაში, მისი დაყოლი-

ება და შაჰსა და ტახტიდან გადაყენებულ ქართლის მეფეს შორის ძველი კეთილი ურთიერთობის აღდგენა სცადა, მაგრამ ლუარსაბმა თვისტომი ხანიც ისევე გააწბილა, როგორც თვით ყაენი და რჯულის ღალატს ისევ ბნელ და ნესტიან ჯურღმულში ჯდომა არჩია.

შაჰი მალი-მალ კითხულობდა მის მიერ შირაზში პატიმრად გამწესებულ ლუარსაბს, რას შვრება ჩემი საყვარელი ძმა, ჰკუაზე მოვიდა თუ არაო და როდესაც იმამყული-ხანისაგან ერთსა და იმავე პასუხს იღებდა, იმავე იმამყული-ხანის თხოვნისა და შუამდგომლობის თანახმად უმკაცრესი განაჩენის აღსრულებას სულ სამერმისოდ და სამერმისოდ სდებდა, ვინძლო მართლაც მოეგოს გონს და მისი შემწეობით ქართლიც მაჰმადის რჯულზე მოვაქციოო.

დები ლუარსაბის მიმართ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას არ მალავდნენ. პირდაპირ და შეუფარავად ამბობდნენ, მეფეს არ მართებს ესოდენი გაჯიქება, როდესაც ძალა აღმართსა ხნავს, ისიც ისე უნდა მოიქცეს, როგორც საქმე და გარემოება უკარნახებსო.

უფროსი დები რომ ამას ამბობდნენ, მარიამი თავჩალუნული იჯდა და საუბარში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებდა იმას, რომ გათათრებული ქართველი მბედრის მორჩილ თანამეკბედრეს თავისი სულის საქმე უკვე გადაეწყვიტა, სხვისაში კი არ ერეოდა.

— თქვენ როგორ მოიქცეოდით? — გამომცდელად ჰკითხა ქეთევანმა ნესტანს და თინათინს.

— ნუ შეგვრისხავთ, დედოფალო, თუ პირუთვნელად მოგახსენებთ, — ნესტანმა თავისი უფროსობით ისარგებლა და ქეთევანს პირველმა მიუგო. — ლუარსაბის გაჯიქებით ქვეყანაც წამხდარია და თავადაც, ჯვარი აქაურობას, დღეს თუ ხვალ მზე დაუბნელდება.

— ღმერთო, შეგვინდე! სამაგიეროდ, სასუფეველში მოხვდება მისი სული!

— წამხდარ ქვეყანას კი მაინც არაფერი ეშველება!

— აკი გკითხეთ, თქვენ როგორ მოიქცეოდით, მის ადგილზე რომ ყოფილიყავით-მეთქი. ქართლი თავის მეფეს იმედის თვალით შეჰყურებს. თუ მეფე გატყდება, ქრისტეს რჯულს დააგდებს და გათათრდება, ისიც გატყდება და გათათრდება, ხოლო თუ არ გათათრდება, შაჰის მხარეზე გადასული მეფე თვითონ უნდა შეესიოს თავის საბატონო ქვეყანას და ძალით გაათათროს. ამაზე რას იტყვით?

ნესტანს თორნის სიმხურვალესავით შემოენთო სახეზე ეს სიტყვები, ლაწვები წამოუწითლდა და თვალები დაბარა.

ქეთევანის თავშეკავებულმა მსჯელობამ ის კუთხეში მიიმწყვდია, საიდანაც გამოსავალი არ ჩანდა. გარდა ამისა, რაც ლუარსაბზე ითქვა, დედოფალმა თავის თავზე მიიღო და არც შეიძლებოდა არ მიეღო, რადგანაც ის სწორედ ამ განზრახვით იყო თქმული.

დები აქ ბეგლარბეგის თხოვნამ და დავალებამ მოიყვანა. თავიანთ საეგებიო ნაბიჯს ისინი უკიდურეს გასაჭირში ჩავარდნით ხსნიდნენ და თავს იმითაც იმართლებდნენ, რომ შავ დღეში მყოფ თავიანთ დედოფლისათვის მხოლოდ სიკეთე და დღეგრძელობა სურდათ. უკეთუ ისინი ბეგლარბეგის დავალებას პირნათლად შეასრულებდნენ და ქეთევანს რჯულის შეცვლაზე დაითანხმებდნენ, რასაც სპარსეთის ტახტის ერთგული ბევრი სხვა ქრისტიანი ქართველის მაჰმადის რჯულზე შედგომა და უწინარეს ყოვლისა თვით მათი გამაჰმადიანება მოჰყვებოდა, სამეფო კარისაგან და თვით ხანისაგან ჯილდოდ უზრუნველ ცხოვრებას და გამორჩეულ პატივს მიიღებდნენ.

აკი ითქვა, ყოველივე ეს თვით დედოფლის სიცოცხლის გადასარჩენად კეთდებოდა, რისთვისაც ხელიხელჩაკიდებულად უნდა ებრძოლათ კახეთის ტახტის ქვეშევრდომ დებსაც და თვით ბეგლარბეგსაც, რომელიც ამ ძნელი საქმის წარმატებისა თუ წარუმატებლობის გამო შაჰის წინაშე პასუხისმგებელი იყო.

ქეთევანის კითხვამ, უფროს დას, ნესტანს რომ დაუსვა, სამივე შეაძრწუნა და თითქოს კედელზე მიალურსმა. საქმე ის იყო, რომ დედოფალი სწორად მსჯელობდა და არც ერთ გონიერ ადამიანს არ შეეძლო, მის წინააღმდეგ რაიმე ეთქვა. ეს სამივე დას კარგად ესმოდა და სამივე გრძნობდა, მწყალობელ ბეგლარბეგისათვის მიცემული პირობა რა ძნელი აღსასრულებელი იქნებოდა.

ბედად, კარის ზღურბლზე თუთა გამოჩნდა, მობრძანდით, ვისაც გნებავთ, ხელები გადაიბანეთ, სამხარი მზად გახლავთო. დები აუჩქარებლივ წამოიშალნენ და მასპინძლის კვალდაკვალ კიბისთავისაკენ გაემართნენ, რომელსაც ძირა სართულზე უნდა ჩაეყვანა. სამივე გვარიანად მოშიებული იყო და მეფური სამხარი, თუთასა და მის დამხმარე გოგოებს რომ გაეშალათ, სწორედ მისწრება იქნებოდა. სუფრა მამა გიორგიმ აკურთხა, რომელიც მთელი ეს დღეები ხანის ყვავილნარში მუშაობდა და მოახლე გოგოებს სუფრის საკურთხებლად მოეყვანათ.

ლოცვა წაიბუტბუტეს და პირჯვარი გადიწერეს მანდილსნებმაც.

მარიამმა თვალი აარიდა ქეთევან დედოფალს, რომლის პირდაპირაც დაჯდომა მოუწია. მას უკვე აღარ შეეძლო თავისი მაჰმადიანობა დაემალა და ამ დიდებული ქალის წინაშე, რომელსაც გულში თაყვანს სცემდა, სირცხვილით იწვოდა.

თავი LXXIII

ალაევრდელი მთავარეპისკოპოსის დებმა სტუმრობას მოუხშირეს. კვირა ისე არ გაივლიდა, დედოფალს ერთხელ მაინც არ ხლებოდნენ და თავიანთი უსაზღვრო პატივისცემა არ დაედასტურებინათ. შიგადაშიგ საუბარში ისლამზე სიტყვასაც გამოურევდნენ ხოლმე და მაჰმადის ჭეშმარიტი მიმდევრების რაინდობისა და ქველობის ამბებსაც ჰყვებოდნენ, რომლებიც დიდი ფირდოუსის „შაჰ-ნამეში“ და სხვა სპარსულ წიგნებში ამოეკითხათ.

ქეთევანი მათ ქვეშეცნეულ განზრახვას მიმხვდარი იყო, მაგრამ არ იმჩნევდა და დარბაისელ მანდილოსნებთან ურთიერთობა მთლად რომ არ გაეწყვიტა და ისინი თავიანთ სათაკილო განზრახვაში არ ემხილებინა, მისთვის არასასიამოვნო საუბარს თავს არიდებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ათი-თერთმეტი წლის, ნაადრევად ტანაყრილი, კალმით ნახატი გოგონა მოუყვანეს. ქეთევანს თავდაპირველად ერთ-ერთი მათგანის ასული ეგონა, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს ასე არ იყო. გოგონას დიდრონი, თაფლისფერი თვალები ჰქონდა, თლილი თითებით მალი-მალ მონდომებით დავარცხნილ თმას ისწორებდა, დედოფალს ისე შეჰყურებდა, როგორც ღვთაებას და ყოველი მისი სიტყვიდან და მიმოხრიდან ჩანდა, რომ წარჩინებულ ოჯახში უნდა ყოფილიყო აღზრდილი.

— ქართული იცი, შვილო? — ქეთევანი მოეფერა, ოქროსფერ თმაზე ხელი გადაუსვა და სირცხვილისაგან აწურულ გოგონას, რომელმაც კარგად უწყოდა, სად და ვისთან მოიყვანეს, რაღაც არაბავშვური სევდით საკუთარ თვალებში ჩაჰხედა.

— დიახ, დედოფალო, — მორცხვად მიუგო გოგონამ, გრძელი წამწამები დახარა და თმის წვერებამდე გაწითლდა. — ქართველი გახლავართ!

— ქართველი? შენ გენაცვალე! მერე სპარსეთში რამ ჩამოგიყვანა, შვილო?

— მე აქ დავიბადე!

აქ დავიბადეო? ქეთევანმა ნესტანსა და თინათინს შეხედა, რომლებიც ამჯერად თავიანთი გათათრებული დის გარეშე მოსულიყვნენ. მათ ის-ღა დარჩენოდათ, დედოფლისათვის გოგონას თავგადასავალი ნაწყვეტ-ნაწყვეტად მოეთხროთ. სახელად მასაც თინათინი ერქვა. მამა ძირძველი სამცხელი აზნაური ჰყოლოდა. გოგონას ახალი ჯვადრაწერილი მშობლე-

ბი რომელიღაც ქართლელ ბატონიშვილს სპარსეთში ხლებოდ-ნენ. მამა მაშინვე ღულამთა კორპუსში ჩაერიცხათ. საცოდავი პირველსავე ბრძოლაში დალუპულიყო. მამით ობოლ თინათინს დედა ზრდიდა, სანამ ციებ-ცხელება არ შეეყარა და სამი წლის წინათ სული ღმერთს არ მიაბარა. უპატრონოდ დარჩენილ გოგონას ჯერ დები უვლიდნენ, მაგრამ ამათაც თავისი გაჭირვება ადგათ და იგი იტალიელ მოგზაურს, მათ საერთო ნაცნობს, პიეტრო დელა ვალეს მიაშვილეს. ახლა პიეტრო დელა ვალეს ცოლი ავად ჰყავდა. როგორც კი ის გამოჯანმრთელდებოდა და ფეხზე დადგებოდა, სამშობლოში დაბრუნებას აპირებდა და არ უნდოდა, თუ მარიუჩა, როგორც პატარა თინათინს იტალიელი ცოლ-ქმარი ეძახდა, მათთან ერთად წასვლას არ მოინდომებდა, უპატრონოდ დაეტოვებინა. ამიტომაც თავისი კეთილი ნაცნობი დები მოეგზავნა გულმოწყალე ქეთევან დედოფალთან საშუამდგომლოდ, თუ ის ცოლითურთ იტალიაში გაეგზავრებოდა და მარიუჩა მართლაც არ მოისურვებდა მათთან ერთად უცხო ქვეყანაში გამგზავრებას, იგი დედოფალთან დარჩენილიყო, რისთვისაც ზეციური მამა მის ბრწყინვალებას სამაგიერო წყალობას მოუვლენდა და მონატრებულ საბატონო ქვეყანაში მშვიდობით დაბრუნებდა.

ქეთევანს გული დასწვა სამშობლოსა და ნათესავ-მოკეთეს მოკლებული საცოდავი გოგონას სამწუხარო თავგადასავალმა, სადღაც უთვისტომოდ მიგდებული შვილიშვილები გაახსენდა, აცრემლებულმა ის გულში ჩაიხუტა და კარგა ხანს ასე იყო, ხმა აღარ ამოუღია.

— შენ რაღას იტყვი, დარჩები ჩვენთან? — ჰკითხა ბოლოს.

ახალი დედ-მამის მიერ მარიუჩად წოდებულმა თინათინმა პასუხი არ გასცა. ყელში გორგალი აწვებოდა და რისამე თქმის საშუალებას არ აძლევდა.

დები ისევ ალაპარაკდნენ. ორივე ერთხმად აქებდა და ადიდებდა იტალიელ ცოლ-ქმარს, ვიც თინათინი უანგაროდ შეიფარა და ღვიძლ შვილად მიიღო. ორივე გულმხურვალე ქრისტიანია, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, სიკეთეს თესავენ და რარიგ საწყენია, რომ მოგზაურის ცოლი მაანი, წარმოშობით სირიელი, მთლად ახალგაზრდა, თავის შვილობილზე სულ თერთმეტი წლით უფროსი, ორ წელიწადზე მეტია ლოგინად არის ჩაეარდნილი და აქაური აქიმები მის გადარჩენას ერთობ საეჭვოდ თვლიანო. მაანს თავისი მარიუჩა ღვიძლი შვილივით უყვარს, ამასაც მეორე დედად მიაჩნია და სწორედ დიდი უსამართლობა მოხდება, თუ ეს ორი უცოდველი არსება უწყალო სიკვდილმა ერთმანეთს დააშორაო.

— ნუთუ აგრეა საქმე? — იკითხა სულით ხორცამდე შეძრულმა ქეთევანმა. — რა სჭირს ასეთი, არ შეიძლება, რაიმე ეშველოს?

მეორე დღეს მამა გიორგი და მოახლე თუთა გაგზავნა, მაანის ამბავი აკითხვინა, მცირე რამ საჩუქრები და ტფილისელი ოსტატის ხელით შესრულებული პატარა ხატი გაატანა, ამის მადლი შეგვეწიოს, სულ მალე ფეხზე წამომდგარი და საყვარელ ქმარ-შვილში გახარებული გვენახოო. მესამე დღეს თავადაც ჩაიცვა და თავისი ხელით მოქსოვილი თხელი შალი მოიხურა, რადგანაც სულიწმიდის გადმოსვლიდან მეათე კვირის აქეთ ზაფხულისათვის უჩვეულო ჰინჰყლი ამინდი დაიჭირა, ჟინჟლავდა და უცნობი ავადმყოფი ქალის მოსანახულებლად გასწია. თავისი მოსალოდნელი სტუმრობის შესახებ წინასწარ არავინ გაუფრთხილებია და თვით მასპინძელი, პიეტრო დელა ვალე შინ არ დაუხვდა. სანოვაგის შესაძენად ბაზარში წასულიყო. გარეთ თინათინმა, იგივე მარიუჩამ გამოიხედა და კარზე მომდგარი დედოფალი რომ დაინახა, ხელები სახეზე იტაცა, შეკივლა, ისედაც დიდრონი თვალები განცვიფრებისაგან კიდევ უფრო გაუფართოვდა, სიხარულით მეცხრე ცაზე აფრენილი მაანის ოთახში შევარდა და დედობილს დიდებული სტუმრის მობრძანება ამცნო.

შავთმიანი, მაგრამ სახით თეთრყირმიზა მაანი მართლაც ძალზე ახალგაზრდა, თითქმის ბავშვი აღმოჩნდა. სახის ლბილი ნაკვთებით და საერთო მოხაზულობით ის თითქოს მარიუჩას ჰგავდა და ერთი შეხედვით მისი უფროსი და გეგონებოდათ. შავ ტალღებად გაშლილი ხშირი შავი თმა ბალიშზე უწესრიგოდ ეყარა და მის ფერმიხდილ, შეწუხებულ სახეს ეს კიდევ მეტ მწუხარე იერს აძლევდა.

ქეთევანი რომ შევიდა და მიესალმა, ავადმყოფმა წამოიწია, დაჯდომა უნდოდა, მაგრამ ღონე არ ეყო, კვლავ სასთუმალზე მიესვენა და სინანულით სავსე თვალები, რომ დიდებულ სტუმარს ასე ხვდებოდა, ქეთევანს მიაპყრო.

მაღალ სასთუმალთან ტილოგადაფარებული სკამი იდგა და ზედ თითბრის შანდალზე მიგლესილი თაფლის სანთელი ენთო. აქვე, წყლით სანახევროდ მოყრილ ჭიქაზე ღვთისმშობლის პაწაწინა ხატი იყო მიყუდებული. ქეთევანმა თავისი ნაქონი ხატი იცნო და ესიამოვნა. მარიუჩას მოწოდებულ სკამზე დაჯდა მაანის პირდაპირ და სანამ თუთა ქართული ხელკალათით წამოძღვანილ მოსაკითხს კალათიდან იღებდა და გობზე ალაგებდა, თავისი მწირი ლათინურით, რომელიც პატრებისაგან ესწავლა და ცოდნა ლათინური საეკლესიო წიგნების კითხვით გაეღრმავებინა, საუბრის წამოწყება სცადა.

მათ შორის დიდი იყო ასაკობრივი განსხვავება, ქეთევანს მაანი შვილად შეეფერებოდა და თუმცა არც ერთი არ ცდილობდა, ეს შეემჩნია, საუბარს თავისებური შეზღუდულობა მაინც ახლდა.

ლათინურს მაანიც საკმაოდ ამტვრევდა, გამართულად მხოლოდ მშობლიურ სირიულ ენაზე ლაპარაკობდა და რადგანაც მრავალი ენის ზედმიწევნით მცოდნე პიეტრო დელა ვალე ატყობდა, ცოლს ახალი ენის ხეირიანად შეთვისება უჭირსო, მხოლოდ იმისათვის, რომ მას თავისუფლად დალაპარაკებოდა, თავად ისწავლა სირიული და ამით მაანს საზრუნავი გაუადვილა.

ეს თვით მაანმა თქვა და ცუდი ლათინურისათვის სტუმრის წინაშე ბოდიში მოიხადა. ამასობაში თუთას გობი პირამდე აევსო და კალათა გარეთ გაეტანა. აქ მხოლოდ სამარხეო კერძები იყო, რადგანაც მარიამობის მარხვა იდგა, მაგრამ ეგვიპტური ნიგვზითა და ძმრით შეზავებულ ქართულ კერძებს, ბროწეულის მარცვალმოყრილ ფხალეულს და მუხუდოს შეჭამადს იმდაგვარი მადისმომგვრელი სუნი ასდიოდა, სუფრიდან ახალწამოძდგარსაც კი გაცთუნებდა და ორ-სამ ლუკმას გაგასინჯებდა.

მაანმა თავი მოიკლა: ასე როგორ შეწუხდით, დედოფალო, ჩვენ, ღარიბ ხალხს, როგორ-ღა შეგვიძლია სამაგიერო პატივი გცეთო, მაგრამ ქეთევანმა დააშოშმინა, რომ არავითარი სამაგიერო პატივისცემა საჭირო არ იყო, რადგანაც თვით მას სიამოვნებდა, თავისი ტრაპეზი მოყვრისათვის გაეზიარებინა და ამით სულიერი დაკმაყოფილება მიეღო. ასე რომ დამშვიდდი, შვილო მაან, ამას ისა სჯობს, საქმეზე გადავიდეთ, იქნებ ჩვენ შევიძლოთ რაიმე დახმარება აღმოგიჩინოთ, ავადმყოფობა დავძლიოთ და ზენაარის სამსახურისათვის გაჩენილი სათნო ქალი როგორმე ფეხზე წამოგაყენოთო.

თავისი მოურჩენელი სნეულება რომ გაახსენდა, მაანი ისევ აიმღვრა და დამფრთხალი შვლის თვალები ცრემლის გუბეებით აევსო. მას გული უკვე გასტეხოდა, იმედი გადაწურვოდა, თავი ამა ქვეყნისად აღარ მიაჩნდა და მხოლოდ იმას-ღა დარდობდა, რომ ქმარსა და შვილს ტყუილად აწუხებდა და ძვირფას დროს, რომელიც მათ შეეძლოთ რაიმე ღვთის სარგო საქმისათვის დაეხარჯათ, ამაოდ აკარგვინებდა.

როგორც მოახერხა, ქეთევანმა ნუგეში სცა, შვილისა და შვილიშვილების ალერსს მონატრებული დედა-შვილურად მოეფერა და თვალებზე კურცხალმოძდგარი დაკპირდა, თუ თავისი არასახარბიელო მდგომარეობა ხანის კარზე ხელს არ

შეუშლიდა, ყოველ მეორე-მესამე დღეს ესტუმრებოდა და მის ტკივილს გაიზიარებდა.

მაანი დამშვიდდა, ქეთევანის დედობრივ ალერსს მინებდა, მის სახეზე ისევ გამოიდარა.

მარიუჩა ერთ წუთსაც არ სცილდებოდა დედობილს, საწოლზე ფერხთით უჯდა და სხვას რომ ვერაფერს უკეთებდა, მრავალგზის გასწორებულ საბანს უსწორებდა.

უკვე გაშინაურებულმა ხელმარჯვე თუთამ სასუმალთან, ავადმყოფსა და ქეთევანს შორის, მეორე სკამიც დადგა, ტილო გადააფარა და მალე ის ახალი ხილით ახოხოლავებული ჭაშანური სინით დაამშვენა. აქ იყო სიმწიფისაგან მთლად გამდნარი თეთრი და შავი ლეღვი, გულაბი მსხალი, დაბრაწული წითელი ვაშლები, სახეჩი ატამი, გახლეჩილი ბროწეულები, მოკხარი და, რაც მთავარია, ცერის სიმსხო თეთრი ყურძნის დიდრონი მტევნები, რითაც შირაზი განთქმული იყო და რომლისგანაც ჭიშმიშსა და ტკბილზე უტკბეს შარბათს ამზადებდნენ.

ქეთევანი თვით მისწვდა ხილს, ძვლისტარიანი ბასრი დანით მსხალი გათალა, დაჭრა, თეფშზე დააწყო, ირგვლივ ყურძნის დაწინწკლული კუმპლები შემოულაგა და ჯერ მაანს მიაწოდა, შემდეგ მარიუჩას.

ისინი ამ ნებივრობაში და პირის ჩატკბარუნებაში იყვნენ, როდესაც წინკარში სენიორ პიეტრო შემოვიდა, თავისი ნაყიდობა იქ დააწყო და მოუთმენლობისაგან გულაძგერებულმა ავადმყოფის ოთახი შემოაღო.

— მიიღეთ ჩვენი მოწიწებული სალამი, დედოფალო, — სიტყვა "დედოფალი" პიეტრო დელა ვალემ ქართულად წარმოთქვა, ფართოფარფლებიანი ქუდი მოიშვლიპა, მარჯვენა მუხლზე დაიჩოქა და ქეთევანს ხელზე ეამბორა. — ნუთუ ასე დაგვაჯილდოვა მაღალმა ღმერთმა, დაილოცოს იმისი მადლი, რომ თქვენი ბრწყინვალების სტუმრობის ღირსი შეეიქენით? ამას ჩვენს მეგობარ ქართველ ქალებს და მარიუჩას უნდა ვუმადლოდეთ. ხომ, მარიუჩა? ჭიშკართან დიასახლისმა მომახარა. არ დავიჯერე, სანამ საკუთარი თვალით არ დავრწმუნდი. ანდა როგორი დასაჯერებელია! ახლა გხედავთ და თავი სიზმარში მგონია. თქვენ თვითონ მობრძანდით და ჩვენი პატარა ოჯახის ჭირ-ვარამი გაიზიარეთ!

ქეთევანმა თავის მხრივ მადლობა უთხრა, მოიკითხა და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში სამშობლოში წასვლას წინ აღარაფერი დაუდგებოდა, რადგან მისი შეტყობით ქალბატონი მაანი თავს უკეთ გრძნობდა და სულ მალე, ალბათ, ღვთის ნებით, ფეხზე დადგებოდა.

პიეტრო დელა ვალემ, რომელიც მაანზე, სულ ცოტა, ოცდაათი წლით უფროსი მაინც უნდა ყოფილიყო და ის რაღაც განსაკუთრებული, ამაღლებული სიყვარულით უყვარდა, აციმციმებული თვალები მიაპყრო ცოლს, დაიხარა და ნიკაპთან ჩაკეცილი საბანი შეუსწორა. ამ წუთში ოთხივე ბედნიერი იყო, მაანიც, სენიორ პიეტროც, მარიუჩაც და ქეთევანიც. მაანს ღაწვები შეფაკვლოდა და თავისი საყვარელი ადამიანების ცქერით ვეღარ გაძღარიყო.

როდესაც დასხდნენ, პიეტრო დელა ვალემ საქმიანი საუბარი გააბა. მას თვით სდომოდა დედოფლის მონახულება, რათა მისთვის ერთობ საგულისხმო ამბავი გადაეცა, მაგრამ პირდაპირ მისვლას ვერ ბედავდა და მისი გადაწყვეტილების აღსრულება დღითიდღე ყოვნდებოდა.

ქეთევანს ყურის ბიბილოები წამოენთო. რა „საგულისხმო ამბავი“ უნდა ყოფილიყო, რის გაზიარებაც პიეტრო დელა ვალეს შეეძლო, ნუთუ კავკასიიდან ვინმე ჩამოვიდა და იქაური ამბები ჩამოიტანა?

დარბაისელმა იტალიელმა მალე ყველაფერს ნათელი მოჰფინა.

ვიდრე საბოლოოდ გადაწყვეტდა, ეს ამბავი ქეთევანის ყურამდე მიეტანა, დელა ვალეს ბევრი ეფიქრა. შეეხებოდა კი იგი უშუალოდ ქართველ დედოფალს და მის ძეს, რომელიც ქართველთა ქვეყანაში მეფობდა და ამჟამად ტახტდაკარგული თავს მოძმე მეფე-მთავრებს აფარებდა, რათა შაჰ-აბასის სპარსეთთან მომავალ ომში ძლიერი თანამდგომები ეშოვნა და წაგვრილი ტახტი იარაღის ძალით დაებრუნებინა?

გაზაფხულზე, ნაადმდგომევს, რომში ჩასულიყო ქართველი ბერი ვინმე ნიკიფორე ირბახი, რომელსაც ესპანეთის მეფის ფილიპე მესამის სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა და თანამგრძნობი კარდინალების მეშვეობით პაპის ტახტზე ახალ ასულ სიქსტე მუხუთესთან აუდიენციის მისაღებად მეცადინეობდა.

ეს ამბავი პატრმა, ვინც იგი რომიდან ინდოეთის გოაში, გოადან ორმუზში, ორმუზიდან კი შირაზში ჩამოიტანა, მხოლოდ ის იცოდა, რომ უცხოელი წმიდა მამა ქართველი იყო და პაპ სიქსტესათვის ესპანეთის მეფის სარეკომენდაციო წერილთან ერთად თავისი მეფის — თეოფილეს წიგნი უნდა გადაეცა.

ვინ იყო თეოფილე?

პიეტრო დელა ვალემ კარგად იცოდა, რომ ქეთევანის გვირგვინოსან ძეს, კახეთის აწ უკვე გადაყენებულ მეფეს, სპარსული თუ არაბული სახელი თეიმურაზი ერქვა. თუკი საქმე მართლა მას შეეხებოდა, რაშიაც ის თითქმის დარწმუნებული იყო, საიდან გაჩნდა ეს თეოფილე?

იტალიელი მოგზაური სხვათა მონათხრობის მიხედვით იცნობდა ბევრი მნახველის მიერ ედემად მიჩნეულ საქართველოს, ცხოვრების გრძელ გზაზე, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი აღმოსავლეთში გაეტარებინა, მრავალ კეთილშობილ ქართველს შეხვედროდა და ქართული გვარების წარმომავლობაში, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეშიაც, ასე თუ ისე ჩახედული იყო.

ირბახი?

ამ გვარის მატარებელი კაცი არ შეიძლებოდა ქართველი ყოფილიყო, მაგრამ თუ მას მაინც ქართველად იხსენიებდნენ და ქართველი მეფის ელჩად თვლიდნენ, აქ უთუოდ რაღაც გაუგებრობა იმალებოდა.

ქეთევანმა ეს ყოველივე თავიდან ბოლომდე ყურადღებით მოისმინა, მღელვარება, მთელი მისი არსება რომ მოეცვა, დაიოკა და ქართველებისა და საქართველოს უსაზღვროდ მოყვარულ იტალიელს მკირეოდენი ფიქრის შემდეგ დარწმუნებით უთხრა:

— ეგ ნიკიფორე ირბახი, თქვენ რომ ახსენებთ, სენიორ, თუ ალღო არ მღალატობს, შუამთელი ბერი ნიკოლოზ, იგივე ნიკიფორე ჩოლოყაშვილი უნდა იყოს, რომელსაც, ბერძნის არქიმანდრიტ კირილე ქსანტოპულოსთან და მღვდელ საბასთან ერთად, უცხო ხელმწიფეებთან საქმის გარიგებას ვანდობდით ხოლმე. შუამთა მონასტერია ჩვენს სამეფოში, ხოლო რაც შეეხება მის მეფე თეოფილეს, იგი უეჭველად ჩვენი შვილი კახბატონი თეიმურაზია, რომელსაც გამოთქმის სიადვილისათვის ევროპელები ხშირად თეოფილედ ნათლავენ ხოლმე.

თითქოს ზურგიდან მძიმე ტვირთი ახსნესო, პიეტრო დელა ვალემ ძლივს თავისუფლად ამოისუნთქა, რადგანაც მისი უძილო ღამეების მიზეზი გაუგებრობა ასე იოლად ამოიხსნა და აცმაცმებული თვალები თავადაც სახეგაცისკროვნებულ ქეთევან დედოფალს მიაპყრო, რომელიც პირჯვარს იწერდა და მაღალ ღმერთს მადლობას სწირავდა, რომ ამ დღეს შეასწრო და ჯერ ყველაფერი არ იყო დაღუპული!

— მაშ, გვარი ირბახიც ასევე უნდა აიხსნას, დედოფალო?

— რასაკვირველია!

— თუ აგრეა, ნება მიბოძეთ მოგიოცოთ! ძე თქვენი თეიმურაზი სწორ გზაზე დგას. მისი ელჩი უკვე რომშია და უწმიდეს პაპს, ქრისტეს მოადგილეს ამ ხილულ ქვეყანაზე, თავის სამეფოს ძნელბედობის ამბავს მოუთხრობს! გესმის, მაან, რა ხდება? — პიეტრო დელა ვალე ახლა ცოლს მიუბრუნდა. — აკი ვამბობდი, ეს ჩვენი დედოფლის ძე უნდა იყოს და ელჩიც უთუოდ მისი იქნება-მეთქი! აი, ღვთის შეწევნით, ჩვენც ძალე ჩავალთ, უწმიდეს პაპს მოვინახულებთ და თუ კიდევ რაიმეს გაკეთება შეიძლება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ,

დედოფალო, ცდას არ დავაკლებთ! ღმერთი მოწყალეა. ევროპის ქრისტიანი მონარქები საქმეში ჩაერევიან. მათთვის პაპის უზენაესობა წმიდათა-წმიდაა. თეიმურაზი ტახტზე დაბრუნდება და თქვენი ბრწყინვალებაც თავს დააღწევს ამ დამამცირებელ ტყვეობას!

— ღმერთმა გისმინოს, ჩემო ბატონო! ამაზე უმჯობესი რა უნდა გამეგონა! ეტყობა, ზეციერმა მამამ შეისმინა ჩვენი ვედრება, გასჭრა ჩვენმა გამუდმებულმა ლოცვამ! თუ სამშობლოში დაბრუნება გვეღირსა, თუ შვილიშვილებიც კარგად მეყოლა და თუ შაჰსა და თეიმურაზს შორის ისევ მშვიდობა და ზავი ჩამოვარდა, უეჭველად გრემში მიგიპატიჟებთ და იმედს ვიქონიებთ, რომ არ გაგვაწბილებთ და უეჭველად გვეწვევით. ჩვენი სატახტო ქალაქი გრემი, მართალია, ახლა დამწვარ-დანგრეულია, ყიზილბაშებმა ქვა ქვაზე აღარ დასტოვეს, მაგრამ თუ ღმერთი მოწყალე თვალით გადმოგვხედავს და ყაენი დაგვაცლის, ისევ მოვშენდებით, ისევ წამოვწევთ წელს და ქვეყანას მოვაღონიერებთ!

ეს არა მარტო გულითადი მიპატიჟება, ფრთაშესხმული ოცნება იყო, რომელსაც ქეთევანი ამ კეთილმოსურნე ადამიანების თანდასწრებით ეძლეოდა და ვერც კი ამჩნევდა, როგორ მოწვიმდა სიხარულის ცრემლი მის თვალთაგან და კალთას უსველებდა.

თავი LXXIV

დედოფლის მთელი ბანაკი სიხარულმა მოიცვა. ქეთევანმა ველარ მოითმინა და აქეთობას თუთას გაუმხილა, რაც ეს არის, იტალიელ მოგზაურისაგან შეეტყო. ის თვით აპირებდა, რაიმე გზით პაპისათვის რომში წიგნი ეახლებინა და ყაენთან მისი უწმიდესობის შუამდგომლობა ეთხოვა. რაოდენ შვების მომგვრელი იყო, რომ იგივე აზრი თეიმურაზსაც დაებადა და პაპისა და ერთმორწმუნე ევროპიელი მეფეების კარზე თავისი ელჩი გაგზავნა.

თუთამ ახალი ამბავი უმალ თავისიანებს ამცნო და ამან ყველა ისე გააბარა, თითქოს საიდანმე მაშველი ძალა მოსვლოდეთ, ანდა უწყალო მტრის მიერ გათელილი სამშობლო ქვეყნის განთავისუფლების ამბავი შეეტყოთ!

მამა გიორგი შეიმოსა და პარაკლისი გადაიხადა. ქალი და კაცი გულმხურვალედ ლოცულობდა, გულმხურვალედ ლოცულობდა თვით დედოფალი ქეთევანიც, რომელიც ღვთისმშობლის ხატის წინაშე იყო დაჩოქილი და ზეციერ მამას ცხარე ცრემლით შესთხოვდა, ყურად ეღო მისი და მისი

მტერმორეული ერის ლოცვა-ვედრება, უწმიდესი პაპი და ევროპის ერთმორწმუნე მეფეები აღეძრა ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყნის გადასარჩენად, კელაე აღედგინა ქართლ-კახეთი, განეახლებინა ერი და აწ უკვე მოშლილი ღვთისმოსავობა.

მეორე დღეს მოცვივდა ყველა, ვინც უცხოელი პატრების საყდრის მშენებლობაზე მუშაობდა. მობრძანდნენ თვით პატრებიც. ქეთევანს თაყვანი სცეს და თავიანთებურად აკურთხეს.

პატრები, რომელთაც სახელმწიფო საქმეები თავიანთ მღვდელმსახურებაზე ნაკლებად არ გაეგებოდათ, იმედს გამოთქვამდნენ, რომ კახბატონ თეიმურაზის ელჩის ჩასვლა ჯერ მადრიდში, ხოლო შემდეგ რომში, სადაც ესპანეთის მეფე ფილიპეს რეკომენდაციით უწმიდეს პაპს უნდა შეხვედროდა, უბრალოდ არ ჩაივლიდა და პაპიცა და ევროპის მეფეებიც რაიმე ღონეს მიმართავდნენ ქრისტესმოსავი პატარა ქვეყნის ურჯულოთა კლანჭებიდან გამოსახსნელად.

ევროპის ყველა დიდ მონარქს და თვით უწმიდეს პაპს სატახტო ქალაქ ისპაჰანში, როგორც წესი, თავ-თავისი ელჩები უსხდნენ, რომელთა მეშვეობითაც შაჰთან თავიანთ ურთიერთობას წარმართავდნენ. პატრების აზრით, რომელიც მორჩილმა ძმამ ამბროზიო დუშ ანჟუშმა გამოთქვა, საეჭვო იყო, რომელიმე მათგანს თავი გამოედო და აღმოსავლელი ქრისტიანების დასაცავად მაჰმადიანური სპარსეთის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა მოეწყო, მაგრამ ის კი ადვილად შეიძლებოდა, რომ ელჩების საშუალებით ქრისტიან მეფეებს შაჰზე საჭირო ზემოქმედება მოეხდინათ და ამით თეიმურაზისადმი თავისი კეთილი განწყობილება და მხარდაჭერა გამოეხატათ.

ამასთან ერთად, პოლიტიკაში ჩახედული ფრთხილი პატრები საჭიროდ თვლიდნენ, რომში თეიმურაზის ელჩის ყოფნის ამბავი არ გახმაურებულიყო და ამა ქვეყნის ძლიერთა ყურამდე არ მიეღწია. უკეთუ დროზე ადრე ეს ამბავი გახმაურდებოდა, ამას შეეძლო უკუზემოქმედება მოეხდინა და კარგად დაწყებული საქმე ჩაეფუშა.

პატრების შიში და წინასწარმეტყველება უსაფუძვლო როდი გამოდგა. პაპის კარზე მოწყობილი ელჩობის ამბავი მალე თვით ხანისთვისაც ცნობილი გახდა. მას შეეძლო იგი სატახტო ქალაქიდან, პირადად შაჰისაგან ან შაჰის რომელიმე ნდობით აღჭურვილ მოხელისაგან შეეტყო, მაგრამ არც ის იყო უგულვებელსაყოფი, რომ ადგილობრივ მსტოვრებსაც არ ეძინათ და თავიანთ მწყალობელ ბატონს, იმამყული-ხანს, შირაზის ჭრელ მოსახლეობაში შეკრებილი საჭირო და არასაჭირო ცნობებით ჭარბად ამარაგებდნენ.

დედოფლის მნე და მხლებელთა თავმდგომი გიორგი ხუცესი დილაადრიან ხანის სასახლეში დაიბარეს. თვით ხანი იბარებდა. სასახლეში მწირველი მღვდლის თითოეულ გამოძახებას და დაბარებას უთუოდ რაიმე სიახლე მოსდევდა და ეს სიახლე ასე თუ ისე ყოველთვის აუარესებდა ქეთევანისა და მისი მხლებელი ყმების მდგომარეობას.

ჯერ იყო და, მხლებელთა რიცხვი, ხუთ ათეულს რომ ჭარბობდა, საგრძნობლად შეამცირეს, შემცირდა, რასაკვირველია, სახელმწიფო ხაზინის ხარჯებიც, რაც ამდენი მუქთა მჭამელის შენახვას ჭირდებოდა. თავის ამ გადაწყვეტილებას ხანი იმით ხსნიდა და ამართლებდა, რომ გურჯი მხლებლები, დედოფალს ჰამადანიდან ისპაჰან'ში, ისპაჰანიდან კი შირაზ'ში რომ ჩამოყვნენ, მთელ დროს კათოლიკე მისიონერების საყდრის მშენებლობას ახმარდნენ და დედოფალი უმათოდაც ოლას გადიოდა.

მხლებელთა რიცხვის შეკვეცა არ იყო სიკეთის ნიშანი, თუ ამას იმასაც დაუმატებ, რომ ბევრი მსახურთაგანი სასახლის მსახურმა საჭურისმა შესცვალა. სანამ გვერდში ჰყავდა, ქეთევანი სათნოებითა და ჭირთა უდრტვინველი თმენით იცავდა თანამემამულეთ უცხო გავლენისაგან, მაგრამ როგორც კი ისინი, ერთი ნაწილი მაინც, სულიერ ნიადაგს მოსწყდნენ, დაიფანტნენ და ვით საკუთარ თავს მინდობილი, უმწყემსოდ დარჩენილი ცხოვარნი გარემომცველ მუსულმანურ მორევში გადაეშვნენ, მამაპაპური რჯულის წმიდად შენახვა და ზეციერი მამის წინაშე პირნათლად დგომა ერთიორად ძნელი შეიქნა.

იძულებითი გაყრისა და დაშორიშორების არასასურველმა შედეგმა თავი სულ მალე იჩინა. ორი გოგო და სამიც ბიჭი ჩუმად გათათრდა. როდესაც თანამემამულეებისათვის ამის დამალვა უკვე შეუძლებელი გახდა, ხუთივემ პატიოსნად ითხოვა ნებართვა, თავისიანებისაგან განცალკევებით ქალაქის სხვა უბან'ში დასახლებულიყვნენ და ამიერიდან ისე ეცხოვრათ, როგორც მათზე ადრე აქ ჩამოსახლებული მათივე რჯულშეცვლილი თვისტომნი ცხოვრობდნენ.

გარდა იმ ხუთისა, სამმა კიდევ კათოლიკობა მიიღო, უცხოელ წმიდა მამებს მიენდო, რომლებიც მართლაც ყველას ხიბლავდნენ თავიანთი ღრმა მორწმუნეობით, განსწავლულობითა და თავდაბლობით და თავისი სულიერი მამებისაგან თავი შორს დაიჭირა.

ქეთევანს იოტისოდენა საყვედურიც არ დასცდენია, არავინ გაუკიცხავს, არავინ შეურევნებია, თუმცა სულით ხორცამდე შეძრწუნებული იყო, რადგანაც ამ ამბავში მთელი თავისი ერის სულიერი დამდაბლებისა და გადაგვარების ნიშანს ხედავდა, თავი ისე ეჭირა, თითქოს ცვლილებას ვერავის

ამჩნევდა და ყველას მიმართ კვლავ ერთნაირ მზრუნველობას, შემწყნარებლობას და მოწყალებას იჩენდა.

ხანის სასახლიდან მობრუნებულ მამა გიორგის კარის ზღურბლზე შეეგება, ჯერ ჯვარზე ემთხვია, შემდეგ დამაშვრალ ხელზე ეამბორა, შიგნით შეუძღვა და მუდამ უცხო სტუმრის მისაღებად ფაქიზად ჩაცმულ-დახურული თუთა გააფრთხილა, სანამ მე მღვდელთან ვთათბირობ, ოთახში ნურავინ შემოვაო.

იმამყული-ხანს მამა გიორგი უჩვეულოდ მკვახედ მიეღო და მოძღვარი უმალვე მიმხვდარიყო, რომ მან კახბატონ თეიმურაზის მიერ რომში გაგზავნილი ელჩობის გამო რაღაც იცოდა. ხანს არაფერი მიუკიბ-მოუკიბავს, ამითვე დაიწყო.

მე ყოველ ლონეს მივმართავ, სათაყვანებელი დედოფლის სიკოცხლე როგორმე შევინარჩუნო და, თუ ჩემს კეთილ რჩევას შეისმენს, პატივითა და დიდებით ავავსო, თეიმურაზი კი, მისი ღვიძლი შვილი, ვინც ვალდებულია მშობელი დედის კეთილდღეობაზე დაუღალავად იღვაწოს, რასა შვრება, ღმერთს არისხებს, მამის სული ნუ წამიწყდება, დამწვარზე მდუღარეს ასხამს და ისედაც გამწვავებულ მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებსო.

თეიმურაზის ელჩის ევროპაში ჩასვლის ამბავს სპარსეთის სამეფო კარამდე მანამდე მოეღწია, ვიდრე ელჩი მადრიდს მოივლიდა და მეფე ფილიპეს სარეკომენდაციო წერილით ხელში სარდინიას, სარდინიიდან კი რომს გაემგზავრებოდა. ეს ამბავი სპარსეთში, ხელმწიფის კარზე, პორტუგალიის ელჩს, დონ გარსია დე სილვა ე ფიგეროას ჩამოეტანა. პორტუგალიის ელჩს კახბატონი თეიმურაზი პირადად იცნობდა. მას შაჰის თანდასწრებით ალი-ყაფუში შეხვედროდა, სადაც სპარსეთის განმგებლობაში კუნძულ ორმუზის გადმოცემის თაობაზე შაჰსა და ელჩს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა. სხვა ცნობა ევროპიდან ჯერჯერობით არ ჩანდა და არც არავინ უწყოდა, ოდესმე მოვიდოდა თუ არა. ევროპის მეფეები და თვით უწმიდესი პაპი, ეტყობა, არ ჩქარობდნენ. ვერ გადაეწყვიტათ ჩარევა საქმეში, რომელიც არამცთუ სარგებლობას არ მოუტანდათ, აღმოსავლეთის ერთ უძლიერეს მონარქს კიდევაც მოამდურებდა და მთელს აღმოსავლეთში რუდუნებით მიღწეულ საკუთარ გავლენას ასე თუ ისე მაინც შეასუსტებდა.

დედოფლისათვის თუ სიკეთე გწადიათ და არ გინდათ ვეშაპის კერძი გახდეთ, ამ ამბისაგან თავი შორს დაიჭირეთ და ნურც ქვეყანას მოსდებთო, ერჩია მამა გიორგისათვის იმამყული-ხანს, რადგან კახბატონ თეიმურაზის შავ-ბნელ საქმეში თქვენი, უპირველეს ყოვლისა დედოფლის გარევა მისი უდიდებულესობა შაჰის ახალ განრისხებას გამოიწვევს და

ვაითუ შემდეგ ჩემი თავგამოდებაც არასაკმაო აღმოჩნდეს ძვირფასი სიცოცხლის გადასარჩენადო.

„ოღონდ ბალღებს არაფერი ავნონ, არაფერი მოსწიონ, მათ უბედურებას არ შემასწრონ და მე თუგინდ ცხენის კუდზე გამომაბან, არას დავეძებ!“ — ფიქრობდა ქეთევანი და ღმერთს გულში სასოებით ევედრებოდა, ყურად ეღო მისი ლოცვა, შვილისა და მონაგრისათვის ყოველივე ფარსაგი აეცდინა და ყველას მაგიერ პასუხი მისგან მოეთხოვა!

ვინ წარმოიდგენდა, თუ სულ ახლო იყო დიდად საწყენი და თავზარდამცემი ამბავი, რომელმაც დედოფლის გული ღრმად დაჰკოდა და მთელ ქართველობას, ქალსა და კაცს, ვინც გარს ეხვია, მათ შორის იმათაც, ვისაც ქრისტეს რჯული უკვე დაეგდო და ალაჰს ადიდებდა, ცხარე ცრემლი აღვრევინა. მეორე დღისათვის მისიონერი პატრების მიერ აგებული საყდრის კურთხევა იყო დანიშნული და ქეთევანი კურთხევაზე დასასწრებად ემზადებოდა. არჩევდა სხვადასხვა დროს შეძენილ ლათინურ საღვთისმეტყველო წიგნებს, ხატებს, ჯვრებს, რომლებიც საყდრისათვის უნდა შეეწირა და ბევრ სხვა რამესაც, წლების მანძილზე სწორედ ამ მიზნით რომ აგროვებდა. ირგვლივ თითქოს სრული სიმშვიდე სუფევდა და არაფერი მოასწავებდა ბედის მკაცრ განაჩენს, სადღაც შორს რომ გამოიტანეს და აღსრულება ქეთევანის ადგილსამყოფელიდან რამდენიმე ასეული ნაბიჯის დაშორებით, პირქუშსა და მიუდგომელ გულაბ-ყალაში, იგივე გულაბის ციხეში მოხდა.

იქ საბლით მოახრჩვეს ქართლის მეფე ლუარსაბი, ამდენი წელიწადი ციხის ბნელ საკანში რომ გაატარა და სიძის მიერ მოტყუებით აქ ჩამოყვანილს დღის სინათლის ხილვა ენატრებოდა.

რაკი ერთხელ თქვა, თავისას არ გავატანინებ და გავათათარებ, ანდა გიაურ სულს ამოვხდიო, შაჰ-აბასმა თავისი ნათქვამიდან უკან არ დაიხია და მამაპაპეულ ტახტიდან გადაყენებულ მეფეს, სამხედრო ვარჯიშობებსა და ნადირობაში ბადალი რომ არა ჰყავდა, თვით სწორუპოვარი შაჰის დაჯაბნვასაც რომ არ ერიდებოდა, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

ამბობდნენ, რომ სიკვდილით დასჯის წინაღამეს ციხის ბნელ ჯურღმულში ჩაგდებული პატიმარი თვით ბეგლარბეგმა იმამყული-ხანმა ინახულა და ტკბილი სიტყვით უკანასკნელად შეეცადა, ლუარსაბი დაერწმუნებინა, მაჰმადიანობა სხვათა დასანახად მაინც მიეღო, რათა ყაენის რისხვა აეცდინა და ცოცხალი დარჩენილიყო, მაგრამ თავის რჯულზე მტკიცედ მდგომმა მეფემ ხანის რჩევა არც ახლა იღო ყურად და რჯულის შეცვლას ისევ სიკვდილი არჩია.

ეს გულის მომწყვლელი ამბავი დედოფალს ნესტანმა და თინათინმა მოუტანეს. გათათრებული უმცროსი და მარიამი ამჯერად არ ახლდათ, მარტონი იყვნენ და ჯალათის ხელით დაღუპულ მეფეს, მოწამებრივი სიკვდილი რომ მიიღო და ეშმას სული არ მიჰყიდა, გულწრფელად მისტიროდნენ.

— აღასრულა თავისი ვალი, — თქვა გაგონილით თავზარდაცემულმა, ცრემლგამშრალმა ქეთევანმა. — წავიდა, როგორც ჭეშმარიტ მორწმუნეს შეჰფერის! შვილო! შვილო! მე მომკვდარიყავი! შენთან სიკვდილს რა უნდოდა! ვინ-ღა გაუწევს ახლა მამობას შენს უპატრონოდ შთენილ ქვეყანას, მტერს მტრულად ვინ-ღა დახვდება, ვინ გაუწევს ძმობას თეიმურაზს, გვერდში ძმურად და უღალატოდ ვინ-ღა ამოუდგება!

დარბაზი, რომელიც ხანისეულ ძველ სასახლეში კარის ეკლესიის მოვალეობას ასრულებდა და რომელშიაც მაცხოვრის ხატის წინაშე დღისით თუ ღამით ჩაუქრობელი კანდელი ენთო, სანთლებით იყო გაჩირაღდნებული. ლუარსაბ მეფის სულის მოსახსენიებელი ლოცვა და გალობა გარიჟრაჟამდე არ შემწყდარა.

მწუხრზე მლოცველთ ათი-თორმეტი წლის თავშალწამოხურული ქართველი გოგონა შემოუერთდა, მთლად ახლო მოსვლა ვერ გაბედა, შორიახლო დაიჩოქა, ცრემლში აცურებული დიდრონი თვალები სანთლის შუქით გასხივოსნებულ მაცხოვრის ხატს მიაპყრო და გამალებული პირჯვრის წერა და ლოცვის ბუტბუტი დაიწყო.

დებმა უმალ შეიშნეს მოსული. იგი იტალიელი მოგზაურისა და მისი სირიელი ცოლის შვილობილი თინათინი იყო, რომელიც მათ იტალიურ ყაიდაზე მარიუჩად მონათლეს და დედოფალთან წარსადგენად მოიხმეს. ბალღური ტირილისაგან თვალებდასიებული გოგონა წამოდგა, დებს მიესალმა და ლოცვაში გართულ, მაცხოვრის ხატის წინაშე დაჩოქილ ქეთევანს მორიდებულად მიუახლოვდა.

— შვილო მარიუჩა, შენც გაიგე, რა მეხი დაგვეცა? — მიმართა გულამომჯდარ გოგონას ქეთევანმა და მისი თავი დედობრივი ალერსით გულზე მიიხუტა. — პირისპირ წარუდგა მაცხოვარს მისი სარწმუნოებისათვის გვემული ქართლის მეფე ლუარსაბი, რათა მტრისაგან გათელილი თავისი ერი და ქვეყანა შეავედროს! უკუნითი უკუნისამდე იყოს მისი კურთხეული სახელის ხსენება, ნუ მოშლოდეს ღვთიშობლის წილხვედრ ივერთ ქვეყანას მისი სახელი და დიდება, ამინ!

მარიუჩა სლუკუნებდა. ორივე თვალთაგან ცრემლის ნაკადულები ღაპაღუპით ჩამოსდიოდა და გულზე მიჭდობილ ფერმკრთალ ხელებს უსველებდა. მას ცალკერძ დედოფალთან ასე ახლო ყოფნა უჩუყებდა გულს, ცალკერძ კი ის უბედურება,

ყველასათვის შიშის მომგვრელ პირქუშ გულაბ-ყალაში რომ დატრიალდა. სული რომ მოითქვა, თქმით მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, რომ მისი სათაყვანებელი დედობილი მაანი ცუდად იყო, წამდაუწუმ ცივ ოფლს ასხამდა, წუხდა, რომ ფეხზე ვერ წამოდგა და აქამდე სამძიმრის სათქმელად ვერ მოვიდა. მამობილს მესამე დღეა ელოდნენ მახლობელ ქალაქიდან, სადაც უებარი წამლის საშოვნელად წასულიყო და აქამდე არ ჩანდა.

ქეთევანს ბავშვი შეებრალა. მან კარგად იცოდა, რომ საწყალ მაანს მოურჩენელი სენი სჭირდა. გოგონა მეორედ კარგავდა მზრუნველ დედას, მას შველა არაფრით შეეძლო და ეს გულს უკლავდა. ანუგეშა, დაჰპირდა, მოახლეს გაგაყოლებ, რათა ავადყოფთან მარტო არ იყო და თუ მაანს უარესობას შეამჩნევთ, შემატყობინეთ და მეც იქ გავჩნდებიო.

ისე გათენდა, თვალი არავის მოუხუჭავს. მთელ სასახლეში დამწვარი სანთლის სუნი და საკმევლის მკრქალი კვამლი იდგა. მისიონერი პატრების საყდრის კურთხევა, რომლის აშენებასა და შემკობაშიაც ქეთევანის მხლებლებმა ცხოველი მონაწილეობა მიიღეს, ნაშუადღევს, ოთხ საათზე იყო დანიშნული. წამსვლელები დილითვე წავიდნენ და შესაწირავებიც, ქეთევანისაგან წმიდა მამებისათვის რომ უხდა მიერთმიათ, თან წაიძღვანეს. მათგან არც ერთმა არ იცოდა, რომ პატრებს თავიანთი საყდრის კურთხევა მთელი კვირით გადაედოთ. ქართლის მეფე ლუარსაბის სიკვდილით დასჯის ამბავს, რომელიც მთელ ქალაქს მოედო და პირიდან პირზე გადადიოდა, მათ ყურამდეც მოეღწია, ყველა დიდად დაემწუხრებინა და რაკი სიკვდილით დასჯილს შუამდგომლობით აღარაფერი ეშველებოდა, ბეგლარბეგის სასახლისათვის მიეშურებინათ, რათა წმიდანი მეფის უსულო გვამი მაინც გამოეთხოვათ და ერთმორწმუნე ქართველებთან ერთად თავიანთ ქრისტიანულ წესზე დაემარხათ. იმამყული-ხანი სასახლეში არ დაუხვდათ. იქნებ იყო კიდევაც და მათთან გამოსვლა არ ინება, კარისკაცებმა კი კათოლიკური ეკლესიის წმიდა მამები ცოტა არ იყოს ათვალწუნებით მიიღეს, გვამის მოცემაზე ცივი უარი განუცხადეს და იქვე დასძინეს, ჯერ არავის სმენია, უზენაესი ბრძანებით სიკვდილით დასჯილის გვამი, ისიც გიაური, ჰირისუფლისათვის ან ვინმე სხვისთვის დაენებებინოთო, თქვენ თავს ტყუილად ნუ იტკივებთ, ნურც მეტისმეტად გათამამდებით, მიცვალებული უკვე დამარხულია, დაუმარხავს ვინ დასტოვებდა და მაღალი ალაჰის ნებით არავის ზედმეტ მზრუნველობას აღარ საჭიროებსო.

თავი LXXV

ბეგლარბეგ იმამყული-ხანის კარზე უკხოელი პატრების უკბეჭირპირო მიღებას თავისი მიზეზი და საფუძველი ჰქონდა. ისინი გვარტომობით პორტუგალიელები იყვნენ და თუმცა აქ რომის ეკლესიას და წმიდა კონგრეგაცია პროპაგანდა ფიდეს წარმოადგენდნენ, მათი გვარტომობა და ფარული მიზნები, რის განსახორციელებლადაც სამშობლოდან ჩამოვიდნენ, არავის ავიწყდებოდა.

შაჰ-აბასსა და პორტუგალიის სამეფო სახლს შორის, რომელიც ჩრდილოეთ აფრიკასა და აზიაში მემკვიდრეობით მიღებულ მიწებს ფლობდა, შავმა კატამ გაირბინა. განხეთქილების ვაშლად იქცა სპარსეთის ყურის კუნძული ორმუზი, ის კუნძული, რომლის დასაკუთრებასაც შაჰ-აბასი ჯერ კიდევ ათი-თხუთმეტი წლის წინათ ლამობდა, მაგრამ პატარა პორტუგალიამ მოახერხა, საქმეში თვით ესპანეთის მეფე ფილიპე ჩარია, წელი მოიმაგრა და შაჰ-აბასი აიძულა თავის ვერაგულ განზრახვაზე ხელი აეღო. შაჰმა ჯავრი გულში ჩაიხვია, რადგანაც ზღვათა მფლობელ საშიშ ეპანეთთან ურთიერთობის გაფუჭება არ უნდოდა და უდაბნოს კუს მსგავსად თავი ბაკანში შემალა.

ორმუზის სრუტე, რომელზე ბატონობის განხორციელება თვით კუნძულის დასაკუთრების გარეშე შეუძლებელი იყო, მას თავისი ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილიდან მსოფლიო ოკეანეში გასასვლელად სჭირდებოდა.

მოჩვენებითი ზავი, ესპანეთის ხელდებულ პორტუგალიასა და სპარსეთს შორის რომ ჩამოვარდა, პორტუგალიამ კუნძულ ორმუზზე საფორტეფიკაციო ნაგებობების ასაშენებლად გამოიყენა. ესპანეთის სამეფო სახლის დახმარებითა და ხელისშეწყობით მან ორმუზზე ააგო ციხე-სიმაგრეთა მიუვალი ქსელი და მისი ნებისა და სურვილის გარეშე ამიერიდან სპარსეთის ყურის ამ ნაწილში ჩიტი რაა, ჩიტიც ვერ შემოფრინდებოდა.

შაჰ-აბასმა ერთხელ კიდევ მოუსინჯა კბილი პორტუგალიიდან ახალჩამოსულ ელჩს დონ გარსია დე სილვა ე ფიგეროას, მიიწვია და კუნძულ ორმუზის გარშემო დიდი ხნის წინათ შეწყვეტილი მოლაპარაკება განაახლა. ელჩმა, როგორც მაშინ, პირველი მოლაპარაკებების დროს, ახლაც შორს დაიჭირა და შაჰს აგრძნობინა, რომ ამ დათმობაზე მისი მთავრობა არასოდეს არ წავიდოდა.

გაშმაგებულმა შაჰ-აბასმა, ყელზე მოწოლილ ბოღმას რომ ვეღარ მალავდა, ელჩი დაითხოვა და იმავე წუთს გადაწყვიტა, რომ ძალის გამოუყენებლად მის სურვილს აღსრულება არ ეწერა.

1622 წლის ოქტომბრის 10-ს ფარსის ბეგლარბეგ იმამყული-ხანს ფიცხელი ბრძანება მოუვიდა, შეეყარა ორმოციათასი კაცისაგან შემდგარი ჯარი, ცხენოსანი და ქვეითი, კარგად შეეიარაღებინა, აღეჭურვა ზარბაზნებითა და არკებუზებით და კუნძულ ორმუზზე გაელაშქრა.

ამ ომში გამარჯვებაზე დამოკიდებული იქნებოდა მისი და მის შთამომავალთა მომავალი.

ზღვის ნაპირას ხანს დახვდებოდა სისტანისა და ბელუჯისტანის ჯარები. საერთო სარდლობა, როგორც ყოველთვის, ახლაც იმამყული-ხანს უნდა ეკისრა, ორმუზის გახთქმული ციტადელი იერიშით აეღო და გზა გაეხსნა სპარსეთის ფლოტისათვის აზიისა და ევროპის წყლებში გასასვლელად.

შირაზსა და მის შემოგარენში სამხედრო წესები გამოცხადდა. ქალაქის გასასვლელ და შემოსასვლელ კარიბჭეებში გაორკეცებული ყარაული ჩააყენეს. აიკრძალა მოსახლეობის თავისუფალი მიმოსვლა, უწინარეს ყოვლისა მისიონერ კათოლიკებისა, რომლებიც აქამდე სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ და ამ მხრივ მართლმორწმუნე მაჰმადიანებისაგან არც კი განირჩეოდნენ. ეგ კი არა, უზენაესი განკარგულების თანახმად პატრები თავიანთ უბანში ჩაკეტეს და მეთვალყურეები მიუჩინეს, რათა მათ თავიანთი შეუზღუდავი თავისუფლებით არ ესარგებლათ და სამხედრო მნიშვნელობის ცნობები თავისიანებისათვის არ მიეწოდებინათ.

ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება ბეგლარბეგს ადგილობრივმა მოლებმა და ყადიებმა წამოუყენეს და სარწმუნოებრივი შეძწყნარებლობით გახთქმული ხანი კიდევაც აიძულეს, მათი კანონიერი მოთხოვნა უყოყმანოდ შეესრულებინა.

მოსახლეობის უკლებლივ ყველა წოდებას ლაშქრობაში მიმავალი მხედრობისათვის ნუზლის შეკრება და საამისოდ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე მიტანა დაეკისრა. ნუზლის შეკრებნი, ასე გასინჯე, დედოფალ ქეთევანსაც მიადგნენ და ამ ომში მისი არჩევის გაღება მოსთხოვეს. რა გაეწყობოდა, ქალებმა შავი დღისათვის გადახახული, თავის ნახელსაქმარში აღებული ფული გამოიტანეს და ბეგლარბეგის იასაულებს ჩაუთვალეს.

სამშობლო ქვეყნიდან თავიანთი ნების წინააღმდეგ გადმოხვეწილთ ესეც არ აკმარეს. დედოფლის მხლებელ მამაკაცთა ერთი ნაწილი, ვისაც ჯანი მოსდევდა და იარაღის ხმარება შეეძლო, ასეთი კი უმრავლესობა იყო, ლაშქარში ჩარიცხეს. მათ ერთმორწმუნე პორტუგალიელების წინააღმდეგ უნდა

ეომათ და ძლევამოსილი სპარსეთის გამარჯვებაში თავიანთი წილი დაედოთ.

ქეთევანს ელდა ეცა და ენა ჩაუვარდა, ეს ამბავი რომ შეატყობინეს. ქალებმა სამოახლოში ვაი-ვიში ასტეხეს.

კაცები დუმდნენ, თავს იკავებდნენ, თუმცა სხვის ომში წასვლა და უაზროდ სიკვდილი არც ერთს არ ეპიტხავებოდა.

დედოფლის მოახლე თუთა, პირმრგვალი, შავთვალწარბა, ქალური მადლითა და სათნოებით შემკული გოგო, ქორწინების ასაკისათვის ბედის უკუღმართობით კარგა ხნის წინათ რომ გადაებიჯებინა, სამ ბიჭს — გელას, ისიდორეს და ტოკლიკაანთ ვანუას ერთად ჰყვარებოდა. არც ერთ მათგანს დასაწუნი არა ჰქონდა რა: თუთას გული მაინც ვანუასკენ მიუწევდა, მაგრამ ჯერ საბოლოო არჩევანი ვერ მოეხდინა და სამივეს უარს ეუბნებოდა. ახლა ბიჭები სადღაც მოუსავლეთში გადაკარგული ორმუზის ასაღებად მიდიოდნენ და, ვინ იცის, რომელს მოუწევდა ცოცხალი თავით უკან დაბრუნება!

ოქტომბრის 17-ს საომრად აღჭურვილი ჯარი შირაზიდან გავიდა. მის გასაცილებლად და გზის დასალოცად მთელი ქალაქი გამოეფინა. ჩადრიან ქალებსა, ბალღებსა და ინით წვერშეღებილ, წითელი ჩალმით თავშეხვეულ მამაკაცებს შორის ერია სახეზე შავრიდეჩამოფარებული დედოფალი ქეთევანიც. წინაღამე, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ღამეც, მას თეთრად გაეთენებინა და მაღალ ღმერთს ორმუზში საომრად მიმავალი თავისი ქვეშევრდომი ბიჭების უვნებლად დაბრუნებას შესთხოვდა.

რაკი-ღა სასაკლაოზე მიდიოდნენ, იქ კი ყოველგვარი წინასწარ გაუთვალისწინებელი საშინელება შეიძლებოდა მომხდარიყო, მღელვარებისაგან ლოყებატკეცილმა თუთამ გული არ დასწყვიტა თავის თაყვანისმცემლებს, ფეხისწვერებზე აიწია, სამივეს რიგ-რიგობით მოეხვია, და-ძმურად გადაკოცნა და სულშეგუბებულმა ომიდან მშვიდობით დაბრუნება უსურვა. ეს არც იმედი იყო და არც რისამე პირობა. გულაფართხალებულ თუთას ამ წუთში სამივე ერთნაირად უყვარდა და სანუგეშოდ გასატანებელი თბილი სიტყვა და ამბორი სამივესათვის ერთნაირად ემეტებოდა.

ეს რომ დაინახეს, გამბედაობა სხვა გოგოებსაც მოემატათ და თავიანთი გულის რჩეულები მათაც სხვათა თანდასწრებით გადაკოცნეს. ჩადრით პირშებურვილი სპარსელი ქალები, მეტადრე ახალგაზრდები, მალულად უთვალთვალებდნენ და შენატროდნენ მათ თავისუფლებას. მხოლოდ თითო-ოროლა იბზუებდა ცხვირს და ნიშნად გულისწყრომისა აქეთ განზრახ არ იყურებოდა.

ქეთევანს ცრემლი მოეძალა. რატომღაც ის ბედნიერი დღე გაახსენდა, დღენაკლულ კონსტანტინე ბატონიშვილის დასამ-ხობად კახეთის ყველა სადროშოდან შემოკრებილ ჯარს სიტყვით რომ მიმართა და გამაყრუებელ ვაშას ძახილში, მთელ გრეს რომ აზანზარებდა, თავადაც მორთმეულ ტაიჭზე ამხედრდა.

ჯარი, ქვეითი თუ ცხენოსანი, კლდოვანი ხეობის დაკლაკ-ნილ გზაზე გაიჭიმა და თავქვე დაეშვა. მიჭრიალებდნენ ლომახარებშებმული ურმები, დინჯად მიაბიჯებდნენ მძიმე საპალნით დატვირთული უდაბნოს ქვეშისფერი აქლემები, ჯორებსა და სახედრებს ხომ ანგარიში არ ჰქონდა. ეს ჯარი ასევე მიდიოდა საქართველოს დასარბევადაც, ქალისა და ბალღის ასაწიოკებლად, ეკლესიების წასაბილწად და წლობით ნალოლიავები ბაღ-ვენახის ასაჩეხად, მიდიოდა, რათა ტყე-ღრეში გახიზნული ადამიანებისათვის ცხოვრების სახსარი მოესპო და ოდესღაც აყვავებული, ნაყოფიერი ქვეყანა გველისა და ღრიანკლის საბუდრად ექცია.

„მაგრამ ჩვენ რაღა დაგვიშავებია, ჩვენ სად-ღა მივყეევართ? — ფიქრობდა ქეთევანი და თვალწინ კვლავ უჩვეულოდ დაღვრემილი, თითქოსდა წელმოწყვეტილი ქართველი ბიჭები უდგა, სხვის კარზე რომ დავაჟკაცდნენ, ჭაღარაც სხვის კარზე გამოერიათ და, ვინ იცის, ნატანჯი ძვლებიც აქვე უნდა ჩაეყარათ. — ვის ვუდგავართ მხარში? ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს? ღმერთო, დიდებულო, გვაკმარე ჩვენი ცოდვა, ნუ გაგვხდი სხვათა ცოდვების თანაზიარს, ნუ გაგვიმრავლებ ძვირის მთქმელსა და დამაწყევარს!“

ლაშქრობაში წასვლის წინა საღამოს, მწუხრის ნამაზის შემდეგ, იმამყული-ხანმა რაინდული თავმდაბლობა გამოიჩინა, ამალა ჩამოიტოვა, გამოსამშვიდობებლად ქეთევანს ეახლა და ბოდიში მოუხადა, რომ ერთხანს აქაურობის დატოვება უხდებოდა, მაგრამ იმედოვნებდა, რომ მისი არყოფნის დროს დიდებულ სტუმარს ყურადღება არ მოაკლდებოდა და საყვე-დურს არ დაიმსახურებდა. ქეთევანმა მოწყალედ მიიღო. მომავალი ომის ამბავი გამოჰკითხა. დრო საკმაო ჰქონდათ, მაგრამ ხანი მოკლე-მოკლე პასუხებს იძლეოდა და აშკარად ემჩნეოდა, რომ წასვლას ჩქარობდა.

ქეთევანი მიხვდა: ხანი შიშობდა, ვაითუ ამ ჩემი სტუმ-რობით ისარგებლონ და რაკი გულაბ-ყალაში ჯალათის ხელით მოკვდინებული ლუარსაბ მეფის გვამის გაცემაზე პატრები-სათვის უარი ვათქმევინე, იგივე თხოვნა აქაც არ გამიმეორო-ნო. ის იძულებული გახდებოდა ამჯერადაც უარი ეთქვა, რადგანაც სიკვდილით დასჯილის გვამის გაცემა მის უფლება-მოვალეობას აღემატებოდა და თავისი უარით ქეთევანი რომ

არ აემხედრებინა და ნდობა საბოლოოდ არ დაეკარგა, წასვლას ჩქარობდა. გამომშვიდობებისას ხელზე ეამბორა და მაშინვე კიბეზე დაეშვა, უკან ერთხელაც აღარ მოუხედნია.

საოცრად მიმავალი ლაშქარი რომ თვალს მიეფარა და კლდოვან ხეობაში კლაკნილად მიმავალი მტვრიანი გზა დაცარიელდა, შირაზელმა ჯამაათმა მხოლოდ მაშინ იბრუნა პირი ქალაქისაკენ და დიდ-დიდ ჯგუფებად აქეთ-იქით წავიდ-წამოვიდა.

ერთ ასეთ ჯგუფს წინ ჩვეულებისამებრ საქვრივო თალხით შემოსილი, სახეზე რიდეჩამოფარებული ქეთევან დედოფალი მიუძღოდა. თუმცა ადრიანი დილა იყო, გაშუალებული შემოდგომის მზე უკვე აცხუნებდა და ცხელი ზაფხულით შეწუხებულ მოქალაქეთ კვლავაც ცხელ დღეს ჰპირდებოდა. ქეთევანს მაღალყელიანი აბრეშუმის ხელთათმანები ეცვა, თავი ამავე ფერის ქოლგის ქვეშ შეეფარებინა და ფილაქანზე ჩაფიქრებული მიაბიჯებდა. ის თითქოს მარტოდმარტო იყო და გარეშემო ვერავის ამჩნევდა. დედოფალს კალთებამოკარწახებული მოსდევდნენ ალავერდელი მთავარეპისკოპოსის დები ნესტანი და თინათინი. მათ გათათრებული უმცროსი და მარიამი და ნესტანის გასათხოვარი ასულები ახლდნენ. ეს უკანასკნელნი პირველად ხედავდნენ ქეთევანს. მისი ქება უფროსებისაგან მოესმინათ, თავიანთ აღტაცებას ვერ მალავდნენ, გამოლაპარაკებას, საუბარში ჩათრევას, რასაკვირველია, ვერ უბედავდნენ და ყურებამდე წამოჭარხლებულნი მხოლოდ მაშინ ესიტყვებოდნენ, როდესაც დედოფალი თვით მოისურვებდა და რომელიმე მათგანს ან ორივეს ერთად უშუალოდ მიმართავდა.

აქვე იყვნენ შირაზში მაცხოვრებელი სხვა ქართველი ქალებიც. შორეული სამშობლო ამათ თვალით არასოდეს ენახათ, მხოლოდ სხვათაგან მონაყოლის მიხედვით იცოდნენ და უცხო მიწა-წყალზე დაბადებულები, თუმცა სარწმუნოება მაჰმადიანური ჰქონდათ და ჩადრსაც ყველა მაჰმადიანი უზის დარად ატარებდნენ, გულის გულში მაინც ქართველობდნენ და კახეთის წარბშეუხრელი დედოფლის ახლო ყოფნა ეამაყებოდათ. ქეთევანი მათთვის სამუდამოდ დაკარგული შორეული სამშობლოს ცოცხალი განსახიერება იყო. მისი დარბაისლური ტკბილი ქართული, მეფურ ღირსებასთან შერწყმული უზადო თავმდაბლობა, სათნოება და ღვთაებრივი სილამაზე, ოთხ ათეულ წელიწადს კიდევ უფრო შთამბეჭდავი რომ გაეხადა, ყოველ მათგანს გულში კრძალვასა და სიამაყეს უღვიძებდა, რომ ისინიც მისი სისხლი სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი იყვნენ.

— თუთა, შვილო, — მიმართა ქეთევანმა ოდნავ ჩამორჩენილ მოახლეს, ომში წასულ თაყვანისმცემლებთან

გამომშვიდობებით გამოწვეული მწვავე შთაბეჭდილება ჯერ კიდევ რომ არ განელებოდა და ღაწვები და სავსე პირისახე კვლავინდებურად უღვიოდა. — ჩვენი მარიუჩა ვერსად დავინახე. არც სენიორ პიეტრო ჩანდა. ეაითუ საწყალი მაანი ისევ ცუდად შეიქნა და ჩვენ აკი აქამდე ვერა შევიტყვეთ რა?

— აგერ მარიუჩა, დედოფალო, — ამ სიტყვებზე თუთას თვალები გაუბრწყინდა. — ბაღის კიბეზე ჩამოდის. ჩვენ დაგვინახა და აი, გამოიქცა კიდეც!

ქეთევანმა იქით გაიხედა, საითაც მარიუჩას დანახვით გახარებული თუთა იყურებოდა და სახელგანთქმული სპარსელი მელექსის, შირაზში დაბადებული და გაზრდილი საადის, ძეგლის კვარცხლბეკთან მართლაც შეასწრო თვალი ნაცნობ გოგონას, ზღვა ხალხში გზას რომ მოიკვლევდა და სირბილისაგან გულამოვარდნილი მათ უახლოვდებოდა.

თავი LXXVI

მამა გიორგიმ, ვის დასაძახებლადაც ჯავრისაგან გულშემოყრილ პიეტრო დელა ვალეს ბავშვი გამოეგზავნა, საცოდავ მაანს უკანასკნელი აღსარების მისაღებად და საზიარებლადაც ვეღარ მიუსწრო. მარიუჩა ჯერ იმ ქუჩაბანდიდან გამოსულიც არ იყო, სადაც მათ მარტოხელა დიასახლისს სახლი ედგა, როდესაც უიმედოდ თავგადაგდებულმა ავადმყოფმა ერთი უკანასკნელად დაიკვნესა და კვნესას სულიც თან ამოაყოლა.

ნაშუაღამევს უბედური ცუდად გამხარიყო. სულის ხუთვა დასწყებოდა. ქმარი და შვილობილი გაეღვიძებინა. საშინელ მთელი ღამე თეთრად გაათენა. დილას ავადმყოფს სენიორ პიეტროსათვის ეთქვა, მე დღეს მოვკვდებიო, ოღონდ ისე კი მარიუჩას არ გაეგონა და გული წინასწარ არ გახეთქოდა. მარიუჩას აბა რას გამოაპარებდი. ავადმყოფის ფეხებთან იყო მიკუნჭული და სული კბილით ეჭირა, რომ გულში დაგროვილ მდუღარებას არ ამოეხეთქა და უამისოდაც შეწუხებული მომაკვდავი კიდევ უფრო არ შეეწუხებინა.

დიასახლისს მოუხმეთ, სახლი მიალაგ-მოალაგებინეთ, ალბათ, ქეთევან დედოფალი სამძიმარზე მობრძანდება და აქაურობას მირეულ-მორეულს ნუ დაახვედრებთო, ესეც კი მოეფიქრა და ეთქვა ბოლოს მაანს. ტანზე თვითონვე გამოეცვალა, ახლები ჩაეცვა, რათა საყვარელი ადამიანები, უნუგეშოდ რომ სტოვებდა, სულეთში გადასახლების შემდეგ არ გაესარჯა და სულთამხუთავს, ვერავინ რომ ვერ გავექცევით, ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდა.

მღვდელს, რომელსაც ქეთევანი, მისი მოახლე გოგოები და ალავერდელი მთავარეპისკოპოსის დები ფეხდაფეხ მოჰყვნენ, მოგზაურის კეთილი დიასახლისი, 1616 წელს ოჯახითურთ სპარსეთში გადმოსახლებული ველისციხელი ქალი, რომელსაც ქმარი აქ, უკურთხებელ მიწაში დაემარხა და საცხოვრისიდან აყრილი ტყვეების გუნდ-გუნდად დანაწილებისას უგზოუკვლოდ დაკარგულ შვილებს ოთხივე კუთხივ დაეძებდა, აქვე დაუხვდა. უბედური დედაკაცი, მუხთალმა ბედმა საჯავრო და თავში საცემი რომ არ გამოულია, ცხარე ცრემლით ტიროდა ანგელოზისებრ სუფთა, ქმარ-შვილის სიყვარულით გარემოსილ, ღვთის ღრმად მორწმუნე მაანს, უწყალო სიკვდილმა რომ არ აცალა და ამ ქვეყნიდან აღსარების უთქმელად და ზიარების მიუღებლად წაიყვანა.

სიკვდილის წინ მაანის სახვეწარი ის ყოფილიყო, რომ მისი უსიცოცხლო გვამი უცხო და ურჯულო ქვეყანაში მარტო არ დაეტოვებინათ, წაესვენებინათ სირიაში, სადაც წინაპრები განისვენებდნენ, ანდა დაემარხათ ქმრის სამშობლოში, სადმე ახლოს იმ ადგილიდან, სადაც პიეტრო დელა ვალე ამიერიდან იცხოვრებდა და ყოველთვის შესძლებდა, თავისი ერთგული ცოლის საფლავი მოენახულებინა და მისი სულის საოხად საყდარში სანთელი აენთო.

გარდა ამისა, ჯავრისა და სიბრალულისაგან გულშეღონებულ ქმარს, ვისთვისაც შემდგომ სიცოცხლეს ყოველგვარი აზრი და მნიშვნელობა დაეკარგა, მაანი მარიუჩას თავს აბარებდა, ეხვეწებოდა, არასოდეს მიეტოვებინა, ეზრუნა მისი მომავლის დაგვირგვინებისათვის, თუ მარიუჩა, როგორც ქართველი, ქართველი დედ-მამის ობლად დარჩენილი შვილი, თვისტომ დედოფალთან შეკედლებას არ მოისურვებდა, რათა ადრე თუ გვიან სამშობლოში მოხვედრილიყო და თვით ღვთისნიერი დედოფალიც არ იქნებოდა ამ ზედმეტი ტვირთის მიღების წინააღმდეგი.

თავადაც გულამომჯდარმა პიეტრო დელა ვალემ ოთახში შესულ ქეთევანს მაანის ეს უკანასკნელი დანაბარები რომ შემოსტირა, ქალები ხმამაღლა აქვითინდნენ, თვითონ ქეთევანს კი გული აუკანკალდა, თვალები ცრემლით აევსო და გვერდში ამოყენებული, საწყალობლად მობუზული გოგონა, როგორც ყველაზე ახლობელსა და მშობლიურს, უცნაურად რომ ეტმასნებოდა, ახლოს მოიზიდა და მკერდში ჩაიკრა.

ის სიამოვნებით გაუწევდა მარიუჩას დედობას, რაკი ღმერთმა ასე ინება და მაანს დღე მოუსწრაფა, ამაზე უარს აბა როგორ იტყოდა, თავს ამით ბედნიერადაც ჩათვლიდა, გაზრდიდა, უპატრონებდა და სათანადო განათლებასაც მის-

ცემდა, უკეთუ მარიუჩა მასთან დარჩენას ირჩევდა და კეთილშობილ მამობილს, რომელსაც უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა საყვარელი მეუღლის ცხედარი სამშობლოში წაესვენებინა და საამისო თადარიგის დაჭერას დღესვე აპირებდა, მშობლიურ საქართველოდან კიდევ უფრო შორს, იტალიაში არ წავიდოდა.

პიეტრო დელა ვალემ და მისმა შვილობილმა მარიუჩამ სამ დღეს იგლოვეს მიცვალებული, მეოთხე დღეს კი დაბალზამებული ცხედარი საგანგებოდ შეკვეთილ მოთუთიებულ კუბოში ჩაასვენებინეს და რადგანაც კუნძულ ორმუზზე ომი იწყებოდა, ევროპაში მიმავალ ხომალდს იქ ვერ იშოვნიდნენ, სპარსეთის ყურის უახლოეს ნავსადგურ ბუშირამდე სამგზავროდ ქვეყანაში ინგლისიდან შემოსული ეკიპაჟი დაიქირავეს.

ქეთევანის მწირველი მღვდლები, მამა მოსე და მამა გიორგი, მისიონერი პატრები, თვით ქეთევანი და მისი მხლებელი ქალები, რომელთაც ალავერდელი მთავარეპისკოპოსის სამივე დაც შემოუერთდნენ, ამ საში დღის განმავლობაში ჰირისუფალს გვერდიდან არ მოშორებიან.

პიეტრო დელა ვალეს ქალაქში ბევრი ნაცნობი და პატივისმცემელი ჰყავდა თვით ქრისტიანობისადმი მტრულად განწყობილ მოლებსა და ყადიებს შორისაც კი და მის თავს დატეხილი უბედურება ყველამ გულით გაიზიარა. ისიც რომ შეიტყეს, გიაური იტალიელი მოგზაური მთლად შექანებულა, რადგანაც მიცვალებულის სამშობლოში გადასვენება და იქ საგვარეულო აკლდამაში დაკრძალვა განუზრახავსო, მესამძიმრეთა შორის უბრალო მართლმორწმუნე მოქალაქენიც გაერიენენ, რომელთა დიდი უმრავლესობა აქ ყაენის ბრძანებით გადმოსახლებული გურჯი დედოფლის თვალის შესავლებად მოდიოდა, რათა პირადად ენახა და დარწმუნებულიყო, სიცოცხლის მეხუთე ათწლეულში გადამდგარი დედაკაცი მართლაც ისე ღვთაებრივად მშვენიერი იყო, როგორც მნახველები ამბობდნენ, თუ ახლაც ჩვეულებრივ აპარბებდნენ და საოცარი ამბების მოყვარულნი ამით მხოლოდ ენას იფხანდნენ.

ცრემლად დაღვრილი მარიუჩა სამ დღეს ყოყმანობდა. ხან ერთი გრძნობა სძლევდა, ხან მეორე. არც უსაზღვროდ მოყვარული მამობილი ეთმობოდა და ვერც ზეციური სიკეთითა და სანოებით მოსილი დედოფლის დატოვება გადაეწყვიტა. ბოლოს მაინც ღვთისმოსავი ცოლ-ქმრის მიერ გაწეულმა ამაგმა სძლია და სენიორ პიეტროს მასთან ერთად იტალიაში გამგზავრებაზე თანხმობა განუცხადა.

ქეთევანს გული დასწყვიტა გოგონას არჩევანმა, თუმცა როცა უფრო ღრმად დაუფიქრდა, იგი ბრძნულადაც მოეჩვენა.

მარიუჩა საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ ეკარგებოდა, მაგრამ ამავე დროს ის ქრისტესმოსავ ქვეყანაში მიდიოდა, სადაც რჯულის დაკარგვა არასოდეს არ დაემუქრებოდა, როგორც აქ, მაჰმადიან სპარსეთში და თავის მამაპაპურ რწმენას ბოლომდე შეინარჩუნებდა.

ისინი დიდხანს, ნამდვილ დედა-შვილივით ეთხოვებოდნენ ერთმანეთს. ორივე გრძნობდა, რომ ეს ამქვეყნად მათი უკანასკნელი შეხვედრა იყო და ამას იქით ერთმანეთს ველარასოდეს ნახავდნენ.

გამომშვიდობებისას ქეთევანმა გოგონას ოქროს წყალში გავლებული ბრინჯაოს პატარა ჯვარცმა აჩუქა. დალოცა, ამისი მადლი შეგეწიოს და თუ საჭიროებამ მოითხოვა, შენც ასევე მიგელოს ვნება, როგორც მაცხოვარმა ჩვენმა იესო ქრისტემ მიიღოო. სადაც არ უნდა იყო და რა ბედიც არ უნდა გერგოს, გახსოვდეს, რომ ბედკრული საქართველოს შვილი ხარ და სატანჯველიდან მის გამოსახსნელად ლოცვა გმართებსო.

გულამომჯდარმა გოგონამ დაიჩოქა და ორივე ხელი მუხლებზე მოჰხვია. ალუთქვა, მუდამ შენი დარიგების ერთგული ვიქნები და როგორც ღმერთს არ დავივიწყებ, ისევე არ დავივიწყებ ჩემს ბედკრულ სამშობლო საქართველოს და მუდამ მისი კეთილდღეობისა და გამარჯვებისათვის მლოცველი ვიქნებიო.

პიეტრო დელა ვალე, თავის მხრივ, გადაუდებელ დახმარებას დაჰპირდა. ბედს ემდუროდა, რომ აღმოსავლეთიდან, სადაც ამდენი ნაყოფიერი წელი გაატარა და ამდენი საგულისხმო რამ შეიტყო, რასაც წიგნებად დასწერდა და მთელ ევროპას შეატყობინებდა, ამქვეყნიური ედემის, საქართველოს უნახავად მიდიოდა, მაგრამ თავს იმით ინუგეშებდა, რომ ცხოვრების გზაზე ბევრ ქართველ მანდილოსანსა და რაინდს შეხვედროდა და ამ მამაცი, კაცთმოყვარე, გამორჩეულად ლამაზი ხალხის სიყვარული გულში სამუდამოდ ჩაებეჭდა და ის არც არასოდეს განქარდებოდა.

სენიორ პიეტრო იმედოვნებდა, კახბატონ თეიმურაზის ელჩ მამა ნიკიფორე ირბახს ევროპაშივე ჩაუსწრებდა და კიდევაც რომ ვერ ჩაესწრო, პატიოსან სიტყვას სდებდა, რომ მის უწმიდესობა რომის პაპს პირადად წარუდგებოდა და მაჰმადიანების მიერ უწყალოდ დაჩაგრული პატარა ქრისტიანული ქვეყნის, მისი ღვთისმოსავი, მშრომელი, მამაცი და ლამაზი ხალხის ამბავს შეატყობინებდა, რასაც უთუოდ თვით პაპისა და ევროპელი მონარქების შეთანხმებული მოქმედება მოჰყვებოდა. ასე რომ, დედოფალს შეეძლო მშვიდად ბრძანებულიყო და შირაზში შემთხვევით გაცნობილი ერთმორწმუნე

იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე უწმიდესი პაპის კარზე თავის პირად წარმომადგენლად დაეგულვებინა.

სენიორ პიეტრო და მარიუჩა, რომელთაც წინ უსაყვარ-ლესი ადამიანის უსულო გვამი მიუძღოდათ, ერთ ღრუბლიან დილას, როდესაც შირაზს თავზე საწვიმრად პირმოქურუშებული ცა აწვა, ყურანის კარიბჭეში გავიდნენ და რამდენიმე დაჭირა-ვებული შუბოსნის თანხლებით, ნავსადგურამდე რომ უნდა მიეცილებინათ, სპარსეთის ყურისაკენ მიმავალ გზას დაადგნენ.

ქალაქი თითქოს დაცარიელდა. სანამ პიეტრო დელა ვალე აქ იმყოფებოდა, ქეთევანს ის ქომაგად მიაჩნდა, სენიორ პიეტრო მის თვალში განათლებულ ევროპას განასახიერებდა. ის წავიდა და იმედის მზეც სამუდამოდ ჩაესვენა.

გამყოლი მებადრაგენი, რომლებმაც პიეტრო დელა ვალეს მცირერიცხოვანი ოჯახი სპარსეთის ყურის ნავსადგურ ბუშირამ-დე ჩააცილეს, ორი კვირის თავზე უკან დაბრუნდნენ. ბუშირში, როგორც მოსალოდნელი იყო, არც ერთი ევროპისაკენ მიმავალი ხომალდი არ დახვედროდათ და მის მოსვლას არც არსაიდან ელოდნენ. კუნძულ ორმუზიდან გაცხარებული ომის ამბავი მოდიოდა. პორტუგალიელი მეკიბოვნენი თავს მედგრად იცავ-დნენ და სპარსელთა ალყა ჯერჯერობით სასურველ მიზანს ვერ აღწევდა. პიეტრო დელა ვალეს მცველები უკან გამოეშვა და თითქმის უკაცრიელ ნავსადგურში შვილობილისა და მიცვალე-ბული მეუღლის ანაბარა დარჩენილიყო. ნანობდა თურმე, როგორ მოვტყუვდი, რატომ ხმელეთით, კონსტანტინოპოლის გავლით არ წავედი, გზა რატომ გავიმრუდე და გავიგრძელეო. ყველა წინასწარ დაწყობილი გეგმა სპარსეთის ყურეში ხომალდების მიმოსვლის შეფერხებამ ჩაშალა. უკეთუ ევროპისაკენ მიმავალ ხომალდს დაედარებოდა, ეს გრძელი გზა გაცილებით მოკლე და ადვილად გასაველელი იქნებოდა და, რაც მთავარია, მგზავრობაც ნაკლებ სახიფათო იყო.

— რა ეშველებათ უბედურებს, იქ რამდენ ხანს უნდა იყურყუტონ? — თავისი წუხილი მებადრაგე ყიზილბაშების მიერ მოტანილი ამბის გამო ქეთევანმა მამა გიორგის გაუზიარა, რომელიც იმამყული-ხანისა და მისი მხედრობის ლაშქრად წასვლის შემდეგ რაღაც საქმეებს იმიზეზებდა და მწირველი მღვდლის მოვალეობის შესრულებას როგორღაც თავს არიდებდა. მღვდელმსახურების მთელი სიმძიმე მამა მოსეს აწვა მხრებზე, მაგრამ ის უთქმელი კაცი იყო, არ საყვედურობდა, თუმცა თანამოსაყდრის საქციელი აკვირვებდა და ვერ აეხსნა.

ქეთევანი ამჩნევდა, რომ მის გარშემო მაჰმადიანური გარემოცვა თანდათან იზრდებოდა. ეს მას საგონებელში

აგდებდა და უკლებლივ ყველას მიმართ ეჭვს უღვიძებდა. ეჭვი, სამწუხაროდ, თვით გიორგი ხუცესსაც შეეხო. რით უნდა ახსნილიყო მისი გაგარეულება? რა ხდებოდა? ხანის ქვეშევრდომი მოხელეები ბატონის შინ არყოფნით სარგებლობდნენ და უმწეო ქალს ხუნდებს თავისი სურვილისამებრ უჭერდნენ, თუ ომში მიმავალმა ბეგლარბეგმა ეს თავად დაიბარა და ისინიც თავიანთი ზემდგომი უფროსის ბრძანების მიხედვით მოქმედებდნენ?

როგორც ერთი, ისე მეორე მღვდელი დედოფალს თავის სულიერ საყრდენად მიაჩნდა. მაღალ ღმერთსა და მცირერიცხოვან მრევლს შორის, დღითიდღე უფრო და უფრო რომ მცირდებოდა, ისინი შუამდგომლობდნენ. თუ მოძალადენი ამ საიმედო საყრდენს მოუშლიდნენ და ორივე მოძღვარს თუ არა, ერთს მაინც მაჰმადის რჯულზე გადაიყვანდნენ, ეს დედოფლის მხლებელ ქალებზე დამღუპველ შთაბეჭდილებას მოახდენდა და მამაპაპური რჯულის დაგდებას გაუადვილებდა, რასაც, მათივე აზრით, თვით ქეთევანზეც სასურველი გავლენა უნდა მოეხდინა და შაჰის ნება-სურვილის აღსრულება მოეახლოებინა.

მეტი ყოყმანი და გადადება შეუძლებელი იყო. მან წარბშეუხრელად, ყოველგვარი მიეთმოეთის გარეშე ჰკითხა მოძღვარს:

— მამაო გიორგი, თუ შეიძლებოდეს, პირდაპირ და შეულამაზებლად გვიბრძანე, რა ამბავია ჩვენს თავს?

მოძღვარმა თვალი აარიდა, თავი ჩაღუნა და ქარვისფერი კრიალოსანი ჩამომარცვლა:

— კარგს რას ველით, დედოფალო, კარგს რას უნდა ველოდოთ?

— ოთხ სახარებას გაფიცებ, სიტყვას ბანზე ნუ მიგდებ, გამოტყდი, პირდაპირ მიპასუხე, რა ამბავია ჩვენს თავს?

მღვდელმა თავი ასწია და ქეთევანმა თვალი გაუსწორა.

— ვერ მიგიხვდი, რას მოითხოვ ჩემგან, დედოფალო!

— ჩვენ კი გვგონია, ყველაფერს კარგად მიგვიხვდი, მაგრამ არ გინდა, გულში ჩაიხედო და პასუხი ისე გაგვცე! ხანის კაცები გაწუხებენ, მოსვენებას არ გაძლევენ, გათათრებას გთხოვენ და აშენებას გპირდებიან! ასეა თუ არა?

— ეგ თქვენ ვინ მოგახსენათ, დედოფალო?

— გულზე ხელი დაიდე და გვიპასუხე, ხომ ასეა? თუ ნებას დაჰყვები, აშენებას ხომ გპირდებიან?

— აშენებას რას ვაქნევ, დედოფალო, მაგრამ ჩემი მოკლე მოსაზრებით, თუკი ის ვისმე რაძეში გამოადგება, აგრე მგონია, რომ საქმეს ვარგებთ, თუ ხანის კეთილ რჩევას შევისმენთ, გულში ჩვენს რწმენას შევინარჩუნებთ და გარეგნულად, სხვათა დასანახად, ალაჰს ვიწამებთ!

— განვედ ბოროტისაგან! მაგას შენ ამბობ, მამაო, ვინც ამ წუთამდე ჩვენს სულიერ მოძღვრად მიგვაჩნდა?!

— დიდი ხანია, ჯერ კიდევ აშრაფსა, მიანესა და ჰამადანში ამის გამხელას ვაპირებდი, მაგრამ გულმა არ დამანება. სანამ თავად არ შემეკითხე, თქმა და ჩემი აზრის გაზიარება ვერ გაებედე!

— თქმა და ქმნა ერთია! მამა-პაპის რჯულს უღალატე, ღვთის მსახურმა ქრისტე ჰგმე და ახლა ჩვენგანაც იმასვე მოითხოვ? რატომ ენა არ დადუმდება და ყურიც არ დამეხშება! იქნებ ისიც შესაწყნარებლად მიგაჩნია, შაჰის უზნეო ნებას დავყვე, თვალ-მარგალიტს დავხარბდე და საქრისტიანოს დამღუპველ სპარსეთს დედოფლად მოვევლინო?

— თუკი არსებობს სხვა გზა, კაცმა გონიერმა მტერს თავი რისთვის უნდა შეაკლა? ღმერთო, შეგცოდე და, გთხოვთ, თქვენც შემინდოთ, დედოფალო, თუ ვიტყვი: რაც ნეტარხსენებულმა ქართლის მეფე ლუარსაბმა ჩაიდინა, საქებარი საქმე არ უნდა იყოს. ხომ შეეძლო სულგანათლებულს, როგორც კეთილის მოსურნე ხანმა ურჩია, სიტყვით ალაპი ელიარებინა, გულით კი ქრისტიანი დარჩენილიყო და კუთვნილი ტახტი დაებრუნებინა?! სული წამებით ამოჰხადეს, ტახტიც ოხრად დარჩა და საბატონო ქვეყანასაც ურჯულო დაეპატრონა! ესა სჯობია?

— შენ რაღად ამბობ, ურჯულოო, აკი თავად იმათი რჯული მიგიღია, აქამდე ჩვენ გვაცთუნებდი და ცოდვას ცოდვაზე იდებდი?!

— ეგ მხოლოდ სიტყვით, დედოფალო, გულში...

— გულში? — პირგამეხებულმა ქეთევანმა შეაწყვეტინა. — პირველთაგან იყო სიტყვა, გვასწავლის იოანე მახარებელი, და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა და ღმერთი იყო სიტყვა იგი. განვედ ეშმაკისაგან!..

თავი LXXVII

დედოფლის მწირველი მღვდლის, მამა გიორგის გათათრების ამბავი, რამაც შირაზში მაცხოვრებელ ყველა ქრისტიანს, ქრისტეს მცნების აღმსარებელს, გულში მომაკვდინებელი ლახვარი ჩასცა, იმავე დღეს გახმაურდა და არამცთუ მარტო ქალაქს, მთელ ფარსის საბეგლარბეგოს მოედო. ქრისტიანი კაცის გათათრებით, ქართველი იქნებოდა, სომეხი თუ სირიელი, სპარსეთში ვის გააკვირვებდი! იძულებით თუ ნებაყოფლობით ასეთი რამ თითქმის ყოველდღე ხდებოდა, მაგრამ ქრისტიანი მღვდელმსახურნი და სამეფო გვარეულობის ჩამომავალნი თავიანთ რჯულს აგრე ადვილად არ თმობდნენ და

დედოფლის მწირველი მღვდლის ამბავმაც მითქმა-მოთქმა ამიტომ გამოიწვია.

მამა გიორგის არასაკმაო რწმენის გამო ერთობ დამწუხრდნენ წმიდა პეტრეს სარწმუნოების მქადაგებელი პატრები, რომლებიც, როგორც მტრული ქვეყნის — პორტუგალიის მოქალაქენი, ბეგლარბეგის ლაშქრად წასვლისა და ქალაქში სამხედრო მდგომარეობის გამოცხადების შემდგომ, მის ქვეშევრდომ მოხელეებისაგან, მეტადრე კულტის მსახურთაგან, საგრძნობ დევნასა და შევიწროებას განიცდიდნენ, მაგრამ ამ ღვთის გამარისხებელმა ამბავმა ყველაზე მეტად მაინც მამა მოსე დაამწუხრა. ტიროდა საწყალი, მოთქვამდა, თავს კედელს ახლიდა, ეს რა დაგვემართა, ეს რა მეხი დაგვეცა, ამის მერე სად-ღა გამოვჩნდეთ, ან ღმერთს რა პასუხი გავცეთ და ან ქვეყანაზე რა პირით ვიცხოვროთო.

გულმართალი და ღვთის ღრმად მორწმუნე მოძღვრის მწუხარება მაშინ უფრო გაიზარდა და გამძაფრდა, როცა ურწმუნო თანამოსაყდრემ ჯვარცმული მაცხოვრის გმობა არ იკმარა, ერთ მშვენიერ დღეს დედოფლის მოახლე გუჩა გაიტაცა და გაურკვეველი მიმართულებით მიიმალა.

მთლად გატაცებაც არ ითქმის. გუჩასთან მღვდლის საიდუმლო კავშირი და სულის წაწყმედა შეუმჩნეველი არავისთვის დარჩენილა. ამის გარშემო ორი-სამი თვის წინათაც ჩურჩულებდნენ ენაპარტალა გოგოები. მღვდლისა და მოახლე გუჩას კურკურმა ბოლოს აშკარა სახე მიიღო და დედოფლის ყურამდეც მიაღწია.

ეს რომ მიკიბულ-მოკიბულად ჩაუკაკლეს, ქეთევან დედოფალმა არ დაიჯერა, როგორ იქნებაო. დატუქსა კიდევაც ამბის მომტანნი. სირცხვილი სად დაკარგეთ, ამგვარი უწმინდური რამ პირიდან როგორ ამოუშვითო. ხალხს რომ უსაგნო ლაპარაკისა და ჭორიკანობის საბაბი არ მისცემოდა, მღვდელთან ან გუჩასთან გამოსაუბრება მაინც საჭიროდ ჩასთვალა, მაგრამ ამასობაში საკმაო დრო გამოხდა და დარხეული ხმების სისწორეში ის მხოლოდ მაშინ დარწმუნდა, როცა აქაურობა ორივემ ერთად მიატოვა და უკიდეგანო ქვეყანას, როგორც ულრან ტყეს, თავი შეაფარა.

მალე ისიც ცნობილი გახდა, რომ გარეგნულად ჩუმი და მორიდებული გუჩა არა მარტო ხორციელად ეკუთვნოდა თავის სულიერ მოძღვარს, მას ფარულად, უთუოდ მღვდელთან შეთანხმებით და მისივე წაქეზებით, მაჰმადის რჯულიც მიეღო და თანამემამულეებისაგან დამალულად დილა-საღამოს მეჩეთში დადიოდა. ჩასაფრება და ცოდვილის გამოაშკარავება თავს ვერავინ იდო. მოჩენილი საჭურისები ყველას თვალს ადევ-

ნებდნენ და თუ ვინმეს მათ შორის მაჰმადის რჯულზე ახალშემდგარის დევნა დაბრალდებოდა, ბრალს აქეთ დასდებ-დნენ და თავისიანებს ჩამოაშორებდნენ, იქ კი ისე მოექცე-ოდნენ, როგორც ჭკუა და გონება გაუჭრიდათ.

გიორგი ხუცესს სამშობლოში სჯულიერი ცოლ-შვილი ჰყავდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდა ცოლი და წამოზრდილი შვილები, ალბათ, ყოველ ცისმარე დღე მოელოდნენ ცხრა მთას იქით გადაკარგული ოჯახის უფროსის დაბრუნებას. ასევე ოჯახის პატრონი იყო გუჩაც. ერთმანეთთან დანაშაულებრივი კავშირით ერთმაც და მეორემაც ერთი უპატიებელი ცოდვა კიდევ ჩაიდინა და მამა-პაპიდან მომდინარე ადათს და ჩვეულებას სამუდამოდ განუდგა.

თვის თავზე ამბავი მოიტანეს, ერთი მაგნაირი კაცი, გაკრეჭილი მღვდელი, მაჰმადის რჯულს ძირითა და ფესვით მაჰმადიანზე მეტად რომ ერთგულობს, დარაბში უნახავთო. დალალობს, ხარებითა და აქლემებით ვაჭრობს და შედარებით მოკლე დროში ფულიც ბლომად დაუგროვებიაო.

დარაბი ერთი პატარა ქალაქი იყო მდინარე რეჯდე-მურის ზემოწელში და შირაზიდან ორი-სამი დღის სავალზე მდება-რეობდა. სანამ დედოფალს თავის შერცხვენას გაუმხელდა, ნიღაბს საბოლოოდ აიხდიდა და სიცოცხლისა და პატივის გადასარჩენად მასაც ამასვე ურჩევდა, გიორგი ხუცესმა, ეტყობა, დარაბი წინასწარ მიიარ-მოიარა, საქმეც წინასწარ დაზვერა, შეიგულა და შირაზში გუჩას წასაყვანად დაბრუნდა.

ქეთევანი მოუქარვებელმა მწუხარებამ შეიპყრო. მთელი კვირა სახლიდან ფეხი აღარ გამოუდგამს. თიხის ღარებში მოჩხრიალე ხელოვნური ნაკადულების გასწვრივ ყვავილნარში გასეირნება და იქ რამდენიმე წუთით ჩამოჯდომაც კი აღიკვეთა. მხოლოდ სახატეში შედიოდა, სანთლებს ანთებდა და მაცხოვრის ხატის წინაშე დაჩოქილი დიდხანს თვალცრემ-ლიანი ლოცულობდა.

ბოლო ხანს რატომღაც თავისი მონატრებული შილი, ყირიმის ხანის ასული, ზაგემში ღვიძლი ძმის ხელით დაღუ-პული მაზლის, გიორგის, თანამეცხედრე ფატიმათი, შონათვლის შემდეგ ასინეთი აეკვიატა. დღე იყო თუ ღამე, სიზმარი თუ ცხადი, თვალწინ სულ ასინეთი ედგა. საბრალო ქალს ხელში თავისი მცირეწლოვანი ბიჭუნა იესე აეტატებინა, საყვარელ ქმარს ზაგემში თითქმის ძალად რომ გაატანა და მერე ცოცხალი აღარც უნახავს. არწევდა და ქეთევანს მიმართავდა,

აი, შემომხედე, ჩემო ნათლიავ, მე და ჩემი ბიჭი ისევ ერთად ვართ, ღმერთს შეეცოდე, მისი თავი დამიბრუნა და ნუთუ არ გიხარია, ისევ მტირალს რომ არ მხედავო?

— მიხარია, მიხარია, ასინეთ, როგორ არ მიხარია, — სიზმარშივე ეუბნებოდა ქეთევანი. — შენს თავს რა დამავიწყებს, ან შენს მალხაზ იესეს, იმ გარეწარმა რომ არ დაინდო და სასიკვდილოდ გაიმეტა!

მერე ასინეთი და მისი მკვდრეთით აღმდგარი იესე ბურუსში ქრებოდნენ და მათ ადგილს სიცარიელე იკავებდა.

ძილ-ღვიძილში მყოფი ქეთევანი დაფეთებული ახელდა თვალს და ცდილობდა აეხსნა სიზმარი, რომელიც ხანდახან ცხადშიაც გრძელდებოდა, ოღონდ ყოველთვის სხვადასხვა სახეს იღებდა. ეს რაღაც ავის მანიშნებელი უნდა ყოფილიყო. თუ პატარა იესე და მისი უბედური დედა დღეს მართლაც ერთად იყვნენ, ეს იმას მოასწავებდა, რომ საბრალო ქალი უდროოდ მზედაბნელებული შვილის დარდს გადაჰყვა და მათი უცოდველი სულები ერთმანეთს შეხვდნენ იმ ქვეყანაში, საიდანაც არავინ ბრუნდება და სადაც სამარადისო სიმშვიდე სუფევს.

„ნუთუ ამას ნიშნავს ეს სიზმარი? — ფიქრობდა ქეთევანი და გულზე შემოწოლილ დარდს ძლივს უმკლავდებოდა. — ნუთუ სვეგამწარებული ასინეთი აღარა გვყავს და შავეთიდანაც მომიკითხა, თავისი სიხარული გამიზიარა? ვაი, შე საცოდავო, ჩემი არ იყოს, შენც რა ბედი გქონია!“

დილას მამა მოსე მოიხმო, აღსარება უთხრა, ღმერთს ცოდვების განტევება შესთხოვა, განიწმინდა და ყველასათვის მოულოდნელად პატრების საყდარში სალოცავად წასვლა მოიწადინა.

საყდრის კურთხევისა და იმამყული-ხანის ლაშქრად წასვლის შემდეგ ეს მეორედ იყო, რომ მოიგუნება და პატრების საყდარში წასვლა მოინდომა, თუმცა ეს არცთუ ისე უხიფათო იყო. მოდარაჯე საპურისებს შეეძლოთ წინ გადასგომოდნენ და ქალაქში არ გაეშვათ. გამოცხადებული საომარი მდგომარეობის გამო უცხოელებს და მათ შორის თვით ქეთევანსა და მის მხლებლებსაც ეკრძალებოდათ ქალაქში თავისუფლად გამოსვლა, რასაც წინათ არასოდეს არ მიმართავდნენ. ხათრი ვეღარ გაუტეხეს თუ რა იყო, საპურისებს არც ამჯერად გაუწევიათ რაიმე წინააღმდეგობა. ქეთევანმა მხოლოდ ორი მოახლე და მღვდელი გაიყოლა და საყდარში მისასვლელად უმოკლეს გზას დაადგა.

კათოლიკეთა სალოცავში წინასწარ იცოდნენ, რომ დღეს მათი მწყალობელი ქეთევანი მობრძანდებოდა და მისი უდიდებულესობის შესახვედრად საგანგებოდ მომზადებულიყვნენ. დილაადრიან ქეთევანს ერთი შეკვრა თაფლის სანთელი,

საკმეველი, ზეთი და საზედაშე ღვინო გაეგზავნა. ღვინო შარშანდელი დაწურული იყო, ქეთევანმა სწორედ საზედაშედ დააწურვინა და აქამდე ზიარების მისაღებად იზოგავდა. პატრებს შესაწირავი ახლაც კმაყოფილებითა და მადლიერებით მიეღოთ, დედოფლის უანგარო გულუხვობით აღფრთოვანებული იყვნენ და აღარ იცოდნენ, სამაგიერო საზღაური რით მიეგოთ.

სიგრძე-სიგანითა და სიმაღლით არცთუ ისე დიდი საყდარი, კარიბჭესა და სარკმლის ჭრილებს მაგ მოსეს ნახელავი ქართული ჩუქურთმები რომ უმშვენებდა, როგორც საყოველთაოდ მიღებულია, ახლაც ყურთამდე ღია იყო და სანთლებით გაჩირაღდნებული მლოცველების მოსვლას ელოდა.

საყდარს საკმაოდ მაღალი ქვითკირის გალავანი უვლიდა გარს. გალავანში, საყდრის კარიბჭის წინ, დაკბილულ გოდოლებს შუა, კიდევ ერთი კარიბჭე ჩაესვათ, რომლის ფართო ნაწილი, თუ საჭიროება არ მოითხოვდა, ყოველთვის ჩაკეტილი ჰქონდათ. შესვლა-შემოსვლისათვის მეორე, ვიწრო კარს იყენებდნენ. ორი ფრთისაგან შემდგარი რკინის ფართო კარი მხოლოდ დიდი ხალხმრავლობის დროს და სადღესასწაულოდ უნდა გაღებულიყო. დედოფალ ქეთევანის ყოველი მობრძანება სწორედ დღესასწაულის ტოლფასად მიაჩნდათ და ავგუსტინელი წმიდა მამები, უფრო ხშირად მორჩილ ძმებად რომ იწოდებოდნენ, მის უდიდებულესობა საქართველოს დედოფალს გალავნის კარიბჭეში შემოეგებნენ.

ქეთევანი მორჩილი ძმის, მისიონის პრეფექტ ამბროზიო დუშ ანჟუშის მიერ მოწოდებულ ოქროცურვილ ჯვარს ემთხვია, მოძღვარს შემდეგ გამრჯე მუშაკაცის დაკოერებულ ხელზე ეამბორა, სხვებს, ამბროზიოს შორიახლო რომ უდგნენ და კრძალვითა და მოწიწებით შემოსცქეროდნენ, თავის მდაბალი დაკვრით მიესალმა და უცნაურად აღელვებული, თითქოსდა ფრთებგამოსხმული, საყდრის ღია კარისაკენ გაემართა. მას წინ ამბროზიო დუშ ანჟუში მიუძღოდა. კარის ზღურბლზე ქეთევანი და მისი მხლებელი ქალები წამით შეყოვნდნენ, პირჯვარი ერთხელ კიდევ გადაიწერეს და საყდარში შეაბიჯეს.

ქეთევანს აქაურობა კიდევ უფრო გამშვენიერებული ეჩვენა და გული სიამით აევსო. ეტყობოდა, მოუსვენარი პატრები დროს უქმად არ კარგავდნენ და მარტო ღვთისადმი ვედრებაში არ ატარებდნენ, საყდარს ყოველდღე რაღაცას უმატებდნენ, ავსებდნენ და ალამაზებდნენ.

გუმბათის ვიწრო სარკმელებიდან თვალის მომჭრელი სინათლე იღვრებოდა და თეთრად შეფეთქილ, ჯერაც მბატერის

ფუნჯმიუკარებელ სვეტებსა და თაღებს ანათებდა. შუქ-ჩრდილების თამაში და მონაცვლეობა თავბრუდამხვევად მოქმედებდა. ამბიონზე გადაშლილი საღვთო წერილი იდო. მის მარჯვნივ და მარცხნივ მაღალ, ოქროცურვილ შანდლებზე მოციმციმე ცვილის სანთლები აღსავლის კარის ორივე მხარეს აღმართულ მაცხოვრისა და იოანე ნათლისმცემლის ხატებს აელვარებდნენ და თითქოს სულსაც უდგამდნენ.

ხატები, ეტყობოდა, მორჩილ ძმებს ინდოეთის გოადან ან ორმუზიდან ჩამოეტანათ და მათთვის ახალი ადგილსამყოფელი მიეჩინათ.

ქეთევანი შანდალთან მივიდა, აანთო ზუსტად იმდენი სანთელი, რამდენსაც ყოველთვის ანთებდა, რომ მისი ლოცვა არავის მოჰკლებოდა, დაამაგრა და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით თავის მიერვე შემოწირულ ხალიჩაზე მაცხოვრის ხატის წინაშე პირჯვრის წერით დაიჩოქა.

სადღაც მარცხნივ, საკურთხეველზე ამავალი ორსაფეხურიანი კიბის ბოლოში, მორჩილი სამოციქულოს კითხულობდა. კითხულობდა გაბმით, შეუსვენებლივ, როგორც ყველგან კითხულობენ, თითქოს გალობდა და მისი თვლემის მომგვრელი ხმა საყდრის კამარებში ინთქმებოდა, იკარგებოდა.

აღსავლის კარში მორჩილი ძმა ამბროზიო დუშ ანჟუში გამოჩნდა, მლოცველებს ჯვარი გადასახა, ერთი ნაბიჯი კიდევ გადმოდგა, პირით ხატებისაკენ შეტრიალდა, გაჩაღებული საცეცხლურით თითოეულ მათგანს საკმევლის კვამლი უკმია და დაიწყო ის ზეაღმტაცი, ძარღვებში სისხლის აშაჩქარებელი, გულში სიხარულის შემომტანი წირვა-ლოცვა, ჯერ კიდევ კურთხეულ სამშობლოში ყოფნისას ქეთევანს ასე რომ ხიბლავდა და ნეტარების ერუანტელს ჰგვრიდა.

თავი LXXVIII

შინ რომ მობრუნდნენ, მზე უკვე გადახრილი იყო. აქ თურმე ახალი ამბავი ელოდათ. ამბავი მეთვალყურე საჰურისებს მოეტანათ ხანის სასახლიდან და რაკი საჩუმათო და საიდუმლო არაფერი იყო, იგი ქვეყნისათვის მოედოთ, გზადაგზა გაევრცელებინათ.

მართლმორწმუნე ლაშქარს მაღალი ალაჰი შესწეოდა და ორმუზის ომში, საიდანაც ეს ერთი ხანია სანუგეშო არაფერი ისმოდა, კუნძულზე გამაგრებული გადამთიელი პორტუგალიელები სასტიკად დაემარცხებინა. მართლმორწმუნეთ, მიუხედავად დიდი და აუნაზღაურებელი მსხვერპლისა, რაც ომში

ორივე მხარეს მოუვიდა, პორტუგალიელთა მედგარი წინააღმდეგობა გაეტეხათ და ძლევამოსილი ყიჟინით ციხეში შეპრიალიყვნენ.

ეს ამბავი მარტის 21-ს მომხარიყო. ახლა უკვე აპრილი იდგა და უკეთუ გამარჯვება მართლა სპარსელებს დარჩათ, რაც ეპეს თავიდანვე არ იწვევდა, რადგანაც ორმუზის ციტადელში პორტუგალიელებს შედარებით მცირერიცხოვანი ჯარი ეყენათ, რითაც ლაშქარმრავალ სპარსეთს დიდხანს ვერ გაუმკლავდებოდი, ომში გამარჯვებულნი, ალაფითა და ტყვეებითურთ, მალე კიდევაც უნდა გამოჩენილიყვნენ.

გვიან ღამით, როდესაც, ალბათ, დაიხამდვილეს, რომ მოტანილი ამბავი ჰორი არ იყო, ანდა სასახლეში ახალი მალემსრბოლები მოიკრნენ მახარობლად, მთელი ქალაქი, დიდი და პატარა, ქალი თუ კაცი, მაჰმადიანი, ქრისტიანი, ბუდისტი თუ იუდეველი, გარეთ გამოეფინა და თუმცა ჯერ კიდევ არ იცოდნენ, ვინ გადარჩა და ვინ მტრის მახვილს შეეწირა, ერთმანეთს გამარჯვებას ულოცავდა.

მალე ილუმინაციამაც იფეთქა სხვადასხვა ადგილას, უპირველეს ყოვლისა პირქუშად აღმართულ გულაბ-ყალაზე, ქალაქს წყალგაღმიდან რომ გადმოჰყურებდა და მთელი შირაზი გაანათა. ქუჩებსა და მოედნებზე დილამდე ხალხის ერიამული და ცაში ატყორცნილი ფერად-ფერადი მაშხალების ციმციმი არ შემწყდარა. ყოველი ასეთი მაშხალის ცაში აკარდნას აღტაცებული ბრბოს ქიკილხიკილი მოსდევდა და ის მანამ არ წყდებოდა, სანამ მაშხალა ცაში ირაოს არ შეჰკრავდა, წვრილ-წვრილ ნაპერწკლებად არ დანაწევრდებოდა და დაბლა არ დაეშვებოდა.

თავდავიწყებით მოზეიმეთა შორის ქეთევან დედოფლის მხლებელი ქართველი ქალებიც ერევნენ, რომელთა თანამემამულენი, ამ დასაქცევ ქვეყანაში მათთან ერთად მოსულნი, ომში სხვების მხარდამხარ მონაწილეობდნენ და სპარსეთის ლაშქრის გამარჯვებაშიაც თავიანთი წილი ედოთ.

თვალი არც ქეთევანს მოუხუჭავს. გარეთ, მართალია, არ გამოსულა, მაგრამ ღია სარკმელთან იჯდა და ნახევრად ჩაბნელებული სასახლის ბაღს მილმა მაშხალებით გაცისკროვნებულ შირაზს გაჰყურებდა.

ეს მართლაც დიდი გამარჯვება იყო. შაჰ-აბასი საბოლოოდ გაბატონდა სპარსეთის ყურეში და მის დაუკითხავად და ბაჟის გადაუხდელად ამიერიდან იქ ერთი ხომალდიც ვეღარ შემოვიდოდა. მაგრამ რა იყო ამ ამბავში ქართველისათვის საზეიმო და გასახარი? მისი დაუძინებელი მტერი დღითიდღე ღონეს იკრებდა და არა მარტო ძირფესვიანად მოთხრილი პატარა

საქართველოსათვის, თვით ისე ძლიერი სახელმწიფოებისთვისაც კი, როგორიც ესპანეთი და პორტუგალია იყვნენ, ყოვლის დამთრგუნავი მრისხანე ძალა ხდებოდა.

ზუსტად ერთი კვირის შემდეგ შირაზს პირველი ომგადახდილი რაზმები მოადგნენ და მთავარი ძალის მოსვლამდე, რომელიც მათ ერთი დღის თუ დღენახევრის სავალზე მოსდევდა, ქალაქის კედლის გარეთ დაიბანაკეს. მთელი შირაზი ყურანის კარიბჭეს მიაწყდა. ყველა თავისიანს ან მისი ამბის საიმედოდ მცოდნეს ეძებდა. აქვე იყვნენ ალავერდელი მთავარეპისკოპოსის დები და სხვა ქართველი ქალები, მათ შორის დედოფლის ერთგული მოახლე თუთაც, წყეულ ომში მისი ცოლობის მოსურნე სამი ვაჟკაცი რომ გაისტუმრა და ყოველ ცისმარე დღე მაღალ ღმერთსა და იესო მაცხოვარს სამივე მათგანის ომიდან უვნებლად დაბრუნებას შესთხოვდა.

ქალები შინ გულდაწყვეტილი დაბრუნდნენ. თავისიანებისა მათ ვერაფერი გაეგოთ. ნუთუ ყველა ისე უღვთოდ დაიხოცა, რომ ამბის მომტანიც კი ვერავინ მობრუნდა? ბოლოს თავი იმით ინუგეშეს, თვით ქეთევანიც იმ აზრისა ბრძანდებოდა, რომ ჯერ მზოლოდ მეწინავე რაზმებმა მოაღწია, მთავარი ძალაც ხვალ–ზეგ მოაღწევდა და ისინიც, ვისი საღსალამათი დანახვა მათ ასე გაახარებდა, სწორედ იქ იქნებოდნენ.

აპრილის 17–ს, ნაშუადღევს, გულაბ–ყალაზე ზარბაზანი დასცალეს. ერთ გასროლას მეორე მოჰყვა, მეორეს — მესამე და ციხის კედლებზე დენთის კვამლის ბოლქვები დაიგრაგნა. სამ თუ ოთხ ადგილას, ამჯერად უკვე ქალაქის კედლის გოდოლებზე, ამდენივე გასროლით უპასუხეს და როგორც ციხეზე, ისე სამივე კარიბჭის თავზე ფარსის საბეგლარბეგოს სამფეროვანი ალმები აღმართეს.

გამარჯვებული ლაშქრის თავი ხეობაში ჩაეშვა, ხიდზე გადმოვიდა და სადაცაა კარიბჭეს მოადგებოდა.

საომრად აღჭურვილი, საომარ ცხენზე ამხედრებული და თავზე ჩაჩქანდადგმული იმამყული–ხანი ქალაქში ტრიუმფით შემოვიდა. მისი ფეხკავშა ზერდაგი ცხენოსან შუბოსანთა მწყობრისაგან გამოყოფილად მოაბიჯებდა, ცმუკავდა, ყალყზე დგებოდა, თავს წამდაუწუმ მაღლა სწევდა, თითქოს ამდენი დამხვდურის თვალწინ მხედრის ხელისაგან გასხლტომას ლამობდა, მაგრამ იმამყული–ხანის რკინის ხელს ზარნიშიანი სადავე მაგრად ეჭირა და თავნება ულაყს განზე ნაბიჯის გადადგმის საშუალებას არ აძლევდა.

კარიბჭეში ერთიმეორის მიყოლებით მოედინებოდნენ ომში გამარჯვებული ასეულები და ათასეულები, ცხენოსანნი და ქვეითნი, მაგრამ გარეთ უფრო ბევრი რჩებოდა და

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამდენ ხალხს, ცხენებს, უთვალავ აქლემს და ხარ-კამეჩს ქალაქი ვერა და ვერ დაიტევდა.

უამრავი ნაძარცვი ქონება ურმებსა და ფორნებზე დაეტვირთათ, ფარდაგებით დაეფარათ და თოკებით გაბორკილი ზედ დაეკრათ. ასევე მძიმედ დასაპალნებული აქლემებიც შტოებგაჩაჩხული პალმების გასწვრივ დინჯად მოაბიჯებდნენ, ყელმოღერებულნი სადღაც შორს იყურებოდნენ და თავიანთ სევდიან ფიქრებში წასულნი თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ ათასობით ადამიანს, ქუჩებში რომ გამოფენილიყო და თავის გამარჯვებულ ჯარს ხვდებოდა.

ეს ხალხი შაჰის მიერ დიდების კვარცხლბეკზე აყვანილ იმამყული-ხანს მუხლმოყრილი მიესალმებოდა, ჩალმების ჰაერში სროლით კიდევ ერთ ბრწყინვალე გამარჯვებას ულოცავდა და ხელებაპყრობილი ალაჰს ადიდებდა. უნაგირზე ამაყად ამართული იმამყული-ხანიც თავის მხრივ მიესალმებოდა ხალხს, მარჯვენა ხელს, რომელშიაც უზანგზე ტარით დანდობილი შუბი ეპყრა, თვალების სიმაღლეზე სწევდა და თავს დაბლა ხრიდა.

ბეგლარბეგს ათიოდე ნაბიჯის მოშორებით სხვა ხანები და ამირები მოსდევდნენ, რომელთაც ომში თავი დიდად ესახელებინათ, ნადავლით ხელიც მოეთბოთ და ახლა ბეგლარბეგისა და თვით ცათა სწორი შაჰის ახალი საბოძვრებისა, სახელოებისა და წარჩინების მოიმედენი იყვნენ.

სულ ბოლოს კარიბჭეში მაღალ თვლებზე შეყენებული თუჯის ზარბაზნები შემოაგორეს. ზარბაზნები სხვადასხვა ზომისა იყო, ლულაც სხვადასხვა სიგრძისა ჰქონდა და ყოველ მათგანს ერთიმეორეზე მსხვილი თოკით გადაბმული აქლემების ყევარი მოაგორებდა.

ეს ის ზარბაზნები იყო, ორმუზის ციხის კედლები რომ შელეწეს და მოალყე ჯარს გზა გაუხსნეს გამარჯვების დასაგვირგვინებლად.

ტყვეები, ოთხასი თუ ხუთასი პორტუგალიელი, ადვილად მოსახმარი და ნატიფი ევროპული აბჯრისაგან რომ განეძარცვათ და მის მაგიერ მათხოვრის შესაფერი ძონძები ჩაეცმიათ, მშიერნი, დიდი ხნის გაუპარსავნი, სამოწყალოდ ჩამოგლეჯილი და ფეხშიშველნი, ქალაქში არ შემოუყვანიათ. ისინი, როგორც ტყვეების წესია, კედლის გარეთ დასტოვეს და თუმცა სადმე გაქცევისა და მიმალვის თავი უკვე აღარ ჰქონდათ, ოთხივე კუთხივ ყარაული დაუყენეს.

ლაშქრის დასაშლელად, რომელმაც სპარსეთს ასე დიდი გამარჯვება არგუნა და იგი მსოფლიო საზღვაო გზებზე

გაიყვანა, ჯერ ბრძანება არ იყო გაცემული. ქალაქში ხმები დაეყარათ, გამარჯვების მოსალოცად და აღლუმის მისაღებად აქ თვით დიდებული შაჰ-აბასი აპირებს ჩამობრძანებას და ჯარიც ხელუხლებლად უნდა დახვდესო. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის შესახვედრად უკვე ემზადებოდნენ. თითქმის ორი ათეული წელიწადი იყო, რაც მბრძანებელს აქეთ პირი აღარ ეჭნა და ბელუჯთა აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, რასაც პირადად ხელმძღვანელობდა, შირაზში ფეხი არ შემოედგა. შინ მხოლოდ საკუთრივ შირაზელები და ახლომახლო ოსთახთა მაცხოვრებლები გაუშვეს და პირობა ჩამოართვეს, რომ პირველ დაძახებისთანავე ბანაკს მოაკითხავდნენ და მწყობრში ჩადგებოდნენ.

ომის მონაწილე ქართველთაგან, შაჰთან მოსალაპარაკებლად და მძეულად გამოგზავნილ პატარა შვილიშვილის საპატრონოდ წამოსულ ქეთევანს გრემიდანვე რომ ახლდნენ, ანდა ტყვეთა ბაზრებზე გზადაგზა შეიძინეს, მხოლოდ თორმეტი-ღა დაბრუნდა. უმეტესობა აღარ იყო. აღარ იყვნენ არც ისინი, გულში ქეთევანის მოახლე თუთა რომ ჩავარდნოდათ და ქალის გულის მონადირების იმედს არ კარგავდნენ. დაუზარელი ბიჭი, ტოკლიკაანთ ვანუა, ყველას გაჭირვების ტალ-კვესი, ნაადრევად ჭაღარაგამორეულიც რომ ბიჭად დარჩა, ომის პირველსავე დღეს ემსხვერპლა ყუმბარის ნამსხვრევს. ციხიდან გამოსროლილი ყუმბარა სწორედ მის წინ დაცემულიყო, იქაურობა ამოებრუნებინა და საწყალ ბიჭისათვის ორთავე ფეხი და ცალი ხელი ძირშივე მოეგლიჯა. დაჭრილს ნახევარი საათი კიდევ ეცოცხლა, მაგრამ ვაი იმ სიცოცხლეს, სიკვდილი რომ ათასწილ ჯობს! ჯოჯოხეთური ტკივილით გაწამებულს და შეუჩერებელი სისხლის დენისაგან ლონეშეხდილს სული ამხანაგის კალთაში დაელია. უკანასკნელად თურმე თუთას ახსენებდა და ქეთევან დედოფალს საბოდიშო სიტყვებს უთვლიდა, ვაჰმე, ერთგული ყმობა ბოლომდე ვერ გაგიწიე, ნატვრად გადაქცეულ სამშობლოში ვერ დაგაბრუნე, ამას რა მომაფიქრებდა, თუ აქ მოვკვდებოდი, ჩემს მარანში დაწურული ღვინის ჭაშნიკს ველარ გავსინჯავდი და ჩემებრ შავ დღეში ჩავარდნილი კაცის მიერ ნასროლი ტყვიის წერა გავხდებოდიო.

მოყურადებული თუთა, თავისი სახელი რომ გაიგონა, გულამომჯდარი სადღაც გაიქცა, მიიკუნჭა და ნამალევ ცრემლებს გზა მისცა. გამოუდგნენ, ეშმაკს არ ძინავს, ემანდ თავს არაფერი აუტეხოსო, მაგრამ ახლოს ვერავინ მიეკარა, სანუგეშო სიტყვის გაგონებაც არ უნდოდა. საბრალო ქალი ვინ იცის, ვის უფრო ტიროდა, თავისი ბედის უკუღმართობას, უილბლობას თუ უბრალოდ დაღუპულ თვისტომთ, უპირველეს ყოვლისა ტოკლიკაანთ ვანუას, ყისმათმა რომ უმუხთლათ და უზიარებლად

და წესის აუგებლად ძვლები ისე ჩაყარეს უცხო მიწაში, გულდამწვარი ჭირისუფლის ერთი ცრემლი არ დასცემიათ.

დედოფლის მთელი ბანაკი, ასე თვალდათვალ რომ განახევრდა და გამესამედდა, მოუქარვებელმა გლოვამ და ვაი-ვაიმმა მოიცვა. სახატეში სანთლები აანთეს და საკმეველი აკმიეს. თითოეული დაღუპულის სახელზე მამა მოსემ პანაშვიდი გადაიხადა და მათი სული ზეცას შეაევედრა.

ახალი აუნაზღაურებელი დანაკლისით დასევდიანებულ ქეთევანს თვალწინ ის დღე წარმოუდგა, სადღაც ყარაბახში, ვიდრე ტყიან აღმართებს შეუდგებოდნენ და შუშაში შევიდოდნენ, პატარა ბატონიშვილ ალექსანდრეს რომ მოსწყურდა და ტოკლიკაანთ ვანუა წყაროს მოსაძებნად გაიქცა. ახლო-მახლო წყარო არსად იყო, მაგრამ ვანუამ წყალი ბოლოს მაინც მოიტანა. ის ღამე ტყის პირას, მინდორში გაათიეს. თავადმა შერმაზანმა ორჯერ მოაკითხათ, ხომ არაფერი გიჭირთო. ბალღი ჭირვეულობდა. ძიძასთან აღარ დაიძინა, ბებოსთან გადმოვიდა და ჩაეხუტა. ღამით რამდენჯერმე გამოიღვიძა. ხელით ბებოს ეძებდა და როცა დარწმუნდებოდა, რომ ის ისევ აქა ჰყავდა, იძინებდა.

"ნეტავ იმ დღეს, — ფიქრობდა საკუთარი და სხვისი ჭირით გულდათუთქული ქეთევანი. — რა ვიცოდი, თუ ის დღეც მოსანატრებელი გამიხდებოდა! შენ გვერდში მყავდი, შვილო, ალექსანდრე და ლევანიც იქვე ახლოს მეგულებოდა!"

სახატეში მთელ კვირას სანთლები ენთო და ომში დაღუპულთა სულების მოსახსენიებლად წირვა-ლოცვა არ შემწყდარა. დღეგამოშვებით მორჩილი ძმებიც მოდიოდნენ და ქეთევან დედოფლის ერთადერთ სულიერ წინამძღვარ მამა მოსეს მღვდელმსახურებაში ეხმარებოდნენ. ხუთშაბათ დღეს თავიანთ საყდარში სამგლოვიარო წირვა გადაიხადეს. წირვას დედოფალი ქეთევანი და შირაზის მთელი ქრისტიანობა დაესწრო. პატრების თანამემამულე პორტუგალიელი მეციხოვნენი, რომლებიც კუნძულს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდნენ, და მათი ერთმორწმუნე ქართველები ამ ომში, ურჯულო სპარსელების გადამკიდე, მართალია, ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ და ერთმანეთის სისხლიც ემართათ, მაგრამ საქმეში ღრმად ჩახედულ პატრებს ეს გარემოება ხელს არ უშლიდა, ორივე მხარის სულის საოხად ლოცვა-ევედრება აღევლინათ და სასუფევლის დამკვიდრება ეთხოვათ.

ამ უკანასკნელმა ამბავმა მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა და დიდებული შაჰის ღირსეულად დახვედრის სამზადისში გართული ბეგლარბეგის ყურამდეც მიაღწია. მოლები და ყადიები წვერს იგლეჯდნენ, პირიდან ცეცხლსა და გეენას

აფრქვევდნენ. ქრისტიანებმა მეტისმეტად აიშვეს თავი, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც უმაღლესი ხელისუფლების დასტურით ქალაქში კათოლიკური საყდარი აშენდა და იმის მაგიერ, დროთა განმავლობაში მაჰმადის ჭეშმარიტ რჯულზე გადმოდიოდნენ, მართლმორწმუნეთ იქით ეზიდებიან და ეშმაკეულის გზაზე აყენებენო.

შირაზში მართლაც იყო რამდენიმე შემთხვევა იმისა, რომ მაჰმადის რჯულის აღმსარებელი ქრისტიანად მოინათლა, მამა-პაპის სარწმუნოება დააგდო და გიაურთა ღმერთს შეეკედლა. აღშფოთებულმა მოლა-ყადიებმა ერთ დღეს ხალხი ააჯანყეს და მაღალი ალაჰის მოღალატეთა საჯაროდ დასჯა მოითხოვეს. უბედურები კიდევაც შეიპყრეს, ჯურღმულში ჩაყარეს და ქალაქის მთავარ მოედანზე კოცონზე მათ დასაწვავად ცეცხლიც გააჩაღეს, რათა ყველას დაენახა და ყურად ეღო, მაჰმადის რჯულის ყოველ შემგინებელს რა მოელოდა, მაგრამ შეპყრობილები ღამით ვიღაცას სასწაულებრივ გაეპარებინა და სისხლმოწყურებული ბრბო ამაოდ მოელოდა მოედანზე მათ გამოყვანას.

გაწბილებული ლიანგი, როგორც მოსალოდნელი იყო, ჯერ კათოლიკურ საყდარს მიადგა. ესენი გადამალავდნენ, სხვაგან სად უნდა წასულიყვნენ, როცა ქალაქის კარში გასული არავინ უნახავთო. ყველა კუთხე-კუნჭული მოიარეს, მიმდებარე უბნებიც გაჩხრიკეს, ჭებშიაც კი ჩაიხედეს და როცა ვერავინ იპოვნეს, საბოლოოდ ეპვი ქეთევან დედოფლის სადგომზე მიიტანეს.

— რა ამბავია, რა ხდება? — იკითხა ქეთევანმა, რომელსაც გადარეული ბრბოს გნიასი სახატეშივე გაეგონა და გარეთ გამობრძანდა.

— სიკვდილმისჯილებს ეძებენ, დედოფალო! — მიუგეს მას შეშინებულმა მოახლეებმა, სახეზე კაციშვილის ფერი რომ აღარ ედოთ. — ესაა მოსე მღვდელი დაიჭირეს, ახლა აქ აპირებენ შემოცვენას. ჩვენმა კაცებმა და საპურისებმა გარეთა კარი დაკეტეს და შიგნიდან გაამაგრეს, მაგრამ კარი ძველია და როდემდე გაუძლებს!..

— ღმერთო ჩემო, მოსე მღვდელს მანდ რა ესაქმება?!

როდესაც მოკლედ აუხსნეს, რა და როგორ იყო, ქეთევანმა იაზრა, საქმე დაუყოვნებლივ მოქმედებას მოითხოვდა, რადგანაც ლაგამაწყვეტილ, გამხეცებულ ბრბოს ყოველგვარი სისასტიკის ჩადენა შეეძლო, რისთვისაც არავის წინაშე პასუხს არ აგებდა და მაშინვე ბრძანა, ამბის შესატყობინებლად ბეგლარბეგთან ვინმე გაეგზავნათ. ეს ახლა ადვილი საქმე აღარ იყო. საამმა ვაჟკაცმა, რომელთა შორის ერთი საპურისიც ერია, მაშინვე მიაშურა ვიწრო ტალანს,

ცალფა კარით შიგა ეზოში რომ გადიოდა. საბედნიეროდ, მათი თავგანწირვა საჭირო აღარ აღმოჩნდა. იმამყული-ხანს თვით ეზრუნა სიფრთხილის ყველა ზომის მისაღებად და ძველი სასახლის დაცვის მიზნით, სადაც ტყვე დედოფალი და მისი მხლებლები ცხოვრობდნენ, შეიარაღებული რაზმი გამოეგზავნა.

სასახლის ოთხკედელშუა გამოკეტილ ქეთევანსა და უმწეო ქალებს ბეგლარბეგის მიერ გამოგზავნილმა რაზმმა სულზე მოუსწრო. ბრბოს კარი უკვე შემოენგრია და შიგნით შემოსაკარდნად ზედახორა გაემართა.

ყიზილბაშ შებოსანთა რაზმი სასახლეს გარს შემოერტყა და მოძალადეთ, შავწვერმოშვებულ ჩალმიან კაცებსა და თალხ ჩადრებში გახვეულ დედაკაცებს, რომელთა რიცხვი თვალდათ-ვალ იზრდებოდა და უკვე რამდენიმე ათასს აღწევდა, გზა გადაუღობა. მხოლოდ მოლა-ყადიებს დაერთოთ ნება სასახლეში შესულიყვნენ და იქაურობა ძირისძირობამდე გაეხსრიკათ.

სასახლის ბინადართა საბედნიეროდ, გაქცეულები არც იქ აღმოჩნდნენ და სამართებელივით ალესილი მოლა-ყადიები გარეთ ხელცარიელი გამოვიდნენ. ბრბო დარწმუნებული იყო, რომ ალაჰის მგმობელთა სამალავს მიაგნეს, კიდევ რამდენიმე წუთიც და ისინი მათ წინაშე წარმოსდგებოდნენ, მაგრამ როდესაც ეს მოლოდინი არ გამართლდა, მან აღარც თავის სულიერ მამებს დაუჯერა და სასახლეში შესაკრელად ერთხელ კიდევ მთელი ძალით გაიბრძოლა. იმარჯვა იმამყული-ხანის გამოგზავნილმა რაზმმა, შუბები დაატრიალა და ბრბო აიძულა უკან დაეხია.

რაზმის წინამძღოლი ასისთავის პირით, რომელიც გამაჰმადიანებული ქართველი აღმოჩნდა, იმამყული-ხანს დედოფლისათვის ბოდიში შემოეთვალა, რომ პირადად ვერ ეახლა და ეს უწესრიგობა ვერ აღკვეთა. ისპაჰანიდან ეს არის შეგვატყობინეს, რომ მის უდიდებულესობა შაჰს გადაუფიქრებია ჩვენს ქალაქში ჩამობრძანება და ჯარითურთ იქით მიბარებსო. ახლა გზას ვადგავარ, სატახტო ქალაქში, ალბათ, დიდხანს არ დავრჩები და ჩემს დაბრუნებამდე ვინძლო თავი ობლად არ იგრძნოო.

თავი LXXIX

სასახლე დარბევასა და გაქიაქებას კი გადაურჩა და დამფრთხალ ქალებსაც ჩაუდგათ გული საგულეში, მაგრამ აღტკინებულმა ბრბომ, რაკი საწადელს ვერ მიაღწია და ალაჰის მგმობელი თანამემამულენი ხელში ვერ ჩაიგდო, რათა ყოველი მათგანისათვის ჯეროვანი მიეზღო, მთელი რისხვა

მოსე მღვდელს დაატეხა. მართლმორწმუნეთა გადაბირება და მათი საიდუმლოდ მონათვლა სწორედ მას ბრალდებოდა.

აღშფოთებულმა შირაზელმა მაჰმადიანებმა ესეც არ იკმარეს. მღვდელს ერთ-ერთი გაქრისტიანებული ქმარშვილიანი ქალის გაბახება დასწამეს და დამნაშავის სამსჯავროს წინაშე წარდგომას მოითხოვდნენ. მომჩივანი არა სხვა ვინმე, არამედ თვით სჯულიერი ქმარი იყო. თავის შერცხვენას ის საქვეყნოდ აღიარებდა და გაიძახოდა, ვერ მოვისვენებ, სანამ ორივეს ამ ხელით არ დავკლავ და მათი ბინძური ხორცით უბნის ძაღლებს არ დავაძღებო.

ქალი, ვისაც ქრისტიან ხუცესთან, პაპის ტოლ მოსესთან დანაშაულებრივი კავშირის ბრალი ედებოდა, ვაჭრის ცოლი იყო, გვარტომობით სომეხი და სასახლის ბაღის კედლის მიღმა, ქუჩის საპირისპირო მხარეზე ცხოვრობდა. მას მართლაც ხშირად ხედავდნენ გურჯი დედოფლის მხლებელ ქალებს შორის, რომელთა მიმართაც ერთობ კეთილად იყო განწყობილი და იქნებ ეს გარემოებაც გახდა მიზეზი იმისა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ქალმა მაჰმადის რჯული დააგდო და თავის ღმერთად იესო მაცხოვარი იწამა.

სულიერი წინამძღვრის ბედით შეშფოთებულმა და თავზარდაცემულმა ქეთევანმა მის ხელთ არსებულ ყოველ ღონეს მიმართა, რომ მოყვასთა შორის მუდამ სიკეთის მთესველი, ღვთის ღრმად მორწმუნე მოსე მღვდელი მტარვალის კლანჭებისაგან გამოეხსნა. მოლა-ყადიებს, ვინც მათ მიერვე ამბოხებულ ბრბოს სათავეში ედგა და მის ყოველ ნება-სურვილს განაგებდა, გაგონებაც არ უნდოდათ, რომ მიხრწნილი მამა მოსე ამ საქმეში სრულიად უბრალო იყო. იმედი რომ გადაეწურა და საშველი აღარსაით გამოჩნდა, ქეთევანმა თვით იმამყული-ხანის შეწუხება გადაწყვიტა. შეეშზადა კიდევაც, რათა ბეგლარბეგს პირადად ხლებოდა და მისდამი თავისი გულწრფელი პატივისცემა ერთხელ კიდევ დაედასტურებინა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოუვიდა სარწმუნო ცნობა, რომ ბეგლარბეგი და მისი რჩეული ლაშქარი, რომელმაც სპარსეთის ყურეში, კუნძულ ორმუზზე სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გადაიხადა და შინ გამარჯვებული დაბრუნდა, დილაბნელზე ქალაქიდან გავიდა და გეზი ისპაჰანისაკენ აიღო, სადაც დიდებული შაჰი და მთელი სამეფო კარი ელოდებოდა.

ქეთევანი სრულ სასოწარკვეთილებაში ჩავარდა. პირველად ნახეს ის მტირალი, იმედგატეხილი და მის გარშემოც ტირილმა და ურვამ დაისადგურა.

საქმეს იქნებ ასე მწვავე ხასიათი არ მიეღო, სახანოს დიამბეგებს იგი იქნებ კიდევაც გაერჩიათ და ოქროს შუალე-

დის გზასაც დასდგომოდნენ, მოლა-ყადიებს საიდუმლო განკარგულება რომ არ ჰქონოდათ მიღებული სატახტო ქალაქიდან, რომლის თანახმადაც რაიმე გზით მამა მოსეს თავიდან მოშორებას მოითხოვდნენ.

ეს განკარგულება ქეთევან დედოფლის ორივე მწირველ მღვდელს შეეხებოდა, რადგანაც როგორც ერთი, ისე მეორე წინ ეღობებოდა გიაური დედოფლის მიერ ქრისტეს რჯულის დაგდებას და გამაჰმადიანებას, მაგრამ უმრწემესმა ღვთისმსახურმა, მამა გიორგიმ, მოახლეებულ საშიშროებას ალლო დროზე აულო, მაჰმადიანობა თავისიანებისაგან ფარულად, ნებაყოფლობით აღიარა და დედოფალსა და მის გუნდს გაეცალა. დღესდღეობით რჩებოდა მხოლოდ მოსე მღვდელი, ერთადერთი შუამავალი ქეთევანსა და მის ღმერთს შორის. მოსეს თავიდან მოშორება და ღმერთის წინაშე ქეთევანის მარტოდმარტო დატოვება მის მოსატეხად და მაჰმადის საუფლოში გადასაყვანად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა.

მოსე მღვდელი გულაბ-ყალაში დაამწყვდიეს, სწორედ იმ ბნელი და ნესტიანი საკნის მეზობლად, სადაც ოდესღაც შაჰ-აბასის მიერ სპარსეთში მოტყუებით ჩამოყვანილი ქართლის მეფე ლუარსაბი აღესრულა და გარე სამყაროსთან ყოველგვარი კავშირი გაუწყვიტეს.

შირაზელი მართლმორწმუნე მაჰმადიანები თავიანთ განმდგარ თანამოძმეთ, მათ შორის ვაჭრის შარახვეტია ცოლსაც, რომლის აღვირახსნილობა დროთა განმავლობაში თავადაც დაიჯერეს, უკვე აღარ დაეძებდნენ, მათი პოვნისა და რჯულის სამსჯავროზე წარდგომის იმედი მალევე დაჰკარგეს. გაცოფებული ბრბოს რისხვა და შურისძიება ახლა მთლიანად სიბერითა და გამუდმებული მარხულობით დაძაბუნებულ მოსე მღვდელს დაატყდა თავს. მთელი ქალაქი, დიდი და მცირე, მოუთმენლად მოელოდა მის სიკვდილით დასჯას, რომელიც დღე-დღეზე უნდა მომხდარიყო.

სიკვდილით დასჯას, ისიც ჯოჯოხეთური წამებით, რითაც მხოლოდ ერეტიკოსებს უმასპინძლდებოდნენ, წინ აღარაფერი უდგა, მაგრამ რაკი მსხვერპლი ხელთ ჰყავდათ და ტარუღაც ხალხის მხარეს იჭერდა, ის კი ბეგლარბეგის შინ არყოფნისას ქალაქის უზენაეს ხელისუფლად ითვლებოდა, მოლა-ყადიებმა კიდევ მეტი მოინდომეს. გადაწყვიტეს, სანამ მსჯავრდადებული მღვდელი განაჩენის აღსასრულებლად ჯალათებს გადაეცემოდა, იგი გაემაჰმადიანებინათ. ძიმშილითა და გვემით ღონემიხდილი ბერიკაცი ამაზე ვერ დაიყოლიეს. ის ისევ უარზე დადგა. მაშინ ტუსაღს აშმორებული სასმელი წყალიც შეუწ-

ყვიტეს, რომელსაც აქამდე დღეგამოშვებით აძლევდნენ და კიდევ უფრო გაუსაძლის დღეში ჩააგდეს.

ციხის საკანში პარასკევ დღეს დამწყვდეულ მღვდელს მომდევნო კვირის ხუთშაბათ დილას სული კვლავ ედგა. მოლა-ყადიები თავს ერთხელ კიდევ წამოადგნენ და სასომიხ-დილს თავიანთი მოთხოვნა გაუმეორეს. ამჯერად სიცოცხლის შენარჩუნებას პირდებოდნენ, თუმცა საბრალო მოძღვარს ეს დაპირება უკვე აღარაფრად ესაჭიროებოდა და ის ვერც ვეღარაფერს შესცვლიდა, რადგანაც სააქაო პირი აღარ ჰქონდა. უკანასკნელად თავი გააქნია, თვალი დახუჭა და უპე ერთადერთმა ობოლმა ცრემლმა დაუსველა.

ვინ-ღა ვერ მიხვდებოდა, რომ ყოველივე, რაც მამა მოსეს თავს დაატყდა, რაც მას ბრმად მორწმუნე მოლა-ყადიებმა დაატეხეს, ქეთევანის წინააღმდეგ მიმართული უკანასკნელი გაფრთხილება იყო. ქეთევანს ყურად უნდა ეღო ეს გაფრთ-ხილება. თავის რჯულზე ჯიუტად მდგომ დედოფალს უნდა სცოდნოდა, რომ თუ უაზრო წინააღმდეგობის გაწევას კვლავ გააგრძელებდა და დიდებული შაჰის მოთხოვნას შემდგომშიაც არად ჩააგდებდა, თავადაც ის ელოდა, რაც მის სულიერ წინამძღვარს შეამთხვიეს.

თავი წამოჰყო არცთუ უსაფუძვლო ეჭვმა, რომ მართლ-მორწმუნე მაჰმადიანების ქრისტიანებად მოხათვლა და შემდეგ მიმალვაც საამისოდ შეთქმულმა პირებმა განზრახ მოიგონეს და უგუნურ ბრბოს ყურში ჩააწვეთეს, რათა კათოლიკე მისიონერთა საყდრის დარბევის, გურჯი დედოფლის სადგომში დაუსჯელად შეჭრის და უდანაშაულო მოძღვრის სიკვდილით დასჯის კანონიერი უფლება მოეპოებინათ.

ქეთევანს არ უნდოდა ამ ეჭვის დაჯერება. მიუხედავად სპარსეთის ტახტის ერთგული სამსახურისა და მაჰმადიანობისა, იმამყული-ხანი კეთილშობილ, რაინდული ბუნების კაცად მიაჩნდა. ასეთად თვლიდნენ მას სხვებიც, შინაურნი და გარეშენი, ქვეყნის ყოველი კუთხიდან ბეგლარბეგის სტუმარ-თმოყვარე ქერქვეშ რომ იკრიბებოდნენ და კაზმული სიტყვისა და ხელოვნების გულწრფელი თაყვანისმცემელი მასპინძლის ქება-დიდებაში ერთმანეთს ტოლს არ უდებდნენ.

თავი LXXX

გალაღებულმა შაჰ-აბასმა გულით საყვარელი ქვეშევრ-დომი იმამყული-ხანი, ვისი მეგობრობითაც საქვეყნოდ ამა-ყობდა, სატახტო ქალაქში კარგა ხანს ისტუმრა და გვერდიდან

ალარ იშორებდა. წარჩინებული კარისკაცები, ვეზირები და სარდლები, ტახტთან ყველაზე მეტად დაახლოებულნი, შურით დაილივნენ. რა აკლდა ხელმწიფის წყალობით ყველამდე სავსე იმამყული-ხანს, კიდევ რით-ღა შეიძლებოდა შაჰის რჩეულის აღზევება, როდესაც მის ზემოთ მხოლოდ ალაჰი და დედამიწაზე მისი მოადგილე სპარსეთის ძლევამოსილი შაჰინ-შაჰი იყო!

ხანი შეუმცდარი ალღოთი გრძნობდა მეშურნეთა და ავის მდომელთა ღვარძლიან მზერას, თუმცა პირში უკლებლივ ყველა ეფერებოდა და მისთვის გუნდრუკის კმევას არ თაკილობდა. თავადაც მობეზრდა ალი-ყაფუს ერთფეროვნება, ერთსა და იმავე ადამიანებთან ყოველდღე შეხვედრა, პირმოთნე ღიმილი, რომელსაც სხვები ნიღბად იყენებდნენ და ისიც იძულებული იყო ნიღაბი აეფარებინა. აქ, ხელმწიფის სასახლეში, ხელთუქმნელი ნივთებისა და ფუფუნების სამყაროში, მრავალდღიან ლაშქრობებსა და იარაღის ტრიალს ჩვეული კაცი თავს უფლებააყრილ ტუსაღად გრძნობდა და ერთი თავისუფალი განავარდება, როდესაც თავისი თავის პატრონი და განმგებელი თვითონვე იქნებოდა, ქვეყანას ერჩივნა.

აბასი მიუხვდა მოუსვენრობის მიზეზს. გაუტყდა კიდევაც, ამდენ ხალხში, გარს ფუმფლასავით რომ მახვევია, კაცი არა მყავს, ფიქრი გავუზიარო, ხვაშიადი გავუმხილო და გულწრფელად ნათქვამ სიტყვაზე ასევე გულწრფელი გამოძახილი გავიგონოო. ყველა ჩემს მოტყუებას, თვალების აბმას ლამობს, რათა თავი იმად შემომაჩეჩოს, რაც ნამდვილად არ არის და ჩემგან რაიმე საზღაური მიიღოსო. არა და, შენ იცი, იმამყული-ხან, მე უპკურ კაცი არა ვარ, ჩემი გაცურება და მშრალზე დასმა არცთუ ისე ადვილიაო. შენ ერთადერთი ადამიანი მეგულები ამ ცოდვილ ქვეყანაზე, ვისთანაც ალაჰის მადლმა, თავს ისე ვგრძნობ, როგორც ტოლი ტოლთანო. რა ვუყოთ, თუ მე შაჰი ვარ და ღმერთმა შენ მხოლოდ ხანობა გარგუნაო. ასე მგონია, თითქოს ერთი დედის საშოში გაეჩენილიყოთ და ერთმანეთს არც არასოდეს დავშორებოდეთო. შინ დაბრუნება გწადია, გატყობ, გული შირაზისაკენ მიგიწევს, იქნებ იქ საქმეც გიფუქდება, მაგრამ ცოტაც მაცალე, მოხუცს ამ თავკერძა ხროვაში ნუ მიმატოვებ, ცოტა ხანს კიდევ მოათიე ჩემს ახლოს და მე ვიცოდე და შენმა პატივისცემამ.

შაჰის პატივისცემა და წყალობა იმამყული-ხანს ისედაც არ აკლდა, მაგრამ მისი პირიდან ამოსული ეს სიტყვები მაინც ყველაზე უფრო დიდ წყალობას ჰარბობდა. სხვა გზა ალარა ჰქონდა, ის-ღა დარჩა, მოთმინებით აღჭურვილიყო და მოეცადა იმ დრომდე, როდესაც დიდებული შაჰი მის შინ გაშვებას მოინებებდა.

ამასობაში გაზაფხულის უკანასკნელი დღეები გაილია და ზაფხულმაც ფეხი გაიდგა. ზაფხული ისპაჰანში, ისევე როგორც მთლიანად სპარსეთში, მეტად მტხუნვარე იცის. ირგვლივ შემორტყმული თვალუწვდენელი უდაბნოები სატახტო ქალაქს ცხელ ქარებით უმასპინძლდებიან, რასაც მზეზე გახურებული შენობების ხვატიც ემატება და ყოველი სულდგმულისათვის სიცოცხლეს გაუსაძლისს ხდის. სიგრილისა და სისველის ერთადერთი წყარო ზაიენდერუდი ამ დროს საშესა სიცხისაგან მისავათებული ხალხით. აქაფებულ ზვირთებს ზემოთ მხოლოდ ჩალმიანი მამაკაცების თავები მოჩანს. თალხ ჩადრში გახვეულ ქალებს ტანთ გახდა და მზისთვის შიშველი სხეულის ჩვენება ეკრძალებათ. ისინი ღამით გამოდიან, სიბნელით სარგებლობენ და წელიწადივით გრძელი დღის პაპანაქებით დასიცხულნი სულს იბრუნებენ, დღისით კი დედა-მდინარეში ფეხის დასველებით კმაყოფილდებიან.

ზაფხულის ერთ ასეთ საღამოს შაჰ-აბასი და ფარსის ბეგლარბეგი იმამყული-ხანი სასახლის ბაღნაში სეირნობდნენ. ეს ის ბაღნარი იყო, რომელსაც ალი-ყაფუს მეორე სართულზე მოთავსებული ჰარამხანის ფანჯრები გადმოჰყურებდნენ და სადაც ოდესღაც მისი უდიდებულესობის სტუმრად მყოფ ქართლ-კახეთის მეფეებს, თეიმურაზსა და ლუარსაბს, თამარ ამილახვრის მიერ წინასწარ გაფრთხილებული მათი დები, შაჰის ცოლები, ლელა და ელენე ბატონიშვილები, ფარდის უკან გულაძგერებული ელოდნენ.

შაჰს შილიფად ჩაეცვა. ტანთ აბრეშუმის ფოჩიანი სარტყლით შემოჭერილი წითელი ატლასის ხალათი ემოსა, რომელიც ბანჯგვლიან წვიებს უფარავდა, შიშველი ფეხები კი ხის ფოსტლებში წაედგა. ის ახალი გამოსული იყო აბაზანიდან, სადაც სახელოსნოში საქმობის რამდენიმე ხნის შემდეგ შევიდა და დახელოვნებული მექისეების მიერ დაზეილი და ნელსაცხებლებში ნაბანავები თავს მხნედ და მსუბუქად გრძნობდა. იმამყული-ხანი წინასწარ დააბარებინა. ასე რომ, ის რომ ბაღნარში შემოვიდა, ბეგლარბეგი უკვე იქ იყო და მისი უდიდებულესობის გამოჩენას ელოდა.

— სალამ ალეიქუმ, იმამყული-ხან! — მიესალმა შაჰი, როდესაც ხანმა ორივე მუხლი მოიყარა და სპარსეთის ხელმწიფის კარზე მიღებულ ჩვეულებისამებრ თავი მიწამდე დაუხარა. — აბრძანდი, გეთაყვა, რამდენჯერ გითხარი, მე და შენ თანატოლები ვართ და ყოველთვის ისე უნდა ვიქცეოდეთ, როგორც თანატოლებს ეკადრებათ-მეთქი!

— სალამ ალეიქუმ, თქვენო უდიდებულესობავ! — ისე უპასუხა იმამყული-ხანმა, თითქოს მბრძანებლის უკანასკნელი სიტყვები არც კი გაეგონოს, წამოდგა და კოტიტა ხელს, შაჰმა

წინასწარ დადებული პირობის მიუხედავად რომ გაუწოდა, კრძალვით ეამბორა.

— ამ საღამოს მგონი ისე აღარ ცხელა, როგორც გუშინ ამ დროს, — სასურველ სტუმარს ქართულად მიმართა შაჰ-აბასმა და ძელსკამზე პირველი ჩამოჯდა. — ასეა ნეტავ თუ მე მეჩვენება?

— ნამდვილად გრილა, თქვენო უდიდებულესობავ, გუშინ-დელთან რა შედარებაა! — კვერი დაუკრა იმამყული-ხანმა და თავისი სიტყვების დასადასტურებლად შადრევანს შეხედა, შუაგულ ყვავილნარში, ანკარა წყლით სანახევროდ მოყრილ აუზში რომ ამოსჩქეფდა და ირგვლივ სიცოცხლის მომნიჭებელ ბურს აყენებდა.

— დაბრძანდი, რას უდგეხარ, — თითქოს იქ მეტი ადგილი არ ყოფილიყოს, შაჰ-აბასმა ქვემოთ ჩაიწია. — ხომ არ მოიწყინე, ხან, ბოლო დროს რაღაც დაღვრემილი მეჩვენები!

— თქვენს გვერდით ვინ მოიწყენს, თქვენო უდიდებულე-სობავ, — თქვა იმამყული-ხანმა და დაჯდა. — ალაჰს მადლობას ვწირავ, რომ ასეთი დიდი წყალობა მარგუნა. თქვენი უდიდე-ბულესობის ჩრდილში ყოფნას ვინ არ ინატრებდა!

შაჰს ქება ესიამოვნა, საყვარელ ქვეშევრდომს სამაგიერო ქათინაურით გაუმასპინძლდა, მაგრამ მიგ სამსალაც გაურია:

— შენთან საუბარი მომენატრა, იმამყული-ხან, რჩევაც მინდა გკითხო და ცოტა საყვედურიც გაკადრო, თუ შენს აღმატებულებას საწყენად არ დარჩება!

იმამყული-ხანმა გულზე ხელი მიიდო და ბეჭებში ოდნავ მოიხარა:

— მე მზად გახლავართ მოსასმენად, თუმცა ათასწილ მერჩივნა, თქვენი უდიდებულესობის სურვილი წინასწარ გამომეცნო და საყვედური, ახლა რომ უნდა მიბრძანოთ, არ დამესახურებინა!

შაჰ-აბასს ეს მოეწონა, სიტყვა შორიდან დაიწყო, ბოლოს კი შირაზში ტყვედ მყოფ ქეთევან დედოფალს გადაწვდა. მისი სიტყვებიდან ისე გამოდიოდა, რომ უაღრეს პატივს სცემდა ქეთევანს, ქვეყნიერებაზე ერთ უპკვიანეს და ღირსეულ ქალად მიაჩნდა, წუხდა მხოლოდ, რომ ქალისადმი ეს თაყვანისცემა ცალმხრივი იყო, ქეთევანის თანაგრძნობას ვერანაირად ვერ მიაღწია.

იმამყული-ხანი მთელი გულისყურით უსმენდა და არ ჩქარობდა, მბრძანებლის ნაღელიან აღსარებაში, თუ ის ჩვეულებისამებრ არ თვალთმაქცობდა და ყოველივე ამას გულით ამბობდა, სიტყვა ჩაერთო. იქნებ კიდევაც შეცვალა ადრინდელი გადაწყეტილება? იქნებ საყვარელი შვილიშვილე-ბის დასაჯურისება და შემდეგ სიკვდილი, რაც ღვთის განგებით მოხდა, საკმარის სასჯელად მიაჩნდა? იქნებ თეიმურაზის

შემორიგებას აპირებდა და ქეთევანზე უფრო საიმედო და ყოვლის შემძლე დამხმარე სხვა ვინ ეყოლებოდა?

ხანის ვარაუდი არ გამართლდა. შაჰმა საუბარი სულ სხვა მიმართულებით წარმართა. თეიმურაზისადმი კეთილი განწყობილება არაფრით გამოუმჟღავნებია. ის მხოლოდ ორჯერ ახსენა და მაშინაც მხოლოდ იმისათვის, რომ კახბატონის მზაკვრობისა და უგუნურობის გამო, რაც მან მემკვიდრეობით პაპისაგან მიიღო, გულისწყრომა გამოეთქვა.

შაჰი მის მიერვე წარმოთქმულმა სიტყვებმა აანთო. გუნება ერთბაშად შეეცვალა. ჰაღარა წარბების ქვეშიდან გამომზირალ მრგვალ, სისხლიან თვალებში რისხვა და შურისძიების წყურვილი ჩაუდგა.

— ეგ გიაური დედაკაცი თავის დროზე შირაზში რისთვის გამოვგზავნე? ვიმედოვნებდი, შენს ხათრს მოიდებდა, საკუთარ უსასოო მდგომარეობას დაუფიქრდებოდა, განმდგარი ლეკვის ჩემთან შემორიგებაზე იზრუნებდა, ქრისტიანობაზე ბოლოს და ბოლოს ხელს აიღებდა, ერსაც მაჰმადის რჯულზე მოაქცევდა და სპარსეთის დედოფლის გვირგვინს დაიდგამდა! იმამყული-ხან, მე არ მეგულება ქვეყნიერებაზე მეორე დედაკაცი, არც აღმოსავლით და არც დასავლით, ვისაც ძალუძს ხელმწიფურ პატივზე უარი თქვას და მეფურ დიდებასა და განცხრომით ცხოვრებას პატიმრის მათხოვრული ხვედრი ამჯობინოს! აბა, ერთი მითხარი, შენ კი გეგულება?

იმამყული-ხანმა უნებლიეთ მხრები აიჩეჩა, თვალები დახარა, ერთბაშად ვერ გადაწყვიტა, რა პასუხი გაეცა, ბოლოს კი, როცა შეატყო, უპასუხობა არ იქნება, რაღაც აუცილებლად უნდა ვთქვაო, საკუთარი აზრის გამოთქმას მოერიდა, მხოლოდ მისი ნათქვამი გაიმეორა:

— თავდაპირველად, რა დაგიმალოთ, თქვენო უდიდებულესობავ, ჩვენც აგრე გვეგონა და ვიმედოვნებდით, რომ დედოფალი ჩვენთვის სასურველ ნაბიჯს გადადგამდა, ცდაც არ დაგვიკლია, მაგრამ მოლოდინმა არ გაგვიმართლა და დღეს მხოლოდ სინანულის გამოთქმა გვმართებს!

შაჰმა ბეგლარბეგი სიტყვაზე დაიჭირა და ცოფები ჰყარა:

— მე ვიცი, რაც გმართებს, იმამყული-ხან და ვწუხვარ, რომ ჩემს კარნახს ელოდები, მანამდე კი... ქეთევან დედოფალი უნდა გათათრდეს! ქრისტე უნდა უარჰყოს და მაჰმადის რჯულს უნდა ეზიაროს! უნდა აღიაროს, რომ არა არს ღმერთი, თეინიერ ალაჰისა და მუჰამედი არის მოციქული მისი!

— თქვენი უდიდებულესობის ყველა სურვილი კანონია ყველა ქვეშევრდომისათვის, — თქვა იმამყული-ხანმა, ნატიფი

ხელი გულზე მიიდო და ცალი მუხლი მიწამდე დაჰხარა. — მაგრამ ნება მიბოძეთ, ჩემი აზრიც მოგახსენოთ!

ყოცონივით აბრიალებულმა შაჰ-აბასმა, რომლის გუნება-განწყობილების შეცვლა დღენიადაგ მოულოდნელად ხდებოდა, ხელები გულზე დაიკრიფა და მრგვალი თვალები ბეგლარბეგს მიაპყრო.

იმამყული-ხანმა გაუძლო ამ შემოხედვას, რომელიც გნებავთ სულიერის და უსულოს დაფერფლვა რომ შეეძლო და მშვიდად უპასუხა:

— ქეთევანი ბერი ქალია, თქვენო უდიდებულესობავ. რაკი აქამდე თავი შეინახა, ის აწი აღარ გათათრდება. მერწმუნეთ, თქვენო უდიდებულესობავ, სპარსეთის დედოფლის გვირგვინის დადგმაც დაგვიანებულია. ამ რვა და ათი წლის წინათ სხვა იყო. დაეხსენ, მადლია!..

— როგორ მიბედავ, იმამყული-ხან?! — ბეგლარბეგის უკანასკნელი სიტყვების გაგონებამ შაჰ-აბასი მთლად გააცოფა და მოთმინება დააკარგვინა. — მოიპოვება ქვეყნად სულდგმული, ვინც ჩემს ნებას გადავა? ნუთუ არ იცი, რომ ჩემს მოთმინებასაც აქვს საზღვარი?!

— მე მხოლოდ სიმართლეს მოგახსენებ, თქვენო უდიდებულესობავ და მზად ვარ, სიმართლის თქმისათვის ყველაზე უფრო მკაცრი სასჯელი მივიღო!

შაჰმა თავს ლაგამი ამოსდო, თუმცა ენაზე ადგა სიტყვა, კიდევაც მიიღებო, შეეცადა, არ ეთქვა ის, რასაც უკან ვეღარ დაიბრუნებდა, ხმაში გარეული დაცინვით მხოლოდ ეს იკითხა:

— მაშ, შენ ამბობ, არ გათათრდება?

იმამყული-ხანმა თავი ძლივს შესამჩნევად გააქნია და ტანის მთელი სიმძიმე მიწაზე დაბჯენილ მუხლზე გადაიტანა.

— არა, თქვენო უდიდებულესობავ!

— არც დედოფლის გვირგვინს დაიდგამს?

— რვა წელიწადი სრულდება, რაც ქეთევან დედოფალი თქვენი უდიდებულესობის ტყვეა. ეს დრო კმაროდა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

— ალაჰია მოწმე, მე არა მსურს ძალა ვიხმარო, იმამყული-ხან! ძალად დამორჩილებული ქალი რა სიამოვნებას მოგანიჭებს! თუ ახლაც უარზე დადგა და მაღალი ალაჰი გაარისხა, ხელ-ფეხში ბორკილი გაუყარეთ! გესმით? ხელ-ფეხში ბორკილი გაუყარეთ და დამდაბლებული აქ მომგვარეთ! აქ მისი მოსათვინიერებელი წამალი გამოჩნდება! სხვები კი; ვინც თან ახლავს და ვინც ჯერ კიდევ პირჯვარს იწერს, გაამაჰმადიანეთ! კაცებს ღულამთა კორპუსში უკარით თავი, ქალები ჰარამხანებში ჩამოარიგეთ! ვინც უარს იტყვის, ქალი იქნება

თუ კაცი, იქვე აკუწეთ! შენ, გატყობ, იმამყული-ხან, იმ გიაურ დედაკაცს თავის ჭკუაზე გადაუყვანიხარ, ნაცვლად იმისა, რომ ზეგარდმო მონიჭებული ძალაუფლება გამოგეყენებინა და აქეთ გადმოგეყვანა! არ მინდოდა, ამ სიტყვებით დაგმშვიდობებოდი. მირაზში შენი წასვლის დროც მოსულა. გზა დამილოცნია!

შაჰ-აბასი ამ სიტყვებით წამოდგა, ჯერ კიდევ ძალლონით სავსე ორივე კოტიტა ხელი წელზე შემოიდო, მუხლებზე დამხობილ საყვარელ სარდალს, ორმუზის ომის გმირს, ამ სამახსოვრო დღეებში ქება-დიდებითა და ხელმწიფური საბოძვრით რომ აავსო, ზედაც აღარ შეხედა და სასახლის კარში შევიდა, საიდანაც ვენეციური მარმარილოს თეთრად მოქათქათე კიბე მეორე სართულზე, ჰარამხანაში ადიოდა.

თავი LXXXI

სატახტო ქალაქ ისპაჰანიდან შინ ნაჩქარევად გამგზავრებულ იმამყული-ხანისა ჯერ კვალიც არ გაციებულიყო, სპარსეთის მპყრობელ შაჰ-აბასს თავისი დიდი ჩრდილოელი მეზობლისაგან ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული საგანგებო ელჩობა რომ მოუვიდა.

ელჩობას სათავეში დიდვაჟარი პეტრე სამუხინი ედგა. სამუხინს სხვა დროსაც არა ერთჯერ მოევლო სპარსეთი, ინდოეთის ოკეანის ნაპირებიც არა ერთჯერ მოენახულებინა და როდესაც მოსკოვ-ქალაქში შაჰ-აბასის კარზე გასაგზავნ ელჩობას ადგენდნენ და საქმე მის მეთაურზე მიდგა, არჩევანი აღმოსავლეთის ქვეყნების ზედმიწევნით მცოდნე პეტრე სამუხინზე შეჩერდა.

სამუხინისათვის, მდაბიო წარმოშობის ნოვგოროდელი დალაქის ნაბოლარა შვილისათვის, ვინც დაუზარელი შრომითა და გამჭრიახი გონების წყალობით ბევრ რამეს მიაღწია და დიდძალი ქონებაც დააგროვა, ეს ერთობ დიდი პატივი იყო. ეხუმრები? სპარსეთის მფლობელ შაჰ-აბასთან, ვისი შიშითაც მთელი აღმოსავლეთი თრთოდა, მას არა როგორც ვაჭარს, რომელსაც აქ გასასაღებელი საქონელი ჰქონდა ჩამოტანილი, არამედ თავისი გვირგვინოსანი მეფის სახელით უნდა ელაპარაკა.

პეტრე სამუხინი ახალარჩეულ ხელმწიფე მიხეილ რომანოვის საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვილი ელჩი იყო და დავალებაც, რაღა თქმა უნდა, საგანგებო ჰქონდა. რუსეთის ახალგაზრდა ხელმწიფე მისთვის მეტად საჩოთირო საქმეში ერეოდა. პეტრე სამუხინის პირით ის „თავის მეგობარს, დიდებულ შაჰინ-შაჰ აბასს“ თხოვდა, ტყვეობიდან გაეთავი-

სუფლებინა მეფე თეიმურაზის დედა, კახეთის დედოფალი ქეთევანი, და, არც მეტი, არც ნაკლები, რუსეთის ელჩობასთან ერთად მოსკოვს გაესტუმრებინა.

რუსეთის ელჩობის მოსელასთან დაკავშირებით შაჰის კარზე დიდი ზარ-ზეიმი გაიმართა. სანამ მისი მოსვლის ნამდვილ მიზეზს გაიგებდა, შაჰის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. თეთრმა ხელმწიფემ თავი დაიმდაბლა მის წინაშე და მეფეების შესაფერი ძღვენი მოართვა! ეს კარგი ნიშანი იყო. რუსეთი, რომელმაც ბოლო ხანს ლივონელ რაინდებს სძლია, ადრე დაკარგული სამფლობელოები დაიბრუნა და პოლონელ შლიახტიჩებსაც კუდით ქვა ასროლინა, ეტყობოდა, გრძნობდა სპარსეთის ძალას და უახლოეს მომავალში სამხრეთის საზღვრის დარღვევას არ შეეცდებოდა.

რუსხელმწიფის საგანგებო ელჩის მიღება ალი-ყაფუს სატახტო დარბაზში მოეწყო. შაჰ-აბასმა ამით რუსეთის ტახტისადმი თავისი პატივისცემა გამოხატა და ეს მთელ ევროპას დაანახა.

პეტრე სამუხინი რომ დარბაზში შეევიდა, თვალები აუჭრელდა. ამდენი სიმდიდრე, რითაც შაჰის სატახტო დარბაზი მნახველის თვალს ხიბლავდა და ატყვევებდა, მას მოსკოვის კრემლის წახნაგებიან პალატაშიაც არ ენახა. სამუხინმა შუბლი შეიკრა და ეს არ შეიმჩნია. თავი ისე დაიჭირა, როგორც საკუთარ სახლში. ძვირფასი თვლებით მოოჭვილ ტახტს, რომელზედაც ასევე თვალისმომჭრელად მოციმციმე სამეფო გვირგვინით შუბლშემკული შაჰ-აბასი იჯდა და ხელთ უზენაესი ძალაუფლების მაუწყებელი სამეფო სფერო ეპყრა, გაბედულად მიუახლოვდა, მისი უდიდებულესობის წინაშე მუხლის მოყრა არც უფიქრია, მხოლოდ ღრმა თავის დაკვრით და მარჯვენა ხელის იატაკამდე დაშვებით მიესალმა და რწმუნების სიგელი და რუსეთის მეფის მიერ გამოგზავნილი საჩუქრების სია წარუდგინა.

სიგელიცა და სიაც ელჩს კარისკაცებმა ჩამოართვეს და კარის დეფდერდარს გადასცეს, რომელიც შაჰის უკან იდგა დიდებულებსა და სარდლებს შორის, მაგრამ ორივე საბუთი რუსულად იყო შედგენილი და ყველასათვის გასაგებად მათი თარგმნა თარჯიმანს საჭიროებდა. თარჯიმანიც უმალვე გაჩნდა, სათვალე ამოიღო, მოირგო, ფურცელი დიდრონი ფანჯრიდან შემომავალ სინათლის სვეტისაკენ შეატრიალა და რწმუნების სიგელი სპარსულად წაიკითხა. ამა სიგელით დასტურდებოდა პეტრე სამუხინის ვინაობა და ის, რომ რუსეთის ხელმწიფე მიხეილ რომანოვისაგან სპარსეთის მპყრობელ შაჰ-აბასის კარზე საგანგებო უფლებამოსილებით იყო წარმოგზავნილი.

შაჰ-აბასი თვალებდაუხამხამებლად იჯდა ტახტზე, ცალი ნიდაყვით ტახტის ძგიდეს დაყრდნობოდა, მეორეში კი სფერო ეპყრა და ერთ წერტილს მიჩერებული თითქმის არ სუნთქავდა.

საჩუქრების სია პერგამენტის მთელ თაბახს შეიცავდა. თარჯიმანმა იგი სვენებ-სვენებით წაიკითხა, რათა თითოეული ნივთისათვის მეტი წონა და მნიშვნელობა მიენიჭებინა, გორგლად დაახვია, მდივანს დაუბრუნა და უკუდგა, რათა პეტრე სამუხინის მხარმარჯვნივ თავისი ადგილი დაეკავებინა.

მიღების ოფიციალური ნაწილი ამით დასრულდა და პეტრე სამუხინი, თარჯიმანითურთ, მეზობელ მომცრო დარბაზში გაიწვიეს, სადაც ხალიჩაზე, ხავერდის მუთაქებსა და ბალიშებს შორის, ხილის სუფრა იყო გაშლილი და ცისფერა-ხალუხიანი, თავჩალმიანი საპურისი ბიჭუნები ბატონების შემობრძანებას ელოდებოდნენ.

ორმოციოდე წუთის შემდეგ ხმა გამოვიდა, დიდი ჩრდილოელი მეზობლის საგანგებო ელჩი რა მიზნითაც გარჯილიყო. ხმამ უპირველეს ყოვლისა შაჰ-აბასის ყურამდე მიაღწია. ის მოუთმენლად ელოდა მოლაპარაკების პირველ შედეგს და როდესაც ეს მოახსენეს, ყურებს ვერ დაუჯერა, განრისხდა, ავარდა და დავარდა, ცოტა-ღა დააკლდა, ტახზე არ შემოიხია.

ჯერ ერთი, როგორ, რა მანქანებით მისწვდა ერთმორწმუნე რუსეთის ხელმწიფეს უპირული პაპის კვალზე მავალი თეიმურაზი, როცა ის სადღაც ყურისძირში, სულთან მურადის მოსაზღვრე ქვეყნებში ეგულებოდა? ესე იგი იქმნებოდა ახალი მოლალატური ჯალები! მაშ, კახბატონ ალექსანდრეს საქმე არ მომკვდარა, პირშავი თეიმურაზის სახით მას ახალი გამგრძელებელი და მესვეური გამოუჩნდა! ოო, გიაურ! რას აკეთებდნენ უცხოეთში დაგზავნილი მტოვრები და რეზიდენტები? ნუთუ ყველას ყურთბალიშზე ძინავს? რატომ, რა უფლების ძალით მოიხსენიებოდა თეიმურაზი მეფედ, როდესაც მეფობა შაჰისაგან ჩამორთმეული ჰქონდა და მის სამკვიდრო კახეთს შაჰის ნებითა და სურვილით ამჟამად სხვა განაგებდა? ხოლო რაც შეეხებოდა დედამისს, კახეთის დედოფალ ქეთევანს, ის შაჰის ქვეშევრდომი იყო, დატყვევებამდე შაჰის ხელდებულ ქვეყანას განაგებდა და სიკვდილითაც და სიცოცხლითაც შაჰის ნება-სურვილს ექვემდებარებოდა! რუსეთის ხელმწიფეს ნუთუ არ უნდა სცოდნოდა, რომ სპარსეთის მფლობელი შაჰ-აბასის შინაურ საქმეებში, თუ როგორ ემართა და განეგო ქვეყანა, გარდა მალალი ალაჰისა ვერავინ ჩაერეოდა?

ვიდრე ელჩს საბოლოო პასუხს გასცემდნენ, ბეჭობამ სამ დღეს გასტანა. პირველმა ელდამ და გულისწყრომამ გაიარა. ელჩი ქალაქგარეთ, საზაფხულო სასახლეში, ხელოვნურად გაშენებულ ტყეში დააბინავეს, რომელიც ღირსშესანიშნავი

იმით იყო, რომ წინ სპარსეთის დედა-მდინარე ზაიენდერუდი ჩაუდიოდა, ყოველდღიური სარჩო დაუნიშნეს და მზარეული და მსახური საჭურისები მიუჩინეს.

თუ ჭკუა უჭრიდა, ელჩს უნდა ეგრძნო, რომ სპარსეთის შაჰის კარზე დიდად სასურველი სტუმარი არ იყო, მაგრამ, ამავე დროს, ვერც უკმაყოფილება უნდა გამოეთქვა, რადგანაც მასპინძლები ყურადღებას არ აკლებდნენ და პატივით ეპყრობოდნენ. როდემდე გასტანდა პაპანაქება სიცხეში აქ უქმად დგომა და ლოდინი? ეს მხოლოდ ალაჰმა უწყოდა და პეტრე სამუხინიც მოთმინებით უნდა აღჭურვილიყო.

შაჰის კარზე კარგად მოეხსენებოდათ, სხვაზე ნაკლებ ეს არც თვით შაჰ-აბასმა იცოდა, რომ რუსხელმწიფის გაწბილება არ ეგებოდა. მის მიერ წარმოგზავნილ ელჩს ხელცარიელსა და თავლაფდასხმულს ვერ გაისტუმრებდნენ. მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არც შეფის თავხედური თხოვნის, უფრო კი მოთხოვნის შეწყნარება შეიძლებოდა. საქმე ისე უნდა გაერიგებინათ, რომ არც რუსეთს ჰქონოდა რაიმე სასაყვედურო და არც სპარსეთის მხარეს მოსვლოდა რაიმე ზიანი.

სასწრაფოდ აფრინეს კაცები შირაზში ფარსის ბეგლარბეგ იმამყული-ხანის მოსანახულებლად. ბეგლარბეგისათვის გადასაცემად მათ შაჰ-აბასის საიდუმლო ფირმანი მიჰქონდათ. ფირმანი ქართულად იყო შედგენილი, შიგ კი ეწერა, რომ ხანს ერთხელ კიდევ უნდა მიეგზავნა ხალხი ქეთევანთან, თუ საჭიროდ დაინახავდა, თავად ხლებოდა და მისი უდიდებულესობის სურვილი და ბრძანება ერთხელ კიდევ, უკანასკნელად გაემეორებინა. ქრისტეს რჯულზე ჯიუტად მდგომ დედოფალს ან უნდა უარეყო მამა-პაპის სარწმუნოება, მაჰმადი ეღიარებინა და შაჰის ცოლობაზე დათანხმებულიყო, ანდა მზეს სამუდამოდ გამოთხოვებოდა და სული ჯალათის ხელში დაელია.

უკეთუ ქეთევანი ახლა მაინც დათანხმდებოდა და ისლამს მიიღებდა, შაჰი, როგორც ადრევე ითქვა, მას ცოლად დაისვამდა, სპარსეთის დედოფლად გამოაცხადებდა და რუსხელმწიფის ელჩისთვისაც ცხადი გახდებოდა, რომ შაჰს თავისი სჯულიერი თანამეცხედრის არსად გაგზავნა არ შეეძლო, ხოლო თუ ის კვლავაც გაკერპდებოდა და გონივრულ სიტყვას არც ახლა შეისმენდა, ელჩს ეტყოდნენ, რომ ფარსის საბეგლარბეგოს ქალაქ შირაზში მცხოვრები დედოფალი ამჟამად ცოცხალთა შორის აღარ იყო, როგორც ირკვეოდა, სწორედ მოლაპარაკების დღეებში მიიცვალა და შაჰ-აბასს მხოლოდ ამ გადაულახავი მიზეზის გამო არ ძალუძდა რუსეთის დიდებული ხელმწიფის მეგობრული თხოვნის შესრულება, ელჩობასთან ერთად დედოფლის მოსკოვს გაგზავნა.

სატახტო ქალაქ ისპაჰანიდან შირაზამდე თორმეტი დღის სავალი გზა იდო. უხსოვარ დროში, ჯერ კიდევ კიროს დიდის დროს გაკეთებულ ამ გზას ბევრი თოვლიანი უღელტეხილი, სრულიად უწყლო უდაბნო და დაუსახლებელი ადგილები უნდა გაევლო. თუ მზავრი ძალიან იჩქარებდა, პირუტყვს არ დაზოგავდა, დღესა და ღამეს გაასწორებდა და წამდაუწუმ ცვალებადი ამინდიც ხელს შეუწყობდა, ეს გზა იქნებ რვა-ცხრა დღეშიაც დაეფარა. შაჰის ბრძანების თანახმად შირაზს გაგზავნილმა არცთუ მცირერიცხოვანმა რაზმმა, მისი უდიდებულესობის ნდობით აღჭურვილ კარისკაცებს რომ მიაცილებდა, სწორედ აქამდე გაუგონარი გულმოდგინება და გამძლეობა გამოიჩინა, გზა ექვსდღეახევარში განვლო და შირაზის კარს გაცილებით ადრე მიადგა, ვიდრე შეეძლო მისდგომოდა.

ბედად, იმამყული-ხანი შინ დაუხვდათ. მისი სტუმართმოყვარე სახლი დილიდანვე სტუმრებით ყოფილიყო გაჭედილი. ნავახშმევს სტუმრები გაკრეფილიყვნენ და როცა მესაწოლე საჭურისები შეცვივდნენ და სატახტო ქალაქიდან შაჰის კაცების მოსვლა ამცნეს, შინ შემობრუნებული ბეგლარბეგი დასაძინებლად ეწყობოდა.

იმამყული-ხანს გული შეუქანდა და ელდა ეცა.

„ვინ უნდა იყვნენ? — გაუელვა მას და წამოდგა. — აქ რა ესაქმებათ? ნუთუ შაჰმა სიტყვიერი რისხვა არ მაკმარა და ხალხი დამადევნა, რათა პატივაყრილი სატახტო ქალაქში დააბრუნოს? ალაჰ! ეს არის შენი სამართალი?“

მის თვალწინ წამში გაირბინა მთელმა გავლილმა ცხოვრებამ. ამ ცხოვრებაში ერთი ფიორიც არ იყო ისეთი, მართლმორწმუნე მაჰმადიანს თავისი რჯულისათვის შეუფერებლად რომ მიეჩნია. შაჰისა და ტახტის უყოყმანო ერთგულება მამისაგან, ნეტარხსენებული ალავერდი-ხანისაგან მოსდგამდა და იმ დღიდან მოკიდებული ამ დღემდე შაჰიც მადლიერი და მოწყალე ჰყავდა. რა მოხდა ბოლო დროს? რომელმა ბოროტმა ენამ აამხედრა მოწყალე შაჰი მის წინააღმდეგ? ვინ გაუხადა ძლევამოსილი მოყვარე მტრად, ვინ გაუჩინა ახალი მოურჩენელი სატკივარი?

საგონებელში ჩავარდნილ იმამყული-ხანს კარს მომდგარმა განსაცდელმა აუცილებელი სიფრთხილე უკარნახა. მცველი რაზმის უფროსი მოაყვანინა და უბრძანა, გალავნის. კარიბჭე ყრუდ ჩაეკეტათ, შუბოსანი ყიზილბაშების რიცხვი გაეორკეცებინათ, ბიგნით კი შაჰის მხოლოდ ის კაცები შემოეშვათ, მისი უდიდებულესობის სახელით ბეგლარბეგთან დაუყოვნებლივ წარდგენას რომ ითხოვდნენ. ხანის გონება გამალებული მუშაობდა. უკვე მწიფდებოდა აზრი, რომ რამდენიმე ასეული

ერთგული ყიზილბაშით, რომელთა ნახევარზე მეტი მისი გამაჰმადიანებული თანამემამულე იყო, ქალაქის კედელი გაემაგრებინა, მიუვალი გაეხადა და შაჰის ძალებისათვის, თუ ქალაქს უკვე ალყა ჰქონდა შემორტყმული, მედგარი წინააღმდეგობა გაეწია. მაგრამ თუ მაღალი ალაჰი ინებებდა და შაჰისანები მაინც სძლევდნენ, სანდო თანამებრძოლთა თანხლებით ბელუჯისტანში გადასულიყო და იქაურ მოძრაობას, არასოდეს რომ არა ცხრებოდა, სათავეში ჩასდგომოდა.

ბელუჯები სიხარულით მიიღებდნენ შაჰის ბანაკიდან ლტოლვილ სახელგანთქმულ სარდალს, აგერ გუშინ ორმუზის ციხეში გამაგრებული პორტუგალიელები რომ დაამარცხა და კუნძული, სრუტითურთ, უამისოდაც თვალუწვდენელ სპარსეთის სამეფოს შემოუერთა, გვერდში თავგანწირულად ამოუდგებოდნენ და მის თავს არავის დაანაგვრინებდნენ.

ოვალურ დარბაზში, სადაც ჩვეულებისამებრ მომსვლელებს იღებდა და დაუპატიჟებელი სტუმრების მისაღებად ახლაც ის აირჩია, კბილებამდე შეიარაღებული ბადრაგის თანხლებით შესულ იმამყული-ხანს უდაბნოს მტვრით თავით ფეხებამდე დაფარული საში ახოვანი მხედარი დაუხვდა. სამივე სტუმარი, ეტყობოდა, მასპინძელს კარგად იცნობდა. მობადრაგე ყიზილბაშებს შორის ის უმალვე გამოარჩიეს და, როდესაც მოახლოვდა, პირველი მიესალმნენ. ბეგლარბეგმა თავი ოდნავ დაუკრა მოსულთ, სამივეს სათითაოდ დააკვირდა, ნაცნობს ვერავის მიამსგავსა, ბოლოს მზერა იმაზე შეაჩერა, რომელიც ასაკითა და მდგომარეობით უფროსად მიიჩნია. მანაც არ დააყოვნა, მოსასხამის მტვრიანი კალთა გადაიწია, ხელი უბეში ღრმად ჩაიყო, ლუქით დაბეჭდილი პერგამენტის გორგალი ამოიღო, ზედ მოწიწებით ემთხვია, თავი დახარა, იმამყული-ხანს მიაწოდა და მხოლოდ ეს უთხრა:

— თქვენო აღმატებულებავ, მისი უდიდებულესობისაგან! გვაქვს პატივი გადმოგცეთ!..

იმამყული-ხანმა გორგალი ჩამოართვა. სანამ გახსნიდა და კითხვას შეუდგებოდა, დადგენილი წესის თანახმად, თავადაც ეამბორა და ხელში შეატრიალა, საიდან ჯობს გახსნა, ლუქის აგლეჯით პერგამენტი რომ არ დავაზიანოო.

შაჰის კაცები ხმაგაკმენდილი იდგნენ და თვალს ადევნებდნენ. ხმაგაკმენდილი იდგა ხანის დაცვაც, რომელსაც, თუ საჭირო გახდებოდა, ხელი იარაღზე უნდა გაეკრა და თავისი ბატონი ხიფათს გაერიდებინა.

ფირმანი ქართულად იყო შედგენილი. ჰარამხანაში ნასწაელ ქართულ მიმოწერას შაჰი ხშირად საიდუმლო შიფრის მაგივრად იყენებდა და რადგანაც ახლაც მისთვის მიემართა,

ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ საქმეს, რის მოსაგვარებლადაც ემისრები გამოეგზავნა, ფრიად საიდუმლო სახელმწიფო საქმედ თვლიდა.

ფირმანი ქახეთის ტყვედქმნილ დედოფალს და მის შემდგომ ბედს შეეხებოდა. აბასი არსად ახსენებდა რუსეთის ხელმწიფე მიხეილ რომანოვს და არც მის საგანგებო განზრახულობათა ელჩს პეტრე სამუხინს, ისპაჰანში რომ იჯდა და დიდებული შაჰის საბოლოო პასუხს უცდიდა, ბეგლარბეგს არც თავგასული ჩრდილოელი მეზობლის თავიდან მოშორების გეგმას უზიარებდა, მხოლოდ ქეთევანის გამო წერდა და ბეგლარბეგისაგან მის გამაჰმადიანებას, ისპაჰანში შაჰის კარზე დაუყოვნებლივ გაგზავნას, ანდა აქვე, შირაზში, ჯალათისათვის გადაცემას და წამებით სიკვდილს მოითხოვდა.

თავი LXXXII

ქეთევან დედოფალს ღამის სიჩუმეში შემოსასვლელი კარის მხრიდან საეჭვო ხმაური შემოესმა. ურთხელის მძიმე კარი თითქოს გაიღო და ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიიხურა. ვინ უნდა მოსულიყო ასე გვიან? კართან ღამ-ღამობით მოდარაჯე ყიზილბაშები იდგნენ, მაგრამ მათ კარი არასოდეს გაუღიათ და შიგნით, სასახლეში არც არასოდეს შემოსულან.

— თუთა, შვილო, — დაუძახა ქეთევანმა მოახლეს და კათოლიკე ძმებისაგან საჩუქრად მოძღვნილი ლათინური ლოცვანი, სანთლის შუქზე რომ კითხულობდა, ძირს დაუშვა. — თითქოს ვიღაცამ კარი გააღო და შემოვიდა. ვინ უნდა იყოს ასე გვიან?

სანახევროდ ჩაბნელებული მოსასვენებელი ოთახის მეორე კუთხეში მიმჯდარმა, ქსოვაში გართულმა თუთამ თავი ასწია, გაირინდა და სმენად გადაიქცა.

— ყარაული იცვლება, დედოფალო, ახალი ყიზილბაშები მოვიდნენ!

— ყარაულის შეცვლას არა ჰგავს, შვილო, გაიხედე, იქნებ მართლა ვინმე მოვიდა და ჩვენ ყარაულის შეცვლა გვგონია?

სწორედ ამ დროს კიბის მხრიდან, რომელიც წინკარიდან მეორე სართულში ამოდიოდა, მძიმე ფეხისხმა მოისმა. კიბეზე ვიღაც ნება-ნება, აუჩქარებელი ნაბიჯით ამოდიოდა.

თუთა წამოხტა, საქსოვი ხელიდან გააგდო და უკანმოუხედავად მეზობელ ოთახში გავარდა. გასული არც კი იყო, უკანვე შემობრუნდა და გულგახეთქილმა ქეთევანს ჩურჩულით აუწყა:

— ბეგლარბეგი ბრძანებულა, დედოფალო, მარტოა, მაგრამ ძირს მგონი თავისი ხალხი ახლავს!

— ბეგლარბეგი? — გაიოცა ქეთევანმა და ლოცვანი, აქამდე რომ ისევ გადაშლილი ეჭირა, ტახტზე დასდო. — თუ მშვიდობაა, ასე გვიან არ მოვიდოდა. ეტყობა, რაღაც უბედურება დაგვატყდა თავს. ახლავე გამოვალ. მანდ თუ ვინმეა, ხალხი გააღვიძებინე!

შიშისაგან და ავი წინათგრძნობისაგან ათრთოლებულმა თუთამ კარი გამოაღო და, თუმცა ფეხები უკან რჩებოდა, იმწამსვე თვალს მიეფარა.

გულხელდაქდობილი იმამყული-ხანი ზურგშექცევით იდგა სარკმელთან. თაროზე ქონის სანთელი ენთო და სტუმრის ვეება ჩრდილი მთელ იატაკს ფარავდა. კარი რომ გაიღო, ხანი სანახევროდ შემობრუნდა და მოიხედა, მაგრამ ხელში დედოფლის მოახლე გოგო შერჩა და მას ყურადღება არ მიაქცია. მცირე ხანს ასე გაგრძელდა, მერე მან ზურგით იგრძნო, რომ გოგო ისევ იქ იდგა და გამოელაპარაკა:

— დედოფალს ხომ არ ძინავს?

— ახლავე გეახლება, ბატონო. მისი აღმატებულება ცოტა ხანს დამელოდოსო.

ბეგლარბეგი ამით დაკმაყოფილდა, კვლავ სარკმელისაკენ შებრუნდა და ასე დარჩა მანამ, სანამ კარი ისევ არ გაიღო და ზღურბლზე ჩვეულებისამებრ შავებით შემოსილი ქეთევან დედოფალი არ გამოჩნდა.

— ცუდი ამბის მახარობელი ვარ, თქვენო უდიდებულესობავ, — პირდაპირ დაიწყო იმამყული-ხანმა, როგორც კი სავალდებულო სალამ-ქალამი მოითავა და ორიოდე ნაბიჯით უკან დაიხია. — უნდა შემინდოთ ღვთის გულისათვის! მე ყაენის ხელქვეითი გახლავარ და სხვა გზა არ გამაჩნია!

ქეთევანს მზერა გაეყინა:

— ლევანსა და ალექსანდრეს უჭირთ რამე?

— არა, დედოფალო!

— აბა, ჩემს შვილს, კახბატონ თეიმურაზს?

მწუხარებით აღვსილმა იმამყული-ხანმა პასუხი აღარ გასცა და შაჰის მიერ ქართულად დაწერილი ფირმანი უსიტყვოდ მიაწოდა.

ქეთევანმა ფირმანი გამოართვა, გაშალა, სინათლისაკენ შეაბრუნა, თავიდან ბოლომდე დაკვირვებით წაიკითხა, წარბიც არ შეუხრია, ერთხანს ისევ ხელში ეჭირა, მერე კვლავ დაახვია და მის მფლობელს დაუბრუნა.

— მე მზად ვარ, თქვენო აღმატებულებავ, თუნდაც ახლავე!..

ეს რომ გაიგონა, ბეგლარბეგმა ნაბიჯი წინ წარსდგა, ორივე მუხლზე დაიჩოქა და დედოფლის კაბის კალთას უბრალო უმასავით ეამბორა.

— გეევედრებით, დაინდეთ თქვენი სიცოცხლე! თავის გაწირვა, ვფიცავ ალაჰს, არაფერს მოგიტანთ! თქვენი სიცოცხლე ქვეყანას და თქვენს დაჩაგრულ ერს სჭირდება! ნუ მოაკლებთ თქვენს ძვირფას სიცოცხლეს ერსა და ქვეყანას!..

— აბრძანდით, იმამყული-ხან, თავს ნუ იმცირებთ, — ქეთევანი ოდნავ დაიხარა და მხარზე ხელი შეახო. — მე თქვენი მადლიერი ვარ იმ ლმობიერებისათვის, რასაც აქამდე ჩემდამი და ჩემი მხლებლებისადმი იჩენდით. ვინ იცის, ამის გამო საყვედურიც კი შეგხვდათ შაჰისაგან. გმადლობთ, რომ თქვენ ამას არ შეუშინდით და კაცთმოყვარეობა ყველაფერს ამჯობინეთ. ახლა, როგორც ეხედავთ, თქვენს ლმობიერებას აღსასრული დაუდგა და თქვენ ვალდებული ხართ, ამიერიდან ისე მოიქცეთ, როგორც სპარსეთის ტახტის ერთგულ მსახურს შეეფერის!

იმამყული-ხანი არ დანებდა, ერთხელ კიდევ სცადა შეგონება:

— მისი უდიდებულესობის ემისრები უკვე აქ არიან, დედოფალო და თქვენს უკანასკნელ პასუხს ელიან. ვთხოვე, ვიდრე თქვენ მოგიხახულებდნენ და აღასრულებდნენ იმას, რაც დააკისრეს, თქვენს ბრწყინვალებასთან განმარტოების უფლება მოეცათ...

ქეთევანმა შეაწყვეტინა:

— იმამყული-ხან, დღეს თქვენ პირველად არ გესმით, რომ მე მზად ვარ, ჩემი ღმერთისათვის ყოველგვარი ტანჯვა მივიღო და გადავიტანო. ეს ტანჯვა, როგორადაც არ უნდა მტანჯონ, მცირეოდენი ნაწილიც არ იქნება იმ ტანჯვისა, რაც მან, ჯვარცმულმა, ბნელში მყოფ თავისიანებისაგან გადაიტანა!

— მაშ, ეგ არის თქვენი უკანასკნელი სიტყვა?

— ეს გახლავთ, თქვენო აღმატებულებავ!

— რა გაეწყობა, რაკი-ღა აგრეა, მე ისღა დამრჩენია, ჩემი მოვალეობა შეეასრულო! — თქვა აშკარად გაწბილებულმა იმამყული-ხანმა, ადგა და მძიმე ნაბიჯით კიბისაკენ გაემართა. მოაჯირთან ქეთევანის მოახლე ატუზულიყო და სათაყვანებელი დედოფლის შემხედვარე ცხარე ცრემლით ტიროდა.

არ გაუელია ორ წუთს, ქვემოდან უიარაღო ყიზილბაშები ამოცვივდნენ, ქეთევანს მივარდნენ და ორივე ხელი ზურგსუკან გადაუგრიხეს. ქეთევანმა უსიტყვოდ გაიბრძოლა, მაგრამ ვერას გახდა, ტკივილისა და შეურაცხყოფისაგან გონება დაებინდა და თვალები ცრემლით აევსო. ასე უხეშად და უდიერად მის სხეულს ჯერ არავინ შეხებოდა და აქამდე ვერც წარმოედგინა თუ ასეთი რამ შესაძლებელი იყო.

— მხეცები ხართ, თქვე წყეულებო, ადამიანის შვილები არა ხართ? — შეჰკივლა თუთამ, ადგილს მოსწყდა და ერთ-ერთ ყიზილბაშს, ქეთევანის პირჯვრის წერას ჩვეული მარჯვენა ხელი რომ ეჭირა, კბილებით მაჯაზე ჩააფრინდა. ყიზილბაშს სახე დაელრიჯა, ტკივილისაგან ცხოველური ღმუილი აღმოხდა. ქეთევანს ხელი უშვა და გამწარებული მოახლეს მიუტრიალდა. ამას ორი სხვაც წაეშველა. სცემდნენ უწყალოდ, ანგარიშიანად, გამეტებით, სცემდნენ მაშინაც კი, როცა ქალმა გრძნობა დაკარგა და ტანისამოსშემოგლეჯილი თავისსავე სისხლში ცურავდა.

ერთი გაიღრიჯა, კეფაში ხელი შემოირტყა, რაც იყოს, იყოსო, ამხანაგებს თვალი ჩაუკრა და ხვანჯარი შეიხსნა. ამას უმალვე ამოუდგნენ ზურგსუკან სხვებიც...

ქეთევანს ეს ყველა არ დაუნახავს. თავადაც ღონემიხდილს, უზომო შეურაცხყოფისა და დამცირებისაგან ილაჯგაწყვეტილს ორი ხარივით ღონიერი ყიზილბაში სადღაც მიაქანებდა და მას ეჩვენებოდა, რომ ეს გზა უსასრულოდ გრძელი და ოღროჩოღრო იყო. თვალი მხოლოდ პირველ სართულზე, მაშხალებით განათებულ დერეფანში გაახილა და ნაცნობი სახეები დაინახა. მერე მიხვდა, რომ ეს მისი მხლებლები, მისი სისხლი და ხორცი, მისი ჰირისა და ლხინის მოზიარეები იყვნენ, ვის გვერდითაც მრავალი უსიხარულო დღე და საათი გაატარა. ქალები კიოდნენ, სახეს იხოკდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ, კაცები კი მჯიღებს იცემდნენ და უმწეოდ ზმუოდნენ, რადგან მათ ყიზილბაშები რკალად შემორტყმოდნენ და გაკავებულთ განძრევის საშუალებას აღარ აძლევდნენ.

ქეთევანს უნდოდა რაღაც ეთქვა უკანასკნელად, ეს უბედურები რითიმე ენუგეშებინა, რათა მათ ტანჯვა შემსუბუქებოდათ, მაგრამ რისამე თქმის უნარი უკვე წართმეოდა და როდესაც მათ წინ გაატარეს, ხმაც ვერ ამოიღო.

შემდეგ ღრმა სარდაფში ჩავიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ენკენისთვის მესამე კვირა მიილია და ღამ-ღამობითაც კი გაუსაძლისად ცხელოდა, აქ საშინელ სიცივეს დაესადგურებინა. სარდაფში თაგვისა და გახრწნილი მძორის სუნი იდგა. გაულესავი კედლის ღრიჯოებში ჩარჩობილი მაშხალები ხრჩოლავდნენ და გამეფებულ სიმყრალეს მათი კვამლი და სუნიც ემატებოდა.

ბოლოს გაუთავებელ გზას ბოლო მოეღო და ისინი სადღაც გაჩერდნენ. ქეთევანმა იგრძნო, რომ იდგა და ფეხქვეშ მყარი ნიადაგი იყო. მის გარშემო ჩრდილები ირეოდნენ. ხმამაღალი ლაპარაკი ესმოდა, მაგრამ ისე შორიდან, რომ ვერც ერთ სიტყვას ვერ არჩევდა. ვიღაცამ წყალი მოაშველა. სველი ფიალა ტუჩებს შეეხო და მას ის ძმრით გაჟღენთილი ღრუბელი წარმოუდგა, ვიღაც უღმერთომ ჯვარზე გაკრულ მაცხოვარს

რომ მიაწოდა, მოტყუებული ჯვარცმული რომ მოიკმუხნა, ხოლო სეირის საყურებლად თავშეყრილმა ბრბომ სიცილი დააყარა.

წყალი ნამდვილი იყო, თუმცა თიხის ჭურჭლის გემო დაჰკრავდა. მან ორი-სამი ყლუპი მოსვა და გონებას თითქოს სინათლე მოეფინა. გრძნობა უბრუნდებოდა. ნუთუ უკვე დაიწყო ის, რასაც იმამყული-ხანი წამებას ეძახდა და რაც ყაენის უზენაესი ნების თანახმად უნდა აღესრულებინა?

თავი LXXXIII

თვალი რომ გამოახილა და თავი წამოსწია, სრულიად მარტო იყო. ირგვლივ სულიერი არავინ ჰაჰანებდა. ჯურღმულში, სადაც განუსაზღვრელი დრო გაატარა, ორად ორი მაშხალა ხრჩოლავდა და ორივე უუნწამდე იყო დამწვარი. მალე მაშხალები დაიწვოდნენ, უკანასკნელ კვამლს აუშვებდნენ და მიწისქვეშეთში უკუნი სიბნელე ჩამოწვებოდა. თაგვისა და გახრწნილი მძორის სუნს მაშინაც კი გრძნობდა, როცა უგონოდ იყო. ახლა სული უგუბდებოდა და სუნთქვა უჭირდა. მთელი სხეული ჯოჯოხეთურ სიცივეს გაეთანგა. სარდაფის კუთხეში მიკუნჭულს დროგამოშვებით ყინულივით ცივი წვეთი ეცემოდა. წყლისაგან, ჭერიდან რომ წვეთავდა, ტანსაცმელი მთლად დასველებოდა და ტანზე მიკვროდა.

სად იყო? აქ როდის შემოიყვანეს? ნუთუ ცოცხლად დამარხეს და მზის სხივის ხილვა აღარ ეღირსებოდა?

დაიჩოქა და ხელები ცად აღაპყრო.

— ღმერთო, ძლიერო, ტვირთმძიმეთა შემწევ და მფარველო! შეისმინე ჩემი ლოცვა შენდამი, რათა არ დავკნინდე, არ გავტყდე მტერთა ჩემთა წინაშე მე, ვინც ვატარებ ნიშანს წყალობისა შენისა. იყავ ჩემთვის უტკბესი ყოველთა საცთურთა, რათა შეგიყვარო შენ ყოვლითა ძალითა ჩემითა. მიხსენ მე ყოვლისაგან საცთურისა ჩემს დღეთა დასასრულამდე და ჰა, უფალო, მეუფე ხარ შენ და ღმერთი ჩემი, მე კი მხევალი უფლისა ჩემისა!..

გულადუღებულმა ცრემლები გადმოღვარა, პირჯვარი სამგზის გადაისახა, დაიხარა და ცივ მიწას შუბლით შეეხო.

— შვილო, თეიმურაზ, — ერთხელ კიდევ შეჰღაღადა სიცარიელეს და გათოშილი ხელები წინ გაიწვდინა, თითქოს ის, ვისაც სასოებით ახსენებს, წინ უდგას და გულში უკანასკნელად უნდა ჩაიკრასო. — სადა მყევხარ ახლა, შვილო, ცხრა თვეს მუცლით ნატარებო პირმშოვ ჩემო? ვაითუ

გადაგიწყდა, შვილო, იმედი, რომ ვეღარაფერს არგებ შენს მტერმორეულ ერს და აკლებულ ქვეყანას! დალბა სპარსეთის უდაბნო ქართველთა ცრემლით. ვაი და ვუი შენს უბედურ დედას, გვერდში რომ ვერ გიდგას და რომ ვერ გამხნევებს! სადა მყვანან შენი მალხაზი ბიჭუნები? ვაითუ ამ ურჯულოებმა, ღვთის მგმობელებმა, სისხლის მსმელებმა ისინიც მიწამეს და როგორც საბრალო ლუარსაბ მეფეს, სული ტანჯვით ამოჰხადეს, მე კი არა ვიცი რა, არავინ არაფერს მეუბნება! ან ვაითუ ვერ გაუძლეს ტანჯვას, გმეს მაცხოვარი და მტარვალის წინაშე მუხლი მოიდრიკეს? მაშინ ასწილ უფრო გამწარდება ჩემი სულის ამოსვლის წუთი, შვილებო, ჩემო მალხაზებო, ჩემო ლევან და ჩემო ალექსანდრე! რა იქნებოდა, ერთხელ კიდევ მენახეთ, ერთხელ კიდევ დამეკრა თქვენთვის თვალი. არ ინება ღმერთმა, დაილოცა მისი სამართალი. უბედურ ვარსკვლავზე გავჩენილვართ, შვილებო, ჩვენი ხვედრი ესა ყოფილა!..

კედლის ღრიჭოში ჩარჭობილი უკანასკნელი მაშხალა ახალი ჩამქრალი იყო და მღვიმეში, როგორც სამარეში, უკუნი სიბნელე სუფევდა, როდესაც თავის ბედს შერიგებულ ქეთევანს, რომ აქ ცოცხლად დამარხეს და სულ მალე სიკვდილის მხსნელი კლანჭი შეეხებოდა, გაურკვეველი ხმაური შემოესმა. ყრუ კედელსა და ტალანს შორის, რომლითაც აქ შემოიყვანეს, სიბნელეს ყოველივე ზღვარი წაეშალა და მან ვერ მოიმხრო, ეს ხმაური, ჯაჭვებისა და რკინის კარის ჩხრიალს რომ ჰგავდა, საიდან ისმოდა. კიდევ ცოტა ხანიც და ბნელი ჯურღმულის კედლებს მაშხალის მოწითანო შუქი მოეფინა. მალე გამოჩნდა აბრიალებული მაშხალებიც. ისინი წინ რწევა-რწევით მოიწევდნენ და გამეფებულ წყვდიადს თვალისმომჭრელად ანათებდნენ. ქეთევანს უღმერთოდ გაუქირდა, მაგრამ წელში მაინც გაიმართა, რათა ადამიანთა მოდგმის მტარვალებს კვლავ ფეხზე მდგომი და მხნე დახვედროდა.

მოსულნი, რაღა თქმა უნდა, ყიზილბაშები აღმოჩნდნენ. მათ ჯერ შორიდან დაზვერეს თავიანთი უმწეო მსხვერპლი, სად არის, ამ საყინულეში სული კიდევ უდგას თუ არაო და როდესაც ის სარდაფის სოხანეზე განრთხმული კი არა, ფეხზე ასვეტილი, გულხელდაკდობილი და სახეზე მანდილჩამოფარებული დაინახეს, გაოცებისა და მოწონების ნიშნად რაღაც გაუგონარი შესძახეს და გარს შემოერტყნენ. ერთი სულ ახლოს მოვიდა, მაჯაში უბოდიშოდ ხელი ჩასჭიდა და წინ გაქაჩა. დანარჩენები მაშხალებით გზას უნათებდნენ და უხამსად ლაზღანდარობდნენ

ქეთევანს ყიზილბაშის დევნა უფრო და უფრო უძნელდებოდა. ყოველი ნაბიჯი სიცივისაგან დადამბლავებულ მის სხეულს ენით აუწერელ ტკივილს აყენებდა, მაგრამ იცოდა,

რომ თუ ვინიცობაა დაეცემოდა, ძალით წაათრევდნენ და უკანასკნელ ძალღონეს ძაბავდა, რომ უწმინდური ხელების შეხება როგორმე აერიდებინა.

თითქოს ასი ზარბაზანი ერთად დასცალესო, ისე დაიჭექა სიცოცხლის ფერებით შეზავებულმა მზის სინათლემ გვირაბის ყელში. ქეთევანმა თვალები მილულა. ყვრიმალების ყრუ ტკივილი იგრძნო. სანამ უკუნი სიბნელის შემდეგ დღის სინათლეს თვალს შეაჩვევდა და ერთ საგანს მეორისაგან გაარჩევდა, თითქოს მთელმა საუკუნემ გაიარა. ბოლოს იცნო ფართო დერეფანი და კიბე, წლების მანძილზე რომ ხედავდა და მოაგონდა, რომ იქეთობას, როდესაც გრძნობამიხდილი ორ ხარივით ლონიერ ყიზილბაშს მიჰყავდა, ნახევრადბნელ დერეფანში მისი მბლებლები ირეოდნენ. ახლა ისინი აღარ ჩანდნენ და აღარც მათი ხმა ისმოდა. ყველა ერთად, ალბათ, სადღაც გარეკეს და ჯურღმულში ჩაამწყვდიეს. აქ ყოველ ნაბიჯზე მხოლოდ ყიზილბაშები ყურყუტებდნენ და ქვესკნელიდან ამოყვანილ ქეთევანს ისე ცნობისწადილით შემოსცქეროდნენ, თითქოს ის რაღაც არაამქვეყნიური არსება ყოფილიყვეს, რომელსაც პირველად ხედავდნენ და საკუთარ თვალებს ვერ უჯერებდნენ.

ქეთევანმა თვალები ფართოდ გააბილა და თავისუფალი ხელით კიბის მოაჯირს წაეტანა. წინ მიმავალმა ყიზილბაშმა, მისი მაჯა რომ ჩაებღუჯა, მოიხედა და მეჩხერი კბილები დაკრიჭა. ქვემოდან მიეშველნენ, ქეთევანს ზურგში შუბის ტარი უბიძგეს. მოეჩვენა თუ ცხადად ხედავდა? მოაჯირს უკან ავგუსტინელი წმიდა მამები მოგროვილიყვნენ, რომელთაც წინ ქეთევანის ძველი მეგობრები მორჩილი ძმა ამბროზიო დუშ ანეუში და მისი თანამოსაყდრე პედრო დუშ სანტოში უდგნენ. მათ და შირაზელ მოქალაქეთა მცირე ჯგუფს რაღაც მანქანებით სასახლისათვის შემორტყმული ალყა გაერღვიათ და ქრისტესათვის თავდადებული დედოფლის სულის გადასარჩენად აქ შემოსულიყვნენ.

— გამხნევდი, დედოფალო! — ქართულად მოაძახა ცრემლად დაღვრილმა ამბროზიო დუშ ანეუშმა, მეფური ღირსებითა და დედობრივი სათნოებით აღსავსე ქეთევანი ამ დღეში რომ დაინახა და შველა, ურჯულოების ხელიდან მისი გამოგლეჯა კი არაფრით შეეძლო.

ქეთევანს უნდოდა პასუხი გაეცა, რაღაც ეთქვა, უკანასკნელი კურთხევა და ზიარება გამოეთხოვა, რადგანაც მწირველი მღვდლები უკვე აღარ ჰყავდა, მაგრამ ძალღონეგამოლეულმა ეს ველარ შესძლო და კრიჭამეკრული მოძალადეთ მინებდა.

მათ იგი ზემოთ აიყვანეს და შაჰის მიერ წარმოგზავნილ კაცებს წარუდგინეს. ბეგლარბეგ იმამყული-ხანის სტუმართ-

მოყვარე სასახლეში გემრიელად ნასაუზმები ემისრები ტყვედ-ქმნილ დედოფალს აქ ელოდებოდნენ, რათა მისი უდიდებუ-ლესობის გადაწყვეტილება ერთხელ კიდევ ემცნოთ და თავის მხრივ ერჩიათ, ნებას დაჰყოლოდა, წამებით უაზრო სიკვდილს, რომელიც გარდაუვალი იყო, ისლამის მიღება და ყველა ის სიკეთე ემჯობინებინა, ცათა სწორი შაჰი დიდსულოვნად რომ სთავაზობდა.

ემისრები განცვიფრდნენ, თავის წინ უწყალოდ ნაცემ-ნაგვემი, შეურაცხყოფილი, ნესტიან და ცივ სარდაფში ღამე-გახათევი ქეთევანი რომ დაინახეს. შაჰის გემოვნებაში მათ ეჭვი არასოდეს შეჰპარვიათ, მაგრამ როდი ეგონათ, თუ კახეთის დედოფალი, უკვე მოწიფული შვილების დედა, ასე ქალწულებრივად ტანწერწეტა, სახემწყაზარი და ყველა ქალური მშვენებით შემკული ბანოვანი აღმოჩნდებოდა. ამი-ტომაც გულწრფელნი იყვნენ, როდესაც თარჯიმნის, ტახტის ნაქართველარი მოხელის პირით არწმუნებდნენ, დაინდე ღვთის მიერ ბოძებული შენი სიტურფე, აქამდე გაუხუნრად რომ შემოგრჩენია, მშვენიერი სხეული, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრი სიხარულის მოტანა შეუძლია, ნუ გაიმეტებ კოცონზე დასაწ-ვავად და დასანაცრებლად, ადამიანის სიცოცხლე ისედაც ხანმოკლეა, ხელოვნურად რომ არ შევიმოკლოთ, დააგდე შენი ღმერთი და შაჰმადს შეუდექ, განა ისიც წინასწარმეტყველი არ არის, შენი გალილეველი ჯვარცმული რითა სჯობიაო?

— არა! — კრიჟა გახსნა ქეთევანმა, პირჯვარი გადაისახა და ამით წყალი საბოლოოდ გადაწურა. — მიყავით, რაც გენებოთ, თუნდაც ჯვარს მაცვით, მე ქრისტეს მხევალი ვარ და სანამ პირში სული მიდგას, ქრისტეს მხევლად დავრჩები!

— დედოფალო, გონებას მოუხმე, თავს რისთვის იმეტებ, დაფიქრდი, ასწონ-დასწონე, მაშ, წამებით სიკვდილს არჩევ?

— დროს ტყუილად ნუღარ ჰკარგავთ! თუ ის რაიმედ გიღირთ, საქმეს შეუდექით! ოღონდ სანამ თქვენსას იზამდეთ, ერთი მცირე სათხოვარი მაქვს, ის აღმისრულეთ!

შაჰის კაცებმა ერთმანეთს შეხედეს და მერე მზერა თარჯი-მანზე გადაიტანეს. ნუთუ არავითარი საშველი არ იყო, ამ ქალს ვერაფრით დაიყოლიებდნენ? უარი არ უთქვამთ, უსიტყვოდ დართეს ნება, სიკვდილმისჯილი რამდენიმე წუთით განმარტოე-ბულიყო, თავისი ღმერთის წინაშე დაეჩოქა და უკანასკნელად ელოცა. ის სხვათა დაუხმარებლად შევიდა ოთახში, აქამდე მისი მოსასვენებელი ოთახი რომ ერქვა, იქ რამდენიმე წუთს დარჩა და სწორედ მაშინ, როცა შაჰის კაცები მიკითხვას აპირებდნენ, ემანდ თავს არაფერი აუტეხოს, ან ხელიდან არ გაგვისხლტეს, პირში ჩალაგამოვლებულები არ დაგვტოვოსო, კარის ხლურბლზე სრულიად დამშვიდებული გამოჩნდა.

— მზად ვარ, ახლა სადაც გნებავთ, იქ წამიყვანეთ!

ამ სიტყვებით მან პირში გამხმარი პურის ნატეხი ჩაიდო და თავზე წამოხურული შავი ხილაბანდი სახეზე ჩამოიწია.

ემისრებმა ყიზილბაშებს ანიშნეს და ისინიც დედოფალს მსწრაფლ მიეახლნენ, ექეთ-იქით ამოუდგნენ, ხელები ზურგსუკან გადაუგრიხეს და წინ გაიგდეს.

— მოჰყავთ!.. — სხვადასხვა ხმაზე იღრიალა ზღვა ხალხმა, სასახლეს გარს რომ შემორტყმოდა და შუაზე გაიპო.

მოედანზე, აღმოსავლეთის განთქმული მელექსის, შამს ალ-დინ მუჰამედ ჰაფეზის ხელთუქმნელი ძეგლის წინ, ხალხის ტევა აღარ იყო. ქალაქში კიდით კიდემდე ხმა დაეყარათ, დღეს, დილაადრიან, მზის ამოსვლის ჟამს სიკვდილით დასჯიან გურჯისტანის დედოფალ ქეთევანს, რომელიც ღრმა ქრისტიანი ყოფილა, თავის სარწმუნოებაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას არ აპირებს და გამაჰმადიანებასა და შაჰის ცოლობაზე უარს აცხადებსო.

ვისაც კი ეს ამბავი ყურში მისწვდენოდა, დიდი იყო თუ პატარა, ქალი თუ კაცი, მაჰმადიანი, ქრისტესმოსავი, იუდეველი თუ ბუდას მიმდევარი, შინ აღარავინ დარჩენილიყო, ყველას აქეთ ექნა პირი.

კოცონი უკვე ბრიალებდა და ამომავალი მზის სხივები აბლაბუდაში გახვეულ ბაღნარს, რომლის შუაგულშიაც ძეგლი იყო აღმართული, კიდევ უფრო აკაშკაშებდა.

ხალხი ყოველი მხრიდან მოდიოდა და თითქოს თავშესაქცევ სანახაობაზე დასწრება ელითო, მშვიდობიანად მომუსაიფობდა.

ყოველივე იმის გარშემო, რაც ახლა უნდა მომხდარიყო, ყველას, განურჩევლად სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა, სხვათაგან განსხვავებული აზრი ჰქონდა. ზოგიერთისათვის, მაგალითად, რომ გეკითხათ, გურჯისტანის დედოფალი თავს სულ ტყუილად იღუპავდა. მის უმაგალითო თავგანწირვას და დიდებული შაჰის მიერ შემოთავაზებულ განცხრომით ცხოვრებაზე უარის თქმას არავითარი გამართლება არ გააჩნდა.

სხვაგვარად სჯიდნენ ქრისტიანები, რომლებიც თვალისსეირის მოყვარულ სისხლმოწყურებულ ბრბოში ჯგუფ-ჯგუფად ერივნენ და თუმცა მაჰმადიანების გასაგონად ენით სხვას ამბობდნენ, გულში, სხვათაგან ნამალევად, ქეთევან დედოფლის სულის სიმხნეევით ამაყობდნენ.

ხალხში იყვნენ ალაერდელი მთავარეპისკოპოსის დები ნესტანი, თინათინი და მარიამი. თავიანთი სათაყვანებელი დედოფლის თავს დამტყდარი უბედურება, რომელიც დღეს თუ ხვალ მოსალოდნელი იყო, მათ პიეტრო დელა ვალეს

ქართველი დიასახლისისაგან შეეტყოთ, აღმართს ამოსდგომოდნენ და სასახლისათვის უცხოეთში გადმოხვეწილი მთელი თავისი მონაგრით მოეშურებინათ.

პირზე რიდეჩამოფარებული და ზურგსუკან ხელებგადაგრეხილი ქეთევანი რომ გაატარეს, სამივე და ძუხლეზე დაემხო, თავ-პირში ხელები წაიშინა და, როგორც სამშობლოში სჩვეოდათ, თმა მოთქმით გაიშალა. ბოლო დროს ისინი დედოფლის იშვიათი სტუმრები იყვნენ და ამის სრული საბუთიც ჰქონდათ. გაპირვებამ თავისი გაიტანა. ჯერ შუათანა დის, თინათინის, ქმარ-შვილმა მიიღო მაჰმადის რჯული, შემდეგ მას უფროსი დის, ნესტანის მონაგარმაც მიჰბაძა. თვით ქალები ერთხანს კიდევ ყოყმანობდნენ, ქეთევანის შემყურენი იყვნენ, როგორც ის გადაწყვეტს, ჩვენც ისე მოვიქცევითო, მაგრამ ეს საქმე ძალზე გაპიანურდა და ერთ მშვენიერ დღეს ისინიც იძულებულნი გახდნენ, ოჯახის სარწუნოებას შეერთებოდნენ.

ქეთევანი ყოველივე ამას შეუმცდარი ალღოთი გრძნობდა, თუმცა დანამდვილებით არაფერი იცოდა, გრძნობდა, კითხვით კი ერთხელაც არაფერი უკითხავს, არც ერთი საყვედური არ დასცდენია. დებმა თანდათან ამოიკვეთეს ფეხი სასახლიდან. მოუცლელობას იმიზეზებდნენ და თავის თავთან მარტო დარჩენილ, განდეგილ დედოფალს სულ უფრო იშვიათად ნახულობდნენ.

მგლოვიარე დებისათვის ახლა აღარავის ეცალა. უკლებლივ ყველას ყურადღება მოედნის შუაგულისაკენ უმიშრად მიმავალ ქეთევანისაკენ იყო მიპყრობილი.

ყასაბივით ჩასუქებულ, ხელებდაკაპიწებულ ჯალათს, შაჰის ემისრებს სატახტო ქალაქ ისპაჰანიდან რომ ჩამოეყვა, რათა ყველაფერი ისე მომზდარიყო, როგორც წამების წესი და რიგი მოითხოვდა, კოცონის ძირიდან ღადარი და მსხვილ-მსხვილი ნაკვერცხლები გამოეშალა და ზედ გასახურებლად თავისი იარაღები დაეწყო. აქვე ტრიალებდა მისი თანაშემწე, ადგილობრივი ჯალათი, ისიც მსავით ძვალმსხვილი და ბეღა ხარივით ღონიერი.

ბევრი დამსწრის გულში, ვისაც სიბრალულის უნარი ჯერ კიდევ შესწევდა, იმედმა გაიღვიძა. მის საწამებლად გამზადებულ გავარვარებულ ნალებს, ყადაღა-ლურსმნებს, ბარებს, ფიწლებს, მარწუხებს და გაზებს რომ დაინახავდა, ხორციელ არსებას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, არ შეიძლებოდა, უკან არ დაეხია და შეწყალება არ ეთხოვა.

უკანასკნელ წამამდე, როდესაც სიკვდილმისჯილი მიიყვანეს და მის საწამებლად ისპაჰანიდან საგანგებოდ ჩამოსულ ჯალათს გადასცეს, ეს იმედი ბევრს ასულდგმულებდა, მაგრამ მას თურმე აღსრულება არ ეწერა. ქეთევანი თითქოს ვერც კოცონს ხედავდა და ვერც ნაკვერცხლებს, რომელზედაც

ჯალათებს თავიანთი ხელსაწყოები გაეშალათ. უკანასკნელ ღონეს ძაბავდა, რომ არ დაცემულიყო და მტარვალის წინაშე თავისი სისუსტე არ გამოემჟღავნებინა.

პირველი, რაც ჯალათმა მოიმოქმედა, ის იყო, რომ სიკვდილმისჯილს სახიდან რიდე ჩამოჰგლიჯა და ცეცხლში შეაგდო. რიდეს მქრქალი კვამლი აუვიდა, ერთბაშად იფეთქა და თვალის დახამხამებაში ჩაიფერფლა. ქეთევანს შავი თმა ჩამოშლოდა, თვალები ცად აღეპყრო, პირჯვარს იწერდა და ჩუმად თავისთვის ლოცულობდა.

იმავე ხელით, რითაც ქალს რიდე ჩამოჰგლიჯა და ცეცხლში შეაგდო, ჯალათი შეშის ნაჭერს დასწვდა, გავარვარებული ყადაღა-ლურსმნები წინ გამოყარა და მეორით ფეხშიშველი ქეთევანი ზედ შეაყენა. ავარდა ბოლი. ხალხს, უპირველეს ყოვლისა იმათ, ვინც წინა რიგებში იდგა და ეს დაინახა, ყრუ გმინვა აღმოხდა. ქეთევანს სახე არ შესცვლია. მას ცრემლით სავსე თვალები ისევ ცისკენ ჰქონდა მიპყრობილი და თავისთვის ჩუმად ლოცულობდა.

ჯალათი გაშმაგდა. სახესა და თავ-კისერზე ოფლი წურწურით ჩამოსდიოდა. მის ხელში ვინ მოსთვლის, რამდენ სიკვდილმისჯილს გამოეელო, ასეთი რამ კი არასოდეს ენახა. მივარდა ქალს, ცემა დაუწყო, ტანსაცმელი ნაფლეთ-ნაფლეთ შემოახია, ესეც ცეცხლში შეყარა, მერე თანაშემწეს ანიშნა, მომეხმარეო და გავარვარებული გაზით ლოყიდან ხორცი ამოგლიჯა. ამას არც ადგილობრივი, შირაზელი ჯალათი ჩამორჩა. პირიქით, ოსტატის ქება და მოწონება რომ დაემსახურებინა, მეტ მონდომებასა და სისასტიკესაც იჩენდა.

ქეთევანს სისხლი ნაკადულებად მოსჩქეფდა და ჯოჯოხეთური ტკივილებისაგან თვალთ უბნელდებოდა, მაგრამ ის უფრო ზარავდა და ტკივილსაც ის ავიწყებდა, რომ ამდენი მამაკაცის წინაშე დედიმობილა იყო და ცდილობდა, სიშიშვლე ხელებით დაეფარა.

ეგ აგრე არ უნდაო, ჯალათთაგან ერთმა გააკავა, თუმცა ის ოდნავ წინააღმდეგობასაც არ ეწეოდა, მეორემ კი წვერწამახული კანჯო გამოსდო, მთელი ძალით გაჰქაჩა და იმავე წამს დამახინჯებული მკერდიდან სისხლმა ითქრიალა. ძირფესვიანად მოგლეჯილი ძუძუ ტანს დაეკიდა და შემზარავი ღრმა ჭრილობა გააშიშვლა.

ქეთევანი ჯერ ისევ ფეხზე იდგა და ჯოჯოხეთურ ტკივილებს ქალური გამძლეობითა და მოთმინებით უმკლავდებოდა. მაშინ, რაკი ამანაც ვერ გასჭრა, ჯალათმა ხელი წამოაელო სპილენძის ყურებიან ქვაბს, ცეცხლზე რომ მიეფიცხებინათ და თანაშემწის დახმარებით სიკვდილმისჯილს ნელ-ნელა თავზე ჩამოაცვა.

ბრბომ კელავ დაიგმინა და დაფეთებული უკან მიაწყდა.

ქეთევანს კვნესა აღმოხდა, ხველება აუტყდა, ღონე აღარ ეყო და ორივე მუხლზე ჩაიჩოქა. ყოველივე ამის შემხედვარეთ უმტკიცდებოდა აზრი, რომ ამ სუსტ არსებაში სიცოცხლის რაღაც დაუშრეტელი ძალა ბუდობდა, რომელსაც გავეშებული ჯალათის ცდა და მოწადინება ვერაფერს აკლებდა.

ქვაბი რომ მოხადეს და ახალი ტანჯვის მისაყენებლად ფერდებზე გახურებული ბარები შემოაწყვეს, იმ ადგილას, სადაც დედოფლის ცისაკენ მიპყრობილი მშვიდი სახე იყო, სისხლით მოსვრილი კუხეი-ღა ჩანდა, ღონეგამოლეული ხელები კი ისევ სიმშიშვლის დაფარვას ლამობდნენ, რაც იმას მოასწავებდა, რომ მომაკვდავს სული კიდევ ედგა, ხოლო გონება კელავინდებური სიცხადით მუშაობდა.

ეს რომ დაინახა, ჯალათი მთლად გაკოფდა. ამდენი დავიდარაბის შემდეგ ეს კიდევ ცოცხალია? ამას დამიხედეთ! იქნებ სიკვდილს სულაც არ აპირებს? მსხვერპლს გაშმაგებული მიეკრა, ჩაიჩოქა და ქეთევანის ფიქალი ყელი სისხლით მოთხვრილ, ვეება ბანჯგვლიან ხელებში მოიქცია. ქალი წინააღმდეგობას არ უწევდა და როდესაც ჯალათი ფეხზე გაიმართა, გვამი უკვე აღარ იძვროდა, აქა-იქ მხოლოდ კვამლი ასდიოდა.

ჯალათმა თანაშემწეს ანიშნა, შენ მაგ მხარეს მოუდექიო და მიცვალებულის გალურჯებულ, სიცოცხლედაშრეტილ ხელებს დასწვდა. წამებულის ბუმბულივით მსუბუქი სხეული აქეთ-იქით გააქან-გამოაქანეს და სანახევროდ ჩამწვარ ნაპობებზე შეაგდეს. ჯერ მარაოდ გაშლილი თმა აალდა, დაიხრუკა და თვალის დახამხამებაში ფერფლად გადაიქცა, შემდეგ ალი გვამსაც მოედო. იწვოდა მოიისფრო ნელი ცეცხლით და ახლომახლო უცხო სურნელს აყენებდა. ქვემო ქარი ამოვარდნილიყო და კვამლს მაღალი კედრების კენწეროებზე ფანტავდა. გვამი რომ მთლად გაშავდა და შემდეგ ნაცრისფერი დაედო, ხალხმა წასვლა-წამოსვლა იწყო, სიხარული და კმაყოფილება არავის ემჩნეოდა. რაღაც სხვას მოელოდნენ, სხვა რამის მოწმენი კი გახდნენ. ჯალათები თავიანთ სისხლიან ხელსაწყოებს აგროვებდნენ. ბევრი მათგანი ჯერ ისევ ცხელი იყო და ბუდეში არ ჩაიდებოდა. ვიღაცას სახელდახელო საუზმე მოეტანა ჯალათებისათვის და ძეგლის კვარცხლბეკზე გაეშალა. ჯალათებმა თავი მიანებეს ხელსაწყოებს, კვარცხლბეკისაკენ წამოვიდნენ. მგლებივით მოშიებულები მიხდობილ საქმეს უკვე დამთავრებულად თვლიდნენ და თითქმის ჩანავლებულ კოცონს, რომელზედაც ქეთევან დედოფლის ნაწამები გვამი ჯერ კიდევ იწვოდა, ისე ჩაუარეს, აქეთ აღარც კი გამოუხედიათ.

ეპილოგი

იმ ადგილს, სადაც კოცონი ენთო და იესო მაცხოვრის ერთგულებისათვის ქეთევან დედოფალმა წამებით სული დალია, სალამოჟამს ბეგლარბეგ იმამყული-ხანის კაცებმა მოაკითხეს. მათ შაჰის კიდევ ერთი განკარგულება უნდა აღესრულებინათ: ფერფლიდან ამოეღოთ წამებული ქეთევანის უკანასკნელი ნაშთები, უკეთუ ყოვლის დამთქმელ ცეცხლს რაიმე გადაურჩა და ქალაქისაგან მოშორებით ისეთ ადგილას ჩაეფლათ, სადაც ბოროტგანმზრახველთაგან მათი მიგნება და მოტაცება შეუძლებელი იქნებოდა. თუ მართლმორწმუნე მაჰმადიანები საჭირო სიფრთხილეს არ გამოიჩენდნენ და ქეთევანის ნაშთები, თუნდაც ერთი ძვალი, ქრისტიანეთა ხელში აღმოჩნდებოდა, წამებულს შეეძლო უფრო მეტი ზიანი მიეყენებინა სპარსეთის ტახტისათვის, ვიდრე სიცოცხლეში მიაყენა.

სპარსეთისა და პირადად შაჰ-აბასის დაუძინებელი მტერი გიაური თეიმურაზი, რომელიც ერთმორწმუნე ჩრდილოელი მეზობლის მხარდაჭერით სარგებლობდა, რასაც პაპამისმა ალექსანდრემ ვერასდიდებით ვერ მიაღწია, დედას უეჭველად წმიდანად შერაცხავდა, წამების ამბავს მთელ დედამიწის ზურგს მოჰფენდა, რომის პაპს სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებდა, რუსეთის გაწბილებულ ხელმწიფეს, მიხეილს, მის წინააღმდეგ აღძრავდა და თუ ესპანეთისა და საფრანგეთის მეფეებიც მხარში ამოუდგებოდნენ, ახალ ჯვაროსნულ ომს წამოიწყებდა!

გაგზავნილმა კაცებმა ფერფლში მართლაც იპოვნეს რამდენიმე ნაჭრად გადახსნილი თავის ქალა და ძვლები, რომელთაც რაღაც სასწაულით ცეცხლი არ მიჰკარებოდა და ზედმიწევნითი სიფრთხილით ერთ ადგილზე მოაგროვეს, რათა გვიან ღამით ქალაქგარეთ გაეტანათ, დაემარხათ და სამარის მიწა ისე მოესწორებინათ, რომ ვინმეს ეჭვი არ აეღო და ნაშთის პოვნის იმედით საფლავი არ გაეთხარა.

მათ ეს იქნებ კიდევაც მოეხერხებინათ და წამებული დედოფლის საფლავი სამუდამოდაც დაკარგულიყო, ერთ გაუთვალისწინებელ გარემოებას სპარსელებისათვის ხელი რომ არ შეეშალა.

ნაშუადღევს, ასე სამხრობის ჟამს, ხევში, კლდის ძირას, ქალაქის კედლის გარეთ, ერთი ღარიბ-ღატაკი ასირიელი,

სარწმუნოებით ქრისტიანე, მარჩენალ თხას აძოვებდა. მისი ყურადღება უცნაურმა სანახაობამ მიიქცია. საცალფეხო ბილიკზე თვალი მოჰკრა დაბლა მიმავალ ვიღაც კაცებს. თხის მწყემს ასირიელს ამ კაცებისათვის ყურადღება იქნებ არც კი მიექცია, რადგან გურჯი დედოფლის წამების საკუთარი თვალით მნახველი თავის უსიხარულო ფიქრებში იყო გართული, ქვემოთ მიმავალი კაცები, მიწის მუშებს რომ არაფრით ჰგავდნენ, წერაქვებით, ბარებით, ძალაყინებით და გრძელტარიანი ცულებით არ ყოფილიყვნენ შეიარაღებული.

სად მიდიოდნენ და რისთვის სჭირდებოდათ ეს იარაღები? ქვემოთ, მშრალ ხევში, არც ყანა იყო და არც ვენახი, არც ბაღი და არც ბოსტანი, რის დასამუშავებლადაც ეს იარაღები შეიძლებოდა დასჭირვებოდათ. ხევის ფსკერზე ქალაქის ნაგავს ყრიდნენ, რათა იგი ამოევსოთ და ადრე იქნებოდა თუ გვიან, მის ადგილზე ინგლისური პარკი გაეშენებინათ.

ასირიელს ცნობისმოყვარეობამ წასძლია და რადგანაც კაცები ვერც მას ხედავდნენ და ვერც მის თხას, უჩუმრად უკან აედევნა.

კაცებმა კლდოვანი ფერდო ჩაათავეს, გვერდი აუარეს ნაგვის გორებს, აქ წლების განმავლობაში რომ გროვდებოდა, სადღაც გადაღმა გადავიდნენ და თვალს მიეფარნენ.

ასირიელი მიხვდა, რომ რაღაც სადავიდარაბო საქმეში ებმებოდა, მიხვდა იმასაც, რომ, თუ შეამჩნევდნენ, მოსაკლავად არ დაინდობდნენ და ამიტომ დიდ სიფრთხილეს იჩენდა. თხა, უცაბედად არ დაიკიკინოს და არ გამამჟღავნოსო, ზემოთ დასტოვა საბელით თრიმლის ბუჩქზე გამობმული და თავად გზა განაგრძო. კაცებს მალე ისევ მოჰკრა თვალი. მათ თავიანთი იარაღები მიწაზე გაეშალათ, იქვე არხეინად მოეკეცათ, თრიაქს აბოლებდნენ და აინუნშიაც არ იყვნენ, თუ ვინმე უთვალთვალებდათ. კარგად რომ დაისვენეს და ნებივრობით გული იჯერეს, ისინი წამოიშალნენ და ერთ ადგილას მიწის თხრა დაიწყეს. ბალახოვანი ბელტები ბარებით ასწიეს, მაგრამ შემდეგ და შემდეგ ბარის ხმარება შეუძლებელი გახდა, რადგანაც ქვეშ ნიადაგი ქვიანი იყო და ბარის პირს ახლოსაც არ იკარებდა.

თავისდა საბედნიეროდ, ასირიელმა მალე იაზრა, რომ ქალაქის სანაგვეზე ვიღაცისათვის საფლავი ითხრებოდა. ნეტავი ვისთვის? იმის უბრალო წარმოდგენამ, რომ ავაზაკებმა ვიღაც პატიოსანი კაცი მოჰკლეს და აქ, უადგილო ადგილას, დამარხვას უპირებდნენ, ისე დააფრთხო და შეაშინა, მაშინვე უკან გამობრუნდა, თავისი მშიერი თხა აუშვა, პირჯვრის

წერითა და ლიტანიობით მაღალ ღმერთს მადლობა შესწირა, რომ ხიფათს გადაურჩა და მას შემდეგ არც არსად დასცდენია, თუ ღვთის განგებით რის მოწმეც შეიქნა, სანამ ერთ მშვენიერ დღეს ავგუსტინელი წმიდა მამების საყდარში ზიარების დროს არ შეიტყო, რომ მორჩილი ძმები წამებული დედოფლის ნაშთს ეძებდნენ, მაგრამ უკვე სამთვენახევარი სრულდებოდა, რაც ძიების ყოველ ახალ დღეს მხოლოდ ახალი გულაცრუება მოჰქონდა.

ასირიელი მაშინ კი გამოტყდა, რაც ამ სამიოდე თვის წინათ მშრალ ხეევში საკუთარი თვალით ნახა და ერთ უმთვარო ღამეს, რომ არავის შეემჩნია და ხელისუფლება ფეხზე არ დაეყენებინა, მორჩილ ძმებს, ამბროზიო დუშ ანჟუშს და პედრო დუშ სანტოშს ქალაქის სანაგვეზე ჩაუძღვა.

იქ სადაც ასირიელის ვარაუდით, წამებული დედოფლის ნაშთები უნდა ყოფილიყო ჩაფლული, ერთი შემაღლებული ადგილი ან ფხვიერი მიწაც ვერსად იპოვნეს. ნუთუ ასირიელს მეხსიერება ღალატობდა, ანდა მესაფლავეებმა საფლავი ისე მოასწორეს, რომ მისი ყოველი ნიშანწყალი წაშალეს? პატრები იძულებულნი გახდნენ, მთვარის ამოსვლისათვის დაეცადათ და მის შუქზე აქაურობა ერთხელ კიდევ საგულდაგულოდ დათვალიერებინათ.

ის იყო, გულგატეხილები ძებნაზე ხელის აღებას და შინ დაბრუნებას აპირებდნენ, როცა ასირიელმა ყვირილი ასტეხა:

— აქ არის, მამაო, მრისხოს წმიდა გიორგიმ, თუ აქ არ იყოს!

ბერები მობრუნდნენ და იმ ადგილს მიაშურეს, სადაც ასირიელი ჩაცუცქულიყო, პირფართე ბარი ოთხკუთხად ამოჭრილ ბელტისათვის ამოედო და აბრუნებდა. ამის შემდეგ მუშაობა სამივემ ერთად განაგრძო, სანამ საფლავის ყელი ისე არ დავიწროვდა, რომ იქ სამი კაცის გვერდიგვერდ მუშაობა შეუძლებელი გახდა. თხრიდნენ და თან თვალი აღმოსავლეთისაკენ ეჭირათ, მუშაობაში გართულებს არ დაგვათენდეს და ნაგვის მზიდავები, დილაადრიან რომ გამოდიან, თავზე არ წამოგვადგნენ, ეს ღვთის სარგო საქმე სამუდამოდ არ ჩავფუშოთო.

საფლავი ერთობ ღრმა აღმოჩნდა. პატრებს ეკვიც კი დაებადათ, ვაითუ სხვა ადგილას ვთხრით და ძვირფას დროს ტყუილად ვკარგავთო. თავს ძალა დაატანეს და მუშაობა კვლავ მორიგეობით განაგრძეს. ფსკერი ჯერ კიდევ შორს იყო. როდესაც ირიერაჟა და აქ ყოფნა უკვე სახიფათო გახდა, იარაღები საიმედოდ მიმალ-მომალეს და შინისაკენ იმ იმედით გასწიეს, რომ ხვალ დათქმულ დროს ისევ მოვიდოდნენ და შეწყვეტილ სამუშაოს ბოლომდე მიიყვანდნენ.

მეორე ღამეს, მთვარე ახალი ამოსული იყო, როდესაც ასირიელის ბარი ხის ყუთს მოხვდა. პატრებს მოუთმენლობა დაეუფლათ. პირჯვარი სამგზის გადაიწერეს, ყუთს ოთხივე კუთხივ მიწა შემოაცალეს და ნაგულვები თოკების დახმარებით -ის საფლავიდან ამოიღეს.

საეჭვო უკვე ალარაფერი იყო: მათ წინაშე წამებული დედოფლის ძვლები ესვენა. დიდის მოწიწებით ძვლები ყუთიდან ტომარაში გადაიტანეს, რათა სატარებლად უფრო იოლი ყოფილიყო, ყუთი კი უკან ჩააბრუნეს და თავიანთი ნამოქმედარის კვალის დასაფარავად საფლავი კელავ მიწით ამოავსეს.

წამებული ქეთევანის ძვლებმა წელიწადზე მეტი დაჰყო ავგუსტინელ წმიდა მამათა საყდრის სარდაფში და ის აქედან მხოლოდ მაშინ გადაასვენეს, როდესაც ვილაც არამკითხე მენაგვემ მშრალ ხევში ცარიელი საფლავი აღმოაჩინა და განგაში ასტეხა.

ვის უნდა ჩაედინა ეს ალაპის გამარისხებელი საქმე, თუ არა გიაურ ბერებს, რომლებიც ბეგლარბეგის ფარული მხარდაჭერით ორმუზის ომის შემდეგაც კი სარგებლობდნენ და ადგილობრივ მოლა-ყადიებს ზედაც არ უყურებდნენ?

მართლმორწმუნე მრეველი რომ არ აეყაყანებინა და თავის წინააღმდეგ არ დაერაზმა, ბეგლარბეგი იმამყული-ხანი იძულებული გახდა, საყდრის გაჩხრეკის განკარგულება გაეცა და თუ იქ რაიმე მამხილებელს მართლა აღმოაჩენდნენ, ქრისტიანე ღვთის მსახურები, როგორც უცხო სახელმწიფოს მსტოვრები, დაეპატიმრებინა და დილეგში ჩაეყარა.

წმიდა ნეშტის გატანა და საიმედო ადგილას მიმალვა მორჩილმა ძმებმა სულზე მოასწრეს. ხანის მიერ გაგზავნილი მანდატურები უცხოელი ბერების საყდრიდან ხელცარიელი გამობრუნდნენ. ვინ-ღა იფიქრებდა, თუ რამდენიმე კვირის შემდეგ სატახტო ქალაქ ისპაჰანში საიდუმლოდ გადასვენებულ ქეთევანს კიდევ ერთხელ მოუწევდა შირაზში, თავისი წამების ქალაქში დაბრუნება და ერთხანს კიდევ აქ დავანება!

ეს მაშინ მოხდა, როდესაც პირადად შაჰ-აბასის განკარგულებით ავგუსტინელი წმიდა მამების ისპაჰანის მისიონი მოშალეს, მსტოვრებად მიჩნეული უცხოელი ბერები დააპატიმრეს, ხოლო სხვები, ვისაც ბრალი არაფერში ედებოდა, სატახტო ქალაქიდან შორს, შირაზში გადაასახლეს.

ავგუსტინელი ძმები დარწმუნებული იყვნენ, შაჰი სატახტო ქალაქში ქეთევანის მალულმა გადმოსვენებამ განარისხაო, მაგრამ მალე გამოირკვა, რომ ეს საიდუმლო ბოლომდე

საიდუმლოდ დარჩა და მის გარშემო არც თვით შაჰმა და არც მისმა გარემოცვამ არაფერი იცოდა.

რაკი სპარსეთში აღარ დაედგომებოდათ და გულღვარძ-ლიანი შაჰი ადრე თუ გვიან მათ ისევ მოიკითხავდა, ბერებმა ერთხმად გადაწყვიტეს, თავისი მისიონი სპარსეთიდან საქარ-თველოში გადაეტანათ და საამისო ნებართვის მისაღებად ინდოეთის ქალაქ გოაში ამბროზიო დუშ ანჟუში გაგზავნეს.

მორჩილი ძმა ამბროზიო შორეულ ინდოეთში ხელცარიელი როდი წასულა. მან თან გაიყოლა წამებული დედოფლის ნეშტის ერთი ნაწილი, ხელის მტევანი, რომელიც სამუდამო ადგილსამ-ყოფელს ამიერიდან გოას მონასტერში დაიდებდა. წმიდა მამებს, ავგუსტინელთა ორდენის წევრთ, ეპვიც არ ეპარებოდათ, რომ რომის კათოლიკე ეკლესია, თვით უწმიდესი პაპი, ქრისტიანო-ბისათვის წამებულ ქართველ დედოფალს წმიდანად შერაცხავდა და უკეთეს შესაწირავს, ვიდრე მისი სხეულის ნაწილი იყო, დუშ ანჟუში გოაში ვერაფერს ჩაიტანდა!

გადაწყდა, თავი გამოედოთ და ის, რაც წმიდა ქეთევანის ნეშტიდან დარჩა, საქართველოში, მეფე თეიმურაზისათვის გადაეცათ, რათა წამებული დედა მას შესაფერისად დაეტირა და მშობლიურ ქართულ მიწისათვის მიებარებინა.

ავგუსტინელ ძმებს არ გამოჰპარვიათ, რომ ბოლო ხანს ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოში უაღრესად მნიშ-ვნელოვანი ამბები ხდებოდა. მარტყოფის აჯანყებამ, რომელსაც სათავეში სპარსეთის ტახტის სამსახურში მყოფი დიდი მოურავი გიორგი სააკაძე ჩაუდგა, თითქმის მთლიანად გაა-ნადგურა 30 ათასი ყიზილბაშისაგან შემდგარი დამსჯელი ჯარი, საქართველოს საბოლოოდ დასამხობად და მამაპაპეული საცხოვრისიდან ქართლელთა ასაყრელად შაჰ-აბასმა სპარსე-თის ჯარების მთავარსარდალ ყარჩი-ხანის სარდლობით რომ გაგზავნა. გარდა შაჰის სიძე ყარჩიხა-ხანისა, დამსჯელ ჯარში იყვნენ თორმეტი სხვა ხანი, ბევრი ამირა და სულთანი, მათ შორის შირვანისა და ყარაბახის ბეგლარბეგებიც.

ყაენის მიერ საქართველოში გაგზავნილ ჯარს ვითომ მშვიდო-ბიანი მიზანი ჰქონდა. ის ვითომ მაყრად და მშრის დამამშვენებლად მისდევდა ისა-ხან ყორჩიბაშის ასულს, შაჰ-აბასის საყვარელ შვილიშვილს, რომელიც ნათესაური კავშირების დასამყარებლად ქართლის მაჰმადიან მმართველ ხანზე უნდა დაექორწინებინათ.

აჯანყების საბაბი გახდა შაჰის საიდუმლო წერილი, რომლის თანახმადაც ყარჩიხა-ხანს ღალატით უნდა მოეკლა დიდი მოურავი

გიორგი სააკაძე და დაუხანებლივ ქვეყნის აოხრებას შესდგომოდა.

დაასწრო მოურავმა. შაჰის შათირი წერილითურთ ხელთ იგდო, მას სული იქვე გააცხებინა და შაჰის სარდლებს დასახოცად პირველი მიეკრა.

ალი-ყაფუში თავი მოჰკვეთეს სააკაძის მიერ მძეულად დატოვებულ მის ძეს, პაატას და მოკვეთილი თავი მამას ძღვნად გაუგზავნეს.

სააკაძის გამარჯვება სრული და ყოვლის მომცველი იყო: მან დაიპირა მთელი ქართლი, გადავიდა კახეთში, კახეთის მაჰმადიანი მმართველი ფეიქარ-ხანი გააქცია, ქართლ-კახეთი გააერთიანა და მეფედ თეიმურაზი გამოაცხადა!

ამდენი ხნის განდევნილობის და უშედეგო მეცადინეობის შემდეგ, უკანონოდ ჩამორთმეულ ტახტს როგორმე კვლავ დაუფლებოდა, თეიმურაზი სამშობლოში დაბრუნდა და ქვეყნის მართვის სადაოები ხელში დაიპირა. თავს ის, მართალია, კვლავ შაჰის ხელდებულად აცხადებდა, მაგრამ საქმით უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოს ღვთისაგან ნაკურთხი მეთაური იყო და თავს ვაგლახად აღარავის უკრავდა.

როგორც კი რომიდან გოაში სპარსეთის მისიონის საქართველოში გადატანის მოწყალე ნებართვა მოვიდა, ფრთებშესხმული მორჩილი ძმა ამბროზიო დუშ ანეუში კვლავ შირაზს მოეკლინა და საქართველოში გამგზავრების სამზადისსაც მაშინვე შეუდგნენ.

ამბროზიო დუშ ანეუში და მისი თანმხლებნი ორჯერ გამოვიდნენ შირაზიდან, რათა წამებული დედოფლის ნეშტი საქართველოში ჩაესვენებინათ, მისი გვირგვინოსანი შვილისათვის გადაეცათ და რაკი ასეთი იყო ქართველ მეფე-მთავართა სურვილიც, ქართლში წმიდა ავგუსტინეს წესის მისიონი გაეხსნათ.

მისიონერთა შორეული და მეტად სახიფათო მოგზაურობის საბოლოო წერტილი ქართლის ქალაქი გორი იყო. ტფილისის ციხე ჯერ ისევ ყიზილბაშებს ეპყრათ და ქართველ მეფეთა სატახტო ქალაქზედაც მათი განმგებლობა ერცელდებოდა. გაერთიანებული ქართლ-კახეთის მეფე თეიმურაზი, სახლეულთან ერთად, გორში იდგა და გაპარტახებულ ქვეყანას აქედან განაგებდა.

პირველი ცდა, ისპაჰანის გავლით საქართველოში წასულიყვნენ, ამბროზიო დუშ ანეუშისა და მისი თანამგზავრებისათვის, წარუმატებელი და მარცხიანი გამოდგა. მგზავრთაგან ორს გზაში საშიში სენი შეეყარა, ერთი მათგანი კიდევაც გარდაიცვალა და მრავალჭირგამოვლილ ამბროზიო დუშ ანეუშს ისპაჰანში დაბრუნება და იქ საიდუმლოდ ცხოვრება მოუხდა, ვიდრე ერთი წლის

შემდეგ, 1628 წლის თებერვლის 13-ს, ხელი ხელახლა არ მოიწყვეს და შორეული საქართველოს გზას არ გაუდგნენ.

ქეთევან დედოფლის ნაწამები ნეშტი მწუხარე ერმა ალავერდის საკათედრო ტაძარში მიასვენა, ბინა საგვარეულო სამკალეში, თანამეცხედრე დავით მეფისა და ღვიძლი შვილის მიერ ყელგამოჭრილ კახბატონ ალექსანდრეს გვერდში მიუჩინა, ამბროზიო დუშ ანეული კი გორში დაემკვიდრა, სადაც ახალი ტაძარი ააშენა და თავის კათოლიკურ მღვდელმსახურებას შეუდგა.

საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ წამებული დედოფალი წმიდანად შერაცხა და მისი აღსრულების დღე — ენკენისთვის 13 — ყოველი მართლმადიდებელი ქართველისათვის დღესასწაულად გამოაცხადა.

ავის მომასწავებელი გამოდგა ეს დღე ფარსის ბეგლარბეგ იმამყული-ხან უნდილაძისათვის. ამ დღიდან ზუსტად ხუთი წლის შემდეგ სპარსეთის დიდი მპყრობელი შაჰ-აბასის მზე ჩაესვენა, ხოლო ახალმა ხელმწიფემ შაჰ-სეფიმ, რომელიც წინამავალი შაჰის ტახტზე ავიდა, აბასის მეფური წყალობითა და წარჩინებით ყელამდე სავსე სარდალი აითვალწუნა და ერთ მშვენიერ დღეს თავის მხედრებს შირაზის ქუჩაში ააკუწვინა. ოდესღაც ძლიერი ამა ქვეყნისა, შაჰის შემდეგ მეორე კაცი თვალუწვდენელ სპარსეთში, როგორც იმამყული-ხანს სიცოცხლეში უწოდებდნენ, სამ დღესა და ღამეს თავგაჩეხილი ეგდო და დიდებული შაჰის შიშით ახლოსაც ვერავინ ეკარებოდა, მძორზე გაგიჟებული მაწანწალა ძაღლები რომ მაინც მოეგერიებინა და გვამის დამარხვაზე ეფიქრა.

გვამს დღედაღამ თავთით უჯდა მხოლოდ ერთადერთი, ცისა და ქვეყნისაგან მივიწყებული დედაბერი, შავი დღის შემსწრე — მოხუცებული დედა ხანისა...

1988-1994 წ.

თბილისი-ბოლთა

ბოლოთქმა

ავად იყო თუ კარგად, წერტილი დავსვი, ჩემი სიცოცხლის 71-ე წელს დიდი ხნის ნაოცნებარი რომანი ქეთევან დედოფალზე — „მხევალი უფლისა“ დავასრულე.

როგორც „მძიმე ჯვრის“ ბოლოთქმაშიაც ეწერდი, წერად დაჯდომას წინ უსწრებდა დიდი და ხანგრძლივი მოსამზადებელი მუშაობა, შესწავლა ეპოქისა, საზოგადოების მამოძრავებელი ძალებისა, პერსონაჟთა ისტორიული ბედისა...

გარდა საქართველოს ისტორიის მამის, სულმნათ ივანე ჯავახიშვილის და გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსის ნიკო ბერძენიშვილის შესაბამისი შრომებისა, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შევუდგები, ავტორის მხატვრულ ჩანაფიქრს საფუძვლად დაედო დიდი ქართველი ისტორიკოსის და გეოგრაფოსის ვახუშტი ბატონიშვილის, ბერი ეგნატაშვილის, მაგისტრ ადამ ოლეარიუსის, პიეტრო დელა ვალეს, გივი ჯამბურიას, მიხეილ სვანიძის, ნოდარ ნაჭყებიას, ოთარ გვილავას და სხვათა შრომები, გამოკვლევები და მოგზაურის ჩანაწერები.

განსაკუთრებული მადლობის გრძნობით მსურს მოვიხსენიო პროფესორი ილია ტაბაღუა და ჩემი უმცროსი კოლეგა მწერალი თამაზ ნატროშვილი. „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“, რომელიც ბატონ ილია ტაბაღუას კალამს ეკუთვნის და „მაშრიყით მაღრიბამდე“ თამაზ ნატროშვილისა ძვირფას შთამაგონებელ მასალას შეიცავს ყველა იმისათვის, ვისაც თავი გადაუდია და ამ ეპოქაზე რისამე დაწერა განუზრახავს.

თუ დამიჯერებთ, მე ჯერ არ ვიცი, რა დავწერე. იქნებ კარგი წიგნი გამოვიდა, იქნებ ამაოდ დავშვერი. ასეა თუ ისე, ძალლონე არ დამიშურებია, ჩანაფიქრის მატერიალურ ძალად ქცევას, მის ქაღალდზე გადატანას მრავალი ასეული დღე და ღამე მოვანდომე.

რევაზ ჯაფარიძე

18 მარტი 1994 წელსა.

Джапаридзе Реваз
Раба Господня

Книга выпущена по заказу АО "Иберия-92"
издательско-полиграфическим агентством "Три Л".
Лицензия № 062411 от 11.03.93.

Сдано в набор 05.08.94. Подписано в печать 18.10.94.
Формат 84x108/32. Бумага офсетная. Печать
офсетная. Усл.п.л. 18,0. Уч.-изд.л. 32,6. Тираж 10000
экз. Изд. № Л-52. Заказ № 57023
Издательско-полиграфическое агентство "Три Л".
113114, Москва, Шлюзовая наб., 10.
Отпечатано в АО "Молодая гвардия".

ფასი სახელშეკრულებო

გამომცემლობა „იბერია-92“
თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14 1994წ.